ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ა ნ თ ო ლ ო გ ი ა

IX
ტომი

გამომცემლობა „საარი“
თბილისი 2019

UDC(უაკ)908(479.22)
ა-659

იუნესკოს მსოფლიო დესპანი, მსოფლიოს სპორტსმენი, გაეროს ბუნების დაცვის ელჩი, გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მსოფლიო ველო-მოგზაური, მოგზაური დიპლომატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი, მსოფლიო 2009 წლის ადამიანი, საქართველოს 2002 წლის ადამიანი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, მსოფლიოს მრავალი ქალაქის, მათ შორის თბილისის საპატიო მოქალაქე, ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლების მფლობელი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედლის მფლობელი, ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, 5 აკადემიის აკადემიკოსი, შეყვანილია ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის 400 წარჩინებულში, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ კი – მსოფლიოს 500 წარჩინებულთა სიაში და სხვ.

1986 წელს 46 წლის ასაკში დაავადდა ნაწლავების

განგრენით. 1986-1987 წლებში ორი ოპერაციის შედეგად ამოაჭრეს 4,25 მეტრი სიგრძის ნაწლავები. 1987-1990 წლებში საკუთარი ვარჯიშების მეთოდი შეიმუშავა და დაამარცხა გარდაუვალი სიკვდილი. 1990-1992 წლებში ამყარებს მსოფლიო და გინესის რეკორდებს ჰორიზონტალური მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვებში. 1993 წლის 13 აგვისტოს 13 საათზე (სარფი) 54 წლის ასაკში იწყებს მოგზაურობას ველოსიპედით. 3333 დღის განმავლობაში გადალახა აზიის, ავსტრალია-ოკეანეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპისა და აფრიკის 234 ქვეყანა და დამოკიდებული ტერიტორია, 2-ჯერ ეწვია ანტარქტიდას; გადაიღო 50.000-ზე მეტი ფოტო-კადრი და 200 სთ-ზე მეტი ვიდეო ფირი; შექმნა მოგზაურობის 7.000 გვერდიანი დღიური. უწყვეტი მოგზაურობის პერიოდი: 9 წელიწადი და 3 თვე; სულ 111 თვე, ანუ 476 კვირა, ანუ 3333 დღე.

ჯუმბერ ლეჟავაზე თავდასხმა მოეწყო:

1. ადამიანებისგან 50-მდე.
2. მხეცებისაგან 15-მდე.
3. სტიქიური უბედურება თავს დაატყდა მრავალჯერ.
4. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მრავალჯერ იდგა. მოგზაურის მარშრუტი გავლილი დასახელებული პუნქტების მიხედვით დაფიქსირებულია 4 000-ზე მეტ პოლიციის განყოფილებაში.

15-მდე ღამე სხვადასხვა ციხეში გაატარა. უბედური შემთხვევის გამო

6-ჯერ მოხვდა საავადმყოფოში. 1000-ზე მეტჯერ გაათია ღამე კარავსა და ღია ცის ქვეშ.

© ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, 2019

ISBN 978-9941-17-883-2
ISBN 978-9941-477-60-7

ჯუმბერ ლეჟავას სიცოცხლეშივე დაარსდა მისივე სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, რომლის იდეის ავტორია გულნაზ ხარაიშვილი, ხოლო ერთ-ერთი დამფუძნებელი არის ჯუმბერ ლეჟავა. აკადემია მისი გარდაცვალების შემდეგაც აგრძელებს მუშაობას, გამოდის ჟურნალი „ათინათი“ კვარტალში ერთხელ და „ანთოლოგია“ წელიწადში ერთხელ. მისი დაბადების 80 წლის იუბილეს მიეძღვნა „ანთოლოგიის“ სპეციალური ტომი, სადაც შესულია ჯუმბერ ლეჟავას წიგნი „ჯანმრთელობის ფორმულა“ და მოაგონებები ბატონ ჯუმბერიზე.

გარდაიცვალა 2014 წლის 25 ივლისს. ჯუმბერ ლეჟავამ ცათა სასუფეველში დაიდო ბინა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მისი სულის წინაშე ფიცი დავდოთ და ვიშრომოთ მის უკვდავსაყოფად.

გულნაზ ხარაიშვილი

აკადემიის წევრების ფიცი

რამდენი ლექსი გიძღვენით მაგრამ,
სიტყვა ვერა ვთქვით შენი საქები.
ვეფერებოდით შენს ჯიშს და ნაგრამს.
კვლავ ბევრი დაგვრჩა ისევ სათქმელი.

შენი სახელის უკვდავებისთვის,
სიცოცხლის ბოლო წუთსაც განაცვლებთ...
კვლავაც ვიბრძოლებთ იდეებისთვის,
არ მოვდუნდებით, წუთს არ გავაცდენთ...

თაობებს შევკრებთ დარუბანდამდე,
ნაბიჯს ავაწყობთ ნიკოფსიიდან...
ვიბრძოლებთ ცაში წასვლის ვადამდე.
და არ ამოგშლით ჩვენი სიიდან.

ვედრება (დეისუსი)

ბასილი დიდი

ქრისტე პანტოკრატორი

იოანე ოქროპირი

ხატმწერები: ხატია და გიორგი ლარიაშვილები

წმ. ბასილი დიდი

წმ. იოანე

წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველი

წმ. პეტრე და წმ. პავლე

ხატმწერები: *ხატია და გიორგი ლარიაშვილები*



***

რა ღვთისნიერი გზაა თქვენი გზა,
უწმიდესო და უნეტარესო,
ეს გზა უფლამდე უმოკლესია,
ჩვენთვის სხვა გზა და ხსნა არ არსებობს,
თქვენა ხართ რწმენაც და ეკლესიაც,
უფლის ცრემლი ხართ უნეტარესო!!!

ჯუბა ჯულელი



მამა გაბრიელ

ერთ წამსაც არ მსურს იმ მადლს დავშორდე,
მამა გაბრიელ, შენ რომ მომეცი.
ჯობია უკვე ცრემლებს ვაშრობდე,
რადგან მეორედ შენით მოვედი.
სულის ლექსები შემომეფეთა,
მე მოვესწარი მეორედ მოსვლას,
გულიც სულ თოთო კვირტივით ფეთქავს,
ტანსაც სიკეთის სამოსი მმოსავს.

გულნაზ ხარაიშვილი



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

****

შენს საფლავთან ყვავის ია-ია,
კვლავაც ცოცხლობ, რას მიქვია გლოვა,
უფლის რჩეულს გულზე დაგაყრიან,
სიყვარულით ყვავილების თოვას.

გულნაზ ხარაიშვილი

მამა ამირან ამირანაშვილი

ამირანაშვილი ამირან გრიგოლისძე დაიბადა 1947 წელს, მსახიობი, 1968 წელს დაამთავრა თბილისის ს. ზაქარიაძის სახ. კულტ-საგანმან. სასწავლებელი ქორეიგრ. განხრით, 1973 წელს შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი, 1978-ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატ. ვოკალური ფაკ-ტი. 1988-92-სასულიერო აკადემია. 1967 წლიდან არის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი (გუნდის წევრი), 1972-დან მოღვაწეობს რადიო-ტელევიზიის ვაჟთა ოქტეტში მ. ხატელიშვილის ხელმძღვანელობით, 1973-დან მუსკომედიის თეატრის სოლისტია, 1977-78-ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი (სტაჟიორი), 1980-81-საქართვ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაჟთა ვოკალური ოქტეტის წევრი, მიღებული აქვს ჯილდოები და სიგელები. 1981-დან არის სიონის ტაძრის მგალობელი და პატრიარქის პროტოდიაკვანი. ლიტ. თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრ. მუზეუმი, ფ. 1, 4219, ხ.30436.თხზ.



1995 წლიდან დღემდე საპატრიარქოს გამომცემლობების ხელმძღვანელი უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოების პრეზიდენტი და ეხლა მაცხოვრის ამაღლების ტაძრის წინამძღვარი.

მამა მერაბის ლოცვით ასეულ უშვილო ოჯახს შეეძინათ შვილები.

ილია ძმანაშვილი

მე გახლავარ ქ. თბილისის 36 საჯ. სკოლის VI კლასის მოსწავლე ილია ძმანაშვილი, აგრეთვე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნორჩი ათინათელი

გთხოვთ, მამა მერაბი მიამბოთ თქვენი მშობლების შესახებ.

მამა შოთა დეკანოსიძე დაბადებული 1924 წელს სრულიად ახალგაზრდა წავიდა მეორე მსოფლიო ომში მოხალისედ, მას მიღებული ჰქონდა ყველა ჯილდო, რაც არსებობდა, იყო ომის ვეტერანი. სპეციალობით იყო ენერგეტიკოსი და მუშაობდა რკინიგზაში.

დედა მარგალიტა მახათაძე არის ფრანგული ენის სპეციალისტი და წლების განმავლობაში მუშაობდა პედაგოგად. ამჟამად პენსიონერია.

რამდენი დედმამიშვილი ხართ?

მყავს ორი და. ერთი მათგანი საბავშვო ბაღის აღმზრდელია, მეორე კი ფარმაცევტი და მუშაობს სააფთიაქო ქსელში.

რას იტყვით დედის შესახებ?

რა თქმა უნდა დღეს 8 მარტია და ვულოცავ მას ამ დღეს. დედა ძალიან მიყვარს და უდიდეს პატივს ვცემ. ის ხშირად არის ჩემთან, დამყავს ყველგან, სადაც დავდივარ. მინდა დიდხანს იცოცხლოს.

როდის დაამთავრეთ საშუალო სკოლა და სად?

1977 წელს დავამთავრე დაბა შორაპნის 8 საშ. სკოლა.

სანამ მამაო გახდებოდით, რა პროფესიის ბრძანდებოდით?

პირველად დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ამჟამინდელი ტექნიკური უნივერსიტეტი, მანქანათ მშენებლობის ფაკულტეტი. პარალელურად ვსწავლობდი ქართულ სიმღერებს. ვმუშაობდი კათედრაზე, ვიყავი ფაკულტეტის დეკანი, შემდეგ დავამთავრე სასულიერო აკადემია.

წარსულის გადმოსახედიდან რას იტყვით?

ძნელია ადამიანმა გააკეთოს რამ, თუ უფალმა ის მასში არ ჩადო. ადამიანის სული უფლისგან არის ბოძებული. მე



ილია ძმანაშვილის ბებია, ქალბატონი თალიკო, გულნაზ ხარაიშვილი და მამა მერაბი

ვფიქრობ, რომ ვარ მრავალმხრივ განვითარებული სასულიერო პირი და უნდა დავიხარჯო მაქსიმალურად.

რომელი წლიდან დაიწყეთ ხატვა და რა იგრძენით პირველი ნახატის შესრულების დროს?

მამა მერაბი ლოცავს თბილისის 36-ე საჯაროს სკოლის მოსწავლეებს

ეს ასე მოხდა, მე დავდიოდი შეწირულობებზე და შევხვდი მხატვარს, რომელმაც დამხატა. ამ დროს ვიგრძენი რომ მეც მქონდა ხატვის ნიჭი და სამი წლის წინ დავიწყე ხატვა.

როგორც ვიცი, თქვენ დაამთავრეთ სასულიერო აკადემია, რამ განაპირობა ეს?

მე სასულიერო აკადემიის დამთავრება არ მიფიქრია. ვმუშაობდი თანამდებობებზე და უფლის ხმამ მიკარნახა თავი დამენებებინა საერო საქმისთვის და შევდგომოდი სასულიერო ცხოვრებას. წავედი მონასტერში, ამის შემდეგ პატრიარქისგან მივიღე კურთხევა და დავამთავრე სასულიერო აკადემია ექსტერნად.

რას იტყვით დედა მაიაზე, თქვენს მეუღლეზე?

ჩემს მაიაზე იმას ვიტყვი, რომ მეორედ რომ მომეყვანა ცოლი, ისევ მაიას მოვიყვანდი.

რამდენი შვილი გყავთ?

მყავს ერთი შვილი.

შვილიშვილი?

ორი შვილიშვილი. გიორგი დეკანოსიძე და მაია დეკანოსიძე.

გიყვართ ხელვნება?

დიახ. მიყვარს სიმღერა, ხატვა, პოეზია.

იცნობდით თუ არა ჯუმბერ ლეჟავას?

დიახ, ვიცნობდი. მყავს ნანახი ძლიერი და უკეთილშობილესი პიროვნება იყო, მრავალგზის გინესელი მსოფლიო მოქალაქე, მისი სახელი უკვდავად დარჩება.

რას იტყვით ჟურნალ „ათინათის" შესახებ.

ძალიან მომწონს ჟურნალი „ათინათი". მე ამ ჟურნალში ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის მეშვეობით მოვხვდი. ძალიან კარგი გაკეთებული, მრავალპროფილიანი ჟურნალია.

თქვენ რამდენიმე აკადემიის აკადემიკოსი ბრძანდებით, პირველად რომელ აკადემიაში შეხვედით?

პირველად ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიიდან დავიწყე. ასევე ჩემმა მეუღლემაც. ამ აკადემიაში თითქმის ყველა წევრს ვიცნობ, არიან უფლის მიმდევარნი და მიმტევებლები.

თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ბავშვი, ცელქი, ღვთის მოშიში, თუ ორივე ერთად?

ჩვენ არ შეიძლება ბავშვი რაღაც ჩარჩოში ჩაცსვათ. ცნობილია, რომ ცელქი ბავშვები ყოველთვის განსაკუთრებულები არიან.

რამდენი წლისამ დაიწყეთ ეკლესიური ცხოვრება?

დილის და საღამოს ლოცვები პატარაობიდან ვიცოდი. ჩემი ბებია იყო ძალიან ღვთიური და იმის წყალობით. როდესაც ბაღში ვიყავი, ლექსის მაგივრად „მამაო ჩვენო" ვთქვი.

რას უსურვებდით მომავალ თაობას?

მამა მერაბის მეუღლე, ქალბატონი მაია, (პედაგოგი) ციური ხუჭუა და გულნაზ ხარაიშვილი 36-ე სკოლის მოსწავლეებთან ერთად

მე ვუსურვებდი მათ გაძლიერებულ საქართველოში ცხოვრებას, ყოფილიყვნენ კარგი ადამიანები. ვისურვებდი საქართველოში ყოფილიყოს სიმშვიდე, კაცთმოყვარეობა, ჰუმანურობა, მეგობრობა და სიყვარული.

დაგლოცავთ

დღეს, ისე დაგლოცავთ როგორც არასოდეს,
დღეს მე მოუხმობ ციდან მნათობებს,
დღეს ჩემი სიტყვა ყველას მსურს გახსოვდეთ...
გეფერებოდეთ და გათბობდეთ...
დღეს მტერსაც დავლოცავ, თუმცა მე სადა მყავს,
რადგანაც მე თვითონ, არავის მტერი ვარ,
შვილი არ მოუკვდეს, არც ჩიტებს, არცა ყვავს...
სიცოცხლე, ცრემლი და ხან ერთი წამია...
მიყვარხართ, მახსოვხართ, ვარ ყველას მოკეთე...
იხარეთ, იმრავლეთ, თქვენს კუთვნილ მიწაზე...
მე ბევრჯერ, გული და მკლავიც კი მომკვეთეს...
მაისის სითბო ვარ... ასეთი მიწამეთ!

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჟუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

პოეზია

მაყვალა გონაშვილი

რა გაათენებს ამხელა ღამეს

დაკარგული გვაქვს ხუთივე გრძნობა,
ვერც ვხედავთ, ღმერთო, არც არა გვესმის,
ძმა ძმას ვეღარ ცნობს და შვილი – მშობელს,
გადავიჭერით ჩვენივე ფესვი.
მტვერსაც კი ფერი შეეცვლებოდა,
ისე ეკვეთა ქართველს ქართველი
და მძიმე მარხვის უწმინდეს თვეში
საკუთარ მოძმის სისხლით დავთვერით.
ფრთები მოვკეცეთ ფუძის ანგელოზს,
რაღას იხილავს თვალი უარესს,
მერე სალოცავ ქალაქის ქუჩებს
ცეცხლის ენებმა გადაუარეს.
ტაძარში დავდგით თიხის კერპები,
ალით შევტრუსეთ ღვთისმშობლის კაბა,
ისევ ვესროლეთ ილიას შუბლში,
ისევ სულ ნაკლი ვუძებნეთ ერთურთს,
თვალში ვაყარეთ მოძმეს ნაცარი
და ქართლის გულში ცეცხლად ავანთეთ,
დედამიწაზე ცოდვა რაც არის.
არული ავსულს, არული ეშმაკს,
ცას სწვდება ცოდვის ჭიაკოკონა,
ქარი ქრის? – არა, უფლის ცრემლი მოგორავს.
ვის გაუგია ახალ წლის ღამეს
ცრემლი, გოდება და გლოვის სუფრა,
რა გაათენებს ამხელა ღამეს,
ვინ დააბრუნებს დაკარგულ უფალს?!

თავისუფლება

თანდათან ვსწავლობ ცხოვრების ხერხებს,
შავი პიარი, მკრთალი პიერო,
მითხარ, სატანავ, რა წყალობისთვის
გადამიხადე სამაგიერო,
ჰო, ხალხო ჩემო, ჰო, ერო ჩემო,
ჰა, ბრიყვთა ლიქნი, ჰა, დაფნის ჩერო...
ნეტავ რამდენჯერ გინდათ, ეგ ფარსი
ნამდვილი ყოფის ფასად მიჩვენოთ?
ადრე თუ ტყვიით კლავდნენ მართალ კაცს,
დღეს მოდად იქცა დაშანტაჟება,
თქვენთვის ეს ლექსი ტექსტია მხოლოდ,
ჩემთვის – სიკვდილთან შეთამაშება.
ჩემთვის სიტყვები ქვაა სიზიფეს,
მსუბუქი ლოდი სად გინახიათ?
ძველ შეცდომებზე ვერ ვსწავლობთ ჭკუას
და ეს სასჯელიც ჩვენზე ახია.
დღეს სიზიფესაც გულს ლოდი ადევს,
ლოდი, რომელიც გულს უღონებდა,
თუ არ ის ლოდი, თუ არ ის ტანჯვა,
სიზიფეს დღეს ვინ მოიგონებდა.
უკვდავებაა გზა წამებისა
და წამიერი ყველა განცხრომა,
არ მიუცია უფალს კაცისთვის
სული მონად და თავი საცობად.
თუ არ მივყვებით გზას ტაძრისაკენ,
თუ არ ვიქნებით თავის უფალნი,
მაშინ დარჩება ერი და ბერი,
სოფლის გიჟივით თავისუფალი!

შემოდგომა

დადუმდა მიწა მთვარისფერ სევდით,
მთვარისფერ სევდით გადაზაფრული,
აგონდებოდა უხმო ტკივილით
ხის აკვირტება და გაზაფხული.
და როგორც ზანგ ქალს საყურე ერთი
ფერად ყვითელი და სასწაული,
რტოზე ეკიდა ფოთოლი მჭკნარი,
ვით სიმარტივის დღესასწაული.

სამების კართან
ნიკა ხერკელაძეს

უკვე მოვედით სამების კართან,
უკვე ავლიეთ მთები ალევის
და უმიზეზოდ ვარ სევდიანი,
როგორც სიზმარში ნამტირალევი.
რას არ გაუძლო ტაძარმა დღემდე,
რა წვიმებს, ელვას, ღმერთო, რა ქარებს,
ისე ლამაზი არის ყოველი,
ლამის ელდისგან აქვე გავქვავდე,
შენ მეკითხები, რად ვარ მოწყენით,
აჰა, დღეობა, ცხენით ჯირითი,
მთები გვირილით მოგვირისტული
და საცალფეხო ცისკენ ბილიკი.
მაინც გულს დარდი რად მიღრღნის ასე,
რატომ არა ვარ დღეს ბედნიერი?
ტრადიციების ძველ ნასუფრალზე
რად ილხენს ჩემი დაღლილი ერი?
რას მეტყვი, ძმაო, რით მანუგეშებ?
რის მაქნისია სიტყვა ლიტონი,
ვერც აქ ვიპოვე, ამ სამოთხეში,
ამ ჩემი სულის პარაკლიტონი.

დრო იყო, ამ მთებს, ამ გზებს, ამ ტაძარს,
სულ სხვანაირი შუქი ებურა
და ხევისბერიც, სოფლის ნამუსი,
შენს ფერ-ტილოზე გაქვავებულა.
სად არის ის გზა, ჩვენ რომ გავკვალავთ?
ფუჭ ფაციფუცში გადის ცხოვრება.
რას ვეტყვით შვილებს ჩვნს გმირობაზე?
გეყო წარსულით თავმოწონება.
ვინ უნდა გასცეს კითხვას პასუხი?
ერის ტკივილი ვინ დაიტიროს,
ჰო, დიდი საქმე, ხვალ მე ლექსს დავწერ,
შენ ფერადებით მოხატავ ტილოს
და საკუთარი საქმით და ფიქრით,
ჩვენც დავყუჩდებით და დავმშვიდდებით
და გაგვიტაცებს ქალაქი თავის
დღეობებით და პანაშვიდებით...
დაგვავიწყდება, რომ უნდა ვიყოთ
ჩვენი თავის და ფიქრის უფალი,
ჩვენს მიტოვებულ სოფლებს დაივლის
ქარი – ერთგული ჭირისუფალი.

ფრენის ამინდები

მეფეს უყვარს ფრენა,
თუმც არა აქვს ფრთები.
ფრთები პოეტების ხვედრია...
სულ ამაოდ წივის, წკეპლის წვრილი წვერი,
თავისუფალ სულებს ვერ გახედნიან.
ყრუა ყველა ყური,
თქვენც ნუ აყვირდებით,
მეფეს უდგას ახლა
ფრენის ამინდები.
ბრმაა ყველა თვალი,
არ ჩანს გზა-სავალი,
ჩამშვებთა კასტასა აქვს
დიდი გასავალი...
ჯიბის სასამართლო,
ეტყვიან და ბას-ტა!
ჯუნგლის კანონები
სანატრელი გახდა.

სიტყვით გულს ვიფხანთ და
დგას ლაყბობის ხანა.
უთქვამს ჭავჭავაძეს: –
ქეცმა იცის ფხანა.
უკვე კარგად ვჭამეთ,
გთხოვთ, ნუ გვიყრით საკენკს,
ჯობს აიღოთ გეზი
თბილი ქვეყნისაკენ.
სანამ ზეცა შვიდი
რისხვით შეიკვრება,
ცრუ ნათება ცაზე
ისე უმალ ქრება...
მეფეს უყვარს ფრენა,
თუმც არა აქვს ფრთები,
ფრთები პოეტების ხვედრია...
სულ ამაოდ შხუის შოლტის შავი ტანი –
თავისუფალ სულებს ვერ გახედნიან!..

ჯგუფი ხლვარი

სერგი ლომაძე

ვრარსებული წერილი ნიკო სამადაშვილს

ღამეა, არაა სხვა გზა,
მე ისევ ბნელ ფერთან ვდგევარ,
თუმც არის სამყაროს განცდა...
ჰოდა – ეს სამყარო მე ვარ.
არ ვიცი, როგორ ვწერ ახლა,
არა მაქვს ამისთვის დრო და,
თუ გინდა ნაწერთა დაწვა,
მაშ დაწვი!.. მე ახლაც ვბოდავ...
სადაა, სულისთვის, გზები;
მე ჯვარცმულ რუსთაველს ვხედავ;
როცა პოეტები კვდებით,
ქრება პოეზიის დღე და,
ხომ მოვა, ხომ მოვა ქარი,
წაიღებს ცხოვრების ჯაგნარს,
აქვე იარაღიც არის,
ჰოდა საფერთქელმაც რა ქნას...
გათენდა, ეგება იყოს
დროება ახალი ფერის...
მე გწერ ამ სტრიქონებს, ნიკო,
ახლა სტრიქონები მშველის...

კომშის სურნელი

საღიმილოა, თუმც მაინც ვიტყვი, -
პოეტურია ყვითელი ბია;
ამაშიც არის რაღაც იმედი,
უიმედობა, რომელსაც, ჰქვია.
შენს თავს მაგონებს კომშის სურნელი,
არ ვიცი – როგორ, არ ვიცი – რატომ;
შენ ხარ ლამაზი, შენ ხარ სულელი,
და ჩემს დაღლილ გულს შორიდან ათბობ...
მე, სიყვარულზე, არა ვწერ ლექსებს.
მე მარტოობის პოეტი მქვია,
ცხოვრება მაწევს გადაღლილ მხრებზე,
როგორც პაოლოს თვითმკვლელის ტყვია;
და რომ გგონია – სიყვარულზე ვწერ,
ის ნაწერებიც სიობლეს მიაქვს...
შენს თავს მაგონებს კომში მზიანი,
არ ვიცი – როგორ, არ ვიცი – რატომ;
შენ ხარ ლამაზი, შენ ხარ ჭკვიანი,
ჩემთან არ ხარ და ყოველთვის განატრობ.
ახლა ხომ მალე მოვა ზამთარი,
და ცა იქნება ფიფქთა ბალეტი.
გული – მარადი მზის მეომარი,
მოკვდება ცივი თვის არბალეტით.
მომენატრება, კვლავ, შემოდგომა,
გადამწიფებულ კომშის სურნელით,
და ისევ მოგწერ შენ, შორ მეგობარს,
რომ ხარ ლამაზი, რომ ხარ სულელი...
საღიმილოა, თუმც მაინც ვიტყვი, -
პოეტურია ყვითელი ბია,
რადგან მის სურნელს, სულ ბოლო დღემდის
შენი პატარა სახელი ჰქვია...

უსაზღვროეთი

ვისაც ვერ ხედავ, ის უნდა იგრძნო,
ვისაც ველარ გრძნობ, ისაა მკვდარი.
მე უნდა გულის წუხილი ვიძმო,
რომ არ მომიკვდეს ცოცხალი ქნარი.
ხომ შეიძლება, ხომ შეიძლება,
რომ ყველა ღამე თეთრად ვათიო,
ან ქნარი იყოს ადამიანი,
და შეცდომები მან მაპატიოს!

მე ვარ სამყაროს ბოლო პოეტი,
და პირველობას, ახლა, დავცინი.
გული კი, როგორც გზა, მარტოეთი,
არის უსაზღვრო ღმერთის ნაწილი...
იმქვეყნად ყოფნაც არ ნიშნავს სიკვდილს,
თუ მას, ვინც იქ არს, ინახავს გული...
ფიქრი მოძრაობს დიდ გრძნობის ირგვლივ,
უსაზღვროეთით განცვიფრებული...

შუქი ღამეში

ფანჯრები ანთია კუნაპეტ ღამეში.
თარეში, ლანდების თარეში.
ათია.
ოქტომბრის ათია.
სიობლით დაგეშილ
უშავეს ღამეში,
ფანჯრები ანთია.

გამჭვირვალ ფარდებში
ჩანს ქალის პროფილი,
ვით ძველი ფილმიდან
ძვირფასი კადრი და
სევდაა ახალი, სევდაა ყოფილი,
რომელიც, სიყვარულს,
მუსიკას ადრიდა.
მუსიკა და ქალი.
ტალღა და ნაპირი.

არაა ახალი
პოეტი და ტრფობა.
სიტყვები. სიტყვები.
ცხოვრება ვამპირი.
და თრობა
დათრობა,
დათრობა,
დათრობა!..

ჩემს წარმოსახვაში
თუ ბუდობს სიზმარი.
ვითომ – ბოტიჩელის ნახატი.
ათია.
კუნაპეტ ღამეში
მე არსად ვიჩქარი.
მუსიკის ტალღებად ფანჯრები ანთია.

ვიხი

მივედი ზღვასთან, გულს უხარია.
სადღაცა, მარჯვნივ, ზღვა დიდ მთებს ერთვის.
მე მოვიწყენდი ახლაც, ძალიან,
თუმც – ამ სივრცეში ვიგრძენი ღმერთი.
ხელს გადავუსვავ ბალახს, ნამიანს.
აქვე ქვიშაა. მზე ფაქიზია.
მარადისობა, ზოგჯერ, წამია,
და წამი, ზოგჯერ, მარადისია...

კახა ბაციკაძე

სივრცე შევალე

გულის ლოცვაში დასახლდა ვიღაც,
და უხმობს ფიქრებს, ვით ზღვა – ხომალდებს...
ვწვავ სამყაროში სულ ბოლო ნიღაბს,
თავისუფლების მზერა მოვმართე:
შევსვამ სივრცეთა, ლაჟვარდთა ღვინოს
თვალთა თასებით, მზეთა ავსებით,
ვგრძნობ – მსუბუქდება ცის ვიოლინო,
მოცარტის ნოტით ანალმასები.
ბალერინების თეთრი დასები,
თბილფანტელური გაბაასებით
სიზმრებად სიზმრის სიზმარს ქარგავენ,
არის ამქვეყნად განცდა ასეთიც:
მე ვარ სტრიქონი, მე ვარ მუსიკა,
და მე ვარ ფერი, ზღვები ღელდება...
გულო, იდუმალ მლოცველს უსმინე,
კრთის გრძნობის არსი ირგვლივ ელვებად...
ლოცვის მოცარტი ლოცვას აოცებს,
და სულის განცდა კოსმოსს ეხლება!..

რეალობის უარმყოფელი

ერთ ულამაზეს ქანდაკებას
უსმენს, დღედაღამ,
ვინმე შეშლილი ჯადოქარი,
და არ მოიწყენს,
ასე იძახის, –
აქ მუსიკის ტკბილი ხმებია,
სხვა ადგილას რომ
ვერასოდეს, ვერვინ მოისმენს...

შეძახილი

მხრებში გაიშალე ქართველო,
მტერს ნუ ეჩვენები ჩაგრულად!
სული რაც არ უნდა გათელონ,
მაინც გაიბრწყინებს ქართულად!
ფრთები გაუშალე სივრცეებს...
არწივს არ უხდება ხევები,
ნახე შენი ძმები ფიცს დებენ,
დგანან მთები, როგორც დევები.
მხრებში გაიშალე ქართველო,
ზეცას გაუსწორე თვალები,
მზეო – დედამიწის სანთელო,
გზები გაგვინათე მკრთალები.
გულში ვაზისფერი ახარე,
დარდის წიგნი აღარ დაწერო,
მზერით მზის სინათლე ატარე
ერო, ლექსად თქმულო, ნამღერო...
მხრებში გაიშალე ქართველო,
მტერს ნუ ეჩვენები ჩაგრულად!
სული რაც არ უნდა გათელონ,
მაინც გაიბრწყინებს ქართულად!

პოეტური გრძნობა

ხვალ, როცა დილა გათენდება, –
მზე რომ ამოვა,
მთელი სამყარო დაინახავს და წაიკითხავს
მზის ტანზე ღამით დაწერილ ლექსს,
ჩემს ლექსს, სევდიანს.
მერე, როდესაც ცა მოიქუფრება, –
გამოჩნდება ამაყი ღრუბელი,
მთელი სამყარო დაინახავს და წაიკითხავს
ღრუბლის ტანზე დაწერილ
ჩემს ლექსს, სევდიანს.
მერე კი მოვა ლექსების წვიმა, –
თვითონ ლექსები წამოვა წვიმად,
ფერად წვიმად – მთელს სამყაროში, და მაშინ,
ადამიანებს, საგნებს... ყველაფერს დაასველებს
ჩემი პოეზიის საბრალო სევდა...

გზა ძველებური

როგორც დავიწყე, ისე ვაგრძელებ!..
გზები კვლავ გრძნობის ზღვებთან მიმიყვანს,
ამ ცხოვრებიდან თავს კვლავ ვაძევებ
და ვინარჩუნებ სევდის მიმიკას.
რადგან აქ, ირგვლივ, საგიჟეთია,
სიხარულისთვის არ გვაქვს მიზეზი,
დაბლა ბოდვაა, მაღლა ღმერთია,
და ვერ ხერხდება ამის სინთეზი.
როგორც მიყვარდა, მიყვარს ისევე!
მე კვლავაც მჯერა – გული ლურჯია...
დიდი ხანია მკვლელებს მისევენ,
დიდი ხანია ლექსი ბურჯია.
ხოდა ვაგროვებ ფრთების ნამსხვრევებს
და მოხშირებულ ცრემლით ვაწებებ,
თვალთა რაინდებს ისევ ვამხედრებ,
ისევ ვაღმერთებ ძმების ნაწერებს!
როგორც მაწვიმდა, ისე მაწვიმს მე...
შემოდგომაში მუდამ დავსახლდი...
წლები მიდის და ხეებს ამძიმებს
ამ წუთისოფლის გადასახადი...
ვრჩები წარსულის რწმენის იმედად
და წვიმის ხმების ბროლში ვმკრთალდები...
მე პოეტი ვარ, თანაც იმდენად,
რომ პოეზიით ავკანკალდები...
როგორც მჯეროდა, მჯერა ისევე!
ვერ ჩამილეწეს სულის მინები,
ვფიქრობ ზეცაზე, ვფიქრობ ქრისტეზე,
და წინააღმდეგ მივალ დინების!..

სიცყვების ცანგო

წვიმიან, ფიქრიან, სევდიან ამინდებს
უგნურნი ებრძვიან, უფალო, დაინდე,
რამეთუ მათ წვიმის ფასი არ იციან...
მე კი წვიმისფერი სიცოცხლე მიცვნია...
ფირუზის ტუზები ცეკვავენ მუზებთან,
ვარსკვლავთა კარავში კრთის ზეცის კალია,
ფერმკრთალი აჩრდილი კართან იტუზება,
მისი სიფერმკრთალე ცხოვრების ბრალია...
ღვინო და კინო და კინოდან კიოდა
ლამაზი, არმაზის ბილინგვის ფერებით,
ქალწული, რომელიც ბედს უჩიოდა,
და ჰკვეთდა სამყაროს კრიალა ბგერები...
ვგრძნობ ქარმა გაშალა კაშნები კაეშნის,
არ არის სიცოცხლე ლექსების გარეშე...
ოცნებავ, ზეცისკენ არ უნდა გამეშვი,
ახლა კი იცოცხლე უნაზეს მთვარეში...
და ისევ ლექსების, ლექსების მხარეში...
წვიმიან, ფიქრიან, სევდიან ამინდებს
უგნურნი ებრძვიან, უფალო, დაინდე,
რამეთუ მათ წვიმის ფასი არ იციან...
მე კი წვიმისფერი სიცოცხლე მიცვნია...

* * *

დღეს პოეზიის ღამე იქნება,
მოვლენ, შორიდან, სევდის ლანდები,
მე რა ვქნა, – ბედმა ასე ინება
და უსათუოდ შემიყვარდები.
ეს სული ბავშვურ ზღვის ლურჯ სიშორეს
მიეძალება, როგორც თოლია,
და მედება თვალების ბაღებს
შემოდგომათა მელანქოლია...

* * *

გულს ამოვიგლეჯ, გულით ცხოვრება
არის უბრალოდ შეუძლებელი,
სევდის ნისლები თვალზე გროვდება
და თვალი მოჩანს, როგორც ღრუბელი...
გულო, იფანტე მწვანე ფოთლებად,
იქნებ გადარჩე ხელუხლებელი,
ვერ მოგერიოს მძიმე ცხოვრება,
იყო ბავშვურად წმინდად შთენილი.
საღამოვდება და მთებს გავცქერი,
მთები მოჰგვანან დღეებს წარსულის...
თუნდ ნურც დარჩება ჩემი ნამღერი,
იყოს ღიმილი და დასასრული...

გიორგი ზუხბაია

უსასრულო მარტოობები

ცა არის ერთი, და ცაა ლურჯი,
და სევდის გარდა არარა შემწევს,
ეს არის სივრცე, თითქოს ვარ გულში,
საკუთარ გულში, როდესაც ლექსს ვწერ.
შორს ვარსკვლავნია გახსნილ თვალებად.
შენ, ჩემო თავო, ასე მტოვებდი.
და სამყაროთა იდუმალებას
ქმნის უსასრულო მარტოობები.
და ტაძარივით მიუსაფარის,
მე საოცრების ნახვა შევძელი,
და ახლა ვიცი, სული რა არის,
სულია, როცა სდუმხარ მეტყველი...
მე ისევ აქ ვარ, სადღაც შორიდან,
რადგან სამყაროს არვინ იცავდა,
თითქოს მიწაზე ცა ჩამოვიდა,
იცხოვრა აქ, და გარდაიცვალა.
მარტოობაა სივრცისგან მოკვდე,
მას გული აქცევს მარტოობებად,
და ახლა ვიცი, რა არის – გრძნობდე,
გრძნობდე – ეს არის არარსებობა...
და როს მიდიხარ, აქ გრჩება მხოლოდ
გზა ჩამავალი და გზა უჩვევი,
სხვა არაფერი, და მერე ცხოვრობ
მარტოობების თეთრ სიჩუმეში.
რა არის ღმერთი, და მე ვარ ღმერთთან.
გზა თუმც არ არის, მაინც სულ ვივლი.
ღმერთია, როცა უკვდები შენს თავს,
და ამით კვდები სხვების გულისთვის...
სივრცეებია გახსნილ თვალებად.
შენ, ჩემო თავო, ასე მტოვებდი,
რადგან სამყაროს იდუმალებას
ქმნის უსასრულო მარტოობები.

სიბრაღული

მე არასოდეს ვიქნები მკვდარი,
რადგან არაფერს, მარად ველოდი...
სინათლის გარდა არავინ არის, -
ახლა ქუჩაში დგას ანგელოზი.
და მზის სხივივით ჩუმი და სუსტი
ჩანს ერთი წამის იდუმალება;
ამ თეთრ ანგელოზს ახურავს ქუდი,
და უყვარს თეთრი ღვინის დალევა.
და მზე კვლავ ჩადის სულის წინაშე;
მე მეცოდება ყველა მიზანი;
ეს ანგელოზი კი დგას მიწაზე,
და ნატრობს – იყოს ადამიანი..
მე მეცოდება ეს ანგელოზი...

ჰაერის ია

შენ წაიკითხე ჰაერის წიგნი,
სული აგევსო იდეალებით,
ვიყავი შენი თვალების შიგნით,
და მე ვცხოვრობლი, სახლში, თვალების.
ცამ, როგორც სიტყვა, წარმოთქვა სევდა,
მე დამინახეს შენმა თვალებმა,
და მეც ვხედავდი, თუ როგორ მხედავ,
მინამ იხილა გამჭვირვალობა.
ჩამოიშალა სხივების კონა,
ჰაერის ყველა წერტილი ძგერდა,
მაშინ ვინატრე ნახატად ყოფნა,
მერე კი – ყოფნა, უბრალოდ ფერად...
არ ვარსებობდი, და დღე, ფერადი,
აღარასოდეს, სულში, შემოდის,
მთავარი იყო, რომ შენ მხედავდი,
ის კი არა, რომ არ ვარსებობდი.
არ ვარსებობდი, და თვალებს, დღიანს,
ჩემთვის შეექმნა მთელი სამეფო.
ხელში მეჭირა ჰაერის ია,
და შენ გჯეროდა, რომ ის არსებობს.
დარდი არასდროს აღარ გაივლის,
თუმც მზეს სხივიც კი არ დაჰკლებოდა.
ისე გჯეროდა შენ იმ ყვავილის,
რომ ის სარკეშიც ირეკლებოდა, –
ჰაერის ია...

ლექსები და ადამიანები

მე ვხედავ ზეცას შეშლილს და ეულს,
მერე, ფიქრისკენ, ბოლომდე წავალ.
ვიღაც ქვისაგან ქმნის ძვირფას სხეულს.
ვიღაც ფერებში დაახრჩობს ტანჯვას.
სამყაროს იტევს ეს თავის-ქალა,
მაგრამ ცხოვრება უფრო ავდება,
ვიღაც ღალატით აშენებს ქალაქს,
ვიღაცა წამით კლავს უკვდავებას.
სიტყვა ითქმევა ბედით და ენით,
ერთხელ სიგიჟე იქნება ჩვენსკენ,
მე კი ნერვებით, ნერვების მელნით,
ვწერ ტკივილიდან გადმოსულ ლექსებს.
მე ვარ პოეტი და ვერ მიშველით,
რადგანაც ჩემში ღმერთს აღარ წავშლი,
მე ვცვლი სამყაროს, როგორც ფრინველი,-
როგორც ფრინველი დაფრინავს ცაში.
მე პოეტი ვარ და არც ვმალავდი,
ეს ყველაფერი არის ნაწერი,
და ვცვლი სამყაროს, როგორც ჯალათი
სიკვდილმისჯილის კისერს დასცქერის...
მე მხოლოდ გულის განცდა მებადა,
და გაგიჟება, გულის, მელოდა,
და ვსაუბრობდი უკვდავებასთან,
ვით ჩვილი ბავშვი – ანგელოზებთან.
მე ვწერდი ლექსებს, ბედის წამშლელებს.
სული არასდროს იცვლიდა იერს.
ვიღაც მკლავებით ტაძარს აშენებს,
ვიღაც სიბრმავით აპურებს მშიერს.
და ლურჯი ზეცა – ეს არის ენა,
ვიღაც აჩუმებს სილურჯეს ახლა,
მე კი არაფერს ვაკეთებ ქვეყნად,
მე ვწერ ლექსებს და გულს ცოცხლად ვმარხავ.
და მიწის ყველა ნამცეცს განვიცდი,
მე ვსუნთქავ სევდით, არა ჰაერით,
და მე ვმდუმარებ, რადგან არ ვიცი
ლექსების გარდა სხვა არაფერი!..
ვხედავ ლექსებს და ადამიანებს –
სამყარო არის ომი მათ შორის!!!

გზააბნეული წვიმა

ჩნდებოდა წვიმა სიზმრის ოდენა,
(მე ისევ ლექსის დაწერას ვითმენ)...
და წვიმით სავსე ცა მაგონებდა,
ვარდის ფურცლებზე შენახებ თითებს...
ნელა დავიდა ღრუბელთა ქარვა,
სიო ღელავდა, ღელვა - ულევი,
მერე სურნელი იცვალა ჰავამ,
სუყველგან დადგა ცრემლის სურნელი...
და ლურჯი ფერი უეცრად გალღვა,
თითქოს ლექსები გაჩნდა იმედად
და ფრინველები ფრინავდნენ დაბლა,
პირდაპირ ჩემი გულის კიდესთან...
და ფრენა იყო სუყველგან ქვეყნად,
მე თვითონ ლექსი მეგონა თავი,
და დავაგროვე ხელებში ფრენა,
და როგორც წყალი დავუსხი ყვავილს...
არავინ დარჩა სიჩუმის ირგვლივ,
არც ნივთი და არც დაბადებული,
და სწორედ მაშინ მოვიდა იგი,
წვიმა მარადის გზააბნეული...
წვიმა სევდისებრ მარად უთქმელი,
გზააბნეული: ჟღერდა, სხივობდა,
რადგან წვიმისთვის იყო სულერთი,
მოდიოდა თუ, არ მოდიოდა.
უყვარდა ქროლვაც, უყვარდა მოცდა,
უყვარდა განცდა არარსებობის,
რადგან იცოდა, მაშინაც როცა
ის არ წვეთავდა, მე ვსველდებოდი,
ფეხს არ ვიცვლიდი და ვსველდებოდი,
გზააბნეული წვიმის წვეთებით...



ამირან ამირანაშვილი

სამყაროს შემოქმედს!

უმორჩილესად პატიებას გთხოვ, დიდო მაესტრო,
შენს ნაწარმოებს ვერ ვუწოდებ შემოქმედებას.
უზომოდ მინდა შენს სიმფონიას დიდ ხანს დავესწრო,
„მარადისობას“ უწოდებდი დიად ქმედებას.
ამბიონიდან სადიროჟორო გიდგას კათედრა,
კლავიატურას ანგელოზები გიშლიან ფრთებით.
„მარადიული უკვდავების“ ჟღერს სიმფონია,
მთელი სამყარო ამ მელოდიით ვივსებით ვტკბებით.
უვერტიურა ჰარმონილულად ერწყმის „შესაქმეს“,
შემდეგ გაისმის წყლები როგორ ტოვებენ ხმელეთს.
მაჟორ ტონებში მზე დაადგრა დღის მანათობლად,
მინორ აკორდზე მთვარე კრძალულად ანათებს ბნელეთს.
ტალღის ტყლაშუნში წყალი იკავებს მეშვიდედ ნაწილს,
გამშრალ ნიადაგს მიაკუთვნებენ მხოლოდ მესამედს.
ფლორით, ფაუნით შემოიჭრება ცოცხალი ხმები,
ფორტისიმოთი ელოდებიან მბრძანებელს, მეფეს!
სრული სიჩუმე, მაესტრომ პულტზე გადასდო კვერთხი,
მიწა მოზილა, მეფე უნდა შეგვითხზას ხელით.
ისევ აკორდი და აგუგუნდა მთელი სამყარო,
ყველა არსებამ განიხარა ადამის ცქერით...
დაცხრა ორკესტრი, შემოიპარა წყნარი მინორი.
მუქმა ღრუბლებმა გადუარეს ადამის სხივებს.
მიხვდა მაესტრო და ვიოლინოს აღმოხდა კვნესა,
რომანტიული ფლეიტები სულს მთლად ამძიმებს.
ბულბულთა გუნდი თავს მოეხვია მოწყენილ ადამს,
აქ მელოდია აჭიკჭიკდა, დაისადგურა ორკესტრში სევდამ.
მაესტრო ითხოვს სრულ პიანოს, ოპერაციას.
სევდის მოტივი მიმოფანტა მხიარულ ევამ.
დადგა მუსიკის აპოთეოზი, ზემხიარული.
ექვს-ექვს ფრთიანი ანგელოზები უკრავენ ტაშებს.
ცაში ფრინველთა, მიწაზე კი ცხოველთ ზეიმი,
მხოლოდ ბოროტნი ელოდებოდნენ ცოდვას და ჩამშვებს.
ნება მიეცათ დასარტყმელებს, ტრუბებს ტრამბონებს.
კაკაფონიამ გადაუარა ორკესტრს მთლიანად.
და დაისაჯა სიყვარულისთვის ადამ და ევა.
ჭექა-ქუხილმა ხუთ ფორტეზე დაიგრიალა.
მიწამ მიიღო როგორც მშობელმა ცოდვილი შვილი,
შრომა და ოფლი თანხვედრი გახდა ადამისათვის.
აქ ჰარმონია თანაუგრძნობს მხოლოდ სიყვარულს,
მას შემდეგ ევა მწარედ ტკივილებს ითმენს შვილისთვის.
დაბადების დღეს ჩვენთან – თოფის სროლით ხვდებიან.
ევროპაში კი, ერთხმად მღერიან ტაშით „happy Birthday“-ს.
ჩვენს ქორწილებში ჟღერს მრავალჟამიერ დღისით ღამემდე,
ევროპაში კი მენდელსონის ქორწილის მარში.
მარადისობის სიმფონია გრძელდება მშვიდი,
მაყურებელი იბადება, ნელა იზრდება.
როცა დაკარგავს სმენის უნარს, ტოვებს და მიდის.
დარბაზი ისევ ახალ-ახალი ხალხით ივსება.
ყოფიერების მელოდიაა მთელი სიცოცხლე,
ადამის ძენი ვართ მსმენელი თავისუფალი.
აწ და მარადის იგუგუნებს „სიმფონიები“,
იდირიჟორებს კვერთხით ხელში ღმერთი უფალი!

ჩემი ძმები

მომენატრა ჩემი ძმები, უშანგი და ანზორი.
არარსებობს ხელსაწყო, ჩვენი ძმობის გამზომი.
სირთულეს რა გამოლევს, ბრძოლა გვიწევს მრავალი.
ყველა ბრძოლებს მოვიგებთ, სიმხნევეა მთავარი.
სამი გმირი მოვდივართ, წინ მოგვიძღვის სამება.
ვნანობთ ძმობის ხიდები ადრე უნდა გაგვება.
ძმობის წიგნი დაიდო, მას არა აქვს ბადალი,
გონაშვილმა შეკონა სამი კაცის ნადავლი.
წიგნს საფუძვლად დაედო მეგობრობა ქართული,
დღესაც რომ არ ვისვენებთ, შრომაში ვართ ჩართული.
უშო უვლის ქარხანას, ანზორი ვაზს ახარებს,
ამირანი ლოცვებით საყვარელ ძმებს ახარებს.
რთველის შემდეგ მოგვიწევს წიგნის პრეზენტაცია,
მეგობრები გვეწვევა ქალია, თუ კაცია.
ტაძარი და დარბაზი კასპში გასახსნელია,
უგვირგვინო ცოლ-ქმრობა უშანგისთვის ძნელია.
ჯვარი უნდა დავწეროთ ამაღლების ტაძარში,
ქეიფი არ აგვცდება სიცხეში თუ ავდარში.
ასე უნდა გავწიოთ მეგობრობის ჭაპანი,
რეალობად ვაქციოთ ამ ცხოვრების ზღაპარი.
ძმებო აქაც და იქაც, ერთად შევთხოვოთ უფალს.
ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ჯილაგს, მოგვასწროს თავისუფალს.

ბათუმი 16.08.2019

დროებითი რომანტიკა

ჩემს აივანზე დილის ნიავი მესალმუნება,
მორცხვი ალერსით ცდილობს როგორმე მასიამოვნოს.
ზღვიდან აკრიფა იოდიანი სუფთა ჟანგბადი,
შემომაგრილა და ეს ჰაერი ძალიან მომწონს.
როგორ სიმშვიდის მომგვრელია აქ ყოველივე,
ძალიან მინდა ეს მყუდროება არ დავარღვიო.
ეხლა ჩვენი ზღვა კამკამაა წყნარი და მშვიდი,
ნეტავ ქვეყანაც დავამშვიდოთ, არ ავამღვიროთ.
მაგრამ ვინ გაცდის, დროებითია ეს რომანტიკა.
მალე მეჩეთში აგუგუნდება არაბთა ლოცვა,
„ღამენათევი მასაჟისტები“ გახსნიან ბორდელს.
თურქებს სავაჭრო ცენტრებში ხომ არა აქვთ მოცლა.
დაემსგავსება ჩემი ბათუმი სტამბულის ბაზარს,
პირახვეული არაბები გუნდ-გუნდად დადის.
მკაცრად იცავენ თავიანთ წესებს, თავიანთ ადათს.
ზღვაზე არიან მაგრამ ზღვაში არავინ ჩადის.
ქობულეთი ხომ „მიაგირავეს“ ჩვენ მოძმე სომხებს,
მათი ბიზნესი განთქმულია მთელ მსოფლიოში.
ქობულეთელებმა მიაშურეს მეზობელ სოფლებს,
„ყაიმაღლები“ გადაცვალეს პარკ ლობიოში.
ისევ მიბერავს დამორცხვებული, შერყვნილი სიო,
უკვე თურქული ყავის სურნელით გაჯერებული.
ყველა ფუსფუსებს, ჩვენ კი შევყურებთ ამ ორომტრიალს,
მხოლოდ ქართველი, ქართველები ვართ გაშტერებული.

დილა ზაფხულში

ვარვარა მზე შემოსკუპდა
ნაძვის წვერზე,
ჩარჩოობა გაუწია ფანჯარამ.
საოცრება იყო დილის პეიზაჟი,
სიურპრიზი მომიმზადა აჭარამ.
სიხარულის განცდა მქონდა მცირედი,
შავი ნისლი შემოიჭრა სურათში.
წაიშალა ჩახჩახა მზე ოქროსფერი,
მეც ჩავეშვი წარსულ ფიქრთა ბურანში.
სად ხართ ძმებო, რად დატოვეთ აჭარა,
თქვენ ბათუმი ჩემზე მეტად გიყვარდათ.
მოგვეშველეთ, დაგვიფაროს უფალმა,
მტერი ლამის სახლში შემოგვივარდა.

16.08.2019 წ.

შორენა მამალაშვილი

გედის სიმღერა

როცა ხეები მოისხამენ ოქროსფერ ატლასს,
მე და ცა ცრემლის ნაკადულად ჩამოვიცლებით,
ეს ბოლო წასვლაც არ იქნება უბრალოდ წასვლა,
გედის სიმღერას გიმღერებ და გარდავიცვლები.
როცა სიჩუმე გამეფდება დეკემბრის ღამის
და გაყინულ ტბებს დატოვებენ თეთრი გედები,
მე, როგორც ფრთებზე მეოცნებე მიჯნური მთვარის,
ხელებს გავშლი და გედის ფრთებით დაგედევნები.
გარდავიცვლები, როგორც თოვლში დამზრალი ვარდი,
და ჰა, ფურცლებად მცვივა ლექსის მარგალიტები,
უკანასკნელად მოგიყვები, როგორ მიყვარდი,
უკანასკნელად გიმღერებ და გარდავიცვლები...

გაზაფხული

მზეს ემოსა სადედოფლო კაბა,
ცის მაყრიონს მოუძღოდა მთვარე,
ღრუბლის თეთრად დაქარგული ფატა,
უგზო-უკვლოდ გაეტაცა ქარებს.
გაზაფხულით გათქვირული მიწა,
ითვრებოდა თვალჟუჟუნა წვიმით,
ხის რტოებზე ლურჯი დილა იწვა,
 და ძარღვები ევსებოდა კვირტით.
მარტის ვნება ახელებდა ზეცას,
არისხებდა წვიმასა და ელჭეს,
ქარი ტყემლებს ასწავლიდა ცეკვას,
მოკრძალებით უკოცნიდა ტერფებს.
სიხარულის ცრემლებს ღვრიდა ვაზი,
ლაჟვარდისკენ აეზიდა ბწკალებს,
ქალღმერთივით ამაყი და ნაზი,
ალვებისკენ აპარებდა თვალებს.
ისე მორცხვად აზმორებდა მიწას,
გაეღეღა მკერდი მსხმოიარე,
ღამით საბნად იხურავდა ცის ნამს
და სველ დალალს უვარცხნიდა მთვარე.
უჩვეულო აღტკინებით შემკრთალს,
ყვავილები ეღვრებოდა წვიმად
და თვავადაც ვერ გაეგო ბეჩავს,
როგორ იქცა ორსულ დედამიწად.

მთვარის პილიგრიმები

ცამ შეიბნია ვარსკვლავები, როგორც ღილები,
სრა სასახლეში საარაკო ამბებს ყვებიან...
და ეს ჩიტები, როგორც მთვარის პილიგრიმები,
ცის ბილიკებით ოცნების გზებს მიუყვებიან...
მთვარის კიბეზე ვეზიდები ფიქრის საზიდარს,
ამ ფიქრთა ფიქრში უთვალავი წელი დავხარჯე,
ზოგჯერ მგონია კვლავ ბავშვივით ვეძებ ნატვრისთვალს
და ამ ძებნაში, უკვე ყველა ნატვრა დავკარგე.
შორეულ ცაზე შეფენილი ლურჯი ჩიტები,
სამხრეთის თბილი კალთებისკენ ეშურებიან,
რატომღაც ვფიქრობ, ეს ფრთოსანი პილიგრიმები,
ოდესღაც ჩემგან გაფრენილი ოცნებებია.

ჩემიდან ცამდე, ანუ შენამდე ...

ერთხელ მითხარი შორს არისო,
ცა უსასრულოდ თვალუწვდენელი,
მაგრამ მას შემდეგ,
რაც შენ გახდი ცის ბინადარი,
აღარ გიჯერებ!
ჩემიდან ცამდე, ანუ შენამდე
რჩება ხელი გაუწვდენელი...
და როცა შენს ხელს, ჩემი ხელი ჩაეჭიდება,
ვიცი ერთბაშად ფერს დაკარგავს
ზღაპრის სიჭრელე.

ჩემიდან ცამდე, ანუ შენამდე
არის მხოლოდ ერთი ნაბიჯი,
ერთი ნაბიჯი სიბნელიდან-
ანდა ხიდიდან...
და როცა წამში გაქვავდება ათასი ფიქრი,
ჩუჩულით გეტყვი,
რომ არც ისე შორს ხარ მიწიდან!

***

მითხარი ღმერთო,
ქარვისფერი ქარების ქროლას,
რად ეწირება ჩვენი ქვიშის პირამიდები,
ან რად ელიან უსასრულოდ წვიმების მოსვლას,
მწყურვალ ტალღებით
ალოკილი ზღვის ნაპირები?...

მითხარი ღმერთო,
რა იქნება მოქცევის მერე,
საით წამიღებს ბედისწერის მღვრიე მორევი?
ღამის უკუნეთ სიბნელეში ვაცეცებ ხელებს
და ხსნას უფალო,
ისევ მხოლოდ შენგან მოველი!

***

ხომ დამთავრდება ეს სეზონი დელგმა წვიმების
და ეს ხილვებიც ხომ ოდესმე აგვიხდებიან,
მოგვაკითხავენ იმავე დღეს გარდაცვლილები
და იმქვეყნიურ სასულეთში წაგვიძღვებიან.
რადგან სრულდება ყოველივე დასაწყისშივე,
ანდა იწყება დასასრულის დასაწყისიდან,
წარმავალია ეს წვიმებიც და ეს სიცივეც,
მზე ამოხდება ცის მაგივრად ერთხელ მიწიდან.
ხომ მდიდრედებიან უბედური მებადურები,
როს ბადეები ოქროს თევზით აივსებიან,
მაგრამ იმ დღიდან კიდევ უფრო უბედურები,
გადასარჩენად ისევ ზღვასთან გაიქცევიან.
ეს წვიმიანი ამინდებიც ბოლოს მთავრდება,
ხოდა ილოცე, ოცნებები რომ არ აგვიხდეს,
რადგან ყველაზე გრძელი ღამით მაშინ ღამდება,
როცა სიბნელის მოლოდინში შიში წაგვიღებს...

ედუარდ უგულავა

ზარი

ჩუმად ვუცქერ,
არც კი ვიცი, რა ვთქვა,
როგორ ცდილობს თურმე შვილის შველას,-
სამი დღეა სოფლის ნასაყდრალთან
დედა თოვლში მიდის ფეხშიშველა.
ღმერთო ჩემო, სიგიჟეა სრული...
სახლის კარი დილით მხვდება ღია.
სამი დღეა დედის ნაფეხური
ახალ თოვლში იებივით ყრია.
ის კი ტოტზე დაკიდებულ ზართან
მიდის და სულს იიმედებს ლოცვით.
აბა, დედამ ლოცვის გარდა რა თქვას?!.
ცერზე იწევს და თუჯის ზარს კოცნის.
ცივი ქარი ფიფქს სახეში აყრის
და უქერცლავს გალურჯებულ მერქანს.
ფეთქავს ზარი, როგორც გული საყდრის,
ზარი ბოლო იმედივით ფეთქავს.
და ფიქრითაც შემზარავი არის,
ხომ დაკარგავს ამ ერთადერთ იმედს,
ნასაყდრალთან რომ არ დახვდეს ზარი,
ერთ დღეს ზარი რომ ჩამოხსნას ვინმემ.
ვაკვირდები ალალსა და მართალს,
თურმე როგორ დაიბრიყვეს წლებმა.
სამი დღეა მიდის დედა ზართან,
პირჯვარს იწერს და მუხლებზე დგება.

მზე

მზემ უძილობას მოუსწრო სულზე,
მოუღო ბოლო ბნელით წვალებას;
თითქმის მოხუჭულ თვალებით ვუმზერ,
იმედით სავსე მის ბრწყინვალებას.
სიცოცხლის ნიჭით აავსოს კაცი,
აქვს ამის ძალა შუქის მთოვარეს,
მაგრამ, რატომღაც, როგორც კი მსგავსი
რამე ღვთიური აღმაფრთოვანებს,
წამსვე იღვიძებს ხსოვნაში ჯვარცმა,
ველარ ვიშორებ ცოდვას უშორესს...

რაც უნდა სუფთად იცხოვროს კაცმა,
მზეს თვალებს მაინც ვერ გაუსწორებს!

***

როგორც კი გული სევდით ევსება,
შოთას აფორიზმს ამბობს რიხიანს.
ცდილობს ცხოვრებას ვაჟას წესებით,
როგორ გამოსდის, სხვა საკითხია...
მუდამ მომავლის იმედით სავსე,
სამშობლო ჩვენი – ლექსთა საუფლო,
გინდა ისე თქვი და გინდა ასე,
გალაკტიონის ენით საუბრობს.

ნინო

მზე აღარ დაეძებს სოფლებს და ქალაქებს...
აცივდა. სიცისფრე დასცვივდა ცის ფერს.
წვიმს. ნინო თაროზე ძველ წიგნებს ალაგებს
და ჩემთან ცხოვრების ერთ დღესაც ითმენს.
ის წასვლას ყოველ დღე აპირებს სახლიდან,
თუმცა თმა სავსე აქვს ბაჯაღლო ვერცხლით.
ნინო რომ ცხოვრებას იწყებდეს ახლიდან,
კვლავ ჩემთან იცხოვრებს, არაფერს შეცვლის.

***

სარკმელთან ქარი იცინის ცივად,
მზემ ოთახიდან შუქი გაზიდა.
სულისშემძვრელი სიმშვიდე ცვივა
ხეების დახრილ სილამაზიდან.
შენ ისევ ჩემი მზერისგან შეცბი,
იფარებ ხელებს შიშველ მუხლებზე,
ზიხარ სარკმელთან და თმიდან ვერცხლი
გეყრება მხრების სიმსუბუქეზე.
რა უცნაურმა შეგიპყრო სუსხმა,
ახლა რომ ყინვით გივსებს იარებს...
შენს ფერმკრთალ ყვავილს წყალს არვინ უსხამს
და სულს არავინ არ გინიავებს...
აწვალებ ბეჭედს, გაბზარულთვლიანს
და ელოდები სასჯელს უვადოს...
შენი ნერვების შეუწყვეტ შრიალს,
სხვებმა რად უნდა მიაყურადონ?!.
როგორ დაღლილხარ ტკივილის თმენით,
როგორ გემღვრევა თვალის გუგები...
ჩუმად ხარ, მაგრამ სხეულის ენით
მაინც გულღიად მესაუბრები:
რომ ახლა ბედსაც შესაწირს სწირავ, –
მაგრამ ეს მსხვერპლი არის საჭირო?!.
იქნებ შევძლოთ და სიკვდილის პირას
მყოფი იმედი გადავარჩინოთ...
ღამდება. ქარი ფრთას ახლის მინას...
ისევ ღრმავდება სულში სამსჭვალი
და ბნელში ცრემლის ის წვეთი ბრწყინავს,
რომლის დამალვაც ვერ მოასწარი.
თითქოს ვიღაც დგას მიხურულ კართან
და ეღვენთება ხელში სანთელი...
მე კი მიყვარხარ და ამის გარდა
სხვა არაფერი დამრჩა სათქმელი!..

შენ რომ არა

შენ რომ არა,
ამ ძველ ოდას, ამ მუხლმაგარ ყორეს
ნიაღვარი წაიღებს და ქარი წაიყოლებს.
შენი სათნო არსებობა იმ სიხარულს ბადებს,
ვარდებად და ენძელებად
რომ შობს ეკალ–ბარდებს.
შენ რომ არა,
ვინ გაბედავს მოსვლას ჩემდა შველად,
ვინ შედგება მკაცრ მგზავრობად
გზებზე ფეხშიშველა,
ვინ დაიდენს მერე ღაწვზე
ცრემლს მანამდე უღვრელს,
ვინ დამაფენს მხურვალ შუბლზე
გაავდრებულ ღრუბელს;
მაგრამ ვიდრე მომწყინდება
მზის ამოსვლის ცქერა,
ვიდრე ძარღვში არ შემწყდარა
სისხლის მიმოქცევა,
ვიდრე ბედი წამიკითხავს იმქვეყნიურ იგავს,
ვიდრე ძვლები მოძრაობს და
პირში სული მიდგას
,ვიდრე ისევ ცას ვუცქერ თუ
გზებს მივყვები ქვიანს,
ამ ყველაფერს, უსათუოდ, სიყვარული ჰქვია.

ახლა შინ წადი

სულ მალე მოწვიმს
და იდაყვზე ჩამოვდებ ნიკაპს.
მიყვარს წვიმები,
მიყვარს, რადგან ფიქრები მიყვარს.
თუმცა შენს თვალში
სიყვარულის წყურვილი ნორჩობს
და სასურველი
ათრთოლებით მიწეწავ ქოჩორს.
წვიმს. ლამაზად წვიმს,
მე კი მაინც ვერა ვარ მშვიდად.
ახლა შინ წადი...
ახლა შენზე ვიფიქრო მინდა!

ნათია დაშნიანი

* * *

სხეულში უმიზნოდ ვბორიალობ,
ქარს მოაქვს ქვითინი როიალის,
სიცოცხლეს სჩვევია გაკერპება,
გაცვეთილ ფიქრებთან ლოლიავი.
გარეთ წვიმს, წვიმა კი მშიერ ბავშვებს
ქაღალდის ნავებით ათამაშებს,
ვერ ბედავს მზე მათთან მიტოლებას,
გაწვდილი ხელები იტბორება.
ცოტაც და მისწვდება ცას ღრიალი,
–ფრთები ვერ შეუსხამთ იმათ რაშებს,
მამა ზის სარდაფში ნაღვლიანი,
თავს ეკლის შოლტებით იმათრახებს.

მაგნოლია

ყვავილებით მომეგებე მაგნოლია,
მზესაც ერთად გავუღიმოთ ადრიანად,
სიჩუმეა, სიმარტოვის აგონია,
უშენობამ გული დამიდარდიანა.
დედამიწას ბალახების სუნი ასდის,
სხვა სიმდიდრე არ იყო და არც მქონია,
მზისფერ ყვავილს შევხედე და ღრუბლებს ავცდი,
ამ ყვავილებს რად მიმალავ მაგნოლია?
ან ვინ მოგცა ეს ღვთიური სილამაზე,
იქნებ ქარმა ციდან შენთვის მოიპარა,
აქ, სიკვდილის და სიცოცხლის გასაყარზე
შენს რტოებთან მზემაც მუხლი მოიყარა.
ყვავილები მომაგებე მაგნოლია,
რომ სიცოცხლე შევისუნთქო ადრიანად.
სხვაგან წასულს ფრთები აღარ გამყოლია,
უშენობამ გული დამიდარდიანა.

წერილი ძმას

არ გენატრება ჩვენი სახლი თოვლში ჩაფლული?-
ულამაზესი ხეივნებით , თეთრი ბაღებით...
ან ის ვაზები, შომოდგომის მტევნებასხმული,
კანშემომსკდარი ბროწეულის მწვანე თაღები?....
კაკლის ხის ძირას ვთამაშობდით ცელქი ბავშვები,
ჩვენ ქვაც გვიყვარდა იქაური, ხავსიც, ეკალიც...
უკვე დიდები, მოგონებებს ვეთამაშებით,
აწმყო გვაშინებს გაზრდილ ბავშვებს ავად მყეფარი.
სახლი და თოვლი... ცარიელი სახლი და თოვა...
ეს მერამდენედ ამომხადეს სული ფიქრებმა-
ჩვენ იმ მიწაზე ველარ შევძლებთ საფლავთა მოვლას
და ცოტა ხანში არაფერი აღარ იქნება.
დაფარავს წყალი ყოველივეს, ძველსა თუ ახალს,
ო, რა ძნელია ამ ტკივილზე ფიქრის აგება,
სახლი კი არა, წინაპართა ძვირფასი ძვლები
და მათთან ერთად თვით ბავშვობაც დაგვეკარგება!

ცას ვგავართ

ზამთრის ცას ვგავართ ახლა მე და შენ,
სახეს ვიფარავთ ღრუბლის ფთილებით,
დროგამოშვებით წვიმით ვსაუბრობთ,
უხმო სიჩუმით გადაღლილები.
ქარიშხლიანი დღეები ვიცით,
უცხო თვალისთვის მზის მორიდება...
წუხელ დათოვლილ იმედის მავთულს
ზურგი აქციეს სველმა ჩიტებმა.
ზამთრის ცას ვგავართ ახლა მე და შენ....

***

სიცილის სიღმეში
  დამალულ ცრემლებით
ჩემს ჯვარზე ღმერთივით
ათასჯერ ვევნები.
ფერდს ლახვარნაკრავი
-საწუთროს საკლავი,
მთებიდან ჩამავალ
მზეს დავედევნები
მაგრამ ჯერ სუნთქვაა,
ფეთქვაა გულის და
ძილშიაც ჩამესმის
ხარხარი სატანის,
არ ვტირი, ზეცა რომ
არ გამიგულისდეს -
ადამის მოდგმის ვარ,
სიკვდილის ამტანი!

***

ბუნება არ იცვლის დადგენილ კანონებს,
მოკვდავნი ყოველთვის რაღაცას ნანობენ,
როდესაც ნაკლიც და ღირსებაც გროვდება,
საცნობად დადებულ სამარის ლოდებთან.
მტკივა და რატომღაც უცხოა სრულიად
სიცოცხლე, რომელსაც სიკვდილის სუნი აქვს.

***

გარდაიცვლება შემოდგომა ნოემბრის ბოლოს
და ფოთლებივით გაცრეცილი დარდიც ჩაივლის...
შემოიხევენ თანდაყოლილ ძაძებს ყვავები,
მოედებიან გაშიშვლებულ კლდეებს ჩხავილით.
გაფრინდნენ წლები, აღარ რჩება დრო დაფიქრების,
მშიერი მიწა ძვლებით მუცელს ამოიყორავს,
ამოვარდება ქარიშხალი თეთრი ფიფქების,
ამოვარდება, ბოლო სუნთქვას ამოიყოლებს.

***

ვხარობ ატმების აელვარებით,
სივრცეს ნისლების სევდა ამშვენებს.
დღეს შენზე ფიქრებს არ ვემალები,
მოდი, იმედი შემომაშველე.
კვირტი გაშალეს ბაღში ვაშლებმა,
შენ სანუკვარი გრძნობა გამანდე,
ამ გაზაფხულის პეიზაჟებმა,
რომ მიგვაცილონ ტაძრის კარამდე.
ანგელოზები ფრთების შრიალით,
ეჭვის შხამიან ეკლებს მაცლიან...
მივდევ ბილიკებს მზის თავშლიანი
და მარტისფერი კაბა მაცვია.

***

კოწახურებს შესევიან ჩიტები,
დეკემბერსაც გაუვიდა ვადა.
სევდამ გულზე დამაცალა მჭიდები
და ვნატრობდი მაგ ტუჩების ბადაგს.
ცივ სივრცეში ფარაფტებენ ფიფქები,
(მაღალ ნაძვებს ცა შობისთვის
რთავდა).
რიგრიგობით მიმოდიან ფიქრები,
უძილობით დამძიმებულ თავთან...
კოწახურებს შესევიან ჩიტები.

თეა კანდელაკი

ქუჩა-ქუჩა, ტაძარ-ტაძარ

ქუჩა-ქუჩაქუჩა-ქუჩა, ტაძარ-ტაძარ, დაგეძებდი უფალო
შენ კი ალბათ ჩემი ცქერით, როგორც უწინ მწუხარობ,
რა ვიცოდი, რომ, ჩემს გულში დიდი ბინა გეკავა
სხვაგან ძებნით გადაქანცულს, გული ხელით მეკავა
სად არს თავი მოიდრიკო, ბოროტს რომ განმარიდო,
შენგან ქმნილი ეკალ-ბარდს და უფსკრულს, რომ ამარიდო
რა ვიცოდი, შენს სიყვარულს ზღვარი რომ არ ჰქონია,
ხელთ აყვანილს მატარებდი- ეს კი გამიგონია
ბევრი შემხვდა ქვა და ღორღი, ბევრმაც ვარდი მიფინა,
ბევრჯერ მტკვარი მოდუდუნე შემაგება თბილისმა,
შენს კალთებზე მიმობნეულ ტაძარ-ტაძარ უფალო,
დაგეძებ და ჩემებურად შენს სიწმინდეს ვუგალობ.
ხან, დუდუკი ავაკვნესე, ხან ზურნა, ხან დაირა,
ხან, მეწყერად დავიშალე, წვეთ-წვეთ მთათა ზვავიდან,
გადავევლე ვით ნიავი მინდვრებს, შენით მოქარგულს
დაგეძებდი ისევ სხვაგან, ვგავდი სიზმრად მოარულს...
ახლა მივხვდი ყოვლის მპყრობელს ჩემში რა გზით გიტევდი
ფუნჯით ქმნიდი შენს ხატებას, ხან კი სტრიქონს მიწერდი,
შენი ნებით მატარებდი ნათელ სხივთა მფენია,
სინდისის ხმა, რითიც მწვრთნიდი- თურმე, ჩემი ღმერთია!.

1/10/2017, აშშ, ნიუ-იორკი, ბრუკლინი

ანანკე ΑΝΑΓΚΗ
(ბედისწერა)

სადღაც ბნელ კუთხეში – კოშკის ქონგურიდან თვალს მიკრავს – „ანანკე“!
ცეცხლმა გაახვია დედა ღვთისმშობელი... მანდილიც აფაკლეს...
თაღებთან შავ ჩრდილებს აქა-იქ აელვებს ტკარცალა კოცონი,
ცხრაას წლის მინავლულს, ნოტრ-დამთან დემონი საზარლად ხარხარებს...
სამსჭვალიც აქვეა...
– ის ეკლის გვირგვინიც – თავზე რომ დაადგეს ...
ახლა, ამ საწუთროს უფალი კი არა – ეშმაკი განაგებს...
ტაძრის სამრეკლოდან გუგუნებს ჟამთასვლა!.. ზარს რეკავს საწადელს!..
და სადღაც მაცხოვარს გოლგოთის გარეშე მეორედ აწამებს ...
მაგონებს საწუთრო – შეუვსებ ბარძიმთა პირსავსე საწნახელს
და ცრემლის მაგივრად სისხლი ეკიდება დახუჭულ წამწამებს...
„სახეს ნუ უყურებო ლამაზო ქალო, გულში ჩაიხედე,
გული ლამაზი ჟაბუკისა ხშირად გონჯია“...
... და ეს საწუთროც, ამ ლამაზი ნიღბის გარეშე
ვფიქრობ ჯოჯოხეთს სულ არაფრით არა სჯობია...
...მე კი კვლავ წყვდიადში დავეძებ იმ ვარსკვლავს ცისკარს რომ ანათებს
სადღაც ბნელ კუთხეში კოშკის ქონგურიდან თვალს მიკრავს – „ანანკე“!..

05/16/2019, აშშ, ნიუ-იორკი

ზოგჯერ, ყველაფერი გაქვს

ზოგჯერ, ყველაფერი გაქვს
ამ ქვეყნიურ ბოგემად,
სილამაზე სხეულის,
თუ, სულის საცხონებლად...
გინდა შარას გაყვები
მოფარფატე პეპელად
გინდ, შველივით დამფრთხალი
იკეკლუცებ ზედმეტად,
თუ გინდ მწვერვალს დაიპყრობ
ემსგავსები იალბუზს,
ჩანჩქერად დაეშვები
მიწამ რომ არ იავდროს...
გინდ ქარიშხალს გაჰყვები
ვნება დაუოკავი,
თუგინდ სიოს სალბუნით
გაახელე მოკვდავი
კაცი...
თუ გინდ მზე იყავ,
თესლის გასაღვივები,
რომ ამ ქვეყნად არ გაწყდეს
ვაზი დასაღვინები
გინდა წყარო იყავი
გრილი, წმინდა, რაკრაკა,
მწყურვალს რომ დაუამო
პეშვით, თქმულო არაკად
გინდ არწივი იყავი
და სისავსის მეუფე
გინდ ვით თევზმა შესცურე
ზღვის სამეფოს ეუფლე
აიშალე იალქნად
ტალღა შორს რომ გააპო
არ ემონო არსად რას
სიმდიდრეც რომ განახონ
ზოგჯერ, ყველაფერი გაქვს
ამ ქვეყნიურ ბოგემად,
სილამაზე სხეულის,
თუ, სულის საცხონებლად...
სიცოცხლის მოტრფიალეც
უცილობლად მოკვდება
მისი სუნთქვის ამყოლი
გვერდს თუ არ ეყოლება
ღმერთო ყველას მიეცი
თავის სულის შემფერი
სილამაზე რომ დაჰყვეს ყვავილს
მინდვრად შეფენილს
02/03/2017, აშშ

გალაკტიონის გარდაცვალება

საუკუნის მინავლულს დღესაც ისე გაწვიმდა,
როგორც უხმოდ გაფრინდი პოეზიის ტაძრიდან...
ისე მიუსაფარი, შემოგრაგნილ სახვევთა,
გაცრეცილი პერანგი ახლაც მოსჩანს საკნიდან…
თალხი, მიუსაფარი, მარტოსულის ვედრება,
ღმერთო! ვის რა უნდოდა?! ღმერთო! ვინ ვის ედრება?!
თითქოს არ სცნობს საწუთროს თავმომწენე მწერლობა
ზურგშექცეულს მოუხმობს ცათა ტალავერები…
შენგან, ისე შორია, გზა – ყველგან და არსაით,
მხოლოდ დედის ცრემლი ჩანს შენს თავს დანაღვენთები.
ჩამქრალ შუქთა ლამპიონს მსუბუქ ლანდად დაუყვა
თბილისიდან-სურამის თეთრი ბაირაღები...
ეშაფოტზე აყვანილს მელნის ნაკვალევიდან
ჩემს სულს ფრთხილად ეხება შენი ნაიარევი...
ახლაც ისე გაწვიმდა საუკუნის მინავლულს
როცა მაშინ, ტაძართან... მაგრამ, იქნებ იავდროს?!
პოეზიის ლაბირინთს უცხო ფრთებით მიჰყავხარ
მეფის მძიმე გვირგვინით ახლა ზეცა კიაფობს
საუკუნეს გაჰყვება რითმა, რომ არ იავდროს,
ისევ გაზაფხულდება მოვა მშვიდი საღამოც...
მიწას – უხმოდ მიაყრის მესაფლავეც სამარეს
შენ, კი, ალბათ, ჩვენგან შორს, ღმერთი სხვა გზით გატარებს...
მერიც კვლავ ჯვარს დაიწერს, სადმე, უცხო ტაძართან,
მოგონებად გაგყვება იისფერი ფანტელიც...
შენი კითხვა – საათზე, ისევ იმ დროს ინახავს
ასე მარტოდ შთენილი – მეფე...არსად მინახავს...

დეკემბრის 2018, აშშ ნიუ-იორკი

ლალი ასაბაშვილი

ბედის ირონია

მუდამ ვემდუროდი, მუდამ ვუჩიოდი ბედს..
ჩემს თავს ვადარებდი, ტბაში მოფარფატე გედს..
ბევრჯერ გავექეცი, ბევრჯერ დავემალე ხვედრს..
ამ ცხოვრებისაგან, არასდროს ვითხოვდი ბევრს..
ბევრჯერ მიღალატეს... ბევრჯერ გულს ლახვარი მცეს..
ჯერაც ფეხზე ვდგავარ, გული სიყვარულით ძგერს..
ყველამ მიმატოვა...მარტოდ მივუყვები გზებს..
ბედის ირონია, კვლავაც ფეხდაფეხა მსდევს..

შემოდგომა

ოქტომბერი დანარნარებს ჭრელი კაბით,
ცას შევხედე იყო ლურჯი, როგორც ლილა..
ღვინობისთვე ამაყად დგას სავსე თასით,
დაგვლოცავს და გაგვითენებს ლამაზ დილას..

ოქტომბერი, ისე დადის მშვენიერი,
კეკლუცობს და ველარ მალავს იარებს..
იცის, ქარი მოვარდება წამიერი,
ყვითელ ფოთლებს, ცაში ააფრიალებს..

ოქტომბერი დინჯია და დაღვინებულს,
მზის ჩასვლისას, ვადარებდი დამა ქალს..
ჭადრის ხესთან, ძველებურად ამღერებულს,
ფოთოლცვენას უდარაჯებს ამაგდარს..

სხვანაირად ლამაზია ოქტომბერი,
ბედს დავნებდი აღარ ვითვლი ჭაღარებს..
კვლავ დადგება გზაფხული –იყვავილებს,
სიყმაწვილეს, ფოთოლცვენას ვაბარებ..

დედას...

შენს გარეშე ოქტომბერმაც მოიწყინა,
შემოაცვდათ ხის ტოტებსაც სამოსელი..
გინატრე და ძარღვში სისხლი გამეყინა,
შენთან გზებიც ჩაკეტილა მოსასვლელი..

იცი დედი? – მონატრებამ ამატირა,
მარტოობით, ველარ ვუძლებ ტკივილებს...
ბაღში სკამზე ჩამოვჯექი განაპირას,
გულში ვმარხავ, შენზე ყველა ჩივილებს..

ჩვენი სახლი, გავსებულა აბლაბუდით,
გარედანაც აღარა ჰგავს სამოსახლოს..
ეზო-ყურეც დაფარულა ბალახებით,
და არავინ, სულიერი იქ არ სახლობს..

თვალწინ მიდგას, ნაჯაფარი შენი სახე,
ჩვენს თონეში დაბრაწული შოთები..
შენი სითბო დამეკარგა, ვერსად ვნახე,
ღვინოც დაშრა, ქვევრშიცა და ბოცებში..

იცი დედი?– მონატრება როგორ მტკივა,
შემოდგომის ქარი ჰქრის და მაციებს..
ისევ ისე, განაპირა სკამზე ვზივარ,
თითქოს ბაღში, ყველა გამვლელს ვაცილებ..

ქრიზანთემებს..

ქრიზანთემებს შევუარე ბაღში,
დილა იყო ცას ღრუბელი ეკრა..
ვკრეფდი ჩუმად ნაირ-ნაირ ფერებს,
გიგზავნიდი თაიგულებს.. შეკვრას..
ცას ჯერ კიდევ, ღრუბლის კვალი აჩნდა,
ქრიზანთემებს ვიხუტებდი გულში..
წლებმაც როგორ უცაბედათ განვლეს,
ყვავილებს რომ მიხატავდი გუშინ..
ციდან წვიმა მოდიოდა უხმოდ,
ქრიზანთემებს დაეფინა ნამად..
შემოდგომის ერთ ნისლიან დილას,
მთელ ცხოვრებამ გაირბინა წამად..

შემოდგომის ბაღში..

შემოდგომას შევუარე ბაღში,
იქ ბალახსაც გაუბრწყინდა სახე..,
ვერ აღგიწერთ საოცრება იყო:
შემოდგომის ბაღში, რაც კი ვნახე..
ნაირფერა ქრიზანთემებს ციდან,
მზის სხივები უკოცნიდა თვალებს..
ხანაც წვიმა საცერივით სცრიდა,
აპკურებდა ხის ფოთლებზე ნამებს..
ვსაუბრობდით მე და შემოდგომა,
მარტოსულმა ტკივილებიც ვანდე..
მანაც, ბევრი დარდი გამიმხილა,
სულ არ უნდა, სევდიანი ჩანდეს..
სილამაზეს არ სჭირდება ძებნა,
ფიქრებშიც კი ყველაფერში ვძერწავ.
წყაროს პირას შევეფეთე ძეწნას,
ბაღში რამდენ სასწაულებს ვხედავ..
არ მინდოდა, დაბრუნება სახლში,
მოვისმინე იქ შოპენის ვალსიც..
გავეხვიე სურნელების ალში,
შემოდგომაც არ დავტოვე ვალში..

შორეული მოგონება..

იმ შორეულ მოგონებებს ვეფერები,
ბაღში ვზივარ, საქანელა ქანაობს..
ფეხშიშველი ხევის დაღმართს მივუყვები,
ჩემს ტოლებთან მდინარეში ვბანაობ..
იმ შორეულ მოგონებებს დავტრიალებ,
თუთის ხეზე ჭიკჭიკებდნენ ჩიტები..
ის ფრიალა ჭრელი კაბა მენატრება
მამიდა რომ მიკერავდა ჩითებით..
იმ შორეულ მოგონებებს ვერ ველევი,
ატმის ხეებს ასკდებოდათ ტოტები..
ნაწვიმარი ალუბლები მენატრება,
და წვიმაში ტყაპატყუპი ბოტებით..
შორეული მოგონებაც, არა მტოვებს,
ჩვენ ერთი გვაქვს, ის ბილიკი, ის წყარო..
სად არ ვიყავ, რა არ ვნახე, მაგრამ მაინც,
ცარიელი მეჩვენება სამყარო..

გაზაფხულით ანცობა...

გაზაფხულის ბილიკებს,
ყვავილები ათოვდა,
მზე კი– მდელოს ველ-მინდვრებს,
თანასწორად ათბობდა..
აპრილობდა აპრილი,
სევდის ბაღებს არ სცნობდა..
ჩემი გული დაღლილი,
გაზაფხულით ანცობდა..
უხაროდა ბუნებას,
ხის ფოთოლთა შრიალი,
და მერცხლების ჭიკჭიკი,
ცაში ორომტრიალი..
გაიღვიძა ყაყაჩომ,
მინდორ-ველებს ამკობენ..
ჩიტუნები ჭიკ-ჭიკით,
ათას რამეს ამბობენ..
ბაღში იასამნები
დაკინძულან კვირტებად..
ყვავილების ქორწილი
ნურვის გაგიკვირდებათ..

დავით გარეჯი საქართველოა

დ-ავით გარეჯი მესიზმრა წუხელ,
ა-მაყად მდგარი.. შვენოდა ჯვარი..
ვ-ელზე ჰყვაოდნენ ყაყაჩოები,
ი-მედის სხივებს სჭარბობდა ჯავრი..
თ-ავს იწონებდა უდაბნო მშვიდი,
გ-ული მღეროდა სევდიან ჰანგებს..
ა-რ მშორდებოდა სამშობლოს დარდი,
რ-ომელსაც ჩემი სული განაგებს ..
ე-რი და ბერი უხმობდა ყველას,
ჯ-ამს ივსებოდა ქვევრიდან ღვინო..
ი-ესოს ერთხმად შევთხოვდით შველას,
ს-ანთლებს ვუნთებდით ხატებთან ნინოს..
ა-მქვეყნიური რეკდნენ ზარები,
ქ-არტეხილები იფსკვნიდნენ ღილებს..
ა-მ წუთისოფლის ეკალ-ბარდებით,
რ-ატომ და რისთვის გვისერავთ გულებს..
თ-ვალს ვერ ვაცლიდი, ამ სილამაზეს,
ვ-ნატრობდი გულში ბევრჯერ ვიხილო..
ე-რთხელაც მოვალ აღდგომის ტაძარს,
ლ-ავრის კარებთან ვნახავ ღიღილოს..
ო-ღონდ სამშობლოს ჰქონდეს მშვიდობა,
ა-მას გავედრებ ჩემო უფალო ..

სალაღობო..

ყელ-მოღერებულ ყაყაჩოს,
უცებ შამოვხვდი გზადაო..
ისე ამაყად მიცქერდა,
ჩემი მოხიბვლა სცადაო..
ყელს უმშვენებდა ხალები,
თვალებს ნაბავდა ნელაო..
მის სილამაზემ დამდაგა,
გულს დარდი შამეყარაო..
ვერ შავძელ ხელის კარებაც,
ღმერთმაც არ მამცა ძალაო..
თავს უძლურება შამეტყო
და თვალთაც დამიბნელაო..
იქნებ არ ჯობდა მეხილა,
იქნებ მეპოვნა ძალაო ..
მისი სიტურფის ხილება,
ასე რად მამეძალაო..
ხვალაც – იმ გზაზე ჩავივლი,
თვალს გავუსწორებ თანაცო..
ეს ჩემი სულის კივილი,
იქნებ გაიგოს მანაცო..

ემიგრანტის ფიქრები...

სამშობლოზე მონატრებულს, შორს მიხდება ყოფნა,
ყველამ ვიცით, რა ძნელია, ემიგრანტის ყოფა.
მენატრება კახეთი და დალოცვილი გრემი,
ღმერთო! – მუდამ დაიფარე, დაუმარცხე მტერი.
ძალზე ხშირად მესიზმრება, გერგეთი და ზარზმა,
მოზღვავებულ სურვილებსაც, ვერ ვშველივარ, რა ვქნა..
მიყვარს მცხეთა, მიყვარს ჯვარი, ამღვრეული მტკვარი,
უთბილისოდ გული დამაქვს, უცხო ქვეყნად მკვდარი..
ვფიქრობ – ახლა მოვივლიდი, დმანისსა და სიონს,
როგორ შვენის, თეთრი წვერი, ბებერ კავკასიონს.
ჩემს სამშობლოს, ძირძველ მიწას უფლის კვართი ფარავს,
საქართელოს, ემიგრანტებს, ყველას დაგვიფარავს.
ქართვლის დედა ფხიზლადაა უდარაჯებს თბილისს,
ღმერთო! – გული ვეღარ უძლებს, უსამშობლოდ ტკივილს.
ჩემი ლოცვა, ჩემი ფიქრი, მიიწევდა ცამდე,
ემიგრანტად არ დავრჩები, მინდა ყველას გწამდეთ..

ჭრელი პეპელა..

და როგორც ჭრელი პეპელა ,
მეც გამაბრუა იამა..
ყაყაჩოს თრთოლვით შევეხე,
სურნელმა გადამიარა..
პეპელას ფრთებით დავფრინავ,
მინდორში დავთვლი გვირილებს..
ეს, ჩვენი წუთისოფელი,
რამდენ სატანჯველს გვირიგებს..
მზის სხივებს გულში ვინახავ,
ათინათებით ვხალისობ..
მინდვრად ღიმილებს დავთესავ,
ყოველ გაზაფხულს ვმაისობ..

ეს გული, არა ბერდება,
დავალ ბაღებს და ლიანებს,
ვიცი ცხოვრება, დღეს თუ ხვალ,
უთუოდ გამატიალებს..
გუშინ პეპელას მინდორში,
ბავშვივით გამოვეკიდე..
უფალო!.. კარგს თუ ვერ მომცემ,
ავსს მაინც, ნუ გადამკიდებ..
რა ვქნა, კვლავ ვქარგავ იმედებს,
ნაკადულებით ვივსები..
და როგორც ჭრელი პეპელა,
მეც სურნელებით ვითვრები..

ყველგან გეძებდი..

ბევრ ქარტეხილებს, თუ გაუძლო სნეულმა გულმა,
თუ ჩემი რკინის ქალამნებით ცხრამთას მოვედე..
თუ ვუყურებდი მზის ამოსვლას.. –ნისლებს სევდიანს,
მაინც, ამ ტიალ წუთისოფელს, ვერსად მოვერგე..
ყველგან გეძებდი, მზეში, ქარში და ცივ ზამთარში,
ხან ყვავილებში დაგეძებდი.. ცვრიან ბალახზე..
ყველა ტკივილი ერთად ვკემსე, გულის სიღრმეში,
ამაო იყო, ფუჭად გძებნე მთელ ქვეყანაზე..
უცხო ქვეყნადაც დაგეძებდი, შეშლილი ფიქრით,
ბევრჯერ დაცემულს, ზედ გრიგალმაც გადამიარა..
რა დამავიწყებს, ცის ტატნობზე, ლურჯი ხომალდით,
შენმა აჩრდილმა, თეთრი აფრით რომ გადიარა..

სახალისო

გულს უხდება, სხვანაირი წინათგრძნობის იჭვი..
გმადლობთ ღმერთო, რომ მიბოძე სიყვარულის ნიჭი..
გავაცილე ეს ზაფხული, იმედებით სავსე..
ყოველ დილა კაბის კალთა, მზის სხივებით ვავსე..
გვირილებით გვირგვინს ვწნავდი, ზოგს ვიბნევდი თმებში..
ზოგჯერ ზღვაზე დამაღამდა, ზოგჯერ კიდევ მთებში..
ამ ზაფხულმა გაიყოლა, შენზე ფიქრის გროვა..
სიყვარული ცხოვრებაში, მწამს, ვიცი რომ მოვა..
შემოდგომა – ეჰ, რამდენჯერ დაიბერტყავს კალთას..
სიყვარულით გადავლახავ, ცხრა ზღვასა და ცხრა მთას..
დაზამთრდება თოვლის ფიფქი შემიკერავს საბანს..
გული თვითონ გამონახავს სიყვარულის საბაბს..

ხათუნა ჩიტაძე

სიზმარი

ტყის ვარდებზე ვანანავე დართან,
ვეჩურჩულე პეპელას და დათვრა!
გამიღიმა, გაფრინდა და გათბა,
როგორც იქნა, როგორც იქნა დათბა!
მე კი ველი,
როდის მოვა ფრთაჭრელი,
მოციმციმე-მოელვარე ბანზე,
საიდუმლოს ფრთა-ხალებით დამჭერი,
ლექსს მოიტანს სიზმარეულ ქალზე...

2010წ.

მზიანი წვიმა
მზის ქუდი

ახლა აქ, უცხო ქვეყნის შუაგულს,
ვერ ეგუება ჩემი მზის ქუდი!,
აეტმასნება მდუღარე ქარი,
სხვისი მიწისა და მზერის ქურდი.
განა ალათა არტყია მზის ქუდს?
ჩვენ ვარონინებთ ხალასს, ხასიათს,
აქ, საქართველოს სიმღერა მოჰქუხს
და უხარია ჩემს ქუდს, ბაბთიანს!
სიშორე სევდად მეხვევა წელზე,
თუმცა ვიცი, რომ ეს დრო მცირეა...
აქედან ყველას გიხუტებთ ყელზე, –
უცხო ქვეყნის ცა ისე ცივია.....
მამულო ჩემო!
მალე, სულ მალე,
შენს ნიავს აფრად გავუფენ მზის ქუდს!
ამ მონატრებულ, ცრემლიან თვალებს,
შემოაგებებ ნეტავი ვის გულს?
...დღეს კი ამ უცხო ქვეყნის შუაგულს,
ვერ ეგუება ჩემი მზის ქუდი...

2010წ

წინასწარმეტყველება

ვიღაცასთან ფოთოლცვენა მეფობს,
სულშიც, ალბათ, მზემ აუგო ბინა,
ვიცი, ვიცი, ჩემო სულის მეო,
ეგ სათქმელი და თვალების მინა!
ცა შავ პერანგს ცისარტყელას უხსნის,
ეს მირაჟი არ დამტოვებს, ვიცი,
განა ყველაფერი სათქმელს უღირს?
არ მჭირდება მატყუარას ფიცი!
მედარდება, რომ ერთ დღესაც, ავბედითს,
ჩემს ბილიკებს ვერ მოხატავს ფოთოლი,
მერე როგორ დავიჯერო ბედის?
-ხომ ვიქნები ობოლი!
არც რა გესმით?
ზენა ქარი სხვაა...
დროში სადღაც გადამიცვდა კენჭები,
განდეგილი წლების მთელი ზღვაა,
-ვგრნობ, თუ როგორ ვკენტდები!
ვიღაცასთან ქარი ჩუმად ღრეობს,
სულშიც, ალბათ, სხვამ მოუთბო ბინა,
არ მოტყუვდე, ჩემო გულის მეო,
არ შეუშვა ეგ ქარბუქი შინა!

2010წ.

ყაყაჩო

ვიცი, ვიცი მე ყაყაჩოს
ხვედრი, დარდი, ნაფიქრი,
კი, სიყვარულს დაარქმევენ,
მერე?
-მერე დაფიქრდით.
ისე უცბად მოცელავენ,
ღიმილს არც კი აცლიან,
უსათუთეს, წმინდა გრძნობას,
ერთ წამში გააცლიან!
პურის ყანას ეწირება,
სისხლისფერი სინაზე,
დიდი დრო არ უწერია,
როგორც წყლის წვეთს მინაზე.
ეს იყო და არა იყო ,
სიმღერაა, არია,
სულ მგონია, რომ ყაყაჩო
მარტოსული ქალია!

2010წ.

იარებს

მზის სურნელია, ჰაერს რომ ერწყმის,
ისე უბიწოდ ზეცა კრიალებს,
გაზაფხულივით მიღიმის ლექსი
და ვერ დამატყობს კვალს, ნაიარევს!
ვერ დავახატე ჩემი სინათლე,
გრძნეულ ჯადოქარს, უცხოს და უბირს!
შემოვიფარე ლბილი სინაზე,
დავტოვებ მარტო ულირსთან ულირსს!
გაზაფხულია ახლა ჩემი დღე,
(მე დავიღალე, სხვაც დაიღალოს!)
მარტო დარჩენილს უცხო ბუნაგში
ტყვია-ტყეული გულს დაიხალოს!
ხო! ახლა მარტი მეფოფინება,
აპრილი დგას და ამაყად იცდის!
სხვას თავის სევდა ემყოფინება,
ჩემი გული კი ტკივილებს იცლის...
გაუფერულდა რადგან სიმღერა,
ვერ შევასწავლე ანი და ბანი,
როგორ მეგონა, რომ დაიმღერა,
ბედნიერებამ პატარა ქნარით!
წაბილწეს ყველა თეთრი ოცნება,
უფრთო ფიქრი და კეთილი სენი!
ვერსად ვიხილე მე გამოწვდილი,
მართალი კაცის, ძლიერი ხელი!
აი, ესაა ჩვენი ცხოვრება,
გამოცანა და მხოლოდ ტყეული...
მიტომ არ მოდის უფლის ცხონება, –
რჩება ტკივილი და მგლის ყმუილი!
...მაგრამ, ახლა რა მოსატანია,
ამ გაზაფხულზე ტვირთი და ვიში!
მზის სხივი ჩემთვის ხომ საფარია,
ნავსაყუდელი კი კიდევ ვისში!...
მზის სურნელია ჰაერს რომ ერწყმის,
ისე უბიწოდ ზეცა კრიალებს...
მე დავიკარგე ისევ ჩემს ლექსში...
მე დავუბრუნდი ისევ იარებს!.....

2011წ.

არჩევანი

ისევ სიშორე, –
ჩემს სარკმელთან გადარჩეული,
ისევ სიზმარი, –
ამრეცილი და დარბეული,
ისევ სიმძიმე, –
ჩავლილ ღიმილს გამოქცეული,
ისევ იმედი, –
უიმედო და დარბეული!
ისევ ჩერო და,
მზე მწველი და
მოუჩრდილავი...
ვინ ვარ?
ეს მე ვარ,
და აქამდე არც კი ვიყავი!
ისევ კალამი,
უტყვი სულის გამოძახილი!
ამოძახილი!
ჩემი ფიქრის ამოძახილი!
მთვარეს შესეულ ვარსკვლავების
ციალ-ციალი...
ყოველ გაზაფხულს ამძიმილებს
ქარი! ტიალი!
ისევ იმედი,
რჩეულ გრძნობით გადარჩეული,
ფიქრი – ჭიანი!
ფიქრი – საღი
და არჩეული....
ისევ სიმძიმე,
ჩავლილ ღიმილს გამოქცეული,
არის მირაჟი,
მიქცეული,
არ მოქცეული!

2011წ

მასწავლებელი

მამულს გვირგვინად აჩნდება
მასწავლებლისა ტვირთი;
რამდენი შვილიც გაჩნდება,
ნათელ ღიმილით ითვლის.
თეთრად დაფენილ ფიქრებში,
იმედის სხივი მღერის!
მასწავლებელო! უთვლელი
სამადლობელი გელის!

2011წ



ტიტე მოსია
პროფესორი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი

ბეჟან ხარაიშვილის ხატება

ჭალვანიდან მოვარდნილო ქარო,
ხვანის მთაზე დაფენილო ნისლო,
ძირულას პირს მოპრიალე დარო,
პოეზიის გულ-ღვიძლო და სისხლო.

ხვანის მთიდან გადმოსული მთვარე
სიმინდებში ჩანამგლულა ხვნეშით.
შენი ლექსის ყვავილები რთავენ
ჩვენი სულის კარ-მიდამოს ეშხით.

წყობილსიტყვის რა მოსავალს ვიმკით,
მის ღირსებას რა თაყვანი ვეცით.
შეუჩერე მაჯისცემა სიკვდილს
სიტყვის ძალით, – ბინადარო ზეცის.

საწუთრომან ურო გირტყა, გჟეჟა,
გიღერებდა ცხვირწინ დანას ლესილს.
საიქიოს კი არ დარჩი, ბეჟან!
დაგვიბრუნდი სახელით და ლექსით.

ახლა ხშირად ენატრები თბილისს,
ხევსურეთსა, ფშავეთსა და თუშეთს.
მზე აცხუნებს შენი მუზის ივლისს,
სხივებს გვაფენს გაუხუნარს, უშრეტს.

ხდის ხეობამ გაგატანა ჩანთით
უკაცრიელ ადგილების სევდა.
სვანეთში კი რა ამაყი ჩანდი
ჩვენს ერეკლე საღლიანთან ერთად.

ესიზმრები კვლავ ბეწინას წისქვილს,
კოდის წყალთან ხურჯინს ლექსით ავსებ.
სამშობლოა მწვანე ხეთა იქით...
პოეზია იწყებოდა ასე.

ვაჟას მთაში გინატრია მარხვა.
განედლება ხმელი წიფლის ფესვის.
ხვანის მთიდან ციურ გზებით დახვალ,
სამარესაც ამზიანებ ლექსით.

ძირულაში ჩაძირულა მთვარე,
აგორავებს, აბურთავებს ტალღა.
შაირსიტვის გაზაფხულის დარებს
შენი სული ცისკენ მიჰყავთ მაღლა.

სულს ამოხდი სიკვდილისვე დღე-ჟამს,
სიტყვამ კაფა მისი ღრუბლის ჩვრები.
პოეზიის სიმაღლეზე, ბეჟან!
აფრენილი არწივივით რჩები.

საქართველოს გამოხრული გული
და ნაყნოსი შმორად — ვარდის სუნი...
საყდრის თავზე ყორანთ გროვა კრულის...
გულის ლეშვა, წიოკობა სულის...

საფლავშიაც არ გასვენებს, ვიცი,
სიკვდილის წინ როგორ დავრჩით მარტო.
საქართველოს ბრძოლის ველზე გვიცდი,
ვინ დაჯაბნის შენი ლექსის პატრონს.

გიხმობს ვაჟას, მირზას, ლადოს სული,
გრანელი თუ მუხრანი და ანა.
ჩვენი სულის დასაცავად, ბეჟან!
ეს ლექსები მეომრებად დგანან.

10 მარტი, 2018 წელი
თბილისი

ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე

იგავი სოლომონისა

რადგან ლამპარია ანდერძი
სიცოცხლის გზა კი სინათლე
სამხილებელი გონება
გვიწინამძღვარებს სიმართლეს.
ძვირფასი სულის მფლობელი
სიბრძნეს მეგობარს უწოდებს
გონიერების ხმაზედა
მაღალ მწვერვალებს იმონებს.
ღია კარებში მღერის ხმა
სიმართლის მთქმელი ბაგეთი
ჭეშმარიტებას აცხადებს
ენა თვალებით საქები.

სოლომონის სიბრძნე

სულის სიბრძნე, იდუმალი ზრახვების მოწმე
მგალობელი და მეთვალყურე ბგერების ძალა
შემიყვარეო, შემიცანი შენ სულის სიგრძევ
და წრფელი გულის სიკეთეშო ჰპოვებდე მარადს.
უკვდავებისა ძლიერებას ამხელდე მუდამ
მაცოცხლებელი სული წარმტაცი უნდა
მარად ნათელი ფიქრი აღავსებს გრძნობას
სიბრძნე ნამღერი გულით ქადაგებს ხოტბას.
ნეტარდებიან დრონი დამცველნი დღეთა
ამაღლებაში მოვალთ მსახურნი ღმერთთა
გულში ჩაგვიკრავს ყველას ნათელი მზეში
დღის დადგომამდე ძალას შევივსებთ მკერდში.
ლამაზ გვირგვინში მორთავს სწორ ბილიკს გზაზე
შენარჩუნდება ცოდნა, ლამპარი ცაზე
სინათლის სჯულის სხივი, ყვავილი ღმერთის
სიბრძნით ნაშენი სახლი, გაშლილი სვეტი.
გზა სიყვარულით სავსე მჩქეფარე მოლზე
რვთის მგალობელი ბრძენი, მართალთა მცოდნე.
სათავე არის უფლის, სიწმინდის ლოცვა
საგანძურია ძალა, უკვდავად ყოფნა
გული ბრძენი და სული გონებას ავსებს
კურთხეულ უფლის ძალას სოლომონს არქმევს.
სიღრმევ ინახე მარად მთავარი გრძნობით,
რადგან სიცოცხლის ძალა ამ სიბრძნით მოდის.

ეი გამოანა(სოლომონის სიბრძნე)

სიღრმევ უსასრულოვ
თვალსაზრისს შენ ქმნიდი,
საწყისთა ძალებთან
თვალისჩინს ეძებდი,
შენაძენს უკეთესს
აღვიძებ მუდმივად
ძარღვი ხარ ძლიერი
მკვებავი სულისა.
დროა ვარსკვლავური,
ბროლის მისია
უნდა გარდაიქმნას
ღმერთი ხომ მზისია
შენ ხდები მთესავი
დროის ამოცანა
მისი გამკლავება
ყველას გამოცანა.

გულის გახსნა
(სოლომონის სიბრძნე)

არსებობისთვის ბუნების განუყოფელი ძალითა
დაუსაბამო ღმერთიდან დასაბამია არსისა
სიტყვავ, ძლიერო უნარო ნაყოფო ქვეყნის ძალისა
ჯვარცმულის დედის გულშიც კი, მაინც მოყვარე კაცისა.
ზედად მოვლენილ ზესულებს, თანაარსი და ზნეობა
ღვთაებრივ რეალობაში, ფიზიკურ სხელს დღეონა
დათესილ ცოდნას მოვიმკით, მოაზროვნეთა სულები
დასახულ მიზნის მიღწევით შევიმცნობთ დავილოცებით.
კაცი ნეტარი უფლისა მიმყოლი ღმერთის გონების
მუდამ რჯულშია მაღალი დანერგილ ხესთან იზრდების
ნაყოფს დაიფენს წყალობის, ფოთოლი მისი წესია
დაუჭკნობელი იმედი ღმერთს მისთვის გაუმწესია.
ხილულ სიკეთეს შევიმცნობთ, შეცნობა გულის წესია
ცის მნათობების სამყარო დედამიწისთვის ფესვია.

ისმინე ცაო(ბიბლია)

ისმინე ცაო! ყური მიუგდე მიწას მადლიანს
გაზარდე შვილი სიკეთეში, ღმერთის განძია,
მეწამულ ცოდვებს თოვლმა თეთრი ფანტელი მისცა
სიმართლე სავსე, სიმართლეშივე სიყვარულს მისწვდა.
აღიმართება მწვერვალებზე სითყვა უფლისა
ყოველთა მაცნეთ, ვით სახელი იაკობისა.
ვიაროთ მუდამ ამ ნათელში ციცაბო გზებზე,
რომ დავიმკვიდროთ უფლისა ძალით დღე მუდამ მზეზე.
ყოველ მაღალ მთას, აზიდულსა მწვერვალით ცისკენ
სიკეთის ძალა აიზიდავს უსასრულობად
მიწის ნაყოფთა ღირსებაა ამაღლდნენ მზისკენ
ამ ცხოვრებაშ მიზანია სიწმინდე მტკიცე.
ადგილს ყოველსა მზე ანათებს ამა სოფელში
ყოველ დიდებას აღასრულებს სივრცე სურნელით
მთელი სამყარო უმაღლესი აზრის მშობელი
ჭეშმარიტ ძალად მოგვევლინა წუთისოფელში.

მზიური დათიაშვილი-აფციაური

მე დავიბადე იქ...

I

მე დავიბადე იქ, სადაც კლდეთა მოისმის გრიალი,
მტკვარი ქარაფთგან გადმოქუხს, ვეფხვ-ლომთა ისმის ღრიალი,
მღვიმეთა შიგან მთათ ხეთქავს, ცვივა ნამსხვრევნი ფრიალით,
ეხმაურება დიდ კავკასს ენგურით და დარიალით...
სად თავკვეთილას ტრფიალი-ნათლისმცემელის სისხლი წვეთს, –
ამ ქვეყნის ორომტრიალი მტკვრის ტალღებივით მოიწევს...
სადაც სამყარო მოგვითხრობს: ძველი მუშქთა შუბთა ტრიალი,
უმაღლეს გონმა გარდაქმნა, მნათობთა დიდი ციალით...
და მოავლინა შედევრნი სამცხისა, გულის ჩქრიალით,
ომები გარდაიხადა ლომგულთა ხმალთა ბზრიალით,
მუშქთა მიწიდან წარმოშვა მესხეთი ჩემი ტრფიალი –
ცვრიან ბილიკებს ჩაკრული ფეხისგულების წრიალი...

II

(თქმულება)

ქორსატეველას მღვიმეში ჭაბუკმა ორბი განგმირა
გადაარჩინა სიცოცხლე, არც კი წარმდგარა ის გმირად,
მტაცებელს ყრმა თან მიჰყავდა მართვეთა მოსაპირავად
ბევრჯერ უნახავს იქ ორბნი, ლაჟვარდში მსრბოლნი ირავად...
თოხარიკ ცხენზე ამხედრდა, ბაგირს კლდით ჩამოეკიდა,
ბავშვის სიცოცხლე ჭაბუკის მთელ სისწრაფეზე ეკიდა
გადაარჩინა პირმშო და... რა ნახა ჩვილთა ნეკნები,..
მართვეთ დაეხრათ... შეწუხდა,.. საცოდაობით მეც ვკვდები...

III

მას შემდეგ „ქორსატეველა“ ვარძიად გამოიკვეთა,..
ჯაყელთა ხელით... თამარის დროს, დიდმეფისა იბერთა...
ტაძარი ხატმწერთ მოხატეს, „ჭარელი“ ვინმე ყოფილა
ამ საიდუმლომ ქვეყანას მისი სახელი მოჰფინა...
და ვეფხისტყავად დაგებულ, მესხურმა გონმა ისეთმა, –
ამ რენესანსის ეპოქამ – „ვეფხისტყაოსნით“ იფეთქა...
სად ოქროცურვილ ქალაქში – „ვარძია“-ს თამარ იქო და...
ძლევამოსილი, თან ქალი – მეფედ, თამარი იყო და...
განა ამაყი არა ვარ? – ამ მიწით მე ფეხადგმული,
ამ დიდ სიმდიდრემ წარმოშვა ქრისტიანული მამულის...
დიდი სიმტკიცე ნაგრამთა, კულტურა შემონახული,
ის, მესხთა ტანჯვით დაგული, „შვიდრავანტაა“ დაცული, –
მთათა ფერდობი ტერასად, დიდ სავენახედ ნაგული,
მკვიდრი „ძირგულას“ ცრემლებით ავსილი სურა ქართული...
...და დავიბადე მესხეთში, დიდი კულტურის აკვანში,
თმოგვის ციხის და ხერთვისის, ვანეთის ქვაბთა „საკანში“...
„ტრფობაწამებულ“ მეფისა, ერთ ფურცელს კვლავ რომ გადაშლის,
„საფარას“, „ზარზმას“, „ხვილიშას“, ქედნების, ხოხობთ კაკანში
„ივლიტის“ ტაძრის სიწმინდე, რომ ჩამყოლია აკვანში...
„ასპინძის ციხის“ „ბუტბუტი“, რომ გამჯდომია ამ ტანში,
მათით ვიზარდე, ავმაღლდი... დღეს ვიმყოფები ამ რანგში...

ნაწყვეტი პოემიდან „დროთა მსხვერპლი“

დროთა მსხვერპლი IV

47
დროთა მსხვერპლს სწირავს ბუნება თვითონ,
რჩეულთა ცდა ხომ მისი ხვედრია,
რამდენად სწირავს შემქმნელი შექმნილს,
მათი სწრაფვანი ერთურთს ედრიან.

48
...და მოთმინება რჩეული მსხვერპლის?
მისი დათმობა უფრო მკვეთრია,
თუნდ უარყოფა უარყოფისა,
უმზეოდ ყამარ გრიგალთ „ღმერთია“.

49
საგანძურივით მოჰყვება დრო-ჟამს,
სახეცვლილება არსთა დიადი,
ეპოქები შობს ახალ თაობებს
რომ აისრულონ თვის ხვაშიადი.

50
მაგრამ ზოგი კი ღვთის მოშიშობით,
შრომობს მიიღოს ერთი ხმიადი,
დრო გაჭიმულა დინოზავრივით:
ზოგთათვის რაში, დევი ზვიადი...

51
ერთურთს დევნიან მოდგმათა ცვენა,
როგორც ნადირი ტყეში დევნილი –
მონადირეთა ამტყდარი სტვენა...
ჯიხვი კბოდეზე გადავარდნილი...

52
...და შეგაძრწუნებს ველზე, მოკვდავთა,
მხეცთა და ფრინველთ სრა დაცვენილი,
ჰმ, უბრწყინვნალეს ველურ ფარჩაზე,
ხოხობი მსხვერპლად წამოფენილი...

53
თითქოს გამქრალა წმინდა ტრფიალი,
ველურ ექოთა ხმები შთენილი,
და აღრეულა ლეშთა ხროვაში
უტურფესთა ფრთა გადაფენილი..

მუსიკა V

54
მოკვდავ ბუნებას რა საოცარი,
ვირტუოზული მოსდევს მუსიკა:
შტრაუსის ვალსი, ბახი, მოცარტი,
ფალიაშვილი მართლად უსიტყვოდ...

55
შუმანის დიდი გამოელვება
და ბეთჰოვენის ნაზი ფიფქთცვენა
ძალა ყოფაში უნდა იკითხო,
ევროპის მეჯლისს გაუწყებს ვენა...

მაგრამ ამაყი და წუთიერი,
განცხრომის მსგავსი, მაინც, რაღაც მწამს:
– ელი მეფური სუფრის მოლხენას –
დიდებას ჩრდილავს რაღაც სულის წვა...

56
რიტმი სიცოცხლის მინელებული,
ხორცის განცხრომის არეალშია,
სული ბობოქრობს, როგორც ყინული,
რახმანინოვი ჰანგთა კვალშია...

57
დაუოკებელ სურვილთა ღელვა,
მომსკდარი ტალღის მგრგვინავ ქავლშია,
და სიცხოველე უტიფარ „ლეშის“
გაჩაღებული ხანძრის ალშია...

58
ვინ იცის ვისი? – სიტყვა შებედონ,
მძლეველთა სული განცხრობაშია,
ხედავენ, როგორ ილევა მიწა
როგორი სულის მუდმივ ცვლაშია...

59
ბაბილონივით აუშენებელ
დაკიდებული ბაღჩის სჯაშია,
ქვეყნიერების უსუსურობა
გაუთვლელ აზრთა დიდ განსჯაშია...

60
მუსიკა ბადებს სიცოცხლის საგზურს,
უპირველესი არსთა არსშია,
ირგვლივ დიდებულ სიმშვიდეს ავსებს
ეს კი პირდაპირ არეალშია...



რევაზ კუკავა

***

ვინ იცის იქნებ დაგვაშოროს ერთმანეთს ბედმა
სიტკბოს სანაცვლოდ გვალევინოს მუხთალმა შხამი
მაგრამ გვჯეროდეს ჩემი სიტყვის და იცის ღმერთმაც
მე შენ მიყვარხარ, მე შენ მიყვარდი.
იქნება სჯობდა ჩამავალ მზისთვის გვეცქირა ერთად
ტკბილ მომავალზე გვეოცნება ხანდახან დიდხანს
მერე გვეცინა, გვეალერსა მიჯნურთა დარად,
ხომ აჯობებდა? თუ ვტყუი, მითხარ.
წარსულზე ფიქრი გვაწუხებდა ორივეს მძიმედ.
შენ ჩუმდებოდი, ვინ იცის ამ დროს რაზე ფიქრობდი,
გეტყოდი რამეს, სხვათა შორის, რომ გამეცინე
დარდს გავაქარწყლებ, ასე ვფიქრობდი.
ახლა კი, ვხსედვართ ჩვენ შორი-შორს, ვამბობთ არაფერს,
თითქოსდა ეშმა დაგვდგომია თავზე ღიმილით,
ნეტავ, რა წაშლის, რა გატეხავს აღმართულ კედელს,
ნუთუ სიკვდილი... ნუთუ სიკვდილი...

***

მთვარიან ღამეს მოაქვს ფიქრები
აკაციის ძირს თეთრად თენდება,
დილის რიჟრაჟში უცებ ვფითრდები
ცხოვრების მზერა აღარ მინდება.
მინდა ოცნებით შორს გადავფრინდე
აღარ ვიხილო წუთისოფელი
სულ არ გინატრებს, თუმც რომ მომინდა
და ჩამეკეტოს გზები ყოველი.
აბა რა არის ცხოვრება კრული
თუ არა, მხოლოდ ვნებათა ღელვა
კაცთ სიძულვილი და გატანჯული
ცხოვრება მღვრიე – არცერთხელ შვება.
ამ სამყაროში თუკი რამეა
მე იმ ქვეყანას შევნატრი მხოლოდ
სადაც ყოველთვის თეთრი ღამეა
რასაც მივიჩნევთ ჩვენ ალბათ ბოლოდ.

***

ჩვენს ბრძენ წინაპრებს გადმოუციათ
თაობებისთვის ამბავი ერთი
რაც თავისთავზე გამოუცდიათ
მხილველიც იყო – მაღალი ღმერთი.
ჩვენი სამშობლო! – არავინ შეცდეს
არ ჩანდა გახდეს ლიტონი სიტყვა
შორს ვიმყოფებით სახლიდან ოდეს
მამული მაშინ გვიჯდება ძვირად.
გაგვახსენდება, არ უნდა ფიქრი
მაგრამ... მალე კი დაგვავიწყდება
ეს განსაცდელი არ არის ჭირი
სანამ თვითონ არ გაგვიჭირდება.
სამშობლოსაგან ჩამოშორებულს
დარდი ლანდივით დაგვყვება მუდამ
ნედლი ხე ყველგან დაჰყვება ქარტეხს
ხმელს კი მუდამ სიფრთხილე უნდა.

* * *

მწვანე ფოთოლი ტირილით მოწყდი
და ცრემლიანი ეშვება დაბლა
ცხელა საშინლად და მომაგონდა
ჩემი სოფელი რატომღაც ახლა.
განგების ნებას ვეღარ წავუვალთ
და ვიცით ყველამ დღეს რომ ღამე ცვლის
ვზივარ ოთახში ფიქრები მღალავს
და არ თავდება ეს თვე ივლისის.
შეწყდა კამათი, მე დავიღალე
ბინდდება უკვე და მეძინება
კარგად გათენდა დღევანდელი დღე
და ხვალინდელიც გამითენდება.

***

შენი ხმა მესმის შორიდან მღერი
თითქოს უხილავ გრძნობებს ჰკრეფ რიდით
და მახსენდება საღამო ერთი
რაც უნდა ავიც რომ იყოს იგი.
ხმელი ფოთლები ეყარა ირგვლივ
და შიშველ ტოტზე დახტოდა ჩიტი
შენ ოდიოდი ჩემგან ხელმარცხნივ
და რას ფიქრობდი ეგ აღარ ვიცი.
შავი ღრუბლები წამოიშალა
და რისხვით თავზე გადამიარა
წყეულმა ბედმა თუ მოიცალა
მე ასე მჯერა – ჩემთვის იარა.
ისე წახვედი აღარ მეღირსა
უკანასკნელი ტკბილი ამბორი
შენ სხვა გიყვარდა – ეს მაშინ მითხარ
უცებ დამინთე გულში ხანძარი.
მე ვიცი შენ მას აღარ უყვარხარ
ტყუილად მიძგერს სათუთი გული
მაგრამ არ გეტყვი, – დე ვიყო ცალად
ამ სიყვარულში მე უბედური.

* * *

დავბადებულვარ ახალწლის ღამეს
როცა ქვეყანა ჰქუხდა ზალპებით
თოვდა ხვიანად, თოფი დაცალეს
ვიღაც ყვიროდა გადამეტებით.
გავიდა ხანი, ბევრი რამ ვნახე
აღარ ვყოფილვარ არასდროს
მე კი რამდენჯერ დამიგეს მახე
თუმცა მე ამით ხელი ვინ მახლო?
და აღარ ვიცი მოვიქცე როგორ
ბევრჯერ ვიფიქრე ამაზე დიდხანს
და გადავწყვიტე თითქოსდა ბოლოს
ჩემთვის ვიქნები, სიმშვიდე მინდა.
და ახლაც ვზივარ ფირებთან მარტო
სადღაც ვიღაცას ახრჩობენ თითქოს...
ოთახში ბინი შემოდის ფართოდ
მე განწირულზე ამჟამად ვფიქრობ.

***

სასაცილოა, როდესაც ცდილობ
შუშის კალათში ჩუმად დამალვას
ნუღარ ედები – ისე ცოდვილობ
შენს შემხედვარეს ღიმილი მახლავს.
არა! ამქვეყნად არ არის რამე
გაუგებარი ანდა მალული
დღეს, გადამალე? ვიხილავთ ხვალვე
თვალს ვერ მისწორებ? ვიცი ფარული
ხედავთ დარბაზში შეყვარებულთა
კუთხეში ზიან ვითომ მალებით
ვეღარ ამჩნევენ ყოფნას კრეუბლთა
და ლაციცობენ თვალთა ხლართებში.
ნუ იმალები! დამალულს ცუდად
ისევ გახსნილი სჯობია ფარდა
იჩქარეთ ადრე ყველა ამქვეყნად
იჩქარეთ – ადრე სიკვდილის გარდა.

***

ორშაბათია... დღეს არა ვარ
წელგამართული
იმის ბრალია... წუხელ რომ ვსვით
სულ ვახტანგური
მეგობარია... არ ვაცალეთ ჩვენ ერთმანეთს
ამბის მოყოლა
რა ამბავია... რატომ ვიცით ქართველებმა
თან გადაყოლა.
ჩვენთვის ვსხედვართ, ვსვამთ.
ეს ქვეყანა ჩვენი გვგონია
ვიხსენებთ ამბებს... არ მოსულა
ჯერ აგონია.
გვერდით სუფრაზე ერთმა ტიპმა
რომ შემომხედა,
თავის მეგობარს ჩემზე უყო
და ჩაიცინა.

მაშინ ვიფიქრე – რომ არ არის საქმე
როგორც მე მინდა
ავიღე ბოთლი ჭურჭელ
იქით გაფრინდა.
ყვირილი, ოხვრა, შეჭიდება
მუშტი ქებული
ახალ-ახალი სალანძღავის
მთელი კრებული.
ჩხუბი მორჩა და აქეთობას დაცლილ
ბოთლებს რომ წამოვედეთ
მაშინ კი მივხვდით თუ ამდენი
რატომ ვიყიდეთ.
ორშაბათია... დღე არა ვარ
წელგამართული
იმის ბრალია წუხელ რომ ვთქვით
სულ ვახტანგური.

***

შენ ამაყი ხარ და ეს დაგღუპავს
და საზღაურიც სხვა გულის ბოლოს
გაივლის წლები და მოგონება
შენ სინანულად დაგრჩება მხოლოდ.
მე შეგინდობდი, არა ვარ მკაცრი,
დაგიკოცნიდი მაგ ლამაზ თვალებს,
მაგრამ ვაგლახ, რომ არ შემწევს ძალა
რაღაც ეშმაკი უკანვე მაგდებს.

***

იყო შეხვედრა... იყო ალერსი
ოთახში ორნი ვიყავით მარტო
შემდეგ კი ღამე... ჩურჩული ვნების
ცრემლით დასველდა პირი ბალიშის
დღეს კი ვიხსენებ მე ამ სიყვარულს
და გულში თითქოს მესობა რაღაც
წარსულს ჩაბარდა ვნებათა ღელვა
და ეს გრძნობებიც გაფრინდა სადღაც.

მუზა! მუზა! მუზა!

მაშ, შენ ხარ მუზა?
შენ – ცისკრის ბავშვი?
შაბაშ, შენს ღონეს,
შენს ძალას ვაშა!
მაშ, შენ მეწყრავდი
ყველა გ ზას ფშავში,
რომ ზედ ბუხართან დაგება ვაჟა?
ი. აბაშიძე

მაშ, შენ ხედნიდი აწყვეტილ რაშებს?
ტატოს მერანი შენ დაგიბია?
ემხვარს აეშვა თურმე ულაყი
და არზაყანი გადაირია.
ვით ქარიშხალი ველზე გასული,
აკაკი მღერის, თვით იდილია,
დიდი სიბრძნე და დიდი იმედი,
მუზავ, გხედნიდა დიდი ილია.
ვის რას ჩაჰბერე, ვის რა ჩაუდგი,
ვის დაურღვიე მყუდრო ძილია,
მუზავ, როდესაც თავს დაგვტრიალებ,
თითქოს ვიხილეთ უცხო ხილია...
ჩვეულებრივად ბევრს ვერსა ვიტყვით,
სიტყვის ჩაგრეხვა არ ადვილია,
მუზა რომ მოვა, მოგიალერსებს,
უთქმელის თქმაც კი მეტად ტკბილია.
რას ბუბუნებდა კახელი გოგლა,
ან რას გვმოძღვრავდა ნონეშვილია,
გალაკტიონი ვარდებს მოჰფენდა
მუზა როს ჰქონდა აღერღილია...
არ დაგასვენებს, მიდგრეკს და მოგდრეკს,
თუნდ დაკუმულიც გქონდეს პირია,
ისე ჩაგისვამს პირში მარგალიტს –
სულ აღარ გახსოვს, მგონი, ძილია.
როს რუსთაველი სტრიქონს ქარგავდა,
თვით იყო ღმერთის ჩამოქნილია,
მუზა კი თავზე დასტრიალებდა –
არ მისდგომოდა რამე ჩრდილია...
მუზავ ერთი ხარ ლექსის მშობელი,
უშენოდ შექმნა არადვილია,
შენ უნდა გლოცონ დიდ პოეტებმა,
უშენოდ გული დაკოდილია.

12.03.11.

ანზორ ჯაფარიძე

უწმინდესს

დავიღალე, დავიღალე,
მოდი ჩემთან, უფალო,
ქართველო ხმა ამოიღე,
უსულგულო ნუ ხარო.
უწმინდესი რატომა სწუხს,
ერთი შვება უთხარო,
შენთვის თავი გაუწირავს –
მხნედა ვართქო, უთხარო!
შენზე დღედაღამ ლოცულობს,
შეისმინე, უფალო...
უწმინდესო, ჩვენ შეგფიცავთ,
დაგვეხმარე, უფალო!
უგუნურები ვიყავით,
გონს მოვეგეთ, უფალო,
უწმინდესი დაგვილოცედ,
გევედრებით, უფალო!
უწმინდესი მხნედ გვიმყოფე,
დაგვეხმარე, უფალო,
ღმერთთან წასვლა ჯერ ადრეა,
ერს სჭირდება, უფალო!
სიცოცხლე და ჯანმრთელობა,
შეარჩინე, უფალო!
ქართველ ხალხს ხომ ქოლგად ადგას,
ნუ წაიყვან, უფალო!..

P.S. დღეს უწმინდესის დაბადების დღეა, სიონის საკათედრო ტაძარში დიდი წირვა-ლოცვა აღევლინება.

04.01.10.

დედას

რამდენი თქმულა შენზე სიმღერა,
შენს ნატვრით გული როგორ მაისობს,
თვით სიტყვა დედის ხსენებაზეც კი
გულს უხარია, გული ხალისობს.
რით ამოვწუროთ თემა დედაზე,
რამდენი თქმულა, რა არ გვითქვია,
ხელის გულზე ხომ გული დაგვიდო,
პატარძალისთვის რომ მიგვერთმია.
წამით შეტოკდა შვილის სხეული,
წაიბორძიკა, გული შეირხა,
ფრთხილად შვილოო! დედა გვეძახის,
მას მოეფერა, კი არ შერისხა.
პატარძალმა რომ მჭადები ჯვრებით
ძაღლებს მიუგდო, გულქვად, ამაყად,
განრისხებული ქმარი წამოდგა
და ცოლს განშორდა იმწამს, მარადჟამს...
გულში დედაზე წრფელი ფიქრების
ჯერ საწყაული არ აგვივსია,
ვერც აივსება გული ვერასდროს,
უდედოდ ყოფნა რა ხალისია!
დედა აღარ გყავს? უკვე დაბერდი,
კარს მოგდომია ჰე! დაისია!
ამდენი დარდით, ამდენი ფიქრით
გულის პარკუჭი შხამს დაუსვრია.
ვინ ამოწურავს თემას დედაზე,
ანდა ამ ქვეყნად ვის აუვსია...
დედამ რამდენი ღამე გვითია,
რამდენი ფიქრი, დარდი გწვევია...
ვინ შეაფასოს შენი წვალება,
აკვანი ნაზად დაგირწევია,
გვედექი თავზე ოცნებით მწველით,
დაგვატარებდი რუდუნით ხელით.
შენი ფიქრები ჩვენ გვეხებოდა,
ჩვენი ტკივილი გულზე გვხვდებოდა!
დედი, არ ვიცი როგორ გეფერო,
რით გადვიხადო მე შენი ვალი,
არავინ მიყვარს მე შენზე მეტად,
შენ ამიხილე ამ ქვეყნად თვალი,
ვფიცავ მე, დედა, შენს ლამაზ სახელს,
ახლაღა ვამბობ, ახლაღა ვამხელ,
თუ ჩემს გულს ხვდება – შენზე ფიქრია.
შენს გარდა სხვაზე არ მიფიქრია,
თუ რამე მქონდა – შენთვის მინდოდა,
თუმცა პრობლემა მრავალი მქონდა,
მე თვით ვცხოვრობდი გასაჭირშია,
შენსკენ მოქროდა ჩემი ფიქრია,
მე აქ ვცხოვრობდი ქირით, მოწყენით,
შენ მანდ გიგებდი სახლ-კარს მოლხენით,
შენს ამოსუნთქვას წამსვე ვხვდებოდი,
თუ რამ გიჭირდა – ტყავში ვძვრებოდი.
მაინც ვერ შევძელ იმდენი, დედი,
შენ მე რომ მომეც, გულით გიძღვნია.
რამდენი ღამე თეთრად გვითიე,
რამდენი ფიქრი შენ მოგიძღვნია!

19.01.12.

თემურ გოგსაძე

ღვთის ნაწილაკი

„... კოსმიურ ქაოსსა და მტვერში, ღვთის ნაწილაკითა
და სიყვარულით იშვა – სიცოცხლის მარადისობა“
არა, რაც უნდა ოსტატურად
ვძერწო სტრიქონი,
ვერ გამოხატავს ჩემი სულის ფერთა პალიტრას!..
ჩემს დროს ვერ იტევს
წუთისოფლის ქორონიკონი
და სინანულის ცრემლი რჩება ღვთის მარგალიტად!!!
ვართ ღვთის სახიერ...
თუმცა თან გვსდევს ცოდვა და ნაკლი,
ასე ინება არსთ – გამრიგე მაღალმა ღმერთმა –
გარდმოავლინა, საიდუმლო –
ღვთის ნაწილაკი...
სული და გონი, მარადიულ არსს – შეუერთა!!!
ჰოდა, რაც უნდა შიში კლავდეს,
ახლა სამყაროს,
ის ნაწილაკი, მტვერთაშორის ჩამოესობა!!!
სიცოცხლის არსად გარდიქმნება, ისევ აყალო
და დაივანებს სიყვარულის მარადისობა!!!
მიტოვებულთან – მივალთ ღმერთთან...
და მოვალს ღმერთიც!..
მწარედ ვინანებთ, ამდენი ხნით უიმისობას!...
გარდაიცვლება და აღსდგება –
სამყარო მკვდრეთით,
რადგან არსშივე, აღთქმულ იყო –
მარადისობა!!!
და აწ, მე ღვთისა, სულ იქნბა ჩვენს შორის მდგომი,
ღვთის ნაწილაკი, ზეარსიდან ჩამოისობა!..
რადგან ვერასდროს ვერ იქნება, დრო ღვთის საზომი,
ჭეშმარიტებას ადგენს – თვითონ მარადისობა!!!
2000 წ. მეცნიერებათა აკადემია.

მონატრება

მკლავს მონატრება უნაზეს დღეთა –
ნარიყალაზე თეთრონით ასვლა,
როგორ მიყვარდა! –
ჩურჩული კლდეთა.
შენი თითებით
სულში გადასვლა!!!
აწმყოს წარსულზე მწყურია გაცვლა,
უკვე განცდილით სულია სავსე
და უკაცრიელ დღეების ნაცვლად,
მარადისობის ბარათებს ვავსებ!..
სული შეხებას ამგვარად ლამობს,
გიგზავნი ლექსებს მონანიებად
და სიყვარულის სიწმინდის გამო,
ჩვენ განშორებაც გვეპატიება!!!
გადამეხლიჩა წუთისოფელი
მარტო და ერთად განცდილ წამებად...
მომნატრებია – ქუჩები სველი
და სიყვარულით
სულის წამება!..

1999 წ.

შენი დღიურები

არასოდეს წამიკითხავს
შენი დღიურები,
და მაინც ვიცი, რომ იქ
ჩემი სულია!!!
სამყაროს გადაღმა
რწმენით ვიყურები...
მომავალს ისა შობს
რაც გარდასულია!
შევიგრძნობ ფიქრებს და
ცრემლიან სტრიქონებს...
იქ წმინდა ალერსის მზე...
ჩასახულია!...
სხვა დროში ჩვენს ყოფნას,
ტკივილით ვიგონებ,
და ისიც ვიცი, რომ
წინ გაზაფხულია!!!

* * *

წვიმს...
საოცარი სიყვარული მეწვია მე დღეს.
ვით წვიმის წვეთი,
ჩემს ბაგეზე შესდექ ანაზდად,
მერე მოსწყდი და სიყვარულად ჩამომეღვარე.
ათრთოლდა გული,
გაზაფხულის წვიმა განაზდა,
შენი თვალების ფერი გახდა ეს არემარე.
წვიმს...
გასაოცრად გაზაფხულის წვიმა განაზდა,
სულის კარებთან სიყვარულად
შესდექ ანაზდად.

* * *

შენ მხატვარი ხარ...
გაექეცი მიწიერ ცოდვებს...
და განშორებაც გარდასახე
ლამაზ ფერებად...
მე დავრჩი მარტო...
ვდგავარ ახლა გზის გასაყარზე
სიცხიანივით ჩუმი თხოვნა
ისევ მაბოდებს...
შენი თვალები დამიხატე
სულის ლურჯ ცაზე!...
გულს როცა უნდა მოეფერება!...

პარადოქსები

დიდთა პოეტთა ინტენპრეტაცია

ჩაიღვრებოდა ფიც-ვერცხლი ჯამში,
„ლექსები ბოდლერ!
„ლექსები ბოდლერ!
ერთიც არ იყო გამგები მათში
და მაინც ლექსის წაკითხვას თხოვდნენ?!“
ის მეგობრების დარჩა ერთგული,
ცრემლიც და სისხლიც ბევრჯერ დენია!...
გადაუხლიჩეს რამდენჯერ გული,
აუგი, მაინც არ დასცდენია!...
სამშობლო არის უპირველესი,
თუმცა ვღალატობთ, ერთურთს არ ვინდობთ,
ჩაჟანგდა ხმალი, ძველთა ნალესი,
მხოლოდ სუფრასთან, ვგმირობთ – ვრაინდობთ?!
სიყვარულია კაცთა საზრისი,
სიძვის კარებთან მაინც დატოვენ!...
არავინაა სიწმინდის ღირსი
და მაინც, უფალს, სიყვარულს სთხოვენ!.
ღმერთი, ვერავის აითვალწუნებს-
ფარისევლებიც ტაძარს გალობენ,
ერთიც არ არის ნამდვილ მორწმუნე,
უფალს კი სთხოვენ –
დაგვამწყალობენ?!
პარადოქსია წუთისოფელი,
არ გვეშველება, არასდროს, თითქოს,
კაცი ხვთის მგმობი,
უარყოფელი
აღდგომას ისევ უფლისგან ითხოვს?!...

მანანა ზაზიკაშვილი

ჩარგალში

მოქუფრულიყო მიდამო,
ბნელი სწვეოდა არესა,
შავი ღრუბელი შალივით
წამოეხურა მთვარესა.
ელვამ ქამანდა გამოსდო
ჯერ ღრუბელს, მერე –გზაწვრილსა,
ბუნების რისხვას ველოდი,
მაგრამ უბრალოდ გაწვიმდა.
ქარი რომ ჩადგა, ღრუბლებში
ცისკარმაც გამოანათა,
ჯოყოლა შემხვდა გზაწვრილზე,
გზაზე შემომხვდა სანათა,
მხარზე კომბალი გაედო,
მარწყვით აევსო კალათა.
მიმაცილებდნენ ვაჟამდე
კვირია, ლელა, ლუხუმი,
თან მომყვებოდა ჩარგლურას
წყალი სულ გრუხუნ-გრუხუნით.
მთაზე არწივი ყიოდა
ნაბრძოლი, ნაგანგაშარი,
ნამი ჭრილობას უბანდა,
თავს დამნათოდა ლაშარი.

გიორგი ცაბაძეს

შენი სიკვდილიც სიმღერას ჰგავდა,
გარდაცვალება გერგო გედური,
ყვავილებში რომ სული გაფრინდა,
ალბათ, ძვირფასო, ბედს არ ემდური.
კონცერტზე დაჰკარ ბოლო აკორდი,
ყვავილთა ზღვაში ცრემლი გდიოდა
და სიყვარული შენი ერისა
გულზე სიმღერად გადაგდიოდა.
საქართველოში სანამ ქართველი
ღვინოს დალევს თუ ლექსს მოიგონებს,
ვერც დაივიწყებს, ბატონო გოგი,
შენს „უკანასკნელ მეფვაიტონეს“.

რას ვინატრებდი?!

რას ვინატრებდი?! ცხვრის ფარას,
თეთრი ბატკნების ჯარს,
ვაჟკაცს სიმართლის მოყვარეს
მტერს არ შეაჭმევს ჯავრს.
მთელ დედამიწას უმიჯნოდ,
მთაში ირმების ჯოგს,
ბარში ვარდებს და გვირილებს
ერთიმეორის მჯობნს.
ოცნების კოშკებს ზეცაში,
მიწაზე სახლებს დიდს,
გასასვლელ-გამოსასვლელად
კონტინენტებზე ხიდს.
მშვიდობას ყველგან, ყოველთვის,
ატომისათვის ატომს,
ავაცილებდი სისხლისღვრას
ქვეყნად ჩემსავე გვარტომს.
ვიმყოფინებდი ლუკმა პურს,
თქვენ დაგითმობდით მწვადებს,
ოღონდ მამულში მშვიდობა
და სიყვარული მწვავდეს.

ნიკო ბაღაშვილი

ცეცხლად ავენთე

ვერ მოვისვენე, ვიწრიალე ცეცხლად ავენთე,
და ჩემი კოცნა მოგონებას ისევ ატყვია
ნუ დამიჩრდილავ, ამ შუადღის დარდით ნაფერებს,
და ნუ გამკალავ, რომ სიყვარული არ შემიძლია.
მეც გადავიქეცი დონისგან ტრამალის მგელად,
და მარტოობა მითენდება, სულის ყმუილით...
სასოწარკვეთა მღრინავს შვებად, შენს სახეს ვხედავ..
გაგიორკეცდა ნაღველი და სულში ტკივილი.
აჰა, ეს გული, ჰა სხეული რაც მაბადია,
შენთვის ავაგე ცად მოწვდენილი ბროლის კოშკები,
და ნუ დამინგრევ აუხდენელ ნატვრას და ოხვრას,
ყოველ დილით რომ მირეკამ და თითქოს მიღიმი,
მზეთუნახავი თუმც მე არ ვარ, მეფე რაინდო,
წვიმს წვეთებად გეპკურები, მაგ წმინდა სულში,
ათინათებით გაგიკვალავ შენ სათნო ღიმილს,
თეთრი ვარდებით გაიპენტავ, ისევ სიცოცხლეს...

მანანა მიქაძე-გვარმიანი

სვანეთის საჯიხვეთში!

საჯიხვეთის თავს წაეპარა
რუხი ღრუბლები.
გაშიშვლებულ მთებს მოეხურათ
თეთრი ნაბდები.
ირგვლივ მიდამო გარინდული
თოვლის საფარით,
კლდის დამრეცები
შეფენილა არვე ჯიხვებით.
დღე მოქუფრული იწურებოდა,
მთებზე ბინდ-ბუნდი ნელა წვებოდა.
ყირმიზა ბიჭი შუბლ მოკუშტული,
საჯიხვეთს ჭოგრით უთვალთვალებდა.
იჭექა თოფმა,ჯიხვები დაფრთხნენ,
დაფეთებულნი კლდეს გადაევლნენ.
ქიმის დამრეცზე დაგორდა ხარი.
ჩამოხნა რქებით თირი კლდოვანი.
სისხლის წვეთებმა დაწინწკლა თოვლი.
შუნი შეჩერდა,შეხტა შემკრთალი.
მომაკვდავ ხარჯიხვს ნისლიან თვალში
დურაყთან შერჩა შუნი მტირალი.
საჯიხვეთს დალი გამობრძანდა
ჩამოშლილ თმებით.
გარემოს თვალი მიმოავლო,
გაბრწყინდა მთები.
ფეხქვეშ დაუდნა ქალღმერთს თოვლი,
ზურმუხტის ფერით აყვავდა ველი
და მონადირესშეასწრო თვალი,
ნანადირევის წაღებას ელის.
ატირებული შუნი დურაყით,
ადგილს მოსცილდა სინანულით.
კლდეზე შემოდგა და თავის ხარჯიხვს
გულმოსაკლავად ბღავის ვაებით.
ნანადირევი ბეჭზე მოიგდო,
თურმე,ამ ხარჯიხვს დალი იცავდა.
განრისხებულმა ბიჭი გაიცხა
საჯიხვეთს მეტად არ ღირსებოდა.
კლდის თავს არწივი ჩამოჰყურებდა
მარაოსავით გაშლილი ფრთებით,
ზურგზე დააცხრა ბიჭს გააფთრებით,
ჩაებღაუჭა ხარჯიხვს კლანჭებით.
არ დაბნეულა მონადირე,
მხრებიდან ჯიხვიუმალ გადიგდო.
არწივისაკენ შემოხტა სხარტად
დაშეუფლითა გულმკერდი ფიცხლად.
დაბლა, მთის ძირში ცხენი ელოდა,
პატრონი ნახა,დახვდა ფრუტუნით.
ნანადირევი ცხენს გადაჰკიდა
გაუყვა ბნელში ვიწრო ხეობით.

ნენკვაშიდან.

თამარის სავანე!

სამზეოს ხანი ეწურება,
მირაჟს მიჰყვება მეწამული.
ჰოი, სოფელო!
რა მოკლე დროდ ხარ!
ნეტავ, სად ჩქარობ,
ასე გარბიხარ.
ამერ-იმერი ოქროდ ჰყვაოდა,
სამეფო კარზე ზეცაც ლხინობდა.
მემატიანეს არა სჩვეოდა
დედოფლის კარზე დაგვიანება.
მაგრამ? ეს მოხდა, რატომღაც ერთხელ
და დაედევნა შეშფოთებული.
აისს ამოსვლა დაასწრო მთებში,
ჯორის კვალს მიჰყვა მიუვალ გზებში.
გავლილ გზას დღემდე ჰქვია ჯორკვალი
მზეთამზე თამარს კვალდაკვალ აჰყვა,
ვერ დაეწია, უკვალოდ გაჰქრა
დაჩაეწურა გულში მალულად
მემატიანესკაეშნის ცრემლი!
თამარ დედოფალს სხვები ეახლნენ,
ფრთაშესხმულ ჯიხვებს მიესწროთ ძღვენით.
ზურგზე შეისვეს ნებიერად
და მიაცილეს ყაფარის პირად.
თამარ სალოცავს აყვა ჩექლიმით,
საუფლო ტაძარს ალბობდა ცრემლით.
სავანეში ღმერთს ავედრებდა
სამშობლოსა და ქართველთ ბედს!
აქ, ფიჩვოსანი გამოჩნდა კრძალვით.
უსმინა თამარს მაღალმა ღმერთმა.
ბერმა აკურთხა მხურვალე ლოცვით
ქალწულ დედოფლისსურვილი,ნატვრა!
თეთნულდს აეკრა ფიქრების ცვილი,
ჩამოიბნელა თეთრი კალთები.
ვაჟკაცი ქირსლებს არღვევს ბექთარით და
ზენაზნიდან ქერუბიმს უხმობს.
ცამ ჩამოიხსნა მუქი პირბადე,
წამოუშინა დელგმა კურცხლები.
სულის ტკივილებს იყუჩებს თქეშში,
არ გაამჟღავნებს გატანჯულ ფიქრებს.
დამდუღრებული თბილისს დაბრუნდა.
ზებუნებრივი გრძნობით იწვოდა.
ვარამს საკინძე შეუხსნა რიდით,
დაჯდა, მხურვალედ გადმოგვიღვარა
,,ვეფხისტყაოსნის,, პოემა ქმნილი.
თავის სულიდან ამონაწური,
თამარს მიართვა ძვირფასი განძი,
ასეთი დღემდე ჯერ არ შექმნილი,
მსოფლიო ქვეყნებს ეამაყებათ!
საქართველოში დაბადებულნი...
შოთა,ილია,აკაკი,ვაჟა,
ბესიკი,ტატო,გალაკტიონი,
ლეონიძე,ტიციანი,მირზა
და ძალზე ბევრნი საამაყონი!
ცხრა საუკუნეგვაშორებს რუსთველს,
მაგრამ გენია არ მეორდება!
სიცოცხლის მერეც შოთა რუსთველი
ფრესკად დაუდგა თამარის სამარხს
ხელაპყრობით, წვერშემოსილი მლოცველი!

ნენკვაშიდან.

ავთო ხარაიშვილი

* * *

არ ხარ მარტო, მღერის ქარი,
გული კიდევ სხვას ამბობს.
მოვისმინე მისი ქნარი,
რა სიტყვებით არ მამკობს...
ვიცი, ახლა დავშორდებით,
ბედი შენს თავს არ მანდობს.
მოგონებებს დავჯერდები,
ახალს ვეღარ გაგანდობ.
არ ხარ მარტო, მღერის ქარი,
გული კიდევ ბევრს ამბობს...
მოვისმინე მისი ქნარი,
მომავალი სხვას მანდობს.

ჩემი გული და სისხლი

ჩემი გული და სისხლი
ცას შეერწყმის მგონია.
თავში ტყვიას დავიხლი
ჩემგან გაგიგონია?
რადგან ღამის წყვდიადი
სულში კვლავაც თარეშობს.
ზეცას კიბე მივადგი
შენი ხმა, რომ გამეგო...

3.06.2018

მირაჟი

სისხლის ფერ ყაყაჩოს დააკლდა სიწითლე,
ზღვის თავზე მზე ბრწყინავს წითლად.
ამინდი ნოტიო, ნესტი და სისველე,
გემებმა გაბედეს მისვლა.
ღრუბლები სიღრმეში ჩაეშვნენ ბგერებად,
მარჯნებმა იცეკვეს ერთად.
გემებმა აფრები გაშალეს ხელახლა,
და ღმერთს მიესალმნენ მზესთან...

30.04.2018

* * *

ახლა არის მაისი,
ირგვლივ მწვანე მოლია.
ამნაირი ხალისი,
უწინ მე არ მქონოა.
მაგ თვალების დანახვა,
სულში ისე მამშვიდებს.
მინდა იყო თანახმა,
სანამ ქარი წაგვიღებს.
მალე მოვა ივნისი,
გზა შენამდე ერთია.
მდუმარების სავანის,
გამსაჯველი ღმერთია.
წუხელ დუმდა ქალაქი,
სიჩუმეში გიწამე.
და სიშორემ ძალათი,
ვერ გამიხსნა მიწა მე.
ახლა არის მაისი,
ირგვლივ მწვანე მოლია.
ამნაირი ხალისი,
უწინ მე არ მქონია...

*

შენამდე მანძილი მცირდება,
ამინდიც თანდათან იდარებს.
გულმოსულს სიცოცხლე მინდება,
სიშორე ვერ დამაგვიანებს...

*

სულთან ჭიდილში დავმარცხდი,
ტვინში ვალაგებ ამინდებს.
სადაც სიძნელეს წავაწყდი,
ყველგან ყულფები დამიდეს.

გზა შენამდე შორია

გზა შენამდე შორია, ვიწრო და უსახელო.
ცა სილურჯის მოლია, ფართო და უსაშველო.
თუ, სიყვარულს შევძლებდი, წუხილს არ ვიწამებდი.
გაჩნდებოდა ნდობის და იმედების სამეფო.
ახლა, როცა მოგელი, გზა შენამდე შორია.
ჩემთვის დაგვიანება, თვითმკვლელობის ტოლია.
ხსნა, სიცოცხლის წადილი, მონატრებულს მფარველობს.
და შენამდე მანძილიც, ურცხვად ველარ თავნებობს.
ახლა, როცა მომელი, გზა შენამდე შემცირდა.
იმედების სავანე მე, სიყვარულს შემპირდა...

ღმერთო მაპატიე!

ღმერთო, მაპატიე რამეთუ გენდური,
არ ვარ სატანა და არც ბრმად ერთგული.
ვწუხვარ, ვერ გიხილე როგორც მეგზური,
და მაინც დამითმია შენთვის მე გული.
ახლა, ალიონი არის გარინდული,
ირგვლივ ნაცრისფერი ჯარი დათარეშობს.
მწვანე ტყეებია ისიც არიდული,
მისი სილამაზე ველარ მატარებს შორს.
ღმერთო გევედრები ცოდვილს მომიტეო,
არ ვარ გოეთე და არ ვარ ამადეო.
სულის სიღრმეში კი ის რაც მაბადია,
ერთი რვეული და ძველი კალამია...

7.05.2018

ნათია გურგენიშვილს

ნ-აზია ცა და სფეროს სხივები,
ა-მინდი თბილი სულის მძივები.
თ-ქვენ დაგვიჩემეთ, როგორც შვილები,
ი-ა ვარდები და გვირილები.
ა-ხლა მანძილი ჩვენში მეტია,

გ-ულის სიღრმეში ღმერთი ერთია,
ულ-სასრულო, ხომ არაფერია,
ო-ადგან დაგტოვეთ ჩვენო ფერია.
გ-აცდა საზღვრები კედლებს სკოლისას,
ე-ჰ, განშორება ისე ძნელია.
ნ-ამი დაედო თვალებს, როდესაც
ი-გრძნო სიშორე თუ რა მწველია.
შ-არშან ჯერ კიდევ ერთად ვიყავით,
ვ-იხსენებ სახეს თქვენსას ფერიავ.
ი-სე დაგვიდგა დრო გავიყავით,
ლ-აღი გზა მხოლოდ ვარდისფერია,
ი-ს ჩვენ გაჩუქეთ ახლა თქვენია...

* * *

გონება დაბინდული,
დავდივარ მთვარეული,
ქუჩაა გარინდული,
ხეებიც არეული.
ფიქრში მაქვს გაწერილი,
ანდერძი ხელთუქმნელი,
ჯიბეში კვლავ წერილი,
შენდამი ჯერ უთქმელი.
გზებია დარდიანი,
ბილიკი ანგრეული,
ადგომა ადრიანი,
კალამი და რვეული.
მჭირდება სიყვარული,
გრძნობები დარიანი,
შენს გვერდით სიარული,
სიცოცხლე კვლავ მზიანი.
შეხვედრა უშედეგო,
ღიმილი წამიანი,
ვეცადე, რომ გამეგო,
წახვედი ადრიანი.
გეძებე! დერეფანი,
შემომხვდა ჩახერგილი,
გულს დარდად მივაბი,
ანდერძი დაწერილი...

გაგიშვი

გაგიშვი, ფიქრები ამოვშალე თავიდან,
გრძნობები გაორგულდნენ გონების გარედან,
მომწყურდი, წამები უწყლობით გავიდა,
რა მემართება?! არვიცი რა მინდა.
ღამეა, მთვარე ჩემსავით მთვრალია,
ალკოჰოლიკი არაა, წამლები დალია,
ცხოვრება წლებია, ერთი დიდი რალია,
რომელიც გარდაცვლილმა უკვე განლია.
გაგიშვი, ცხოვრება დავიწყე თავიდან,
შენზე ფიქრები ამოვუშვი გონების კარიდან,
ძალაუფლება მოვიხვეჭე ყოველი წამიდან,
მიუხედავად განვიცდი, არ ვიცი რა მინდა...

* * *

ნისლიანი დღის ადრიან დილას,
ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა ჩიტი.
ბედნიერების სულ მცირე მისხალს,
ვერ ვამჩნევდი და ვუცქერდი რიდით.
ახლოდან სურათს ფერი აქვს რუხი,
ალბათ სატრფომ თუ, იგი დატოვა.
ფიქრობს განვლია დრო-ჟამი უხვი,
და ბედისწერამ ხელით დატორა.
ფანჯრის რაფაზე თავს იკლავს ჩიტი,
ახლა სიკვდილი არც თუ ძნელია.
მე მაგონდება მისი ჩივილი,
და ეს ტკივილი გულის მწველა...

ლეილა ვადაჭკორია

ყველას ვფიცავ

რომ შემეძლოს ყველას ვფიცავ,
სულ მოვივლი დედამიწას,
თაყვანს ვცემდი წმინდა ადგილს,
მუხლს მოუყრი ყველა წმინდანს.
იქნებ ხელი მომემართოს,
სამეგობრო გავდო ხიდი,
არც არავინ დავამცირոთ.
ერი ყველა არის დიდი.
ნირს შეუცვლი ომის ღმერთებს,
დავარწმუნებ, დავამშვიდებ
და მშვიდობას ასე ძვირფასს
კიდით – კიდე დავამკვიდრებ.
ავაშენებ სიყვარულის,
მეგობრობის, ძმობის სახლებს
და სუყველა ჯიშს და ჯილაგს
იმ სახლებში დავასახლებ.
რომ შემეძლოს ყველას ვფიცავ,
ყინწვისს, გელათს, ნიკორწმინდას,
ომის ფესვებს ამოვძირკვავ,
დავასვენებ დედამიწას.

ვერ დაგინახე

როგორ ვცდებოდი, რა მითებს ვქმნიდი,
რამედნი ღამე გამითევია,
თურმე ყასითი გქონდა ღიმილიც,
მე კი გსახავდი კეთილ ფერიად.
ვერ დავიანხე ნამდვილი სახე,
ვიდრე ღალატი ვიწვნიე შენი,
როგორაც უნდა დაგხატონ ახლა
შენ მაინც შენი ღალატი გშვენის.

ნათელი ღამე

ო, რა ნათელი იყო ის ღამე
ლამპის ლიცლიცა, ნაზი ალი და
შენს სილამაზეს თვალს ველარ ვწყვეტდი,
გარეთ კი უხვად თეთრად ბარდნიდა.
ახლა კი ბაცი კედლების მიღმა
ილუზიები ცეკვავენ ტანგოს,
მივენდე ფიქრებს და ბებერ ჭერზე
ვსახავ სილუეტს დღემდე რომ მახსოვს.

ჩვენი ფესვები

მაშინ ქვეყანას ემოსა თალხი,
დარდმა გატეხა უკურნებელმა,
და დაკარგული გულის ნაწილი,
ლოცვად ეფინა საკურთხეველთან.
მის შემდეგ ხანი გამოხდა დიდი,
ზეცამ რამდენჯერ იცვალა ფერი,
ჩვენ მონატრების წყურვილი გვკლავდა,
თქვენ ოცნებაში გეწვოდათ დღენი.
და გადაცემდით შვილს და მომავალს
სამშობლოს ამბებს, როგორც არაკებს
არ დალეულა ძველ გურჯისტანში
ქართულ ენაზე მოლაპარაკე.
შემოგვაბერდა დროება ხელში,
განკურნებულან ავი სულები,
ათას ჭირ-ვარამ გადახდილები
ისევ ფეთქავენ ჩვენი გულები.
ჩვენი ფესვები ისევ სუნთქავენ
ისევ მწვანობენ ჩვენი ყლორტები,
რაც უფრო მჭიდროდ ჩავკიდებთ ხელებს
მით უფრო მეტად დავიტოტებით.

ღაღაცი

ეჰ, მერამდენედ იცვალე ფერი,
მზეობდი,
წვიმდი,
ქარობდი,
თოვდი.
ხან იფიცებდი ერთს თუ
მეორეს,
ხან გამეტებით ზედიზედ
გმობდი.
მთის ერთგულია პატარა დეკა
და მთის ღალატი
აზრად არ მოდის.

მზე თუ მიხსნის

იმედგაცრუება დამჩემდა ბოლო დროს
თუმცა ძველებურად ვებრძვი ქარაშოტებს,
იქნება ავი თვალი შემეყარა,
ქარი არხეინად ისევ დააბოტებს.
ფანჯრიდან გავცქერი მზის სხივებს და
კაცის ჭაჭანება აღარ ისმის
გულის ხმას მინდობილი კენტი ვარ
ისევ გულის ხმა და მზე თუ მიხსნის.

ფარხმაღს ნუ დაყრი

გადაუქროლა ქარბორბალამ მინდვრის ყვავილებს,
და ღვთის ნახატებს აუწეწა თავსაბურავი,
ცაში ეულად, მოფარფატე გვირგვინის ფურცლებს
არ დასცდენიათ მაინც ოხვრა და სამდურავი.
დაცხრა ქარბუქი, გაიფანტა ცაზე ღრუბლები,
კვლავ მოიჩითა ყვავილებით მინდორი – ველი,
ხეებზე ახლად ამოქოჩრილ ნაზ ყლორტებს სიო
ეალერსება და სიცოცხლეს სიშლეგე შვენის.
ჩიტები ისევ ჭიკჭიკებენ და ფრნენ ლაღად,
თვალს ვერ ვუსწორებ, ძველებურად მზე ჩინჩხლებს მაყრის,
წაიბორძიკო იქნებ აღმართს დაღლილმა მაგრამ,
მაგრამ ძვირფასო, ნურასოდეს, ფარ-ხმალს ნუ დაყრი.

ამ ქუჩას ახსოვს

ამ ქუჩას ჩემი ბავშვობა ახსოვს,
ყველაზე სუფთა გრძნობებით სავსე,
უყურებ სახლებს, ბავშვობის ნახატს
და სიამაყით ვივსები წამსვე.
ბედნიერი ვარ რომ მეც ვიყავი
ამ ქუჩის ერთი პატარა მკვიდრი,
და მეც ვცხოვრობდი მის სათუთ გულში,
ჩემი ბავშვური აზრით და ფიქრით.
ქუჩაზე ბებერ ჭადრის შრიალი
ახმოვანებდა ოცნებებს ჩემსას,
დაკოჟრილ ტანზე ჩემი ბავშვობის,
ჩემი ბავშვობის თიკუნიც ესვა.
ამ ქუჩას ახსოვს ტკივილი ჩემი,
ჩემი ფერადი დღეებიც ახსოვს,
და ერთიანი გრძელ, ხსოვნის ჯაჭვში
ეხმიანება დღევანდელს, აწმყოს.

ლამზირა შეყილაძე

ერის ღირსეული შვილს

ბატონ თემურ გოგსაძეს
საქართველო შენი ცხელი გულია

სამშობლოს მზე გულში გეძვირფასება,
მასში შენი სიყვარული ანთია.
საქართველოს ბედ-იღბალი გაღელვებს,
ვითარც საბას სამშობლო და ტანძია...
ითავსებ შენი ერის საზრუნავს,
გძაგს ორგული და მგელივით ტაცია.
დიდ აკაკის ცა ფირუზი გახურავს,
ვაჟას მთები ქალამნებად გაცვია.
სატევარი ხელში მარჯვედ გიჭირავს.
მხრებით მოგაქვს სისხლის-ფერი წარსული.
კავკასიის მწვერვალები გიზიდავს...
და სამშობლო ქრისტესავით ჯვარცმული.
საქართველო შენი ცხელი გულია,
მისი დროშა გულში მზედ ჩაიხატე.
კაცხის სვეტი შენი სალოცავია,
იმერეთი შენი სულის სახატე.
ილიასებრ სიტყვა გიჭრის კაზმული,
მისი სიბრძნე სიცოცხლისებრ გწყურია.
ლურჯი მთები სისხლით გადანამული,
შენი გულის წმინდა საგანძურია.
გულს გიმხნევებს გაზაფხულის სიჭრელე,
გულწმინდა და სიცოცხლისებრ ნათელი.
ღმერთმა მრავლად მოგვივლინოს მამულში,
შენებრ ბრძენი, ღირსეული ქართველი.

2019 წ.

ბრმა ცხოვრება უსამართლო

ჩემს საკანში სიცივეა,
გარეთ მზე კი კოცნის ვარდებს.
აქ, სიცოცხლის სიმცირეა,
მით ვიღრმავებ გულში ბზარებს.
ვარ ამ მიწის მომცრო თიხა,
ტვირთი მღუნავს უმძიმესი.
ზეცის სული ერთი ციცქნა,
მღლის ბუნების განაწესი.
მხრებზე მადევს მძიმე ჯვარი,
ძლივს მივყვები გრძნეულ აღმართს.
მახსენდება ქრისტეს ჯვარცმა,
ვგმობ და ვწყევლი ყველა წარმართს.
არ მთავრდება ეს გზა-წვრილი,
ბრმა ცხოვრება უსამართლო.
წუთისოფლის დრონი მწირი,
საპყრობილე უსინათლო.
გზას მივიკვლევ სულის გვემით,
სისხლიანი ფეხშიშველი.
დემონები მომყვებიან,
ხორხოცით და ღრიანცელით...
მღლის საწუთროს ულმობლობა,
ცრუ ცხოვრებით განაწამებს.
ვინც შუქს უქრობს ქრისტეს მცნებას,
ის, უვიცი მასამართლებს.
წუთისოფლის სტუმარი ვარ
წლები განვლე ცრემლს და დარდში.
აკრძალული ხილი ვჭამე,
ამიტომ ვარ მუდამ ვალში.
ახლა ვზივარ ცივ საკანში,
გარეთ ნისლი მთაზე წვება...
ღმერთო!.. სადმე წამიყვანე,
სადაც ვერვინ ვერ მომწვდება.

2019წ.

რად მეჩვენები შორად

მუდამ შენთან ვარ ფიქრით,
ცრემლების ტალღა მახრჩობს.
უბე სავსე მაქვს სისხლით,
ვიღაც შენს ღიმილს მართმევს.
მძულს უშენობა ქვეყნად,
ფიქრი არ მტოვებს წამით.
როცა შენ, არ ხარ ჩემთან,
გული მევსება შხამით...
მივბობღავ ბეწვის ხიდზე,
გაყოფილი ვარ ორად...
არც მიწადა ვარ, არც ცად,
რად მეჩვენები შორად.
არა მგონია მეტად,
სხვა ჩემს საწუხარს სწუხდეს.
ახლა მიზეზიც კი გაქვს,
მწარე სიცოცხლე მძულდეს.
ვებღაუჭები ნისლებს,
კვლავაც შენთან ვარ ფიქრით.
ნეტავ სიცოცხლე თუა
ამ ცივ საწუთროს იქით?

ძველი ლექსებიდან

საფლავის გზას გამოვყევი

რაც დრო გადის მონატრება,
უფრო, მეტად მატულობს...
გული მეწვის, სული მტკივა,
სიზმრადაც ვერ განახულობ.
საფლავის გზას გამოვყევი,
არეული ფიქრებით...
მე, იქ ყოფნა მირჩევნია,
სადაც ერთად ვიქნებით.
როგორ მიჭირს, რომ იცოდე,
შენს საფლავზე ამოსვლა.
შენს გულ-მკერდზე დამხობა და
მერე... უკან წამოსვლა.
ჯოჯოხეთის ცეცხლში ვიწვი,
აქ ვერავინ დამიცვა...
როცა მოვალ შენს საფლავზე,
ხელი აღარ გამიშვა.
ცრუ... საწუთროს დავემდურე,
ანის ვერსად წამიყვანს.
სიკვდილს მთელი გულითა ვთხოვ,
ამ ტანჯვისგან დამიხსნას.

არ მინელდება

მკლავს, უშენობის წყურვილის გემო
და უშენობით სული მელევა.
არ დაგიჯერე ძვირფასო ჩემო,
ეს სადარდელი არ დამელევა.
ნეტავი მაშინ არ წავსულიყავ,
ოცნებებიდან არ გაგქცეოდი.
ჩემს ჯიუტ გულში შემოსულიყავ,
და შენც ჯიუტად შმომხვეოდი.
წამომწეოდი ვით ქარიშხალი,
ჩამოგელეწა ურჩი რტოები,
გულში ჩაგესვი ვით ნატვრის თვალი,
დასალიერში წამოგყვებოდი.
და კვლავაც შენსკენ მეძახის ფიქრი,
შენზე ოცნება არ მინელდება.
გაყინული მაქვს ძარღვებში სისხლი
ისე მწყურია შენი შეხება.
მე, უფრო მწვავს და უფრო მახელებს
ჩემს ფიქრებს როცა ეჯიუტები
წუხელ სიზმარში თრთოლვით გეძებდა.
ჩემი თავნება მწეველი ტუჩები.
თუ, დამიჯერებ, გულის კედელზე,
შენი სურათი ისევ ჰკიდია...
და ჩემი სულის ცვრიალ ფერდობზე,
ორი აჩრდილი მზისკენ მიდიან.

2012 წ.

ვერ ვარქმევ სახელს

უეცრად ცამან, დაჰკარგა შუქი,
ჩამოეფარა ძაძები ზეცას.
დამძიმდა დედის წამი და წუთი,
ხელში ჩამაკვდა სიცოცხლე დედას.
გულს მიკლავს შენი ქვეყნიდან წასვლა,
დამსხვრეულ იმედს მიქექავს ქარი...
მე, რაღად მინდა სიცოცხლე ქვეყნად,
როს მონატრებით გული მაქვს მკვდარი...
შენს შემდეგ ბინდში დავეხეტები,
ეკალბარდებით დაბურულ ტყეში.
მწარე ცხოვრების ურჩი დარდები,
გველის შხამივით ამომდის ყელში.
არ ვიცი, როდის თენდება დილა
და არც ის ვიცი, ღამდება როდის...
შენზე ლოდინი ადრე არ მღლიდა,
ახლა კი ბოლო არ უჩანს ლოდინს.
სულგაძარცვული დაგეძებ თრთოლვით,
აცახცახებით შევყურებ კარებს.
სული მევსება ყინვით და თოვლით
და შეშლილივით ვაცეცებ თვალებს.
უაზრო ტვირთი კვლავ მხრებზე მადევს,
ყოველი დილა მწუხრისფერია.
ჩემს ყოფას ახლა ვერ ვარქმევ სახელს,
როცა სიცოცხლე სატანჯველია.
ნეტავ სადა ხარ, რომ ვეღარ გწვდები,
შენი შეხება მწყურია მხოლოდ.
რაც შენ წახვედი ყოველდღე ვკვდები.
მე, ეს სასჯელი მომიღებს ბოლოს.
და ვინ რა იცის, რა ტკივილს ვზიდავ,
რა სატკივარი თუხუხებს გულში.
გთხოვ, გეხვეწები მიმიღე ზეცავ.
რომ შვილს ჩავხედო უძირო სულში.

2019წ.

თამარ ჯაჭვაძე

ღირსება

თაღები ემსხვრევა კვიპროსს და ქაიროს,
სულო, უსასრულო ზღვარს გადადიოდი..
დედა თუ ჰყოლია შექსპირს და ბაირონს,
მე ჩემი ვაჟა მყავს და გალაკტიონი!
მთვარე უზომავდა სიცხეს ოაზისებს,
გრგვინავდა სტამბული, რომი და ირანი...
ძეგლავდნენ ძეებს და ასულებს ზევსისებს...
მყავდეს მიჯაჭვული ჩემი ამირანი!
რამდენმა შეირგო სხვის ქალთა მშვენება,
სხვის ოფლით რამდენი ხაზინა ივსება...
ჩემი წინაპარი რწმენას აშენებდა,
მას ჰქონდა ბორკილი და ჰქონდა ღირსება.
ძმის მარცხში ყოველთვის ძმის ხელი ერია
და ღირსეული მტრის ღირსების ღირს ქება.
დაეცეს დიდი და ყველა იმპერია,
ღმერთო, შეინახე ქართული ღირსება!

მომენატრები

მომენატრები, როცა მიწა ყვავილს გაახელს,
მზეს მოსწყურდება სიმწვანე და გაზაფხულება,
როცა ტოროლა წაიტირებს ერთ ლამაზ სახელს,
როცა ღრუბელი პეიზაჟებს დაემდურება.
მომენატრები ფოთოლივით ფერგადასული,
როცა ხეები მოიცვლიან ჭაღარა ფოთოლს,
შენი ხასხასა სიჭაბუკე, მწვანე წარსული...
მთების კალთებზე შემოდგომის ფერებად მოთოვს.
ჩამოსხდებიან ვარსკვლავები ხეზე ატმებად
აიშლებიან წითელ-ყვითელ ფერთა გამები...
როცა ენძელას გაზაფხული მოენატრება,
ალექსდებიან ტკივილები დაუამები.
მონატრებაზე მოგიყვები, მომისმენ ვიდრე,
წლებთან ბრძოლები გულს ხმალივით
ცვეთდა და ლევდა...
მე შემოდგომის სინაზეში უნდა მოვიდე
და მოგიტანო ჟამგადასულ ფოთოლთა სევდა.

მხატვარი და პოეტი

მ-ს

ზეცა გვეძახის უსასრულო ფერებით სავსე
და ჩვენ, მხატვრები, ვედარებით უჩინ-მაჩინებს...
სული მომთხოვეს, მაგრამ სული ჩარჩოში ჩავსვი,
მე სული ჩემი სხვა სხეულში გადავარჩინე.
ოსტატო, ყველა გუთნისდედას და ღამის მეხრეს
წუთისოფელმა უძლეველი ძალა აჩვენა...
თუ საქართველოს მკლავებივით ჩამოგაჩეხეს,
დამიძახე და... მე ვიქნები შენი მარჯვენა!

* * *

აქ, ამ კუნძულზე ფორთოხალი აყვავდა დიო,
ხეტიალობენ ხმელთაშუა ზღვაზე გემები...
შენ საკუთარი სიზმარივით თან უნდა მდიო,
ვიდრე უცნობი ღამეები დაგიჩემებენ.
თეთრმა ყვავილმა შემომცინა შენი თვალებით
და ფორთოხალმა შუაღამეს მოიბა მთვარე...
ცაზე ჰკიდია; ქარის შოლტით განაწვალები
ნახევარმთვარე ბანანები, და ზღვა მღელვარე.
აქ, ამ კუნძულზე ფორთოხალი აყვავდა დიო,
და ყვავილებმა გადმომძახეს: — გაზაფხულდი-ო!

***

რა მენატრება, რით ვარ მდიდარი?
ქართლის ნაზუქი, კახური ღვინო...
ფერად-ფერადი, რითმამდირარი,
უსისხლო ლექსი არ მათქმევინო!
მე მარტო ცრემლი მწამს მოპარული,
დაიმსხვრას გრძნობა, მოგპარო ოდეს...
ლექსს უნდა ცხელი უცემდეს გული
სული ედგას და სისხლი სდიოდეს.
მაცდური გარეთ არ გაიშვები,
მატყუარაა ფერიც მაისის...
კაცს უნდა ხმალი ჰქონდეს შიშველი
როცა მამულში გლოვის ხმა ისმის.
რა ადვილია გარდაცვალება,
ცალფა ბილიკო, კლდეს ჩახვეულო...
გადაიკითხოს ქარის თვალებმა,
ლექსი უსისხლო და უსხეულო.

***

მზერა ირიბი და ალმაცერი...
სურვილს დაერქმევა სხვა სახელი...
ერთი ლექსი დამრჩა დასაწერი,
ერთი საიდუმლო – გასამხელი.
ასე ღრუბელ-ღრუბელ მოვფრინავდი
და დედამინაზე ჩამოვეშვი...
შენთვის მიხაროდა დაბადება,
თორემ რა მინდოდა ამ მორევში?..

კახეთში

მოთმინებამ გზასთან დადო ზავი...
დედა დამხვდა ეზოს ღია კართან...
გამიშალა მოკანკალე მკლავი,
ჩაიფერთხა კაკლიანი კალთა.
– მოდით, შვილო, გენაცვალოთ დედა!
თავი როგორ მოგვანატრე, გოგო...
– მოდიანო! რა იცოდა ნეტა?!
(მამა წნავდა სათონესთან გოდორს.)
აივნის ქვეშ ხელგაშლილი სუფრა,
სუფრის თავში ხელადები სველი...
დაბრძანდითო, დინჯად ასაუბრდა
პაპისტოლა ტახტი, ძველისძველი.
მარნის კართან ჩამწკრივებულ ჯაგნებს
მისდგომია ჩურჩხელების ჯარი...
“მომხდურებმა” იქვე ხაპს მიაგნეს,
მკლავად ჰქონდა შინდის ჯოხის ჯვარი.

...
ჩემი კერა... მოგონება... დარდი...
მონატრება მოხუც მკლავებს მხვევდა...
შემიკერა დრომ დუმილის ჩადრი...
კართან უკვე აღარ მიცდის დედა...
ბებერ ქვევრში ჩაიღვარა ღამე...
“წავალთ კიდევ?!”...
დაგვრჩა საოცნებო...
გა-ვ-უცხოვდით,
დუმს სოფელი... და მე...
მაპატიეთ, ჩემო ლექსის ძმებო!

ქვევრის თავზე კელაპტრები ენთო,
ღვინომ ჯამში გაახილა თვალი...
მეორე ხმას მოსძახოდა ერდო...
ბანს მარანი – ბაყბაყდევი მთვრალი.
ბახუსს უცებ რომ შეეთბო ძვლები,
სადღეგრძელო ყველამ შეამოკლა...
ვსვამდით მე და ჩემი ლექსის ძმები,
გვერდით გვეჯდა გაბღენძილი გოგრა.
მკვახე ძუძუს გაშრობია რძე და
გუდა ლეღვი იშმუშნება გარეთ...
თონეს წითელ შოთს ასტაცებს დედა;
გატეხეთო, შვილო, გაიხარეთ!
ვით სამწვადე ნაკვერჩხალი ცაზე,
სათივეზე ვარსკვლავები ყრია.
იწურება ლექსით სავსე ღამე...
და ამ ღამეს სიყვარული ჰქვია.

***

აღარ ვწერ! – ვთქვი და...
ზეცას გულზე ლოდი მოება,
არ გაპატიებს
ნიჭის ფლანგვას დიდი დროება.
რად მინდა ტაში
ისეც მანგრევს ამაოება,
რად მინდა ლექსი
მე ვარ ქალი, მთელი პოემა.

ერთიანი საქართველო

როცა მტერზე ილესები, როცა ბრჭყალს უსინჯავ ბოკვერს,
როცა უფალს მიაბარებ რუსთაველს თუ სარგის თმოგველს,
როცა ბოღმა დამარცხების გადაგივლის გულის წვერზე,
როცა ლექსი წამოგცდება ჭირში გაუტეხელ ერზე.
დაიღლები როცა ძებნით წინაპართა ნატერფალის,
სხვის მიწაში ატირდება პაპის ქვევრის ნატეხარი,
შეეყრები საქართველოს, როცა უცხო ქვეყნის გზაზე
და თვალები გეფეთება ძველქართული ცრემლით სავსე.
როცა გინდა ვინმეს ეძმო, ამოყვრო და აქართველო,
მტერმა არა, როცა შიშობ მოყვარემ არ გადაგვთელოს,
ილოცები: – ღმერთმა მოგვცეს ერთიანი საქართველო!
შენ თუ არა, მე თუ არა, ვინ გვინდა რომ გაგვამრთელოს?!
სალამური გახარებს თუ ფანდური და გუდასტვირი,
ვიღაც დარდობს და სიყვარულს ბულბულივით ლექსად ტირის,
თუ კითხულობ მეგრელია, კახელია თუ რაჭველი,
სწორედ შენ ხარ, შენი ხელით საქართველოს გულდამჭრელი.
ყველა ბრძენობს, ყველა ზეობს, საკუთარ ძმის დამარცხებით,
სიამაყევ რად არ დუმხარ, ქედმაღლობავ რად არ ცხრები?!
სწორედ მაშინ მესევიან ყვავ-ყორანი ფრთაგაშლილი,
როცა მკითხავ საიდან ხარ, ან რომელი კუთხის შვილი?!
დღესაც ისევ ქუცმაცდები ჯგუფებად და პარტიებად,
სიყვარული კი არა და.. ჭირს მოყვასის პატიება,
სისხლში მიდუღს საქართველოს ყველა კუთხის თითო წვეთი,
მიხარია, საქართველო ჩემით როა ერთით მეტი!

ქეთინო ნიკურაზე

მუზა

ლექსმა უნდა აგამღეროს,
ზოგჯერ კიდეც აგატიროს.
გულის კარი გაგიღოს და
თავისთავი გაპოვნინოს.
ოცნებებით გმირად იქცე,
ლექსის ძალა ამაშია.
ჩემო კარგო, ეს ცხოვრება,
განა მართლა თამაშია.
რეალურად რაც არა გაქვს,
მუზა ყოვლის პატრონია.
ყურმოჭრილი მონა ხდები,
როცა შენი ბატონია.
იცი მუზის მსახური ხარ,
არის შენი მბრძანებელი.
უნდა გაგცევს მშვიდ მიჯნურად,
ხან კი ხდები დასაბმელი.
მუზა თავს რომ დაგესხმება,
მისი ტყვე ხარ, ძალას კარგავ.
მუზარადიც რომ აისხა,
მისგან თავს ვერ დაიფარავ.

****

ბედუკღმართობამ ხელი დამრია
და აღარ ვიცი რაღა ვიღონო.
ბედს დავმორჩილდე? არამც და არა!
გამოსავალი უნდა ვიპოვნო.
სიყვარულს ვიცი დავეშვიდობე,
ახალგაზრდობის წლები გაფრინდა,
და სიყმაწვილის მატარებელი
ეჰ, რახანია უკვე წავიდა.
ბედს არასოდეს ვეპუებოდი,
გული ყოველთვის სულ სხვას ელოდა.
ჭრიჭინასავით დავჭრიჭინებდი.
და მისი ხვედრიც ვიცი მელოდა.

საიქიო თუ სააქაო

ვერ გამიგია ვინ შევიბრალო,
გარდაცვლილი, თუ ვინც ცოცხლად რჩება.
და, თუ სიკვდილი ნეტარებაა,
მაშინ რად ვგლოვობთ, თუ ვინმე კვდება.
რატომ გვახარებს ბავშვის გაჩენა,
ან რად გვაშინებს სიბერე ყველას?
და, როცა ვიგრძნობთ სიკვდილის აჩრდილს,
რატომ მოვითხოვთ ღმერთისგან შველას?
გვაჯერებენ, რომ ჩვენ კი არ ვკვდებით,
ჩვენი ცხოვრება გარდაიქმნება.
სააქაოში თუ გვაკლდა რამე,
საიქიოში უთუოდ გვექნება.
ჯახირით გაგვაქვს წუთისოფელი,
ვიტანთ მოყვასის გაუტანლობას.
რწმენა - იმედით ვცხოვრობთ მეტწილად
და უფლისადმი ვაცხადებთ ნდობას.
აქ თუ ცხოვრებით ვართ უმადურნი,
ბედნიერება იქ ხომ გვეწვევა.
და, თუ ასეა, სიკვდილის გამო,
გულში ტკივილი რად ვერ ეტევა.
რატომ ვიხოცავთ ტირილით თავებს,
როცა დავკარგავთ ახლობელს ჩვენსას?
რად ვიმოსებით შავი ძაძებით,
რისთვის შემოვკრავთ ზარებს გლოვისას?
არავინ იცის, რომელი რა სჯობს,
და ასე ალბათ უმჯობესია.
თუ არ დავარღვევთ ჩვენ საღმრთო კანონს,
რწმენით ცხოვრება უკეთესია.
ადამიანი იმდენჯერ ცდება,
ზოგჯერ არ მოგვწონს ჩვენ სხვისი ქცევა.
მაგრამ მოკვდავებს არ გვაქვს უფლება,
რომ განვიკითხოთ თუნდ სხვისი ცოდვა.
ნურავინ ფიქრობს უცოდველია,
თავი არავინ არ მოიტყუოს.
არავინ იცის, ვინ როდის ვცოდავთ,
ყველამ ვილოცოთ, რომ მოგვეტევოს.
რადგანაც ყველა განვიკითხებით,
სააქაოში თუ რამ შევცოდეთ.
ამიტომ უფალს ვთხოვოთ შენდობა,
საიქიოში ისე წავიდეთ.

****

ამ ოცნებებმა დამღალეს,
მუზავ ნუ დამეკარგები.
ლექსო ამოგთქვამ ტკივილით,
თითო სტროფს ჩავეჭიდები.
როგორც კი სევდა შემიპყრობს,
ქაღალდზე დამაქვს ფიქრები.
მაშინვე შვებას ვპოულობ
და მიქავრდება დარდები.
ლექსით გაგიმხელ ხვაშიადს,
გულში რაც კი მაქვს ნაჟური.
სიწითლე ლოყებს დამიწვავს,
მჭარბობს სიმორცხვე ქალური.

****

რატომ იცრემლები,
რა გატირებს ცაო?
რად შეიკარ წარბი,
რატომ ბრაზობ ზღვაო?
რად ბობოქრობ ასე,
რატომ შფოთავ ქარო?
ნაკადულო, შესდექ!
ყოველთვის რად ჩქარობ?
ასე ჩუმად რად ხართ,
რაზე ფიქრობთ მთანო?
მზეც კი არ იცინის,
ღრუბლებს გაჰყვა თანო.

ყვავილების მეჯლისი

გაზაფხული შემობრძანდა,
მზე ოქროსფერ სხივებს ქარგავს
ბუჩქის ძირას ლურჯთვალება,
ციცქნა ია თვალებს ნაბავს
ენძელას და ყოჩივარდას,
გულის კარი გაუღია.
გაიღვიძა არე-მარემ,
ხეებს კვირტი გაუშლია.
ზოგი მღერის, ზოგიც ცეკვავს,
ირგვლივ ყველა ხალისობს.
ყვავილების მეჯლისია,
გაზაფხული მაისობს.
ვის არ ნახავთ აქ მოწვეულს,
ძალზე ბევრი სტუმარია.
ცეკვები და და სიმღერები,
ერთმანეთში აირია.
პირველობას არავინ თმობს,
ყველა ერთობ ლამაზია.
წითელკაბა ყაყაჩო, თუ
პაწაწინა ველის ია.
ვარდს პატივი დიდი ერგო,
ტახტრევანზე ააბრძანეს.
ქედი მდაბლად დაუხარეს,
მოკრძალებით თაყვანი სცეს.
აქეთ-იქით გვერდს უმშვენებს.
ტიტები და გვირილები.
კეკლუცობს და ყელს იღერებს,
თავმომწონე ზამბახები.
აბა, განი, განი, განი,
ფერხულს უვლის ზაფრანები.
ცელქმა სიომ საცეკვაოდ
გაიწვია მიხაკები.
სიმღერით კი თავს იწონებს
იელი და შროშანები.
ბანს აძლევენ ხმა შეწყობით.
ღიღილო და პიონები.
იასამანს ელიმება,
ახლა მისი დადგა ჯერი.
მასზე კარგი მომღერალი,
ჰგონია, რომ არვინ არი.
ნარცისსა და ვარდკაჭკაჭას
ცოტა ღვინო მორევიათ,
და ორივეს მოკძალებით,
ოდნავ თავი დაუხრიათ.
საცეკვაოდ ემზადება
სხვებთან ერთად გიორგინა.
ახლა მათი დრო მოვიდა,
დაუვლიან განდაგანას.
ჯადოსნური დილა არის,
არნახული ხალისია.
ზოგი მღერის, ზოგიც ცეკვავს,
ყვავილების მეჯლისია.

ეკატერინე ქვრივიშვილი

* * *

მტერი სადაა?!.. მენატრება ადამიანს, რომ გავიზარდო,
გავაფერადო ფერწასული სამყაროს გვერდი...
დამუნჯებული, ყრუ ქვეყანა წლობით რომ ვზარდო,
შეწუხებული მელოდიით იკვნესებს ვერდი...
კლავიშებივით აიშლება სულის აფრები,
აწიოკებულ მიწას სისხლი შეუდედდება...
აბჯარასხმული ტყუილები, როგორც აფთრები,
დედამიწაზე კისკისში და ტყუილში კვდება...

* * *

სოფლის ორღობეს ჩამოირბენს გოგონა ჩუმად,
ნაგაზი ყეფით უპასუხებს ფეხის ნაბიჯებს...
მამის თვალებში ჩაგუბებულ ცრემლებს
უჩუმრად,
მოსწმენდს ხითხითით და ტკივილებს
გადააბიჯებს...
გულმა უმტყუნა წუთისოფელს,
დამაჭრდა სისხლი,
ადუღებული სიძულვილით დაპურდა ყველა...
გაშავდა მზე და ტყუილები
ღვინოდ დავისხით,
სლუკუნებს ენა
-დედამიწა, რაღამ შეშალა?..
ითვლი ბედნიერ წუთებს წლების,
ალერსით ივსებ,
სოფლის ორღობეს ჩამოირბენს გოგონა
ჩუმად...
-დაუვიწყარი ბავშობაა-გაჰკივის ისევ,
ამშრალებს მამის თვალებიდან ცრემლებს
უჩუმრად...

* * *

საქორწილო კაბით
ვითხოვ გამასვენოთ...
სცენას მაზიაროთ,
წუთით დამასვენოთ...
ცეკვით მომატაროთ
ქუჩა მოკირწყლული,
ცრემლი შეიმშრალოთ,
მოიშუშოთ წყლული...
თეთრში არ არიოთ
შავი სამოსელი,
მოსპეთ ორატორი,
სიტყვით გამომსვლელი...
სუფთად შემინახეთ
ერთი კარგი ღვინო,
იქნებ მოვახერხო
ძილში ვიღიღინო...
აღარც ფიქრი მოვა
შეკაზმული აზრით...
გაჩერდება გული
გაცრეცილი ფრაზით...
ბაგე დადუმდება
გადაღლილი ენით...
სადღაც იცინებენ,
ამიკლებენ სტვენით...
საქორწილო კაბით
ვითხოვ გამასვენოთ...
სცენას მაზიაროთ,
წუთით დამასვენოთ...

* * *

აღარ დაინდო ცხელმა ზაფხულმა ჩემი გაშლილი გრძნობების ტილო,
მივმართე ღრუბლებს, დაუშვას წვიმა ცოტახნით სული გადავიგრილო...
ამრეზილ ქუჩებს სტოვებდა ფიქრში,
გადათელილი უხეში ჩრდილი...
გიჟურ ამინდში ქარს მოეტაცა სიმშვიდე ერის, უსაფრთხო ძილი...
კრთოდა ჭადარი, არხევდა ტოტებს,
იწვოდა ძვლები, სხეული ხურდა..
ვიგერიებდი მტაცებელ წარსულს, ვინც ჩემი გულის სიღრმე გაქურდა...

* * *

მე შენთან მოსულს, მეგებება ცხელი ზაფხული,
ატმისფერ კაბას აშრიალებს სიო საამო...
ბაგეზე წვეთავს წვიმის ცრემლი,
მელევა სული,
მომტაცა კოცნა უცნობმა და გულიც მაამო...
ვლაშქრე ზვირთებად ავარდნილი
მთები ეკლებით,
მეგზურად გრძნობა გავიყოლე გაშლილ
ველებზეც...
უწყლობით დამსკდარ მიწას ჰგავდა
წასული წლები,
დუღდა სისხლი და ნაკაწრები ჩანდა ხელებზე...
ვჭრიდი გახლეჩილ სამყაროზე ნაპოვნ ბილიკებს,
ჰკვებავდა სხეულს მომღიმარი მზე
გამწარებით...
ხატავდა წამით შემოფრენილ ნაძარცვ მიმიკებს,
გადარეული სიყვარული ცელქი ქარებით...

* * *

შენთან დავრჩები, დავასრულო ბალადა ისევ,
შევერწყა სურნელს ვარდებისას ვატყობ ამრია...
გადავევლო და დავისვენო ხასხასა მოლზე,
შევხვდე მთვრალ აზრებს, ვეპაექრო რომ გადამრია...
გავშალო რთული ბილიკები სხვადასხვა ხმებში,
აღრენილ ქარებს დავულაგო განრიგის ფენა,
მოვეფერო რომ ბახის ფუგებს გაუჯდეს ძვლებში,
მარტივი ბგერის სრიალი და შეწყვიტოს წყენა...
მსუბუქ ტრიალში ჩავირბინო ვალსებით ღამე,
ავაწრიალო სისხლი ძარღვში და გავატარო,
მდუმარე ბაგეს დავეკონო, წამოსცდეს რამე,
ვასეირნო თან ხეივნებში გამოვატარო...
იქნებ ჩავაქო მობუზღუნე წარსულის ალი,
სიმფონიებით გავაჯერო ჩემი ოცნებაც,
ძილში დავტოვო მომზირალი უცნობი თვალი,
დავასამარო დატოვილი შეშლილი ვნება...

შენთან დავრჩები, დავასრულო ბალადა ისევ...

* * *

შემოგეხვიე დარდის მძივებად, როგორც
მტირალა ტირიფის ტოტი
და სიყვარულის სხივი
მოგფინე,
ზაფხულის ცხელი დღეების შფოთვით...
მერე გაზაფხულს მოვტაცე წვიმაც,
სილაზე ამბორს ვტოვებდი ფიქრით...
ამედევნა და ვერ შევამჩნიე
ოცნება ჩემი, მოსული ფიფქით...

იცი რას ვიზავ?!
შემოდგომის პირს აწიოკებულ ფერებში გავხვევ,
მოვქარგავ ტილოს, თან ავცეკვდები,
ნახევრად დამწვარ წერილებს დავხევ...
ცელქი ბავშვივით მეც ავცეტდები,
როგორც თოლია ზღვას გადავიფრენ,
დაქუცმაცებულ წარსულს შევხვდები
და უსასრულოდ სივრცეში ვიფრენ...

შალვა ილურიძე

უხილავი ცოდვა

ერთიანად?!
დანმაშავე კაცი ვარ,
ცოდვა დამაქვს
გულში არ საპატიო!
ერთიანად?!
ადვოკატიც ვყოფილვარ,
მინდა ჩემს თავს
ბევრი რამ ვაპატიო...
ერთიანად?!
მოსამართლეც გავმხდარვარ,
ჩადენილი!!!
ცოდვა არ ვიპატიო...

ჩემო სამშობლო

ჩემო სამშობლოვ, ღიმილი გშვენის,
როგორც გაზაფხულის ნუში,
რომელი ტკბილი სიტყვით შეგამკო,
სისხლზე მეტი ხარ გულში...
მე შენ ძველ წარსულს არ შეგახსენებ,
მწარე სევდა გაქვს სულში.
უფლის წილხვედრო უნდა გაბრწყინდე,
სისხლზე მეტი ხარ გულში...
შენს ლამაზ ფლორას, ლამაზ ფაუნას,
მარცვალს ჩავუგდებ ხნულში.
მუხლ-მოყრით ტკბილად ჩაგეხუტები,
სისხლზე მეტი ხარ გულში...
ჩემო სამშობლოვ, ჩემო სამკვიდრო,
ჯვარი ჩამასვი შუბლში.
საქრისტიანოვ დედულ-მამულო,
სისხლზე მეტი ხარ გულში.
ხარ ირემივით გადმოვფრინდები,
შენს ბაღ-ვენახის წნულში...
მთაზე ვდგავარ და იქიდან ვკივი,
სისხლზე მეტი ხარ გულში.
ეს სიყვარულიც შენგან ვისწავლე,
ბავშვს ჩამიწანი სულში,
ახლა თეთრ წვერას უფრო უყვარხარ,
სისხლზე მეტი ხარ გულში...
მიყვარხარ ძლიერ ჩემო სამშობლო,
ვერ გაგცვლი ოქრო, ფულში.
ტკბილო მშობებლო, შენი შვილი ვარ,
სისხლზე მეტი ხარ გულში!!!

უმუხთალო წუთისოფელო

ხან ტკბილი ხარ და ხან მწარე,
სიცოცხლევ ძვირად მყოფელო.
მაგ ქცევით თავს რად მაძულებ,
მუხთალო წუთისოფელო?!
ან რატომ გავჩნდი ვიწყევლი,
უფლის ნაჩუქარ სულსაო.
ჩემს კერაზე ვერ ეღირსა,
სიბერე ამ ჩემს გულსაო...
ბარს დამიბერა ტკივილმა,
ჯვარიც მიკვეთავს მუხლსაო.
რამდენი ქსნელი დევნილი,
ჩემებრ კვნესის და სწუხსაო...
მაინც ასე რად მიმეტებ,
ავის და კარგის მყოფელო?!
ხან მამღერებ ხან მატირებ,
მუხთალო წუთისოფელო!..

თავთხის პური

ყანაში ვდგავარ, ფიქრთა მთოველი,
ვხედავ თავთუხი, როგორ ღიღილობს,
დამძიმებული პურის თავთავი,
ჩუმად თავისთვის ტკბილად ღიღინობს.
მაგრამ ყაყაჩო შემოპარულა,
უფლის ყანას რომ წითლად ამშვენებს.
ო, ეს ფერები, ეს სილამაზე
თავთუხის პურს თუ გადააშენებს...
აი უფლისა საბადებელი
მისცა ადამსა სარჩენად მისა,
სიკეკლუცით და მის სილამაზით
თავთუხსა უთხრის ყაყაჩო ძირსა.
ოხ სილამაზევ, თვალის მომჭრელო,
როგორ გინდა რომ გაიბატონო,
მაგრამ თავთუხზე თუ მაღლა სდგახარ,
უფალსა ჰკითხე! – წადი ბატონო!!!

როგორ არ მინდა

როგორ არ მინდა!
ამ საწუთროდან
შენს უნახავად გარდავიცვალო.
როგორ არ მინდა!
სიმწრის დღეები
დევნილობაში ვთვალო და ვთვალო.
როგორ არ მინდა!
ლომისის ხატში
სანთელს უჩემოდ ანთებდე ქალო.
როგორ არ მინდა!
ჩემს სამების მთას,
წეროვანიდან უცქერდე თვალო...
როგორ არ მინდა!
აქ ბარში მოვკვდე
არ გადაგსერო ჟამურის მთანო.
როგორ არ მინდა!
ჭურთის კალმახსა
ზურგზე ვარსკვლავნი აღარ ვუთვალო...
როგორ არ მინდა!
წინაპრის საფლავს,
ეკალ-ბარდები არ მოვაცალო.
როგორ არ მინდა!
ჩემსა სამკვიდროს
ბარიდან მწარედ ვუმღერდე ქალო...
როგორ არ მინდა!
წეროვნის ველზე
სიბერის ტკბილი დღეები ვთვალო,
როგორ არ მინდა!
ჩემო სამკვიდროვ!
პაპის სახლ-კარო!
ჩემო სიცოცხლევ!
შენ გაგეყარო!!!

მკვლელი ხარ მკვლელი
სიკვდილო

კიდევ ერთი მეგობარი
ხომ წამართვი სიკვდილო,
როგორ გინდა შე ქოფაკო
დევნილს გულზე მიკბინო.
საძმო გამინახევრე და
ვერა სძღები სისხლითა,
სუყველას რომ გვემუქრები
მაგ ბოროტი თითითა.
ძმების სულის სახსენებლად
ვდგავარ უფლის კართანა,
ძაან ადრე ნუ მაყენებ
მკვლელო, –გლოვის ზართანა!!!

დავით ახლოური

ციკლიდან „მომენატრა ახალგორი"

ვერ ვეგუები,
ველარ ვიტან
უკვე ამ ურდოს,
მათ მბრძანებლობას
ხანგრძლივსა თუ
მოკლევადიანს...

ისეთი რამე გავაკეთო,
მინდა მამულო,
სხვას კი არა და,
გაუკვირდეს
ცოტნე დადიანს!

ქსნის ხეობას

ველარ ვიშუშებ ჩემი წყალ-ჭალის ნატყვიარს,
მინდა დავბრუნდე,
მაგრამ გზა ჯერაც არ ჩანს...
იქ დედაჩემის ნაფეხურები ატყვია,
იქ საფლავების ცივი ლოდინი დარჩა.
ვფურცლავ დღიურებს – ატირებულებს
ბალღივით, ისევ ვინახავ
ქსანზე მოწყვეტილ ყვავილს...
დავეხეტები ხიზნის მანტიით დაღლილი
და მონატრება გულში ხარივით ბღავის!

* * *

ჩემი გზა-ბილიკი დარდია და,
ასჯერ გაცვეთილი სინანული,
როგორ წაგვიხდა და გატიალდა,
მტერს რომ შევატოვეთ – ი მამული...
აღარც ქარჩოხისკენ გავიხედეთ,
ველარც მოვიკითხეთ ძმა-მოყვრები.
გული მიეცემათ ა იმ ქედებს,
შენ თუ ახალგორში წამომყვები...

* * *

ეს მერამდენე დაზამთრება იქნება ცივი,
ეს მერამდენე დაღამება – აუტანელი.
უნდა ვუსმინო გამყიდველთა უაზრო ჩივილს,
უნდა ვინამო სიყვარული – გაუხარელი.
მთელი ცხოვრება ეცდებიან დამმართონ ბნედა,
მეც დიდხანს ვითმენ – მინდობილი უფალს და იღბალს.
ერთხელაც, ალბათ, ყველას ერთად ვუხსენებ დედას
და სამუდამოდ ჩამოვიხსნი „ჭკვიანის" ნიღაბს...
უკვე დამღალა ამ უაზრო „მოთმენის ნიჭმა",
პირში ქებამ და ზურგს უკან კი გველის ფაფხურმა.
ყველა ახვარმა, ყველა კახპამ და ხელის ბიჭმა
ერთად სცადეს და ჩემთვის აღარ გაიზაფხულა.
ეს მერამდენე დეკემბერი მიყინავს ხელებს,
ეს მერამდენედ ჩამისაფრდა სულით საპყარი...
რა გადამარჩენს, ახლა შენ თუ არ მოგეფერე,
შენს სიყვარულში თუ არ ვპოვე თავშესაფარი...

* * *

ცხოვრებისაგან ათასჯერ ნაცემს
შენი სიშორე უფრო მაწამებს.
აღარ მოვყვები რამდენჯერ გამცეს
თუ შენს მოკვეცილ დალალ-ნაწნავებს
ჩამაყოლებენ საფლავში მერე,
როგორც ფშავლების ადათ-წესია...
ალბათ ერთხელაც ვერ შემიფერებს
სადაც დამმარხავთ, ის ეკლესია.

* * *

ქალი უნდა იყოს ვნებიანი,
ცოლიც,
საყვარელიც,
მეგობარიც...
კაცი თუ დიაცის მეფე არი,
ქალი კაცისაა დედოფალი.
კაცი მტკიცე მწამს და ვაჟკაცური,
მტრისთვის ნაცნობი და
ასჯერ უცხოც...
ხმალი უნდა იყოს აბასრული,
ქალი აქალოს და აკეკლუცოს,
პაპის შეუნახოს შვილებს ოდა,
კარი არ დაუთმოს იმ ძველ ბოქლომს...
კაცმა ქალით უნდა იმეფოს და
ქალმა კაცით უნდა იდედოფლოს!..

მაცხოვრის ფრესკასთან

ვინ იცის წინ კიდევ რამდენი ფიქრია,
რამდენი დარდია, რამდენი ტკივილი...
სადაც აღმართია, დაღმართიც იქვეა,
ცრემლმა წამიშალა ამ დილით ღიმილი.

ვემხობი... უფალთან შეხვედრა მწადია,
არ ვიცი, ტაძრის გზით ბოლომდე ვინ ივლის...
მაცხოვრის ფრესკასთან ამ დილაადრიან
რატომღაც ბავშვივით მომინდა ტირილი...

ბროწეულები

მწიფობის თვეს იფერებდა ბროწეული,
სამოსელი ვერ იტევდა მკერდს...
მთვარე მყავდა შუამავლად მოწვეული,
მზის ტრფიალი მე მიქებდა ბედს.
მწვერვალზე რომ ამღვრეული ნისლი იწვა,
როგორ ჰგავდა ჩემს საყვარელ „ცას"...
ქვეშაგებად არ გვყოფნიდა დედამიწა
და საბნადაც ვერ გვწვდებოდა ცა.
ცახცახებდა ქალი, როგორც ჯეირანი,
მავედრებდა ათრთოლებულ გულს...
არ ივიწყებს ჩემი სახლის ხეივანი
ასჯერ ნათქვამს: „მეყვარები სულ"...
ღამე იყო შეშლილი და მოწეული,
უსირცხვილოდ იღეღავდა მკერდს
და მწიფობა შეპარული ბროწეული
ქალწულობას აგონებდა მდედრს...

* * *

ხანდახან ისე თბილია მიწა,
ხანდახან ისე ცხელია გული,
მოგენატრება იმ წუთს და იმ წამს
მიენდო ფიქრს და მიეცე სურვილს
და ის სამყარო აჩუქო დიაცს,
რომელიც შენი არასდროს იყო,
გაექცე ყველა ჭორსა და გნიასს,
ჯოჯოხეთიდან შორს გაირიყო
იქ, სადაც მეტი ჯოჯოხეთია
და მხოლოდ შენთვის ჰქვია სამოთხე...
იქნებ ყოფნაზე უფრო მეტია
მის სიყვარულში სული ამოგხდეს,
ვისაც შენს გამო შეაცდენს გველი,
ვინც შენთვის შვეს და სხვაგან გათენდა...
შენ ადამი ხარ და სადღაც გელის
მკათათვის ცხელი ამონათება...
გიყვარს... მის იქით ვერაფერს ხედავ...
გათბობს... ნებდები ფიქრსა და სურვილს...
ზოგჯერ ღმერთივით მშვიდია მზე და
ზოგჯერ მზესავით თბილია გული...

* * *

თუ უყვარხარ და რჩეულს გიწოდებს,
თუ გაგაღმერთებს ქალი მხოლოდ შენ,
უნდა გიყვარდეს როგორც სიცოცხლე,
უნდა იბრძოლო მისთვის ბოლომდე...

თუ გიყვარს უნდა მიენდო სურვილს,
ნუღარ დამალავ მთრთოლვარე თითებს...
რა პატარაა ხანდახან გული
და როცა გიყვარს, სამყაროს იტევს!..

* * *

ასე მგონია
შევცვალე ბედი,
ვცხოვრობდი
სადღაც
ღრუბლების ზემოთ,
თუ რამე ვთქვი და
თუ რამეს ვწერდი,
ისევ შენი ხმით,
უფალო ჩემო.

არ დამიკარგავს
იმედი ხვალის,
არცა ვყოფილვარ
სხვისი
საშველი,
მხოლოდ ბალახის
მიმყვება ვალი
ჩემს სამარეზე
ამოსასვლელის!

ჯუბა ღებელი

უფალს

 აქ ერთი მცირე თხოვნა მაქვს,
მერე იქ გეტყვი დანარჩენს,
ერთ შენს სისხლსა და ხორცთაგანს,
ნუ გამოუტან განაჩენს,
 სანამდე ზეცას ვიხილავთ,
მიწაზე უნდა გადავრჩეთ!..
სადაც ლოცავენ მატათას,
უსმენენ კაბადოკიელს,
თევდორეს, ცოტნეს, პაატას,
ორივე ხელი მოჰკიდე,
ჩემი სამშობლო პატარა,
იებით შემამკობიე!..

***

წავიდნენ ჩემი ტოლები,
სიკვდილზე ასხმულ ტოტებად,
მეც მუდამ ვინმეს ვტოვებდი,
მეც მუდამ ვინმე მტოვებდა...
ვარ თითქოს, თითქოს აღარც ვარ,
სულში წვიმს, გარეთ ქარია,
ბოლომდე მაინც რაღაცა,
არასდროს არ მიხარია...
აუვა ნისლი ფერდობებს,
შენც წახვალ ღრუბლის ნაფლეთო,
ასეა, დრონი მეფობენ,
იცლება ჩემი სამეფოც...
მიდიან ჩემი ტოლები,
სიკვდილზე ასხმულ ტოტებად,
შენ თუ მე მიმატოვებდი,
სიკვდილიც რაღად მტოვებდა?!.

***

მდინარეები მიდიან,
მდინარეებზე ხიდია,
უხიდო მდინარეებზე,
ქარები გადაივლიან!..
სოფელში ერთი სახლია,
სულ ბოქლომები ასხია,
მიტოვებული სახლები,
წყალს მოდებული ხავსია!..
ბურთი მაწვება ყელთანა,
გადაირია ქვეყანა,
მინდოდა ჭირი გამეგდო,
შინ ლხინი შემომეყვანა!..
გზა-გზა ვკაფავდი ხვიარებს,
თან ვიშუშებდი იარებს,
ვერ მოვარჩინე მამული,
რამდენი სად არ ვიარე!..
იქ ვერ ვარ, სადაც კარგია,
კარგად ვერ ყოფნაც ნაკლია,
ჩემი დაკარგულ მიწა-წყლის,
დარდი მომყვება აკვნიდან!..
შენ, გულო, გულით ნაშობო,
სულ დარდი ღმერთმა გაშოროს,
რამდენიც უნდა ეცადონ,
ვერ წაგვართმევენ სამშობლოს!..
მდინარეები მიდიან,
მდინარეებზე ხიდია,
უხიდო მდინარეებზე,
ქარები გადაივლიან!..

დე, მოდი ისევ ისე მიმღერე!..

დე, ალბათ გღლიდა ჩემი ბავშვობა,
ახლა გაწუხებს ჩემი სიბერე,
დე, ყველაფრისთვის დიდი მადლობა,
დე, მოდი ისევ ისე მიმღერე...
როგორც აკვანში ჩვილს მიმღეროდი
და მერეც, როცა ხელით დაგყავდი,
დე, ამ ჩვენს ბედკრულ საქართველოში,
სიცოცხლე გახდა ავად-სახადი...
ჭირია მუდამ ლხინის თანმხლები,
ჩვენი სკიპტრაც ხომ დედო-ზარია,
სიმღერას არქმევს კვნესას ქართველი,
“იავ-ნანა” ჰგავს სევდის არიას...
დე, მოდი, ისევ ისე მიმღერე,
ჩემს ბავშვობაში როგორც მღეროდი,
რომ ეს ხმა ტკბილი ძირ-ძველ იბერებს,
მუდამ გვესმოდეს საქართველოში!..

***

ღამე თეთრი არის თოვლიანი,
როგორც ცაა ახალ მთვარიანზე,
მოდი, დაუკარი ლოთიანი,
დაღლილ გულ-ჯიგარზე გაიარე...
აღარ ქეიფობენ აშუღები,
აღარც მუხამბაზებს უთრთით სევდა,
როგორ მენატრება ხარ-უღელში,
შებმულ-შეკვართული გუთნისდედა...
კაცი მენატრება გულ-მართალი,
ქალი მენატრება ნატიფი და
როგორ ყველაფერი რთულად არის,
როცა ყველაფერი მარტივია...
ჰეი, მედუქნევ და მიკიტანო,
ღამე ჩამომისხი ტანშიშველი,
სახლში თავი თუ ვერ მივიტანე,
მერე შენი ღვინო რას მიშველის?!.
ღამე თეთრი არის თოვლიანი,
როგორც ცაა ახალ მთვარიანზე,
მოდი, დაუკარი ლოთიანი,
დაღლილ გულ-ჯიგარზე გაიარე...

სანამ ქრიან ქარები

როგორა ხარ, სად ხარ ნეტავ,
გეძებ მზეზე უმეტესს,
კარს შენ როგორ დაგიკეტავ,
ქარებს გამოვუკეტე!..
ჩემს სარკმლიდან მთებს გავცქერი,
ნისლით ჩამოქუფრულებს,
შენ კი არა, ეს სარკმელიც,
წვიმას შემოვუხურე!..
ბალდახინის ეტლში შებმულ,
დროს მოჰქონდა ზამთარი,
ეს იმ სევდას, თორემ შენ გულს,
როგორ ჩაგირაზავდი!..
შენთვის მუდამ ღია არის,
სახლიც, სახლის სარკმელიც,
სიყვარულის ნიაღვარით,
სულის სანთელ-საკმევლით...
მოდი, სანამ გვიან არის,
სანამ ქრიან ქარები,
გადაღებულ წვიმასავით,
სანამ დავიკარგებით!..

ჩემს ლექსებზე არ მღერიან სიმღერებს!..

ჩემს ლექსებზე არ მღერიან სიმღერებს,
ჩემს ლექსებში დარდი უფრო მეტია,
სიყვარულით გული ვერ მოვიჯერე,
ამიტომ ამ გულში ვერ დაეტია!..
ახლა ტანზე ხან ხორკლივით მაყრია,
ხან ძარღვები სისხლისფერად გამოშლის,
ცვივა თოვლი ძველი სახლის ყავრიდან,
როგორც ჩემი ოცნებები ბავშვობის!..
დღეებს სევდის ბოღჩა გამოუსკვნია,
დგას მოწყენით ცარიელი ვიტრინა,
ჩემს ლექსებში ინაზება მუსიკა,
მაგრამ ზოგჯერ სტრიქონები ტირიან!..
ამ სტრიქონებს არ ამბობენ სუფრასთან,
არა ჰგავან ალბათ სადღეგრძელოებს,
სიყვარულო, რა ახლო ხარ უფალთან,
წლები როგორ გამილამაზმდელოე!..
ჩემს ლექსებზე არ მღერიან სიმღერებს,
ჩემს ლექსებში უფრო მეტი დარდია,
სიყვარულო, მომკლავს შენგან სიშორე,
მუდამ ასე დაგეძებ და დავდივარ!..



ბადრი ქუთათელაძე

ქუჩა

ქუჩა, როგორც ძველი მეგობარი
გვერდით გვიდგას, გვამხნევებს...
სიცოცხლის ბოლომდე იქნება
ქუჩა ჩვენს მეხსიერებაში,
არც ის დაგვივიწყებს ჩვენ...
მხოლოდ ერთი რამ გვტკივა –
სად არიან ძველი მეგობრები?
მიდიან და თან მიაქვთ ჩვენი
ცხოვრების ნაწილი...
რჩება ქუჩა თავისი ფერით,
სუნითა და ჰაერით...
ამ ქუჩაზე ახლა სხვები დადიან...
ქუჩა, როგორც მატარებელი
ახალ მგზავრებს ელოდება,
მაგრამ არც ჩვენი ტანის
სიმსუბუქეს ივიწყებს.

* * *

დღეს მე არა ვარ
კმაყოფილი
ჩემი ცხოვრებით,
დაგაგვიანდა
ჩემთან მოსვლა,
გვიან მოხვედი.
და მე არ ვიცი,
რით ვუშველო
საქმეს წახდენილს,
ისევ სიონი,
სამება და ისევ სანთელი
და მე გიცქერი
განწირული
კაცის იერით,
დიდი ყოფილა,
ღმერთო, შენი
თვალსაწიერი.

* * *

კაფე თეატრალური
სიმწვანეში ჩაფლულა,
ალმა-ატელ გოგონებს
ვესაუბრე ქართულად...
თვალებამოქარგულებს,
კაფე თეატრალური
სულმთლად გავუქართულე.

...და მაინც შენით!

მე ვერ ვიპოვე
ერთი დღეც ლაღი...
ვიღლები ასეთ
ცხოვრების წესით!
ოცნებით,
ფიქრით,
დასკვნებით დაღლილს
სევდანარევი
გამომდის ლექსი...
...და მაინც შენით
მეხსნება ბაგე...
და მაინც შენით
ვამართლებ ყოფნას.
შენ კიდევ თითქოს,
განგებ და განგებ,
ახლოს ხარ და...
...და მაინც შორს ხარ.

* * *

ჩემი სულის ღმერთები
სადღაც შორს მიფრინავენ...
მიწიერი ვედრებით
შევრჩი ადამიანებს.
შევრჩი,
ვხედავ, მადლია
ჩემი სულის მოთოკვა,
ჩემში კარგი რაც კია,
ჩემში რაც კი მომწონდა -
ვერ პოულობს საყდარს და
ქარს მიჰყვება ქარივით...
სული ჩემი გაწამდა,
სული –
თეთრი ყვავილი.

* * *

ვიცი, მოიწყენს
ჩემი სხეული...
და სულს საფრენად
აღარ ეცლება...
დაიკეცება
ძველი რვეული
და ეს ოცნებაც
დაიკეცება...
და სანამ გრძნობა
ისევ ნებივრობს
და არყის ხეებს
ზეცა იზიდავთ,
ნუ წამიკითხავ,
კარგო, ეპილოგს,
ჯერ ხომ ისევ ის
ცელქი ბიჭი ვარ.

* * *

ჩემო კარგო, სიყვარულს
უკვე ველარ აგიხსნი,
არ ექნება სიანცე,
ის პეწი და ხარისხი...
ღვინობისთვის ხესა ჰგავს
ჩალისფერი სხეული,
ის დღეები არ არის,
სხვა დღეებად ქცეულა...
ჩვენ ერთმანეთს ვპასუხობთ
უფრო მეტად დუმილით.
შენს სხეულში გამშრალა
ოცნება და სურვილი...
უფრო მეტი ფიქრი და
გამოხატვა ნაკლებად...
რაც დრო გადის, ეს წლები,
მიწისაკენ გვაწვება.

მოსაკითხი ბარათი
ათი წლის შემდეგ

როგორა ხარ,
ქალბატონო ნანა?
ეს სიცოცხლე,
ვხედავ, არ კმარა...
შეცდომებსაც
ვერ ვასწორებთ, თურმე,
გვეჩქარება
წუთისოფლის სტუმრებს...
არ მასვენებს
ნოემბრის თვის ღამე,
რუსთაველი,
სიცივე და მთვარე,
შენი ცრემლის,
წრფელი ცრემლის გემო...
როგორა ხარ,
ქალბატონო ჩემო!

საქართველოს!

არ შემიძლია,
უტკივილოდ
შენ რომ გიყურო,
შინაურისგან
დაპყრობილო
და გაყიდულო!
ვალში ვართ შენთან,
ფარნავაზო,
მეფევ პირველო,
ათასეული
წლების მერე
უნდა გიმღეროთ...
ვალში ვართ შენთან
და სიშორე
აღარ გვაშინებს,
თითქოსდა ახლა
გიპოვეთ და
აღმოგაჩინეთ!
შორით გვიცქერის
დავით მეფე,
მეფე თამარი!
სიყვარულშია
ჩვენი ხსნა და
გამოსავალი...
აგერ, გაისმის
ლაფშა ცხენის
ტორთა თქარუნი,
ეს ცოტნე მოდის,
დადიანი -
და სიყვარული!
გვმოძღვრავს უბრალო,
წვეროსანი,
მღვდელი ტევდორე..
თავისი ნებით
სისხლი ჩვენი
მამულს ვერ ტოვებს...
და ეს დრო ჩქარი
ჭირ-ვარამში როგორ გავიდა,
სირცხვილი ჩვენი!
ძეგლი ახლა
უნდა დაგიდგათ...
არ შემიძლია
უტკივილოდ
შენ რომ გიყურო,
შინაურისგან
დაპყრობილო
და გაყიდულო!

ერეკლე საღლიანი

შიშმა თუ ვერ მოგდრიკა...

„ქალაქ გაგრის დაცემის შემდეგ, მებრძოლი ლევან ფირცხელანი, თავის მეგობრებთან ერთად ქალაქში შებრუნდა ძმების დასახსნელად, ისინი რუსეთის სადესანტო მებრძოლთა ალყაში იყვნენ მოქცეულნი. თავგანწირული ომის შემდეგ ლევანი გმირულად დაიღუპა მის შვიდ მეგობართან ერთად. სიკვდილის შემდეგ ისინი დაჯილდოვდნენ ვახტანგ გორგასლის სახელობის ორდენით. მათი საფლავი უცნობია, მაგრამ ყოველმა მათგანმა ღირსეული ქართველის გულში დაიმკვიდრა სამარე."

რაღა დღეს მოიცალა ამინდმა საავდროდ,
ღრუბელიც გავსებულა, ცრემლი სდის ღაპაღუპით,
სიკვდილი დაგელაობს, სიკვდილი დანავარდობს,
სიკვდილი დანავარდობს ჩონჩხის რაკარუკით.
მაცდური მაცდურად მოვიდა და მოგვერია,
ზურგიდან მოგვეპარა პირისპირ ვინც ვერ გვავნო,
ქალაქში დარჩენილი ძმები კვლავ მოგელიან,
ძმები ისევ მოგელიან ლევან ფირცხელანო!
დღე, ვით თვალშავთანა მტევანივით იწურება,
დაშვრომის ჟამია და სუყველას გლოვა გვამრთებს,
სახლები გვიქციეს ნანგრევებად, მიწურებად,
სთესენ დაბნედილნი შესაქცევად ეკალ-ბარდებს.
გზა გაეხსნა ჩვენს მიწაზე სისხლის დამაქცევარს,
ფუძე წაგვიბილწა, ვისაც ჭერქვეშ ვიფარავდით,
შენმა გვარმა არ იცის არცა შიში, არც გაქცევა,
შენმა გვარმა არ იცის არცა კილვა, არც ღალატი.
შავი ზღვა სისხლს ისუნთქავს,
ნაპირებს ცხედრებს ესვრის,
ვაი, მარტოსული უშურველი კაცის ბოლო,
რარიგად გყვარებია, რარიგად შენი ფესვი,
არ იქნება სიკვდილმაც კაცად არ დაგიხსომოს.
ხიფათი გისაფრდება სულ ბოლო მოსახვევთან,
ჯავრი გედება და უძინარი ბოლთასა სცემ,
შენი ნებით მიდიხარ უბირთან შესახვედრად,
შენი ნებით მიდიხარ მარტოკა გოლგოთაზე.
ფიქრები გეწეწება დამაშვრალ ნისლებივით,
ზეცა მსხმოიარე ტოტებს გიწვდის ატამივით,
გაიღე სიცოცხლე, კვლავაც კაცურ ღირსებისთვის,
დე, იყავ ზვარაკივით კედელში ჩატანილი.
ალში რომ გახვეულან, ნაჭრევი ნაძვებია,
აქ აღარც სინათლეა და აღარც დაფიონი,
შიშმა თუ დაგძალა, – აღსასრული რა ძნელია,
შიშმა თუ ვერ მოგდრიკა, – ყოფილა რა იოლი!
ილოცავს კვლავაც ჩვენთვის დიდ-დიდი მოძღვარი და,
სიკეთის, სათნოების ჩვენს გულში მომრიყავი,
ზეთს გწირავთ, გიხსენებთ,
ახლა უფრო ცოცხალი ხარ,
ვიდრე მაშინ, ოდესღაც რომ იყავი.
მაცდური მაცდურად მოვიდა და მოგვერია,
ზურგიდან მოგვეპარა პირისპირ ვინც ვერ გვავნო,
გაგრაში დარჩენილი ძმები კვლავ მოგელიან,
ძმები ისევ მოგელიან ლევან ფირცხელანო!

***

ღრუბლების დაშლილი ტივი,
მილეულ სიცოცხლის სვე და...
სექტემბრის ცახცახა სხივი
და გულში ჩამხრჩვალი სევდა.

მინდვრებზე ტბორების რყევა,
ლოდებზე მთვლემარე ხავსი,
ფოთლების ყვითელი რემა
და სივრცე – საფლავის მსგავსი.

თითებში ჩამდნარი მთვარე,
სოფლად მორიალე თალხი,
უსაზღვროდ ფერკმრთალი ღამე,
მიწას რომ მქრქალ ფერებს ახლის.

ღრულბლების დაშლილი ტივი,
მილეულ სიცოცხლის სვე და...
სექტემბრის ცახცახა სხივი
და გულში ჩამხრჩვალი სევდა.

სალოობო

ქარი ცაზე შემკრთალ მნათობს,
აცლის ღრუბლის ნაშრევს,
მსურს, უქმად არ დავიხარჯო
და უქმად არ დავშვრე.

ჩემს სიზმრებში დადიხარ და
ცრემლიც აღარ გწყდება,
მავანთათვის დარდი ხარ და
ჩემთვის დახვალ მწედა.

სიტყვას ვეძებ ბარაქიანს,
დღეს ვაღამებ პწკართან,
არაფერი მაბადია,
სავსე გულის გარდა.

მთასთან ბაასს შორით ვბედავ,
თასს ბოლომდე ვერ ვცლი,
ღვინოსავით მეკიდება
წარღვნამდელი ცეცხლი.

დარი ქუფრობს, სულის ნაპრალს
ფერფლით სავსეს ვხედავ,
რას ვიპოვნი, რას დავკარგავ,
სამშობლოზე მეტად.

ქარი ფიფქებს სტვენით მახლის,
მივბარბაცებ მარტო,
გოჯი მიწის გულისათვის
სიცოცხლესაც დავთმობ.

ავს მოვსტაცო მინდა ხვითო,
ხნულში ვყრიდე მარცვლებს,
რომ არასდროს დავიწრიტო,
რომ არასდროს დავცხრე.

მკერდში ვრგავ და ვითბობ ხელებს,
ფიქრში ვიძირები,
ვაჰ, თუ ველარ გავიმთელე,
დამსხვრეული ფრთები.

უკვე აღარ ველოდები
წერილს, ცრემლით ნაწერს,
სიყმაწვილის შეცდომები
კვლავ სიმძიმედ მაწევს.

დღეებს უკვე აღარ ვითვლი –
დაცლილ ზღაპრის გუდას,
ერთი ნაღდი სტრიქონისთვის,
ვიარსებო უნდა.

წავარნაზე, ცასთან ახლოს,
ჩამიქროლე სიოდ,
რომ სიბნელემ ვერ დამთალხოს,
ვერც სიკვდილმა მძლიოს.

რომ მოვდრიკო თავფრიალო,
ოფლმა სჭექოს ღვარად,
რომ დაღმა არ მატრიალოს
წუთისოფლის ჯარამ.

ქარი ცაზე შემკრთალ მნათობს
აცლის ღრუბლის ნაშრევს,
მსურს, უქმად არ დავიხარჯო
და უქმად არ დავშვრე.

მარი ბერუაშვილი

„ეს ლექსი იმდენად მომეწონა, რომ ჩემს ჟურნალში უნდა დავბეჭდო...გპატიჟებ... შენ სულიერ დედად მიგულე!“ – ასეთი სურვილი გამოთქვა ჩემი ლექსის მიმართ, რომლის სათაურიცაა „შემყვარებია“ და რომელიც სამშობლოს ეძღვნება, ჟურნალ „ათინათის“ რედაქტორმა, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილმა. და აი, აღნიშნული ლექსი უკვე დაბეჭდილა „ათინათის“ ფურცლებზე. მინდა გავამხილო, ამ პოსტს არა იმიტომ ვწერ, რომ ჩემი თავი წარმოვაჩინო, არამედ იმიტომ რომ მადლიერება გამოვთქვა და ხაზი გავუსვა ქალბატონ გულნაზის სიკეთესა და თანადგომას ჩემდამი. ყურადღება რომ არ გამემახვილებინა საჯაროდ, არ ვიქნებოდი მართალი. მადლიერი ვარ, ქალბატონო ჩულნაზი, ადამიანური გულშემატკივრობისთვის, სტიმულისთვის!.. თქვენდამი კეთილგანწყობილ ხალხის რიცხვს, მეც შევემატე, რომლებიც ვაფასებთ თქვენს ჰუმანიზმსა და ხელისშეშველებას რეალობაში.

იდღეგრძელეთ, გფარავდეთ უფალი ყველგან და ყოველთვის! ...

რედაქტორისაგან: ამ სიტყვების შემდეგ სურვილი გამიჩნდა მისი ლექსები ანთოლოგიაშიც შემეტანა:

წერს შემოდგომა ახალ ლექსებს ყურძნის წიპწებით...

სხეულს იწონებს შემოდგომა ყვითელი პლედით,
მიწებებია მზის სხივები სიმინდის ულვაშს,
განგებ ატარებს სექტემბერი თმას მოკლედ შეჭრილს,
იპრანჭებაო, დაკეკლუცობს, რადგანაც უყვარს!
ყურძნის წიპწებით მზე ლექსებს წერს ღრუბლის ქულაზე,
ცხელი განცდები ენარცხება უტყვ სიმარტოვეს.
ეულ ნეკერჩხალს ქარი უხმობს: „მადმუაზელ!
ენკენისთვეში, წვიმა ხერგავს შენ მისადგომებს“....
წყენით გაჰყვები მარტოობის ნისლიან ქარაფს,
ღაწვებს დაგილტობს მოთმინება ცრემლების თქეშით,
აღარ დაუკრავ ნაზ თითებით არფისტი არფას
და თავს მოიკლავს სიყვარულის ჩანჩქერი ხევში.....
მთვარე მოირგებს ვერცხლისფერი, რძისფერ პენუარს,
გაიყოლიებს სიმარტოვე უკიდეგანო...
აპოკალიფსი კოსმოსიდან ყვირის ველურად,
რომელმაც ბგერა, დასაწყისის ფესვს ვერ შეახო.
ქარმა ხელები შემოაჭდო გრძნობის მინანქარს,
შორეულ სატრფოს ხვეწნით უხმო: "მადმუაზელ!"
დგას მოთმინებით და ეჭვების შავი ჭია ხრავს,
ნდობის ღიმილი ეფინება მაინც, ულვაშზე.
ხრის სიმარტოვე მოწყენილ ტანს ნეკერჩხალისას,
ღრმა ფუღუროდან ანათებენ დილით მთიები. კ
ოცონის გვერდით, მარჯნისფერი გარიჟრაჟისას,
წერს შემოდგომა ახალ ლექსებს ყურძნის წიპწებით...

უცნაური მუზა

ფიფქივით მაყრის მუზა სტრიქონებს,
რა პატარაა, მაგრამ სპეტაკი!
მუზა იგონებს ხანაც „შიოლებს“,
უმწიფთ ოცნებებს ფერი „ვერსალის“.
თრთიან თითები კალმის შეხებით,
დუღან გრძნობები ოფლად ნაწვეთი,
ვიღაცას ბედი ერგო შეთესი,
წილად ხვდა სატრფო იღბალნაცვეთი.
დიდ სიჩუმეში გასკდა ხმაური,
მუზაა დღესაც სულის სტიქია,
მოვარდა ფიქრი თავში-ზვავური,
არ შეაწუხა სულაც სინდისმა...
„მეტანიობა“ დაიწყო მუზამ
და „მედავითნედ“ დადგა წუხელის...
შენ,ჩემო მუზავ, მითხარი ზუსტად:
ჩემში ვინა გშვა-ასე სულგრძელი?
სდუმან თვალები საკურთხეველთან,
„ქადაგებს აზრი“, ოღონდ უსიტყვოდ...
წერს მუზა ისევ გაურკვეველად,
მაგრამ არაფერს ამბობს უმიზნოდ...
შეგუებადი ხდება ყოველი:
წასვლაც,დარჩენაც, გადაგვარებაც...
ნისლში ეხვევა ხშირად მთა-ველი,
მაგრამ იციან გამოდარებაც. ...
ეჰ,ჩემო მუზავ, დაჯექი სკამზე,
„ლიტანიობამ“ დაგღალა მწირი!
დედამიწაზე,თვით უფალს ავნეს,
„პეტრემ გასცაო“ – მამალი ყივის,
და მე, ცოდვილ კაცს, ვინღა დამინდობს,
ვინ დამინახავს სევდას თვალებში?
აქ, ტკივილებით ვიტანჯო,მიჯობს,
ვიდრე იქ მწვავდნენ ცეცხლის ალები!
როცა ალიონს ბინდი ეყრება,
სასწაულია-ეს ზეციური...
გთხოვ, ჩემო მუზავ, ნუ მეყოლება
მე,მოღალატე,ამ ქვეყნიური!
თრთოლვით ეხება კალამს თითები
და მიისწრაფის სული ლექსისკენ...

*

რანაირი არეული ამინდია,
ლოკავს ქარი ულაზათო, მტვრიან ტაბლას.
ცამ არ იცის, წეროები სად მიდიან,
ღრუბელს ფიქრით, თავს დაეცა თურმე, დამბლა.
როგორ გენდო უღმერთოს და კატაკმეველს,
წამიერო გატაცებავ, უკუღმართო!?
ცრემლს უკადებ ,სტიქიურად დამანგრეველს,
გაზაფხულზე აყვავებულ ვარდის თაროს.
გადაყვითლდა ტკივილების ზიგზაგები,
გამძლეობა, ცინუკურად კვლავ დამცინის...
ვიარე და ეულ ფოთოლს მივაგენი,
თავის ბედზე მოწუწუნეს, ურჩს კაცივით.
დაჭრილ მკლავზე, ხელს მისვამენ ფურიები,
ჰგონიათ რომ ნაცნობ მტერზე შურს ვიძიებ!...
მაგრამ მტერი ვერასოდეს ვერ ვიქნები,
მე ვერ ვზიდავ გამუდმებით ამ სიმძიმეს.
დამეხსენი, ურთულესო ფიქრო ღამის ,
მომიტევე შენაცოდი, შენ, უფალო!
იცი ალბათ, მამალი კვლავ ყივის სამგზის,
მე კი მინდა, სუფთა სული მოგიტანო!...

*

ბედნიერება ჩემი, შენშია...
სამშობლოს ცაო, მფინე ნათელი!
სილურჯეს ვაცლი აპრილს ფერიდან,
რომ ჩაგაწვეთო ფერმკრთალ თვალებში.
კვლავ გაზაფხული გიღებს დარაბებს,
საარი გიმღერს თეთრ ნუშის ყვავილს...
შენზე ფიქრებმა გული ალანძეს,
თავს იმედები წავიკარ თავშლით.
თავისუფლება ჩემი, შენშია-
სისხლო, დაღვრილო წლების გადაღმა...
შხამიან ისარს გაცლი მკერდიდან,
აჰა, ისუნთქე, გულო, თამამად!
სამშობლოვ, შენი მაწუხებს ბინდი,
ნისლი ჩამოწვა ნაწვიმარ მთებზე.
ქანაობს მიწა, ვითარცა ბონდი
და ბებერ ფესვში, გიშინებს ნერვებს.
მშვენიერება ჩემი, შენშია-
თეთრო და შავო შერწყმავ არაგვის!..
წეღან, მთებიდან გამომეტირა
ბარში ჩამოსულს, მათი ადათი;
სალოცავიდან გამომყვა მადლი,
გცხე საქართველო, დაღარულ შუბლზე...
პირჯვარს ისახავს თითებით, სამგზის,
ქვეყანა, რომლის ტკივილიც გულს მტკენს!

სანდო მოძღვარი

აჩქარებია ცხოვრებას რითმი ,
ურდოს წლებისას, ცივად ვეფერე...
დრო ისტორიის, ხელებში მითრთის,
მე, "პოეზიის კარის" მელექსეს.
დიდიხანია წლები ავადობს,
მტრობით გარდაცვლილს დავტირი პარტერს!
ადამის მოდგმა, მაინც არ დავთმობთ
ბრძოლაგამოვლილ სიცოცხლეს-- სპასპეტს.
გვერდს უსერავენ სიმართლის მანდიკს,
უნდობი ბედის დამღალა ლიქნამ!
იმედის წვიმა მშრალ თმაზე დამდის
და ზეცის სიბრძნეს, ფეხებშიც ვისხამ.
მშვიდი ცისკარი ამღერდა ჩანგით,
დრო გაუმზევდათ ნაღამურ ხედებს.
ლოყას იწონებს ყაყაჩოს ხალით,
მიტოვებული მინდორი, შეხე!
მე კვლავ თავს მადგას ყოფა მოქიშპე,
ღვარძლის მსხვილ მკლავებს თვალი მოვკარი.
სულის ხსნა მხოლოდ ლექსში ვიპოვე,
ლექსია ჩემი სანდო მოძღვარი !..

ნაირა ნიჟარაძე

ჩემო მამულო

მიყვარს მზიანი,
დილა ცვრიანი,
მწვანე მთიანი,
ალუბლიანი,
ია – ღვიანი,
ხე-ვაზიანი,
მაღლა ცა, მუდამ
ვარსკვლავიანი.
ბალახ-ბულახი,
ტკბილი, რძიანი.
ხალხი ფხიანი,
იმედიანი.
ჭირის და ლხინის
ამტანიანი.
ბუნებასავით
ლამაზიანი.
მათი სიმღერა
მეტად ხმიანი.
მათი როკვა და
ცეკვა-შრიალი,
ჩოხა-ხანჯლების
მარჯვედ ტრიალი.
მიყვარს ქართული
სიტყვა ფრთიანი,
ტურფა მამული
მთა-გორიანი.

შრიალა ცაცხვი

სად გავიზარდე? თქვენს თბილ წიაღში,
ამ თბილ ჰაერში, მერცხლის წკრიალში,
ჩავბუდებულვარ ვარდში, იაში,
და იმერეთის ცაცხვის შრიალში.
გვერდს მედგა დედა, დიდი ბებია,
გამაგრებულნი ვეფხვთან ჭიდილში,
ქართველი ხალხი არა ცდებიან,
გამოზრდილები ნამუს-სინდისში.
აქ მზრდიდა სიო იმერეთისა,
ქარი მოსული შორეულ ზღვიდან,
იდგა სხივები მაღალ ღმერთისა,
ჩამოღვენთილი ალისფერ ციდან.
საქართველოში, ბალახის ცვრებში,
სად ჰარმონია მერგო ბუნების,
გამოვიზარდე ფლეიტის ხმებში,
გადარჩენილი ბედად, უვნებლივ.
ვერაფერს გვავნებს მტრების ფანდები,
მიწა წაგვართვეს? ისევ აღვსდგებით,
არ ვართ ჯაბანი, თითქმის არც ერთი,
ქართული ჯიში – დაუმარცხები!

ვაზი

– ვაზი გვიხარე, ღმერთო,
აღმტაცებელი გონების,
გამხარებელი ტოლების,
მიმმატებელი ქონების.
ოჯახის შემამკობელი,
მომლხენი და მათრობელი,
ყველგან ჯანსაღად მყოფელი.
ქალაქია თუ სოფელი.
ვაზი გამიზარდე, ღმერთო,
აგვივსე ლერწი ყურძნებით,
დამშვიდდეს გული უძღები,
სჭირდება ხელი უღლელი.
ვაზი ძვირფასი რამ არის,
დარდის, სხეულის წამალი,
შარბათით სავსე მარცვალი,
არისო თაფლის ნაცვალი.
ვაზი გვიხარე, ღმერთო,
რომ გულში სიცოცხლე გვენთოს,
წკრიალა ღვინო დავწუროთ,
მამულო, ჩემო ქართულო!

ხიზანი

– რად აუკრძალეს მშობლიური ენის სწავლება?
აქ სამართალი მათ დამცველად რატომ არ ჩნდება?
იქ, აფხაზეთში დაბრუნება სურთ ძველთაძველებს,
ცეცხლით, მახვილით გამოდევნეს, ემსგავსნენ გველებს.
ოსეთში ცრემლით იგონებენ საკუთარ სახლ-კარს,
ადამის ძენი ვერ არკვევენ მათ შექმნილ ავ-კარგს.
მოგონებანი სასტიკია ომის და ავის,
ქართლის ველებზე შეუცვლია ფერი ბევრ ყვავილს,
ნუთუ არ დადგა შერიგების დრო და მიდამო?
ორივე მხარემ ეს სიკეთე უნდა იწამოს.
ყველას თავისი მიწა უყვარს, მიწა მდიდარი,
საქართველოში რატომ არის კაცი ხიზანი!?

თხოვნა

წმინდა გიორგის დღე არის,
ცაზე მზე შემომფინარი.
მის გადიდებულ სურათთან
ქალი მოჩანდა გულადად.
მუხლებზე ლოცვად დამდგარი,
ის წმინდა ნინოს სადარი,
თხოვდა – სიმწარით სათხოვარს,
თავზე ფიქრები ათოვდა.
სამშობლო მიწა წაართვეს,
გული, გონება აართვეს,
სახლში უცნობი ჩასახლდა,
ღამეს აწ სადღა გაათევს?
თხოვდა, განდევნოს მტრის ჯარი,
ამტვრიოს, როგორც ფინჯანი,
რად უნდა იყოს დევნილი,
სახლიდან გამოდევნილი.
თხოვდა, კვლავ აღსდგეს სოფელი,
მუდამ ჭირსა შიგ მყოფელი,
ხალხი ამაოდ იცავდა,
თავი ვერ იხსნეს მტრისაგან.
ნეტავი აღსდგეს გიორგი,
და მტერს აქცევდეს მიწადა!

მშობელი მიწა

ვარ ღვიძლი შვილი
მშვენიერ ქვეყნის,
თუთის ხის ძირას
თავს არვინ მესხმის.
გამიგონია, ადამიანი,
ადამიანის მტერია ისევ,
როცა ბოროტი მიახლოვდება,
არ შევფერხდები,
შევებმი მყისვე.
თუ ვარ ბათუმში, ვარ თელავში,
ვარ ქუთაისში,
ეს არის ჩემი მშობელი მიწა,
თუ გაირჯები, მაშინ ძვირფასო,
მალე, უთუოდ, მიაღწევ მიზანს.
თუ მივაცილებ მეგობრებს შორეთს,
ვიცი, რომ ისევ ჩემს ახლოს მოვლენ,
მათ ნოსტალგია არ გააჩერებს,
სხვის სამშობლოში რა გაათენებს!?
ღმერთო, წყლის წისქვილს
როგორც აბრუნებ?
ისე შორს წასულს
შინ დააბრუნებ!...

გახსენება დავიწყებულს სჭირდება, ასეთები ყოველ წამს თვალწინ დგანან

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

ჩემი სხეულის მწარე ნაწილს, მიწა საბნად დაფარული ოცდაექვსი წლის შვილს, დათო მელიქიძეს

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა,
თაფლში ურევს მწარე ნაღველს მტრისას მისი გამოცანა“.

შენს შემდეგ რამე ვირწმუნო
ძნელია ფიქრის წარმართვა,
თუ კი მაშ ღმერთი არსებობს
შენი თავი რად წამართვა.

და თუ ესა ქნა სატანამ
აქ კითხვა მხოლოდ ერთია:
თუ ყოვლის მძლეობს სატანა
მაშ ღმერთი რაღა ღმერთია.

ცრაგიკულად განწირული შვილს დათოს

არარას ძალუძს რომ მომირჩინოს
დათუნა შენგან ნაიარევი,
დედამიწაზე შენს შემდეგ შვილო
ცოცხალმკვდარილა დავიარები.
გულზე მარწუხებს მიჭერენ მწარეს
შენზე სატანჯველ ფიქრთა აყოლა,
როგორ შევძელი ჩემივე ფეხით
შენს წამრთმევ კუბოს უკან გაყოლა.
სიმწარისაგან და დარდისაგან
ყოველწამს ცრემლი უცრემლოდ მცვივა,
მიწის საბანში ჩემო დათუნა!
ნეტავი შვილო ხომ არა გცივა.
პატარაობას გკოცნიდი ხშირად
სახე, თვალებზე, ლამაზ თბილ შუბლზე,
ახლა მინდა რომ მოვთხარო მიწა,
და დაგეკონო გაყინულ გულზე.
არავისაგან შენს შემდეგ შვილო!
სიკეთეს უკვე აღარას ველი,
ერთ წამმა როგორ გიმსხვერპლა, უცებ
უცნობ ნაცნობთა თავად მფარველი.
ძრწოლვით შევცქერი ხელუხლებ საწოლს
ძრწოლვით შევცქერი შენს ლამაზ ოთახს,
ნაოჯახარი დაერქვა უკვე
უშენოდ შვილო ამ ლამაზ ოჯახს.
ვიცი რომ არ ღირს ასეთი ყოფა,
რომ ჩამიმწარდა გული, გონია,
აბა ასეთი სიცოცხლე რად ღირს
დანაშაული რომა მგონია.
ჩემი ტკივილი დაბლა მიწიდან,
მაღლა ზეცის თაღს მწარედ რომ ერთვის,
უფალო! ქვეყნის გამრიგე, ცრუო,
რად ჩამოიქეც უწყალოდ ჩემთვის.
ასე ლამაზი სამოსი შვილო!
ნეტავი რატომ მზით არ გაგიცვდა,
ყოველდღე გულით რომ ლოცულობდი,
უფალმა ამად რად არ დაგიცვა.
ეს კოშმარული ფიქრები ხშირი,
ერთი წამითაც რომ არა მტოვებს,

განსაკუთრებით იმ ღამის შემდეგ,
როცა პირველად მანდ რომ დაგტოვე.
ნეტავი მალე დაჩქარდებოდეს,
მოხდეს ეგება სამშვიდო ვინძლო,
ნატკენი გული დადუმდებოდეს
მწარე ტკივილი რომ ველარ ვიგრძნო.
ყველა საქმეში გვერდით მედექი
დაუზარებლად უმალ დგებოდი,
გული ხომ არას გიგრძნობდა შვილო!
ასე ჯიქურ რომ მიფრთხილდებოდი.
თუ კი ცხოვრება გიძღვნიდა ნუგბარს,
თუ არა, შენით არა სჩიოდი,
როგორა ვნანობ როცა სადარდოს,
პირველი შენ რომ შემოგჩიოდი.
შენი დაკარგვის მწარ რეალობას,
ჭკვით შეცდენამდის მივყავარ რამის,
შენზე ძლიერად ამ ქვეყანაზე
არ ვყვარებივარ არასდროს არვის.
იქნებ არცა ღირს ასე სათქმელად,
სიმწარისაგან რასაცა ვბედავ,
ჩვენ ორში შვილო, განსაცვიფრებლად,
სინამდვილეში შენ იყავ დედა.
ძმის და დის ნატვრა ხომ არ გამწარებს
ნეტავი, დარდი მათი ხომ არ გაქვს,
მიწის საბანი, ჩემო დათუნა!
ნეტავი შვილო მოკლე ხომარ გაქვს.
ლომის გული კვლავ შეგიტოკდება,
გადაგიზაფრავს უნდობი ელდა
თუ კი გაიგებ, რა კვნესით მხდება:
შვილო დათუნა! მოგიკვდეს დედა.
უშენოდ დათო ამ არსებობის,
ძნელია ზუსტად სიტყვით ასახვა,
ჩემი სამყარო მთლიანად უკვე
შენს სურათებთან ახლო დასახლდა.
დედაშვილობის უღელის ჯაჭვი,
ოცდაექვს წელს რომ ტკბილადა სწიე,
მილიარდ შვილსაც რომ არ შეეძლო
შენ რომ შვილობა ჩემთვის გასწიე.
ეს საზარელი მწარე სიმართლე
ერთი წამითაც კი არა მტოვებს,
ხახადაღებულ იმ ღრმა საფლავთან
დასამარხავად როგორ დაგტოვე.
გვიან დავრწმუნდი, რომ ველარ გნახავ,
დრო უკან რომ ვერ მიტრიალდება,
შენს ტანსაცმელს რომ ვუყურებ შვილო
გულში ხანჯალი მიტრიალდება.
დათო! შენ გწამდა უფლის ლოცვანი
ზვარაკს სწირავდი ყველა საწირავს,
სად იყო ღმერთი, როდესაც წამში
სიკვდილმა ასე მწარედ გაგწირა.
ნეტა სად გაქრა გაღიმებანი
ხოლო ცრემლები ოხრად რომ არი,
ახლა ჩვენ შორის საუბრის თემა;
მწარე გმინვა და ოხვრა რომ არი.
უფრო გულს მიწვავს ასეთი აზრი
თუმცა არაა უბნობა ახლის,
შენზე თქმულება იყავ – მოვლენა
ერთად რომ ამბობს ვინც გიცნობს – ხალხი.
ნავარჯიშევი, ტანადი მყავდი,
და ყველას აზრით დიდ ლომს რომ გევხარ,
აქ სარგებელი რა არის, ქვეყნად
დიდ მარმარილოს ძეგლად რომ დგეხარ.
გულზე მაწვება და წელში მდრეკავს
ეგ შენი მძიმე კუბოს ფიცარი,
დამნაშავე ვარ ბოლო წამს როცა
სიკვდილისაგან ვერ დაგიცავი.
ამ გემო მწარე აგონიაში,
ძნელია უკვე აზრთა წარმართვა,
ო, როგორა მძულს ის წამი შვილო!
შენი თავი რომ მუხთლად წამართვა.
როგორ გავუძლო ამ მძიმე განცდებს
რადგანაც ჩემთვის ყველაზე ზე ხარ,
რა სამართალი, რის სამართალი
მე ლოგინში, შენ მიწაში წევხარ.
ქვესკნელისა თუ ზეცის ძალებო!
ეს სასწაული როგორ მიყავით,
იქნებ იმად, რომ დათუნა შვილო!
დედამიწაზე ღმერთი იყავი.
ყველა ქარაგმებს იმედით ვხსნიდი
არ იყო ძალა, რამეს ვეცვალე,
როცა ჩემს ირგვლივ ბრუნავდა მიწა,
შენ სწორედ მაშინ გამომეცალე.
რა საწყენია ბოლო საწუთრო
ამ სატანჯველით უნდა ჩავთვალო,
ო... როგორ მინდა ეს რეალობა
ძილში ჩაყოლილ სიზმრად ჩავთვალო.
ამ ქვეყნის ზოგჯერ მძიმე განაჩენს
შენი იმედით უხმოდ ვიტანდი,
დედამიწას რომ ძირს ჩავეტანე
ვიცი იქიდან ამომიტანდი.
ახლა ბინდ-ბუნდად ჰაერში დავალ,
რადგან უშენოდ ვერა ვიწამე,
და უიმედოდ დავალ ამ ქვეყნად
ჩემთვის უსახურ დედამიწაზე.

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

წარსულს, რომელიც ტვირთივით დამაქვს

დღე დაიწრიტავს სისხლიან ლაქას,
ბოღმა ჩაითრევს ზვირთებში ანუნს,
ქარი წაიღებს დაწეწილ დალალს
და დაიფერთხავს სირცხვილის ალმურს.

ველარ მივწვდები გამშვილდულ მიზანს,
თვალს ვერ შევავლებ მის გახრილ მზერას,
მხოლოდ ბურუსში ჩაძირულ მირაჟს,
განვიცდი როგორც მზის დაბადებას.

მზე ჩამოაშრობს დალეშილ ღრუბლებს,
ზვავები ჩაშლის დაძენძილ წარსულს,
ვერ ჩავიწვეთებ იმედს და ნუგეშს,
სანამ უდაბნო მიგზავნის სამუმს...

ვერ დავივიწყებ მონათა ბაზარს,
ფიქრებს, რომელიც მთრგუნავს და მზარავს,
ადამიანის დაცემას, ღალატს, –
წარსულს, რომელიც ტვირთივით დამაქვს.

ეპოქა

გალაქტიონ ტაბიძის „გრიგალის“ გამო

დულდა საუკუნე, ზღვა და გაორება,
გლეჯდა ჩამწყდარ სიმებს ქარი და გოდება,
ნავი ქანაობდა გრიგალთ დანებებით,
იდგა გოლიათი ლურჯი ზმანებებით.

ნაცნობი ხმაური – ველური ყიჟინით,
გზები სისხლიანი – ეკლით და კივილით;
ჩამკვდარ ოცნებათა სივრცის დამონება
ახშობს გენიოსის ფაქიზ აზროვნებას.

ფრთები? – დემონური, შავი, უსახური,
ლაჟვარდს რომ ედება ფერით ჩაკირული,
აზრში გაყინული ხავსთა დატბორება,
გამჭკნარ ყვავილების ქვათა დამონება.

კარი დახშულია, ხმაურობს გრიგალი,
ტახტის ნამსხვრევებზე მძვინვარებს მირკალი,
სადაც ქანდაკებებს ფიქრი ეკრძალებათ,
ლანდები ტრიბუნებზე ერთმანეთს ენაცვლება.

ასეთი საუკუნე მიჯნათა კუნძულია,
გონება ველარ სწვდება, გონება უძლურია,
ვიღაცა კოცონზე სიცოცხლეს ამთავრებს,
უგნურთა ბრბოები ყრილობებს მართავენ.

მზე დაკორტნილი, სისხლისფერი –
სხვაგვარად ღვივის,
ოკეანეებს მოსდებია სილურჯის შიში,
ცეცხლის ნაზავზე ანთებული გრიგალი იწვის,
ჩუმად ხმაურობს პოეზია და ღაღადისი...

დგას ხომალდებთან დაწეწილი ამაოება,
ზღვა კვლავ იბრუნებს დანაპირებ განმარტოებას,
სული დახშული სარკმელიდან ცად იმზირება,
დახავსებული მორევები კვლავ იწმინდება.

ბედის მშვილდებმა ქარიშხლებით რაც იავქარეს,
დრო – სიავესთან წილნაყარი, კვლავ იავარქმნეს,
ჰორიზონტები – გალურსმული თეთრ იალქანზე, –
თუ დაუბრუნებს ჩვენს ცხოვრებას აზრს, სიამაყეს...

სული ქართველთა

რაც ჭირთათმენა, განსაცდელი გამოიარა,
იყო დიდება – სახელოვან გმირთა – ქართველთა,
დრომ, ქარტეხილმა, რაც სიმდიდრე შემოგვინახა,
ვთქვი თაყვანცემა – დავიჩოქე ყველა ნანგრევთან.

დიდება ქართველს – დამარცხებას ვინც არ დანებდა,
ვინც ლოცულობდა, ცივ ლოდებზე ღამეს ათევდა,
სამართლიანი გამარჯვება ღმერთს შეავედრა, –
იყო ხელმწიფე, დედოფალი ღირსი ქართველთა.

ვინც ფსალმუნები გადმოწერა, გადმოათეთრა,
ევნო, ეწამა, – სამშობლოსთვის ვინც ჩაიფერფლა;
ვინაც ქართული ანბანთქება ამოამღერა,
იყო დიადი და პატივი არ შეიფერა.

მიმოდიოდა ხმელად, ველად, ზღვად – ფეხშიშველა,
წმინდა გრძნობები – სიყვარულით ღმერთს შეაფერა;
ქვეყნიერებას განსაცდელში სული ჩაჰბერა,
წაიღო ტაოს – უდაბნოში ცას შეაკედლა.

სამშობლოსათვის თავდადება ვინც დაისახა,
უხმო წმინდანებს და პირჯვარი გარდაისახა;
ვინც გასაჭირში ძმად გვიგულა და გაისარჯა,
გააპო გული საქართველო შიგ ჩაისახლა.

ვინც საფუძველი განამტკიცა და აღაშენა,
ყარიბობაში წმინდა ძვლები ვინც შეასვენა,
განძთა ქვეყანას ხელი ახლო და მოეფერა,
ვინც მტერი იცნო – მოღალა]ტე და შეაჩვენა.

ჟამი რეკავს და აზანზარებს ცოცხლებსაც,
მკვდრებსაც,
უნდა ახსოვდეს ყველა დროში ერსაც და ბერსაც,
მათი დიდება დააკნინოს – არ უშვებს ზენა,
სისხლით ნაწერი სტრიქონები არასდროს ქრება.

მზერა შემოდგომის

მზერა შემოდგომის – ტყეებს აფერმკრთალებს,
ხეზე მოწყენილი სხედან ბეღურები,
ქარი ანიავებს დამზრალ ნაფერთალებს,
ისევ მარტო ვარ და დარდად მეგულები...

სულში შებიდნულა მთები დათოვლილი,
ყრია ნატერფალთან ზამთრის ნამქერები,
ფეხქვეშ მიცურდება წლები გამოვლილი,
ზღაპარ-მოგონებას ცვივა ფანტელები...

ნაცნობ ხეივნებში მხვდება მოწიწებით
რიდეგაძარცვული ხეთა პროფილები,
ლეგა ღრუბლებიდან ცრემლთა გადმოდენის,-
ზეცაც იჟღინთება სევდა-შთაგონებით...

ხვალე დაიწყება ისევ გაისიდან,
ხვალეს ექვიება ხვალეც წარსული და...
ამო აღმოჩნდება ცდა და მონდომება,
ცაში გაფრინდება ყველა მოგონება...

მზე იყო ჩემში

თვლემდა სილურჯე დაისის იქით,
მზე მიჰყვებოდა ტაატით დაღმართს,
მეც მივყვებოდი იფნების ჩრდილით
თლილ საფეხურებს უძირო ტბასთან.
რაც რომ ცრემლები წამწამებს სწვავდა,
მწუხრის მდინარედ დადენილიყო,
რაც რომ ყორნები საწადელს სვამდა,
უძირო ტბაში ჩადენილიყო,
თავად მზე – მწველი, საკუთარ არსთან,
მის სილურჯეში ჩაფენილიყო...
ის, არ მახსოვდა, რა ვიყავ მაშინ,-
თუ ვიყავ ცისა, თუ ვიყავ მიწის,
მზე იყო ჩემში, მე ვიყავ მასში
და გრძელდებოდა ეს წამი მიწყივ!..

ვეწვიე ნაცნობ ხეობას

(მამას – თენგიზ უგულავას)

ვეწვიე ნაცნობ ხეობას,
დაშრეტილ კალაპოტებთან,
ერთ დროს წყალუხვი მდინარე,
დამცხრალა ქვათა ლოდებთან.
ჩავხედე გულის სარკეში,
თავის სატკივარს ამბობდა:
ხან წყალუხვობას ჩიოდა,
ხან წყალმეჩხრობას დარდობდა,
მაინც, ჩახერგილ ხეობებს
თვალწარმტაცობით ამკობდა;
მაინც, დაწრეტილ ტალღებით
ცისარტყელებთან ანცობდა...
თავის იდუმალ ქარაგმებს, –
საუკუნეებს ანდობდა,
დაბადებული მდინარედ
მიჰყავდა რაკრაკ-გალობას...

მეგობრის ხსოვნას

(ვუძღვნი – ხვიჩა კირთაძის ხსოვნას)

იმ გაზაფხულის, იმ სიყმაწვილის, –
ცისა და მიწის დახვეულ გზაზე,
გვინაწილებდი ანთებულ ღიმილს, –
სიკეთით, რწმენით, იმედით სავსეს.

ის უწყინარი ხატება შენი,
მშვიდი თვალთა მზე, სავსე და სრული,
არის სინათლე, იმედი დიდი,
რომ არ ჩაქრება დღე გარდასულის.

როგორც მე მჯერა უმანკო სულის,
შენ არ მეგობრობ ზამთრის ქარებთან,
შენს სამყაროში დგას გაზაფხული,
გაცისკროვნებულ გარიჟრაჟებთან.

ახლა, სისათუთე ბუნდოვანი - თეთრი სიზმარია

ახლა, სისათუთე ბუნდოვანი –
თეთრი სიზმარია,
ფერადოვნება უსახური –
უსაგნო ზღაპარი...
ფანჯრები დახურული – სინათლის მიღმაა,
შორს, შორს ცისფერ წარმოსახვაშიც
არაფერი ჩანს...
უფერულობა დაკარგულ სივრცეებს აშფოთებს, –
მზე გადაკარგულია,
გრძნობები დალეშილი,
გზები გაუვალი, –
დალეხილი...
ქუჩებში ეტლები არ დადიან
ეჟვნების ჟღარუნით;
პუნქტიდან – პუნქტებში არ დაქრიან
საფოსტო ცხენები...
ლიანდაგები, დროდადრო წყდებიან,
ისევ ლაგდებიან...
მატარებლები, სადღაც მიქრიან
შორეულში, –
მხოლოდ!.. მგზავრები არა ჰყავს...
სწუხან უდროობას,
დროის უნივთო განაპირებას –
ჟარვა-დაზამთრებას...
სიცოცხლე დილეგში როგორც
ფერმკრთალდება,
ჰკარგავს ელვარებას...
თვალებს აბრმავებს, – სიმცირე,
სიღარიბე, ჯანღი – დანაცრება...
ეს აგონიაა! – დიდი ცდომილება...
...არის სინანული! არის დანანება...
და მაინც!
გრძნობები, სადღაც ჩაპრესილი
ელიან მატარებელს,
ელიან განახლებას!..

მანანა დანგაძე

***

ტარიელ ხარხელაურს

მზეო, სიყვარულით ანთებულო,
სულო, ტკივილისგან ხვავრიელო,
ღამევ, სევდიანად გათეულო,
მთათა მეციხოვნევ, ტარიელო.
გულო, ხანჯლისაგან დასერილო,
მაინც ვაჟკაცო და ჟამიეორო,
უფლის ხატის სახედ დაწერილო,
ცვლიად დაღვენთილო, ტარიელო,
ქვევრო, მირონივით ღვინით სავსევ,
აღვსილ სიყვარულით ცარიელობ,
სხივი ნათელივით გადგას თავზე,
შუქო, შუბლნათელო ტარიელო.
ძმისთვის ერთგულების მაგალითო,
მტრისთვის კედელო და ბარიერო,
გულო ბაჯაღლოვ და მარგალიტო,
თვალთა შუქმფინარო, ტარიელო.
ხმელო წიფელო და ცრემლო შვლისა,
ლომო ვერკვლისციხის, სანაღველო,
ძუძუ დაგელოცოს დედავ ღვთისა —
ეს ვინ გაგიზრდია, საქართველოვ!

ჩემი ბავშვობის ქალაქს

არ მომაკლო შენი სითბო,
შენი წყაროს ბადაგი,
შენ ხარ ჩემი დედა, მამა,
ნატვრა-სულის სადაგი,
შენსკენ ილტვის გული წრფელი,
მსურს სიმღერით გეფერო...
ჩემო ბავშვობის აკვანო,
გრძნობავ, უბერებელო!
მოზღუდულო ლურჯი მთებით,
გაბრძნობილი მძლეველობ,
მტრისა მტრულად დამრისხავო,
სტუმრის გამლაღებელო.
ვხარობ შენი ალიტ, წრომით„
ტაშისკარით, სურამით...
ქვის კედელში კვლავაც კვნესის
სული უკვდავ ზურაბის...
ღორინამკლის ფერდობს გავცქერ,
და შენს „სამარადისო“-ს,
მიწის ქვეშა საქართველო,
წმინდა ძვლებით აივსო.
სამაროვან-სამარიდან
მომძახიან სულები,
ჩემი დიდი წინაპრების —
მზიდან გარდმოსულების.
მეც მანდ მინდა დავსამარდე,
შენი მიწა მეფაროს,
რომ სიმშვიდით განისვენო,
გულო, დაუდეგარო.
რომ სულის გზა მარადისი
გამიმზიანმთვარისო,
ჩემო ბადაგაურო და
წმინდა „სამარადისო“.

ნანა ჩარკვიანი

*

ბავშვობაში ვცდილობდი,
კარგი შვილი მრქმეოდა,
ჩემი კარგი ქმედება,
მშობლებს გახარებოდა.
როცა წამოვიზარდე
და, რომ ვქალიშვილობდი,
ჩემს ძმებს ,რომ ეამაყათ
ჩემით,იმას ვცდილობდი.
მერე როცა ცოლქმრობის
დრომაც შემოანათა,
მე ყოველთვის ვცდილობდი
ქმარს, ჩემით ეამაყა.
წლებმა თავზე დამთოვა,
თავის გამოცდილებით,
ეხლა ვცდილობ,რომ ჩემით
ამაყობდნენ შვილები.
შვილისშვილთა ცხოვრება
სიყვარულით მოვქარგო,
ბებოს ნაჭამ ტყემალმა,
კბილი რომ არ მოჰკვეთოთ.
ჩვენს ცხოვრებას ტილოზე
ვეღარ წაშლის საშლელი,
ამ ქვეყნიდან წასულებს,
გვრჩება მხოლოდ სახელი.
ნანა ჩარკვიანი.
და ტილოზე ვერ წავშლით,

*

ამდენ სიშორით
დაიღალა ჩვენი გულები,
ვერა ვარ მშვიდად,
საიმედოდ ,თუმც მეგულები.
თვალებში ისევ გიციმციმებს,
ეშმაკუნები.
ქვაზე დახეთქილ
ბროწეულს ჰგავს,
შენი ტუჩები.
ზოგჯერ ბავშვივით
მებუტები და მეურჩები.
მოგონებების კარუსელი
ბრუნავს, მივყვები.
უშენოდ განვლილ
წამებს ითვლის
ისევ ისრები,
დღე ჰაერივით მესუნთქები
და მეფიქრები.
ღამით გადაღლილს,
მეხვევიან,
შენზე სიზმრები.
გახუნებულა ,
უშენოდ დრო,
დავალ ეული,
კვლავ იმ ოცი წლის ბიჭივით ვარ
შეყვარებული.
მთვარიან ღამეს ავედევნე,
ვით მთვარეული.
სულში უშენოდ
სიცივე მაქვს
შეპარებული.
მალე ზამთარიც
გვესტუმრება,
თეთრად დაგვათოვს
დაგელოდები
და კოცონი ერთად დავანთოთ.
ნამდვილ სიყვარულს
არ გაუვა
ყავლი,არასდროს.

*

მზის სიმხურვალე
თანდათან ,რომ
დაჰკარგავს ძალებს,
აწყვეტილ რაშებს,
ქარი ისევ
გაამათრახებს.
გაძარცვულ ხეებს
ერთხელ კიდევ,
ძლიერ შეარხევს,
ობლად დარჩენილ
ერთ ფოთოლსაც
აღარ შეარჩენს.
საპნის ბუშტივით ,
რომ გასკდება
ღრუბელი ცაზე,
გადაუღებლად
ნოემბერში,
წვიმებიც დასცხებს.
და შემოდგომაც
აიკეცავს,
ოქროსფერ კალთებს.
მერე ზამთარიც
შემოგვიღებს
სიდინჯით კარებს.
თოვლის ფიფქები,
გაახარებს
უთუოდ,ბავშვებს.
თეთრი საფარი
გადასწვდება,
მთასა, თუ ბარებს.
შაშვის ჭახჭახი,
გადაუვლის
ტყეებს და ბაღებს.
მონადირე კი,
კვალში უდგას
ჯიხვებს და დათვებს.
მამა შამფურზე
წამოაგებს,
დაცვარულ მწვადებს,
დედა კეცებზე
შეალაგებს
ნეშოთინ მჭადებს.
ბებო დაუქსოვს
მატყლისაგან,
თბილ წინდებს
ბალღებს.
პაპა უამბობს,
თბილ ბუხართან,
პატარებს ზღაპრებს.
ვფიქრობ,მე ისევ
ემიგრანტად
დავრჩები ამ წელს.
და ნოსტალგია
დრო და დრო თუ,
ჭკუიდან ამწევს.
ისევ კალამი
გადამარჩენს,
კვლავ ლექსებს
დავწერ.

*

სულის სიმებზე
შემეხო დილა,
მზემ მომაკითხა
სარკმლიდან
თბილად.
გრილი ნიავი,
მოსული მთიდან,
მელამუნება სახეზე
მშვიდად.
თვალში ჩამდგარი
უტყვი ნაღველი და
აზიდულა წარბები
მშვილდად.
სიცოცხლე მაინც
მშვენიერია,
დრო მიჰქრის,
შენ ეს გინდა,
არ გინდა.
კიდევ ერთი დღის
გათენებისთვის
უფალს დავუნთე
სანთელი წმინდა.
იტალიიდან
ხმა მოგაწვდინოთ,
მთებმა გადმოგცეთ
ექოდ,
ის მინდა.
მენატრები და
ძლიერ მიყვარხარ,
ჩემო სამშობლოვ
წმინდათა წმინდა,
რომ მოგაწვდინო
ჩემი გრძნობები,
მე ბოლო ხმაზე
ყვირილი მინდა.
ცაზე ლამაზი
ორნამენტებით
ფრინველთა
გუნდმა
გადაიფრინა.
მეც მინდა ფრთები,
ნატვრა აღმომხდა
და,
ემიგრანტის
სულმა იგმინა.
და მოთმინების
გატყდა ყულაბა,
რაც ითმინა და
ვერ მოითმინა.
მზემ მზის მძივები
შემომახვია,
სულის სიმებზე
შემეხო დილა,
შენი დროც მოვა,
ქარის ჩურჩულმა,
ამიკიაფა იმედი
სხივად.

*

შენს სიყვარულზე
ლამაზ რითმებს,
ლექსად ავკინძავ.
გვირილებსა და
ქრიზანთემებს
თმაში ჩაგიწნავ.
ვნების მორევში
გაცურავებ,
ბადაგს დაგისხამ.
ვარსკვლავებს დავკრეფ
ცის საფარზე,
მძივად აგისხამ.
ასე ეული, მარტოსული
რატომ დადიხარ.
თუ, ნებას მომცემ
მოკრძალებით
ხელში აგიყვან.
ლამაზო ქალო,
წამომყევი
სახლში წაგიყვან
და ამ ჩემს გულში,
სიყვარულის
ტახტსაც დაგიდგამ.
ქალს ურჩევნია,
იყოს მარტო,
იყოს ეული.
რადგან ერთზეა,
სამუდამოდ
შეყვარებული.
ნანა ჩარკვიანი

*

ოცნებები დაფრინავენ
და მივსებენ სულს,
ლექსად გეტყვით მე,
როგორი საქართველო
მსურს.
ბავშვს, რომ არ შიოდეს,
მოხუცს არ სციოდეს,
ხალხი საშოვარზე,
შორს არ მიდიოდეს.
შენი სატკივარი
მეგობარს სტკიოდეს.
მამული ხარობდეს,
გული არ სტკიოდეს.
ქუჩაში გამვლელი
ლაღად დადიოდეს,
მოწყენილ სახეებს,
ყავლი გასდიოდეს
ბოროტება გაჰქრეს
სიკეთე ღვიოდეს.
ქართველი თავის ბედს
აღარ უჩიოდეს,
პარლამენტარები
ფეხით დადიოდეს,
ხალხის გაჭირვებით,
ცრემლები სდიოდეთ.
ქვეყნის მომავალზე
გული შესტკიოდეთ.
ქართველი უცხოეთს

აღარ გადიოდეს,
აფხაზს,რომ ისევე
ქართველი ჰქვიოდეს,
ცხინვალში ქართული
მამალი ჰყიოდეს,
ქართული სოფლიდან,
კვამლი ადიოდეს,
ოსი,რომ ქართველთან,
სტუმრად დადიოდეს.
არავის შიოდეს,
არავის სციოდეს
უფლის სიყვარული
და რწმენა ჰღვიოდეს
ძარღვებში ქართული ,
სისხლი დადიოდეს.
ჩემი საქართველო,
მხრებში გაიშალოს,
ვერავინ გაბედოს,
ქართული დაგვიშალოს,
ყველაფერს დაერქვას
თავისი სახელი,
თავის ქვეყანაში
ფასობდეს ქართველი.
ნატვრას რა გამოლევს
ბევრი მაქვს სათქმელი,
ნეტავ თუ იქნება,
ოდესმე საშველი.
ნანა ჩარკვიანი.

მაგული კუჭაშვილი-კურტანიძე

საით მიიჩქარი

რიჟრაჟს გამოჰყავხარ
წუხანდელ ბინდიდან,
იქვე, შენს ხელმარჯვნივ მზის ნაკვალევია,
საით იმზირები მუქი მინებიდან,
იქნებ მაგ სათვალეც შენი თვალებია.
გზაა აღსავალი, იქვე დაღმავალი,
რომელ გზას გაჰყვები
იყოს შენი ნება,
შენი სიყმაწვილის თავგადასავალი
სადღაც ღიმილს მოგგვრის,
სადღაც გეტკინება.
საით მიიჩქარი მოქნილ ჟარგონებით,
სწრაფი გაქროლების ჟინი არ გიქრება,
ამბობ, დრო არ არის სადმე დაყოვნების,
ისევ აიჩემე ქართან გაჯიბრება.

ჩემი ხაზი წითელ შუქზეც გადის

ექსპრომტი ძილის წინ
ბევრი არა!
ცოტა უნდა ვიკმარო,
სანამ ვინმე მომაძახებს „კმარა!“
ვინც მიყვარდა უნდა გადავიყვარო,
ვერ ვიდარდებ მისთვის წარამარა.
ვერ ვიძლევი სასიკვდილო მაგალითს,
თუმც მარქმევენ შეშლილსა და რეგვენს,
ცრემლის ღვარი დავამსგავსე მარგალიტს,
ამის გამო დასჯილი ვარ ბევრჯერ.
ვინც ვიყავი... აღარ მინდა ვიყო,
სხვა სურვილით კენჭი უკვე ვიყარე,
მკაცრმა ტალღამ სასიკვდილოდ გამრიყოს,
ჩემში რადგან შეშლილია სიწყნარეც.
შუაღამით წყალში ვიდექ საცრით,
ვერ ვიხსენებ ფქვილს ვცრიდი თუ ქატოს
ჩემს ჯოჯოხეთს სამოთხეზე არ ვცვლი,
მდიდარი ვარ, აღარაფერს ვნატრობ.
მაგრამ ბევრი ენა ვერ შევისწავლე,
ერთი ვიცი, თანაც ჩემზე ნაღდი,
არყოფნაში ყოფნისათვის ვიწვალე ,
ჩემი ხაზი წითელ შუქზეც გადის.
ბევრი არა!
ცოტა უნდა ვიკმარო,
სანამ ვინმე მომაძახებს „კმარა“
მაგული კუჭაშვილი - კურტანიძე

სიზმარი

„ვინმე კაცს“ დავყავარ ხელისკიდებით,
ამინდია ქუში, მაგრამ წყნარი,
უცნობის უცნაურობით ვმშვიდდები,
ამ სიმართლეს არ გაუვა წყალი.
დაბალყელა ფეხსაცმელი გვაცვია
მე ტალახით დასვრილი, მას სუფთა,
ავდარს მთელი სივრცე დაუნაცრია
ღრუბლებში ვართ გახვეული სულ მთლად.
სადღაც წვიმით დამდგარ მორევს წავაწყდით,
იგი ფეხსაცმელს იწმენდს დახრილი
წყალში ჩავჯექ, წყალი თავზე გადამდის,
ფიქრი ვეღარ მიღრენს ძაღლივით.
მორევშიაც კაცი ხელს რომ არ მიშვებს,
რა დავარქვა, შემთხვევითი მგზავრი?
უცნაური ერთგულებით მაგიჟებს,
რა განცდა აქვს გათხოვილი ქალის?
აქ ჩვენს მეტი, ვფიქრობ, არვინ არ არის,
არც ფრინველები, არც ცხოველები,
სიმარტოვის შეგრძნებაც კი არ არის,
განცდაც არ გაქვს მძიმე მოვლენების.
მძაფრ ჭორიტაც ვერვინ გაარღვევს ნისლებს,
მხოლოდ ჩვენ ვართ, ვერ მოგვწვდება ქარიც,
შევაგუე მეტად უცნაურ სიზმრებს,
ჩემზე აღარ ეჭვიანობს ქმარი.
ახლა სად ვარ, ან ეს კაცი ვინ არის,
მივადექით მერამდენე ბაქანს,
ზღაპარივით თუ დასრულდა სიზმარი,
დაწვრილებით მოვუყვები დაქალს.

ფიქრების იქით

ფიქრების იქით რა არის ნეტავ,
რატომ ვიმტვრიო მისთვის თავ-პირი?
ახლა ღამეა და ძილი მნებავს,
ღამეს სიზრების ახსნას დავპირდი.
მაგრამ სიცხადე ისე ხმაურობს,
როგორც საყვირი იერიქონის,
ფიქრი თავს მესხმის მომაკვდინებლად,
ვით კორიდაზე ხარს მატადორი.
მაინც რა არის ფიქრების იქით?
იქნებ გზებია გაუკვალავი,
იქნებ სახლია, რომელიც არ მაქვს,
რომ შეგვიფაროს მე და არავინ.
იქნებ ზღვებია,
იქნებ ზვრებია,
ან გორაკია მზით გარუჯული,
სულში ჩიტების ჰანგით ძვრებიან
დაბანგული ვარ მათი ჯღურტულით.
ფიქრთა მორევი ეშმა ხარხარებს,
თასს შხამით მივსებს მაცდური ღიმით,
დროა ვაჩვენო მეორე მხარე
გაუხედნავი ცხენის ჭიხვინით.

პაპუნა ქვარიანი

ოდითგან

რთვილივით მოედო გარემოს
სიყალბის თილისმა...
წიქარა ნამქერში ჩაემხო,
იბღავლა სიმწრისგან.
ო, როგორ თახსირად გაისმა
შოლტების გნიასი...
ნისლები ახვეტა დაისმა
უკუნის წიაღში.
პირქუში საღამო გაყრუვდა
ტურების წკავწკავით...
ურჩხულთან მოქიშპე ფასკუნჯმა
შეისხა აბჯარი.
კარგა ხანს გასტანა ქუხილმა,
ქარაფმა იწითლა...
ოდითგან, დანა პირს უღრღნიდა
უაზრო სისხლისღვრას!

საწუთრო

შეაშრა ტბორები ავდრებით
დაღარულ ცის თაღებს;
სამოთხის კარებთან შევჩერდი,
ხელი ვერ შევახე.
მეწადა, მამული მენახა
ქარვისფერ ვენახად.
ვეცადე, ვარდების გვირგვინი
დამეწნა ხელახლა.
ლუკუმში ვაელვებ ჩირაღდანს,
თავს არ ვთვლი ყარიბად...
ამაო ვედრების მირაჟი
ზღვას ერთვის ტარიგად.
მცემს, თავზე მემსხვრევა გრიგალი,
ვით ბროლის ფიქალი...
ვეშვები ცხოვრების მორევში-
საწუთრო იქ არის!

ვერ შეკრა

ფრიალებს ნისლების ზეწარი,
ტოკავს ცის დარაბა,
ყოყმანებს ნასხვისი მერცხალი,
ვერ შეკრა კამარა.
თითქოსდა მოსწყინდა აივნებს
მტრედების ფუსფუსი...
საცაა, ჯაგარსაც აიღრენს
შემცბარი თუქსუსი.
გამოკრთა სილურჯე დროდადრო
ნაბეგვი ნიღბების,
მედროვემ ყეყეჩი შეამკო
სატანურ ტიტრებით.
არ შევდრკი, შენამდე მოვყვები
დაგეშილ ქარაშოტს...
ეჰ, კაცი იმითაც ცხონდები –
სინდისს თუ დარაჯობ!...

უცხო ხმა

დამფრთხალი ქორბუდა ირმები
მიაწყდნენ ქარაფებს,
არც ისე გულმშვიდად მივყვები
უღრანის სანახებს.
დაღლილი ტაიჭი ფრუტუნებს,
ახედა ბერმუხას,
აქ დამხვდურ, ღვარძლიან
თუქსუსებს
უცხო ხმა ემწუთხათ.
შენიღბულ კარდაკარ ხირიმზე
ციყვები ნავარდობს...
ეხ, ისევ საფრისკენ მიბიძგებს
ღრუბელი საავდრო.
განწყობას მიფუჭებს ძალუმად
ნადავლის სიმცირე...
ვარამი თუ დიდხანს ჩაყუჩდა -
სულეთი იწივლებს!

გვწყურია

გულ - ღვიძლი აეწვა ღვარცოფებს
უფსკრულის ძგიდესთან;
უსასო კივილი აშფოთებთ
ზენაარ ნიმფებსაც,
ჩარეცხა, ჩალეკა სტიქიამ
ტერასა თავთავთა...
ნიღბებს კვლავ აშკარად იცვლიან,
როს შფოთი ჩათავდა.
თამამად ჩაებნენ ფერხულში
კასტები მლიქვნელთა,
გამძაფრდა ზურგსუკან ერთურთის
ქილიკი თავკერძად.
გამარჯვდა მრუდ - მრუდე თითები,
გონება გალიგვდა...
მითები, გვწყურია მითები,
რომ ვიშვათ თავიდან!

ხორხოცი

ზოგჯერ ის, რაიც რომ მადლია
გვბოჭავს და გვაწამებს,
ხანდახან ბრდღვიალა მანტია
ჩაკაწრავს ბნელ წამებს.
დასჭექა ნაპირმა იხვების
ავყია ხორხოცი,
ამ ბუღში, კაცი ვით მიხვდები
ვინ როგორ მოცოხნის.
იმგვარად აგორდა სტიქია -
ისხლიტა ისრებად...
ჭალაში კვიცები იცდიან -
მარულა იწყება.
მრავალი უკვალოდ ეცემა -
ფინიშის ბოლომდე,
სახელიც კი აღარ შერჩებათ
ბევრ ჭკუის კოლოფებს!

სადა ხარ

იელვა, იმედის სხივია,
თუ ბინდის ლამპარი?...
რასა ვიქმ, თუ მაინც ჩივიან
ვნებანი ჩამქრალნი!
მოარულს თან დამდევს ნაღველი,
გნატრულობ დღედაღამ...
რადგანაც არაა მნახველი -
ვით გპოვო ხელახლა.
უდაბნოს ტრამალი ტორტმანებს,
არ უჩანს ცას კიდე,
ტალღები უაზროდ მატარებს,
აფრები გავკიდე.
ვცახცახებ, უფსკრულში
ვკიდივარ
ჩაძირულ კიდობანს...
სად დარჩი, სადა ხარ, მივდივარ -
გავურბი ფლიდობას!

ეკატერინე ციცქიშვილი

ციდან ნაპკური

გაუცხოების გაფხორილ საზღვარს
მიმოათრთოლებს გამჭოლი მზერა...
სისხამს ბუნების სიცხადე ახლავს,
ღრუბელი ღამის ქარაგმას კერავს.
სათუთი გრძნობით ნაკვებმა სივრცემ
სულიერ მრწამსის ამკო სიმები...
პეშვებს ანკარა წყაროთი ვივსებ,
ო, წარმოსახვებს ვესიმწრისები.
ამ გულისწყრომას როცა განკურნავს
ციდან ნაპკური შხეფი იაზმის,
აღარ გამოსცრის ბაგე სამდურავს,
ქორბუდა შვლის ნუკრს თავთავს მიაწვდის.

წამის სინაზე

სიმშვიდის სიო ისე ათრთოლდა,
ისე განასკვა წამის სინაზე,
გაუსაძლისის ელამ ტატნობთან
ქარი რუხ ღრუბლის ნაგლეჯს მიათრევს.
გაუფერადდა ღაწვი რატომღაც
ოცნებით ნაკვებ მელანქოლიას,
ეს ბრმა ნისლებიც ისე ჩაცომდა,
წუთით შეცბუნდა მზის ჰარმონია.
დაამშვენებდა წრფელი იგავი,
წუხანდელ ღამის - თევის შეგრძნებას,
ცამ უკუაგდო სიმწრის მჩხიბავი
და გასაძლისის ბუღი მეძნელა!

სივრცის ფიასკო

ჩამოიქცა ცოდვით ზეცა,
მიწაც თანხვედრ იანცობს,
სითბოს როგორ გამოვძერწავ -
კვნესის სივრცის ფიასკო!
რადგან მსუსხავ მოძახილებს
რწმენის მადლი არ წირავს,
საწუთროს ვით მოვაცილებ
სადიდგულო ბაცილას!
მივეფიცხე წმინდა სანთელს,
გულს ოხვრით ვერ ვიოხებ,
ვარსკვლავებმა მიმოქარგეს
გალაქტიკის სიობლე.
მეყვსეულად შემოთენდა,
გაიზმორა გვირილამ,
ზენაარულ მიმოქცევას
ვეგუები ირიბად!

ასე ადვილად

ო, ამ ქარიშხალის მძვინვარებამ
ისე მიმორეცხა ხოდაბუნი,
ყლორტის სამზეისო შეღერებამ,
ჟამი გამოკვეთა სიძაბუნის.
აზრი დაკემსილი შველას ითხოვს,
ქარაფს გაებზარა საძირკველი,
სივრცეს სილაღე რომ ენაპიროს -
ასე ადვილად არ გავწბილდები!
გულის უნებლიე სიფანცქალე
ძირძველ აღტკინებას აცლის ფორებს,
ისევ ჩამოქნიან წმინდა სანთლებს,
ისევ სინანული იცისკროვნებს.
რადგან ჩემი მრწამსი იობია,
თურმე რა ამაოდ მიომია,
სიყვარული რწმენის სინდრომია -
ლოცვად მიმოფანტა სიდონიამ!

შორენა თალაკვაძე

მე მაპატიეთ

რა სალვადორი, რაღა მონე, რისი გოია,
ჩემი მუზები დედამიწას ფეხით მოიარს,
ასე ფერადად ვის აჩვენა ტილო ბოკაჩომ,
როცა მაწვება ფერთა გამა ლამის მომახრჩოს,
თითქოს აუხსნეს ექსკურსანტებს პოზა დავითის,
ან სილაჟვარდეს გაუტოლეს მზერა დავინჩის,
ვინ შეაჩერა დეგას თეთრი ბალერინები,
ალბათ აიკლო მოედანი მთვრალმა გინებით,
უტიფარ, აშარ ლამაზმანებს ქმნიდა რუბენსი,
როცა იაფად უფეთქავდა გული უბეში.
რა სალვადორი, რაღა მონე, დუმდნენ ყველანი,
ამ შთაგონებას გაუტოლდეს ქვეყნად ვერავინ.
არც იოცნებოს ფიროსმანმა მთხოვოს ფუნჯები,
მე მაპატიეთ, სიყვარულთან ყველა ვმუნჯდებით!

თამარს, ჩემს მეგობარს

(ცხინვალი-ერედვი-თბილისი)

წავა – წამოვა ჟამი უნიათო,
უნდა გაგიმეტოს – გულით უვლიათო,
ჯერ სად უვლიათო, ჟამო ჯავრიანო,
გულმა სიტყვაძუნწმა აღარ ჩაგრიაო,
თო...რეემ რამდენია კიდევ გასავლელი,
ზოგი აშვებული წუთი ნეტარი და
ზოგი დასაბმელი... როგორც მხედარიდან
რაში მოწყვეტილი, ურჩად მონავარდე,
ჟამო უნიათოვ, ველარ დაეწევი,
წამებს სიკეთიანს ვერსად გაექცევი!

2008

* * *

მერე რა, რომ წლები აღარ დაბრუნდება,
რომ ჭაღარა გაგვერია თმაში,
 რომ არასდროს არ იქცევა წკაპუნებად
შენი მძიმედ სატარები ქოში,
რომ სურვილი ველარაფერს აუტეხავს
ბნელ ქვევრებად დამიწებულ – მინდას,
რომ აღარ ღირს ხასიათის გაფუჭებად
ის, რაც ადრე გეგონა, რომ ღირდა.
მერე რაა, რომ ფარდებია დასაშვები
დარბაზი თუ დაქუხდება ტაშით,
რომ ამისთვის აღარაფერს დაეძებდი,
გეგონება... გეგონება მაშინ!

* * *

გავლილს – გამოივლი, ჩავლილს – ამოივლი,
ნათქვამს დაიბრუნებ სიტყვას,
უკან გზაჯვარდინს ისე მოუხედავ
თითქოს არჩევანი ღირდა,
ალთას გაიხედავ, ბალთას დაინახავ
მხოლოდ იმიტომ, რომ გინდა!
...ბოლოს მიხვდები, რომ ყოფნა მულაჟებში
ერთი წუთითაც არ ღირდა!

* * *

პატარა ქუჩა,
ძველი უბნის
სახლები ძველი,
ფანჯრიდან მოსჩანს
როგორ წვება ქალაქზე მტვერი,
ანათებს ღამეს ლამპიონის მბჟუტავი შუქი,
ფერები არა... მხოლოდ ერთი და მხოლოდ მუქი!
რა გინდა მეტი...
დროს და სივრცეს თუ არ ნებდები,
და თუ ღმერთი გწამს, ნუ წუწუნებ
– როგორ ვბერდებით!

2018

დრო

რას დაეწევი დროს, გამეტებით –
მიქრის წუთებად ქცეული წლები,
ისევ ბერდება და არ ნებდება
არავის სურვილს სამყარო ძველი...
თითქოს საამო, მაგრამ, გაამოს?
არ დაიჯერო... ტყუილად ელი,
შეჩერდეს წამი, გაგიჟდე ლამის,
მაინც წაგართვა ლამაზი ჟამი,
ისევ ტრიალებს და... დასტრიალებ
უკვე სიბერეს უძლური ჯანით,
არ დაიჯერო, სადმე... ოდესმე,
თუნდ ერთი წუთით შეჩერდა წამი!

2015

...გალაკტიონი

...გალაკტიონზე ამბობდნენ: - ურჩი იყოო,
გამგონე მხოლოდ ღამის და თბილისის,
არ აწუხებდა ივლისის გახურებული დუქანი,
თავზე ადგაო უფალი.
ვინ დაინახა, ვინ იცის,
რამდენხანს იჯდა იმის წინ,
სანამ წერდა და ამკობდა,
რასაც უფალი ამბობდა.
მერე შრიალით ფურცლავდნენ
ამ ნაკარნახევს ქუჩები,
ყინვისგან დასუსხულები იმეორებდნენ ტუჩები:
მოდარაჯე კაცის მზერით წუხდებოდა მესაფლავე,
თიბათვეში მზერა მერის ათენებდა მხოლოდ ღამეს
და მტვრიანი ყვავილების სურნელება ისევ იდგა,
იმ ქუჩაზე, სადაც ბავშმა წეღან ფეხი წამოიკრა.
ურჩობდა... მარტო წუხდა დარჩენას,
მადლობა უფალს და მის გაჩენას!

2015

მონატრება

...როცა წლები გაიხურავს კარებს,
მონატრება ემსგავსება სუროს,
რომ ვიხსენებ მაგ თაფლისფერ თვალებს,
გული მტკივა, სევდა ისევ მსტუმრობს,
მაგონდება დარდიანი სახე,
შენი დიდი სულგრძელობის ხანა
სიყვარულით გამოწვდილი ხელი,
მზრუნველობით დაუღლელი ჯარა.
თბილი სიტყვა, გაღიმება შენი,
უღალატო, ანთებული გული,
მოფერება, დაყვავება მხსნელი
და თვალებზე უკიდები რული,
შევავედრებ ყველა წმინდა სანთელს,
გაგინათოს, გაგინათოს გზები,
თუ სავალი მიეცემა სათქმელს,
დაგეწევა ალბათ სიტყვა ჩემი,
რომ მიყვარხარ ისევ ისე ძლიერ,
თურმე რასაც უკვდავება ჰქვია,
შენი სულის ნათელ ფერებს ვადრი
და ამას კი - გეუბნები გვიან!

2016

* * *

ფეხაკრეფით გავიარე ტირიფების შრიალში,
კორდი, ქვები ხავსიანი, მდინარე და გვიანი
ენძელების სურნელება ბადაგივით მათრობდა,
არაფერი მაფიქრებდა და არავინ მახსოვდა.
მთები, ხმები გაზაფხულის, ალიონის ცვარ-ნამი,
ისე ნაზი და საამო, როგორც ხმები გალობის,
ხალხი თბილი, კრიმანჭულის გაბნეული მარაგით
ჩიჩილაკის ნაზამთრალი მოტანილი ბარაქით,
კერიაზე შემოდგმული მოთუხთუხე ჩახანით,
კეცის თავზე მობნეული ნაკვერჩხლების გაგანით,
ორღობეში ჩამოვლილი კრუხ-წიწილის კაკანით,
მომეგება გაზაფხული ამ საოცარ მხარეში,
დედაჩემის გულისცემა ირეოდა ღამეში,
მომაძახა... გავიგონე – „ნეტავ, სულ არ გამეშვი“
სადაც უნდა ვიყო, დედა, ჩემი გული შენია
აბა მაგის მოიმედეს, სხვაგან რა დამრჩენია.
სიზმრად ვხედავ რიჟრაჟს ბარში,
შებინდებას მთებისას,
ნარინჯისფრად მილეულ ცას, ვისაც ნახვა ეღირსა
ამ სიყვარულს გაიყოლებს
საგზლად მთელი ცხოვრება,
გურიაში სადღეგრძელოც, არის... დიდი ცხონება!

2015

ანა კალანდაძეს

მეც რომ შემხვდა, შავტუხა და თმებგაშლილი,
თვალთ ვარსკვლავებს დაუთვლიდი ანთებულს,
მეზღვაური არსად ჩანდა... ბოშა ქალი
სანაპიროს მიჰყვებოდა მარტო... სულ,
ავედევნე შეუმჩნეველ ნაბიჯებით,
არ ჩამოვრჩი სანაპიროს ბილიკებს,
მსურდა, თვითონ განმეცადა რასაც გრძნობდი,
მისი ნახვით ასე რომ მოიხიბლე...
– "და რა ქალი, ხელის გულით სატარები" –
"ელვის-ცეცხლით" ანათებდა ქვაფენილს,
მართლაც მისი არ ყოფილა სადარები,
ქარი დალალს უწეწავდა დაფენილს,
ეგ თამამი, ამაყი და თავმდაბალიც,
ბოშა ქალის ბროლის კბილთა ღიმილებს –
უბრად როგორ ჩაუვლიდა მეზღვაური,
არ ეთხოვა - "მაკოცეო ჭირიმე!"...
ნახვად ღირდა, მოხდენილად სიტყვა-კაზმულს,
სიყვარულსაც დაარქმევდი თუ იყო...
თორემ ამ ძველ სანაპიროს ბილიკებზე,
თვალხატულა ბოშა-ქალი სულ იყო!

2016

უშანგი მოსიაშვილი

შურით კაცს

მოგცეს უფლება, არ ნიშნავს იმას,
წერო ყოველი, რაც რომ შენ გჯერა,
შურით აღვსილ და ბოროტ სულიდან
გადმოანთხიო ნაღველი მთელად.
რომ სწერ იცოდე მაგ შენს ნაწერებს,
სადღაც უნდა ხომ ელოდეს ლხენა,
რომ სამომავლოდ შენმა ნაღველმა –
არ შეგახვედროს დიდ გზაზე წყენა.
თუმც ოდითგანვე სჩვევიათ მავანთ,
რომ ბოროტებით სძლიონ კეთილი,
მაგრამ ცხოვრება თავისას შვრება,
მათ ვერ უშველოთ თუნდაც ვექილი.
თუ ცხოვრებაში გზას ვერ დაადექ,
ვერ ჩადექ ძმათა ფერხულში შენა,
სხვისი ძაგება შენ რას მოგიტანს,
თუნდაც წიწაკით დაიწვა ენა.
და თუ ასე ძლიერად გჯერა,
შენ შენი ნიჭის გაქვს დიდი რწმენა,
კარგი კაცობით უფრო აჯობებ,
თუ ვინმემ შენზე ცუდი დაწერა.
მაგრამ თუ სულში გიზის სატანა,
გაგიჭირდება კარგის ატანა.
თუ ასე ცხოვრობ, იცოდეს, ყველას
გაუჭირდება შენი გატანა.
თუ დაიჯერებ, სჯობს, დაიხიო,
სულში ჩაიდო სიკეთე ქვეყნის,
რაც გიჯღაბნია, სულ მთლად დახიო,
კარგ კაცის სახელს ვერავინ შერყვნის.
როცა ვფიქრდები, მსურს დავიჯერო,!
რომ ეშმაკი ხარ უფრო მელაზე.
თუ არ შეჩერდი, მალე გიხილავთ
ჩამოკიდებულს სახრჩობელაზე.

1987 წ.

მუდამ ვფიქრობ

მუდამ ვფიქრობ, ჩვენ ქართველებს
სად გვაქვს გზა გასაყარი,
ან სად ვპოვოთ ჩვენ გულებზე
მიწა გადასყარი.
ან ვინ გასცა ჩვენი მიწა
მის ლამაზი მთებითა,
რატომ დუმან წინაპრები,,
რად არ აღდგნენ ხმლებითა.
ჩვენ სადა გვაქვს გასაცემი
მიწა ანდა წყალიო,
ჩვენ წინაპრებს მოხდილი აქვთ
მთლად ყველასთვის ვალიო.
მათ არასდროს ჩაუგიათ
თვის ქარქაშში ხმალიო,
ყველას რისხვა მიუღიათ,
ვინც დაადგა თვალიო.
უნდა დაეგმოთ, გვიყვარდეს
კაცი ჩვენი ორგული,
გინდა იყო გმირთა გმირი,
გინდა იყოს ლომგული.
გავაჩუქოთ? ის რისთვისაც,
ხალხმა სისხლი დაღვრა.
ვერც მოღოლმა და თათრებმა
აქედან ვერ აგვყარა?
ეს ხომ ქვეყნის ღალატია
ღაღადია სხვისიო,
ვერასოდეს გაიხარებს
მისი გასაგისიო.

1988 წ.

9 აპრილი

ნეტავ რა მოხდა 9 აპრილს, ღამით,
რატომ დაკარგა თბილისმა ძალა?
რომ მის ქუჩებში უმანკო სულებს
ძვირად დაუჯდათ ტანკების გავლა.
რა ქარიშხალმა გადაიარა,
რომელ ურჩხულმა შეისხა ფრთები?
რომ აღეკვეთათ გოდება სულის,
სისხლში ჩაახშვეს უმანკო ხმები.
არ ვიცი, ასე რამ გაახელათ,
რომ კაცის მოდგმის არ ჰქონდათ გული?
სისხლი დაღვარეს თავის მოძმისა
და დაიმშვიდეს მტარვალი სული.
გლოვით შეძრწუნდა კავკასიონი,
წამოიმართნენ ზვიადი მთები.
მუშტად შეიკრა მთლად საქათველო,
აღდგა, აზვირთდა, გაშალა ფრთები.

1989 წ.

რუსთაველს

რუსთაველმა მთელ მსოფლიოს
მოაბნია მარგალიტი,
ყველამ კარგად ვერ გაიგო,
მიუსიეს, კენკავს ჩიტი.
რუსთაველი პირობითად,
შოთა ქვეყნად არის დიდი,
ვინც მას ცუდად მოიგონებს,
იგი არის ფლიდზე ფლიდი.
მან უმღერა ქვეყნად სიბრძნეს,
სიყვარულს შეასხა ფრთები,
მან უმღერა მეგობრობას,
დღესაც ისმის მისი ხმები.
ის ხომ ქვეყნად დიდზე-დიდი,
მწიგნობართა იყო ღმერთი.
მიტომ ბრწყინავს მსოფლიოში
რუსთაველი ერთადერთი.

ვინ გაბრიყვდა, ვის დასჭირდა
გვარი რუსთაველისა?!
მან სახელი შეგვილახა
ჩვენ – ყველა ქართველისა.
განა ქვეყნად ცოტა არის
გვარი უკუღმართული?
ეს ერის წინ ბრძოლა არის,
შუბივით აღმართული.
არა, ქართველთ არ სჩვევიათ,
თვის წინაპართ ძაგება,
ამის ჩამდენს მოუხდება
თავის შუბზე აგება.
რა გაჭირდა, ვის დასჭირდა
ქართველ ერის ძაგება,
რომ მსოფლიოს კინოს სახით
ამცნო შოთას გაგება.

1988 წ.

ვისაც ამ ქვეყნის ტკივილი

ვისაც ამ ქვეყნის ტკივილი,
არ მიაჩნია არც რადა,
დაე, იმისი ქვეყანა,
იქცეს ტიალად, ნაცრადა.
ლამაზ ქალ-ვაჟთა გამზრდელსა
დედას ავუნთოთ სანთელი
მუდამ თან გვდევდეს იმედად,
არ ჩაქრეს მისი ნათელი?
ქვეყნის ჭიუხებს, მდელოებს,
მუდამ ნათელი ეფინოს?

მის ლამაზ ცაზე ავბედითს,
ჩიტსაც არ გადაეფრინოს.
ბევრ ქარტეხილმა ჩვენს მიწას,
ჩამოაცალა კლდეები,
არ დარჩეს ქვეყნად არავინ,
ვინც შეგვიმოკლოს დღეები.
არვის ეგონოს ტყუილის ვწერ,
ასეთი ქვეყნად ბევრია,
ქართველი მუდამ იცოცხლებს,
უფლის ნაკურთხი ერია.

1988 წ.

შევევედრები განთქმულ პოეტებს

შევევედრები განთქმულ პოეტებს,
ცის კაბადონზე ფარფატა მტრედებს,
რომ მათ დაგვმოძღვრონ და დაგვარიგონ
რა ნუგეში ვცეთ მწუხარე დედებს?
მინდა ვიცოდე რად მოკლეს ნინო,
სანთლებით ხელში ცელქი ნათია?
დღეს საქართველოს სული ბობოქრობს
და ყველას გულში ცეცხლი ანთია.
მინდა, ვიცოდე თავს რად დაგვესხნენ,
რატომ აიღეს ნიჩბები ხელში?

ასე უწყალოდ ქალების ჩეხვა
არვის უნახავს არასდროს ჩვენში.
მინდა, ვიცოდე, რა დავაშავეთ,
არ ჩამოიხსნეს ნიღაბი ჩვენთან,
თუ სურდათ სისხლი, ჩვენ რად გაგვწირეს,
რად არ მოიქცნენ ამგვარად სხვებთან?!
რა დაგვიამებს, ამდენ ტკივილებს,
რა მოაშუშებს ამდენ იარებს?
უნდა შეჩვენდეს, ვინც გინდა იყოს,
ვინც რომ აღმართავს ხალხზე იარაღს.

1989 წ.

მშობელ მიწას დავლოცავ

მშობელ მიწას დავლოცავ,
სადაც ფეხი ავიდგი,
სადაც ფუძე ჩავყარეთ,
სადაც ფესვი გავიდგი.
ეს ხომ ნაფუძვარია
ჩემი მამა-პაპისა,
ბევრი ცუდის მნახველის,
მომსწრე მრავალ კარგისა.
იაგუნდის სავანე,
დათაკრული ველებით,
აკორძილი მთებით და
დაკლაკნილი სერებით.
ჩვენს მომავალს შევცქერით,
ბრწყინავს როგორც ალმასი.
მათ დღესაც გაგვახსენეს
არაგველი სამასი.

ასე იყო ძველადა,
დღესაც დაგვრჩა ჩვევადა,
ქართველს მუდამ თან ჰქონდა
ღვინით სავსე ხელადა.
სალოცავად ქვეყნისა,
სადიდებლად ღმერთისა,
სადღეგრძელოს ამბობდა
თავის გუთნისდედისა.
დალოცავდა მომავლს,
მგრძნობიარე სულითა,
გულს აძლევდა წამლად დაო...
თავის აღსასრულითა.
მიტომა აქვს ჩვენს მიწას –
ასე დიდი სურნელი,
დღესაც ბევრი შვილი გვყავს
თავგანწირვის მსურველი.

1988 წ.

სიყვარულს

მე ის მხიბლავს და ის მატკბობს
და მაგრძნობინებს სიხარულს,
ვინც, რომ პირველად უმღერა,
პირველ კოცნას და სიყვარულს.
პირველი ყველგან პირველობს
კოცნაც და სიყვარულიცა
პირველ შეხვედრამ სატრფოსთან,
გამიხსნა სიხარულის ცა.
პირველი ყველგან პირველობს,
მუდამ მეტი აქვს ფასიო,
ეს სადღეგრძელო იქნება
და ღვინით სავსე თასიო.

რადგან სიყვარულს ვადიდებთ
და ჩვენს თავს ვაძლევთ რწმენასა,
ვინც დადის სიყვარულითა,
ნურც მათ ჩავუშლით ლხენასა.
სიყვარულს უშენებია,
ნანგრევი ბევრჯერ მტრობითა
და თავი გაგვიტანია,
მეგობრობით და ძმობითა.
მოდით ვუმღეროთ სიყვარულს,
რაც ქვეყანაზე გვარობსა,
ვაქოთ, ვადიდოთ ის ყველა,
ვინც სიყვარულზე გალობსა.

1988 წ.

მიტომ გაუძლო საუკუნეებს

„მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ“,
ცას ფიროსმანის თვალებით ვხედავ
და უფრო ლამაზ რაღაცას ვინატრებ,
ახლა მე ამის თქმასაც კი ვბედავ.
რომ პატრონობდნენ ამ სილამაზეს
დიდ წინაპართა ლეგიონები
დღესაც არტყია ურღვევ სიმაგრედ
შემართულ მთათა ბახტრიონები.

მიტომ გაუძლო საუკუნეებს,
დიდ საქართველომ ლამაზ ფერებით,
და საზრდოობდა მომავლის რწმენით
აყვავებული ტურფა ველებით.
„მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ“,
და ფიროსმანის ქებასაც ვბედავ,
ერის აღმასვლას, თავისუფლებას,
მუდამ და ყველგან ვუმზერ და ვხედავ.

1990 წ.

როგორც არასდროს

დღეს საჭიროა, როგორც არასდროს,
შემართება და სიბრძნე ქართული,
რომ ჩვენმა მიწამ იგრძნოს პატრონი
და არ გაუჩნდეს ვინმე ბატონი.

მხოლოდ შრომა და სიკეთის თესვა,
უშველის მამულს, ოდითგან ძლიერს,
წინაპრებიც ხომ ასე იღწვოდნენ,
არ იგუებდნენ უქნარას, ცბიერს.

*

ჩვენ რა გვჭირს, რა დრო დაგვიდა,
ეშმაკი წილში ჩაგვიდგა.
ვანგრევთ ქვეყანას ვერ ვხედავთ
სიმართლის თქმასაც ვერ ვბედავთ

*

და გვეჩვენება, რომ ბევრს ვაკეთებთ
მომავლისათვის სიკეთეს ვთესავთ,
რაც ძველი გვქონდა, ისიც დავკარგეთ
და კარგს ვერაფერს ახალს ვერ ვხედავთ.

დღეს საჭიროა, როოგრც არასდროს,
შეკავშირება და სიყვაული,
რომ დავუტოვოთ ჩვენსა მომავალს
ბედნიერება და სიხარული.

1996 წ.



თინიკო ხაბურზანია

მეფე დავითს

არა სალხენად სოფლად, არამედ საწვრთნელად სულის,
ღმერთმა გვიბოძა ქართველებს, მეფე ამხელა გულით.
მტრის ძლევად ვაჟკაცობით და მჯობნის ვერვინ მპოვნი.
გამკითხავი ქვრივ-ობოლთა, ღარიბის და უპოვრის.
და, რომ არ შევდრკეთ ქართველნი,
თავი არ მივცეთ ღრმა ძილს,
მტრის რისხვად დღემდე მოვუხმობთ მეფეს საოცარ ძალით.
დღესაც ჩაგვესმის იმედად ჭიხვინი მისი ცხენის,
როცა საკუთარ თავსა და სამართლობას ვებრძვით.
მიწა, დავითის ფარია, ცა გაელვება ხმალის
და მზე კი მისი გვირგვინი ჩასმული ზეცის თვალში.
არა სალხენად სოფლად, არამედ საწვრთნელად სულის
ჩვენ დღემდე ველით ქართველს, მკერდში დავითის გულით.

მტრის ჯინაზე

მთის ერთ ფერდობზე გადაფენილა,
გულგამგმირავი შავი ქალაქი,
და სიჩუმეში გარინდებულან
თქვენი ხატები ქვებში საფლავის.
დავდივარ ჩუმად ამ ხატებს შორის,
თითქოს აჩრდილი თქვენი დამყვება.
ნათელ თვალთა და მზერა შორი,
მე სიკვდილამდე ალბათ გამყვება.
ქართულო მიწავ! უძღებო ცრემლით,
ნუთუ ამდენი მსხვერპლი დაგჭირდა.
რამდენი ობლის ვერ დაცხვა კვერი,
ანდა რამდენი ქალი დაქვრივდა.
დავდივარ მაგრამ გული მღალატობს,
სულსაც სხეული უკვე ვერ იტევს,
რადგანაც ვიცი, რომ ჩემს სანაცვლოდ
ვიღაცამ თავი შეაკლა იქ მტერს.
ვინც გადავრჩით და ღმერთი გვიფარავს
სიმართლე მხრებზე დღეს ლოდად გვაწევს
ან შელახული სინდისის ფარად,
ამ ლოღსანამდე, როდემდე ავწევთ.
და რადგან ვცოცხლობთ აწ მტრის ჯინაზე,
ჩვენ ავაშენებთ ქვეყანას ისეთს,
ჩვენ დავამკვიდრებთ სიცოცხლეს ისეთს,
უფრო უკეთესს, უკეთესს ვიდრე
უშენებია აღმაშენებელს.

სული ჯვარცმული

მოგქონდა, ზურგით, მოგქონდა ურმთ,
ღაწვზე ცრემლებად მდიოდნენ წლები.
არ დაჩოქილი არასდროს მუხლით,
ეზიდებოდი სულს ჯვარცმულს რწმენით.
შენი ოქრო და თვალმარგალიტი,
ნაალაფარი ბრძოლით თუ ლხენით.
დრო ჭედდა ვითარც რკინას ხალიბი,
გადადოდა გულიდან ხელში.
და მის ბასრ პირზე ალესილ ხმლებით,
ეკვეთებოდი მტერსა და დუშმანს.
აი, ამიტომ, ამიტომ ვხვდები,
შენი დიდება მტერს რატომ შურდა.
დღეს უკვდავებად დგას ძეგლი მისი,
გულში ყოველი ქართველის მარად.
მეხთატეხანი ჟამთასვლის ისრით,
ვერ მოერევა ვით მუხას ჭარმაგს.
მიგქონდა ზურგით, მიგქონდა ურვით
სული ჯვარცმული გოლგოთის მთასთან,
გადმომდინარე ზედ სისხლით უფლის,
გულზე აწერდი დროს სიტყვას მართალს.

სიყვარულს უშენებიათ

მე მივდიოდი ჩემი რწმენით, ცხრა მთას იქით, იმ რწმენის ხალხთან
ვისაც ზუგს აწევს ცოდვა ქართველი კაცის თუ მიწისა მრავლად.
და მე ამ მიწას ისე შიშით, მოწიწებით დავდგი ფეხი
თითქოს ვგრძნობ ფეთქვას ქართველთა სისხლის და ძვლების ფერხთით.
და სწორედ იმან, ვინც უნდა მძულდეს მტრობის გამო წარსულ წლების
დღეს შემიფარა, გამომიწოა დახმარების მან გული წრფელი.
სხვა სიხარულით და სითბოთი დამიძახებს მე „ხანიმ გურჯის“
მართლაც რომ ჟამთასვლას შეუძლია მოარჩინოს ყველა ჭრილობა გულის.
დრომაც იბორგა, გვათამაშა და ჩამოუშვა როს სიბრძნის წვერი
მიხვდა, რომ მიზანი ერთია, გინდ თურქთა გინდა ქართველთა ღმერთის.
რომ მომავლის მზე დღეს უღიმის რწმენათა შორის ერთობას, ძმობას,
რადგან სიყვარულს უშენებია ის რაც დაუნგრევია მტრობას.

რა გვაძლებინებს

როგორ შეჰხაროდი მზეს და საქართველოს ცის ფერს,
ზეცად აყუდებულ მთებს და ველ-მინდვრებს ქარვისფერს.
მათ ვერ დაუთმობდი მტერს, ათიათასს თუნდაც ერთს
გული საქართველოს და სული ეკუთვნოდა ღმერთს.
ეს სიყვარული, სიმტკიცე სულ არ აწყობდა მტერს,
მოიწადინა წამებით დაგბნელებოდა მზე.
ამოგიშანთეს ხორცი და რკინით გიმტვრევდნენ მხრებს
„ოღონდ სამშობლო მიცოცხლე“ ევედრებოდი ღმერთს.
რომ გაუძელ ტკივილებს, სატანჯველს უხმეს მეტს,
ქეთევან! შენი წამებით ქართველთ უმტვრევდნენ ძვლებს.
შენი დაფლეთილი ხორცი, ხორცს წიწკნის ქართველ ერს,
მაგრამ გამძლეობით შენით ძალებს იკრებდა მეტს.
ეს ტკივილები შენი ქართველის გულს დღემდე ტკენს
ჩვენს მფარველ დედად გაკურთხა ამიტომ ერმა შენ.
შენი სახელის ხსენება დღესაც აფიქრებს მტერს,
რა გვაძლებინებს? ღვთის ნება და შენი სიწმინდე ჩვენ.

ანა ბეინაშვილი

მზე ჩავა

(ლამზირა შეყილაძეს)

მზე, ჩავა, თოვლი დაფარავს ქალაქს
მოწყვეტავს ლამაზ ზამბახებს მიწა,
ვთხოვ ჩემს მეგობარს მართალს და ალალს
გადაეფარე დედაო ღვთისა.
მზე ჩავა მაინც სიცოცხლეს იცავ
ენთება ქალაქს ნამსხვრევი მთვარის,
გთხოვ, აიფარე დედაო ღვთისა
არ იცის ეშმაკს სადა აქვს თვალი.
მუხლმოდრეკილი გვედრებ გიწამე
და მთელ საწუთროს სულიც იტევს და,
არ იცის ღმერთო, რომ ამ მიწაზე
ღვივდება პურის გულიც და სევდაც.
სისხლშეუმშრალი ეს მუხლი ადგეს
წავიდეს სადმე და გადამარგოს,
მე ხანჯლის პირზეც ვიბრუნებ სათქმელს
ის უნდა იყვეს ლექსები ქარგოს.
მზე ჩავა, ფიქრი დაფარავს ქალაქს
მათოვს ქალაქის უსიტყვო ხათრი,
მზე ჩავა, მაგრამ ღმერთო შენს ძალას
აქვს მწუხარება და დიდი მადლი.
გთხოვ მომიტევე სული მგზნებარე
თუ ვეღარ ვუძლებ მიწიან მიზანს,
გთხოვ ჩემს მეგობარს გადაეფარე
დედაო ღვთისავ დედაო ღვთისავ.

რა ძვირფასია შენი წყალობა

ანა ლაშხელ ონიანს

გაგარიდებენ ზღვა ვერცხლის ტკივილს
იანვრის ცვილი, გული საამო,
სითბო ეღვრება შენს ლამაზ ღიმილს
და წამისყოფას ებრძვის საღამო.
ხელში მიწაა და მადლი დილის,
ზღაპრის ნამწვავი ვარდების შუქზე,
დაბადებაში მზე სული ტკბილი
და შეშჩვეოდა გზის ბოლოც გუგებს.
პურის მთესველთან იღვენთება მზე,
ხმას ხალხიც მხოლოდ სიმღერით ივსებს
და არ იციან, რომ მიწის ქიმზეც
იმ პირველ სიტყვას ერთვოდა ისევ.
აანთო თვალი, გაათბო შუბლი,
შემთხვევით ერთი ყამირი გასცემს,
უნებლივ შორე სიცოცხლე უფლის
და წყაროს ტოტი სინათლით ავსებს.
შენი ლამაზი ბუნების საყდარს
მიწად აქვს სევდა და სიტყვა მადლთ,
გზა არის, მაგრამ დგას საყდრს ბაღთან
სამყაროს დიდი და სუსტი სახლი.
სახლში ხიბლავდა საკუთარ ნებით,
ტყვია და ცრემლი და ჭრელი თოვლი
გზას დაწეწილი შენი გონებით
გამოჰყავს მშვიდი და ბავშვის ტოლი.
გარს ევლებიან მგზავრებიც ისევ
სულ უნებურად უძღებენ წუხლს,
მზე შენი ფეხის ნაზამთრალს მისდევს,
რომ არ დაემჩნეს სამყაროს სუსხი.

ღვთიური სასწაული

ჩამონისლეულდა ღამე უჩვეულო,
ღრუბლებს დაუფარავს მთვარე მოღალული,
მთელი საქართველო გლოვა-ურვეულობს,
წარმართ არაბთაგან სისხლად მოღვარული.
უფლის შარავანდი ნათლით მოსავს გმირებს,
რიონს მიეკრძალავს სული ალებული...
ორი დიდებულის: დავით – კონსტანტინეს,
ათვლით ათდღიანი ტანჯვით წამებულის.
რწმენა, მამულისთვის ცრემლით გაილეთა,
ჯვარით გადიბეჭდა ქცევა ღვთისმიერი,
აღსდგა უდრეკელად სული მოწამეთა,
ღმერთი გაპირველდა სამშობლო და ერი.
გამოსტაცეს სხივი გმირთა წმინდა ლანდებს,
ვარსკვლავებმა ზეცად აამზევეს ღმერთთან,
ახლაც სასწაულობს წმინდა ოდაბადე,
– ჩვენი სალოცავი – სვეტი მოწამეთა.

ხატმა დედის

ამ გაუსაძლის ცხოვრებას მისდევ,
ბედმა ჩაგიხშო სულში ოცნება...
დრომ ჩამოღერღა წარსული უხმოდ
და ვერ წაგართვა პატიოსნება.
ჩამოგენისლა წლები წვალების,
ხან ცრემლი გძლევდა, ხან აგონია...
და წუთისოფლის ნაღვლემარ გზაზე
მაინც სიკეთემ გაგიყოლია.
ღამეც ათია დარდმა ვაების,
მწუხრიც აფხრიწე ღამეს ლანდიანს...
კვლავ ცისკრობს სულში წმინდა სანთელი,
კვლავ მუხლმოდრეკით ლოცულობ, დია...
ძვირფასო ჩემო! ცხოვრებამ შენში
ღვარძლის ნაგლეჯიც ვერ დაატია...
ოდნავ ფერმკრთალი ხატება დედის
შორი მზესავით რა დიადია!

ლოცვა იმედით

მზეში დიადი სული ჩაუგია
ვაგლახ, ვერ ავიღე სატევარი,
ყაყაჩოსავით რომე მსუბუქია
ჩემი დამსხვრეული ნატერფალი.
გავისაძლისე ცხრა ძმის რაინდულად
სულით მშვენიერით, მამა-პაპის ხარით,
ვაგლახ, უღონობავ... უღვთოდ გაყიდულა
მიწაჩაბღუჯული ქართველთ ნასისხლარი.

ხანძრად გამომედო ნავალი უბირთა,
მიწავ, სად არიან ქართველები,
გადმოგიყარონ ნაზამთრალ უბიდან
ლურჯი საგუმბათო ფანტელები.
ვინ გამახსენოს დედა ქეთევანი
თევდორე მესიის ჯვრით მაშვრალი,
ვინ დაამწყვდიოს მზე ყურძნის მტევანში,
ვინ ავარძიოს ციხის ნაშალი.
მზე სასწაულობს – გაფრქვევს

შეუცნობლობა

შავად შეიმოსა დღე და
ჩუმად შემოგიღე კარი,
შორეთს შევრჩებოდი თუკი
შენთან შემრისხავდა ქალი...
ცეცხლი ეომება დილას
ცრემლი გაუღენთილა ხმაში,

ცდება განთიადზე ცოდვად
ისიც ცბიერებით ვაჟის.
ცრეცდა აკაციის ყვავილს
ცისმარს შემომსკდარი ბუქი,
დღემდე აწვალებდა ცდომილთ
თვალთა ზეცისფერი შუქი.

ლეილა გაფრინდაშვილი

მომიტაცეს

ყოველ დილით ვევედრები უფალს,
გავძლიერდე რწმენაში და მადლში,
ალბათ ღმერთმა შემისმინა ლოცვა,
ძილბურანში ავფრენილვარ ცაში!

მომიტაცეს ვარსკვლავებმა წუხელ
და ცის თაღზე გამიშალეს ნალი,
შემიკერეს თეთრი ფერის კაბა,
წმინდანებმა გადამწერეს ჯვარი!

აიაზმა მომასხურა ზეცამ,
ანგელოზი მხარს დამაჯდა-ცოდვილს,
უფლის სახლთან ვიყავ ცაში, ახლოს
დაჩოქილი, ჩემ თავს ვეღარ ვცნობდი...

რა სიმძიმეს უძლებს დედამიწა,
ნაფეხურებს ფარისეველ ჯართა,
წუხელ ღმერთმა მომანდომა უღირსს,
ცოდვებისგან დავიბერტყო კალთა.

გამთენიას ჩამეძინა, ზეცას,
სიზმარცხადში რა სიწმინდე თოვდა,
გამოვფხიზლდი, მიწიერი ვიყავ,
გული ზეცაში დარჩენას მთხოვდა!

დილის ცვარზე ფეხშიშველა გავიარე,
როგორ ჩუმად მოპარულა გაზაფხული,
ხმით შევიცან, მთის სიმღერას ღიღინებდა,
ყვავილებში ჩამალული ნაკადული.

სიტყვა და პოეტი

ჩემო ანბანო, სიტყვის სხეულო,
მუსიკალურო, ჟღერარჩეულო,
სიტყვავ, სტრიქონზე გადახვეულო,
დინჯო, ჭკვიანო, გადარეულო...
პოეტს სჭირდები, როგორც საგზალი,
ხან ჩოხას გაცვამს, ხან მანდილს გხურავს,
მისთვის ხარ ფარი,ხმალი, აბჯარი,
დაფი, საყვირი, ჩონგური, ქურა...
ოცნებისფერად ფრთებს შემოგასხამს,
ცისარტყელების ფერთა გამაში
გმოსავს,დაგისვამს ხელისგულზე და
გგზავნის ზეცაში, უფლის ალვაში!
სტრიქონო, სიტყვის მძივთა კრებულო,
პოეტის სულის ჩანაწერებო,
მგოსანის ჩანგზე ამღერებულო,
სტროფში შერწყმულო და ნაფერებო.

ანო და ბანო, განო, დონო, ზენო და თანო,
სიტყვათა წყობავ, მომღერალო ბულბულის ჰანგზე,
ატოკებულო სისხლის ძარღვო, შფოთვავ, სიმშვიდევ,
მოგეახლე და... შუბლზე ცვარი გადავიწმინდე...

საქართველოში სიტყვა მღერის პოეტის ხმაზე,
პოეტი სახლობს მზესთან ახლოს, ცის კამარაზე!

ქარგულა კოლიე

ფერადი პიჯაკი ტანს შემომეძონძა,
დრომ შთანთქა თვალებში ბრჭყვიალა ალმასი,
წლებმა ნაოჭები შუბლზე მომაფინა,
გასცა საიდუმლო, ამხილა ასაკი.
ჟამთასვლას ფეხდაფეხ მივყვები ქარივით,
მაჭარი დავღვინდი, ავმღერდი ლექსებად,
არ ვხარბობ, სიმდიდრედ მუზებიც მეყოფა,
მიხარის, ნალია ლექსებით მევსება!
მადლობა! ბუნებამ ხელკავით მატარა
ხან შემაჯანჯღარა, ხან ცაში მაფრინა,
ამისხა რითმების ქარგულა კოლიე,
ჭაღარის სანაცვლოდ მკერდზე დამაფინა!

ზღვის ჰარმონია

ამ ზღვის კენჭებში ვინ ქვებს ხედავს,ვინ კი ვერაფერს,
მე კი ვაგროვებ, ვივსებ ჯიბეს ჭრელხატულებით,
ზღვის ჰარმონიის ფონზე ვაფენ რითმებს ფერადებს
და სანაპიროს ზოლზე მამულს ვესათუთები.
ხტიან ტალღები, ახეთქებენ სხეულს ნაპირებს,
ნუთუ ვერ ამჩნევთ, როგორ წერენ ლექსებს, პოემას,
რომ შთაგონებას არ მივსებდეს მზისა ფერები,
ასეთ ცხოვრებას ვუწოდებდი ამაოებას.
ტალღების ფონზე გავატარე ფიქრი საცერში,
სასიხარულო, სალაღობო, არეს ვაფინე,
ნარჩენი მუქი, ულიმღამო, დარდისეული,
მძიმე ლოდებად რომ ვათრევდი, ზღვაში ჩავძირე.
მივყვები ნაპირს, ჩხრიალებენ ჯიბეს კენჭები,
მუზას ქრიალა საყელოზე ვავლებ მარმაშებს,
ჩავალ თბილისში, მოსაუბრე ჭრელ-ჭრულა კენჭებს,
ყოველ ცისმარე, ხელისგულზე შევათამაშებ!

იდუმალების საიდუმლო

ჭერათხევის მთებს ჩემი თვალით შეხედოთ ნეტავ,
ლექსის მაგიდა გადავშალე და რითმებს ვპენტავ!
ძირულას ღიღინს გასუსული უსმენს ტირიფი,
იდუმალების საიდუმლო ნეტავ ვინ იცის?
ვეღარ გავუძელ ამ ცდუნებას, ვერხვების შრიალს,
ხელიდან მცვივა ოცნებები და ნიავს მიაქვს.
გადაიქროლა, მთა და ველი გადაიარა,
უნაწიბუროდ მომიშუშა ყველა იარა.
რა სითამამემ ამიტანა, მგონია მთა ვარ!
ხმაურით ვივლი ჩემს მამულში, ვიდრე არ წავალ,
ზიზილ-პიპილო ჩავიცვი და ჩემ თავს არ ვგავარ,
უშენოდ ვინ ვარ, მიწავ ჩემო, უშენოდ რა ვარ?!
ნუ მიშლით ხმაურს,
ნუ მიშლით ხმაურს, მჯერა, რომ მთა ვარ!!!

იქნებ

ვაი, თუ დამასწროს ვინმემ,
შენს მკერდზე გავშალო ფრთები,
იქნებ შემამჩნიო, მიხვდე,
როგორ სანთელივით ვდნები...
იმ დღეს გამილიმე ისე,
მეგონა მოგხიბლე ლექსით,
სუფრა გადავფინეთ ველზე,
გაცნობის სასმისი შევსვით!
შევსვით! პოეზიის ბახუსს
ავყევით, ვიფრინეთ ზეცას,
შენ ლურჯი გეხვია კაშნე,
მე ცისფერი კაბა მეცვა.
მწვანე, მოხასხასე ველზე,
ცისფრად ვანათებდით ორი,
მერე დაეჭვებით მკითხე,
იქნებ გყავსო გულის სწორი?
მწველს გადავეყარე მზერას,
მივხვდი, დავასწარი ყველას!

შავლეგ შავიძე

გზა...

ვიღაცისთვის ადვილი...
ყვავილნარში ჩაფლული ბილიკები...
გათელილ-გაკვალული
დასახული მიზნისკენ...
ჩემთვის?
ჩემთვის ცრემლი და სისხლია,
ჰო, ცრემლი და სისხლი!
ცრემლია
ყოველი ფეხის კვალი...
ციცაბო კლდეზე გამოკვეთილი საფეხურები...
საფეხურები, როიალის კლავიშებივით სრიალა...
სევდის როიალი...
ო რა ძველია და მაინც შერჩენია ხმა...
ხმა...
ხმა...
მომავლისგან მივიწყებული და (ვითომ)
წარსულში დარჩენილ ტკივილებთან
შერწყმული ხმა...
მივდივარ...
მივაბიჯებ ამ საფეხურებზე და სევდიანი
ბგერები იფრქვევა გარშემო...
სევდა...
სევდა...
სევდა...
სევდისფერია ახლა ღრუბელიც,
ჰო, სიყვარულიც სევდისფერია...
და უსარგებლო მკვდარი წუთებიც,
წლებიც, დღეებიც სევდისფერია...
თუმცა...
სევდაა ყველაფერში,
ყველაფერში სადაც სიკეთეა...
სიყვარულშიც სევდაა...
სევდაა ჩემი საფეხური და ცხოვრების
მეგზური...
მიყვარს, მიყვარს, მიყვარს!
მაგრამ...
რომ ველარ გავუძლო!?
ფეხი რომ დამიცდეს!?
მინდა უფსკრული!?
არა!
არა!
არა!
ამომძახებს შინაგანი ხმა და კატასავით
ვეჭიდები სრიალა კლავიშებს,
კატასავით, რომელსაც წყალში ჩაგდებას
უპირებენ და განწირული, მშფოთვარე,
შიშნარევი თვალებითა და ხმით...
თითქოსდა
სუსტი, უსუსური,
ჯერ არ მომწიფებული ბრჭყალების იმედი რომ
არ აქვს და მაინც, მაინც იბრძვის თავის
გადასარჩენად...
რომ ვერ მოვეჭიდო!?
რომ ვერ გავუძლო!?
მერე?
მერე ხომ სევდაც მიმატოვებს!!!
მღრნიან ფიქრები...
მაგრამ...

ასე არ ხდება...
არ ხდება ასე...
მე მიყვარს,
სევდა...
ჰო, სევდა მიყვარს...
და ეს ზარდახშა, პირამდე სავსე,
მზისებრ კიარა,
სევდისფრად ბრწყინავს...
ჰო,
სავსე ვარ სიყვარულით და სიკეთით...
თუმცა ვის,
ვის რად უნდა!?
ამბობს გული და სევდისფერი ბრწყინვალებით
რომ თვალი არავის მოჭრას, იმალება...
იმალება ნაისრალი, მრავალი სტიქია
გადავლილი მკერდის ქვეშ...
მშვიდად...
მშვიდად...
მშვიდად...
ისევ თავად უწევს საკუთარი თავის
დამშვიდება...
თავადვე უმკლავდება სასტიკ ღვარცოფს,
დაუნდობელ სტიქიებს და იმაზე ფიქრს,
რომ ასე უნდა ხდებოდეს,
რომ ესაა მისი ბედი და უნდა გაუძლოს...
უნდა გაუძლოს...
უნდა გაუძლოს...
გაუძლებს კი!?
კი...
მაგრამ როდემდე!?
არ ხდება ასე...
ასე არ ხდება...
ვაიი!
ბაგეზე კვდება ღიმილი...
ეს უცნაური
სამყაროს ხედვა,
სხვისთვის ტრფობაა,
ჩემთვის ტკივილი...
ღიმილი...
მეცოდება ღიმილი...
ღიმილი რომელიც დაბადებისთანავე
განწირულია სასიკვდილოდ...
ჰო, გახშირდა ასეთი ღიმილი,
ღიმილი რომელშიც ტკივილი მეტია ვიდრე
ბედნიერება...
თუმცა კეთილია ეს ღიმილი...
იბადება...
იბადება იმისთვის რომ, როცა მოყვასს
თვალებში უყურებ, სიყვარული, სითბო, იმედი
აჩუქოს...
შენზე ჯავრი მოაშოროს...
შემობრუნდები და კვდება...
კვდება და დასტირის ის ორი დასათხრელი
თვალი, რომელიც ამ სამყაროს და მიმდინარე
მოვლენებს უყურებს...
კვდება ღიმილი...
კვდება მაგრამ გმირულად...
მისია შესრულებულია...
მიყვარს მე ასეთი ღიმილი.
უზომოდ მიყვარს...
სევდისფერ ღამეს ვემალები, ბალიშზე თავქვე,
ვცდილობ ზღვა დარდი წვეთ-წვეთობით
ცრემლით დავაშრო
და დღისით მოყვასს ღიმილით რომ აენთოს
სახე,
ხშირად ბედნიერ როლს ვირგებ და ასე
ვთამაშობ.
მოყვასი...
რა საოცარია ეს პატარა სიტყვა...
რამხელა აზრს და პასუხისმგებელობას იტევს...
რა საოცარია ის ადამიანი ვისაც ეს სიტყვა
შეეფერება...
რას არ გააკეთებ...
რას არ გაიღებ მისთვის...
მაგრამ, ეს სიტყვაც ტკივილი და სევდაა...
უზომო ტკივილია როცა უძლური ხარ შენზე
შეხორცებული, დაბადებიდანვე თანდაყოლილ
დაავადებაზე...
დაავადებაზე რომელსაც "ბედი" ჰქვია...
"უძლურებაზე დიდი სასჯელი, მასწავლეთ,
ბედი უნდა დავსაჯო"
ასე არ ხდება...
არ ხდება ასე...
შენ არც ღმერთი ხარ,
არც ანგელოზი...
გკარნახობს გული
სევდიან გზაზე,
რომ ეს ბედია
და შენ ვერ მოშლი...

ნისლი ჩამოწვა პაპაჩემო

ნისლი ჩამოწვა პაპაჩემო,
ნისლი ჩამოწვა!
ათასი რჯული, თავის ადათს აპნევს თქვენს კვალში...
ცრემლად წამომსკდა საქართველო!
ცრემლად წამომსკდა!
სადაც, გონების დასაბინდ
შხამს ხედავენ ვაზში...
ქრება სიწმინდე,
სარეველა მოედო ჯეჯილს,
ხორცს ვიღა ჩივის,
სულიც იქცა მიწიერ ვნებად...
რაღა განკურნავს
ცოდვით სავსეს, სამყაროს შეშლილს,
როცა, ფული და ძვირფასი ქვა
აქციეს ღმერთად...
ნისლი ჩამოწვა პაპაჩემო,
ნისლი ჩამოწვა!
აქ იყიდება მირონი და
კურთხევა ღმერთის...
არ მარგებს ქართველს,
არც მირონი და არც დამოძღვრა,
იქ, სადაც ფული და სიწმინდე
ერთმანეთს ერწყმის...
შენ მაპატიე პაპაჩემო!
რწმენა შემერყა,
რა ვქნა, ვერ ვპოვე
შუამავლად ბერი და მღვდელი...
არა, არ ვენდე,
ვერ გავბედე სულში შემეშვა,
რადგან ცხვრის ტყავში,
ბევრჯერ ვნახე მშიერი მგელი...
თავად დავეძებ გზას ეკლიანს,
უფლისკენ სავალს,
ათასი დარდის და ტკივილის
მიწევს გამოცდა...
გვიშლიან ახლა, თქვენს გაკაფულს მივსდიოთ გზა-კვალს,
ნისლი ჩამოწვა პაპაჩემო,
ნისლი ჩამოწვა!...

მანანა თარაშვილი

სპექტაკლი ხალხისთვის

სპექტაკლი დაიწყო,
როლები გაიყო,
მუსიკას უკვეთავს ვიღაცა მესამე;
ვთამაშობთ იდილიას,
ჩვენს გულში ჭიდილია,
ჩემი სიძულვილით თანდათან გგესლავენ.
„ნიჭიერ მსახიობს“
როლი არ გამოგდის,
სიყალბე არ უხდება ერთგულებას,
მესამე ხალისობს,
რაღაცას „ჩალიჩობს“,
მე მხოლოდ ერთი გზა მეგულება:
სპექტაკლი მდორეა,
ფინალი სწორეა –
მე უნდა გავიდე კულისებში...

ასიყვარულეთ სიყვარული

ასიყვარულეთ სიყვარული, გემუდარებით,
მთელი არსებით, გულით, საქმით, თუნდაც თვალებით,
აფენთხეთ გული, რომ დასცვივდეს სითბოს ღადარი,
უგულო ხალხში უგულობა ნეტავ რად არის.
ასიყვარულეთ სიყვარული, რას ემართლებით,
კვლავ ეყავარჯნეთ აზრით, რწმენით და შემართებით,
სულ ნუ მოაშთობთ, ამოსუნთქვის მიეცით შანსი,
რომ იშრიალოს გალაღებით სიცოცხლის ვალსით.
ნუთუ ბოლომდე დაგიჩლუნგდათ გრძნობის საცეცი,
აღარ შემოგრჩათ სიყვარულის თუნდაც ნამცეცი,
ვეღარ იხსენებთ რა დიდია სულის ზეიმი,
ან ვის უნახავს კაცთმოდგმიდან ურვის ხეირი.
ასიყვარულეთ სიყვარულის ციცინათელა,
რომ კვლავ დაბრუნდეს თქვენს გულებში მისი ნათება,
გადაირეცხეთ სიავისა მთქმელი და მქმნელი
ღვარძლის ღვარცოფით გაბიდნული გონება თქვენი.
გავგულმზიანდეთ, შემოვძახოთ, მადლი უფალსა,
კვლავაც ერთობით მოვაშოროთ მუმლი მუხასა,
თორემ დაგვტოვებს უფუნქციო სიტყვა-მშვენება
და მასთან ერთად გვიწერია გადაშენება.
ასიყვარულეთ სიყვარული, გემუდარებით!!!

გვანცა ხარაიშვილი

სანამ ჩუმად ვართ

არავინ ითვლის დღეებს.
წლები კი გადიან სწრაფად.

ფართო ველიდან
კერამიკის ლარნაკში გადმომრგეს.
ყოველთვის მინდოდა ჭრელ, კოპლებიან და
ცისარტყელასმიჭყლეტილ სპილოებიან სამყა-
როში მეცხოვრა,
 მაგრამ ასე ვიწროდაც არა.

ბედს არ ვემდური.
თეთრად შეღებილი თაროდან ბევრი ფანჯარა –
ანუ ბევრი ისტორია ჩანს.
არ მოვიწყენ.

ჩემი ამბავი არავინ იცის საიდან იწყება.
არც მე მეცოდინებოდა მოყოლა რომ არ დამეწ-
ყო _
სანამ ჩუმად ვართ, არავინ გვისმენს,
მერე _ მით უფრო.

ყველაფერი, რაც ვიცი
ჯერ ჩემმა თესლმა იცოდა _
მტკნარი წყლის გემო,
ხის წებოს სუნი,
მწერების გაუთავებელი ბზუილი,
შეხება.
იცოდა ამაზე მეტიც,
რაც მაშინ მახსენდება,
როცა ვიკარგები
და გზის ხედვა მიძნელდება.

ფესვებით ვდგავარ.
მიწაზე ამოსვლა გამოღვიძებას ჰგავდა.
მზის სხივები არხევდნენ ჩემი სიზმრების
ნაზ რტოებს,
მიწისქვეშა წყლები კი მშვიდად ლოცულობ-
დნენ,
რომ ამ გამოღვიძებას
სამყარო უკეთესობისკენ შეეცვალა.
ვიცოდი მაშინ,
ვის მხარეს იყო ბედისწერა.
ახლა არ ვიცი.

როცა ვფიქრობ დღეებზე,
ფართო ველზე
 მატარებლის ვაგონივით თანაბრად ჩამწკრივე-
ბულ
ერთნაირ დღეებზე,
ტანის ღეროში ისეთ სიცივეს ვგრძნობ,
თითქოს,
ცივი წყალი დამასხეს
ონავარმა ბავშვებმა.

წამოსვლა მინდოდა.
თანაც, ისე ლამაზად,
ბელურებს რომ მოეყოლათ
ნისკარტდაღებული ბარტყებისთვის,
კოდალებს მთელი ტყისთვის მოედოთ
გამოთხოვების ეს დიდებული ამბავი.

აქ ვარ.
ხის თეთრადშეღებილ თაროზე.
ფხვიერ მიწაში თავჩარგული თერმომეტრი

ჩემი ფიქრების ნაცვლად
ტენიანობას კითხულობს.
ადამიანებმაც ასე ცუდად იციან კითხვა.
ეს მარტო სული კაციც,
რომელიც სახლში შევიფარე,
მხოლოდ ქვითრებით
და საკვირაო გაზეთებით ინტერესდება.
იშვიათად წაუცდება ხოლმე
სურვილი,
წვება ხის სავარძელში,
თვალებს ხუჭავს,
ხელებს ფეხებზე იწყობს
და საკუთარი თავის კითხვას იწყებს.
მე ვისუსები.
ხმა არ მაქვს,
მაგრამ შინაგან ტალღებს ვაჩუმებ.

თენდება.
მზე აქაც ისეთივე ამოდის,
როგორიც ფართო ველზე ამოდიოდა,
მაგრამ პეპლები აღარ მოჰყვებიან
მზის ამოსვლას.
აქ არავინ მაკითხავს.
რა მოკლე სიცოცხლე ჰქონიათ მათ,
ვინც წარსულში დავტოვე,
რა პატარა ოცნებები.

ბაბუაწვერას მოჰქონდა ხოლმე
დილაობით ფოსტა.
შრიალებდა ჩემ გარშემო ბალახი,
წრეზე ბრუნავდნენ მისი მსუბუქი ქოლგები
და მიყვებოდნენ საოცარ ამბებს
შორეულ ფართო მდელოებზე,
კერპთაყვანისმცემელ ადამიანებზე,
კოცონის ირგვლივ დატრიალებულ ჯადოსნო-
ბებზე,
ზღვის პირას გათეულ
ცივ ღამეებზე.
ზოგჯერ, სიყვარულზეც,
როგორც რაღაც მყარზე
და ცარიელზე.
მწერებს მოვწონდი.
ამბობდნენ,
რომ ლამაზი ყლორტი მქონდა _
გრძელი, მწვანე, სრულყოფილი.
მე მხოლოდ ჭიამაიების აზრი მინდოდა გამეგო.
ჩემზე არა, ამინდზე.
იწვიმებდა თუ არა,
იწვიმებდა თუ არა,
გადავრჩებოდი თუ არა სიცხეს.

მარტო სულ კაცს ამინდი არ აღელვებს.
ყოველდღე ერთნაირად იცვამს _
ნაცრისფერ გახამებულ შარვალს,
მუქ ყავისფერ ჯემპრს და
მასზე ცოტა უფრო ღია და გაცვეთილ ფეხსაც-
მელებს.
ზოგჯერ მგონია,
ეს ერთი გასვლაც და
აღარ დაბრუნდება,
ყავის ეს ყლუპიც და
ხელებს უკანასკნელად გამოიწვდის
ჩემკენ,
ცხოვრებისკენ.
ის კი ყოველ ღამით მოდის,
დაძინებამდე,
სანამ უკანასკნელი ზეწარი დატოვებს
თეთრ კვალს ზეცის კიდეზე.
მარტო სულმა კაცებმა ხომ
ყველაფერი იციან მარტოობაზე,
ამიტომაც ჩემთან ყოფნას ირჩევს.

ფართო ველიდან თეთრ რაფაზე გადმოვედი.
ნეტა, რას ყვებიან ჩემზე კოდალები?
რა ამბები მიაქვთ ბეღურებს
ნისკარტდაღებულ ბარტყებთან?

არავინ იცის საიდან იწყება ჩემი ამბავი.
არც მე მეცოდინებოდა
ოცნება და მარტოობა რომ არ მესწავლა.

გავთავისუფლდი.

შორენა ჩხიკიშვილი

სისხლის წვიმები

9 აპრილს დაღუპულ ნატო გიორგაძეს

შენ, რუსთაველის პროსპექტზე მყოფს, ლოცვად აღვლენილს,
საქართველოსთვის მავედრებელს, მახვილი ჩაგცეს,
ბარბაროსულად გაუსწორდნენ შენს თანამოძმეთ,
ორლესურ ნიჩბით აგკუწეს და გულაღმა დაგცეს.
ოცი ქალ-ვაჟი დაუჩეხეს 9 აპრილს თბილისს,
მამულმა იმ დღეს ოცი კუბო ერთად ასწია.
ერთი მათგანი შენც იყავი ძვირფასო ნატო,
ვინაც ქართული ღირსებისთვის თავი გასწირა.
შენი სიცოცხლე შეეწირა მშობლიურ მიწას,
რომლის მხრებზედაც ავბედით ჟამს ბევრჯერ გივლია,
ვინაც გაზარდა რუსთაველი, აკაკი, ვაჟა,
ბარათაშვილი, სულხან-საბა, დიდი ილია.
ლურჯი აპრილი დაიტბორა სისხლის წვიმებით,
გაუტეხელი შენი სული ცამდე ამაღლდა,
და მამულისთვის თავგანწირულ წმინდანთა გვერდით,
შენც გერგო წილად ვალმოხდილი დადგე ამაყად.
გამზრდელი კუთხის საძვალეში დაიდე ბინა,
შენი გურია, დატანჯული დედა და მამა,
იამაყებენ, რადგან შენი საფლავი წმინდა,
მთლად საქართველომ ამაღლებულ ცრემლით დანამა.
მოგვიშუშებენ ეს ცრემლები ნაწამებ სხეულს,
მამული ჩვენი კვლავ დაიცავს თავის ღირსებას,
ისევ გამოზრდის ლომისა და ვეფხვის ბოკვერებს
და საქართველო პლანეტაზე კვლავ გაბრწყინდება.

1990 წელი

უკვდავი მუსიკა

მსოფლიოს გენიალურ კომპოზიტორებს

დიდმა მოცარტმა შექმნა უკვდავი სიმფონია
და გატაცებით ააჟღერა საამო ჰანგი,
როდესაც ბრამსის მელოდიამ დაიგუგუნა,
ააწკრიალა ინსტრუმენტი, ვითარცა ჩანგი.
ბეთჰოვენმა კი სიზმარივით გაკვეთა წლები,
გაიელვა და დაარღვია სიჩუმე ღამის,
ღრმა შინაარსით ქმნიდა იგი უკვდავ აკორდებს
და ასე ლამაზად დაწერა „სონატა მთვარის“.
პოლიფონიას შეუერთდა ბახის ცხოვრება,
ტრიუმფალურმა დინამიკამ სივრცე გაკვეთა,
მან ვარსკვლავივით გაანათა შავბნელი ღამე,
მისმა კრეშენდომ განაცვიფრა მთელი პლანეტა.
შუბერტს უსმენდა ხალხი უიმედოდ მავალი,
მოწყენილი და ცხოვრებაზე დაფიქრებული,
სრულ აღტაცებაში მოვიდა მთელი მსოფლიო
ბიზეს „კარმენის“ ბრწყინვალებით გაკვირვებული.
მძაფრმა პიესამ განაცვიფრა მთელი ქვეყანა,
როცა შოპენმა როიალზე შემართა ხელი,
მან მუსიკალურ ჰარმონიას სული შთაბერა,
გზა გაიკაფა და დამკვიდრდა მაღალი რწმენით.
იოჰან შტრაუსი კეთილხმოვან ვალსებს რომ ქმნიდა,
იგი უსმენდა წვიმის შხაპუნს, ფოთლების შრიალს,
ჰაეროვანი სინარნარე თან სდევდა მუდამ,
მის მელოდიას უჩვეულო სახელი ჰქვია.
ქმნიდა ოპერებს, დაუვიწყარ არიებს წერდა,
მუსიკას დაუკავშირა მან თავისი ბედი,
დაუვიწყარი მელოდიით გზას იკაფავდა
დიდებული კომპოზიტორი – ჯუზეპე ვერდი.
უკრავს შუმანი ცეცხლოვანი ტემპერამენტით,
შეძრა სამყარო ვირტუოზმა კიდიდან კიდით,
მისი პიესა თეთრ კლავიშებს ეალერსება
და მაჟორიდან მინორამდე წკრიალით მიდის.
გადის წლები და ვერაფერი მას ვერ ერევა,
ვოლფგანგ მოცარტი კვლავ მიარღვევს
ბობოქარ სივრცეს,
მოაქვს ხალხისთვის სანატრელი ბედნიერება,
მისი კლასიკა კვლავ იჭექებს ბოლომდე მტკიცედ.

20.02.2011

ნაცვრა

სამშობლო მინდა ისეთი,
მტრის შიშით არა კვდებოდეს,
დავითისა და თამარის
ეპოქას ემსგავსებოდეს!

მე შვილი მინდა ისეთი,
მტერსა მტრულად რომ ხვდებოდეს,
მისი გული და გონება
ქვეყნისთვის იხარჯებოდეს!

გოგონა ქართულ მანდილის
ტარებით არ იღლებოდეს,
ვაჟი კი სამშობლოსათვის
სიკვდილს არ უშინდებოდეს!

ეს გული მინდა ისეთი,
სხვის გულისტკივილს ხვდებოდეს,
ჩაგრული ადამიანის
გულის სიმებს ეხებოდეს!

გონება მინდა ისეთი,
მაღალ იდეებს წვდებოდეს,
ცრემლები მქონდეს ისეთი,
მამულისთვის იღვრებოდეს!

ნეტავი, ყველა ქართველი
ღვთის სიყვარულით თბებოდეს,
ბოროტებისგან შორს იყოს
და უფალს ებარებოდეს!

ძმათაშორის ერთგულება
და ერთობა აღდგებოდეს,
აფხაზეთი და ოსეთი
ნეტავი დაბრუნდებოდეს!

ჩემი სამშობლოს მთა-ბარი
აყვავდეს, იფურჩქნებოდეს,
ნიკოფსით დარუბანდამდე
ქვეყანა გაიშლებოდეს!

ქართველთ შორის სიყვარული
არასდროს არა ქრებოდეს,
ეს ჩემი ტურფა მამული
სულ მალე, აყვავდებოდეს!

2018 წ.

ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი

ჰარიჰარალი

ჰარალიმ ჩამოიქროლა
ქართველი კაცის ერდოში,
მოაგროვ-მოახორაგა
დოვლათი გლეხის ეზოში.
გული გაუთბო მშრომელ კაცს,
წელში გასწორდა დაღლილი,
არ დაელოდა ხარ-კამეჩს
თავად მიზიდა მარხილი.
ჭერი ბადაგით აივსო
დუღილობს ჰარიარალი
ოჯახი გამოაზამთრა
კაცი ხალისობს ალალი.
სტუმარს მასპინძლობს გულადად
აღარ სჭრის დარდი-ვარამი,
იმ გლეხის კაცის მარნიდან
მოისმის ჰარი-ჰარალი.

2018 წ.

მზემ მითხრა

მზემ მითხრა ბნელზე ვიმარჯვე,
გავუკაშკაშე წყვდიადი,
ჰქონოდა გული კეთილი,
განედლებოდა ხმიადი,
ემარჯვა ბოროტ ძალებზე
ძალა ჰქონოდა დიადი,
მთვარემ დაბინდა ქვეყანა
მზემ გაინათა წყვდიადი.

2018 წ.

შარბათი შევსვი

მე სიყვარულის შარბათი შევსვი,
იმედის თვალით შევყურებ მერმისს,
ჩემი ცხოვრების გზის გასაყარზე
აღარ შემხვდება ღვარძლი და გესლი.
ლოცვებს აღვავლენ უფლის წინაშე
ვილოცებ წმინდა ლოცვებით თქვენთვის,
გავისუფთავებთ ბილიკ-სავალზე,
თურამ ეკალი იზრდება თქვენთვის.
დღეის დღეს ვხედავ ერი და ბერი
ცდილობს დაატკბოს ერთურთის გესლი,
იცხოვრონ ისე ტკბილი ცხოვრებით
ტკბილი შარბათი როგორც მე შევსვი.

25.11.2018.

ვაი არ მქონდეს სათქმელი

ვაი არ მქონდეს სათქმელი
უის ვიცემდი თავშიო,
ტყვია არ გქონდეს სასროლი
ცულს ჩავირტყამდი თავშიო.
გარეთ რას ვეძებ სიმშვიდეს
თავდაყირა ვარ სახლშიო.
მტერს ღობის იქით ვეძებდი
გველი მჯდომია ჯამშიო.
რაც ჟამით ჟამად ვაგროვე
გამინიავა წამშიო.
ღმერთო კვლავ შენი იმედით
მიდორში ვდგავარ კვალშიო,
შიშველი ხელით კვლავ გავგლეჯ
ვარჩევ თავთავებს ნარშიო.
ქართველებს ჯიშში ისიც გვაქვს
მოყვარე მტრისგან ვარჩიოთ,
ვაი არ მქონდეს სათქმელი,
უის ვიცემდი თავშიო.

2.12.2018

46 წელი

ორმოცდაექვს მალე მივუხურავ კარებს,
რაც ერთად ვართ ერთი სუნთქვით ვიკრებთ ძალებს,
ჭმუნვა-დარდი ბევრი, ერთად ვიზიარეთ,
ბევრი ეკალ-ბარდიც ერთად გავიარეთ.
მე ფიცხი ვარ, მინდა სწრაფად მოვრჩე საქმეს,
რა ვქნა, მუდამ, როცა ხარ წყნარი და მშვიდი,
და მეც ასე მშვიდად სიყვარულში მზრდიდი.
მაშინაც კი როცა, საქმე ძალას მატანს,
შენ ჩემს გიჟმაჟ სიტყვებს მობერილ ქარს ატან,
გულში ჩამიხუტებ, ცდილობ დამამშვიდო
გაფიცხებულ გულზე, თუ გულს მაინც გატკენ,
გაყუჩდები მშვიდად, არას მეტყვი სატკენს.
თუ შემთხვევით დალევ, მაინც რჩები მშვიდი,
შემომყურებ ტკბილად, ჩამჭიკჭიკებ ყურში,
– მე უშენოდ ვერ ვძლებ, უშენობით ვკვდები,
ჩემი იყავ მუდამ, კვლავაც ჩემში რჩები.
მთვრალი ხარ და მაინც სიყვარულში რჩები.
იქით წავალთ ერთად, უფალს შევთხოვ შველას,
საუფლოში ღმერთთან, სიყვარულით შევალთ.

15.09.2018

ბელა ალანია

* * *

ვერასოდეს გაიგებ:
        რას გიმზადებს ცხოვრება,
სულ სხვის ომში რატომ ხარ,
        სად რა მოგეთხოვება?!
ბედისწერის პირისპირ ყოველ
        წამში მარცხდები,
მერე სუნთქვას გიძნელებს
        უთავბოლო განცდები!
ხშირი უამინდობა ძნელი გასაძლებია,
უიმედო დღეები სულის თანამხლებია,
დროს თუ ვერ ისაკუთრებ,
        გრჩება გულზე იარა,
ტალღასავით ცხოვრებამ თუკი გადაგიარა,
მიუყვები მომავლის გამოუცნობ ბილიკებს
ვისაც გული ატკინე, თუკი ვერ შეგირიგებს,
ვერასოდეს ამოშლი მოგონებებს ფიქრიდან,
რაც არ უნდა ეცადო, უთხრა:
        შენგან მივდივარ!
თვალებიდან ვარსკვლავთა
        თუ არ მოდის სინათლე,
მაშინ ისე მითხარი, ჩუმად შემომითვალე.
როგორ უნდა ვიცოცხლო,
        როგორ უნდა მიყვარდე?!
კვლავაც თოვლის მოსვლამდე,
        ან ზაფხულის წვიმამდე...
სიყვარული, ცისგულა, თუ წვეთ წვეთად აგროვე,
ცოტა კიდევ აცალე, ცოტა კიდევ ადროვე...
ნუ გადადებ ხვალისთვის ნურცერთს,
        ათას ფიქრიდან,
გაზაფხული ჩიტივით თუკი შემოგიფრინდა.

ბოლო სიმღერა ...

ქარი მოვიდა, მოლოდინი ისევ გამართლდა,
შემომეხვია ვნებიანი ფოთოლთ შრიალით,
ნისლისფერ თმებზე მომიტანა ერთი სიმღერა,
ფანჯრის მინებზე კაკუნით და ორომტრიალით.
არავინ იცის, სად ცხოვრობს და საიდან მოჰქრის,
რა მოხდებოდა, ქროლვა-ქროლვით თან წავეყვანე?
ეთქვა, უშენოდ ეს სილაღე არაფერია,
ასე უღმერთო საიდან სად გადამეყარე?!
ჭკუა რომ ჰქონდეს, აბა, როგორ მიმატოვებდა?!
არ დატოვებდა გულში ეჭვის ნასახს მცირედსაც,
დასალიერში გავყვებოდი დაუფიქრებლად და
ამქვეყნიურ ტკივილებსაც ამაცილებდა.
*
ქარი მოვიდა, მომიტანა ბოლო სიმღერა...

* * *

ცისკრის მკრთალმა ნათებამ ამიშალა ფიქრები,
სადაც არ უნდა ვიყო, არასდროს დაგცილდები.
სულაც არ დამაბრკოლებს შორი გზა და ხიდები,
ტკივილებსაც დავითმენ, თუკი მომიფრთხილდები.
ნეტავ რატომ მგონია, სულ გოგონა ვიქნები,
ყველა ფერი მიხდება, როცა შენთვის ვირთვები.
ნუთუ ვეღარ იგრძენი სიყვარულის ნიავი,
როგორ გაგვიადვილა ქვეყნის ორომტრიალი.
ზეცას შემოურკალავს ცისარტყელას ფერები,
სულ მზეებად მატყვია შენი მონაფერები.
წამლეკავი გამხდარა თბილი მზერა, სიტყვები,
არაფერს არ გიმალავ, სულ ყველაფერს გიყვები..
სიყალბეს გავურბივარ, არ მიცვლია ნიღბები,
შენს სახელს დავიფიცებ, მანამ არ დავიღლები.
სანამ მიდი-მოდიან მწვერვალებზე ნისლები,
დამერწმუნე, ძვირფასო, ჩემს გულს არ შესცივდები.
ნაპირს შემოსჩვევია ტკბილხმოვანი ჩიტები,
კვლავაც შენკენ მოვცურავ, კვლავ შენს აჩრდილს
მივყვები...
გაზაფხულის მაცნეა ყვითელგულა მზეწვია,
ფანჯარასთან მიგალობს: სიყვარული მეწვია!
ნეტავ რატომ მგონია, ახლა ვიწყებ სიცოცხლეს,
სიკვდილს არ ვემეტები და თავიდან მიშორებს.
ზეცას შემოურკალავს ცისარტყელას ფერები,
სულ მზეებად მატყვია შენი მონაფერები.

* * *

... ეს მერამდენედ გადმოცოცდნენ ჩემი
სულის წნულის ღობეზე,
კვლავ გამიქურდეს, მოსავალი თუმც იყო მწირი.
წაიღეს თუ რამ ატლასი და ხავერდი მქონდა,
თან გაიყოლეს აბრეშუმი, მაქმანები, მარმაში თეთრი,
ყველა მარაო, სუნამო და სამკაულიც თან გაიყოლეს.
ხეებს ტოტები შეატეხეს, უმოწყალოდ ყრია ფოთოლი,
ყველა მზე ერთად დამიბნელეს ფორთოხლისფერი.
ვერ შეავსებ და გაამთელებ, რაც გაიბნა, დაიშალა,
ნამტვრევად და ნარჩენად იქცა...
განხიბვლა ჰქვია ახლა ჩემი სულის სატკივარს.
უიმედობა დადგა დიდი, გაუსაძლისი.
დავდივარ უხმო, ცრემლგამშრალი, თავიდან ვაწყობ,
რაც დაინგრა და ვალაგებ სიცარიელეს.
იქნებ ვიპოვო რამე ადრე დაკარგულთაგან,
ან სულაც ვინმე... და გამიხარდეს...
დაფრთხნენ ჩიტები, ტოტებზე რომ ვეღარ სხდებიან
და აღარ უნდათ შორს გაფრენაც,
იციან რომ მოვენატრები.
ღობის წნულზე კი მოძვრებიან შეუმჩნევლად
თუ უტიფარ-შესამჩნევად მტაცებელი მოძალადენი
და მიაქვთ, მიაქვთ ხილულ-აშკარად წარსულიდან,
დღეისდღიდან, მომავლიდანაც...
კვლავ მინგრევენ და მიძარცვავენ ძლივს გადარჩენილს.
მერე გამოჩნდა ვიღაც ერთი, უცხოდ ტანადი,
სათვალიო, თან მხიარულიც...
ყველაფრისათვის, ყველას ნაცვლად მომიბოდიშა –
თუ რამ მატკინეს, მაწყინეს და დამაწიოკეს.
ნეტავ, სად მიცნო, სად დავაკლდი,
რამდენ ათასს გამომარჩია?!
ან სხვათა ძარცვა-ნგრევა რატომ იუხერხულა,
თან იმდენად რომ თავის ვალად ჩათვალა შველა?!
ერთად ვაწყვეთ და ვახარისხეთ მერე ფოთლები –
ყვითლად და მწვანედ, დამტვრეულ ტოტებს
ბლომად ვასვით წყალი კამკამა გადასარჩენად,
გასახარებლად, ყლორტისა და
მერე ფესვის გამოსატანად,
დიდი სავარცხლით გადავვარცხნეთ ეზოს მდელო და
ბაღ-ბოსტანი, ჭადრის ფოთლები შეაწება მარაოებად,
მარცვალ-ნაყოფის ჭრელი მძივი ხეებს მიჰკიდა და
ყვავილების ნაზი ფარჩა მოაფინა ირგვლივ გარემოს,
რომ აყვავდეს გაის გაზაფხულს!
საქმეს რომ მოვრჩით,
შებრუნდა და უხმოდ წავიდა.
– იქნებ სახელი მითხრა მეთქი, – კართან ამოვთქვი.
მარტო ღიმილი გაიმეტა. მიღიმოდა მთელი სახით,
გულით, თვალებით, იმ მადლიანი ხელებითაც კი
მიღიმოდა...
ისე გავმხნევდი, გავთამამდი, გავბედე და მივაძახე:
– კვლავ მოსვლამდე, ნახვამდე მეთქი.
ნუ დამტოვებო, ეს წამომცდა ღელვით გათანგულს...
შორს არ მინდოდა წასულიყო,
მინდოდა გვერდით მგულებოდა იმედდაწურვილს,
სამარადსო მომლოდინეს და გულგატეხილს...
ვხედავდი,როგორ მიდიოდა
მძიმე ტვირთით ქედდადრეკილი,
სავსე ზურგჩანთით თან მიჰქონდა ნგრევისა
და ძარცვის ნაშთები,
წყენა, ღალატი, მარცვალ-მარცვალ
ნაგროვები წყევლის სიტყვები,
რომ შორს წაეღო, აღარასდროს არსად მენახა,
ჩემი თვალისთვის უხილავად სადმე დაეფლა.
ანდა დაეწვა.
მერე ნამწვიც წყლისთვის მიეცა, ვით კვირაძლის ავი
სიზმარი.
ერთხელ იქნება, უმთვარო და ავდრიან ღამით
მონატრებისგან ძილგამკრთალს და
სიზმარ-ცხადის ზღვარზე გახერილს,
გამეჩვენება ბინდისმკვეთი, თბილი ნათება
მომღიმარი მისი თვალების და
გული მეტყვის იდუმალი ხშირი ბრაგუნით:
მე აქ ვარ, აქ ვარ. არც წავსულვარ შენგან არასდროს,
არც არასოდეს მიგატოვებ, მე – იმედი.



გურამ ჭავჭანიძე

ასე ცხოვრება არ შეიძლება!

ასე ცხოვრება არ შეიძლება,
ნუთუ, ვერ ხვდები, ხალხო, ქართველო,
თუ ჩვენი ყოფა არ შეიცვლება!
გადაშენდება ეს საქართველო.
შემირცხვენია მილიონები,
თუ ხალხი ფეხზე დაკიდულია,
თუ ზეიმობენ ფულის მონები,
ხოლო სამშობლო გაყიდულია!

ქართული ანეკდოტი

გიჟი მოსდევს ჩვენს ბედოვლათ ქართველებს,
ვაი, იმას, ვისაც ყბაში მოსდებს,
ქართველების საქმეს ისიც აძნელებს,
არ იციან, ზუსტად რომელს მოსდევს...

არდაჩოქილ საქართველოს!

ჯერაც ქართულ მზეს და ზეცას, მთას და მდელოს,
იმ ნაღდ ქართველს, ვინც ერისთვის დაიხარჯოს,
უღალატო, უჯალათო საქართველოს,
არდაჩოქილ საქართველოს გაუმარჯოს!!!

* * *

არა მგონია, იყოთ მართალი,
ჩვენს დამაქცევარს ვინც რას პატიობთ.
ღმერთმა შეგინდოთ ეგ სამართალი,
ერმა იქნება, არც გაპატიოთ.

* * *

დღეს მეტად გვმართებს ძმობა, გატანა,
თორემ ვინ იცის, რა ბედი გველის.
სულ ახლოს ისევ მძლავრობს სატანა,
სულ ახლოს ისმის სისინი გველის.

მარტყოფის ველზე!

გვწამდეს, გვახსოვდეს აწ და მარადის
ჩვენი უბადლო მამულიშვილი,
გმირი მარტყოფის, გმირი მარაბდის,
პაატაც, გმირის ლეგენდა-შვილი.
თუ მათი მსგავსი არ ჩანს არავინ,
ნუ დავკნინდებით, ნუ დავღონდებით,
მარტყოფის ველზე დავდგი კარავი
და მამლის ყივილს დაველოდები.

ვერ გადავრჩებით უსიყვარულოდ!

ჩვენი სამშობლო განა მარტო
ლურჯი მთებია...
ქართველთა შორის სიყვარული
მომნატრებია,
„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს
ცის კამარაზე“,
არც ლურჯი მთები იარსებებს,
არც სილამაზე.
რამ დაუბინდა, ნეტა, ქართველს
სული ნათელი,
რამ შეაძულა, ნეტა, ქართველს
მოძმე ქართველი?
ბოღმით და შურით ეს ქვეყანა
ვერ გადარჩება,
თუ დავჭამთ ერთურთს, ლურჯი მთები
სხვას არ დარჩება?
ნუ ვუმტრობთ ერთურთს, დებო, ძმებო,
ვესიყვარულოთ.
ვერ გადავრჩებით, ქართველებო,
უსიყვარულოდ!

სიყვარულის დღესასწაული

„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები“,
მით უფრო მხიბლავს შენზე ოცნება,
რამ დამავიწყოს მომჯადოვები
შენი თვალების გასხივოსნება.
არა, ეს ტრფობა არ არის ცოდვა,
ეს ღვთის მადლია და სასწაული,
მიტომაც მჯერა მე ჩემი ბოდვა
და სიყვარულის დღესასწაული.

მართალს ვიტყვი

„მართალს ვიტყვი, შევიქნები
ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა,
უფერულთა პირ-საფერად“.
გავსებულა ზღვისპირეთი
თურქ-სომხებით, ყაზახებით,
შენი გული, ვერაგული,
ცხადი გახდა, გასაგები.
ალბათ, მიტომ დაიფიცე
დავით მეფე მისაგები,
რომ ჩასახლდნენ აჭარაში,
„მოძმე სისხლის“ ყივჩაღები.
ალბათ მიტომ გაიყიდა
რკინიგზა და მდინარეთი,
რომ დაამცროთ ქრისტეს რჯული,
მოამრავლოთ მინარეთი.
ყველგან სისხლი, ყველგან ცრემლი,
სამართალი აღარაა?
შენ კი მუდამ იკრიჭები,
ციმიზმია, აბა, რაა?
შენეული დაპირება,
აღარა მწამს აღარც ერთი,
არ მგონია დაგვიბრუნდეს,
ცხინვალი და აფხაზეთი.
გიყურებ და ქართველური
არც შნო გაქვს და არც ლაზათი,
არც თბილისში გაზრდილ ბიჭის
სიფათი და მარიფათი.
არც ალალი ქართველ გლეხის
შესაშური გაზრდილობა,
სტუმრისა და მასპინძელის
არც წესი გაქვს, არც ზრდილობა.
ღიმილიც კი ყეყეჩის გაქვს,
რაღაც ავი თვალთა შუქი,
სულ არ გშვენის ქედმაღლობა
და არც ფუჭი ბაქი-ბუქი.
არც კი არი დასაჯერი,
მიტომ მიჭირს დასაჯერად,
კაცი, თვითონ დასაჭერი,
სხვებს რომ დასდევ დასაჭერად.
„მე თუ გინდა თავიც მომჭრან,
ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა,
მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.

* * *

ადრეც ბევრი დაგვიშავდა,
ახლაც ბევრი რომ შავდება?
იმდენს იზამთ, რომ წაშავდა,
ისევ უკან მოშავდება!

* * *

ქვეყანაში რაც დღეს ხდება,
აღარც მასკარადია,
ის, რაც ხდება, ყველა ხვდება,
უკვე მასხარადია.

ნეტა მართლა

ნეტა მართლა თქვენს სიტყვებს
ვარდებივით ეხარათ,
ჩვენი ხალხის იმედი
წყალში არ ჩაგეყარათ.

* * *

ასე ჩაწიხლული და ასე გადანათელი,
დავბერდი და არ მახსოვს ჩემი ხალხი ქართველი,
ყველა შემირცხვენია ის უგვანო მმართველი,
ვინც ამ დღეში ჩააგდო ჩემი ხალხი ქართველი.

* * *

ვაჰ, დრონი, დრონი, მოსანატრონი,
ლამის აღზევდეს ისევ სატანა,
თქმას რა აზრი აქვს, არ ჩანს გამგონი,
მიტომ გაჭირდა ლელოს გატანა.

ერი ძლეული, რჯულმორყეული,
ვინ მოაბრუნოს, ვინ აქართველოს?
გიგა-გოკებო, დემაგოგებო,
„ვაი, თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს!“

* * *

აღარც ცოტნეა, აღარც თევდორე,
აღარც ერეკლე, აღარც ილია,
ქართულო გენო, იმძლავრე, თორემ
ლამის იმედი სულ დაილია!

* * *

ვაი, სირცხვილო, რამ დაგვაკნინა,
არც ძალა შეგვრჩა და არც მორალი,
ეს სისხლი მაინც რამ გაგვიყინა,
„ნადიდგორალი, ნაშამქორალი!“

* * *

ნეტავი ჩაწვდეთ ძია სემს სულში,
მიხვდეთ, ეგ ხვითო თუ რა ჯიშია,
რომ შორს არიან ობამაც, ბუშიც,
რუსი კი აგერ, ყურის ძირშია.

გურა-ანგურა
(გურამ გედევანიშვილი)

– გავფრინდეთ..?
– მოდი, გავფირნდეთ,
– ვიფიქროთ..?
– მაგრამ როდემდის,
– მო დავედაროთ არწივებს,
ცაში გვკიდოთ ბინდები.

დავსახლდეთ, თუ არ დავსახლდეთ,
კოსმოსის შრეთა შრეებში?
გზანი მიგვიყვანს ქალდავეთს,
თუ დაგვბუგავენ მზეები?

სამოსახლეობს ვინ დასთვლის,
ანდა უტეხელ ყამირებს?
აქეთ ვენერა, იქ მთვარე,
მარსიც ჩასთვალ და ჩანისლე.

– გავძლებთ კი, უდედამიწოდ?
– ეჰ, რავა არა ძამია,
ჩვენი სიცოცხლე ბობოქრობს,
თვარა სულ ერთი წამია.

ღმერთმა ხომ შექმნა სამყარო,
ჩვენც ხომ ვართ ღმერთის ხელები,
რაც ყოვლიერში ჯანყარობს,
კეთილ-კარგით და ბნელეთით.

მოდი გავფრინდეთ

გვეძლევა ტანჯვა-წვალებით,
ცხოვრების ორომტრიალით,
სიცოცხლის მარად გაძღებით
ვართა თვალჩამომტირალნი.

მაგრამ ჰე, რა ვქნათ, სად რა გზას
დავადგეთ ხელთა ცეცებით,
ალბათ მოგვიწევს გარდაქმნა,
როდი ვართ მართლაც ცეტები.

თუ, არ და დავიღუპებით,
სამყარო ასე მქმნელია,
დვრიტა თუ არ სცან ბუნების
თუ, არ ხარ მცდელზე მცდელია,

თუ, არ ხარ რკინის მკვნეტელი,
წყალთა გამჭრელი ხრმალითა,
გზათა ულევად მკეცელი,
მდინარე ნარიყალითა.

ვფიქრობთ: სოფელი თუ გწირავს,
თუ, ბედისწერაც აგია,
მაჭარი თუ, არ დაღვინდა,
ვერ დასდო სასმელს ფასია,

ან, თუ რამ გადაიფიქრა,
ბედმა დარჩენილ ყოფაზე,
ეყო, რაც მიწამ იფრინა,
იბრუნა დროის ბორბალზე.

ან, ასპარეზზე სხვას ვუხმობ,
სულთ, ეთეროვან სხეულით,
მყობადს ბუკებით ვაუწყოთ
ახალ საწყისთა ზეიმი.

ქარი გვახვევს სევდას

ქარი რეკავს სამრეკლოებს,
ცით ნატირი მოტივებით,
შენ ქავ-კართან დამელოდე,
ღრუბლით მოვალ-მოვტივდები.

„სატივეზე ტივი შევკარ
ტივი არის ნაძვის ხისა“
ბაგინეთის მდუმარ ქვებთან
გამოვიდა სერაფიტა.

ფშანის წყალთან ჩაირბინე,
სევდიანად დამაცქერდი,
ფშანი მე ვარ, – დავიფიცებ,
თვალნი – ჩემი ჩქერალები,

კორდთან შესდექ, ნამის მძივო,
ლურჯ ყაზახებს შენაფეთო,
მაგრამ, სულ არ გაიკვირვო,
ცისფერ გუგათ შემაერთო.

ქარი ფანტავს იმ წამწამებს,
თვალთა შუქს რომ იფარვიდა,
იმ წამში ვარ, იმ წმათ-წამებს
შემოგახვევ სერაფიტავ.

უხსოვარი დროის მერე,
უხსოვარი დროის იქით
ლურჯი სიო დაიმღერე,
სიოს კარგად დამაკვირდი.

ქარი ისევ გვახვევს სევდას,
წყნარ სამრეკლოს გლოვის ხმებით,
იქ ცასთან როს შემეფეთა,
შენი ცრემლის გაქვავებით.

*

წრფელმა პოეტმა გვისხსოვრა ესე წიგნები,
მონათოვები, მოსხივური, მონაწვიმები.

*

ნამები განქრა, დრონი დადუმდნენ

მან გადაჰფინა თავთუხის ყანა,
მე სვილისფერი ჩემი სხეული,
სამკალი ვნებით შემომეყარა,
მარცვალი ხნულში გადაბნეული.

მან კაბადონი გადამიშალა,
მე შევეტოტე ღრუბელთ ფთილებით
წყვდიადს ვიძირე, განა მშიშარა,
შეუცნობადის მორევს შფოთებით.

მე არ ვუთხარი, მანაც არ მითხრა,
თუ, ვინ ვიყავი, საით მზირები,
გამოვეთხოვეთ ყოვლს, მტანჯველ ფიქრთა
ამწამიერი განმარტოებით.

უკიდეგანო სივრცეს გავყევით,
ლაბირინთების მოვხედით ხვეულში,
აღარ ვიყავით ანცი ბალღები,
სულნი მთრთოლვარე ცოდვის სხეულში.

წამები განქრა, დრონი დადუმდნენ,
დრონი მარადის ასე მდუმარნი,
ზეცად მიმსვრბოლნი მზერით დაპურდნენ
ვნების დამყურე, ღმერთის ვუალით.

სულს რაისთვის ვაკიკლებდი შლეგიანი ქარით

ღამეული ზმანებების შორეული არე,
არემარე მარად მგები დანისლული გზების,
ჟამო რისთვის დამიგუბე, ან რად მომიქარგე,
რაიც მსურდა ყმაწვილობას, ახლა მეკარგების.

დაღარული კლაკნილებით მოდის წვიმის ღვარი,
ღვინის დარი მოწანწკარებს უხილავი ციდან,
სულს რაისთვის ვაკიკლებდი შლეგიანი ქარით,
ან ლაჟვარდის კივკივები, რატომ დამესიზმრა;

ის, რაც გზნებით გიზგიზებდა დამათრობელ ღვინოდ,
რად მიქციე სულის ცეცხლად, რაც მარადის მზეობს,
უხილავად მადინებო სივრცედ, უნაპიროდ,
კვლავ, ღვთაების სისხლად მექეც, შვება მომაგეო.

ციურ მანანით წრფელი ნაწვიმი

ვხედავდი ცისფერ პეპელთ ქროლვას,
ცისფერ საწყისებს, ცისფერ ჩვენებებს,
რა დამავიწყებს კენკეშას თრთოლვას,
ღიღილოთ ციმციმს, ცვრიან ველებზე.

მე ვსვამდი ხარბად წამთ ცისფერ ბადაგს,
მიღმიერ სივრცეს, განქრობილ დროთა,
ვხედავდი მთათა გადაშლილ ფარდაგს,
რაც ეხლა დამხვდა და რაიც მოხდა.

ვკრეფდი ულურჯეს ჩურჩულს ჩქერების,
როგორც ცხენები, გარბოდნენ დრონი,
ლურჯა კვიცები, ჭენებ-ჭენებით
გადააქროლეს მზის ფაეტონით.

ეს, მერემდენედ, ეჰ, ციდან ცამდის,
იდუმალებით, მდუმარ წყლებისკენ,
წყაროებს სვამდა, ზაფხულის ხვატი
და მერე, ზამთრის დღენი შენისლეს.

დღენი წყვეტილნი, დღენი ბმულები,
ღამეთ მდუმარი მორიგეობით,
ცრემლით სვსენი, ტანჯვით ულევნი,
ჟამიერ ბრუნვის მონაცვლეობით.

მზე მიდიოდა უხილავ გზებით
და უხილავი მოჰქონდა ვნება,
ტყით შენისლული ქედი და ქედი,
ცის ბედიწერა, უფლის განგება.

ქაოსებიდან საწყისთ-საწყისი,
ყურძნის ქარვები, ქლიავთ თრთვილები,
ციურ მანანით წრფელი ნაწვიმი,
ვით იდუმალი სულის მღვიმენი.

როგორ მომედო ბალახი ტანზე

როგორ ცახცახებს კლდის თავზე ვერხვი
და შადრევნებად სცვივა ფოთოლი,
კორტოხზე, მხოლოდ, ის ერთადერთი
ცით სავსე არის და ჰგავს მოგონილს.

აქ, ქარიშხლებმა გადმოისროლა,
აქ, საფლავების მარად დუმილში,,
არას ამბობდა, არას იტყოდა,
მოძახილობდა, როოგრც გუგული.

ხან იცინოდა, ხან ხარხარებდა,
ვერცხლის ფერებით, ფოთოლთ შრიალით,
ბედს არ დანებდა, ციურ ტაძრებთან
ლაჟვარდს ეტრფოდა, ხალისიანი.

ის მიმღეროდა უცნაურ ნანას,
ჯადოსნურ ზღაპრებს, მიღმიერ შორეთს,
იცოდა, ქარმა როგორ დამქარა
და დელგმად როგორ ამაბობოქრეს.

ყველა იცოდა სხივთა ტრფიალმა,
ნიავთ სრბოლაში გალობის ხმებიც,
სატრფომ რაისთვის დაიგვიანა,
რატომ დამცილდნენ ძმები და დები.

ისიც იცოდა, რატომ ვსტიროდი,
ლელწამ სტვირივით, ჩონგურის სიმზე,
ჩემი ოცნების ზღვიურ მიმოზის
ვნებაქს რად ვენდე, მიმწუხრის ცისკენ.

ვიცი, ჩამოჰყრის ცრემლთა ნიაღვარს,
მცინარა სულზე, პეპლებს რომ დასდევს,
დრო-სივრცემ როგორ გადამიარა,
როგორ მომედო ბალახი ტანზე.

რაიც მინდოდა, ლამაზ ქალთა წამოსასხამად

დავშლი თავშალად ცისფერ ზეცას,
მთების სილურჯეს
და ლამაზ ქალებს მხრებზე მოვახვევ,
სულს რაც მიუნჯებს,
რაც დრომ წაშალა,
და რაიც ქართა სივრცით იმუხთლეს.
მათ ჩააშავეს ცისკართა მდელო,
ტყენი მდუმანი, მოლი ხასხასა,
რაიც მსუროდა და რაც მინდოდა,
მე, ლამაზ ქალთა წამოსასხამად.
ვერხვის შრიალი
შეშლილ ქარებს ისევ მოუხმობს,
ძარცვის ოსტატმა
მიწას მკერდი ვერცხლით მოურთო,
სული მოსტაცა სასწაულად,
დაისს მოშუქო
და შარი-შურობს ტყე გულწრფელად
მწუხრის ლოცვანსა.

ვინ გეტყვის იავნანასა

ვინ მოვა, ხელთ ვინ აგიყვანს,
ვინ გეტყვის იავნანასა,
ვინ დაგაპურებს პურ-ღვინით,
ლურჯ-სუფრა, არიფანასა
ვინ, ვინ გაგიშლის ფშანის პირს,
აგაცდენს ნიავქარასა?

არავინ ჩემო, შვილიკო,
ღვთივ გაჩენილსა ყანასა.

ლომის მთა ლომისის ნისლებმა მონისლა

ლომის მთა ლომისის ნისლებმა მონისლა,
მოლის თმით ნიავი თამაშობს ნისლებთან,
ლაჟვარდმა კონტურის თავები მორითმა,
დილებად, ოცნების საოცარ ღიმებად.

გულებით შეერთდნენ გუგუნა ქედები,
ქედნების დვრინებით, გუგულთა გუგულით,
ბალღებმა მოწოვეს ძუძუნი დედების
და ხსოვნა ღამეთა შთაინთქა უკუნით,

დაირწა აკვნები ნანინით ნამღერი,
წარღვნები წამებით წამებმა წარიღეს,
სხივებმა ლეღმასებრ ჩათქორეს ნამქერი
და ბროლის ქალწულის მიადგნენ კარიბჭეს.

აინთო ნაირთმა ოქროსფერ დალალის,
დანახვის სიოცით ირეკეს ქარებმა,
ძილქუშში მცინარავ წაგიღებს ალალი,
სიზმარში მოარულ ღვთაების ლანდებად..

ლალისყურს ცელების ატყდება წკრიალი,
კრიალა ეთერში ტოროლას ნავარდით,
ალია და ჭაბუკს ფშანებთან მიელის,
ვაიჰმე, დედაო, რა დღეში ჩავვარდი.

წავა და ზღაპრების ბურანში გადავა,
ასეა ვნებები გვეძახის ოდითგან,
ვინც „მკვდარში გაერთო“ ბედია მრავალთა,
მთვარეულს სულები ამოჰყავს ლოდიდინ,

ყოველგან საკუთარ საფლავსა სტირიან,
სტვირია მკვნესარე შავეთას ტბებიდან,
მწყალობელ ლომისის შეწევნას იტყვიან
და ჩრდილის ქვეყნისკენ ჩრდილივით ქრებიან.

საგალობლები ვსტყორცნოთ ლაჟვარდებს

ცის ფრთად,
ცის ფრთად და ერთად,
ციურ ანგელოზებთან ერთად,
ციურ ანგელოზებთან ერთად,
მღერად...
შენივთების მღერად...

საგალობლები და ჰიმნები
ვსტყორცნოთ ლაჟვარდებს!

ხოლო წყალი ყოვლიერზე არაკობდა

ის კოსმოსის სუფთა ველში უცებ მოხვდა
და მოსწყვიტა გვიმრის მორცხვი ყვავილთ სუნთქვა,
გადუარა წრფელ სამყაროს ალისფერმა
და გაიხსნა – სივრცე ვნებით ქალის გულთან.

გაახსენდა ის ბავშვობა, საოცარი,
როცა ველი ბიბინებდა ნაირფერად,
უბერავდა ნოტიო და ნელი ქარი,
ყვავილთ კრეფდა და კონებად აგროვებდა.

ცხვარი სძოვდა ცხრა მთას იქით, თეთრსა მთაზე...
და ტყის ალი მჭვირვალ წყალში ბანაობდა,
დაებნია გვირილები თმების ჟღალზე,
ხოლო წყალი ყოვლიერზე არაკობდა.

კლდეთა ტკივილით

ჩემში ვიერთებ, ჩემში ვიერთებ, ვერთიანდები
და გადავდივარ ყოვლიერში, ციურ ღმერთებში,
როგორც ფუგანნი ბახისებრნი მთრთოლვარ-მქუხარნი
ვაჟა-ფშაველას მთაგრეხილით, ტატოს მწუხარით,
გალაქტიონის იისფერით, ვარდით სილაში,
აკაკის ლექსის ტკივილებით, დავითის ზარით
და რუსთაველის ნისლიერი კოსმოსისი გავლით.
მე ვიბადები ყოველდღე და ყოველდღე ვკვდები,
დიად ტკივილით, მოტირალი ფერების ღელვით,
ცისკრის ტორროლა, ლილისფერი ზეცის ღიმილით,
პირთეთრად გულში ჩაკონებით, კლდეთა ტკივილით.

ვით უთეთრესი გედების გუნდი

ოქროს თაველით სავსე ყანები წყალში ცურავდნენ,
როგორც ქალწულის შიშველი ტანი,
მზე-დალალებით გადმოშლილი მთრთოლვარე მხრებზე...

და როდი იყვნენ, როდი იყვნენ ამით უარზე
ცისფერ ნიავთან გაემართათ ვნების როკვანი
ტირიფის ხეთა ჩამორხეულ გრძელი მკლავებით,

სად მდუმარების ჭილაკების მშფოთვარე თვალი
მჭირვალ პეპელათ მინებიდან დამზერს სამყაროს
და მწუხრ დაისებს ელოდება მთვარესთან ერთად.

თმებში ჩაუწნავს ვარსკვლავებად ღამის იანი,
საყურეებად უწმინდესი პირთეთრად ცვარი
და კერეტებად პირიმზეთა ცხელი ალმური.

მოდი გულთაო... ის გეძახის შორი ძახილით,
შორი ძახილით სიყვარულებს რაკრაკებს წყარო,
მკერდი აევსო ტყეში ძახველს და ვნებით თვრება

დილა გალობის გადმოაფრქვევვს კენკეშათ ციმციმს,
ვით უთეთრესი გედების გუნდი სჩანან ღუბელნი
და მიდის ბინდი ჩანავლული ცისკრის რიჟრაჟით.

ო, ტყაშმაფაო, დიოფალო, ალო გრძნეულო,
დალილ! შენს სხეულს გულწასული დავეკონები,
ვით ამაოთა სივრცეებში დროთა დინება.

ალვასა ჰკითხეს, რამ გაგზარდა ასე მაღალი

ალვასა ჰკითხეს, რამ გაგზარდა ასე მაღალი?
ფოთოლთ შრიალით იცინოდა ღმერთის სადარი;
ნიავ-ქარებმა მქროლავებმა, მშობელმა მიწამ
და მათ დამყოლმა მოქნილობამ, ზენასა ვფიცავ!
ნაწილიანი დავიბადე, მხარგანათლული,
ოქროს შიბებით ცად გამკიდეს, თვალის ფახულით,
სულ ვირწეოდი, ერთ ადგილას არ ვჩერდებოდი
და მალე-მალე მივატოვე ხეთა ჩერონი,
რადგან მხიბლავდა ყოვლიერის ღრმა ნისლეული;
ვარსკვლავთ ხომლები, ციცნათელად ცას მისეული,
მისი ლაჟვარდი და ქარების ფერთა ირაო,
რამაც მაოცა, აღმიტაცა, განმაცვიფრაო.
ასე ვიზარდე ტანწერწეტი, სრულღეროვანი,
ტოტაშოლტილი, მჟღერი მწვანედ ფერ-ფენოვანი.
ჩიტთა ჟივილით, სულის სწრაფვით, სულ მაღლა-მაღლა
მარად მფრინავი, მოფარფატე სივრცესა ვქარგავ.
მარადისობის სტუმარი ვარ, მაცნედ მოსული,
ჩემი სიწმინდით, ჩემის სუნთქვით, ჩემის ლოცურით,
მითებს შერთული, ზღაპრის კვამლში გადარხეული,
ქართა მხედრების ქარიშხალით დაჰანგებული.

თოვლი ვარ მთაზე მგლოვარე

თოვლი ვარ მთაზე მგლოვარე,
აზრის მალულად მატარე,
ვნატრობ ქარები მოვარდნენ,
გვდევნიდნენ მზეში გამდნარებს.
ცრემლი ვიყავი, ოდესღაც
ბავშვის თვალთაგან წამსწკდარი,
ფშანად მოვდიდდი კბოდესთან,
კლდეს შემოვევლე წკარწკარით,
პირთეთრას მივუალერსე,
სუროს ვაპკურე წვეთები,
ფურისულს გამოვეკიდე
ჩემი ანკარა ედემით.
ლაჟვარდი ჩამოვახედე
თავის ცისფერი დალალით,
შიმელნი უცებ ახევდნენ,
შემოიფრინეს ალალი,
შემოიხვიეს ნიავი,
მცინარი მდელოს გულები,
ოცნება განატიალი,
ძუძუნი მოხატულები.
მერე, ზეცაში წავედი,
ავყევ სხივების ფრენასა,
ტყვიისფერ ღრუბლად ვიქეცი,
წვიმად ვიწყებდი დენასა,
მერმედ ფანტელად მაქციეს,
მზარდეს მწევერვალის გულზედა,
მთათ აკვანივით მარწიეს,
დამადნეს გაზაფხულზედა.
თოვლი ვარ მთაზე მგლოვარე,
მრავალ გარდაცვლის მლოდნელი,
მზეო გულმკერდნი მომადნე,
მარადის დაუცხრომელი,
მაცოცხლე ია-იებში,
ჩიტთა უშურველ ფერებში
და უცოდველად დამტოვე
აქ ნათქვამ დედაენაში.

შენი შემოსვლა ზეიმს ჰგავდა

მწამს, ავუჟღერდები მომავალში,
მწამს ავჟღერდები,
ყველა სურვილი, ვით არგათქმა
ჰგიებს უფალში,
ჰოი, სამყაროვ, გრძნეულების
ოდოჟღერებით
ჩვენ ვიბიბინებთ განივთულნი
შენს გაზახულში.
შენ შემოხვედი უდიადეს
მთაგრეხილებთ,
უხვ მდინარეთა მღელავარებით
და მშფოთვარებით,
ღამის წყვდიადით, უნეტარეს
მზიან დილებით,
ძველი მითებით და მებრძოლი
ამორძალებით.
ვიცი ოდითგან, ხანიერი
იყო კოსმოსი,
მრუმე ქაოსით, ტანჯვიერი
შობის კივილით,
დაუსაბამი სივრცეებით,
ჟამთა ქრონოსით,
სანამ, ჰე, გონო, შემოქმედო
შემოივლიდი.
შენი შემოსვლა ზეიმს ჰგავდა,
ზეიმს არნახულს,
ვარსკვლავთ ყიჟინით და
კომეტად განადიმებით,
შლიდა უცნობელს, სახეებად
გზნებას დაფარულს,
მდინარეებად, ზღვების მკერდით,
უფსკრულთ კიდენით.
მწამს, ავუჟღერდები მომავალში,
მწამს აფჟღერდები,
ყველა სურვილი, ვით არ გათქმა
ჰგიებს უფალში.
ჰოი, სამყაროვ..! გრძნეულების
ოდოჟღერებით
ჩვენ ვიბიბინებთ განივთულნი
შენს გაზაფხულში.

დამიჯდების მხარს იამზე

შორეული პლანეტების მოძრაობით,
შორეული ნისლეულის ნათებებით,
აქ, მოდიან ის ლანდები, იმ ლოდინით;
მიგნებებით, მინიშნებით, გამხელებით,
რომ მაუწყონ უცნაური გარინდების,
რად ჰყვავიან ატმები და ნარინჯები.
დამიჯდების მხარს იამზე, დამიჯდების
და შვილივით აზრთ ჰანგები გამიჩნდების.
დავდინჯდები?.. ო, აროდეს, ო, აროდეს,
საუბრებით და ალერსით გამაოგნეს
არ იკითხავთ, ვინ, ან რამან? ვინ, ან რამან?
უცნაურ ხმათ და სიტყვათა ქარაგმამან.

და საქართველო ამირან მთით დაიგუგუნებს

ტყე რომ ბუბუნებს,
ტყე რომ გრგვინავს,
უტევს უკუნეთს.
მაშინ ანგურა
ცით მოსული დაიგრუხუნებს.
კვლავ ამოსკდება გალობანი
ტოროლას ხმებით
და საქართველო
ამირან მთით
დაიგუგუნებს.

დევკაცივით, დგანან ანძები

დოინჯშემოყრით, დევკაცივით, დგანან ანძები,
დიად ბუნების ცქერით მთვრალები
და ჟრუანტელი უვლით სხეულში;
ლითონ-სადგარში, ლითონ-ძარღვებში.
ციხე-გოდოლებს ჰგვანან უდრეკნი,
ცეცხლში ნადულნი, ცეცხლით ნაკვერნი.
ვითარც გალამბულ ობობას ქსელნი,
მავთულხლართებით სივრცეს ფარავენ,
აქ თავს იყრიან კოსმოსის ბჭენი,
ქარნი გიჟმაჟნი, დაუდეგარნი;
ძაბვა-ვოლტებით, ამპერებით, ელექტორნებით,
მარად მოძრავნი, უსწრაფესად, ფარულ სიშმაგით,
სულთა შთაბერვით დიდრონ ქალაქებს აკაშკაშებენ;
გენერატორებს, დინამოებს, ტრანსფორმატორებს,
ავსებენ ქუჩებს ჟრიამულით, მფეთქი ყიჟინით:
დენი მოვიდა!
დენი მოვიდა!
და გაგვანათა!
ვაშა, სინათლეს!
ეს გოლიათნი სულს უდგამენ ტროლბას-მეტროებს,
ათბობენ სახლებს, სამორინეთ, კაფე-რესტორნებს,
აღუნღულებენ დისკოთეკებს ცისკრის მანეჟებს,
თეატრთა რამპებს, სპორტ-სასახლეთ და აკვაპარკებს.
ფართე გამზირებს, მოსეირნე მილეთი ხალხით,
ტრილიონობით ნათურათა სიელვარეთი,
საღამოისას ეშუქება სინათლის ჭავლი,
თვალთა კაშკაშებს, გრძნობათ კაეშანს, ვნებათა დაღლით.
ჩვენი სავანე საცხოვრისი, მშობელი მიწა,
ვრცელი სამყაროს ოაზისი, თვალთა ხატულით,
ყოველჟამიერ ჩვენსა ფეთქვას ელის და ჰფიცავს,
რომ მოვუვლინთე მთელს სამზეოს ეს სასწაული.
ოცდამეერთე საუკუნე გუგუნით მიჰქრის,
უკან იტოვებს ნისლეულსებს, ირმის ნახტომებს,
ელდენი მისი საზრუნავი აზრი და ფიქრი
ვით დინოზავრი, თვის გიგანტურ ნაბიჯს დასტოვებს.

დოინჯშემოყრით, დევკაცივით დგანან ანძები
და ჟრუანტელი ელდენისა უთრთით ძარღვებში.

ვარსკვლავეთის დაკლაკნილი ხვეულებით

ლურჯ მაისებს ადაისებს ღამის მწუხრი,
ცა გაივსებს ვარკსკვლავებით უბე-კალთას,
ო, აროდეს დამავიწყდეს გაზაფხული
ბურუსიან კვირტების შლით, შენ რომ გგავდა.

ახლა სად ხარ, შორეულო როდის-როდის
ჩამოეშვა თეთრი ფარდა, ჟამთა რხევით,
შენს მაგიერ მოგონების ნამი მოდის
და ხილვებში ის ატმები მიყვავდების,

ვით პეპლებით შენაპენტი, შენათრთვილი,
ჩვენ რომ ვსდევდით ლანდის-ლანდად ქცეულები,
მოლანდების ლურჯ ნისლში როს გამიფრინდი,
ვარკსკვლაეთის დაკლაკნილი ხვეულებით.

და დროები მის მზერაში თვლემდნენ

მე, სიყვარულს მიგალობდა შაშვი,
თუმც, გავშავდი ცივ სამარის კართან,
შავეთისკენ ვქროდი შავი რაშით
და მომსდევდა გაწივლება ქართა.

მე ვეძებდი უკვდავების სამანს,
იმ არგათქმას, რაც გვარგუნა ზენამ,
იდუმალის ჩავიმუხლე კართან,
მაგრამ სული განაგრძობდა ფრენას.

ირემს ცაში აეწვდინა რქები,
მეცხრე ცამდის, სასუფევლის ბჭემდე,
ყვავს კაკალთან დაეკეცნა ფრთენი
და დროები მის მზერაში თვლემდნენ.

გზებს ბილიკნი შვილებივით ესხდა
და ისინი ბუტბუტებდნენ თხრობით,
ვინც მივიდა უკვდავების ხესთან,
იქ დამთავრდა მისი მარათონი.

ჩავლილები ამ გზით ბევრ ვნახეთ,
ამოვლილნი... ? – არა, არა, არა,
სივრცეს ბევრჯერ შეეშალა სახე,
ბევრჯერ დროთა სუნთქვაც გადამალა.

ბევრი-ბევრი დავიწყებას მისცა,
ზოგი წყალთა, ზოგიც ცისა-ბრისას,
აერია ნამყო, მყომად დროში
აწმყოს გზანი, ბჭენი შავეთისა.

ასწლეულებს დაუმშვიდდა მზერა,
სამყაროთა ნისლეულის ფონით,
მხოლოდ სული უკვდავია, მღერად
დასხდნენ კლდენი, ქარიშხალთა ქროლვით.

ლამაზი ხარ, ვფიცავარ...!

შორით სჩანან ტივები,
ტალღებს შენატიები,
შენ, ისევლე მახსოვხარ
და ეს მეპატიება.

შენ, ისევლე მახსოვხარ,
ყმაწვილს გულით, აწ ხნოვანს,
წერომ ყელმოღერებით
ცის თაღი როს დასტოვა;

გედი ტბორზე მცურავი,
თვალებით სამდურავით,
სარკე უფლისმიერი,
ორეულის უარით,

შორით სჩანან ტივები,
ტალღებს შენატივები.

სულში უდაბნო ქალწულივით გადაფრინდების

რა გაკვირდებით დაესაყრდნენ პირამიდები;
სულთა სიოცით, განცვიფრების შვეულ ქარებით,
სულში უდაბნო ქალწულივით გადაფრინდების,
პარალელებით, სარკეებით, იზობარებით.

მითოსიდან

გამომიკვერე ფოლადად
ცეცხლში ნაწრთობი რკინაო,
თორო, დევ-ქაჯთა ლაშქარი
წალეკვით დაგვეღირაო.

კაცი, რომელიც მიწაზე იწვა

კაცი, რომელიც მიწაზე იწვა,
კაცი, რომელიც რინდებს გადაჰყვა,
მიყურ-მიადო მკერდს დასაფიცარს
და იწვა მშვიდად, როგორც არგათქმა.

დიდი გნიასი იდგა ქვეშეთში,
დიდი ბრძოლები მხარგძელი ბიჭის,
გველს მოსდიოდა ელეთ-მელეთი
არყოფნობაზე, ამ გასაჭირში.

მორევების გამჭვირვალე ტბორი

მორევების გამჭვირვალე ტბორი,
ვით ამბორი გარინდების ძალთა,
იდუმალი ნიკეები გორის
ცად მიმქრალი გაფრენილი ღალღა.
ტირიფების ჩამოშლილი სევდა,
ჩვენ რომ გვსდევდა იმ სილურჯეთ სხივი,
პეპელათა ნათიერი ფეთქვა
და მზექალნი ოქროდ ჩამოთლილნი.

დაილოცს გუთნეული

ტოროლა და ოროველა,
ცელი, მკა და ჰოპუნები,
გალეწა და გადათელა
ქარმა კევრთა მობრუნებით
ძნები თავთუხ-პურეულის,
ძნები ქერის, ძნები ჭვავის,
დაილოცოს გუთნეული,
ჭირნახულის შემომყვანი.

ნაზად ვკოცნი იასა

სულგანაბულსა ბუჩქის ძირს
ნაზადა ვკითხე იასა:
– რითი სჯობიხარ დობილო
ფესვმაგარ დიდ ხე ბიასა?
– არაფრით, მითხრა დობილმა,
არაფრით შენი ჭირიმე,
ცოტა ხნით ვცოცხლობ გაზაფხულს
და ამაზედა ვსტირი მე.
კაცთაც ობლობა სჩვევიათ,
ამითი ვგევართ ერთმანეთს,
ერთი სვე-ბედი გვწვევია.
სულგანაბულსა ბუჩქის ძირს
ნაზად ვკოცნიდი იასა.

და ბროლები სადღეგრძელოს შევამსხვრიოთ

კაშკაშობდა საღამოთა თანაწყვილი,
როგორც სხივი უწმინდესი, ბროლის თასში
ალმას ბროლებს შეამსხვრევდნენ, სვამდნენ ღვინოს
და ერივნენ ღვთაებასთან ცის ამქარში.

ეჰ, ვინ იცის მერამდენედ, მერამდენედ,
იმ უთქმელის და არყოფნის დავიწყებით,
რომ ღამენი ალალივით ავაფრინეთ
და გავედით უხილავის კარიბჭენით.

მო გავგიჟდეთ, ამ ღამეთა სიელვარით,
ვით ვარსკვლავნი გალაქტიურ ნისლეულში,
ეს გიტარაც გადავრიოთ, ტაში-ტაში
და ბროლები სადღეგრძელოს შევამსხვრიოთ.

დროზე

ყველგან მიმობნელულია, ყველგან მიმოკარგულია,
ყველა თითქოს გრძნეულია, აპა, რავა ჩემნო... !
ზოგი გზააბნეულია, ზოგი სულით ეულია,
ზოგი საძმოს შვილია და ზოგიც თვისით კენტობს.

ყველა ფიქრობს, ერთობაში ფიქრს მიერთვის ფიქრი,
როგორც ფიფქი ერთეული ფიფქთა ცვენას ერთვის,
აზრიც ასე იბადება, დროს უსწრებს და მიჰქრის,
ხოლო დრო-დრო უშობელი არის ერთადერთი.

არც მთელია, არც ნაწილი, არც ურთიერთ ბმული,
იგი მხოლოდ ჩვენის ყოფით, ყოფით ისაზღვრება,
შემოდგომა-ზამთრის მერე, მოდის გაზაფხული,
დრო არავის არ აცილებს, არც არავის ხვდება.

არც სივრცეებს ეპუება, არც ქარების ქროლვას,
არცა ახსოვს საწყისი და არც დასასრულს მონებს,
ის არაფერს არა ჰკარგავს, არაფერი მოჰყავს,
მან არ იცის მწუხრის დარდი და ცათ სიმარტოვე.

იგი მარად მედინია, ზომა წონის გარეთ,
უფეროა, უხილავი, არა მართავს ბრძოლებს,
არსად გეძებს, ვით სიკვდილი, გინდაც დაემალე,
რაც არ უდნა მოხდეს ქვეყნად, მას არ შეაჟრჟოლებს.

მაშ რა არის ამისთანა, ბრძენთ გვაუწყონ მაინც,
იქნებ სულაც არაფერი და ჩვენი მოვიგონეთ,
თუ მეფობენ, დე იმეფონ, სულ ლაჟვარდი ცანით
და ნურასდროს და ნურასდროს ნუღარ დაგვაობლებს.

ყველგან მიმობნეულია, ყველგან მიმოფანტულია
არც ცა ახსოვს, არც ხალისობს, არც მდუმარებს; არა,
აწმყოა თუ ნამყო არის, ანდაც თუ კი წარსულია
უჩუმარი ნაბიჯებით გზა-ბიკებს ჰფარავს.

ლელწამივით ირხეოდა

ლელწამივით ირხეოდა ალი,
ცა გამკრთალი ფერდამცხრალი ჟღერდა,
ვით სიცოცხლის წყარო მოკამკამი,
ვით ბროლება გადატეხილ ფერთა.

ალს შვენოდა ოქროსფერი თმები,
თმები მწიფე მობიბინე ყანის
ხმა ისმოდა ჩუმი ფეხაკრების
და ლანდების მომზირალი თვალის.

ჩვენს მარადიულ სასაფლაოს ქსოვდნენ ვარდებით

როგორც ღვთისმშობლის უცოდველი სხეულის ფერი,
ისე, ღვიოდნენ ბაღში ვაშლები,
ცათა ცისფერი მოშუქობა, ჩქერი და ჩქერი,
ჩვენს მარადიულ სასაფლაოს ქსოვდნენ ვარდებით,

სად შორს ზღვაურნი, უცანაური ლილისფერ ჟღერით,
გადაშლილიყვნენ მთები ნისლებში...
და ცივ სიკვდილის უსამანო თოვლთა ნამქერში
ეგებებოდნენ დაისობას წყნარი სიმღერით.

სისხდაცლილები, მდუმარების უშორ-შორეთში,
დადუმებული ბაგეებით, ლურჯი სხეულით,
მონატრებოდათ მწვანე მოლი, ცვარით სოველი
და ყვავილების მცინარება გაოცებული.

უშფოთველ ძილით მსურს ხადისხან დიდხანს ვიძინო,
ვით ბავშვობაში, როს გეხვევა ანგელოზთ დასი;
დედა, ბებია, მამიდები, ბიძა-ბიძიკო
და მზის სხივები, მონატრისის ქვანტნი, ათასი.

– რომ მომკვდარაყავ – მიფიქრია და ახლაც ვფიქრობ,
რა ვიქნებოდი ესე არსი, სხეულის გარე?
ვინ რას იტყოდა, იტირებდა ალბათ დედიკო;
იმ მწუხარებას, იმ კივილებს სულთა ზარდამცემს.

მე ზღვა ცრემლისა, დამძირავდა ყიამეთს შინა,
სად ლანდთ-ლანდები, დიად ჩრდილთა, ბორიალობდნენ,

ნისლის სუდარა წამიყვანდა უშორესს, ფრთხილად
და მოაბნევდა სხეულს ჩემსას ვნების გორებზე.

მსურს გავიხსენო, უცნაური მტვერთ ბორიალი,
განათებული სხივთ ციმციმით, სხივთა ნაკადით
ქუჩა ხეივნით, მოკირწყლული, მიჯრით ქვიანი,
დედის ძახილის ფრთოვანება, როგორც ფარვანის.

არსად დაეცეს ჩემი ბავშვი მოლიპულ გზებზე,
არსად აუცდეს, არსად აუცდეს ფეხი პატარას,
ო, ჩემს ბიჭუნას მოცაურთა ლოცვები დასდევს
და საუკუნემ უკვდავებით გამოატარა.

როგორც ღვთისმშობლის უცოდველი სხეულის ფერი,
ისე, ღვიოდნენ ბაღში ვაშლები
ცათა ცისფერი მოშუქობა, ჩქერი და ჩქერი,
ჩვენს მარადიულ სასაფლაოს ქსოვდნენ ვარდებით.

ფიქრს ვინ დამიშლის!

ფიქრს ვინ დამიშლის,
თმებად ქარიშხლის
გავშლი იალქნებს
და მთელ ზარის ხმით,
ნაგეშთ მთვარის გზით
ავახმიანებ.

ამით, ... მღერებად,
ატომთ ფერებად
გადავიქცვი;
ცისკრის დილებით,
ცათა ლილებით
ბროლის მზითევით.

მოვა ქალწული,
ლელწმით დაწნული,
ძნათა გრეხილით,
ყანა თავთუხის
ქარით გართული,
ედემ-ხეხილით.

მზეთა გზისაკენ,
მდუმარ წყლებისკენ
შემრთვენ ბინადრებს,
სად ჩემი დედო
სამუდამოდ დამამძინარებს.

სადაც საწყისი
უსასრულეთს
ერწყმის ისევე
და ჰკივს არწივი;
იქ, შვებაა
უცხო მიწაზე,

– ვითომ, ასეა... ?
– ვხედავ ასეა,
გულის ვნებებით
სივრცე სავსეა
სიყვარულით,
ღმერთის ედემით.

გულნაზ ხარაიშვილი

წერტილი დავსვი

სიკეთეს ვთესავ, არა ვარ მგელი,
წამწამებში მაქვს ცრემლი მოჩრილი...
ჩემი გულია ხასხასა ველი,
რწმენით ვარ მუდამ უფლის მორჩილი.
ჩემი გულია სიკეთის ხიდი
და მოლივლივე ზღვის ტალღის მსგავსი.
ჩემი გულია წყნარი და მშვიდი,
ქედმაღლობასთან წერტილი დავსვი!..

და მე კი არა

უთქვიათ ბევრჯერ, გამოგვყვაო
შენგან სიმშვიდე,
როს საუბრობო, გვეუფლება
ღვთიური გრძნობა...
კარგად მეყოლეთ,
სანამ ქებას არ დაგიშლიდეთ,
არ ვთამამდები,
გეფიცებით დობას და ძმობას.
ჩემი სიმდიდრე ლექსებია,
მით გეფერებით...
ფული არა მაქვს,
ტკბილი სიტყვით ყველას გიწამლებთ.
ბრდღვინავს სატანა,
გვემუქრება გადაშენებით...
და მე კი არა,
პირველ რიგში ღმერთი იწამეთ!

როცა გიყვარს

როცა გიყვარს,
მონატრება გტანჯავს,
როცა გტკივა,
როცა ფიქრობ მათზე,
როცა ხელებს,
ქერქლს ააცლი ნაჯაბს,
მოვა გუში ჩაგიხუტებს
მათე.
ცრემლს შეგიშრობს,
დარდსაც გაგიფანტავს,
მოგაყოლებს ლექსებს,
სულის საზრდოს,
იმედის სხივს გულში
დაგიხატავს...
ასეთები ბევრი გაიზარდოს.
ისეთებიც კარგად იყონ,
ღმერთო,
ვინაც წყრომით ზურგი შემაქცია,
უფალსა ვთხოვ,
სიყვარულად მენთოს...
მე ისედაც დარდი ტანს მაცვია.
როცა გიყვარს, გაჟროლებს
და გხიბლავს,
და აწყმოშიც ყველგან
თან დაგყვება..
რა უთხარი მართლაც
იმ ჩემს იღბალს,
ასეთ თბილ გულს
მტერიც არ ეყრება.

* * *

ყველაზე დიდი სასაფლაოა გული...
(ბეჟან ხარაიშვილი)

რა სიბრძნეა ძმაო, ბეჟან, შენს სიტყვებში
რა ტკივილი, ცის და მიწის ხელა,
წახვდი და ცრემლის ბილიკს მეც მოვყვები,
ვერ გეწევი გზა თუ შემეშალა!

კეთილი ვარ

ჩამოუშვებს ციდან ღმერთი, მზის ხელებს და..
შემოათბოს მხურვალეებით ჩემს გულს...
არ მასვენებს მტერი მაინც მახელებსდა,
ქიშპი-შური, არავისთან არ მსურს!
განა ვშიშობ?კეთილი ვარ უსასრულოდ...
მადლის კაბას გულს-სიწმინდით ვაცმ
ეგებ მტერმაც ქიშპაობა დაასრულოს,
ვდუმვარ, პასუხს არასოდეს გავცემ!

მეოცნებე ბავშვი

ჩიტის ბუდე ისევ იქ ჩანს,
ჩიტი გუნდად გაფრენილა...
გადაყვითლდა მწვანე ფარჩა,
თავთავებიც ჩაცვენილა.
სოფლებს მგლები შესევია,
ცხვრებს და ხარებს გაკრეს კბილი,
მთა მთის გულზე ასვენია,
ღრუბლის ფთილით დაფლეთილი.
რით ვუშველო ღობე-ყორეს,
ვერ ვპატრონობ სახლს და კერას,
კუთვნილ მიწას დამაშორეს,
ჩემიც აღარავის სჯერა.
ბუდეს გვერდი ჩამოშლია,
ჩიტიც სადღაც კენკავს ნამჯას,
ვნატრობ სიმინდს ულვაშიანს
და ვისინჯავ ხელის მაჯას...
ფეთქავს, მაგრამ სულ ნელი-ნელ
ვაყურადებ გულის წიკწიკს,
თვალს მოვავლებ მწვანე ველს და
კვლავ განვაგრძობ ნაბიჯს წინ-წინ.
რწმენას რწმენით ჩავეხუტე,
სიცოცხლე კი ღმერთს მივანდე...
წარსულს სულ მთლად გავებუტე,
გამყინა და უნდა დავდნე.
დავუქნიე ასაკს თითი,
გავაწანი სილა ყბაში.
მე ვარ ლექსი, ლექსის მითიც,
ცას დავფრინავ ლექსის რაშით.
შეიმოსა ჩიტის ბუდეც
ბალახით და ბუმბულებით.
დარდი მუჭში გამოვგუდე,
ჟღურტულებენ გუგულები.
ხელმეორედ დავიბადე,
მომეშველა ლექსის რაშიც,
ფიქრს იმედი დავაბედე,
გავხდი მეოცნებე ბავშვი.

ზღვაში ვარ

ზღვაში ვარ, ნაპირზე გამოსვლას არც ვაპირებ...
ვცურავ და ვცურავ, მაგრამ ზენიტს არასოდეს გადავცდები...
პოეზიით ვლოკავ ნაპირებს.
თავზე დამტრიალებენ გედები, მაღონებს წარსულის განცდები..
მიღიმიან ვარსკვლავები, მზე მკლავებზე მიწვენია.
მთვარეს სძინავს, როცა თვალებს გაახელს წინ შევეფეთები,
ფიქრები უსასრულოა, აკვანივით ირწევიან.

თუ ვიღიმები

თუ ვიღიმები არ ნიშნავს იმას,
რომ ჩემში მუდამ გაზაფხულია.
არ მსურს გადვიქცე ცრემლების წვიმად,
გული ისედაც დაჩაგრულია.
თუ ვიღიმები არ ნიშნავს იმას,
რომ სხვის ტკივილებს მე არ განვიცდი,
ყველას განსაცდელს ჩემს სულში ვფინავ,
ტანს უხილავი სევდა ჩავიცვი.
თუ ვიღიმები არ ნიშნავს იმას,
ვინც მაწყენინა არა მტკიოდეს,
და თვალებს ჩემსას დარდების ბინას,
არ მსურს ცრემლები ჩამოსდიოდეს.

თავკო

მონატრებას ვერ გავუძლებ ალბათ,
თამუნია, ჩემი გულის წილო,
ერთი ვარდი გამოვგზავნე აბად,
სიყვარულით რომ არ იშიმშილო.

ჩემს იმერეთს

იმერელ ხალხს სულ სიკეთე სჩვევია,
მიყვარს მათი სიხარული – დარდიც,
ხეთა კვირტი და ქვის ღორღიც ჩემია,
ჩემს იმერეთს არც ერთ კუთხეს ვადრი.

ალბათ შევძლებ

იანვარო, ტანი სულმთლად გაიშიშვლე,
თოვლის ფატას მიკვირს კაბად რად არ იცმევ?
შენს ნახვაზე ამიტანა ერის შიშმა,
ეს ბუნებაც ნამდვილ შოუდ არ გადიქცეს,
მერე მარტმა არ მოყინოს თოთო კვირტი,
ეს თვისება მას ხომ ოდით გააჩნია...
მის ხასიათს მივხვდი... ბევრჯერ დავაკვირდი,
აურ-ზაურს... თვით ბუნებაც შეაჩვია.
მწვანე კაბას ყინვით როცა შემოსუსხავს,
მოყინავს და ძირს ჩამოყრის თოთო სხეულს,
ალბათ შევძლებ და ჩემს თბილ სისხლს გადაუსხამ
მეც ვუშველი ტოტს, ჩემ გულში ჩამოწეულს.

მაინც კარგია

მაინც კარგია სიცოცხლე, რადგან...
დარდების შემდეგ, ამას ვინატრებ,
გათოშილ ხეებს მზის სხივი ადგას,
მუხის ტოტები ალბათ იბარტყებს...
ბალიც მწიფეა, შეესევიან,
ჩემი და სხვისი შვილიშვილები,
ჩემი სიმდიდრე სულ ესენია,
თუ მომრავლდა შვილთაშვილები.
როგორც პოეტი მიუალერსებ...
მინდვრის ყაყაჩოს, ღორღს და ლელიანს,
თუ მაინც მკერდზე დანა ალესეს,
მაშინ ლექსები ბრძოლის ველია...
თუ დვმარცხდები, გამეხარდება,
თუ ქართველია, გადავეხვევი.
ჩემს გულში აღარ გაავდარდება,
როგორც მოკეთეს ისე შევხვდები!

უფალო დამილოცე ყველა

უფალო, დამილოცე შვილნი,
დაბლაც და მაღლა ცაშიც,
შეუღლებულნი წყვილნი,
არსად მომიხვედრო ქარში.
უფალო,დამილოცე ერი,
შეწყდეს ომები და ვიში,
ვარდებს დაენაცრათ მტვერი,
სისხლი შერევიათ სხვისი!
უფალო, დამილოცე დედა,
აქაც და შორს წასულნიც,
ყველას გაყოლია სევდა,
ყველაა დარდმოსხმულნი...
უფალო, დამილოცე მტერიც,
ვინაც ამიხანჯლა გული,
მისი მე არ მიდა მტვერიც,
უკვე მყავს დაკარგული...
უფალო, დამილოცე მიწა,
მიწა დაჯიჯგნული ტყვიით!
მუდმივ დარდის ნაწნვს ვიწნავ,
გულს ვერ ამოვიძვრე ხიჭვი!
უფალო, დამილოცე ურჩიც,
მეტი არ ესმის და რა ჰქნას,
მასთან მიტომ ვხდები მუნჯი,
უყი მიწა მინდა დავხნა.
უფალო, დამილოცე, ციცქნა,
წუხელის დედიკომ რომ შობა,
მიყვარს,მტრისიც იყოს ვფიცავ!
მიყვარს, თამარიც და შოთაც.
უფალო, დამიბრუნე ჩემი,
მიწა, სამაჩაბლოს ია...
თორემ ჩამომიდგა გემი,
საფლავს მომეხვევა ხვია.
არ გთხოვ, ბრიალნტს და ოქროს,
ფინჩხიც მე არ მინდა სხვისი,
სიყვარული დამქვს „ლოგოდ“
ესა მაქვს დედის მზითვი!

ლექსით ვცოცხლობ

ლუკმას ვყოფდი ნაწილ-ნაწილ, შუა-შუა,
ჩემთვის ნამცეცს არ ვტოვებდი ქვაბში,
მაინც ყვავმა დამჩხავლა და დამაყრუა,
ნასიცხ მიწას დავემგვანე-გავშრი...
გაოვოგნდი და ...ჰაი, ვერც კი შეუყვირე,
ისე სწრაფად დამიპორტნა გული...
იმ დედის დღეს, ჩემ თავს თვითონ დაუყვავე...
ყვავით დავრჩი ნაისრ – დაფატრული!
ის კი ფრინავს, აღმა-დაღმა, როგორც უნდა,
ან რა მოკლავს, 100 წელი ცოცხლობს,
მეკი ფიქრმა, დამახრჩო და გამომგუდა,
ლქსით ვცოცხლობ. ჩემი ლექსით მხოლოდ!

ხელი არ ახლოთ

არ შეგეშინდეთ დარდის სამოსის,
სულს,რომ ტკივილად შემომჯინჭრია,
გულს კვლავ ახალი კვირტი ამომდის,
სიტყვებსაც ვუძლებ ბევრჯერ ჭინჭრიანს.
ქარი -ბოროტი სიავით დარბის,
ცუდი რა არის ვერ გაარჩია,
არ ვარ სიმდიდრის წუწკი და ხარბი,
ვაძლევ ყველაფერს რაც გამაჩნია,
ფარჩაფურჩები, ოქრო და ვერცხლი,
წაიღოს ყველა, მას ჰქონდეს ხალხო!
ლექსი ჩემია, ეს გულის ცეცხლი,
წაიკითხოს და ხელი არ ახლოს!

ივანზე

ბაჯბაჯებდა მტრედი დილით აივანზე
და კენკავდა მზით გამხმარ პურს
ნამცეც-ნამცეც...
აფრთხიალდა, ნეტავ ხომ არ გავაბრაზე,
მოვიდეს და არასოდეს ხმას არ გავცემ.
თითქოს მიხვდა რას ვამბობდი, შემომხედა,
რა საყვარლად გამიყარა თვალი-თვალში...
შემაჟრჟოლა მტრედის უხმო გამოხედვამ,
წავიდა და შეერია უცხო ხალხში...
თითქოს გულში ამომგლიჯეს, ერთი ძარღვი,
სული არის, ნეტავ, ჩემგან რა ეწყინა?
მოვეფერე, გულს ისევე დარდით დაღლილს,
და შორიდან მტრედმა თითქოს შემომცინა.
გამეხარდა, ოი, როგორ გამეხარდა,
ერთის ნაცვლად, დავინახე შვიდი მტრედი,
შეყვირებით ლამის ჭერი ამეხადა....
ეს მე ვიყავ, ვერ მიცანი განა დედი?

თქვენ არ გეცკინოთ

მე, მეცოდება უტყვი ფურცელიც,
ჩემს გულს რაცა ღრნის მასაც ვუმალამ...
ჩუმად მგორდება ცრემლის კურცხალი,
რომელიც უხმოდ სხეულს უწამლა.
ჰოდა არ ვიტყვი, ლოცვად ვიქცევი,
ვლოცავ, მოყვრებსა და ვლოცავ, უგულოს...
ციდან უფალი ყველას უცქერის,
მე მინდა ყველას თბილად ვუყურო.
გარდამეცვალა, ქმარი და შვილი,
ნათესავების მთელი არმია...
გარდამეცვალნენ მამიშვილნიც და..
გახსენებები... ძალზე მწარეა...
ბედის წისქვილთან ამიტომ ვბრძოლობ,
და შვილმკვდარ დედებს ვესათუთები...
ჩემს ამ სიკეთეს არ უჩანს ბოლო,
ახალგაზრდებთან განსაკუთრებით!

კაბას შეუცვალე ფერი

კაბას შეუცვალე ფერი,
ლურჯი შეუხამე სევდას...
ობოლს გამომიცხვეს კვერი,
რადგან აღარ მყავდა დედა.
ძმების იმედებად დავრჩი,
ქმარიც გამიფრინდა ცაში,
ბედი შავ სამოსელს მაჩრის,
ჰოდა, გადავყარე მტკვარში,
სკივრი გადავხსენი ძველი
ჭრელი მოსაცმელი ვნახე,
ისიც ცრემლით იყო სველი,
ბედმა სხვაც დამიგო მახე!

მახე, სეტყვის კაკლით სავსე
ყველა ტკივილებზე მწარე,
ასეთს ვერ იხილავთ მსგავსებს,
ნეტავ მოვეკალი ბარემ.
მერე შემეცოდნენ ირგლივ,
გული,გამოვკვერე გრდემლში...
ვივლი თოვლიანი იღბლით,
ბედს კი გამოვგუდავ ცრემლში!
მიტომ მოვისროლე,სევდის,
შავი რაც კი მქონდა სახლში,
გავხდი, ყველას დიდი დედა,
ბედთან აღარავარ ვალში.

დამიჯერეთ

სიყვარული, გამოხატეს ყვავილებმა?
ნეტავ მართლაც სიყვარული დაგებედოთ..
.გაიხარეთ საქართველოს ყმაწვილებმა,
გოგონებთან მოტყუება არ გაბედოთ....
სიყვარულის ელექსირი თუკი შესვით,
გაიყოლეთ სულის საზრდოთ,მოგზაურად...
სიყვარული არის გულის განაწესი,
ყმაწვილებო, მოექეცით შოთაურად!
სიყვარული, უფალია ყმაწვილებო,
განა ხორცის ჯიჯგვნა არის ნაწილებად,
დამიჯერეთ, ჩემი სულის ნაწილებო...
დამიჯერეთ, შემორჩებით არწივებად!

არ ვიცოდი

პეპლებსაც ცოდნიათ სიმღერა,
ტკბილი და რა ნაზი ჰანგებით,
ვუსმენ და შიგ გულში იღვრება,
რა ხდება ბუნების განგებით.
ცოტა აქვთ სიცოცხლის დღეები,
სიმრავლეს ან როგორ ასწრებენ.
ფარფატა ფირფიტა შრეებით,
ალბათ ისტორიას დაწერენ...

ღრუბელი

რაც არუნდა მოეფერო ღრუბელს,
ღრუბლია, გულში ლაქას სტოვებს...
ჰოდა, მიკვირს რამდენ დარტყმას ვუძლებ,
როცა უნდა მაშინ დამათოვებს....
მოისარკა, აფერადდა ზეცა,
საქორწინოდ ემზადება მთვარე,
მზესაც ოქროს სამოსელი ეცვა,
მე ჩემს ლექსებს თავი შევაფარე.
მზე და მთვარე ჩემებია ნაგრამ...
ეშინია შავი ღრუბლის მათაც,
გულში ვლოცავ ჩემს ჯიშსა და ნაგრამს,
ღრუბელი კი მზეს და მთვარეს მართავს!

გული

გული, გამიხურდა როგორც თონე,
გული, დარდის ცრემლში ალესილი,
ვშრომობ... ვერაფერიც ვერ ვიშოვნე,
ვშრომობ, ბედისწერით დანისლული.
გული, ჯერ დაიჭრა,დასნეულდა,
მერე მოიხარშა დარდის ცეცხლში...
მაინც არასოდეს დაბნეულა,
მაინც არ გამხდარა სხვისი ლეში!
გული, გრძნობის ცეცხლშიც გახვეულა,
ოდეს ბავშობაში აბა რაა..
მკვახე, მსხალი ქარით დარხეულა,
მწიფე შეუსანსლავს ვიღაც სხვას!
გული,დარჩენილა ანაბარა,
...და ბედს შეერკინა ხარის ძალით,
სახე, მლაშე ცრემლით დაიბანა,
მაინც არ დატოვა სუსტი კვალი!
გული,ჩემი არის, ჩემს ხელშია...
ისე თბილი არის, ყინვას ადნობს,
ახლა გართულია, ლექსებშია,
ლექსებს საიდუმლო უნდა ვანდო!

ვენებს იმედის სისხლი გადუსხი...

ბედს ტკივილიანს შევჭიდებივარ,
ბედს უსასრულოს და უნაპიროს,
დრო, თოვლ-ქარბუქით შეჭირხლებულა
გულიც ამიტომ აღარ აპრილობს.
ჩემს დიდ ოჯახში ფუსფუს ფუსფუსით, –
ჯაფით, წვალებით ვდებდი აგურებს,
მზის სხივით მინდა დავჭრა ბურუსი,
რადგან დარდები გამანადგურებს.
უიმედობა მინდა ჩავცელო,
ვცდილობ ავკაფო დარდით ნასუსხი.
მინდა მომავალს გავუნათელო,
ვენებს იმედის სისხლი გადუსხი.

ფრთხიალებს ეჭვი

ხან თითქოს ვდუმვარ, ჯავრგადაყრილი,
ხან ტირიფივით ჩამომდის ცრემლი.
ხან გზები მხვდება ეკალდაყრილი,
ცის აღმართებზე კიდევ რა მელის?
ფრთხიალებს ეჭვი დუმილის ფიქრში,
ცრემლით სველდება ცისკრის დილები,
ცხვარს ვერ გავაწყობ მე მგლების შიშით,
ჰოდა დავწყვიტე დარდის ღილები.
იქნებ ახლოა გზის დასასრული,
ან ვერ მოვესწრო ვერხვების შრიალს,
ბევრი მიზნები მაქვს დასახული,
არ ვუშინდები მხეცების ღრიალს.
კვლავ იშრიალე თეთრო ფურცელო,
ლექსო, არ ვიქცეთ ბედის მონებად...
იქნებ, ამ ტანჯვას ისევ გაუძლოთ,
არ დაგვიძიძგნოს გული ყორნებმა.

ცა მოწმენდილზე

მე შევეჩვიე უმადურობას,
მე შევეჩვიე ზურგის შექცევას,
თავს როს დამატყდა უბედურება,
როცა სეტყვები თავზე მეცემა,
ცა მოწმენდილზე უცებ იელვა,
ატყდა ქუხილით ცივი წვიმები,
არ მიმატოვა ჩემმა იმედმა,
გულზე ავიბი როგორც მძივები.
შემომეფეთე მაშინ როდესაც,
აღარც გელოდი უკვე საერთოდ...
გამიხსენებდი ვიცი ოდესღაც,
ჩემი სულის და ხორცის ნაერთო.
ადამიანი განა რას ცოცხლობს,
ჩემი მზეც იქნებ ჩქარე ჩავიდეს,
მინდა საერთოდ მტერიც დავლოცო,
წმინდა სულით მსურს ცაში წავიდე.

ისე ჩუმად გაილია წლები...

ისე ჩუმად გაილია წლები, გულს შესცივდა,
თოვლი იწყებს მოსვლას...
ლოცვით ვდგები, ისევ ლოცვით ვწვები,
ფიქრის დღეებს, დარდის კაბა მოსავს.
გულს არ დავღლი, უიმედო იჭვით,
ყველა დროში ჩემთვის ხომ არ ითოვს
საქართველოს, ვლოცავ ლექსის ჭიქით,
ფულს კი არა, ერთგულებას ვითხოვ...

ამ ჩიტებში

ამ ჩიტებში, გარდაცლილთა სულია,
საკენკსა და ყურადღებას
ითხოვენ,
იქნებ მათში ჩემი შვილის გულია,
დარდის ველებს, ჟღურტულით რომ
მითბობენ...

ბელტივით გადავიხვნები???

მე დავიბადე ხელმეორედ, როდესაც ვშობე,
ლექსი პირველი, სულიერი შვილი სათუთი,
პასუხს მომთხოვენ, თუ ცუდია, როგორც მის მშობელს,
რადგან ლექსია,ჩემი სულის ამონასუნთქი.
წამოვჩიტე და წამოვზარდე, ლექსის ხუნდები,
ხან მზის ხელებით, უფრო მეტად ცრემლის თითებით.
ბოლოს როდესაც ზურგს შევაქცევ, გადავბრუნდები,
სიბერის ჟამს კი თავისთავად, ჩნდება კითხვები:
ლექსით დავრჩები, თუ ბელტივით, გადავიხვნები???

==========ვდუმდი========

სიტყვებს ვარჩევ და სტროფს კვლავ ვიწუნებ,
ვათუ ვერ ვთქა, გული რით მტკივა,
ალბათ ბედი მცდის, ასე ვირწმუნე,
გაუთავებლად ჭოტი რომ ჭყივა.
გულზე დავიდე ხელი და ვდუმდი,
დაცარიელდა გულის სამყარო,,
ზოგჯერ ერთი დღეც, სიცოცხლეს უდრის.,
არ მსურს ფარხალი მაინც დავყარო.

ჩამომიქროლა ფიქრის ნიავმა,
უმკვლევი თოვლი ხელით გავკვალე,...
არ დავიღვარე ცრემლის ნიაღვრად,
ახალგაზრდები მოდევს ნაკვალევს.
თავის მისიას ასრულებსჭოტი,
ჭყივილის გარდა ანდა რა იცის...
მისი სახლია ერთი ხის ტოტი,.
მე ისევ მადლის კაბა ჩავიცვი.

==++++= ვირითმები+++==

მერე რაა, თუკი ვინმემ მაწყენინა,
მერე რაა,თუკი კიდეც განმიკითხეს,
ვქმენ სიკეთე, მაინც ცრემლი მადენინეს,
მე რაც მტკივა, მხილოდ გულში წაიკითხავთ...
მიხარია, ო, რა ძლიერ მიხარია,
ვის ბაგეზეც... უბოროტო ღიმილია,
ქმარშვილი კი, ჩემი ცაში...იქ არიან,
ისიც ვიცი, მოუთმელნად მიმელიან.

რავქნა მაინც ვერ ველევი, ამ სამყაროს,
ზღვაში ვცურავ, ვცდილობ ნაპირს გავაღწიო,
ვცდილობ, ხალხსაც ერთმანეთი შევაყვარო,
ვცდილობ, ყველა გრძნობის ცეცხლიში
გავხვიო.
ეს მისია, ის მისია, სხვა მრავალი,
დამეკისრა, ხანაც ჩემით ვიტვირთები,
გადავკვეთე, ლაბირინთის ტრამალი და..
გავამხნევე კენტად მდგარი ტირიფები.

მოდი მესროლე

==========

მოდი მესროლე,დიდი ხანია მკვდარი ვარ უკვე,
ოღონდ მომავალს არ ესროლო, გაზარდე გმირად,
გთხოვ, გაუფრთხილდი საქართველოს ღუღუნა ხუნდებს,
თვალს ნუ ამოთხრი შენს ანგელოზს, ასე ნუ წირავ....
მოდი მესროლე, გავნადგურდი ამ სიძულვილით,
როგორ ღრნი ამ გულს, ვიტანჯები, ჯიჯგნი და სერავ,
შორს დაფრინავენ,ტოროლები, ტირის ბულბული,
ქართული სისხლით იღებება, ფუძე და კერა...
სკამი შემძულდა, საკუთარსაც ვარიდებ თვალებს,
ხელით დავამსხვრევ, მაგრამ ამით რა შეიცვლება,
ან ეს ეკლები, რისთვის ვკაფე,რით მიხდი ვალებს,
უქართველებოდ საქართველო, ეს შეიძლება?...

ღვთიშობელო, გევედრები...

ღვთიშობელო, გევედრები,
დაამშვიდე ერი ბერი,
დამიშვიდე საქართველო,
ჰქმენ სიკეთე, ბევრზე, ბევრი..
მე, მომეცი მოთბინება,
სიყარული ვთესო ირგვლივ,
უფლით მე ეს მევალება,
ვიყო ზააფხულივით თბილი.

სხვას იმიტომ მიუტევებ...
გარდაცვლილთაც ჰქონდეთ შვება,
მხოლოდ მარტო ნუ დამტოვებ,
ვხედავ, ნისლი გულში წვება.
სულ სიკეთე მინდა ვთესო,
გავცე თუ რამ მაბადია,
მე არ მინდა ხმალი ვლესო,
თვალში ცრემლის ნაკადია...

მთვარეს უნდა ვესაუბრო

მთვარეს უნდა ვესაუბრო,
მოუყვები ჩემს სატკივარს...
ვშიშობ, მანაც ვერ გამიგოს,
გული ვისგან რატომ მტკივა...
იქნებ ღრუბლებს დაუჯეროს,
იქნებ სეტყვაც დამიშინოს....
იქნებ სიოც გააჩეროს,
ან გულს ვარდი გამიშენოს.

სამკითხაოდ რომ გახდება,
გულის დარდის გაქარვება,
მგელი, მელა, დაფასდება
სიცხე დაგწვავს თაკარება.
სჯობს შენს ფიქრებს ესაუბრო,
ისევ შენს გულს უთხრა რამე,
ვეღარ ვაქრობ, ამ ცეცხლს უქრობს
და ვათენებ ფიქრით ღამეს.

გაუტანლობა

:· :· :· :· :· :·

გაუტანლობა, ძმათა-შუღლი, დროთა ქარტია,
მხოლოდ სიტყვების რახარუხი, თავისუფალი...
რით ვინიგუშო ჩემი თავი გულში მარტია,
ჯერ კიდევ არ სჩანს საქართველოს ჭირისუფალი...

წამალი

ფარშევანგივით ლამაზია
ჩემი ქვეყანა,
არ ყელყელაბს... თუმცა
შრომით ზეცას მოიწევს,
ო, ამ ომებით ცას გამრავლდა,
ხალხით ზეყანა,
ფრთები დაკეცა, რას უბრძანებთ
თქვით სად მიიწეს.
ნუ დაღონდები გენაცვალე,
დარდით რას იზამ,
თუმცა სოფლებში, კანტი-კუნტად
ყივის მამალი...
შენ დაგაღონა, შენი ხალხის
სხვაგან გახიზვნამ,
ერთად დგომაა საყვარელო,
შენი წამალი!

შემომათენდი

** ** ** ** ** ** **

შემომათენდი, ღამევ, ფიქრებში,
ფიქრში გამიქრა, ღამის წყდიადი...
იქ ჩავიკარგე ათვლის ციფრებში,.
ირიჟრაჟა და გამოვტრიალდი.
დილა დარდობდა, ფორიაქობდა,
და მაინც სახეს, ცვარით იბანდა...
ქარს კი ნამუსი ადრეც არ ქონდა,
გაავებული ახლაც ბრდღვინავდა...
მოთენთილ სხეულს, დავჩერებივარ,
საით წავიდე, ნახაზს ვხაზავდი.
ჩემს წინ სამყარო გაჩერებულა...
იქ დავრჩი, სანამ იმედს ვნახავდი.

თავს შეუძახე, ბიჯგიც გადავდგი,
მოვნახე სულის მონათესავე.
ვირწმუნე... ლექსის ტკბილი ბადაგით,
ჩემს სადღეგრძელოს ვიცი შესვავენ.
მივუალერსებ ყველას შორიდან,
გულს თუ არ მატკენს, მტერსაც დავინდობ...
ერთ-ერთს ავირჩევ ბოლოს ორიდან,
სამშობლოსათვის ტყავსაც გავიძრობ.
ვიბრძოლებ სულის ამოკვნესამდე,
მოყვარე მტრისგან უნდა გაირჩეს.
მოვითმენ ჩემი სისხლის შესმამდე,
ოღონდ სამშობლოვ, შენ გადამირჩე!

დედი

* * * * * * * *

დედი, შემომხედე,
ცრემლიან თვალებში,
შენი დაშორება,
მკერდს როგორ მისერავს...
ბავშობის ბილიკის
იმ ნატერფალებში,
ტკივილით დაგეძებ,
კლავ ხალათს გიკერავ...
ყოველთვის ეს ბედი,
მე ხომ არ გამწირავს,
ვიცი რომ მე მდარდობ,
მე მდარდობ პირიქით...

როგორმე გავაშრობ,
გულს დარდით ნაწვიმარს,
ჩავახშო, ამ სულში
ქარიშხლის ჯირითი...
სიმხნევის მანტიას,
მხრებს წამოვიფარებ...
ავტვირთავ ასოებს,
ჩემ სისხლის წვეთებით...
ეს მჯერა, ზეცაში
წვიმები იკარებს,
ეს მჯერა, შვილს კეთილს,
წინ შეგეფეთები.

***

რამდენი წელი უნდა
გავიდეს,
რამდენი დღე და
წუთი საათი,
რამდენ სიკეთეს და
მადლს ვარიგებ,
უმადურობით
არ მივსავათდი...
არ დავიკრიფე,
გულზე ხელები,
არ გადვიფარე,
თავზე სუდარა,
ქარი სულ სხვისგან
განახელები,
ჩემგან მოითხოვს,
ხვეწნა მუდარას..
ხალხი მებრძვის, თუ
კვლავ ბედისწერა,
ვფიქრობ და ვერა
გამიგიარა,
მე თუ ლექსები,
უნდა მეწერა,

უბრად საწუთრომ,
რად გამიარა..!?
მოუხნელ მიწას,
ფეხი დავადგი,
გავაფხვიერე
ჩემი ხელებით.
არ გავბოროტდი
რწმენით გავმაგრდი,
გავალამაზე,
მთაც და ველებიც...
ხუნდიც გავზარდე,
ერთიც, მეორეც,
შრომით და ჯაფით,
წელში გადავტყდი,
სიცოცხლე ლექსით,
გავიმეორე,
ბედისწერისგან
ბევრჯერ დავმარცხდი.
კვლავ წამოვდექი,
მადლის სათესად,
ლუკმაც დავცენცე
ნაწილ-ნაწილად...

მტერმაც გამიცნო,
რაც ვარ ასეთად,
გადავიქევი ბრძოლის
არწივად...
ცა მოწმენდილზე
ელვამ იელვა,
სულ უმიზეზოდ,
თოვლი მოვიდა...
მაინც მიშველა
ჩემმა იმედმა,
მაინც იმედმა
დამაიმედა...
არ გავბოროტდი,
ისევ გავმაგრდი,
არც წავიფარე
თეთრი სუდარა,
არავის მაზოლს,
ფეხს არ დავადგამ,
ნერგებს კლავ მიწას
გამოუბარავ...

დაიფარე უფალო

* * *

თუკი ვინმემ განმკიცხოს,
ანდა გული მატკინოს...
გულო, არ გამაფიცხო,
ისევ არ ამატირო.
დაიფარე უფალო,
აპატიე ყოველი,
ყველას ჭირისუფალო,
თვალები გაქვს სოველი.

ყველაფერი გაიყო,
იცი რა გაგიცია,
ის თუგინდა ბრმა ოყოს,
შენ ვინახარ იციან.
არა ევნოს უმადურს,
არაფრი ეტკინოს,
მე არ ვეტყვი საყვედურს,
არასოდეს ეტიროს...

ჰქონდეს მილიონები,
ოქრო, ვერცხლი, საბადო,
ოღონდ ნუ დაგორდები,
ისევ ცრემლის ნაკადო...
ერთი, ორი, სამი და...
ან ვიცოცხლებ ან არა,
წლები ისეც წავიდა,
დარდმაც გამაჭაღარა.

თეთრი ღამე

))))))))))))))))))))))))))))))))))))

ვიკოწიალე, უძილობით
თვალი დავღალე,
გამოვათენე, მოთენთლმა
წრიალ-წრიალით...
ცა მოწმენდილზე, ცრემლი
წამსკდა, დუღს და ღვარღვარებს.
ეხ! ცხოვრებაა, ბობოქარი,
ორომტრიალი.

უღალატობის მძიმე უღელი

დიდი ტვირთია სიმდიდრე ჩემი...
უღალატობის მძიმე უღელი.
არაფერია სხვა დანარჩენი,
სული ბინძური და მოულელი...
ვეფაფუკები... ჩრდილს არ ვაყენებ,
ვიცავ, წინაპრის ქართულ ადათებს,
ბაყაყები თუ წყალში ყიყინებს,
მე ლექსის წერით, ღამეს ვათენებ...

ლექსი ანათებს, ღამის სიბნელის,
ციცინათელად... შეგეგებებათ,
არ ეშინია წლების, სიბერის,
ლექსი ასაკით არ დაბერდება...
მე ცაში წასვლა, არ შემაშინებს,
მადლის გამცემი ციდან ვიქნები,
ფიქრებით ვზომამ დროის არშინებს,
დანარჩენს გეტყვით ჩემი წიგნები.

ისევ

ისევ ღამესთან
ჩავაწყობ საქმეს,
ძილში მაჩვენებს,
ვინც მენატრება...
ღამეც სულ ხშირად
იმედებს მაძლევს,
ვგრძნობ სიძლიერე
შემემატება.

ქარი კი ძილშიც შემეკამათა,
არ დამინდო
და არც მე დავინდე,
ცამ უკვდავების,
თასი მომართვა,
დილამ კი ყინვა
სულ მთლად დამიდნო.

მერე ისევე დროის ჭიდილი,
წვიმის და ქარის
'შემორიგება
რა კარგი არის
გულის ღიმილი,
და ღამე ძილის
მოწესრიგება.

ძუნწი და ოქრო ცხოვრობენ ერთად

*** *** *** *** *** *** *** *** ***

ღრუბლების მთების თეთრი სასახლე,
დაბლა ოქრო ვერცხლს
ცივად დაჰყურებს.
უბრალო პოეტს განძად აახლებს,
უძვირფასესი ლექსის საყურეს...
ასე საუბრობს ბრძენი ამაზე,
ეს ასე ხდება, უფლის რჩეულთან...
სულის სასახელე მიტომ ჩარაზეს,
პოეტი იყოს გამორჩეულად.
ქათქათა ღრუბლით ცას აზიდულა,
სულის ლექსები სუფთა უბინო.
მდიდარის ოქრო გამოგუდულა,
დამალულია ბნელში უმიზნოდ.

ხარბი, აგროვებს, მუჭნის თავისთვის,
არ გაიმეტებს წამლისთვის თეთრსაც...
მისი ვალია ჰქონდეს ხვალისთვის,
ძუნწი და ოქრო ცხოვრობენ ერთად.
თეთრი ქათქათა სასახლე ღრუბლის,
პატრიოტული ლექსით მდიდარი...
მიაყურადედ ამ სულის დუღილს,
უფრო მდიდარი ნახეთ ვინ არის.
პოეტი ლექსებს, თვეებით, წლობით,
სულიერების სარჩოს პატრონობს...
იმიტომ არის ის ღრუბლის მთები,
მდიდარი რომ არ დაეპატრონოს...

ვის ტკბილად სძინავს

ვის ტკბილად სძინავს,
ანდა კიდევ ვინ ათევს ღამეს...
ჩემი ფიქრები,
ცრემლიან გზას მისჩერებია...
ოი, წარსულო,
იქნებ ისევ,
შენ მითხრა რამე,
ან რატომ, რისთვის,
დარდი ჩემს წლებს შებერებია...

ირიჟრაჟა და
ნამიან ცვარს,
წასკდა ცრემლები...
მოწვდა მზის სხივი,
შემოუშრო ბალახს ხალათი...
დავრჩი მე მარტო,
შორს არიან,
ისევ ჩემები...
შემომათენდა...
ძილბურანის კუკუმალათი!

ცამ ზეწარი გადააკრა მთვარეს

ცამ ზეწარი გადააკრა მთვარეს,
ჩამოუშვა შავი ფარდა,
მწუხრის...
დაღლილ თვალებს,
წამწამების შარებს...
ღამის ბინდით შიშით,
გული უთრთის...
ვანუგეშე, მოუყევი ზღაპრებს,
ლექსებიც კი მიძღვენი
ბევრი,
უძილო თვალს რითი
გავახარებ,
როცა გული აღარაფრით
მღერის...
ძაღლმაც წყრომით
შეუყეფა ზეცას,
მწირი შუქი მომაწვდინე
ქოხში,
გამუდმებით, მეც იმიტომ
ვყეფავ,
ვერ ვისვენებ,
შავი ღრუბლის
თქორში.
გავათენე ასე კოწიაწით,
დილის შუქის იმედების
რწმენით...
ჰოდა, ცაო,
ლურჯად მოწკრიალდი,
რომ არ იყოს ეს დღეც,
მოსაწყენი!

* * *

იმ ძველ ნატერფალებს გადავხედავ,
ნიავს გავახსენებ, ჩეს სიცელქეს,
რადგან მონატრება ამიმხედრდა,
გულში სიყვარულად დაილექეს...
ჰოდა, წყლის ნაპირზე ვისეირნე,
ტალღა შხეფის ცემით გამეხუმრა...
ერთად ვიბავშვეთ და ვიშაირეთ,
ტალღაც ავაცეკვე ჩემებურად.
მიცნო, გამიხსენა, მოვეფერე,
ქარმაც ტყის პანტები შემირხია,
წუთით მოკრძალება შევიფერე,
იმ დღემ ჭრილობები შემიხვია.

ღამის ფარანი

==========

როცა გულს დაყოფ
ნაწილ, ნაწილად,
რა ძნელი არის,
სულის მოთხოვა,
ამან სიკვდილთან გამაბათილა,
ყვავილობისას,
ჩემთვის მოთოვა...
სხვა დანარჩენი მიწის
მტვერია,
არაფერია სასახლეებიც
თუმცა წიგნები,
ჩემი ბევრია,
ისიც რად მინდა
ხელუხლებელი.
ტომების მწკრივი,
ბლომად თაროზე,
ღვთის საჩუქარი
ღამის ფარანი.
თუ დასალევად
მივლენ წყაროზე,
ჩემი რითმების არ მომპარავი...
გადათვრებიან,
გრძნობის ყაწიმით,
ბევრიც ცრემლებად
დაიღვრებიან,
ბევრი ლექსია
ბედით ნაწვიმი,
ბევრიც ლექსებად,
ამღერდებიან...
მე ამ ბილიკთან,
სისხლი ვანთხიე,
სულით კი მაინც,
არსად დავეცი...
მოღალატესაც კლავ ვაპატიე,
გულს ჩავიმარხე
და არ გავეცი...
თუ მეკითხებით
რ ა ა
ს ი მ დ ი დ რ ე,
არის იმედი, რწმენა
მ ე რ მ ი ს ი ს...
ჩამომდგარია
ზეციდან კიბე,
მ წ ვ ა ნ ე,
პოეტის შესაფერისი.



ხვანის მთების უსასრულო ჩურჩულმა

ნამდვილი ამბავი

ხვანის მთების უსასრულო ჩურჩულმა
და ძირულის ტალღის სიღრმის შენებამ,
დააწყვილა ორი გული უჩუმრად,
ორნივ იყვნენ სილამაზის მშვენება.
გოგოს ერქვა "ნანი" ფსევდო სახელად,
ამ ლექსში კი ვაჟს დავარქვათ გურამი,
სიყვარულის არცერთს სურდა გამხელა,
ივსებოდა ჩუმი გრძნობის ჟურნალი.
"ნანი" იყო ქარაშოტად ქცეული,
ლექსს ამბობდა, მღეროდა და ცეკვავდა,
ხელოვნების ცეცხლად გადაქცეული,
მთაგრეხილებს ფიქრის ლექსად კეცავდა.
გურამს სწავლა, მხოლოდ კითხვა უყვარდა,
ზრდილობითაც მუდამ გაირჩებოდა,
დიდ რუსთაველს სახე-პირი უგავდა,
ჩუმ გრძნობებთან მარტო-მარტოდ რჩებოდა.
ცეცხლის ალი ღვივდებოდა თანდათან,
წყვილი თრთოდა და შორიშორ იწვოდა,
გროვდებოდა ფიქრის გორა კარავთან,
საიდუმლო მხოლოდ ღმერთმა იცოდა.
ეშმამ თასში ჩააწვეთა წამალი,
მას ეწადა განშორება წყვილების...
შეიპარა გურამისთან დამალვით,
დააცალა ხალათს თეთრი ღილები,
მერე ძმურად გადახვია ხელები,
და შეფიცა ერთგულება ულევი,
მას თან ახლდნენ სიმაცდურის სულები,
ბოროტებით, საქმით განაფულები.
ეშმამ გურამს თასი ხელში მიართვა;
დალიე და „ნანი" შენად დალოცე,
სიტყვა თქვა და ძილმა თავი წაართვა,
ძილში ქალთან ლტოლვა ძლიერ აოცებს.
ჩემო „ნანი", ჩემო ფიქრის სამყაროვ,
არ დამტოვო, ჩემგან არსად წახვიდე,
გზის სავალზე ბედმა აღარ გაგვყაროს,
აქ ერთად ვართ, ცაშიც ერთად წავიდეთ...
მოიოხა გული ნანის ალერსით,
კრძალვით, რიდით, მაინც თავდავიწყებით.
გაიღვიძა და ქალს ხედავს ალესილს...
მე ლია ვარ, აღარ დაგავიწყდები,
ალერსის დროს სხვის სახელს რომ ბოდავდი,
მაპატიე, მაინც მოგეალერსე,
შეცდი, რადგან შენც ხარ ერთი მოკვდავი,
არ დამტოვო, თორემ დანა ავლესე.
ჰა, ხალათი სულმთლად დაგიხევია,
ჩემიცა და შენიც ხელით მოსრისე,
გადააგდე სადაც დიდი ხევია,
თორემ დღის შუქს არასოდეს გაღირსებ.

გურამს ელდა ტანზე შემოესია,
გაიფიქრა; საწამლავით დამათვრეს...
თავზე მადგას ბედისწერის მესია,
ალბათ მორჩა, სიყვარული წამართვეს.
შეამჩნია ლიამ გურამს ჭოჭმანი,
ვაჟკაცურ მკერდს ხელი მოუცაცუნა,
სადღაც ყვირის უბედობის ყორანი
და გურამი შეაშინა მაცდურმა.
ან რაი ჰქნას, ჯერ ისევე ბავშვია,
დევს უსულოდ, ლია ქალი ფლირტაობს,
წამს გურამმა ხელი იცა თავშია...
ლიამ უთხრა; მუშტს ტყუილად ირტყავო,
შენ ჩემი ხარ, თორემ წავალ, გიჩივლებ,
გამოგკეტავ ციხის ცხრაკლიტულებში,
ან კედლებში იყვირებ და იწივლებ,
ანდა ჩემთან შეებმები უღელში.
მაცდურებმა კრება ერთად გამართეს,
ითათბირეს ქორწინების შესახებ,
სიხარული გურამს ძალით წაართვეს,
მის ალალ გულს დანის წვერი შეახეს...
მოთქვამს ვაჟი, ფიქრობს „ნანის“ რა უთხრას,
რითი ახსნას მწუხრის მწარე საღამო,
გახსენებაც იმ ღამისა გულს თუთქავს,
ცდილობს სისხლი მაცდურების დაღვაროს.
ვფიქრობ, ვდარდობ, და ღმერთს უნდა მოუხმო,
გზა მიჩვენე, უფალო გთხოვ მომხედე,
ვიბრძოლო თუ ისევ მაცდურს დაუთმო,
ესა ვთქვი და ლიას თვალში შევხედე,
უნამუსოვ, წუთიერად გჭირდები,
სიყვარული შენთან ძალზე შორს არის.
ლიამ უთხრა: არც არასდროს გპირდები,
მე ვარ მხოლოდ ერთი ღამის ვაჭარი,
რა გაქვს მიზნად ის მაინც გთხოვ, მითხარი,
ის, რომ ნანის ვერ ვიტანდი თავიდან,
დაცილება არის ჩემი მიზანი,
სიყვარულის მზე იმისი ჩავიდა.
რატომ, რატომ, ის ძვირფასი გოგოა,
კარგად სწავლობს, უყვარს ცეკვა-თამაში,
ცეკვა არა, ტანით სუფთა ლოტოა,
არა ჰყოფნის პურის ერთი ლავაში,
რაო-რაო „ნანი“ სხვაში გეშლება,
ფაფუკია მისი ნაზი სხეული,
ნაწნავები მას მუხლამდე ეშვება,
ვაჟებია მასზე გადარეული.
მძულდა მუდამ იგი ასე ძალიან,
სხვებს რომ ჯობნის მეზიზღება ამიტომ,
აქ მომხედე, მისთვის არა მცალია,
მოდი ეს დღე სიყვარულით დაგიტკბო.
სიყვრული? არასოდეს ელოდე,
მე ვინც მიყვარს ვიტყვი, არ მეშინია,
მეყვარება სიკვდილამდე, ბოლომდე
სხვისი არა, „ნანი“ მუდამ ჩემია.
ნუ ქადაგობ მორჩი, იმის ხსენებას
ვიმეორებ – ციხე არა გშორდება,
რძლად მიმიღონ გიჯობს უკვე შენებმა,
ხედავ? ცრემლი თვალებიდან მგორდება.
მოიწირპლა ლია, ვითომ ტიროდა
და ოთახი უცებ მიაწყვ-მოაწყო,
გურამ სჯობს შენ დღეს დამიდო პირობა,
რომ ცოტახნით აქ ოჯახი ავაწყო,
მერე წავალ, უთხრა: ცოტა მადროვე,
შენს ფერიას გულში დანა ჩავეცი,
პლანს ვეწევი და ვარ თანამედროვე,
მოდას მივდევ, თუმცა ბევრჯერ დავეცი.
მძულს ყველანი, ვინაც წესიერია,
შენი ნანიც, პატერებიც, დიდებიც,
ისინი რომ დიდ სცენაზე მღერიან,
მათ დიდებას მე ვერ შევურიგდები.
მოდი დავდოთ ერთმანეთში პირობა,
ფული მომეც პლანი სხვასაც გავუყო.
ერთხელ შენც გთხოვ ჩაიდინო გმირობა,
რომ მე ისევ მწვერვალები დავიპყრო.
ლია ამ დროს ნანის შეატყობინებს,
გიღალატა შენმა ტურფამ ნანიკო,
რა ჰქნას კარგო, ჩემს თავს ამჯობინებს და
სჯობს მოძებნო ახლა სულს სხვა ვანიკო.
„ნანიმ“ იმ წამს ეს წერილი დახია
და ღვარღვარით ჩამოყარა ცრემლები,
ვხვდები სადაც ძაღლის თავი მარხია,
ირგვლივ ბევრი არის გულის მკვლელები.
ჩუმად დარდობს და არ იმჩნევს არაფერს,
ღმერთს მიენდო და სანთელი აანთო,
ლოცვის სიტყვებს ცის კარებთან გააფენს
დარდი მხოლოდ ჩუმად უფალს გაანდო,
ლია უცდის „ნანის“ განადგურებას,
მაგრამ მისგან არაფერი არ ისმის
ვეღარ უძლებს თვით გურამის ყურებას,
მის ტანსაცმელს აივნიდან მოისვრის,
ახლა წადი და საცვალიც გააძრო,
წაეთრიე თვალით არ დამენახო,
მიწვდა უჯრას და სასროლი დააძრო,
მსურს ასეთი შენს ნანიკოს ენახო.
გურამს იმ წამს დაუბნელდა თვალში და...
ცას აღაპყრო ხელი ღონემიხდილმა...

ღმერთო, მათთან არ დამტოვო ვალში და...
ქვები დაფქვა უბედობის წისქვილმა.
რაღად მინდა მე ასეთი სიცოცხლე,
ან მეგობრებს თვალში როგორ შევხედო,
მე ხარივით სული ამოვიცოხნე
ნარკოტიკით ლია როგორ თავხედობს.
ნატანჯ ვაჟმა ნაგვის ბუნკერს მიაგნო,
ჩახტა შიგ და ლუკმას ძებნა დაუწყო...
გაახსენდა მეგობარი იაგო,
სჯობს იაგოს ეს ამბავი ვაუწყო.
იქნებ ისევ ბრძოლით – ბრძოლა მოვიგო,
ღმერთი ალალს არასოდეს გაწირავს,
ეს შემთხვევა ფეხქვეშ უნდა დავიგო,
შევასხვიპო ტოტი ნაწილ-ნაწილად.
ბუნკერებში ნახა ძველი შარვალი,
ფეხსაცმელიც სამოწყალოდ დაეგდოთ.
დამშვიდება არის ახლა მთავარი,
ეს ამბავი სხვას არავის გაეგო.
შემობრუნდა, მთვარეს ფიქრი გაანდო,
იქნებ მთვარევ, მითხრა როგორ მოვიქცე,
დედა არ მსურს დარდით მოვკლა დავადნო,
აქ დავრჩე თუ ისევ სახლში გავიქცე.
ამ წრიალში გაქრა ღამის წყვდიადი,
ვარსკვლავებმაც მოუმატეს ნათება...
როგორ მშია მჭადი, ანდა ხმიადი,
ცოტა ძალა კვებით შემემატება.
ტოტებისგან გააკეთა საწოლი,
წამოწვა და იქვე ჩამოიძინა...
დილით ტანზე ემჩენოდა ნაწოლი,
თავს დაადგა მეზობელი ბიძინა.
გაუკვირდა ბრძენ კაცს მისი დანახვა,
გურამ, შვილო, ტანზე რად არ გაცვია?..
დედაშენი რა დღეშია განახა,
ქალს საბრალოს, სევდის კაბა აცვია.
ადექი და სახლში ერთად წავიდეთ,
იქ მოყევი, თავზე რაც კი გადაგხდა.
დედაშენის მზე არ ჩაქრეს, ჩავიდეს,
თავს იკლავდა, აივნიდან გადახტა.
გურამს სულ მთლად დაავიწყდა სათქმელი,
თავის სხეულს ზიზღით თვალი შეავლო...
უცხო ძალამ გულს დაუნთო სანთელი,
რაღაც ძალამ თვალში ცრემლი გაუშრო.
ძია კაცო ძალა გამომეცალა,
სად წავიდე უკვე ისიც არ ვიცი...
ჯგროში მოვხვდი ერთი ქალი ეცადა,
ჩემს შეცდენას და ძალიან განვიცდი.
არ იჯავრო, მთავარია გიპოვნე,
ყველაფერი ისევ კარგად იქნება.
გადავრეკე, ტანსაცმელი გიშოვნე,
მიხვალ სახლში ტკბილად დაგეძინება.
ბიძაჩემო, ის საშიში ხალხია,
ნარკოტიკით გადამთრალი ლეშები,
ირგვლივმყოფნი ყველა ერთნი არიან,
დღე და ღამე მიჰყავთ აზარფეშობით.
კარგი, კარგი, მოვრჩეთ მათზე საუბარს,
პოლიცია მათ კვალს ჩქარე იპოვნის,
ბინძურ ხელებს რკინის ლასტით დავუბამთ,
დამთავრდება, მათი ქორონიკონი.
ტაქსი არ გსუთ? ტაქსი მათ წინ გაჩერდა,
მოდით, მოდით! მაინც ამ გზით მივდივარ,
გურამს შიში, ჯერ ისედაც დაჩემდა,
შეუყვირა, მოსაკლავად გინდივარ?..
და, არც შეცდა, ლიას ოინებია,
ნარკოტიკით მთვრალი ქალის ხრიკები.
ორი ქალი, ათ მამრს დანებებია,
დაძვრებიან როგორც მწვანე ხვლიკები.
ტაქსის მძღოლმა ლიას მისცა ნიშანი,
დაგიჭერენ, ეშმაკს უკვე არ სძინავს...
არ გიშველის ბანდის რბო და ხიზანი,
მად მოდიან გურამი და ბიძინა.
აიკრიფა ლიამ გუდა-ნაბადი,
გზას დაადგა, სად წავიდეს, არ იცის...
ველარ სუნთქავს, არ აქვს სულის ჟანგბადი
დამარცხებას ლია ძლიერ განიცდის.
გურამი კი სახლში დედას ეწვია,
სიცილი და ცრემლი ერთად შეერწყმა...
ეხ! სიცოცხლე მართლაც ერთი ბეწვია,
ჯანმრთელობა გურამს შიშით შეერყა.
გაიმართა სახლში დიდი ტრაპეზი,
მნახველები არ ილევა ოჯახში...
სიხარული სულ არ მოდის დაკვეთით,
როცა გული არის დარდით ნახარში.
ნარკოტიკის მიმდევართა არმია,
სამეგობრო ამ მთისა და იმ მთისა,
სამწუხაროდ ყველგან ბევრი არიან,
საქართველო სენმა, რომ მიითვისა.
ლია თუმცა საზღვრებს გასცდა, გაცილდა,
მისი მსგავსი აქეთ ძალზე ბევრია,
გზაშიც სწევენ, ცუდი სენით აცრილან...
პლანი მინდა... სიზმარშიდაც მღერიან.
ძმა-ძმასა მტრობს, მეგობარი – მეგობარს,
აქ ქართული ადათ-წესი გამქრალა...
იშვიათად ნახავთ სულის მეომარს,
უღვინოთაც ყველა ერთად დამთვრალა.

გადაწყვიტა ნანიმ ნახოს გურამი,
მხლებლად გაჰყვნენ ლევანი და არსენა,
ნანი არის კარგი სიტყვით მკურნალი
გზას გაუდგა ღმერთი რწმენით ახსენა.
მიდის, ფიქრობს, ბოროტობას რა მოაქვს,
სიძულვილი ბადებს ისევ სიძულვილს...
ყინვით ნასუსხს ხეს რომ კვირტი არ მოაქვს...
რატომა აქვს ამ ხალხს სული ბინძური...
ლიამ ბიჭებს დაურეკა მშვიდად ვარ,
მხოლოდ დარდი ნანის აქაც გამომყვა,
ცეცხლში ვიწვი, დავემგვანე ჯადოქარს,
თავს მოვიკლავ, სასროლს თითებს გამოვკრავ.
რითი მჯობნის ის წუპაკი გომბიო,
ტანი მეც მაქვს, თვალები და ფეხები,
მოხერებით? ის ხომ არის ლობიო,
ვნებიანად ათ კაცს ერთად ვეხვევი.
შეაპარეთ ნარკოტიკი იმ წუკნას,
დაათვრეთ და დანარჩენი თქვენ იცით,
ეს, საქმე კი ჩააბარეთ ჩემს ლუკას,
დაუმტკიცოს სიყვარული ღვთის ფიცით.
დატრიალდნენ ძმაკაცები ლიასი,
და გეგმები ბრძნულად შეიმუშვეს...
წამლის დოზა გაურიეს წვნიანში,
ამ საკვებით დიდ ძაღლს პირს უშუშხავენ.
ათლაფუნებს მურა წვნიანს ხარბად და...
გამოძღება, ასვალტს ჩაეხუტება,
წვნიანს ლოკავს მეზობელის წარბაც და
არ ეყო და მურას გაებუტება.
დღე დამთავრდა, წარმატების ცდების და...
მურამ, წარბამ გაიღვიძეს მთქნარებით.
დამეგობრდნენ როგორც ტყუპი დები და...
ქუჩაშია ბევრი იმისთანები.
ახლა რა ვქნათ? – მიშამ უთხრა თამაზის, –
შეფის სიტყვა მასხამს მე თავზარსაო.
ლუკა არის აქ ყველაზე ლამაზი
ნანის ლუკა შეაყვარებს თავსაო.
ახლა „ნანის“ მოვიკითხოთ ამბავი,
გრძნობის გოგო გურამს სახლში ეწვია.
მოიკითხა ჰქონდა ამის საბაბი,
მივიდა და გულზე შემოეხვია.
იმედის მზემ სხვა ელფერი შემატა,
სიხარულმა გულში შემოანათა,
ღვთის სიკეთემ, ღვთის ოჯახი მონათლა,
გურამის ბედს მეგობრებმა შენატრა.
მეორე დღეს როცა ზარმა დარეკა,
ყველა ერთად შეიკრიბა სკოლაში,
სიხარულმა დარდის კარი ჩაკეტა,
დღე დამთავრდა კვლავ გრძნობების
თრთოლვაში.
საღამოთი გაიმართა შეჯიბრი,
და სპორტული პაექრობა დაიწყო,
გურამია ყველაფერში ბეჯითი,
მან ჭადრაკში მწვერვალები დაიპყრო.
გახალისდა გამოცოცხლდა ყველანი,
თბილი გახდა საზეიმო განწყობა,
ლექსს ჰყვებოდა ბიძინა და ჯემალი,
ლია ამდროს სულ სხვა გეგმებს აწყობდა.
გადიწვინეს მზის სხივები მკლავებზე
და ტყეებმა იწყეს ჩუმად ჩურჩული,
სეირნობდნენ მწვანე სიოს თარებზე,
ჩაესმოდათ ტკბილად გლეხის ურმული.
როს დაბრუნდნენ ჯგუფი სულით ძლიერი,
ტაშსს უკრავდა ქარი ტოტის ხელებით,
აცილებდა, ახალგაზრდა, ხნიერიც,
აცილებდათ ტყე ბუჩქი და ხევები!...
გზად მიმავალთ ავარია მოუხდათ,
გადავარდა ხრამში ავტომობილი,
რა მწარეა, ვისაც შვილი მოუკვდა,
მისთვის არის ცა, ცით ჩამომხობილი!
შეიკრიბა ხალხი ახალდაბასთან
და სასწრაფოც მოდის კივილ- კივილით...
დარბის ხალხი, არის დავიდარაბა,
დაეკარგათ ყველას სახის ღიმილი.
აიყვანეს ზევით გულწასულები...
სისხლიანი ქვა-ღორღებით დაჭრილი,
არ არჩევდნენ მართალს, მტყუანს, სრულებით,
მათ საშველად, გულით გამოსულები.
ცოცხალ მკვდარში ერთი ლუკაც ერია,
ბოროტების ერთი დიდი ნანილი,
სამწუხაროდ მისახედად ბევრია,
მათი გმინვვა ცაში იყო აჭრილი.
და ეს უკვე საუკუნის ჯვარცმაა,
ნარკოტიკებს ეწირება მრავალი,
სულ უაზროდ სუფთა სულის ძარცვაა,
წამალია შვების გამოსავალი.
მიმდევარნი, ჩაიძირნონ ზღვაში და..
შინაური გარეული ერთია,
აუღიათ მათ სიკვდილის საშვი და...
ეწირება ოთარი და ბერდია.
ლია კლდეზე ჩახუტვია ფერდობებს
ტანსაცელი ტანზე შემოხევია,
ცოდვიანი დაავიწყდათ მეგობრებს,
მოტეხოდა ცბიერს ერთი ხელია..
ლუკა სუნთქავს ღმერთო, იქნებ გადარჩეს,

ხეიბარიც დარჩეს ოღონდ იცოცხლოს,
ბედი თვითონ გამოუტანს განაჩენს,
სიკეთისკენ იქნებ გადმოინაცვლოს.
ლია კლდეზე მიჯაჭვია დიდ მუხას,
მოდის სისხლი ხელი კანს უკავია,
ამ დიდ ტკივილს კალამი რას აღნუსხავს,
ლიას სახე ყორანივით შავია.
მზე გამოჩნდა, ყველაფერი დალაგდა,
ექიმებმა ლიას ხელი მოკვეთეს,
ლუკას ყველა მიეშველა ალალად,
სიცოცხლისკენ ისიც გამოაკეთეს!
„ნანი“ მართლაც სასწაულად გადარჩა,
განაკაწრიც არსად არ ემჩნეოდა,
სიკეთეა მისი სულის ზარდახშა,
სიმდიდრეა, მისთვის მარტოდ ზნეობა,
არავინ ხარ! როცა ცდილობ დაჩაგრო,
„ნანი“ მუდამ მტერშიც ხედავს მოკეთეს,
გული უნდა მზის სხივებით მოქარგოს,
გზას ამცდარნი ცდილობს გამოაკეთოს!
ასე შერჩა „ნანის“ ფსევდო სახელი,
ღვთის სიკეთის მარცვლად გადაქცეული,
მძიმე, როგორც სავსე პურის მთა-ველი,
მეგობრებში მუდამ გამორჩეული.
– ლიამ გურამს დაურეკა საღამოს,
გურამ, ახლა ვინანიებ ჩემს ცოდვებს,
ხელი არ მაქვს ვტანჯობ აღარ მაწამოთ,
ვერ ვისვენებ, ღამე ძილშიც მაბოდებს.
ეს ამბავი ვაჟმა „ნანის“ აუწყა,
ლია ითხოვს პატიებას ცოდვების,
შენ ხომ გახსოვს მე რა დღეში ჩამაგდო,
რად ვიწამო მისი მონაბოდები.
გურამ ცდები, აპატიე შეუნდე,
სიკეთის გზა მაინც უნდა არჩიო,
ტყის ჩურჩულსაც ბევრჯერ ყური მიუგდე,
უხმო ძალამ იქნებ რამე გირჩიოს.
მე კი ვფიქრობ ლიას ახლა ვჭირდებით,
ბოროტება ჩვენს სულში არ დავანდეს,
მას თბილ სიტყვებს რომ შევაწევ გპირდები,
იქნებ ლია კვლავ სწორ გზაზე დაადგეს!
გურამი და„ ნანი“ ლიას ეწვია,
„ნანიმ“ ლიას თკბილეული მიართვა,
ლია არის სულით ალი წეწია,
თუმც საუბარს თავი კარგად გაართვა.
უცებ ცრემლი გადმოყარა თვალიდან,
შეიფერა მან თვისება კეთილის,
ერთი თვეა უკვე თითქმის გავიდა,
ლუკას იმედს არ იძლევა ექიმი.
„ნანიმ“ გურამს მიანიშნა წავიდეთ,
სიკეთის გზით, ახლა გურამს ვეწვიოთ,
უფალს ვთხოვოთ, რომ ჯანმრთელი გავიდეს,
იქნებ წამალს ისიც გადაეჩვიოს...
ლუკას სახე ჰქონდა ნაიარები,
ერთი ფეხი ნამსხვრევებად ქცეული,
ეს აშარი ბიჭი დროსნატარები,
ბევრი ფულით იყო გადარეული.
ჩააფიქრა ლუკა ნანის იქ მისვლამ,
შინაგანად გულმა ღელვა დაუწყო,
ჭკუას ვკარგავ, სისულელეს ვიზავ და...
კვლავ თავის თავს დამშვიდება დაუწყო.
აწრიალდა, აიშმუშნა საწოლზე,
და ბალიში ხელით მისრის-მოსრისა,
თუმც სიცოცხლე ისევ ჰქონდა სასწორზე,
კომპლიმეტი უნებურად წამოცდა.
რად შეწუხდით, რატომ მომინახულეთ,
თქვენი ცოდვა უნდა ვზიდო გზადაგზა,
მაპატიეთ მწარედ გაგიზაფხულეთ,
მე სასჯელის მოსახდელად მზადა ვარ.
არ გიჩივლებთ და შენ თვითონ განსაჯე,
ნარკოტიკმა აგირია თავზარი,
შენნაირი ვინაც ციხით დასაჯეს,
სული შერჩათ საწამლავით ნაზავი.
არ გაკლია სილამაზე ზრდილობა,
წამლავ სხვას და თავიც არ გეცოდება,
მოიწვიეთ მეგობრული ყრილობა,
რომ არ იქცეთ საუკუნის ცოდვებად.
ქართულ ადათს ბევრმა ზურგი აქცია,
პლანს არა სჯობს ღვინო სუფთა კახური,
ქართლის დედას სევდის კაბა აცვია,
დედის რძეს ჰგავს ღვინო ალადასტური.
ან რად გვინდა თქვენთვის ვიღაც მსაჯული,
თქვენნაირი სიკვდილს უნდა ნატრობდეს,
სული რომ გაქვთ საწამლავით ნარუჯი.
ნარკოტიკი სიზმარშიაც გაბოდებთ.
მოვედით, რომ გაგინათდეთ გონება,
ერის სენი გწვავდეთ, კიდეც გტკიოდეთ,
რომ არ ვიქცეთ საწამლავის მონებად,
დედებს ცრემლი აღარ ჩამოდიოდეს.
ტკივილები ლუკას გადაავიწყდა,
ანგელოზი ჩამჩურჩულებს,მარიგებს,
ფიქრით ლუკა თავის თავსაც გაუწყრა,
დაუჯერებ ახლა აზრთა გამრიგეს.
„ნანის“ ხმაში უცხო ხმაა ჩართული,
გოგო გახდა ჩემი სულის ხატება,
სიცოცხლე ხომ არის უფლის ნათლული,

ჩემში დარჩა გრძნობის ანდამატებად.
ლუკა „ნანის“, ჩუმად გულში იფიცებს,
რა ნაზია მებრძოლი და კეთილი,
ნარკოტიკზე არასოდეს ვიფიქრებ,
გულიდან მაქვს უკვე ამოკვეთილი.
ფიქრით მიწვდა ამერსა და იმერსაც,
„ნანის“ სახე ანგელოზად აღწერა.
საწოლშივე შემოძახა სიმღერა,
და წარსულმა ძალზე გაანაწყენა.
ჩემს ხელშია,სიცოცხლეც და სიკვდილიც,
მზე ჩავა თუ მზე კვლავ გამოანათებს,
რომ დამჭირდეს შორ-შორ გზებზე სირბილი,
გადავგზავნი სიყვარულის ბარათებს.
აღარ მინდა აღარც ავტომობილი,
აღარც ჩემი მოწამლული სხეული,
ახლა არის ბედიც ჩამომხობილი,
აღარ ვივლი წამლით გადარეული.
წავალ სოფლად, მოვხნავ კიდეც დავთესავ,
მოვიშენებ ცხვრებს,ფრინველებს ,კამეჩებს,
შევირიგებ, ჩემს დაკარგულ ნათესავს,
სათითაოდ ახლა ყველას დავეძებ.
აქვითინდა ლუკა თოთო ბავშვივით,
და გიჟივით მოუმატა ღრიალსაც,
მოეჩვენა ვიღაც გარბის მანქანით,
მოეჩვენა ხრამში გადატრიალდა.
რეალობა, მოჩვენება, ყვირილი,
მიეშველეთ მოუხმობდა სუყველას,
მედდამ უთხრა; რას გიშველის ტირილი,
ნარკოტიკმა სულ მთლად გაგასულელა.
იმკურნალე, აღსარება გაანდე,
დაფიქრდი და რამე გამოიგონე,
ბოროტება ფიქრიდანაც გააგდე,
მაგ ლაყბობით ყველა ნუ დაგვაღონე.
ლუკამ ისევ გადაწყვიტა ვაჯობებ...
და მზის სხივებს ტანზე წამოვიფარებ,
ახლა ვჩხუბობ, სიზმრად კიდეც ვაბოდებ,
სიგარეტსაც, პირში არ გავიკარებ.

განკურნება არ აღმოჩნდა იოლი,
მაგრამ, გრძნობამ ცხვრის ბატკანად აქცია,
ექიმი ჰყავს მეგობარი სიმონი,
მეგობარმა წამალს გადააჩვია.
გადაწყვიტა, სწავლით წინ წაიწიოს,
მეგობრად კი ისევ გურამს აირჩევს,
გრძნობის ტოტი უნდა ჩამოვიწიოს,
შევეცდები, არავისთან ჩავიჭრე.
დრო გავიდა, განიკურნა სენისგან,
ლუკამ ყველა გააოცა, წინსვლებით,
გალამაზდა, ბედმა ვეღარ შენისლა,...
მოიცილა, თავზე ღრუბლის ნისლები!
წიგნი გახდა, მისი არიალი და...
გააოცა, ლია, ნანი, ნათელა,
მოიარა ფეხით დარიალი და...
მოწამლული სული გაინათელა.
გურამი და „ნანი“ ამით ხარობდნენ,
ყოველ დილით ღმერთს სწირავდნენ მადლიბას...
ლიაც გატყდა, ჩაცხრა აღარ დაობდა
და გურამი ითენებდა აღდომას.
ადრე ლუკას სულ სხვა გოგო უყვარდა,
თაკო იყო მისთვის გულის წამალი,
ახლა სულ სხვა გრძნობის ცეცხლში ჩავარდა,
ეტრფის ახლა გრძნობას, ჩუმად, დამალვით...
შეადარა წარსული და „ნანიკო“,
ის წარსულიც ძალზე მწარედ ახსოვდა,
შეეცილა, თბილისელი ვალიკო,
გაახსენდა, ვალიკოს რომ ახრჩობდა.
ახლა ბომბი, ბომბი, გულში ჩავარდა,
უცხო გრძნობამ ნაწილ-ნაწილ დაშალა,
აწრიალდა ღამით კარში გავარდა,
დიდი გრძნობა, ცის ვარსკვლავებს ახარა!
ლიაც უკვე შეეგუა თავის ბედს,
ცალი ხელით ან რა უნდა აკეთოს,
ყველაფერი წარსულს უნდა ჩაბარდეს,
ცდილობს ლია სხვებიც გამოაკეთოს.

გაგრძელება იქნება

გულნაზ ხარაიშვილი

როდესაც აკრისტიხის ჩარჩოში ჩასმულ სიტყვებს მოვრჩი "ა" იყო ბოლო ასო. ეს იმდენი "ა" გამოვიდა (საწყისად), რამდენი წლისაც იყო ბეჟანი გარდაცვალებამდე. არ მიჯახირ-მიწვალია, ერთი ამოსუნთქვით დაიწერა, ეს არც შედევრია და არც განსაცვიფრებელ-გასაკვირვებელი ნაწარმოები. ერთი მიძღვნაა, უბრალოდ ამბავია და რწმენა უფლისა, ჰო, უფლისა, მის გარეშე ხომ ერთი ბეწვი თმის ღერიც არ ჩამოუვარდება ადამიანს. ახლა კი მკითხველს ვთავაზობ ჩარჩოში ჩასმულ სიტყვების შინაარსს.

ს უ ლ ე ბ ი ს ე ლ ჩ ი

სულების ელჩია?!! გააუკვდავო პოეტი, ეს იმას ნიშნავს, მეორედ მოავლინო ქვეყანაზე. გელა (გიორგი) ლარიაშვილმა ბეჟან ხარაიშვილის ბიუსტი შექმნა. ბეჟანი აღდგაა....

აკროსტიხი

ხ–ული ცაშია მიუწვდომელი,
უ–კიდეგანო სამყაროს მიღმით...
ლ–ოდინის ცრემლი, აუხდენელი,
ე–ს ისეთია, ყველა იქ მიდის.
ბ–იძა, ბაბუა, დედა და მამაც,
ი–მედი რჩება დედამიწაზე.
ხ–აიქიო რომ იხილო წამად

ე–ს უფლით ხდება თუკი იწამებ.
ლ–ამაზი არის ისე ცალსახად,
ჩ–ამიჩუმიც კი არსად გაისმის,
ი–ქ მთები არის მწვანე, ხასხასა,
ს–რასდროს ჭკნება ვარდი მაისის.

გ–აუკვდავება?.. თვით ღმერთით ხდება,
ს–რის განგების ხელში ყოველი.
ს–ხლა, ამ წუთში რაც თვალწინ ხდება,
უ–ფლისგან კიდევ რაღას მოველი?
ჯ–იბე ჩაუტყდა პოეტს დიდ გზაზე,
ვ–აიო შვილოს უცხოც ტიროდა.
ლ–ედა, საბრალო, არ იყო აზრზე,
ს–სე რად მოხდა?.. სიმწრით ყვიროდა.
ვ–ინა სთქვა მოკვდა, ცრუ ტყუილია,
ო–მია მუდამ ბედთან ჭიდილი,

ჯ–ოეტი მხოლოდ, მხოლოდ გულია,
ო–რჯერ ცოცხლდება ღიმილ-ღიმილით.

ე–ნატრებოდა დაღლილს რიჟრაჟი,
ტ–ანჯავდა ბაღის გადაგვარება,
ი–ს იყო დიდი სულის მირაჟი...

ე–ტრფოდა იას მიუკარებლად.
ხ–ამშობლოს ერთგულს, ბრძენს და მოყვარეს,

ი–ანვარში რომ ზეიმს მიზნავდა,
მ–ამის სიცოცხლე ლაშას მოპარეს,
ს–მ სადისტობას მხეცი იზამდა.
ხ–აჩხერის ცის ჭერს მოწყდა ვარსკვლავი,

ნ–ამსხვრევები კი მიწვდა გვირილას,
ი–ქ ხვანის მთებში, ოხრავს საფლავი,
შ–ავი ბარით რომ გამოპირულა.
ნ–აინანატრი ვაჟი დაობლდა,
ს–რ წავიდესო, მამა, – ყვიროდა.
ვ–ინ არ ოხრავდა, ვინ არ დაღონდა,
ხ–ახე თვით მთებსაც ჩამოსტიროდა.

მ–ას შემდეგ ჯვარცმა, დარდი-გოდება,
ე-ლდა, ომები, ცრემლის ღვარ-ღვარი,
ო–ი, მოკლესო, ფიქრს არ შორდება,
რ-ამდენჯერ იცვენს ფოთლებს ჭადარი.
ე–რის ერთგული ძმა, თან პოეტი,
ლ–იდი გულის და ნიჭის პატრონი.

მ–იმინოს ფრთებით, ვით კაპოეტი,

ო–ცნებების და ფიქრის ავტორი.
ს–რ მოსწრებია ის აღზევებას,
ვ–აზის ყლორტების გადაწიდნებას,
ლ–ამაზ, ბრძნულ სტროფთა გამზეურებას,
ი–მიტომ ცრემლიც ხშირად მდინდება,
ნ–აისრ-ნაკორტნ გულს ისევე სტკივა,
ო–მია ძირს და ომია ცაშიც...

ქ–არიშხალია, ყინავს და ცივა,
ვ–აი თუ მომწვდეს სიკვდილის რაში.
ე–რთი ალალი ქმარი და შვილი,
ყ–აყაჩოსავით მოღაღანენი,
ს–ქაც მწარე ბედს მიუძღვის წვლილი,
ნ–ეკტრით მოწამლა სულის არენი.
ს–ქ შევჩერდები, ვმალავ სატკივარს...
ზ–ღვა გახდა უკვე ჩემი ცრემლები,
ე–ს ბედით მოხდა, არ ვწერ საჩივარს,

გ–ულში შემომრჩა ნაცრემლარები.
ე–ხლა სხვა მრჩება უკვე სათქმელი,
ლ–ამაზი ღამის სიზმრის ხილვები,
ს–იქარგება სიტყვა ჯანმრთელი,

ლ–ალ და ფირუზში ამონავლები.
ს–მ ამბავს ასე ყვება მხატვარი:
რ–ოს თენდებოდა ვნახე თბილისში,
ი–ქ სკამზე ისხდნენ ბეჟან, თამაზი.
ს–ისს ხვდებოდნენ ორნივ ივლისში...
შ-ევშფოთდი, ჭადრებს არხევდა ქარი,
ვ–იცი, თამაზი გარდაცვლილია.
ი–ქნებ პოეტი, სტუმარი მთვარის
ლ–ამაზ სხეულში გადასულია?..
მ–ოფიქრებული აზრს ვაყალიბებ.
ს–რ მავიწყდება ეხლაც ხილვები,

ბ–ეჟან, თამაზი, აზრს ვაყალიბებ,
ე–რთად ვიხილე გარდაცვლილები.
ჟ–ამთა საწუთროს აღარ ვიდარდებ,
ს–ზრი მინდა რომ შევკრა კონებად...
ნ–აჯაფი მკლავი ისევ ივარგებს,

ხ–ვალინდელი დღის მოსაწონებლად.
ს–რ მოველოდი მეხილა ძმებად,
რ–ომ იქ მენახა ჩემი თამაზი,
ს–რ იყვნენ თუმცა ისინი ერთად,
ი–ქნებ ერთად აქვთ სულის დარბაზი?..
შ–ევფიქრიანდი, თვითონ ბეჟანი,
ვ–იცან სურათით სკოლის გახსნისას,
ი–ს ხილვა იყო საოცრებანი,
ლ–ამაზ მთვარესთან ერთი ღამისა.
ი–მან მომხიბლა ახოვანებით,
ს–იზმრად მესტუმრა, ნახევრად მძინარს...
ბ–ეჟანი ვნახე ახლობელივით,
ი–მ წამს ჩემშივე დაიდო ბინა.
უ–ფალს გავანდე ჩემი მიზანი,
ს–ინათლის შუქი არც კი ავანთე,
ცვ–კივილიანი დარჩა ხიზანი,
ი–მის ლექსებმა გამოანათეს.

შ–ავი ფანქრით და გულის მელანით,
ე–რთ წამს აღვიქვი პოეტის სახე,
ქ–ალბატონი ხარ, და თან მწერალი,
მ–ოგართვი კრძალვით, გთხოვ დაინახე,
ნ–აფიცმა ძმამაც ნახა ესკიზი,
ს–რ მოელოდა ლევან დღეს ღვთისას,

გ–ულით შექმნილი შავ-თეთრ ესკიზი,
მ–ართლაც ვაჟკაცი, პოეტი ძმისა.
ს–ცეკვდა ის დღე, აპეწენიკდა,
ლ–ა რა ლამაზი გახდა ის წუთი,
ლ–ურჯ ციდან სული ჩამოწიკწიკდა,
ო, – მის ცხოვრებით გულგანათუთქი...
ბ–ილიკებს ხვანის, ფიქრით გადავწვდი,
თ–ბილი ძირულაც მოვინახულე...

უ–ხელ-უფეხოდ მწვერვალებს გავცდი,
ფ–იქრით ზამთარშიც გავიზაფხულე.
ს–ხლა მინდა რომ ყანწი დავცალო,
ლ–ალს და ოქროში ამ დღეს არ გავცვლი,
ო–ი, შენ, წლებო, უნდა მაცალო.

ბ–ეწვის ხიდზე ვარ, სიცოცხლეს ვმარცვლი,

ე–ს სინამდვილე ვის დავაჯერო,
ე–ანგს ოქროდ აქცევს, თუკი ღმერთს უნდა,
ს–მითინათდა სული საფერო,
ნ–ამდვილად ღმერთო, ესეც შენ გსურდა,
ი–ს დღე წუთით რომ არ დამავიწყდეს,

ს–მიტომ ვჯღაბნი, ვჯღაბნი სტრიქონებს.
ღ–ონიერ რითმა სულ რომ გამიწყვეს,
ღ–ე, ცა მაწვდიდეს ქორონიკონებს.
გ–ელას, ღვთის რჩეულს ჰქონდეს დიდება,
ს–რსად არ შეხვდეს მბრდღვინავი ქარი...
ს–რ მსურს მოცილდეს სულის გალობა...
ს–ცდეს მოძმისგან ღვარძლი და შხამი.
ს–სეთ ხელოვანს ღვთით უკვდავება,
ს–რ მომწყინდება ქება გელასი...
ს–რავის სიტყვას შეედავება,
ს–რის მშველელი გულით ყველასი.
ს–რის ქართლელი, არის კახელი,
ს–რის სვანი და არის მეგრელი,
ს–რის ვაზი და არა მძახველი,
ს–რის გურული, თან იმერელიც.

ს–რავინ იტყვის ქედმაღალია,
ს–რავინ ეტყვის; წადი, მომშორდი,
ს–მიტომ ლექსიც გემრიელია,
ს–მიტომ ცრემლსაც ლექსით ვაშრობდი.
ს–რის დაბალი, არის მაღალი,
ს–რის ვაჟკაცი, არის ალალი,
ს–რის ტკივილის ტკბილი წამალი.
ს–რც დაიღალა წერით კალამი.
ს–რის მშობელი, კარგი მამიკო,
ს–რის ბაბუა პაწაწუნების...
ს–რის საძმოთა ყველას ძამიკო,
ს–რის დამთმობი, თბილი ბუნების.
ს–რის მებრძოლი, არის მორჩილი,
ს–რის მწერალი, არის მხატვარი,
ს–რის ხატებთან მუხლით მოხრილი.
ს–რის სიკეთის გულით დამტკბარი,
ს–რავინ არის მისგან რომ წყინდეს,
ს–რავის ავნებს, არავის ერჩის,
ს–ისი მინდა მით ამობრწყინდეს,
ს–ლბათ გელაა სულების ელჩი!



მოქანდაკე **გელა ლარიაშვილი**

არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

წმიდა გიორგისადმი

იდიდოს შენი სახელი
ყოვლთა ბოროტთა მლახვრელი

წმიდავ გიორგი, ჰფარავდე
კეთილსა ქვეყანასაო,
გულდაწყლულებულს ჰკურნავდე,
თვალს აუხელდე ბრმასაო,
დააჯერებდე მოკვდავთა –
მთაზე შეადგამ მთასაო,
ვინც ვერა იცნას კეთილი
დააბრალებდეს თავსაო.
სიკეთის ზღვაში კეთილად
დააცურებდე ნავსაო,
ჭეშმარიტება მაღალი
გაგვინათებდეს გზასაო,
წმიდავ გიორგი, ჰფარვიდე
ქართველთა ქვეყანასაო.

1973წ.

* * *

მამაო ჩვენო, ცათა შინა მყოფო სუფევით,
წყაროვ ცხოვრების, სიყვარულის, თავისუფლების,
წმინდაა მარად სახელი და დიდება შენი,
ყოვლისმყრობელო, უკვდავების ნათელი გშვენის.
მამაო ჩვენო, საკვირველად მსუფევო ცაში,
მოველ ამ ქვეყნად სურნელოვან ვარდების გაშლით,
ჰყავ გული ჩვენი ანგელოზებრ უმაკნო ბავშვის,
ესაა ფრთები და ამ ფრთებით იფრენენ მაშინ
სასუფეველის სიხარულში და დიდებაში.

დიდებული უწმინდესს

გულთა მცნობელო, გულთა მხილავო,
წმინდა ჭურჭელო სული წმინდისა,
მამულზე ლოცვით ღამეთ მხმილავო,
გამფანტველი ხარ სოფლის ბინდისა.
შენთა საქმეთა მოთვლა ძნელია
რამდენს იღწვი და რამდენს მუშაკობ...
შემწე დიდი გყავს – წმინდა ელია
შენ საქართველოს მფარველ-გუშაგო...
ჭეშმარიტების მადლით მოცულო,
ღირსო დიდების – ტკბილად „აქსიოს“...
ერი კი, შენი, შენზე ლოცულობს,
მარადისობის მზედ რომ გაქციოს.
დიდ წინაპართა ნათელში ბრწყინავ,
ქართვლის სიწმინდის დროშად ქცეული...
საქრისტიანოს მიუძღვი წინა,
გლოცავს მესამე ათასწლეული.

მოკრძალებული და შვილური სიყვარულით
25. 12. 2012.

* * *

ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო დიდო, ღმერთო მაღალო,
რომელმაც შეჰქმენ ცა და მიწა, სრულად სამყარო,
შემიწყალებდე არა ღირსსა, შესაწყალებელს,
სული და ხორცი ჩემი ოდეს ერთურთს გაჰყარო...
შენი სიცოცხლე ერს უხარია

დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა
უწმინდესს

ღვთივკურთხეული სიცოცხლის ენა
და სხივკამკამა მარგალტები...
დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა,
იყავით მცველად ჭეშმარიტების.
მოგაგებს სამწყსო სამაგიეროს,
რა სიყვარულით თქვენ გიყვართ იგი...
ოღონდ ცით მადლის შუქმა იელვოს,
არ მოგვეშალოს წესი და რიგი...
დე, წმინდა ცრემლი ერის წყლულს ჰბანდეს,
გვლოცავდეთ მარად წმინდა ხელებით
და თქვენს ცრემლიან ღიმილში ჩანდნენ
ნუგეშმცემელი ცისარტყელები.

ამინ.
2001წ. 1 აპრილი

***

კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი,
ცით ჩამოსული ნათლის ჩქერები,
დღეს მწუხარების ხუნდებს ლეწავენ
და ცის მოხილვას აგვაჩქარებენ –
ძალნი ცისანი – უფლის წყალობით
საკვირველნი და ელვიანები...
და უცნაური მაინც ის არი,
რომ მიწის მკვიდრნი აგვიანებენ,
ამ წამის ყოფა წუთისოფელში
თითქოს მარადის ვიყოთ დამრჩენი...
ღმერთო, შენ იყავ ჩვენთვის მოწყალე
და არ ღირს დარდად სხვა დანარჩენი.

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
ლამაზ თვალებს ახელს,
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.
იგი მარადისია,
ზეცის წიგნი ტკბილია,
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
უწმიდესო ილია.
უწნიდესო ილია,
ცით ნაკურთხო მეუფევ!...
ლოცვა აღვლენილია,
მამულს მადლი შეუქე...
ქართველს შვილად მოსულხართ,
იმის სინდის-ნამუსად,
ხატებრ ეალერსებით,
ენასაც და მამულსაც...
შუქი ოქროფენილი, –
მამულის მთებს აანთებს,
თქვენი სიბრძნის წერილი
მომავლის გზებს ანათებს.
წუთისოფლის სიმძიმე,
თქვენი ღვაწლით ძლეულა,
დაგიბრუნებთ უფალი
ნაღვაწს ათასეულად...
... ხამდა ქება ციერთა,
არა ცოდვილ ენითა,
ჟამი განათლიერდა,
თქვენი დიდი რწმენითა.

მთები

მე ჩემი პაპის
პაპის პაპების,
პაპის პაპები
მგონია მთები.
ჩემო წმიდა ხატო
შენ ხარ ჩემი მზე და ჩემი სიხარული,
შენი მზე მათბობს და მიჩრდილებს ჩერო,
ჩემო წმიდა ხატო, რწმენავ, სიყვარულო,
ტკბილო სალოცავო – მამულო ჩემო.
შეხე შენს იარებს, რა გზებით იარე,
მაინც არ გატყდი და სიმაღლეს ჩემობ.
სიმღერით ირჩენდი ნახმლევ-ნატყვიარებს,
იმედით ცოცხლობდი – მამულო ჩემო.
დღე იყო დარით თუ ავდარით დამთვრალი,
სუსხი იანვრისა თუ ხვატი მკათათვის,
აკვანში გეწვინა ბევრი მზე და მთვარე,
ნანას ღიღინებდი ცეცხლოვან ყრმათათვის.

1973 წ.

ბეჟან ხარაიშვილი

ნაცვრა

და როგორც ლოთი, ლუდის ჯიხურთან
ფულით ამოვსილ ძველისძველ ჯიბეს,
ისე ვინატრებ შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო გეჯდეს.
და ვაშენებდე გალმა-გამოღმა,
ორივე მკლავის დასაჭრელ კედლებს,
რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში
თავთან დაკლული სიკვდილი მედოს,
ანდა ვაჟაის მთაში ჩამმარხა,
ხმელი წიფლისთვის სანედლო ფესვად,
ო, როგორ მინდა შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო მესვას!

რუსთავო

ამ დღეს ელოდი,
დუმდი, დუმდი ასეულ წლობით,
ველარ გადურჩი
ათას მომხდურს, ათას ურჯულოს
მეც შენთან ვიყავ,
იმ გრიგალებს მეც გავუძელი...
ვკოცნი ყვავილებს,
ქარ-წვიმიდან გამობღუჯულებს.
წამოიწევენ გორაკები შუბლნათურებით,
რომ მეც თანდათან მიმაზიდონ
ახალ პირიმზეს.
ფერფლზე ამოსულ
იმ ჭადრის ხეს ვექართულები,
ფესვი ხელახლა რომ გაუდგამს
მტკვირს ნაპირებზე.
და სტრიქონებიც
მერცხლებივით ცასთან შეხლილან, –
თითქოს ქოჩორზე გადამისვა ხელი თამარმა
დღეს შემიძლია დავიჭქქო მტკვართან
მეხივით,
ბებერ მდინარეს
დავადევნო სიტყვა თამამად
მტკვარო, იყუჩე,
შენც გეყოფა წარსულზე ოხვრა,
სისხლო, იდუღე,
ნუ ჩადგები ძარღვებში მდორედ,
ხარო, იბღავლე,
პაპის გუთნით სხვა ბელტებს მოვხნავთ,
ფიქრო გამიძეხ, –
სადაც მიცდის მწვერვალი შორი!

რაცომ გამიფრინდი?

ტყემლების თეთრი ფიფქი,
შენს ბაღში რომ თოვდა,
ნიავს გაზაფხულის
სუნთქვა შემოჰქონდა.
მათრობდა და მწვავდა
მაგ თვალების კრთომა,
მკერდი სავსე გქონდა,
როგორც შემოდგომა.
შენთვის ავირჩიე
ყვავილების კონა,
გვიღიმოდა არე
სხივით დაქარგული,
რატომ გამიფრინდი,
როგორც ჩიტბატონა,
ნუთუ ნაადრევად
მოდის გაზაფხული?

გახსენება

გახსოვს? – მოდინახე,
ღვინო ალისფერი,
მთვრალი მგზავრები და შორი გზები...
წამომელანდები კლდეზე შემომდგარი
და ხელს გამოგიწვდი მორიდებით!
სიო ჩაიყურებს წამწამთ სიშავეში
შენ კი მთებს გაჰყურებ ნისლიანებს,
თრთოლავს გიტარა და მწვანე მოლზე
ღვინით სასმისები ივსებიან!
გახსოვს? – მოდინახე...
მზეი ჩამავალი,
გულთა იდუმალი ბგერის გადაცემა,
ხედავ? – ჩავჩურჩულებ და მთის ნაპრალიდან;
ქალაქს გადმოვხედავთ ალმაცერად.
ეკლებს გაურბოდი, წუხდი დამკაწრავსო,
თმები შინდის რტოზე დაგეწეწა,
ვკრეფდი ფურისულებს
ახლად დაჩიტულებს
მერე იმედივით გიწოდებდი,
ნისლში ირწეოდა მთიდან მონადირე,
ჟამთა ნასეტყვი და ნაწვიმები,
...დავრჩით ხელგაწვდილი მთის მწვერვალზე,
დავრჩით ასაფრენი არწივები!

შემოდგომით

ფოთლის ცრემლში ტყის ლოცვათა ციმციმი,
ცვრიან მთაზე ცხვარის გადათოვლება,
ყვავილისკენ გადახრილი ყვავილი
და პასუხად კოცნის არ დაყოვნება...
მიყვარს ხოლმე ჩემი სოფლის ჭალაზე
სიმინდებში მთვარის ჩანამგალება,
კლდის ქვებიდან გადმომდღარ ჩანჩქერის
თვალით შესმა და წყურვილის წვალება...

მიყვარს ხოლმე ხევსურული ჩოხისებრ
გაშლილ ცაზე გადაწინწკვლა ვარსკვლავთა,
თავთუხებზე ხოხბის ფერთა ფენაში
უშენობა დაჭრილივით ჩავა და...
ვდგევარ ხოლმე... და ვიხსენებ იმ ღამეს
მტევნების თვე მიმაწურე ბაგეზე,
ფოთოლ-ფოთოლ გადაივლის ყვითლობა
შენ კი ისევ სიცოცხლეზე მაქეზებ.

მუხრან მაჭავარიანი

ჭეშმარიტად, – აფერუმ!

კვლავაც რომ ხარ ომახით
ალიკვალი ლომეკი!
ხმალ-დარაკას რომ არ ყრი, –
ხარ რომლითაც ამაყი!
ჭეშმარიტად, – აფერუმ! –
ქართულ დამღადასმული! –
ქართულ მზეს რომ ნატრულობს! –
ზედმიწევნით ქართულო –
ყველავ და ყველაფერო!

მე ბზიფთან ერთი ვიცი ურთხელი

მართალი გითხრა, –
ხე ყველა მიყვარს! –
მაგრამ ურთხელი, –
განსაკუთრებით! –
ის ვინაიდან,
ქვეყნად, ხეთაგან,
ყველაზე დიდხანს
ცოცხლობს, გეთაყვა!
მე ბზიფთან ერთი ვიცი ურთხელი, –
შოთა რომელსაც ახსოვს რუსთველი!

მკვთვის შუადღე ვრგვეთში

საცაა
მიწას აუვა ბოლი;
ზეცაა ლურჯი.
მზეა კაპრაში.
შავად ლაპლაპებს,
ვენახის ბოლოს,
ნაშთი ყორისა, –
ხვლიკების პლაჟი.

ვაჰმე!

ზოგმა დამკარგა!
ზოგი მომიკვდა! –
მეგობართაგან
შემრჩა ორითა!..
– სად ხარ?! – არ ჩანხარ! –
სხვა, – როგორა ხარ?! –
მესმის ხანდახან –
ცალყბად-შორიდან!..
ვაჰმე! – რა ხალხმა!
/ყველამ ჰა და ჰა!/ –
ვაჰმე! – რა ხალხმა
იჩონჩორიკა!
ღამეა ბნელი.
მონატრებით ნამყოს გავცქერი
/ფოთლებზე წვიმის მესმის თქარუნი/...
გულს მივსებს სევდით
/ვით შემთხვევა ჩემთვის საწყენი/
ამბავი, –
ჩემთვის
უაღრესად სასიხარულო.
ვარ მოწყენილი, –
სიხარულს ვწუხარ!
– რატომ წუხარო?! –
იმიტომ ვწუხარ, –
ეს სიხარული
ვინმეს რომ ვუთხრა, –
ვიცი, –
არავინ
მიიტანს
გულთან!
ღამეა ბნელი.
მონატრებით ნამყოს გავცქერი
/ფოთლებზე წვიმის მესმის თქარუნი/...
ახლა ცოცხალი ყოფილიყო
რომ დედაჩემი, –
ეღირებოდა,
აი, როდის,
ეს სიხარული!

ანი

რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის ანი:
წვიმაა თუ მზე?!
დღეა თუ ღამე?! –
ერთიც კი როცა არ შემრჩა კაცი, –
რო მივახარო, –
რაც გამახარებს!

აუ! – რას წვიმს!..

ქუხს და ელავს.
წვიმს და ელავს.
ბნელა.
ბნელა.
ბნელა.
ბნელა.
წყვდიადს ელვამ
არემარე
გამოსტაცოს
წარამარა.
ქუხს და ელავს.
წვიმს და ელავს.
– აუ! – რას წვიმს!...
ნენა!
ნენა!

ბიჭვინთა

წითლად განიხვნა ზეცის
კარიბჭე;
ხმელთით
ავარდა
ცად
ევკალიპტი...
ერთი
კარგი
დღე
/ვით არაერთხელ/, –
დღეს,
ერთხელ კიდევ
ჩა–
მო–
ყა–
ლიბ–
და!

ქარსაკუთარი თრთის მხდალი ვერხვი

ნათელყო დღემა, –
რაც ღამემ ბნელყო;
კაკალმა ტყემალს
ესროლა წენგო.
ემჩნევა ბექობს
გზა საცალფეხო.
ჩანს ბიჭი სერზე, –
არ ჰქვია სესე! –
არადა, ესეც
ქვებს
ესვრის
მერცხლებს.
ქარსაკუთარი თრთის მხდალი ვერხვი! –
არ იძვრის ძმერხლი, –
როა
მის
ფერხთით.

ნეტა

ჩამოეთრა ფეხად ზეცა;
გაილუმპა შრიალეთი...
ახლა,
ნეტა,
დამსვა მე და
მომცა
კარგი
წიგნი
ერთი!

* * *

ღამე გაწყალდა, – გაილია, – გასიფრიფანდა, –
გამოიხელა მაყვლის ჩირგვი წახრილ იფანთან...
მზემ მეწამული ბეღლის კედელს სწყვიტა ლიბარდა, –
სიბნელე როცა მთლად განიფანტა.

* * *

თავისას წერას გაექცევა ამქვეყნად ვერვინ! –
ვერანაირი სიკვდილმისჯილს ვერ იხსნის ცრემლი!
თავს ჩემს ადგილზე წარმოიდგენს როს ჩემი მტერი, –
ყველაზე დიდი დამცირება ესაა ჩემი!

* * *

ყოველნაირი სიხარული სევდისკენ მიდის! –
შენთვის უსაზღვროდ სახარული, –
ზრდაა შენი შვილის! –
შენს და მას შორის,
სამწუხაროდ, ზრდაა მანძილის!

მაშინაც

ჭვრეტ შენსას როცა წინასწარ ბოლოს
/ხალხი ეძახის რასაცა სიკვდილს/, –
დიდად ვერაა სასიამოვნო! –
თუმცა,
ღვთის წინაშე,
ვერც იმას ვიტყვი, –
მცირე არ ეცხოს მას რაღაც ხიბლი, –
ანდა
ხიბლივით:
ყანა ზღვასავით კვლავ ილივლივებს!
კვლავ იბრჭყვიალებს მზე იაგუნდებრ! –
მაშინაც, –
ყალიონს რო მიაყუდებ!

გუშინაც რომ ხალხი იყო მამაცი

შენი რუსთველი,
შენი აკაკი,
შენი ფშაველა,
შენი ილია, –
დღეს რომ ხალხია, –
არა ამ ხალხის
(თავისი ჩრდილის რომ ეშინია!), –
გუშინ რომ ხალხი იყო მამაცი, –
იმ დალოცვილი ხალხის შვილია!



ივანე ნუცუბიძე

პოეტი ივანე ნუცუბიძე („გოჩაჯიხაიშელი“), 1876 წელს სოფელ გოჩა ჯიხაიშში (ხონი) გოგავების უბანში დაიბადა. მან წერა-კითხვა შეისწავლა მოძღვრისა და ცნობილი პედაგოგის ლუკა ჩომახიძის სამრევლო სკოლაში, შემდეგ კი თვითგანვითარებით გაიკვლია გზა. იგი ოციოდე წლისა იყო, როცა მისი პოემები, ლექსები და მოთხრობები იბეჭდებოდა.

ხანმოკლე იყო პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა. იგი 1899 წლის 20 იანვარს 23 წლის ასაკში ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. დაკრძალულია გოჩა ჯიხაიშში, თუმცა, სამწუხაროდ, მისი საფლავი დაკარგულია...

1895-1897 მისი ხუთი პატარა წიგნი გამოიცა, ხოლო 1900 წელს – დრამა-პოემა „შეშლილი“...

დრამა-პოემა „შეშლილი“, პოეტის გამოუქვეყნებელი ლექსები და რამდენიმე დრამატული ეტიუდი ინახება მისი შთამომავლის ივანე რეზოს ძე ბახტაძის ოჯახში...

***

გესმის ჩემი, სიცოცხლეო,
შენთვის ვრბივარ მინდორ-ველად.
ღმერთმან რისთვის გაგაჩინა,
ჩემი გულის დასაწველად.
შენი ეშხი შორიდანაც,
გულს მიდაგავს, მაგონდება.
თვალწინ მიდგას შენი სახე,
სადაც წავალ, არ მშიორდება.
დავუძლურდი, რადგანაც რომ
შენთან არ მაქვს მოსვლის ნება.
მოდი, ტკბილად მესაუბრე
და მაღირსე განკურნება!

გლეხო

იტანჯე, გლეხო, მუდამ შრომითა,
მანამ გისუსტებს მკლავი, მარჯვენა.
იყავ ერთგული შენი მამულის,
არ დაივიწყო სამშობლოს ენა!

სჭამე ალალი, სხვისი ნუ გინდა,
ოფლით იშოვე, ძამიავ, პური.
იყავ მნერგველი მუდამ სიმართლის
და შორს განდევნე სიბნელე, შური.

დე, ამ ქვეყნადა ყველამ გაძაგოს,
საიმქვეყნიოდ იყავ მართალი.
იქ გამოგვკითხავს ყველას ცოდვებსა,
თვით შემოქმედი, ღმერთი, უფალი.

***

გასწით, გამშორდით სევდებო,
გული ისედაც დუღსაო.
თქვენ მაინც ჩამომეხსენით,
ბედისგან შენაწუხსაო.
გასწით, გამშორდით სევდებო,
თვალი სავსე მაქვს ცრემლითა.
გულ-მკერდი სისხლით ამევსო,
შეურყეველი გრდემლითა.
თქვენ კიდევ რაღას მეძალვით,
მწარედ რად მიჩხვლეტთ გულსაო
და ისეც გამწარებულსა
წყლულზე მიმატებთ წყლულსაო.
მეყოფა აწი, მაკმარეთ
ტანჯვა-ვაება მწარეო...
გულითა სევდის მზიდველი,
სამშობლოვ, მიმიბარეო!

***

პოეტის საფლავზედ

მუდამ ჟამს მემახსოვრება,
მოხუცო, შენი ჭაღარა.
მერწმუნე, ჩემმა თვალებმა
შენზედ ცრემლები დაღვარა.
ჩახველ საფლავში, დაობლდა
უშენოდ შენი მხარენი
და შენის მოგონებითა
ცრემლიც ცვივდებათ მწარენი.

უკუნის ძილმა შეგიპყრო,
დღესა ხარ მისვენებული.
უყურებ შენსა ქვეყანას
შორიდან თვალმინაბული.
არ დაგივიწყებთ არასდროს,
მოხუცო, შენის ჭაღარით.
ჩქარა გეწვევით ჩვენც მანდა,
ჩვენის დაფით და ნაღარით.

ნუნუკა გურალია

ფიროსმანს

ნამთვრალევ ფიქრებს უთენია
ამზიანებდა
და სიყვარულის ფერებს ერთად
კრიბავდა ლამის
მერე მოლბერტზე თეთრი ფუნჯით
ქანცისგაცლამდე,
ხატავდა მთვარეს და სიჩუმეს
თბილისის ღამის.
მიუსაფარი ვერცერთ ტილოს
ვერ იმეტებდა
აკოწიწებდა ყველას ერთად
უსიტყვოდ ლამის
და ლამაზ ფერად კრთოდა მისთვის
მთელი სამყარო
და ლამაზფერად კრთოდა მისთვის
ყოველი წამი.
მორიდებულმა ფეხაკრეფით
დიდხანს იარა
მის სხეულში კი ბობოქრობდა
სული ლამაზი
და უკვდავებამ ბოლოს გულში
ჩუმად ჩაიკრა,
ფუნჯის ოსტატი და მეხოტბე
ჩვენი ქალაქის.

ბევრჯერ სიკეთით ნაამაგარი

საუკუნეთა ქარტეხილებში
თვალებში ცრემლით ბევრჯერ ჩამდგარით,
ცლამაზი სულით, სულით ამაყით,
კდემით თამარის, კდემით ვახტანგის

სვეტიცხოველით, ხანძთით, ვარძიით
ჯვარით, ილორით, გრემით, ბაგრატით,
ნაფერებით და ნასათუთევით,
მამადავითით, ნარიყალათი.

გალაკტიონით და ილიათი,
ვაჟას, აკაკის, ტატოს კალამით,
ნიკოს, ტერენტის სევდით მრავალით
და შოთას სიბრძნით ცამდე მაღალით.

მტკვარით, არაგვით და ალაზანით,
სიოთ მთაწმინდის ცვარით ნაბანით,
ჭაღარა მთები ნისლის ნაბადით,
ხოდაბუნები ოქროს ვარაყით.

ლილეოთი და ოდოიათი,
საგალობლები სიმთ სინარნარით,
მკრთალი სიმორცხვით ვით უსურვაზის
ხელთუქმნელი მზის იავნანათი.

სიყვარულისთვის ჩუმი ლოცვებით
საოცრად სათნო, გულით ალალით,
ნაიარევი მიწის ტკივილით,
ნაიარევი წამით მრავალით.

ვითარც ბერმუხა ფესვებმაგარი
მუდამ სიკეთით ნაამაგარი,
არდაჩოქილი და ფეხზე მდგარი,
ჩვენი მამული მზერით ამაყით.

* * *

ბეთანიაში კვლავ
თამარის სული ტრიალებს
ანგელოზები ჩუმად ცლიან
სევდის ფიალებს.
ვერ მოგაგენით,
უკვე ძლიერ დავიგვიანეთ,
წუხს დარდისაგან დამაშვრალი
ციცქნა კესანე.

ნატვრადა მაქვს

სხვას არაფერს არა ვნატრობ არა
ნატვრადა მაქვს მხოლოდ ერთადერთი,
ზეცა გვქონდეს მზის თვალების ფერი
სიყვარულით ფრთხილად დანაფერი.
ხმა გვესმოდეს მუდამ მოგუგუნე,
ოშკის, ზარზმის, გელათის და გრემის,
ილორში კი ჩუმად ვლოცულობდეთ,
ხატების წინ წმინდა სანთლით ხელში.
ვნატრობ ვკრიფო მინდვრად ყვავილები,
დავტკბე მზერით სამაჩაბლოს მთების,
სილამაზით დავიამო სული,
სიამაყე მდევდეს მოკრძალებით.
სხვას არაფერს არა ვნატრობ არა
ნატვრა დამაქვს მხოლოდ ერთადერთი,
ერთიანი საქარართველოს ზეცას
მზე ათბობდეს სიყვარულის ფერი.

როდის განმეორდები

ღრუბლები ნებივრობენ
სილამაზის მორევში,
მზე კი ციდან გვიღიმის
არვინა ჰყავს ჰყავს მომრევი.
ისევ მშვიდი წამები
ფიქრთან განმარტოების,
ოცნებაო ლამაზო
როდის განმეორდები .

გვიღიმისდა

ჩამომჭკნარა მეოცნებე გვირილა
თეთრი კაბა ქარებს დაუფლეთია,
გაზაფხულის გულკეთილი შიკრიკი
გვიღიმის და სევდა მასში ბევრია
სიალალე ჩუმად უკრთის თვალებში,
სილამაზით ველარ დაუკვეხნია.
ჩამომჭკნარა ნელა-ნელა პატარა,
თეთრი კაბა ქარებს დაუფლეთია.

რას პირდებოდი

დიდი ხანია ალერსს მოელის
შენგან კოპწია დინჯი ბაია,
მზერა დაუთბე ოდნავ პატარას
სიცივემ ასე რომ გადარია.
გვედრი უჩუმრად მიუალერსე
მთვარეც ხომ ტკბილად მოუბარია,
თუ სიყვარული აღარ შეგეძლო
რას პირდებოდი ჭია-მაია.

ხაბავშვო განყოფილება

ნაირა ნიჟარაძე

ყვავილების გამოფენაზე

ვაზის თალარში მოსულა,
ლურჯი აპრილი ციმციმით,
აქ თავს იყრიან ყვავილნი,
ღიმილითა და სიცილით.

კეკლუცობენ და გვიმზერენ,
მნათი, კეთილი თვალებით,
აქ თავს იყრიან ხალისით.
ზურმუხტები და ლალები.

– ყვავილი გიყვარს?
– ძალიან,
ყველას, დიდებს და პატარებს,
ადამიანთა სიყვარულს,
ისიც სულგულით ატარებს.

***

– ჩვენი დღესასწაულია,
ვარდმა ბრძანა წყნარად,
მე ვიყავი დედოფალი
და ვიქნები მარად.

პოეტები უმღერიან
ვარდს სიტურფის მქონეს,
მიმზიდველი, სურნელებით
ყველას დაიმონებს.

ის ამშვენებს საქართველოს,
ბაღებსა და კორდებს,
ჰოლანდია გმირებს ჩუქნის
თეთრი ვარდი ორდენს.

საბერძნეთში უწოდებენ,
„ყვავილების მეფეს“,
დასარგავად მის ღეროებს,
მოყვარული ეძებს.

გმირებს ვარდებს მიართმევენ
ყველა ქვეყანაში,
ვარდი ყველგან, ნაზი ფერი
ეზოსა და ბაღში.

ვარდმა ბრძანა: მშვიდობაა
ჩემი სალოცავი,
საქართველოს შესამკობად
ზამთარ-ზაფხულს ვყვავი.

– ვარდო, ვარდო, ვარდისაო,
სიხაულო ხალხისაო,
მოგვაფრქვიე სურნელება,
მინდვრისა და მთებისაო!

ია – სულ სხვაა, პირბადრი,
ლურჯად მოხატავს გარემოს,
სურნელიც მოაქვს საამო,
ვინ არის ის რომ არ აქოს?!

ვმღერივართ – იავნანაო,
შენ მოგემატოს ნანაო,
ეთერზეთებსაც გამოვხდით
ამასაც არ დავფარავო.

სამკურნალოსა, საამო,
მუდამ კეთილი რამ არის,
ნახარში გულსაც უხდება,
ავადმოყოფობის წამალი.

ია ლურჯია, ხასხასა,
ის სილამაზის ფერია,
სიმბოლო კრძალვის, მორცხვობის,
თბილ გაზაფხულზე ელიან.

– შენ, რაღას იტყვი, იაო,
პატარავ, ცრემლის ტოლაო?
მალე ჩემს სახლში შემოდი,
გვიხარის შენი ყოლაო!

– ჩემი ფუძეა მშვიდობა,
მთლიანად დედამიწაზე,
ია ვარ, სავსე სიკეთით,
ძლივსღა მოვჩანვარ მიწაზე!

ზამბახი ცისფერთვალება,
იზრდება ყინვის ამტანი,
ხან ცისფერია, ხარ ლურჯი,
მისი მსგავსება სად არის!?

გვირგვინით, ფართო ფოთლებით,
იცნობს ევროპაც, აზიაც,
ამერიკაშიც იზრდება,
ო, მართლაც რა ლამაზია!

ის ხარობს იტალიაში
და ზღაპრულ ფლორენციაში,
გერბად ხატავენ ზამბახებს,
შესულა უკვდავთ სიაში.

ამშვენებს ირიდარიუმს,
ციე ლენინგრადის ბაღნარში,
ცოცხლობს და ხარობს ლამაზი,
ნიავის ღია კარავში.

თალარში სხედან **ტიტები**,
შეღებილი აქვთ თითები,
ზოგი ლურჯია, წითელი,
თითქოს აანთეს ბინდები.

მაღალი ღერო უხდება,
გვირგვინი ფურცლებიანი,
მისი მოყვანა ბაღებში,
არასდროს არის გვიანი.

პოლანდიაში ხარობენ,
მართავენ დღესასწაულებს,
ისმის სიმღერა, მუსიკა,
ცეკვა-თამაშსაც უწყობენ.

აჯილდოებენ მებაღეს,
ნაზი, ფერადი ყვავილით,
ვაჟი ქალს აწვდის ღიმილით,
სიყვარულით და სურვილით.

– წითელი ვარო – გვიამბობს ტიტა,
მზეც წითელია და ძალზე მიყვარს,
ერთად ვცოცხლობთ სანახებში,
თავს კარგად ვგრძნობთ ბალახებში.

შროშანი – თეთრი ყვავილი,
მაისის თვეში იზრდება,
დღესასწაულებს უწყობენ,
საუკეთესოდ ითქმება.

თვალის და ციებცხელების,
კუჭის და გულის საამო,
მისგან მზადდება წამალი,
როგორც ნამდვილი მალამო.



მაგრამ ის შხამიანია,
ზოგი მცენარის მტერია,
ცრემლივით ტოტზე ჰკიდია,
მასთან სიფრთხილით მიდიან.

ფრთხილად იყავი ლამაზთან,
მის ახლოს თუკი იქნები,
სიკვდილთან მეტად ახლოა,
დაგიმძიმდება ფიქრები.

– შენ რაღას იტყვი, შროშანო?
ამ არემარეს მოვრთავო?
– დიახ, ვარსკვლავიც მეძახის,
ლამაზმანო და კოხტაო!

– მშვიდობიან დღეს შევხარი,
თეთყირმიზა ვარ შროშანი,
მოდის მიმღერის ბულბული,
გულკეთილია მგოსანი.

ყაყაჩო – ალისფერაო,
ვერ შეგვედრებით, ვერაო,
ყანებში გალაღებულხარ,
და ნიავ-ქარზე ღელავო.



წითლად ელვარებ ხალითა,
ველზე გაშლილხარ ხალიჩად,
ღმერთმა ინებოს, გამრავლდი,
და მოგვევლინე ხალისად.

წინათ ყაყაჩოს ხარშავდნენ
ბავშვების დასაძინებლად,
წითლად ელვარებს მინდორში,
ბუნებამ ასე ინება!

ყვითლად ღაღანებს ალალი,
ბაბუა წვერა-კეთილი,
ოქროსფერია დაბალი,
სამკურნალოა მთავარი!
აბუმბულდება გაქრება,
ქარი წაიღებს ველადო,
ისევ ამოვა პაწია,
ყვითლად და ოქროს ფერადო.
მისი ფითლები სავსეა,
ვიტამინების მარცვლებით,
მდელოზე ბაღვენახებით
და ოქროსფერი ხავსებით.

ენძელა – ყველგან ცნობილი,
თავს ხრის ელვარე მზის სხივში,
მოლურჯო არს, ქათქათა,
თითქოს ბალახში იცინის.
რა ტურფა სანახავია,
ეს გაზაფხულის მაყრები...
ია, ენძელა,ტყის ფრინტა,
სულის პოეტთა მაყრები!

ყოჩივარდებო, – როგორ ზიმზიმობთ,
თქვენ გაზაფხულის ლამპიონებო,
ტყის პირას შენი ხალიჩებია
გალაღებული როგორ იცინით.
მიდის ზმთარი ტირილით,
ყოჩივარდების ხანძარით,
ჰოდა დადნება მიწაზე,
ეს ცივი თოვლის საფარი.

ჭყანტა – ხედავთ ჩასკუპულა,
ბალახებში როგორც კატა,
მოყვითალო სანთელივით,
ზოგჯერ მზისკენ სახეს ხატავს,
ტბებისა და ნაკადულებში,
ნახავთ არის ხავსიანი,
არ მოწყვიტოთ ძირიანად
იგი არის შხამიანი.



ცისთვალა – გამოიღვიძებს
ბალახში ცისფრად ციმციმებს,
ის ხომ ზარმაცი არ არის
და გვიან ღამით იძინებს.



ფურისულები – აქ სხედან,
ტურფანი, გასახრები,
მწანეში ჩაბუდებულან
დაუჭყეტიათ თვალები.
ყვითლად მოისხამს მანტიას
ზოგს თეთრი კაბა აცვია,
სასარგებლოა მკურნალი,
კაკლის ოდენა არც კია,
ტყის პირას მოედებიან,
ვიტამინებით სავსენი,
დასუსტებულებს უხდება,
სასარგებლოა სავსებით.

გვირილა – გადაპენტილა,
საამო სანახავია,
უხვი ცვარნამის ლოდინში
,ფრთაგაშლილები არიან.
ყვითელ გულებით შემკობილს,
თეთრი არშია ასხია,
წვიმა თუ ბევრი დასცვივდა,
ქათქათა ყვავილს არ სცივა.
მოედებიან ველ-მინდვრებს,
ბავშვები გლეჯენ სირბილით,
ქსოვენ და ეფერებიან
თავს მოირთავენ გვირგვინით!

მიხაკი – ალისფერია,
ტანწერწეტადა მაღალი,
ჰოლანდიაში, რიგაში,
ჩინეთში მოჰყავთ ახალი,
ზოგი ხვთაებრივს უწიდებს,
დიდხანს არ ჭკნება ლამაზი,
ქორწილში ლხინში, საფლავზე,
ბრწყინდება როგორც ალმასი.
პოეტ ტიციანს უყვარდა,
გულზე იბნევდა სიამით,
არასდროს არავისათვის,
მოუტანია ზიანი.

გიორგინაა – ნარნარი,
წითელ-ყითელი ფერითა,
მისი სამშობლო მექსიკა
ჩანს ოკიანის გაღმიდან.
მეფს მიართვეს თესლები,
და განა ერთი ცალია,
დათესეთ გაახარეთო,
მეფმ უწოდა“ დალია“.
ბოტანიკოსის სახსოვრად,
ტურფას დაარქვეს“ გიორგი,“
– რა ლამაზია, – შეამკეს,
ნაზია როგორც პიონი.
თეთრია ნაზი მცენარე,
იქნებ ყველა ქალს უნდოდეს,
სილამაზისთვის პატარას,
მას“ გეორგინა ‘’უწოდეს!

გუგულისკაბა-ჯადვარი
წითლად იისფერ ყვავილით,
ნაზად შეარხევს ნიავი...
მიმზერის როგორც მკურნალი,
არავის ავნებს სიავით.

ნარგიზი ვარ კავკასიას,
ვუძღვნი ყველას სალამს...
და ვამზადებ მოყვრებისთვის
გაზაფხულის ატამს.

ხმალა – ზოგან წითლად,

ზოგან ყვითლად,
ტანშიაც აქვს ალბათ ძალა,
აღმართულა ტანწერწეტა,
ამიტომაც ჰქვია ხმალა,
იშლება და თან ნაზდება,
ლამაზი აქვს მას ბოლოა,
აფრიკინდან მობრძანდება,
ძლიერების სიმბოლოა.

დუმფარა
ფართო ფოთლით, თეთრქათქათა
ტბაში ცურავს დუმფარა,
ზედ ბაყაყი შესკუპდება,
ფეხსაც წყალი უფარავს.

სვინტრი
სვინტრი მეტად მაღალია,
ორ-ორი თეთრი ყვავილით,
ყუნწებზე ჩამოკიდულა,
თითქოსდა არის დაღლილი,
მისი კენკრები ლურჯია.
შხამიანია ბოროტი,
ერთი მელუკა მოწამლა,
სიცხე აქვს თანაც ორმოცი.

ხარისთვალა-გყვავს ლამაზი,
შავი კენკრა აქვს ფარითა,
შხამით ავსია ბურთულა,
ძირში მოჭერით ბარითა.



ლენცოფა-იქნებ გეცნობა
შხამიანა ცუდია,
სუნიც მყრალი აქვს მოშორდით,
საშიშარს გვერდით უვლიან.

კესანე
ყვავილების ხალიჩად
დაფენილა კესანე
,ლურჯთვალებით მზირალი,
ლამაზი და ფერსავსე.

ღვინა
მთამაღალზე ხარობს ღვინა,
ღვინისფერად წევს და ძინავს,
გათენდება გაიშლება
მზის სხივების გულზე ფრინავს.



ლალა –
ეკლიან ბუჩქში იზრდება,
ლალა-იორდასალამი,
მუდამ ლალისფრად ანათებს,
თითქოსდა გვითხრა სალამი.

ქრიზანთემებო – ფერადო,
მზიან ამიდში ღელავდით.
ველს კელაპტარები აანთეთ,
თითქოს იყავით ჟღერადი.

– ყვავილები –
სხვაც ბევრი ხარობს ყვავილი
საქართველოა ედემი
ვარსკვლავით მოჭედილია,
ჭალა მინდორი ქედები.

ეს ჩვენი მიწა გულუხვი,
ყვავილმაც უნდა დაიცვას,
არ მიიკაროს მტრის ხელი,
ეკალ ჯავშანი ჩაიცვას.

ვისაც უყვარს და უვლის ყვავილებს,
ის უსათუოდ დიდხანს იცოცხლებს.
სიმშენიერეს მოტრფიალენი,
ცუდს არ ჩაიდენს უნდა იცოდეთ!

ნარცისი – ყვითლად დგას და ირხევა,
ტანწერწეტაა მაღალი,
არის ლეგენდა, რომ მოსწონს,
არის ზაფხულის შუამავალი.
რომში ახალ წელს, ყოველ ოჯახში,
უდგათ ნარცისი, როგორც ნაძვის ხე,
შვეიცარია დღესასწაულობს,
რწმენის სიხარულს უხვად არიგებს.
ამბობენ ,იყო ერთი ყმაწვილი,
უყვარდა მხოლოდ თავისი თავი,
ლამაზი ვარო, როგორც ნარციცი,
მზეც ჩემს წინაშე არისო შავი.

– იასამანი –
სპარსეთიდან მობრძანდება,
იასამნის ბუჩქი,
თვალწარწამტაცი მიმზიდველი,
მხატავს მხატვრის ფუნჯი.
შვილებს ვიზრდი უხვადო,
დიდ ფესვებზე ნყოფის მაქვს
ამაზე ნუ სწუხართო.
ავავსებ ბაღებს ყვავილით,
გავალამაზებ მხარესო,
ახალ სურნელით მოვხიბლავ,
ჩემს მზიან-არემარესო!

პიონი ახლოს წითლად ღაღანებს,
ბაღსაც და სახლსაც ძლიერ უხდება...
ფურცლები ქარით აქვს დაწეწილი,
და ეჯიბრება ფუნჯით ნახატებს,
პიონი თურმე ექიმს ერქვა და...
ის მკურნალობდა სიბრძნის მოწაფეს,
მასწავლებელმა შურით მოწამლა,
და ვერ უშველა კარგმა მოწაფემ,
თქმულება არის ღმერთმა უშველა
გადააქცია ლამაზ ყვავილად,
და ამის შემდეგ ის ხარობს ყველგან
სხვა ყვავილებზე უფრო ადვილად!

ვარდი, ტიტა დაზამბახი
თავს ხრიან დიდის ამბებით,

აფრქვევენ სურნელს, სიტურფეს,
არ უნდათ ლითირამბები!

ბულბული

– ნუ საყვარელო, ნუ კრთები, –
– ბულბულო, ჩაიღიღინე,
აქ, სამოთხეა ყვავილთა,
ღამე მთვარესთან იძინე.
მზე სათაყვანო ვიდრეა,
არ შეგაშფოთოს ყინვებმა,
თოვლი სხივებით დალღვება,
თუკი ბუნებამ ინება.
ამას შეჰყურებს თამამად,
საქრთველოში თალასი,
სავსეა ყვავილნარებით,
სასარგებლოა ბალახიც.
ვაზები როგორ ხარობენ,
გადახუნძლულნან მტევნებით,
ქვემოთ ხასხასებს იონჯა,
მარცვლისგან მონაშენები.
ჩვენთან იფრინეთ ფუტკარნო,
აქ, მშენიერი მხარეა,
ვარდებს მოწუწნეთ გულღვირძლი,
ტკბილია განა მწარეა.

ასეა საქართველოში,
ხარობს ყვავილთა ედემი,
ქალივით მოკაზმულია,
ჭალა, მინდორი, ქედები.
მაგრამ მტერი ჰყავს ამ მიწას,
დიდდ გზიდან გადმომავალი,
ვიცი დაიცავს ყოველთვის,
ეს ჩვენი შთამომავალი!



მავნებლები და ხსნარგებლონი

მავნებლები

სოფლად ატყდა განგაში,
მგელმა დაგლიჯა ვირი,
– უი, მომიკვდეს თავი, –
ეზოში ბებო ყვირის.

შეწუხდნენ მეზობლები,
გაჩნდნენ ბავშვები წამსვე,
გაქრა, გაიქცა ტყეში,
სისხლის მოყვარე მთაზე.

აი, ბებიამ რა სთქვა:
ბევრია მავნებელი,
ერთმა დაკბინა შველი,
მეორემ თეთრი ბელი.

სოფლის მახლობლად ტყეში,
ცხოვრობს ღრენია მგელი,
მაშინ გამოდის ტყიდან,
როცა არავინ ელის.

დედაცხვარს კბილი გაჰკრა,
ღორი დაგლიჯა გზის პირს,
არ ეშინია მწყემსის,
ღამე თავდასხმა იცის.

მოდის მზის ჩასვლის უმალ,
ძაღლების მსგავსი ტურა,
ბუმბულა ქათმებს გვართმევს,
ველარ აშინებს მურა.

თუ დასჭირდება გიკბენს,
ყავისფერია, ცივი,
დაძრწის სოფლიდან სოფლად,
ორღობეებში კივის.

სახლში გაგვიჩნდა თაგვი,
მისი ხსენება არ ღირს,
ბნელ სოროებში ძვრება,
მზარეულებთან დარბის.

დიდ კარადაში შეძვრა,
ნიგვზის კაკლები დახრა,
ეცა ფეხმარდი კატა,
ცუდი სიზმარი ახდა.

დაჩეკა წრუწუნები,
ერთი კი არა, ათი,
ბავშვებო, თაგვის სუნი,
ნუთუ არაფერს ასდის?

ბაბუმ ხაფანგი დადგა
– ბახ, – დაიჭირა თაგვი,
ამ ქურდბაცაცას უცებ,
ჩამოამტვრია თათი.

– ბებო, – გასძახა ლიამ,
– ის განჯინაში ვნახე,
ამ წუწკის გარდა, ვიცი,
პურს პირს არვინ ახლებს.

უფრო ცუდია ვირთხა,
სარდაფში ცხოვრობს დიდხანს,
ეძებს სიმინდს და ფინჩხას,
თხრის ორმოსა და მიწას.

***

კარგად იცნობთ მელიას?
მელა კუდაგრძელიას,
საქათმეში შემძვრალა,,
ქურდობაში ძველია.



დაინახეეს ბავშვებმა
ხევში როგორ გარბოდა,
პირში ჰქონდა ვარია,
თავზე კიდეც ათოვდა.

– აბა, ჩქარა მურია,
შეუძახეს ბავშვებმა,
მელა ბუჩქში შევარდა,
არსად აღარ გაჩერდა.

– უი, ჩემო ვარიკა, –
შეიკავივლა ბებიამ,
– ნუთუ ვეღარ დავსაჯეთ,
სასიკვდილე მელია!?

***

გველი საშიშარია,
მოერიდე შხამიანს,
მისრიალებს მინდორში,
ვისაც უკბენს – მკვდარია.

მაგრამ მისი შხამისგან,
დაამზადეს წამალი,
მძიმე სენს რომ უხდება,
საკვირველი რამ არის.

მახრას – იცნობთ
მძრომალეს?
მიწაში რომ დაძვრება,
მაგრამ იგი არ ჯდება,
მიწის ზემოთ არ ჩნდება.

დახრა თალგმის ძირები,
ნორჩი კარტოფილები,
ხნულში მოსპეს ბარებით,
დარჩნენ კმაყოფილები.

მორიელი – კუდს იქნევს,
შიგნით შხამს ხომ ინახავს,
საშიშია, ბოროტი,
იქნებ არც კი გინახავს

მორიელი მავნეა
შხამიანი, მძრომელი,
ბნელში არსად შემოგვხვდეს,
ფრთხილობს ყველა
მშრომელი.

ფაროსანა მტერია,
საძაგელი მწერია,
როგორ შემოგვეჩვია,
ეს ფრთოსანი მელია.

თხილიც დახრა, ყანაცა,
ვერ ებრძვიან კატები,
მხოლოდ გაანადგურეს,
მოსპეს ქიმიკატებით.

ფოცხვერს იცნობთ? ჭრელია,
მიირთმევს მწერებს,
წრუწუნებს,
თუ გოჭი სადმე დალანდა,
მაშინ ნამდვილი მგელია.

მარტის ნომერი
შენ მეყვარებოდი
მაინც რომ ყოფილიყო
ღმერთი

ხსხარგებლონი

ბაყაყს იცნობთ ყაყანას?
როცა გუბე ივსება,
ლაქაშებში იზრდება,
თავისუფლად იქცევა.
წებოვანი ენა აქვს,
მწერებს იჭერს ადვილად,
პირში გადაუძახებს,
არ იწუნებს სადილად.
მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს,
წყლების გველი ანკარა,
უყვარს მწვანე ბაყაყი,
ან შეჭამს და ან არა,
ბაყაყსა და გომბეშოს,
მედიცინა აფასებს,
ცდებს ატარებს ექიმი,
სინჯარებში განაგებს.
თუ მამალი **გომბეშო**,

თავის სატრფოსს უმღერის,
სურს დაადგას გულისსწორს,
საოჯახო უღელი.
ჭიებს, ლოკოკინებსაც,
თუ მოასწრო ფოთლებზე,
სწრაფად გადასანსლავს და,
არ გაუშვებს ღობეზე.
ახლა ნახეთ **ობობა**,

ფართო ეზო მოღობა,
აბლაბუდა მოქსოვა,
არვის ჰკითხა ოღონდაც,
ქსელში ზის და ოცნებობს,
უსაქმურის იერით,
მისი ძაფი წვრილია,
და ფოლადზე ძლიერი.
იჭერს ბუზებს, კრაზანებს,
მწერებს არ აჭაჭანებს,
ქსოვს, დღედაღამ მუშაობს,
სწორად ავლებს კვადრატებს.
ალბათ მარტო არ არის,
გულისსწორსაც ახარებს,
როგორც კარგი ოსტატი,
ისეთ ბადეს ამზადებს.
რვაფეხაა ობობა,
კუთხეებში ფარდებს ქსოვს,
ბუზებს ქსელში გააბამს,
აბეზარებს სისიხლსა სწოვს.

***

ციცინათელას უმღერენ,
საღამოობით ელიან,
მას ვერ დაიჭერს ზღარბუნა
ვერ გამოიჭერს მელია.

რა კეთილი ვინმეა,
ის არ ერჩის არავის,
ტყის პირს გუშინ ააგო,
მწვანე ფოთლის კარავი.

დაღამდება, ელიან,
და ბავშვები მღერიან,
ციმციმციმციმ დაფრინავს,
ნეტავ ვიღას არგიხარ...

მუდამ ასე მღერიან,
მანათობელ ფერიას,

„ჩემო, ციცინათელავ,
დაფრინავ ნელა-ნელა,
შენმა შორით ნათებამ,
დამწვა და დამანელა.“

მღერის ლუკა მანანა,
ეთერი და ნათელა,
ცაცხვის ძირას ფრინავენ,
გვიყვარს მისი ნათება.

ხელისგულზე უმზერენ,
სიყვარულით აღსავსე,
– რა კარგი ხარ, პაწიავ,
– მოდი, გამოანათე!
– რა ძალა გაქვს ასეთი,
ხან ანათებს, ხან არა,
გვირილებზე მფრინავო,
გვირილივით პატარა.
ეს, რა კარგი რამა ხარ,
ხარ ცოცხალი შუქურა,
მელამ – იმ ცრუპენტელამ,
გაოცებით უყურა.

ჭიამაია – პაწიას,
წითელკაბიანს ხვდებიან,
– ხვალ კარგი დარი იქნება? –
ბავშვები ეკითხებიან.

იგი საძაგელ მწერების
დაუღალავი მწერია
ულვაშა ხოჭოს წინწკლებით,
მწვანელეულში ელიან.

ტყუილს არ იტყვის
არასდროს,
ოღონ ბალჩაში იაროს,
თავის წითელი ფრთებითა,
ხშირ ბალახებში ფრიალობს.

რა მარჯვე ხოჭოებია,
სპობს ბუგრებს,
ცრუფარიანებს,

სანამ არ გაანადგურებს,
მანამდე თავს არ ანებებს...

მოფარფატე **აპოლონი**
პეპელაა ფრთაჭრელი,

მთამაღალი სამშობლოს
სხივის ერთი ნათელი.
ღმერთის სახელი დაარქვეს,
ფრინავს პეპელა უვნებლად,,
სიმშვენიერით გვახარებს,
მწვანედ მორთული ბუნება!
მაგრამ ერთი დღე
ცოცხლობსო,
მითხრეს და ძლიერ მეწყინა
მინდოდა ასე მშვენიერს
მთელი ზაფხული ეფრინა.

ჭინჭველა

ვინ არის ძალზე მშრომელი?
თავდადებული, მოძრავი?
ჭინჭველა შავი, პაწია,
დედამიწაზე მცოცავი.
მწარე მატლებს და
მწერებსაც,
ანადგურებენ თანდათან,
მათ შეუძლიათ თათებით,
დიდი ტვირთების გატანა.
გონებით იცის ჭინჭველამ,
მტრის და მოყვარის გარჩევა,
მისი შრომის და უნარის,
ნაყოფი ბევრჯერ გვაჩვენა.
გმირულად იცავს ბუდესაც,
უცხოს სახლ-კარში არ
უშვებს,
– მტერია, შემოგვეპარა,
განვდევნოთ, – ყველას
აუწყებს.

კუს ჯავშანი იფარავს,

ის არაფერს იპარავს,
მიჩოჩავს ნელანელა,
ზოგჯერ კიდეც მიგორავს.
ზღვაშიც ცურავს ბაკანით,
დიდი-უზარმაზარი,
თევზებს, მცურავ პატარებს,
კიდეც დასცა თავზარი.
ზოგჯერ გველსაც იჭერსო
გვსურს ეზოში იდგესო,
ჭრელი დააქვს ჯავშანი
სულ არ არის ავშარი.

მაჩვი გაგიგონია?

ჭამს მწერებს და ბაყაყებს,
ის მიწაში ბინადრობს,
ბოროტს არ გაახარებს.
მაჩვს გათხრილი სორო აქვს,
იცის შინ დაბრუნება,
თაფლის არ დაწუნება,
პირის ჩატკბარუნება.

ზღარბი – ეკლიანია,

ძინავს მთელი ზამთარი,
მას ვერ ავნებს ვერავინ
ვერც ტურა, ვერც აფთარი.

სამყაროს ელჩი კეთილი,
ფუტკარი ფრინავს ტყე-ველად,

ყვავილთა მეგობარია
თავზე მალამოდ ევლება.
დიდი ოჯახის დედაა,
ვეძახით უფლის გაჩენილს
თაფლი შემოაქვს ულევი,
მას დაელოცოს გამჩენი.
კარგად იციან ბავშებმა,
სასარგებლონი ვინც არის,
ავგულა მტერი ბევრია,
დიდიხანია ვიცანით!

ჭრიჭინა – ხეზე ბინადრობს,

ჭრიჭინებს – ჭრია-ჭრიაო,
მისი საზრდო და საგზალი,

ბალახში ბევრი ყრიაო.
ზაფხულში მუდამ იმღერის

ვაზებში ზის და ჭრიჭინებს
ის პატარაა, უმწეო,
ტოტებზე როგორ იძინებს!?
იგონებს ჰანგებს მისებურს
ეს არის მისი უღელი,
ისიც კი მომღერალია
ზის და სამშობლოს უმღერის!

– ყიყლიყოო, – ყივის **მამალი**,

გამოიღვიძეთ მალეო,
მინდა ხმატკბილად გიმღეროთ,
მაგრამ ძლივს მოვიცალეო!

***

ზღარბმა, თხუნელამ,
გომბეშომ,
ასე მისწერეს ბებიას,
– ბრძენო, ძვირფასო დედილო,
ბავშვები არ გვეშვებიან,
ფეხი მოტეხეს თხუნელას,
და ძლივსღა დადის სულნელა,
ჯოხით გალახეს ბაყაყი,
მუცელს იტკივებს ნანაყი,
ზღარბს თოკი მოსდეს
ეკლებში,
და დაუშინეს ბეჭებში.

– ჩვენ განა რამეს ვაშავებთ,
რუხი ბელტები დავშალეთ,
ავგულა ქვეწარმავლისგან
მწვანე ბოსტანი გავცალეთ.

– გვინდა ბავშვებმა იცოდნენ,
თუკი მოგვისპობთ
სიცოცხლეს,
ჭია-ღუით და გველებით,
დაიფარება ველები.

– თუ ვენახებში დავდივართ,
მხოლოდ კეთილი ფიქრებით,
იცოდეთ, სანამ ვარსებობთ,
ხალხის მშველელი ვიქნებით.

თქვენი თხუნელა,
ზღარბი და
თვალდაკუსული გომბეშო
წერილს კითხულობს, თავს
იქნევს,
შეწუხებული ბებია
– ესენი ჩემი, შვილებო,
კეთილი მეგობრებია.

***

ბუნებამ უხვად გვაჩუქა,
მწერები სასარგებლონი,
მაგრამ ბოროტიც ბევრია,
ხარობენ მზით და მდელოთი.

ბავშვებს ერთ-ერთი
გიყვარდეთ,
ეს მთა და მდელო თქვენია,
ღმერთმა გვიცოცხლოს
სამშობლო
დედა, მამა და ბებია!

ლია ბეჟანიშვილი

ბავშვებს

თქვენა ხართ ჩემი სიცოცხლე,
ჩემი იმერ და ამიერ,
თქვენა ხართ ჩემი გულისთქმა
და ჩემი მრავალჟამიერ.
თქვენა ხართ ჩემი სამყარო,
ეკა, ნიკო და იმედა...
თქვენა ხართ ცაზე ვარსკვლავნი,
დაბადებულნი იმედად.

თქვენა ხართ აწმყოც, წარსულიც,
ცეცხლიც თქვენა ხართ, აბედიც,
სიზმრებში ისევ ბავშვი ვარ,
ცხადში კი, თქვენთვის დავბერდი.
თქვენა ხართ ჩემი სიცოცხლე,
ჩემი იმერ და ამიერ,
თქვენა ხართ ჩემი გულისთქმა
და ჩემი მრავალჟამიერ!

წერილი ნათიას

წერილი რომ მივიღე,
საყვარელო ნათია,
ბებომ სიხარულისგან,
მთელი ღამე ათია.
ფისო, ყურშა, ბროლია,
ჩვენთან არის სამივე,
კარგად ვუვლით დაიკო,
უფალია გამრიგე.
ჩვენმა ნერგმაც იხარა,
შემოგევლოს საიდა,
თუთიყუში ხომ გახსოვს?
ენა უკვე აიდგა.
ახლახანს წაუკითხა,
ბაბუს შენი ბარათი.

ეს დღე დავაგვირგვინეთ,
დიდი ლხინის გამართვით.
ყველას შევატყობინეთ,
კარგად რომ ხარ, ჯანმრთელად,
გადაჭრილი ბილიკი,
ჩვენ შორის რომ გამთელდა.
მომიკითხე რუსთავი,
დედა, მამა , ბაბუა,
ჩემეული თოჯინა,
თვალხატულა, ღაბუა.
აქედან მოგიკითხა:
გუნდამ, იდამ, შაქრიამ,
ჩვენ სიყვარულს დაიკო,
ტყვიები ვერ წაშლიან!

ყოჩაღი

დილიდანვე ფეხზე დგას,
დაფუსფუსებს თამარი,
ახლაც მოუცუნცულა
ნინა ბებოს წამალი.
ძამიკოსაც მიხედა,
არ გეგონოთ ზოზინა,
აბანავა ვასილი,
ქადის ცომი მოზილა.

გელას ნაცვრა

გეყო გარეთ თამაში,
შინ შემოდი გელა,
ვინმემ არ შეგაშინოს,
მზე ჩავიდა, ბნელა.
აღარ გახსოვს გუშინ ხბომ,
ლამის გადაგთელა?
-ნეტავ როდის გავხდები,
თედო პაპას ხელა...

ნაწყენი თხილები

ციყუნიამ ზამთრისთვის,
შეაგროვა კაკლები,
არც კი შემოუხედავს,
მათზე რით ვართ ნაკლები?
ბუზღუნებენ თხილები:
„კუდიც კი არ შეგვახო,
არ აუდგეს გვერდები,
სახლში ჩვენ არ ვეახლოთ“!

ბებოს გათრთხილება

ჩვენს ტარიელს სიცხე აქვს,
გამაფრთხილა ბებიამ,
ახლოს არ გაეკარო,
გრიპი გადამდებია.
– ლეკვს რომ ეთამაშება?
– ფისო გვერდით რომ უწევს?
– ხვალ შენც გეთამაშება,
სიცხე როცა დაუწევს.

ცნობისმოყვარე

ლოგინიდან წამოხტა
გაწეწილი ნინიკო,
– კარზე აკაკუნებდნენ,
ძამიკელა, ვინ იყო?
– სათევზაოდ მივდივარ,
მომაკითხა ნიკალამ,
– მთელი ღამე რომ წვიმდა?
– უკვე გადაიკარა.

ჰაექრობა

– პაპა, გუშინ ბოსტანში,
ონავარა ოთარმა,
გადარგული ნერგები,
ძირიანად მოთხარა.
– მზია რატომ ატყუებ?
ვინ მოთხარა, დავბარე.
სჯობს შენ საქმეს მიხედო,
სახლი კარგად დაგავე.

მეტიჩარა

ორი დღეა არ მასვენებ,
შემაწუხე ბროლა,
მაშინ უნდა დაიყეფო,
როცა უცხო მოვა,
– ქარს ვუყეფავ! –
გენაცვალე, შეაწუხა ნუში,
ვერა ხედავ მეტიჩარა,
გაკვირტას რომ უშლი?!

ზარმაცი გელა

მელიაც ვერ დახატე,
ეშმაკუნა, ფლიდი,
ზღაპარიც არ იცოდი,
ასამდეც ვერ ითვლი,
ზარმაცი ხარ, აბა რა?
საყვედურობს დარიკო,
ჩემი სამეგობროდან,
ნახავ თუ არ გაგრიყო.
დაო, ნუ გამაწითლე,
ბოდიშს იხდის გელა,
სირცხვილისგან ვიწვები,
ზღვასავითა ვღელავ.

დარიგება

დილიდანვე ტიკ-ტიკით,
რჩევებს აძლევს სონია,
დედოფალას არიგებს,
ისიც უსმენს ჰგონია.
„ფაფა უნდა მიირთვა,
დილით თვალისჩინოო,
მეგობრები სკოლაში,
უნდა გაიჩინოო.
ვინმეს ათვალწუნება,
გოგო ცუდი რამეა,
ახლა კი დაიძინე,
შემოგევლე ღამეა.“

მეტიჩარა ელენე

მაგ ფანჯარას მოშორდი,
მეტიჩარა ელენე,
კაბას ვუქსოვ თოჯინას,
შუქი ნუ დამიბნელე!

უმადური ფისო

კამფეტი რომ გაჭამე,
შოკოლადი – „ბარამბო“,
ფისო არა გრცხვენია,
მადლობას რომ არ ამბობ?!

ქალაქელი

ქალაქიდან გვესტუმრა
თმაქოჩორა გუგეშა,
დედა რომ მოენატრა,
მურიამ ანუგეშა...

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი

პოემა

მარ ბაჯიევი

(გაგრძელება)

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის მე-3-6 ტომსება და
ჟურნალი „ათინათის“ მე-18-29 ნომრებში

. . . .
სწრაფად მიჰქრის ალმანბეტი,
ეს სარალა რა მალია,
და სირგაკის კოკჩებიჩიც
თითქოს იყოს სამალია.
და ერთგული კარტკურონიც
სწრაფად კვალში მისდევს ცხენებს,
დაიღალნენ მზვერავები,
მდინარესთან შეისვენეს.
თავს ჩუბაკი წამოადგათ,
შეეგება მოსულს ალმა,
ხელი ძმურად გაუწოდა
გაუღიმა, უთხრა: „სალამ!“
ალმანბეტის მისალმება
ჩუბაკმა ჩააგდო არად,
ალმამ ჰკითხა: – „მოხდა რამე?
რატომ იყურები მწყრალად?
რად გიჭირავს ხელში ხმალი?
რად არ ჩამეკარი ძმურად?
ნუთუ თავს დაგვესხა მტერი
და ჯარი გაგვინადგურა?“
„ძმურად როგორ ჩაგეხვიო,
რა ღირსი ხარ ძმობის ნეტა?
დაგავიწყდა ლაშქრობაში
როგორ ვმამაცობდით ერთად?
იმ ბრძოლების, იმ ქარცეცხლის
არაფერი აღარ გახსოვს?
იქ დაღვრილი წმინდა სისხლი,
ჩინელისთვის არც კი ფასობს!
აღარ გახსოვს, ძმობის ფიცი
აზიდული გვქონდა ფარზე,
თუ ძმად მთვლიდი, უჩემოდ რად
წამოხვედი დაზვერვაზე?
თითქოს ქალაჩუნა ვიყო,
არც კი მაგდებ აინუნში,
ანდა, იქნებ თავ-გზას გვიბნევ
და ღალატი გიდევს გულში?
სირგაკი წამოიყვანე,
ადვილად რომ გააცურო,
რა ზრახვა გაქვს, რა სურვილი,
მიპასუხე, უმადურო!
ჩუბაკმა ხმალი იშიშვლა,
ალმანბეტიც წამოენთო
ძმა ძმის ხელით სიკვდილისგან
დაიფარე, გვედრი, ღმერთო.
ალმანბეტმა დაიძახა:
„სუფთა არის ჩემი სული,
ერთგულებას დავეძებდი
ბედისაგან შერისხული.
ამდენმა უსამართლობამ
ბედკრულს გული შემიჭამა,
მე დავიცავ ჩემს ღირსებას,

ჩუბაკ, დამცირება კმარა.
ან მოგკლავ, ან შეგაკვდები
მე სიცოცხლე მიჩანს ჩირად,
ვხედავ დიდი რეგვენი ხარ,
თუმცა თავი მოგაქვს გმირად.
ცხენს დეზი ჰკრა ალმანბეტმა
ჩუბაკისკენ გააჭენა,
გაიმართა ორთაბრძოლა
მას ვერ აღწერს კაცის ენა.
ჩუბაკმა ფარი იფარა,
აიცდინა ხმალი ბასრი,
სად იყო და სად არ იყო,
აგუგუნდა დობულბასი.
თითქოს ციდან ხმა გაისმა:
„რატომ იბრძვით, რამ შეგშალათ?
დაივიწყეთ ნუთუ ძმობა?
რა ავმა ზნემ მოგიარათ?
მტერს ეკვეთეთ ასე ჟინით,
თუ გამოცდა გინდათ ღონის“.
თქვა მანასმა, როგორც ფარი
ჩადგა მოშულართა შორის.
„დევგმირებო, ლომგულებო,
მოთოკეთ რისხვა და ბრაზი,
კარგად იცით, რომ უთქვენოდ
ჩემს ცხოვრებას არ აქვს ფასი.
იცით, უთქვენობა მომკლავს,
იცით, უთქვენობა შემშლის,
თუ ჩემთან ხართ, შემიძლია
მსოფლიო მეჭიროს ხელში.
ხოლო, თუ არ შერიგდებით,
არად გიღირთ ძმობის მადლი,
თუკი გულში გიდევთ ბოღმა
ეშმაკისგან დანაბადი,
იცით, ხმა უცებ ვრცელდება,
ხვალ ყველას ეცოდინება
ყირგიზების ჯარში არის,
მტრობა და განხეთქილება.
ამის მერე, კარგად იცით,
რა იქნება, რა მოხდება,
ერთიანი ყაგანათი
სულ გვარებად დაიშლება.
ჩვენი ჭკუანაკლულობით
როგორ გაიხარებს მტერი.
თუ ბარტყი ბუდეს მოწყდება,
ხდება მგლების შესაჭმელი.
მაინც ცხარობდა ჩუბაკი: –
„უნდა გავუსწორდე ჩინელს,
თავს ლეჩაქი დამახურეთ,
თუ ქადილი შევარჩინე.
ჩემს თავს უცხო გირჩევნია,
ერ-მანასო, შენთვის ვინ ვარ,
რად დაივიწყე ალტაი
ანდა ჩემი თავგანწირვა.
მე სიკვდილზე წაველ ბევრჯერ,
შენ დიდება გერგო წილად.
აღარ მინდა თავი კიდევ
გავიხადო დასაცინად.
მე ღმერთივით გაფასებდი
და შენც ღვიძლ ძმად მთვლიდი ერთ დროს,
მოთრეული გირჩევნია
მანას, ორმოც თანამებრძოლს!“
ამ სიტყვებმა უფრო მეტად
გააფიცხა ალმანბეტი:
„უნდა ჭკვა ვასწავლო ჩუბაკს
და ვაწყევლინო თავბედი.
ტალახში რად ამომსვარა,
რად მიწოდა მოთრეული,
ამ მახვილით თავხედ ჩუბაკს
უნდა განვუგმირო გული.“
დაიყვირა ერ-მანასმა: –
„იცით, არ მაქვს მტრების შიში,
თქვენ ერთმანეთს შეებრძოლეთ,
მარტო წავალ ბეიჟინში,
იცით, ბრძოლას ჩვეული ვარ,
მანას ჩემი სახელია,
გამარჯვება ან სიკვდილი,
მუდამ გულზე მაწერია.
ამოხოცეთ ერთმანეთი
და მტერს გული გაუხარეთ,
რაც სახელი გქონდათ დღემდე,

მიდით, ლაფში ამოსვარეთ.
ვხედავ, ბოღმამ დაგაბრმავათ
და არცერთი არ ხართ ჭკვაზე.“
ამოიგმინა მანასმა,
იქვე ჩამოჯდა გორაკზე.
უცებ გაჩერდა ჩუბაკი,
თითქოს თავში დასცხეს კეტი,
ერ-მანასის მწარე ოხვრამ
გააქვავა ალმანბეტიც.
ჩამოქვეითდა ჩუბაკი,
სირცხვილით თავი ჩაქინდრა,
გულს ხელები დაიკრიფა
ალმანბეტისკენ წავიდა.
უთხრა: – „ჩემი გულფიცხობა,
მაპატიე, ძმაო ალმა,
სიამაყემ დამაბრმავა,
გამაბრიყვა შაითანმა.
თუ შენს მტრად მთვლი, არ დამინდო,
ადექ და თავი მომკვეთე,
ერთგულებას შემოგფიცავ,
თუკი მიმიღებ მოკეთედ.
თუ კვლავ მოგიღერე ხმალი,
ეს მარჯვენა გამიხმება,
როგორც ძმამ და მეგობარმა
მაპატიე გაფიცხება“.
„მე თავად ვარ დამნაშავე,
გული რომ გატკინე, ვწუხვარ,
შენგან ვითხოვ პატიებას!“ –
ალმანბეტმა ჩუბაკს უთხრა.
ერთურთს ძმურად ჩაეხვია
უცებ ორი გოლიათი
და ერ-მანასს სიხარულის
მოეფინა ათინათი.
თითქოს ერთურთს შეეყარა
მზე და მთვარე ფირუზ ცაზე,
და სხივივით გაიბრწყინა
სიხარულის ცრემლმა თვალზე.
თითქოს ყელში გაეჩხირა,
რაღაც მძიმე, მწარე ბურთი,
გულმაც ისე იწყო თრთოლა,
თითქოს ბავშვად იქცა წუთით.
შერიგებულ ძმადნაფიცებს
ვერ მოწყვიტა გმირმა თვალი,
იდგა ასე, ერ-მანასი,
სიხარულით გულგამთბარი.
მანასი და ალმანბეტი,
სირგაკი და ერ-ჩუბაკი,
აი, ოთხი გმირთა-გმირი,
აი, ოთხი გოლიათი.
თითქოს ოთხი ვარსკვლავია
მიწად დაშვებული ციდან.
სურთ ბეიჟინს გადახედონ
ტალ-ჩაოკუს მწვერვალიდან.
მზის ქვეშ თეთრი ღრუბლებია
თითქოს ცას მისწვდები ხელით,
და ალტაის მინდვრებიდან
თავ-ბრუს დაგახვევს სურნელი.
ერ-მანსმა გადახედა
გაშლილ მინდვრებს, ბაღებს, სერებს,
მოფუსფუსე ჩინელები
როგორ გვანან ჭიანჭველებს.
ალმამ მანასს უთხრა: – „იქ, შორს
ქალაქის მშობლიური,
დავალ ასე, ცოცხალ-მკვდარი,
ბეიჟინში დამრჩა გული.
ესენ-ხანი გულბოროტი
ჩეტ-ბეიჟინს დღეს განაგებს,
მტრობისთვის, თავკერძობისთვის,
ყველაფრისთვის პასუხს აგებს.
ალოოკეს სახანოა
ჩეტ-ბეიჟინს რომ გაივლი,
იქა ცხოვრობს კონურბაი
ალოოკეს გულღრძო შვილი.
მარჯვნივ სოლონის ტომია
მანჟუს ტომი მარცხნივ არის,
ამ მხარეს ქალწული მართავს,
ორონგუ, ჩინეთის თვალი.
ბოზკერტიკის სამფლობელო
მჭიდროდ ეკვრის იმ სახანოს,
აქეთ ბრინჯის ყანებია,

იმ ფერდობზე ჩაი ხარობს.
ამ მხარეზე უფრო წარმტაცს
კაცის თვალი ნახავს განა?
იქ ტბებია კოკ-ნოორის
მარგალიტებს როგორ გვანან.
დიდებული მხარე ჩინთა
სახანოებად დაშლიდა.
თუმცა ჩემი სამშობლოა,
არ მიმიღო მე ღვიძლ შვილად.
ბეიჟინი გადაურჩა
ნიაღვარს და თავსხმა წვიმას,
როცა წარღვნამ უთვალავი
სულიერი შეიწირა.
როცა წყალმა გადარეცხა
კაცთა მოდგმის ყველა ცოდვა.
რა ხდებოდა აქ ჩინეთში,
სოლომონმა რა იცოდა.
რა ზღაპრული ბუნებაა,
მართლაც წალკოტია ღმერთის,
მაკედონელმაც ვერ შეძლო
დამორჩილება ჩინეთის.
რა მოვლილი ბაღჩებია
შრომა უყვართ ჩინელ კაცებს,
მშრომელებთან რა ხელი გვაქვს
კონურბაის დავამარცხებთ.
ბჭობითა და მასლაათით
დაიმშვიდეს გული რაკი,
ჯარისაკენ გამობრუნდა
ერ-მანასი და ჩუბაკი.
მზემ სხივები გადმოფინა,
თითქოს გმირებს ლოცავს ზენაც,
ალმანბეტი და სირგაკი
გაემგზავრნენ დასაზვერად.

(გაგრძელება იქნება)

Ratiani Lali **Luara Sordia**

ERINNERUNGSTHEORIE IN DER SCHÖPFUNG VON ROBAKIDSE GRIGOL

Robakidze Grigols Welt ist von der extasischen Intuition, groβem Intelekten, der Erfindlichkeit, von der mathematischen Rechnung des Gefühls und der Erreichensbegabung der noch nicht erreichbare Tiefe des Bewuβten und des Unbewuβten im Bereich der Vernunft, von der Antizipationsfähighkeit, als biblische Prophezeihungen erfüllt und durchdrungen.

Der Schriftsteller teilte die Meinung mit den Historikern mit, daβ die erste älteste Heimat der Georgier Kaldea war und er dort nach seinen poetischen Wurzeln suchte.

Iran und Gilgamesch hatten auf ihn im Jahr 1916 einen besonderen Einfluβ gemacht, als er sich im Persien als Zivielbeamte aufhielt. Von dort aus begann seine "Umwandlung"/Umkehrung/" Er schrieb:" Ich bin bis zum Mesophotamie angelangt und hatte solch ein Gefühl, daβ ich jahrhundertlange verlorene Heimat wieder gefunden habe… Das Spüren der Erdboden verwandelte sich bei mir auf der Iransebene etwas ins Kosmisches".

"Zaratustra"von Nizsche, "Sofa" von Goethe, Abschnitte aus "Gilgamasch"gaben mir zu Verstehen, daβ meine dichterischen Wurzeln hier waren. (Mein Leben). (13, 227).

Seine Haupterklärung ist:" Plötzlich fiel mir ein, alles was es passiert und was es uns scheint, schon einst gewesen zu sein,"(13, 229)

Könnte sein, dass mein Traum eine unklare Erinnerung daran ist, was es schon einst irgendwo, irgendwann gewesen war. (13, 174)

In den Standpunkten von groβem griechischen Philosoph Platon hatte Robakidse Grigol "das Gefühl des Weltgedankens, Mnemosins, des Weltkörpers gefunden und ausgewählt."

Daβ jedes grundsätzliche Wissen zuletzt doch die Erinnerung an das schon Gewesene ist und die geniale Nation –Klinisa- den Begriff des Welkörpers, Mnemosins geschaffen hatte, hätte Platon damit die Wahrheit gesagt. Mnemosin ist ein organisches Gefühl, das Gefühl des Weltkörpers. (Seele der Nation der Schöpfnung). (13, 310)

Der Weg zum "Weltstoff, zur Weltseele ist die Erinnerung und der Wegzeiger für Robakidse Grigol -hier auch Platon:" Derjenige, der sich an etwas wahr erinnert, ist ein echter Künstler…Der Meister entfernt sich von der Schöpfnungszeit der empirisch-persönlichen Grenzen und durch die Entfaltung der Phantasie vereinigt sich mit den bunten Faden des Weltstoffes/der Weltgewebe.

Mnemosin ist ein organisches Gefühl, ein Gefühl des Weltkörpers. ein inniger Teil des Weltkörpers, als "Mitwesen der Seele.(Seele und Schaffen der Nation)(13, 311)

"Entfernt von dem nüchternen Alltagsleben sieht der Künstler "im Traum mit den offenen Augen "die Entstehung der Gesichter "hell. Apolla ist der "Hellseher des Traumes", Musan"- aber die schönste Tochter des Weltgedenkens, des Mnemosins. Das Weltgedenken ist ihre Mutter-Quelle. Die Bächer erzählen dem Dichter flüsternd das Märchen, Mythos, die Überlieferung."(13, 212-213)

Robakidse Grigol unterstrich, daβ der echte Schöpfer die Grenzen des Individualismus verlässt und in die Seele der Nation übergeht, weil jeder Künstler ein organisches Teil der Seele der Nation ist, seine Seele ist aber "ein individuelles Gesicht der Seele der Nation… Die Seele der Nation kommt ideal dem Leben/dem Dasein jeder seinen Mitglieder zuvor…Der Künstler verwandelt sich während der Schöpfnungsakt völlig in die Seele der Nation."(13, 334)

"…Wenn die Seele, als ein lebendiges Wesen, in der Seele des Künstlers nicht existiert, dann ist sie von der organischen Umwelt abgerissen und die kollektive Phantasie wirkt bei ihm nicht mehr weiter „,Dann ist ihre Kraft einfach fruchtlos."(13, 316)

Der Schriftsteller erklärte die Liebe, die Einnigkeit der Seelen durch die Idee der Verkörperung:" Könnte sein, mein Traum sei eine unklare Erinnerung daran, was es schon einst irgendwann, irgendwo gewesen war. Vielleicht ist es so, sonst wie würden wir uns anders einander treffen? sagte Lewan Orbeli seiner Geliebte im Roman "Mzweli Graalisa"/Graalis Verteidiger"(14, 174)

Die Liebe verbindet sich die Menschen miteinander und der Tod entfern tsie voneinander. Daβ sich die Menschen im zukunftigen Leben miteinander treffen werden, das ist ein groβer Trost:" Die Liebe ist göttlich, sie entnimmt sich früh oder später einander, solch ein Sehnen und die Entfernung, wodurch die Gerliebte sich quellen und leiden, trägt eine göttliche Natur. Sie werden sich einander irgendwann, irgendwo treffen. " (24, 241)

Man kann sich nach dieser Theorie auch die Verbindung der Generationen unverbindlich vorstellen:"Wir verkörpern uns und die Anderen kommen, aber die Verstorbenen und die Kommenden sind gleich. Der Vater ist im Kind, das Kind zieht sich das Leben des Vaters weiter". (14, 157)

Es ist interessant, wie sich die Erinnerungentheorie im Schaffen von Robakidse Grigol gezeigt hatte.

Durch das Eindringen der elften bolschewistischen Armee in Tbilissi am 25. Februar des 1921 Jahres und das Verloren der Unabhängigkeit hatte sich die "demonische Gefahr"gestärkt. Es war so, als ob die" ganze Ikone Georgiens"in der Seele zerstört und das sich aus dem Sinn des"heimatverlorenen" Schriftstellers aufgebrauste Licht "als Schmied der Seele" in den Schwert verwandelt wäre, um den vernichteten Schlag, Angriff durch das seltsame Hellsehen zu bekämpen. Die Einbildungskraft des Schriftstellers hatte die Annahme des Eindringensprozeβes der Mongolen, das geschickliche Verloren der Georgier, die Ungehorsamkeit vor den Feinden und Todesbeschluβ aus der Vergangenheit abberufen/angenommen. Die georgischen **Ritter** knien sich vor dem Kreuz und fliehen Gott um die Rettung der Heimat, zu diesem Augenblick zeigt sich irgendwoher ein kleines Mädchen in ihren einwandfreien Händen das Kreuz tastend, dadurch am Kreuz drei goldene Weintrauben entstehend und solch eine himmlische Glückselligkeit, gab einen Anreiz zur Umkehrung der Geschwörenen zum Leben. Die Ritter machten aus den Weintrauben den Wein und bewahrten ihn behutsam als Heilligkeit, weil im **Schale**-das Herz –georgische Sonne-gewehrt wurde. Ringsherum der Schale, ähnlich der heiligen Order von Graali hat sich Geheimbruderschaftsbund formiert. Die Verteidiger von Graali verteidigten die Heimat vor den Feinden.(14, 33)

Der Autor dieser Überlieferung ist Lewan Orbeli/derselbe Grigol Robakidse/, der auch die Psalmen des Kreuzes von heilige Nino geschaffen hatte. Er erklärte :" Bei diesem Hellsehen hatte ich solch ein Gefühl, als ob ich davon bis dahin, bis auf die Kleinigkeiten gewuβt hätte."Es scheint mir, jemand das Gleiche vor langer Zeit schon erzählt zu haben, aber ich weiβ nicht, wer er war. Könnte sein, daβ jemand mir im Traum zugeflüstert hätte? Das weiβ ich auch nicht genau.Vermutlich, hätte ich darüber im früherem Leben erfahren? Manchmal glaube ich, alles eben so gewesen zu sein". (14. 113)

Der Führst Giorgi präzisiert:"Wahrhaftiges Hellsehen entspricht immer der Wirklichkeit."(14,115)Dieses Erreigniss ist nur kein Hellsehen… Das ist eine historische Tatsache…Jawohl, Das Kreuz aus Weinstock hatte man zu dieser Zeit in der Tat in einen der Fühstenreichen-Mesheti bewahrt.

"Das Weintraube-Wunder geschah es vor einigen Jahrhunderten zuvor, beim Angriff der Araben. Diese Geschichte überlebten die Oberhäupter des Reiches Aragwi."

„… Sollte aber dieses anders formulierte Geheimnis von Generation zu Generation, von Mund zu Mund nicht übergeliefert worden sein"?(14,111)

Das Erinnerungenphänomen trägt im Schaffen von Robakidse solch einen tiefen Sinn, auf die Zukunft der Nation blickend.

Unter der Seelenwanderungstheorie versatand er nicht nur die ewige Rückkehr der Einzellnen zum sich selbst, sondern auch die Rückkehr des Ewigens im Einzellnen zum sich. " (Mein Leben.) (13, 229)

Zu Folge dessen suchte der Schriftsteller derartig nach dem Weltbild der Georgier.

"Grigol hatte für sich selbst viel Arbeit in der Suche des Weltbildes der Georgier geleistet. Seine Suche wurde in zwei Richtungen entfaltet worden: durch das Schaffen der neuen Legende über die heilige Graali und die Formierung des Gotzenbildes von Kardius."(14, 76)

Der Autor unterstrich diese Tatsache folgenderweise:"Jahrhundertelang bin ich der einzige Autor, der das Weltbild der Georgier bekannt macht. " (Der Brief an Giorgi Gamkrelidse)

"Der Autor der georgischen Sprache, namens Kardhu, ist kein einzellner, beliebiger Georgier, sondern das Bild der sonnigen Georgier," schrieb Grigol Robakidse.

"In der Mitte des Weltbildes der Georgier stellte Grigol Robakidse Kardu…Dieser Name ist seine Erfindung, den er vom Wort Georgier als Benennung angenommen hatte."

" Kardu ist unser mysthische **Nachkomme.** Er ist eine Persöhnlichkeit und ist auch zugleich keine Persöhnlichkeit."(Graalis Verteidiger)

Kardu besitzt zwei Hypostasen: weibliche-Heilige Nino, männliche-Laschari, weiβer Georg."(13, 40) „Er war nie gewesen, aber er ist immer. Darunter soll man verstehen, daβ er geschichtlich niemals gewesen war, aber ist übergeschichtlich.

„Der in der geschichtlichen Wissenschaft damaliger Zeit verbreitete Gedanke darüber, daβ die älteste Heimat der Georgier Kaldea war, wurde zum Gunst Kardu von Grigol besagt".

Bei der inhaltlichen Formulierung von Kardu hatte dem Schriftsteller die Idee über das erste Hellsehen von Goethe geholfen. Er sagte selbst:"Die Lehre von Goethe über das erste Hellsehen wurde für mich zur Grundlage des Erkenntnisses geworden."(Mein Leben)

In der Tätigkeit von Grigol Robakidse kann man auβerdem Majasmotive treffen: "Die Welt zerlegt sich,wie ein schreckliches Gespenst, gewickelt im geheimnissvollen Majaslacken der alten Indianer."(Seele und Schaffen der Nation)(13, 308)

In der wedischen Mythologie bezeichnete Maja die Eigenartigkeiten des göttlichen Wesens-Wandlung-Veränderung, Methamorphose, Illiusion, Gespenst.

Die Idee des ewigen Zurückkehrens und Maja-: „ Es sind zwei Seiten einer und derselben Medaile“, oder es sind zugleich der Glaube und der Verdacht, deren Existenz in der Tätigkeit von Grigol nachzudenken ist. Nach der Erklärung von Akaki Bakradse, könnte sein, daβ der Schriftsteller an „die Idee der ewigen Rückkehr bis zum Ende nicht geglaubt hatte.“(15, 106)

Das von Robakidse Grigol ausgesuchte Weltbild der Georgier war das Hauptwesen des mythischen und nicht des geschichtlichen Georgiens, weil seiner Meinung nach das mythische mehr echt, als das geschichtliche war. In seiner künstlerischen Vernunft existierte das ausgedachte Georgien, ähnlicherweise, wie das ausgedachte Götzenbild von Kardu ist. Niemand wuβte darüber, ob sich das mythische Georgien in das geschichtliche Georgien verwandelt/gezeigt werde? Grigol Robakidse hatte doch solch einen Wunsch und das Streben. (15, 96)

Bekanntlich: “ Wenn der Staat keinen nationalen Kern und keine nationale Idee hat, wird er kein schöpferisches Leben führen können. “

Robakidse Grigol versuchte nationale Bewuβtsein des Volkes zu erhöhen und sich für die hohe Idealen zum Ziel zu setzen. Seine ganze Schöpfung ist von der nationalen Idiologie, der Suche der zukünftigen Orientierungspunkte und von den Rettungswegen durchdrungen/imprägniert.

ლუარა სორდია, ლალი რატიანი

მოგონების თეორია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში
რეზიუმე

მოგონების თეორია პოპულარული იყო როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში.

პლატონის მიხედვით, სული ყოვლისმცოდნეა. ძიება, ცოდნა და შემეცნება სხვა არა არის რა თუ არა მოგონება(იონი, დიდი ჰიპია, მენონი).

გრიგოლ რობაქიძე, იზიარებდა როგორც გარდასხეულების, ისე მოგონების თეორიას(„ერის სული და შემოქმედება", „გველის პერანგი“, „მცველნი გრაალისა“).

Lali Ratiani, Luara Sordia

The Theory of Recollection in Grigol Robakidze's Creative Work
Summary

The theory of recollection was popular in both East and West

According to Plato, the soul is omniscient. Search, knowledge and cognition is recollection (Ion, Great Hippie, Menon).

Grigol Robakidze shared both the theory of reincarnation and recollection (**‘The spirit of the nation and creativity’**, **‘**The Snake’s Skin’, **‘Defenders of Grail’).**

დათო ყანდაშვილი

გულნაზი ხარაიშვილი

ჩემო საქართველო

ჩ – ემი მიწის სურნელებით დამათვრე,
ე – კლები კი მომაცილე ღმერთო.
მ – ივსტირივარ, ის რაც ძალით წამართვეს,
ო, – ამ გულში ცეცხლი ისეც მენთო.

ს – ევდას მინდა ფიქრის კარი მიუხურო,
ა – რ დავიხრჩო ცრემლის მლაშე ზღვაში...
ქ – არბუქშიდაც სამშობლოს მსურს ვემსახურო,
ა – რ გადავცვლი ერთ გოჯ მიწას განძში.

რ – ეროჭრელა მომიმრავლდეს ჩემს ბაღნარში,
თ – ბილ ბუდეში მოვეფერო ჩიტებს...
ვ – იტრიალო ძველებურად ძველ მარანში,
ე – ს იმედი გულში ამიტვირთეთ.

ლ – ომის ხახას ამაცილე გამჩენო,
ო – ლიანდრებს ფერი სევდით ეცვალა,
ჩემო ღმერთო, ცას როს მოვალ მაჩვენო,
დამანახე ის ვინც გარდამეცვალა.

Моя Грузия

Дай опьянеть радной земли благоуханием,
А от шипов освободи, мой Бог.
Оплакиваю забранное ложью и насилием,
От этих искр огонь горел, как мог.

Закрою двери мыслям о грусти и потери,
Чтобы не утануть в солённом море слёз...
И в вюгах службу родине хотела и
Даже горсть земли я не продам за грёз.

В моём саду пусть расцветают самоцветы,
Хочу – ласкать птенцов в гнезде родном,
Ухаживать за погребом вина, где все как дети;
Вот моё чаяние – ведь это всё **есть дом.**

О, огради от пасти льва, создатель,
Ведь даже листья от тоски страдают,
Когда придет пора на небо странствии,
Дай встретить тех, по кем я так скучаю.

ამაღლება

მინდა ავმაღლდე და მივწდე ზეცას,
ჩამოვიწიო მზეთა სხივები,
დღეს მინდა ჭრელი სამოსი მეცვას,
გულზე მეკიდოს თეთრი მძივები!

დღეს მინდა თეთრი ქოშები მეცვას
და ნეფედ მყავდეს ჩემი ვახტანგი,
ვიღაც ბოროტის თვალი თუ მეცა,
თორემ მე ხურდას არვის ვატანდი!

მინდა ავმაღლდე და მივწვდე ზეცას,
ვუთხრა: სად არის ჩემი ქმარ-შვილი,
სანამ, სიცოცხლეს ამომიცენცავს,
სანამ ღრუბლებად ამ გულს დავშლიდი..

დღეს მინდა ჭრელი სამოსი მეცვას,
დავფუსფუსებდე ჩემს დიდ ოჯახში,
ბედო,ალბათ შენ იქეცი მხეცად,
შემომეჭერი,ჯიქურ ოთახში...

რას მიზამ, უკვე მოვკალ სიკვდილი,
გავხდი კეთილი, უსათნოესი,
რადგან არა გაქვს ბედო სინდისი,
მე კიდობანი მიცდის ნოესი.

Это и есть вознесение

хочу подняться, достичь до неба,
спустить лучи – любовь всех солнц,
переодеться в радужных одеждах,
на фоне белоснежных, светлых бусс!

хочу насить сегодня черевички,
Вахтанг мой рядом будет обитать,
кто меня сглазил, что со мной случилось,
ведь здачу, я умела, никому не отдавать!

хочу подняться, достичь до неба,
сказать: где муж мой и мой сладкий сын,
пока жизнь вичтит дни мой на свете,
и моё сердце в тучи разбредит...

хочу одеть радужные одежды,
хочу крутиться в моей большой семье,
судьба, жестокий, дикий, безпощадный,
ворвалась в комнату моём, как лютый зверь...

что сделаешь со мной, ведь смерть уже убита,
уже я милосердна, источник доброты,
и раз судьба, ты потеряла совесть – ты забыта,
меня ждёт Ноего кавчек, корабль пути.

СТРЕЛЯЙ В МЕНЯ

Стреляй в меня, давно я мёртв уже безмолвно,
Но только будущее сохрани, героев создавай,
Прошу, оберегай птенцов души Грузинской,
Чтоб не ослеп твой ангел, ты так себя не обрекай.

Стреляй в меня, я уничтожен ненавистью,
гневом,
Когда ты ноешь в сердце, я мучаюсь, всё мается,
Таскуют жаворонки, плачут соловьи, смотря как
Кровью Грузии очаг и кров жестоко омывается...

Возненавидила я стул, как символ власти,
Рукою раздраблю, но это лишь страсть мести,
Срубила все шипы, но больше появились
в том же месте,
Грузия без грузин – как это можно? –
страшнее нету вести!!!

მოდი მესროლე

==========

მოდი მესროლე, დიდი ხანია მკვდარი ვარ უკვე,
ოღონდ მომავალს არ ესროლო, გაზარდე გმირად,
გთხოვ, გაუფრთხილდი საქართველოს ღუღუნა ხუნდებს,
თვალს ნუ ამოთხრი შენს ანგელოზს, ასე ნუ წირავ....

მოდი მესროლე, გავნადგურდი ამ სიძულვილით,
როგორ ღრნი ამ გულს, ვიტანჯები, ჯიჯგნი და სერავ,
შორს დაფრინავენ, ტოროლები, ტირის ბულბული,
ქართული სისხლით იღებება, ფუძე და კერა...

სკამი შემძულდა, საკუთარსაც ვარიდებ თვალებს,
ხელით დავამსხვრევ, მაგრამ ამით რა შეიცვლება,
ან ეს ეკლები, რისთვის ვკაფე, რით მიხდი ვალებს,
უქართველებოდ საქართველო, ეს შეიძლება?...

ბეჟან ხარაიშვილი

რატომ გამიფრინდი?

ტყემლების თეთრი ფიფქი,
შენს ბაღში რომ თოვდა,
ნიავს გაზაფხულის
სუნთქვა შემოჰქონდა.

მათრობდა და მწვავდა
მაგ თვალების კრთომა,
მკერდი სავსე გქონდა,
როგორც შემოდგომა.

შენთვის ავირჩიე
ყვავილების კონა,
გვიღიმოდა არე
სხივით დაქარგული,

რატომ გამიფრინდი,
როგორც ჩიტბატონა,
ნუთუ ნაადრევად
მოდის გაზაფხული?

Почему упархнула ты?

Белых снежинок ткемали,
В твоём саду кружила,
Ветер лёгкий, весенный
Дыхание заносила.

Меня опьяняя сжигали
Проблеск очей прелестных,
Груди твой навивались
Как пейзаж осенный.

Выбрал я для тебя
Букет цветов бесподобных,
Мир улыбался нам,
Лучом создавая волны.

Почему упархнула ты,
Как жарптица сияя крылами,
О, неужель слишком рано
Весна наступила меж нами?

სიყვარული იწყებოდა ასე!

გახსოვს? ღამე სოფლის განაპირას,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

სიზმრად გნახე, ღია სარკმლის იქით
გეხვეოდა ანგელოზთა დასი,
მოჩვენება? არა, ცხადი იყო...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

შენს თვალებში ციმციმებდა, მახსოვს,
უსაზღვრო ცა, იმედებით სავსე,
ძილი გსურდა? არა, ღამისთევა...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

ტოტებ-ტოტებ მოგყვებოდა მთვარე,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

Любовь наша начиналась так!

Помнишь? ночью, сельская окрайна,
Брали воду в речке, в тихий мрак,
Ты спешишь? – спросил я, ты молчала...
– Любовь наша начиналась так!

Сон приснился, за окощкам ближним
Ангели с тобой хотят играть
Привидилось? нет, всё было явью...
– Любовь наша начиналась так!

Помню, в очи твой отражались,
Чаянием полным благодать,
Спать хотела? нет, была ты бодрой...
– Любовь наша начиналась так!

Меж ветвями нам луна светила,
Брали воду в речке, в тихий мрак,
Ты спешишь? – спросил я, ты молчала...
– Любовь наша начиналась так!

О, РУСТАВИ

Ждал день грядущий,
Молча сохраняя милость вишних,
Не смог спастись
От тысячи врагов, от тысяч пришлых.

Я был с тобой,
Я тоже выдержал те вихри...
Цветы целую,
Вырванные из ветров до ныне ненасытных.

Преподнимутся холмики цветами света,
Чтоб меня тоже дотянуть до солнца.
Пирую с выщедшым из пепла дерева Чинара,
Он в близ с курою разрастётся молча.

И строчки тоже ласточками,
С небом вглубь слились, –
Будто Тамара меня на подвиг вдохнавила
Могу как гром с курою вместе крикнуть,

Старой реке
Скажу слова игриво –
Молчи кура,
Хватить вздыхать о прощлой боли,

Бурли кровь,
Не сгущайся в моих жилах,
Ори бык,
Плугом деда вспашем другие дали,
Веди мысль, –
Где ждёт меня далёкая вершина!

რუსთავო

ამ დღეს ელოდი,
დუმდი, დუმდი ასეულ წლობით,
ველარ გადურჩი
ათას მომხდურს, ათას ურჯულოს

მეც შენთან ვიყავ,
იმ გრიგალებს მეც გავუძელი...
ვკოცნი ყვავილებს,
ქარ-წვიმიდან გამობღუჯულებს.

წამოიწევენ გორაკები შუბლნათურებით,
რომ მეც თანდათან მიმაზიდონ ახალ პირიმზეს.
ფერფლზე ამოსულ იმ ჭადრის ხეს ვექართულები,
ფესვი ხელახლა რომ გაუდგამს მტკვრის ნაპირებზე.

და სტრიქონებიც
მერცხლებივით ცასთან შეხლილან, –
თითქოს ქოჩორზე გადამისვა ხელი თამარმა
დღეს შემიძლია დავიჭექო მტკვართან მეხივით,

ბებერ მდინარეს
დავადევნო სიტყვა თამამად
მტკვარო იყუჩე,
შენც გეყოფა წარსულზე ოხვრა,

სისხლო, იდუღე,
ნუ ჩადგები ძარღვებში მდორედ,
ხარო იბღავლე,
პაპის გუთნით სხვა ბელტებს მოვხნავთ,
ფიქრო გამიძეხ, –
სადაც მიცდის მწვერვალი შორი!

თარგმნა ***დათო ყანდაშვილმა***

პ რ ო ზ ა

რევაზ მიშველაძე

ფამეგა

რომანი

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №28, 29, 30, 31, 32, 33-ში)

***

ბერია კარგად მახსოვს. ოცდაჩვიდმეტ წელს რვა წლისა გახლდით და რვა წლის ბავშვს, მოგეხსენება, მეხსიერება გაფაციცებული აქვს. მამაჩემი ქალაქ სამაჩვიის აღმასკომის თავმჯდომარე იყო. თბილისში ორ კვირაში ერთხელ მაინც ჩამოდიოდა და ბერია ჩვენთან სტუმრად ხშირად მინახავს. საშუალო ტანის, პენსნიანი კაცი იყო, საოცრად გაპრიალებული ჩექმები და ტყავის გალიფე ეცვა. სხვათა შორის, საკმაოდ გამხდარი და ჩასხმული ტანის იყო. სხარტი მიხვრამოხვრა ჰქონდა. თითოოროლა ლექსი ვიცოდით მე და ჩემმა ძმამ (ძმა წლინახევრითაა ჩემზე უფროსი) და ყოველ მოსვლაზე გვათქმევინებდა. ჩემს პატარა, ტიტლიკანა დას (ათი თვის იყო მაშინ) მხარზე შეისვამდა და ოთახში დაარბენინებდა.

ენგელსის ქუჩაზე ვცხოვრობდით. სამი ოთახი გვეკავა. სანამ დაი შეგვეძინებოდა, დედაც მამასთან იყო სამაჩვიაში და ჩვენ ბებია გვზრდიდა. დედა ბოლოს რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე იყო.

ეს ამბავი ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი წლის ცხრამეტ მაისს მოხდა.

მამა წინა დღით ჩამოვიდა. გოგირდის აბანოში უყვარდა წასვლა და ჩვენც წაგვასხამდა – უღელ ბიჭებს. აბანოდან რომ დავბრუნდით, მახსოვს, იმ საღამოს დედა და მამა დიდხანს უსმენდნენ რადიოს.

ცხრამეტ მაისს პლენუმი იყო დანიშნული – ეს უკვე ბებიაჩემის ნაამბობიდან ვიცი. მამა ათის ნახევარზე გავიდა თურმე სახლიდან. ათს წუთები აკლდა, ბერიამ დარეკა; ლიზიკოვო, დედაჩემს უთხრა, პლენუმის შემდეგ შენთან ვართ სადილზეო. ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა, მამაჩემს პლენუმის ან რაიმე დიდი ღონისძიების შემდეგ ბერია და კიდევ ორისამი კაცი სადილზე მოჰყავდა. სამზარეულოში დედა და ბებია ფუსფუსებდნენ. ჩვენ, ლექსებს რომ ვიტყოდით, საწოლ ოთახში გაგვისტუმრებდნენ. ან, რაც ყველაზე დიდი დღესასწაული იყო, ეზოში ჩაგვიშვებდნენ. ბერია და მისი თანმხლებნი მანქანით მოსულნი არასოდეს მინახავს, ფეხით მოდიოდნენ და ფეხითვე ლაპარაკლაპარაკით აუყვებოდნენ ენგელსს. მამაჩემი ჭიშკრამდე გააცილებდა და მობრუნდებოდა. ცოტა შეზარხოშებული როცა იყო, მთელ საღამოს ჩვენთან ბუღრაობაში ატარებდა. იატაკზე ვგორავდით, ვითომ ვერეოდით მამას, ისიც ყასიდად წაიქცეოდა, „ვაიმე, ვაიმე, რა ღონიერი „უღელი ბიჭები ყოფილხართო“, წუწუნებდა. დედაჩემი გარს გვივლიდა, ტუქსავდა მამას; „არაფერი მოტეხო, შე დათვო, ამ ბალღებს, შენც ამათი ჭკუის ხარ, ნუ დამინგრიეთ ეს დალაგებული სახლიო“.

იმ დილით დედამ ყურმილი რომ დადო, ბებიას უხმო, არიქა წყალი დაადგი, სადილად ჩვენთან

მოდიან, ბაზარში წასვლას რაღას მოვასწრებთ, მაინც რატომ არ გაგვაფრთხილა ტერენტიმო (ტერენტი მამაჩემს ერქვა). დაფაცურდნენ ქალები. მიიძმოიძიეს, რაც ჰქონდათ შინ. ხომ იცი, თავშენახული ქალი უქონელს გააჩენს. არაფერი სჯობია სასტუმრო სამზადისს, განსაკუთრებით ისეთი დიასახლისის ოჯახში, ვისაც სტუმრები უყვარს.

გახდა ოთხი საათი. პლენუმი მაშინ თურმე დიდხანს არ გრძელდებოდა, ჩვეულებრივ, ორზე მთავრდებოდა ხოლმე. სტუმრები არ ჩანან. ექვსზეც რომ არავინ გამოჩნდა, დედაჩემმა ცეკაში დარეკა, კომენდატურიდან უპასუხეს: პლენუმი ორის ნახევარზე დამთავრდაო. დედამ ტელეფონით პირდაპირ ბერიას დაურეკა; სადა ხართ, რატომ არ მობრძანდით სადილად, გაცივდა ჭადები, ჩემს ქმარს მაინც რაღატომ შეაგვიანდაო. გაუთვალისწინებელი საქმე გამოგვიჩნდა, ტერენტიც აქ არის, გასარკვევი გვაქვს რაღაც და ბოდიშს გიხდით, საღამოს მოვალთ ყველანი ერთადო, – დაბნეულად უპასუხნია ბერიას.

ასე, დაახლოებით, რვა საათზე რადიო აცხადებს: „დღეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მხილებულ და ადგილზე დაპატიმრებულ იქნა ხალხის მტერი, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ დივერსიის ორგანიზატორი და შეთქმულების ინიციატორი, იმპერიალიზმის მოსყიდული აგენტი ტერენტი ჩიორიძე“. დედაჩემის კივილზე ყველანი წინა ოთახში გამოვცვივდით, მაგრამ რადიო უკვე სხვა „აგენტების“ გვარებს აცხადებდა.

დედაჩემი მაშინვე ტელეფონს ეცა და ორი საათის განმავლობაში გააფთრებით რეკავდა. კატეგორიულად მოითხოვდა: ბერიას მალაპარაკეთო, მაგრამ აღარ აერთებდნენ.

წარმოგიდგენია, კაცო? ცინიზმს საზღვარი ხომ უნდა ჰქონდეს? ათზე რომ დარეკა, სადილად მოვდივართო, მაშინ, როგორც ჩანს, ბერიას მამაჩემის დაპატიმრება გადაწყვეტილი ჰქონდა. იქნებ არც ჰქონდა და პლენუმზე „ამხილა“ ვიღაცამ. ამდენი ხანია ვფიქრობ და ვერ გამირკვევია. თითქოსდა მეგობრობდა მამაჩემთან, ხომ გითხარი, არაერთხელ უსადილნია ჩვენთან და რაში დაჭირდა, ისედაც გაუბედურებული ოჯახის დაცინვა, სადილად გველოდეთო.

გაინტერესებს, ალბათ, მერე რა მოხდა. დედაჩემმა ჩაიცვა და სადღაც წავიდა. ჩვენ რა დაგვაძინებდა. ბებია ოთახიდან ოთახში გადიგამოდიოდა ტირილითა და მოთქმავიშით. შუაღამე გადასული იყო, დედა რომ დაბრუნდა. არაფერს მეუბნებიან, კვალსაც ვერ მივაგენიო.

მეორე დღეს მეზობელი ფინინსპექტორი შვინდაძე შემოვიდა. ჯერ მოგვისამძიმრა, მერე დედაჩემთან მივიდა და წყნარად, ჩურჩულით უთხრა: ლიზიკო, თქვენ ალბათ ამ ბინიდან მაინც გაგასახლებენ და თუ ჭკუაში დაგიჯდეთ, ჩემს ერთოთახიანში გადმოდით, გავცვალოთ ბინები და ფულს დაგიმატებთ, თქვენ ახლა ფული დაგჭირდებათო. დედაჩემმა იფრინა შვინდაძე. რას ჰქვია გაგვასახლებენ. ტერენტი გაუგებრობის ნიადაგზეა დაკავებული. ჯერ წინაპატიმრობაშია, სანქცირებული არც კია. რა ჭირდა ჩემს ქმარს დასაჭერი. ხვალვე გაანთავისუფლებენო.

ისე განთავისუფლდა შენი მტერი, მამაჩემი რომ გაანთავისუფლეს. ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი წლის ცხრამეტი მაისის შემდეგ თვალით არ გვინახავს. მამის დაპატიმრების მესამე დღეს დედაჩემიც დააპატიმრეს. ჩვენ, ბავშვებს, დედის წაყვანა არ გაგვიგია. გამთენიისას მოსულა მანქანა. გაჩერდნენ თუ არა ჩვენს სახლთან, უკვე ვიცოდი, დედაშენის დასაჭერად რომ მოდიოდნენო, ბებიაჩემმა.

ერთი კვირაც არ გასულა ამ ამბის შემდეგ, ჩვენს სახლს დილის ექვს საათზე ღიასაბარგულიანი მანქანა მოადგა. „პატარა ტონკას“ ვეძახდით ბავშვები. მახსოვს, როგორ ისროდნენ მანქანაზე, რაც ხელში მოხვდებოდათ. ავეჯის და სხვა მძიმე ნივთების წაღებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. დაგვსვეს ყველანი, ჩემი პატარა დაიკო ბებიას კინაღამ გაუვარდა ხელიდან. აღმასრულებელმა მოწყალება მოიღო, ბებიას ბავშვი გამოართვა და კაბინაში მუხლებზე დაისვა. გაგვიყვანეს დიდუბის ბოლოს, პატარა მინდორზე, სადაც მშენებლობის ნარჩენებს და, მგონი ნაგავსაც, ყრიდნენ, გადმოგვცალეს მანქანებიდან და დაგვტოვეს ღია ცის ქვეშ.

ესღა გვაკლდა. არც თავშესაფარი, არც რაიმე სახსარი. ბებიაჩემს ეს ძუძუთა ბავშვი ხელზე. სანამ გინდა იტირო და ითავცემო. მივიხედმოვიხედეთ, მოშორებით კარვები ჩანს. ჩვენსავით დარბეული რამდენიმე ოჯახი, იქვე, ფარღალალა კარვებში ცხოვრობდა. ვიღაცამ შეგვიკედლა. დაგვაპურეს. ნაშუადღევს ისევ მორახრახდა „პატარა ტონკა“. ჩვენი ნაცნობი აღმასრულებელი გადმოვიდა მანქანიდან და ძარასთან დოინჯშემოყრილი გაჩერდა. შოფერმა დაკეცილიდაბურდული ბრეზენტი გადმოათრია და იქვე დააგდო. აღმასრულებელი კარვებისკენ წამოვიდა; „ტროცკისტ ჩიორაძის ოჯახს გადაეცით, რომ ხალხის მტრის და მისი შეთქმული მეუღლის ბინისა და ქონების კონფისკაცია მოხდენილია, ქალაქის ხელმძღვანელობას საშუალება არა აქვს კარვის გარდა, ჯერჯერობით, სხვა თავშესაფარი შემოგთავაზოთ. ზამთრამდე ალბათ რაიმეს მოგიხერხებთ. ბინით იმპერიალიზმის აგენტების კი არა, პატიოსანი მშრომელების ოჯახებსაც ვერ ვაკმაყოფილებთო“. ეს თქვა, ახრიალებულაძაგძაგებული მანქანისკენ წავიდა და თვალს მიეფარა.

კეთილ ადამიანებს რა გამოლევს. დაგვეხმარნენ, გაგვაშლევინეს კარავი, ვიღაცამ თავისი შეზლონგი დაგვითმო, ფიცრის ტახტი სახელდახელოდ შეგვიჭედეს და მოვეწყეთ „მეფურად“. ჩვენი საგზალი ორსამ დღეში გამოგველია, მერე ბებიამ სადღაც დამლაგებლად დაიწყო მუშაობა და ჩემი პატარა დაც თან დაჰყავდა. ჩვენ დილიდან საღამომდე მტკვრის ნაპირას ვერთობოდით. ეგ იყო, გვშიოდა, თორემ სხვა მხრივ, გითხრა სიმართლე, დიდად მოწყენილები როდი გახლდით.

ზაფხული ასეთ ყოფაში გავლიეთ. სექტემბერში იქვე, ახლოს, სკოლაში მიგვაბარეს. ცხრაჯერ შეეცვალა იმ სკოლას ნომერი, მერე დაანგრიეს და, მოშორებით, კუს ქუჩაზე ახალი ააშენეს. ახლა, მგონი, ასოთხმოცდამეშვიდე თუ ასოთხმოცდამეცხრე სკოლაა. კოშმარივით მახსოვს ის ერთი წელი. ჩემი ძმა მეორეში დასვეს, მე პირველში. ჯერ იყო და სიაში ნოემბრის ბოლომდე არ შეგვიტანეს. ვგრძნობდით, რომ გერებივით გვექცეოდნენ და ამის გამო თვალშიც არავის ვეჩხირებოდით. ერთად დავდიოდით; ხან ჩემი ძმა ესწრებოდა ჩემს გაკვეთილებს, ხან მე ვიჯექი მეორეში. პასუხს გაცდენაზე და დაგვიანებაზე არავინ გვთხოვდა. მახსოვს, სახელმძღვანელოები დაარიგეს და ჩვენ, როგორც ტროცკისტის შვილებს, არ მოგვიწია.

იმ წელს ყინვები ადრე დაიჭირა. კარავში სიკვდილი გველოდა. მიდგამოდგა საწყალი ბებიაჩემი და დიდუბეში, სამსართულიან საუწყებო სახლში, კიბის ქვეშ, ოთახისმსგავსი რაღაც აღმოაჩინა. ეს უკვე გადარჩენას ნიშნავდა. პრიმუსით იოლას გავდიოდით. ღუმელი კიდეც რომ გვეშოვა, დასადგმელი ადგილი არ იყო.

იმ ზამთრის სიმშვენიერეებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ბევრი რამ შენვე შეგიძლია წარმოიდგინო.

მთავარს გეტყვი: ორი წლის შემდეგ გამოუშვეს დედაჩემი ციხიდან. ჯერ გაუსამართლებია სამეულს და ხუთი წელი მიუცია. მერე, ბერია რომ მოსკოვში გადაიყვანეს, რატომღაც გადაუხედავთ დედაჩემის საქმისთვის და კი არ გაუმართლებიათ; ის ერთი წელი სასჯელის მოხდად ჩაუთვლიათ და ხელწერილი ჩამოურთმევიათ, რომ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში აღარ გაერეოდა. ჩამოვიდა დედაჩემი მოქალაქეობრივ უფლებააყრილი და სულიერად განადგურებული. არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მახსოვს, ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტში დართეს. მიაკითხა ძველ სახლს. იქ უკვე სხვა, ვიღაც უცნობი პირები ცხოვრობდნენ. ჩვენი ბინა ორი ოჯახისთვის მიუციათ. შვინდაძე იმ დროისთვის დაპატიმრებულია. ჩვენ, რასაკვირველია, შიშით იმ სამეზობლოში აღარ გამოვჩენილვართ. ბებიაჩემი ერთხელ ყოფილა და ქურთი მეეზოვე ქალისთვის საიდუმლოდ გაუნდვია: „ჩვენი ასავალდასავალი არავის უთხრა, თორემ ამ ბავშვებსაც წამართმევენ. თუ ლიზიკო ან ტერენტი გამოჩნდნენ, მეტი არაა ჩემი მტერი, უთხარი, რომ დიდუბეში, საკირის ქუჩაზე კიბის ქვეშ ვართ შეფარებული. სხვას არავის უთხრა, თორემ ჩვენ ალბათ ჩეკა ჯერ კიდევ დაგვეძებსო“. ხომ იცი შიშის ამბავი. არ ჰქონდა საფუძველი, საწყალს, თავისი მისამართი რომ დაემალა? დედაჩემს მაშინ ის მეეზო-

ვე აღარ შეხვედრია. მაინცდამაინც მაშინ ყოფილა გასული სახლიდან. იღბალი არ გინდა: გამოსულა ქალაქში სასოწარკვეთილი ქალი, უბინაო და უპატრონო. რა სახე ექნებოდა, როგორ გუნებაზე დადგებოდა, ხომ წარმოგიდგენია.

ბელინსკზე მამაჩემის გარე ბიძაშვილი კაკო ჩიორაძე ცხოვრობდა. თვით კაკო მაგ დროს აღარ იყო ცოცხალი. დავარდნილი მეუღლე და ორი გაუთხოვარი ქალიშვილი დარჩა. იმათ შეეკედლა დედაჩემი. არც მუშაობა დაიწყო, არც მთავრობას მიაკითხა, დადის ძუ მგელივით ამხელა ქალაქში და თავის შვილებს გვეძებს.

პირველ რიგში სკოლებისთვის უნდა მიეკითხა, მართალი ხარ შენ, მაგრამ ზაფხული იყო და ბევრი სკოლა გამოკეტილი დახვედრია. ზოგან დარაჯი და საქმეთა მმართველი ყოფილა, იმათ კიდე რა იციან, ვინ სად სწავლობს. დედაჩემი ჯერჯერობით, თურმე იქეთ მხარეს გვეძებს, სოლოლაკის, ორთაჭალის და ავლაბრის მხარეს. დიდუბისკენ, იქ რომ ვერა გააწყო, ათითორმეტი დღის ძებნის მერე გადმოსულა. კითხვაკითხვით რომ ვერ მოგვაკვლია, უფიქრია; ჩემი ბიჭები, თუ დაჭერილები არ არიან, ალბათ, მაწანწალებს მიეკედლებოდნენო და ბაზრის მაწანწალებთან გვეძებდა თურმე. მერე ვიღაცას უსწავლებია, დიდუბის ბაღში შუაღამისას მთელი თბილისის მაწანწალები და ქურდები იკრიბებიან, თუ იპოვი, იქ იპოვი შენს შვილებს, ან უარეს შემთხვევაში, მაწანწალები მთელ ქალაქში დადიან და შეიძლება იმათ იცოდნენ ძმები ჩიორაძეების ასავალდასავალიო.

სამი ღამე გავათიეო, ყვებოდა დედაჩემი, დიდუბის ბაღში, მაწანწალებსა და ბოზებს შორისო. შიშისგან კბილებს ვაკაწკაწებდი, ისეთ ხალხს ვეკითხებოდი ჩემი შვილების ამბავს; სხვათა შორის, ბევრ მათგანს გულთან მიჰქონდა, მაგრამ ვერაფრით მშველოდნენო.

ოცდაერთი აგვისტო იყო, რა დამავიწყებს. მე და ჩემი ძმა დილაადრიან სადგურზე მივიჩქაროდით. იქ ვაგონის დატვირთვაში ვეხმარებოდით მუშებს და ისინიც სამადლოდ რაღაცას გვაჩუქებდნენ; ხან თითო ბუხანკა პურს, ხან ცოტა ფულსაც გადმოგვიგდებდნენ.

ტრამვაის ფული სად გვქონდა. ყველა კონდუქტორი გვიცნობდა და მუშტით გვერეკებოდა ვაგონიდან, კიბეზე დაკიდება და მისი ჯანი. ჰოდა, ოცდაერთ აგვისტოს შეახტა ვაგონს ჩემი ძმა, შევახტი მეც. სხვათა შორის, იმ შეხტომასაც თავისი მუღამი უნდა, უსათუოდ იმ ფეხით უნდა შეახტე, რომელიც ვაგონის მხარეს გაქვს. მეორე ფეხით საშიშია, იმიტომ რომ, სანამ ფეხს დაადგამდე, შეიძლება შემოგიქნიოს და რელსებში ჩავარდე. ეს კარგად ვიცოდი, მაგრამ ვატმანმა რაკი დაინახა, რომ ვახტებოდით, მოუჩქარა და შეხტომა ვერ მოვასწარი. ხელებით ვკიდივარ ვაგონს და ტრამვაი მიმაპროწიალებს, იქიდან ჩემი ძმა მექაჩება. ვერ იქნა, ტანი ვერ ავიტანე, ეს ხდება სწორედ დიდუბის ბაღის წინ. დილის შვიდი საათია. „გააჩერეთ, გააჩერეთ“, მესმის ხალხის ყვირილი.

ტრამვაი გაჩერდა და პირქვე ჩავემხე. იდაყვები გადატყავებული მაქვს, მუხლებიც მეწვის, მაგრამ ვიცი, რომ მოტეხილი არაფერი მაქვს. მაგრად არაფერი მტკენია. წამომიყვანეს, ვიღაცამ ყურში მომკიდა ხელი, ვიღაცამ დამიყვავა, ვიღაცამ შემაგინა და უეცრად ქალის კივილი მომესმა:

– დაიჭირეთ, არ გაუშვათ! თქვენი ჭირიმე! არ გაუშვათ!

„არ გაუშვათო?“ ისე მოვცოცხე, რომ იტყვიან, კეფაზე ვირტყამდი ტლინკებს. ვხედავ, ვიღაცები მომსდევენ. ვიფიქრე, როგორც წესრიგის დამრღვევს, დამიჭერენ და ბავშვთა კოლონია არ ამცდებამეთქი. მოსახვევიდან გამოვარდნილმა მილიციელმა მკლავში რომ მსტაცა ხელი, ავღრიალდი: „რას მერჩით, რა გინდათ ჩემგან, დედმამა დაჭერილი მყავს, არ მაქვს ტრამვაის ფულიმეთქი“.

და სწორედ ამ დროს ვიღაც ქალი უკნიდან მხრებზე ჩამაფრინდა. მილიციელს ხელი გააშვებინა, შემომატრიალა და გულში ჩამიკრა:

– მე ვარ, შვილო, დედაშენი ვარ, სად გარბოდი დედიკო?! მოგიკვდა დედაშენი!

თურმე დილის შვიდ საათზე გამოდის ცრემლგამშრალი დედაჩემი დიდუბის ბაღიდან და ვაგონზე ჩამოკიდებული რომ დამინახა, ვისია ეს უბედურ დღეზე დაბადებული, სამი კაპიკის გულისთვის

თავს რომ იკლავსო? დამაკვირდა, დამაკვირდა და სწორედ მაშინ დაუწყია კივილი: დაიჭირეთ, არ გაუშვათო. რომ არ მეკივლა, კარგა ხანს კიდევ ვერ გიპოვიდით. აშენდა იმ მილიციელის ოჯახი, გზა რომ მოგიჭრა, თორემ პეპელასავით გარბოდი, შენი დამწევი არავინ იყოვო.

წარმოიდგინე, ასფალტზე მუხლებით დაჩოქილი დედაჩემი და მე და ჩემი ძმა აზლულქუნებულ-აღრიალებულები.

„დედა დაბრუნდა, დედიკო ჩვენთანაა, აწი აღარაფერი გვიჭირს“.

ორი წელი საჩივრები წერა დედაჩემმა კრემლში. ორიოდე კაპიკი რომ შეაქუჩა, მოსკოვში ჩავიდა და ვოროშილოვთანაც მოახერხა შესვლა. ძველი ბინა არ დაგვიბრუნეს, მაგრამ ერთოთახიანი მოგვცეს ნაძალადევში ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

თქვენ, მწერლები, როცა ოცდაჩვიდმეტ წელზე უყვებით მაყურებელს, რაღაცას გამოიგონებთ ხოლმე არნახულს და არგაგონილს.

ა დაწერე, ბატონო, ეს ამბავი. არ არის დასაწერი?

ბატონო სტუდენტებო

საქართველო მეოცე საუკუნეში მეორეჯერ გათავისუფლდა.

საბჭოთა იმპერია დაინგრა და მეორეჯერ (პირველად 1918 წელს) მოვაწერეთ ხელი დამოუკიდებლობის აქტს.

რა ხდებოდა დამოუკიდებელ საქართველოში, რა დღეში იყვნენ ზვიადის დანიშნული პრეფექტები – ამ მოთხრობიდან შეიტყობთ.

* * *

პრეფექტად ჩემი დანიშვნა ასე მოხდა: ამოვდივარ კინო „რუსთაველის“ წინ ამოსასვლელიდან, იქვე, კავშირების სახლში („დომ სვიაზს“ რომ ეძახიან), პატარა საქმე მქონდა, დეპეშა უნდა გამეგზავნა ჭრებალოში. ამოვედი და ამირან კალაძეს შევეჩეხე. ამირანი პარლამენტის წევრი იყო, მოგეხსენება, წესიერი, ალალი კაცი, როგორც მაშინდელი პარლამენტის წევრთა უმეტესობა.

რავა არი საქმე მთავრობაში, ჩემო ამირანმეთქი? – საჯაროდან ვიცნობდი. ხშირად იჯდა დიდ დარბაზში. თარგმნიდა რაღაცას.

უძაღლო ქვეყანაში რომ კატას აყეფებენ, ის ამბავია, თვარა რა მინდა მთავრობაში მეო. უჭირს ამ კაცს და არავინ ჰყავს გვერდით დამდგომიო.

ყველა მაგის გვერდით არა ვართ, მე ვუთხარი, რას ჰქვია არავინ ჰყავსმეთქი? ახლაო, ერთი საათი ვეჯექი კაბინეტში. პრეფექტებს ნიშნავს, პატიოსან ხალხს ეძებს და, მტერი გეყოლა, რა დღეშიც ეგ არიო.

მერე? რამ დალია წესიერი ხალხი საქართველოშიმეთქი. საქმეც ეგაა, მეც მასე მეგონა. ვინც ხელსუფთაა, არავის უნდა პრეფექტობა, ყაჩაღი და უნამუსო კარიერისტი აქეთ იხვეწება, მარა ძლივს მოვიშორეთ ე რაიკომის მდივნები და ისევ იმნაირ ხალხს ხომ არ დავსვამთ კაბინეტებშიო.

ცოტა ხანს გამომცდელად მიყურა. სად მუშაობ ახლა შენო?

ისევ იქ, ისტორიის ინსტიტუტში, უფროსი მეცნიერთანამშრომელი ვარ შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებაშიმეთქი.

ერთ რამეს გთხოვ და, ბავშვებს გაფიცებ, ნუ მეტყვი უარს. მოდი, წადი ცოტა ხნით სასირეთში პრეფექტად. დამიჯერე, არაა გლახა საქმე. ხომ გინდა, შეეწიო ქვეყანას. ერთიორი წლით გაყავი თავი და მერე შენ თვითონ შეატყობ შენს საქმესო.

პასუხის თქმა არ დამაცალა. ყოყმანზე შემატყო, რომ ჩემი დაყოლიება შეიძლებოდა. მტაცა ხელი და ათ წუთში პრეზიდენტის მოსაცდელში ბოლთას ვცემდით.

პრეზიდენტმა დაღლილი თვალებით შემომხედა. უგემურად ჩამომართვა ხელი და ამირანს მიუბრუნდა:

რა ჰქენით მოსკოვში გასაგზავნი დელეგაციისო.

ვადგენთ სიას, ბატონო ზვიად, ხომ იცით, ადვილი არაა. ზოგი უარს ამბობს და ზოგი, ჩემზე უკეთ იცით, მოსკოვში კი არა, საჩხერეში არ გაიშვება, ორ ბატს ვერ ჩააბარებო.

ეს კაცი ვინ არისო, ამხედდამხედა.

ესო, კალაძემ ჩემი კანდიდატურაა, წეღან რომ ვლაპარაკობდით, სასირეთის პრეფექტობაზე დავითანხმეო.

სად მუშაობთო, ხელით მანიშნა, დავმჯდარიყავი.

ისტორიკოსი ვარმეთქი.

სასირეთში თუ ყოფილხართო.

არამეთქი.

უმჯობესი იყო, იქაური კადრი შეგვერჩია, მაგრამ ამასაც არა უშავს, რაც მთავარია, წესიერი კაცი ჩანს, შეუვსეთ ანკეტა და შემომიტანეთო, პრეზიდენტმა.

იქვე შევედით, მესამე ოთახში. განცხადება დამაწერინეს, ანკეტა შემავსებინეს და თანაშემწემ თვითონ შეუტანა ხელმოსაწერად. ამასობაში პრეზიდენტს აკადემიის დელეგაცია წვეოდა.

ასლი თვითონ დაიტოვა თანაშემწემ, ხელმოწერილი ბრძანება კონვერტში ჩამიდო, მომილოცა და გაბადრული სახით მითხრა: შეგიძლიათ ხვალვე გაემგზავროთ სასირეთში, იმედი გვაქვს, დამოუკიდებელ საქართველოს რომ ეკადრება, ისე იმსახურებთო.

ოპერასთან ამირანს ხელი ჩამოვართვი. ვეცდები, არ შეგარცხვინომეთქი.

ჯერ კიდევ არ ვიცი, რა ცეცხლში ვარ ჩავარდნილი.

მეორე დღეს ცოლშვილს გამოვემშვიდობე, ბიძაშვილს ერთი დანჯღრეული, ძველი მარკის „ვოლგა“ ჰყავდა და იმ საეჭვოდმსვლელი ტექნიკით დილის რვა საათზე გავწიე სასირეთისკენ.

ბიძაშვილს თავისი გასაჭირი ჰქონდა, ცოლი ჰყავდა მოსალოგინებელი, სასირეთის რაიკომთან ჩამომსვა და გაბრუნდა.

ავიარე კიბეები. კაციშვილი არ ჭაჭანებს.

რა დამავიწყებს, ოცდაერთი ოქტომბერი იყო. საათის თორმეტი.

შენობა, რასაკვირველია, გაძარცვულია. ფანჯრის ჩარჩოებიც კი წაუღიათ... მინებს ვინღა ჩივის.

ავედი მეორე სართულზე. პირველი მდივნის კაბინეტში ერთი სკამი და დანჯღრეული მაგიდაა. კედელთან ტელეფონების მიჭრილი შნურები ჩანს.

რა ვქნა, საიდან დავიწყო?

გამოვედი გარეთ და იქვე, გვერდით, სადალაქოში შევედი.

რაიკომში, თუ იცით, არავინ არისმეთქი? ვკითხე უსაქმობისგან თვლემამორეულ, თხელკისერა დალაქს.

სადღაა, ბატონო, რაიკომი, რაიკომმა მოგჭამა ჭირიო. ცოტა არ იყოს, სინანული დავიჭირე მის კილოში.

აბა, არავინაა პასუხისმგებელი, იმის არ იყოს, უპატრონოდაა მიტოვებული ამხელა დაბამეთქი?

ჯერჯერობით ასეა. ისე, ჩვენ შორის დარჩეს და დიდი არაფერი საჭირო ყოფილა ე ხელმძღვანელობა, ეგაა, ეიწყვიტა ხალხმა და თუ რამეს მოხსნა და წაღება შეიძლებოდა, სახლში გაზიდეს ყველაფერიო.

ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ, მაგრამ მე თბილისიდან ჩამოვედი. ჩემდა ჭირად, მე დამნიშნეს პრეფექტად სასირეთში და მინდა, რაღაცა რაღაცას დავამსგავსო. სულ ასე რავა იქნება, რა ვიცი-მეთქი.

წავიდა დალაქი და რაიკომის ღამის დარაჯი მოძებნა. დარაჯმა გასაღებების ასხმა გამომიწოდა. თუმცა, რა იყო გასაღები და დასაკეტი. მერე იქვე, მეზობლებში, კითხვაკითხვით სამიოთხი ისეთი

კაცის ტელეფონი ჩავიწერე, რაიკომში რომ მუშაობდნენ და ბევრი რომ არაფერი ეკითხებოდათ, ამიტომ პატიოსანი სახელი შეინარჩუნეს.

ის ღამე სასირეთის დანჯღრეულ სასტუმროში გავატარე. ადმინისტრატორმა ერთ უფანჯრო, გაუბედურებულ ნომერში შემიშვა, ერთ საათში მომაკითხა სასტუმროს დირექტორმა, გაეგო, პრეფექტი ჩამოვიდაო და შინ წაყვანა შემომთავაზა. რასაკვირველია, მასპინძლობაზე უარი ვუთხარი.

თავი რომ არ მოგაბეზრო, არაფრისგან ერთ თვეში ხელმძღვანელი აპარატი შევაკონწიწე. ტელეფონებიც დავიდგი და თბილისთან კავშირიც აღვადგინე.

თურმე, ტელეფონია დამღუპველი და ამომგდები რაიონის.

თვითონ ზვიადს, ცოდვას ვერ დავიდებ, არც ერთხელ არ დაურეკავს, მაგრამ თუ სადმე მინისტრი და სამმართველოს უფროსი იყო, ყველა მეხმიანებოდა, თანაც ყველა მელაპარაკებოდა ძველი ნაცნობივით და აუცილებლად პრეზიდენტის სახელით. აბა, ზეგ ყველი გამოგზავნე, მაზეგ თევზი დაგვჭირდება, სტუმრები გვყავს, აბა, ხვალ ზევით ნახევარ ტონა ხორცს ველოდებით და ასე გაუთავებლად.

თურმე, ტელეფონები კიდეც რომ დამხვედროდა, ჩამოსვლისთანავე უნდა გადამეჭრა, მე პირიქით ვქენი, რა ხელმძღვანელია უტელეფონო ხელმძღვანელიმეთქი და აღვადგინე.

ახლაც ღრმად ვარ დარწმუნებული, თბილისში ხელმძღვანელობას ჰგონია, რაკი შენ რაიონის პრეფექტი ხარ, ღვინის და თაფლის მდინარე ჩამოგდის, გაძეძგილი გაქვს საწყობები ყველით და ხორცით... ზიხარ კაბინეტში და ელოდები, ვინ დარეკავს, საით უნდა უქნა პირი დოვლათს, ვის გაუგზავნო.

შეიძლება კომუნისტების დროს ასე იყო, ვერ გეტყვი, მაგრამ ახლა სადაა, ბიძია. კერძოა ყველაფერი. უფასოდ თოვლს არ გაგატანს კაცი ზამთარში თავის ეზოდან.

ერთიორჯერ შევასრულე ზემდგომთა დავალებები. მივედი, გავიწყვიტე შუბლის ძარღვი, შევეხვეწე „კუსტარადინოჩკას“, შენი ხათრითო, მითხრა, ამ ერთხელ არ გაგაწბილებ, პრეფექტი ხარ, და გაგიმართავ ხელს, მარა მეტი აღარ მომაკითხო. რა მომცა ხელისუფლებამ, რომ ღალა ვაძლიოო. სისხლის ფასად ვშოულობ სასუქტექნიკასო.

მერე და მერე ზრდილობიან უარს ვეუბნებოდი თბილისს „სასწრაფოდ გვჭირდებაზე“. რას ჰქვია, უარს გვიბედავო, იყო დასმენები და კომისიები. უნიათო ხელმძღვანელის იარლიყი მომაკერეს და აღარც მომაცილეს.

რაც მევალებოდა, ვაკეთებდი, დღე და ღამეს ვასწორებდი: სახელმწიფო სექტორი დაქცეული იყო, ერთიორი ფერმა ძლივს ღაფავდა სულს და საიდან დამედგა ყველმატყლის გორები? საიდან მომეტანა.

მატყლზე გამახსენდა: ექვსი თვის პრეფექტი ვარ და გამთენიისას პოლიციის უფროსი მირეკავს: ჯანჯღლაურის ფარა გაუტაცნიათ ოსებს, ათასი სული ცხვარი გაურეკავთო.

არიქა, გავეკიდოთ, გავაგდებინოთ, თორემ დავიღუპებითმეთქი.

ერთი დანჯღრეული ვერტმფრენი გვყავდა, ავაბზუილეთ და გამოვუდექით.

ერთი ხეობა, მეორე, მესამე... კვალი არ ჩანს. ბოლოს, როგორც იქნა, ბრნოს ვიწროებში დავლანდეთ ცხვარი. მიერეკებიან ჩვენ ნაოფლარს ოსები.

ხეობა ისე ვიწროა, ვერტმფრენს ვერ დასვამ, რომც დასვა, საშიშია, შეიძლება, სროლა აგიტეხონ.

სამი კაცი მიერეკება ამოდენა ფარას, ჩქარობენ. ორს მხარზე სანადირო თოფი ჰკიდია, ერთს, მგონი, კომბალი. ავტომატები არ უჩანთო, პოლიციის უფროსმა.

რა შეგვიძლია გავაკეთოთმეთქი, ვეუბნები.

მაკაროვი მაქვს, დავწიოთ ვერტმფრენი და ვესვრიო, პოლიცმეისტერმა.

შენ ხომ არ გაგიჟდი, ცხვრის გულისთვის კაცს ჰკლავმეთქი?

აბა, მე ხელი დამიბანიაო, არ იცი პოლიციელის ამბავი?

აბა, ახლა პარადს მე ვუხელმძღვანელებმეთქი და გავეცი განკარგულება:

– ცხვრების მიმართულებით, ორმოცი მეტრი სიმაღლე,

სიჩქარე, რაც შეიძლება დაბალი! ლამის ხეების წვერებს წამოედოს ვერტმფრენი.

– ეი! მოაბრუნეთ ცხვარი ახლავე! – დავიყვირე და ვერტ

მფრენიც გაშორდა იმ ადგილს. შემობრუნებაზე ცოტა შორიდან გაუმეორე ბრძანება.

– ბებიაშენისამ! – გამცა პასუხი ერთერთმა ყაჩაღმა. ისევ შემოვაბრუნეთ ვერტმფრენი.

– შემოაბრუნეთ და არ დაგიჭერთ! – ვყვირი.

– არ შემოვაბრუნებთ და დაგვიჭირე! – რიხიანად მპასუხობენ.

– ცხვარი ჩვენია! – ვბღავი მეოთხე შემობრუნებაზე.

– შენ ვინა ხარ!

პასუხს ვეღარ ვასწრებ. გავედით ხეობის ბოლოში და ისევ შემოვაბრუნეთ ვერტმფრენი.

– მე პრეფექტი ვარ!

– მოდი და წაიყვანე!

დამცინიან კიდეც. პოლიციის უფროსს ვუბრძანე, ახლოს რომ ჩავუვლით, ჰაერში გაისროლე შესაშინებლად, კაცი არ დაჭრა, თორემ პასუხს გაგებინებმეთქი.

პოლიციელი ასეც მოიქცა.

როგორ თუ სროლა აგვიტეხეთო, გადმოიღეს თოფები თულმწყემსებმა და ხოშკაკალასავით დააყარეს ჩვენს ვერტმფრენს.

ერთი შეტორტმანდა ჩვენი მანქანა და მოწყვეტით დაეშვა ხეებზე.

ისე სწრაფად დავარდა, რომ ერთადერთიი სიტყვის გაფიქრება ვცადე – „დავიღუპე!“ და ისიც ვერ მოვასწარი.

როგორც შემდეგ გაირკვა, ტყვიების ტკაპატკუპზე ჩვენმა მფრინავმა იფიქრა, ავზს აგვიფეთქებენო და კაპიტულაციის ნიშნად დააგდო მანქანა.

ვხედავდი, რომ მჭიდრო ხეებზე ვვარდებოდით და დაღუპვით არ დავიღუპებოდითო.

ოთხი საათის მერე მოვიდა სამხედროების სამაშველო ვერტმფრენი და ბორტზე თოკის კიბით აგვიყვანა.

ჩვენ გადავრჩით, მაგრამ ჩვენი ვერტმფრენი სამუდამოდ დარჩა იმ ხეობაში, ბებერ მუხებზე საფრთხობელად დაკიდებული.

ცხვარი, რა თქმა უნდა, წაიყვანეს ოსებმა.

ეს ამბავი ზვიადმა დაწვრილებით მომაყოლა თავის კაბინეტში. კაკო ასათიანი და ნემო ბურჭულაძე სიცილით იხოცებოდნენ. ზვიადს არც გაღიმებია.

მე – მით უმეტეს.

ეგ იყო, კაბინეტიდან თბილად გამომისტუმრა და ორი დღის მერე გათავისუფლების ბრძანება დამადევნა პრეზიდენტმა.

ამოვისუნთქე.

ბატონო სტუდენტებო

ამჯერადაც სამი წელი გვათამაშა დამოუკიდებლობანა რუსმა.

1992 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ძალების 11 ტანკი შემოგრუხუნდა რუსთაველის პროსპექტზე და ზვიადის ხელისუფლება დაამხო.

პრეზიდენტი იძულებულჰყვეს ჯერ სომხეთში და მერე ჩეჩნეთში გახიზნულიყო.

ზვიადის ხელისუფლების ზოგი წევრი იატაკქვეშეთში გადავიდა.

თუმცა იყვნენ თვალთმაქცი „წამებულნიც“.

***

პროვინციული ქალაქი საიხვე თოვლს უკვე აღარ ელოდა.

ზამთარი ისე გაილია, ერთი ფანტელიც არ მომწყდარა ციდან და ახლა, ამ შუა აპრილში, რამ წამოუარა, ვერ გეტყვით.

დილიდანვე ხვავრიელად დაიწყო, მერე შუადღისას შეწყდა თოვა და ნასადილევს ისე წამოუშინა, რომ საღამოისპირს უკვე ერთ ციდაზე იდო თოვლი.

რაკიღა თოვლმა ფეხი მოიკიდა, აღარ გადაუღია და აღარც აპირებდა.

თოვდა ჩახვეულად, ნამქერტრიალით, ბარაქიანად.

იქნებოდა ასე შუაღამის პირველი საათი, როდესაც ბახვა ხარაბაძის სახლთან თეთრი „ნივა“ გაჩერდა და სამჯერ გაბმულად დაასიგნალა.

ბახვამ შუშაბანდის ფარდა გადასწია. რაკი დარწმუნდა, რომ მას ეძახდნენ, ფანჯარა გამოაღო და სიბნელეს გასძახა:

– ვინ ბრძანდებით?!

– გვნახეთ ერთი აქეთ, თუ შეიძლება, – უცნობი, კატეგორიული ხმა იყო.

ბახვამ რეზინის ჩექმები ამოიცვა, ლაბადა მოიხურა და კიბეზე დაეშვა.

საჭესთან მჯდომმა კარი გამოაღო და ბახვას შეეგება, მაშინღა შეამჩნია მასპინძელმა, რომ მანქანაში ორნი ისხდნენ.

– თქვენი სახელი? – მკლავზე ხელი მოჰკიდა და განზე გაიყვანა მძღოლი.

– ბახვა ხარაბაძე ვარ, ბატონო, მე.

– ხელობა?

– ფერშალი ვარ.

– პოლიციასთან ან კაგებესთან ხვარაფერი კავშირი გაქვს. არ დამიმალო!

– არავითარი, ბატონო.

– რამდენი სული ხართ სახლში?

– მე და ჩემი სიდედრი ვართ. მოხუცებული ქალია. ოჯახობა თბილისში ქალიშვილს უდგას. სამედიცინოზე სწავლობს ჩემი გოგო.

– მომისმინე, ბახვა. შენთან კაცი უნდა დავმალოთ. პრეზიდენტის მარჯვენა ხელია ეს კაცი. შენ, მე მგონი, ვერ იცნობ და, რომც იცნო, არ შეიმჩნიო. სახელმწიფო კაცს გაბარებთ, იცოდე. ამას რო რამე მოუვიდეს, თავი არ შეგვრჩება არც შენ და არც მე. მეტს ახლა ვერაფერს გეტყვით.

უცნობი სიბნელისკენ შეტრიალდა, აშკარა იყო, სახეს მალავდა.

ბახვამ წარმოიდგინა თბილისში მომხდარი სისხლიანი რევოლუცია, რუსული ტანკების დახმარებით განდევნილი პრეზიდენტი და მისი თანამებრძოლისთვის დახმარების აღმოჩენა ეროვნულ საქმედ მიიჩნია.

– ვემსახურები ჩემს პრეზიდენტს, – კონსპირაციული ჩურჩულით მიუგო ხარაბაძემ.

– გადმობრძანდით, ბატონო გერმანე.

პალტოიანი, მაღალი კაცი, რომელსაც ხელჩანთა ეჭირა, მანქანიდან გადმოვიდა. ბახვას ხელი ჩამოართვა, მარცხენათი საყელო აიწია, შლიაპა ჩამოიფხატა, გაიხედგამოიხედა და ეზოში შევიდა.

– კარგად, აბა შენ იცი, – პრეზიდენტის მარჯვენა ხელის მომყვანი საჭეს მიუჯდა.

ბახვამ მანქანის სარკმელში დააწია სრულიად ბუნებრივი კითხვა:

– რამდენ ხანს იქნება, ბატონო, ჩემთან?

– ვერ გავიგე?

– როდის მოაკითხავთმეთქი, – ბახვა მიხვდა, რომ მისი შეკითხვა კონსპირაციის წესებში მთლად კარგად ვერ ჯდებოდა.

– მე თვითონ ვიცი, რო ცოცხალი ვიქნები ხვაალ? მოგაკითხავენ და წეიყვანენ, როცა საჭირო იქნება. ხომ იცი, ბახვა ბატონო, ხელმწიფის სამსახური რომ არ დაგეკარგება.

– ვიცი, ბატონო. ისე ვიკითხე, ყოველ შემთხვევისთვის, თვარა, იყოს, რას მიშლის.

შეშლით, როგორ არ უშლიდა. ჯერ ერთი, კგბპოლიციამხედრიონი გაერთიანებული ძალებით და საგანგებოდ გაწვრთნილი ძაღლებით დღედაღამ დაეძებდნენ განდევნილი პრეზიდენტის თანამშრომლებს და, თუ ბახვას სახლში მოიხელთებდნენ, ხარაბაძეს ციხე, ხოლო მის სამოთახიან ხის სახლს გადაწვა არ ასცდებოდა.

ესეც არ იყოს, უცხო სტუმარს ჭამასმა ხომ უნდოდა. ქვეყანაში კი საშინელი შიმშილობა სუფევდა.

– მობრძანდით, ბატონო!

შუშაბანდში შესვლისთანავე სტუმარმა ჩანთა იატაკზე დადო და, ღუმელთან მიმჯდარ სიდედრს ხელი რომ ჩამოართვა, ბახვას უკმაყოფილოდ გამოხედა.

გამოხედვაში იგრძნობოდა, რატომ არ მითხარი, რომ შინ ბებერი ქალი გყავდა. მოხუცმა ქალებმა ბევრი ლაპარაკი იციან, ვაითუ, ენამ წაუსწროს და დავღუპოთ საქმეო.

სასტუმრო ოთახში კატის ნაბიჯებით შესულმა ფარდა გადასწია.

– იმ სახლში ვინ ცხოვრობს?

ბახვასკენ არც მოუხედავს, ისე ჰკითხა.

– მამაგეიშვილები არიან, მემწვანილეები, კაი ხალხია.

– თქვენთან ხშირად შემოდიან?

– არც ისე, მაინცდამაინც. მაგენს თავისი საქმე აქვთ.

– მე ამ ოთახში უნდა დავწვე?

– ასე ვფიქრობ... რა ვიცი... ფართო ოთახიათქვა. მეორე ოთახი ეზოსკენ გადის, მარა ვიწროა და არაა თქვენი საკადრისი.

სტუმარმა მეორე ოთახიც დაათვალიერა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, იმ ოთახში არჩია დაბინავება. თავდასხმის შემთხვევაში ეზოში გადავხტები და, თუ ტყვია არ დამაწიეს, აქედან უფრო გავიქცევიო.

– თქვენი სახელი, ბატონო?

მოკრძალებით ჰკითხა ბახვამ, როცა საწოლთან ხელჩანთა და ფოსტლები დაუდო (მერეღა გაახსენდა, რომ წეღან მომყვანმა „გერმანე“ უწოდა).

– ა? – თითქოს შეკითხვას არ ელოდაო, ჭერს ახედა სტუმარმა – კარლო დამიძახეთ.

„კარლო აშკარად არ ერქმევა, მაგრამ თავის ნამდვილ სახელს და გვარს, ალბათ, წასვლის დროს გვეტყვის. ისე, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, კარლო ერქმევა თუ შერმადინიო“, გაიფიქრა ბახვამ.

და დაიწყო ბახვა ხარაბაძის ოჯახში ძებნილი კაცის დამალვაშენახვის მძიმე დღეები.

საგანგებო ვითარებამ შეცვალა ბახვას ცხოვრების წესი.

მეზობლებს გაურბოდა. თუ მაინცდამაინც შემოაბოტებდა რომელიმე ახლობელი, ბახვა ეზოს-

კენ გამავალ ოთახს გადარაზავდა და გასაღებს ჯიბეში ჩაიდებდა.

როგორც იქნა, დაარწმუნა სიდედრი, რომ იდუმალ სტუმარზე კრინტი არ უნდა დასცდენოდა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ენდობოდა და გარეთ თითქმის აღარ უშვებდა.

კარლო, ცოდვას ვერ დავიდებ, არ გამოდგა ისე ძნელად შესანახი კონსპირატორი, რა შთაბეჭდილებაც პირველ ღამეს დატოვა.

დილიდან საღამომდე წამოწოლილი იყო და „ფორსაიტების საგას“ ქართულ თარგმანს კითხულობდა ან ოთახში ბოლთას სცემდა.

ღამის ორ საათზე უკანა ეზოში გადიოდა და ბჟოლის ხეებს შორის ასე საათი, საათნახევარი დააბიჯებდა.

ჭამით არ იყო დიდად წუნია და საჭმლისმრჩეველი.

ერთხელ და სამუდამოდ აუკრძალა ბახვას სიდედრს ღარიბული სადილის გამო მობოდიშება. რასაც მიუტანდნენ, გემრიელად მიირთმევდა და მასპინძლისთვის გულითადი მადლობის გადახდა არ ავიწყდებოდა.

ერთადერთი, რაზეც სიტყვაუხვი იყო, პოლიტიკა გახლდათ.

კვირაში ორჯერ მაინც კეთილი უნდა ენებებინა და უნდა მოეცალა ბახვას, რათა დაწვრილებით მოეთხრო სტუმრისთვის, რა ხდებოდა საქართველოში საერთოდ და ქალაქ საიხვეში კერძოდ.

ბახვა, რომელსაც აქამდე პოლიტიკა და გაზეთები ჭირივით სძულდა, იძულებული გახდა, ყოველდღე მისულიყო ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ეკითხა გაზეთები. განსაკუთრებით საყურადღებო სტატიებიდან ციტატები საერთო რვეულში ამოეწერა და ინფორმაციით „შეიარაღებული“ დაბრუნებულიყო სტუმართან.

დამავიწყდა თქმა, რომ ელექტროდენი ქალაქ საიხვეში კანონიერი პრეზიდენტის განდევნამდე გაითიშა და ერთი საათით სწორედ მაშინ მოდიოდა, როცა ტელევიზიასა და რადიოს მაუწყებლობა კარგა ხნის დამთავრებული ჰქონდათ.

ცოლისთვის, რა თქმა უნდა, არ მიუწერია და არც ტელეფონით უთქვამს ბახვას, რომ შინ საპატიო ხიზანი ჰყავდა.

ქალიშვილმა გამოცდები ივნისის ბოლოს დაამთავრა, საიხვეში სამ ივლისს დაბრუნდნენ და, რკინიგზის სადგურზე რომ დახვდა ცოლშვილს, სწორედ მაშინ გაუმხილა ბახვამ საიდუმლო.

ცოლმა ჯერ ლოყა ჩამოიხოკა: „არ გასკდეს ეგ ამბავი და არ დევიღუპოთ, ბახვა. წევე პატრონი გვყავდეს ვინმე“, მაგრამ სწრაფადვე გაისიგრძეგანა ვითარების მთელი სიმძიმე და ახლა ერთი სული ჰქონდა, სანამ შეხვდებოდა ლეგენდარულ სტუმარს.

ქალიშვილს კი პირველი წუთებიდანვე შეეტყო, რომ ამაყობდა თავისი მამით.

„ვინიცობაა რამე მოხდეს და სროლა ატყდეს, თქვენ მაშინვე იატაკზე გაწექითო“, ყოველ შემთხვევაში, გააფრთხილა ბახვამ თბილისიდან ჩამოსულები. რევოლუციური ოჯახისთვის (რომელსაც ყოველ წამს თავდასხმა ელოდება) ეს აუცილებელი ცოდნა ბახვას ფანტაზიის ნაყოფი გახლდათ.

შემეძლო ჩვენი ნოველის გვერდები გამევსო კარლოსა და ბახვას ოჯახის წევრების ურთიერთობის უაღრესად საინტერესო ეპიზოდებით, მაგრამ მკითხველის ყურადღებას აღარ გადავღლი. ერთს ვიტყვი მხოლოდ: ბახვას ქალიშვილს რომანტიკული წარმოდგენა დევნილის შეფარებაზე

რამდენადმე გაუცრუვდა.

მას ეგონა, თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარ, წვერმოშვებულ „ფირალს“ იხილავდა, ჭერზე თაგვის გაფაჩუნების დროსაც კი პისტოლეტს რომ ფეხზე შეაყენებდა და ეზოში ჩვეულებრივი საჭიროების დროსაც კიბით კი არ ჩადიოდა, არამედ ფანჯრიდან ხტებოდა.

ყოველივე ამის ნაცვლად ქალიშვილმა იხილა მისი მდგომარეობის კაცისთვის ზედმეტად მშვიდი პიროვნება. ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტის დამსვენებელივით ძველმოდურ პიჟამოში გამოწყობილი, ოთახში ნებანება მოსიარულე, დიდი თხოვნის შემთხვევაშიც კი თავის საბრძოლო ფათერაკებზე რომ არას იტყოდა.

რა დამალულა ამ ქვეყანაზე, რომ ბახვა ხარაბაძის საიდუმლო სტუმრის ამბავი დამალულიყო.

აგვისტოს ბოლოს ცოლი და ქალიშვილი თბილისში რომ გააცილა, შინდაბრუნებულ ბახვას ჭიშკართან მამაგეიშვილის უმცროსი ძმა, ჭიჭია მამაგეიშვილი, დახვდა კალანჩხით ხელში.

„რა იყო, რავა ამოგვიღე გულიდან ბახვაო, – ჭიჭიამ, – შე კაი კაცო, შენი სტუმარი მარტო შენი სტუმარი კი არაა, მთელი ჩვენი ქუჩის და, თუ გინდა, მთელი საიხვის საპატრონოა მაგიო. გიცადეთ ამდენი ხანი, გვეგონა, შენ თვითონ გაგვიმხელდი, გაგვენდობოდი და გვთხოვდი პრეზიდენტის თანამებრძოლის შენახვაში შემწეობასო. ა, გამომართვი ეს კალათა, თუ მაინცდამაინც, ბატონ კარლოს ნუ ეტყვი, ვინ მეიტანა. ასე ჩემსავით ამოგიდგება, ჩემო ბახვა, ხვალ და ზეგ მთელი მეზობლობა შენს კაცურ საქმეშიო. მთავარია, არ შევრცხვეთ სტუმართან. ამ უბედურ დროს არ შეგვეტყოს, ხელმოკლედ რომ ვართ დიდიან პატარიანად სუყველაო“.

ბახვას თავზარი დაეცა.

კალათა გულისკანკალით აიტანა კიბეზე და მაგიდაზე დადო.

ორი გაპუტულგამოშიგნული ქათამი, სამი წველა ყველი, ცხელი ჭადები და კიტრის მწნილი იდო კალანჩხაში.

ცივმა ოფლმა დაუცვარა შუბლი მასპინძელს.

ვერ გადაეწყვიტა, დაემალა თუ არა ეს ამბავი კარლოსთვის.

რომ დაემალა, ვაითუ ვინმეს პოლიციაში დაესმინა და მერე ბახვას დაბრალდებოდა ყველაფერი.

– ვინ იყო? – თითქოს გულისნადებს მიუხვდაო, თავისი ოთახიდან „პრეზიდენტის მარჯვენა ხელი“ გამოვიდა.

– უკანა მეზობელი იყო, მამაგეიშვილი. ცოდნიათ შენი აქ ყოფნა, სადილი მეიტანა.

ბახვას ეგონა, შეხტება და შემოტრიალდება ჩემი სტუმარი. უგერგილო კონსპირაციისთვის მაგრად გამთათხავს, მერე სწრაფად ჩაიცვამს, ბარგს ჩაალაგებს და ქუჩაში გავარდებაო, მაგრამ მსგავსიც არაფერი მომხდარა.

სტუმარმა მშვიდად მოუსმინა, კალანჩხას ერთხელ კიდევ ჩახედა და ბახვას შორიდან ჰკითხა.

– სანდო ხალხია ეს მამაგეიშვილები?

– კი, ბატონო. საერთოდ, ჩვენს ქუჩაზე ყველა სანდოა, –

ამოიკვნესა ბახვამ.

სტუმარს მეტი აღარაფერი უკითხავს.

ადგა და თავის ოთახში შევიდა.

გავიდა კიდევ ორი დღე და ბახვა ხარაბაძის სტუმარზე მთელი საიხვე ზრუნავდა.

ქუჩაში ნაცნობები (და ზოგჯერ უცნობებიც) მიკიბვმოკიბვის გარეშე ეკითხებოდნენ, თავს როგორ გრძნობსო.

რა იცის პირველ პრეზიდენტზე, წერილებს თუ ღებულობსო.

კვირა არ გავიდოდა, ორისამი ხელდამშვენებული სტუმარი არ მოსულიყო.

ყველას სურდა, თვალი შეევლო, ხელი ჩამოერთმია. თუნდაც ორიოდე საიმედო სიტყვა მოესმინა ლეგენდარული მებრძოლისგან.

კარლო უკვე აღარ იმალებოდა. სიამოვნებით გამოდიოდა სტუმრებთან. პრეზიდენტის უახლოეს გეგმებზე ესაუბრებოდა მათ და წელში გამოყვანილი ჭიქებით მოქალაქეთა ალალი გულით მორთმეულ შავწითელ ღვინოსაც მიირთმევდა.

ერთხელ საიხვის უშიშროების აგენტიც მოვიდა (თვითონ გააცნო თავი კარლოს – ესა და ეს კაცი ვარო, თორემ ვინ აძალებდა), პოლიტიკურ ხიზანს ახალი გაზეთები, თბილი წინდები და ტყავის ხელთათმანები მოუტანა.

მეო, შეიძლება მალე პენსიაზე გავიდე და პრეზიდენტის ტრიუმფით ჩამოსვლას ვეღარ მოვესწრო, მარა იცოდეთ თქვენ, ეროვნული სული არც კაგებში ჩამკვდარა და ჩვენს სამსახურშიც დიდი კონსტანტინეს შვილს არაერთი გულშემატკივარი ჰყავსო.

იმდენად პოპულარული გახდა კარლო საიხვეში, რომ სოცუზრუნველყოფის კანტორა ბახვა ხარაბაძის ოჯახს სტუმრისთვის დამატებით კარაქის ორ ტალონს და ამერიკული ყვითელი სიმინდის ფქვილს აძლევდა.

შობის წინა ღამეს კარლოს თეთრმა „ნივამ“ მოაკითხა.

სტუმარმა ბარგი ჩაალაგა, მადლობა მოახსენა ბახვას პრეზიდენტის ერთგულებისა და გულთბილი მასპინძლობისთვის, ღუმელთან მიმჯდარ სიდედრს ხელზე აკოცა, „ნივაში“ ჩაჯდა და წავიდა.

***

28 იანვარს გაზეთმა „ახალმა თაობამ“ მეშვიდე გვერდზე წვრილი შრიფტით აწყობილი ინფორმაცია გამოაქვეყნა:

„სამართალდამცავმა ორგანოებმა დააპატიმრეს გერმანე შეროზია და ნური ფიფია. ისინი თავს საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეგობრებად აცხადებდნენ. გულუბრყვილო მოქალაქეებს არწმუნებდნენ, რომ სამართალდამცავი ორგანოებისგან იძებნებოდნენ და თვეების განმავლობაში ცხოვრობდნენ რა ცალცალკე ოჯახებში კონსპირატორი სტუმრის სტატუსით, ეს მუქთახორები ტვირთად აწვებოდნენ ისედაც შეჭირვებულ მოქალაქეებს“.

კიდევ კარგი, ეს განცხადება არ წაუკითხავს, თორემ რევოლუციებზე ისედაც გულგატეხილ ბახვა ხარაბაძეს სასოწარკვეთა შეიპყრობდა.

გერმანეს წასვლის შემდეგ იგი გაზეთებს აღარ კითხულობდა.

ბატონო სტუდენტებო

განმეორდა 1921 წლის 25 თებერვალი.

დამოუკიდებელი საქართველოს ბოლომდე დამხობას წინ უძღოდა 1989 წლის 9 აპრილი.

ჩვენს სურვილს თავისუფლების ნიავისთვის მიგვეშვირა სახე, რუსის მხედრობამ რუსთაველის პროსპექტზე მშვიდობიანი მანიფესტანტების ბარ-ნიჩბით დაჩეხვითა და შხამის ფრქვევით უპასუხა.

გაგრძელება იქნება

თინათინ სიყმაშვილი

დედაშვილობა

თავხილაბანდიანმა ქალმა ხელის ეტლი დირეზე გადმოაგორა, საჩეხი გამოატარა და იქვე, სახლის გვერდით, კაკლის ხის ჩრდილს შეაფარა. გორგოლებს ქვები შემოუწყო, გაამაგრა. ტაბლაზე წყლიანი ჭიჭლა შემოდგა და წიგნები და გაზეთები დაახვავა.

– ეგე, შვილო... ჩემო სულისდგმავ და თვალისჩინო... ჩემ მოსვლამდე თავი შეიქციე როგორმე... ყანას მივხედავ, ბოჩოლასაც ბალახს გამოვუყოლებ... ვიდრე მზე მოგადგება, მეც მოვშავდები...

– ჰოო, დეე... – ამოიოხრა ეტლს მიჯაჭვულმა და წიგნს დასწვდა. აიღო. უნდომლად გადაფურცლა.

დედამ ჭიშკარი ააჭრიალა, იქაურობას ლანდივით გაეცალა.

ეტლი პატარა იყო, ბინადარი ძლივს ეტეოდა. თითქოს ძალისძალით ჩაეჭედათ შიგ და ისიც იქ დიდხნობით ვერ იბოგინებდა. თავისით თუ ვერ წამოხტებოდა და გადმოევლებოდა, სულერთია, გადმოიმზღვლეოდა და გადმოვარდებოდა მაინც...

სხივებდაგრძელებულმა მზემ ვლო, ვლო ცარგვალზე. ხეს თავს წამოადგა. მერმე გვერდიდან მოუარა. ჩრდილმა ადგილი ინაცვლა.

ჩამოცხა.

ჭიშკრისაკენ ცქერითა და ლოდინით მოიღალა ჭაბუკი. მოითენთა.

– ადე, ნატროო, რას ჩაჰხუტებიხარ მაგ დასაწვავ-დასაბუგ ეტლსა... არ დაიღალე მაგდენი ჯდომა-წოლითაა?! ვინ შენა და ეგრე უსაქმოდ ყოფნა, ბიჭოო! – ქვასავით გადმოუგდო ვიღაცამ ღობის იქიდან.

იმან ქვასავით გადმოუგდო, მაგრამ ამას ლოდივით მოხვდა გულზე.

რომელი ხარ, რა უცხოსავით შორიდან მეღრიჭინებიო, მიაძახა. მაგრამ იმას არც გაუგია. ჩაიარა და ვალმოხდილივით წავიდა.

მართლაც, ნატრო ვინა და ეგრე უქმად ყოფნა.

ნატრო იყო, მიწას ჯერ რიგიანად არ ამოგლოდა, ხეებზე ჩიტივით დაძვრებოდა და დაფრინავდა. ტოტიდან ტოტზე ხტოდა, ხანაც კენწეროზე მოექცეოდა. ჯიბე-უბეს წენგოიანი კაკლით გაიძეძგავდა, ქარისაგან ჩამოშლილ ჩიტის ბუდეებს ხელს შეაშველებდა, საიმედოდ მიაბამდა, ძირს გადმოცვენილ ბარტყებსაც თავ-თავის ადგილზე ჩამოარიგებდა.

რომ წამოიზარდა, ხმა აეჭრა და საწვერე და საულვაშე ჩამოიფხიკა, ორ თავის კბილასთან ერთად შინიდან გაიპარა, მოხალისეებს მიადგა და რიხით განუცხადა, თქვენს რაზმში უნდა ჩაგვრიცხოთო... იმათაც, მაინცადამაინც ჯერ თვითონაც რომ არ იყვნენ ამათზე მეტად დამაჭრებულები, იყოყმანეს, თავი გამოიდეს, აქაოდა, ესაო... ისაო... ეგრე და იგრეო... მაგრამ მერე, რომ გამოსცადეს, მოეწონათ კენჭივით მაგარი და შვინდის სახრესავით მოქნილი ბიჭები, რომლებსაც, ამასთან, გულიც ერჩოდათ, თვალი და ჭკუა-გონებაც უჭრიდათ და უარი ვერ უთხრეს. მიიღეს...

მალე იმ სამივემ ქვეშ მიწა დაიგო და საბნად ცა დაიხურა...

ერთხელაც, იწვნენ ავტომატჩაბღუჯულები, სუნთქვაშეგუბებულები და ზედ შარაგზაზე გადმოყუდებულ ქაჩალგორას თვალს არ აშორებდნენ. იქით გადამთიელები იყვნენ... ესენი დროდადრო თავს წამოწევდნენ, ერთმანეთს უხმოდ რაღაცას ანიშნებდნენ, შიგა და შიგ, ზურგსუკანაც გააპარებდნენ მზერას...

ჩქამი არსაიდან ისმოდა.

სულიერი და უსულო რაღაცის მოლოდინში გარინდულიყო და გატრუნულიყო.

ყველაფერი მაინც მოულოდნელად და უცბად მოხდა.

ჯერ ბალახმა თუ ფოთოლმა გაიშრიალა. სადღაც ქვაც დაგორდა, სულ ახლოს, ორიოდე ნაბიჯზე... შემცვლელი თუ მოდიოდა. დროც იყო...

ბევრნი იქნებოდნენ...

მიწასგაკრულები გაფაციცდნენ და გამტკნარდნენ.

– აქ ყოფილან... მოყუჩებულები! ეს ჩემის... – მოგუდულად ჩაიდუდღუნა ერთმა მოსულმა. სხვები კრინტს არ ძრავდნენ.

– მოხვედით? – მოგუდულადვე შეაგებეს.

– მოვედით... აბა, არ მოვიდოდით?

– რას შვრები, ბიჭო!

– ვინ არი შენი ბიჭი!

– უჰ, შენი!

– ხმა-მეთქი...

– ვაი, დედა!

თითქოს მიწა იძრა. ცაც ჩამოიქცა. მერე მზე დაბნელდა და მკვდრული სიჩუმე ჩამოწვა.

ნატროს თავი ტყვიასავით დაუმძიმდა. თითქოს ვიღაცამ ხელი ჰკრა, ღრმა ხაროსაკენ უბიძგა...

ოდნავ გონს რომ მოეგო, აუტანელმა ტკივილმა და წყურვილმა გააწამა. ხელი ირგვლივ მოაფათურა, ავტომატს ეძებდა. სადღა იყო ავტომატი, თავისი ან ნაძმობებისა. ისინიც იქვე ეყარნენ უძრავად გაშოტილები... თითებში სისველე იგრძნო. იმავ წამს ცხვირში მოტკბო-მომლაშო სუნმა შეუღიტინა. რა მოხდაო, გაიფიქრა. რაღაც იგუმანა, მაგრამ აზრი ვერ მოიკრიბა. წამოწევა და წამოდგომა სცადა... ამაოდ...

როდის-როდის ბუჩქების ლაწალუწი და ფეხის ხმა მისწვდა სმენას.

– ჩაუხოციათ...

– ეს, მგონია, ცოცხალია.. თავსა და ზურგშია დაჭრილი... დაცლილია სისხლისგან...

– როგორმე უნდა გავიყვანოთ აქედან... აბა, წამომკიდე... ფრთხილად...

ხმადაბლა, ლამის ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. თან ჩქარობდნენ.

ისევ პირამოღამებულ ორმოში გადაქანდა და ჩაყვინთა...

მერმე სხვა ხმები აირია.

– გადარჩება? იცოცხლებს?

– იცოცხლებს, მაგრამ ვაი იმ სიცოცხლეს... სამუდამოდ ხეიბარი დარჩება...

– ვაი მის დედას, უბედურს!

– აფსუს, რა მოხდენილი ბიჭი იქნებოდა!

– წამალი მიეცით... იძინოს...

ხეიბარმა სიმწრის ოფლით დანამულ წამწამებში ძლივს გამოიხედა. ირგვლივ ყველაფერი ნისლში გაბლანდულიყო. აქ რა მინდა, საიდან და როგორ მოვხვდიო... ვიღაც თეთრხალათიანმა შუბლზე ნაზად შეახო ხელი, აბურდული ქოჩორი გადაუწია, დაულაგა. სიცხისაგან გაფიცხებულ ტუჩებზე ლიმონის ნაჭერი მოუსვა.

ეუცხოვა, მაგრამ ეამა და გაყუჩდა.

კედლის იქიდან საწოლის ჭრაჭუნი და გაბმული გმინვა აღწევდა. დერეფანში ვიღაცეები დაბრაგუნობდნენ.

ისევ მიილულა.

იმ სითეთრესა და ფაჩიფუჩს თანდათან მიეჩვია, მაგრამ დრო რომ გავიდა, ყველაფერი მოყირ-ჭდა და მობეზრდა. რა ექნა, ბედს ემდუროდა და გაჩენის დღესა და მოსწრებას იწყევლიდა...

ერთ დღეს საწოლიდან ეტლში გადაიყვანეს. ციმციმ ასწიეს და ჩვილი ბავშვივით ჩააწვინეს.

– როგორც იყო, ვიშოვნე ეტლი. ცოტა პატარაა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არა უშავს... ეს იყოს... ვიდრე მის ზომას მოვნახავდე, როგორმე იოლას გავალთ... სულ არარაობას... მაინც... მთავარია, შვილი ცოცხალი გადამირჩა... – დედა იყო. უძილო ხმა ჰქონდა, შემცივნული.

– მაგარი ბიჭია. გაუძლო. გადაიტანა... – ექიმი თავს ძალას ატანდა, სიტყვებს ძლივს იმეტებ-და.

– ექიმო, რამე იმედი არის? როდისმე წამოდგება? გაივლის? – გაუბედავად იკითხა ქალმა და პასუხის მოლოდინში ერთიანად დაიძაბა.

– არ ვიცი... ვერ შეგპირდებით... ჩვენ რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ... თქვენი შვილი ცოცხალია... იცოცხლებს...

– სახლ-კარს გავყიდი... ყველაფერს, რაც მაბადია... ქვეყანას შევაწრიალებ... იქნება ღმერთმა გადმომხედოს...

– მე სასწაულების არ მჯერა... მაგრამ... – ამონაყა ექიმმა და კარში გავარდა. თავს უშველა.

ბიჭმა თვალის გახელა ვერ გაბედა. თითქოს დამნაშავე იყო... ის სიტყვებიც მას არ ეხებოდა და ისინიც ამაზე კი არა, ვიღაც სხვაზე საუბრობდნენ.

მას აქეთ ვერ მოიშორა ის მოურგებელი ეტლი იყო თუ საყუდარ-საბუდარი. ძალიანაც უნდო-და, გადმონთებულიყო, მუხლი გაემართა, თავი მოეგიჟიანებინა, იქაურობაც და მთელი ქვეყნიერე-ბაც თავისი ფეხით მიევლ-მოევლო და მიერბინ-მოერბინა, მაგრამ იწვა და აუხდენელ ოცნებებსა და ნატვრაში კლავდა დარდსა და გაწელილ დროს...

დღე ერთი იყო და საზრუნავ-საჭმუნავი არ ელეოდა შვილზე გადამკვდარ დედას.

– სადღა არ ვიყავი... აქაც ვინ აღარ მოვუყვანე... ექიმი და ექიმბაში არ დავაკელი... ხატი და სალოცავი... მაგრამ არაფერი წაადგა... ეხლა გავიგე, რომელიღაც ქალაქსა თუ სოფელში ვიღაცა ყოფილა... მაგისთანები დაუყენებია ფეხზეო... წავალ... მოვძებნი... ეგება... – ცასა და ქვეყანასა შეს-ჩიოდა დედაქალი და მეტი ჩარა რომ აღარა ჰქონდა, შვილის ფერებასა და ლოლიავში ათენებდა და აღამებდა, სხვამ თუ არავინა და არაფერმა არგო რა, იქნება დედის გული და ხელი ესალბუნოს, ეთილისმოს და შვილი გამომიჯანმრთელდესო...

ამასობაში მზემ უფრო იძალა.

ჩრდილი აბარგებულიყო და სადღაც გადაბარგებულიყო.

– ნეტავ სად არი აქამდე... რატომ დაიგვიანა... – ბიჭმა წყალი მოსვა. ეუგემურა დუბელა. ზიზ-ღით გადააპურჭყა.

ღობის ზემოთ ბალახის კონა მოირწეოდა.

ჭიშკარი შემოიღო. შემოფრიალდა.

– მოდის... – გაუხარდა. თვალი შეასწრო, ღონემიხდილმა ქალმა როგორ გადმოალაჯა ლოდსა-ფეხურს, მაგრამ წელი ვეღარ აიტანა, წინ წაბღავდა და ძირს დანდობილად დაენარცხა.

– ვაიმე!

– ვაიმე!

ერთდროულად აღმოხდა ორივეს.

– შვილო!

– დედა!

ბიჭმა ისიც დაინახა, კაკლის ხის გადაღმა როგორ აცახცახდა სხივებდამოკლებული მზე.

კაკლის ხეც აღელდა. ატორტმანდა.

ეტლსაც თითქოს რაღაც დაემართა.

– შვილო! – სიოდა დედა.

– დედა! – იბღავლა შვილმა და სახელურს წაეტანა...

ერთი დაწამწამება და, შვილის მკლავებში აფართქალებული დედა ხილაბანდის ყურით იწმენდდა ღაწვებსა და ნიკაპზე ჩამოკამკამებულ ცრემლებს...

ბილიკზე თავაწყვეტილი ეტლი მიგორიალობდა...

დედის რძე

ნოველა

მძიმედ დათალხულმა ხნე ქალმა დირეს გადააბიჯა, ოთახის კარი ხელუკულმა მიიხურა და აივნის მოაჯირს ჩამოეღვენთა. თავიდან მანდილი გადაიძრო და რამდენჯერმე ისე დაიქნია, ვითომ ეგარი და, მთელ დარდსა და ნაღველს თეთრი თმის ბეწვებთან ერთად ჩამოიბერტყავდა. მერმე თავსაფრის ბოლოებით თვალის უპეები ამოიწმინდა, მაგრამ მღუღარე ცრემლები ვერ ამოიმშრალა, წლებით დაღარულ ღაწვებზე ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა და ნიკაპქვეშ ენასკვებოდა.

ცრემლებით დაბინდული თვალებით დასანახი მაინც დაინახა და გასაგონიც გაიგონა. დაინახავდა და კიდევაც გაიგონებდა, აბა, მაშ რა იქნებოდა: სამეზობლო ღობის იქით, ეზოში, ბალღები დახტოდნენ და ჟივილ-ხივილით იქაურობას იკლებდნენ. ერთიმეორეზე მიყოლებულები ისეთი კოკროჭინები და მალხაზები იყვნენ, ავ თვალს არ დაენახვებოდნენ...

იმ კაბა-ხალათივით ბედგაშავებულ ღვინაურას ერთადერთი შვილიშვილი კი თავისავით პატარა ჩასასვენებელში გაუნძრევლად იწვა, ისე იწვა, თითქოს სიცოცხლით გამაძღარსა და გახარებულს თავისიანებიც გაეხარებინა, ყველა და ყველაფერი მოესურვილებინა, ჯერ კარგად მოუხილავ ქვეყანასაც გამოთხოვებოდა და სამუდამოდ დაეძინა.

რა მოხდებოდა, სხვა ბავშვებივით იმასაც ეტანტალა და ეკისკისა, ეზო აეხმიანებინა, თავისი მალალი ფეფებითა და სხეულით დედამიწას ხო ვერ დაამძიმებდა!

მშობლების სახლში რამდენიმე საათის სტუმრობაღა დარჩენოდა პატარას...

მალე მეზობლები, ნათესავები მოვიდოდნენ, ძაძაფლასიანი ქალები ტირილით შეძრავდნენ იქაურობას. კაცები სიმწრით ტუჩებს მოიღეჭავდნენ, ჩაჭმუჭნულ ქუდებს ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანდნენ. დროს რომ იდროვებდნენ, ოთახში შელაგდებოდნენ, ჭირისუფალს კუბოს მოაცილებდნენ, ასაწევს ასწევდნენ, მიხურულ კარს შიგნიდან მიაჯახებდნენ... რა ძნელი ასაწევი და მისაჯახებელი ის იქნებოდა რო!...

ბებოქალმა თავისი უბედურება შესტირა ამოწვერილ მზეს, შორს, დასალიერში ჭირისუფლებივით დაყუდებულ მთებს, მთელ ქვეყანასა და ზეყანას, სადამდეც თავისი ბებრული თვალი მიუწვდებოდა და ოთახში ფეხაკრეფით შეილანდა, თითქოს ეშინოდა, საიმქვეყნიოდ ჩაძინებული შვილიშვილი და იმის კუბოზე დამხობილი დედა არ შეეშფოთებინა...

ვინა თქვა, ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან, მაგრამ მაინც გამოცხვაო... ღვინაურას ადრე, მოწიფულობაში, კიდევაც სჯეროდა, რომ იმისი კვერიც გამოცხვებოდა, მაგრამ ვერა და ვერ ეღირსა საღირსებელს და რა იმისი ბრალი იყო: დედ-მამით ობოლი, ნათესავებისაგან სამადლოდ გაზრდილი, თითქოს ბედს ეწია, საკუთარი ოჯახი გაიჩინა... ეგონა, ბავშვობისა და ყმაწვილქალობის ტკივილებს ახლა მაინც დაიამებდა. მაგრამ ქმარი ადრე გამოეცალა ხელიდან, ერთადერთი ძე მარტოდმარტომ გაზარდა. კიდევაც დააცოლშვილა, ახლა შვილიშვილის მოლოდინი ასულდგმულებდა, საბებიოდაც გულდაგულ მოემზადა, მაგრამ უბედო ბედმა აქაც უგანა...

მეზობლის ბიჭმა, ამისი შვილის კბილამ, ცოლი რომ მოიყვანა, პატარძლის შემხედვარე ღვინაურამ შიშით გაივლო გულში, ამან, ამ ციცირის კვერცხივით გალეულმა გოგომ, ყველიერში ქარი რო დაუბერავს, ფოთოლივით დააბზრიალებს და წააფარფატებს, ნეტავ შვილები როგო უნდა გააჩინოს და გაზარდოსო...

მაგრამ ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ: იმ ციცირის კვერცხივით გალეულმა და გაწლეკილმა გოგომ წლისთავამდე დედამთილს მზედამთვარესავით ბიჭი ჩაუგორა კალთაში, მემრე ერთმანეთს ზედიზედ მიაყოლა და მიაყოლა და ჯერ პატარძლობამოუთავებელს ქმრის გვარობაზე ერთი ხელის თითებისჩამოთვლა გოგო-ბიჭი დაუდიოდა. იმათ ეზოში აუღებლად ფრიალებდა თოკზე გასაშრობად გარიკრიკებული ბალღის საფენები, პაწაწუნა ნიფხვები და პერანგები...

ამისმა დანდგარა რძალმა კი, ეზოში დედამთილის გულის გასახეთქად და სხვების თვალების დასაბრმავებლად რო დაათამთამებდა განიერ თეძოებსა და მეჯვებს და კოკებივით ძუძუებს, როდის-როდის, ლამის იმედი რომ გადაეწურათ, ერთი ღინკილა გოგო ძლივს გააჩინა... ისიც...

გაჩენით კი გააჩინა, მაგრამ დაბადებისთანავე სასალი... უმადო, უხორხოცო და უფერო... ჭამა იმას არ ეტყობოდა და მოვლა... რაღა არ იღონეს და ითავშიცემეს, არც ექიმი დააკლეს და არც შინაური წამალი... დაჰფოფინებდნენ, ცივ ნიავს არ აკარებდნენ... ოღონდაცარია ვინმეს რამე ერჩია, გაუჩენელს გააჩენდნენ... ნეტავ კი პატარას რამე შველებოდა!

ზოგმა რძე დაუწუნა დედას, ალბათ, მაწიერი რძე არა გაქვსო... ამათაც, მეტი რა ჩარა ჰქონდათ და ერთ მეძუძურ ქალს მიჰგვარეს, იქნება იმისმა რძემ არგოსო... მაგრამ დღეები გადიოდა და ბავშვს უკეთესობა არა და არ ეტყობოდა...

არადა, როგორი ძნელი იყო ყოველდღე დედამთილის დაკოხილი შუბლის ყურება და იმისი გაუთავებელი დურდურისა და ჯუჯღუნის მოსმენა.

ქმარი ვითომ არაფერს იმჩნევდა, მაგრამ ერთთავად გულჩათხრობილსა და ლამის დამუნჯებულს სულ გარე-გარე რომ მიუწევდა გული, საკუთარ სახლში გვიან ღამით ქურდივით შეპარული უხმოდ მიეგდებოდა დასაძინებლად, აბა, ის რა იყო!...

ბოლოს, რამ უშველა: წამლებმა, დედისა და დედობილის რძემ თუ ბებოს ლოცვა-ვედრებამ თუ ყველაფერმა ერთად, ძნელი გასარკვევი იყო, მაგრამ გოგომ კი ნელ-ნელა მოიკეთა, მოფერიანდა, წამოჩიტდა, დაგვიანებული კიჭები ამოეჭრა, ფეხიც აიდგა, კიდევაც ატიტინდა...

მაგრამ, უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო... ამათი საქმეც სწორედ ეგრე იყო: ახლა მუცლის სალმობა შეეყარა პატარას... ამან სულ მოუთავა ხელი... ერთბაშად მოიმჩვარა, თვალდახელშუა ჩამოისანთლა...

მერე და მერე აღარც წამალი და აღარც არანაირი საჭმელი აღარ მიიღო იმისმა დაუძლურებულმა ორგანიზმმა...

ერთხელაც, შვილის სუნთქვასა და გულისცემას მიდარაჯებულ დედას ხელში იმისი უმწეო სხეული შეაცივდა...

რძალ-დედამთილის შეცხადებამ და ვაებამ შეძრა მთელი სახლი, ეზო-კარი და სამეზობლო... თავზარდაცემულ მამას საკუთარი სიცოცხლე ეზედმეტებოდა, უილაჯობისაგან უხმოდ იმდუღრებოდა და იქულუღებოდა...

იმ დანდგარა ქალს, ღვინაურას რძალს, ერთ დროს იმისი თურთუმელა გვერდების ქვეშ ტახტი საწყალობლად რო ჭრიალებდა და სიარულის დროსაც იატაკს ჭრაჭაჭრუჭი გაჰქონდა, რაღა ექალებოდა, ზეზეულად ჩამოხმა და ჩამოინავლა. დედობაგამწარებული შვილის კუბოსთან იღამებდა და ითენებდა. იმის გაციებულ სხეულსა და ხელებს ელოლიავებოდა, ენანავებოდა, ეგება როგორმე გავათბოო...

შუაღამე რომ გადავიდა, გასავათებულს წამით ჩასთვლიმა... მაგრამ მაშინვე შეკრთა. თითქოს ვიღაცამ ხელი ჰკრა, კიდევაც უბიძგა. რაღაც შეიძრა დედის გულგვამში, აფუთფუთდა, მთელ სხე-

ულში ტკივილად დაუარა და მერე მკერდს მოასკდა... ქალმა იგრძნო, ძუძუებმა წაუგერა... უნებურად დაიხედა: გაცრეცილ დილაბნელში კარგად გაარჩია, შავი, სამგლოვიარო კაბა საძუძუესთან თეთრად დადღაბნილიყო... უმალ ხელი მოივლო, გულისპირი ჩამოიგლიჯა, გატიკნილი ძუძუ ამოიგდო, თითებშუა მომწყვდეული კერტი შვილის გაციებულ ტუჩებზე მოატარა, კიდევაც მოუსვა... რძე ჯერ ცრემლივით მოჟონავდა... მოწვეთავდა... მემრე წამოვიდა... გაოგნებულმა დედამ წამიერად იგრძნო, ძუძუს თავს ვიღაც თუ რაღაც მიეცაცუნა... თითქოს მოუჭირა... სულ ოდნავ... ოდნავ... ულონოდ... მაგრამ მაინც... კიდევაც უკბინასავით... პატარას კიჭი თუ იყო... უაზროდ მოიზიდა თავისკენ ძუძუ... მესაკუთრეც უმალ წაეტანა...

დაგმანულ ფანჯარასთან რაღაცამ გაიშრიალა. ოთახის კარი თითქოს თავისით გაიღო. ნაბიჯები არ გაუგონია. დედამთილი და ქმარი ჩრდილივით წამოადგნენ თავს, უხმოდ და უჩამიჩუმოდ.

– ადექი, ქალო, შე თვალდამდგარო შენა... ეგე, გათენდა კიდევაცა... – დედამთილის ხმა იყო, ცრემლიან-ნაღვლიანი. დედას არ გაუგონია.

– ჰოო... ადე... – ძლივგასაგონად ამოღერღა ქმარმა.

– თავს მიხედე... საცაა, ხალხი მოვა...

– ხალხი? ვინ ხალხი... რა ხალხი... – როგორც იყო, თავი ასწია დედაქალმა. – მემრედა აქ ხალხს რა უნდა რო?!.

– როგო თუ რა... ყველაფერს თავისი დრო, წესი და რიგი აქ... მარტო ჩვენს თავს ხო არაა უბედურება... ამოწყვეტილები და ქვეყანაზე გამოსხლეტილები ხო არა ვართ... მტერიცა გვყავს და მოყვარეც... – ხმაში ახლა შიში გაუკრთა დედამთილს.

– მემრე? მოვიდნენ რაა... – ნახევრად შემობრუნებულმა იკითხა დედამ ისე, რომ შვილისათვის ძუძუ არ მოუცილებია. – ჰოო... მოვიდნენ... მოვიდნენ... რამდენიც უნდათ... იმდენი... მოვიდნენ... მე რაა... ჩვენ რაა... ჰჰჰ... ჰიჰ!!! აციმციმებული თვალებიდან ღვარღვარა ცრემლებს აკამკამებდა, ბაგე-პირი კი გაურკვევლად უცინოდა... წვიმიან დღეს მზე პირს რო იბანს, ისე...

ღვინაურა უარესად დაიზარფა, რა ვქნა, კიდევ რა უბედურებაა ჩვენს თავსაო... სულ ახლოს მივიდა, მილასლასდა. ამოღამებული თვალებით ჯერ რძალს დახედა, მერე შვილიშვილს, მერე ისევ რძალს და გახევებულ შვილს მიაშტერდა, ხელები უმწეოდ გაასავსავა, რაღაც წამოიკივლა და იქვე ჩაიკეცა.

კაცი იატაკს მიელურსმასავით. მერე, როგორც იყო, წადგა ფეხი... მაგრამ ვიდრე მივიდოდა და დახედავდა, მანამდე მიხვდა...

მამის გულმა უგრძნო რაღაც... მივიდა, დედას, ცოლსა და შვილს გადაეფოფრა, თითქოს ვიღაცის თუ რაღაცისგან დასაფარად და დასაცავად, მაგრამ დასაფარი და დასაცავი აღარაფერი სჭირდათ და ისიც, როდის-როდის, წამოდგა...

წამოდგომით კი წამოდგა... იდგა.

არ იცოდა, რა ექნა. ხელებს აქეთ-იქით უაზროდ და უიმაოდ იქნევდა.

ენასაც ვერაფერი მოუხერხა. სიცილ-ტირილით რაღაცას, თავისთვისაც და სხვებისთვისაც გაუგებარს ლუღლუღებდა...

...მზიანი დღე გათენებულიყო.

ბავშვი ფართოდ გახელილი თვალებით თითქოს გაკვირვებული შეჰყურებდა დედას, მამასა და ბებოს და რძენასვამ ტუჩებს აცმაცუნებდა...

მარიამობისთვე, 2015 წელი

გარი ჩაფიძე

სიყვარულის ლაბირინთი

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ
ჟურნალ „ათინათის“ №28, 29, 30, 31, 32, 33-ში)

ღალატი

– ახლავე ბატონო! – წარმოთქვა კოლონიის უფროსმა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

ტელეფონით საუბრის ორიოდე წუთის შემდეგ კოლონიის უფროსმა ყურმილი წყნარად დადო და გამომძიებელს გაუღიმა, თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ კი ორმა ბადრაგმა კაბინეტში შმაგი მგალობლიშვილი შემოიყვანა, რომელთაც უკან მაიორის ჩინიანი ჩამრგვალებული ქალი შემოჰყვა. ქალმა გამომძიებელს შმაგი მგალობლიშვილის საქმე, რომელიც სქელ საქაღალდეში იყო მოთავსებული წინ დაუდო და ღიმილად დაფერფლილმა უფროსის კაბინეტი დატოვა. ქალს შმაგის მომყვანმა ბადრაგებმაც წაბაძეს და კაბინეტში სამნიღა დარჩნენ.

გამომძიებელი გამალებით იწერდა შმაგის პასუხს, რომელმაც სკოლის მერხიდან დაიწყო და დღემდე განცდილსა და გადატანილს ჰყვებოდა: მან თითქმის შეუცდომლად გაიმეორა იგივე, რაც დუშეთში სახალხო სასამართლოს დროს და დაუმატა:

– როგორც გუშინ გავიგე, შორენა სახლში არ შესულა და იმ ღამესვე გაპარულა: ქმრად ვიღაც სომეხი აურჩევია, მე კი ცოცხალი ადამიანის სიკდვილს შემედავნენ და თორმეტი წლით მომისაჯეს თავისუფლების აღკვეთა...

– გუშინ საიდან გაიგეთ, რომ შორენა ცოცხალი იყო? – სიტყვა შეაწყვეტინა პატიმარს გამომძიებელმა.

– მამა იყო ჩემთან სანახავად და ის მომიყვა ყოველივე.

– კიდევ რა გითხრათ?

– მეტი არაფერი, ოჯახში მოსულა ქმართან ერთად მშობლების მოსანახულებლად, მაგრამ შორენას მშობლები კეთილშობილი ხალხია და შვილის მიღებაზე უარი განუცხადებიათ.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, გვამი რომელიც ტბაში იპოვეს, ვისი უნდა იყოს? ადამიანი ჩიტი ხომ არ არის ასე უგზო—უკვლოდ დაიკარგოს მშვიდობიან ქვეყანაში?

– ჩემ მიერ ძნელია მაგ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, სწორედ მაგ უცნობი გვამის აღმოჩენამ დამღუპა, მე რომ იურიდიული დამემთავრებინა აქამდის ვაღიარებდი მკვლელსაც და გვამის მეპატრონესაც, მაგრამ მე ხომ მსახიობი ვარ?

– ნუ იდარდებ, ახალგაზრდა ხარ, ცხოვრება წინ გაქვს, ხანდისხან ქედიც კი უნდა მოუხარო მუხთალ ბედს, მაგრამ იმედი არ უნდა დაკარგო. დღეს თუ ხვალ გაგანთავისუფლებენ და შენ იცი როგორი ახალგაზრდული ენერგიით შეუდგები ახალ ცხოვრებას. საკადრის სასჯელს ჩვენ თვითონ მივაგებთ ყველას, შენ კი მეგობრულად დამირიგებიხარ, არავითარი შურისძიება გულში არ გაივლო. შენ კიდევ შეგიძლია ყველას დაუმტკიცო შენი განათლება და მაღალი ღირსება, არის შემთხვევა, ღირსეული კაცი დიდ გავლენას ვერ აღწევს, მაგრამ შეუძლებელია გავლენის მიღწევა ღირსებისა და განათლების გარეშე. მე შენში ორივეს ვხედავ და ნამდვილად მენანება შენს მიერ მუქთად დაკარგული დრო. თუმცა ეს „სკოლაც“ კარგი იყო შენთვის, დაინახე ადამიანთა მზაკვრობა და ქალის ბუნება, ახლა მეტი გამოცდილება გაქვს და მწამს აქ გატარებული ორიოდე დღე ვერ გარდაგქმნიდა, შენ ისევ ისე პატიოსნად გააგრძელებ ცხოვრებას თავისუფლებში, რომელსაც წინასწარ გილოცავ და წარმატებას გისურვებ.

ორსაათიანი საუბრის შემდეგ გამომძიებელმა მაგრად ჩამოართვა ხელი შმაგის, კიდევ ერთხელ მიულოცა მომავალი თავისუფლება, წარმატება უსურვა ცხოვრებაში, კოლონიის უფროსსაც თავაზიანად გამოემშვიდობა და წავიდა.

შმაგი იმავე დღეს საგამომძიებლო იზოლიატორში გადაიყვანეს, აქამდის არაფერზედ ფიქრობდა კაცი, წინ სასჯელის წლები ჰქონდა მოსახდელი, მაგრამ ახლა კი სულიერად აფორიაქდა. ყოველ წუთს ელოდა განთავისუფლებას, მაგრამ ეს ნანატრი თავისუფლება რატომღაც იგვიანებდა. ოჰ, რა ძნელია ლოდინი. გაახსენდა როდესაც შორენამ პაემანზე დაიგვიანა მხოლოდ ხუთი წუთი და მთელი კვირა გაბუტული იყო. ახლა კი წუთები კი არა დღეები გადიან და ვის გაებუტოს?

ყველაფერში ისევ და ისევ ადამიანები არიან ადამიანთა მიმართ დამნაშავენი. ადამიანის ლოდინიც ვიღაცის ძალმომრეობიდან იღებს სათავეს და იმ „ვიღაცას" სიამოვნებს ადამიანის ტანჯვა. ლოდინი ერთ—ერთ ტანჯვად მიმაჩნია და არც ისე დიდხანს გაგრძელდებოდა ეს ბოროტება, რომ იყოს შემცოდე, მაგრამ უკაცრავად, როგორ შეიძლება მოვძებნოთ თანამდებობით თავბრუდახვეული ისეთი კაცი, რომ ან თავქარიანი არ იყოს ანდა ფუქსავატი, არც ნაკლები გააჩნდეს და არც ძალმომრეობის წარმოსახვა?

ადამიანები, როდესაც პირველად შედიან მაღალი საზოგადოების წრეში, მორცხვები და მოკრძალებულნი ჩანან, იციან თავდაჯერებულობა და სითამამე თავხედობად აღიქმება. ცოტაც და თვითონ მაღალი საზოგადოება აძლევს ახალბედას ბიძგს ჩაიდინოს ყოველივე ის, რაც დასაბამიდან მოსდევს მაღალი ფენის საზოგადოებას, და გგონიათ მათ არ ესმით თავიანთი შეცდომების შელამაზებას? და გგონიათ ოსტატურად ვერ მიჩქმალავენ, რაც თვითონაც საძრახისად მიაჩნიათ? რა თქმა უნდა ამას ახერხებენ არა მაღალი თანამდებობის წყალობით, არამედ მაღალ საზოგადოებაში აღზრდით, მათ გვერდში გამოწრთობითა და გამოქნილებით. ასეთ ფიქრებში ჩაძირული, ოთხ კედელში გამომწყვდეული ადამიანისათვის გამორიცხული არ არის ლოდინს ბოროტად ემოქმედა შმაგის ნერვულ სისტემაზე, ოდნავ მაინც არ შეერყია იმისი ჯანმრთელობა და ეს ცვლილება შესამჩნევი არ ყოფილიყო ზედამხედველისათვის. მაგრამ პატიმრის ცვლილებას ვერავინ ამჩნევდა, როგორც პატიმარი, ასევე ზედამხედველები მხოლოდ მსჯავრდებულის განთავისუფლების დღეს ელოდებოდნენ და გამომძიებლის ბოლო დაკითხვიდან ერთი კვირის შემდეგ დადგა ნანატრი დღე, შმაგი მგალობლიშვილი უმაღლეს სასამართლოს წარუდგინეს.

სასამართლო სხდომა დახურული იყო, როგორც პირველად, შმაგის არ ჰყოლია დამცველი, ამჟამად არც პროკურორს ულაპარაკია პატიმრის ავ ბედზე, განაჩენი წინასწარ გამოტანილი იყო და მოსამართლემაც პირდაპირ დაიწყო:

– საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა მართლმსაჯულების ორგანომ შეისწავლა რა შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილის უდანაშალუობანი, უმაღლესი სახალხო სასამართლო ადგენს:

გაუქმდეს სასჯელი შეცდომით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილის მიმართ, მიეცეს კანონით დადგენილი შეღავათები, რაც გამოიხატება გაცდენილი დღეთა მატერიალური ანაზღაურებით და სამი თვით უფასო საგზური წყნეთის პანსიონატში.

მაგრამ შეღავათები გამორიცხულია წინასწარი ძიებისაგან დადგენილი მასალებიდან, კერძოდ ძიების შეცდომაში შეყვანისათვის და სასჯელის ადგილზე მოხდის უდისციპლინობისათვის, რაც დასტურდება შრომა—გამასწორებელი ადმინისტრაციის მიერ გაცემული დახასიათებიდან. აქედან გამომდინარე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ადგენს:

წინასწარი ძიების შეცდომაში შეყვანისა და სასჯელის მოხდის პერიოდში უდისციპლინობისათვის შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილს მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვის

ვადით, ნაჯდომი დღეები ჩაეთვალოს ყოველგვარი შეღავათის გარეშე და განთავისუფლებული იქნეს სასჯელისაგან...

შმაგი გულისყურით უსმენდა მოსამართლეს. არც ერთი ხმა, არც ერთი შეკამათება, მხოლოდ მოსამართლემ როგორც კი განაჩენის წაკითხვა დაამთავრა და საქაღალდე დახურა, სიცილი აუტყდა ყოფილ პატიმარს, რომელიც თანდათან ისტერიკაში გადაიზარდა, შემდეგ თვალები გაუფართოვდა, ნიკაპი აუკანკალდა და ცეკვა დაიწყო, სუფთა „ქართულით“ ჩამოუარა წრეს და მოსამართლე გამოიცეკვა.

მოსამართლე სინანულით მიჩერებოდა ახალგაზრდა კაცს, რომელიც ნამდვილად გაგიჟებულიყო და დაცვის უფროსს გადაულაპარაკა: – გამოეყო ორი ბადრაგი და სახლამდის უვნებლად მიეცილებინათ ყოფილი პატიმარი.

მოსამართლემ საქაღალდე იღლიაში ამოიჩარა და დარბაზიდან გავიდა, დაცვის უფროსი კი მოსამართლის ბრძანების შესრულებას შეუდგა.

საღამო იყო მოახლოვებული, როდესაც ორმა ბადრაგმა შმაგი საკუთარ ოჯახში მიიყვანა და დიმიტრის ჩააბარა, შეიკრიბნენ მეზობლები, კეთილნათესავები, ნაცნობითა და უცნობით გაივსო ეზო, ულოცავდნენ შმაგისა და ოჯახის ყველა წევრს შმაგის სიმართლეს და უვნებლად დაბრუნებას, მაგრამ როდესაც შმაგიმ არეულად დაიწყო ლაპარაკი და „მარსელიოზას” სტვენა, ყველას სიბრალულის ცრემლები მოადგათ თვალებზე.

მეორე დღიდან შმაგის გიჟად იცნობდნენ, ის ერთთავად ჩაფიქრებული დადიოდა და გზებზე თეატრალურ ნიღბებს ხატავდა.

ტიროდა შმაგის დედა და მამა, დები და ძმა, ძლიერ განიცდიდნენ შმაგის ავადმყოფობას, მაგრამ ვერაფერს შველოდნენ, ექიმთან მიყვანის ეშინოდათ, „ვაი რომ საგიჟეთში გაგზავნონო”. არადა დაშავებით არაფერს აშავებდა ავადმყოფი, ეტყოდი რაიმეს – გიპასუხებდა, აჭმევდი – შეჭამდა თუ არა და მთელი დღე ჩუმად დადიოდა ტუჩების ცმაცუნით, საკუთარ თავს ესაუბრებოდა. არც ჭამა ახსოვდა და არც სმა, მტვერში ხაზავდა და ხატავდა ახალ—ახალ ფორმის თეატრალურ ნიღბებს, რომლებიც ზოგი იცინოდა და ზოგი ტიროდა. როდესაც წარმატებას მიაღწევდა გულიანად გაიცინებდა, ასანთის კოლოფს ჰაერში შეათამაშებდა და სახლში წავიდოდა.

ერთ დღეს ფიქრებში წასულ შვილს დიმიტრი მიუახლოვდა და უთხრა:

– შვილო, რაღაც მინდა გკითხო, შეგიძლია მომისმინო?

– ბრძანე მამა, თუმცა ხომ იცი გიჟს არაფერს ეკითხებიან!

– არა შვილო, შენ მხოლოდ დღისით ხარ გიჟი, ღამით კი არა, რატომღაც შენს ავადმყოფობაში სიგიჟეზე მეტად ნაღველი იმალება, ნუ დაგვწყვიტავ მთელ ოჯახს, გვითხარი რაიმე, შენ უფრო შეძლებ შენს მკურნალობას, ვინმე სხვა გაიგებს შენს სატკივარს.

– სწორი ბრძანებაა მამა, მე უფრო მესმის ჩემი სატკივარი, ვიდრე სხვას, მაგრამ ნუ იჯავრებთ, დადგება დრო მე განვიკურნები, თუ ხელს გიშლით საერთოდ წავალ ოჯახიდან და არ დაგენახვებით.

– რას ამბობ შვილო, ხელს როგორ გვიშლი, მაგრამ მე მამა ვარ ბიჭო, მინდა შენი სატკივარი გავიზიარო და ტკივილი შეგიმსუბუქო.

– მე არაფერი არ მტკივა, ხვალიდან ტყეში ვივლი ბუნებაში, ცოტა გულსაც გადავაყოლებ და ზამთრისთვის თითო ხესაც მოვიტან ყოველ დღე.

– არ მინდა შვილო შენი მოტანილი არაფერი, მხოლოდ შენ იყავი კარგად და შეშა რად გინდა მე დავიწვები შენი გულის გასათბობად.

– გეუბნები მამა მომეცი დრო, მე თვითონ გამოვჯანმრთელდები, შემდეგ ვეცდები დიდი თანამდებობა შევიძინო, რომ ზემოდან მეც პაწაწინა დავინახო ჩვენი მტრები.

– ხანდახან რა კარგად და ჭკვიანურად ლაპარაკობ შვილო, ხანდახან კი გული მიღონდება შენს შემყურეს.

– არ არსებობს ისეთი გიჟი, სიბრძნე არ წამოცდენოდეს და არც ისეთი ბრძენი სიგიჟეში არ იყოს მხილებული, დარდნი ნუ გაქვს მამა, მე ან სიგიჟით მივაღწევ მიზანს ან სიბრძნით, შემდეგ კი მოვისვენებ.

– მაინც რა გაქვს გადაწყვეტილი შვილო, გამიღე გული, აბა სად ნახავ ჩემზე ერთგულ დამხმარესა და მესაიდუმლეს?

– გადაწყვეტილი მაქვს გამოსაფხიზლებელის აშენება ბედნიერებისაგან მთვრალებისათვის.

– ეჰ, ისევ ის აურიე შვილო, ნეტავი გამაგებინა რა მეშველება! – თქვა დიმიტრის, ხელი ჩაიქნია და დამძიმებული ნაბიჯით გასცილდა შვილს.

მეორე დღიდან მართლაც ტყეში დაიწყო შმაგიმ სიარული. დილით ადრე წავიდოდა და საღამოს ბრუნდებოდა დაღლილ—დაქანცული. უზარმაზარი ხით ბეჭზე გადებული. უშლიდნენ ოჯახში, მაგარმ ვერ იქნა და ვერ გადააჩვიეს ამ ახირებულ ჩვევას ავადმყოფი, ბოლოს ოჯახის წევრებსაც მოსწყინდათ ავადმყოფზე ფუჭი შეგონება და ისიც აუღელვებლად ასრულებდა თავის მისიას.

შურისძიება

შინდისფერი „ჟიგული“ რაიონის პროკურატურის წინ გაჩერდა, ავტომანქანაში ერთი იჯდა, მძღოლიც ეს იყო და მგზავრიც. მგზავრმა ახალგაზრდული შემართებით აირიბნა მარმარილოს კიბეები და პროკურორის მდივანმა პროკურორთან შესვლის უფლება სთხოვა:

– არ არის ადგილზე, თათბირზეა წასული! – მკაცრად წარმოთქვა მდივანმა და მოსულს ზურგი შეაქცია.

– მე სამინისტროდან გახლავართ, აი ჩემი პირადობის მოწმობა! – უთხარ მოსულმა და პირადობის მოწმობა მიაწოდა.

– ბოდიში ბატონო! – ღიმილად დაიფერფლა მდივანი – მე კი სხვა მეგონეთ, ახლავე მოვახსენებ ბატონ დავითს თქვენს მობრძანებას. – თქვა მდივნმა და პროკურორთან შევიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მდივანმა კარები ფართოდ გააღო და ახლაგაზრდა კაცს თავაზიანად შესთავაზა:

– შებრძანდით!

ახალგაზრდა კაცი პროკურორის კაბინეტში შევიდა, ზრდილობიანად მიესალმა სავარძელში ჩაფიქრებულ პროკურორს და თავისი პიროვნება წარუდგინა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროდან გახლავართ, გამომძიებელი ზვიადი ზაალის ძე ზვიადაური, დავალებული მაქვს...

– ჩემი დაპატიმრება? – სიტყვა შეაწყვეტინა პროკურორმა გამომძიებელს.

– როგორ გეკადრებათ ბატონო დავით, დავალებული მაქვს შმაგი მგალობლიშვილის საქმისა და ბაზალეთის ტბაში ნაპოვნის გვამის გამოძიება. მე, როგორც წესი მოითხოვს, პირველად პროკურატურაში გამოვცხადდი, რომ საქმის კურსში თქვენც ჩაგაყენოთ და თუ დამჭირდება დახმარება აღმომიჩინოთ.

– ძალიან კარგი, მაგრამ ვერავითარ დახმარებას ვერ გაგიწევთ, დღეიდან მე პროკურორი აღარა ვარ. დილით ჩემი გადარჩევის დადგენილება მივიღე რესპუბლიკის პროკურორისაგან, ჩემი ბედი გაიზიარა მოსამართლე არჩილ არაბულმაც. დაგვღუპა იმ ძაღლის ნაშიერმა იროდი წიკლაურმა, დღესაც არ გვჯერა ამდენი ხნის მუშაკი როგორ შეგვიყვანა შეცდომაში, მაგრამ არც თვითონ წაუვიდა კარგად საქმე, ძიებაშია და ვნახოთ რა იქნება ბოლოს.

– შეცდომისათვის არავის იჭერენ ბატონო დავით! – დააიმედა ზვიადაურმა პროკურორი და კაბინეტის კარები წყნარად გაიხურა.

საგონებელში ჩავარდა ახალგაზრდა გამომძიებელი, სრულებით არ მოელოდა რაიონში ამხელა ცვლილებას, კინაღამ გადაწყვიტა დედაქალაქში დაბრუნება და საქმის აცილება, მაგრამ გადაიფიქრა და „ჟიგული“ ბაზალეთის ტბისაკენ შემოაბრუნა. რამოდენიმე წუთის შემდეგ გამომ-

ძიებელი ტურისტულ ბაზის დირექტორის კაბინეტში სავარძელში იჯდა და ისევ საუბრობდნენ, თითქოს ახალგაზრდა კაცი ტურისტული საგზურით ყოფილიყოს მოსული.

– მითხრეს თქვენთან ხალხმრავლობა არისო წელიწადის ნებისმიერ დროს, მართალია? – შეეკითხა გამომძიებელი დირექტორს.

– როგორ გითხრათ, ზამთარში საგრძნობლად კლებულობს ტურისტების რაოდენობა, მაგრამ ზაფხულში გაგიხარია, იმდენი მოდის მომსახურებას ვერ აუდივართ. – წყნარად წარმოთქვა დირექტორმა და თავის თავში შეცოდებათა დავთარს ფურცლავდა, რომ დროულად შეეტყო თუ რისთვის იყო მოსული გამომძიებელი შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

– რამდენი ნავით ემსახურებით ტურისტებს? – ახალი შეკითხვა დაუსვა გამომძიებელმა.

– ნავი თორმეტი გვაქვს, მენავე რვა, ხომ იცით, რომელიმე ნავი მწყობრიდან რომ გამოვიდეს, სათადარიგო აუცილებლად გვესაჭიროება.

– ნავი თორმეტი გაქვთ, ალბათ მენავეც თორმეტი გყავთ გაფორმებული, სახეზე კი რვა, ხომ სწორია?

– ნუ დამღუპავთ ბატონო, ეს ხომ რაღაც კაპიკებია. აბა ამ მიყრუებულ ადგილზე როგორ უნდა ირჩინოს კაცმა თავი? – ბოლოს და ბოლოს მიუხვდა მოსვლის მიზეზს დირექტორი გამომძიებელს და ნებისმიერი დავალების შესრულებაზე იყო მზად, მხოლოდ დირექტორის „მკვდარი სულებიდან“ ძიება არ დაეწყოთ.

– ჯერჯერობით ეს საქმე ღიად დავტოვოთ, არ მაინტერესებს შენს სასარგებლოდ გვერდებიდან შემოსული კაპიკები, მხოლოდ გამოძიების მიმართ გულახდილი იყავი და ყოველ შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი გამეცით. თუ თქვენ რომელიმე თანამშრომლის გადაფარებას მოისურვებთ ეს იმა სნიშნავს თქვენს მიმართ ავღძრავთ სისხლის სამართლის საქმეს.

– გისმენთ თქვენი მონა—მორჩილი, მზად ვარ გემსახუროთ.

– ექვსი თვი სწინანდელი ამბავი მინდა გაგახსენოთ, როდესაც თქვენს ტბაში ქალის გვამი იპოვეს. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება მოხვედრილიყო ტბის შუაგულში ქალის გვამი? ან ვის შეიძლება ეკუთვნოდეს გვამი?

– ვერაფერს ვერ ვიტყვი. მაგ საქმეში მართლაც უცოდველი ვარ, თუმცა ხომ გამოიძიეს ეგ საქმე და ბოროტმოქმედმა საკადრისი სასჯელიც მიიღო?

– საქმეს წორედ მაგაში მდგომარეობს, რომ არასწორად გამოიძიეს და ის ადამიანი დღესაც ცოცხალი იმყოფება, ვისი გვამიც ეგონათ. ამიტომ მიმდინარეობს ახალი ძიება, რათა ამოვიცნოთ გვამი და ვავლინოთ ბოროტმოქმედი.

– ასეც ვიცოდი!

– რა იცოდი?

– ვიცოდი და ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ შმაგი მგალობლიშვილი მკვლელი არ იქნებოდა.

– რატომ იყავით ასე დამაჯერებლად დარწმუნებული შმაგის უდანაშაულობაში?

– შმაგი ისეთ ოჯახშია აღზრდილი, არ შეიძლება იმისაგან ბოროტმოქმედი დადგეს.

– თქვენ თუ დაგბადებიათ ვინმეს მიმართ მკვლელობის ეჭვი?

– არა, თუმცა ეჭვით ადამიანს ბრალდებას ვერ მიუყენებ, ხშირ შემთხვევაში ეჭვი მცდარია და ადამიანის საცოდაობაში ვიდგამთ ფეხს.

– რას ფიქრობთ, როგორ შეიძლებოდა გვამი ტბის შუაგულში მოხვედრილიყო? – კითხვა გაუმეორა გამომძიებელმა დირექტორს.

– იქნებ ნაპირიდან ტალღამ გაიტანა!– არა, ეს გამორიცხულია, გვამს ხომ ტრაქტორის სახნისი ჰქონდა შებმული. ეს საკმაოდ სიმძიმეა, რომ ტბის ტალღამ გვამი ადგილიდან ვერ დაძრას.

– თქვენ ფიქრობთ გვამი ნავიდან არის გადაგდებული?

– სწორი შენიშვნაა!

– შესაძლებელია, მაგრამ ასეთი მენავე ჩვენს ორგანიზაციაში რომ არ მეგულება?

– თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ნავი გაგენათხოვრებინოთ?

– არა ასეთი შემთხვევა არ შეიძლება მოხდეს, რადგან მოტორიანი ნავის მართვა ყველამ როდი იცის.
– თქვენ ნიჩბიანი ნავებიც ხომ გაქვთ?
– კი, მაგრამ მას საერთოდ არავინ ხმარობს და პირადად მე მაქვს საწყობში ჩაკეტილი.
– თქვენ მენავეთა შორის ნუთუ ყველა ისეთი კეთილსინდისიერია, რომ არ შეიძლება ეჭვის თვალით შევხედოთ რომელიმეს?
– ამჟამად არავის!
– როგორ „ამჟამად", ადრე იყო ვინმე?
– ადრე წიკლაური იყო ერთი, გული მიგრძნობდა წმინდა წყლის დამლევი არ უნდა ყოფილიყო, შეიმჩნეოდა ტურისტებში ლოთობითა და დროსტარებით, ბოლოს გაცდენებიც დამიწყო და მოვ-ხსენი, თუმცა შემებრალა და შრომის წიგნაკში – „საკუთარი სურვილით განთავისუფლება" და-ვუწერე?
– ეს რომელი წიკლაურია?
– ვარლამი წიკლაურის უფროსი ვაჟი მანუჩარი, გამომძიებელი რომ არის. იროდი წიკლაური იმისი ძმა.
– გასაგებია! ახლა სად იმყოფება თუ იცით მანუჩარი?
– არ ვიცი, მე მგონია რუსეთშია წასული. ცოლი გაეყარა, კანონის ძალით, მანუჩარმაც მიატოვა სამი მცირეწლოვანი ბავშვი და გაიქცა.
– განქორწინების მიზეზი ხომ არ იცით?
– როგორ არა, ხომ გითხარით ლოთობითა და დროსტარებით გამოირჩეოდა—მეთქი. ჰო და ერთ მშვენიერ დღეს ოჯახში ვენერიული დაავადება „სიფილისი" მიიტანა, ბუნებრივია ცოლიც დაავადდა და...
– სამუშაოდან როდის განთავისუფლდა, განქორწინებამდე თუ განქორწინების შემდეგ?
– განქორწინების შემდეგ თითქმის ერთი თვე აქ ჩვენთან ათევდა ღამეს, შემდეგ კი განთავისუფლდა და წავიდა.
– თუ გახსოვთ ტბაში გვამის ნახვის შემდეგ განთავისუფლდა თუ მანამდის? – გვამის ნახვამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე.
– თუ ყოფილა შემთხვევა, ძმასთან იროდი წიკლაურიც მოსულა დროს სატარებლად?
– კი, ხშირად შემინიშნავს, მაგრამ ვერ დავუშალე, ხომ იცით თანამდებობის პირია და მეორეც, მამა – ვარლამ წიკლაური გაქნილი ინტრიგანია, მოსკოვში ფეხით წავა და სანამდის არ გაგაფუ-ჭებს, არ მოგეშვება.
– კარგი, დიდად კმაყოფილი ვარ და მადლობელი გულახდილი საბურისათვის, მხოლოდ დღევანდელი ჩვენი გასაუბრება ჯერჯერობით საიდუმლოდ უნდა დარჩეს.
– საფლავი ვარ, რაც არ მინდა რომ ვთვქა, თვით ღმერთიც ვერ ამალაპარაკებს, მაგრამ ასე ნამდვილად ვერ გაგიშვებთ. „დღეს სტუმარი ხარ შენ ჩემი"...
– არა, გმადლობთ. შემდეგისთვის იყოს, როდესაც ძიებას მოვრჩები – თქვა გამომძიებელმა და კაბინეტიდან გამოვიდა.
ზვიადაურმა „ჟიგული" შემოაბრუნა, საჩქაროდ რაიონში დაბრუნდა, პატარა მდინარეზე გადებული ხიდი გადაჭრა და აღმართს შეუყვა, მალე ხისფიცრიან ჭიშკართან შეაჩერა „ჟიგული". ჭიშკარს ანჯამები დასძრომოდა და ისე იყო გადმოყირავებული, რომ გაღება შეუძლებელი იყო და ეზოს უპატრონობაც თვალნათლივ ეტყობოდა.
ეზოში სანდომიანი სახის ახალგაზრდა სქელ შავხუჭუჭთმიანი ქალის ფუსფუსებდა, რომელსაც ორი მცირეწლოვანი ბავშვი კაბაზე ებღაუჭებოდა.
– გამარჯობათ! – ჭიშკრიდანვე მიესალმა ზვიადი ქალს და „ჟიგულის" კარები მიხურა.
– გაგიმარჯოთ – მოღრუბლული სახით უპასუხა გამომძიებელს ქალმა და ჭიშკრისაკენ წამოვიდა.
– ბატონი მანუჩარ წიკლაური აქ ცხოვრობს? – თავაზიანად შეეკითხა გამომძიებელიქალს.

– ცხოვრობდა! – ისევ წარბგაუხსენელად და უკმეხად უპასუხა ქალმა.

– მე შინაგან საქმეთა სამინისტროდან ვარ, გამომძიებელი ზვიადაური, ცოტა რამ გაურკვეველი საკითხი მაინტერესებს მანუჩარის შესახებ და გთხოვთ, თუ ბევრ დროს არ წაგართმევთ ზოგიერთ შეკითხვაზე მიპასუხოთ.

– მობრძანდით! – ოდნავ გახსნა ბაგე ქალმა და გაღიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, იმის სახესა და თვალებში ნაღველი ძველებურად იკითხებოდა.

ზვიადაური ეზოში შევიდა, ქალმა დერეფანში სკამები გამოიტანა და პატარა ვენურ მაგიდასთან დააწყო.

გამომძიებელი სკამზე ჩამოჯდა, უდარდელი და მომღიმარი სახე მიიღო. ფარულად შეათვალიერა ქალის ფიზიკური მდგომარეობა და შეეცადა ამოეცნო შინაგანი დარდის მიზეზი. მდუმარებამ რამოდენიმე წუთს გასტანა, უხერხულობას გრძნობდა გამომძიებელი ქალი სწინაშე, არ იცოდა საუბარი საიდან დაეწყო და აი, თითქოს განგებამ უკარნახაო დაუფიქრებლად წარმოთქვა:

– ქალბატონო, ძალიან დიდ ბოდიშს მოვითხოვ, საოჯახო საქმეს მოგაცდინეთ, მაგრამ ძიებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ თქვენი ყოფილი მეუღლის ვინაობა.

– ჩემი მეუღლე? – ქალი ოდნავ ჩაფიქრდა, თვალებზე ცრემლი აუკიაფდა, რომლის შემშრალება არც უცდია და არც სახე მოურიდებია გამომძიებლისათვის, აწყლიანებული თვალები ჯიქურ მიაშტერა ზვიადაურს და წყნარი, ოდნავ აკანკალებული ხმით დაიწყო: – ჩემი მეუღლე ნამდვილი ვაჟკაცია, ქართველი რაინდის განსახიერება, მაღალი, ლამზაი, ტანადი... ეს არის სულ იმისი ფიზიკური ხატება, მაგრამ თუ რა იმალება იმის სულიერ ღირსებაში, ძნელი სათქმელია.

მანუჩარი თავის თავზე დიდი წარმოდგენის პიროვნებაა, არავის არაფრად არ აგდებს, მან იცის მხოლოდ „მე“ და მეტი არაფერი. ძალზედ აყოლილია ალკოჰოლს და სიმთვრალეში ჩადენილ ყოველგვარ უხამსობას ალკოჰოლს აბრალებს. გარეთ ყოველთვის დაეძებს მიზეზს ჩხუბი ატეხოს და სტუმარს თუ მასპინძელს ჩაუშხამოს ნადიმის სურვილი. ყოფილა შემთხვევა თამადაც კი გამოუძევებია გარეთ, რადგან იმისი წარმოთქმული სადღეგრძელო არ მოსწონებია, ოჯახში კი ჩხუბის მიზეზი არასოდეს არ უძებნია, უმიზეზოდ ტეხდა დებოშს, ცემდა ბავშვებს და მე სასიკვდილოდ მიმეტებდა...

– თქვენ მაინც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდით? – ველარ მოითმინა და თხრობა შეაწყვეტინა ქალს გამომძიებელმა.

– აბა სად წავსულიყავი, ის ხომ ჯერ მთლად ახალგაზრდაა. ვფიქრობდი, დაკაცდებოდა, დადუღდებოდა და ჩვენც გვეშველებოდა რაღაც, მაგრამ „კაცი უკეთესზე ფიქრობდა და ღმერთი იცინოდაო”, არის ნათქვამი.

– რამდენი წლის არის შენი მეუღლე?

– ორიოდე წელიწადში ორმოცის გახდება!

– მერე ეს წლოვანება არის „მთლად ახალგაზრდა“?

– მე მაინც ახალგაზრდა მგონია, რადგან მეუღლებიდან თხუთმეტი წლის მანძილზე ერთჯერაც არ იცვალა ნირი და ხასიათი.

– იქნებ თქვენგან აკლდა რაღაც, ქალური კლდემამოსილება, სითბო, სიყვარული და ოჯახურ უთანხმოებასაც ეს იწვევდა?

– მე ქალი ვარ და ნუ გაგიკვირდებათ თქვენს წინაშე ქალის ღირსება თუ დავიცვა. თუმცა სიმართლეს მოგახსენებთ, რომ ქალი სათუთი გულისა და გრძნობის სულიერი არსებაა, რომელსაც შეუძლია სიყვარული და სიყვარულისათვის თავგანწირვაც კი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მაია ტყემალაძე

ფ ე ს ვ ე ბ თ ა ნ . . .

მზედ აზიდულა ცვილად ნატიფი, ოქროცურვილი,
თითქოს, ფრთები აქვს ქერუბიმთა და სერაფიმთა,
უცქერ, გწყურია მუხლმოდრეკა, წრფელი სურვილი,
ჰმადლობდე უფალს, ლოცდე ტაძრის აღმშენებელთა,
როს შეჭირვების ჟამს მოგვმადლეს ეს საოცრება,
ქვეყნის წარსულის, მომავლის და აწმყოს მშვენება,
ერი, რომელმან აღაშენა ნმიდა სამება,
არ მოიშთობა, არასოდეს გადაშენდება. . .
ჰო, არ გადავშენდებით, კვლავაც ვ ი დ ი ა დ ე ბ თ !
რა გადაგვაშენებს, როდესაც უიმედობის ჟამს, ირგვლივ ასეთი გასაოცარი ფაქტები ხდება, როდესაც

,,მ ო მ ა ვ ლ ი ს
ს ხ ი ვ ი
შ ე ჰ ხ ა რ ი ს
ფ ე ს ვ ე ბ ს ! “
შეჰხარის ასე სასოებით, სიყვარულით, მადლმოსილებით, ძალმოსილებით...
ღრმაა, ძლიერია და უკიდეგანო ქართული ფესვები. მისი გადაჭრა, ამოძირკვა რომ არავის ძალუძს, ეს ,,ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი წიგნისადმი მიძღვნილმა ზეიმმა: ,, მომავლის სხივი შეჰხარის ფესვებს,“ თვალნათლივ აჩვენა.
მსოფლიო მნიშვნელობის გენიას, უდიდესი კრძალვით მიეახლნენ ღონისძიების მონაწილე, საოცარი ახალგაზრდები, თითქოს ოქროს ხიდი გაიდო მე-12 საუკუნიდან 21-ე საუკუნემდე და ჩვენ, ყველანი, ახლადშობილ, ხელნაწერ წიგნთან სასოებით დაკავშირებულნი, ამ ოქროს ხიდზე რუდუნებით მიმოვდივართ...
საღამოს მონაწილე, შესანიშნავი ახალგაზრდების და მათი არაჩვეულებრივი სამხატვრო ხელმძღვანელის, ყველასათვის საყვარელ ქალბატონ ლ ი ლ ი თ ა ვ ა ძ ი ს შესახებ უფრო დაწვრილებით, სხვა წერილში გიამბობთ. ამჟამად კი იმას გავახმოვანებ, თუ რა ხდებოდა სამების საკათედრო ტაძარში, ასევე – საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში.

ს ა მ ე ბ ა შ ი . . .
ულამაზესი ღონისძიების შემდეგ, სოხუმის თეატრიდან, სწორედ სამებისკენ მივეშურებით.
ა ს ა ღ ა მ უ რ ე ბ ი ს ჟამს გაბრწყინებული, სიყვარულით გულგადაშლილი გვეგებება
ფ ე რ დ ი დ ე ბ უ ლ ი,
ო ქ რ ო ც უ რ ვ ი ლ ი
ს ა მ ე ბ ა !
მწუხრის ლოცვაა!
ჩვენი ერის უსათუთესი სულიერი მწყემსი საკურთხეველში ბრძანდება, ასევე, საკურთხეველშია ჩვენი უსაყვარლესი მეუფე დანიელი, რომლის ლოცვა-კურთხევითაც აქამდე მოვედით...

ღონისძიების მშფოთვარე, მღელვარე წუთების შემდეგ აქ სული დ ა ა მ დ ა . უფალთან წილნაყარ იდუმალებას ყველანი ერთად ვუერთდებით.
ბატონი ზვიად სეხნიაშვილი უყურადღებოდ არ გვტოვებს, ლამაზი ჩანაფიქრის განხორციელების მოლოდინში ვართ.
შევხარით უფალს, შევხარით გასაოცარ ხატებს და...
მისი უ წ მ ი დ ე ს ო ბ ა საკურთხევლიდან გამობრძანდა.
გულისცემა ჩქარდება!
მობრძანდება პატრიარქი და თან მოაქვს უკიდეგანო სიყვარული, მადლი!
რამდენის ტვირთი, რამდენის ცოდვა თავად უტვირთნია უსპეტაკესს, უნეტარესს.
,,დავიღალე, დავიღალე,
მოდი ჩემთან,
უფალო!“
თითქოსდა, ზეციური ზარების ჟღრიალს თან ჩამოაქვს საოცარი საგალობელი!
ჩვენ დავღალეთ!
ჩვენ მოვქანცეთ!
ჩვენ დავადენთ ხოლმე უჩინარ ცრემლს,
მას კი, სანაცვლოდ, მხოლოდ სიყვარული, მხოლოდ მიტევება, მხოლოდ ლოცვა და ათასგვარი სიკეთე მოაქვს ჩვენამდე...
საკურთხევლიდან მეუფე დანიელის გამობრძანებისას, ეს ნათლისმომცველი გარემო, ჭიათურელებისათვის, უფრო შინაური, უფრო თბილი, უფრო ახლობლური ხდება.
მწუხრის ლოცვა სრულდება. მეუფე მორწმუნეებს ზეთს სცხებს...
კიდევ ერთი ლამაზი მოლოდინია.
ჩვენ, გარინდულები, მწკრივად ჩაწკაპებულები უსაყვარლესი პატრიარქის წაბრძანებას ველოდებით.
მერე, სულ, სულ ახლოში ჩაგვივლის, სიყვარულით აღსავსე მის გულს, აუწონავ მადლს შევიგრძნობთ, ლოცვის სურნელებას შევისრუტავთ და ყველა ტკივილი, განცდა გვავიწყდება, ყველა და ყველაფერი უსაზღვროდ გვიყვარს!..

ჩ ო ხ ო ს ნ ე ბ ი . . .
პატრიარქის ჩოხოსნების დიდ არმიას, ქვეყნის საიმედო გუშაგთა ღირსეულ რიგებს, ჩვენი საღამოს მონაწილე, ოქროს ხანასთან ლამაზად წილნაყარი შესანიშნავი ვაჟკაცები და ულამაზესი, კდემამოსილი გოგონები შეუერთდნენ.
ჩოხოსანთა რიგებში გაერთიანების ლამაზი რიტუალი ბატონმა ზვიად სეხნიაშვილმა და მისმა მეგობრებმა ჩვეული გულმოდგინებით შეასრულეს.
ზეაღმართული ხმლების ქვეშ გატარებით, ჩვენმა ლამაზმა თაობამ, თითქოს ფიცი დასდო, რომ მარად სამშობლოს, დედა ეკლესიის, მისი უწმიდესობის ერთგულები იქნებიან.
ხანჯლების ქვეშ გატარება ხომ სიმბოლურად ეშმაკის, ბოროტის დათრგუნვას, განდევნას ნიშნავს
და,
დაე,
ამ თაობას დაემარცხებინოს სამშობლოს მტრები, ყოველი უკეთური აღეკვეთოს და

ო ქ რ ო ს
ხ ა ნ ი ს
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
დაგვბრუნებოდეს!!!
წ ა ვ ი დ ნ ე ნ ! . .

ავტობუსამდე ვაცილებ, ჭიათურისაკენ გზა ვულოცავ შესანიშნავ ახალგაზრდებს და მათზე უსაზღვროდ შეყვარებულ უნიჭიერეს, უერთგულეს ქალბატონს, ლილი თავაძეს (მასზეც მოგვიანებით, საგანგებოდ დავწერ წერილს), ღონისძიების მონაწილეთა შესანიშნავ მშობლებს (მადლობა მათ ასეთი შვილების აღზრდისათვის), მათ-

თან ერთად მყოფ ჩემს ძვირფას თანამშრომლებს, უერთგულესად გვერდში მდგომ ტექნიკურ პარსონალს და თვალები, უჩვეულო განცდისგან, ცრემლებით მევსება...
წავიდნენ!
მე კი სამების ტაძრისაკენ დაფიქრებული, ბედნიერი ვაგრძელებ გზას.
გულმხურვალედ ვლოცავ, უფალს ვავედრებ თითოეული მათგანის, სტროფის ყველა გადამწერის, ყველა ჩვენი გულშემატკივარისა და თანამდგომის კეთილდღეობას!
ს ა ო ც ა რ ი გ ა მ ო ფ ე ნ ა . . .
ჰო, სამების საკათედრო ტაძრის ახლოს განთავსებულ, ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში, მარმარილოს დიდ სვეტებიან ულამაზეს სივრცეში, ოქროს ხანის, თამარ დედოფლის ბრწყინვალე დარბაზივით რომ გასხივოსნებულა, ქართული სულის, ქარული გენის ზეიმია.
პოემის შექმნიდან პირველად (850 წლის განმავობაში ასეთი რამე არ მომხდარა), ერთ სივრცეში, ერთმანეთის თანმიმდევრობით, პირველი სტროფიდან ათას ექვსას სამოცდამეორე სტროფის ჩათვლით, მთელი პოემაა გამოფენილი (ამ ლამაზ ასხმულად გამშვენიერებას თავი შესანიშნავად გაართვა ჩვენმა უძვირფასემა ქალბატონმა, ლალი კაპანაძემ), აქვეა სხვა ორიგინალური, ულამაზესი ქართული ხელნაწერები, შთაბეჭდილებები, შოთასადმი მიძღვნილი ლექსები, ხელნაწერი ,,ვეფხისტყაოსნიდან“ შობილი შთაბეჭდილებების, ასევე, სიყვარულის და მადლიერების წიგნები...
1662 ღირსეული ქართველის განცდაა, მადლია, სიყვარულია, სასოებაა ამ ნაწერებში ჩაქარგული და დარბაზი, თითქოსდა, იდუმალი სუნთქვით სუნთქავს, თითქოს აქაა გენიოსი შოთას სული და თავს დაგვტრიალებს, მადლიერებით გვეფერებ-გვესათუთება.

აქ ოქროს ხანის ბრწინვალე წარმომადგენლებთან შენივთული 1662 ღირსეული მამულიშვილის განწყობა ხმოვანდება...
არა, არა, არ გადავშენდებით, როდესაც ირგვლივ ასეთი საოცარი ფაქტებია:
ოთხმოცდათვრამეტი წლის საოცარი ქალბატონი ელენე აბაშიძე (სტროფის ჩაწერის დროს ოთხმოცდათხუთმეტისა იყო) სასოებით ათვალიერებს ხელნაწერებს, გულითად მადლობას გვწირავს; სტროფის ყველაზე პატარა გადამწერი (მაშინ ხუთი წლისა იყო), ელისაბედ ტატიშვილი მამიკოსთან ერთად გამოფენაზე მეორე დღესაც მოდის, თავისას და სხვათა ნაწერებს გულმოდგინედ ათვალიერებს, მოსაწვევი უნდა, რომ სამახსოვროდ შეინახოს. მოსაწვევი აღარ გვაქვს, რომ იტყვიან, დაიტაცეს (საუკეთესო გაგებით). პაწაწინა ჩანთა, შიგ კუბიკები რომ უდევს, ელისაბედს ჩვენთან რჩება. ამ ჩანთას ვეფერები და მეორე დღეს შინიდან წამოღებულ მოსაწვევთან ერთად ვუგზავნი; ელისაბედზე კიდევ უფრო ციცქნა გოგონა ფეხისწვერებზე იჭლინკება, რომ უფროსებისათვის აღტაცების მომგვრელი წიგნთაწიგნი თავადაც კარგად დაინახოს; ერთი ქალბატონი, მისთვის განკუთვნილ ერთადერთ სიტყვას დაჩოქილი წერს, ერთი მამაკაცი ძალიან დიდხანს ათვალიერებს ხელნაწერებს და მერე მორიდებით გვთხოვს, იქნებ როგორმე ერთი მოსაწვევი ვუსახსოვროთ, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში დააბინადროს, მამა იოსები (მეფურიშვილი) წიგნში გულ-ხელათრთოლებული წერს ერთადერთ სიტყვას, თან იძახის, მე რა ამის ღირსი ვარო. პოემიდან სტროფებს ზეპირად ყვება; ბერ-დიაკონი გიორგი (გიორგაძე) ,,ვეფხისთყაოსანთან“ დაკავშირებულ მოსწავლეობის ლამაზ ხანას იგონებს, თან სასოებით წერს ერთ სიტყვას. ასევე, რუდუნებით წერენ თითო-თითო სიტყვას ბერი ალექსანდრე (ჩიჩუა), მამა შალვა (კეკელია). უსაზღვრო სიხარულით აღსავსე მოდის მალხაზ ხმელიძის ულამაზესი ოჯახი. პატარა ანასტასიასათვის ძალიან ამაღელვებელი, საპატიო მისიაა წიგნთაწიგნში ერთი სიტყვის ჩაწერა და ულამაზესი თვალები ულამაზესად უბრწყინავს, ასევე სასოებით წერს მისი დედიკო, ლილი ტყემალაძე და ათას მადლობას გვწირავს...
და, აი, ღმერთო, კიდევ რას ვხედავ!

ჩვენი ღონისძიების მონაწილე ორი შესანიშნავი ვაჟკაცი, ხელნაწერ წიგნთან ერთად, მისი უწმიდესობის საოცარ სახებასთან (პორტრეტთან) სიახლოვეს ფოტოსურათებს იღებენ. მერე ერთ-ერთ მათგანს წიგნი თავის ადგილზე მიაქვს და,
საოცრება,
პირჯვარს სასოებით ისახავს,
წ ი გ ნ ს ,
როგორც
ხ ა ტ ს ,
ისე
ე ა მ ბ ო რ ე ბ ა!...
გამოფენის დასათვალიერებლად, ქართველებთან ერთად, მოდიან: გერმანელები, იაპონელები, რუსები, პოლონელები, კორეელები და სხვანი და სხვანი.
რაოდენ საამოა, საამაყოა, რომ ,,ვეფხისტყაოსნის" შესახებ ყველა მათგანმა იცის.
მშვენიერმა პოლონელმა ქალბატონმა შთაბეჭდილებების წიგნში ულამაზესი ჩანაწერი დაგვიტოვა (პოლონურად). თურქმა ახალგაზრდებმა კი ლამაზი ქართული ჩანაწერები დაგვიტოვეს (ამ ფაქტზეც მოგვიანებით დავწერ)...

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე – ,,ვეფხისტყაოსნის" ტრფიალი . . .
ერთი სიტყვა გულათრთოლებულმა ჩაწერა და ძალიან ლამაზი შთაბეჭდილება დაგვიტოვა ყველასათვის კარგად ცნობილმა მოსამართლემ, ბატონმა თამაზ ურთმელიძემ. მან ახლადმოვლენილ ,,ვეფხისტყაოსანთან'', მისი ფურცლების ასლებთან, დიდი დრო დაჰყო და ერის შეუდარებელი გაძთაგანძისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით, სიყვარულით, აღფრთოვანებულები დაგვტოვა.
ასეთი მოსამართლეები, ასეთი ღირსეული მამულიშვილები, რომლებსაც სულხორცეულად შეუსრუტავთ გენიალური სიბრძნე: ,,ბოროტსა სძლია კეთილმან..." ყოველთვის მართლად განაჩინებენ სამართალს. განა ამას არ გვასწავლის მეთხუთმეტე ფსალმუნი?
,, ნეტარ არიან, რომელთა დაიცვან სამართალი და ყონ სიმართლე ყოველსა ჟამსა."
ბატონი თამაზის მსგავსი ღირსეული ერისკაცები ყველა დროში სანატრელია.
ჩანაწერი მისი შთაბეჭდილებიდან:
,,მადლობა მამულიშვილებს!
ბედნიერება მოგვანიჭა ,,ვეფხისტყაოსნის" კიდევ ერთხელ შეხსენებამ;
უკვდავია რუსთაველი და ის ერი, რომელმაც დაბადა იგი და ერი, რომელიც არ ივიწყებს მას.
გისურვებთ წარმატებებს და ბევრი კეთილი საქმის კეთებას."

დ ა ა გ ვ ი ა ნ ე ს . . .
ღონისძიების მესამე დღეა.
ყველა კითხულობს, რამდენ ხანს გაგრძელდება გამოფენა.
ვეუბნებით, რომ უკვე მთავრდება. წუხან. სურთ, ყველამ ნახოს აქ რაც ხდება...
უკვე ყველაფერი ჩავალაგეთ, შევფუთეთ. მანქანაში ვაწყობთ და...
სუნთქვაშეკრულნი მოიჩქარიან სამნი - ერთი ქალბატონი და ორი მშვენიერი გოგონა. წიგნის ნახვის ისეთი დიდი სურვილი აქვთ, უარს ვერ ვეუბნებით და კარგად შეფუთულ ყუთს ვხსნით...
ესენი, თურმე, სწორედ ის გოგონები არიან, მათით საოცრად აღფრთოვანებული რომ ვართ.
ეს ის გოგონები ბრძანდებიან, ენათმეცნიერების ინსტიტუტში, დედიკოს მიერ გადაწერილი სტროფის შემდეგ, ერთმა ერთი, ხოლო მეორემ, მეორე წინადადების შემდეგ წერტილები რომ დასვეს და ამ წერტილების დასმით ბედნიერები იყვნენ, არიან და ყოველთვის იქნებიან...
კომენტარის გაკეთება მგონი, ზედმეტია!..

ყ უ რ ძ ნ ი ს ულამაზესი მ ტ ე ვ ა ნ ი ვ ი თ . . .
ახლა, წიგნი რომ გავასრულეთ, უამრავ ადამიანს გაუჩნდა სურვილი შიგ თუნდაც ერთი სიტყვის ჩაწერისა.
სწორე ამიტომ, შეუვსებლად დატოვებული მე-18 სტროფი ყურძნის ულამაზეს მტევანივით დაიხუნძლა.

ამ სტროფში თითო-თითო სიტყვა ოცდაშვიდმა ადამიანმა ჩაწერა!

,,ვინც მ ო ყ ვ ა რ ე ს ა არ ეძებს,
იგი თ ა ვ ი ს ა მ ტ ე რ ი ა ..."
წლების წინ, მსოფლიოში ცნობილმა დიდმა მოგზაურმა და ჭეშმარიტმა მამულიშვილმა, ჯუმბერ ლეჟავამ, მსოფლიოს შემოუარა სიყვარულის დევიზით: ,,ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია."
მადლობა მარადიულ სავანეში დამკვიდრებულ ბატონ ჯუმბერს, რომ გენიოსი შოთა რუსთაველის სახელი კიდევ უფრო შორს გაიტანა. მადლობა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა აკადემიას, მის ხელმძღვანელს, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს და უამრავ ქართველს (შევეცდები მათი სახელები თანთათანობით ლამაზად გავახმიანო), რომლებმაც ჩვენი წიგნის შექმნაში დიდ-პატარა წვლილი (თუმც-ღა, ამ საქმეში პატარა წვლილი არ არსებობს) შეიტანეს...

ა რ ა,
არ გადავგვარდებით,
არ გადავშენდებით!
მძლავრ ფესვებთან კავშირი გაგვაძლიერებს და ფეხზე წამოდგება შინაური თუ გარეშე მტრებისაგან წამოჩოქებული ჩვენი სათაყვანებელი სამშობლო!

რედაქტორისაგან

ვკითხულობდი ჩანახატს, ანუ ამბავს იმ ლამაზი ისტორიისა რაც უკვე გაკეთდა და შეინახება, როგორც უძვირფასესი განძი. წიგნი ხელნაწერი ვეფხისტყაოსანის უკვდავი სტროფები. დიდ მოგზაური, ბატონი ჯუმბერ ლეჟავა ცხრა წელიწადი მოგზაურობდა ,,ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავსა მტერია, შოთას სული ახლდა მგზავრად, ეს არ არის ამბიცია, ეს მოვლეობაა. ვთქვათ ის რაც ჩვენს თვალწინ მოხდა. მდიდარი ვარ, ჩემს სიცხლეში ორ მნიშვნელოვან ფაქტს შევესწარი, ვიცნობდი ბატონ ჯუმბერს და მოვესწარი ხელნაწერების წიგნის გამოცემას, სადაც მწირი წვლილი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის წევრებსაც მიუძღვის, კერძოდ ბატონ ელგუჯა ნოზაძეს. მადლობა ჩემს ჭიათურას, ბატონ სულხან მახათაძეს, პროექტის ავტორს ქალბატონ მაია ტყემალაძეს, რომელშიც რაღაცა განსხვავებულია, ზეციურია, დალოცვილია უფლისგან, რადგან ის რაც სხვამ ვერ შეძლო, მან შექმნა უკვდავი ხელნაწერი წიგნი, არერთხელ მინახია, გადაღლილი, ხელჩანთით მოსიარულე, შემოიარა კრძალვით და რიდით საქართველო. რამდენჯერ ჩუმი ცრემლიც დამგორებია თვალიდან. შეძლებს? შიშით ჩემი თავისთვის მიკითხია და აი, შეძლო, უფალი იყო მასთან, რადგან პოეზიის ღმერთად მე შოთა რუსთაველი მესახება. მოკრძალებულ ქალბატონს შოთას სული ეხმარებოდა.

ბეჟან ხარაიშვილი



უსახელო მკვდრები

თიბათვე რომ დადგა, ქალაქს გამოვექეცი. მომწყინდა ქალაქში უთავბოლო სმა და ერთფეროვანი დღეები.

ახლა ხევსურეთში ვარ, ძია ანიელთან ვზივართ ხევსურულ ქოხში და თუთუნს ვაბოლებთ. გარეთ გრილა. საღამო ახლოვდება. სხეულში სიმსუბუქეს ვგრძნობ. ახლო, სულ ახლოა ზეცა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ეს ქოხი ზეცაში იდგეს და ღია ფანჯრიდან არაგვის ხეობას დავყურებდე.

ძია ანიელს პატარა ხელადით ჟიპიტაური შემოაქვს. სუფრას აწყობს. ილიმება.

ანიელი ნამდვილი ხევსურია, ამიტომაც შემაყვარა თავი. სუსტი წაბლისფერი სახე და განიერი მხრები აქვს. ყვრიმალთან ნახმლევი ემჩნევა, ყმაწვილობისას დაუჭრიათ ხატობაში.

მას შემდეგ კარგ დროს გაუვლია. ანიელს კი ყველაფერი გუშინდელ დღესავით ახსოვს.

ღუმელთან ახლოს საუფროსო გრძელი სკამი დგას. წინათ ამ სკამზე ოჯახის უფროსი ან საპატიო სტუმარი ჯდებოდა. ახლა მე ვზივარ... ანიელმა პატარა სკამი ირჩია. სუფრას წინ მიდგამს. ვილოცებით.

პატარა ყანწებს მალ-მალე მაცლევინებს. ვგრძნობ, ვთვრები, მაგრამ უარის თქმა არ გამოდის.

ხვალ ან ზეგ ხევსურები სათიბში გავლენ.

ქალაქიდან სწორედ ამიტომ ამოვედი. არასოდეს არ მინახავს, სად, ან როგორ თიბავენ ხევსურები. ანიელი შემპირდა, რომ წამიყვანს. ბევრს ვერაფერს მოვეხმარები, მაგრამ თვალს მაინც გავახელ, ვნახავ ქვეყანაზე რა ხდება... აქაურ დილა-საღამოს გავაცილებ. მეც ხომ ამ დილა-საღამომ უნდა გამაცილოს, როცა იქნება. იქნებ ხვალ, ზეგ, ან ახლა, ამ წუთში... ო, არა, სიკვდილი საშინელებაა! ეს სენტიმენტალური განცდა ქალაქიდან გამომყვა და აქედან რომელიმე ლამაზ ღელეს გავატან, ისევ ქალაქისკენ. არა, არც ქალაქში, სადმე შორს, სულეთში ან სულეთს იქით.

მე უნდა ვიცოცხლო და ვნახო ხევსურები თიბვის დროს. მე ბევრი რამე უნდა ვნახო, მოვისმინო მთიულური და ყური მივუგდო ხევსურების გულების გუგუნს, – საქართველოს ისტორიის ცოცხალ მატინიანეებს.

– თითოც დავლიოთ, – მეუბნება ანიელი. — წინათ ყანწების ერთმანეთზე მიხლა არ იცოდნენ ჩვენთან, ყანწების მიხლით შუღლი იწყებოდა. ახლა ყანწებსაც ახლიან ერთმანეთს, თავებსაც და – აღარ დაამთავრა.

ჩაფიქრდა. სახე ნერვიულად დაეძაბა. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ტუჩთან მიიტანა. თვალები დახარა. ნახმლევ საფეთქელთან ამობერილი ძარღვი შეუტოკდა. ამ ძარღვში სისხლზე უფრო მეტი საქართველოს სიყვარული მოძრაობს, ცქმუტავს, ტოკავს და ზედ ნახმლევთან საფეთქლის სიღრმეში ეშვება.

უხერხულობა მიმორჩილებს. ხან შებოლილ ჭერს შევცქერი, ხან ძია ანიელს. ვიცი, რაღაც აწუხებს და არ მეუბნება.

– ვაჟო, – როგორც იქნა ხმა ამოიღო, – მითხარი, რატომ ვართ ქართვევლები ასეთები...

– როგორები, ძია ანიელ?

– დავთრებით, ყველაფერი მაშინ გვახსენდება; სამშობლო, სიყვარული, შუღლი, სიკეთე...

– სამშობლო ყოველთვის გვახსოვს, – ვეუბნები, – პირიქით, როცა ვთრებით, ყველაფერს ვივიწყებთ.

ჯეელი ხარ და ეგრე გეჩვენება, ჩემხნად რომ მოიყრები, სხვანაირად იფიქრებ. კაცს რომ ქალი უღალტებს ან ცხოვრებაში ხელი მოეცარება, სმას იწყებს. რას აკეთებს ამით, ივიწყებს? – არა, არა მგონია. გრძნობები უფრო მეტად აეშლება, ბოლმა სხეულის ყველა ნაწილს დაივლის, თავი გაუბრუვდება, გული გაუსივდება, საკუთარ თავში ეცემა უღონო და არაქათგამოცლილი. მიიხედ-მოიხედავს, დარდის მოსაკლავად ისევ დალევს, ივლის, ვიღაცას გადაეყრება, შეაგინებს, ცემს, ან ცემენ, ფეხქვეშ გაიგებენ, ათრევენ და მერე, როცა გონს მოვა, ცოტახანს ჩაფიქრდება...

გახელებულმა ტარიელმა ვეფხვი ხელით დაახრჩო. ახლა სადღაა ვეფხვი ან ვეფხვის დამხრჩობი. ჩვეულებრივი ცოდვილები ვართ და ხან სიმთვრალეში ერთმანეთს ვაღრჩობთ და ამით ვიკლავთ წყურვილს.. რის წყურვილს ვიკლავთ ეს ღმერთმა იცის და ღმერთმა არაფერი არ იცის...

ისევ ჩაფიქრდა.

მე, ანიელის დაუკითხავად, ყანწს ვავსებ.

– ყველა კაცი ხომ კაცი არ არის, ძია ანიელ, რა გული გაგიტეხია?! ჩვენ ვებრძვით ლოთებს, უქნარებს და ჩხუბისთავებს...

– ყური მიგდე, – მეუბნება და ცალ ყანწს მართმევს, – ყველა არც კაცია, არც დალევა შეუძლია და არც ჩხუბი, მაგრამ იმან რა ჰქნას, ვისი გონებაც სადავეს არ ემორჩილება, ვისთვისაც მამულის სიყვარული ყანწივით არ იცლება, გროშებზე არ იყიდება, ვისაც ძმისთვის მოქნეული მარჯვენა საკუთარ სახეში მოხვდება... ვინ გაგიმართავს ხელს ყველამხრივ, ვინ? ხომ რჩება გულის ფსკერზე ისეთი სევდა, რომელიც კაცს სამარეში მიაქვს და რომელსაც მიწის მეტი ვერავინ გაიგებს. მთაში ვცხოვრობ, მართალია, მაგრამ წიგნები და გაზეთები აქაც მოაქვთ ხანდახან. იქ... იქ ყველაფერი ლამაზად წერია. ყველაფერი ლამაზი არ არის. უდარდელი კაცი არარაობაა. არარაობა არსებობს, უდარდელი კაცი – არა. როცა გიხარია, კიდეც უნდა გწყინდეს. სიხარულში აუცილებლად იმალება სინანული და ეს სინანული თავს გვიან იჩენს.

ენა მებმება. ვერაფრის თქმას ვერ ვახერხებ.

– ა, იმ მთას ხედავ? – თითით მაჩვენებს. – თითს თვალს ვაყოლებ და სარკმლიდან მთის ხედს ვხედავ.

– ტრაქტორი შეუყენეს მაგ მთას... გზა გაიყვანეს... იქ ერთი კომლი ცხოვრობს, დაბლა იშვიათად ჩამოდის. რაღათ უნდათ ეს გზა, გეკითხები.

– ალბათ მადანი აღმოჩნდა მთის წვერზე...

– ეეჰ, – ოხრავს, – მადანი ხევსურეთში ბევრია, მაგრამ მიგნება უნდა, მიგნება.. მე მაინც ის ბილიკი მერჩია, მოქნეული შოლტივით რომ იყო მაგ მთაზე დაკრული.

ყველაფერს მივხვდი.

თითოც დავლიეთ და ჩემი თხოვნით სმა დავამთავრეთ. მთის წვერიდან ნისლებმა მთვარე ამოაბურთავეს და არაგვის ჭალაზე ისროლეს. კამკამა, ლურჯი ზეცა ხევსურული ჩოხასავით დაწინწკლეს ვარსკვლავებმა. ანიელმა ლამპა აანთო. ქოხი მკრთალმა შუქმა გაანათა. გული სივრცეში აღარ მქონდა, მინდოდა მალე დამეძინა და მალე გათენებულიყო.

* * *

იმედი გამიცრუვდა. მეორე დღეს თიბვა არ დაწყებულა. მე და ანიელი მაინც წავედით მთაში. თან თოფი და არაყი გავიყოლეთ. როგორც ანიელმა მითხრა, იმ ღამეს სადმე, ქოხში გავათევდით. ამას, რა თქმა უნდა, ჩემი სიამოვნებისთვის აკეთებდა.

მთის ფერდობს ნელ-ნელა შევუყევით.

დაცვარულ ბალახებს ოხშივარი ასდიოდა. არაგვს გაღმა ცამდე აღმართულ მთებს ნისლები წამოეპარენ და თვალებზე ხელი დააფარეს.

რაც უფრო ზევით მივიწევდით, მით უფრო იზრდებოდა სწრაფვა სიმაღლისკენ. ჰორიზონტზე მზე გამოჩნდა. ნისლები ნელ-ნელა გაიფანტა, არაგვს გაღმა ცხვარს ფერდობი გადაეთოვლა.

შევისვენეთ.

თითო სიგარეტი გავაბოლეთ. მომწყურდა. ანიელმა წყაროზე გადამიყვანა.

წყარო!!!

აი, ეს იყო წყარო. მივხვდი, ჩემ სიცოცხლეში ამაზე უკეთესს ვერაფერს დავლევდი. მთის ფერდიდან წყლის დიდი ნაკადი გამორბოდა და მთის გულზე ობოლი სიმივით ჟღერდა. ვიდრე ანიელი ზურგჩანთიდან საგზალს ამოალაგებდა, წყაროს ისე დავეწაფე, როგორც მომაკვდავი უეცრად მინიჭებულ სიცოცხლეს. წყარო, რა თქმა უნდა, ცივი იყო. ცივი, როგორც ყინული და საამური, როგორც სიცოცხლე. იქვე, გვერდით, სულ ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, დუღდა ხევსურეთის გული–ვეძა.

ახლა იქით გადავედი. ვეძას ხევსურეთში მინერალურ მჟავე წყალს ეძახიან. დავლიე. ისეთ სიამოვნებას ვგრძნობდი, თითქოს ათასი წლის მერე ამ წყლებთან დავბრუნებულიყავი საპყრობილედან.

ანიელმა დამიძახა.

ვისაუზმეთ. ჩვენს ირგვლივ ყვავილების სურნელი იფრქვეოდა. მიწა ისეთი თბილი მეჩვენა, მეგონა მისი თოვლივით დაგუნდავება შემეძლო.

მიწის სამ გუნდას ავიღებდი.ერთს სიკვდილს ვესროდი, მეორეს – ბოროტ ადამიანს. მესამეს – ისე, უბრალოდ და უმისამართოდ გავუშვებდი. გავუშვებდი შორს ან ახლოს. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ უმისამართოდ გასროლილი გუნდა ისევ მიწას დაუბრუნდებოდა. დაგორდებოდა, ორიოდე ყვავილს გადათელავდა და მიწა მიწად გახდებოდა.

გუშინ ანიელმა მითხრა. გზისპირას აგებულ წყაროებს მიცვალებულთა სახელებს ვარქმევთო. ეს წყლები სულეთში ჩადიან და ჩვენი მკვდრები სვამენო.

სვამენ? – რა ვიცი. ამ ბოლო დროს საიქიოს ამბები ძლიან მაწუხებს. მეშინია, რამე ცუდი არ მომივიდეს. მე მინდა მოვკვდე, ვნახო საიქიო, მაგრამ იქ ვერ დავრჩები. უბრალოდ ვნახავ და დავბრუნდები.

ვნახავ და დავბრუნდები...

ვნახავ და დავბრუნდები...

ვნახავ და დავბრუნდები...

ეს აზრი ამეკვიატა. ამეკვიატა და არ ვიცოდი როდის დამშორდებოდა.

აქეთ რომ წამოვედით, თან უბის წიგნაკი წამოვიღე. ანიელმა არ იცოდა ჩემი პოეტობის შესახებ. კარგი ლექსები არ გამომდიოდა, მაინც ვწერდი. მტკიოდა და ვწერდი. ამაზე უკეთეს ადგილს სად ვნახავდი. ბალახზე გაშლილი ფურცელი რომ დაგედო, მწვანე წერტილებით ლექსი დაიწერებოდა. დაიწერებოდა, მაგრამ ამ ლექსს ბევრი ვერ ამოიკითხავდა...

ანიელმა არაყი დამისხა.

სამ-სამი დავლიეთ. წამოდგა, ჭურჭელს თავი დაახურა.

– ვაჟო, შენ აქ დარჩი, უცქირე აქაურობას. მე ჩავალ, სათიბს გადავხედავ. და თავქვე მძიმე-მძიმედ დაეშვა.

უბის წიგნაკი და ავტოკალამი მოვიმარჯვე. გადავწყვიტე ხევსურეთზე ლექსი დამეწერა. რის დაკვირვებაც შემეძლო, დავაკვირდი. რომელიღაც მთა ვეებერთელა ჩონგურს მივამსგავსე, მთაზე ჩამოჭიმული თეთრი ჩანჩქერები – ჩონგურის სიმებს. მუსიკოსად სიო მოვნათლე, რომელიც ამ სიმებზე მამულის ჰანგებს ამღერებდა.

საჭირო იყო ყველაფერი ეს ლექსში ჩამეტია და მხატვრული სახე მიმეცა. ვცადე. არაფერი გამომივიდა.

ახლა სხვა მთებს გავხედე.

ეს მთები კაცებად წარმოვიდგინე. მათ თავზე დადგმული ნისლები ხონჩებად. მზე თავის ადგილზე რჩებოდა. ესე იგი: მთებს ნისლის ხონჩები შეუდგამთ თავზე და მზის მისართმევად მიაქვთ.

ისევ უბის წიგნაკს ვეცი.

სიგარეტი ზედიზედ მოვწიე. სასმელი მომინდა. დავასხი. დავლიე. ცოტათი გავბრუვდი. თავზე ხელები მოვიჭირე. ისევ სიგარეტი... ისევ მთები... ფურცლები... ტვინში აზრების რია-რია... რითმა... რითმაა საჭირო...

„მთები ვთბები“... არ ვარგა, ძველია.

„გზები გზნებით“... არც ეს ვარგა.

ჯანდაბას ურითმო იყოს... თეთრი, სულ თეთრი...

ოღონდ ეს შეკოწიწებული სახეები არ დამეშალოს და ლექსის ფორმას არ დავეძებ...

თანდათან თბილ ბურანში ვეშვები... თვალები მეხუჭება. ლექსს ვწერ და ვერ ვწერ. ყველაფერი ერთნაირი ხდება ან არაფრის ნაირი. ბურანში უფრო ღრმად ვეშვები და...

ჩამეძინა.

ჩამეძინა და სიზმარი ვნახე:

ზღვის პირას ვიდექი. ჩემი უბის წიგნაკი და ავტო-კალამი თან მქონდა. ზღვა ღელავდა, ბობოქრობდა, ბრდღვინავდა. უშველებელ ენას ნაპირზე ისროდა თავისი სათქმელ-უთქმელობით. ამ ენით თავის ხაოიან ნაპირს ისე ლოკავდა, როგორც პირუტყვი ქვამარილს.

მახსოვდა, რომ ქართველი ვიყავი და არ მახსოვდა სადაური. ზღვა კი ნამდვილად ქართული იყო, ჩემი შავი ზღვა, ჩემთვის ნაცნობი და საყვარელი.

უცებ ზღვის ენა ტალღებად იქცა.

მერე ჩემს მზერაში ზღვა მთლიანად გაიყინა. შევამჩნიე: ზღვის დასალიერზე უამრავი მზე ენთო. ზოგი მზე ჩადიოდა, ზოგი ამოდიოდა... გაყინულ ტალღებზე მიმწუხრის ფერი დასრიალებდა. ასეთი სამყარო არასოდეს მენახა და შიშით ტანში მაჟრჟოლებდა. ვიცოდი, მალე არსებობას შევწყვეტდი. მესმოდა ჩემი ძვლების ღრჭიალი, მტკიოდა ძარღვებში სისხლის უწყვეტი მოძრაობა. მე ჩემს სხეულში, უფრო სწორად, ჩემს გულში ჩავჯექი და სისხლთან ერთად დავიწყე მოძრაობა. როგორც მეზობელი-მეზობელთან, ისე მივდიოდი ჩემს ფილტვებთან, ტვინის უჯრედებთან, თირკმელებთან, მუხლებთან, მკლავებთან... ხან მარტო ტვინი ვიყავი, ხან გული, ხან ფილტვები, ხან ყველაფერი, ხან არაფერი. მე ვიყავი მთლიანი და საზიზღარი, ვიყავი ნაწილი და საყვარელი.

ყველაფერი ეს ხდებოდა და არც ხდებოდა.

ზღვა მზერაში გამდნარიყო.

„მოგზაურობიდან“ რომ დავბრუნდი, ჩვეულებრივი ბიჭი დავრჩი უბის წიგნაკით და ავტოკალმით.

ზღვის დასალიერზე ერთი მზეღა ჩანდა... ისიც ტალღებში ჩასულიყო ნახევრამდე. შემეშინდა. მზესთან ერთად თითქოს მეც დაბლა ვიწევდი, მიწაში, მიწაზე უფრო ქვემოთ...

ჩემი ორეული ქვიშაზე წამოწვა და დაცინვა დამიწყო:

– მიდიხარ? – მეკითხება,

– ჰო, მივდივარ... მივდივარ მიწაში... მიწის ქვემოთ.

– ლექსები მაინც დატოვე... შედევრი დაიკარგება.

– მიშველე რამე, თუ შეგიძლია...

– გიშველი. გიშველი, ოღონდ შენი სხეულიდან გამოუშვი: გველი, ბოროტება, შური, შუღლი, დაცინვა, მიჩქმალვის ნიჭი, ყველაფერი, ყველაფერი, რასაც დაბლა ჩაყავხარ... მოიხსენი ნიღაბი... ჩგიმეორებ, მოიხსენი.

– მერე... მერე რაღა დავრჩები?! მე მგონია, რომ გველი, ბოროტება, შური, შუღლი, დაცინვა და მიჩქმალვის ნიჭი არ გამაჩნია და რომც გამაჩნდეს მაინც ვერ გამოვუშვებდი, მე ადამიანი ვარ...

– სცდები, შენ ჩემგან ჩამოთვლილი ყველა თვისება გაგაჩნია, იგი დაბადებიდანვე დაყვება მოკვდავს. – მეუბნება ჩემი ორეული, – შენ პატარა ხარ, პატარა. პატარა და მსუბუქი.

– ვიდრე ბოლომდე ჩავიძირები, შენი სურვილის ასრულება არ შემიძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში მე გამსრესენ, გადამთელავენ და გაივლიან.

– გაიარონ, სხვას რატომ უღობავ გზას...

– გაიარონ, – ვეუბნები მეც, – მაგრამ იმათაც ხომ მიაქვთ შუღლი, ბოროტება, მტრობა...

– მათ სხვა გაადაუვლის, სხვას კიდევ სხვა და ბოლოს ყველანი რიგ-რიგობით ჩაიძირებიან...

ეს რა გავიგონე.

მინდა ჩემს ორეულს მივწვდე, ფეხი დავადგა, გავსრისო და ხმა გავაკმენდინო.

– გრძნობათა უხილაობის მიღმა რომ ჩაწვდე, ეს სიკვდილია. – იღმიჯება ლანდში მოძრავი ჩემი თავი, – მე შენ ჩაგწვდი და გკლავ. მე ღმერთი ვარ შენი...

შენთვის სხვა ღმერთის არსებობა ჩემი მოგონილია. დაბლა საკუთარი თავის ჯოჯოხეთი გეზიდება...

შენი სხეული ნიღაბში მიგატოვებს და ყველაფერი თავის გზით წავა. ხორცით მიწა გაძღება, სული კი აქვე დარჩება ყვავილებში, ხეებში, დილის ნამში და ფოთოლში. შეიძლება რომელიმე კაცში, რომელიც მოვა ან არ მოვა...

ორეული გაჰქრა.

მე ისევ მე დავრჩი. ზღვაში ჩამავალი მზე ხარის ნალის ოდენა ჩანდა. შემოვბრუნდი. ზღვას ზურგი შევაქციე. თვალთაგან ცრემლი წამსკდა. ვტიროდი ისე, არაფრის გამო, ჩემგან დამოუკიდებლად. ვგრძნობდი, თუ ჩემი ცრემლი ზღვას შეერთვოდა, მაშინ მზე უფრო მალე ჩაიძირებოდა...

თვალების ნაჟურს პეშვი შევუშვირე.

პეშვი გაივსო... თვალები დავხუჭე და ცრემლები წყალივით დავლიე. გამოვცოცხლდი, საკუთარი არსებობა ვიგრძენი. ჩვეულებრივი მოკვდავი გავხდი.

ირგვლივ რაღაცამ იხუვლა. არ მახსოვს, ქარიშხალი იყო თუ ჰაერში გაყინული თოლიების ფრთებით წარმოშობილი გრიგალი მიბიძგებდა ზღვისკენ... პალმები, ევკალიპტები, კიპაროსები, ბალახები, ყვავილები და ყველაფერი, რაც ირგვლივ იყო, მე მეჭიდებოდა, მე – მათ.

* * *

საიდანღაც ნაპირს უამრავი ხალხი მოაწყდა. შევკრთი, ამდენი ხალხი ერთად შეკრებილი არასდროს მენახა.

ჩემს გვერდით ჩემი თანატოლები ჩამწკრივდნენ. მათაც, როგორც მე, ხელში უბის წიგნაკები და ავტოკალმები ეჭირათ. ზოგი იცინოდა, ზოგი ტიროდა, ზოგიც ღრმად ჩაფიქრებული, უბის წიგნაკს ჩაჰკირკიტებდა. ჩვენს წინ მოხუცი კაცები იდგნენ. მოხუცთაგან ხმას არავინ იღებდა. გრიგალი ჩადგა. სამაგიეროდ ზღვა აღელდა, აბობოქრდა და შუაში მთასავით აიზნიქა. ხალხს სუნთქვა შეეკრა. სასწაულის მოლოდინში თოლიები ნაპირზე დაეშვნენ და ჩვენ მოგვაჩერდნენ.

ზღვის ამოზნექილი ნაწილი დაეშვა.

ტალღებზე კაცი გამოჩნდა. ხალხმა ისე ღრმად ამოისუნთქა, გეგონებოდათ გულები თან ამოაყოლესო. ზღვის კაცი თითქოს ტალღა-ტალღა მოდიოდა. მოდიოდა ზღვათა და საუკუნეთა მიღმიერ-

თიდან. კაცი კი არა, ღმერთკაცი იყო. თავზე ლამაზი ბოხოხი ეხურა. ბოხოხში ბატის ფრთა ქონდა ჩარჭობილი.

მალე ღმერთკაცი მოგვიახლოვდა.

მიგებება ვერავინ გაბედა. ყველა მონუსხულივით იდგა.

– ვინ ხართ, ან აქ რამ მოგიყვანათ? – მოსვლისთანავე გვკითხა ღმერთკაცმა.

– ქართველები! – პასუხობს წინ მდგონი წვეროსანი.

– ოჰ, ო... ოჰ... – კვნესის ღმერთკაცი, – ქართველები ასე ცოტანი დარჩით? რამ დაგაბეჩავათ, რამ დაგაკნინათ...

ოი, საქართველოვ, ჩემო საქართველოვ!..

ღმერთკაცი დაიხარა და მიწას აკოცა. ახლაღა ვიცანი, რუსთაველი იყო.

წინ მდგომთაგან ოთხი უხუცესი მისაგებებლად დაიძრა. დაუჩოქეს. თავები დახარეს. რუსთაველმა ყველა წამოაყენა და მათ შუაში ჩადგა. მე, ჩემი აზრით, თანატოლებზე მეტი გამბედაობა მქონდა.

– მივალ, – ვფიქრობდი, – თავის ბიოგრაფიას ვკითხავ, ვკითხავ და მეტყვის. მეტყვის და გავლექსავ. გავლექსავ ან ისე ჩავიწერ. ჩავიწერ და მსოფლიოს ნათელს მოვფენ.

რუსთაველი დაიბადა ამა და ამ წელს, – ასე დავიწყებდი, – გარდაიცივალა ამა და ამ წელს, – ასე დავამთავრებდი, – გარდაიცვალა? – არა, არ გარდაცვლილა, ის ხომ ჩემს თვალწინაა, ის ცოცხალია და მის გარდაცვალებას არავინ დამიჯერებს. მივიხედე. ჩემი თანატოლები ავტო-კალმებს ერთმანეთის უკან მალავდნენ და შიშისგან ცახცახებდნენ.

რუსთაველმა შუბლზე ხელი მიიჩრდილა და წინ მდგომ ოთხეულს პირდაპირ შეხედა.

ერთმანეთი გაიცნეს.

– აკაკი!

– ილია!

– ვაჟა!

– გალაკტიონი!

მე მივხვდი, რომ რუსთაველს მხოლოდ ესენი წაუკითხავდნენ ლექსებს. მათ ერთმანეთს გაუღიმეს და ხელი ჩამოართვეს. გონი მოვიკრიბე და ისევ წინ გავიხედე:

სიხარულით კინაღამ შევყვირე, მაგრამ წამსვე გამახსენდა, რომ აქ ჩემი ხმის ამოღება არ შეიძლებდა.

ლექსს გალაკტიონი კითხულობდა!

ზღვა უფრო აღელდა, ადუღდა, ნაპირს დაემუქრა. გალაკტიონი ხან გრიგალებდა, ხან ტიროდა, ხან საოცრად ალერსიანი იყო. ტიროდა რუსთაველი. ვტიროდით ჩვენც.

„ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე“...

დაამთავრა. ზღვაც დაცხრა.

ახლა ჩვენი ჯერი დადგა.

– ეს ბავშვები ვინ არიან, ერისკაცნო, აქ რას აკეთებენ.

– ესენი პატარა პოეტები არიან, დიდო მგოსანო, – უპასუხა ყველას მაგივრად აკაკიმ, – ლექსებზე ნადირობენ, კალმები დააქვთ, მხატვრულ სახეებს (თავის ჭკუით) ინიშნავენ, ეძებენ და ისევ ინიშნავენ. მერე დაჯდებიან და ღამეებს სიტყვების შერჩევაში ატყემლისფერებენ. ლექსზე იმდენს წვალობენ, იმდენს აშალაშინებენ, რომ გათენებისას თეთრი ლექსი რჩებათ.

– თეთრი ლექსი როგორია? – გაუკვირდა რუსთაველს, – ასეთი რამ არ გამიგია.

– ურითმო ლექსია, – უთხრა აკაკიმ – ვერლიბრს ეძახიან. ბევრი მიმდევარი ყავს.

რუსთაველმა გაიღიმა.

მიგვიხმო. ერთმანეთის გასწრებით მივეახლეთ.

– წამიკითხეთ, რას წერთო! – გვითხრა.

წავუკითხეთ.

ყველა ლექსი ზეციდანდ იწყებოდა და ზეცით თავდებოდა.

მშრალი სიტყვების რახარუხმა ზეცა შეანჯღრია, სანაპიროზე მტვერი დადგა.

რუსთაველმა შეჩერება ბრძანა.

ამოიოხრა.

– დიდთა ვერ მოჰკლავთ ნადირთა... – თქვა სინანულით.

უბის წიგნაკები და საწერ კალმები ყველას წაგვართვა და მიწით დაგვითხუპნა... უბის წიგნაკები ზღვაში გადაყარა. მე შემეშინდა, პოეზიას ასე ადვილად ვერ დავთმობდი...

– ვისაც კალამს დავუბრუნებ, წერა იმან გააგრძელოს, ვინც ისე დარჩება, თავისუფალია ამ ხელობისგან. ლექსი ვერც ყანას მომკის, ვერც გაგაძღებს და ლექსმა შეიძლება ყანაც მომკას და კიდეც გააუკვდავოს პოეტი. ლექსმა შეიძლება სამყარო ააფეთქოს ან დაამშვიდოს. მაშ ასე, ვიწყებ კალმების დარიგებას.

ჩვენ ფერი წაგვივიდა.

ყველას პოეტობა გვინდოდა. პოეტობაც არის და პოეტობაც, სახელოვანი პოეტები გვინდოდა ვყოფილიყავით. ჩვენ უნდა გვტკენოდა სამყარო და სიცოცხლე. ბევრი გვეცინა და ცოტა გვეტირა. ტირილშიც იქნებოდა სიცილი. სიცილი კი არა ხარხარი. ხარხარი ცრემლისა და სინანულისა, განშორებისა და ახლოს ყოფნისა...

– გამოდით რიგიდან, – უბრძანა ოთხ ჩემნაირს და კალმები გადაუყარა. – წადით, მოთოხნეთ, მომკეთ. ისიც ლექსია, სიმღერაა, სიხარულია.

შემდეგ ოთხეულს იგივე გაუმეორა.

ჩემი ჯერიც დადგა. თვალები გამიფართოვდა. რატომღაც მჯეროდა, რომ კალამი აუცილებლად მერგებოდა. მჯეროდა და მერგებოდა, მერგებოდა და მჯეროდა...

– ეს კალამი ვისია? – იკითხა სხვათა შორის.

– ჩემია! – ვთქვი მე და ხელი გავიწოდე. ვგრძნობდი, რომ ავტოკალამს მაძლევდა.

* * *

– წამოდექი, წამოდექი, – ჩამძახა ანიელმა და გამომაღვიძა. – ადრე დაგიძინია, ბალღო. მოიცა, ეს რა ფერი გადევს?.. ცუდად ხომ არა ხარ... მთისჰაერმა დაცდა იცის, მიდი, პირი დაიბანე, გამოცოცხლდები.

ზლაზვნით წამოვდექი.

პირი დავიბანე, გამოვცოცხლდი. ამნაირ გამოცოცხლებას სიკვდილი მერჩია...

მოსვენება დავკარგე. რაც მესიზმრა, ყველაფერი ხელახლა გავიაზრე. გული მიგრძნობდა, რაღაც უნდა მომხდარიყო იმაზე უარესი, რაც ზღვის პირას ვნახე.

ტყის პირას კურდღელი დავლანდე.

ანიელს ხელი წავკარი, მივახედე. არ განძრეულა, თითქოს კურდღელი ვერც შენიშნა.

– ესროლე ანიელ, რაღას უცდი, – ვეჩურჩულები.

– არ ვესვრი...

– რატომ?

– იმიტომ, რომ ამ ტყეების დაცვა მე მავალია, ასეც რომ არ იყოს, კურდღელს მაინც არ მოვკლავდი...

– თოფი რაღად გინდოდა რომ წამოიღე, თუ არ ვინადირებდით და არაფერს მოვკლავდით.

– ღამით, თუ მგელი ან დათვი დაგვესხმება, იმას ვესვრი, კურდღლის მოკვლა რა ვაჟკაცობაა.

დავუსტვინე.

კურდღელი ელდანაცემივით გაიქცა... გული დამწყდა, რომ ცოცხალი გადარჩა. კურდღელი, რა თქმა უნდა, არაფერს მიშავებდა, მაგრამ მე მასზე ძლიერი ვიყავი და უნდა მომეკლა. მერე ცეცხლს დავანთებდი. კურდღელს გავატყავებდი და ხორცს მადიანად შევექცეოდი.

ხევხუვებზე ბინდი დაეშვა.

საიდანღაც გრილმა სიომ დაბერა. ბალახებმა მოიწყინეს, ყურები ოდნავ ძირს დაუშვეს, გაინაბნენ. შორს, ძალიან შორს, ჭიუხთა წვერი გამოჩნდა. ზოგან ბინდისფერი შედგომოდა, ამ უკარებელ მასპინძელს.

ანიელი ქოხისკენ წამიძღვა.

ვივახშმეთ. ვისაუბრეთ. ცეცხლი არ დაგვინთია, რადგან შესაწვავი არაფერი გვქონდა და არც სიცივე გვაწუხებდა. ანიელმა ზურგჩანთა თავით ამოიდო და ძილინებისა მისურვა. მე დაძინების მეშინოდა. ქოხიდან გამოვედი, ბალახები მოვგლიჯე, როგორც ანიელმა მირჩია და თავით დავიდე.

როგორც იქნა, ჩამეძინა.

ჩამეძინა და... მოვკვდი. კუბოში ჩამაწვინეს. გამაპატიოსნეს.

ჩემი დასაფლავების დღე კვირა იყო...

ჩემსავით უბრალო და სახელდახელო კუბო გაეკეთებინათ. თავთან ყვავილები მეწყო. ყვავილები სიცოცხლეშიც ძალიან მიყვარდა და ალბათ ეს გაითვალისწინეს. მთელი სოფელი ჩვენთან იყო შეკრებილი. ნათესავები ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ.

თავთან სანთლები მენთო.

გამთენიისას ჩემს უმცროს ძამიკოს ახალი ყვავილები მოქონდა. თავთან მიწყობდა, დამყურებდა, ტუჩები და ხელები უცახცახებდა, გული უთრთოდა.

მერე ჩამეკონებოდა.

ჩემი განშორება უმძიმდა. ხელებს სახეზე მხვევდა, ცრემლს მაღვრიდა. ასე ვიყავით მანამ, სანამ ოთახში ვინმე არ შემოვიდოდა და ჩემს ძმას გარეთ გაიყვანდა.

ჩემი ძამიკო გადიოდა, ეზოში ვაშლის ძირში ჯდებოდა. ეს ვაშლი ერთად დავრგეთ ორივემ. ვენახიც გავაშენეთ.

იგი ვაშლსა და ვენახს შეჰყურებდა. შეჰყურებდა და ტიროდა. ტიროდა და შეჰყურებდა. სოფელში ხმა დაერხიათ, ლექსების წერამ გადარია საწყალი და უდროოდ ამოხადა სულიო.

ბავშვებს საწერ-კალმები დაუმალეს, გარეთ არ უშვებდნენ – დაწერილ ფურცლებს უხევდნენ, თქვენც გაგიჟდებითო.

შაბათ საღამოს, ჩემი დასაფლავების წინა დღეს, ჩვენს ეზოში თეთრი ცხენი შემოჯირითდა. ცხენზე გოგონა იჯდა. გოგონას შავი კაბა ეცვა. მხრებზე ყორნისფერი თმები დაჰფენოდა. ზღვისფერი თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ცხენი კიბესთან შედგა. გოგონამ ზე აიწია, დამხვდურთ ნაღვლიანი მზერა მოავლო და ცხენიდან მსუბუქად დაეშვა.წამოდგომა ვცადე. მინდოდა მეყვირა, ცა და ქვეყანა შემეძრა, მზეს და მთვარეს მივწვდომოდი... მივწვდომოდი და მეთქვა, რომ ის დაბრუნდა... დაბრუნდა მაშინ, როცა მე აღარ ველოდებოდი, მან გაიგო ჩემი სიკვდილი...

გაიგო და მოვიდა...

მოვიდა და გაიგო... წამოდგომა მომინდა. თითქოს მხრები წამოვიწიე, თითქოს ნაბიჯის გადადგმა მოვინდომე, მაგრამ მე მკვდარი ვიყავი და ეს ცდა ჩემში ან სხვაში დარჩა.

ეს გოგონა მკვდარსაც მიყვარდა და ცოცხალსაც. მშობლები ყავდა გულღრძო. ჩემთან შეხვედრას უშლიდნენ. უკეთესი სასიძო უნდოდათ: ლამაზი, თანამდებობის მქონე და სასიქადულო.

გოგონას ჩემსავით უყვარდა ყვავილები, მიწა, ზეცა, სიცოცხლე...

გული, ერთავად, სულ ბუნებისაკენ მიუწევდა. ხსნას და სიმშვიდეს ბუნებაში პოულობდა. იგი ჩემი იყო. (ამას მე ვფიქრობდი) ის იყო ჩემი და არავისი. მისი სული ვერავის დაიტევდა და ის არავის სულში არ დაეტეოდა...

ჩემზე გავრცელებული ჭორების არ სჯეროდა. უფრო სწორად, არ უნდოდა დაეჯერებინა.

დაუპატიჟებელი სტუმარი არავის მისალმებია.

მომიახლოვდა. მოვიდა. მინდვრის ყვავილები მომიტანა. სველი, ცვრიანი ყვაივლები ჩემსავით მოეკლა. მოეკლა და მოეტანა. მოეტანა მკვდარი მკვდრისათვის. გაუცივებელი სიცოცხლე გაუცივებელი სიცოცხლისათვის.

დაიხარა.

– ბეჟან! ჩამჩურჩულა, სიცოცხლეში ვერ გავბედე... ვერ გავბედე მეკოცნა შენთვის... ახლა კი... ახლა გაკოცებ... გახსოვს? – ერთმანეთის მაგივრად ყვავილებს ვკოცნიდით ხოლმე... მშობლებს ახლაც გამოვეპარე... შენი სიკვდილი რომ გაიგეს, გაუხარდათ.

– წამომყვები? – ვეკითხები უხმოდ.

– ვერა... ვერ წამოგყვები!!!

– რატომ მოხვედი ჩემთან, მკვდარს მაინც დამეხსენი...

– ვერ დაგეხსნები...

– მითხარი, სიკვდილის გეშინია? – ვეკითხები უკითხავად.

ხმა არ გამცა.

ყვავილები გულზე დამაწყო. თბილი, ჩემთვის შორეული თითები სახეზე მომისვა, მომიალერსა.

– სიკვდილის არ მეშინია, – მითხრა უხმოდ, – სიკვდილი არაა საშიში. სიკვდილი ლმობიერებაა... სიკვდილი მოგკლავს და მოგასვენებს. სიცოცხლე გაწვალებს, გაშინებს, გაიმედებს და ბოლოს მაინც სიკვდილს ჩაგაბარებს...

ოთახში, სადაც მე ვესვენე, ჩემი ძმა შემოვდა. გოგონა ლანდივით გაქრა. გაქრა ცხენიც, ძმაც, ხალხიც და ყველაფერი, რაც კი ოდესმე მენახა. დები არ მტოვებდნენ, ტიროდნენ, თმებს იწეწავდნენ, მერე დედას ამხნევებდნენ, შენი შვილი არ მომკდარაო, აჯერებდნენ... გულწასულ დედას ჩემთან უნდოდა, მოიწევდა, არ უშვებდნენ.

ბოლოს მარტო დავრჩი.

მარტო საკუთარ თავთან და საკუთავი თავის გარეშე... კვირას, ვახშმობის დრომ რომ მოატანა, ჩვენი სოფლის აღმართზე გამომეღვიძა. მიმასვენებდნენ. ჩემი სამგლოვიარო პროცესია ხუთიოდე კაცისგან შედგებოდა.

აღმართი რომ აათავეს, ეკლესია გამოჩნდა. ეკლესიის ერთ განაპირა კუთხეში ჩემი საფლავი გაეთხრათ. საფლავთან დამასვენეს.

თვითონაც დაისვენეს.

ცოტა ხნის შემდეგ მესაფლავემ ბაწრები მოიტანა. თეთრი ზეწარი, რომელიც სახეზე მეფარა, გადამხადეს.სანთლისფერი მედო. საცოდავი დასანახავი ვიყავი.

დაიწყეს ბჭობა.

ზოგი ყვავილებს არ მატანდა მიწაში, ზოგი სასმელს, ზოგი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ მალე დავემარხე.

მაჯაზე ახალთ-ახალი საათი მეკეთა.

წიკწიკებდა. ისევ დროს ითვლიდა. ერთი ნატვრა მქონდა, ეს საათი შეეხსნა ვინმეს და მისი წიკწიკისგან განვთავისუფლებულიყავი.

სიკვდილის წუთებს რაღა დათვლა უნდოდა?!

ისევ ჩემი გოგონა გაჩნდა.

გაყინულ შუბლზე მაკოცა, თვალებზე თითები გადამისვა. საათი ისე უეცრად შემხსნა, არც გამიგია. საფლავში მძიმე-მიძმედ ჩამიშვეს. ცარიელი თოკები უკან ამოზიდეს. ორიოდე წუთის შემდეგ ქვა-ღორღი დამაყარეს.

თვალები გავახილე.

ვიცოდი მკვდარი არ ვიყავი და ცოცხლად მმარხავდნენ რა მექნა?.. რადგან თქვეს მოკვდაო, მოვკვდი, ხალხის ნებას წინ ვინ დაუდგება?!

მოვკვდი და დამმარხეს.

დამმარხეს და მოვკვდი.

მინდოდა მეთქვა რამე, მაგრამ კბილებს ერთმანეთს ვერ ვაცილებდი, რომ ენას თავისუფლად ემოძრავა. რომ მეთქვა, მაინც არავინ დამიჯერებდა, მკვდარი ვიყავი და ცოცხლებთან რაღა საერთო მქონდა?!

კუბოს ზემოთ ქვების რაოდენობამ იმატა. ქვებთან ერთად მიწასაც მაყრიდნენ. მაყრიდნენ და მტკიოდა. მტკიოდა და მაყრიდნენ. მტკიოდა გულთან ახლოს, გულს შიგნით, ქვემოთ, ზემოთ, ყველაფერი მტკიოდა, ყველაფრის ტკივილს ვგრძნობდი.

იმ მიწას მაყრიდნენ, რომელსაც მე ვბარავდი, ვთოხნიდი, ვაბრუნდებდი. ახლა მე გადამაბრუნა ამ მიწამ და დამბარავს, დამთოხნის, გაივლის ჩემში და იზეიმებს, იზეიმებს და თავის ღმერთთან კიდევ ერთ უმისამართო ბარათს გაგზავნის.

– შვილოო... შვილოო... – მესმის დაგვიანებული დედაჩემის ხმა.

– ძამიკოო... – ჩამომქვითინებენ ძმები და მიწას ხელით მაყრიან.

– ბეჟან მე... მე სიცოცხლეშივე მინდოდა მეთქვა, რომ...

და უკვე აღარაფერი მესმის.

ხმაზე ვიცანი ჩემი გოგონა იყო. ღმერთმა იცის, რა უნდოდა ეთქვა. ალბათ, მეტყოდა, მებრალებიო.

შებრალებით სიყვარული რაღა სიყვარულია?!

ვებრალებოდე, მერე რა მოხდა. ყველა ცოცხალ არსებას ებრალება ერთმანეთი. ებრალება და მიწას აყრის, ან ისე, უბრალოდ, დაუმარხავად ტოვებს.

ჩვეულებრივი ძილით ჩამეძინა.

მალე გამეღვიძა. ბნელოდა. ჰაერი არ მყოფნიდა. ხელები გავანძრიე. ყვავილები მოვსინჯე. დამჭკნარიყვნენ. ყველაზე უფრო მეტად ახლა შემეშინდა.

ვიცი, მკვდარი ვარ, ზემოდან მიწა მაყრია, არავინ მშველელი არ არის და არავის ვჭირდები. მიწას ვინ ჩივის, გულზე მარმარილოს ლოდი მექნება დადებული. ჩემი წილი მიწა შემოღობილი იქნება. ამ მიწის სიმძიმეც მეყოფა, ლოდი რაღად დამაწოლეთ?!

სუნთქვა მიჭირს.

ზუსტად არ ვიცი, ვსუნთქავ, თუ სუნთქვის მაგვარ პროცესს ვასრულებ... მგონია ვსუნთქავ... ისედაც დაბინდული თვალები კიდევ უფრო მებინდება. ყურში რაღაცები თუ ვიღაცები ხმაურობენ.

მესმის საშინელი ხარხარი, სტვენა, სიცილი, ვბორგავ. თავს წამოვწევ თუ არა, კუბოს თავს ვარტყამ. მთელი ხმით ვყვირივარ, ვყვირივარ, მაგრამ ხმა არ მაქვს. ტანზე ხელს ვისვამ. ხორცი მაქვს და ვერ ვგრძნობ. საშინელი სუნი ამდის, ვგრძნობ და ვერ ვგრძნობ, ვიხრწნები.

ჭიაღუებმა აქაც ჩამოაღწიეს. რა უნდათ, რას მემართლებიან?

უეცრად კუბოს ძირი ეხსნება.

შვებას ვგრძნობ. თავისუფლად ვსუნთქავ. ვეშვები. ვეშვები სადღაც, უსასრულობაში ან დასასრულში... ძალა მემატება. არსებობას ვგრძნობ. დამჭკნარი ყვავილები ჩემთან ერთად ეშვებიან.. ძარღვებში სისხლი მოძრაობს. გული ფეთქავს. ტვინის რომელიღაც უჯრედებში ქაოსია, რაღაც ახალი იწყება.

– ო, ნეტავ ისევ მიწაზე დამაბრუნა!

დამაბრუნა თუნდაც ერთი დღე, ერთი წუთით, ერთი წამით...

ვიღაც ხელს მავლებს და მექაჩება. ხმას არ მცემს. ჩემზე ძლიერია, მკლავი ვერ მოვუხარე. ბნელა. ვეცემი. არაფერი მტკივა.

ვეცემი და ყველაფერი ნათდება. ჩვეულებრივად დავდივარ. წინ გზა მიდის. უკან არაფერია. გზა თითქოს აქედან იწყება. იქით-აქეთ კედლებია. ორივე მხარეს ერთნაირი მდინარეები მოჰქუხან. ორივე უცხოა და ორივე მტკვარს მაგონებს. გზას მივყვები. გზადაგზა ყვავილებს ვხედავ.

მახსოვს: მკვდარი ვარ. დამმარხეს. დამიტირეს. საყვარელმა გოგონამ გამომაცილა, საათი შემხსნა...

– ო, რა კარგი ქნა, საათი რომ შემხსნა!

აქ ცა არ არის. ძირს და ზემოთ მიწაა. მიწა გაცისკროვნებულია უცისკროდ და ცის გარეშე. მდინარეები მოდიდებულან. საიდან მოდიან, მაინტერესებს. უკან არაფერი ჩანს, წინ ყველაფერი ნათელია. გზას ალაყაფის კარები მიღობავს.

ვუყურებ. ჩვეულებრივი რკინის ალაყაფია, არაფრით არ განსხვავდება სიცოცხლეში ნანახისაგან. მიკვირს და ვერ გამირჩევია: ესაა საიქიო, თუ ის, სადაც დავიბადე და გავიზარდე. აქ ხალხი იქნება. ალაყაფის იქით დიდი სახლები ჩანს. ყველაფერს გავიგებ.

ალაყაფზე დიდი ასოებით აწერია:

ს ა ა ქ ა ო

მოვსულვარ. ალბათ ამათი საიქიო იქ არის, საიდანაც მოვიდნენ. ალაყაფის კუნჭულში პატარა კარია. ამ კარში შევდივარ. ათიოდე ნაბიჯს ვადგამ და წინ ჯუჯა კაცი მეღობება. სახემოსვრილი, წვერგაუპარასავი. დიდი, დატოტვილი თითები აქვს.

– საით? – მეკითხება.

– საიქიოში, – ვეუბნები.

– ჰიჰი, ჰი, ჰიჰი, – იცინის, – საიქიოდან მოხვედი. ახლა სააქაოში ხარ. მე ჩამოგათრიე მაღლიდან. მატლები გჭამდნენ. იქ, ზემოთ, შენისთანები ბევრი რჩებიან. აქ ჩამოყვანას ვერ ეღირსებიან. სადაც დამარხავენ, იქ დალპებიან. შენი ჩამოყვანა ჩვენმა უფალმა მიბრძანა.

– ბოდიში, უკაცრავად, – ენა ამერია, – ვინ არის თქვენი უფალი?

– ამიერიდან ჩვენი, – შემისწორა ჯუჯამ, – ამიერიდან ჩვენი უფალი სიკვდილია, ილოცე მისთვის.

ახლა მე გამეცინა.

ჯუჯას გაუკვირდა, ასე თავხედურად რომ გავიცინე. მე კი ვიფიქრე: სიცოცხლზე არასდროს მილოცია, სიკვდილზე როგორ ვილოცო – მეთქი.

– წამოდი! – მითხრა ჯუჯამ და წინ გამიძღვა.

წავყევი. ისევ ალაყაფთან მიმიყვანა. ჯუჯა კაცისთვის განკუთვნილ ოთახს რომ მივუახლოვდით, დავეცი. დავეცი და ვეღარ წამოვდექი. საშინელი კრუნჩხვები დამეწყო. ჯუჯა შეშლილივით ახარხარდა. მერე ფეხი დამადგა, გადამიარ-გადმომიარა. მუშტები დამცხო, გამჩენი შემიგინა...

– ილოცე ჩვენს ღმერთზე. – მითხრა და და წიხლი შემინაცვლა. ახლა უფრო ღონივრად, შეუბრალებლად.

– მე ღმერთი არ მწამს.

– რწმენა გაქვს?

– მაქვს.

– მაშინ შენს რწმენაზე ილოცე, შენი რწმენა – შენი ღმერთია. მე სიკვდილი მწამს და სიკვდი-

ლი ჩემი ღმერთია, შენი ენით რომ ვთქვათ.

რაღას ვიზამდი.

უაზრო სიტყვები ჩავიბუტბუტე, სიკვდილზე მაინც არ მილოცია.

კრუნჩხვებმა გამიარა.

წამოვდექი. ჯუჯა თავის ოთახში შემიძღვა.

– შენი გვარი? – შემეკითხა.

დავიბენი.

ჩემი გვარი ისევ მახსოვდა, მაგრამ გამხელა არ მინდოდა.

– შენი გვარი? – გამიმეორა.

– არ მახსოვს, ბატონო.

– მე ბატონი არ ვარ.

– აბა, ვინ ბრძანდებით? – ვეკითხები შიშით.

– ამას მერე გაიგებ.

თვალი თვალში ისარივით გამიყარა. აღარ ხუმრობდა.

– გვარი მითხარი!

– არ მახსოვს-მეთქი.

– სტყუი, გახსოვს, ჩვენ ყველაფერი ვიცით. (ეს შესაშინებლად მითხრა) შენ, სულ ერთია, იქ მაინც ვერ მოხვდები... უმჯობესია თქვა. ან იტყვი, ან ეწამები...

– როგორ, – გამიკვირდა მე, – სამოთხე და ჯოჯოხეთი მართლა არსებობს?

– არა!

– აბა სად მაწამებთ?

– აქვე, ჩემს ოთახში. შენ გინდა უსახელო მკვდრებში მოხვდე, მოისვენო, ფეხი ფეხზე შემოიდო, დამშვიდდე. შენ გინდა მოისვენო და თოხი აგცდეს...

დავინტერესდი.

– უსახელო მკვდრები ვინ არიან?

– გაიგებ, – ჩაილუღლუღა და გაიმეორა.

– შენი გვარი??

– ხარაიშვილი.

– სახელი?

– ბეჟანი.

მოზრდილი სია გადმოიღო. ჩამწერა. მერე წამოდგა, სიამოვნებით დაამთქნარა და ოთახიდან გამომიძღვა.

ცოტა ხნის მერე მთელი ქალაქი მომატარა. სახნავ სათესები მაჩვენა. არაფერი გამკვირვებია, ჩვეულებრივი ცხოვრება იყო, ჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობდა.

ტყის ნაპირზე მივედით.

აქ მწვანე სიმინდის ყანა იყო. ჯუჯა კაცმა სადღაც თოხი მოძებნა. ყანის თავში დამაყენა. ქვემოდან, პაპანაქება სიცხეში ყანას ჩემი ტოლი ბიჭები თოხნიდნენ.

– დაიწყე! – მითხრა ჯუჯამ.

გამიკვირდა. ყანა ზემოდან ქვემოთ არასდროს მეთოხნა.

– დაიწყე! – გამიმეორა და თავში ხელი წამცხო.

დავიწყე, მეტი რა გზა მქონდა.

ჯუჯა არ მომშორებია. ფეხდაფეხ მომდევდა.

დავიღალე. არ შემასვენა. იქ, იმ ყანაში და იმ ქვეყანაში, დღე და ღამე არ არსებობდა, შეუსვენებლად ვთოხნიდი.

სიცხე თანდათან მატულობდა.

ბიჭები შემიერთდნენ. ყანა ზემოდან გათოხნილი მქონდა, მაგრამ ბიჭები მაინც არ შეჩერებულან

თოხნა გააგრძელეს.

მეც გავაგრძელე. ჯუჯა დამშორდა. თავისუფლად ამოვისუნთქე. დავრწმუნდი: კაცი ვერც მკვდარი მოისვენებდა, ვერც ცოცხალი. სახე ოფლმა დამისველა, ამეწვა.

სულ მალე ყანის ბოლში აღმოვჩნდი.

თოხი დავაგდე. წელში გავიმართე.

სული რომ მოვითქვი, თვალი ყანის თავისკენ გავაპარე. ბიჭებს აღმა თოხნა დაემთავრებინათ და ახლა დაღმა მოჰყვებოდნენ.

ჯუჯა დაბარებულივით მოვიდა. იქვე, ყანის ბოლოს, ბალახებში ჩაჯდა. მიმიხმო. მივედი.

– მიიხედ-მოიხედე! – მითხრა.

მივიხედ-მოვიხედე. ჩვენგან მარჯვნივ, გამწვანებული პალმების ქვეშ შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი ისხდნენ.

რაღა თქმა უნდა, ვიცანი.

ისვენებდნენ. გალაკტიონი თუთუნს აბოლებდა. ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა. მგოსნები აუჩქარებლად საუბრობდნენ. ხანდახან თვალს ჩემკენ აპარებდნენ. ეს მე მეგონა ასე.

– მკითხე, რაც გინდა! – ჯუჯამ ნება დამრთო, – დასაწყისისთვის შენი მუშაობა კმარა, მალე იმ ბიჭებს შეუერთდები, ხელი ზემოთ გაიშვირა, პალმის ჩრდილისკენ გავიხედე.

– ყური მიგდე, – მითხრა ჯუჯამ, – შენ რომ სიკვდილზე გელოცა, აქაურობას საერთოდ ვერ ნახავდი. წაგიყვანდი მეორე ადგილზე, სადაც სახლებს აშენებენ... აშენებენ და ანგრევენ... ცოტას ჭამენ და ბევრს მუშაობენ. ყველას სახლებს უშენებენ, თვითონ უსახლკარონი არიან. სახლის ეზოშიც ვერ შედიან თუ ჩემი ნებართვა არ ექნათ.

– სიკვდილს ჯიუტი ხალხი უყვარს, – ამბობს და უშნოდ იღრიჯება, – სიამოვნებს, როცა მას ეჯიბრებიან, ედავებიან, სახელს უტეხენ. იცის, ბოლოს თვითონ რომ გაიმარჯვებს და დამმარცხებელს დაამარცხებს. სიკვდილს საბოლოოდ ვერავინ მორევია, თუუ მოინდომა სიკვდილი თქვენს ღმერთსაც მოკლავს.

– როგორ? – მიკვირს მე და ისევ პალმებისკენ ვიყურები.

– სიკვდილს უფლება აქვს მთელი სამყარო არარაობად აქციოს, მას შუძლია კაცობრიობა მოსპოს... მოსპოს და არ დატოვოს ძეხორციელი... ამით თქვენი ღმერთი მოკვდება, შემქნელი და თაყვანისმცემელი აღარ ეყოლება. სამყარო დარჩება, მაგრამ შემმეცნებელი აღარავინ იარსებებს, შემეცნების გარეშე კი სამყარო და მის ირგვლივ არსებული მოვლენები არარაობაა. არარაობა და სიკვდილი ძმები არიან...

– სცდებით, ბატონო! – ჯუჯას თვალს ვუსწორებ, – ღმერთი ადამიანის შექმნილი არ არის, პირიქით, ღმერთმა შექმნა ადამიანი.

ჯუჯა ისევ დაიღრიჯა.

– ადამიანის ფანტაზიამ შექმნა ღმერთი, – მეუბნება და ისტერიულად ხარხარებს, – შენ რომ მაგდენი იცოდე, ახლა იქ, იმ ხალხთან იქნები. – ხელი პალმებისკენ გაიშვირა.

მივიხედე. პოეტები ისევ დინჯად საუბრობდნენ.

– ეგენი ვინ არიან? – ვკითხე ჯუჯას გამოსაცდელად, – რა ხელობის ხალხია?

– არ ვიცი.

– იცი და მალავ, ალბათ, ჯერ საკმარისი ნდობა ვერ დავიმსახურე თქვენთან.

– მე კი არა, მაგათი ვინაობა ჩვენმა ღმერთმა ანუ სიკვდილმაც ვერ დაადგინა. ეგენი უსახელო მკვდრები არიან.

– რატომ არიან უსახელო მკვდრები, მათი სახელები მე... – კინაღამ წამომცდა ვიცი მეთქი, მაგრამ სწორედ ამ დროს რაღაც უხილავმა ძალამ ენა დამიბა.

– გაიმეორე ეგ წინადადაება!

გავიმეორე. „მეს“ შემდეგ ენა ისევ დამება.

– სწორი ხარ, – მეუბნება, – შენ გინდა თქვა: მაგათი ვინაობა ყველასი ვიციო, მაგრამ ენა სწორედ ვინაობაზე გებმება. შენ მაბეზღარა ხარ. სხვაც ბევრი ჩამოვიდა შენნაირი, როცა ეს ტბა გაჩნდა და ეს ხალხი აქ მოვიდა, სიკვდილმა ვერაფერი გაიგო. მის მერე აღარ აინტერესებს მაგათი ვინაობის გაგება.

მაგ ხალხს თავისი სახელები იქ დაუტოვებიათ. სადაც ცხოვრობდნენ. აქ საკუთარი სხეულის გარდა არაფერი ჩამოუტანიათ. ღვაწლი და ამაგი მოკვდავთათვის დაუტოვებიათ. მაგათი სხეულიც აღარაფრად ვარგა. ნატანჯი, ნაგვემი, ნაწამები სხეული და დაღლილი ტვინები აქვთ. უსახელო მკვდრებს სიკვდილი სახელებს არ არქმევს. ტბის პირას, პალმების ძირში აჯენს და ანებივრებს. ეს ტბა უსახელო მკვდრებისაა და მასთან ახლოს სახელიანი მკვდარი, თქვენ ენაზე რომ ვთქვათ, ვერ მივა. შენ კი, ასე პატარა ბავშვს, პალმის ჩრდილში ჯდომა მოგიწევს.

– სამოთხე ყოფილა! – ვამბობ ჩემთვის.

ჯუჯამ წამოიწია, წასასვლელად მოემზადა.

– სამოთხე აქ არ არსებობს, არც ჯოჯოხეთი, – როგორც ხედავ ისინი, ვინც თავის სახელს ზემოთ, მიწაზე დატოვებენ, ამ ტბასთან დასხდებიან, ვისაც სახელი ჩამოჰყვება, ყველა შენ დღეში ვარდება.

– უკულმა რატომ მათოხნინებ, კაცი არა ხარ? – ვეკითხები.

– არა ვარ. მე კაცზე დიდი ვარ და კაცზე პატარა... ასე უფრო ეფექტურია თოხნა, ჩვენმა უფალმა ასე გვიბრძანა.

ვის უნახავს ამნაირი თოხნის ეფექტიანობა?

აშკარად მატყუებდა... ზეზე შეშლილივით წამოვვარდი. მივწვდი, მუშტები დავუშინე.

ყელში ვეცი, ჯუჯას გახრჩობა მოვიწადინე.

სამაგიერო სილა მივიღე...

ეს ჯუჯა კი არა ანიელი იყო. კიდევ გამარტყა. როცა დავრწმუნდი, რომ ცოცხალი ვიყავი, მთელი ხმით ვიღრიალე, ანიელს გულში ჩავეკარი. ავტირდი, ცრემლი ნიაღვარივით ჩამომდიოდა.

ჩემი თავი ისევ საიქიოში მეგონა.

ანიელს სიზმარი თავიდან ბოლომდე მოვუყევი. არაფერი მითხრა. ხელი უიმედოდ ჩაიქნია...

ინათა. მთები გამოჩნდნენ. ნისლებში ჭიუხი აილანდა. არაგვის ჭალაზე სიცოცხლემ იფეთქა. დაბურული ტყიდან ცვრიან ბალახზე სიცოცხლით სავსე შვლის ნუკრი გამოკუნტრუშდა...

ანიელს დილის ძილით ჩასძინებოდა. ფეხაკრეფით მივუახლოვდი. თოფი მოვპარე... შველს გავხედე. ისევ კუნტრუშობდა. თოფიდან ვაზნები ამოვიღე, მერე თვალები დავხუჭე და ვაზნები გარეთ გავყარე. არასოდეს ისე არ შემშინებია, როგორც ახლა, ამ წუთში...

– მე თოფის გასროლის შემეშინდა...

რეზო (ემელიანე) ადამია



ჰაემანი სიკვდილთან

ტერენტი გრანელი

ქვეყნის, ერის და პლანეტის სიმდიდრე, შემოქმედებითი გენიის ღვთიურ-პირადული უკეთილშობილესი „მე“ მის მარადიულ შედევრ ქმნილებებში უსაზღვროდ აღიბეჭდება, ხოლო უბრალო ადმაიანისა სივრცეში ბუნებრივად განიბნევა. ჩვეულებრივ-გაურკვევლობით...

მართლაცდა საკვირველი გრანელის ზეციური სიმივით დაჭიმული სული კოსმოგენურ დროთა ჟამში უახლოესი პლანეტათა თუ ვარსკვლავთა უსასრულობაში თავისი კუთვნილი ადგილი ჰპოვა; უთუოდ აქ, რასაც აღელვებით ვწერ, არაა პირადი ფანტაზია გამოგონილი, ყოველივე, ჩვენთვის უკვე შორეული და უცნაური წარსულის მართალი მოვლენებია, რითაც თავის დროს მგოსნის განსხვავებულმა ნიჭიერებამ და მისტიკურმა სამყარომ წარმოშვა. ყოველ გენიათა ხვედრიც ხომ მაგ სახისაა სხვადასხვა ფორმით და თვისება-განწყობილებით ქმნილი. ამ შემთხვევაში მოხდა მიწიერ კოსმოსური მარადისობის კავშირთა უმნიშვნელოვანესი მოვლენა, მაგრამ ძალიან რთული ფორმით. რათა სივრცობრივი გზათა ზეციური შინდისფერი ფრინველი, მგოსანს ვარსკვლავეთური განწყობილებით სავსე მუზის აღმძვრელად ეახლებოდა ხშირად.

ამავ დროს უცნაური ხელოვანის სხეული უკეთურთა დაკვეთით მოვარდნილმა გამეხებულმა სიკვდილმა დაუზოგავად და უდროოდ შეავიწროვა, დაწურა, თითქმის საბოლოოდ დაწრიტა, მოუსვენარი უმდიდრესი სული უხეშად და გამეტებით ამოსტყორცნა სხეულიდან და წრიული ტეხილი ხაზებით განწირულად ირიალა უსიცოცხლო სხეულის ირგვლივ თითქოსდა უკვდავმა შვება იგრძნოო, მაგრამ ზედმეტი თავაშვებულობით გამოუცდელი განმარტოება იგრძნო და უხილავ სევდად დაიღვარა გაქვავებული სხეულის ირგვლივ. მერმე განცვიფრებულმა მოინდომა უკანვე შებრუნება, მაგრამ ცივ ლოდად ქცეულმა არ მიიღო და ისევ გამწარებული ეული სული სივრცის უსასრულობაში ნერვიულად გაიჭრა.



„სული ღმერთია, ადამიანის სხეულში რომ უპოვნია თავშესაფარი“. სენეკა. ყოველივე ეს ნათლად ხილული სუფთა კოსმოსური დრამა, წარმოუდგენელ ტრაგედიამდე განწირულის მისვლაცაა. მაგრამ მგოსანთაგან გამორჩეულს შორეული კოსმოსი ამ სახის გზით მიელოდა. შემდგომ, პოეტის სულის მუდმივი სამყოფელი მხოლოდ ვარსკვლავეთმა თუ იცის და იშვიათ სამყაროთ მგრძნობელმა პიროვნებებმა... ზემიწიერი უმძიმესი ფუნქცია დამთავრებული იყო, პირველი და შავბნელი დროისა. დანარჩენი შემდეგი უხილავი მოვლენები ჩვენთვის მიუწვდომელია. შემოგვრჩა მგოსნის მხოლოდ ნათელ ლექსად გოდება უნიჭიერესი აღიარება ზეციურ და მიწიერ ჭეშმარიტებაზე. ირგვლივ კი შორეული ბნელეთი და ვარსკვლავთ მისუსტებული ციმციმი ჩანდა. აქვე საფლავებთან ახლოს სიკვდილთან არასოდეს არმომხდარი და პირველი ტრაგიკული პაემანი

დამთავრებულიყო. მიუწვდომლობის და მარადიულობის უზარმაზარ მომავალს მუქი ცისფერი თვალი ფართოდ გაეხილა, საიდანაც სამყაროს უკიდეგანობა ანათებდა.

ქალაქში ცოტა ვინმეს თუ შეუმჩნევია ტერენტის იმ ქვეყნად გამცილებელ უცნაურად შემფუთველი იდუმალი ზეწარი, რომელიც სურამის ფსიქიატრიული ცენტრიდან წამოეღო, მოყვითალო-ცისფერ-ვარდისფერებში რომ იყო ფერგადაკრულ-შეფარული; მოვლენათა ყველაფრის შემდგომ შავხელთათმანიანმა, საავადმყოფოს დამლაგებელმა ქალმა ზიზღით სანაგვეში რომ გადააგდო. მერმე შუაღამეს ვიღაცას შეუმჩნევია უდიერად დაჭმუჭნული, კუთხეში მინაგავებული თეთრი მოფერადო მატერია ცისფერ-ყვითლებით ფოსფორივით ანათებდაო...

„მოწამეებმა უფრო მეტი რწმენა შექმნეს, ვიდრე რწმენამ მოწამენი“. მიგელ დე უნამუნო.

გრანელი თითქოს ვიღაცას, გამოკვეთილად განსხვავებულ უხილაობას შეხვდა უმოკლეს დროში მკვახედ და მელანქოლიურ-წყვეტილად ელაპარაკა, თან მარტო იდგა ტანგაშეშებული. ბნელ უხილაობას აგრე დაძაბული ესაუბრებოდა, მაგრამ მისი პასუხი, ჩურჩულიც არ ისმოდა. ამჟამად ფიზიკურად თითქოსდა სრულიად მარტო იყო ტერენტი ცისქვეშეთში და მძაფრი იმედ-განცდები ეუფლებოდა იქაურობას.

სურამის საგიჟეთიდან უკანასკნელად გამოიწვია ბნელეთურმა ზეძალამ, ტერენტი გრანელი აღელვებული თითქმის ნერვიულად უფრო გახელებული მოიჩქარის თბილისისაკენ და ქვეცნობიერად გრძნობს, რომ უნდა შეხვდეს სიკვდილს, რათა გაექცეს აქაურობას და უკანასკნელად გაიჭრას ნანატრ ვარსკვლავეთში.

„არც ერთ დიდ გონებას არ უარსებია საგიჟეთთან შეხების გარეშე“. გოეთე.

მდუმარედ ვიტყვით როგორც ყველა მოკვდავი, გრანელის გარდაუვალი მიწვევა იდუმალებებით სავსე იყო, იმ ღამეს პოეტი უკანასკნელად შეიმოსა თეთრი ზეწრით და მოციქულივით გამოეცხადა პლანეტარიუმს და მის იდუმალება დაუნდობლობას გულნაღვლიანი დაელოდა დროის და სივრცის უძლიერეს თანამგზავრს. შესრულდა გრანელის დიდი ხნის ფიქრ-ოცნებაც. მოხდა მიწიერ-კოსმიური მარადიულობის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, მაგრამ ძალიან მტკივნეული ფორმით, შეწირული ბოლომდე ვერ გრძნობდა ყველაფრისგან გაღიზიანებული რომ უმთავრესს კარგავდა, კოსმოსი ხომ თავისი იდუმალებებით სრულ ალბათობაშია მოქცეული და...

შორეულ მიუწვდომლობითი სირთულეებიდან გამომდინარე, ხოლო მიწიერი სიცოცხლე და მისი თითქმის ხილული დიდება თუ დაცემა, უსასრულო სივრცისთვისაც ბოლომდე გაურკვეველია, ორმაგად ცეცხლის კორიანტელში მოქცეული ტერენტი იძულებული იყო, სიკვდილთან პაემანს გონიერი თანხმობით უნდა შეხვედროდა

დაღლილ-დაქანცული პოეტი მთელი დღე სიზმარეულივით ქუჩებში დაბორიალობდა და თუ სადმე ყვავილები იყიდებოდა, თავდაღუნული, მეყვავილეებს მორიდებით ეკითხებოდა შავი ვარდი ხომ არა გაქვთო! ან სად შეიძლება შევიძინოო? ამ დილას ალიონზე სასაფლაოზე რომ გაიარა სივრცის იდუმალმა დამსჯელმა ძალამ შავი ვარდი მოთხოვა, წალენჯიხელი მწირი მორჩილად ასრულებდა ამ ბრძანებას და ვერსად ქალაქში მაგდაგვარი ვარდის ნასახსაც ვერ მიაკვლია. ზეწარშემოხვეული გაცვეთილი ფოსტლებით დაიარებოდა, შემხვედრი ხალხი გაკვირვებული შეჰყურებდა. ყველა გრძნობდა მათხოვარი არ იყო. გიჟი? მაგ დასკვნამდეც ვერ მიდიოდნენ. ბავშვები ახლოს არ ეკარებოდნენ. ნამდვილმა სულით ავადმყოფმა, წვერებგაბურძგვნილმა შუახნის კაცმა სახემოღრეცილმა ჩაუარა და ისიც ემოციააყრილი ნერვიულ მზერას არ აშორებდა. ტერენტის გამოჩენის მერმე, რუსთაველზე მომრავლდა ყორნები და ბეღურები, უკვირდა პოეტს, ალბათ სურამიდან გამომყვნენო.

სოლოლაკში, ძველ უბანში, სადაც მდიდარი სომხები ცხოვრობენ, მორიდებით ეზოების დათვალიერება დაიწყო, ეგებ შავი ვარდი სადმე, შემთხვევით შევნიშნოო. ქვისა და ქვითკირისგალავნიან კოხტად მოვლილ ეზოში რკინის დეკორატიული კარი გააღო, შეიხედა და დაინახა, ყვავილნარი იყო გამართული ულამაზესი, მრავალსახეობა ვარდებისა ჯგუფ-ჯგუფად რომ კეკლუცობდნენ. ამ დროს, მათში განაპირას შენიშნა საოცრება ახლად კოკორგაშლილი შავი ვარდი. გახელებულივით კინაღამ

დაუკითხავად მივარდა, მაგრამ სადარბაზოდან თეთრბერეტიანი შუა ხნის ულამაზესი შავგვრემანი ქალის გამოჩენამ შეაჩერა, და გაისმა მკაცრი ხმა: აქ რას აკეთებ, კაცო! ვინ გინდა, ეზოში რაზე შემოხვედი? მაშინ უნებლიეთ წამოსცდა გრანელს: მე პოეტი ვარ. ემანდ შავი ვარდი რომაა, თუ შეიძლება, ერთი ცალი მაჩუქეთო! გაკვირვებულმა ქალბატონმა იფიქრა, ამ ფორმის და ასეთი შეხედულების უცნაური ადამიანი პირველად იხილა და ვარდს ითხოვს, თანაც მხოლოდ შავს. მერმე უთუოდ დიასახლისმა მოსამსახურეს თუ მეზობელს შესძახა: სურენ, ემანდ შავი ვარდი, ამ კაცს აკურატნად მოუწყვიტე და მიეცი!

ტერენტიმ ნანატრი ვარდი სათუთად უმალ გულის უბეში ჩაიდო, ქალბატონებს მადლობა გადაუხადა, მერმე ღიმილით ეუბნება მათ, მე ამ სილამაზეზე ლექსი შემიძლია მოგართვათ. არა! არ გვინდა, კარგად იყავი, მიუგეს! ეზოდან დუმილით გამოვიდა და ვიწრო ქვაფენილიან ქუჩას დაუყვა. სიხარული არ იყო, რაღაც უფერული განწყობილება შეეპარა გრანელს და მძიმედ დაინისლა მგოსნის სულგული, გაურკვეველი სევდა და ძლიერი დეპრესია დაეწყო. მიდიოდა არეული ნაბიჯებით და ირგვლივ ვერაფერს ვერ ამჩნევდა.

„როცა უკან იხევ, სიკვდილი შენს უკანაა, ასე რომ, თქვენი შეხვედრა გარდაუვალია“. იბნ ანბუ თალიბი. ნეტავ მალე დაღამდებოდეს, დროზე მივიდე და ყოველგვარ სიცოცხლე პოეზიაზე განსხვავებულ შემზარავ უხილაობასთან უნდა გამოვცხადდე, შავი ვარდი უკვე მაქვს. ვიღაცამ შორიდან გახარებულმა, ტერენტიო! დაუძახა, – არა, მე ტერენტი არა ვარო და სიარულს აუჩქარა, ამაღამ უფრო გაირკვევა, მე ვინცა ვარ და სად წავალ, კი არ გავიქცევი აქედან ისე: ზეკანონები ხომ ყველაფერს მოაგვარებენ და ცივი ცრემლით გაევსო თვალები.

სამწუხაროდ პოეტისგან ლექსის წერა და ფიქრი შეწყდება სარწმუნოებაზე, სამშობლოზე, საფლავებზე-ვარსკვლავეთზე და დებზეც, იქ! არ ვიცი ვის ჩავბარდები, მაცხოვარი და ღვთისმშობელი რომელ მხარეს გამამგზავრებს, ხო! როგორი ზღვა – ოკეანე თუ უსასრულო გარემო სივრცე მრავალთვისებიანი ვარსკვლავებით მელოდება ჯერ გაურკვეველია; ისე ამ ჯოჯოხეთად ქცეული ქვეყნის დატოვებაც მენანება. დიდი ხნის მერე თუ მეორედ მოვალ?! როგორ არ მინდა ამ ქვეყნად მეორედ მოსვლა, ალბათ მე კი არა, მაცხოვარსაც გაუჭირდებოდა ამათგან მეორედ წამება-ჯვარცმა, მაგრამ უკიდეგანო სამყაროს მიუწვდომელ ნებას რა ან ვინ უდგას წინ, განმარტოებისას ხშირად ამდაგვარ აზრს ბუტბუტებდა მრავალ დარდშეჭმული გრანელი. მერმე, ვაიმე დედა!, უცებ წამოცდა გრანელს, რატომ გამიქრა აგრე უძიროდ სევდა, დარდი, სულიერი ფორიაქი და დამერთო ნერვიული უკმარისობა და არაა ჟინი: მათ უმისოდ ხომ პოეტი არავარ, ეს უკვე გამოფიტვას ნიშნავს. არ მოველოდი ასეთ, დღის უკანასკნელ განაჩენს, ღმერთო ჩემო დამაბრუნე თუ არა, უკვე მათ დავემსგავსე, ყოველიე ეს უკვე, როგორც პოეტისა სიცოცხლეშივე სიკვდილია; თუმცა... უბნის უპატრონო ძაღლები ისევ აედევნა, საიდანღაც ხის კენწეროდან ყვავის ხმა – ჩახლეჩილ-გაგულისებული ღნავილი ისმოდა და მათი ხიდანხეზე უთავბოლო გადაფრენაც შეინიშნებოდა...

უმთვარო ღამე იყო ვარსკვლავებმრავალი, მშვიდი. სამხრეთ-დასავლეთით სადღაც დიდმა კუდიანმა ვარსკვლავმა გაანათა, ზე-ვარსკვლავიანი ბნელეთი ხანჯალივით გაჭრა; უფრო, სამხრეთით გაქანდა და ცის შორეულმა სივრცემ შთანთქა. უაზროდ გაეღიმა გრანელს და უსახელო საფლავის ქვას მოეფერა, შენ რაღა გიჭირს, მუდამ დადუმებულო! დიდი ხანია ეს ყველაფერი მოისტუმრე, მაგრამ მჯერა, მე თანამიგრძნობ. ირგვლივ სრულიად უცხო რაღაცის და ბოლომდე გაურკვეველის მოლოდინი საუკუნედ გაიწელა, მხოლოდ წინიდან ელოდა მოულოდნელობას, ხოლო მგოსნის უკან მცხოვრები მოფუსფუსე უახლოესი თუ შორეული ადამიანები თითქოს ასობით კილომეტრობით მოშორებით, მისთვის იმედმხსნელად არ ჩანდა და მათგან მრავალ განწყობილებითი სივრცის ხელოვნური უფსკრულს გაღმა უმწეოდ იდგა... მთაწმინდის კოფოს თავზე თვალისმომჭრელად კაკაფონობდა უღვთო შხამიანი წითელი ფერის საბჭოური ვარსკვლავი. ჯერ არმომხდარი, შავიფონ-მოსასხამიანი უხილავსიბრტყობრივი ბნელეთური პაემანი კი იწყებოდა და ყოველმხრივ გაშიშვლებული გრანელი მხოლოდ ამდუღრე-

ბულ სულად ბარდებოდა იმქვეყნიურ ჯადოასხმულ გაუთავებელი სიხარბით სულ-აძიგძიგებულ ყოველთა გამანაწილებელს...

ნაცნობი საფლავის ჩაყვითლებული ქვის განაპირას ამოსული თითქმის ლურჯი-მომწვანო მარტო ბალახი, რომელიც ირგვლივ ყველასგან განსხვავებული ფერისა იყო, ტერენტიმ მოწყვიტა, მოეფერა და ისიც უბეში დააბინავა, სადაც უკვე დამძიმებულ შავ ვარდს ინახავდა...

მერმე: შენ რა გაქვს აქაურზე საფიქრალი შორეულო, თავად მიწავ, სულგაქცეული და შეუცნობად კოსმოსური ხარ მარადიული ფუნქციით – მიმართავს ნაცნობ საფლავს; მე ამ ღამეს ვისაც უნდა შევხვდე, შენთვის უკვე დავიწყებული წარსულია და მიუწვდომელი ფორმაა ზეციური მაღალი თვისებებიდან გამომდინარე.

გაივლის ასეულობით წლები და ურთულეს-სახე სიკვდილის მთლიან არს-ბუნებას ადამიანები ალბათ ბოლომდე ვერ ჩასწვდებიან. ამიტომაც სიძულვილი და შიში მისდამი ჯერჯერობით უწყვეტია, მაგრამ მოვა ის ზეაზრი, როდესაც მისი მნიშვნელობა მიახლოებით მაინც გაეგებოდეთ.

მოღალატეთა განაჩენამდე თავად გადავწყვეტ ჩემსა და ვარსკვლავეთურ ალალ სიმართლეს... და როგორც ამ თხრობის ავტორმა, გრანელის მარადიულ სულს და თქვენც მინდა შემოგთავაზოთ „ყოველთა მკვლელის“ მიახლოებითი ლიტერატურულ-ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური პორტრეტი.

სიკვდილი! თავისი გაურკვევლად დეფორმირებული ფორმათა წყობით მუდმივად და უცვლელად ატარებს ქვეყნიერების მიუწვდომლობის ამაზრზენ ხმებს, ბგერებს თუ უბედურების მომასწავებელ დუმილს; და სულთა მხუთავ ცვალებად უცხო ტემპერატურას: განურჩევლად ავრცელებს საშინელ სიბნელეს და ამკვიდრებს უკუნეთურ უხილაობის უფსკრულს. იშვიათად, მაგრამ სისხლის გამყინავ ცივ მიუღებელსინათლესაც და, რომელიღაც მისეული, ჭაობისფერი უჯრედით უხვად გამოყოფს ტკივილს, წამებას, ტანჯვას, ვაებას და სადიზმს: როდესაც თავისი უსაშინლესი ფორმის სხეულით ძალიან ამყრალდება მისგან გაუბედურებულ ცოცხალთა სიმწრის ცრემლის აუზში ბანაობს. სისხლს ვერ იტანს, ურთიერთობს მხოლოდ მკვლელებთან და შხამიან არსებებთან, რომლებსაც მაინც კლავს. სულს ახლოსაც არ იკარებს და დევნის. აზრი და გონება თითქმის არ სჭირდება, მუსიკა ბუნდოვნად უყვარს უფრო სამგლოვიარო და ზოგჯერ სიზმარივით ეტანება უმძიმეს რექვიემებს, რადგანაც მხედველობა და სმენა ნაკლულია, ვერ ხედავს სილამაზეს, მშვენიერებას და სიყვარულს: საერთოდ სიკეთეს, ბოროტებისაგან ვერ არჩევს: შედარებისთვის მზისა არ იყოს, მზე-ღმერთი, ყველაფერს ერთნაირად რომ ასხივოსნებს, ანათებს, ათბობს და კვებავს; სიკვდილიც განურჩევლად ყველას კლავს და ანადგურებს. უცნაური პარალელია ამ დიდ ბოროტსა და სიკეთეს შორის.

აზრობრივად ულტრა სიურეალიზმია, ლუციუს ანეუს სენეკას გამონათქვამი „სიცოცხლის ერთი დანიშნულებაა სიკვდილი“. აქედან გამომდინარე უნდა ვირწმუნოთ, რომ სიკვდილს, მთავარ-მაცოცხლებელი მაინც ეზიზღება. თუმცა ქვეყნიერების სიკვდილ-სიცოცხლის მოსვლა-წასვლაში მყარად ჩარეულია, მაგრამ საფლავებს, სარკოფაგებ, აკლდამებს, პირამიდებ, მუმიებს და წმინდანთა ძვლებს ახლოსაც არ ეახლება. მიცვალებულები? უკვდავებასავით ეჯავრება, სასტიკად ვერ იტანს მზეს და შუქ-სითბოს, ვარსკვლავებს, ცეცხლს, ჰაერს, წყალსა და მიწას. გამუდმებით ებრძვის ღმერთებს, მაცხოვარს, ღვთისმშობელს, საოცრებაა და ანგელოზებს ვერ ეკარება და არც რასა აკლებს. უსწორდება მოციქულებს, წმიდანებს, ნიჭს, გენიათ, ხელოვნების ქმნილებებ-ცივილიზაციებს, ენებს და კულტურას, მოგონებებ-ისტორიას, წარსულთ და აწმყოს. მომავლისაკენ არცკი იხედება, ეს უკვე სამყაროების საქმეაო. ხშირად თავისი უჯილაგო თავიც ეჯავრება, რათა ბრმა მსახურ-შემსრულებელია ქვეყნიერების კანონის და ზეძალა მას საერთო მიზნებისთვის დაუსრულებლად იყენებს. თვითონაც რომ მოკვდეს, თავის თავს არ შეიბრალებს და არც იტირებს. სიკვდილს სუნი აქვს საშინელი, გულის ამრევ სულთამხუთავი და შემტევ გონების დამბინდველი, წარმოდგენით ისეთი, როგორც ღრმა, ვიწრო, ნესტიან, მილიონობით წლოვან მღვიმეში, დახოცილი ასობით ღამურების ლეში რომ ეყაროს, მერმე აყროლებულ-აქოთებული გველ-კობრების გახრწნილი გვამები შიგ შეათრიო, მერმე იქ, დატრი-

ალებული სუნთქვის შემკვრელი სუნი, სიკვდილის მოსვლამდე რომ არ დაგავიწყდება; აი მაგდაგვარია...

უსქესოა, უსისხლ-უხორცო-უძვალ-უსულო, უგულო და უჯიშოა, სასტიკი: თითქმის ბრმა და ყრუ. მან არ იცის სიცილი, ღიმილი, გაკვირვება, აღშფოთება, ტირილი, სევდა და გულნაღველი, ფიქრი, დარდი, გაბრაზება, ტკივილი, სიამოვნება; საერთოდ დამახსოვრება უკიდურესად ინდიფერენტულია: და ხარობს თავის შედეგ-ბნელეთით... სიცოცხლის წინაშე? თვით ყოველმხრივ სრულყოფილი მკვდარია. აი, ვისი მსხვერპლი ვხდებით საბოლოოდ... შურს კუბოში ჩასვენებული მკვდრის, პატარა ბავშვიც რომ იყოს; ძალიან ღეზიანდება ჭირისუფალთა მოთქმაზე და ირგვლივ დადუმებას მოითხოვს. მუდამ ბნელეთური უფსკრულის ბინადარია, თუმცა ღმერთივით ყველგანაა. გაივლის უსასრულო დრო ამ ქვეყნიერებისა ხილულ-უხილაობით და ის, თავის ქმედებით მარად უცვლელი დარჩება და არც დაიღლება არასოდეს.

თავისებურად, მისივე სიძულვილ-ბოროტი ბუნებით წამებულია. მას არასოდეს არ სძინავს და ისვენებს. სამყაროს და სივრცის მსგავსად ყევლგან მოძრაობს უსასრულობის მარადიულობით. პოეტები მასზე ლექსებს იშვიათად წერენ. უფრო პროზაში შეაღწევს ხოლმე და ტრაგიკული ნაწარმოებების გმირთა უმძიმესი დასასრულის შემქმნელია. როგორც გითხარით, ის ყველგანაა – რელიგიაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში. შეიძლება კითხვაც დაისვას: რა და ვინ ებრძვის მას, მხოლოდ სამყაროსეული უსასრულობის მთლიანი მარადიული სიცოცხლე, მათგან სული, მზე და ვარსკვლავებიც, მაგრამ... კოსმიური ურთიერთბალანსი, უფრო თანაბარია. გამარჯვებული რომელიაო, იტყვიან, ურთულესი კითხვაა, პასუხი, თითქმის არცერთი: სიცოცხლეს ხომ სიყვარული, სიკეთე, სიამოვნება, გამარჯვებები, დიდება, გენია, ნიჭი, შემოქმედება და ხშირად წვალებაც კი მოაქვს... სიკვდილს? გლოვა, უიმედობა, არსებათ ჩონჩხებად გარდაქმნა ახარებს, რექვიემი და მარადიული განშორებაა, მასთან უსაზღვრო დანაკარგები? მხოლოდ ჩვენშია. სრული გაგებით, ცხოვრებიდან გამომდინარე და სამყაროს წესრიგისათვის? აქ უკვე ჩვენ არა ვართ და ზეძალა – კანონ-საჭიროებანი განაგებენ.

უხილავი-უძლიერესი და მრავალთვისობრივ-ფუნქციონერი, ყველასთვის საძულველ-გარდუვალობა, ებრალებოდა მხოლოდ მისტიკოს მგოსანს, ტერენტი გრანელს და პოეტის გავლენის მქონე ამ ესსე-ნაწარმოების ავტორს...

სიკვდილის ყველა თვისებაზე და მოქმედებაზე რომ გავაგრძელო წერა, მრავალი ტომეულიც არ გვეყოფა; ამიტომ გვიჯობს დავისვენოთ მისგან გარკვეული თუ დაუდგენელი დროით...

თანამემამულეებმა – ხელისუფლებამ – გამწირეს და არ დამინდეს, იმედად მხოლოდ სიკვდილი საფლავები და ვარსკვლავეთი დამრჩენია...

მიცვალებულის გასვენებისას სულდამძიმებული გრანელი უთუოდ ასე იტყოდა: ყოველივე ვარსკვლავთ ტეხილხაზოვანი სხივთ გადაჭრა და გონმიუწვდომელი, პლანეტარული მრავალმხრივი იდუმალ გარდასახვებია, თავად აქედან გამსვლელს ხომ ბნელკოსმიური უმძიმესი საიდუმლოებით, უკლებლივ ყოველ საფლავთ ფიქრ-დარდი-სევდა მიმყვება. მუდამ მათი მომფერებელი რომ ვიყავი,თავად ცხოვრება-სიცოცხლისგან გაუბედურებულ-გარიყული: მხოლოდ პოეზია და მუზა მაიმედებდა...

ამ საშინელების აღწერისას, – ღამე დაძაბულს, მძიმე ფიქრ-აზრებმა მძლია, მერმე უხილავ მოვლენებისგან დაღლილმა სხეულმა ამოიკვნესა და მწარედ ამომდიოდა გულმკერდისმიერად უცხო ურვა-ნაღველი, სევდა, რაც სულისმპყრობელ ბნელეთურ დეპრესიას მიუახლოვდა, რომელიც უმძიმესი წარსულის მოგონებები მოსვენებას არ მაძლევდა, თუ როგორ ტანჯავდა მგოსან გრანელს, ნამდვილი გიჟებისა და უღვთო ადამიანების გარემოცვაში ყოფნა. წარმოიდგინეთ, მთელი დღეები და ღამეები, პოეტის გვერდით ტრიალებდნენ და უაზროდ დაბოდიალობდნენ, ჭირვეულობდნენ, წიოდნენ, კიოდნენ, მერე უცებ გაიტრუნებოდნენ და ვით მოაზროვნეები, თვალებს არ გაშორებენ, შემდგომ ისევ უნებლიე მოძრაობები და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად. საბოლოოდ არასწორი მკურნალობით და წამლებით გაანადგურეს და მოსპეს იშვიათი გრძნობისა და ნიჭის მგოსანი. წარმოიდგინეთ ამჟამადაც ბოროტსულელური ზნეობიანნი საფლავშიაც არ აყენებენ განწირულ და ბუნებით შეწირულ პო-

ეტს, კიდევ კარგი, რომ სულს და მისი პოეზიის მწვერვალებს ვერასოდეს ვერ მისწვდებიან. მაგრამ მადლობა გამჩენის ბედს, რომ ცოტანი არიან მაგ დონის უსამართლონი...

ტერენტი გრანელმა სულიერ საიდუმლოებასთან ერთად ბევრი რამე იდუმალ-მნიშვნელოვანი ხომ არ გაიყოლია ზეცაში, რათა მრავალი მიწიერნი მათგან პოეტნიც რომ ვერ უგებენ? თუ ასეა, ძალიან სამწუხაროა.

მიწა სიცოცხლეა უსასრულო, რჩეულთაგან სიწმინდის მფლობელი, რომელიც განსხვავებულია სამყაროში უკლებლივ ყველაფრისგან. კოსმოსში ცეცხლი, სიცხე, გამყინვარება, სიკვდილი, უთვალავი ჯადო-სხივების რენტგენული გამონათებათა და მათი ორომტრიალია. ამ ჯოჯოხეთის მიერ ქარბორბალაში სული უნაზესი უნატიფესი როგორ ძლებს მიკვირს, ანდა სიგრძე-სიგანეზე სწრაფვით და გაშმაგებული მოძრაობით თავსაფარს სად პოულობს ეშმაკეულად სავსე სივრცეში. შესაძლებელია დედამიწის ირგვლივ ჰაეროვან გარსში იყოს მისი სამყოფელი მარადიულობა მზის მფარველობით, ანუ ორივე განზომილებაში მყოფი კეთილთვისობრივ შესაძლებლობათა ძალისხმევით.

მილიონობით წელთა განმავლობაში, უთვალავი ცოცხალ არსებათ-გარდაცვლილთა სასაფლაოა მიწა-მზრუნველი ასე გამოდის მუდმივი სიცოცხლის უზარმაზარი წყაროა უფრო საფლავებიდან აღმოცენებული. გარდაცვლილთ სამყოფელი უმიწოდ არ არსებობენ და ჩვენი პლანეტა მიცვალებულთა საფლავების მეოხებით რომ არა, თავადვე ხომ გამოიფიტებოდა და მოკვდებოდა. მხოლოდ მზისა და დედამიწის გულის ცხელი ლავის მხურვალების ამარა დარჩებოდა. უთვალავია სამყაროში ცხელი სხეულები და დედამიწაც მათ მიეთვლებოდა... უთუოდ სიცოცხლის მერმე სიკვდილიც უსასრულო ფუნქციებისაა...

ისედაც წამებული ტერენტი გრანელი კოსმიურ მიუწვდომელ შავ ფენომენს აუცილებლად უნდა შეხვდეს ამ ღამეს, რომელიც იქვე ტანჯვა, ვაების, ურვა, სიმწრის უკიდურეს განწყობილებიდან, გზა გაქრობით მომავლის ახალ განზომილებაში გადასვლაა, რაც თავისთავად ვარსკვლავეთის სახით მატერიალურ-ფიზიკურ სხეულებთან ურთიერთობანიც გახლავთ. აბა, მეგობრებო! როგორც ყველა ჩვენგანს ტყუილად ელოდება? ია-ია-მოცისფრო ულამაზესი პირადი ვარსკვლავი; ზემგრძნობელობის მგოსანს! უზარმაზარი კოსმიური ინსტინქტით მოაზროვნეს ყოველივე ზემოთ აღწერილი, ქვეცნობიერად თუ შეგნებით მჭიდროდ აკავშირებდა სევდაში მოცურავე განმარტოებულ უთვალავ საფლავებს...

ლუვრის ანტიკური ქანდაკების დარბაზში ერთხელ უცნაური აზრები დამეუფლა, ქანდაკებები და ფერწერული სურათ-პორტრეტები სულშერჩენილი საფლავები ხომ არაა? აბა რატომ სდუმან მუდმივად? ხელოვნების მშვენიერების უსასრულო სახება რომ არა მაგ ფიქრებს შევრჩებოდი...

გრანელი უსათუოდ იტყოდა, შენ, ჩემო უნახავო-უხილავო და შორეულო მეგობარო, საფლავ-სიმბოლო ხარ მიუწვდომლობის, მიწა – სიცოცხლე ბრძანდები, დიდი ხანია შენგან პირადი ინდივიდი გაქრა. მაგრამ მე უხილავთან გვერდით მყოფს ერთი აზრი დამტრიალებს, საერთოში ჩვენთან ხარ თუ უფრო ვარსკვლავეთში? ხშირად აგრეც მიფიქრია მხოლოდ ჩვენს მეხსიერებაში ხომ არა ბინადრობ? დანარჩენი ძალიან შორეული რაობაა უთუოდ ცივო, შეუხებელო და მიუვალო ფიქრო, მხოლოდ ჩემგან გამთბარო: ხშირად ჩემს დაუწერელ სევდიან ლექსს მაგონებ. მე მჯერა ჩემი გალაკტიონიც ასე იტყოდა, მარად უხილავი და უსახო მარტოობავ, უკვე მართლაც სრულიად გამქრალად ხომ არ გიგულოთ? ალბათ არა! მაინტერესებს შენთან ანგელოზები თუ ურთიერთობენ შეიძლება ჩემსავით მდგომარეობაში ბრძანდები მიუვალ-მარტოხელა. გუშინ ქუჩიდან საამო-სევდის მომგვრელად ლუდვიგ ბეთჰოვენის სიმფონიას „მთვარის სონატას“ ვუსმენდი, ალბათ მშვენიერი გოგო უკრავდა, უთუოდ მდიდარი ოჯახის შვილი, რატომღაც გავიფიქრე შენც თუ უსმენდი მას და, თუ ყველაფერი ალბათ გესმოდა, მე რომ მგონიხარ ისეთი თუ ხარ. კოჯორში პატრიოტები რომ დახოცეს მომხდურმა რუსებმა ქართველების წინამძღოლობით თუ იგრძენი? არ მეეჭვება, რომ მწარედ გაიზიარე დიდი უბედურება. მაშინ მე ტყუილუბრალოდ არ დავდივარ შენთან და მთელი არსებითაც რომ ვურთიერთობ. უსასრულო ვარსკვლავეთი იყოს შენთან და მათი შუქი გათბობდეს, ჩემო მიუწვდომელო, მეხსიერების, ოცნების,

ფიქრის, გამოცანის, უძირო სევდის და დაწერილ-დაუწერელ ლექსთ მეგობარო!.. და ცრემლებშემშრალი მგოსანი თითქმის გაყინული თითებით საფლავის ქვას მოეფერა...

მერმე, ტერენტიმ ახედა სევდით აცახცახებულ ვარსკვლავებს და მისუსტებულ მეოცნებე ხმით ჩაილაპარაკა. ისინი ხომ არასოდეს კვდებიან, ცდები პოეტო! უმალ მოესმა მოულოდნელი არა სივრცის ხმა, ყველასგან ბევრად უფრო განსხვავებული, ქვეყნიერებაში მყოფი და, უცხო; ვარსკვლავები ანუ მათგან უფრო ბევრი მზეებიც თავის დროზე კვდებიან, ასე დამიჯერე – უკვე ჩემო! აგერ მაგალითი მთვარე; თქვენი ოცნების და პოეზიის წყარო – სიმშვიდე, რამდენიმე მილიონი თუ მილიარდი წელია მკვდარია. აგრეთვე, ვენერა, მარსი, იუპიტერი და მრავალი: მოვა უშორესი დრო მთვარეც უფრო გამოიფიტება, სივრცეში დაიფშვნება ის და გაქრება, ანუ შეუერთდება სამყაროს უსასრულობას. თქვენ ყველა ადამიანიც მაგრე ხართ: ზოგიერთი მიწის მშრალი ლანდშაფტი ასეულობით წლებს ინახავს მიცვალებულთა ჩონჩხს, ძვლებს, მერმე თავის დროზე სრულიად მიწად იქცევა, ამდაგვარია კოსმიური ქვეყნიერების საოცარი პროცესი. ზედმეტად გამწარებული მგოსანი სიკვდილს ეკითხება შენ?! როდის მოკვდები? მე ალბათ არასოდეს, სანამ სიცოცხლე იარსებებს იქ, ადგილზე უნდა ვიყო. ხოლო თუ ის გაქრა, მაშინ მეც ჩავქრები და მერმე რა იქნება, ეს უკვე ბნელეთის ჩემთვის, თქვენთვის შეუსწავლელი ფილოსოფიაა და ვინ გასცემს მასზე პასუხს გაურკვეველია. მე არ ვიცი სიკვდილო! შენ მართლა ჩემი პატრონი ხარ თუ?! მაგას უფრო ღრმად მიხვდები რამდენიმე ასეული წლის მერმე; შეიძლება ზეობაში ყოფნისას, შედარებით ადრეც, ეხლა რომ გითხრა სამყაროსეული სიმართლე, ბოლომდე მაინც ვერ ჩაწვდები, პოეტო! რათა თქვენეული – მიწიერი სიცოცხლის სწავლებით სულ სხვა წარმოდგენები გადმოგცეს და...

ისევ უსაზღვრო სიჩუმე ჩადგა და იდუმალებათა დიდი სივრცე უფრო ფართოვდებოდა, მთავარი ბნელეთური არ ჩქარობდა, ის თანდათანობით აზრშეპარვით საუბრობდა და ბჭობდა თავის შესანიშნავ მსხვერპლთან, რომელთა ხმები მათ ირგვლივ ჯადოსმიერად სივრცეშივე ინთქმებოდა, მხოლოდ უხილავი უცხო ხაზების ხვეულები არეული ფარფატით ზანტად და ჰარმონიულად მიმოდიოდნენ; თითქოსდა პირველად ალაპარაკდა სიკვდილი მისგან უჩვეულოდ...

ბნელმა ყოვლისშემძლემ მდორედ გააგრძელა საუბარი: მსხვერპლო! მკვდარი პლანეტები დროთა ჟამში მეტეორებად დაიშლებიან სამყაროს ანუ თავის გალაქტიკის მთლიან შემადგენლობაში გადანაწილდებიან და სრულიად სხვა ფუნქციებში ჩაერთვებიან. შეიძლება არა ორგანულ ცხოვრებად, მაგრამ ცეცხლოვან პლანეტებს შეუერთდებიან და ეს უკვე კოსმიური მარადიული გარდამავლობითი თავისებური სიცოცხლეა; ახლად დაბადებიდან გამომდინარე, ამდაგვარი მშობიარობის პრინციპებიცაა ქვეყნიერების ურთულეს სისტემაში ანუ კანონ-წესრიგში... თურმე სიკვდილს, თავისებური აზრებიც გააჩნია, მაგრამ მე მას ვერაფრით ვერ ვარწმუნებ და ვერაფერსაც ვერ გადავაფიქრებინებ...

მერმე გრანელი თავისთვის უფრო გადაერთო და მეც მიფიქრია ბევრჯერ, მზე, მთვარე და ვარსკვლავეთთან ეს ყველაფერი როგორ ურთიერთობს, ჩვენში რომელია მათთან უფრო ახლოს ვერ გავრკვეულვარ.

გუშინწინ საღამო გველთან დიალოგში გავატარე, ჩემმა მტკივნეულმა აზრებმა მონუსხა და ლამის მიწისქვეშა სოროში გადაავიწყდა ჩასვლა.

მარადიული უცხო სივრცობრიობაა მათი უსაზღვრო არსება და სრულიად განსხვავებული შეუვალი მთლიანობა, სიცოცხლისეულ და უხილავ სამყაროზე უფრო; საკვირველია, მაგრამ მგონი ასეა...

ამ ნაწარმოების ავტორსაც აგრე უმსჯელია, ბოროტება ბევრად მეტია ჩვენს ირგვლივ იმიტომაცაა ცხოვრება მეტად მძიმე და შემტევი, ბუნების სიმკაცრეს ჭარბად ემატება ეს საშინელი უღვთოობაც, რითაც მკაცრ მოქმედ რიგშია მიუდგომელი დრო, სივრცე სტიქია, სიბერე, ავადმყოფობები, უბედური შემთხვევები, უზნეობანი, ბრძოლა ურთულესი, არსებობისათვის, ფიქრი მომავალ საშიშროებაზე. ბედის მრავალმხრივობა უახლოესი თუ მეგობარი ადამიანების სამუდამო განშორება. უძლიერესი და უწყვეტი კოსმოსური წნეხი, უაზრო თუ მიზეზობრივი უიმედობები, რასაც დიდი სევდა მოჰყავს, ზოგჯერ დეპრესიებიც და კიდევ მრავალი სხვადასხვა ტკივილიანი შემოტევები ყოველთაგანურჩევ-

ლად. ამდაგვარ გარემოებაში გვიხდება ცხოვრება. შემოქმედებითი ნიჭი, თვითრწმენა, პერიოდული სიამოვნებები, გატაცებები, მიღწევები, მრავალმხრივი შრომა, სიყვარული და ყოველდღიურ-წუთიერი იმედ-ნატვრა რომ არა, ნებისმიერნი თვითმკვლელობების მსხვერპლნი იქნებოდა, სადაც სიკვდილს უფრო გააბოროტებდნენ და მრავალ უადგილო შავი ფუნქციების შესრულებას შესთავაზებდნენ, მაგრამ მათ საპირისპიროდ გახლავთ უტყუარი შინაგანი დადებითი ფსიქო-ნერვული აზროვნებითი დაცვა, პიროვნული გამძლეობის სიკეთის სახით, რომელიც ხშირად გმირობის ტოლფასია. მზე მთვარე და ვარსკვლავების გავლენა უდიდეს მაცოცხლებელ როლს თამაშობს, ყოველთა მიმართ, ზედამნათნი ხომ ძლიერმოქმედი ანთებული უხვობაა, უთვალავი ფერ-განწყობილებით. გამძლეობასთან ერთად შეწირულებმაც მათ თანდაყოლილი პრინციპულობით ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, და შინაგანი სიმშვიდე უდიდეს როლს თამაშობს ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში.

ტერენტი გრანელი, უმეტეს სიკვდილთან, ყოველი ჩვენგანისათვის სულის და ნერვიული განწყობილების მდგრადი ხატული ღია სახეა.

დიდი გალაკტიონი, ძლიერ ზემსწრაფი განყენებული გენიაა, რომელიც პოეზიის მარმარილოს წმიდა ამბიონზე დგას და მეფურ პოეზიას ქადაგებს:

„გენიოსი წარსულის სინდისია და მომავლის ტვინი“. ანატოლ ფრანსი.

უჩრდილო გრანელი კი, პოეტურ სივრცობრივი რაობის ურღვევი სევდიანი ნაწილია. თუმც პლანეტარიუმის პოეტი ბრძანდება, მაგრამ ძალიან ჩვენეულია და შიდა თავისუფალი განცდაა.

ხოლო გალაკტიონ ტაბიძე შორეული ცისფერი სიმაღლეა, რომელმაც თავად ავტორიც დააბნია...

ორთავე მგოსანი მისტიკურ-ვარსკვლავეთურია... თუმცა ჩაუქრობელი სანთელი – გრანელი თითქოსდა მიწიდან ატყორცნილი ალმოდებული მეტეორია და ზეციური გაღიზიანებაა. ყოვლად განმარტოებულ მგოსანს, სიამაყე მდიდრულად გააჩნდა ასევე თვითმყოფადი მისტიკურ-კოსმოგენური ფილოსოფია, რომელიც პოეზიაში მხოლოდ გამორჩეული ლექსით ხმიანდებოდა. საერთოდ ყველაფერთან ერთად უკიდურესად გარდაქმნილი მანკიერი საზოგადოების დაუნდობელი შეტევებით შფოთავდა, ირგვლივი უკეთური ქმედებებისგან შიშველი მგოსანი ზეციდან მოვლენილი უშუალოდ ნაკურთხი წმიდანი გახლდათ. მაინც დაუნდობლად აწამა და გაწირა მიმდინარე დროის უსაშინელესმა რეჟიმმა. სულს უხუთავდა ერის დამპყრობელთა ბინძურჟანგიანი ბორკილები, მათგან აშენებული ხელოვნებისადმი ჩაბნელებული საპყრობილე და მშვენიერების განადგურება, ნიჭის ჩახშობა – გამორჩეული სახითვე და მოკვლა.

გრანელს, ზეციურად უყვარდა და მაცხოვრისეულ სიკეთეს ფლობდა. უშიშარი იყო ვით წმიდანი რაინდი და თავდადებული... ამჟამად თბილ ლოგინში ჩათბუნებულები, ქარვასლების გარემოცვაში მყოფნი ვერ იტანენ კოსმიურ მწირს. დიდი პოეტის შეწირული იმქვეყნიური ფერისაც შურთ. თუმცა გრანელობასაც არ ნატრულობენ რათა ძალიან კარგად იციან, რომ უმძიმესი ტვირთია და ფაქტიურად ჯვარზე გაკვრაა.

2018-2019 წწ.
ძველი სენაკი-თბილისი

გაგრძელება იქნება

დათო არახამია

დაცურდა ცრემლი

არ მასვენებს ფიქრის სარკმლიდან მზირალი, შეშლილი წუთი. საკუთარ სხეულზე მდგარ, ფიქრის ტკივილზე, ბოლთას სცემს დარდი, სულში. დღეღამესავით მეცვლება, ტკბილი და მწარე. დიდხანს მქონდა გული საგულედან ამოვარდნილი... ზეცის უსაზღვროებაში, ცისა და მიწის მეზობლად მყოფი, ბევრჯერ მონაქროლი, ქარი გამოჩნდა. მოათრევს ნაღველს, გონების თვალწინ ჩაიბაჯბაჯა წლების გადაღმა გაჭენებულმა ბავშვობამ. ფერი მეცვალა, ღიმილდანთებულ სათნო სახეზე. დუმილის ძელზე თავმიყრდნობილს, მაჯას მისინჯავს, მიტოვებულ ხელჯოხის ჭიხვინი. ყრმობის ცაზე ნაფრენი, წრფელი ცრემლის ჰანგი, აკვნესდა. საკუთარ ხმის ექოს მიყურადებულს, დამეუფლა შიში, საშოდან სამარემდე გაბმული.

ზეციერს ვავედრებ, მოთმინების დილაბანდზე, ფთილაფთილა გაიფურჩქნოს ღრუბელი. მირიად აჩრდილთა შორის, ბინდბუნდის ალანდულ სტრიქონში გადავრგე, ხორცის ჯეებირ გადალახული ცრემლი... მკვდარი მზის ამბორზე, თრთის და ირწევა ზეცის კენწერო. გულნატკენი სვე აფრიალებს დაძენძილ ტრაურს. გარდასულმა დროებმა, წარიტაცეს გული, განაწონი. დარეკა ჟამმა, ჯავრის მჭვრეტელმა. შუბლის გაწყვეტილ ძარღვის გაჭიმულ ლარზე, საკუთარ თავთან შევდექი. სხეულში ღრიალით ჩაბრუნებულ ბგერების წარღვნაში, ბედნიერების საბალახოზე, ეჭვით გაპობილი ფუტურო სხეული შემრჩა. ბებერ ძვლების ხუხულას მომდგარ სიძაბუნის გაგება მიჭირს. ვუზივარ ნაღვლიან სპექტაკლის დეკორაციით დამშვენებულ ღამეს და ვუმზერ ღველფიდან ამოცურებულ, სინანულით გამთბარ, სიცოცხლის ღუმელს.

ვუსმენ, უფსკრულებში ჩაყლაპულ, მთვარის სიმების წკარუნს. ამ ვნების დუღილს არ ცვლის, სხვა ვნება. გულში ჩაწნული უტყვი ზმანება, ქაოსის ლაბირინთს გაჰკივის, ელამი უკუნის გახსნილ საკინძის ალით. უმოქმედობის ბექობს იპყრობს ამობრწყინებული სისასტიკე. ვეძებ, საკუთარ სხეულის ღია კარში შესვლის მიზეზს. ვის, რად უნდა, იქ ჩემი სტუმრობა? ფიქრში, ოცნების გადამკიდე, საათობით დავიკარგე მომავალის ჩრდილს ადევნებული... სხეულიდან გამოდევნილი, აზმუვლებული სული, სანამ მე, კინჩხს და კისერს ვიმტვრევ, სატკივრის ვულკან ამოხეთქილი სამარტვილო ხვეწნა, მშვენიერების ცას მიემატა.

ჟამის უსაზღვრო ოკეანეში, სისხლის ბილიკს გაჰყოლილი სიცარიელე, ჩემი სხეულის სიჩუმეში ლაღობს. გლოვის ტაბლაზე, მარილ ნალოკი დუმილის ცათამბრჯენი დაჭკნა და დაბერდა უღვთოდ. დაგმანულ სიმყუდროვეში, ხეირიანად მოფერებაც, ვერ მოვასწარი. ბაც სიზმრის პირ-

შავ ამბორში, ღვარძლის ფლოქვი განმიმარტოვდა. ცრემლის ბინულის, სვეგანწირული ეული ხვნეშა, მოგონებების ცისფერ კარავს, აწმყოდან დამშეულ მზერით ნამავს. ცივ ნასიმწარში, გაცვეთილ ფიქრს, მოწყურებული კვნესა, ბღუჯა-ბღუჯა აპნევს შუქს. ტუჩმობრეცილ, გაურკვევლობის ბექობის ქიმზე გაშოლტილა, ნასხვისარი ცის ორეული. ფიქრის როდინში დანაყულ ღამეს, თავს დაჰფარფატებს მეხსიერების მწვანე მინდორი, გამორიყულ, სხეულის ტკივილით.

თვალხილულ ბრმებით ავსებულ ცისქვეშეთში, სიმწრის სიწრფელის ბედს, სიცოცხლე სისხლივით გასდინდა. ტლაპო ნაფარცხ აურზაურის სხივმა მიმოცრა ჟამი. ვნების იახტის, რწევის ექო ნაწკეპლი ნექტარი, წუწკმა საწუთრომ ცად აღავლინა. მარადჟამულ მორჩილების წყალგამყოფთა ნაოჭებზე, ტბორჩამდგარ, ქორფა ნატერფლის გუგიდან დაცურდა ცრემლი.

წყვდიადის სარკეში

წყვდიადის სარკეში, სამყაროს მზერა რომ დავინახო, ცნობისმოყვარეობის ლანდთა შორის დავყიალობ. ფიქრის ფრთის გაშლას ვცდილობ ბინდის ქურაში, სიბნელის ყვავილით შემოღობილ პირქუშ კედელთა შორის. ვითვლი ნაბიჯებს, ირგვლივ განუწყვეტელი მდუმარება სუფევს. ბნელიდან ნათლისკენ მავალი, გზას ვიმოკლებ სულის კანკალის ნაფოტების კოცონში. მის უდაბურ მხარეს სხივი მეცემა, ჭკნება შიშის ყვავილი და მზერის ხმალს ვიქნევ, მოყაყანე ლანდთა ფეხის ხმის ჭერქვეშ.

სერგი ლომაძე

დიდი შემაჯამებელი ღონისძიება

2018-2019 წლების სამუშაო სეზონის პირველი სემესტრი, 25 დეკემბერს, – დეკემბრის ბოლო სამშაბათს დახურა ჩვენმა აკადემიამ, მირზასეულ ბიბლიოთეკაში, და ეს – ბოლო საღამო, ალბათ, საუკეთესო იყო მთელს 2018 წელს.

საერთოდ, დაკვირვებული ვარ, რომ დაახლოებით ორი საათის ხანგრძლივობაა, შემოქმედებითი საღამოებისთვის საუკეთესო. ღონისძიება დაახლოებით ორ საათში, ყველაფერს ამბობს, და არც მსმენელ მაყურებელს ღლის.

თუმცა სამ საათზე მეტხანს გაგრძელებული ბოლო ღონისძიება მაინც საუკეთესო აღმოჩნდა. მოკლედ, არ არსებობს ზუსტი წეს-კანონები იდეალურობისა.

პრეზიდიუმში აკადემიის ძირითადი ოთხეული ვიყავით, თუმცა მამა ამირანმა, ცნობილ მხატვარ რეზო ადამიასაც დაუძახა, და მხცოვანი მხატვარიც (იგი, ამავე დროს, წარმატებული მწერალიცაა) ჩვენს გვერდით მოთავსდა. კიდევ ორი ცნობილი მხატვარ-მოქანდაკე ესწრებოდა საღამოს – ნიკო ხერკელაძე და გელა ლარიაშვილი (ისინი დიდი მეგობრები არიან ერთმანეთისა) ასევე იყო მოსული დამწყები მხატვარი, სიმპათიური ქეთი მაზმიაშვილი, რომელსაც პირადად ქალბატონმა გულნაზიმ უძღვნა მშვენიერი სტატია. რაც შეეხება სხვა დამსწრეების, – პირველ რიგში იჯდა ლეგენდა-კაპიტანი ძველი "დინამოსი" – მანუჩარ მაჩაიძე (საუბარია დიდი ნოდარ ახალკაცის "დინამოზე", რომელიც ერთ დროს ყველას ამარცხებდა) მის გვერდით თამარ ჯაჭვაძე

იჯდა. მოსული იყო ცნობილი მეცნიერი ტიტე მოსიაც. პოეტები: ილია შუღლიაშვილი, ილია ზაქარაშვილი, ედუარდ უგულავა, გურამ ჭავჭანიძე, ლეილა გაფრინდაშვილი, ნიკო ბალიაშვილი (პოეტი და რეჟისორი), მანანა ზაზიკაშვილი, მზია ელიაძე, ლეილა ვადაჭკორია, უშანგი მოსიაშვილი და სხვანი. დამამახსოვრდა სიმპათიური პოეტისა და მოცეკვავის – თეა კანდელაკის ერთი ძალიან ახალგაზრდა ნათესავის გამოსვლაც. ვერაფრით დავიმახსოვრე ამ გოგონას გვარ-სახელი, არადა, ეს ბავშვი შესანიშნავად კითხულობს ლექსებს... ვფიქრობ, მას დიდი მომავალი აქვს.

მოკლედ ბევრი სხვადასხვა ხელობის ხალხი ესწრებოდა საღამოს, მეტწილად, ხელოვნები და მეცნიერები.

ბიბლიოთეკის დირექტორი – ქეთი კიღურაძე, ამჟამად ჩვენს წინაშე წარსდგა, როგორც პოეტი. მას წარმატებული გამოსვლა ჰქონდა.

არ მინდა დამავიწყდეს დამსწრეთა შორის მყოფი გერონტი მესხიც, პოეტი, ძალიან დასამახსოვრებელი ფსევდონიმით – სამაჩაბლოს ბულბული.

რადგანაც საღამო, ძირითადად, ჟურნალ "ათინათის" ოცდამეათე (!) ნომერს მიეძღვნა, ჟურნალის განხილვაც იყო საჭირო და მომხსენებელი თვით აკადემიის პრეზიდენტი გახლდათ. ქალბატონმა გულნაზიმ ადვილად გაართვა საქმეს თავი და მან თითქმის ყველა რუბლიკა განიხილა, გარდა პოეზიისა, პოეტებს კი ლექსების წაკითხვის საშუალება მისცა.

ყველაზე ძლიერი, მთელს შემაჯამებელ საღამოზე, იყო კახა ბაციკაძის გამოსვლები. განსაკუთრებით მოგვეწონა მის მიერ წაკითხული მისივე ლექსი – "გზა ძველებური". ოდესღაც სწორედ კახას ლექსები იყო ერთ-ერთი განმაპირობებელი აკადემიაში ახალი ეტაპის დაწყებისა. ჩემმა და მისმა აქ გამოჩენამ ბევრი რამ შეცვალა. მისი ცეცხლოვანი გამოსვლები ანთებდა საზოგადოებას, იყო სალაპარაკო თემა, თუმცა მერე კახამ აკადემიაში უკლო ლექსების კითხვას და ახლა, მისმა ასეთმა საოცარმა გამოსვლამ, წარსული გამახსენა. კახა სიტყვითაც გამოვიდა და ლექსს ორი სიმღერაც დაამატა. მეორე სიმღერა ერთობლივად შევასრულეთ დუეტში, რაც გაუკვირდა და მოეწონა დარბაზს, გაუკვირდა იმიტომ, რომ მე, საჯაროდ, იშვიათად ვმღერი, თუმცა იმდღევანდელი ამაღლებული განწყობა ინსპირატორი აღმოჩნდა სიმღერისა.

იმ დღეს ყველას გამოსვლა იყო წარმატებული. მაინც ცალკე უნდა გამოვყო მამა ანდრიას საუბარი მამა გაბრიელისა და პატრიარქის შესახებ. დეკანოზმა იუმორით შეაფერადა და ჰიპერბოლით, საინტერესო ეპიზოდები ორი უდიდესი სასულიერო პირის ურთიერთობისა. ამ ეპიზოდების დამსწრე იყო თვითონ, და კიდევ არაერთი სხვა ადამიანი. თვალწინ გადაგვეშალა უაღრესად საინტერესო სურათები სასულიერო პირთა ცხოვრებიდან. სხვათა შორის, საღამოზე არაერთხელ გაიჟღერა ლეგენდარული მეუფე-ბერის თადეოზის სახელმაც. ეს პოეტი-ბერი ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა ჩვენი აკადემიისა. იგი ხომ თავიდანვე მეურვეობდა ამ გაერთიანებას.

მე, პირადად, ამ საღამოზე არაერთი ახალი რამ გავიგე, მაგალითად ის, რომ რეზო ადამიას ლიტერატურული ქმნილება დაუსრულებია, სახელად "მზე" და მალე ამ წიგნის პრეზენტაციას გეგმავს...

ახლა, როცა ამ სტატიას ვწერ, უკვე 2019 წლის იანვარია. "ზღვარის" წევრებმა ახლახანს დავასრულეთ ახალი, დიდი წიგნი, სახელად "ათასწლეული" (უნდა ვთქვა, რომ სხვა ნაწარმოებებთან ერთად, აქ შედის ჩემი დიდი პოემაც – "ფოთოლცვენანი" – სწორედ ჩემი ეს გრანდიოზული პოემაა წიგნის მთავარი ქნმილება, თუმცა სხვა ქმნილებებიც წიგნისა, ძალიან საყურადღებო მგონია). მე ზღვარელების მთელ შემოქმედებას, ერთობლივად, ვუწოდებ ასე – "უსაზღვროეთი"

და, ამ სიტყვაში ბევრ რამეს ვდებ. ამ უკიდეგანო, ყოვლისმომცველ სივრცეს კიდევ ერთი ახალი წიგნი შეემატა. "უსაზღვროეთი" კიდევ უფრო უსაზღვრო გახდა – ამ ახალი წლის პირველივე თვეს...

მოკლედ, 2018 წელი წავიდა და დადგა ახალი – 2019 წელი. ქალბატონმა გულნაზიმ, ერთხელ, საჯაროდ თქვა, რომ აკადემიის ყველაზე საუკეთესო ნაწილად სწორედ ზღვარელებს მივიჩნევო, მაგრამ რეალურად მაინც იგია აკადემიის გული (თუნდაც სახელიდან გამომდინარე გულ-ნაზი), და, ძირითადად, მაინც მისი განსასაზღვრია ახალი სემესტრის სამოქმედი გეგმა. ვნახოთ, რა იქნება ხვალ, როგორ გააგრძელებს მუშაობას აკადემია, და ავა თუ არა ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემიური საზოგადოება უფრო და უფრო მაღალ მწვერვალებზე.

წლის ბოლო საღამო დასრულდა მამა ამირანის კიდევ ერთი გამოსვლით, და მისი საოცარი არიით ერთ-ერთი ოპერიდან. მიუხედავად იმისა, რომ მე ბუნებით არა ვარ აკადემიური პერსონა და უფრო ბუნტარი, მეამბოხე ვარ, მაინც აკადემიურად მიყვარს კლასიკური მუსიკა. (კლასიკა და როკი ჩემი ძველისძველი სიყვარულია)...

მაშ 2018 დასრულდა. არის 2019 თითქოს ერთი სამყარო მოკვდა და მეორე სამყარო დაიბადა. მართლაც საოცარი რამ არის ახალი წელი...

P. S. ტერმინი „სუპერრენესანსი" არაა სწორი, მართებული, რამეთუ სიტყვა "რენესანსი" უკვე მოიაზრებს თავის თავში უმაღლესს (მასზე მაღლა ანტიკაც ვერ დგას). მიუხედავად ამისა, მაინც მხიბლავს არა მარტო ახალი რენესანსის, არამედ, სუპერრენესანსის იდეაც. მინდა, რომ ჩვენი დრო, სწორედ ჩვენი დრო იყოს საუკეთესო კულტურისათვის. კულტურამ, ხელოვნების მეთაურობით, უნდა იხსნას და აღაზეოს ქვეყანა...

თბილისი 2019 წელი. იანვარი.

ანთოლოგიის მეშვიდე ტომის პრეზენტაცია

დეკემბრის დასასრულისკენ შედგა ანთოლოგიის მეშვიდე ტომის განხილვა, საჯარო ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში. განხილვას ბევრი დაინტერესებული პირი დაესწრო. უამრავჯერ მითქვამს, რომ ანთოლოგია მთავარი მონაპოვარია ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემიისა, ამიტომაც მისი ყოველი ტომის გამოსვლა ზეიმია ჩვენთვის.

ქალბატონმა გულნაზიმ, მამა ამირანმა, მე და კახა ბაციკაძემ, როგორც აკადემიის ძირითადმა წარმომადგენლებმა ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ შემოქმედებითი საღამო მაღალ დონეზე ჩატარებულიყო. ოთხეულიდან სამმა მიაღწია შედეგს, მე კი, როგორც მთავარ მომხსენებელს მშვენიერ სიტყვაში ერთი მძიმე შეცდომა მომივიდა და იმ ერთმა შეცდომამ დისონანსი შეიტანა ღონისძიებაში. მიუხედავად ამისა, ოთხეულის დანარჩენი წევრებისა და მთელი დამსწრე საზოგადოების წყალობით საღამო დიდებული გამოდგა. ვიტყოდი ღონისძიება მაღალ დონეზე შედგა.

მოგეხსენებათ, რომ ანთოლოგია გულნაზ ხარაიშვილისეული სტრუქტურითაა შედგენილი თავიდანვე, პირველი ნომრიდანვე, და იგი რამდენიმე რუბრიკად იყოფა. ამაში სიახლე განა რა არისო? მეტყვით. სიახლეა ამ რუბრიკების განლაგება, უფრი კი ზოგი ახალი რუბრიკა-განყოფილება. სიახლეა განყოფილებათა შინაარსიც და თვალშისაცემი მრავალფეროვნებაც, ასევე — მცდელობა იმისა, რომ ყოვლისმომცველი იყოს ტომეულები, ყველა თაობის დამტევი (ძველი, საშუალო, ახალი, უახლესი თაობები).

მე, როგორც საშუალო თაობის ერთ-ერთ ლიდერს, დამევალა პოეზიის განყოფილების სრული მიმოხილვა. დავამუშავე მთელი მასალა, გავცდი კიდეც მის ფარგლებს, და შევეხე როგორც ყველა თაობის პოეტს, ისე — პოეზიის მიღმაც გავაანალიზე გარკვეული საკითხები. პოეტების შემოქმედება მაღალ დონეზე გავაანალიზე შეძლებისდაგვარად (დროში შეზღუდული ვიყავი), და, საღამოს შემდეგ, ბევრი მათგანისგან მადლობა დავიმსახურე. არაა ადვილი ათეულობით ხელოვანის ნაწერ-ნაჯაფის გაანალიზება, მითუმეტეს, როცა მათ შორის არის მაყვალა გონაშვილის, ტარიელ ხარხელაურის და სხვათა და სხვათა შემოქმედება. მართალი გითხრათ, ქალბატონ გულნაზის თხოვნით, თითქმის არ მისაუბრია თვითონ ქალბატონი გულნაზისა და "ზღვარის" პოეტების შემოქმედებაზე, ხოლო ლეგენდარული მეუფე თადეოზის თემა, უაღრესად პოეტური, სასაუბროდ კახას დავუთმე. ქალბატონი მაყვალა ესწრებოდა ღონისძიებას, იგი ბატონ რევაზ მიშველაძის გვერდით იჯდა, და, როგორც შევატყვე, მაყვალა გონაშვილი კმაყოფილი დარჩა ჩემი გამოსვლით, ისევე, როგორც ბევრი სხვა. რაც შეეხება ჩემს უხეშ შეცდომას, ეს პოეზიას არ ეხება. მსოფლიოში დამკვიდრებულია დიდებული ტერმინი პროზაში — "მოზაიკური რომანი". მე, ამ ტერმინის მაგივრად, ვთქვი "მოთხრობების კრებული", როდესაც ერთ ცნობილ ნაწარმოებს შევეხე. რა თქმა უნდა ჩემმა სიტყვებმა დედააზრი, საფუძველი — იდეა სრულიად შეცვალა. რის თქმაც მინდოდა, ის ველარ ვთქვი, სხვა რამ ვთქვი და ღონისძიების შემდეგ რამდენიმე ღვაწლმოსილ ადამიანთან ბოდიშის მოხდა მომიწია კიდევ ერთხელ. საერთოდ, მე ამაყი ადამიანი ვარ, თავი ძლიერ პიროვნებად მიმაჩნია, მაგრამ ბოდიშის მოხდას, უკანდახევას, გარკვეულ შემთხვევებში, არ მივიჩნევ სირცხვილად. არ მიყვარს, როცა გულს ვტკენ ადამიანებს, და არის ხოლმე სიტუაციები, როდესაც უკან დამიხევია მაშინაც, მართალი რომ ვარ, ხოლო თუ ვტყუივარ, მაშინ მითუმეტეს. იყო დრო, როცა ვერ ვაკონტროლებდი ჩემს აგრესიას, თუმცა ახლა, ასე თუ ისე, ამას ვახერხებ. ყველაზე მეტი ხომ სწორედ ადამიანობა უნდა იყოს ადამიანში. უმაღლესი გადმოსახედიდან, დიდი პოეტური ფილოსოფიიდან, მე არავინ ვარ, და მინდა არავის ვატკინო გული.

მაყვალა გონაშვილი

ჩემზე უკეთ გაართვეს თავი სიტყვაში გამოსვლას კახამ, ეკა გოგიაშვილმა და სხვებმა, ხოლო ქალბატონ გულნაზის და მამა ამირანს რომ არაფერი შეეშლებოდათ, ეგ ისედაც ნათელია.

რა თქმა უნდა სიტყვა მიეცათ, სრული რეგლამენტით, მწერალთა კავშირის ლიდერებს — ბატონ რეზოს და ქალბატონ მაყვალას. მათ აკაკი წერეთლის პრემია გადასცეს ქალბატონ გულნაზს. აკადემიის ლიდერმა სხვა სიგელიც მიიღო. მე ამ სიგელის ზუსტი რაობა არ ვიცი. მგონი ის, რეჟისორ ნიკო ბაღაშვილის ინიციატივით გადაეცა ჩვენს ხელმძღვანელს, გადაეცა კი ერთი პატარა და ძალიან ლამაზი გოგონას ხელით, რომლის სახელიც მე, ასევე, არ ვიცი და იქნებ მოგვიანებით შეჰმატოს ვინმემ ჩემს სტატიას მისი გვარ-სახელი.

ის ფაქტი, რომ ჩვენი აკადემიაც ჟურნალი "ათინათიცა" და ანთოლოგიაც ქალბატონ გულნაზისთან ასოცირდება. ჭეშმარიტებაა, და ვთვლი, რომ თუნდაც ამიტომ, იგი ღირსია ყოველგვა-

რი დიდი აღიარებისა ჩემთვის დღემდე ამოუხსნელია მისი პიროვნული ძალა-ენერგია, ფენომენი, დიდამიანურობა. დავაკვირდეთ თუნდაც ერთ დეტალს: მას რომ ჰკითხოთ, აკადემიას თვითონ კი არ მართავს, არამედ – საბჭო, რომელიც შედგება ოთხი-ხუთი თანაპრეზიდენტისგან, და რომელსაც არა ჰყავს თავმჯდომარე. დიახ, ესაა, თითქოს, თანასწორთა საბჭო. სინამდვილეში ყველამ იცის, ჩვენი აკადემიის ერთადერთი და შეუცვლელი ლიდერი არის ამ ორგანიზაციის ნამდვილი პრეზიდენტი – ქალბატონი გულნაზი, ხოლო მისი ზემოხსენებული პოზიცია იმიტომ არსებობს, რომ მას არ უყვარს პირველობა და მუდამ თავმდაბლობას ქადაგებს. ესაა ძლიერი ქალი, ძლიერი პიროვნება, რომელიც ძალა-ამბიციას კი არა სითბოს და სიყვარულს ქადაგებს ადამიანთა შორის, ხოლო ემსახურება იგი ქართულ კულტურას, – ხელოვნებას, მეცნიერებას, და არის უაღრესად რელიგიური.

ხელოვნება, რელიგია, მეცნიერება, – სწორედ ესაა ანთოლოგიის მთავარი თემები. ღონისძიებაზეც ძირითადად ეს თემები გაიშალა. სხვათა შორის, სტუმართაგან ზოგი ისეთი ადამიანი დავინახე, ადრე რომ არასოდეს მინახავს ჩვენს სხდომებზე, მაგალითად – მიშა ღანიშაშვილი და თემო ცერცვაძე, დავით ახლოური... რაც შეეხება ბელა ალანიასა და მისი მეგობრების სტუმრობას, ამას მიჩვეულნი ვართ, უკვე, აკადემიაში. ეს ხალხი ასე ვთქვათ, ჩვენიანებად მიგვაჩნია. წარმოდგენილი იყო, თბილისის გარდა, რეგიონებიც. მივიღეთ ახალი წევრებიც ჩვენს დიდი და ყველაზე აქტიურ ორგანიზაციაში.

საერთოდ, რასაც მე ვწერ, ვთვლი, რომ ყველაფერს აქვს თავისი დატვირთვა. ისე, უბრალოდ, არაფერს ვწერ. უმნიშვნელო დეტალი შეიძლება გვეგონოს რაღაც-რაღაცეები, იმის დაკარგვით აკადემიის ისტორიის ნაწილი შეიძლება დაიკარგოს. მაგალითად, როცა აღვწერ აკადემიის პურობებს, იქ მე მართლა ჭამა-სმა კი არ მაინტერესებს, არამედ სხვა ნიუანსები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ნიუანსებზე ბევრად მეტია.

მაგრამ იქამდე, ანუ "მეორე განყოფილებამდე", ზოგი ისეთი რამის თქმა გამომრჩა, რომლის უთქმელობა არ შეიძლება. მაგალითად, - რა დამავიწყებს ქალბატონ მარინა სხირტლაძის ან ქალბატონ გულიადას გამოსვლებს დეკემბრის იმ დღეს! ერთმა ცრემლებით დაალბო დარბაზი, ხოლო მეორემ ისეთი ცეცხლი დაანთო, რომ ორივეს მიერ მოგვრილი შთაბეჭდილება უდიდესი იყო. ქალბატონი გულიადა არტისტია, ხოლო საუკეთესოდ, იგი, თავისი პირმშოს — ედუარდ უგულავას ლექსებს კითხულობს.

რაც შეეხება სუფრას, რესტორან "ანცში", ანუ, ანზორ ჯაფარიძის რესტორანში, მისი (სუფრის) სული და გული ისევ მამა ამირანი გახლდათ, ჩემს მიერ არაერთხელ "პროფესიონალ თამადად" მოხსენიებული. იქ, სუფრაზევე, პურობისას, მხატვარმა ალექსანდრე ციხელაშვილმა გამოფინა, იმავე დარბაზში, მამა ამირანის ახალი პორტრეტი, რომელზედაც საოცარი ოსტატობით არის გადატანილი – აღბეჭდილი ჩვენი თეთრი დეკანოზის რაღაც თავისებური, განუმეორებელი, დაშაქრული ღიმილი. პორტრეტი ერთი თემაა, ხოლო მეორე თემაა ბატონ ალექსანდრეს მიერ ორ სალამურზე ერთდროულად შესრულებული მელოდია. ეს უცნაური მხატვარი ნამდვილად ყოვლისმომცველი კაცია, კეთილი ჯადოქარია, თითქოს, რომელიღაც მითოსიდან. მან გააზღაპრა სუფრა, და ამ დეტალს ვერ დავკარგავ. თან სუფრას ნელა-ნელა მოედო ლექსები, სიმღერები, და მივხვდი, რომ აი, აქ გაგრძელდა ღონისძიება, ღვინომ მოხსნა შებოჭილობა, დაინგრა კედლები ადამიანებს შორის, და ხელოვნება აქ უფრო აენთო. ადიადდა.

და განა ქართულ სუფრას ტყუილად ეძახიან აკადემიას?

და განა არ შეიძლება, რომ ჩვენი აკადემიური ღონისძიება აქაც, სუფრაზეც, ანუ — მეორე აკადემიაზედაც გაგრძელდეს?

და განა, ვთქვათ, მამა ამირანის ზოგი სადღეგრძელო ერთ კარგ ლექციას არ უდრის? მე, მაგალითად, ახლაც ყურში ჩამესმის სხვადასხვა დროს მის მიერ ნათქვამი სიტყვები პოეზიის სესახებ, საქართველოს შესახებ, "ვეფხვისა და მოყმის" უკვდავი ბალადის შესახებ და სხვა, ხოლო ესენი სწორედ სუფრაზე ითქვა..

მე ვიცნობ ერთ ადამიანს, რომელსაც ას ტომზე მეტი აქვს დაწერილი (თუმცა სამწუხაროდ, ვერ უვლის თავის ნაწერებს, შესაფერისად ვერ უვლის და ნაწერთა გარკვეული ნაწილი უკვე დაკარგულია). ეს ადამიანი ყველაფერს ხედავს, იმახსოვრებს, აანალიზებს პოეტურად, ყველაფერზე ფიქრობს. მას უყვარს ხეტიალი და ფიქრი, სულ ფიქრი. იგი ფიქრის კაცია, პოეზიის და ფიქრის კაცი. მან, ერთხელ, მითხრა, რომ ძნელია, ცხოვრებაში გარჩევა იმისა, რაა მთავარი, და რა მეორეხარისხოვანი. ამიტომაცო, მთავარი რომ არ გაქრეს, ყველაფერი უნდა დაიმახსოვრო და აღნუსხოო.

ყველაფრის დამახსოვრება და აღნუსხვა შეუძლებელია.

მაგრამ ცდა კი შეიძლება...

სტატიას დავასრულებ აკადემიის ჟურნალისა და ანთოლოგიის მოკლე შეფასებით: ჟურნალის ყველა ნიმერში, ანთოლოგიის ყველა ტომში. ორი-სამი ბრილიანტი მაინც არის, მეტი თუ არა, და თუნდაც ეს ფაქტი, უკვე აბსოლუტურად ამართლებს აკადემიის ღვაწლს. ჩვენი ერთობლივი მუშაობა უაღრესად პროგრესული მგონია...

თბილისი 2019 წელი

პოეზია და შემოდგომა

ახლა, როცა ვწერ ამ სტატიას, არის ნოემბერი. მაგრამ ოქტომბერშივე შედგა კიდევ ერთი პოეტური საღამო ჩვენი აკადემიისა, ისევ მირზასეულ ბიბლიოთეკაში, ქალბატონი ქეთევან ნიკურაძე რომ ხელმძღვანელობს, და ისეთი მუყაითი, რჩეული კადრები რომ ჰყავთ, როგორებიაა ხათუნა სვანიძე და სხვებიც ასევე.

სწორედ აქ ჩავატარეთ აკადემიური ღონისძიება: საღამო-ზეიმი პოეზიისა.

ხომ ხუთი ხაზია ძირითადი, კაცობრიობას რომ წარმართავს: პირველებია ხელოვნება და რელიგია, მერე მეცნიერებაა, პოლიტიკაა, სპორტია, და ამ ხუთიდან პირველი ორი (ხელოვნება-რელიგია) სწორედ თავისი უდიდესი პოეტურობით გამოირჩევა, ანუ რელიგიაც ხელოვნებაა გარკვეული თვალსაზრისიც, რამეთუ დიდი რელიგია პოეზიითა გადანათებული... ხოლო ჩვენ, მსახურნი პოეზიისა, ამ ზეხელოვნებით ვსულდგმულობთ.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: გურამ გედევანიშვილი, გურამ ჭავჭანიძე, ლამზირა შეყილაძე, მანანა მიქაძე, ლია ოსიაშვილი, მზიური აფციაური, მზია ელიაშვილი, ლეილა ვადაჭკორია, მანანა ზაზიკაშვილი, ნაირა ნიჟარაძე და სხვები. სპეციალურად მოვიწვიეთ აკადემიაში, სწორედ ამ დღისთვის, პოეტები – ქეთი დოლიძე და ნაირა უგულავა. ჩვენი ღონისძიებების უმეტესობას ხომ რეჟისორი ნიკო ბაღაშვილი იღებს, ეს ცნობილი ამბავია ისედაც. რაც შეეხება პრეზიდიუმს, ჩამოყალიბდა, ბოლო დროს, აკადემიის ოთხეული, საბჭო, ასეთი შემადგენლობით, – ნომერი პირველი აკადემიელი, რა თქმა უნდა, უცვლელად არის ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი, შემდეგ მამა ამირან ამირანაშვილი, მე და კახა ბაციკაძე ვართ. საღამოს გახსნა და წამყვანობა მე ჩამბარდა.

გამომსვლელები, ძირითადად, ორ-სამ ლექსს კითხულობდნენ, თუმცა ეს არ ეხება ცნობილ მხატვარს – ალექსანდრე ციხელაშვილის მეგობართან ერთად იყო მოსული, მოგვიტანა ნახატები და აკადემიური სიტყვა თქვა.

სერგი ლომაძე, კახა ბაციკაძე

ყველა მონაწილე კარგად აღმოჩნდა მომზადებული. წაიკითხეს ლექსები და პოემებიც კი. გამარჯვება იყო თუნდაც ის, რომ ყველა მონაწილე გახლდათ ორიგინალური, არა ჰგავდნენ ერთმანეთს, – სულ სხვადასხვა თემები, სხვადასხვა სამყაროები წარმოადგინეს. ყოჩაღ მათ! რთული პოეზია წარმოადგინა გურამ გედევანიშვილმა და ნაირა უგულავამ, ხოლო დანარჩენებმა შედარებით მსუბუქ, ტკბილ ლირიკას უფრო მიმართეს, თუმცა ხანდახან ისინიც ეხებოდნენ როგორც მტკივნეულ თემებს, ასევე ფილოსოფიურ თემებსაც და მითოსსაც.

რაც შეეხება ქეთი დოლიძეს (ცნობილი რეჟისორის სეხნიას და ცნობილ პოეტს), მან წაიკითხა ორი დიდებული ლექსი, რომელთაგანაც ერთი ეკუთვნოდა მის ლეგენდადქცეულ მეუღლეს – ადრედაღუპულ პოეტ ზურაბ ჯაფარიძეს.

მოხდა ერთი ისტორიული ამბავიც: მოგეხსენებათ, სულ თავიდან ქალბატონ გულნაზისთან ერთად, ორ უდიდეს ადამიანს ეჭირა პირველი პოზიცია აკადემიაში, – ჯუმბერ ლეჟავას და მეუფე თადეოზს. თადეოზი ყველაზე მოსიყვარულე ადამიანი იყო, საოცრად პოეტური, თბილი. მერე ისე მოხდა, რომ ეს ორი ადამიანი გამოგვეცალა ხელიდან დაობლდა აკადემია, და მეუფის აკადემიურ ადგილზე მოგვიანებით მამა ამირანი მოვიდა – თეთრი დეკანოზი, წარმოსადეგი, მრავალმხრივი ნიჭით შემკული კაცი ლიდერის თვისებებით, თუმცაღა არც ისაა მკაცრი, კეთილი, თბილი პიროვნებაა, ყველას უყვარს. იდეები არ ელევა ჩვენს დეკანოზს, და აი, როცა ლამზირა შეყილაძისა და გურან ჭავჭანიძის პოეტური დუეტი კიდევ ერთხელ წარსდგა წარმატებით, მსმენელის

წინაშე, მამა ამირანმა მათ ლექსებს ჯვარი დასწერა, – ასე შედგა მსოფლიოში პირველი ქორწილი ლექსებისა: მამაკაცი პოეტის ლექსი ქმრად გამოცხადდა, ხოლო ქალი პოეტის ლექსი – ცოლად. ვნახოთ, ვნახოთ, როგორი იქნება პოეზიის ოჯახი, ეყოლებათ თუ არა ამ ლექსებს პაწაწუნა ლექსუკა-შვილები. თუ გნებავთ ხუმრობად ჩამომართვით ეს სიტყვები, მაგრამ პოეტურ სამყაროში განა რა არის შეუძლებელი!.. ამას გარდა, მამა ამირანმა თავისი პოეზიაც გააქტიურა საღამოზე, და აპლოდისმენტებიც უხვად მოიხვეჭა.

რაც შეეხება კახა ბაციკაძეს.

კახა ფენომენია, სუპერფენომენი. ჯგუფ „ზღვარში“ ორ კაცს – მე და მას გვასახელებენ ლიდერებად (თანალიდერად, ხანდახან, მესამედაც – ზურაბსაც ასახელებენ ხოლმე), და არაა გასაკვირი, რომ სწორედ ეს ორი კაცი ვართ ყველაზე აქტიური აკადემიის მუშაობაშიც. კახა ყველაფერში პოეტია და უპირველესია, რითაც კი მართლა დაინტერესდება ყველანი დიდი გულისყურით ველოდით, თუ რას იტყოდა ასეთი კაცი. მან შეაჯამა მთელი იმდღევანდელი მუშაობა, შეეხო თითოეულ გამომსახველს, ხოლო ყველაზე უკეთესად ქალბატონი გულნაზის შესახებ ილაპარაკა.

ვინმემ რომ არ თქვას, ეს ხალხი ხშირად და მეტისმეტად აქებს გულნაზ ხარაიშვილსო, აქვე დავწერ: აკადემია ის სუფრაა, ხელოვნება-მეცნიერების, რომელიც ქალბატონმა გულნაზიმ გაგვიშალა და მის გაშლილ სუფრაზე რომ ვზივართ, დიახაც, თავს არ უნდა ვამეტებდეთ მას, დიახაც, ის იმსახურებს ყველაზე მეტ ქებას. არაერთხელ მითქვამს, – რა პირობებშიც იგი ემსახურება ერს, იმ პირობებში ბევრი საერთოდ გაეცლებოდა ბრძოლის ველს, ეგ კი არა, ქვეყნიდანაც გადაიკარგებოდა ალბათ, ხოლო ქალბატონი გულნაზი, აგერ ამდენი ათეული წელია მუხლჩაუხრელად მუშაობს.

და კახამ თქვა: როგორც შეუდარებელი მცხეთისჯვარი დაჰყურებს მცხეთის სივრცეებს მაღლიდან, ისე დაჰყურებს ჩვენს კულტურას და ამ კულტურის მოღვაწეებს, სიმაღლიდან, მზრუნველად, ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილიო. მართლაც ასეა. ამას ბევრი დაადასტურებს. უცნაურია, ბევრი რამ ჩვენს ირგვლივეთში. მაგალითად: ასეთი კადრი რომ ეყოლება ქვეყანაში, ვთქვათ, კულტურის სამინისტროს, ასეთი დაუღალავი ადამიანი, ათასობით შემოქმედებითი საღამოს მომწყობი, უამრავი სხვა ღირსეული საქმის მაკეთებელიც, და რომ არ გამოიყენებს ასეთ გამოცდილ კადრს! მეორეს მხრივ, ახლა, უსახსროდ, უყველაფროდ, ამდენ საქმეს რომ აკეთებს ადამიანი, ხომ წარმოგიდეგნიათ რას მიაღწევდა იგი უკეთს პირობებში!

საბოლოოდ თვითონ ქალბატონმა გულნაზიმ შეაჯამა ღონისძიება. მისი სიტყვა იყო ყოვლისმოცველი, ღირსეული ღონისძიების ღირსეული ბოლო აკორდი.

საერთოდ, სიბრძნის ძიება ოდითგანვე გახლდათ აზრი კაცობრიობის ცხოვრებისა. ქრისტიანობამდეც ასე იყო. მერე გამოჩნდა, უფალი იესო, ღმერთკაცი ნაწილი ლათინურ-არამეული და

სხვა კულტურებისა და აღემატება ყოველ კულტურას, საბოლოოდ მან ახალი კულტურა შექმნა, ახალი დროება დაიწყო. მხარე-სახელმწიფო ანტიოქია და ანტიოქიელები – ესენი პირველი ქრისტიანები იყვნენ, ხოლო მერე მსოფლიოს მოედო ქრისტეს პოეტური სიბრძნე.

ამბობს რუსთაველი პოეზია საღვთოაო, ანუ ქრისტესმიერიაო, ზეცისეულიაო, სიბრძნის დარგიაო იგი, და აქ გრძნობისმიერ სიბრძნეს ანუ ყველაზე უპირველესად ყოვლისა.

ჩვენი აკადემიის გულიც პოეზიაა, პოეტებია.

და კიდეც მოვაწყვეთ სწორედ პოეზიის ზეიმი შემოდგომის იმ დღეს, ოქტომბრის ბოლოს.

დარბაზში ლექსები ათბობდა გულს, ხოლო გარეთ ძალისძალად გაჩახჩახებულიყო, გადანათებულიყო შემოდგომის სუსტი მზე, არამწველი, და ნიავი ხეებზე შერჩენილ უკანასკნელ ფოთლებს ითვლიდა.

სევდიანია შემოდგომა.

მაგრამ შეიძლება სწორედ ამიტომ, შეიძლება სწორედ ამ ნაზი, ფერადი, სიზმარეული მელანქოლიურობის გამო, პოეზიას ძალიან უხდება შემოდგომა, ან – ისინი უხდებიან ერთმანეთს.

პოეზია და შემოდგომა... – მირაჟიზმში (ანუ ზღვარიზმში) ეს ორი რამ ერთად, ერთიანად ირეკლება ხოლმე, ზეცის სარკეც არაა სრული მათ გარეშე, მათი ხელშეუხებელი სიუჟეტების გარეშე...

აკადემიამ მართლაც აკადემიურად დახურა ოქტომბერი. დიდი, უდიდესი ნიჭი გენიაა. არ ვიცი, რამდენად იყო გენიალური ეს დახურვა, თუმცა დასამახსოვრებელი ნამდვილად იყო პირადად ჩემთვის, თანაც მკვეთრად დასამახსოვრებელი...

სერგი ლომაძე

თბილისი. 2018 წელი.

გურამ ჭავჭანიძის პოეზიის საღამო

ძნელად ნახავთ მეორე პოეტს, რომელიც ასე ზუსტად თვლის, თავის გამოსვლებს, აუდიტორიაზე, ასე მუშაობს მსმენელზე. ამიტომაცაა, რომ გურამ ჭავჭანიძე, რომელიც უკვე ოთხმოც წელსაა გადაცილებული ახლაც ყოველთვის იგებს: იგი იხვეჭს უბევრეს აპლოდისმენტს.



მამა ამირანი,
გურამ ჭავჭანიძე

ვის მაგონებს იგი?

კითხვის მანერით, ალბათ, უფრო, იოსებ გრიშაშვილს. მოგეხსენებათ, გრანელამდე, გრიშაშვილ-შანშიაშვილი და „ცისფერყანწელები“ მიიჩნეოდნენ გალაკტიონის მთავარ მეტოქეებად. მერე

ზოგი რა შეიცვალა, მაგრამ გრიშაშვილის აჟღერებული მანერა, კითხვისა, და ის, რომ იგი ლექსებს ზეპირად „კითხულობდა“ (ამბობდა), – უამრავ ლექსს ათეულობით წლეების განმავლობაში აღანთებდა მსმენელს. ასეა გურამიც. თან, ისიც „თბილისის ტრუბადურია“. ერთი კი არის: ზოგი ამბობს, რომ გრიშაშვილზე უკეთაც კი წერს ეს „პლეხანოველი“ კაციო. ამას მომავალი განსჯის.

ჩვენს აკადემიაში ბევრმა სხვადასხვა ასაკის ადამინმა გაშალა ფრთები. ბატონი გურამიც, როგორც პოეტი, აქ უფრო გამოჩნდა. მთელი ცხოვრება წერს, თუმცა პოპულარობა ახლა – ათიან წლებში უფრო მოიპოვა, რაც დიდი გულნაზ ხარაიშვილის წრეში მოხვდა, და სწორედ ქალბატონმა გულნაზიმ დაგეგმა გურამ ჭავჭანიძის ეს ბრწყინვალედ ჩატარებული საღამო ოცდაშვიდ ნოემბერს, ლეგენდადქცეული მირზას სახელობის ბიბლიოთეაში (დირექტორი – ქეთი ნიკურაძე).

უცნაური ისაა, რომ ხუთი თანაპრეზიდენტიდან, აკადემიური საბჭოს ლიდერი – თვითონ გულნაზი, პრეზიდიუმში არ დაბრძანდა. ეს, ყველამ, მის თავმდაბლობად აღიქვა (თანაც, მას ადრეც გაუკეთებია ასეთი უცნაურობა), თუმცა მე მაინც მერჩივნა, ჩვენს გვერდით ყოფილიყო. ეს ერთმა ეპიზოდმაც ცხადყო: მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი, ლიდერის თვისებების მქონე პიროვნება ვარ, ერთ ეპიზოდში მაინც გამექცა ხელიდან ღონისძიების სადავეები (წამყვანი მე ვიყავი), და რომ არა ქალბატონი გულნაზის დროული გამოსვლა სცენაზე, არ ვიცი, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. მან სწრაფად დაარეგულირა გარემო, და მერე ისევ დამიბრუნა წამყვანობა („ღონისძიების თამადობა“). ქალბატონი ლუარა ამჟამადაც ვერ დაესწრო საღამოს, თუმცა სამი სხვა თანაპრეზიდენტი – მამა ამირანი, მე და კახა ბაციკაძე პრეზიდიუმსი ვისხედით. ვიმეორებ: ნამდვილი პრეზიდენტი სხვა მაყურებელთა გვერდით დაბრძანდა (წინა რიგებში), ხოლო მისი ადგილი, ამჟამად გურამ ჭავჭანიძეს დაუთმო პრეზიდიუმში.

საღამოს ესწრებოდნენ: ციური ხუჭუა, ნაირა ნიჟარაძე, ლეილა ვადაჭკორია, ნიკო ბალიაშვილი მანანა ზაზიკაშვილი, ანზორ ჯაფარიძე, სიმონ ზაქარაია (ფაზისის აკადემიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი), ცნობილი მხატვარი ალექსანდრე ციხელაშვილი, ზურა მამულაშვილი, და სხვანი. მოსული იყო პოეტი ედუარდ უგულავაც, პოეტ ნაირა უგულავასთან ერთად ცოტა გვიან შევნიშნე გერონტი მესხიც...

საღამო ქალბატონმა გულნაზიმ გახსნა და სიტყვა ჯერ მამა ამირანს გადასცა, მერე თემურ გოგსაძეს. ბატონმა თემურმა ფილოსფიური ლირიკა შემოგვთავაზა. მოკლედ, საღამო კარგად დაიწყო. მითუმეტეს, რომ ჩვენი აკადემიის რიგებში მივიღეთ ქალბატონი ნაირა უგულავა, რამაც აამაღლა ისეთად საზეიმო განწყობა.

და აი, საღამოს სადავეები მე გადმომეცა, მე კი გურამ ჭავჭანიძეს გადავეცი სიტყვა.

ბატონი გურამი, როგორც იტყვიან, ლექსებად დაიღვარა. ამდენი ლექსი, ერთ პოეტს, აკადემიის საღამოზე, ალბათ არც წაუკითხავს. ას ტომზე მეტიც, ასზე მეტიც კი შეიძლება დაწეროს კაცმა, მაგრამ საკუთარი ლექსების საჯაროდ წაკითხვა, ასე ძალიან, არ უყვარდეს. თითქოს ცეცხლში გახვია დარბაზიც. ზღვასავით მოვარდა აპლოდისმენტები. პოეტი არც იღლებოდა. პატარ-პატარა შესვენებების შემდეგ ისევ აგრძელებდა ლექსთა ზეპირად თქმას. თან საინტერესო ამბებსაც ყვებოდა. ქართულის გარდა, რუსული ლექსებიც წაიკითხა, მერე ჩუმად გამანდო, – სხვა ენებზედაც შემიძლია წერაო. კახა ბაციკაძემ და ედუარდ უგულავამ შეაქო პოეტი. გურამ ჭავჭანიძემ დაიპყრო დარბაზი. გამომსვლელებმა: მანანა თარაშვილმა, მზიური აფციაურმა, ეკა გოგიაშვილმა, ზურა მამულაშვილმა და სხვებმა გაალამაზეს საღამო. ნიკო ბაღაშვილმა თავისი კლიპი წარმოგვიდგინა, ბატონი გურამის სიმღერაზე რომ გადაუღია თურმე, როცა თავისი დიდე-

ბული ბანით (სხვა ხმაშიც ადვილად მღერის) შეასრულა სიმღერა, ესაა ძველი, ლეგენდარული რომანსი.

მოკლედ, ხელოვნების ზეიმი გაიმართა ბიბლიოთეკაში.

რა არის პოეზია? იგი ჭეშმარიტებაა.

პოეზია ყველა და ყველაფერია, უპირველესად კი იესოა პოეზია, რუსთაველია პოეზია... პოეზია ქართველია და პოეზია საქართველოა, ის მშვენიერებაა...

და სწორედ აქ – პოეზიის ქვეყანაში, გურამ ჭავჭანიძემ უამრავი ლექსი ააფრიალა იმ დღეს, შინდისფერი დროშასავით...

რაშია ბატონი გურამის წარმატების საიდუმლო? ბევრ რამეში, უპირველესად კი იმაში, ალბათ, რომ იგი სიყვარულის კაცია და თავმდაბალი კაცია, უაღრესად თავმდაბალი. ეს ის თვისებაა, რომელიც სამწუხაროდ, დღემდე ვერ ვისწავლე სათანადოდ. ბევრთა ტომებზე მეტი მაქვს, უკვე დაწერილი. ეს დიდი რიცხვია, მაგრამ ამათგან ერთიც რომ გადარჩეს, ერთი ტომიც, ესეც დიდი საქმე იქნება. ეგებ არც დარჩეს რაიმე ჩემგან, ჩემი საძმოსგან, და მაინც რამდენჯერმე მითქვამს, რომ სწორედ „ზღვარია“ მსოფლიოს (სამყაროს) ჩემპიონის პოეზიაში (ხელოვნებაში). რა თქმა უნდა, ეს არასწორი პოზიციაა. თავმდაბლობის არქონა დიდი მინუსია, გინდ იცოდე და გინდ არა, თუ „რას იტყვის შენზე შთამომავლობა“. მე, რეალურად, რა ვიცი და რა არა, ეს სხვა თემაა, მაგრამ თავმდაბლობა რომ მეტი მმართებს, მართალია.

გულნაზ ხარაიშვილი, ნიკო ხერკელაძე, გურამ გედევანიშვილი (ფილოსოფიისა და მითოლოგიის დიდი მოყვარული) და სხვანი სწორედ თავმდაბლობით გამოირჩევიან. უნდა იყო პროფესიონალილ სუპერპროფესიონალი, მაგრამ სუპერპროფსაც კი არ უნდა გავიწყდებოდეს თავმდაბლობა..

აი, გურამ ჭავჭანიძეზე ვიტყვი;

ბატონ გურამზე: – იგი შეიყვარეს თვის უბრალოებისა გამო. ძველ თაობას, საერთოდ, ახასიათებდა ასეთი მზისფერი უბრალოება.

მართმადიდებელი ქრისტიანი ქართველი, საერთოდ – ქართველი, თავისი ბუნებით ტოლერანტია. ჩვენ პატივს ვცემთ ყველა ერს, ყველა რელიგიას.

პატრიარქმა თქვა: ღმერთი, სამშობლო, ადამიანი, – ესაა უპირველესიო (აქვე მახსენდება ილიასეული – მამული, ენა, სარწმუნოება), ხოლო ადამიანი რომ შეიყვარო, კაცობრიობა რომ შეიყვარო, შენ თვითონ უნდა იყო ადამიანი, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით.

გურამ ჭავჭანიძე დიდებული ადამიანია, ამიტომაც არის, იგი, დიდებული პოეტი. სულ რომ არ დაეწერა, მაინც კი პოეტი იქნებოდა, მისი გულის გამო, მისი დიდი ადამიანობის გამო და ახლა ხომ, როცა წერს, ორჯერ პოეტია!..

ბოლოს პატარა, მაგრამ გემრიელი სუფრა გაიშალა. მე, კახამ და დარიამ დიდად მოვილხინეთ. სხვები კიდევ უფრო ამაღლებულ განწყობაზე იყვნენ. ერთი კი არის: ქალბატონი ქეთი ნიკურაძე, რომელიც მთელს ღონისძიებას დაესწრო, ფურშეტზე არ გამოჩენილა.

ქალბატონი გულნაზი, როგორც ღონისძიების, ასევე სუფრის სული და გული იყო. ამ ადამიანში საუკეთესო თვისებებია როგორც პროვინციელის, ისე ქალაქელის და მთავარქალაქელის. იგი, თან უბრალო, თან დარბაისელი, თითქმის ყოველთვის ყურადღების ცენტრშია.

მოკლედ, სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერი გაილია. წინაა მეთორმეტე თვის – დეკემბრის ღონისძიებები.

საერთოდ, ძალიან ხშირად ვფიქრობ და ვწერ პოეზიის შესახებ, თუმცა ამას, ალბათ, არ გაიკვირვებთ: მე ხომ თვითონ ვარ პოეტი...

სერგი ლომაძე.

თბილისი. 2018 წელი. ნოემბერი.

ელიზბარ ხერკელაძისs და თამარ ვარდოშვილის დიდი დღე

ნიკო ხერკელაძეს,, როგორც ფილოსოფოს-მხატვარს, მწერალს, წარდგენა არ სჭირდება საზოგადოების წინაშე. ვთვლი, რომ იგი ლეგენდაა, და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ბატონ ნიკოს ორი შვილი ჰყავს. მისი ქალიშვილი იტალიაშია გათხოვილი, იქ ზრდის ბავშვს, ხოლო ვაჟმა – ელიზბარ ხერკელაძემ, ახლახანს მოიყვანა ცოლი – თამარ ვარდოშვილი, რომელიც სოფელ მარტყოფიდან არის. მოგეხსენებათ, თუ როგორი თაყვანისმცემელია, ჩვენი ნიკო, ნოსტელი გიორგი სააკაძისა – მარტყოფის უძველესი გმირისა, და სიმბოლურია თითქოს, რომ მისმა ბიჭმა სწორედ მარტყოფელი გოგო შეარჩია თავისი ცხოვრების სამარადისო თანამგზავრად. ამას დავამატებ ერთ ფაქტსაც: გოგოს მეჯვარე, ნინი, გვარად სააკაძე აღმოჩნდა! ამაზედ იტყვიან: გინდ დაიჯერეთ, გინდ არაო! აქვე ელიზბარის მეჯვარეც აუცილებლად უნდა ვახსენოთ – თორნიკე ბეჟაშვილი. აქ სახელზე გავაკეთებ აქცენტს: საქართველოს არამეფე სარდლებიდან

ორს გამოარჩევენ უფრორე. ერთია გიორიგი სააკაძე, ნიკო ხერკელაძემ რომ გრანდიოზული წიგნი უძღვნა, ხოლო მეორე სარდალი, თანაც, ქრონოლოგიურად, გიორგის წინამსწრები, თორნიკე ერისთავი იყო. აი რატომ გავამახვილე ყურადღება მეჯვარის სახელზე..

ელიზბარ ხერკელაძე და თამარ ვარდოშვილი. ჯვრისწერა.

ქორწილი ოცდაოთხ ნოემბერს შედგა რესტორან „ანცში“ – ანზორ ჯაფარიძის სამოთხეს რომ ვიცნობთ. მოვიდა ბევრი კარგი ხალხი და მეფური სუფრაც გაიშალა.

როგორც კი საქეიფო დარბაზსი შევედი, იმწამს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს მოვკარი თვალი – ჩვენი აკადემიის პრეზიდენტს (კიდევ ერთ ლეგენდას). იგი ორ სხვა ქალბატონთან საუბრობდა. ასე გავიცანი, ახლოს, დები ფირანიშვილები: ნათელა და ასმათი (ისინი ადრეც ნანახი მყავდა, თუმცა ნაცნობობა ახლა შედგა). ნათელა მეუღლე აღმოჩნდა ნიკო ხერკელაძისა.

სუფრას მივუსხედით ყველანი და ....

ზღაპარიც დაიწყო, – გაზღაპრდა სივრცე...

აკადემიაში ყველა „პოსტი“ განაწილებული გვაქვს ქალბატონი გულნაზი ლიდერია, მე და კახა ბაციკაძე – პროფესიონალი ხელოვანები (მთავარი ხელოვანები), მე, არცთუ იშვიათად, ღონისძიებათა წაყვანაც, კრიტიკოსობაც, პუბლიცისტობაც, ფილოსოფოსობაც მევალება, ხოლო აკადემიის თამადად, აკადემიურ თამადად... ო! ასეთად მამა ამირანი არის გამოცხადებული! საოცრებაა, რომ სასულიერო პირია, დღეს, საუკეთესო თამადა! ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში თუ მოხდებოდა!.. მეტსაც ვიტყვი: თუ, ვთქვათ, ჩემი ვერსიით, ხელოვნების მსოფლიოს (სამყაროს) ჩემპიონად „ზღვარი“ ითვლება, თამადებს შორის ასეთივე ჩემპიონის ტიტულს სწორედ მამა

ამირანს ვაკუთვნებ. სწორედ მან დაიკავა გულბაათ ჭავჭავაძის, თემიკო ჩირგაძის და სხვათა ადგილი თანამედროვეობაში. ეს კოლორიტული ადამიანი, უმეტესად შავად მოსილი, თეთრი თმაწვერით დამშვენებული, ახოვანი, გამოირჩევა სიტყვით, ენერგიით, იუმორით, სიმღერის საოცარი უნარით და ასე შემდეგ. მოკლედ, ათიდან ცხრა შემთხვევაში, იგი, უბრალოდ, შეუდარებელია. ფიქციაა და უაზრობაა სხვა თამადების მცდელობა, რომ მას სუფრის უფალის ტახტი წაართვან, სუფრის თავში წაართვან ადგილი.

და აი, სწორედ ეს კაცი იყო თამადად ხერკელაძე-ვადოშვილის ქორწილში.

და, შესაბამისად, ყველაფერი იყო უმაღლეს დონეზე.

მე, კახა, ქალბატონი გულნაზი, დები ფირანიშვილები, ერთად ვისხედით, გვერდიგვერდ ჩვენს წინ თამადის მოადგილე იყო – ბატონი ტარიელი (როცა მამა ამირანი წავიდა, უკვე გვიან, თამადობა მან იკისრა).

გაიმართა პურობა.

თამადის სიტყვას მუსიკალური გაფორმება ენაცვლებოდა ხოლმე. მამა ამირანი მთელი დარბაზის მასშტაბით მიმოდიოდა, ამაყად, და ასე არიგებდა სადღეგრძელოებს. მის ძლიერ ხმას მიკროფონი არ დასჭირვებია.

ბევრი დასამახსოვრებელი ეპიზოდი იყო ქორწილში. მე რამდენიმეს გამოვარჩევდი:

ერთი ის იყო, ქალბატონმა გულნაზიმ ლექსი უძღვნა ელიზბარსა და თამარს. ეს იყო ლექსი-დალოცვა. აპლოდისმენტები მყის მოსწყდა ირგვლივეთს. პოეზია, როგორც ზეხელოვნება, მეფურად შემოიჭრა სივრცეში.

თუ სამყარო ყველა და ყველაფერია, ესე იგი, სამყარო ღმერთია და ღმერთი სამყაროა.

ხოლო თუ ღმერთი სიტყვაა, ესე იგი ის პოეზიაა (პოეზია ხომ სიტყვათა ყველაზე პოეტური ხელოვნებაა).

პოეზია ყველას და ყველაფერს მეტობს, – ეს ბევრჯერ მითქვამს.

ამიტომაც ქალბატონი გულნაზის გამოსვლა განსაკუთრებული იყო, – პოეზიის გამო.

მამა ამირანს, იმ დღეს, პოეზიისათვის არ მიუმართავს (თუმცა ლექსები სულაც არაა მისთვის უცხო), მაგრამ სადღეგრძელოებს ერთი სიმღერა დაამატა, სიმღერა მეფე-ღვინის, ანუ კახური ღვინის შესახებ. ისე მოუხდა ამ სიმღერას თამადის ხავერდოვანი ბანი, რომ სულ გაგიჟდა დარბაზი, იფეთქა აპლოდისმენტებმა.

დამამახსოვრდა ახალგაზრდების ცეკვაც, ძალიან ახალგაზრდა დიჯეის მიერ შერჩეული მუსიკის ფონზე...

მოკლედ, ქორწილსი სამი თუ ოთხი სხვადასხვა თაობის ადამიანნი ვიყავით, და ყველამ მაგრად მოვილხინეთ...

ძალიან ბედნიერი იყო ბატონი ნიკო... ყოვლისმომცველი (ენციკლოპედიური) განათლების ამ ადამიანმა, მთელს თაობებს ჩაუყარა საფუძველი ქართულ ხელოვნებაში, ზოგადად ქართულ აზროვნებაში. სწორედ ასეთი ადამიანების მხრებზე დგას შემდეგი დროის წარმატებები. ვთქვათ, ბრწყინვალე გოჩა ზირაქიშვილი და სხვები და სხვები ბატონი ნიკოს შემდეგ გამოჩნდნენ. ეს შემთხვევითი არაა. ნიკო ხერელაძე (ეს გვარი ხერხეულიძიდან მოდის, მისი ერთ-ერთი განშტოებაა) ისტორიას ქმნის, და ვითარცა ლეონარდო და ვინჩი, ქართველი ლეონარდო, ყველა სივრცეს სწვდება. უსაზღვროა ბატონი ნიკოს პატრიოტიზმიც. მაგალითად: ოცაოთხში რომ შვილის ქორწილი გადაიხადა, ოცახუთში უკვე მიტინგზე იდგა თავისუფლების მოედანზე. მისი მოწოდებით, იქ მეც და კახაც ვიყავით. ასიათასზე მეტი ქართველი გამოვიდა. საერთოდ, მიტინგები, ჩემთვის, უცხო არაა, მაგრამ ასე ანთებული ხალხი იშვიათად მინახავს. მერაბისა და ზვიადის დრო გამახსენდა.

და ოცდახუთიც სუფრით დაგვაბოლოვებინა ბატონმა ნიკომ.

მოკლედ, ეს იყო ნოემბრის დიდებული შაბათ-კვირა.

სტატიის ბოლოს კი, მინდა, რომ მთელი აკადემიის სახელით, დაუსრულებელი ბედნიერება ვუსურვო დიდი ნიკო ხერკელაძის მემეკვიდრის, ელიზბარ ხერკელაძის ახლადშექმნილ ოჯახს!..

სერგი ლომაძე

თბილისი. 2018 წელი. ნოემბერი.

განსხვავება-შენიშვნა

მე, როგორც ჯგუფ „ზღვარის“ ერთ-ერთი ძირითადი წევრი, ვაცხადებ, რომ ზღვარელების მთელს შემოქმედებას, მთელს დანატოვარს, ვუწოდებ „უსაზღვროეთს“ – საერთო სათაურად. ხანდახან ვამბობ „უსაზღვროებასაც“, „უსასრულობასაც“, სხვებსაც, მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც ვამბობ სიტყვა „უსაზღვროეთს“, რომელიც, უფრო, სამყაროს (სამყაროებს) მაგონებს.

მოკლედ, ზღვარელების წიგნებიც, ალბომებიც და ყველაფერი სხვაც უნდა მოექცეს საერთო სათაურის ქვეშ – „უსაზღვროეთი“. ყოველთვის ათასგვარად ვიაზრებ, მათ შორის – სათაურებსაც, მაგრამ აქვე ვიტყვი: ყველაფერი ცვალებადია, და სათაურებსაც, რა თქმა უნდა, შეიძლება შეეხოს ცვლილება.

ჯერ-ჯერობით მაინც, ავირჩიე სიტყვა „უსაზღვროეთი“.

რა იქნება ხვალ, არავინ იცის...

2019 წლის გახსნითი საღამო შედგა

მირზასეულ ბიბლიოთეკაში, იანვრის ოცდაცხრაში, შედგა პირველი საღამო 2019 წლისა. ყველაფერმა დიდებულად ჩაიარა, არადა იყო საშიშროება, რომ აკადემიური საღამო საერთოდ ჩაშლილიყო.

მადლობა ღმერთს, რომლის შემწეობითაც ასე არ მოხდა, და კიდევ ერთი წარმატება მოვიხვეჭეთ.

საღამო უკვე დაგეგმილი იყო, როცა მე და კახამ შევიტყვეთ, რომ უპირველესი აკადემიელი – გულნაზ ხარაიშვილი ვერ დაესწრებოდა ღონისძიებას, რიგ საპატიო მიზეზთა გამო. ეს იყო პირველი პრეცენდენტი ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემიის ისტორიაში, არადა, ეს ორგანიზაცია ლამის ათ წელს ითვლის, და ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიურია. აკადემია ქალბატონი გულნაზის გარშემოა აწყობილი, ხოლო მისი არმოსვლა გამოიწვევდა მთელ რიგ გვერდით მოვლენებს,

მითუმეტეს – თუ საღამო ჩაიშლებოდა. ორგანიზაციის პრეზიდენტმა ეს სახელოვნებო საღამო მთლიანად მე და კახას ჩაგვაბარა. ასევე მთლიანად დაგვიჭირა მხარი ბიბლიოთეკის დირექტორმა ქეთი ნიკურაძემ, რომელიც ჩვენთან ერთად იყო წარმოდგენილი პრეზიდიუმში. ღონისძიებას ესწრებოდნენ: გერონტი მესხი, ლეილა ვადაჭკორია, ანასტასია(ანა) კალანდაძე, მანანა ზაზიკაშვილი, ნაირა ნიჟარაძე, ცნობილი მხატვარი ალექსანდრე ციხელაშვილი, დარია ხიდეშელი და სხვები. მინდოდა მომეწვია "ზღვარის" მიერ გასულ წელს ჩატარებული ოფიციალურად პირველი პოეტური ჩემპიონატის მამაკაცთა და ქალთა შორის გამარჯვებული ნიკო კობერიძე და დიანა ლომიძე, რომელთაც მაშინ ჩვენგან მიიღეს ძირითადი და მთავარი მხარდაჭერა, მაგრამ ახლა ქალბატონი გულნაზის არყოფნაში, ისინი აღარ დამიპატიჟებია, რადგანაც წინ რთული საღამო გველოდა. არადა, შარშან ერთეულთა შორის, სწორედ ისინი იყვნენ ძირითადი გამარჯვებულები. ჩემპიონები წელსაც დავასახელეთ: ნიკო (ნიკა) კობერიძე ახლა უფრო მეტად დასახელდა, ასევე დასახელდა თაფლო ზარიძე. ეს ამბავი საბოლოოდ ახლა გადაწყდა...

დავუბრუნდეთ აკადემიურ საღამოს. პრეზიდენტის არყოფნაში ლიდერის მოვალეობა ვიღაცას უნდა ეკისრა და ეს საპატიო მოვალეობა, აკადემიის პრეზიდენტობა, საკუთარ თავზე ავიღე, იმავე წამში ვიგრძენი ტვირთის სიმძიმე (არადა ერთადერთი საღამო იყო, რაღაც ორიოდ საათი, მეტი ხომ არა), და ჩემთან ერთად, თანალიდერებად, კახაც და ქალბატონი ქეთიც დავასახელე. მოკლედ სამნი წავუძეხით საქმეს, თუმცა საღამოს გახსნაც, წამყვანობაც, მე ვიკისრე. ვიცი რომ ახლა ძალიან ამბიციური ვეგონები მკითხველს, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. დროებით არ იყო ნამდვილი პრეზიდენტი, ამიტომაც ექსტრემალური სიტუაცია შეიქმნა, სწრაფი გადაწყვეტილებები, სწრაფი (და ამავე დროს – აწონილიც, დინჯიც) მოქმედებები იყო საჭირო.

მაშ ასე: აკადემიის წევრების პოეზიის საღამო. და თავიდანვე ყველაფერი იდეალურად წარიმართა. დარბაზი ამყვა. მე არაერთხელ ვისაუბრე პოეზიის შესახებ, თან მათ მივეცი საშუალება თავიანთი ხელოვნების დემონსტრირებისა. ყველა მათგანმა დასამახსოვრებელი ლექსები წაიკითხა. შეიძლება ჩემი განწყობა იყო ასეთი მათ მიმართ, ყველას ლექსი რომ მომეწონა. ეს ხომ აკადემიის ერთგული ხალხი აღმოჩნდა, რომელთაც ქალბატონი გულნაზის არყოფნისას არ მიატოვეს აკადემია, საღამო, პირიქით მოვიდნენ, გვერდით დაგვიდგნენ, და პოეზიით აავსეს სივრცე. ასეთ ერთგულებას ხელოვნებისადმი, მხოლოდ პოეზიის პროფესორები, პოეზიის დოქტორები თუ გასწევენ, ესენი კი თავს ძალიან უბრალო ადამიანებად თვლიან, ესენი აკადემიის ყველაზე უფრო ერთგული წევრები. იმ დღეს ყველამ ათიანზე ჩააბარა გამოცდა, ხოლო გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული) მაინც განსაკუთრებით გამოვარჩიეთ.

საღამოს საოცრება იყო ორი ადამიანი; კახა და ბატონი ალექსანდრე, რომელიც მეუღლესთან ერთად გახლდათ მოსული, ერთ წყნარ, თავმდაბალ ქალბატონთან ერთად.

მე და კახა ხშირად ვმონაწილეობთ არააკადემიურ საღამოებშიც, ხელოვნებაში იქაც ძალიან ვიხარჯებით, და რადგანაც ოცდაექვსშიც ერთ-ერთ ღონისძიებაზე ბევრჯერ გამოიყვანეს კახა, მეშინოდა რომ, აკადემიის ამ საპასუხისმგებლო საღამოსთვის ის მზად არ იქნებოდა. ასე არ მოხდა, პირიქით, კახა და მისი გიტარა მთავარნი იყვნენ ოცდაცხრა იანვრის საღამოზე. რამდენიმე სიმღერა ერთადაც შევასრულეთ ყველამ. პოეზია-მუსიკა საერთოდ ძმები არიან, ასე, რომ ორივე ხელოვნება წარმოვადგინეთ, ყველამ ერთად, იმ დღეს.

რაც შეეხება ბატონ ალექსანდრეს, მან ჯერ სალამურებზე დაკვრის ხელოვნება წარმოაჩინა, ხოლო შემდეგ, ხუთ წუთზე ნაკლებ დროში, ფანქრით, იქვე, დარბაზში, შექმნა დიდებული პორტრეტი გერონტი მესხისა. ყველა გაოგნდა. ყველამ მოისურვა, რომ ალექსანდრე ციხელაშვილს დაეხატა ისინი. ეს ნიშნად ავიღე და ქალბატონ ქეთის მივეცი საბოლოო სიტყვა სხდომის დასასრულებლად, შემდეგ კი საღამო დახურულად გამოვაცხადე და აკადემიის წევრები რიგში ჩავაყენე, რათა დიდებულ მხატვარს დაეხატა ისინი. რიგის სათავეში დარია აღმოჩნდა, მშვენიერი პორტრეტიც წაიღო სახლში!

სანამ სტატიას დავასრულებ მინდა აღვნიშნო ის, რომ ქალბატონ ქეთის, იმ დღეს, მეგობარი ახლდა, რომელმაც მშვენიერი სიტყვა თქვა, ხოლო კიდევ ერთი ადამიანი არის ბიბიოთეკის თანამშრომელი, ახალგაზრდა ქალი, რომელიც სულ გვერდით გვიდგას, არადა ხშირად მავიწყდება მისი გვარ-სახელი (თუმცა რამდენიმე სტატიაში მაინც დავაფიქსირე).

და რაც მთავარია:

შემდეგი ღონისძიებიდანვე დაბრუნდება ქალბატონი გულნაზი, ასე რომ, უმაღლეს დონეზე ჩატარდება საღამოები.

თუმცა ეს გამოცდა ბრწყინვალედ ჩავაბარეთ.

ისე ქართული პოეზიის პატრიარქები, ადრე, მთელ ქვეყანას პატრონობდნენ ხოლმე, და ახლანდელ პოეტებს, როგორმე, ერთი აკადემიური საღამოსთვის კი უნდა მოგვევლო, მითუმეტეს, რომ, საერთოდ, დიდი გამოცდილება გვაქვს ხელოვნების სფეროში ყოფნისა, და აკადემიის გარეთ პირადად ჩაგვიტარებია უამრავი ღონისძიება.

მე არ ვიცი, რომელია ჩემი საუკეთესო ქმნილება. არც ის ვიცი, რომელია ჩემს მიერ ორგანიზებული საუკეთესო საღამო. თუმცა ვიცი, რომ ეს აკადემიური ღონისძიებაც ძალიან ხშირად გამახსენდება.

P. S. არაერთხელ მითქვამს, რომ პოეზია ღმერთია. არაერთხელ მითქვამს ისიც, რომ, ვთქვათ პოეზია პროტესტი არის. სხვადასხვა აზრები ყოველთვის არ გამორიცხავს ერთმანეთს...

თბილისი 2019 წელი თებერვალი

თებერვლის ბოლო აკადემიური ღონისძიება

რამდენიმეხნიანი არაოფიციალური განშორების შემდეგ, თებერვლის მიწურულს, ქალბატონი გულნაზი დაბრუნდა აკადემიაში, და ისევ უმაღლესი დონის შემოქმედებითი საღამო ჩაატარა

აკადემიამ. მე და კახასაც, ფაქტიურად, ჩამოგვეხსნა ლიდერობის უმძიმესი ტვირთი. დიდი სიხარული განვიცადეთ ყველამ სავსე დარბაზი როცა ვიხილეთ, ოცდაექვსი თებერვლის ღონისძიებაზე, ჩვენი სუპერორგანიზაციის საჭესთან აღმართული ძველი, გამოცდილი კაპიტანი – გულნაზ ხარაიშვილი. მას მხარს ვუმშვენებდით მე და კახა. აკადემიას დაუბრუნდა მამა ამირანიც და ქალბატონ გულნაზისთან ერთად, სწორედ მან გახსნა თებერვლის ბოლო საღამო. ეს არ გახლდათ ამ სეზონის გახსნითი საღამო, ეს მეორე იყო, თუმცა პირველი გახლდათ, როცა აკადემია, წელს, სრული ძალით წარმოჩინდა. ესეც მორიგი აკადემიური სამშაბათი თუ სამშაბათობა, სამი საათი (დასაწყისი).

მირზასეული ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი – ქეთი ნიკურაძე...

ჩვენი გამოსვლები, თავიდანვე, დებატური უფრო იყო, და შეეხებოდა, ძირითადად, ხელოვნება-მეცნიერებას. გამოვთქვამდით ჩვენს ხედვებს, ხოლო საუბრებს ალამაზებდა კახას გასაოცარი პოეტურ-მუსიკალური ჩანართები. სხვათა შორის, საინტერესო დიალოგი გაიმართა ამ დღეებში, კახასა და „ზღვარის“ მაღიარებლებს შორის. მაშინ განაცხადა ჩემმა საუკეთესო მეგობარმა: „ჩვენ კარგახანია მივხვდით, რომ „ზღვარი“ არაა ღმერთი, არაა მეფე, არაა მარადიული ჩემპიონი... ჩვენ უბრალო ადამიანები ვართ“. დარბაზიდან რეპლიკა წამოვიდა: „კახა არ გიხდება და არც გამოგდის თავმდაბლობა!“ მან კი უპასუხა: „სერგი რომ იყოს შენი უფროსი მეგობარი ოცდახუთი წლის განმავლობაში, ნახავ, რომ თავმდაბლობის სწავლა შეუძლებელია!“ ატყდა სიცილი და აპლოდისმენტები. არადა, მთლად ასეც არაა საქმე. პირადად მე, თავმდაბლობა, მართლა მიმაჩნია დიდ თვისებად, და ტყუილად იფიქრებთ, რომ ახლა არაგულწრფელი ვარ.

დავუბრუნდეთ თემას.

ქალბატონმა გულნაზიმ ისევ განიზრახა აკადემიის გაფართოება-გაძლიერება და ახალ წევრებად მიიღო ორი ადამიანი: ედუარდ უგულავა – პოეზიის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, და ქეთი მაზიაშვილი – ძალიან იმედისმომცემი ახალგაზრდა მხატვარი, სულიერ-ფიზიკურად ლამაზი ადამიანი, რომელიც დედითა და სხვა ლამაზი ადამიანებითურთ იყო მოსული სხდომაზე. მიხარია, რომ ედუარდს პირადად მე გადავეცი აკადემიის დიპლომი. რაც შეეხება ქეთის, მან, დიპლომი აკადემიისა, მამა ამირანის ხელით მიიღო.

ღონისძიების პირველი და მთავარი ნაწილის დასრულების შემდეგ დაიწყო მეორე ნაწილი – რეჟისორი ნიკო ბალიაშვილის ფილმი ქალბატონი გულნაზის შესახებ. ნიკო ნერვიულობდა არც აპარატურამ შეუწყო ხელი, მაგრამ ფილმის პრეზენტაცია, მთლიანობაში, მაინც წარმატებული იყო. დამსწრეთაგან ბევრმა შეაქო მისი ნაშრომი, მათ შორის – ცნობილმა პიროვნებებმაც. ფილმში მართლაც იყო არაერთი კარგი ეპიზოდი, მაგალითად აი ის, როცა რეჟისორის კამერა თითქოს ცოცხალ ადამიანად აქცევს ლეგენდარული ბეჟან ხარაიშვილის ძეგლს, რომელიც გელა ლარიაშვილმა შექმნა. ეს ძეგლი შედევრი მგონია, და ვერ ვხვდები, ასე რატომ ჭიანურდება მისი დადგმა სოფელ ჭალვანის (ჭალოვანის) საჯარო სკოლის ეზოში, მითუმეტეს, რომ იმ სკოლაში სწავლობდნენ დიდი ხარაიშვილები, ამავე დაწესებულებას ეწოდება ბეჟან ხარაიშვილის სახელობის სკოლა!..

ჩვენი შემოქმედებითი საღამო კარგად დასრულდა. როგორც ჩანს, იმ დღეს ისევ ჩვენს მხარეს იყო პოეზიის ღმერთი, ხელოვნების ღმერთი, და ყველა გამოსვლა, საბოლოო ჯამში წარმატებული აღმოჩნდა, წარმატებული აღმოჩნდა ფილმიც და სასიამოვნო იყო უკვე შემდგომი გამოსვლებიც.

წინ ისევ გველის არაერთი მნიშვნელოვანი საქმე, მნიშვნელოვანი საღამოებითურთ, თუმცა ბოლო ღონისძიებამ როგორც აჩვენა, ჩვენი ორგანიზაციის პრეზიდენტი ისევ ძველებურადაა შემართული, ეს კი გარანტირებულ წარმატებებს ნიშნავს...

თბილისი. 2019 წელი. თებერვალი

ნელი გიუნაშვილის აკადემიური საღამო

პოეზიაზე მეტი მხოლოდ პოეზია არის...

ზღვარელები უამრავ საღამოში ვიღებთ მონაწილეობას, აკადემიის ფარგლებშიც და მის გარეთაც. ჩვენ ხელოვნებით ვცოცხლობთ, და როცა შვიტყვე, რომ აკადემია ღონისძიებას უწყობდა პოეტ ნელი გიუნაშვილს, სიხარულით დავთანხმდი მასში მონაწილეობას.. გამიხარდა ისიც, რომ ამ გაზაფხულზე აკადემიამ განაახლა ღონისძიებანი ძველ, პირვანდელ ადგილას – გენიალური აკაკის ძეგლთან ახლოს მყოფ შენობაში, სადაც არის კიდეც, უკვე სადღაც ათი წლის განმავლობაში, ცენტრი, გული ჩვენი აკადემიისა.

ქალბატონი გულნაზი, მე და ნელი გიუნაშვილი მოვთავსდით პატარა პრეზიდიუმში. ძალიან მსურდა, რომ სოლიდურ ასაკში მყოფი პოეტი (პოეტესას) საღამო კარგი გამოსულიყო და, ცოტა არ იყოს, ვღელავდი კიდეც, ეს გამოცდილ-გამობრძმედილი, ყოვლისმნახველი ადამიანი!

ნელი გიუნაშვილი სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული წერს, თუმცა მას მერე უფრო მკვეთრად გამოჩნდა, რაც ჩვენს აკადემიაში შემოაბიჯა. (დიახ, აკადემიამ ბევრი სხვადასხვა ასაკის ადამიანს გაუხსნა გზა). ნელიმ თქვა: წერა, უფრო, სამოცდაათიანი წლების ბოლოდან მომეძალა, აი იმ დღეებიდან, როცა ხალხი გამოვიდა ქუჩაში დიდი პროტესტით, ქართული ენის საკითხთან დაკავშირებით, და მეც ვიყავი მათს შორისო.

დიახ, ის მართლაც დიდი დღეები იყო.

საერთოდ, სამოცი-სამოცდაათიანი წლები განსაკუთრებულად აკაშკაშდა მეოცე საუკუნეში. მსოფლიოშიც, და, ბუნებრივია, საბჭოეთშიც, ბევრი რამ შეიცვალა. იქ, ევრო-ამერიკაში, ყველაფერი აყვავდა, ხელოვნებამ, მეცნიერებამ, სპორტმა, დიდ სიმაღლეს მიაღწია, აქ კი, ჩვენში, იდგა

პერიოდი ბრეჟნევისა, და თუმცა ჩვენი საბჭოეთი, შეიარაღების გარდა, სხვაში თითქმის ყველაფერში ჩამოუვარდებოდა დასავლეთს, მაინც, ჩვენშიაც შესაძლებელი გახდა საკმაოდ მშვიდად, კარგად ცხოვრება. საბჭოეთი, ყველაფრის მიუხედავად, ზესახელმწიფო იყო, და სოციალიზმი დროს მოარგო თავისებურად. ერთი ეგ კი გახლდათ, – იმპერია იმპერიობას არ იშლიდა, ეროვნულ საკითხში ვერ დალაგდა საქმე. ხოლო როდესაც ქართული ენის აკრძალვა მოითხოვა დიდ საბჭოთა კავშირად შენიღბულმა დიდი რუსეთის იმპერიამ, რომელსაც მრავალი ხალხი მოექცია თავის წიაღში და ისრუტავდა მათ სულიერ-გონებრივ მონაპოვარს, მათ ფიზიკურ მონაპოვარსაც, ქართველი ხალხი აჯანყდა. ეს იყო პირველი შემთხვევა საბჭოეთში, როცა ხალხმა გამარჯვებას მიაღწია, – გადარჩა ენა ქართული.

აი, სწორედ ის დიდი დღეები, ის საოცარი დღეები გაგვახსენა ნელი გიუნაშვილმა, – აი, იქიდან მოვდივარ მეო!

ქალბატონ ნელის აქვს ლურჯი, საოცარი მზერა. ასეთი მზერა გამოჰყოლია მის ქალიშვილს – იასაც, რომელიც ესწრებოდა საღამოს. აქვე იყვნენ პოეტის შვილიშვილები – ნიკა, მარიამი და ნინი. მომეჩვენა, რომ მთელი ეს სანათესავო ლამაზი ხალხია. პირდაპირ საოცრებები იყვნენ მარიამი და ნინი, ეს ნათელთვალება გოგონები, რომელთაც ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა. მათ ზეპირად, უშეცდომოდ, შესანიშნავად წაიკითხეს თავიანთი საამაყო ბებიკოს ლექსები. ნელი გიუნაშვილის ლექსები წაიკითხა თვითონ პოეტმაც და სხვებმაც, რაც მთავარია – ჩვენი აკადემიის ლიდერიც კითხულობდა ქალბატონი ნელის ლექსებს.

ქალბატონმა გულნაზიმ სიტყვაც შეაშველა პოეტს. მეც სიტყვით გამოვედი. არც სხვებმა დაიზარეს თავიანთი აზრების დაფიქსირება. თუ არ ვცდები, მთელი საღამო (ან – თითქმის მთელი საღამო) გადაიღო ნიკო ბაღაშვილმა.

დამსწრეთა შორის არაერთი ცნობილი პიროვნება იყო. მათ შორის გამოვარჩევდი ცოლქმარს, პოეტებს – პაპუნა ქვარიანსა და ეკატერინე ციცქიშვილს, და გამოვარჩევდი მათ თუნდაც იმიტომ, რომ აქამდე ისინი ძალიან იშვიათად თუ მინახავს ჩვენი აკადემიის საღამოებზე, აქ კი მოვიდნენ და თავიანთი ლექსებიც წაიკითხეს, თანაც ორივემ მაჩუქა თავის – თავისი წიგნები.

საღამო დიდებულად წარიმართა, ხოლო მისი დაგვირგვინება გამოდგა 159-ე სკოლასთან არსებულ ანსამბლ „ლალეს“ ბავშვებით – *მაჭარაშვილი ლუკა, თიგიშვილი გიორგი, აფციაური მარი, ტიტავა ქეთი, თუთიშვილი ნიკა, თათანაშვილი დავითი, ბერულავა მადონა, იაკობიძე თათია, ცეცხლაძე ელენე, მიქელაძე ნიკა, სიჭინავა თორნიკე, მჭედლიშვილი მარი, ბუხრაშვილი გიორგი, ბერაძე ცოტნე, ბერაძე მირიანი, ქიტუაშვილი სალომე, გაზაშვილი ხატია, ქართველიშვილი გოგა* (ხელმძღვანელი ლეილა ჭიუკაძე-ონიანი) – რომელნიც რამდენჯერმე გამოვიდნენ და შეასრულეს მუსიკალური ნომრები. უმაღლესი დონისა იყო მათი თითოეული გამოსვლა! ანსამბლს ხელმძღვანელობს ქალბატონი ნელი... მას ეტყობა, რომ ბავშვებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, და მისი პროფესიონალიზმი მაგიურად ვრცელდება მთელს ანსამბლზე.

საქართველოში ოდითგანვე იყვნენ ფენომენალური მონაცემების ბავშვები, და ერთ-ერთ მათგანს (ლევან ლაზარიშვილს) თვით რობერტინო ლორეტისაც კი ადარებდნენ. გასაოცარი იტალიელი მაესტრონი – ჩელენტანო, ტოტო, სხვებიც იყვნენ დაინტერესებულნი ამ ბავშვის ხელოვნებით. უფრო ადრე იყო ანსამბლ „მზიურის“ პირველი და დაუვიწყარი თაობა, რომელთა შესახებაც ითქვა, – აჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და აღარ იქნება ომიო. და აი, სწორედ ამ ფრაზას იმეორებდნენ აკადემიის დარბაზში 22 აპრილის იმ დღეს, როცა საბავშვო ანსამბლი „ლალე“ მუსიკალურად აფორმებდა ნელი გიუნაშვილის საღამოს.

სხვათა შორის, ოცდაორი აპრილი დედაჩემის დაბადების დღეა. ამ დღეს ორ ღონისძიებაში მივიღეთ მონაწილეობა ზღვარელებმა. (მეორე მწერალთა სახლში იყო და სხვა ეგიდით იმართებოდა, ის არ ეხებოდა აკადემიას), ორივე ძალიან წარმატებული აღმოჩნდა.

მოკლედ, ნელი გიუნაშვილის საღამომ ბრწყინვალედ ჩაიარა, ხოლო აკადემია, რომელიც ბოლო ხანებში თითქმის სულ გასვლით ღონისძიებებს ატარებდა, დაუბრუნდა ღონისძიებების ჩატარებას თავის ძირითად შენობაში (აქვე ახალი და უფრო უკეთესი ოფისი აიღო ქალბატონმა გულნაზიმ).

ვნახოთ, რა იქნება შემდეგში.

წინ დიდი გეგმებია, მაგრამ მათი განხორციელება არაა შეუძლებელი. საერთოდაც არაფერია შეუძლებელი, თუკი არის ნიჭი (დიდი ნიჭი, უდიდესი ნიჭი გენიალობაა), შრომისმოყვარეობა, მონდომება, მიზანდასახულობა და... დიახ, რაღაც დოზით მაინც, იღბალიც არის საჭირო...

ჩვენ გვაქვს ჩვენი გეგმების ბოლომდე მიყვანის იმედი.....

თბილისი. 2019 წელი. გაზაფხული.

მარტის ბოლო ღონისძიება

მარტის ოცდაექვსში მეორედ მოხდა, თითქმის მთელი ათი წლის მანძილზე, რომ ქალბატონმა გულნაზიმ ვერ შეძლო აკადემიის ღონისძიებაზე დასწრება. ორივე შემთხვევა წელს დაფიქსირდა, და თუმცა წინა საღამოზე მე ვიტვირთე ლიდერობა, თუმცა ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაინც ძალიან ვღელავდი ამჯერადაც. არადა, აკადემიის პრეზიდენტი ვერაფრით მოვიდოდა, – მას ძმა გარდაეცვალა, რაიონში წავიდა, ძმის ოჯახში. ძალიან ცუდია, რომ გვტოვებენ უფროსი თაობის წარმომადგენლები, ხოლო მათი გარდაცვალება (ასე რომ გახშირდა ბოლო დროს), ტოვებს ბევრ ცარიელ ადგილს, რომელთა ამოვსება აღარ ხერხდება.

ქალბატონმა გულნაზიმ „ზღვარის“ წევრებს დაგვიბარა, რომ ეს საღამოც აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო. მაშ ასე, პრეზიდიუმს წარმოვადგენდით: მე და კახა, მამა ამირანი, ქეთი ნიკურაძე. უნდა აღვნიშნო ღირსეულობა მამა ამირანისა და ქალბატონი ქეთის, რომელიც, როგორც ბიბლიოთეკის ლიდერი, (მირზასეული ბიბლიოთეკა, სადაც ვატარებთ აკადემიურ სამშაბათობებს), თვით გულნაზ ხარაიშვილსაც კი ცვლის პრეზიდიუმში მისი არყოფნისას, და აი, ორი ასეთი რანგის ადამი-

ანი, – დიდებული სასულიერო პირი და დირექტორი ბიბლიოთეკისა, ჩვენი პრეზიდენტის არყოფნაში, მე და კახას არ გვეცილებიან ლიდერის ფუნქციებში! ეს ფაქტი მეტყველებს მათ დიდადამიანობაზე!

საღამო მე გავხსენი, და ამჯერად კახას დავუთმე როგორც პრეზიდენტობა თუ ლიდერობა, ასევე წამყვანობაც. საერთოდ, რატომღაც ამბიციურ კაცად ვარ ცნობილი, ბოლო დროს კი – მომრავლდა დათმობები. ამას ყურადღება მიაქცია მამა ამირანმა და ნახევრადხუმრობით გადასძახა კახას, – ამ ბოლო დროს სერგი ისე თავმდაბლად იქცევა, რომ რამე ხომ არ ჭირს, მშვიდობა ხომაა თქვენსკენო! ყველას გაგვეცინა გონებამახვილურ ხუმრობაზე. რაც შეეხება კახას, მან ბრწყინვალედ წაიყვანა საღამო. კი, მე მაინც ჩავერთე საქმეში რამდენჯერმე, თუმცა რომც არ ჩავრეულიყავი, ამითაც არაფერი დაშავდებოდა.

საღამოს ესწრებოდნენ – ლამზირა შეყილაძე, ლეილა გაფრინდაშვილი, დიდებული ალექსანდრე ციხელაშვილი, ანზორ ჯაფარიძე, გურამ ჭავჭანიძე, ლეილა ვადაჭკორია, მზია ელიაძე, ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე, მანანა ზაზიკაშვილი, ლია ოსიაშვილი, ლია ჯანეზაშვილი-თათანაშვილი, იოსებ ტაბიძე, მზიური დათიაშვილი-აფციაური და სხვები. აუცილებლად უნდა დავასახელო ორი შორენა – ერთის გვარია მამალაშვილი, ხოლო მეორის გვარი ვერ დავიმახსოვრე. იგი ჩვენმა დეკანოზმა მოიყვანა აკადემიაში. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი ინფორმაცია მომაწოდეს. ამ ორმა შორენამ, იმ დღეს, განსაკუთრებით ისახელეს თავი პოეზიაში.

როგორც ჩამონათვალში შენიშნეთ, საღამოს, ძირითადად, გამოცდილი აკადემიელები ესწრებოდნენ, ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ დიდებულად წარსდგნენ მსმენელთა წინაშე. ლიდერმა (კახამ) და თანატოლებმა (პრეზიდიუმის დანარჩენმა სამეულმა) დიდი სიამოვნება მივიღეთ მათი ხელოვნებით. ეს იყო პოეზია და მუსიკა, – ალექსანდრე ციხელაშვილმა ისევ გააჟღერა თავისი სამი თუ ოთხი სალამური, მგონი – მის მიერვე დამზადებული. საქმეში მხატვრობაც ჩაერთო, როცა ალექსანდრემ იქვე, სულ რაღაც წუთებში (ორ-სამ წუთში) დახატა ანზორ ჯავახიძის პორტრეტი. ანზორმა თავისი ბროშურა გვაჩუქა. წავიკითხე ეს გასაოცარი ნაწერი. უმწვავესი პრობლემებია აქ დასმული. როგორც ჩანს, ერის ბედს პოეტები (ხელოვანები), ფილოსოფოსები და სასულიერო პირნი უნდა წყვეტდნენ, რადგანაც ჩვენი პოლიტიკოსები აშკარად მოიკოჭლებენ. ბროშურაში ძირითადად სასულიერო პირთა როლზეა საუბარი.

საერთოდ, პოემა თუმცა უმაღლესი მწვერვალია ხელოვნების, ღონისძიებებზე მაინც არაა რეკომენდირებული მისი წაკითხვა. საღამოებზე ლექსები და სიმღერები იგებს, რამეთუ რეგლამენტი მეტის საშუალებას არ იძლევა. ლექსი, სიმღერა, არავრცელი სიტყვით გამოსვლა, – ძირითადად ესაა შემოქმედებითი საღამო. რა თქმა უნდა, ამათ ემატება წამყვანი, რომლის ძალა-წონა არაა ერთმნიშვნელოვანი და უცვლელი, ეს დამიკოდებულია წამყვანის პიროვნებასა და თვითონ საღამოზე.

მიუხედავად ამისა, ლიანა ოსიაშვილ – მელიქიძეს მივეცი საშუალება იმისა, რომ საღამოს ბოლოს, წაეკითხა თავისი პოემა. ეს აღმოჩნდა უმძიმესი ტექსტი, რომელიც ეძღვნებოდა მის დაღუპულ ბიჭს. არაფერია იმაზე უფრო ცუდი, როცა უდროოდ მიდის ადამიანი. წავიდა ახალგაზრდა კაცი, და დედამ ჯერ ლექსებით, შემდეგ პოემით დაიტირა იგი. ეს იყო დიდი პოეზია, უდიდესი პოეზია. ისევ გამახსენდა გენიალური მერაბ კოსტავას ლექსი გენიალური იკა კოსტავას შესახებ. აი, ამ დონეზე აზიდა პოეზია ლიამ, და აატირა დარბაზი, ატირდა თვითონაც. და გამოვიდა წინა პლანზე თმათეთრი, თეთრწვერა სასულიერო პირი, ჩვენი მამა ამირანი, რომელმაც გასაოცარი სიტყვით ანუგეშა პოემის ავტორი.

მერე უკვე მალევე დავასრულეთ საღამო...

საღამოს შემდეგ ერთ-ერთმა დამსწრემ მკითხა. – საიდან მოდის ლომაძეების გვარიო. ვუპასუხე, რომ ბევრი ვერსიაა. ერთ-ერთი ასეთია: მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში ვინმე დავითი (ხან დავითს ამბობენ, ხანაც გიორგის. ალბათ, ამ სახელთა პოპულარობის გამო). ამ დავითს მამა ჰყოლია ძალიან გამორჩეული ადამიანი, და როცა დავითი პატარა იყო, მასზე უთქვამს ვიღაცას: ლომმა შექ-

მნა ეს ძეო!.. დიახ, ერთ-ერთი ვერსიით, ასე წარმოიქმნა ლომაძეების გვარი, რომელსაც ზოგი სხვა გვარი ენათესავება. ლომაძეები პოეტები (ხელოვანები), ფილოსოფოსები, მეომრები იყვნენ ოდითგან, უყვარდათ მოგზაურობა-ხეტიალი... ესაა ძველი ქართული გვარი...

ყველამ უნდა იცოდეს, მეტ-ნაკლებად მაინც, თავისი წარმომავლობაა, თავისი გვარის ამბავი. ძალიან დამაინტერესდება, მაგალითად, ხარაიშვილების გვარის ისტორია. ამ გვარს, როგორც ამბობენ, უამრავი ადამიანი გადაურჩენია. ლია ოსიაშვილიც ირწმუნება თავისი პოემის ბოლოს, რომ ორმა ადამიანმა გადამარჩინა თვითმკვლელობისაგან, ერთ-ერთი სწორედაც რომ გულნაზ ხარაიშვილი იყოო!

რაღა დავამატო
ამით ხომ ისედაც
ყველაფერია ნათქვამი!..

დავამატებდი მხოლოდ იმას, რომ უდიდესი ინტერესით ველით ნამდვილი მეთაურის ხელმეორედ დაბრუნებას...

მაგრამ...

მაგრამ ისე გამიტაცა გარკვეულმა თემებმა კინაღამ დამავიწყდა, – სწორედ იმ დღეს, მარტის ბოლოს, გამოვიდა ჟურნალ „ათინათის“ ოცდამეთერთმეტე ნომერი, და ღონისძიების დღესვე შემოვიდა დარბაზში ჩვენი ეს ლურჯი თუ მოლურჯო საოცრება. რა თქმა უნდა, ჟურნალის შესახებაც იყო საუბარი. იგი ხომ, ანთოლოგიასთან ერთად, ფუძეა აკადემიისა. საერთოდ, აკადემიაში, ისე, როგორც მთელს ქვეყანაში, პოეტური ხაზია წამყვანი, დარბაზშიც, უმეტესობა, პოეტები იყვნენ, და ჟურნალის ეს მხარეც, შესაბამისად, უფრო წარმოჩინდა, თუმცა, რაღა თქმა უნდა, „ათინათში,“ პოეზიის გარდა, სხვა განყოფილებებიც არის, და ისინიც მაღალ დონეზეა წარმოდგენილი. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ ორიათასთორმეტი წლიდან მოყოლებული, აკადემიაში ზოგი რამ შეიცვალა, ხოლო პოეზია ძალიან წამოვიდა წინა პლანზე. ისე, რუსთაველის, ვაჟას, გალაკტიონის ქვეყანაში, აბა ეს რა გასაკვირია! პრესაში ხომ ყველაზე უკეთ გამოიხატა სული ქართული!...

თბილისი. 2019 წელი.

P. S. იესო ქრისტეს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც სიტყვას. ეს იმდენად პოეტური გააზრებაა, რომ მას შეგვიძლია ვუწოდოთ პოეზია – ღმერთი, პოეტი – ღმერთი. სიტყვაა გული პოეზიის. სიტყვათა ძმობაა პოეზია.

ხოდა რაღა გასაკვირია, რომ ჩვენს აკადემიაში, ისევე, როგორც მთელს საქართველოში, სიტყვის უმაღლესი ხელოვნება – პოეზია დგას წინა პლანზე, რაღა გასაკვირია, რომ ბევრი საღამო სწორედ ამ უდიდესი ხელოვნების დომინაციით წარიმართა...

ხაშური – 2019

ოთხმოცდაათიან წლებში გავიცანი პოეტი მიშო თუმანიშვილი. მე მასზე უფროსი ვარ რამდენიმე წლით, თუმცა ის მაინც ეკუთვნის ჩემს თაობას – ოთხმოცდაათიან წლებს. მიშოც, მისი მეგობრებიც, ჩემს პოეტურ წრეებთან დავაახლოვე. იქიდან მოყოლებული, ჩვენ ერთმანეთთან კავშირი აღარ გაგვიწყვეტია და 2009-2015 წლებში, როცა ზღვარელები ხაშურში ჩავდიოდით პოეტური საღამოების ჩასატარებლად, თითქმის ყოველთვის მიშო თუმანიშვილი გახლდათ ჩვენი

მიწვევების ინიციატორიც და ორგანიზატორიც. შემდეგში ეს ფუნქციები თავის თავზე ხაშურის ბიბლიოთეკის დირექტორმა – მაკა დიდებულიძემ აიღო, და 2015 – 2019 წლებში ძირითადად მისი მუშაობის შედეგად ხდება ჩვენი იქ ჩასვლა, თუმცა წელს, 26 მაისს, მგონი მიშო და მაკა ერთიანი ძალებით აპირებენ ხაშურში ჩვენივე გასტროლების ორგანიზებას.

აღარც მახსოვს, ზუსტად რამდენჯერ ვიყავით ხაშურში, ზუსტად რამდენი ღონისძიება ჩავატარეთ იქ. ბოლო წლებში იქ ჩავდივართ ლეჟავა – ხარაიშვილის სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრებთან ერთად. საერთოდ, მე და კახა ბევრი გაერთიანების წევრები ვართ, მაგრამ რეალურად ორად-ორი გაერთიანებაა, რომლებშიაც მოვიაზრებით: ესაა საუკეთესო პოეტური ჯგუფი – ზღვარი, და საუკეთესო აკადემია – ლეჟავას სახელობისა (მე განვავრცე მისი სახელი და ლეჟავა – ხარაიშვილის აკადემია ვუწოდე არაერთხელ).

2009 წელს ჩატარებული პირველი ხაშურული საღამოდან (მიშომ რომ გაუკეთა ორგანიზება), ათი წლის თავზე – 2019 წლის აპრილში, ისევ აღმოვჩნდით ხაშურში შემოქმედებით საღამოზე. მაკა დიდებულიძის ორგანიზებით, მოხერხდა იქ აკადემიის ჩასვლა, და ბრწყინვალე საღამო შედგა. ჩემთვის ძალიან გასახარი იყო ის ამბავი, რომ ღონისძიებას დაესწრო მიშოც, თავის მეუღლესთან ერთად.

თბილისიდან სამი სხვადასხვა მანქანით გავედით. მე, კახა და ბატონი ნიკო ხერკელაძე ერთად გავემგზავრეთ. მანქანის მძღოლს კობა ერქვა. ადვილად ავაწყვეთ საუბარი ოთხივემ, და ისე გავიარეთ არცთუ პატარა გზა (თბილისი – ხაშური), მაინცდამაინც არც გაგვიგია. გზაში ვაცქერდებოდი გაზაფხულად აფეთქებულ სივრცეებს, ლურჯ – მწვანე ფერებით გადავსებულს. იყო სხვა ფერებიც. თეთრი ჭარბობდა, – თეთრ ყვავილებს გაევსო სივრცე, თეთრი თოვლი იდო კავკასიონის მთების იმ ნაწილზე, რომელიც კარაგახანს ჩანდა: ღმერთს ჰგავდა მთები, ადამიანს და ღმერთს.

ჩვენ ყველაზე გვიან გავედით თბილისიდან, მაინც ყველაზე ადრე ჩავედით ხაშურში. შეგვეგება ბიბლიოთეკის პერსონალიც და სხვა ხალხიც. ვნახეთ მიშოც, მეუღლითურთ, ხოლო რადგანაც ორი სხვა მანქანა, რიგ საპატიო მიზეზთა გამო, აგვიანებდა, საღამო სამმა დავიწყეთ, – მე, კახამ და ბატონმა ნიკომ. მალევე შემოგვიერთდა ქალბატონი გულნაზი, თანმხლებლებით – ლამზირა შეყილაძე, ლეილა გაფრინდაშვილი, მზიური აფციაური, თემურ გოგსაძე. ცოტა ადრე მოვიდა სიმონ ზაქარაია.

საღამოს პირველი ნაწილი, ძირითადად, მაკა დიდებულიძეს მიჰყავდა, ხოლო მეორე ნაწილი, ძირითადად, მე წავიყვანე. ბევრი ღირსეული ადამიანი დაგვახვედრეს ხაშურში. მათ შორის იყო, მაგალითად, კლარა გელაშვილი, რომელიც ხელოვანია, და მას ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიანი წლებიდან ვიცნობთ. იყვნენ სხვებიც, რომლებზედაც ზუსტი ინფორმაცია არა მაქვს, ამიტომაც ვერ ვბედავ დასახელებას, რაიმე შეცდომა რომ არ მომივიდეს, და თუკი ქალბატონ გულნაზის აღმოაჩნდება ზუსტი ინფორმაცია მათს შესახებ, ჩემი სტატიის დამატებაში იქნება ეს ყოველივე.

ერთი კი, ვისი გამოტოვებაც არაფრით შეიძლება, ესაა პატარა, რომელიც პატარა ვუნდერკინდია, ნუცა ჩიტაძე. ესაა უნიჭიერესი ბავშვი, იგი ლექსებს და მოთხრობებს წერს, საოცრად ხატავს. მისი რამდენიმე ნახატი აკადემიამ შეიძინა. ქალბატონ გულნაზის განსაკუთრებით უყვარს ბავშვები, ამიტომ სითბო – სიყვარული არ მოაკლო პატარას, თან საჩუქრებიც ჩაუტანა.

ხაშური, ნელ-ნელა, პოეზიის (ხელოვნების) ქალაქად ყალიბდება. ის და რამდენიმე სხვა ქალაქი (არა მარტო ქალაქი), ამით, ემსგავსება თბილისს. ვფიქრობ, რომ ამ პროცესში დიდი წვლილი აქვთ მიშოსნაირ ადამიანებს. რასაც ბოლო წლებში მაკა დიდებულიძე აკეთებს ხაშურისათვის, თანაც, – დიდებულად აკეთებს, ამას ბარე ორი გამოცდილი ხელმძღვანელიც კი ვერ გაკეთებდა.

ხაშურელმა ბავშვებმა წაიკითხეს ჩვენი ლექსები, და ასე გაგვახარეს, ხოლო ხათუნა სისაურის საბავშვო ანსამბლი საუკეთესო იყო იმ დღეს. ეს, ძირითადად, ფოლკლორული ანსამბლი გახლავთ, იქ წამყვანი ინსტრუმენტი ფანდურია, ხოლო ყველაზე მთავარია ვოკალი – ბავშვთა საოცარი ხმათჰარმონია.

რაც შეეხება პოეზიას, ეს ცალკე თემაა. საერთოდ, პოეზიას რომ უდიდეს ხელოვნებად და უდიდეს რელიგიად ვთვლი, ეს უკვე ბევრმა იცის. პოეტი ყველაზე მეტია. არც საერო, არც სასულიერო სამყაროს ჰყავს უფრო აღმატებული ვინმე, მითუმეტეს – რუსთველის სამშობლოში.

ხოდა, დავიწყეთ ლექსების კითხვა.

მაგრამ ეს მოხდა მას მერე, რაც მაკამ განიხილა, მოკლედ და მოხდენილად, მთელი ანთოლოგია, მეშვიდე ტომი, ხოლო ბატონმა ნიკომ გაშალა თავისი ლეგენდა-თემა დიდი მოურავის შესახებ. და აი, დადგა დრო პოეზიისა. აკადემიის წევრები და ადგილობრივნი კითხულობდნენ თავ-თავიანთ შემოქმედებას. მე მომხიბლა ამ პროცესმა. ძალიან მომეწონა როგორც მოყვარულ, ასევე, რაღა თქმა უნდა, პროფესიონალ პოეტთა გამოსვლები. მიშომ და თემურმა განსაკუთრებით ისახელეს თავი. ხოლო როცა მე წავიკითხე ლექსი, მიშომ თქვა ფრაზა, რომელიც არასოდეს დამავიწყდება: არა, სერგი პროფესიონალიც არ არის, სერგი უფრო მაღლა დგას! მის სიტყვებს დაეთანხმა თემური. მერე – მთელი დარბაზიც. რაც შეეხება კახას, მან ყველასა და ყველაფერზე მაღლა დამაყენა

ფაქტიურად, მან ისეთ პოეტთა გვერდით მომიხსენია, რომ ამ სტატიაში ვერ გავბედავ იმ ღვთიური სახელების დაკონკრეტებას. რაღა თქმა უნდა, ეს ყოველივე ლამაზი გადაჭარბებანია მხოლოდ. არა, მართლა ვთვლი, რომ ვარ პროფესიონალი პოეტი, ფანატიკოსი პოეზიისა, მაგრამ მე უკვე კარგა ხანია აღარა მაქვს ამბიცია პირველობა – ლიდერობის, გენიოსობის, რაღაც განსაკუთრებულობის... მე ერთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, და ძალიან უკმაყოფილო – ჩემი მიღწევებით, საერთოდაც, ვთვლი, რომ არა ვარ და ვერც ოდესმე ვიქნები ბედნიერი.....

შემდეგ იყო სუფრა, სადაც, მამა ამირანის არყოფნაში, თამადობა სიმონ ზაქარაიამ იკისრა, და დიდებულადაც გაუძღვა დაკისრებულ მოვალეობას. (არავის ეგონოს, რომ თამადობა ხელოვნება არაა!). სუფრაზეც ბევრმა გაიბრწყინა, მათ შორის – ისევ და ისევ ხათუნა სისაურმა, რომელმაც ფანდურის თანხმლებით არაერთი სიმღერა შეასრულა უმღლეს დონეზე...

უკვე წამოსვლას ვაპირებდით, როცა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ოკუპაციის მუზეუმის დათვალიერება შემოგვთავაზა, და ჩვენც დავთანხმდით.

ეს მუზეუმი, რეალურად, იქვე მდებარეობს, ბიბლიოთეკის ქვეშ. ეტყობა, ამ თითქმის სარდაფულ სიტუაციაში ადრე პატიმრებს ამწყვდევდნენ. არის კედლებზე ძველი წარწერები. ვნახეთ დაღუპულთა სურათები, სიები. ბევრი ადამიანის გვერდით წერია სიტყვა „დახვრეტა“. არადა, ეს ხომ ახლახანს იყო, აგერ, გასულ საუკუნეში, ვითომდა – ჰუმანიზმის ეპოქაში!

არ უნდა არსებობდეს – დახვრეტა, სამუდამო პატიმრობა, წამება!..

ძალიან საინტერესო გახლდათ ნახვა მუზეუმისა, მაგრამ – ძალიან მძიმეც! ეს იყო სულ ორი მოზრდილი ოთახი, ეს სივრცე იტევდა მთელი სამყაროს ტრაგედიას!..

წამოვედით თბილისისაკენ, სავსენი მთელი დღის შთაბეჭდილებებით, ფიქრებით. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ახლაც მომეჩვენა, რომ იგივე გზას იქითობისას უფრო დიდხანს მოვუნდით, ვიდრე აქეთობისას. მცხეთას რომ მოვაღწიეთ, საღამო იყო. მთაზე მცხეთის ჯვარი ენთო, ქალაქში კი – სვეტიცხოველი და სამთავრო. ასე ანთებულიყო კიდენი დიდი, წმინდა სამკუთხედისა. გზაში, მთებზე, რამდენიმეგან შევნიშნეთ ანთებული ჯვრები. ეს ყოველივე ხომ ელექტროობის დამსახურებაა, და მაინც, წმინდა მადლის დამსახურებას უფრო ჰგავდა.

წმინდა ქალაქია მცხეთა.

და აი, თბილისიც გამოჩნდა, ასევე წმინდა ქალაქი, ზეციური მთავარქალაქი. გადანათებული იყო იგი, თითქოს ვარსკვლავები ციდან მიწაზე ჩამოუყრიათო, ან – მიწაც ცა გამხდარაო. მართლაც, ქვევითაც, ისევე, როგორც ზევით, ვარსკვლავნი ენთო და ჩვენი მანქანა ორ ცას უახლოვდებოდა თითქოს. ცებიც და ზოგნი ვარსკვლავნიც ნელა მოძრაობდა. ეს იყო, ალბათ, პოეტური ილუზია. მთლიანობაში დიდი პოეზია გახლდათ ეს ყოველივე.

სრულდებოდა ჩვენი მოგზაურობა, მაგრამ, ამავე დროს, თითქოს, მარადისობაში მარადიულად გრძელდებოდა იგი.....

თბილისი. 2019 წელი. გაზაფხული.

პირველი ივლისი ჩვენს აკადემიაში

პირველ ივლისს, წლის მეშვიდე თვეს, გაიმართა შემაჯამებელი საღამო აკადემიის 2018-2019 წლების სეზონისა. ყველა სეზონი, და ესეც – მეცხრეც (აკადემია ხომ, რეალურად, 2010 წლიდან მუშაობს, ხოლო 2012 წლიდან, ანუ სულ რაღაც ორი წლის შემდეგ მისი მუშაობიდან, უკვე აღზევება დაიწყო გასაოცარი სისწრაფით) წარმატებული აღმოჩნდა. ვნახოთ, მეათე, „დამამრგვალებელი“ სეზონი რას მოგვიტანს.

მაშ ასე, – დაახლოებით შუა ზაფხულში, დიდი აკაკის ძეგლთან ახლოს მოფ „აკადემიის ტრადიციულ შენობაში“, შუადღის სამ საათზე, დაიწყო შეჯამება მეცხრე სეზონისა, ხოლო ამ დღეს დაემთხვა ჩვენი ლურჯი ჟურნალის – „ათინათის“ ოცდამეთორმეტე ნომრის გამოცემაც, და ნომერმა პირდაპირ შემოქმედებითი საღამოს დროს მოგვისწრო!

მოგეხსენებათ, ხელოვანნი, ძირითადად, სამად იყოფიან – პროფესიონალები, ნახევრად-პროფესიონალები ანუ ნახევრად-მოყვარულები და მოყვარულები. აკადემიაში სამივე ხაზია წარმოდგენილი. (პროფესიონალს უკვე გავლილი აქვს ორი სხვა გზა). ხელოვანებს ემატება მეცნიერნიც, ასეთივე დაყოფებით... მოკლედ, ძალიან საინტერესო სპექტრს ქმნის, პალიტრას ქმნის, ფერებისას, აკადემია, რომელიც ერთ-ერთი ლიდერი-ორგანიზაციაა თანამედროვე ქართული კულტურის, სუპერაქტიური ორგანიზაცია.

საღამოს, ქალბატონი გულნაზი, მე და კახა ვუძღვებოდით. აქვე ჩამოვთვლი დამსწრეებს: მანუჩარ მაჩაიძე, ილო პატაშური, თამარ ჯაჭვაძე, ლამზირა შეყილაძე, ლეილა გაფრინდაშვილი, ლეილა ჭიუკაძე-ონიანი, შორენა მამალაშვილი, შორენა თალაკვაძე, ლია ჯანეზაშვილი, ლია ოსიაშვილი, ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე, რომელიც შვილთან და შვილიშვილთან ერთად მობრძანდა, მზიური აფციაური, ნიკო ბაღაშვილი, მანანა ზაზიკაშვილი, ლეილა ვადაჭკორია და სხვები. იყო სიმონ ზაქარაიაც, რომელიც, ფაქტობრივად, ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემიისა და ფაზისის აკადემიის დამაკავშირებლის როლში გამოდის. პოეტ თემურ გოგსაძის წარმომადგენლად ესწრებოდა

მისი ნათესავი, ახალგაზრდა ქალი, რომელიც ძალიანაა დაინტერესებული ჩვენი ორგანიზაციის მუშაობით. პოეტი პაპუნა ქვარიანიც მოვიდა სხდომაზე...

საღამო მე გავხსენი და სიტყვა ქალბატონ გულნაზს გადავეცი. შემდეგ მონაცვლებით ვუძღვებოდით ღონისძიებას, და, თუმცა დროში შეზღუდულნი ვიყავით, მაინც მოვახერხეთ, რომ თითქმის ყველა დამსწრე გამოსულიყო. დარბაზი არ გახლდათ დიდი, ასე რომ, ამის შანსი არსებობდა ლექსებმა და სიტყვით გამოსვლებმა გაალამაზეს შეკრება საზოგადოებისა, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი, იმ დღეს, მანუჩარ მაჩაიძის გამოსვლა აღმოჩნდა.

ბატონ მანუჩარს ზოგი ლეგენდარულ ფეხბურთელად იცნობს, ზოგი – ფილოსოფოსად, ზოგი – მწერლად, ზოგი – მხატვრად, ზოგი – პოლიტიკოსად... მგონი ყველა მათგანი სწორია, მართალია: ეს კაცი თავის თავში ბევრ სხვადასხვა ხაზს აერთიანებს. მისი მაძიებელი გონება არ ისვენებს, სულ რაღაცას ფიქრობს, რაღაცას ეძებს.

მანუჩარ მაჩაიძის სიტყვა იყო მოკლე, მაგრამ საინტერესო მიმოხილვა საქართველოს ისტორიისა, და – ამ თემაზე აგებული პოლიტიკური დასკვნები. მოკლედ, ამ კაცს აქვს თავისი სამოქმედო პროგრამა, რომელსაც ფეხდაფეხ მიჰყვება, და არ გამიკვირდება, რომ რაღაც დროის შემდეგ, ახალი პოლიტპარტიის ლიდერადაც მოგვევლინოს. ისედაც ხომ ლიდერული ტიპის ადამიანია.

შემდეგ გამოვიდა უხუცესი (თანაც – მარადახალგაზრდა) პოეტი გურამ ჭავჭანიძე, რომელიც რატომღაც კინაღამ გამომრჩა ამ სტატიაში!

და ასე მიჰყვა რიგი რიგს...

საუკეთესო იყო კახას გამოსვლები. პოეტი გიტარით – აი კახას უმოკლესი დახასიათება. ის არის ბრილიანტი ჩვენი აკადემიის, ფენომენი, სიხარული ჩვენი ერთიანობისა. ის, ჩემს მსგავსად, არის მებრძოლი პოეტი.

არიან მებრძოლი პოეტები, რომელთაც რამდენიმე ასეულ პოეტურ შერკინებაში მიუღიათ მონაწილეობა და მარადგამარჯვებულად დარჩენილან. შეიძლება ოთხჯერ-ხუთჯერ, მეტჯერაც შეიტანო ეჭვი შენსავე გამარჯვებაში, თუმცა მაინც ყველა ხედავს, რომ უძლეველი ხარ იმ ოთხ-ხუთ თუ მეტ პაექრობაშიც, და სინამდვილეში, შენც გრძნობ შენს გამარჯვებას. დიახ, შენც ხედავ ამას. დაეჭვება კი კარგია, – უფრო მომთხოვნი ხდები შენი თავისადმი... თუმცა არ ვიცი, კახას რამდენად ახასიათებს დაეჭვებანი. ვიცი კი ის, რომ მას ყველაზე მეტი მეტოქე დაუმარცხებია პოეზიაში. ძალზე ცოტანი უახლოვდებიან მის რეკორდს, დანარჩენები კი ბევრად, ბევრად ჩამოუვარდებიან მის მიღწევას...

კახას გენიით „ზღვარმა" (ჩვენმა ჯგუფმა) ბევრი რამ მოიგო. ორიათასთვრამეტ-ორიათასცხრამეტ წლებში პოეზიის ჩემპიონატებში გავიმარჯვეთ ჯგუფის ხაზით. უარი ვთქვით ორივე ტიტულზე ბოლოს, მაგრამ არა ერთმა პიროვნებამ მაინც დაგვიტოვა ეს ტიტულები. უარი ვთქვით ერთეულებში გამოსვლაზე. ერთეულებში ნიკო კობერიძემ და დიანამ გაიმარჯვეს პირველად. მეორე წელს კობერიძემ კიდევ უფრო იყო ფავორიტი, მაგრამ გამოკითხვებში, მან და ილია ელიზბარაშვილმა თანაბარი ხმები დააგროვეს, ხოლო ქალთა შორის თაფლო ზარიძემ გაიმარჯვა.

ჩემპიონატები, რეალურად, სხვადასხვა სახით ჩატარდა. ერთეულთა მონაცემები, ზოგ-ზოგ პირთა მოთხოვნის გამო, არა ერთხელ გადაისინჯა, ტიტულების ვადა სრულდება 2020 წლის რომელიღაც თვეს.

დავუბრუნდეთ სტატიის ხაზებს.

მოკლედ, კახას უამრავი წარმატება მოუმკია ხელოვნების ფრონტზე, ხოლო ის, რომ აკადემიაში გვავს ასეთი ადამიანი, არის ჩვენი პრესტიჟის საკითხი.

ქალბატონი გულნაზი იმ დღეს განსაკუთრებით ხელგაშლილი აღმოჩნდა ხათუნა ელიაშვილის ულამაზესი შვილისა და ასევე ულამაზესი შვილიშვილისადმი.

პატარას იმდენი წიგნი აჩუქა აკადემიის პრეზიდენტმა, რომ ბავშვი ხელში ვეღარ იჭერდა აფერადებულ წიგნებს.

რაც შეეხება ჩვენს ჟურნალს, – ესაა მაღალი ხარისხის ფურცლითა და შრიფტით შექმნილი სამასწგვერდიანი ნაშრომი, უამრავი განყოფილებით, ფერადი, პრიალა ყდით. ჟურნალში არის ტექსტები, სურათები, რომელნიც მთლიანობაში ძალიან საინტერესო სივრცეს ქმნიან. ვიტყოდი, რომ ესაა უმაღლესი დონის ჟურნალი, და იდეალურიც იქნებნოდა, რომ არა კორექტურის ამბები. თუმცა კორექტურის პრობლემა, სამწუხაროდ, ყველა სხვა ჟურნალ-გაზეთშიც არის. ეტყობა, რომ დღეს, ეს, თითქმის გადაუჭრელი საკითხია.

მე, პირადად, ხელოვნებით ვცხოვრობ, სხვა რომელიმე სფეროდან არ ვშოულობ ფულს, ხოლო იცით თქვენ, თუ რა მძიმეა, დღევანდელ საქართველოში, ხელოვნებით ცხოვრება. მე, როგორც უხელფასო ადამიანი, რომელიც ფანატიკოსის მკაცრი მზერით აკვირდება სახელოვნებო სივრცეს, მაინც ვერ დავდებ სერიოზულ წუნს ჩვენს ჟურნალს. ყველა აქაურ ავტორს აქვს თავისი ხიბლი, ხოლო ზოგიერთი მათგანი საქვეყნოდ აღიარებულიც არის.

დიახ, „ათინათი“ დიდებული ჟურნალია. და სწორედ ჩვენი „ათინათის“ ბაზაზე იქმნება, ძირითადად, ჩვენივე ანთოლოგიის ტომები – სიამაყენი აკადემიისა. ეს ყოველივე კი ეფუძნება განუწყვეტელ მუშაობას.

და ჩვენი მუშაობა დადებითად შეფასდა სამუშაო სეზონის მიწურულს. ვნახოთ, რა იქნება შემდეგში. მალე ხომ მეათე სეზონი უნდა დაიწყოს...

ბოლოს კი იმას ვიტყოდი, რომ საღამოს ერთი პატარა გოგოც ესწრებოდა, სკოლის მოსწავლე – გვანცა ხარაიშვილი. ეს უკვე მეორე გოგონაა ამ სახელ-გვარით, რომელიც ვაღიარე. ყველა ადამიანი, ვინც ხარაიშვილის გვარისაა, ან ქალბატონი გულნაზის ახლო წრიდანაა, ნიჭიერია და ძალიან ახალგაზრდაა, აკადემიის მომავალი პრეზიდენტი მგონია რატომღაც, და მათ იმედის თვალით ვუმზერ. კახაც ასე უყურებს მათ. მგონი, ქალბატონი გულნაზიც აკვირდება, ამ თვალით, მომავალ თაობას. უკვე არა ერთი ადამიანი შევიგულეთ, სამივემ, ამ პოსტზე, სამომავლოდ. მძიმეა გვირგვინი. არავინ იცის, ვის მოუწევს მისი ტარება. იქნება ეს ნიჭიერი, ინიციატივიანი, ლიდერის თვისებების მქონე გვანცა ხარაიშვილი თუ ვინმე სხვა, ამას მომავალი გვაჩვენებს.

წინ კი გზაა, ასპარეზია, წინ ბევრი სამუშაოა, და აკადემიამ სწორედ მუშაობით, ბრძოლით უნდა გაიკვალოს გზა ახალი მწვერვალებისაკენ.

P.S. მთავარი არგაჩერებაა. მთავარი მოგება-წაგება კი არ არის, არამედ ბრძოლაა მთავარი, მარადი წინსვლაა მთავარი. თუ გაერდები, ან დაჭაობდები, ან უკან წახვალ. სულ წინ უნდა იარო, მარადიულად უნდა ვითარდებოდე. მოძრაობა, რომელიც მუდამ დაპირისპირებულია უძრავობასთან, გახლავთ ერთ-ერთი საფუძველი სამყაროსი. მარადგანვითარება საოცარი სიტყვაა...

2019წ. 2 ივლისი.

მეორე შემაჯამებელი შემოქმედებითი საღამო ივლისში

შემაჯამებელი შემოქმედებითი საღამო უკვე ვახსენე ივლისის ერთ-ერთ სტატიაში, მაგრამ ასე არ მოხდა: ყველაზე აქტიური აკადემია, ჩვენი აკადემია, გაჩერებას, ეტყობა არც ზაფხულში აპირებს. ამავე თვეს მეორე საღამოც გაიმართა.

საქმე იმაშია, რომ გამოვიდა მამა ამირან ამირანაშვილის ფილოსოფიურ-თეოლოგიური წიგნი „საუბარი რელიგიაზე". ნაშრომი გამოვიდა ჩვენი აკადემიის, უფრო კონკრეტულად კი – თვითონ აკადემიის ლიდერის – გულნაზ ხარაიშვილის ეგიდით, მისი რედაქტორობით. თუნდაც ამ ფაქტორიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური გაერთიანება (ორგანიზაცია) ღონისძიებას უეჭველად გამართავდა. ასეც მოხდა.

პირადად ჩემთვის ფილოსოფია ძალიან ბევრს ნიშნავს. მე მიყვარს დაპირისპირებები (პაექრობები), და თუმცა პოეტი ვარ, ბევრ სხვა სფეროშიც ვპაექრობდი. მაგალითად, – ფილოსოფიაში, მხატვრობაში თუ სხვა სივრცეებში იმდენჯერ მიპაექრია უამრავ მეტოქესთან, რომ ამ შერკინებათა რიცხვის მიახლოებით დასახელებაც კი მიჭირს. ფილოსოფიაში განსაკუთრებით ბევრს ვპაექრობდი (ამბობენ, რომ ახლაც კი ვერ შევეშვი ამ ამბებს). სულ რამდენიმე ფილოსოფოსი მინახავს, რომლებმაც მართლა გამაოცეს. ვფიქრობ, რომ ჩვენ, ერთმანეთისგან, არაერთი რამ ვისწავლეთ. იგივეს ვიტყვი სხვა სფეროთა უმეტესობაზეც. იშვიათად არიან ადამიანნი, რომელნიც მართლა მაოცებენ. ბედნიერებაა ნახვა ასეთ ადამიანთა. ხელოვნება, მეცნიერება და სპორტი დიდი სამყაროებია პაექრობისა, თუმცა ისიც სიმართლეა, რო უმთავრესი, იქნებ – ერთადერთი მოპაექრე, საკუთარივე პიროვნებაა მხოლოდ, რაღაც გაგებით მაინც.

მამა ამირანი უაღრესად მრავალმხრივი ადამიანი არის, თუმცა მე, მას, ძირითადად, სწორედ ფილოსოფოსად ვთვლი, და მისი დიდი განსწავლულობა ფილოსოფია-თეოლოგიაში ადვილად დაამტკიცა ამ დიდებული წიგნით, რომელიც ახლა გამოსცა. როგორც ჩანს, მეუფე თადეოზი, პოეტი-ფილოსოფოსი, ჩვენს აკადემიაში, ფილოსოფოსმა შეცვალა, დეკანოზ ამირან ამირანაშვილის სახით. პოეზიის მეუფეთაგან, პოეზიის პატრიარქთაგან, თუკი ერთ-ერთი იყო თადეოზი, ფილოსოფიის ერთ-ერთი მპყრობელი არის მამა ამირანი. ეს ორი სასულიერო პირი შეიძლება ვიგუმნოთ გარკვეულ ნიშანსვეტებად აკადემიისა, ხოლო მიხარია ის, რომ ვერც მამა ამირანი გაექცა პოეზიის ხიბლს, და სხვა რამეებთან ერთად, ლექსებსაც ქმნის ხოლმე.

ფილოსოფია, სინამდვილეში, ღრმად მაქვს შესწავლილი (მხატვრობისაგან განსხვავებით), და თუ ხანდახან გავიხუმრებ, რომ ფილოსოფიაში რაღაც-რაღაცები არ ვიცი, ეს ნაკლებად უნდა დაიჯეროთ. დიახ, მიყვარს ეს სფერო, ვიცი ეს სფერო, მაგრამ ახალმა წიგნმა მაინც სულმოუთქმელად წამაკითხა თავი. ესაა უმაღლესი შეზავება სიმარტივე-სირთულის (სირთულე-სიმარტივის), ესაა, საერთოდ, უმაღლესი ნაშრომი. იშვიათად გადმოუცია ვინმეს ასე მარტივად ასეთი რთული საკითხები. ორჯერ მაინც ლაბირინთში ექცევა მკითხველი, რამეთუ ესაა მძიმე სივრცე, დანაღმული სივრცე შემეცნების, მაგრამ მამა ამირანი ყოველთვის ან თითქმის ყოველთვის ახერხებს იმას, რომ გასაგებად გითხრას, აგიხსნას ყველაზე რთული ხვეულიც კი.

მოკლედ, ეს წიგნი დიდი გამარჯვებაა. ვფიქრობ, რომ მას სახელმძღვანელოდ დაუშვებენ სხვადასხვა სასწავლებელში.

ველით, მამა ამირანისაგან, ახალ და ახალ ნაშრომებს!..

საღამოზე წარმოჩინდა სულის სიდიდე პოეზიისა.

რაღაც დროიდან, დიახ, ისულდიდა პოეზიამ, რომელმაც აიღო დომინაცია საღამოზე. პოეზია ყოვლისმომცველია. იგი ხელოვნებაა, მეტიცაა.

საღამოს, მამაოს გარდა, კიდევ ორი გმირი ჰყავდა, – თეა კანდელაკი, რომელიც ამერიკაში (აშშ), მაცხოვრებელი ქართველი ემიგრანტია, და თემურ გოგსაძე.

თემური ცნობილი იურისტი გახლავთ, საყოველთაოდ აღიარებული ადვოკატი, რომელიც, თავიდან, არაერთი ათეული წლის წინ, ეროვნულ მოძრაობაში გამოჩნდა. იგი მაშინაც წერდა ლექსებს, ხოლო რაღაც დროის შემდეგ საოცარი სიმაღლეები მიმოიხილა პოეზიაში. და, გულნაზ ხარაიშვილის ნებართვით, ივლისის იმ ცხელ დღეს, სწორედ მე გადავეცი მწერალთა კავშირის წევრობის დამადასტურებელი მანდატი პოეტ თემურ გოგსაძეს.

რაც შეეხება ულამაზეს თეა კანდელაკს, ჩემი და ქალბატონი გულნაზის მოლაპარაკების შედეგად, მწერალთა კავშირის მანდატი, თუ წიგნაკი, მას მამა ამირანმა გადასცა.

თეა ძალიან მრავალმხრივი ადამიანია. მას აქვს დედოფლის სილამაზე, არის ქორეოგრაფი, მოცეკვავე და ასე შემდეგ, წერს ხატებს, თუმცა ჩვენში, ყველაზე უფრო, მას პოეზიით იცნობენ. საოცარი წარმოსახვები ახასიათებს, თითქოს სხვა, არამიწიერი სამყაროდანაა, და ამიტომაც შესანიშნავად წერს. პოეზიას უხდება ფერადი, ზღაპრული არამიწიერება, ამ უფერულ, ზღაპარდაკარგულ დროში.

არა, პოეზია არც მიწიერებას ერიდება.

მაგრამ ის მაინც ზეცაა.

პოეზია თავად ღმერთკაცია, თავად ღმერთია...

პოეზია შეიცავს არასაიდუმლო და საიდუმლო ცოდნებს, ხოლო მისი სრული წვდომა შეუძლებელია. ესაა ხელოვნების მეფე, დიდი, უდიადესი რამე თუ ვინმე. პოეზია არის სამყარო და მეტიც...

როცა რუსთაველი ლაპარაკობს, ჩვენ ღმერთის ენა გვესმის...

დავუბრუნდეთ ღონისძიების თემას. სიტყვით გამოვიდნენ – ლამზირა შეყილაძე, ლეილა გაფრინდაშვილი, გიორგი ბეჟიტაშვილი, ნელი კვახვაძე, ანზორ ჯაფარიძე, მალხაზ ჩხიტუნიძე, მამა დავითი (რომელიც მამა ამირანს ახლდა აკადემიაში იმ დღეს) და სხვანი და სხვანი. ზოგმა მათგანმა თავისი ლექსიც გააჟღერა. ძირითადი თემა მამა ამირანმა, თემურ გოგსაძემ და თეა კანდელაკმა გაშალეს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თეას და მალხაზს განსაკუთრებული უფლებები მიენიჭათ აკადემიაში. ასეთი უფლებები სულ რამდენიმე ადამიანს გვაქვს. ჩვენ წლებმა გამოგვცადა. იმედია, რომ ესენიც ჩააბარებენ წელთა ურთულეს გამოცდებს.

იმ დღეს რეჟისორ ნიკო ბაღაშვილის დღეობაც ყოფილა, და რადგანაც სასუფროდ ისედაც არაერთი მიზეზი გვქონდა, ესეც თან დაერთო და, შევყევით პატარა, სახელდახელო, მაგრამ ლამაზ სუფრად იქვე, მეორე ოთახში. რადგანაც ღონისძიება უჩვეულოდ ხანგრძლივი გამოვიდა (სამ საათზე გაცილებით მეტხანს გაგრძელდა), სიფრა მართლაც საჭირო აღმოჩნდა ძალების აღდგენისათვის. წამყვანის ფუნქცია მე მხვდა წილად ღონისძიებაზე, ხოლო სუფრაზე ორი-სამი კაცი ერთბაშად ლიდერობდა. ყურადღებოს ცენტრში, მაინც, წარმოსადეგი, თეთრი დეკანოზი იყო.

რაც შეეხება ქალბატონ გულნაზს, იგი სუფრის დროსაც კი, აკადემიაზე, აკადემიელებზე, შემდეგ ღონისძიებაზე ფიქრობდა...

ერთი რამ გამახსენდა ახლა, და აუცილებლად უნდა დავწერო. ადრე, გომბორის ულამაზესი მთების ერთ-ერთ დიდებულ მწვერვალზე, ავედით – მე, კახა ბაციკაძე და ილო შულიაშვილი. ეს მთა გზის უმაღლესი წერტილის ზევითაა. მას ზღვარის მთა (ზღვარის დიდი მთა) დავარქვით. მიყვარს სიტყვა „ზღვარი“ და ბევრ რამეს ვარქმევ ამ სიტყვას: მიყვარს ალპინიზმიც...

ხოდა აი, ივლისის ამ ღონისძიებაზეც ისეთი ამაღლებული შეგრძნება მქონდა, როგორც მაშინ, „ზღვარის“ მთის მწვერვალზე რომ ვიდექი მეგობრებთან ერთად.

შემოქმედებითი საღამო მწვერვალზე ასვლას ჰგავს. თუ კარგად დასრულდა ყოველივე, ესე იგი მწვერვალზე ახვედი.

თუმცა უსასრულოა რიცხვი მწვერვალთა, და არ უნდა გაჩერდე, მოგზაურობას არ უნდა ჰქონდეს დასასრული...

P.S. ღონისძიებას ესწრებოდა ის რამდენიმე ადამიანიც, რომელთა შესახებაც ქალბატონმა გულნაზმა მითხრა, რომ ეს ადამიანები თანაავტორები არიან დღევანდელი საღამოს ჩატარების იდეისაო. ხოდა, მე დავაფიქსირებ, აქ, ამ პიროვნებათა სახელ-გვარებს: ....

თბილისი. 2019 წელი. ივლისი.

ჯუმბერ ლეჟავას საიუბილეო დღეები

ლეგენდარულ ქართველ ფილოსოფოს-მოგზაურსა და სპორტსმენს, ჯუმბერ ლეჟავას, წელს ოთხმოცი წელი შეუსრულდებოდა.

მაშ ასე, – მისი საიუბილეო წელიწადი არის 2019. გულნაზ ხარაიშვილმა, როგორც ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემიის ერთპიროვნულმა და უცვლელმა ლიდერმა, ივლისის ბოლო დეკადა ერთ დიდ, გადაბმულ ზეიმად აქციას სწორედ ამ მრგვალ თარიღთან დაკავშირებით. მაგალითად, – ოცდასამ-ოცდაოთხ ივლისს სამი ღონისძიება მოეწყო, – დიდუბის პანთეონში გასვლა, და იქ, ბატონი ჯუმბერის საფლავთან შეკრება, შეჯამება ჩვენი საერთო აკადემიური მუშაობისა, შემდეგ რესტორანში დიდი პურობა, რეალურად კი – მსჯელობა წარსულზე, აწმყოზე, მომავლის გეგმებზე, და უკვე მეორე დღეს, დილით, ერეკლე საღლიანის საავტორო გადაცემაში გამოსვლა.

ერეკლემ უპრობლემოდ დაგვითმო ტელეობიექტივის ეთერი, მიგვიწვია, რა, ოთხი ადამიანი – ქალბატონი გულნაზი, მამა ამირანი, მე და ლამზირა შეყილაძე.

ტელეეთერს, რა თქმა უნდა, თვითონ ერეკლე გაუძღვა. კმაყოფილნი დავრჩით ოცდაოთხი ივლისის გადაცემით, რომელიც მთლიანად ლეგენდარულ მოგზაურს მიეძღვნა.

ხოლო მანამდე იყო ოცდასამის ღონისძიებები, როგორც უკვე ვთქვი.

ბატონი ჯუმბერის საფლავზე ოთხმოცი სანთელი ალივლივდა. ყვავილებით მოირთო სასაფლაო. ბევრი ადამიანი შეიკრიბა აქ, რომელთა შორისაც იყვნენ ჯუმბერ ლეჟავას ბავშვობისა და სიყრმის მეგობრებიც. მოიდნენ ჩოხოსნები, გოგი დოლიძის მეთაურობით (ამ სახელ-გვარზე სხვა გოგი დოლიძეც გამახსენდა, – ანსამბლ „ქართულ ხმების“ ბრწყინვალე სოლისტი). ამათ გარდა უამრავნი იყვნენ ცნობილნი და უცნობნი პიროვნებანი. შორს წაგვიყვანს მათი ჩამოთვლა. მეტად სენსიტიურია ჯუმბერ ლეჯავას თემა, – აღარაა ვარსკვლავი, ლეგენდა, რომელიც ყველას უყვარდა. მეუფე თადეოზთან ერთად, სწორედ ბატონი ჯუმბერი იყო მამამთავარი ჩვენი აკადემიისა, ხოლო მამების (ბაბუების) საუკეთესო მოწაფე გახლავთ, სწორედ, ქალბატონი გულნაზი. ლეგენდარული ადამიანების გარდაცვალების შემდეგ, გულნაზს უფრო და უფროხშირად უწოდებენ უწმინდეს სიტყვას, – დედას. ასე უწოდებენ მასზე უფრო ადამიანებიც კი.

ღონისძიებაზე თითქმის ყველა იყო, ვინც უნდა ყოფილიყო, გარდა ფენომენისა – კახა ბაციკაძისა, რომელიც თვით აკადემიის წევრებს შორის, აკადემიის შიგნით, ჩემთან ერთად, მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს ალბათ, ხოლო თავისი ცნობილი ფენომენალურობით, შეიძლება ითქვას, რომ პირველიც კი არის.

კახას ჰქონდა მეტად საპატიო მიზეზები ვერმოსვლისა, მაგრამ მაინც დიდი წუხილი გამოთქვა ვერყოფნისა გამო, ხოლო აკადემიელებთან გულთბილი მოკითხვა დამაბარა.

როგორც მეფე-რუსთველის მშობლიურ ქალაქობას სამი ქალაქი მაინც ჩემულობს, – თბილი და ორი რუსთავი (მე თუ მკითხავთ, სამივეს ჩავთვლიდი მის ქალაქად), ისე სამი კუთხე მაინც ჩემულობს ჯუმბერ ლეჟავას მშობელკუთხეობას, – გურია სამეგრელო, სვანეთი. იქ, გურიაში, ექვთიმე თაყაიშვილების, ნოდარ დუმბაძისა და სხვათა და სხვათა ცნობილ გურულთა გვერდით, ბატონ ჯუმბერს ასახელებენ. რაც მთავარია, ქართველი იყო ესეც, შოთასავით – საქართველოს და მსოფლიოს (სამყაროს) მოქალაქე. არ ვამბობ, რომ შოთას შეედრება (რუსთველს ვინ შეედრე-

ბა?!) მაგრამ სხვებს კი არავის ჩამოუვარდებოდა, ნებისმიერ დიად სახელს დაუმშვენებს გვერდს მისი სახელი. ჯუმბერ ლეჟავა ლეგენდათა შორის განისვენებს იქ – ზეციურ, იდეალურ საქართველოში...

ღონისძება მე გავხსენი, შემდეგ კი ქალბატონმა გულნაზმა აიღო ხელში სადავეები და ბევრ ადამიანს მისცა უფლება სიტყვის თქმისა. სასაფლაო აივსო ფერადი მოგონებებით, სიტყვა-თქმებით, ხოლო მარინა კოლხიდაშვილმა ფანდურის თანხმებლით, მანონი ყუბანეიშვილმა კი პატარა გუნდის თანხლებით, ბატონი ჯუმბერის საყვარელი სიმღერებით აავსეს სივრცე. საოცარი იყო სასაფლაოზე – გარდაცვლილთა ამ მდუმარე საბრძანებელში, გარდაცვლილთა ამ ქალაქში, მუსიკის ჰანგები. მუსიკა პოეზიასავით აცოცხლდება ირგვლივეთს.

არაერთხელ მითქვამს, რომ საოცრადმიყვარს ფილოსოფიური პოეზია და პოეტური ფილოსოფია, ხოლო ორივე ერთად ერთი დიდი პოეზიის ნაწილია. ყველა და ყველაფერია ნაწილი ერთი დიდი, მთლიანი, განუყოფელი პოეზიისა...

აკადემიის ანთოლოგიები ნელ-ნელა პოეზიასავით ყოვლისმომცველი ხდება.

უკვე მერვე ტომი გამოვიდა, მერვე ტომი! და იგი სრულად ეძღვნება ლეგენდას, ადამიან-ლეგენდას, ჯუმბერ ლეჟავას! ქალბატონი გულნაზის მიერ მისი დიდი მასწავლებლის დასაფლავების დღეს დადებული ფიცი წარმატებით სრულდება ყველა ასპექტში.

ვიმეორებ, რომ ბევრი ადამიანი ვნახე იმ დღეს, მათ შორის იყვნენ ბატონი ჯუმბერის ოჯახისა და სანათესავოს წევრებიც.

როდესაც ადამიანთა დიდი კრება ანზორ ჯაფარიძის ცნობილი რესტორნისაკენ გაემართა, მე რაღაც საოცარი დაღლა ვიგრძენი უცებ და სასაფლაოზე დავრჩი. მერე ჩამოვიარე, ნელა, საფლავები, და დიდხანს შევჩერდი ქართულენოვანი პოეზიის გენიოსის – ტერენტი გრანელის საფლავთან. უბრალო, სევდიანი განსასვენებელია, პოეტის გაბზარული სურათით. ვიდექი იქ და ვფიქრობდი ათას რამეზე...

მეორე დღეს, როგორც უკვე ვთქვი, გადაცემა იყო ტლევიზიაში. და სწორედ გადაცემის შემდეგ თქვა ქალბატონმა გულნაზმა, რომ ტოვებს მათ საზაფხულოდ, ეს კი ამას ნიშნავს, – სეზონი, აკადემიისათვის, ივლისში დაიხურა. მგონია, რომ სექტემბრამდე, უკვე აგვისტოში გახსნება სეზონი, ჲთუმცა – ვნახოთ.

ჩვენი ხელწერა კი ასეთია, – ყველა სეზონი წინას უნდა აუმუჯობესებდეს.

ასე მოვედით ოციან წლებთან.

თითქოს ეპოქა ეპოქაში გადადის. ასეთი შეგრძნება სულ რამდენჯერმე მქონდა ცხოვრებაში, ცოტაჯერ, რა თქმა უნდა.

ხოლო, სივრცეში იფერფლება ზაფხულის დღეები...

P.S. ვამბობდი, სამი კუთხე ჩემულობს ჯუმბერ ლეჟავას მშობელკუთხეობის პატივს-მეთქი. ამ დღეებში შემახსენეს, რომ სამს, ვთქვათ, ქართლიც და იმერეთიც ემატება. მთავარი კი ისაა, რომ ჯუმბერ ლეჟავა საქართველოს შვილია... საქართველო – საოცარი ქვეყანა, რომელიც, მსოფლიოსათვის, დღესაც შეუცნობელი არის...

2019 წ.

აკადემიის პრეზიდენტის დღე მწერალთა სახლში

წელს მაისის დასაწყისში, ამ ყველაზე უფრო პოეტური თვის დასაწყისში, ისევ აღვნიშნეთ ქალბატონ გულნაზის დაბადების დღე. ჩვენი მთავარი ქალბატონის დღის აღნიშვნაში გადამწყვეტი როლი ითამაშა გულიადა სანოძემ, ასევე მის მიერ ხონიდან ჩამოყვანილმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა, რომელთაც თვალშეუდგამ სიმაღლეზე აზიდეს ეს ღონისძიება, აქციეს რა, იგი, წლის ერთ-ერთ ცენტრალურ მოვლენად.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ მაისშივეა დაბადებული ქალბატონი მაყვალა გონაშვილი, და მაინც, რა თქმა უნდა, ამავე თვეში (ცოტა უფრო ადრე) გადაიხადა დაბადების დღე – გრიბოედოვის თეატრში. მაყვალა სამოცი წლისა ახლახანს გახდა. გულნაზი გაცილებით უფროსია. გულნაზი და მაყვალა, – ეს ორი დიდებული პოეტი-მოღვაწე განუყოფელია ჩემთვის. განსაკუთრებით მიყვარს ორივენი, რადგანაც გამოირჩევიან მკვეთრად დიდადამიანური თვისებებით. მათი ერთ-ერთი ყველაზე უფრო რჩეული თვისება, მაგალითად, ისაა, რომ თუ ჯანსაღად გააკრიტიკე რომელიმე მათგანი, თუ ოდნავ მაინც შენს მხარეზეა სიმართლე, ისინი, ორივენი, თითქმის ყველა სხვა განდიდებულთაგან განსხვავებით, გაგებით, პოზიციურად ხვდებინ კრიტიკას... მე დაუსრულებლად შემიძლია ამ ორ კორიფეზე საუბარი და ხშირადაც ვსაუბრობ (თუ – ვწერ) მათ შესახებ. მათს კიდევ ერთ თვისებას, მინდა, აუცილებლად გაესვას ხაზი, – ამ ორ ადამიანს არ ახასიათებთ ზურგსუკან ბრძოლები, ანუ ის ფარული ბრძოლანი, რომელნიც ასე დამახასიათებელია დღეს, ჩვენი რეალობი-

სათვის... გულნაზი და მაყვალა ყოველთვის საქმის კეთებისკენ და სიკეთისაკენ არიან მიმართულნი. ორივე ძალიან თბილი, თანაც – ძალიან საქმიანი ადამიანია.

რა თქმა უნდა, ქალბატონი მაყვალა ესწრებოდა ქალბატონი გულნაზის დაბადების დღეს.

ასეთ დღეს რომ მე და კახა არ გამოვტოვებდით, ესეც ნათელია. ჩვენ, ქალბატონი გულნაზის წყალობით, დღემდე ვინარჩუნებდით გავლენას აკადემიაში, აქ ისე ვართ, რგორც გენერალური მდივნები, გენერალური დირექტორები, თუ რაღაც ამგვარნი, და ეს არცაა გასაკვირი, როცა განუხრელად, ბოლომდე სარგებლობ თავჯდომარის (პრეზიდენტის) მხარდაჭერით.

რაღა თქმა უნდა, ღონისძიებას ესწრებოდა მამა ამირანიც, – დირექტორატის კიდევ ერთი წევრი, რომლის გავლენაც, აკადემიაზე, არავისთვისაა საიდუმლო.

სახელოვანი ერეკლე საღლიანიც არ აკლდა ღონისძიებას. ასევე დავასახელებდი გელა ლარიაშვილს, გურამ ჭავჭანიძეს, ლამზირა შეყილაძეს და სხვებს და სხვებს, ხოლო დიდი რეზო ადამიას გამოტოვება, რაღა თქმა უნდა, არც მიფიქრია. აქ იყო მხატვართა კავშირის თავჯდომარეც – გურამ ცარციძე, კიდევ სხვებიც ყველა მათგანი მნიშვნელოვანია პირადად ჩემთვის.

რაც შეეხება ქართულ ჩოხებში გამოწყობილ ანსამბლს, შალვა ილურიძისას, ეს ხომ მშვენება გახლდათ ღონისძიებისა.

აკადემიის ლიდერები, თავიდან დაძაბულნი ვიყავით, მაგრამ პირველივე წუთებში გამოჩნდა გასაოცარი მომზადებულობა ჩვენი ხონელი სტუმრებისა.

მოზარდებმა, ფაქტობრივად, პატარა სპექტაკლი წარმოადგინეს, დადგმა, რომელიც, ძირითადად, ქალბატონი გულნაზის ლექსებით იყო აწყობილი. ამ ლექსთა ნაწილს, ისინი, კითხულობდნენ, ხოლო ნაწილს კი ზეპირად ამბობდნენ. ეს ახალგაზრდობა სამად იყოფოდა, – ბავშვები, ყმაწვილები და იყო ორი ახალგაზრდა ქალიც, რომელნიც საოცრად მღეროდნენ. ძალიან გაგვიხარდა, როცა გავიგეთ, რომ ამ ორთაგან ერთ-ერთი გახლავთ ქალბატონი გულიადას რძალი, ცნობილი პოეტის – ედუარდ უგულავას (რომელიც გულიადას შვილია) ახლადშერთული მეუღლე – ნათია დაშნიანი.

რაც შეეხება ბავშვებს და ყმაწვილებს, ესენი იყვნენ უნიჭიერესი გოგო-ბიჭები, ხონის ლიტერატურის (ხელოვნების) მოყვარულთა წრიდან. ისინი იყვნენ სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლები. ამ მოზარდებმა უშეცდომოდ, დიდებულად გადმოსცეს ქალბატონი გულნაზის პოეზია, საერთოდ, წარმოადგინეს ქალბატონი გულნაზი, როგორც პოეტი, მოღვაწე, და ადამიანი, მთლიანობაში წარმოადგინეს ცნობილი პიროვნებების თავისებური პორტრეტი. ამიტომაც დაჯილდოვდნენ, აკადემიიდან, მადლობის სიგელებით. იმ დღის ღონისძიებაზე ჯილდო გადასცეს: მარიამ ღოღობერიძეს, ვასილ აგლაძეს, გიორგი უგრეხელიძეს, საბა ჯიმშელეიშვილს, დავით ლიპარტელიანს, გიორგი ჩიღლაძეს, დავით ჩანქსელიანს, ნინო ბახტაძეს, გურამ ჯიშკარიანს, ნაზი ჯიქიას, ზიზი ფარულავას, ხოლო მადლობის ბარათები დაურიგდათ; მერის მოადგილეს ქალბატონ მანანა დოფოძეს, კულტურის ცენტრის დირექტორს, მინერი ონიანს, ხონის რაიონის საჯარო სკოლის დირექტორს შორენა კაკაბაძეს.

თვითონ გულიადა სანოძემაც წაიკითხა ქალბატონი გულნაზის რამდეიმე ლექსი.

გულიადა არის ლიტერატურის დიდი მოყვარული, დეკლამატორი და მსახიობი. დეკლარაციაში, მას, მსახიობის პროფესია ეხმარება, და ეხმარება ის, რომ კარგად, ღრმად წვდება ლიტერატურას, წვდება პოეზიის გულს.

გულიადა თუმცა სოლიდურ ასაკშია, მაინც ახალგაზრდულად, მხნედ, შემართულად გამოიყურება, აქვს უზარმაზარი ენერგია, და ყოველთვის შეუძლია სცენაზე პოეტური ცეცხლის დანთება. ამ ქალს აქვს დდი შინაგანი ძალა, შარმი. იგი უბადლოა სცენაზე, უბადლოა ლექსის კითხვისას.

არ მინდა გამომრჩეს ის ფაქტი, რომ სხდომას (ღონისძიებას) ესწრებოდა ფაზისის აკადემიის პრეზიდენტიც – ნუგზარ ნადარაია, ესწრებოდა ცნობილი მეცნიერი მურმან გელენიძეც, ლეგენდარული პოეტის – ბეჟან ხარაიშვილის მეგობარიც – ლევან ბაბუხადიაც, და შვილიშვილიც ლეგენდარული პოეტისა – გვანცა. საერთოდ, და-ძმა ბეჟან და გულნაზ ხარაიშვილებიდან დაიწყო დიდი აღზევება ხარაიშვილთა გვარისა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ იმ დღეს აკადემიის წევრთა რიგიც გავზარდეთ;

და ისიც, რომ იმ დღეს, აკადემიის შეკრებაზე, ყველა თაობა იყო წარმოდგენილი, – ძველიც, საშუალო, ახალიც, უახლესიც. მაგალითად, – აკადემიის ასაკოვან წევრთა გვერდით იყვნენ შორენა მამალაშვილიც, ქეთი მაზიაშვილიც და სხვებიც, რომელნიც ახალგაზრდულ ფრთას აძლიერებენ აკადემიაში.

შალვა ილურიძის ანსამბლი რამდენჯერმე გამოვიდა. ყველას გვიყვარს ეს უძველესი ანსამბლი, რომლის მოღვაწეობა ჯერ კიდევ ნუგზარ ფსუტურმა დაიწყო ოდესღაც. ამ ფოლკლორული ანსამბლის ზუსტი ასაკი არ ვიცი, მართალი გითხრათ.

მე და კახა თითო-თითოჯერ გამოვედით. კახას უკვე მემილიონედ შეასრულებინეს „ზღვარის“ ცნობილი და ბევრის მიერ აჟღერებული ჰიტი – „ჩემი ლირიკა“. ეს სიმღერა, საერთოდ, სხვა სათაურებითაცაა გავრცელებული, მაგალითად: „პოეტი“, „ჩემი ლირიკის ცაზე“, და ასე შემდეგ. ჩვენი ეს

სიმღერა, დიახ, სხვებსაც ბევრჯერ შეუსრულებიათ, თუმცა ქალბატონ გულნაზის ყველაზე უფრო მაინც კახას ნამღერი „ჩემი ლირიკა“ მოსწონს და დაბადების დღეზეც სწორედ ეს სიმღერა ითხოვა. მადლობა დარბაზს (მსმენელებს), რომელიც ამდენჯერ მოსმენილ სიმღერას მაინც ისევ აპლოდისმენტებით შეეგება.

მოკლედ, კიდევ ბევრი რამეა სათქმელი, მაგრამ აქ დავასრულებ სტატიას. ერთს დავამატებ მხოლოდ, რომ იყო ყვავილები, იყო დიიდ სიხარული, იყო კიდევ ერთი აღზევება, იმ დღეს, დიდი გულნაზ ხარაიშვილისა.

ახლა კი, უკვე, აკადემიის შემდეგ გეგმებზე ვფიქრობთ...

საერთოდ, პირადად ჩემი ფიქრები პოეზიისაკენ არის მიმართული.

გარკვეულ წრეებს „ზღვარი“ ბევრჯერ დაუსახელებიათ პოეზიის (ხელოვნების) ჩემპიონად არაოფიციალურადაც და ოფიციალურადაც. ჩვენ ბევრთან გაგვიმარჯვია, მაგრამ როცა დრო გავიდა, მყარად მივხვდით, რომ ერთადერთი მეტოქე, რომელსაც უნდა ეპაექროს (ებრძოლოს) ადამიანმა, მისივე პიროვნებაა მხოლოდ. ეს არაერთხელ მითქვამს. თუ საკუთარ თავს დასძლევ, თუ საკუთარ თავში მოკლავ სისუსტეებს, მხოლოდ ასე აღზევდები ჭეშმარიტად. მხოლოდ ასე იქნები უძლეველი ყველასათვის. შენ უნდა ვითარდებოდე მარად და ინტნსიურად. არასოდეს უნდა შეჩერდეს განვითარების პროცესი. საკუთარ თავთან უნდა გაიმარჯვო და განვითარდე...

მე ვფიქრობ, რომ გულნაზ ხარაიშვილი სწორედ ის ადამიანია, რომელიც ყოველთვის ვითარდება, წინ მიიწევს, და უწყვეტობაა, მარადიულობაა ეს პროცესი. ძალიან ცოტანი არიან რკინის ნებისყოფის მქონე ადამიანები და ერთ-ერთია, სწორედ, ქალბატონი გულნაზი. აბა დააკვირდით, – აგერ, ლამის სამოცდაათ წელსაა მიტანებული, და ახლაც კი ერთის წამითაც არ აპირებს შეჩერებას, დასვენებას. არა! იგი ყოველთვის წინსვლაზე ფიქრობს, სულ მაღლა იყურება, და თუმცა უკვე მრავალი მწვერვალი დაიპყრო, მაინც თვლის, რომ მისი ცხოვრების ევერესტი (ჯომოლუნგმა) ჯერკიდევ წინ არის, ანუ – რომ ჯერაც დასაპყრობია მწვერვალი, ახალი, თანაც უმთავრესი მწვერვალი.

გამექცა სიტყვა.

დროა, რომ სტატია დავასრულო...

თბილისი. 2019 წლის 14 მაისი.

პოეზია და შემოდგომა
(სექტემბრის დიდებული შემოქმედებითი საღამო)

ორიათასცხრამეტი წლის ოცდაორ სექტემბერს, კვირა დღეს, დიდი ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში, საკონფერენციო დარბაზში, გაიხსნა ჩვენ აკადემიის რიგით მეათე სამუშაო სეზონი, ხოლო გაიხსნა იგი პოეტ (პოეტესა) მაგული კუჭაშვილის შემოქმედებითი საღამოთი. საღამოს გახსნა-გაძღოლა თვით აკადემიის ლიდერმა – გულნაზ ხარაიშვილმა აიღო თავის თავზე, და აქედანვე უნდა ვთქვა, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო ლამაზი საღამო ჩვენი აკადემიისა.

პრეზიდიუმში უკვე ტრადიციად ქცეული ოთხეული ვისხედით, მეხუთე ჩვენს გვერდით ქალბატონი მაგული გახლდათ, რომელიც აღმოჩნდა დიდებული პოეტიც და დიდებული დეკლამატორიც, – სოლიდურ ასაკში მყოფმა ამ თითქოს სუსტმა, კაფანდარა ქალბატონმა, გაგვაკვრვა თავისი შინაგანი სიძლიერით, ძალუმი მუხტით, ხმით, მან თითქმის მთელი საღამო უმიკროფონოდ ჩაატარა, და ლექსებს არტისტულად კითხულობდა. ისიც უნდა ითქვას, რომ, კარგი მეხსიერების წყალობით, ძალიან ბევრი ლექსი იცის ზეპირად, თუმცა ყველას ზეპირად როდი ამბობს, – შეცდომებისაგან მაინც იზღვევს თავს.

საღამო ქალბატონმა გულნაზმა გახსნა, ხოლო შემდეგ მე დამითმო სიტყვა. მე იშვიათად მჭირდება მიკროფნი. მკვეთრად ჩამოვაყალიბე ჩემი სათქმელი. მერე უკვე მაგულის გადასცა სიტყვა აკადემიის პრეზიდენტმა, და, მალევე ხელში აიყვანა, სრულიად აანთო დარბაზი.

პოეზია, მუსიკა და ფილოსოფია ძმებია. ამათში არცერთია ფეიქი, ანუ – ყალბი, ცრუ, უშინაარსო, არაფრისმთქმელ... და როცა პოეტურ-ფილოსოფიურ გახდა ირგვლივეთი, იქ მუსიკა თავსთავად უნდა გამოჩენილიყო. ასეც მოხდა, ხოლო მუსკალური გაფორმებით, ეს საღამო, ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩნდა. მართლაც რომ ლეგენდარულ კახა ბაციკაძეს, საშუალო თაობის ამ გასაოცარ პოეტ-მუსიკოსს, ბრწყინვალედ აუბეს მხარი ახალი თაობის წარმომადგენლებმა – ალექსანდრე შენგელიამ და თორნიკე ქიტუაშვილმა. ანსამბლმა „ლილემაც“ ისახელა თავი. ეს საბავშვო ანსამბლია, რომელმაც უკვე არაერთხელ გააოცა ჩვენი აცადემია. „ლილეს“ ხელმძღვანელი გახლავთ გამოცდილი პედაგოგი, ნამდვილი პროფესიონალი – ლეილა ჭიოკაძე. თავი ისახელა ანსამბლის ყოველმა წევრმა, თუმცა, იმ კონკრეტულ დღეს, პატარა მადონა ბერულავას მაინც გამოვარჩევდი. სწორედ მან დაასრულა საღამო, როცა ერთი ძალიან ცნობილი სიმღერა შეასრულა.

მე, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, არაერთხელ მომეცა გამოსვლის საშუალება, თუმცაღა, მთლიანობაში, ბევრი მაინც არ მისაუბრია, სამაგიეროდ დიდებულად დამამახსოვრდება ის ამბავი, რომ პირადად მე გადავეცი აკადემიის მოწმობები (დიპლომები) როგორც მაგული კუჭაშვილს, ასევე შორენა მამალაშვილს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქალბატონი მაგულის მშვენიერი ქალიშვილი ლელა კურტანიძე. ისიც პოეტად გაუზრდია დედას. შვილმაც წაიკითხა რამდენიმე ლექსი, და საერთო მოწონება დაიმსახურა. თუ იგი გაჰყვება ხელოვნებას, ვფიქრობ, ბევრს მიაღწევს ამ სფეროში.

ქალბატონი მაგულის ლექსებით წარსდგნენ, დამსწრეთა წინაშე, გამოცდილი ხელოვანები – ლამზირა შეყილაძე, ლეილა გაფრინდაშვილი, ასევე – სხვებიც. ითქვა ექსპრომტებიც...

მოკლედ, საბოლოო ჯამში, ერთ დიდ ზეიმად გადაიქცა საღამო...

გამარჯვება უნდა იყოს უპირობო, სუფთა. მაგალითად, – ისეთი უძლეველი მოკრივეებიც კი, როგორებიც იყვნენ როკი მარჩიანო, ფლოიდ მეივეზერი, ტაისონ ფიური (ის, მგონი, არ აპირებს კრივიდან წასვლას) და სხვები, სარგებლობდნენ ხოლმე მსაჯთა სიმპათიით, და ამ დიდ სპორტსმენებსაც აქვთ საეჭვო პაექრობები, თანაც, თითოეულს – არაერთი.

ჩვენს აკადემიას კი საეჭვო არაფერი ახასიათებს. მაგალითად, პოეტი კახა ბაციკაძე, ჩვენი კახა, ყოველთვის სუფთად მარჯვებს ხელოვნებაში... მთელი ჩვენი აკადემიაც ყოველთვის სუფთად იმარჯვებს ხელოვნებაში...

ქალბატონმა გულნაზმა ამჯერადაც ზუსტად გათვალა ყველაფერი, მან წინა პლანზე გამოიყვანა გამოცდილი პოეტი, რომელიც უკვე დიდი ხანია იმსახურებდა დაფასებას, და აი, ბოლობოლო, მიიღო აღიარება: მაგული ბრწყინავდა იმ დღეს. ეს მისი ტრიუმფი გახდლათ. თვითონ და მისი უახლოესი წრე, ასევე – დარბაზის ყველა წევრი, შეიქმნა მომსწრე, მონაწილე ნამდვილი პოეტური ზეიმისა.

რა თქმა უნდა, ჩემი სტატია არასრულყოფილი იქნება, თუ მამა ამირანი არ ვახსენე, რომელიც ჩვენი აკადემიის ლიდერთა ოთხეულის თუ ხუთეულის (დირექტორატის) ერთ-ერთი გამორჩეული წევრია. დეკანოზმა დიდი ენერგია ჩადო საღამოს სრულყოფისათვის. ცალკე უნდა აღვნიშნო, რომ ლეილა ჭიოკაძეს სწორედ მის მიერ გადაეცა აკადემიის მოწმობა...

ასაკის მიხედვით, ჩვენ, „ზღვარელებს“, (მე და კახას), ხან უფროს თაობას მიგვაკუთვნებენ უკვე, ხანაც – საშუალო თაობას. ვთქვი, რომ საღამოზე სიმღერა შეასრულა კახამ. დავაკონკრეტებ: ეს იყო „ზღვარის“ სიმღერა „ცეცხლთან თამაში“. ცნობილი ამბავია, რომ „ზღვარელთაგან“, აკადემიაში, მე და კახა უფრო ვაქტიურობთ...

ოცდაორ სექტემბერს ბევრი ლექსი წაიკითხა მაგულიმ. ასეც უნდა ყოფილიყო, – ეს ხომ მისი დღე გახლდათ. ჩვენ, ყველამ ერთად, ყველაფერი გავაკეთეთ მისივე ტრიუმფის შესაქმნელად, და ისიც ბოლომდე დაიხარჯა. ეს იყო პოეტის შემოქმედების დიდი დღე, და თუმცა სოლიდურ ასაკშია, მე მანც მგონია, რომ მას კიდევ ბევრი დიდი დღე ექნება შემოქმედებითი თვალსაზრისით.

საღამოს დირიჟორი – ქალბატონი გულნაზი, ძალიან კმაყოფილ გახდლათ იმ დღით. ბოლოსკენ მან მითხრა, რომ დღევანდელ ღონსძიებას უმაღლეს ქულას (ათიანს) ვუწერო. ასეთი რამ მისგან იშვიათად მსმენია, არადა, ჩვენი აკადემია ყველაზე უფრო აქტიური ორგანიზაცაა, უამრავ წარმატებულ ღონისძიებას ატარებს. ეს აკადემია ნამდვილად არის ერთ-ერთი ლიდერი ორგანიზაცია.

იწურება ოქროსფერი შემოდგომის პირველი თვე. მიდის, იგი, პოეზიით. ყველგან, ყველაფერში იგრძნობა ლექსი: კლასიკურ-კონვენციურც, ვერლიბიც, ვერბლანიც... მიდის, მიღელავს ტალღები დიდი, სამყაროსეული პოეზიისა.

და ჩვენ, ადამიანები, მივყვებით ამ სამარადჟამო დინებას. ჩვენ მარადისობაში ვცხოვრობთ.

ლამაზია ამ სიტყვათა ერთობლიობა, საოცრად ლამაზი, – პოეზია და შემოდგომა.

დაუვიწყარია, წარუშლელი, შემოდგომის პოეზია. სექტემბერმა კიდევ ერთხელ დააასტურა ეს...

თუმცა წინ ისევ ბევრი იდეაა, გეგმაა, გასაკეთებელი ძალიან ბევრი რამ არის.

თბილისი. 2019 წელი. სექტემბერი.

გულნაზ ხარაიშვილი
(ცისკარელი)

დღე სასწაული

2019 წელი პირველი იანვარი. იქნებოდა 4-5 საათი, საჭიროდ ჩავთვალე ფაზისის საერო –სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტისათვის ახალი წელი მიმელოცა. ჩანაფიქრი სისრულეში მოვიყვანე და ბატონ ნუგზარ ნადარაიას ახალი წლის შემობრძანება მივულოცე და კეთილი სურვილების ასრულება ვუსურვე. – იცით ქალბატონო გულნაზ, მეუბნება ბატონი ნუგზარი, ხვალ ბედობაა, ტრადიციულად ბედობის დღეს უწმინდესთან ყოველწელს შევდივართ. 11 საათზე საპატრიარქოს შესასვლელთან შეგროვდით, ერთი ათი ადამიანი უნდა შევიყვანო, უწმინდესის დაბადების დღეა კარზე მომდგარი ბევრი მნახველები იქნებიან იმ დღეს და ამიტომ ჩვენ ორში შევალთ. გამეხარდა ძალიან, წინა დღეს, 31 დეკემბერს, დედა იოანასთან ვიყავი. არაჩვეულებრივი წიგნი მაჩუქა "საქართველოს დიდება" ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ასეთი წარწერით: " უსაყვარლეს, უძვირფასეს ქველმოქმედს, გვერდით მდგომს, უერთგულესს, მოყვასის მოყვარულს, განსაცდელში მყოფ მშობელთა გამხალისებელს, სხვისი მწუხარების გამზიარებელს,

ღვთისმოსავ მამა გაბრიელისაგან მინიჭებულ მადლით აღვსილს, ორმოცდაათი წლის შემდეგ რომ ეზიარა სრულყოფილ პოეზიას და ასევე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალ-პროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს, ჟურნალ "ათინათის" მთავარ რედაქტორს, გულნაზ ხარაიშვილს, ღვთის წყალობით გილოცავთ 2018 წლის მშვიდობიან გაცილებას და 2019 წლის შემობრძანებას.

ეს და სხვა მრავალი წელი ყოფილიყოს თქვენთვის ჯანმრთელობის, სიუხვის, სიკეთის, სასოების მომტანი, წმინდა სამებამ და უფალმა დაგლოცოს, გაგაძლიეროს ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში. მუდამ თან გდევდეს უფლის მადლი.

თქვენთვის მლოცველი, მოსიყვარულე და გულშემატკივარი მონაზონი იოანა (ონიანი) 31. 12. 18 წელი.

2019 წლის პირველ იანვარს შემოთავაზებულ პატრიარქთან მისვლის სიხარულს ფიქრში ვაანალიზებდი, მიხაროდა. გამახსენდა მამა გაბრიელის სიტყვები: "ლოცვა-კურთხევა უდიდესი მადლია, ადამიანი, რომელიც სასულიერო პირიდან ხშირად ღებულობს ამ მადლს, დაზღვეულია მრავალი განსაცდელისაგან."

გამახსენდა ჩემი ლამზირა შეყილაძე, რუსთაველი პოეტი, რომელსაც შვილი გარდაეცვალა, სამი კვირა იყო გასული. ფიქრში ამეკვიატა სხვა დანარჩენი დედები, რომლებიც ჩემნაირი ტკივილით დადიან ცოდვილ დედამიწაზე, მაგრამ ყურადღება ისევ ლამზირაზე შევაჩერე, მისი ფაქიზი გული როგორ შეეგუება ამ ტკივილს? რწმენა, მხოლოდ რწმენა თუ გადაარჩენს. მაგრამ როგორ ვთხოვო ბატონ ნუგზარს, გამაფრთხილა მხოლოდ ათი ადამიანი შევალთ, საჩუქარი გამზადებული გვაქვსო. ისევ ღმერთის ნებას მივენდე და... თხოვნით მივმართე ბატონ ნუგზარს, რომ ლამზირაც ჩაგვერთო ამ ათკაციან ჯგუფში. რა თქმა უნდა უარი არ უთქვია, მაგრამ სია უკვე გადაცემული მაქვს და პრობლემა აუცილებლად შეგვექმნებაო. რწმენით აღსავსე პიროვნებამ, ბატონმა ნუგზარიმ თქვა, იყოს ნება ღვთისაო. ასე გავემგზავრეთ 2019 წლის 2 იანვარს მე და ჩემი ლამზო რუსთავიდან თბილისისაკენ, საპატრიარქოში, პატრიარქთან შესახვედრად. გულში ვხარობდი, რომ ბედობის დღეს ერთი მადლი გავაკეთე.

მადლი საღმრთო ენერგიაა და იგი ადამიანში მართლმადიდებელ ეკლესიასთან თანაზიარებით ძლიერდება, გამომდინარე იქიდან, რომ ეკლესია უფლის მისტიკურ სხეულს წარმოადგენს (ეპისკოპოსი ზენონი).

მადლი სიბრალულისა დედაა, ყველა სხვა მადლსა, ადამიანის გულს ამან უნდა აწოვოს თავისი ძუძუ (წმინდა ილია მართალი).

ერთი ადამიანი რომ გძულდეს, სასუფეველიდან შორს ხარ, – გიყვარდეს ყველა, ეცადე იპოვო სასუფეველი (მამა გაბრიელი).

სწორედ მამა გაბრიელის მადლით დავდივარ და ვცდილობ მიყვარდეს ყველა, ვპატიობდე და ვზრუნავდე სხვის საკეთილდღეოდ. უფალმა თქვა გულით მოითხოვე და მოგეცემაო. სწორედ გულით მინდოდა ლამზირა პატრიარქთან შემეყვანა და თხოვნა შემისრულა ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ.

შევედით საპატრიარქოს რეზიდენციაში. წამიერად გულის სუნთქვაც კი შევაჩერეთ ბატონმა ნუგზარმა მთელი წლის ანგარიში სიტყვიერად მოახსენა და ახალი გაზეთი "ფაზისი" საჩუქრად გადასცა, უწმინდესმა გაუღიმა ბატონ ნუგზარს და მშვიდი ხმით მიმართა: რას აკეთებთ ფაზისელებიო. მოკრძალებით მოახსენა მთელი წლის მუშაობის შესახებ ბატონმა ნუგზარმა იქ მისული პიროვნებები წარუდგინა და მარინე კოლხიდაშვილს სთხოვა, რომ სიმღერა შეესრულებინა. ქალბატონი მარინეს ხმა სამრეკლო ზარების რეკვას წააგავდა, უწმინდესს სახეზე სიამოვნების სხივი დასთამაშებდა. ამის შემდეგ ჩემი პიროვნება წარუდგინა და მეც არ დავაყოვნე ჟურნალი "ათინათი" გადავშალე და... – უწმინდესო, მივმართე, აკადემიასთან არსებული ჟურნალი "ათინათი" წელიწადში ოთხჯერ გამოდის ყოველი ახალი ნომერი თქვენი სურათით და თქვენზე მიძღვნილი ლექსით იწყება. საქართველოში არ არსებობს არცერთი პოეტი თქვენ რომ ლექსს არ გიძღვნიდეთ, მაგრამ იმდენად მიყვარხართ, თქვენს სიყვარულს ვერავის ვუნაწილებ და მე გიძღვნით ახალ-ახალ ლექსებს, ჟურნალი გადავშალე და კითხვა დავიწყე.

შემდეგ ანთოლოგიის მეშვიდე ტომი ამოვიღე და კვლავ ახალი ლექსი წავუკითხე, მომეფერა, წიგნი ჟურნალებთან ერთად დავდე და ხელზე ვემთხვიე. ბატონმა ნუგზარმა ლამზირასაც მიმართა ხომ არაფერს წაიკითხავო, მანაც წაიკითხა უწმინდესისადმი მიძღვნილი ლექსი. საჩუქრად სანთლები დაგვირიგეს, უწმუნდესთან სურათი გადავიღეთ და ჩვენ რომ გამოვედით უწმინდესი იქვე იჯდა და მადლიანი თვალებით გვაცილებდა.

გარეთ გამოსვლისას ბატონმა ნუგზარმა ლამზირას მიმართა, უწმინდესმა თვითონ თქვა ნუგეშის მისაცემად იმ შაოსან დედას სიტყვა ათქმევინეთო. წამოვედით ღვთით, რწმენით აღვსილები და ბატონი ნუგზარ ნადარაიას მადლიერები.

იმერეთო, ჩემო ხოჯარეთო

ნუნუ მასწავლებელო, ჩემი გულის დაფაზე დიდი ასოებით დავწერე თქვენი სახელი. თქვენ ჩემში დაინახეთ ის, რაც სხვას არ დაუნახავს, დაინახეთ ტკივილით ნაშენები პირამიდები და მოინდომეთ ჩემი გულის გათბობა. მე ჩემი საჩხერიდან გამეხარდებოდა (გამიხარდა), თორემ თბილისში ჩემი ღონისძიებებით არა ერთ პიროვნებისათვის გამილღვია სულის ყინული.

პედაგოგის ძირითადი მიზანი უნდა იყოს შრომა და მარადისობა უკვდავებისაკენ. ამ თვისების მქონე პედაგოგი შემართებულია წინსვლისაკენ. პირადად მე ასეთი შთაბეჭდილებით დავრჩი თქვენს მიმართ. თქვენ არ გაკლიათ დიდების ხარისხთა კიბეებზე ასვლა და კიდევ გიჩნდებათ სურვილი წარმატებებისაკენ. თქვენ ზრდიდით და ზრდით თაობებს და დაუკმაყოფილებლობის ჟინი გაფორიაქებთ. ეძებთ, აკეთებთ, ხედავთ. თქვენი სულის ტაძარი ძიებაშია. მოვიშველიებ

წმინდა ილია მართალის სიტყვებს და ვიტყვი: “რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?”

ქალბატონო ნუნუ, თქვენი ჩატარებული ღონისძიების შემდეგ ეს სიტყვები მიტრიალებდა ფიქრთა კორიანტელში; რას დავწერდი თქვენს შესახებ და როგორ გამოვხატავდი იმ დიდ სიამოვნებას, რაც მანდ ვიგრძენი. იქნებ ერთმა თბილმა სიტყვამაც იკმაროს-თქო და ათრთოლებულმა წერა დავიწყე.

იმ დღეს, როცა მდინარე ვერემ ტრაგედია დაატრიალა თბილისში, დაიხრჩო ხალხი და ზოოპარკის უამრავი ბინადარნი – მხეცები, ჩვენ ერთად ვიყავით ბოდბეში, სადაც წმინდა ნინო განისვენებს. არ მინდა მკითხველი დავაბნიოთ და აქვე ავხსნი; ჟურნალი “ათინათი” რომლის დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი მე ვარ, წმინდა ნინოს ხატითაა მადლმოსილი. (ხატი ეკუთვნის ცნობილ მხატვარს და პროზაიკოსს ბატონ რეზო ადამიას). წმინდა ნინოს ხატით “ათინათის“ გული ფეთქავს. ამიტომ იყო, რომ ჩემი კუთხის “ფესვები”, თქვენი მოსწავლეები, იქ მოვიწვიე, ბოდბეში, სადაც მუშაობს ჩემი აწ გარდაცვლილი ძმის, ბეჟან ხარაიშვილის თანაკურსელი, ანა ბოდბელი, ღონისძიება მისი ხელისშეწყობით ჩატარდა. იქ, იმ ღვთის ადგილზე, როცა თქვენ მაღალ ფერდობზე შეაფინეთ თქვენი ანგელოზები - “ბავშვები” და როცა სიტყვას ამბობდით, იყავით რაღაც არაამქვეყნიური, ზეციური. თქვენ სიტყვას ტყის ექო იმეორებდა. შორს, შორს სადღაც მეორდებოდა მთებში სიტყვები - აღმზრდელობითი, დიდაქტიკური, ჰარმონიული ხმით აჟღერებული, შთამბეჭდავი და ამაღლებული იყო. იქ მყავდა მოწვეული მხატვარი; ხატმწერი და პროზაიკოსი ბატონი რეზო ადამია, ბავშვებს გავაცანი იგი და ჟურნალებიც დავურიგე საჩუქრად. იქ ნათქვამი ჩემი სიტყვები ტყის ექოსავით გაიმეორა ხუთი წლის შემდეგ შენმა მოსწავლემ, რომ მე მითქვამს;

ვდგავარ თქვენ წინაშე ერთი ჩვეულებრივი გოგონა და თავი არაჩვეულებრივი პოეზიის საუფლოში მგონია. ბედნიერი ვარ იმით, რომ შემიძლია თქვენსავით ბუმბერაზ ადამიანებს ვესაუბრო, ჩემი აზრი გავუზიარო და რჩევა ვკითხო.

დიდი სიხარულით ვიხსენებ ჩემი ქართულის მასწავლებლის ნუნუ გოგოლიძის ხელმძღვანელობით მოწყობილ ჩვენს პირველ შეხვედრას ბოდბეში, სადაც აკაკის საიუბილეო დღესასწაული თანამედროვე, გამოჩენილ პოეტებთან ერთად ვიზეიმეთ. შეუძლებელია სიტყვებით გამოვხატო მაშინდელი ჩემი აღფრთოვანება. როცა იმ ლამაზ დღეზე ვფიქრობ, ჩემს სულში ხმიანდება თქვენი საოცრად ნატიფი, სულის გამაფაქიზებელი სიტყვები, სულ სხვა ჟღერადობა რომ შესძინა უწმინდესმა ადგილმა – წმ. ნინოს სამკვიდრებელმა.

„გადამესვენა მკლავებზე მთვარე,
მომეფაქიზა გადაღლილ შუბლზე,
მითხრა: შენია ეს არემარე
და მიმანიშნა ჩემს მდიდარ სულზე.

„ოქრო რად მინდაო“– ბრძანეთ ოქროს გულის ქალბატონმა და თქვენი ცხოვრება და შემოქმედებაა ეს ოქრო!

ზღვად ჩამიგროვდა გულში ლექსები,
ტალღა მოასკდა მკერდის ნაპირებს.
ლექსით სუყველას გეალერსებით...
და... საჩუქრებსაც ლექსით ვაპირებ.
პრანჭიკელებმა იცინეს ჩემზე,
აათამაშეს კუნთით ბეჭები.
პოეტიაო, ამბობენ შენზე
აბა გვაჩვენე შენი ბეჭდები.
ოქრო? რად მინდა... განძი ლექსია,
ხან ბაჯაღლოა, ხან მზე და მთვარე,
ის მტევნებივით ჩემში ასხია,
თქვენი პასუხიც აქ დავამთავრე.
გადახარხარდნენ... ღრეობა იწყეს
ერთ მასად იქცნენ კაცი და ქალი
გულისწორები ვეღარ გაიყვეს,
დაბარბაცებდნენ ქუჩაში მთვრალნი.
გადამესვენა მკლავებზე მთვარე
მომეფაქიზა გადაღლილ შუბლზე,
მიხრა: შენია ეს არემარე
და მიმანიშნა ჩემს მდიდარ სულზე.

ამქვეყანაზე მდიდარი ის არის, რომელსაც შეუძლია სიკეთის კეთება. მე კი ასე მივმართავ ჩემი საჩხერის ნორჩ, ქორფა ყვავილს, იმ მოსწავლეს, რომ მასში გადმოსულია წმინდა ნინოს მადლი და წერა გააგრძელოს, არა მგონია ვცდებოდე, ის აუცილებლად დაადგება იმ გზას, რომელსაც მწერლობის გზა ჰქვია.

საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი წრის მოსწავლეებმა, რომელთაც თქვენ ხელმძღვანელობთ, ნუნუ მასწავლებელო, სიყვარულის ცეცხლი დაანთეს სცენაზე. 2019 წლის თოთხმეტი თებერვალი ვალენტინობა - დღე სიყვარულისა, დაუვიწყარი იქნება ჩემთვის, და იქ მიწვეული სტუმრებისთვისაც. ბავშვების მეხსიერებას შემორჩება ბატონი რეზო მიშველაძის სიტყვები. ის სცენაზე იდგა, როგორც ღმერთკაცი და თავისი ჩვეული ღიმილით საუბრობდა ჩემს პოეზიაზე. მე მწერალთა კავშირიდან მიღებული მაქვს პრემიები: მარიკა ბარათაშვილის, კულტურის ამაგდარის, ღვაწლმოსილის, გალაკტიონ ტაბიძის, ბეჟან ხარაიშვილის და აკაკი წერეთლის. იმ დღეს ჩემი ყველაზე დიდი საჩუქარი და ჩემი ღვაწლის დამაგვირგვინებელი პრემია იყო – ბატონი რეზო მიშველაძე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ქართული პროზის რაინდი, უამრავი წიგნის ავტორი და მათ შორის ოცდაათი ტომის შემქმნელი, გამომცემელი. როცა საუბრობდა გეგონებოდა ცის კამარა რაღაც ძალამ გახსნა და გამოჩნდა მზე, რომლის სხივები ეფინებოდა დარბაზს. სცენის მიღმა ვარსკვლავები იყო მიმალული, დედა ვარსკვლავი, ანუ თქვენ ნუნუ მასწავლებელო, პაწაწუნებს რჩევებს აძლევდით, რომ არ დაბნეულიყვნენ. ვისთვის რა არის ბედნიერება, ეს ჩემი განკითხვის საქმე არ არის, ჩემი ბედნიერება დაიწყო იქიდან, როცა საჩხერის რაიონის ჭალვანის საჯარო სკოლას მიენიჭა ბეჟან ხარაიშვილის სახელი, დაარსდა მისი სახელობის პრემია... ეს ყველაფერი მოხდა ბატონი რეზო მიშველაძის ხელშეწყობით, მაყვალა გონაშვი-

ლის მხარდაჭერით, რომლის ქალობა მისაბაძია, საამაყოა, ის ჩემი სულის კრედოა, სულის არილია. 2019 წლის 14 თებერვალს კი საჩხერეში გაგრძელდა, სადაც ორი რეზო, მიშველაძე და ადამია, გიორგი ბეჟიტაშვილი, პროფესორი, აკადემიის სწავლული მდივანი, თბილისის სამედიცინო ცენტრის "მედიკის" დირექტორი, პოეტი – ლეილა გაფრინდაშვილი, ჭიათურელი პოეტი ლამზირა შეყილაძე, ცნობილი კინორეჟისორი ნიკო ბაღაშვილი და მომღერალი ომარ მუბაშვილი ჩემი დაჭრილი გულის გასათბობად იყვნენ წამოსულები.

ნუნუ მასწავლებელო, როცა გომიდან გადაუხვევ და გაცდები ვაყას, ალს, ცხედიჯვარს, იწყება საოცარი სილამაზე ბუნებისა, გორაძირამდე არის ჯადოსნური სამყარო, იკარგები, გავიწყდება ყველაფერი, სული გადადის სხვა სამყაროში, რასაც ედემი ჰქვია, მაგრამ იმ დღეს, არაფერი დამინახია, მივჩერებოდი გზას და ვფრთხილობდი, რომ გზაზე რამე ხიფათს არ გადავყროდი. პასუხისმგებელი ვიყავი, თოთოეული ამ ჩამოთვლილი პიროვნებების ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე. ამიტომ საჩხერემდე, მანქანაში მსხდომის გარდა, არავინ მახსოვდა, სიხარულს ვერ ვითავსებდი. ახლა რომ ვაანალიზებ ყველაფერს, მადლობას ვუხდი; მერიის წარმომადგენელს ბატონ კახა სამყურაშვილს, ხოლო მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორს ბერიკა დეკანოიძის მიმართ დამეუფლა ასეთი სურვილი; მზად ვარ მივიღო ჩემი სულის წევრად, ანუ აკადემიის წევრებად მიგიღოთ ორივე. ნუნუ მასწავლებელო, თუ თქვენთვისაც რამე ღირებულებას წარმოადგენს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემია, რომელიც დაფუძვნებულია მოგზაურის გარდაცვალებამდე და ფუნქციონირებს უკვე ათი წელიწადი.

თქვენ, ნუნუ მასწავლებელო, ამდენი წლების ლოდინის შემდეგ, გაჭერით ჩემი სულის ლენტა და შემომაფრქვიეთ რწმენა ხვალინდელი დღისა. ვერ დავიჯერებ თქვენში პოეტის სული არ ბინადრობდეს და იცით რატომ? ჩემი ლექსები, რომელიც თქვენს მიერ იყო წარმოდგენილი საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდათა სასახლეში, იმდენად სიღრმით ჰქონდათ შესისხლხორცებული ბავშვებს, რომ იგრძნობოდა თქვენი პოეტური ხედვა. (გმადლობთ ამისათვის). ჩემს წარმოსახვაში თქვენ დგახართ მოდინახეზე, როგორც სიონის მაღლაფერდობზეა ქართვლის დედა, ხეთა სიმწვანეში, და იცავს სრულიად საქართველოს. თქვენ მოდინახედან გასძახით თაობებს, იცოდეთ სი-

ცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასი. აჯობეთ დროს და იწამეთ ღმერთი. იყავით მიმტევებელნი, საჭიროების შემთხვევაში მებრძოლნიც.

ისევ დავუბრუნდები ღონისძიების შინაარსის გაანალიზებას. ბავშვები იყვნენ ბრწყინვალედ მომზადებულები. სურვილი გამიჩნდა ეს გავიმეორო თბილისში, თუ რათქმა უნდა თქვენ არ იქნებით წინააღმდეგი.

რაც შეეხება ფინალს, პედაგოგ ნაზი არსენიძის პირველ კლასელებს, ისინი იყვნენ გაზაფხულის პეპლები და ფრთხიალებდნენ სცენაზე. ხან მერცხლებადაც წარმოვიდგინე, ჭიკჭიკებდნენ და ყვებოდნენ ლექსებს. როგორ გამოწვრთნა ნაზი მასწავლებელმა პირველკლასელები, მათ ხომ ჯერ წერა-კითხვაც არ იციან, გამახსენდა თბილისის 36-ე სკოლის პედაგოგი ციური ხოჭუა, რომელსაც მიწვეული ვყავდი. არ მოველოდი, ნახევარ საათში, ისეთი წარმოდგენა დადგეს ლექსებით, მომეწონა და იმ მოსწავლეებით გავხსენი თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩემი საღამო, რომელიც მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მაყვალა გონაშვილს მიჰყავდა. ნაზის ბავშვებმა ფიქრის ზღვაში შემაცურეს. რას შევძლებ, როგორ გავაგრძელებ მათთან ურთიერთობას, ეს მათზეც იქნება დამოკიდებული. ჩემგან სიყვარულის სიტყვები და ლოცვა არასოდეს მოაკლდებათ პატარა ანგელოზებს. რაც შეეხება ქალბატონ ნაზი არსენიძეს, ის აკადემიის წევრია, თვითონ შემოქმედია, ჩემი რძალია, ჯამბული შუბითიძე – მისი მეუღლე – თანაკლასელიც იყო, ბიძაშვილიც და ყურადსაღებია ის, რომ ბავშვები სახლშიც მიჰყავდა, რომ ამხელა საზოგადოების წინაშე წარდგენილიყვნენ. ასეც უნდა გარჯილიყო ნამდვილად. ცარიელი სამადლობელი სიტყვები არაფერია, მეც სანახსოვრო ყურადღებას გამოვიჩენ მათ მიმართ.

საჩხერის საქალაქო ბიბლიოთეკას ბატონმა რეზომ საჩუქრად გადასცა დიდი საგანძური ტომეულებისა. მე პირადად საჩუქრად ჩავიტანე აკადემიის შვიდი ტომი, სადაც მკითხველი გაეცნობა სიახლეს ანთოლოგიისას. თვითოეულ ტომში წარმოდგენილია: კლასიკოსი და არა კლასიკოსი პოეტები, აკადემიის ჩატარებული ღონისძიებები, პროზაული, ფილოსოფიური, ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოებები. არის ყველა დარგის მასალები; ეკონომიკა, ისტორია, მედიცინა, ლიტერატურისმცოდნეობა, სოფლის მეურნეობა, თარგმანები. საჩუქრად გადავეცი ჩემი წიგნები: “დარდის პირამიდები”, “ფიქრის ხეივანი” და პროფესორ ლუიარა სორდიას წიგნი: “სამების სამრეკლო-

დან", რომელშიც მეცნიერულად დამუშავებულ-განხილულია; ჩემი, ბეჟანის და ჩემი ძმისშვილის გვანცა ხარაიშვილის პოეზია. ლუარა სორდია ავტორია სამოცდაათი წიგნის, აქედან შვიდი წიგნი მარტო გალაკტიონ ტაბიძეზე აქვს შექმნილი, ხოლო რეზო მიშველაძის წიგნი მოიცავს ათახუთას გვერდს.

სულ ბოლო ფინალი, ბატონი თემურ გოგსაძის ინიციატივით დამთავრდა. ბატონი თემური ჭიათურელი დამსახურებული ადვოკატი და პოეტია, არ მოველოდი, ეს იყო სრულიად გაუთვალისწინებელი ამაღლებული განცდა. მაყურებელმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა იგი და კარგახანს არ დამცხრალა ოვაციები.

მამა გაბრიელი ამბობს: ღმერთი არის სიყვარული. ერთმანეთის სიყვარული უნდა ვისწავლოთ. ნურავის ეგონება, რომ სიყვარული თანდაყოლილი ნიჭია, სიყვარული ისწავლება და ყველამ უნდა ვისწავლოთ.

თქვენ, ნუნუ მასწავლებელო, სიყვარულით, დაუზოგავი ენერგიით გიღვაწიათ, გაგიზრდიათ თაობები... აკი თქვენი აღზრდილი არ იდგა სცენაზე, საჩხერის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი; ნაზი არსენიძე, და მის მიერ მომზადებული პირველი კლასელები. თაობათა კავშირი იყო გაერთიანებული, ისე, როგორც ჩვენს აკადემიაში. ქალბატონი მაყვალა გონაშვილი ჩვენს აკადემიას სიყვარულის აკადემიას უწოდებს. წამოვედი სიყვარულის ქარტეხილში გახვეული და გულში ვიმეორებდი ჩემივე ლექსის სტროფებს:

„წლები მიჰქრის, დამათოვა ჩუმად თმაში,
სიბერე კი დაჭიხვინებს დაზაფრული.
თამადა ვარ სიყვარულის ამოხსნაში;
იმერეთში?.. სხვა ფერია გაზაფხული!"

იგი ლამაზია აკაკითი, მუხრანით და მრავალი ღირსეული პიროვნებებით. ახლა არ მოხდა, რომ ლაშა ტალახაძემ მთელი საქართველო ასახელა? ვამაყობ ჩემი საჩხერეთი, ვამაყობ იმით, რომ ჩემი ფესვები აკაკისეულია.

აკაკის შემოქმედება მარგალიტების მთებია, მდინარე ყვირილის ტალღებია, შაშვის გალობაა, ტყის ჩურჩულია, ლამაზი დღის აისია, შეუპოვრობა და მტრის წინააღმდეგ აღმარული მახვილია, სამართლიანობაა; მისი ლექსები დედის იავნანაა, მამულის სიმღერა და ლოცვაა!

„დიდო მგოსანო, ფრთაშესხმულო, აზრის სარდალო,
გულით გიმღერი, მოკაშკაშე ლექსით შუქმფინარს,
აბა, მე თავი მუზის ღმერთკაცს ვით შეგადარო,
მე მხოლოდ შენი კალმის ჩრდილში დავეძებ ბინას!“

აკაკი წერეთელს!

ვკოცნი შენს სიტყვებს
მოკრძალებულად,
შენი აზრია უდავოდ ძვირი,
თავს ვთვლი ყოველთვის
მე ვალდებულად
გულზე ავიბა, ვით ბრძოლის მძივი.
შენ უკვდავება გერგო ხარისხად,
მე პოეზიის აჩრდილს დავყვები,
სულის პოეტებს შენი მხარისას
მჯერა, ზეცაში ეამაყები!

ფიქრმა გამიტაცა და ყოველდღიური საქმით სულის დასაოკებლად, გულში ვნატრობდი;

ფური ვიყო, ვეწეოდე უღელს ხარად...
და ყოველდღე ჩემ თავს ვკითხო;
რა ვაკეთო ჩემი კუთხის გასახარად?

ჩემს იმერეთს დედასავით ვეფერები

ჩემი კუთხის სურნელებით დამათვრეს
მიტომ მიყვარს დედასავით, ღმერთო,
ოცნებებში ღამეს შენთვის გავათევ,
იმერეთო, ჩემო ზღაპარეთო.

ბავშვობა ხაიდანაც მოვდივარ

ამ სურათზე ჩემი დედაა, დონიკა შუბითიძე. რაც შეეხება ბებიას, ის მეორე ცოლი იყო ბაბუაჩემის. მამაჩემი როცა დაბადებულა, ბებია გარდაცვლილა. ოლა ბებია რუსის ქალბატონი იყო, ძალიან გვიყვარდა ბავშვებს. მარცხნიდან უფროსი ძმაა ლევან ხარაიშვილი, მარჯვნივ თამაზია, ხოლო პატარა გოგონა მე ვარ. გვერდზე სურათი რომ არის, სამი თვის პატარა გულნაზია. თურმე ბედნიერება ბავშვობაა და მერე კი, ტკივილი და ჯვარცმა. აღარ ვწერ ჩემს ისტორიას, არ ვთვლი საჭიროდ.

სამი თვის გულნაზ ხარაიშვილი

ჩვენს შემდეგ დაბადებულები არიან: იუზა, ბეჟანი, ეთერი, და ამირანი. იუზა დედას ერთი წლის გარდაცვლია, წითელა ბატონებით. თითონ დედაჩემს ცხრა დედმამისშვილი ჰყავდა, არცეთი დედმამიშვილი ასაკით არ გარდაცვლილა სულ ახალგაზრდები ბედისწერის მსხვერპლი გახდნენ, ამაზე სხვა დროს ვისაუბრებ. გავიზარდეთ ექვსი დედმამიშვილი, ოთხი ძმა და ორი და. დედა არასოდეს თავის დარდს არ გვახვევდა, შვილებს ყველას ხათრი გვქონდა მისი, გვასწავლიდა დოლს გარმონს, ფანდურს, ცეკვას ახლა ამ გადასახედიდან რომ ვუფქრდები რა ნიჭიერი დედა გვყოლია, მისი მშობლები იყვნენ დიანოზ შუბითიძე და აღათი ტაბატაძე დიანოზ პაპას არ უყვარდა ძირს რომ ნამცეცები დაიყრებოდა და იმას არ აკრიფავდი. ბავშვებმა ვიცოდით მისი ხასიათი და ისე ვიქცეოდით, როგორც მას სიამონებდა. ჩემი პატარა ძმა ამირანი არ უჯერებდა, ჩვენ თუ სახლში შემოგ-

ვაგროვებდა ბებია წიწილებივით და ამირანი გარეთ იყო, ქარის ხმაურიც კი პაპას ამირანის სიცელქედ ეჩვენებოდა. ამას ახლა ვგრძნობ ბებიას თუ რა ცეცხლის ალში უცხოვრია. დარდიანი ქალბატონი თავის დარდს არასოდეს ახვევდა არავის. დეიდა ელენემ დედაჩემმა და ვახტანგი ბიძიამ დაიტირა თავისი მშობლები ანუ შვიდი შვილი სხვდასხვა დროს და სხვადასხვა ასაკში ბებიას და პაპას გარდაეცლა, ომით, უბედური შემთხვევით, მაგალითად ოჩამჩურის რაინში ბიძაჩემი ტერენტი შუბითიძე, ბრიგადირად მუშაობდა ჩაის ფაბრიკაში, ბიძაჩემი იყო ძალინ კეთილი ლიდერობის თვისებებით დაჯილდოვებული პიროვნება, ის ქორწილში მოკლეს, თამადა იყო ერთ-ერთ ოჯახში, არ გავაგრძელებ ამ ტრაგედიას, დაუბრუნდები ჩემს მშობლებს. ერთი სიტყვით სიყვარულით შექმნილ ოჯახში, სიყვარულის ცეცხლი გიზგიზებდა. სიყვარულის ოჯახიდან გაბედნიერებულ გოგოს ორი ვაჟი შემეძინა. მე პირველი ბედნიერება ვიყავი ჩემი მშობლების და თავს მევლებოდნენ ჩემი მშობლები და დედმამისშვილები. აი, ჩემი ბიჭები კი, ტყუპევით რომ გავზარდე, ესენი დედისთვის ისევ პატარა ბიჭები არიან, ისევ მათთან ერთად ვზივარ და ვამეცადინებ, ეს წლები თურმე ოქროს ხანა ყოფილა ჩემთვის!

ვახტანგ სხირტლაძე და გულნაზ ხარაიშვილი



ოთხი წლის დავით სხირტლაძე,

სამი წლის გელა სხირტლაძე

ეს ჩემი გელაა, რომელმაც 40 წლის ასაკში დამტოვა
და წავიდა თავის გარდაცვლილ მამასთან ზეცაში

გენაცვალე

ერთ დროს მერცხალივით ჭიკჭიკა კეთილი ოლიას ოპერაციის შემდეგ მეტ-ყველება უჭირდა, მაგრამ მის ერთ სიტყვაში, რომელსაც ამბობდა: „გენაცვალეთ" მთელ სამყაროს იტევდა. ახლა ის წავიდა ზეცის წევრი გახდა, სიტყვა „გენაცვა-ლეთ" ოჯახს და ოლიას ახლობლებს ოლიასეულად დაგვრჩება. მის ქალიშვილს, ლალი ბარბაქაძეს, სანთლის ალსა და ლოცვის სიტყვებში ჰყავს, თავისი ლამაზი დედიკო გახვეული, ხოლო ვაჟები მდუღარე ცრემლს, მამის უჩუმრად იწმინდავენ. ცალუღელად დარჩა ნოდარი, რომელიც სიძე კი არა, ყველა ნათესავის ოჯახის წევრი იყო. ყურადღებიანი, საიმედო საყრდენი ყველასათვის. სიყვარულით შექ-მნილ ოჯახში სევდა დატრიალდა.

მის ლურჯ თვალებში დათამაშობდა,
სიკეთის სხივი, ალალი, წრფელი,
მეუღლე მასთან სევდით ვახშმობდა,
უღალატოდ და დარდებით მთვრალი.
წავიდა ნაზი ღიმილ-ბაგეთი,
გენაცვალეთი გარდაიცვალა,
ასეთი ტანჯვა შეხვდა განგებით,
ოჯახს ჯებირი გამოეცალა.
მარიამობას მილულა თვალი
მიიძინა და ცის სახლს ესტუმრა...
აქ მოიხადა ქმარ-შვილის ვალი
მას წმინდა სული მხრებზე ეხურა,
მეც ვენაცვალე, თბილსა და კეთილს
დასავით კარგს და ლამაზ დაიკოს
ჯანმრთელობისგან გულგატეხილს და...
ვწუხ! დროებითი გზები გაიყო.
ბოლოს იქ ვნახავ, ცის მნათობებთან,
რადგან მზესავით. მზისგულა იყო.
თავისი გულით ყველას ათბობდა,
თუნდაც მის გვედით მტერიც მდგარიყო.

ჯგუფ ზღვარს

ვილოცავთ ჩოქცევამდე, იყმილეს: სერმე, ყახა, ზაზუნა, ვასო, ზღვაშოლეამდე და ჯაყმაშვილ ლეგვავას სახელოსნის ძმავალსრიოფილიანი საერთაშორისო აკადემიის საიმედო ჯვარიმეამდე, იყავით აძლიერესნიც და დამთმობნიც. ჩაცივს სცემთ აფრობესს და ეს ხასიათი სიცოცხლის ბოლომდე ვაიყოლიეთ ადამიანობის საეზლად... ჩოზიის სიმსლის წვეთები ვამოიყენეთ სულის საძვენისად, წერეთ და წერეთ... ბევრი ლექსის ზღვის სანაპიროზე დაჯუყმალაობს ამ დაცინოთ მეცს ვერ ახერხებს და თავის ცყივილს ფაფცელს ანდობს. თქენ კი აძლევლნო, ვაყვეთ ლექსის ოყეანეს და ასი წლის ძემდეგ ჩოზიის ცეცხლის აკასრიულობაში ვადაინაცვლეთ!

* * *

სერმე, ყახა, ოყეანეს ზღვაო,
ბლის ყენწერიოს თქვენ ამ მისწვდეთ ძვილო,
ესვეზისაა, ვწყეს დაეასწროთ ესვამო....
ჩემთან ერთად მინდა იძიძილოთ!
რაც ლუყმა ვვაქს ისევ მაძლამს მივცეთ,
ცოდვა ამის, დაძრწის როგორც მგელი,
ჩვენ სიმამთლის, დიდ ბილიყებს მივდებთ,
ჩვენ ხომ უფლის ვასამჯელოს ვლით!

გულნაზ ხარაიშვილი

* * *

ხონი, ეს საოცარი ჰარმონიული სულის საზოგადოებაა, მუნიციპალიტეტიდან დაწყებული, კულტურის, განათლების, პედაგოგებისა და მოსწვლეებით დამთავრებული!
გუშინ, თბილისში, მწერალთა სახლში ჩატარდა პოეზიის საღამო. ხელმძღვანელი (მსახიობი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფლიანი საერთაშორისო აკადემიის ვიცე პრეზიდენტი ქალბატონი გულიადა სანოძე), რომელმაც მაყურებელი აღაფრთოვანა, დაატყვევა,ააცრემლა და ბოლოს ბრძოლის ცეცხლი დაანთო წინ უკეთესი მომავლისაკენ!
გმადლობთ ხონელებო, გმადლობთ ქალბატონო გულადა,რომ ჩემი სულის სარკეში ჩამახედე...
...და ბოლოს გმადლობთ ბატონო მურმან გენელიძევ, ამ საოცრად ნიჭიერი ქალბატონის გაცნობისათვის...

* * *

მადლობის ბარათი ქალბატონ ნაირა უგულავას

ვისურვებდი თქენნაირი ქალბატონების სიმრავლეს აკადემიაში,თქვენ ექიმი ბრძანდებით და კურნავთ ხალხს ფსიქოლოგიურად და ეკონომიურად... ბუმერანგივით დაგიბრუნდეთ უკან ჩემო საყვარელო, ქალბატონო....

* * *

ქალბატონო ნაირა, მე ლექსით ვესაბრები უფალს„ღმერთო, მადლის თესვა დამამადლე, ცათა ფანჯარა მსურს გამოვაღოთქო“ შენ, ამ მადლისათვის, ამ ქართველი ქალობისათვის,უფალმა გულში ჩაგიხუტოს და

ასი წელი არა ეტკინოს შენს მონაგარს! უგულავეების მარგალიტი ხარ, ჩემო ექიმო ქალბატონო! უბადლო ღირსებებით სავსევ...

გულის გამოძახილი

აღარ მაქვს დარდი, არ ავიცრემლებ თვალებს ხვალიდან,
რადგანაც ვიცი კვალი უკვე მოსჩანს მკაფიოდ,
ჩემი ლექსები ახმიანდა ისეთ ქალიდან,
რომელშიც არის ეროვნული სულის ძაფიო...
მაშ გამარჯოს საქართველოს, იმ სისხლის წვეთებს,
რომლითაც უკვე გაიჟღინთა ქართული მიწა,
ო, ქარიშხალო, პოეტი ვარ ნუ დამაფეთებ,
მე ბედისწერა დარდის ნაწნავს უშენოდ მიწნავს!
მაშ გაუმარჯაროს, საქართველოს ღვთის დიდ მსახიობს
გვარით სანოძეს, გულიადას, დედას ერისას,

დღესვე მინდა რომ ის დარდები ხელით დავხიო,
ლექსებს მზის შუქი, ქალბატონო, შენით ეღირსა!
მაშ გაუმარჯოს, ხონელებს და ხონის არწივებს,
ვინაც ყინვები ჩამილეწა გულის ტკივილის,
ოდნავ ხომ მაინც ამომიშრობთ ბედით ნაწვიმებს,
ჟინით ამანთეთ კვლავ მომინდა სისხლის ყივილი!
მაშ გაუმარჯოს, ხონის მართვეს, მაია წყნეთელს,
რომ დასრიალებს,ეროვნული სულის მარხილით,
მჯერა მომირჩენს,და უწამლებს გულს დანაფლეთებს,
ჩემი ლექსები არის გულის გამოძახილი!

ლექსით ნათქვამი მადლობა
(გულიდა სანოძეს)

დედამიწის ყველა კუთხეს ალბათ,
შემოუვლი სიყვარულით მთვრალი,
წლობით ნათოშ გაყინულ გულს დათბა...
გავიცანი ეროვნული ქალი!
გულიადა, გამილეწე გულში,
ტკივილების უსასრულო კალო...
დამავიწყე რაც მწყენია გუშინ,
დამავიწყე, ხელოვანო, ქალო!
კვლავ გამოზრდი, გიორგის და მათეს,
თამარის და გმირ – მაია წყნეთელს,
წინაპრების ვალი ბევრი გვმართებს,
გულს მომირჩენ, მტრობით დანაფლეთებს!!!

არ შემიძლია არ დავწერო

გუშინ ობიექტივის ტელევიზიაში ვიყავით მიწვეულნბი: მამა ამირან ამირანაშვილი, სერგი ლომაძე, ლამზირა შეყილაძე და მე პირადად. კიდევ ერთხელ გამოვხატეთ მოკრძალებული პატივიცემა, დიდი მსოფლიო მოგზაურის, ბატონი ჯუმბერ ლეჟავას სულის პატივსაცემად, გადაცემის დამთავრების შემდეგ, აკადამიაში წამოვედით მე და ლამზირა შეყილაძე. მიკრო ავტობუსს გავყევით. სკამები ორივეს შეგხვდა, ავტობუსში ამოვიდა ერთი ისეთი ახალგზრდა ბიჭი ყველა დედა ინატრედა მის შვილობას, ხელში საბუთები ეჭირა და ტელეფონით ჯერ ხმადაბლა და მერე უეცრად ისეთი სალანძღავი სიტყვები მიაყოლა რათქმა უნდა არასასიამოვნო მოსასმენი კიარა, ყურში გასაგონიც არ იყო. წამოვიდა შენიშვნების კორიანტელი, ახალგაზრდა უკან არ იხევდა და ვინ იცის რითი დამთარდბოდა, ჩემს მოპირდაპირე სკამზე იჯდა, ცალკე რომ არის განკუთვნილი მგზავრებისათვის. ხელი ნაზად შევახე და წყნარად უთხარი: დედი, გენაცვალე ჩემი შვილების ტოლ ახალგაზრდებს არ შემიძლია მასეთ გაბოროტებულებს რომ გხედავთქო. ეს სიტყვები ერთი სამჯერ გავიმეორე. შემომხედა და თქვა თანხაში, დიდ თანხაში გადამაგდო ჩემმა მეჯვარემ და ამ საკითხზე ძმას ველაპარაკებოდი, ჩემი ძმა კი მე მამტყუნებდა არა და ყველა საბუთი ნოტარიუსით დამოწმებული აგერ ხელში მიჭირავს. დედი, ისევ სიმშვიდით მოაგვარებ მაგ საქმესთქო და ქალბატონს მიუბრუნდი მაპატიეთ, საუბარში რომ შემოგეჭერითქო. ახალაზრდა ადამიანურ სამყაროს დაუბრუნდა და საერთოდ მოიხადა ბოდიში. ჩვენი ჩასვლის დროც მოვიდა. ძირს ჩასლმა ნაბიჯს მოუჩქარე, რადგან სამსახურში მელოდებოდნენ. ლამზირას ხმამ გამომარკვია ჩემი ფიქრი კი იმ გაბოროტებულ ახალგაზრდასთან დარჩა. ტყუილებისა და მაფიების დროს რომ ეწირება ახალგაზრდობა. გულნაზი ხმას აუწია ლამზირამ, შენ თუ ხვდები ახლა რა გააკეთეო, შენ ის ახალგაზრდა გადაარჩინე დაუგეგმავ გაუთვალისწინებულ ინციდენტისგანო,დღეს ოცდახუთი ივლისია ერთი დღის ფიქრის შემდეგ მართლაც და ერთი მადლიანი დღე შეემატა ჩემი სიცოცხლის ისტორიას. ყველს მივმართავ: ეს შვილები ჩენი გაზრდილებია და პასუხი კი დედებმა ვაგოთ და კიდევ, ბილწი სიტყვები გულს მისერავს მაგრამ ჩვენი ახალგაზედობა საშინელ დროში იზრდება. არქონობის, უდედობისა და დშლილი ოჯახების ხანაში.

ვინ იყო ოლეგ მელაძე

==========

ოლეგ მელაძე იყო სიკეთის სხივი, მისი სითფო ყველას ყოფნიდა, სტუდენტებს, თანამშრომლებს, ოჯახს, ახლობლებს,ყველანაირად მოწესრიგებულ პიროვნებას არაფერი ეშლებოდა. იყო უკეთილშობილესი,ნიჭიერი მეცნიერი. თავის დაბადების დღეს დედამიწისა და ცის საზღვარზე ხვდება.ხორცი ჯერ სულს არ გაშორებია, არ ეთმობა ცოლშვილი. თანამშრომლები, თავისი ნაჯაფ-ნაღვაწი. ბატონო ოლეგ თქვენ იყავით ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის წევრი – აკადემიკოსი. თქვენი სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდებოდა ჟურნალ ,,ათინათში". წელს ოცდასამ ივლისს ჟუმბერ ლეჟავას იუბილე ავღნიშნეთ, რა დამთხვევაა ბატონი ჯუმბერ ლეჟავა, ჯუმბერ ხარაიშვილი და შენი სტუდენტი ნიკა ხარაიშვილი გაგიწევს მეგზურობას ცის აღმართზე. თქვენი კეთილშობილება წინ დაგხვთებათ. როგორ განიცდიდენ და განიცდიან ყვლა თქვენთან განშორებას. ვწერ ამ სიტყვებს და თვალები ცრემლით მევსება, გზა ნათელი გქონდეს ჩემი აკდემიის ღირსეულო შვილო, გზა ნათელი.ის სართული სადაც თქვენ ფუსფუსებდით დარდის ალშია გახვეული.

ოლეგ მელაძეს

გარდაცვალება

თვალში აქაფქაფდა ცრემლი.
ცრემლი, ალალი და წრფელი...
ისევ სამსახურში გელით,
სკამიც აცახცახდა შენი.
ციცოს, მაიას და თამარს,
გული დაეჯიჯგნათ, დარდით
ვინ არ გამხდარაო ავად,
ისევ წაომდგარა, დადის.
ასე, იმედობდენ დღემდე,
ასე, ლოცულობდენ შენთვის,
სიტყვა მართალია მენდე,
მათ დარდს, მწუხრის ცრემლით ვერთვი..
თვალი შემოავლე თბილისს,
თვალი, კეთილი და სათნო,
მტრედად ვიცი მაინც ივლი,
თბილისს ანდა როგორ დათმობ?

ო, როგორ აგვატირე ყველა

ოლეგ, არ იმჩნევდი სევდას,
იყავ კეთილი და სათნო...
ცაში გელოდება დედა,
დედა არასოდეს დაგთმობს.
მიხვალ, ლამაზ თვალთა მზერით,
მშობლებს ჩაიხუტებ გულში,
აქ, კი აგვატირე ბევრი,
ერთად ვიღრიალეთ გუშინ...
შეგეგებებიან ვიცი,
ცათა პოეტები ლექსით,
მათმა შენი ფასი იცის,
პოეტს უთქმელადაც ესმის...

პოეზიის საღამო

რუსთავის მეოცე საჯარო სკოლასთან გასული წლების კარგი მოგონება მაკავშირებს. მას შემდეგ 15 წელი გავიდა, ამჟამად ათი წიგნის ავტორი ვარ. როდესაც მეორე წიგნი გამოუშვი „შენ მენატრები“ რუსთავის მეოცე სკოლაში შევიტანე, მაშინ დირექტორი ქალბატონი ლამარა ჩქარეული იყო, ხოლო ქართულს ასწავლიდა, მზია ჩოქური. დირექტორი პოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებული აღმოჩნდა, წიგნებიც აიღეს და ძალიან ბევრჯერ პოეზიის საღამო მომიწყვეს. ახლა ოქტომბერია, ათასნაირ ფერებითაა მორთული სკვერები. სხვადასხვანაირ განწყობაზე დგება პოეტი ხან ნაირ-ნაირ ფერებში იკარგება, ხანაც სევდა იპყრობს. ჩემში სევდა დაპარპაშობს, რადგან ძირს დაცვენილი ყვავილი გარდაცვალებასთან ასოცირდება.თვალწინ მიდგება, როგორ მოვწყდები ხეზე შემჭკნარი ფოთელუვით, მერე გამლელ-გამომლელი როგორ შემდგება ზედ და მისრის-მომსრისავს. დღევანდელი დღე პოეზიის ლაბირინთებში ვიმოგზაურეთ მე დაჩემმა მეგობარმა პოტმა ლამზირა შეყილაძემ. ეს არის ქალბატონ ეკატერინე ქვრივიშვილის დამსახურებაა, ქალი მსახიობი, ქალი პოეტი, პედაგოგი და ქალი სიკეთისა და სათნოების განსახიერება. ამ ქალბატონთან მე პირადად

ვალში ვარ, დღესაც არაჩვეულებრივი დღე გვაჩუქა მე და ჩემს მეგობარს, ლამზირა შეყილაძეს. დიდი მადლობა, ქალბატონ ეკატერინე ქვრივიშვილს და რუსთავის მეოცე საჯარო სკოლას,მადლობა ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეების მშობლებს, პირადად ჩემი მეგობრის გახარებისათვის.

ჟურნალ „ათინათი"-ს 33-ე ნომრის პრეზენტაცია

10 ოქტომბერს მირზა გელოცანის სახელობის ბიბკიოთეკაში ჩატარდა, ჟურნალ „ათინათი"-ის 33-ე ნომრის პრეზენტაცია. ღონისძიება გახსნა ჯგუფ ზღვარის ლიდერმა, ცნობილმა პოეტმა, სერგი ლომაძემ. ჟურნალი „ათინათი" დალოცა მამა ანირან ამირანაშვილმა, ღონისძიება მხატრულად გააფორმა ანსამბლ„ლალემ" ხელმძღვანელი ქალბატონი ლეილა ჭიოკაძე, „სიტყვით გამოვიდა: მწრალთა კავშირის თავჯდომარე ბატონი რევაზ მიშველაძე, მხატვარი და ჟუენალ „ათინათის" სწავლული მდივანი რეზო (ემლიანე) ადამია, ფაზისის აკადემიის პრეზიდწტი ნუგზარ ნადარაია, აკადემიის წევრები: ბატონი სიმონ ზაქარაია, ქალბატონი ირინა ბალავაძე, პოეტები: კახა ბახიკაძე, გურამ გედევანაშვილი, გურამ ჭავჭანიძე, ხათუნა ელიაშვილი, მაგული კუჭაშვილი, ედვარდ უგულავა, ნაირა უგულავა და სხვები. ღონიაძიება მიყავდა, აკადემიის პრეზიდენტს, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს და ბოლოს ყველამ ერთად მადლობა გადაუხადა, ბიბლიოთეკის დირექტორს

ქალბატონ ქეთევან ნიკურაძეს, რომელიც თვითონ პოტი და აკადემიის წევრია. ეს, იყო სულის ჰარმონია... გარდაცილთა მოგონება, იმედის მრწამსი, მოჭიკჭიკე პატარების ასიმღერებული დღე. ამ წლის მესამე ნომერი, ოცდამეცამეტე ნომერი, სამი სამიანი (3-3-3)... ღვთიური დღეა. დიდება უფალს ამინ!

>> მოლოდინის ფიქრი <<

გულნაზ ხარაიშვილი

ლამზირა შეყილაძე

:.მოლოდინის:. :.ფიქრი:.
ჩემი და ლამზირა შეყილაძის ტკივილი

დედებს გვიჭირს, სევდის ყანის მარგვლა,
სასწაულით თუ მოხდება შველა...
ღმერთით ველით ისევ შვებას მაგრამ...
გვენატრება, ალიკა და გელა.

ცას ვარსკვლავი სევდით გამობრწყინდა,
სეირნობდნენ, შვილნი უფლის სახლში,
ხმამ ჩაგვძახა, სული ხომ გაქვთ წმინდა,
ნუ იწვებით, დარდით ცეცხლის ალში.

რავქნათ, ველით ჩვენ შვილების სითბოს,
გავშლით კარავს, სადღაც დიდ მთის ძირში...
თუნდაც ხელით სარეველა ვთიბოთ,
სულ ვიქნებით მოლოდინის ფიქრში.

სანამ დედებს პირში სული გვიდგას...
(გულნაზი ხარაიშვილს)

გულზე მაწევს, უსაშველო დარდები,
გაავებულ ხანძარივით მწველი...
შენ, ამხელა ტკივილების პატრონი,
ჩემი დარდის დაძლევაში მშველი.
გინდა ჩემ დარდს ჩაუქოლო სავალი,
ჭაობში ვარ, ხელს საშველად მიწვდი.
ყელს მობჯენილ ცრემლებს ერთ-ურთს ვუმალავთ
და ორთავე დარდის ალში ვიწვით.
ბედისწერამ გაგვიმეტა ტიალმა,
ჩვენი გული ცრემლის ზღვაში ღელავს.
სიკეთე და მადლი ვთესოთ სანამ ვართ,
სულს აამებს, ალიკას და გელას..
ყველა ჩვენ-ჩვენ ქვეცნობიერს მივყვებით,
ჩვენი ჯვარი გოლგოთაზე მიგვაქვს
თქვენ სიკვდილი რას დაგაკლებთ შვილებო,
სანამ დედებს პირში სული გვიდგას...

ნიკო ბაღაშვილი

აელვარებული მუსიკით ჩაცვარებული საღამო

პოეზიის საღამო – აელვარებული მუსიკით – ლექსით, სიმღერებით და კიდევ ის რომ – გაივლის ცხოვრება და გაგვახსენდება დღევანდელი შემოდგომის ეს ნანატრი დღე – როცა ადამიანთა ერთმა ჯგუფმა და ჯუმბერ ლეჟავას მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ინიციატივით და თვით პრეზიდენტ, პოეტ დე-გულნაზ ხარაიშვილის ორგანიზატორობით – პარლამენტის ეროვნულ ბიბილოეთეკის საკონფერენციო დარბაზში – ჩატარდა პოეტ მაგული კუჭაშვილი-კურტანიძის პოეზიის საღამო, არ ვიცი ვინ როგორ, მაგრამ მე თითქოს უფალი ვიხილე ამ დარბაზში, დიახ, უფალი იდგა ადამიანებს შორის და გაცისკროვნებული თვალებით, ადამიანთა ბაგედან და მონაწილე თუ გამომსვლელთა სიტყვებში – ანგელოზური სახეთა გალერეაში ჩემს ლაღ ქართველობას ვხედავდი – ჭეშმარიტ შემოქმედებს და ხელოვანებს, რომელთა მოზომილი –ფრთიანი სიტყვები ალამაზებდა ჩემს სულსა და გულს – ხო, დე – მე გელაც და ლამზირას ალიკაც ვიხილე, რომლებიც – მეუგვნებოდნენ არ გაამხილო საიდუმლო, რომ ჩვენ აქ ვართო – მეც სიხარულით ვასრულებდი ფოტო-ვიდეო გადაღებას და სულაც არ ვგრძნობდი დაღლას – პირიქით აღმაფრენით შემოსილი დავფრინავდი და ვტკბებოდი თვით პოეტ – დიდი პოეტის მაგული კუჭაშვილი-კურტანიძის მიერ წარმოთქმულ ლექსებით, უხ, რა დიდებული საღამოს მოწმე ვიყავი სადაც დე – თქვენს მიერ „გულნაზისებურ“ პოეტურ საღამოს პეწისა და ლაზათის შესაფერისად – მამა ამირან ამირანაშვილის ლოცვითა და პოეტ სერგი ლომაძის მჭექარე სიტყვით, პოეტ-მუსიკოსის კახა ბაციკაძის ჰანგები თუ ახალგაზრდა გიტარისტ „კაცების“ სიმღერები და თვით ანსამბლ: „ლალე“-ს პატარა ანგელოსების სიმღერებით მაყურებელთა და ჩემი სულიც ნავარდობდა პოეზიის ოაზისში, სადაც მეფობდა ნიჭიერება და სიკეთე, ქალბატონ მაგულის ქალიშვილის წაკითხულმა ლექსმაც კი თვითეული საკუთარ თავთან დააბრუნა – და მიხაროდა რომ საღამო მაღალ ესთეტიკურ პრინციპის გათვალისწინებით შედგა, არ ვიცი ვინ როგორ მაგრამ, მივფრინავდი ჩემ ლალისთან შეხვედრაზე და დარბაზიდან გამოყოლილი სინატიფე და სიდარბაიოსლე მიმქონდა“ და თვით უფალიც ხომ სიყვარულია დეე!

დიალოგი

ნიკო ბაღაშვილი



„მგზავრობა ასცრალში"
დე ---გულნაზ ხარაიშვილს

ხო, დე – გონება დამიბნელდა და თვალებგახელილს ჩამეძინა, ხო, დე ვხედავდი ისე როგორც ამ ქუჩას, სახლებს ვხედავ, ისე ვხედავდი და დავდიოდი საფლავებს შორის, მერე მწვანე კარიბჭე გაიღო და სიმწვანეში აღმოვჩნდი, – დე, შენი გელა მიღიმოდა, ხელი ჩამომართვა და უსიტყვოდ, მადლობის ნიშნად გადამკოცნა, მერე გზად მიმავალებს თქვენმა ძმამ, თამაზიმ მიგვიპატიჟა, წუხდა რომ ადრე წამოვიდა იმ ქვეყნიდან, მაგრამ ვერ გადავურჩებით ბუნების კანონსო, მერე თქვენი ძმა ბეჟანი გამახსენდა, შენმა „გელამ" იგრძნო ჩემი გულისწადილი, მხარზე ხელი დამადო და მითხრა, ბიძა-ჩემისას რას გაიგებ, ალბათ სადმე განმარტოებით ზის და ლექსებს წერსო, პოეტი რომ არის!... იცით ალბათ, ჩვენთანაც იშვიათად მოდის, აი, თამაზი ბიძია რომ მოვიდა, მაშინ ვნახე, არადა მსურდა მართლა მსურდა გამეცნო ბატონი ბეჟანი

მერე მე და „შენი გელა" დავდიოდით, ის მეგზური იყო ჩემი, იქვე ახალგაზრდებს მოვკარი თვალი, ერთი ახალგაზრდა ჩემსკენ წამოვიდა, თან ჩემ ფეხსაცმელებს უყურებდა და – კარგად მოგრგებია ძმაო, ჩემი ფეხსაცმელი, – ვიცანი, ლამზირას ბიჭი ალიკა იყო, დედა მომიკითხე, ამდენს ნუ ტირის, კი მართალია უმძიმს მაგრამ ჩვენ აქ ყველანი კარგად ვართ, აი გელა გვყავს თავკაციო, გელამ თავისებური ღიმილით გაიღიმა და თქვა: ყველანი ამა სოფლის თავკაცები ვართ! გზა გავაგრძელეთ, ჯუმბერ ხარაიშვილი თავის შვილთან და შვილიშვილთან გზად შემოგხვდნენ, ჯუმბერი ბიძიამ დამიყვავა – აქ, რა გინდა, ჯერ ჩვენც ნაადრევად წამოვედითო! გელა, შვილო გააცილე, უკან დააბრუნე,

ხო, ჯუმბერი ძია. ჯუმბერ ლეჟავასაც შევახვედრებ და აბა, რა უკან დავაბრუნებ.. გავაცილებო – სამწუხაროდ ვერ ვნახე ჯუმბერ ლეჟავა...

მერე დე, გელამ მწვანე კარიბჭესთან მომიყვანა, ვიცი დედაჩემს ენატრება ჩემი თავიო, მაგრამ უთხარი ჯერ ნაადრევია აქ წამოსვლა, მანდ იმდენი დასაპურებელი ჰყავს, მოსაფერებელი, რომ, ვიცი ღვინოსაც არ დამადლებს, ჩვენ შესანდობარს რონ შესვავენ იქაურები, ჩვენთვის მისავალი იქნებაო, მერე მწვანე ხის ფოთლები მომცა და მეც გამოვერკვიე, ოთახში ნელ-ნელა შემოდიოდა დღის რიჟრაჟი, თვალები ცრემლებით და ფიქრით იჟღინთებოდა. ვინ დამიჯერებს-მეთქი. მაგრამ აივანზე ნიავის მონაბერით შეგროვილ მწვანე ფოთლების ფრიალით გული ამიფრიალდა და გამახსენდა რომ ჩემი დე-ს, გულნაზის დაბადების დღე იყო.... გილოცავ დე, მერტო ეს ვთქვი და თვალევბი დავხუჭიე, იმ იმედით რო ვინახულებდი ასტრალში გამეფებულ მდუმარებაში მცხოვრებ ჩვენებურებს...

გულნაზ ხარაიშვილი

„მგზავრობა ასცრალში"

პასუხი ნიკო ბაღაშვილს

ნიკო შვილო, აბა მე რა მაცოცხლებს თუ არა ის რწმენა, რომ ცაში დედამიწისაგან განსხვავებით სხვანაირი სულთა სამჯავროა. იქ, მინსხალ-მინსხალ შეფასდება სიკეთე და დანაშაულიც. სული შორდება სხეულს გადადის მარადისობაში. შენი შინაარსის მსგასი სიზმარი მეც ბევჯერ მინახია, მაგრამ არ დამიწერია. ამჯერად არ შემიძლია შენს წერილს არ გამოვეხმაურო. ჩემი კრედო სიკეთეა, თუნდაც ჩემი ამაგი ფეხქვეშ მოსრისოს შინარმა თუ გარეულმა არ შემიძლია ცუდი ვთქა ან ცუდი მოვინდომო ვინმესთვის. პირიქით მეცოდებიან რადგან ვერ აღიქვავენ ცუდი რას ნიშნავს და კარგი რა არის. წარსულ წლებს, რომ გდავხედო რაც მე ჯვარცმა გამომივლია ცხოვრებისეული, სამაგალითოდ იმითაც შემოვრჩები ამ ცოდვებით დამძიმებულ დედამიწას. ამჯერად ჩემზე დიდი ასკის ადამინები,დედას მიძახიან, დიახ! ისე როგორც დედაა შეუდარებელი შვილებისათვის. მინდა სულიერი დედა ვიყო ჩემზე დიდი ასაკის ადამიანებისთვისაც კი. რამდენად ვახერხებ ამას ჩეს ირგვლივ მოფუსფუსე პიროვნებები ხედავენ. ჩემს გარდაცლილ გელაზე (მოუკვდეს დედა) იმდენი „ცრემლში ნალესი" ლექსი დამიწერია ერთი წიგნი გამოვა, გამოუშვებ აუცილებლად! მერვე წელი დაიწყო რაც ცის სივრცეს შეეკედლა თავის არაჩეულბრივ მამას (ჩემი მეუღლე ვახტანგ სხირტლაძე ყველაფით მჯობდა ის მადლიანი რაჭველი იყო) თუმცა მეც ვცდილობ რამდენად გამომდის ეს სხა დროს... ამიტომაა შეძლებამდე ვითმენ,თუნდაც წუხანდელი საღამო... (ყველაზე დიდი სასაფლაოა გული... ბეჟან ხარაიშვილი) ვითმენ ძმაო, მაგრამ როგორი მოსათმენია ვარდების ნაცვლად ეკლების ხროვაში რომ მოხვდები! შენ კი შვილო ნიკო, უფალმა გაჩვენა ზეციური სამყარო, დაფიქრდი ცოტა ჩამოდინჯდი შენში გელას სულია გადმოსული....

თითოეული ადამიანი თავის შეცდომებით სწავლობს, იზრდება, ყალიბდებდა, ეს იმ შემთხვევაში ხდება თუ ერთხელ მაინც დაეშვება დედამიწაზე... ჩემი დედაშვილუღი, ლოლიალური, დაკვირვებიდან გამომდინარე შენ დედი არ გჯერა ჩემი. ბრაზდემი მაშინ, როცა თავშეკავება ისე საჭიროა, როგორც ჰარი ადმიანის სიცოცხლისათვის... ეს ზიანს მოუტანს შენს ჯამრთელობასაც და შენ ნიჭს კი ქარი აღმა-დაღმა მიმოფანტავს პურის მარცვალივით. მერე და მერე, ჰო, მერე ჟამი მოხუცებულობისა, კარებზე მოგიკაკუნებს და მკაცრად გიბრძანებს, აკრიფე! უხილავი ხმა გეტყვის: ნიჭი ქვიშის მარცლებივით დასაფანტად არ მომიცია ... აკრიფავ?..

თუმცა შენი ჩანახატი წარსულის ტკივილია,... და მაინც მერცხალი ფრინავს აღმა დაღმა, ცდილობს ყველას აამოს. ეს არის სწორედ სიძლიერე. ეს არის უფლის გზა, ამ გზაზე ყველა უნდა დადიდეს. არ უნდა გაბოროტდე, არუნდა დაიხურო ცა ქუდად... შენ კი აჟამად სიკეთის მერცხალო, ნუ იძირები წარსულის ტკივილთან, გიმეორებ შენში ჩემი გარდაცვლი შილის სულია გადმსული. ნუ მაბრაზებ, იყავი კახა ბაციკაძესავით მშვიდი და ძლიერიც! არ შეგეშინდეს, შენ სულიერი დედა გყავს. იფრინე, მაგრამ მშვიდათ....

* * *



დე - გულნაზ ხარაიშვილს - - -

დე, ვიცი რომ დაგღალე, იქნებ ცოტათი დაგესვენა – სულ ფუსფუსებთ, ისე, მეც ბევრი რამ ვისწავლე თქვენგან, მაგრამ გული ნაზი დამრჩა და თუ ემოციისგან მთლად გავბრაზდები და გავღიზიანდები, მერე ისევ თბილად და კეთილად ვიქცევი ხოლმე, თქვენ კი ყველას ეფერებით, უფრთხილდებით და გეღიმებათ ადამიანთა საქციელების გამო, ვიცი რასაც დარდობთ, რაზეც ოცნებობთ, გუშინწინ მსახიობ გულიადა სანოძის წარმოდგენილ პოეტურ-მუსიკალურ კომპოზიციაზე ვფრენდი, თურმე რა და მართლაც დე-ს გეძახით და არც კი გიცნობთ, არადა მაღალი პოეზია და წყალობა უფლისა, იმ ნიჭიერებისთვის, რაც ყველას არ ძალუძს, დიახ, განვცვიფრდი თვით ამაღლებული ქალბატონის. მსახიობ გულიად სანოძის და მის მიერ ნორჩ მსახიობ ბავშვების შესრულებული და ამეტყველებული საგალობელით, რომელიც მთელი წლის სულიერ საკვებად მეყოფა და მამხნევებს, იმის იმედს მაძლევს, რომ თვით დედაქალაქიდან არც ისე შორს, ქალაქ ხონში მართლაც რომ ჩვენი ერის კულტურული ცხოვრება რა სიკეთის და ლაზათის მატარებელია. აფერუმ, ხონის მუნივიპალიტეტის მესვეურებო, მზეგრძელობა და წარმატებები! დე, მიხარის რომ,თქვენი დაბადების დღეები გრძელდება და მინდა ჯანმრთელი მყავდეთ, და მუდამ ბედნიერი...

პატივსცემით თქვენი სულიერი
შვილი ნიკო --------

* * *

...დე, ისევ სიზმრის ვაგონს გავყევი, ახლა ყველას ჩასძინებია, დე, სძინავს ქალაქს, სახლებს, ქუჩებს, გზებს, თვით ღამემაც ჩასთვლიმა დე, მარტო მე ვარ აივანზე გამეფებულ სიმშვიდეში, მე და შენი შვილი გელა ღარიბულ სუფრაზე, მდიდრულად ვსაუბრობთ, უფრო სწორედ ის მეუბნება, დედაჩემი სულ ნაღვლობს ჩემზე და ჩემი სახით ადამიანებს ესაუბრება, სურს რომ კეთილები იყვნენ და ერთურთს შეუნდონ და აპატიონ უნებლიე შეცდომები, დე, მიყვარს დედაო და ძმურად, გაუფრთხილდი, მოეფერე, უჩემობა არ აგრძნობინო, უთხარი რომ მე შენთან ხშირად მოვდივარ და უთხარი სიმართლე, შეიძლება არ დაგიჯეროს, მაგრამ უთხარი, რომ ისევ ის ლამაზი დედიკო მყავს და ისევ ისე ძველებურად ვაღმერთებ და მიყვარს,თუ არ დაგიჯერა აი ეს უთხარი :მზეს უყუროს, მზეში დამინახავს, ღიმილით და თავის გულნათელ ფიქრით რომ ამოისუნთქებს, მიხვდება რომ მე ისევ ის გელა ვარ, მოუსვენარი,აწრიალებული სულით და სინათლით და სიმართლით სავსე, ეგ არის რომ ბუნების ძალა არ გვაძლევს უფლებას, წასულებმა, აქაურებთან ვისაუბროთ... აი, თენდება და შენც უნდა დაგტოვო ძმაო, აბა შენ იცი – მიმიხედე დედას,დაუძახე ხშირად და დაურეკე და მისთვის გამთბარი სიტყვებით უთხარ -დე, როგორა ხარ, ხო, არ გადაიღალე, ცოტა დაისვენე, შენ თავსაც მიხედე მე ცოცხალი და ძლიერი დედა მჭირდება-თქო, – აბა, მშვიდობით... და გადამეხვია დე, შენი შვილი, ჩემი სულის ნათესავი ძმა და დილის რიჟრაჟზე გაუჩინარდა...

პასუხი ნიკო ბაღაშვილს

ნიკო, გუშინ მთელი დღე ჟურნალ „ათინათის“ დაკაბადონებაზე ვმუშაობდი. „ათინათი“, სამას გვერდიანი ჟურნალია და სხვადასხვა დარგს მოიცავს, ამას იმიტომ ვწერ, რომ მზის ათინათებში დავეძებ შვილის სულს. ბევრჯერ უთქვამთ – როგორ ახერხებს ამ კაციჭამია პერიოდშიო. ეს საიდუმლო სულაც არ არის. ჟურნალით რამდენ ადამიანებს ვახარებ, ეს ხომ მადლია, ეს მადლი ყველას მინდა გადაწვდეს.ვისაც არუნდა არ დაბეჭდევს, მაგრამ ზოგი რესტარანს ხურავს წუთიერი სიამოვნებისთვის მე მარადიულს დავეძებ. განა შენ მარადიულობას არ ქმნი? გავა დრო და შენი ნიკალა ფილმები ათინათებად მოეფინება საქართველოს. ვცდილობ, რომ ღმერთთან წავრდგე თუმცა თავდახრლი, მაგრამ საქმით გადაღლილი. შენ ჩემო, სულიერო შვილო, შენში იმხელა ნიჭი და უფროსებისადმი კრძალვაა, ამოუცნობიცაა ჩემთვის, რომ მიფრთხილდები დე, დაისვენეო, შენ ისვენებ?... უფალმა ხალხის სიყვარული მადლად გადმომფრქვია, მე სხვისი წარმატებებით ვსაზრდოობ, განა ეს ცოტაა, გული გამოინთავი-სუფლო არაფრის მომტანი ფიქრისაგან. ჩემი გელასნაირი თბილები, ნიჭიერები, ძლიერები, იშვიათად მინახია... ერთხელ მათხოვრი დაუნახავს, გულში გაუფიქრებია ახლა ჯიბეში ხელს ჩავიყობ რაც ამოყვება ფული ხელს მივცემ ამ ხელგამოწვდილსო, ასეც მოქცეულა, მაგრამ თვითონ სამგზავრო ფულიც ველარ მოუჩხრიკავს და ფეხით წასულა... დააკვირდი ახლა შენს ხასიათს, რაღაცით გგავს, ისე თუ მის მეგობრებს გაესუბრები უფრო მეტს მოისმენ... საინტერესოს და ზე აღმატებულს... და მაინც, მიხარია ყურადღება. ცნობილმა მხატვარმა ალექსანდრე ციხელაშვილმა ჩემი ახალგაზრდობის სურათი დახატა და საჩუქრად მომართვა. პატარა ბავშვივით გამიცქრიალდა თვალები სიხარულისგან. ეს დიდი ყურადღება იყო ცნობილი მხატვრისგან ჩემს მიმართ.

გურამ ჭავჭანიძე



ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედება რომ ნამდვილი საუნჯეა ერის საგანძურში, ეს ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ იქნებ ყველამ არ იცის, რომ ბატონი ჭაბუა, ისე როგორც მისი შემოქმედების მთავარი გმირი, თავადაც საოცრად კოლორიტული და მომხიბლავი პიროვნება გახლდათ... ბედნიერი ვარ, რომ წილად მეც მხვდა პატივი ამ ლეგენდარულ პიროვნებასთან დაუვიწყარი შეხვედრისა.

ორი შეხვედრა ბატონ ჭაბუა ამირეჯიბთან

2000 წლის ზაფხული იწურებოდა. ბავშვობისდროინდელი „პლეხანოველი“ ძმაბიჭი შემხვდა საბურთალოზე, ჩემი სახლის წინ. ჩემი ლექსები წაეკითხა გაზეთში, მოსწონებია. დაბეჯითებით მირჩია, როგორც ძველ „პლეხანოველს“, რომ მეთანამშრომლა ახლახან დაფუძნებულ გაზეთ „მეფეთუბანთან“ (პლეხანოვის უბანს ადრე თურმე „მეფეთუბანი“ ერქვა). მართლაც, მივმართე ამ გაზეთის დამფუძნებელსა და მთავარ რედაქტორს ვაჟა სალუქვაძეს და სულ მალე „მეფეთუბანში“ გამოქვეყნდა ჩემი სტატია: „მეფეთუბნელებს გაუმარჯოს!“, რომელიც პატარა ლექსით მთავრდებოდა.

გთავაზობთ აღნიშნულ სტატიას:

„მართალი იყო ეკზიუპერი – ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ. ჩემმა ბავშვობამ პლეხანოვზე ჩაიარა, ჩვენს მეფეთუბანში. როგორ მეამაყება დღეს, რომ თბილისის იმ ერთი ძველი უბნის ტრადიციებისა და, ასე ვიტყოდი, თბილისური ხასიათის ასაღორძინებლად შექმნილი საზოგადოების დაფუძნებაში ესოდენ დიდი ღვაწლი მიუძღვით და აქტიურად თანამშრომლობენ ჩემი ბავშვობის ტოლ-მეგობრები, ძმაკაცები, უცნობ-ნაცნობები. ვენაცვალე, კარგი შურით მშურს მათი. უბანი სულიერად გამოაცოცხლეს, ბევრის გული გაახარეს, ბევრსაც კარგი მაგალითი მისცეს. ასე მგონია, ყველა თბილისელს შესძახეს: ჰეი! სადა ხართ, ბიჭებო, თქვენი ჯერია, გამოდით! ეს ყველაფერი ხომ თბილისური ხასიათია სწორედ, ნაღდი და უანგარო, ლამაზი და ჯავარიანი, საოცრად დროული და საშური. იქნებ, ყველას ვერ ხელეწიფება თანადგომა მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, მაგრამ გულგრილი, არა მგონია, ვინმე დარჩეს, მადლიერების მინავლებული გრძნობა უთუოდ გაიღვიძებს, სიკეთის ხიბლი იძალებს, კაცურკაცობის ნიჭი ათინათდება, აცისკარდება, მერე იცისარტყელებს უდავოდ. მტრობით თუ უგუნურობით დანგრეულს სიყვარული აშენებდა მუდამ. ადამიანთა ლიბომორღვეულ სულსაც სიყვარული თუ გაამთლიანებს და შეადუღაბებს, მხოლოდ სიყვარული თუ ააშენებს და აამაღლებს, ასე იყო ოდითგან. თქვენს სიყვარულს გაუმარჯოს, პლეხანოველო თბილისელებო, ჩემს დედა-თბილისს ნუ მოუშალოს ალიონი ხოხბისფერი და თქვენისთანა ბიჭების გულის ძგერა. მკაცრი დღევანდელობის ფონზე, ადამიანურ ღირებულებათა გულსაკლავი გაუფასურებისა და საოცარი ცინიზმის პირობებში ჩვენი „მეფეთუბანი“ ნამდვილი ოაზისია უდაბნოში.

ღმერთსა ვთხოვ, შემაძლებინოს, ერთი სიტყვა მეც მათქმევინოს ჩუმი ჩაღიღინებით გულში:

ვისაც შეუძლია შენთვის გაისარჯოს,
ვისაც შეუძლია შენთვის დაიხარჯოს,
გულით ვინც არ ბერდება,
შენთვის ვინც ამღერდება,
ყველას ვადღეგრძელებ, ყველას გაუმარჯოს!
შენი ცა და მიწა ვინაც შეიყვაროს,
სამას გოლიათთან მუხლი მოიყაროს,
სულით, გულით ლამაზებს,
ვინც კი შენ გალამაზებს,
ყველას დავლოცავ და ყველამ გაიხაროს!
ვისაც შეუძლია — უნდა გაისარჯოს!
ვისაც შეუძლია – უნდა დაიხარჯოს!
ღმერთმაც გაუმარჯოს!“

09.06.2000 წ.

მეტად გამახარა იმ ფაქტმა, რომლის შესახებ მიამბო ბატონმა ვაჟამ, როდესაც გაზეთის აღნიშნული ეგზემპლარი გადმომცა. თურმე, მას (მთავარ რედაქტორს) ჩემი და ბატონ ჭაბუას ანალოგიური შინაარსის სტატიები გაზეთის ერთსა და იმავე გვერდზე განუთავსებია. ბატონ ჭაბუას წაუკითხავს ჩემი პუბლიკაცია, მოსწონებია და შევუქივარ. ეს რა კარგი ვინმე გიპოვნიაო, – უთქვამს. ძალიან გამიხარდა, თავიდან ბოლომდე ხელმეორედ წავიკითხე ჩემი სტატია და ახლა უფრო მეტი სიამაყე ვიგრძენი აღნიშნული ფაქტის გამო. ასე „შედგა“ ჩემი პირველი შეხვედრა დიდ მწერალთან და მამულიშვილთან.

გავიდა 12 წელი. მე უკვე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ვარ. წარმატებით ჩატარდა ჩემი ლექსების მეორე კრებულის („სიყვარულის მომღერალი“) პრეზენტაცია. სიამაყით ვურიგებ ჩემს ნაცნობ-მეგობრებს აღნიშნულ კრებულს. გამახსენდა ბატონ ჭაბუას მიერ 12 წლის წინანდელი ჩემი შექება და გამიჩნდა სურვილი დიდი მწერლის ახლოს გაცნობისა. აი, მე უკვე დიდი მწერლის სტუმარი ვარ. ქალბატონი თამარი გულთბილად შემხვდა, მომიწონა ჩანაფიქრი და წარმადგინა ბატონ ჭაბუასთან. დიდ მწერალს შევახსენე ჩვენი 12 წლის წინანდელი „შეხვედრის“ შესახებ, მივუსაჩუქრე ჩემი ლექსების კრებული და იმ გვერდის ქსეროასლი, რომელზედაც ჩვენი სტატიები იყო განთავსებული. ბატონმა ჭაბუამ დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შემათვალიერა, დახედა აღნიშნულ ქსეროასლს, მერე ისევ შემომხედა და საოცრად კეთილი ღიმილი მოეფინა სახეზე. აშკარა იყო, გაახსენდა ყველაფერი. მე გავთამამდი, ორიოდე სიტყვით მოვახსენე ჩემს შესახებ და ჩემი რამდენიმე ლექსი სხაპასხუპით ზეპირად წავუკითხე, მათ შორის ჩემთვის ყველაზე საყვარელი ლექსი „ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი“, რომელიც ეძღვნება ჩემი ბავშვობის დროინდელი „პლეხანოველი“ ძმაბიჭების ხსოვნას:

ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი

უბნელი ძმაბიჭების ხსოვნას

ბორანი რომ მტკვარზე იდგა,
ის თბილისი მიყვარდა,
თითქო ეხლაც თვალწინ მიდგა
აფსუს, დრო-ჟამს მიბარდა,
    მტკვრის გაცურვა ჩემ უბნელთა
    ნატვრა იყო მარადი,
    როგორც ყველა თბილისელთა
    სავიზიტო ბარათი,
ახლაც ფიქრით იმ დროს ვეტრფი,
მთლად არ გადამიწურავს,
თბილისელად იმას ვეტყვი,
მტკვარს ვინც გადამიცურავს,
    ბორანი რომ მტკვარს აპობდა,
    ის თბილისი მერჩია,
    ვინც საბორნე მტკვრით ლაღობდა,
    მსურდა, გამომერჩია.
ის თბილისი, მზის სადარი,
ისე გადაირია,
ვერ გაიგებ, ვინ სად არი,
ვინ სად გადაირია.
    მოდი, ერთი, „მი ატ ელი
    ახპერ“, კაცო კაცურო!
    თუ ხარ ნაღდი თბილისელი,
    მტკვარი უნდა გაცურო,

მომენატრა ბორანი და
მტკვრიდან მასზე აძრომა,
გადმოხტომა ბორანიდან
და ბორნის ქვეშ გაძრომა,
    სად არიან ძმაბიჭები,
    სადღა არი ბორანი?
    „პლეხანოვის“ სხვა ბიჭები,
    მტკვარით ნაამბორალი.
სად ხართ, ძმებო, „ცავატანემ“,
არ გამიქრა შუქური,
განა, ტალღებს გავატანე
ტრფობა სიჭაბუკური?
    არ გამქრალა ის ფარული,
    წლობით გულში ნადები
    ჩვენი ძველი სიყვარული,
    ჩვენი სერენადები.
ცირკის ქვემოთ სანუკვარი,
ძვირად შესახედავი
ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი,
რას ბუტბუტებს, ნეტავი?

აქ მოხდა საოცარი რამ: ბატონმა ჭაბუამ ხელები გაშალა და თვალებგაბრწყინებულს რამდენჯერმე აღმოხდა – „ვაა!“.

მე მადლობის ნიშნად ვეამბორე, მან კი გულში ჩამიკრა. ეს იყო საოცარი განცდა. ამის შემდეგ დიდმა მწერალმა რაღაც ანიშნა ქალბატონ თამარს, რომელმაც წიგნების თაროდან გადმოიღო „დათა თუთაშხიას“ ახალი გამოცემა, რომელიც ბატონმა ჭაბუამ საოცარი ავტოგრაფით დაამშვენა და გადმომცა.



ჩვენი შეხვედრის ასეთ ფინალს ნამდვილად არ ველოდი. ასეთ ძვირფას საჩუქარს ალბათ ნებისმიერი ქართველი ინატრებდა. დღემდე არ მტოვებს სიამაყის განცდა იმის გამო, რომ შევძელი ბატონი ჭაბუას აღტაცება გამომეწვია და რომ ჯილდოდ ეს საოცარი ავტოგრაფი დავიმსახურე. ნეტა, მე უფრო მეტი სითბო გავატანე დიდ ქართველ მწერალს თუ მან მეტი სითბო დამიტოვა? თუმცა ამას ახლა რა მნიშვნელობა აქვს? არადა, უკვე მერამდენედ ვეუბნები ჩუმად ჩემს თავს: თუ ეს ბედი მეწერა, მეტი უნდა მეწერა!

2017 წ.

ჯონი შავლაყაძე
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

იცით თუ არა

რომ ისტორიამ იცის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ცნობილი მეცნიერი იმავდროულად ცნობილი ხელოვანიც იყო?

რომ თბილისში ცხოვრობს მოღვაწეობს და დღეგრძელობს ქართველი პოეტი, მწერალთა კავშირის წევრი, ოთხი პოეტური კრებულის ავტორი, მთარგმნელი, მსახიობი, კომპოზიტორი, მომღერალი, მუსიკოს-შემსრულებელი, მხატვრული კითხვის დიდოსტატი, გურამ საღარაძის სახელობის კონკურსის „მხატვრული კითხვის დიდოსტატების“ გამორჩეული დიპლომანტი, ანუ ხელოვანი, რომელიც პროფესიით სამთო ინჟინერი შახტმშენებელია, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, მეცნიერ-გამომგონებელი. იგი მოსკოვის 1975 წლის შახტმშენებელთა საკავშირო კონკურსის ერთადერთი მონაწილეა ამიერკავკასიიდან დამოუკიდებელი მეცნიერული ნაშრომით და ამ კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებულიც (ჟურნალი «Шахтное Строительство» №8, Август 1976г. Москва)?

რომ ცნობილმა ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ გვანჯი მანიამ შექმნა ამ პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ბანერი, რომელიც თარგმნილია უცხო ენებზე?

რომ ეს პიროვნება „თბილისის ტრუბადური“, მწერალთა კავშირის მიერ „ღვაწლმოსილის“ წოდება მინიჭებული, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, საზოგადოება „ხონელის“ საპატიო წევრი, ღირსეული პიროვნება და მოქალაქე, ბატონი გურამ გრიგოლის-ძე ჭავჭანიძე 2020 წლის 30 იანვარს 88 წლისა სრულდება?

09.08.2019 წ.

მზია გოგოძე

ლიტერატურულ სამყაროში

იუბილე ეროვნული შემართება – სულისკვეთებით

მწერალთა სახლში, პოეტისა და ჟურნალ „**ათინათის**“ რედაქტორის, **ჯუმბერ ლეჟავას** სახელობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის **გულნაზ ხარაიშვილის** პოეზიის საღამო გაიმართა, რომელსაც საინტერესოდ, ემოციურად უძღვებოდა მსახიობი და ხონის კულტურის სახლის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი **გულიადა სანოძე**.

მრავალმხრივად ნიჭიერი ქალბატონის **გულნაზ ხარაიშვილის** შემოქმედებას კარგად იცნობენ პოეზიის მრავალრიცხოვანი მოყვარულები, იგი, **ცხრა პოეტური კრებულის** ავტორია და დიდი დამსახურება მიუძღვის ჟურნალისტიკის სფეროშიც. **გულნაზ ხარაიშვილის** შემოქმედებაში მთავარი პატრიოტული სულისკვეთებაა, პოეზიაში კი, – დიდი ილიასეული შეგონება „მამული, ენა და სარწმუნოება“. მის პოეზიას ამშვენებს ლირიკული ლექსები. მრავალმხრივად ნიჭიერი ქალბატონი გამოირჩევა სიკეთით, ქველმოქმედებითა და ახალგაზრდებისადმი მხარში დგომით. ამიტომაც მას, როგორც საკუთარ დედას, ისე მიმართავენ და ჯუმბერ ლეჟავას აკადემიას „სიყვარულის აკადემიას“ უწოდებენ.

– საღამოს სტუმარიც და მასპინძელიც თავად გახლავართ! – ომახიანად განაცხადა საიუბილეო საღამოს წამყვანმა და წარმოგვიდგინა ხონის კულტურის ცენტრის ლიტერატურული წრის

მოსწავლეები, რომლებმაც მოკლედ ისაუბრეს გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებაზე წაიკითხეს რჩეული პოეტის ლექსები.

საღამოზე პოეზიას მუსიკა და სიმღერა ენაცვლებოდა. ღონისძიებას სასიამოვნო ელფერი შესძინა ხალხურმა ანსამბლმა „ლომისი“ ხელმძღვანელი შალვა ილურიძე. ასევე მონაწილეობდა ჯგუფი „**ზღვარის**“ სოლისტები, პოეტები: **კახა ბაციკაძე** და **სერგი ლომაძე**.

საიუბილეო საღამო გულთბილი სიტყვებით დაამშვენა პოეტმა და მწერალთა კავშირის თავჯდომარის მოადგილე **მაყვალა გონაშვილმა.** მან მიულოცა ქალბატონ გულნაზის იუბილე და ისაუბრა მის დიდ ღვაწლზე, აქვე საქებარი სიტყვები არ დაიშურა **გულიადა სანოძისა** და მისი მოსწავლეების, ხონის პირველი საჯარო სკოლის და მისი აღსაზრდელების მისამართით, ახალგაზრდებმა ღირსეულად წარმოაჩინეს თავიანთი კუთხე და სკოლაც ასახელეს. საღამოს ესწრებოდა ხონის საჯარო სკოლის დირექტორი **შორენა კაპანაძე.**

ღონისძიებაში ძირითადად, მონაწილეობდნენ ხონის 1 საჯარო სკოლის მოსწავლეები: **მარიამ ღოღობერიძე** (მე-8 კლასი), **გიორგი უგრეხელიძე** (მე-8), **ვასილ აგლაძე** (9-ე, კლასი), **საბა ჯიმშელეიშვილი** (მე-5), **დათო ლიპარტელიანი, დათო ჩანქსელიანი** (მე-4), **გიორგი ჩიღლაძე** (მე-5). ღონისძიების მხარდამჭერი გახლდათ ხონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **მანანა გოფოძე**, კულტურის ცენტრის დირექტორი **მინერი ონიანი**, ხელოვანი **ნაზი ჯიქია**, პოეტი **ნათია დაშნიანი**, ქუთაისის აკაკი წერეთლის

სახელობის უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტი **ნინო ბახტაძე** და მე-2 კურსის სტუდენტი **გურამ ჯიშკარიანი**, სეუ-ს 1 კურსის სტუდენტი **ზიზი ფარულავა**. საღამოზე იუბილარმა ყველა მონაწილე ახალგაზრდას საჩუქრად სამახსოვრო სიგელები გადასცა.

ხონის კულტურის ცენტრის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი **გულიადა სანოძე** შესანიშნავი დეკლამატორი და მსახიობია. მას არაერთი როლი აქვს ნათამაშები, მათ შორის **„მაია წყნეთელი“**. ქალბატონი გულიადა ასევე, გახლავთ ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის ხონის ფილიალის ვიცე-პრეზიდენტი.

თეა კანდელაკისაგან სიურპრიზად მორთმეულ ყვავილებზე რეაქცია.

მაყურებლის დიდი მოწონება და დაიმსახურა პოეტის პატრიოტულ ლექსებზე შესრულებულმა სიმღერებმა: **„რა ჩუმად შემოსულხარ ჩემში“**, **„მინდა კოცონი ლექსით დავანთო“**. ასევე, დიდი ოვაციები გამოიწვია **„ლომისი“**-ს მიერ შესრულებულმა სიმღერამ **„სიკვდილი უკვე რწმენით ჩავლობე“**, რომლის ტექსტი **გულნაზ ხარაიშვილმა** უწმინდესს და უნეტარეს **ილია მეორეს** მიუძღვნა. საღამოზე ჯგუფ **„ზღვარი“**-ს სოლისტმა **კახა ბაციკაძემ** შეასრულა იუბილარის საყვარელი სიმღერა **„ჩემი ლირიკა“**.

როგორც ზემოთ ვთქვით, საღამოს ასევე, ესწრებოდნენ მწერალთა კავშირის თავჯდომარის მოადგილე მაყვალა გონაშვილი, მხატვართა კავშირის თავჯდომარე **გურამ ცერცვაძე**, პოეტის ან გარდაცვლილი ძმის **ბეჟან ხარაიშვილის** მეგობრები პოეტი **ერეკლე საღლიანი**, ლიტერატორი **ლევან ბაბუხადია**, მოქანდაკე **გელა ლარიაშვილი**, რომელმაც სიზმარში ნანახი პორტრეტის ესკიზი შექმნა და შემდეგ ბიუსტი გამოაქანდაკა. ბეჟანის შვილიშვილმა **გვანცა ხარაიშვილმა** კი, ქალბატონ გულნაზის ლექსით მიულოცა იუბილე.

საიუბილეო საღამოს მაღალ დონეზე წარმართვისთვის **გულნაზ ხარაიშვილმა**, ხონის მუნიციპალიტეტსა და კულტურის ცენტრის ლიტერატურული წრის წარმომადგენლებს, სოციალურ ქსელით მადლობის წერილი მიუძღვნა.

მართლაც ლამაზი ლიტერატურული ზეიმი იყო, მარად დაუვიწყარი.

ჟუჟუნა ნიჟარაძე

განვლილი ცხოვრების ეპიზოდები

I

დღესდღეობით ძალიან ბევრი გვესმის ძალადობის შესახებ. საზოგადოებამ მოისმინა, რომ მსოფლიო ოპერაში „კარმენი“ ძალადობაზე გამარჯვებით დაიდგა. ისე მთავრდება სპექტაკლი, რომ კარმენი ცოცხალი რჩება.

გამახსენდა, რამდენიმე წლის წინ ვესტუმრე იტალიას. ერთ-ერთ უძველეს ქალაქში, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტების მიერ, ღია ცის ქვეშ დაიდგა თეატრი. მე ვთხოვე ბათუმის მაშინდელ მერს, ბატონ არჩილ ჩხეიძეს, რაიმე ჩვენც დაგვედგა და გადავწყვიტეთ ბოლო სცენა გაგვეთამაშებინა „ოტელოდან“. გადაწყდა მე გავიდოდი სცენაზე და ბატონი არჩილი გამომეკიდებოდა: – „პლატოკი, პლატოკი“ სად არისო? სცენაზე ჩვენს სირბილს საზოგადოება ტაშით ამხნევებდა. ბოლოს მე დავეცი და ოტელო თავზე დამადგა. ყვიროდა: „პლატოკი, პლატოკიო“... სცენარის მიხედვით მას უნდა მოვეკალი. მე კი „პლატოკი“ ამოვიღე და და აი „პლატოკი-მეთქი“ და ერთმანეთს გადავეხვიეთ. ამით დამთავრდა შექსპირის „ოტელო“, მსოფლიოში პირველად ძალადობაზე გამარჯვებული. დეზდემონამ და ოტელომ მხიარულად დატოვეს სცენა ტაშის გრიალში.

„ბოროტსა სძლია კეთილმან“ ... როცა გავიგე, რომ კარმენი გადარჩა სიკვდილს, ეს სცენა ჩემთვის დიდი სიხარული იყო, რადგან ჩვენს მიერ იტალიაში „ოტელოს“ სცენარში დეზდემონაც გადაურჩა სიკვდილს. ამ ქალაქთან კიდევ გასახსენებელი მაქვს ეკლესია, სადაც ქალაქის საზოგადოების მიერ „პლუტარქესთვის“ ნაჩუქარი მარმარილოს სკამი იდგა. მქონდა ბედნიერება, რომ ამ სავარძელში ვიჯექი 1 საათი. დავდიოდი ქუჩაში, სადაც სეირნობდნენ: მედეა, დიოგენე, პლუტარქე...

დღეს, 2019 წელს, როცა ჩემი განვლილი ცხოვრებიდან ვიხსენებ მოგზაურობას ამერიკაში, ყველაზე სასიამოვნოდ მახსენდება „ნიაგარა“ და იქ ჩემს საყვარელ მსახიობთან, გრიგოლი პეკთან შეხვედრა. იტალიაში დეზდემონას როლი, ეგვიპტეში – ტუტან ჰამონის სარკოფაგი, კართაგენის ნაშთები, ვიეტნამში – წყნარი თიკიანის– ხონგაის ყურეში წყლის გამოსვლა და შემდეგ გადინება და ამ წყალთან ჩემი მოგზაურობა. ხოშიმინის კუნძულებზე, ვიეტნამის ჯუნგლებში მოგზაურობა. ეგვიპტის უდაბნო და იქ მოსული წვიმა. ირანში ქალთა ყრილობაზე ჩემი გამოსვლა. ავსტრიაში, ინსბურგში, ზალცბურგში მოცარტის სახლმუზეუმში, მარსელის სასახლეში, ვენაში შტრაუსის ნაკვალევზე... ასევე სასიამოვნო მოგონებად მრჩება პეკინში, მაო ძედუნის სასახლეში გამართულ წვეულებაზე, ჩემი შესრულებული ცეკვა „ლეკური“.

საბერძნეთთან ცხრა ბალიან ღელვაში გადარჩენა. იუგოსლავიასთან, დუნაიზე ღელვაში მოხვედრა, ჩემი ნეპტუნისთვის 5 ვარსკვლავიანი კონიაკის ბოთლის გადაგდება და ნახევარ საათში შეჩერებული ღელვის სიხარული...

დაუვიწყარია მონა ლიზას ნახვა იტალიში, მოსკოვში, სოხუმსა და თბილისში... ჩეხეთისა და სლოვაკეთის გაყოფის აღსანიშნავად გამართული ზეიმი ჩეხოსლოვაკიაში... პოლონეთში, ვარშა-

ვაში ჩემი საუვარელი მწერლის, სენკევიჩის საფლავის ვარდებით შემკობა. ეკლესიაში „შოპენის ხელის“ გამოფენის ნახვა...

საფრანგეთში, ლევილში კაკლის ხის ქვეშ მოწყობილი შეხვედრა იქ მცხოვრებ ქართველებთან: ქალბატონ ლიდა და ბატონ გოგი ნოზაძეებთან, პოეტ გიორგი ყიფიანთან, მამია ბერიშვილთან, ჯაბა და ვენერა ხაბულიანებთან, შოთიკო და ნუციკო თაყაიშვილებთან და სხვებთან...

პარიზში, ლიონში, ნიცაში, მონტე-კარლოში, კანში, მონაკოში სტუმრობა ალბერტ II-ის მოწვევით...

მანჯურაში ულამაზესი პანოები... ნავით გასეირნება ბაიკალის ტბაზე, კურილიის კუნძულებზე...

მოგზაურობა ჩინეთში, – პეკინი, შანხაი, ნანინი, სუხანი... პრიბალტიკაში – ესტონეთი, ლატვა, ლიტვა... რუსეთში -ლენინგრადი, სადაც გადავიხადე ჩემი დაბადებიდან 50 წლის იუბილე...

დაბრუნება ამერიკიდან და ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადარჩენა. აეროპორტში, უკანასკნელ წუთს, ბოდიშის მოხდით სხვა თვითმფრინავში გადაგვსვეს. მოგვიანებით გავიგეთ, რომ თვითმფრინავი, რომლითაც ჩვენ უნდა გამოვმგზავრებულიყავით, ჰაერში აფეთქდა და ოკეანეში ჩამოვარდა.

შეხვედრები რუმინეთში გამართულ ტრავმატოლოგთა ყრილობაზე, სადაც მეუღლესთან ერთად ვიმყოფებოდი. ჩეხოსლოვაკიაში სტუმრად ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში, როგორც ექიმი, ჩემი მეუღლის ნაცვლად...

მეტად დასამახსოვრებელი სტუმრობა გერმანიაში, დუსელდორფში, ავღანეთის ყოფილი ავიაციის მინისტრის – კარიუმის ოჯახში.

დაუვიწყარია თბილისის ზღვისა და ჟინვალში, არაგვის სანაპიროსთან ლხინი, მამას მეგობრებთან: გენერალ გიორგი ყურაშვილთან, ირაკლი აბაშიძესთან, ცხაკაიას რაიკომის მდივან – ხუტა ადამიათან, ვახტანგ ურუშაძესთან და სხვებთან...

1945 წელს ატეკში, პიონერთა ბანაკში დასვენება და ბათუმიდან გა გერმანული გემით „უკრაინა“, მგზავრება: ხარკოვში, როსტოკში, ზაპაროჟში, შემდეგ იალტაში და იქ მოლოტოვის სტუმრობა, არტეკის 25 წლის იუბილეზე...

სირიაში, გობელინისა და მოზაიკის გამოფენაზე გავიცანი ქართველები სოფელ ჭანუკვარიდან, რომლებიც იქ მე-19 საუკუნიდან ცხოვრობენ.

ეგვიპტეში, წითელ ზღვაში მოვინახულეთ მარჯნის პლანტაციები. თურქეთში სულთნის სასახლეს ვეწვიეთ, სადაც ადრე ხშირი სტუმარი იყო ჩემი დიდი ბაბუა, იმერეთის მეფე ვახტანგი და მეფე დავით II-ის შვილიშვილი....

II

ეს ნარკვევი დამაწერინა ჩვენი უსაყვარლესი პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის დიდმა სიყვარულმა და პატივისცემამ. ბედნიერი ვარ, რომ მას პირადად ვიცნობდი და საშუალება მაქვს, მომავალში კიდევ გავიხსენო და სხვა მოგონებებიც დავწერო.

ზემელზე, სამაიას ბაღთან, სადაც ძველად სულხან-საბას ძეგლი იდგა, კუთხეში გრძელი ლუდის ბარი იყო. იქ უყვარდათ ვერელებს თავყრილობა. დიდ ჭიქებში ჩამოსხმულ ლუდს ყველა სიამოვნებით შეექცეოდა, მით უმეტეს ცხელ დღეებში.

შემოდგომის ერთ დღეს, ჩემი მეუღლის, მერაბის მძღოლი მოვიდა სამსახურიდან ჩემს წამოსაყვანად. მაშინ მერაბს, ტრამვატოლოგიისა და ორთოპედიის საკვლევ სამეცნიერო დირექტორს, მანქანა ემსახურებოდა. იმ დღეს ზემელზე ამოუხვია მძღოლმა.ლუდის ბართან შევნიშნე

გალაკტიონ ტაბიძე და ოთარ პირველი. უკვე შემთვრალნი იყვნენ. გალაკტიონს თავისი დიდი ჩანთა ჰქონდა იღლიაში. რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. მძღოლს ვთხოვე გაეჩერებინა.

– ეს ადამიანები უნდა წავიყვანოთ.

მძღოლმა მანქანა შეაჩერა. გადმოვედი, ორივეს მივესალმე და ვთხოვე მანქანაში ჩამსხდარიყვნენ. ჯერ უარზე იყვნენ, მაგრამ ბოლოს დამთანხმდნენ. ისინი უკანა სავარძელზე დასხდნენ, მე წინ, მძღოლის გვერდით. მანქანაში უცბად დატრიალდა სასმელის სუნი. უხერხული სიჩუმე მე დავარღვიე და ვუთხარი:

– ბედნიერი დღეა ჩემთვის ბატონო გალაკტიონ, რომ შემიძლია მოგემსახუროთ.

გაიცინა. „ღვინოს არ ვსვამდი,ისევ დავიწყე,
დამჩემდა დარდი, სიგულმავიწყე,
წყალს მივეც ყველა, ია და ვარდი,
სათაყვანებლად წინ რომ დავიწყე.
კარგა ხანია არ ვწევდი თუთუნს,
ნაცვლად ვისმენდი მტკვრის ამო დუდუნს,
ეხლა თუთუნის ბოლი დგას სახლში,
რა გაათენებს ამ ღამეს უკუნს“

მადლობა გადავუხადე და ჯერ ბატონი გალაკტიონი მივიყვანეთ სახლში, შემდეგ მე მიმიყვანეს და მძღოლს ვთხოვე ოთარი მიეყვანა, რომელიც ვაკის პარკთან, უნივერსიტეტის სახლში ცხოვრობდა. კარგა ხნის შემდეგ მძღოლმა დამირეკა, სახლს ვერ მივაგენითო. ვთხოვე მოსულიყო ჩემთან. ჩავჯექი მანქანაში და ოთარი სახლში მივიყვანე. სახლში მარიკა პირველი დაგვხვდა. ძალიან გაიხარეს ჩემი მისვლით. ბევრი ვიცინეთ. თურმე ერთნაირად დაულევიათ, მაგრამ ოთარის ძალიან ეტყობოდა, აი გალაკტიონს კი– არა.

ოთარს მისი მოძღვნილი ლექსი შევახსენე. „მეგობრის ცოლი არ იყო, ვაი დედასა ქალო, რად გვმართებ კაცებს ბნედასა“... და ა.შ. ვუთხარი: „კიდევ კარგი ეს ლექსი დავკარგე“ და მანაც:

„რად დაკარგე ჩემი ლექსი,
მერე როგორ ნაწერი,
იმ სტრიქონებს შევალიე,
თითქმის შვიდი– რვა წელი.
ამაღლებულ ლექსს ვამბობდი,
როგორ გაქე, გაკარგე,
შენ კი ვითომ არაფერი,
აიღე და დაკარგე!“

გავიდა დრო და დღეს, როცა გვიხარია საქართველოს თავისუფლება, მაგრამ ჩვენი დიდი მეზობელი რუსეთი ისევ გვებრძვის, ისე, როგორც ამაზე გალაკტიონი წერდა: „ ნეტავი შავი ზღვა, სადაც ღელვა და ჭრიალია,
მთელი ეს ზღვა ნეტავ ოდეს,
ერთ უზარმაზარ არყის ქვაბად გადაიქცეს.
მაშინვე ხარბი უფიქრებლად გადაეშვება სათრობად რუსი,
და შიგ ჩაიღრჩობა, ჩაიღრჩობა და გაჰქრება, როგორც ბურუსი.“
ზიზღით წერს გალაკტიონი:
„ვინც სისხლიან თავის ნაჯახებს,
მცირე ერებს აჯახებს,
ზიზღი, ზიზღი ამ ყაჩაღებს,

ვინც ომებს აჩაღებს.“

საოცარია, როცა გალაკტიონი წერდა: „რუსების ხიშტებით კვლავ დაჩუმდა, მშფოთვარე პოლონეთი“, რამდენადაა დღეს პოლონელებთან მისადაგებული მისი სიტყვები...და არა მხოლოდ პოლონეთთან!

ამ შტიკზე ხომ ილიაც წერდა: „რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა, ღმერთმა იმ რუსსვე ასცალად მისცეს!“

უნდა გვახსოვდეს, რომ მე-20 საუკუნეში, გალაკტიონი აშკარად გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას, რუსეთის იმ ნაწილისადმი, რომლებიც მტრულად იყვნენ ქართველთა მიმართ განწყობილი. სამწუხაროდ ეს პროცესი დღესაც, 21-ე საუკუნეშიც მიმდინარეობს. ამის დამადასტურებელია, როგორც ზოგიერთს ჰგონია მათი „სტუმრობა“, თბილისიდან 40 კილომეტრში. გავა დრო და დღევანდელ მდგომარეობას გაიხსენებენ და შეაფასებენ მომავალი თაობები, ერთ დიდ ოჯახად მცხოვრები აფხაზები, ქართველები, ოსები...

მე-20 საუკუნის თბილისელები ბედნიერები იყვნენ, რადგან რუსთაველის პროსპექტზე ხვდებოდნენ დიდებულ ქართველ მწერლებს, კომპოზიტორებს, მომღერლებს, დიდ მეცნიერებს, თბილისის კოლორიტებს. როცა ამერიკაში მცხოვრებ ბატონ გიორგი (ჟორა) ღოღუას ვკითხე, ყველაზე უფრო რა გენატრება მეთქი, მიპასუხა: „რუსთაველზე გასეირნებაო“.

ის დრო და ის ადამიანები დღეს, 21-ე საუკუნეში სანატრელია. ამიტომაც 3 თაობის ადამიანები, 30 წლის შემდეგ კვლავ იხსენებენ თბილისურ პაემანს ვერაზე. ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის წინ კი დაიგო ვარსკვლავი „გიზო ნიშნინიძე– პაემანი ვერაზე“. ეს ვარსკვლავი შთამომავლებს გაახსენებს ნაღდ თბილისელებს. რომელთა სულიც, დღესაც და მომავალშიც დაამშვენებს ყველასთვის საყვარელ თბილის ქალაქს.

ქალაქ თბილისის პირველმა მერმა, ბატონმა ირაკლი ანდრიაძემ, ჩემთან საუბარში გაიხსენა: „1988 წელს, ინგლისიდან თბილისს ეწვია ქალბატონი მარგარეტ ტეტჩერი. შეხვედრა სასტუმრო თბილისის ფოიეში მოეწყო. როცა სასტუმროდან გამოვედით, რუსთაველის თეატრის მოპირდაპირე მხარეს, თაიგულებით ხელში უამრავ ხალხს მოეყარა თავი და შეძახილებით ესალმებოდნენ სტუმარს“.

ტეტჩერი აღტაცებული დარჩენილა და უთხოვია ფეხით გავიაროთო, რუსთაველის თეატრს რომ მიუახლოვდნენ, ყველას გასაგონად უთქვამს: „აი ეს შენობა არის თბილისის ნამდვილი სიამაყე, მას უნდა გაუფრთხილდეთო.“.. მართლაცდა, ისევე როგორც ძველი თბილის შენობებს, ასევე ამ ადამიანების გახსენება და მოვლა აუცილებელია, რათა თბილისმა არ დაკარგოს თავისი სახე. თბილისი მარტო თბილისელებს კი არ უყვართ, არამედ ჩამოსული სტუმრებიც ვერ ფარავენ თავის სიყვარულს ჩვენი ქალაქისადმი. გულახდილად გეტყვით, რომ იმედი მაქვს, რუსეთის ხელისუფალნი ბოლოს და ბოლოს ყველაფერს გააკეთებენ, რომ აღადგინონ ჩვენი მეზობლობა და მეგობრული ურთიერთობა,გაათავისუფლონ ქართული მიწა. ამის საუკეთესო მაგალითია რუსრული და ქართული ეკლესიების თანაარსებობა და პატრიარქებს შორის მეგობრული დამოკიდებულება.

ერთხელ, ჩემმა 4 წლის შვილთაშვილმა (ბადიშმა), ერეკლემ მითხრა: „მერი ხომ ქალის სახელია, ჩემს ბებოს ქვია და კაცებსაც ისე მოსწონთ, რომ იძახიან -მერი მინდა გავხდე, მერი მინდა გავხდეო!“

ნოვოსიბირსკში, კურილიის კუნძულზე იყო მელიების ფერმები „ჩერნაბურკა“ . ამ ფერმების საკვები იყო ტერიტორიებზე მომრავლებული ვირთხები. ვირთხების საკვები კი, თევზის ქარხნებში გადამუშავებული ნარჩენები იყო. ქარხნებში უმეტესად ქალები მუშაობდნენ და თითქმის ყვე-

ლა სიგარეტს ეწეოდა. როგორც ამბობდნენ იმ საშინელი სუნის გასაქარწყლებლად, რომელიც იქ სუფევდა.

გაწყვიტეს ჩერნაბურკების ფერმა და ქალაქები აივსო მომრავლებული ვირთხებით.

მთავარი ვირთხა გაიქცა და მას სხვა ვირთხებიც გაედევნენ. გზად დიდი რძიანი ქვაბი შემოხვდათ. მთავარი ვირთხა და მისი ახალგაზარდა მიმდევარი ჩაცვივდნენ ქავაბში. სხვები შეჩერდნენ. უფროსმა-„ჩემი ცხოვრება დაილიაო“ და დაიღუპა, ახალგაზრდამ კი, ტრიალი დაიწყო და კუნძულზე აღმოჩნდა. რძე შედედა კარაქად. ადამიანის ცხოვრებაშიც ზოგჯერ ასე ხდება.

ერთხელ აკაკი წერეთლის ნაწერებში ამოვიკითხე: „ერთი ბერძენი სამ ურიას მოატყუებს, ერთი სომეხი სამ ბერძენს ერთად აღებულს, ქართველი კი გულღია, პატიოსანი ადამიანია და ბევრჯერ ხდება მოტყუებული.“

მართალი გითხრათ, მე არ ვიცოდი სომეხს რომ თავზე მარილმოყრილს ეძახდნენ. ისე კი დაკვირვებული ვარ, მაგიდასთან თუ სომეხი ზის უზომოდ ბევრ მარილს მიირთმევს.

ერთმა მდიდარმა სომეხმა კაცმა, ქართველი ქალბატონი, ანა ითხოვა. კარგი ოჯახი შექმნეს. აი, ერთ დღესაც ანას მეუღლე ავად გახდა. შეწუხდა ოჯახი. ანა ფეხშიშველი წავიდა ეკლესიაში სალოცავად და ღმერთს შეავედრა მეუღლის ჯანმრთელობა. იმ დღეს დიდი წვიმა მოვიდა, ფეხშიშველი ანა გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა. მისი ქმარი კი განიკურნა და ახლა ის შეწუხდა მეუღლის ავადმყოფობით. მივიდა ეკლესიაში და მღვდელს კითხა: „ რა გავაკეთო, რომ ჩემი ცოლი გამოჯანმრთელდეს, აი ერთი ცხენი მყავს და იმას გავყიდი, ფულს კი ეკლესიას შევწირავო.“

მეორე დღეს დაიჭირა კატა და ცხენთან ერთად გაუდგა გზას ქალაქის ბაზრისკენ. ბაზარში უკვე ბევრ ხალხს მოეყარა თავი. ერთმა კაცმა ჰკითხა:

– ცხენს ჰყიდი?

– კი, ცხენს ვყიდი და დაემატება კატა.

– რამდენად ჰყიდი?

– ცხენს ათ მანეთად, კატას კი ორმოც მანეთად!

– მე მარტო ცხენი მინდა.

– არა, თუ ცხენი გინდა კატაც უნდა იყიდო!

დიდხანს ივაჭრეს და ბოლოს კაცმა მისცა 50 მანეთი და წაიყვანა ცხენიც და კატაც. დაბრუნდა კაცი სოფელში. მივიდა ეკლესიაში და ღმერთს უთხრა: „რომ დაგპირდი, ცოლის გადასარჩენად ცხენს გავყიდი და იმ ფულს ეკლესიას შევწირავო, აი ეს ათი მანეთი, რომელიც ცხენში მომცეს – გწირავო!“

მღვდელს 10 მანეთი დაუტოვა, პირჯვარი გადაიწერა და სახლში ბედნიერი დაბრუნდა. სწორედ ამ ამბავზე დაუწერია აკაკი წერეთელს:

„ნიჭით თუ მოხერხებით,
განთქმულია ბერძენი,
ურიაც ნაქებია,
როგორც მხნე და შემძენი,
მაგრამ სულ სხვა გვარია,
სომხის ხერხი და ჭკუა,
ასეთ გაჭირვების დროს,
ღმერთიც კი მოატყუა!“

„სოლიარე“ (ხელფასი) წარმოშობილია ლათინური სიტყვიდან. (სოლ-მარილი) რადგან ძველ რომში დაქირავებულ ხალხს გასამრჯელოს მარილით უხდიდნენ.

სუფრასთან ხშირად მიკითხავს სტუმრებისთვის: „– რას მეტყვით საჭმელ ქვაზე?“ ხშირად ამ კითხვაზე პასუხს ვერ ვიღებ. მერე ვუხსნი, რომ ჩვენი კვების რაციონში პირველ ადგილზე მარილია (ნატრიუ ქლორი), მინეროლოგიაში ჰალიტად წოდებული. მარილის გარეშე შეუძლებელია, როგორც ადამიანთა, ასევე ცხოველთა არსებობა. ცნობილია, რომ წლის განმავლობაში საშუალოდ 8 კილოგრამ მარილს იღებს.

ვარ კოლექციონერი და 350 მოხუცი, მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა ფიგურების მფლობელი. მათ შორის არიან: დე გოლი, განდი, პუშკინი, ჰიპოკრატე, ვაჟა-ფშაველა, ზაქარიაძე, გეგეჭკორი, შევარდნაძე და ა.შ.

III

ბავშვობაში ხშირად ვსტუმრობდით ქალაქ გორს. ამ ქალაქში ცხოვრობდა ჩემი უფროსი დეიდა თამარი და მისი ქალიშვილი მედეა ხარისჭირაშვილი. მისი დიდი პაპა, პეტრე ხარისჭირაშვილი ცხოვრობდა თურქეთში, ქალაქ სტამბულში. იგი დიდ საქმეს აკეთებდა სამშობლოს სიყვარულით. ლეკების მიერ გატაცებულ და თურქეთში გასაყიდად წაყვანილ ქართველ ბავშვებს ყიდულობდა და პატრონობდა. თურქეთშივე ააშენა ეკლესია, რომლის მრევლიც ეს ბავშვები იყვნენ.

ისევე, როგორც დღეს, სხვა საუკუნეებშიც ახსოვთ ადამიანთა უზნეობა. ბევრი ბატონი იყო შემჩნეული არაადამიანურ საქციელში.

„ქართლიდან გამოვეპარე,
ბატონს პატარა ქალიო,
თან წამოვიღე საგზლათა,
შიში და ცრემლის ღვარიო..“

ისტორიულად საქართველოშიც ყოფილან მტარვალი ბატონები, წუწკი აბრაგები და სხვანი. ასევე ცნობილი არიან ქართველი გმირი ქალებიც: თამარ ვაშლოვანელი,თინა წავკისელი, თამარ მჭადიჯვარელი, მაია წყნეთელი...

უამრავ პოეტს, მწერალს, რეჟისორს სურდა, ისტორიკოსებისა და ფოლკლორისტების მიერ შემონახულ მასალებზე დაყრდნობით, ამ გმირ ქალებზე შეექმნათ უკვდავი ნაწარმოებები.

მე-20 საუკუნეში, ვლადიმერ კანდელაკმა, თავისი დიდებული პიესით ძეგლი დაუდგა მაია წყნეთელს. ბატონი ვლადიმერი მამაჩემის, თენგიზ ნიჟარაძის ახლო მეგობარი იყო. ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენს ოჯახში ვლადიმერ კანდელაკი, დავით გამრეკელი, ხვითო გრიგალაშვილი, აპალონ ყიფიანი.

ვლადიმერ კანდელაკმა დაწვრილებით შეისწავლა მაია წყნეთელის ბიოგრაფია. მაია წყნეთელი მე-18 საუკუნის 40-იან წლებში, წყნეთში დაიბადა. მისი მშობლები ამ სოფლის გლეხები ყოფილან. მაია ერთადერთი ქალიშვილი იყო. დედა ადრე გარდაეცვალა და ობოლზე მზრუნველობა მამამ იტვირთა. არაჩვეულებრივი სილამაზის მაია, სოფლის თვალი ყოფილა. მისი სილამაზე არც ბატონს დარჩენია შეუმჩნეველი და ობოლი გოგო მისი ავხორცობის მსხვერპლი გამხდარა. მამამ ვერ გადაიტანა შვილის გაუბედურება და თავი მოიკლა. ამის შემდეგ მაია ვაჟის ტანსაცმელში გამოწყობილა და იარაღი აუსხამს. ერეკლე მეფეს მათე ბიჭის სახელით ხლებია და მის რაზმში ჩაწერა უთხოვია. მეფეს მოსწონებია მისი ვაჟკაცური სიტყვა და მისი თხოვნა დაუკმაყოფილებია. პირველად ლეკებს შერკინებია და თავისი მამაცობით ყველას სიყვარული დაუმსახურებია. ბრძოლის შემდეგ მეფეს მეომრები შეუკრებია და გადაუკოცნია. მეორე გამარჯვება– სოღანღულის ბრძოლაში მოუპოვებია. ზოგიერთ თავადს არ მოსწონდა მაიას მტრული დამოკიდე-

ბულება თავგასული და მოღალატე თავადების მიმართ და მისი მოკვლა განუზრახავთ. თავის გადსარჩენად მათე ბიჭმა თავი თრიალეთს შეაფარა და იქაც სამშობლოს მტრებს ებრძოდა. ბოლოს სომხეთის ერთ სოფელში დასახლებულა. ერთხელ ერეკლე მეფეს იმ სოფელზე გაუვლია და მტერი დასხმია თავს. მათე ბიჭს ვაჟკაცურად უბრძოლია თავისი მეფისთვის. მეფეს გამოუკითხავს მისი ვინაობა და კიდევაც გაუხსენებია ერთგული მეომარი.

1795 წლის 8 სექტემბერს, კრწანისის ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილი მაია წყნეთელი ირანში გადაუსახლებიათ. მან ტყვეობიდან თავის დაღწევა შეძლო, თუმცა აღსასრული სომხეთის მიწაზე მოუწია. ასე დასრულდა გმირი ქართველი ქალის ცხოვრება, რომელიც ხალხმა არ დაივიწყა და ჩვენამდე მოაღწია. ვალერიან კანდელაკის პიესამ კი, სამუდამოდ უკვდავყო მაია წყნეთელის სახელი.

IV

ბავშვობაში გორის ციხეზე ასვლა და იქ დროის გატარება, ყველასთვის სანუკვარი იყო. ძველი ხალხი იმასაც ყვებოდა, რომ იოსებ ჯუღაშვილი და მისი მეგობრები, სწორედ გორის ციხესთან მართავდნენ შეჯიბრებებს, როგორც ლახტში, ასევე ჭიდაობაში. ამ ზეიმზე თავს იყრიდნენ არა მარტო გორელები, არამედ ახლო მახლო სოფლებიდანაც ჩამოდიოდნენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები.

გავიდა დრო და უკვე მერვე ათეულ წელს მიღწეული ვფიქრობ, ტურისტული საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს და დააფასებს მის ისტორიულ მნიშვნელობას.

გორის ქვედა ტერიტორია გაწმენდილია და გადატანილია ბაზარიც. ქართული ეკლესიაც ყურადღებას იქცევს თავისი სამუზეუმო დარბაზით.ბავშვობაში დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა გორის თეატრიც. სადაც ცნობილი რეჟისორი, ვასო ყუშიტაშვილი მოღვაწეობდა. მისი სიყვარული და პატივისცემა ბავშვებისადმი დაუვიწყარია. ამ თეტრში, მთავარ დირიჟორად და სპექტაკლების მუსიკალურ გამფორმებლად მუშაობდა დედას ძმა– ლევან ყარანგოზიშვილი. მაშინდელ გორში ფაბრიკა-ქარხნები და სტალინის სახლ-მუზეუმი მთელი დატვირთვით მუშაობდა.

ახლახან გამოვიდა მწერლისა და პუბლიცისტის, ნიკო ნიკოლაძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ვაჟა შაქარაშვილის წიგნი „შენ ელვარებდი ნაღვერდალივით“. „ღვაწლი კომპოზიტორ ლევან სიმონის ძე ყარანგიზიშვილისა“. წიგნში გახსენებულია დიდი იაკობ გოგებაშვილი და სოსო ჯუღაშვილი. სოსო ჯუღაშვილი არა მხოლოდ პოეტი, არამედ -ჩინებული მგალობელიც ყოფილა. სასულიერო სასწავლებლის დამთავრების მშემდეგ, სოსო ჯუღაშვილს მეგობრებთან ერთად მგალობელთა გუნდი შეუქმნია, რომელსაც თავად თავკაცობდა. გუნდს კონცერტები გაუმართავს გორში, ცხინვალსა და ხაშურში. სოსოს კარგად სცოდნია ნოტები. საღმდელთმთავრო მსახურებისას მთავარი მედავითნე და მგალობელი ყოფილა. შესანიშნავი ხმითა და მუსიკალური ნიჭით გამოირჩეოდა. სასწავლებლის დამთავრებისას ფსალმუნითაც დაუჯილდოვებიათ.

შემთხვევითი არც ისაა, რომ ილიას მიერ, გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ლექსი „დილა“, სწორედ გორელმა კომპოზიტორმა, ლევან ყარანგოზიშვილმა აქცია სიმღერად. ამ სიმღერის პირველი შემსრულებელი გახლდათ ლაურა ტატიშვილი. ამ სიმღერით მან ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

პიანისტმა და კომპოზიტორმა ლევან ყარანგოზიშვილმა, ათეულ წლობით იღვაწა გორის დრამატულ თეატრში, რომელიც მისთვის მარადიული ხელოვნების ტაძარი გახლდათ, ხოლო სცენა – მისი საკურთხეველი, სადაც უამრავ ადამიანთან ერთად ლოცულობდა და ხარკს იხდიდა ხელოვნების წინაშე!

მუშაობდა ისეთ რეჟისორებთან, როგორებიც იყვნენ: ვასილ ყურიტაშვილი, პავლე ფრანგიშვილი, სიკო ვაჩნაძე, ოთარ ალექსიშვილი, გიორგი აბრამიშვილი. ნიკო შიუკაშვილის სპექტაკლში „სულელი“, გენო ქულბაქიანის „შესაფერისი ჯილდო“, „გამოცდები“, „დაგვიანებული სიყვარული“, დავით ლუკაშვილის „შავლეგო“, აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, ვიქტორ გაბისკირიას „მარტოხელა“, „საყვარელი ეზო“, გიორგი ერისთავის „გაყრა“, ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“. მისი ცნობილი სიმღერაა „სირაჩხანა, სირაჩების ბუდეა“. მისივე შექმნილია მუსიკა სპექტაკლისთვის – გორდონის „ორი ბატონის მსახური“.

ბატონი ლევანი გახლდათ უნიჭიერესი კომპოზიტორი და ამავდროულად შემსრულებელი სხვადსხვა ინსტრუმენტებზე. იგი ფლობდა როგორც როიალს, ასევე ვიოლინოსა და სხვა სიმებიან საკრავებს. კონსრევატორიაში სწავლობდა ბუჭუტა იაშვილთან ერთად. იყო შეუდარებელი დირიჟორი, რომელიც უძღვებოდა გორის თეატრის სიმფონიურ ორკესტრს. ასევე ქმნიდა სიმღერებს, რომლებიც შემდეგ ესტრადაზე სრულდებოდა მერი შილდელის მიერ. მისი შექმნილია მუსიკა, სოსო ჯუღაშვილის ლექსზე „მთვარე“. გარდა ამისა, მოღვაწეობდა თბილისის სახკულტურის თეტრში.

2018 წელს ჩემს მიერ დაწერილი წიგნი, „სისხლის ყივილი“, მივუძღვენი ლევან ყარანგოზიშვილების ოჯახს. ჩემს პაპას(ლევანის მამას), სიმონ ყარანგოზიშვილს. როდესაც მუნჯი კინო შემოვიდა, ბიძაჩემის, ლევანის აკომპანიმენტის ქვეშ მიდიოდა ხოლმე ჩვენებები. მახსოვს ბუთხუზი ბასილაია მეტყოდა ხოლმე, „როცა ლევანია, მე ნუ მთხოვთ დაკვრასო“. ამის მოწმეა ჩვენი ოჯახის საყვარელი მეგობარი ჯემალ ბაღაშვილი, რომელიც აღტაცებული უსმენდა ფორტეპიანოზე შესრულებულ „არღანს“.

ლევან ყარანგოზიშვილი გარდაიცვალა 74 წლის ასაკში და დაკრძალულია მუხათგვერდის სასაფლაოზე. მისი სახელი და მის მიერ გაწეული ღვაწლი დღემდე ახსოვთ გორში.

ჟუჟუნა ნიჟარაძე
მონიჭებული მაქვს: აფრიკული „გრიოტის“ წოდება
„საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი“.
„ამაგდარი მწერალი“.
„საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი“.
„ქართული კულტურის ამაგდარი, მთარგმნელი“.
სამი ოკეანის ნეპტუნის სახელი – „კუნჯა“
„როტარი კლუბის, თბილისის აკადემიის ვიცე პრეზიდენტი და გამორჩეული ქველმოქმედი წევრი“
„საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების აქტიური წევრი და ჩინეთის კულტურის მცოდნე“
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი

ანზორ ჯაფარიძე

ამაღლება ახალციხეში

მიმდინარე წლის ექვს ივნისს სრულიად საქართველომ დიდი ზეიმით აღნიშნა ბრწყინვალე რელიგიური დღესასწაული „ამაღლება“, ეს იყო ჩემს მშობლიურ სოფლის ცხოვრებაში ერთ-ერთი ისტორიული დღე. ლამაზი დღე გათენდა, ჩემს გაუბედურებულ სოფელ ახატელში. აქ, ადრე ათას ექვსასი კომლი ცხოვრობდა, დღეს დროისა და ჩვენი უსულგულობით ასი კომლიღაა შემორჩენილი. ეს დღესასწაული არასოდეს დაავიწყდება სოფ-ლის მოსხლეობას. მე ამ კომლთა სიმცირეს ძლიერ განვიცდიდი და ვწერდი სტატიებს, სოფლის მოსახლეობაში პირველ რიგში უნდა დაბრუნებულიყო რწმენა, კომუნისტების ხელში დაკარგული უფლის რწმენა, უნდა აღმდგარიყო, უნდა გვყოლებოდა მღვდელი, ეკლესიაში უნდა ჩატარებულიყო წირვა. კულტურული ძეგლები სისუფთავეს და მოვლას საჭიროებდა. თუ რწმენა არ იქნებოდა, ნაგვით აივსებოდა სალოცავი ადგილები. ოცდათერთმეტი წლის ხვეწნისა და მუდარის შემდეგ ეს ოცნება ასრულდა. ორი ათას თვრამეტ წელს სოფელში დაინიშნა მღვდელი ზაქარია ჩიღლაძე, რომელმაც განაცხადა: მე სიღარიბის არ მეშინია, თქვენთან ვარ ჩემო გაჭირვებულო სოფელო, მოვედი, რომ აღვავლინი ლოცვები, კვლავ გავათბო გაცივებული კერები, უფლისათვის ვილოცოთ ახათელებო და უფალი გაგვამრავლებს და აღგვიდგენს დაკარგულ ტერიტორიებს. სოფლის გამგებელმა, ქალბატონმა, ინგა ძამუკელაშვილმა, არნახული ღონისძიება ჩაატარა, თავი მოუყარა თითქმის მთელი ახატელის მოსახლეობას, ჩატარდა სპორტული ღონისძიებები, გათამაშდა პრიზი, გაცოცხლდა

სოფელი, რწმენამ გაიღვიძა, მარათლმადიდებლობა ზეიმობს. რაიონის ხელმძღვანელობამ სოფელ ახატელს ორი ათას ცხრამეტი წლისათვის გამოუყო ბიბლიოთეკისა და კლუბის რემონტისათვის თვრამეტი ათასი ლარი, ხოლო ერთკილომეტრიანი გზის რეაბილიტაციისათვის სამასი ათასი ლარი. ეს გზა ეკლესიამდის მიდის. ჩემს სოფელში მღვდლის მობრძანებამ, სოფელს სიოსავით გადაუარა. სოფლის მცხოვრებლებმა ერთმანეთს შევფიცეთ, ერთ გოჯ მიწასაც არ დაუთმობთ არავის. ჩვენთან არს ღმერთი.

07-06-2119 წელი.



მზიური დათიაშვილი-აფციაური
პოეტი-პედაგოგი

მოულოდნელი საღამო

2019 წლის 23 აპრილს ჯუმბერ ლეჟავას სახალლობის აკადემიაში, მორიგი „პოეზიის საღამოსათვის“ შევიკრიბეთ მისი შემადგენლობა.

მე ცოტა ადრე მომიწია მისვლამ ოფისში და შევესწარი აკადემიის პრეზიდენტის სატელეფონო საუბარს, (ეტყობოდა, ახლო პიროვნებასთან).

– შვილო, მერე მზად ხართ?

– კი, იყო პასუხი. მიიღო დამაჯერებელი პასუხი, მაგრამ აღელვება ვერ შეიკავა და შეუტია: – „თქვე პატარა ეშმაკუნებო, ეს რა მოგიფიქრებიათ?

– მოდით და ვნახოთ. ცოტა შიშნარევი ეჭვიანი კილოთი დაუმატა და ლაპარაკი ტელეფონზე შეწყვიტა.

მე და იმ წუთს შემოსული აკადემიის წევრებს გადმოგვხედა და გულახდილად თქვა: – რამე მიშველეთ, ბავშვები მოდიან! დიდებთან შეხვედრაზე ის ეარ დავიბნეოდი, როგორც ამ ბავშვებმა ამაფორიაქეს. ჩემი ბეჟანის შვილიშვილმა მე-5 კლასელმა ბავშვმა დამირეკა: – ბებო, მოვამზადე ღონისძება ბაბუა ბეჟანის გასახსენებელი საღამოსათვის, ჩემ კლასელებს დავურიგე მისი ლექსები და გვინდა ეს საღამო შენს აკადემიაში ჩავატაროთ. შენ იცი, რომ ბაბუ ძალიან მიყვარს, თანაც აღდგომა მოდის, ხომ იცი, როგორ უყვარდა მას აღდგომა და არ გამიბრაზდე, დაგვითმეთ ეს საღამო ჩვენ, ძალიან გეხვეწებითო.

პრეზიდენტს თვალები ანთებოდა და ღიმილი, შეშფოთება და რაღაც აუხსნელი გრძნობა, ერთად არეული დასთამაშებდა სახეზე.

– ნამდვილად უნდა მიშველოთ... ყველა შემთხვევისათვის მზად უნდა ვიყოთ. როგორ მეთქვა უარი ჩემი საყვარელი ძმის – ბეჟანი ხარაიშვილის პატარა ჯერ გამოუცდელი შვილიშვილისათვის, რომელმაც თავის თავზე აიღო ის დიდი ტვირთი, რომელსაც პოეზიის საღამო ჰქვია. საოცარია, რაღა აღარ ხდება, დაამატა და თითქოს ღმერთს ეხვეწებაო, წრფელი შიშჩამდგარი თვალებით გადმოგვხედა. მოულოდნელობით გაოგნებულებმა დავუწყეთ ლოდინი ბავშვებს.

ჩვენი „პოეზიის საღამო“ გრძელდებოდა. ღია აუდიტორიის კარში მალე გამოჩნდნენ პატარა გოგო-ბიჭების ცქრიალა სახეები. ცნობისმოყვარე თვალებით იმზირებოდნენ. თითქოს უნდოდათ გაეგოთ რა ხდებოდა იქ. ჩვენ ტაშით მივეგებეთ მათ – პრეზიდენტმა 5 წუთიანი ტაიმ-აუტი აიღო, ბავშვებს გაესაუბრა. და დართო ნება აუდიტორიაში შემოსულიყვნენ. ბავშვები მერხებზე დასხდნენ. გულნაზ ხარაიშვილმა აუიდიტორიას ამცნო ბავშვების მოსვლის მისია. გაგვაცნო საქართველოს ერთ-ერთი გენიალური პოეტის (მისი ძმის) ბეჟან ხარაიშვილის შვილიშვილი – გვანცა ხარაიშვილი – მკვირცხლი და ჭკვიანთვალება სხარტი გოგონა, ბავშვს სადემონსტრაციოდ ეცვა და თანატოლებისაგან გამოირჩეოდა. მოდურად დავარცხნილი გრძელი თმა მის მშვიდ ბავშვურ სახეს კიდევ უფრო უხდებოდა, ეტყობოდა ბაბუს, რაღაც სერიოზულ მიძღვნას უმზადებდა.

პრეზიდენტმა წამყვანობა გვანცას დაუთმო. აპლოდისმენტების ხმაურში, ბავშვები მისი მითითებით აუდიტორიის სახელდახელო სცენაზე განლაგდნენ, და დაიწყეს, გაჟღერდა ბეჟან ხარაიშვილის, ამ ახალგაზრდა და სიცოცხლედაუმთავრებელი პოეტის (გარდაიცვალა 30 წლის ასაკში) პოეტური ქმნილებები. დარბაზი გასუსული უსმენდა ბავშვების მიერ წარმოთქმულ ყველა

ბწკარს. ზოგი მშვიდად აუღელვებლად ამბობდა, ზოგს აღელვებისგან გამოთქმა შეეშალა. ვფიქრობ, მათთვისაც მოულოდნელი იყო ასეთი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა. გვანცა მათკენ გვერდის მხრიდან მიბრუნებული ანიშნებდა: ვის როდის უნდა დაეწყო.

ბავშვებმა მათი გონებისა და ფიზიკური შესაძლებლობების ფარგლებში ბრწყინვალედ გაართვეს თავი ბეჟან ხარაიშვილის რთულ ფილოსოფიურ ლირიკას.

ბავშვების გამოსვლამ ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს საქართველოს ღვთაებრივი საგალობელის: „შენ ხარ ვენახი“-ს ფონზე ბეჟანის სულის საფიქრალს ძალა მისცემოდა,კ და პოეტს ირეალურ სამყაროში, გრძნობით ჩასძახოდნენ მისივე სიტყვები: – „ბეჟან საქართველო არ მომკვდარა! საქართველო გაიმარჯვებს!...”

ბავშვებმა საღამო ცეკვა „აჭარულით“ დაასრულეს.

გმადლობთ, ბავშვებო! ჩვენს სულში ასე უეცარი შემოჭრისა და აფორიაქებისათვის!

„იესომ მოუხმო ბავშვებს და ჩააყენა მათ შუა და უთხრა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, თუ ისე არ მოიქცევით და არ იქენით როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში”...

მათე. სახარება. თავი 18. გვ.52.

პრეზიდენტმა ბავშვები დაასაჩუქრა აკადემიის აკადემიური გამოცემებით: „ჟურნალ“ ათინათის 2015 წლის გამოცემით „ანთოლოგიით“ და სხვადასხვა საავტორო გამოცემებით.

გვანცას და მის თანატოლებს გააცნო დიდი ბაბუის ბეჟან ხარაიშვილის ბიუსტის შემქმნელი, მოქანდაკე გელა ლარიაშვილი და მისი შვილიშვილი, რომელმაც საინტერესოდ წაიკითხა ლეგენდა „უფალსა და ქართველებზე“...

რეჟისორმა ნიკო ბაღაშვილმა გადაიღო ვიდეოფილმი და სამახსოვრო ფოტოები.

ჩვენ ყველამ საყვარელი ბავშვები მომავლის დიდი იმედით გავუშვით, არ დამავიწყდება ლოგოსი: „უჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და ომი არ იქნება!“ – დიახ, ნუ ჩავაქრობთ ბავშვის ანთებული თვალებს და აფართხალებულ გულს!

ბავშვი

უზადო ნათელს ფაქიზი სული,
ბავშვის უმწიკვლო რწმენა განსაზღვრავს,
საოცარია წინაპართ თქმული
რომ სუფთა დაფის სახეთ ასახავს
ბავშვობა – დროის მიძღვნილი ჯილდო,
გასაოცარი ჟამის ვარდობა,
ამ სუფთა სულებს დროც რომ არ ინდობს, –
ეპოქალური რისხვა, არნდობა,
რამდენს ჩამოვთვლით უფრო წამებულთ:
ჩვილ კვირიკეს თუ ჰეროდეს მსხვერპლებს,
„ცხრა ძმა კოლაელთ“, აპრილის გმირებს,
თუ ფაშისტური „ეს-ეს-ის“ მძევლებს...
აღარ გვსურს ბავშვებს ვაუწყოთ შფოთი,
ბავშვი ლაღია თავის ბუნებით,
შეცდომებზე კი – უნდა აღვზარდოთ,
არ დავამდაბლოთ მთრგუნველ ცდუნებით...
უზადო ნათელს ბავშვი ქმნის მუდამ,
დიდი სიცოცხლის საწყისი რიტმი,
და ამიტომაც ჩვენ, ყველამ უნდა
მათ სულის სწრაფვას ავუწყოთ რითმი...

ბავშვების გასტუმრების შემდეგ წამოვიდა კრიტიკის კორიანტელი. პრეზიდენტი ყველას უკვე აუღელვებლად უსმენდა...

ეს ღონისძიება ერთი ბავშვის მომზადებული გახლდათ, რომელსაც გადაეწყვიტა (სხვათა ჩარევის გარეშე) საყვარელი ბაბუს პატივისცემა და რადგან იცოდა და გრძნობდა ამის შესაძლებლობა მას პრეზიდენტი ბებოს საშუალებით მიეცემოდა, უკან არ დაიხია, და თავისი მტკიცე დამაჯერებლობით წაიყვანა ეს ყველასათვის ძვირფასი და მოულოდნელი საღამო. გვანცა ჩემს თვალში ამაღლდა როგორც ლიდერი.

საღამოს ესწრებოდა გაზეთ „სახალხო განათლების“ კორესპოდენტი. სხვათაშორის ისიც დაიბნა მომენტალურად შექმნილ რთულ სიტუაციაში.

მე ვხედავდი და გამოცდილი პედაგოგიური ალღოთი ვგრძნობდი, ჩვენს წინ ხალას, უბიწო, ახალცოდნამიღებულ, ჯერ კიდევ პოეზიაში ჩაუხედავ, უმწიკვლო, წრფელ ბავშვებს, რომელებსაც თავიანთი თვალთახედვით უნდოდათ წარმოეჩინათ, ამ ჩაგრული სამშობლოს თანამედროვეობის ფონზე, – თავიანთი დიდი სიყვარული სამშობლოს და მის წინაშე დაჩოქილი ბუმბერაზი გენიის საპატივსაცემოდ.

ეს არა თუ გამოსვლა, სურვილიც რომ ყოფილიყო, ჩვენგან პატივიისცემას მოითხოვდა.

23.04.2019წ.

გულნაზის დაბადების დღე

ადამიანების ცხოვრებაში არის ისეთი თარიღები, რომლის დაწყება, არა თუ არ შეიძლება, არამედ ისინი განსაზღვრავენ მის არსებობას ცის და დედამიწის რეალურ სამყაროში.

არის საზოგადოებისათვის აუცილებად აღსანიშნავი „მიძღვნილი“ თარიღები, რომლისთვისაც წინასწარ ემზადებიან, ბჭობენ, გეგმავენ და ა.შ. მაგრამ... არის მოულოდნელობებიც.

2019 წლის 5 მაისს გამაფრთხილეს, რომ რიგგარეშე შევკრებილიყავით, მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში. დავეთანხმე მიწვევას და მისვლისას ვიკითხე, რა ხდება-მეთქი. გაღიმებულებმა იჭვნარევი თვალები შემომანათეს, გულნაზის დაბადების დღეა და გვინდა სიურპრიზი მოვუწყოთ. სუ, გაჩუმდი არ გაიგოსო. მეც გავხალისდი და მათთან ერთად სადღესასწაულო მარათონში ჩავერთე.

– ზღაპარი ქალია, თქვა ერთმა და მეგობრებს გადმოგვხედა, ლექსი მივუძღვენი და ჩუმი ხმით დაიწყო, უცებ დარბაზში ვარდების თაიგულით ხელში ჯგუფი გამოჩნდა.

– გულნაზის თუ უთხარით, რომ მოსულიყო, უიმისოდ?! – ვერ ვხედავ, თქვა თვალებანთებულმა სიყვარულის ტრუბადორმა, და გულნაზიც გამოჩნდა კარში...

სიყვარულით და სიხარულით მოვეხვიეთ ჩვენს სათაყვანებელ, მრავალჭირნახულ, ბრძოლაგადატანილ, თვალებმოღლილ, ცხოვრებისაგან შეცვლილ, მაგრამ კვლავ ახალგაზრდულად შემართულ, მეგობრების სიყვარულისგან გაამაყებულ ისევ ბრძოლაჩაუმცხრალ, სათნო, სპეტაკ და ქალური კლდემამოსილებით ღიმილადქცეულ ქალბატონს.

– რა ხდება აღარ მეტყვით?!

– დაბადების დღეს გილოცავთ, დედა! ჩვენი ოჯახის შემქმნელო. საქართველოს სასიქადულო შვილის – ჯუმბერ ლეჟავასთან ერთად საერთაშორისო მრავალპროფილიანი სამეცნიერო-შემოქმედებითი აკადემიის დამაარსებელო, საუკუნო სულის კეთილმოსურნე ადამიანო, ღმერთმა მოგანიჭოთ ხანგრძლივი სიცოცხლე და პოეზიის უშრეტი წყარო!..

აღფრთოვანებულა იქვე ექსპრომტად ლექსი ვუძღვენი:

გულნაზის

შენ სიყვარულის ხე გადმორგე ჩემს ედემ-ბაღში,
და პოეზიის გამოაღე დიდი სარკმელი,
შემომციცინებ, არ დამაფრთხო უძლური ბავშვი,
მძიმე ცოდვისგან განსაწმენდად მართობ საკმევლით...
სიცოცხლის შუქის ჩამქრალ სხივის მნათედ იქეცი,
დიდი ცხოვრების გზა-სავალის მომეცი საშვი,
შენ, ჩემო დაო, დედაო, და რამ სიამტკბილო,
ამაღორძინე, და ცხოვრების კოფოზე დამსვი!..

5.05.2019.

ხათო ელიაშვილი

უძღვნი გულნაზი ხარაიშვილს!

ადამიანი როგორც სიტყვა, როგორც იდეა

ცოდნის ფლობა წარმოადგენს აზრებს, თანაც ძლიერს
გულის გახსნა სიყვარულით, გამარჯვებას იძენს
საწყისია სულის ძალა, დიდებული გრძნობებით
ხელოვნება ჭვრეტაშია, თვალთახედვის ქონებით.
ფრთაშესხმული ოცნება და ღმერთი უსასრულობის
დუმილი ხომ რიჟრაჟია, ძალა უკვდავმყოფელი
სულიერი საგანძური ანთებულა ნინოს ჯვრით
დედაბძი ყველასათვის, უხილავი იმედი.
ნაკვალევი ღრმა დარდების, ბრძოლის ველი შედეგი
თავგანწირვა გმირის გულით, სიყვარულის ქმედებით
სიტყვის ძალა უმაღლესი ეკლიანი ბილიკი
სულის ფესვის ღირსება და ღმერთთან შესავედრები.
ყოვლის შენძლე, ყოვლის მცოდნე, გულით ნაზი ერთობით
იბნევა და იფანტება სიბრძნედ, ნებად, ქმედებით
ერთი წამით არ ჩერდება შრომობს უსასრულობად
ქალი ღმერთის ნაპერწკალი, ქალი ღმერთის შენება.
ღირსებაა ყველაფერი, თვისობრივი მიზანი
სურვილები შემომქმედის, საიდუმლო ნიშანი
ეს ცხოვრება ტანჯვით მოდის, სიბრძნე ცნობიერებით
სამყაროა აზრქმნილება, შვიდი ფერის სხივები.
თვალთახედვის ხელოვნება, ჭვრეტა ჭეშმარიტების
სულიერი საგანძური, დაბადების შედეგი
თქვენ ცხოვრობთ და თანაც ფიქრობთ, ცოდნა ცოცხალს სჭირდება
მიღებული ზიარებით უკვდავება ბრწყინდება.

ივნისი 2019წ.

ლამზირა შეყილაძე

ჟურნალ „ათინათის“ 33-ე ნომერი

გამოვიდა ჟურნალ „ათინათის“ 33-ე ნომერი. უპირველესად წმინდა ნინოს ღვთიური მადლი შემოგანათებს და გეუფლება მოკრძალება. ფრთხილად შეახებ ხელს და გახსენდება შენი ხატ-სალოცავი. თითქოს სულის მკურნალი. ამ ჟურნალს დიდი დატვირთვა აქვს. აქ იბეჭდებიან ჩვენი სამშობლოს თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი; მწერლები, პოეტები, მხატვრები, ისტორიკოსები, ნორჩი „ათინათელები“, პატარა ანგელოზები.

ერთობ საგულისხმოა თაობათა კავშირი, ნორჩი „ათინათელები“ ეცნობიან საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებას, აგრეთვე ცნობილ ადამიანებთან აკეთებენ ინტერვიუს. ეჩვევიან საზოგადოებრივ საქმეში ჩართვას, იძენენ გამოცდილებას, რაც მათ გონებას და თვალსაწიერს ზრდის და ამდიდრებს, მომავალი საქართველოს კეთილდღეობისთვის. ამ ჟურნალში ჩართულია არა მხოლოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოქალაქენი, არამედ საზღვარგარეთ მყოფი ემიგრანტი თანამემამულენი. ამ ჟურნალს აქ მყოფთათვისაც და ემიგრანტებისათვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. სულმოუთქმელად ველოდებით ხოლმე ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას. ამ გაუტანელ ცრუთა წუთისოფელში გაძარცვულ, დამშეულ სულებს ვინაყრებთ.

აგრეთვე მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ ბევრ ნიჭიერ მეგობრებს ვიძენთ და ვმდიდრდებით კეთილი ადამიანებით, რაც მეტად საჭიროა სამშობლოს ერთიანობისთვის. ასე რომ ერთი დიდი თბილი და მოსიყვარულე ოჯახია ჟურნალი „ათინათი“. მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა ხომ „სიყვარულის აკადემია“ შეარქვა. ეს სახელი ნამდვილად ამართლებს.

მახსენდება „ათინათის“ პირველი ნაბიჯები, როდესაც ყოველი მხრიდან მხარდაჭერის ნაცვლად ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს ერთი და იგივეს ჩასჩიჩინებდნენ, ეს ისეთი საქმე წამოიწყე, შეიძლება რამდენიმე ნომერი გამოუშვა მეტს ვეღარ შესძლებ გაიყიდებიო, მაგრამ ქალბატონ გულნაზის საქმის სიყვარულის, ერთგულების და დაუღალავი შრომის შედეგია, რომ ჟურნალ „ათინათმა“ სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. უფრო და უფრო ძლიერდება, მყარი ნაბიჯებით მიიწევს მწვერვალებისაკენ. იმ მწვერვალებისაკენ, სადაც სამშობლოს ერთიანობა დამაჯერებლად იტყვის თავის სათქმელს.

აფერუმ შენს გაწეულ შრომას ქალბატონო გულნაზი. ღმერთმა გაგაძლიეროს და მეტი შეგაძლებინოს მამულის ერთიანობისათვის.

და ბოლოს მინდა დავძინო, თუკი ვერაფერს შესძენთ სამშობლოს, ნურც ნურაფერს დაუშავებთ!

* * *

მთა-მწვერვალებზე თოვლი იდო,
ფერმკრთალი მთვარე სიცივით თრთოდა.
დედამიწაზე შენ რომ არ იყო,
ამ ცივ სამყაროს ვინ გაათბობდა?!

ნაირა უგულავა

* * *

ნაზი ჯიქია დაიბადა 1986 წ. 28 აპრილს. 2003 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სამუსიკო სკოლის შვიდწლედი. 2005 წელს დაამთავრა კულაშის ზოოვეტერინალური კოლეჯი.

ბავშვობიდან დიდ სიყვარულს იჩენდა მუსიკის მიმართ. არის ბუნებრივი ნიჭით აბსოლუტური სმენის უნარით დაჯილდოებული თვითნასწავლი მუსიკოსი.

დიდი ოსტატობით უკრავს გიტარაზე და შესანიშნავად მღერის. მან ასეთი ნიჭისა და უნარის წყალობით 2006 წელს დაიწყო ხონის მე-2 საჯარო სკოლაში გიტარის მასწავლებლად მუშაობა. ამჟამად მოღვაწეობს ხონის ვეტა ჩხენკელის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სცენტრში. არის გორდის ლიტერატურული სალონის წევრი. რომლის ხელმძღვანელია უნიჭიერესი მსახიობი, ქალბატონი გულიადა სანოძე.

ზეპირად, ნოტების გარეშე თხზავს ლამაზ სიმღერებს; გიტარაზე აწყობს და თავად ასრულებს. მან შეასრულა პოეტ გულნაზ ხარაიშვილის ლექსებზე შექმნილი ორი სიმღერა. „ქარი კვლავ ტოტებს არხევს“ და „ვეძებ“. ნაზი ერთგული მეუღლე და დედაა. ის ორ შვილს უზრდის სამშობლოს ჭეშმარიტ მამულიშვილებად. არის ყოველმხრივ დადებითი თვისებებით შემკული ადამიანი. საზოგადოებაში სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით. მადლიერი მშობლებისა და მოსწავლეების რიცხვი დღითიდღე იზრდება.

იმედია, ნაზი ჯიქია აქტიურად და ნაყოფიერად გააგრძელებს მოღვაწეობას მუსიკის სფეროში და წარმატებით გაუძღვება მოსწავლეების აღზრდის რთულსა და კეთილშობილურ საქმეს.

ნელი ქველაძე

უწერელი რაინდი

ვისაც ოდესმე ჰქონია ბედნიერება, ზემოდან, ერთხელ მაინც შეევლო თვალი ჩვენი სამშობლოსათვის, თვალნათლივ დაინახავდა ორ ზღვას შუა მოქცეულ სამოთხეს, რაც სამყაროს შემოქმედს უთვალავი ფერებით შეუმკია.

აქ, ამ მადლიან მიწაზე უხილავ ხელს ჩაუქარგავს ლურჯი მთა-გორები, მწვანე ტყეები, ჭრელ-ჭრელი მინდვრები, ვერცხლისფერი მდინარეები, ბროლის ჩანჩქერები და ლურჯი ტბები...

ეს საქართველოა... ძირძველი ისტორიული ხალხის "გეორგიანელთა" ქვეყანა, ღვთისგან ნაბოძები მიწა... ამ საუფლოშია მოქცეული: ქართლი – გული საქართველოსი, კახეთი – სისხლი ქართველთა, იმერეთი სულია, სამეგრელო გონია, მთიანეთი ჯიშია, აჭარა-აფხაზეთი მზიანეთია, გურია ვნებაა, სვანეთი ძლევამოსილებაა, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი(ძვ, თაკვერი) ნამდვილი ზღაპარია.

აი ეს ზღაპრული მხარე პირველად 80-იან წლებში ვიხილე, რაც აუცილებლობით იყო გამოწვეული. საქმე იმაშია, რომ მაშინ ჩემს გოგონას ქეთის "გარდატეხის" ასაკი ჰქონდა, ხანდახან ჭირვეულობდა და ხან კუჭს, ხან სხვა რამეეებსაც იტკივებდა. თბილისში არცერთი ცნობილი სპეციალისტი არ დამიტოვებია, თუმცა ნიშანდობლივად, საბედნიეროდ არცერთი სერიოზული დაავადება არ აღმოაჩნდა. მათ მირჩიეს: კარგი იქნება, თუ დროებით გარემოს შეუცვლითო. შემეძლო ბორჯომის ხეობაში წამეყვანა, მაგრამ მთელი ბავშვობა იქ ჰქონდა გატარებული და მისთვის უცხო გარემო ვერ იქნებოდა.

სწორედ ამ დროს, საგონებელში რომ ვიყავი ჩავარდნილი ჩემმა მეგობარმა რაჭველებმა, ბერიშვილებმა დამირეკეს და რაჭაში დაგვპატიჟეს: აქეთ ჩამობრძანდით, დაგეხმარებით და უწერის სანატორიუმში მოგაწყობთო.

ბევრი აღარ მიფიქრია, მოვკიდე ჩემს ქეთის ხელი და რაჭაში გავემგზავრეთ. ზემოთ აღნიშნულმა ოჯახმა დიდებული მასპინძლობა გაგვიწია. იმ ღამით იქ დავრჩით, მეორე დღეს კი უწერის გადატვირთულ სანატორიუმში ძლივს, ვაი-ვაგლახით მოვეწყეთ № 13 ოთახში. მაგრამ ამ თარსად აღიარებულ რიცხვს ვინ დაეძებდა? წარმოიდგინეთ და იღბლიანიც კი აღმოჩნდა ჩვენთვის...

ნამდვილ წალკოტში მოვხვდით: დილით რომ

ფარდებს გადავწევდით, ჩვენს თვალწინ საოცარი სანახაობა იშლებოდა: ყვავილნარსა და ნაძვებში ჩაფლული ეზო, ხოლო წინ აღმართულიყო ზღაპრული ტყე, სადაც უწერის სამკურნალო წყალი მოჩუხჩუხებდა. დილაადრიან ლამაზი ბილიკით ავივლიდით ტყეში აღმართს და ფრინველთა გალობით დამტკბარნი სიამოვნებით ვაგემოვნებდით უკვდავების წყალს, შემდეგ კი ტყიდან ჩამოსულებს დიდ, ნათელ სასადილო ოთახში გვხვდებოდა ნოყიერი საუზმე, განთქმული რაჭული სამზარეულოს ნობათებით.

აქაური ბუნება არც მსოფლიოში განთქმულ შვეიცარიის ალპებს და არც პარიზის ცნობილ ბულონის ტყეს არ ჩამოუვარდებოდა. ხომ ამ ჯადოსნურმა ტყემ შთააგონა დიდ კომპოზიტორს შეექმნა უკვდავი "დიდი ვალსი". გავცქეროდი ამ წარმტაც არე-მარეს და ვფიქრობდი: ვინ იცის აქ რამდენი შემოქმედი ადამიანი შექმნიდა მეთქი სრა-ასპარეზს. და ასეც მოხდა (მაგრამ ამაზე მოგვიანებით). უნდა გამოგიტყდეთ, რომ გულისწყრომაც კი მიპყრობდა იმ ჩემს თანამემამულეთა მიმართ, რომლებიც ერთმანეთის წამხედურობით ზაფხულს საზღვარგარეთის კურორტებზე ატარებდნენ და ვერ ხვდებოდნენ რა განძზე ამბობდნენ უარს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე კორპუსი სავსე იყო დამსვენებლებით. საუკეთესო ნაკადი აღმოჩნდა. აქ იყვნენ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც ცნობილი მეცნიერები, მწერლები, პოეტები, საერთაშორისო პოლიტიკური მიმომხილველები, სოციალისტური შრომის გმირები, ჟურნალისტები. მაგ. ფანჯიკიძეებისა და გურამ დოჩანაშვილის ოჯახები, მიმომხილველი სოსო ცინცაძე და ჟურნალისტი მერაბ ბერაძე ოჯახებით. პოეტ მურმან ლებანიძის ოჯახის წევრები და ბატონი მურმანიც ხანდახან ჩამოდიოდა; მშობლიური რაჭის დიდი მოტრფიალე, ცნობილი ეთნოგრაფი ლევან ფრუიძე, რომელსაც აქ მომხდარმა ერთმა შემთხვევამ უბიძგა შეექმნა დიდი გამოკვლევა: "რატომ მიაქვს რაჭა წყალს". აქ ისვენებდა აგრეთვე წინამდებარე ნარკვევის მთავარი გმირიც, რომელიც ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ გამაცნო...

სანატორიუმში საინტერესო კულტურული ცხოვრება სუფევდა. იყო დიდი კლუბი და წამმართველი კულტორგანიზატორი ბ-ნი ალექსანდრე ჟივიძე – ასაკოვანი, მაგრამ საოცრად ენერგიული, გამოცდილი და სიცოცხლით სავსე. აქ ხომ საუკეთესო გენოფონდი იყო თავმოყრილი და ბ-ნ ალექსანდრესაც ეს საუკეთესო ადამიანები ფართოდ ჰყავდა ჩართული სანატორუიმის სისხლსავსე ცხოვრებაში. აქ ყოველდღიურად იმართებოდა შინაარსიანი ლექცია-საუბრები, ეწყობოდა პოეზიის საღამოები, საბავშვო თეატრალური წარმოდგენები (წამყვანად ჩემი ქალიშვილიც იქნა მიწვეული). აქ ყველა კმაყოფილი იყო და ბედნიერად გრძნობდა თავს...

სანამ ჩემს ძვირფას მკითხველს იმ მოულოდნელი შემთხვევის შესახებ მოვუთხრობდე, მანამდე ერთ ამბავზე მინდა გავამახვილო ყურადღება: აქ ჩამოსვლამდე ხელში ჩამივარდა იმ დროინდელ საზოგადოებაში საკმაოდ გახმაურებულ ნოველათა კრებული "კაცნი", ავტორი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილი ქართველი მწერალი – რეზო მიშველაძე. ჯერ ბოლომდე წაკითხული არ მქონდა ეს წიგნი, მაგრამ შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ მთელი არსებით ვიყავი მასში ჩაფლული. ალბათ იმიტომ, რომ ნოველების გმირები ხალხის წიაღიდან აღებული პერსონაჟები იყვნენ და ყურადღებას იპყრობდნენ თავიანთი ცხოვრებისეული ოცნებებითა, თუ მიზანდასახულობით, ჭირითა თუ ლხინით, ამტანობითა თუ გამტანობით, სიყვარულითა თუ კეთილშობილებით. მათი უმრავლესობა, რაც მთავარია სიკეთის კეთებისაკენ იყო მიმართული. პიკში აყვანილი სირთულეების დროსაც კი არ კარგავდნენ რწმენას, სიძნელეებს კაცურად აგვარებდნენ და თვითონაც ბოლომდე კაცებად რჩებოდნენ. მხიბლავდა მათი სიმამაცე, თითქოს ძალასაც მმატებდა. ამიტომ ამ წიგნს მუდამ თან დავატარებდი, განუყრელი მეგობარი შეიქმნა ჩემთვის და რაჭაშიც თან წამოვიღე. როგორც

კი თავისუფალ დროს ვიპოვნიდი, ჩავიდოდი სანატორიუმის ეზოში და სულმოუთქმელად ვკითხულობდი...

იმ დღესაც წიგნით ხელში ეზოში მერხზე ვიჯექი, წიგნი მუხლებზე მედო და ჩემს ახლადშეძენილ მეგობრებსაც შთაბეჭდილებას ვუზიარებდი. უცებ წვიმის მსხვილი წვეთები ჩამოიფრქვა ციდან; ავიხედე, მზე კვლავ ანათებდა და გავიფიქრე: ალბათ "მზე პორს იბანს" მეთქი. ისმოდა ბავშვთა მხიარული ჟივილ-ხივილი. საღამო თბილი იყო, ნიავიც სახეზე სასიამოვნოდ გველამუნებოდა... წიგნის კითხვაში ჩაფლულმა, გვიან შევნიშნე ნიავი შეუმჩნევლად როგორ გადაიზარდა ქარში, ამას ჩემი წიგნის ფურცლების შრიალზე მივხვდი. უცებ შავმა ღრუბელმა ცა დაფარა, მზეც გაუჩინარდა და საკმაოდ ჩამობნელდა. ძლიერმა ჭექა-ქუხილმა მიდამო შეაზანზარა, ქარმა კი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა ფოთლები, წიწვები და გირჩები თავზე გადმოგვაყარა. უცებ წამოვიდა ძლიერი თავსხმა წვიმა. მაშინ კი წამოვცვივდით და სირბილით შენობას თავი შევაფარეთ. ფანჯრებიდან ვუყურებდით გრიგალი როგორ ატრიალებდა მოგლეჯილ ხის ტოტებს და სხვადასხვა მოტაცებულ ნივთებს. ისმოდა ლაწუნის ხმა, ქარის ღმუილი, წვიმის ჩქაფუნი – ვეებერთელა ტბორებს რომ აყენებდა.

მთელი ღამის განმავლობაში კოკისპირულად წვიმდა, ჭექა-ქუხილი არ წყდებოდა, გრიგალი ყველაფერს გლეჯდა, შუქი გაითიშა. თითქოს სამყაროს აღსასრული დამდგარიყო. ბნელში დარჩენილებმა მთელი ღამე თეთრად გავათენეთ, ჩემი წიგნი გულში მქონდა ჩაკრული, თითქოს შველას მისგან ველოდი და შემდგომში ასეც მოხდა.

განთიადისას წვიმამ იკლო, აღარ ელავდა, ჭექა-ქუხილი შეწყდა, ქარიც ისე აღარ ღმუოდა და ბოლოს დაწყნარდა კიდეც. მალე გამოიდარა, მზემაც კი გამოანათა და გაგვიცინა, თითქოს არაფერი არ მომხდარიყო... მაგრამ გადავიხედეთ და გაპარტახებული ეზო დაგვიდგა თვალწინ. სკვერები გადაფარული იყო დალეწილი ტოტებით, რამდენიმე ხეც ძირფესვიანად იყო ამოგლეჯილი, მათ შორის ჩემი საყვარელი ქოჩორა ნაძვის ხეც. ჩავედი ეზოში და მის ფესვებს მოვეფერე, ხელის გულს ვუსვამდი, მეგონა გავაცოცხლებდი...

სასტუმროს პერსონალი უკვე შესდგომოდა ეზოს დასუფთავებას და ჩვენც ვეხმარებოდით. მოვიდა არასასიამოვნო ინფორმაცია, რომ ქარიშხალმა ჩვენს ირგვლივ ბევრი რამ დააზიანა, მათ შორის სოფელ უწერაშიცო. და რაც ყველაზე შემაშფოთებელი იყო სანატორიუმი მოწყდა სამყაროს, რადგან ყველა დამაკავშირებელი გზა, საცალფეხო ბილიკებიც კი წალეკილი და დანგრეული იყო. და რამაც ყველაზე უფრო მეტად დააბნია და შეაწუხა დამსვენებლები იყო ის, რომ სერიოზულად იყო დაზიანებული საავტომობილო გზა. ისინი ხომ თავიანთ ოჯახებთან ერთად საკუთარი მსუბუქი მანქანებით იყვნენ ჩამოსულნი და მთებში ჩარჩენისა სერიოზულად ეშინოდათ. ეზოს შემოსასვლელისაკენ გავიხედე და დავინახე დამსვენებელ მამაკაცთა დიდი ჯგუფი, რომელიც ერთ მამაკაცს შემოხვეოდა და თავის ჭირ-ვარამს უზიარებდა.

ისინი ისეთი აღელვებულნი იყვნენ, რომ მათი ხმამაღალი ლაპარაკი კარგად ისმოდა:

– თუ აქ ჩავიკეტეთ, რა მეშველება? მამაჩემის წლისთავი მაქვს გადასახდელიო – ამბობდა ერთი, თითქმის ცრემლებამდე მისული მამაკაცი.

– მე ქალიშვილს ვათხოვებ და ქორწილიც დანიშნული მაქვს და რომ ჩამეშალოს თავი მომეჭრებაო (თავისი ქალიშვილი აქ ჰყავდა ჩამოყვანილი, მშვენიერი ელისო)! – თითქმის ყვიროდა მეორე:

– ჩავიდოდი თუ არა მივლინებით მოსკოვში მივფრინავდი, თუ ასე გაგრძელდა მოსკოვი კი არა, თბილისამდეც ვერ ჩავაღწევო, – დაუმატა მესამემ ასე გაუთავებლად შესჩიოდნენ იმ ახალგაზრდა კაცს, რომელიც წრის შუაგულში ჩაეყენებინათ.

მოხდენილი სწორი აღნაგობისა იყო ის ახალგაზრდა, ნათელი და სანდომიანი იერ-სახით. თაფლისფერი შუქიანი თვალები თაფლის წმინდა სანთელივით უციმციმებდა. ფართოდ გაშლილი მაღალი შუბლი კი მის კეთილშობილებაზე და მაღალ ინტელექტზე მიანიშნებდა.

გავიფიქრე, ალბათ ეს ახალგაზრდა კაცი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელია და ალბათ ჩვენს დასახმარებლად მოვიდა მეთქი.

ის კი, მშვიდად და მოთმინებით უსმენდა შეწუხებულ მამაკაცებს. და როდესაც მათ გული მოიოხეს და დაძაბულობაც ცოტა განელდა, გაისმა მისი წყნარი, მაგრამ მტკიცე ხმაც:

– აბა რა გითხრათ, მეგობრებო, მეც ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში დიდი ხანია არ ვყოფილვარ, მაგრამ არც გულგატეხილობა გვმართებს, გულხელდაკრეფილნი ვერ ვიქნებით. ჩვენ კაცნი ვართ და ნამდვილი კაცი კი გამოსავალს ყველაზე რთულ სიტუაციაშიც იპოვნისო.

მისმა ასე მტკიცედ ნათქვამმა გაცხარებული მამაკაცები თითქოს თანდათან დააწყნარა, ხმაურს უკლეს და ყურადრებით უსმენდნენ მას, რომელიც რაღაცას სთავაზობდა მათ, მაგრამ თუ რას, ბავშვები მოგროვდნენ და მათ ჟივილ-ხივილში აღარაფერი მესმოდა.

თუმცა ვამჩნევდი, რომ რაღაცაზე ბჭობდნენ; გამოსავალი კი აუცილებლად იყო მოსაძებნი, რადგან ხმა დაირხა: სანატორიუმის ადმინისტრაციაც შეშფოთებულია, ვაითუ პროდუქტებიც აღარ გვეყოს და ამდენი ადამიანი, მათ შორის ბავშვებიც მშიერი დაგვრჩებაო.

ერთი სიტყვით სიტუაცია რთული და საშიში იყო. ამიტომ მამაკაცები იმ ახალგაზრდა მამაკაცთან დიდხანს და საქმიანად ბჭობდნენ. ჩანდა, რომ რაღაცაზე შეთანხმდნენ, რაღაც გადაწყვიტეს და თუ რა, ეს ჩემთვის მხოლოდ მეორე დღეს გახდა ცხადი.

სისხამ დილით ეზოში გადავიხედე და ასეთი სურათი დავინახე: იმ ახალგაზრდა კაცს, ჩემი ვარაუდით, რაიკომის ან აღმასკომის მუშაკს, მწკრივში ჩაეყენებინა დამსვენებელი მამაკაცები და როგორც ჩანს მათგან სამუშაო რაზმი შეექმნა. ისინი სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილნი, ხელში ბარებით, თოხებით, ე.წ. ლაფატკებითა და კირკებით, რკინის ლომებით, მოხალისე მუშებს ჰგავდნენ და ასეც იყო. მათ წინამძღოლს კი ხელში მოზრდილი "ლაფატკა" ეჭირა და მათ წინ მიუძღოდა.

გულში სითბო ჩამეღვარა იმ ახალგაზრდა მამაკაცის მიმართ და სიმპათია გამიჩნდა. ჩანს, რომ მან მოახერხა დაერწმუნებინა ისინი, რათა თავიანთი პრობლემები თავად მოეგვარებინათ და სხვის იმედად არ დარჩენილიყვნენ.

ეს სურათი ყოველ დილით მეორდებოდა: საღამოობით კი, მართალია დაღლილნი ბრუნდებოდნენ, მაგრამ ამაყნი და თავაწეულნი, მზედაკრული ხალისიანი სახეებით. მათ უანგარო შრომას სასურველი შედეგი მოჰყვა. ჯერ მინერალურ წყლამდე ასასვლელი ბილიკი აღადგინეს, შემდეგ კი ყველა სასეირნო საცალფეხო გზებიც. მათ სოფლის ახალგაზრდობაც გვერდით დაუდგა და ნამდვილი შრომითი მართონი გაიმართა.

მალე საავტომობილო გზაც აღდგა, სანერვიულო არაფერი იყო და სანატორიუმის ცხოვრება ჩვეულ რიტმში ჩადგა. იქაურ კლუბში საზეიმო მიღება გაიმართა და მადლიერმა დამსვენებლებმა ყველას სათითაოდ მადლობა მიუძღვნეს იმ დიდი სიკეთისათვის, რისი გაკეთებაც მათ ამ მოკლე დროში შეძლეს. მათ ხელმძღვანელს კი გულში უკვე რაიკომის ინსტრუქტორად როდი მოვიხსენებდი მას რაინდი შევარქვი, "უწერელი რაინდი". ძალიან მსურდა გამეგო მას რა ერქვა და ან რა გვარი იყო და ერთ დამსვენებელ ქალს ვკითხე კიდეც. მან კი გაკვირვებულმა შემომხედა და გაღიზიანებულმა მომიგო: – კი, მაგრამ, ქალბატონო, დამცინით ალბათ, რაც აქ ჩამოხვედით ეგ წიგნი ხელიდან არ გაგიშვიათ და მის ავტორს როგორ არ იცნობთო?

მოულოდნელობისაგან გავშრი, ძალიან შემრცხვა, ჩემ თავს გულში ვკიცხავდი, რატომ ადრე არ ვიკითხე მეთქი, თან თავს ვიმართლებდი, მე ხომ იგი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი მეგონა მეთქი.

აი, ასე შევხვდი ქართველი ხალხის ღირსეულ შვილს ბ-ნ რეზო მიშველაძეს. მასთან მისვლა მომერიდა და შორიდან ვადევნებდი თვალს მის შემდგომ ქმედებებს. ვხედავდი, რომ ახლა უკვე სპორტულ ფორმაში ჩაცმული, როგორ მიუძღოდა წინ უკვე ტურისტებად გადაქცეულ "გზის შემკეთებელ მუშებს" რაჭის ღირსშესანიშნაობათა სანახავად. ეწყობოდა ტურისტული გასვლები და ლაშქრობები. ექსკურსიის მონაწილეები შეჰყურებდნენ რაჭის ხელთუქმნელ ძეგლებს და გულში სასოებით იმეორებდნენ დიდი გალაქტიონის უკვდავ სტრიქონებს: "რა ხელმა აზიდა ტაძარი ნიკორწმინდა".

მოლაშქრენი უწერელმა რაინდმა უფრო შორსაც წაიყვანა და დიდ წინაპართა ნაკვალევზე დააყენა მამისონის უღელტეხილზე, ასევე უხსნიდა მათ, რომ ამ გზით ჩრდილოეთისაკენ 1724 წელს თავისი ამალით გადავიდა ქართული კულტურის უდიდესი მოღვაწე ვახტანგVI. ბედკრული მეფე საქართველოში ველარ დაბრუნდა, რუსეთში გარდაიცვალა და დაკრძალულია ასტრახანის მიძინების ტაძარში, მის გვერდით კი განისვენებს რუსეთისაგან მოტყუებული მეორე ქართველი მეფე თეიმურაზ II. ისინი სიძე-სიმამრნი იყვნენ.

უწერის სეზონი დასასრულს უახლოვდებოდა, ამიტომ მათ ზედიზედ მოაწყეს ექსკურსია-ლაშქრობანი რაჭის მეორე წარმტაც კურორტ შოვში, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ასევე რაჭის დიდ არქეოლოგიურ გათხრებში, რომელსაც ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა. მიუხედავად ზემოთ აღწერილი დაბრკოლებებისა და პრობლემებისა, ყველა ბედნიერად გრძნობდა თავს და ჩანდა, რომ აქედან წასვლა არავის ეჩქარებოდა.

არა მარტო დამსვენებელ მამაკაცებს, არამედ ყველა სათითაოდ დარწმუნდა იმაში, რომ შენი თავის რწმენა უნდა გაგაჩნდეს, თუ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნდები მეტი ძალა მოგეცემა და უფრო მეტ სიკეთესაც გააკეთებ. ეს რწმენა კი იმ მადლიანი ადამიანისგან "უწერელი გმირისგან" წამოვიდა. ჩემმა გოგონამაც ირწმუნა, რომ სანერვიულო და საჭირვეულო არაფერი ჰქონდა და საბოლოოდ განიკურნა. რაც შემეხება მე, სამუდამოდ დაავადებული ვარ ერთი კეთილი სენით, რომ აღვწერო ყველა იმ ადამიანის სასიკეთო საქმეები, რასაც მამულისა და მამულიშვილებისათვის აკეთებენ, არაფერს არ იშურებენ მათ საკეთილდღეოდ, და ყველაფერი მიაქვთ მამულის სამსხვერპლოზე.

ჭეშმარიტად ასეთი ადამიანია ამ ჩემი მოკრძალებული ნაშრომის მთავარი გმირი, ის "უწერელი რაინდი", ყველასათვის საყვარელი და ძვირფასი, ქართველ შემოქმედთა თავკაცი, ქართული მწიგნობრობის პატრიარქი ბ-ნი რევაზ მიშველაძე. მე მხოლოდ მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთი მცირე ეპიზოდი აღვწერე, შემოგთავაზეთ, რაც ჩემი თვალით ნანახი და მოსმენილი მაქვს. ვინ იცის კიდევ ასეთი და კიდევ უფრო უკეთესი სახელოვანი ეპიზოდებისაგან შედგება მის მიერ განვლილი ურთულესი, მაგრამ ულამაზესი ცხოვრება. ამ ეპიზოდების აღწერა და გამომზეურება ჩემს ძალებს აღემატება, ამისათვის გამოჩნდებიან ისინი, ვისაც ჩემზე მეტად უჭრის კალამი.

ლალი ჩხეიძე

უკანასკნელი პაემანი

გულის ტკივილმა გამაღვიძა, ღამის სამი საათია.მკერდს ხელით შევეხე, ტკივილი შეტევის სახით განმეორდა, საწოლიდან ავდექი და წამლის ძებნა დავიწყე. შიშმა შემიპყრო... ღმერთო რა ხდება? საკუთარ თავზე არ ვფიქრობ, შვილებს ხომ არაფერი შეემთხვა?

– არა, მპასუხობს წინათგრძნობა.

აფორიაქებული ოთახში დავდივარ. ტელეფონის ხმა გავიგე, მესიჯი მომივიდა. ვკითხულობ: – «გელოდები, ჩემი დრო მოვიდა» თბილისი და მისამართი,ნომერი უცნობია, სახელიც არ წერია.გული ამიჩქარდა, ჩემში ნაცნობმა გრძნობამ გაიღვიძა.საწოლს მივუახლოვდი და ჩამოვჯექი, ვგრძნობ რაღაც ხდება, ინტუიცია არ მღალატობს...

ლალი! უცებ ხმა შემომესმა და სიბნელეში ჩემი საყვარელი ადამიანის სილუეტი დავინახე. მიღიმის უხმოდ მესაუბრება,

– მესიჯი მე გამოგიგზავნე. გაიხსენე რას დამპირდი, შემოდგომის ერთ თბილ საღამოს. იმედია, შეასრულებ დანაპირებს, ცოტა დრო დამრჩა, იჩქარე...

თავი სიზმარში მგონია, წამოვდექი, ნაბიჯი მისკენ გადავდგი, მინდოდა თვალებში ჩამეხედა ჩემთვის საყვარელ ადამიანისთვის, რამდენი წლებია არ მინახავს. უშედეგოდ, გაუჩინარდა. ტკივილი არ მტოვებს, ისევ წარსული, მან თავის კარები გამიღო და აღმოვჩნდი, ჩემს საყვარელ ქალაქში იმ ქუჩაზე სადაც ყოველთვის ვსეირნობდით მე და ჩემი პირველი, ამავე დროს, უკანასკნელი სიყვარული... აი, ჩვენი ხეც, არ მოუჭრიათ, ისევ დგას, არაფერი შეცვლილა... მას კარგად ახსოვს შეყვარებული წყვილი, თავის ტოტების ქვეშ, ვაჟი ყოველთვის ხეს ეყრდნობოდაზურგით, გოგონა კი, მის წინ იდგა ხოლმე. ყოველივემ გამახსენა ერთი საღამო,როგორც ყოველთვის ჩვენი საყვარელი ადგილი, ხის ქვეშ, მან ხელები მხრებზე მომხვია, სახის გამომეტყველება შეეცვალა,მკერდში ჩამიკრა და ჩუმად ჩამჩურჩულა:

– ხომ იცი, რომ მიყვარხარ და ყოველთვის მეყვარები. მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერია მოსალოდნელი, თუ ერთად ყოფნა არ გვიწერია და ჩვენი ცხოვრების გზები გაიყარა,– გთხოვ ! ერთი თხოვნა შემისრულო,სადაც არ უნდა იყო...

– მახსოვს, თვალები ცრემლებით ამევსო, საკუთარი გულის ცემა ვიგრძენი,სხეულში სიცივემ დამიარა,ჩუმად ვუპასუხე ცრემლნარევი ხმით რა თქმა უნდა.მან გააგრძელა,

– ვიცი, პირველი მე დავტოვებ დედამიწას, და მინდა ჩვენი უკანასკნელი პაემანი შედგეს გარდაცვალების წინ, ეს ხომ ჩემი ახალი დაბადების დღე იქნება და მინდა ვიყვეთ მხოლოდ მე და შენ ჩემო სიყვარულო. გესმის? და გამიღიმა... გაკვირვებული ვუსმენდი, არ მოველოდი ასეთ საუბარს...ალბათ ამ ეპიზოდის გახსენებას მთხოვდა, ღამის დაუპატიჟებელი სტუმარი. გულის ტკივილი არ მტოვებს. წამალი არ მოქმდებს. ტკივილი კი, ფილმის კადრების სახით მიჩვენებს წარსულ ცხოვრების სურათებს. მივხვდი, მოვიდა ჩვენი უკანასკნელი პაემანის დღე...გული ტკივილისგან შემეკუმშა, სუნთქვა მიჭირს... «ვგრძნობ, რომ სიცოცხლე დღეს შენი მთავრდება»... მაშინ

რას ვიფიქრებდი, თუ ასე შორს ვიქნებოდი შენგან 5000კილომეტრი გვაშორებს, რამდენი დრო გავიდა, არ გვეწერა ერთად ყოფნა, მაგრამ გრძნობა დღესაც ცოცხლობს, ისეთი შეგრძნება მაქვს თითქოს გუშინ დავშორდით ერთმანეთს...ავდექი, დრო არ ითმენს...სარკეში ჩავიხედე, საკუთარ თავს ვაკვირდები,ვავუღიმე იმ პატარა გოგონას, რომელიც ჩემში დღესაც ცოცხლობს. თავი მოვიწესრიგე,აზრები მოვიკრიბე და გადაწყვეტილებაც მივიღე.ის მელოდება, უნდა ვიჩქარო...ავიღე ტელეფინი და აეროპორტის ნომერი ავკრიფე,

– უახლოესი რეისი, ასტანა, ალმაატა, თბილისი. ორსაათში პირველი რეისია. რაღაც წუთებში მზად ვიყავი. ტაქსიც მელოდება. სახლიდან გამოვედი, კარები დავკეტე,კიბეები ბავშვივით ჩავირბინე. ორმოცი წუთი და ადგილზე ვარ. რეგისტრაცია დაწყებული იყო, სულ ცოტა ხანში უკვე თვითმფრინავში ვიჯექი. ფიქრები არ მასვენებს, მივფრინავ, წარსულს, რომ აწმყოში შევხვდე. თვალები დავხუჭე. ფიქრები...ფიქრები... ერთსაათნახევარში ალმაატის აეროპორტში აღმოვჩნდი, თბილისის თვითმფრინავის გაფრენას ნახევარი საათი აკლდა, ვასწრებ. ისევ თვითმფრინავი და რაღაც სამსაათნახევრის შემდეგ უკვე თბილისში ვარ. თუ როგორ ჩამოვედი თვითმფრინავიდან არ მახსოვს... ტაქსის ძებნა არ დამჭირდა, ჩავჯექი მანქანაში, მძღოლს მისამართი დავუსახელე, ახლა კი შევშინდი.

თავი ზღაპარში მგონია მანქანა გაჩერდა, მძღოლის ხმამ გამომაფხიზლა:

– მოვედით ქალბატონო. მანქანიდან გადმოვედი და მძღოლს მივმართე:

– დამელოდეთ...

სადარბაზოს კარები შევაღე, ვგრძნობ მელოდება, გულის ტკივილი არ მტოვებს. კიბები ავირბინე, პირველი, მეორე და მესამე სართულზე ვხედავ ერთი ბინის კარები ღიაა,აქ მელოდებიან...მივუახლოვდი, საკუთარ გულის ცემა მესმის, გამბედაობა მოვიკრიფე და შევედი, ხმა ძლივს ამოვიღე,

– უკაცრავად, შეიძლება?

– მობრძანდით...

ნაცნობი ხმა. როგორ შევედი არ მახსოვს, პალტო გავიხადე, ვიღაცის ხელმა გამომართვა, არც შემიხედავს ვინ იყო,

– გელოდებათ, უცნობი ხმა. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და განათებულ ოთახში აღმოვჩნდი, შევჩერდი,ძლივს ვსუნთქავ, გული საგულიდან, ამოვარდნას ცდილობს. ვგრძნობ,მიყურებს ის ვინც მთელი ცხოვრება მიყვარდა...

– აი, დადგა ნანატრი წუთები ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდით.

– დრო ბევრი გავიდა, დაარღვია მან სიჩუმე, არ შეცვლილხარ, მე ისევ იმ გოგონას ვხედავ, რომელიც მიყვარდა და მიყვარს, გამიღიმა. მომიახლოვდა, ხელები მხრებზე მომხვია და გულში ჩამიკრა, მისი ტუჩები ჩემს შუბლს შეეხო, როგორც ადრე... გამახსენდა პირველი კოცნა,ცხელი ტუჩები,ეხლა სიცივე ვიგრძენი...ვერ აღვწერ ჩემში რა ხდებოდა. სიჩუმე ისევ მან დაარღვია,

-კარგი გოგო ხარ, (ქალი) კვლავ გამიღიმა.

– მთელი ცხოვრება ამ დღეზე ვოცნებობდი... შენ სასწაული ხარ, ნატვრა ამისრულე, გახსოვს? ჩემ ანგელოზს გეძახდი. გამეღიმა,ერთმანეთს თვალებში ჩავხედეთ, რამდენი რამ გვქონდა სათქმელი...უხმოდ ვსაუბრობდით. ის მიყვებოდა თავის ცხოვრებას, მე კიდევ ჩემსას. ასე ვიდექით, არ ვიცი რამდენი დრო გავიდა. მესმის: – დავიღალე.

გამოვფხიზლდი, საწოლთან მივიყვანე

– როგორი უძლური გავხდი, მესმის მისი სუსტი ხმა...

მის გვერდით საწოლზე ჩამოვჯექი, ღიმილი არ შორდებოდა მის სახეს.

– ბედნიერი ვარ, რადგან შენ, ჩემთან ხარ...ჩემ ხელს შეეხო, და მითხრა:

– გახსოვს ბეჭედი რომ გაჩუქე, შენ კი დაკარგე და ნერვიულობდი, აი, ის ბეჭედი დაგიბრუნდა და თითზე გამიკეთა ლალის თვლიანი ბეჭედი, პირველი სტეპენდიით ნაყიდი. გამეღიმა. ეს ბეჭედი ჩვენი სიყვარულის სიმბოლო იყო.

წარსული, აწმყოში...სახეზე ხელით შემეხო, – საოცრება ხარ ... მიჭირდა თავის შეკავება, ხელით მის მკერდს შევეხე, მისი გული, სადაცაა გაჩერდება. ცოტა დრო დამრჩა.

– ლალი! იცი, გული რაზე მტკივა? ძალიან შორს იყავი ჩემგან, ვერ შევძელი ჩევენი სიყვარულის დაცვა, სუსტი აღმოვჩნდი, ასე მგონია სხვისი ცხოვრებით ვიცხოვრე და გული მწყდება,

– რაზე?

– ჩვენმა სიყვარულმა, ნაყოფი არ გამოისხა... ღმერთო, მან ხომ არაფერი არ იცის, თვალებში ჩავხედე, ჩემი ხმა ვერ ვიცანი, – ჩუმად ვთქვი, – ცდები... გაკვირვებულმა შემომხედა,

– მართლა? თვალები გაუბრწყინდა...ჩემს კითხვაზე,

– ნუთუ, არ გახსოვს ის ერთი ღამე...

მიპასუხა :– მახსოვს,ის ღამე მაცოცხლებდა მთელი ეს წლები, უშენოდ ამ ცივ სამყაროში...იცი, მესმის მისი სუსტი ხმა, შენ ყოველთვის ჩემთან იყავი, არ გივიწყებდი... გმადლობ ასეთი საჩუქრისთვის, გამილამაზე ცხოვრების უკანასკნელი წუთები, «ანგელოზად ხარ მოვლენილი ჩემთვის ამ ქვეყნად» ...ვგრძნობდი სიცოხლე როგორ ტოვებდა მის სხეულს, ვხედავდი როგორ ებრძოდა სიკვდილს, უსიტყვოდ მესმოდა მისი სიტყვები «ჩემო ერთადერთო სიყვარულო». მის შუბლს ტუჩებით შევეხე, უკანაკნელი კოცნა, და წყნარად ვუთხარი:

– აქ თუ, ერთად ყოფნა არ გვეწერა, იქ ვინ დაგვიშლის? გაკვირვებულმა შემომხედა,

– გთხოვ, დამელოდე სიკვდილ-სიცოცხლის გზა გასაყართან, გჯეროდეს დიდ ხანს, არ გალოდინებ... «მე შენს გარეშე, ამ ქვეყანაზე ნეტა რა მინდა»? მან უკანასკნელად გამიღიმა, თვალები დახუჭა, უკანასკნელი მისი სიტყვები, დაგელოდები... და სულმა სხეული დატოვა. სიცივე ვიგრძენი, შემცივდა... ვაკვირდები ჩემთვის საყვარელ ადამიანის სახეს, მინდა დავიმახსოვრო... ეს ხომ ჩვენი უკანასკნელი პაემანი იყო, ამ ცხოვრებაში. არ ვტირივარ, ვიცი ცრემლები მას არ უყვარდა,ვზივარ გაყინულივით, დროში დავიკარგე, არ ვიცი რა დრო გავიდა...მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი და გონზე მოვედი. წამოვდექი ჩემი წასვლის დრო მოვიდა ვხედავ ჩემ წინ ქალი დგას ცრემლიანი თვალებით. სიჩუმე მან დაარღვია.

-იცით, მას თქვენ ძალიან უყვარდით, ჩემთან მარტო მისი სხეული იყო, სულით კი თქვენთან იყო ყოველთვის. ვგრძნობდი ჩვენს ცხოვრებაში თქვენს არსებობას, უაზროდ ვეჭვიანობდი, მიუხედავად იმისა რომ ვიცოდი, თქვენ ძალიან შორს იყავით ჩვენგან. მინდოდა თქვენი გაცნობა,რომ გამეგო რა იყო თქვენში ისეთი რაც მან ჩემში ვერ იპოვა.ამჟამად ვიცი, თუ რატომ უყვარდით.

– რატომ?

– თქვენ სულ სხვა ხართ, არა მიწიერი, რაღაც განსკუთრებული სილამაზე და უბრალოებაა თქვენში, კეთილშობილება და კლდემამოსილება, მეც მოვიხიბლე თქვენით. გმადლობთ, რომ გვესტუმრეთ, ეს მისი უკანასკნელი სურვული იყო , მან თქვენს გვერდით ბედნიერი წუთები გაატარა. მის ხელს შევეხე, შევხედე ტკივილიანი ღიმილით.

– იცით დროა, რომ დაგტოვოთ... წასასვლელად მოვემზადე, კვლავ მისი ხმა,

– ძალიან მიკვირს, ასე ძლიერ უყვარდით და ჩემს გვერდით იყო, მთელი ეს წლები... ვგრძნობდი მას საუბარი უნდოდა, მე კი ისეთი დაღლილი ვიყავი, მეშინოდა წონასწორობა არ დამეკარგა . მივუახლოვდი, თვალებში ჩავხედე და წყნარად ჩემთვის ვთქვი:

– შენ სულით, ჩემზე სუსტი იყავი, ყოველთვის და მის გარეშე ვერ იცოცხლებდი, ამიტომ უარი ვთქვი მასზე, ეს ჩემი არჩევანი იყო...სიცოცხლეში შენი იყო, ახლა კი ჩემია. გაკვირვებული მიყურებდა.

– როგორ, ვერ გავიგე, თვითმკვლელობა გადაწყვიტეთ?!გამეღიმა.

– არა ჩემი გული თვითონ გაჩერდება. ვფიქრობ ვერ გამიგებთ, ჩვენი დამოკიდებულება მინიერს გასცდა სხვა განზომილებაში, რასაც სულიერი ზე სამყარო ჰქვია, – ეს ზეციური ღვთიური სიყვარულია...ჩემი დრო ამოიწურა, მშვიდობით...პალტოს ხელი მოვკიდე, კარები ღია იყო, გამოვედი სადარბაზოში, ტირილი ყველაფერს მერჩივნა, თავს ძლივს ვიკავებდი. კიბეები ჩავირბინე, ეს იყო სადარბაზოს კარები უნდა გამეღო და კვლავ მისი ხმა...

– ლალი! საით მიგეჩქარება? შევჩერდი გავუღიმე...

– ჩვენ ხესთან, მინდა უკანასკნელად მოვინახულო.

– მე იქ დაგხვდები, მერე?

– მშობლების სასაფლაოს მოვინახულებ და აეროპორტი, შვილებს უნდა გამოვემშვიდობო... ღიმილი მის სახეს არ შორდებოდა. შევახსენე,

– არ დაგავიწყდეს დამელოდე სიკვდილ-სიცოცხლის გზა გასაყართან,

– გპირდები სულ მალე შენს გვერდით ვიქნები და ერთად შევაღებთ უსასრულობის კარებს... «ნუთუ, ფიქრობდი დაგივიწყებდი? და ჩემი გული, შენს გარეშე იარსებებდა? არა ძვირფასო! ეს ჩემი გული, შენს გამო ცოცხლობს.

მე, შენს გარეშე! ამ ქვეყანაზე ნეტა რა მინდა»... სადარბაზოდან გამოვედი, მანქანა მელოდებოდა....

ლევან ბაბუხადია



კესარია ბებია

ყველა ბავშვს უყვარს თავისი ბებია...

განსაკუთრებულ სიყვარულს ვერც მე დავიჩემებ, მხოლოდ ეს არის, ალბათ, სხვებისაგან განსხვავებით, ბებიაჩემი უსაშველო სილამაზის ქალად დარჩა ჩემს მეხსიერებაში. დღესაც თვალთაგან არ მშორდება ამ საუკუნემოთეული ქალის თეთრი, თითქმის უნაოჭო სახე.

კესარია ბებია ხორითელი კალანდაძის ქალი იყო. მთელ სოფელში ხელმარჯვობით, ლოცვა-აქიმობითა და საღმრთო წეს-ჩვეულებათა აღმსრულებლობით განთქმული. იგი ცამეტი წლის ყოფილა, როცა მეორე ცოლად მოუყვანია ნაადრევად დაქვრივებულ ბაბუაჩემს. იმდროინდელი მოგონებებიდან ბებია სიცილით ყვებოდა ხოლმე ერთ ამბავს: ახოს ხნავდა თურმე ახალი ცოლ-ქმარი. უღლის ტაბიკი გაუტეხია ცალ ხარს. ქმარს ცოლი წალდისთვის გაუგზავნია სახლში, რათა ახალი ტაბიკი გაეთალა. ეზოში თურმე ბავშვები კენჭაობდნენ. თვითონაც ბავშვ ქალს წალდი დავიწყნია და თამაშში ჩაბმულა. ზის თურმე კაცი და ელოდება. მერე ამდგარა და გამოდგომია. ცოლი რომ ბავშვებთან მოთამაშე დაუნახავს, გაცეცხლებულა, გადაუსვამს და გადაუსვამს სახრე „დანაშაულში" წასწრებული დამორცხვებული ქალისთვის... ეგ იყო და ეგ. ამის შემდეგ აღარ მიკენჭავიაო, – კუჭკუჭებდა ხოლმე კესარია ბებია.

თერთმეტი შვილი ჰყოლიათ ბაბუაჩემსა და ბებიაჩემს. ოთხი ვაჟი და შვიდი ქალი. ერთი ბიჭი, ტანწერწეტა ელიზბარი, ყმაწვილობაში უმსხვერპლია სახადს, დანარჩენს ცოლ-შვილი კი დარჩენია, მაგრამ ორი ომში დაღუპულა, ერთიც მთაში დაუტანია სათრიელს. ერთი სიტყვით, ოთხი ვაჟკაცის პატრონ ბაბუაჩემს ისე წასვლია საქმე, ზესიძე შემოუყვანია ოჯახში. ქალები დედის ჯიშზე წასულან, ერთის გარდა, ყველას მრავალი შვილი ჰყოლია, სიცოცხლის ხანგრძლივობითა და თავქალობით გაჯიბრებიან გოგოები დედას.

ერთხელ კესარია ბებია ყურძნის კრეფაში გვეხმარებოდა. მეორე დღეს, ჩემდა მოულოდნელად და გასახარად, გამომაწყვეს და ბებიას გავყევი. იგი ძლიერი ქალი მეგონა, მაგრამ საკვირველია, აღმართში ხშირად იღლებოდა; სამჯერ-ოთხჯერ დავისვენეთ ქვაკიბიაში. ყოველი წამოდგომის დროს რაღაც ლოცვას ბუტბუტებდა, მეც სამჯერ მაფურთხებინებდა ნაჯდომ ადგილზე — „ფუ, ფუ, არაფერი ამყვესო" – ნაძრახი ადგილები არისო აქ.

საღამოხანს მივაღწიეთ სახლამდე. ბებიამ სახლში შემიყვანა. ხელი დამაბანინა და ყველი და მჭადი მომცა. ეზოს გადაღმა ბავშვების ჟრიამული ისმოდა და გულისყური იქით მქონდა. ბებიამ ჩემს ტოლ მერაბს მოუხმო, რომელიც კისრისტეხით შემოვარდა ეზოში, ჩემი დანახვა გაეხარდა, მაგრამ უცბად დაიმორცხვა და ახლოს ვერ მოვიდა. ბებიამ ერთმანეთთან მიგვიყვანა და გვითხრა: წადით ახლა, ჭკვიანად ითამაშეთ და დროზე მოდით, არ დამაძახებინოთო. თან ოდნავ გვიბიძგა ხელი, რაც ჩემთვის საკმარისი აღმოჩნდა, თავქუდმოშვლეპილ მერაბს დავდევნებოდი.

ერთი მამლაყინწა შვილიშვილი ჰყავდა ბებიას – ზურია, რომელიც თითქოს განსაკუთრებით უყვარდა. სხვათა შორის, ზურია ძალიან ჰგავდა ოლღა ბებიას ზურიკელას. დაიკარგა ზურია ერთ საღამოს, ატყდა ერთი ძებნა და მოძახილი. ბებია აივანზე იჯდა და მოთქმით ტიროდა; შიგა და შიგ ზურიას ეხვეწებოდა: ოღონდ გამოჩნდი და რაც თხილი და კაკალი მაქვს ზანდუკში, შენი იყოსო. მერაბმა მითხრა: – ზურიამ ბებიას ზანდუკი გატეხა და დედამ გალახაო. გული მომივიდა ზურიაზე, ნეტავ მეც შემძლებოდა მისი გალახვა, იმიტომ კი არა, ზანდუკი რომ გატეხა, ასე რომ

ანერვიულებდა ბებიას თავისი დაკარგვით. მე და მერაბი ვეძებდით ზურიას. მერაბი ხან საღორის თავზე აფათურებდა ხელებს, ხან საქათმეში ძვრებოდა, მერე თხილის ბუჩქებში დაფხოკიალებდა. რომ ვერაფერს გავხდით, წინკარში ავედით და აქეთ-იქით ამოვუდექით ბებიას, დანარჩენი ბავშვები უკვე დაეწვინათ და იყო ერთი ხორა იატაკზე გაშლილ ლოგინებში.

ამ დროს ახლო სიბნელიდან ზურიას დაბოხებული ხმა მოისმა:

– ნუ გეშინია ბებია, არ დავიკარგებიო, – და ხმელ ყანაში ატეხა შლიგინი.

– ეე, ეე, – დავფაცურდით ჩვენ. მერაბი გამოსადევნებლად მოემზადა.

– აბა დაწექით ჩქარა, რაღა დროს თქვენი უძილობაა, – მოულოდნელად დაგვიცაცხანა ბებიამ და ოთახის კარი მოგვიკეტა.

დილას ზურია ჩემ გვერდით იწვა და უდარდელად ფშვინავდა.

გაზაფხულის ერთ მზიან დილას ჩვენს ჭიშკარს მერაბი მოადგა. მე ჭისკრისაკენ გავვარდი, მაგრამ დედაჩემის შეცხადებამ ადგილზე გამაშეშა. თურმე იგი ყოველ წუთს ელოდა ცუდი ამბის მომტანს და მერაბის გამოჩენა საკმარისი იყო, გზა მიეცა დაგუბებული მოთქმისთვის. მერე ჩვენს ეზოში მეზობლის ქალები შემოდიოდნენ და დედას უსამძიმრებდნენ...

რამდენიმე დღის შემდეგ მთელი უბანი ჩვენს ჭიშკართან შეიკრიბა: ჩვენც დიდიან-პატარიანად გამოვეწყვეთ. დედაჩემმა ხმადაბლა ჩამოიტირა; მერე მდუმარედ გამოვიდა გარეთ და პროცესია დაიძრა, ნათელღელეში დედამ თმები ჩამოიშალა, შავი ლაკის ტუფლები ჩაიცვა და პროცესიას კუშტად ჩაუდგა სათავეში...

შვიდი ქალიშვილი და „უთვალავი" შვილიშვილი ტიროდა კესარია ბებიას. მე აივანზე, კუთხეში ვიდექი და ჩუმად ვზლუქუნებდი. ვიღაცეები ტირილს მიშლიდნენ, რაც უფრო მიჩუყებდა გულს. მერე მამიდაჩემმა ძალით ჩამომიყვანა ეზოში და ვითომ ჩემ გასაცინებლად თქვა: ამდენს თუ მიტირებ, მეც ახლავე მოვკვდებიო. – დამანებე თავი, შენ სულ არ გიტირებ-მეთქი – შევუღრინე მამიდაჩემს (სხვათა შორის, საწყალი მამიდა მართლა ვერ დავიტირე. იგი ზამთარში, დიდთოვლობას გარდაიცვალა და ვერ შემატყობინეს).

დიდი ვაი-ვიშით დავასაფლავეთ კესარია ბებია. იმ პროცესიიდან, სხვათა შორის, ერთი ასეთი დეტალიც დამამახსოვრდა ბავშვს: როდესაც სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე მიცვალებული დაასვენეს, ბებიას უმცროსი ქალიშვილი, ქრისტინა დეიდა მიეახლა ცხედარს, მოკაკანე დები გააჩუმა – მე სულ არ მატირეთო დედაჩემი და ძალზედ შთამბეჭდავად იტირა, თან სასახლეში ჩატანებული სუნამო გახსნა და თითქოს ცოცხალ დედას ასხურა.

მაშინ მოითვალეს და კესარია ბებიას ნაშიერი სამოცდაოთხი ვიყავით... ახლა ეს რიცხვი, ალბათ, გასამმაგებული მაინც იქნება, თუმცა, მთავარი ისაა, რომ ბებიაჩემის ნაგრამი ისე გავმრავლდით, თვითონაც აღარ ვიცით რამდენი ვართ.

ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბევრი ჭირი და ლხინი შეენაცვლა ერთმანეთს. მაგრამ ყოველთვის, სხვებთან ერთად, მეც განსაკუთრებული სითბოთი და სიამაყით ვიგონებ კესარია ბებიას. მხოლოდ ეგ არის, ჩემდა სამარცხვინოდ, მის საფლავზე ხშირად ვერ მივდივარ. მხოლოდ ზურია ახერხებს ამას ყოველ აღდგომას. წელს მეც აუცილებლად ვაპირებ კესარია ბებიას საფლავზე მისვლას და კარგი იქნება, თუ სხვა შვილიშვილებიც ასე მოიქცევიან.

დეიდაჩემი

დეიდას დედის სუნი უდისო. მე ექვსი დეიდა მყავდა, მათგან ერთი მიყვარდა განსაკუთრებით, ჩემი ნინა დეიდა.

ნინა დეიდა ქართლში, სურამთან ახლოს იყო გათხოვილი. ქმარი და თვრამეტი წლის ბიჭი ომში ჰყავდა დაკარგული, ერთი გასათხოვარი გოგო შემორჩენოდა.

ნინა დეიდას მუდამდღე შავი, გრძელსახელოებიანი კაბა ეცვა, ოდნავ გახუნებული თავსაფარი ეხურა. ისეთი სევდიანი თვალები ჰქონდა, გეგონებოდა, საცაა ატირდებაო; მიუხედავად ამისა, სახეზე მუდამ კეთილი ღიმილი დაჰფარფატება, საშუალი ტანისა იყო, წელში გამართული, ამაყი სიარული იცოდა; ნაზი, სალბუნი ხმა ჰქონდა, იშვიათად გაბრაზდებოდა და მაშინაც, თუ სიტყვათა შინაარსს არ მივიღებთ მხედველობაში, თითქოს ილოცებოდა ან გეფერებოდა. საქმეში თითქოს არ ჩქარობდა, მაგრამ რომ დაუკვირდებოდით, ნამეტნავი ხელსწრაფი იყო, უგემრიელეს შეჭამანდს ამზადებდა, თითქოს განსაკუთრებით გემრიელი იყო მისი მოწველილი რძეც, რომელსაც აუდუღებელს, ქაფქაფას, თბილს მასმევდა ყოველ დილა-საღამოს.

თითქმის მთელ საზაფხულო არდადეგებს ნინა დეიდასთან ვატარებდი. საქმეს ისედაც მიჩვეული, დეიდას დიდი კაცივით ვეხმარებოდი. ის, რა თქმა უნდა, მასწრებდა სისხამზე ადგომას და, როცა შემატყო, ამას ძალიან განვიცდიდი, ზოგჯერ თვითონ მაღვიძებდა, ვითომც ისიც იმ წუთში ადგა, და დილაბინდზე ვრწყავდით ვცვარმოდებულ ბაღჩას.

კვირაში ორჯერ სახლიდან საკმაოდ მოშორებულ მეურნეობის ნაკვეთში დავდიოდით კიტრის საკრეფად. კიტრის ბაღი ახალშენი ვაშლის თვალუწვდენელ რიგებს შუა იყო გართხმული. თითო რიგში თითო ქალი დგებოდა, მე და დეიდა ერთ რიგში ვიდექით, ფრთხილად დავხტოდი კიტრის ბაღებში და აუწერელი სიხარულით ვკრეფდი ბინდგადაკრულ პაწუა, სამწნილე კიტრებს, მე წინ გავრბოდი, დეიდა უკან მომყვებოდა, ყველას ვასწრებდით და სიხარულით ცას ვწვდებოდი. ასიცხებულში დეიდა ჩრდილში დამსვამდა, სუფთა ტილოს გაშლიდა და თავის გამომცხვარ თონის, მთვარესავით პურს და დაშრუტნულ ყველს ამოიღებდა, მე ქორფა კიტრები მქონდა მზად და დიდის კმაყოფილებით შევექცეოდი უგემრიელეს საუზმეს. მერე ნაკვეთის ბოლოში დანჯღრეული სატვირთო მანქანა გამოჩნდებოდა და მეც იქ ვჩნდებოდი. ქებით გათამამებული თავდაუზოგავად ვეხმარებოდი კაცებს მანქანაზე ყუთების დაწყობაში. ზოგჯერ ჩამბარებელ პუნქტშიც მივყვებოდი მანქანას, რაზეც დეიდა ძალიან ნერვიულობდა და მიწყრებოდა კიდეც. ნაკვეთიდან დაბრუნებულნი პაპისეულ, შაბმოდებულ, ხეხილით დაბურულ წამოსახლზე ამოვივლიდით. დავკრეფდით ხილს: ვაშლს, ქლივას, ღოღნოშოს, ჭანჭურს და დატვირთული ვბრუნდებოდით შინ. დეიდა მუდამდღე აფუხფუხებდა ხილფაფას, მურაბას, კომპოტს, რომელსაც მერე მე და დედას გვატანდა და მთელი წლის განმავლობაში მაგონდებოდა და მენატრებოდა იქაურობა.

უმეტესად ძროხას ვმწყემსავდი. მერცხალა აშვებას არ იყო მიჩვეული – ან ერთთავად გრძელი ბაწრით იყო ხიხირაკზე გაბმული, ან მოკლედ დაბმულს ალერდი და ნაქურჩნი ეყარა, ამიტომ დეიდაჩემი ბაწარათრეულს მატანდა მინდორში, თუ ძალიან გაგაბრაზოს, სადმე ჩრდილში გამოაბიო. მართლაც, ნახევარჯერ გამობმული იყო საწყალი, რადგან მოაშორებდი თუ არა თვალს, იმ წამს დატაროებულ ყანაში დურთავდა თავს. მინდორში უამრავი ბავშვი დადიოდა, უფრო სათამაშოდ, ვიდრე საქონლის სამწყემსად. ჩვენს მეზობლად ერთი ალქაჯი გოგონა ცხოვრობდა, სისხლი მქონდა გამშრალი მისგან, დალი ერქვა და ერთხანს ალივით მეშინოდა მისი. ძალით შემიტენიდა ისედაც გაწუწკებულ ძროხას ყანაში. მერე ძროხის გამოგდებით აფუცხუნებულს, წელში მეცემოდა, სიმინდებში წამაქცევდა და თავზე მაჯლაჯუნასავით დამაწვებოდა. ერთი ვაი-ვაგლახით დავუძვრებდი და ისევ ძროხას შევუტევდი, ის კი მოსრესილ მიწაზე წამოჯდებოდა და ეშმაკურად კისკისებდა. ჩვენთან სიარულსაც მოუხშირა სახლში, დეიდაჩემს ხელსაქმეში ეხმარებოდა, თან მაბრაზებდა, იმერულ კილოს მიკილავდა.

მერე არდადეგებიც მთავრდებოდა...

ბოლოს მთლიანად გასრულდა არდადეგებიც და ბავშვობაც. თანდათან ჩაიწმინდა იმდროინდელი მოგონებები მეხსიერების ფსკერზე და ახლა რომ ვუკვირდები, ბევრი რამ მთლიანად დამავიწყდა, მხოლოდ ბუნდოვანი შეგრძნებაღა შემორჩა არა მეხსიერებას, არამედ ჩემს მთლიან არსებას, მაგრამ მთელ ბავშვობასთან ერთად, დღესაც გრძელდება და ალბათ, არსებობასთან ერთად თუ დასრულდება.

მერე უნივერსიტეტში ჩავაბარე, სამხედრო სავალდებულო სამსახური მოვიხადე და ცოლიც შევირთე. ქორწილის წინა დღეს ძილში ჩამესმის დეიდაჩემის სალბუნი ხმა, სიზმარში მეგონა თავი, განგებას ვუმადლი ბედნიერების დღეს დეიდაჩემის გამოცხადებას და ძილბურანში ვიგონებ მასთან გატარებულ ბავშვობას. მალე ვრწმუნდები, რომ სიზმარში არა ვარ, შარვალს ვიცვამ და წელზევით შიშველი გამოვრბივარ აივანზე. პატარა ბავშვივით მიკრავს დეიდა გულში, მეფერება, სიხარულით ცრემლმორეული მლოცავს:

– აი, ჩემი ალიოშა, შენს მაგივრობას ახლა ეს მიწევს. – მითითებს დეიდა გვერდზე გამდგარ ათი წლის ბიჭზე და მახსენდება, რომ თავისი შვილის სახელი დაარქვა დეიდაჩემმა შვილიშვილს.

– გამარჯობა შენი! – ხელს ვართმევ ალიოშას და დიდი კაცივით ვიყენებ გვერდით, – ხომ ეხმარები ბებიას? არ გააბრაზო, თორემ ჩემთან გექნება საქმე! – ვეუბნები ღიმილიანი სერიოზულობით.

– არა, კარგი ბიჭია, მეხმარება, – აქებს ბებია შვილიშვილს, – ერთი კალათი მაგან ჩამოიტანა.

დეიდაჩემს საქორწილოდ ჩამოეტანა კიტრი, პამიდორი, ბატკანი, ხახვი, ახალი ნიორი; მატარებელს ჩამოყოლოდნენ დილაადრიან და მალევე აპირებდნენ გაბრუნებას.

– დარჩი, დეიდა, ჩემს ქორწილში! – ვეხვეწებოდი უხერხულად, რადგან ვიცოდი, არაფრით დარჩებოდა.

– არა შვილო, რა მინდა ბებერ ქალს ქორწილში? გოგოს და სიძეს გამოვუშვებ, სახლს მარტო ვერ დავაგდებთ; ხომ გნახე, მოგილოცე, ღმერთმა სულ დალოცვილი გამყოფოთ! მაგრამ იცოდე, პატარძალი ჩამომიყვანე და მაჩვენე!

საუზმეზე უარი არ უთქვამს დეიდას. შვილიშვილსაც აძალებდა საჭმელს – გზაში მოგშივაო. ერთი ჭიქა ღვინო დალია, ჩემი სადღეგრძელო თქვა და გამოგვემშვიდობა. ჭიშკართან რომ მაკოცა, კიდევ გამიმეორა – იცოდე, პატარძალი უნდა მაჩვენოო.

გავიდა ხანი, ეს ერთადერთი თხოვნა ვერ შევუსრულე ნინა დეიდას, მეუღლე ვერ ვაჩვენე და მეც ველარ ვნახე მაშ შემდეგ. იმ ზამთარს ავად გამხდარიყო, ყველაფერი ატკივებოდა ერთბაშად და...

ბევრი ცრემლი დაედინა ნინა დეიდას, გულდამთუთქავად ტიროდა შვილი, დები ერთმანეთს არ აცდიდნენ მოთქმას. ტირილი ახალი არ იყო ჩემთვის. ჩემი გულის პატრონს უცხოსთვისაც დამიღვრია ცრემლი, მაგრამ მთავარი სხვა იყო: პირველად მაშინ გადავლახე რაღაც შიშისმაგვარი გრძნობა – კუბოსათვის ხელის შეხების პრობლემა.

ერთგვარი სიამაყის გრძნობითაც კი ვედექი დეიდაჩემის კუბოს და ასე მივაცილებდი მის ცხედარს საბოლოო სასუფევლისაკენ.

დეიდას გარდაცვალების შემდეგ მეტი სინანულით მახსენდება ხოლმე იგი და მასთან გატარებული ბავშვობა. დამნაშავედ ვგრძნობ თავს მისი აჩრდილის წინაშე, ძალიან მომინდება ხოლმე მისი საფლავის მონახულება. მაგრამ ამ ბოლო დრომდე ვერ ავიხდინე სურვილი. წელს ადრე გაზაფხულზე, ჩავედი. დიდად გაიხარა ვარინკომ და სტუმართმოყვარე სიძე-კაცმაც. სამი შვილი ჰყავთ, ბიჭი ჯარში გაუგზავნიათ უკვე, გოგოებიც დიდები არიან. დებივით ეხმარებიან დედას. მაშინვე მთელი ოჯახი დატრიალდა ჩემს გასამასპინძლებად. ვიარე – ვინ მოგისმინა. მერე სამზა-

რეულოში გავედი, საქმეში გართულ ჩემს დეიდაშვილს მხარზე დავადე ხელი და ჩუმად ვუთხარი: დეიდაჩემის საფლავი უნდა ვნახო, ამისთვის ჩამოვედი-მეთქი.

შეცბუნდა ვარინკო, ცუდი სიზმარი ხომ არ გინახავსო, მაგრამ გამოერკვა, შერცხვა – ამ წუთში ომარს ვეტყვი და გამოგყვებაო. – არა-მეთქი, შენ უნდა გამომყვე.

არ უთქვამს უარი, სასწრაფოდ გადაიცვა კაბა, ქმარ-შვლს დავალებები მისცა და გამომყვა.

გზადაგზა გავიხსენეთ ძველი ამბები, ახლები გამოვკითხე. დაწვრილებით მიყვებოდა ყველაფერს.

შეუმჩნევლად მივდგომოდით სასაფლაოს. ნელა მოვუყვებოდი შემორაგულებს შორის დახლართულ ბილიკებს და ვაკვირდებოდი არა ქვების სიმდიდრესა და ნაწერებს, არამედ საფლავების სისუფთავესა და მოვლა-პატრონობას.

ვარინკოს დედის საფლავის კარი გაეღო და შესულიყო, პატარა ბავშვივით ჩაცუცქული ფუცფუცებლა ბალახებში.

ახლოს მივედი, დეიდაჩემის შუახნის ქალობის სურათს ჩავაშტერდი.

და უეცრად...

ია-იები!!! – განცვიფრებულმა და აღფრთოვანებულმა წამოვიყვირე.

მთელი საფლავი იმერული მინდვრის ია-იებით იყო მოვლილი.

სიმონ ზაქარაია

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი არჩილ თალაკვაძე სტუმრად ვაშინგტონის (აშშ) თამარ მეფის სახელობის ეკლესიაში

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის მძიმე ეკონომიურმა პირობებმა აიძულა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უცხო ქვეყანაში ეძებნა სამსახური, რათა ერჩინა თავისი თავი და საკუთარი ოჯახი. მათი რაოდენობა ზოგიერთ ქვეყანაში ათი ათასობითაა და ზოგან უფრო მეტიც. ამასთან ერთად საყურადღებო ისაა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ქართველი ემიგრანტები კონცენტრირებულად ცხოვრობენ საქართველო საპატრიარქომ თითქმის ყველგან მიავლინა სამღვდელოების წარმომადგენლები – მღვდლები, ეპისკოპოსები. ბევრ ქვეყნებში ადრეც იყო აშენებული ეკლესიები, ამასთან ერთად გაიხსნა ახალი სამლოცველოებიც, რაც გათვალისწინებულია სამშობლოს მოწყვეტილი ქართველი ემიგრანტების სულიერების განსამტკიცებლად. მათ შორისაა ვაშინგტონის თამარ მეფის სახელობის ეკლესია, სადაც ასეულობით ჩვენი თანამემამულე იმედითა და რწმენით ლოცვებს აღავლენს ღვთის წინაშე სამშობლოს

გადასარჩენად. ეკლესიის წინამძღვარია ჩვენი თანამემამულე, სოხუმელი მღვდელი არქიმანდიტრი მამა პავლე (ერისკაცობაში პაატა ზაქარაია).

ერთი თვის წინ აშშ-ში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის დელეგაცია, მისი თავმჯდომარის ბატონ არჩილ თალაკვაძის მეთაურობით. ბატონ არჩილს, არც ეკლესია და მისი მრევლი დავიწყნია, იგი ოფიციალურად ეწვია თამარ მეფის სახელობის ეკლესიას და თბილი შეხვედრა გამართა მათთან. არქიმანდიტრ მამა პავლესა და ბატონ ა. თალაკვაძეს შორის გაიმართა საქმიანი საუბარი, რომელიც ეხებოდა ეკლესიის შემდგომ მოღვაწეობას.



საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე ბ-ნ **არჩილ თალაკვაძე**

თამარ მეფის სახელობის (აშშ) წინამძღვარი
მამა პავლე (პაატა ზაქარაია)

* * *

ფოტოხელოვნება მხატრული შემოქმედების სახეობაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ფოტოგრაფიის გამომსახველობითი საშუალებების გამოყენება. ფოტოგრაფიის გამოყენების პირველ თარიღად ითვლება 1839 წლის 19 აგვისტო, როცა პარიზის მეცნიერებათა აკადემიაში გაცხადდა, რომ ლ. ლაგერმა და ჟ. ნეიფსიმ ერთობლივად შეიმუშავეს გამოსახულებათა მიღების ხერხი, რომელსაც შემდეგ სურათი ან ფოტოსურათი ეწოდა.

ფოტოსურათის ფართოდ დამკვიდრებამ უკვდავყო უამრავი ადამიანი, საგნების თუ მოვლენების პირველი სახის ჭეშმარიტი ფორმა. დღეს იგი საერთო სახალხო კუთვნილებაა, ბედნიერებისა და სიამოვნების მომგვრელია.

ასეთია ჩემთვის შორეული ქვეყნიდან გამოგზავნილი ჩემი უფროსი შვილიშვილის თამარ ზაქარაიას ფოტოსურათი, რომელმაც მთელი სამყარო უფრო და უფრო შემაყვარა. თამარის სურათს, სხვათაშორის გადაკრავს ოქროსფერი, მან ხომ თბილისის საჩვენებელი სკოლა-პანსიონი ოქრის მედალზე დაამთავრა. ეს ცოტა საქმე არ არის, პირველი კლასიდან მე-12-ს ჩათვლით სულ ათებზე ისწავლა, ეს მოითხოვს დიდ შრომას, მაგრამ ამასთან ერთად ბუნებისგანაც უნდა იყო აღვსილი. შემდეგ თამარი უნივერსიტეტშიც გრანტით სწავლობს. ახლა, მალე ოქტომბრის თვეში 24 წლის თავზე მაგისტრატურასაც ამთავრებს. უდაოა, რომ იგი დოქტორი გახდება. შენ ისეთი ფეხბედნიერი გაჩნდი ჩვენს ოჯახში, რომ შენი უმცროსი დები სწავლაში და ქცევებში შენ დაგემსგავსა, მარიამმაც ვაშინგტონის ერთ-ერთი კოლეჯი ოქროს მედალზე დაამთავრა, იქაც ყოფილა „ოქროსმომპოვებელთა“ დაფასება.

ბედნიერი ვარ იმით, რომ მე ერთს ბევრი შვილიშვილი მყავს, მათი სურათები ჩემი ცხოვრების თანამგზავრია, მაგრამ აქ აღბეჭდილმა თამარის სურათმა ჩემში განუსაზღვრელი სიხარული გამოიწვია. სურათზე „თამარის ღიმილი“ მზის გამოსხივებას ედრება. ესაა ბუნებისა და ღმერთის მიერ თავის ხატად გაჩენილი ადამიანის ერთობლივი ჰარმონია, მარადიული ღიმილი.. იგი ბევრ მსახიობსაც დაამშვენებდა.

თამარი ბავშვობიდან მის დებთან ერთად ეკლესიაში ლოცულობს, მარხულობს, გალობს და ბევრი ქრისტიანულ რიტუალებს ასრულებს (მისი მიწიერი მამა, მამა პავლე ვაშინგტონის თამარ მეფის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია).

ამ სურათში კარგად ჩანს, რომ თამარი წინ მიდის, მისი გზა სუფთა და კამკამაა, ბუნებაც მშვენიერი, ამასთან ერთად ის უკანაც იმზირება და მისი ამოუწურავი ღიმილი ახარებს მის დედ-მამას და ყველა ახლობლებს. ხშირად იტყვიან ბაბუას შვილიშვილები უყვარსო... ეს ცოტაა, მე ჩემი შვილიშვილები უფრო მტკივა და ეს ტკივილი დიდ ბედნიერებას მანიჭებს.

თამარის ღიმილი უსათუოდ ღვთიურია, სიკეთით აღსავსე, ამდენად მას სამკურნალო თვისებებიც გააჩნია.

23 აგვისტო 2019 წ.

ლეილა გაფრინდაშვილი

ერთგულება

შეშფოთებული, თვალებჩასისხლიანებული მომადგა კარს მეგობრობა, თავსდატეხილ ღალატისგან სახე შეშლოდა და ისეთი განცდით მიყვებოდა ამბავს, ვერც კი გრძნობდა, მეც რომ მინდოდა ჩავრთვოდი საუბარში, რათა აზრი მიმეწოდებინა! აღარ ვიცოდი რა მექნა, ლოდინი ვარჩიე... შემდეგ კი ჩემი სატკივარი გვერდზე მივაგდე, ძილი დავაფრთხე და, მიუხედავად იმისა, ძალიან ცხელოდა, ჭორიკანა ნიავსაც კი მივუხურე კარ-ფანჯარა, რათა ხმა არ გაეტანა, მეგობრობის ჭირი და სატკივარი ქვეყნის სალაპარაკო არ გამხდარიყო. მერე მარაოს ხელი წამოვავლე (აფორიაქებული ისე ვიქნევდი მონოტონურად, საათის ისრებსაც რომ შეშურდებოდა ამ სიზუსტის), მეგობრობას საუბარში ჩავეჭერი, გავაწყვეტინე, ყველა იმედიან, დასამშვიდებელ სიტყვას ვუხმე და გული საგულეში დამიბრუნდა, როდესაც შევნიშნე, რომ სახეზე ფერი ეცვალა, ლოყები აუვარდისფერდა, თვალები დაუმშვიდდა, დანაზდა,ხელზე მომეფერა, გამიღიმა, წამოდგა, ლოყაზე მეამბორა და მშვიდი ნაბიჯებით გაუდგა გზას.

დიდხანს ახსოვდა მეგობრობას ეს დღე, შემხვდებოდა და მეტყოდა: შენ რომ არ მყოლოდი...

ერთგულებით ვადევნებდი თვალყურს მის მომავალს და მეც ვხარობდი მისი ბედნიერებით!

შური და ბოროტება ისეთი მაწანწალაა, ვის სად წამოეწევა რას გაიგებ. მეც მომძებნა და კლანჭები ჩამავლო. ჩაფიქრებული, წყენით დადარდიანებული, უჩვეულო სახით და ჩაცმულობით, უხალისოდ დავდიოდი ნაცნობ სკვერში და თვალებცეცებით ვეძებდი მეგობრობას, იქნებ შემხვედროდა მშველელად. და აი, დავინახე, გამიხარდა, იმედიანად მივესალმე, მაგრამ... უღიმღამოდ დამიქნია თავი, მეჩქარებაო და ელვის სისწრაფით გამშორდა?!

მივხვდი, ყველაფერი დავიწყებოდა. გამწარებულმა მოვუხმე ჩემს ერთგულებას და გავუჯავრდი: წადი, არაფერში მჭირდები, ზედმეტი ხარ! ზედმეტი! მღლი, მაწვალებ, უშენოდ უფრო კარგად ვიქნები-მეთქი!

აპატიე, აპატიე! ჩამძახა ერთგულებამ და ისე ჩამომეკიდა კისერზე, შემეშინდა არ დავეხრჩვე, მაგრამ... ისეთი სათუთი იყო მისი შეხება,მსუბუქი და ჰაეროვანი, იმდენად ახლობელი და სისხლხორცეული ჩემი, რომ უარი ვერ გავუბედე. ყურს მჭრიდა მისი ხმა: აპატიე, აპატიე!.. ჩავფიქრდი და მივხვდი, კიდევ კარგი, არ გამიგულისდა ერთგულება, არ მიმატოვა. აბა მის გარეშე რა აზრი ექნებოდა ჩემს ცხოვრებას, ან ვინ ვიქნებოდი მე.

ჰოდა! მოვდივართ დღემდე მე და ჩემი კისერზე ჩამოკიდებული ერთგულება მსუბუქად, თავმომწონედ და როდესაც გზად გვხვდება ჩვენი ნაპატიები მეგობრობა, სინანული, სიხარული ერთად ეხატება თვალებში და მორცხვად გვიღიმის!

უშანგი მოსიაშვილი



გელა ლარიაშვილი

რევაზ მიშველაძე

რა დიდებული დღე იყო

საკმევლის ნაზი კვამლი და საამო სურნელი ელამუნებოდა ფრესკებს.

აგვისტოს მზე იღვრებოდა სარკმლებიდან და ყველაფერს ზეციურ შუქს ჰფენდა.

სანთლით ხელში ვიდექი ღვთის სახლში და ლოცვის ნირვანაში წამით მავიწყდებოდა, რომ იქვე, გარეთ, სულ ახლოს, იყო სამშობლოს ბედით შეჭირვებულ მოქალაქეთა გნიასი, სულ ახლოს იყო გუგუტიანთ კარი და დამპყრობლის ტლანქი ხელით სასაფლაოზე გავლებული მავთულხლართები.

2019 წლის 31 აგვისტოს კასპში ისტორიულ ჟამს შევესწარ.

ღვთის შეწევნით ეკურთხა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია.

კიდევ ერთი სალოცავი გაჩდა ჩემი ქვეყნის კურთხეულ მიწაზე, კიდევ ერთი იმედის სხივი და ქართველთა არგადაშენების დასტური.

მარჯვნივ მედგა ეკლესიის აღმშენებელი და ბალავრის ჩამყრელი პოეტი უშანგი მოსიაშვილი, მარცხნივ ეკლესიის მთავარი მხატვარი, ფრესკების ავტორი გელა ლარიაშვილი, რომელსაც ცდა არ დაუკლია, რათა ბიბლიური სიუჟეტებით დაემშვენებინა ეკლესია.

იდგნენ ისინი თავმდაბლად თავდახრილნი და ვალმოხდილთა ათინათი გადაჰკრავდათ სახეზე.

ბარაქალა, ძვირფასებო.

P.S. ეკლესიებს და ტაძრებს ტრადიციულად კედელში ჩააყოლებდნენ ხოლმე ჩვენი წინაპრები აღმშენებელთა ვინაობა-სადაურობას, რათა მათი ღვაწლი შთამომავლობისათვის მაგალითად დაესახათ. ალბათ, კასპის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის პერანგსაც სათანადო წარწერით დაამშვენებენ.

31.08.2019.

ლეილა გაფრინდაშვილი

ბატონ უშანგი მოსიაშვილს არა ერთი სასიკეთო საქმე გაუკეთებია კასპში. ადრე მის "სიყვარულის ერმიტაჟს" ვსტუმრობდით, დღეს კი იოანე ნათლისმცემლის ტაძარის გახსნაზე მიგვიპატიჟა, რომელიც მისი ინიციატივით აშენდა.ტაძარი მოხატა გელა ლარიაშვილმა.მიხარია, რომ ასეთ ძვირფას ადამიანებთან მეგობრობა მაკავშირებს.უფალი ფარავდეს ჩვენს სამშობლოს!





დალი აბესაძე



ჯუმბერ ლეჟავას გახსენება

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ,რაც ბატონმა ჯუმბერ ლეჟავამ მარადისობაში გადაინაცვლა.

დღეს 23 ივლისს იგი 80 წლის გახდებოდა.

ჯუმბერ ლეჟავას მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც უკეთურებასთან და სიკვდილთან მებრძოლს, ბოროტებასთან ურიდალს, შეუპოვარ, უდრეკ და დიდებულ პიროვნებას.არამარტო შთამბეჭდავი, არამედ განსაცვიფრებელია მის მიერ ღირსეულად მოპოვებული ტიტულები... მრავალგზის გინესის რეკორდსმენი, ქართველის სპორტსმენი, მსოფლიო მოგზაური,მსოფლო მოქალაქე და სხვა...

მოსაგონარი ბევრი მაქვს.....

მინდა დიდი სიამაყით აღვნიშნო, რომ ბოლო წლებში მასთან მიწევდა ინტენსიური ურთიერთთანამშრომლობა. ვიყავი მის მიერ დაარსებული ჟურნალ "მოგზაურის" ერთერთი რედაქტორი. მისმა სერიულმა გამოცემებმა ლამის მეც მასთან ერთად მთელი მსოფლიო შემომატარა და მაზიარა ამაღლებულ სულიერ ღირებულებებს... ორიოდე სიტყვით ძნელია იმის თქმა რამდენად საინტერესო იყო მასთან ერთად გატარებული ყოველი დღე, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გამყვება დაუვიწყარ მოგონებად...

დაუსრულებლად შეიძლება ისაუბრო მის ადამიანურ ღირსებებზე...პიროვნულად ისეთი კეთილშობილი, მზრუნველი, პატიოსანი, თავმდაბალი. მოსიყვარულე პიროვნება ალბათ იშვიათად იქნება...

უდიდესი დანაკლისია ბატონი ჯუმბერ ლეჟავა არამარტო ჩვენი ქვეყნისთვის არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც შეიძლება ითქვას.....

მის ხსოვნას დავიწყება არ უწერია.....

მონაზონი იოანა

მადლიერება

"ღვთისადმი რწმენა-მინდობა;
სამშობლოსადმი ერთგულება-თავდადება;
მოყვასისადმი სიყვარული-მორჩილება.
გწამდეთ ღმერთი!"
მონაზონი იოანა (ონიანი)

უფლისაგან ვითხოვ შენდობას, რომ მადლიერების გრძნობა გამოვხატო პირველ რიგში ჯუმბერ ლეჟავას სახ. მეცნიერ. მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრების მიმართ და ყველა იმ მეცნიერ-მწერალ-პოეტსა თუ სხვა მესვეურთა მიმართ, რომლებმაც ესოდენ გულისხმიერებით, სიყვარულით, სრულყოფილებით, შემწყნარებლობით, სიყვარულით გაიხსენეს და პატივი მიაგეს გამოჩენილ მსოფლიო მოგზაურსა და საქართველოს ღირსებისა და სიყვარულის დესპანს... ბატონ ჯუმბერ ლეჟავას. კიდევ ერთხელ ვწირავ ღმერთს მადლობას, რამეთუ მასშია ჭეშმარიტება და სიყვარული, რომელიც ასე უხვად იგრძნობა მონა ჯუმბერისადმი მიძღვნილ მოგონებებში, ამავე აკადემიის მიერ სპეც. გამოცემული ანთოლოგიის, მე-8 ტომის ნომერში. ნამდვილად დღევანდელ დღეს, როდესაც ასე მძვინვარებს სიყვარულის, მადლიერების, ურთიერთპატივისცემისა და ურწმუნოების ხანა, მიუხედავად ყოველივესი, რამდენიმე ასობით ადამიანმა გამოთქვა სიყვარული, ინტერესი და პატივისცემა ჯუმბერ ლეჟავას მიმართ. რაც, თითქმის, საქართველოში მცხოვრებ მორწმუნეს, ღვთისმოსავს, მეცნიერს, გამომგონებელს, პოეტს, მწერალს და ა.შ. არა თუ სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის შემდეგაც არ ღირსებიათ ასეთი სქელტანიანი(თითქმის 300 გვერდიანი) ტომეულის გამოცემა, რომელიც მიეძღვნა ჯუმბერ ლეჟავას 80 წლის იუბილეს. უფლის ნებით ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან მის სიცოცხლეშივე დაარსდა მისივე სახელობის აკადემია, რომლის შემოქმედი, დამაარსებელი, შემქმნელი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი აღმოჩნდა. მანვე დაუდო საფუძველი სპეციალური ანთოლოგიის მე-8 ტომის გამომცემლობას, მანვე მოაგროვა ყველა ის მასალა, რომელიც აღნიშნულ წიგნშია გამოქვეყნებული. დაწყებული სულიერებიდან, მამა ამირან ამირანაშვილის მოგონებებდიან მოყოლებული, სხვადასხვა მეცნიერების, პოეტების, საქართველოს მოქალაქეების, ახალგაზრდა მეცნიერების თუ ნორჩი ათინათელების ინტერვიუები, ჯუმბერ ლეჟავასთან დაკავშირებით სხვადასხვა აკადემიის პრეზიდენტებთან თუ მის უახლოეს მეგობრებთან, რეჟისორებთან, მსოფლიოში ცნობილ სამხატვრო აკადემიკოს-ისტორიკოსებთან. ყველას, ყველას მიმართ, რომლებმაც რამდენიმე სიტყვით მაინც მოიგონეთ ჯუმბერ ლეჟავა, მადლიერებას, გულისხმიერებას, სიყვარულს გამოვხატავ და ვევედრები უფალს, შეგვაძლებინოს მეტი და მეტი ურთიერთსიყვარული, რამეთუ "გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი, მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით; და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი (ლუკა10, 27). სწორედ ეს დავინახე ყოველი სტატიის წაკითხვისას, რაც ჯუმბერ ლეჟავას, მისი

მოგონების, გახსენების, სიყვარულის ჩასახვაა ყველა მათგანის გულში. სწორედ ამ სტატიების ავტორების გულებში დავინახე სულიწმიდის მიერ გადმოსული სიყვარული. „არავის არ შეუძლია, რომ მთელი გულით შეიყვაროს ღმერთი, თუ მას მოყვასი არ უყვარს. თუ წინასწარ ღვთის შიშს არ გაიღვივებს, რადგანაც სული მხოლოდ მას შემდეგ შედის ჭეშმარიტ სიყვარულში, რაც განიწმინდება და ღვთის შიშის მოქმედებით დარბილდება.

სიყვარული უშიშრობისაგან იბადება, უშიშრობა – ღმერთზე სასოებისაგან, სასოება – მოთმინებისაგან და დიდსულოვნებისაგან, ეს ყველაფერი კი – თავშეკავებისაგან. თავშეკავება – ღვთის შიშისგან, შიში კი – ღვთის რწმენისგან“. (ღირსი მაქსიმე აღმსარებელი (+662). სწორედ მაქსიმე აღმსარებლის მიერ ზემოთ წარმოთქმული სიტყვებითაა შემკობილი ჯუმბერ ლეჟავას მიმართ გამოხატული მოგონებები.

როგორც მოგეხსენებათ, სიყვარული ყველაზე ამაღლებული სათნოებაა და ამიტომაცაა, რომ ლეჟავას მიმართ გამოთქმულ ყველა რესპოდენტის მოგონებაში იგრძნობა სიყვარული, სინანული, მწუხარება, რომ ასე მოულოდნელად გადასახლდა მეორე მარადიულ სიცოცხლეში.

მსურს ისევ მადლიერების გრძნობით, დიდსულოვნებით, სიტკბოებით, სიკეთითა და რწმენით გამოვხატო ჩემი ღვთიური სიყვარული ყველა რესპოდენტის მიმართ.. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქალბ. გულნაზი ხარაიშვილის თავდადება, არა მარტო ჯუმბერ ლეჟავას მიმართ, არამედ ყველა ამ ქვეყნიდან გადასახლებული მეორე ცხოვრებაში, როგორც სასულიერო პირთა – მეუფე თადეოზ იორამაშვილი, ასევე რიგითი ადამიანების მიმართ. არც ერთ ჟურნალ ათინათინსა და მრავალ ტომეულ ანთოლოგიას თითქმის არ დაუბეჭდავს არცერთი ნომერი, რომ მათ შესახებ გახსენება-მოგონება არ იყოს, პირიქით, ყველა ნომერსა და ტომში სპეციალური თავია გამოყოფილი გარდაცვლილთა მოგონება-გახსენების შესახებ. აქვეა აღნიშვნის ღირსი ყველა მისი საქმიანობა, რომელიც ეხება შეჭირვებულთა, უძლურებაში მყოფი ადამიანების მიმართ გულისხმიერებას. არ შემიძლია, არ გამოვყო ის ფაქტი, რომ შვილმკვდარი მამის, მხედველობადაკარგული, ღვთის ანაბარა მყოფ ჯონი კიკნაველიძის მიერ (დაწერილი ლექსის აკროსტიკით) ჯუმბერ ლეჟავას მიმართ მიძღვნილი ლექსის გამოქვეყნებით, რაოდენ დიდი სიხარული გამოიწვია მასში, როცა გაიგო რომ ანთოლოგიის სპეციალურ ნომერში მისი ლექსი იყო დაბეჭდილი. წიგნზე ხელის შეხებით გამოხატა უსაზღვრო სიხარული და აღნიშნა, რომ ათასობით ლექსი ჰქონდა დაწერილი და არც ერთს არ უნახავს მზის სხივი და ეს იყო თავისი პირველი ლექსი, რომელმაც იხილა დღის სინათლე. არასდროს დამავიწყდება ჯონის ბედნიერი სახის გამომეტყველება, რაც რამდენიმე წლის მანძილზე არ ჰქონია. ეს იყო თავისი პირველი ვაჟის – კახაბერის გარდაცვალების შემდეგ. უდიდესი სიხარული და მადლიერება გამოხატა რედაქტორის მიმართ.

ჩემო ღვთისნიერო, თავმდაბალო, ყველას მიმართ სითბოს, სიყვარულის, მოწყალების გამღებელო, გვერდით მდგომო ყოველგვარი ანგარების გარეშე, საქმის დამგვირგვინებელო, გისურვებთ კვლავაც შეგძლებოდეთ მრავალი ათეული წლების განმავლობაში გეკეთებინოთ ასეთი ღვთიური საქმეები, რომელთაც ემსახურები დღევანდელს დღეს და კვლავაც გაგეცოცხლებინოს იმ მივიწყებული ადამიანების შრომა და ამაგი, იმ მწერლების, პოეტების მიმართ, რომლებიც საზოგადეობას თითქმის მივიწყებული ჰყავს.

ღვთიური სიყვარულით და თქვენზე მლოცველი მონაზონი იოანა (ონიანი)

09.09.2019

თამარ ძაძამიძე

თვალით ნახული გარდაცვალება

მოვიწამლე, ისეთი მწვავე გამოდგა, ეს თითქოსდა უბრალოდ ნათქვამი, სიტყვა მოწამვლა, უკვე გადარჩენის არანაირ იმედს არ აძლევდა ექიმი, ჩემს ახლობლებს. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი დედაჩემი, ჩემი მეუღლე, შვილები თუ ნათესავები, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის რომ მე გადავრჩენილიყავი.

ყველაფერი მესმოდა, რას ამბობდნენ ჩემზე, ჩემი თვალით დავინახე, ჩემი გარდაცვალება. ვერ ვსაუბრობდი, ექიმების ნათქვამი სიტყვები ახლაც ყურში ჩამესმის: ყველაფერს უნდა შეეგუოთ, გამაგრდით.

ჩემები დაუკავშირდნენ საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ქალბატონს, რომელსაც ლოცვით შეუძლია ადამიანს საიცოცხლე დაუბრუნოს, ანუ ღმერთით მას ისეთი მადლი აქვს, თუ ირწმუნე, ყველაფერი ახდება დადებითად. ასეთი სასწაული ჩემს თავზე ამიხდა. ერთი სიტყვით, უიმედოდ დარჩენილი შინაურები, ღმერთს მიენდნენ და თამარ ჭეიშვილის რჩევებით მოქმედებდნენ. მოხდა სასწაული, თვალები გავახილე, ავმეტყველდი, მაგრამ ხელით მოსავლელი გავხდი... გავიდა რამდენიმე ხანი. კვლავ ტელეკავშირი, ქალბატონი თამარი რეკავს, უნდა გაიაროს, გაივლის.

ოჯახში მითხრეს შენ გაივლი, მე ეს უკვე აღარ მჯეროდა. მაგრამ რაღაც ზეციურმა ძალამ, რამდენიმე ნაბიჯი გადამადგმევინა. ხოდა ამჟამად სამსახურში დავდივარ. გარდაცვალება ჩემი თვალით ვნახე. მიყვარს ღმერთი, მაქვს რწმენა თუ რაიმეს ეჭვის თვალით ვუყურებ, ის არასოდეს დადებითად არ გაკეთდება. მთავარია სიმართლე და რწმენა.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ თამარს, მისი ლოცვით მეორედ დავიბადე.

მაია ფეიქრიშვილი

სიცოცხლისათვის

რამდენგზის ებრძვიან სიკვდილს, რამდენგზის ხარობენ გამარჯვებით, რამდენი უძილო ღამე, რამდენის სიცოცხლე ხელში, შეუმშრალი ოფლი, გაყინული ცრემლი, შმაგად აძგერებული გული უიმედო იმედი, მდუმარება გაუსაძლისი და... და დიდი სიხარული, სიხარული აღუწერელი! – ასეთია თეთრხალათიანი დასტაქრების ყოველდღიურობა. ისინი ხომ ყველაზე ძვირფასს, ღვთის საჩუქარს – სიცოცხლეს იცავენ, მისთვის იბრძვიან, იღვწიან, იხარჯებიან...

ჩვენი მათე ექიმიც ასეთია. გაზეთ „ხონის“ ფურცლები ვერ იტევს ქირურგ მათე ჩანქსელიანის სამადლობელ წერილებს. წერენ მადლიერი პაციენტები ახალგაზრდა, გულისხმიერი ექიმის შესახებ და ხაზს უსვამენ არამარტო მის პროფესილ უნარ-ჩვევებს, არამედ პიროვნულ თვისებებს, პიროვნულ ღირსებებს. მათე ექიმი უყვართ და აფასებენ. ამ ახალგაზრდა კაცში კეთილი გული ძგერს, მის დალოცვილ მარჯვენას ბევრჯერ დაუმარცხებია სიკვდილი. „როცა პაციენტს საშველს გავუჩენ, მეორედ ვიბადებიო“, – გვითხრა. ალბათ, მათე ექიმს არც დაუთვლია რამდენჯერ დაიბადა, რამეთუ იგი ღმერთია ხონელთათვის, ყველა გაჭირვებულის შემწე და ჭირისუფალია..

„ერთი ჩვეულებრივი, ნიჭიერი ბიჭი იყო. ყველა აღნიშნავდა მისი ბეჯითობისა და გაუტეხელი ხასიათის შესახებ მოსწავლეობის პერიოდში. თქვა ექიმი უნდა გამოვიდეო და ასეც მოხდა. დაამთავრა ლენტეხის რაიონის სოფელ ხელედის საშუალო სკოლა. ქუთაისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, 2004-2007 წლებში დაამთავრა რეზიდენტურა ზოგად ქირურგიაში, წლებია იგი ხონში მოღვაწეობს, პარალელურად მუშაობს ქუთაისში წმ. ნიკოლოზის ქირურგიული ცენტრის ქირურგად, რეფერალური საავადმყოფოს ქირურგად. ასევე არის სერტიფიცირებული ზოგადი ქირურგი, გულმკერდის ქირურგი, ოჯახის ექიმი, გადაუდებელი მედიცინის ექიმი, არის ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.

მათე ექიმის ყოველდღიური რეჟიმი დაძაბულია. მაგრამ მაინც ახერხებს მეგობრებთან ურთიერთობას, იგი ყველა მათგანის სასურველი სტუმარი და ერთგული ადამიანია. ახერხებს თავის ლამაზ ოჯახთანაც გაატაროს გარკვეული დრო და თვალხატულა მარიამი და დათა-ბიჭი გაასეირნოს...

მათე ჩანქსელიანი ბუმბერაზი მთების შვილია და ვაჟკაცობა და პატრიოტიზმი ოდითგან მოსდევს. ტკივილსაც დაატარებს და ლამაზი ოცნებებიც აქვს დასტაქარს. სურს, ბედნიერი და თავისუფალი იყოს მისი მოძმეები, გამთლიანდეს და აღორძინდეს, საქართველო... არ უჭირდეს ხალხს და თავად სიცოცხლის სადარაჯოზე იყოს ყოველთვის ცთომილების გარეშე...

ხონელებს გაგვიმართლა (თუ შეიძლება ასე გამოვთქვათ...), რომ გვყავდნენ გამოცდილი ქირურგები ედვარდ გეგია და ავთო ჯურხაძე და მათ ღირსეულად განვლილ გზას მიყვებიან ნაზი გეგია, მათე ჩანქსელიანი და ზურაბ წულაია...

მადლობას გეუბნებით მათე ექიმო, ალბათ, ვერც ერთი სიტყვა ვერ გადმოსცემს სრულად იმ მადლს, რასაც თქვენ აკეთებთ პაციენტებისათვის. თქვენ ფაქტობრივად თქვენს თავს არ ეკუთვნით. თქვენი მობილური სულ ჩართულია და მუდმივად ზარი შემოდის – „მომეშველეთ ექიმო“... ეს თქვენი სატარებელი მძიმე ჯვარია მოყვასის საიმედოდ და ღვთის სადიდებლად.

დღეგრძელი იყავით თქვენს ძვირფას ოჯახთან ერთად! გვეიმედებით და გვეამაყებით!

ციალა ხაჟალია-ანდრიაძე

დრო კი არ მოდის, მიდის...

ბრძენთაგან ყველაზე სანდო მასწავლებლად ცხოვრებაა მიჩნეული.

წუთისოფელში კი ყველა ადამიანს თავისი ცხოვრების წესი აქვს.

დრო არასოდეს არ მოდის, ის მიდის და თითოეული გავლილი დღე წარსულის კუთვნილებაა. ადამიანი კი საკუთარს, ზოგი – დიდს, წარმატებულს, ზოგიც – შედარებით მცირე ბიოგრაფიას წვეთ-წვეთად, ყოველდღიურად წერს...

მოკლეა აწმყო. რჩება ის, რაც წარსულში გიკეთებია, ნაღვაწით კი მომავალი იქმნება და როგორიც ცხოვრების წესი გქონდა, რა სახელიც მოიპოვე და დატოვე ამ ქვეყნად, იმ სახელითვე გადადიხარ მარადისობაში... ასე იყო ყოველთვის, ასეა დღესაც და ასე იქნება მომავალშიც.

ნიჭიერებით, ნებისყოფით და სერიოზული შრომით მოპოვებული სახელი დავიწყებით არასდროს იბინდება. ნათქვამია: „თუ არავისთვის არ გიცოცხლია, არც არავინ გიტირებსო...” ქვეყნისა და ოჯახისთვის თავდადებული, ზნეკეთილი ადამიანი იმიერ საუფლოს მკვიდრთაც სახელითა და მადლით დატვირთული მიუვა და დიდი ილიას თქმისა არ იყოს, აქაც დატოვებს „სააქაო სახელსა და დიდებას.”

ყოველმა პატარამ თვალის გახელის დღიდან თანდათან უნდა შეიცნოს, უნდა შეისისხლხორცოს და შეიყვაროს ოჯახი, მშობლები, და-ძმები, ბებია-ბაბუები და ახლობლები. შემდეგში, ზოგადად, ადამიანები, რომელთა გარემოშიც მისი მრწამსი და სულიერება უნდა ჩამოყალიბდეს, მისმა ოცნებებმა ფრთა შეისხას, ისწავლოს ანი, ბანი... შეიგრძნოს მიწის სურნელი, მშობლიური ქართული ენის ტკბილხმოვანება, აღივსოს საკუთარი რწმენისადმი მოწიწებით...

ყოველი ადამიანი უნდა ესათუთებოდეს, პატივს სცემდეს წარსულს; შრომითა და გარჯით დატვირთული ყოველი დღე უნდა გაძლევდეს უფლებას, ჰკითხო საკუთარ თავს: რა შევქმენი, რით მოვიხადე ვალი წინაპრების თუ დღევანდელობის წინაშე და რა შეიძლება შევმატო მომავალს? – შენეულია ის ყველაფერი, რაც უშუალოდ გეხება და შენი განცდების ქურაშია წლების განმავლობაში გამოწრთობილი.

თითოეულ ჩვენგანს თავისი თავგადასავალი და გასახსენებელი აქვს, რომელთა ერთიანობით შენი ცხოვრება, უშუალოდ, შენი ქვეყნის ყოველდღიურობას ერწყმის, გიყვარს ეს ყველაფერი და ხვდები, ამ წვრილმანებით შემოდის შენში საქართველოს სიყვარული, რომელსაც ვერაფერი ვერ ამოძირკვავს გულიდან, ვინაიდან თითოეული ეს წვრილმანი სულშია სამუდამოდ ჩაბუდებული.

სამშობლო ლამაზ მთა-ბართან ერთად, უპირველესად, ამ მიწა-წყალზე მცხოვრები ადამიანებია, მათი სიყვარულია, ის ტრადიციებია, რომელთაც თვალის გახელასთან ერთად, ყოველდღიურად უნდა ეზიარო და შეისისხლხორცო.

„მამული, ენა, სარწმუნოება” – ეს სამი საკრალური სიტყვა აერთიანებს და ქმნის სამშობლოს ფენომენს. სამშობლო არის ადათ-წესთა, ზნეობათა, მენტალობათა მთლიანობა და მიწა-წყალი, რომელზეც ქართველი ერი ოდითგანვე ცხოვრობს, ხოლო ქრისტეს რელიგია 2000 წელია, ჩვენშია. აქ იყო მეორე იერუსალიმი და მეორე ბეთლემი – სწორედ მცხეთაში ჩაესმა ელიოზის მოხუც დედას გოლგოთიდან სამსჭვალზე დაკრული ჩაქუჩების ხმა და სული განუტევა... მცხეთიდან იერუსალიმამდე გაბმულია მისტიკური, სულიერი კავშირი. აქედან იქით მიემართებიან ქრისტეშობის წინასწარმეტყველი მოგვები. ჩვენ ავაშენეთ სვეტიცხოველი, ჯვარი, სიონი, გერგეტი, ალავერდი და

სამების ტაძარი... მარიამწმინდა და ნინოწმინდა – ქრისტეს დედის და ქრისტეს მოციქულის არაერთი ლამაზი სოფელი. ამ რწმენით მოვედით XXI საუკუნემდე. ბოლო ოცსაუკუნოვანი წარღვნები გადავლახეთ ამ ნავით, რომელსაც ქრისტეს ხელი აჩერებდა ტალღებზე და თავგანწირულ მორწმუნეთა სისხლის „სინერგია" იცავდა...

სინერგია ხომ ღვთისა და ადამიანის ენერგიათა გაერთიანებაა. მაშასადამე, თუ გვინდა ქვეყნის უკეთესი მომავალი, უნდა გავამრავლოთ სიკეთე და დავიცვათ წინაპართა თავდადებით, დღევანდლამდე თავის ავ-კარგით მოტანილი უძველესი ქვეყანა...

XXI საუკუნეში ვერ ვიბრძოლებთ და არც გვეპატიება შევინარჩუნოთ, მაგალითად, სისხლის აღების წესი... მაგრამ ზნეობა?.. პატიოსნება?..

„ჩვენ ხომ ის ხალხი ვართ, – ვისაც საკუთარი წინაპრები გვყავდა, რომლებიც მამის სახელით მიმართავდნენ ერთმანეთს, ყრმას, მეომარს: აი მოვიდა ნინიას-ძე, უთურგაის-ძე, მინდიას შვილი, აფშინას შვილი... ეს მიმართვები შემდეგ გვარებად იქცა. რა ქნას ერმა, რომელიც ქრისტეს კვართის, ღვთისმშობლის წილხვედრობის ღირსი გახდა და ქრისტეს მრწამსი სამშობლოს იდენტურობის ცნებად ექცა?" – კითხულობს მწერალი კობა არაბული.

* * *

საქართველო, მოგეხსენებათ, მუდამ მტრიანი იყო და ცხოვრების ავბედითობის გამო, ბევრი ჩვენი თანამემამულე, უცხო ქვეყნებშიც გადაიხვეწა და მათ სამსახურში ჩადგა, სადაც არაერთმა ჩვენმა წინაპარმა გამოიჩინა თავი – მეცნიერებით, ხელოვნებით, მხედრული საქმით, საეკლესიო ცხოვრების წესით...

ამაში ბევრია ტკივილიანიც და საამაყოც. ამიტომაც ცნობილი საზოგადო მოღვაწე რეზო თაბუკაშვილი შთამომავლობას დაბეჯითებით სთხოვდა: „სამშობლო საასპარეზოდ არ იცოტაონ".

თავად ბატონ რეზო თაბუკაშვილს დიდი მცდელობა ჰქონდა საქართველოში დაარსებულიყო „მადლიერების სახლი", რომელშიც მოეწყობოდა სამშობლოდან მოშორებულ ადამიანთა ცხოვრების ამსახველი გამოფენები, რის წყალობითაც მომავალ თაობებს ქვეყნის გარეთ მოღვაწე წინაპრებზე ობიექტური წარმოდგენა შეექმნებოდათ.

ეს არ გახლდათ იოლი, არც პოლიტიკურად და არც ეკონომიკურად. სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანები იმ დროს მოღალატეებად ითვლებოდნენ. არადა, რაოდენ საამაყოა მათი არსებობა თუ ცხოვრების წესი ჩვენი ხალხისთვის (ექვთიმე თაყაიშვილი, მიხეილ თამარაშვილი და სხვები). ამიტომაც, „მადლიერების სახლის" გახსნა თბილისში, საშურიც კი იყო.

ამ საქმეში რეზო თაბუკაშვილს ირაკლი ანდრიაძე გვერდით დაუდგა. მადლირების სახლის გასახსნელად ბატონ რეზოს ქალაქის ხელმძღვანელობამ დავით აღმაშენებლის გამზირზე (მაშინდელი პლეხანოვი) შენობა გადასცა.

* * *

1987-1991 წლებში ირაკლი ანდრიაძე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს თავმჯდომარეობდა (შემდგომში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს თბილისის მერია დაერქვა). სწორედ იმ წლებში მსოფლიოში რამდენიმე ქალაქს, მათ შორის, თბილისსაც, მიენიჭა „მშვიდობის დესპანი ქალაქის" ჯილდო და წოდება.

ეს არ იყო შემთხვევითი და ეს ცალკე განსახივლველი საინტერესო თემაცაა, მით უმეტეს, რომ კულტურული ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, ირაკლის მერობისას თბილისი ბევრ ქალაქს დაუმეგობრდა.

... 1988 წლის აპრილში უნდა დამეგობრებულიყვნენ თბილისი და ატლანტა. თბილისიდან დელეგაციის წევრები – ნოდარ მეძმარიაშვილი, გელა ჩარკვიანი, საშა იაშვილი და ირაკლი ჩავიდნენ ატლანტაში, მაგრამ გაუგებრობა მოხდა და რატომღაც, რამდენიმე კონგრესმენმა თბილისელების შეთავაზებაზე უარი განაცხადა და დოკუმენტს ხელი არ მოაწერა, თითქოსდა, ებრაელებთან ჩვენი ცუდი დამოკიდებულების გამო...

მაშინ ირაკლიმ ითხოვა სიტყვა და კონგრესმენებს მიმართა: – საქართველოში ებრაელები 26 საუკუნის წინ ჩამოსახლდნენ, თან ჩამოიტანეს სასულიერო ლიტერატურა, ბიბლია, რომლის თარგმნაც ქართველი სწავლულებისთვის საპატიო, საშურ საქმედ იქცა. მას შემდეგ დღემდე დიდებული ურთიერთობები გვაქვს. რაც შეეხება ქართველობას, ძვ. წელთაღრიცხვით III საუკუნიდან გვაქვს ქართული ანბანი, უძველესი დამწერლობა, ისტორია, კულტურა. 2000 წლისაა ჩვენი მართლმადიდებლობა, რომლის ზეგავლენაც ყოველთვის უდიდესი იყო... ჩვენს ქვეყანაზე ბევრი საინტერესო რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ამჯერად ამაზე საუბრის შესაძლებლობა ნამდვილად არა გვაქვსო...

საქართველოს დელეგაცია ვაშინგტონში უნდა გამგზავრებულიყო. აგვიანდებოდათ. ბოდიში მოიხადეს და წავიდნენ.

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, თბილისისა და ატლანტის დამეგობრების ხელშეკრულებას ხელი მოეწერა.

ხოლო იმ კონგრესმენებმა, რომლებმაც მეგობრობაზე უარი განაცხადეს, ბოდიშის მოხდით ხელმოწერები დელეგაციას ვაშინგტონში დააწიეს...

* * *

საყვარელო შვილებო!

თქვენმა წინაპრებმა ბევრი რამ გააკეთეს იმისთვის, რომ მათ მიერ გადებულ ხიდზე ამაყად გაიაროთ და მაინც, გულით მინდა გთხოვოთ; ჩვენ რაც ვერ შევძელით, იქნებ უკეთ თქვენ გააკეთოთ. სადაც ადამიანობაა, შეუძლებელია, თუ შენი ქვეყანა ცუდადაა, შენ კარგად იყო. ქვეყნის სიკეთისათვის მებრძლი პიროვნება აუცილებლად ითვალისწინებს წინაპართა გამოცდილებას... ცდილობს იყოს ღირსეული მემკვიდრე. შექმნას ახალი, ქვეყნისა და ხალხისათვის მოიტანოს სიკეთე.

ამისთვის კი აუცილებელია, ისწავლოთ რაც შეიძლება, მეტი და თქვენი ცოდნით, მუყაითი შრომით, მოთმინებით (იცოდეთ, უნაკლო და უშეცდომო არავინაა), ცხოვრება გაილამაზოთ.

ჩვენმა წინაპრებმა ბრძნულად მიგვანიშნეს, რომ რაც უფრო მაღლა ადიხარ, იქიდან გადმოხედვა უფრო ძნელია. ადამიანს კი მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ზემოთ ასვლა ბევრად ადვილია, ვიდრე იქ გაჩერება. ესეც ნათქვამია, შეჩერება შესაძლებელია მაღლა ასვლისას, ვარდნისას – არა... ამიტომ ავზე ზედმეტი წარმოდგენა არ შეგექმნათ. პირიქით, თავმდაბალი და სხვაზე მზრუნველი მაშინ უფრო უნდა იყო, როცა ძალაც გაქვს და ხელისუფლებაც.

ცხოვრების კიბეზე ასვლა მუდმივად არ ხდება. იქიდან უნდა ჩამოხვიდე კიდეც, მაგრამ ცუდია, თუ გადმოვარდი და სადღაც ჩაიმუხლე...

უნდა გვახსოვდეს, რომ ყველას თავის გოლგოთა აქვს და ამიტომ ვეცადოთ, მწვერვალზე ჩვენი ასატანი ღირსეულად ავიტანოთ. ამავდროულად, საჭიროა მყარად ვიდგეთ მიწაზე და არასდროს დავკარგოთ ჩვენი სახე. ნუ შევეცდებით, შეცდომაში შევიყვანოთ სხვა და იმაზე მეტად წარმოვადგინოთ თავი, ვიდრე ვართ სინამდვილეში. მაინც არავის დარჩება შეუმჩნეველი, სინამდვილეში რას წარმოადგენ. ამიტომ, დაკვირვებულად, თანდათანობით უნდა შეიცნოთ საკუთარი თავი. ეს ძალიან რთულია ფსიქოლოგიურად. მართლაც დიდი ბედნიერებაა იყო ზომიერი, გაწონასწორებუ-

ლი, ყურადღებიანი. შეგეძლოს, დახმარების ხელი გაუწოდო, სუფთა გულითა და ნათელი თვალით შეხედო ადამიანებს.

ირგვლივ ბევრი ბოროტებაა და ამას წინ რომ აღუდგე და შეებრძოლო, აუცილებელია, თორემ შეიძლება, ზოგიერთის უსინდისო სიმძლავრემ დიდი ტკივილი მოგაყენოს...

* * *

სად და როდის ვისწავლოთ ცხოვრება?

– ცხოვრებას ხალხთან ურთიერთობით, სიძნელეების გადალახვით ისწავლის ადამიანი. როდესაც დიდ გოეთეს ჰკითხეს, ვის ვენდოო, უპასუხა:

გეტყვი, ვის ენდო მეგობარო პატიოსანო!

ენდე ცხოვრებას – ყველა წიგნზე უკეთ გასწავლის.

დიდი ბედნიერებაა ჯანმრთელობა. ესეც გახსოვდეთ, პირდაპირი კავშირია ცხოვრების სწორ წესსა და ჯანმრთელობას, სულისა და სხეულის ჰარმონიას შორის...

უნდა იპოვო საკუთარი თავი, რაც თავის მხრივ, ძალზე რთულია. ცხოვრებაში მუდმივი არც ჭირია და არც ლხინი. აუცილებელია დაინახო და სწორად გაიაზრო სად, როდის და როგორ მოიქცე, რადგან სწორედ შენი და შენი თანატოლების მოსავლელია წინაპართაგან ნაანდერძევი „მამული, ენა, სარწმუნოება"... უნდა იცოდე, რომ სამშობლოს ძალიან სჭირდება შენი ზრუნვა, თავდადება და სიყვარული.

წმინდა პავლე მოციქული ჭეშმარიტ სიყვარულზე წერს, რომ – „იგი არ ქედმაღლობს, არ ზვაობს, არ შურს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს. არ მოიწონებს უსამართლობას, არამედ ჭეშმაიტებით ხარობს, ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს."

ამიტომ, როგორც დედა და პედაგოგი, მომავალ თაობებს გევედრებით: –

ნუ მოუშლით სიყვარულს და იმედს, მოუარეთ ჩვენს მრავალჭირნახულ დედასამშობლოს – საქართველოს!..

2012 წელი

ამალია საზანდრიშვილი

დაუღალავი შემოქმედი, რჩეულთა შორის რჩეული.

ბატონი აკაკი გასიტაშვილი, ბოლომდე დაიხარჯა თავისი ქვეყნისთვის. აკაკი იყო თავისი საქმის ერთგული, მცოდნე, უაღრესად ტაქტიანი, მტკიცე ნებისყოფისა და ფართო ინტერესების მქონე პიროვნება.

იგი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით აფასებდა ამა თუ იმ ფაქტს და მოვლენას და თავის შეხედულებებს სიამოვნებით უზიარებდა ნაცნობ მეგობრებსა და მოსწავლეებს. იგი არასოდეს მოგახვევდათ თავის აზრს და როგორც ჭეშმარიტი ინტელიგენტი, უაღრესად მომთმენი და სულგრძელი მსმენელი იყო.

ბატონი აკაკი არასოდეს ზრუნავდა თავის კარიერაზე. საოცარი თანაგრძნობა იცოდა. ის გაჭირვებაშიც ისეთივე სადა და უბრალო იყო, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში.

არ მოსწონდა ზედმეტი მოჩვენებითობა და უბედურების თეატრალიზებული განცდა, მაგრამ მისი უხმო თანადგომა გაცილებით ხანგრძლივი საჭირო და სასიამოვნო იყო.

ბედნიერია ის ადამიანი, ვინც ბატონ აკაკის თანამშრომლობა იგემა, ვინც მისი ამაღლებული და გამორჩეული სულის სისპეტაკეს წუთით მაინც ეზიარა.

ბატონი აკაკი მაღალზნეობრივ მოთხოვნილებათა და მტკიცე პრინციპების პიროვნება იყო. თავისი ადამიანური თვისებებით და პროფესიული დონით, მან ღრმა კვალი გაავლო მოსწავლე ახალგაზრდობის სპეციალისტთა აღზრდის საქმეს.

მისი სახელი მუდამ მადლობითა და მოკრძალებით მოიხსენიება.

აკაკი იყო ბრწყინვალე მოქალაქე, შესანიშნავი პედაგოგი, დაუშრეტელი ენერგიისა და შრომის უნარის მქონე ადამიანი. მან თავისი უზადო ნიჭისა და ტიტანური შრომის წყალობით დიდი სიყვარული დაიმსახურა როგორც ნამდვილმა შემოქმედმა.

ამბობენ უკვდავი სიცოცხლე, სიკვდილის შემდეგ იწყებაო, და თუ ეს ასეა, ჭეშმარიტად უკვდავია მუდამ კეთილად მოსაგონარი ადამიანის სახელი.

ბატონმა აკაკიმ ღრმა სიბერემდე იცხოვრა.

ხალისიანი, მოუღლელი ცხოვრებით. არაჩვეულებრივი ნათელი გონებით განეშორა წუთისოფელს. აკაკის ნათელი სახელი და მართალი გული დიდხანს გვემახსოვრება მის ამხანაგებს, მეგობრებს, თანამშრომლებს, ვისთვისაც ძვირფასია ნამდვილი მამულიშვილობის ხსოვნა.

აკაკი გასიტაშვილის მოღვაწეობას მიესადაგება შემდეგი სტრიქონები:

„როცა სამარეს დახედავ წუთით
და უნებურად ძნელდება სუნთქვა,
ჰე, მოიხადე ქართველო ქუდი!
აკაკის შენი მადლობა უთხარ!"

აკაკი გასიტაშვილმა ცხოვრებაში ნათელი კვალი დატოვა, ნათელი გზით გავლილი სწავლულის. ბატონ-აკაკი გასიტაშვილის სახელი იმ ქართველ მამულიშვილთა პლეადას ამშვენებს, ვინც გამორჩეული ღვაწლით დიდი ამაგი დასდო მომავალ თაობათა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, ქვეყნის განვითარების წინსვლას. იგი სწორედ გამორჩეული მოღვაწე გახლდათ.

იგი იყო საინტერესო პიროვნება. მასთან მუშაობა სიამოვნებას ანიჭებდა როგორც თანამშრომლებს, ასევე მოსწავლეებსაც.

მისი მუშაობა ერთი ლამაზი ისტორიაა, რომელიც დაიწერა და ცალკე წიგნად გამოიცა სათაურით „მოგონებათა ფურცლები აკაკი გასიტაშვილზე" რომლის ავტორიც მე გახლავართ.

ძნელია ყველაფერი ითქვას. მე პირადად საამაყოდ დამრჩება, რომ ვიყავი აკაკი გასიტაშვილის მოსიყვარულე თანამშრომელი და უმცროსი მეგობარი.

აკაკი გასიტაშვილის ღვაწლი და სახელი ჭეშმარიტად უკვდავია!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ანთოლოგია – საახალწლო ნობათი საქართველოს

„ათინათის“ შენაკადთა მზესხივოსანი კრებული

პოპულარულმა ჟურნალმა **„ათინათმა“** ანთოლოგიის სახით საახალწლოდ შემოქმედებითი ანგარიში ჩააბარა ქართველ ხალხს. აქ თანამედროვეობის თითქმის ყველა პრობლემა მაღალპროფესიულად არის გაშუქებული.

ჩვენდა სავალალოდ, დღეს (დღეს კი არა, კარგა ხანია) ღვაწლ-ამაგის მეტად დაუნახავ-დაუფასებელ გარემოში ვცხოვრობთ. როცა ვფიქრობ ჟურნალ **„ათინათის“** და მისი ანთოლოგიის მთავარ რედაქტორზე, ჩინებულ პოეტ **გულნაზ ხარაიშვილზე** ვფიქრობ, გაოცებული ვარ: საიდან აქვს ამ ნაზ და ფაქიზ ქალბატონს ამხელა ვაჟკაცური ენერგია? ბევრს წარმოდგენაც არა აქვს, რა რუდუნება, ამტანობა და გულის სისხლი სჭირდება ასეთი მაღალი რანგის საზოგადოებრივ-მხატვრულ-ზნეობრივი საუნჯის გამოცემას.



დაფასება? მკითხველისგან – დიდი, მთავრობისგან – მიზერული (მგონი, ისიც არა), ამ გულგრილობამ, „სხვისი ჭირი, ღობეს – ჩხირის“ განწყობილებამ აპოგეას მიაღწია. შედარებისთვის: უნებურად მახსენდება „ავადსახსენებელი“ კომუნისტების დროს ბრწყინვალე პოეტის, **მთვარისა კერესელიძის**, ხუმრობით ნათქვამი: „ერთ ლექსს დაწერს გორგანელი დსა ჰონორარს ორგან ელის“. დიახ, ომგადახდილი პოეტი რამდენიმე ჟურნალ-გაზეთში მიიტანდა ერთ კარგ ლექსს და ყველგან ჰონორარს გამოუწერდნენ. ვფიქრობ, ქვეტექსტი გასაგებია.

დღეს კი ბევრი რამ ყირაზე დგას. ზოგიერთ ბილწმესიტყვე პოეტს, მუზა თურმე უნიტაზზე ჯდომისას რომ ეახლება, ფინანსური მხარდაჭერა გარანტირებული აქვს. მათთვის დაწესებულია პრემიები, მივლინებები. დიდი მეიგავის, **„სიბრძნე სიცრუისას“, „სიტყვის კონის“, „ევროპაში მოგზაურობის“** ავტორის შეურაცხყოფა ხომ არ არის, მისი სახელობის პრემია ასეთებს რომ ენიჭებათ?

რამდენჯერმე ვახსენე სიტყვები: „დღეს“, „დღევანდელ პირობებში“. დიახ, დღევანდელ გაუსაძლის პირობებში მართლაც გმირობის ტოლფასია **გულნაზ ხარაიშვილისა** და მისი თანამებრძოლების შემართება, მუშა ფუტკრის ძალისხმევა. აქვე ვიტყვი, ქალბატონმა გულნაზმა სათანამებრძოლების საქვეყნოდ ცნობილი მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, ახალგაზრდა, პერსპექტიული ჟურნალისტები შემოიკრიბა. ამიტომაც არის **„ათინათი“** და **„ანთოლოგია“** ასე პოპულარული.

მინდოდა ანთოლოგიის ამ ნომრის მოკლე მიმოხილვა, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან 600 გვერდიან წიგნში 14 გვერდი მარტო სარჩევს უჭირავს. ამდენი ავტორის დასახელება კი პრაქტიკულად შეუძლებელია. ერთი თუ დაასახელე, არდასახელებულთა წყენას მოიმკი.

ზარს მხოლოდ განათლების სამრეკლოდან გავახმიანებ: განუზომელია **ანთოლოგიის** სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. კოლეგებს, მოსწავლეებს, სკოლის ხელმძღვანელებს ვურჩევ: შეიძინეთ, იკითხეთ, რედაქციასთან ითანამშრომლეთ. მოგებული დარჩებით, ცოდნისა და გამოცდილების თვალსაწიერს გაიფართოვებთ.

„მამული, ენა, სარწმუნოების“ უღალატო დარაჯს **„ათინათ“-ანთოლოგიას** უფრო გაბრწყინებას ვუსურვებ, რედაქციის ყველა თანამშრომელს და ავტორს უფრო მშვიდობიან, უფრო წარმატებულ, უფრო ბედნიერ შობა-ახალ წელს ვულოცავ.

ბიბლიოთეკა

ქეთინო ნიკურაძე

საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში

(გაგრძელება)

194. თელავიდან გვწერენ [საზოგადო სამკითხველოს აღდგენა] // ივერია, 1887, , N 7, 11 იანვ.

195. კანცელარია და ბიბლიოთეკა „წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოებისა“ ღია არის... [განცხადება] // ივერია, 1887, , N 32, 12 თებ.

196. მთვარელიშვილი, ნიკო. კატალოგი წიგნთსაცავისა. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ ნაწილი 1. ქართული განყო-ფილება.._ ტფ.: ექ. ხელაძის სტამბა, 1887, კანი IV._ 128 გვ. (17x11). [ფ. ა.]._ კანზე: საქმეთ-მწარმოებლის ნ. მთვარელიშვილის მიერ.

197. ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთბიდან) [მაქს. შარაშიძის წერილი ჟურნალ „მწყემსში“ „სამღვთო წიგნთსაკითხავის“ შესახებ] // ივერია, 1887, N 212, 13 ოქტ.

198. ოქუაშვილი, ზ. (მოწერილი ამბები) სოფ. ვანათი (პატარა ლიახვის ხეობა) [ვანათის სკოლასთან ცხვედაძის თაოსნობით წიგნსაცავის გამართვა] // ივერია,
1887, N 238, 13 ნოემბ.

199. საღმრთო წიგნთსაკითხავი, რომელიც იმყოფება ზუბალოვის სახლებში გადავიდა პრუზენშტეინის ქუჩაზე... [განცხადება] // ივერია, 1887, N 5, 9 იანვ.

200. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბ-ლიოთეკა და კანცელარია გადატანილია ახალ სადგურში... [განცხადება] // ივერია, 1987, N 147, 18 დეკ.

201. „ქართული საღმრთო წიგნთ-საკითხავი...“ღიაა ყოველ დღე...“ [განცხადება] // ივერია, 1887, N 195, 20 სექტ.

202. ქართული საღმრთო წიგნთსაკითხავის [ბიბლიოთეკის] წესდება // მწყემსი, 1887, 30 სექტ., N21._ გვ. 7-8.

203. ქართული წიგნთსაცავი [ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელე-ბელი საზოგადოების წიგნთსაცავი და მისი კატალოგი] // ივერია, 1887, N138, 8 ივლ;

204. ქართული წიგნთსაცავი [ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელე-ბელი საზოგადოებისა] // მწყემსი, 1887, 30 აგვ. N19._ გვ. 6-7.

205. შარაშიძე, მაქსიმე. ქართული საღმრთო წიგნთსაკითხავი // მწყემსი, 1887, 30 სექტ., N21._ გვ. 7.

206. „ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ...“ [[ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის სასარგებლოდ შემოწირული წიგნები, ჟურნალები და

გაზეთები. შემომწირველთა შორის არიან ილია ჭავჭავაზე, ივ. კერესელიძე და სხვ.] // ივერია. 1887, N29, 8 თებ.
207. წესები მართლ-მადიდებელი ძმობის კაბინეტისა [ბიბლიოთეკისა] // მწყემსი, 1887, 30 სექტ., N21._ გვ. 8-9.
208. „ადრინდელ გაზეთის „კავკასიის“ რედაქტორად ნამყოფის განსვენებულ სალივიცკისაგან“ [შეძენილი ორი ხელნაწერი ხუცური წიგნი პეტერბურგის საჯა-რო ბიბლიოთეკისათვის] // ივერია, 1888, N 190.- გვ. 2.
209. ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადო-ების მოქმედების 1887 წლის იანვრის 1-დამ 1-ლ იანვრამდე 1888 წ..._ ტფ.: „კავკა-სიის მიმომხილველის“ სტ.._ 1888._ 27 გვ. (18X12). [ფ.ა.]
210. ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადო-ების მოქმედების 1888 წლის იანვრის 1-დამ ამავე წლის 1-ლ სექტემბრამდე._ ტფ., ე. გრ. მესხის სტ., 1888._ გვ. 22, (18X12). [ფ.ა.]
211. ახალი ამბავი [ბატონ გიორგი საძაგლიშვილის მიერ შემოწირული წიგნები „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნსაცავისათვის] // ივერია, 1888, N 112, 29 მაისი.
212. ახალი ამბავი [ბატონ გიორგი საძაგლიშვილის მიერ „წერა-კითხვის გამავ-რცელებელი საზოგადოების“ წიგნსაცავის სასრგებლოდ შემოწირული წიგნების სია] // ივერია, 1888, N 249, 26 ნოემბ.
213. ახალი ამბავი. [გორის საპყრობილეს წიგნსაცავის სასარგებლოდ შემოწირუ-ლი წიგნები] // ივერია, 1888, N 269, 21 დეკ.
214. ახალი ამბავი [თბილისის მეტეხის პატიმარტა წიგნსაცავის სასრგებლოდ შემოწირული წიგნები] // ივერია, N260, 10 დეკ.
215. ახალი ამბავი. [თელავის წიგნსაკითხავის სასარგებლოდ სამმოქმედებიანი პიესის გამართვა] // ივერია, 1888, N120, 9 ივნ.
216. ახალი ამბავი [მასწავლებელ ქალების კრებაზე სამკითხველოს გამართვის შესახებ საკითხის განხილვა] // ივერია, 1888, N43, 25 თებ.
217. ახალი ამბავი [მცხეთის სობოროს წიგნსაცავში დ.ზ. ბაქრაძის მიერ საინტე-რესო ხელნაწერის მიკვლევა] // ივერია, 1888, N 201, 25 სექტ.
218. ახალი ამბავი [ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა დამხმარე-ბელ საზოგადოების გადაწყვეტილება წიგნთსაცავის გამართვის შესახებ] // ივერია,
1888, N 69, 12 აპრ.
219. ახალი ამბავი. [ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზო-გადოებისათვის „კარაბადინის“ შეწირვა სპ. ვაწაძის მიერ] // ივერია, 1888, N185, 4 სექტ.
220. ახალი ამბავი. [ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა- დოებისათვის შეწირული ბატონიშვილების კარის მღვდლის მელითაურის ნაქონი ხელნაწერი „სიბრძნე ბაჰლავერისა“] ივერია, 1888, N164, 5 აგვ.
221. ახალი ამბავი [ქართული წარმოდგენის წარმოდგენის გამართვა თელავის „წიგნთსაცავი“ სასარგებლოდ] // ივერია, 1888, N12, 5 იანვ.

222. ახალი ამბავი. [„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთსაცა-ვის სასარგებლოდ ბ-ნ არსენ კალანდაძის მიერ შემოწირული წიგნები] // ივერია,
1888, N54, 13 მარტი
223. ახალი ამბავი. [„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთსაცა-ვის სასარგებლოდ თ. დიმიტრი გიორგის ძე მაჭუტაძისაგან შემოწირული ხალნაწე- წერი წიგნი „ცხოვრება და მოქალაქეობა“ და იგავნი...] // ივერია, 1888, N1 20, 8 იანვ.
224. ახალი ამბავი. [„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნსაცავი-სათვის ქალბატონ ნინო დაფქვიევის მიერ შემოწირული წიგ-ნების სია] // ივერია, 1888, N142, 8 ივლ.
225. ახალი ამბავი. [„ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნსაცავი-სათვის შემოწირული წიგნების სია] // ივერია, 1888, N179, 13 აპრ.
226. ახალი ამბავი. [„ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნსაცავში არსებული „სიბრძნე ბაჰლავარისა“-ს ორი ვარიანტი] // ივერია, 1888, N 241, 16 ნოემბ.
227. ახალქალაქელი. წერილი რედაქციის მიმართ [გაზეთ „ივერია“-ში დაბეჭდი-ლი ბ-ნ ხუციშვილის წერილის გამო, რომელიც ახალქალაქში ბიბლიოთეკის დაარ-სებას ეხებოდა] // ივერია, 1888, N 191, 13 სექტ.
228. გორიდგან [გორის სატუსაღოში წიჰ~ნსაცავის გამართვა ტერ-ეღიშე ტერ-სააკოვის მიერ] // ივერია, 1888, N 258, 8 დეკ.
229. თ. ვახტანგ ორბელიანმა შესწირა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-დოების“ წიგნსაცავს ხელნაწერი „როსტომიანი“... [მეფე ვახტანგ VI-ის ნაქონი ალექსანდრე ჯ. ორბელიანის წარწერით] // ივერია, 1888, N 126, 18 ივნ.
230. თარხნიშვილი, ნიკ. ორიოდე სიტყვა სახალხო წიგნთსაკითხავის გამო //ივერია, 1888, N 276, 31 დეკ.
231. ი. კახელი. დაბა და სოფელი. მოწერილი ამბავი. თელავი [წიგნთსაკითხა-ვის საქმეების ავ-კარგი] // ივერია, 1888, N 79, 13 აპრ.
232. კაბინეტი ანუ სამკითხველო გაზეთებისა და ჟურნალებისა. ტბილისის სასახლის ქუჩა... [განცხადება] // ივერია, 1888, N 76, 9 აპრ.
233. ლიფონავა, ბეგლარ. ბატონო რედაქტორო [მადლობის გამოცხადება აპ. ნორაკიძისათვის ზუგდიდში წიგნსაცავის დაარსებასთან დაკავშირებით] // ივერია, // ივერია, 1888, N 7, 12 იანვ.
234. მეთვალყურე. დაბა და სოფელი. მოწერილი ამბები. თიანეთი [წიგნთსა-კითხავის ხელმეორედ აღდგენა] // ივერია. 1888, N74, 7 აპრ.
235. ნა-ლი, ა. ტფილისი, 19 ნოემბერი [„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ დაარსებული წიგნსაცავები] // ივერია, 1888, 245, 20 ნოემბ.
236. ნანეისვილი, ა. ტფილისი, 30 დეკემბერი [სოფლად სახალხო სამკითხვე-ლოების გამართვის სესახებ] // ივერია, 1888, N 275, 31 დეკ.
237. რამიშვილი, ი. წერილი რედაქციის მიმართ [წიგნების შეწირვა ქვემო სურების წიგნსაცავის სასარგებლოდ] // ივერია, 1888, N 212, 11 ოქტ.
238. სოფელ ხოვლე. [... სკოლა და წიგნთსაცავი] // ივერია, 1888. N 103, 19 მაისი.

239. „ქალაქ ბათუმის მცხოვრებმა, ბატონმა ლევან მჭედლიშვილმა... [ქართ-ველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის შემოწირული შავშეთში ნაპოვნი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ და ართვინის ეკლესიის გუჯარი] // ივერია, 1888, N 195, 18 სექტ.
239. შარაძე, მაქსიმე. ქართული საღმრთო წიგნთსაკითხავი ტფილისში // ივე-რია, 1888, N 262, 13 დეკ.
240. ცხვედაძე, ი. წერილი რედაქციის მიმართ. ბატონო რედაქტორო! [საერთო სახალხო ქართული ბიბლიოთეკის დაარსების განზრახვა კავთისხევსა და წინარეხში] // ივერია, 1888, N 98, 13 მაისი.
241. „წერა-კითხვის“ ბიბლიოთეკაში და ჩარკვიანის მაღაზიაში იყიდება „სამი მსხვერპლი“ მოთხრობა დავით კარიჭაშვილისა... {განცხადება] // მრნ., 1888, N1._ გვ. 8.
242. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“ ბატონ ალექსი მესხიშვილის მიერ შეწირული ხელნაწერების სია // ივერია, 1888, N 236, 9 ნოემბ; N 238, 11 ნოემბ; N 239, 12 ნოემბ; N 240, 13 ნოემბ; N254, 2 დეკ.
243. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთსაცავისათვის ბ-ნ ა. ხახანაშვილის მიერ შეწირული წიგნები...“ [წიგნები აღმოჩენილია ყიზლარის ახლო ქართულ სოფლებში] // ივერია, 1888, N139, 5 ივნ.
244. ხუციშვილი, ნ. დაბა-სოფელი. მოწერილი ამბავი [წარმოდგენის გამართვა ახალქალაქის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ] // ივერია, 1888, N 183, 2 სექტ.
245. ჯავახიშვილი, მ. დ. წერილი რედაქციის მიმართ [სოფელ ხოვლეს საზო-გადოება მადლობას უცხადებს თავად ე. ლ. თარხან-მოურავს და ბატონ კ. გუნიას რომელთაც შემოსწირეს წიგნები სოფლის ბიბლიოთეკას] // ივერია, 1888, N 192. 14 სექტ.

სიკეთისა და სიყვარულის მეცხოვნე

ანზორ ჯაფარიძის „ოთხთავი“

ქრისტესმიერო საყვარულო ძმაო ანზორ, შენ უფალმა უხვად დაგაჯილდოვა მრავალმხრივი ნიჭით. მათ შორის, შენი ცხოვრების სიბრძნის ასაკში კალმის ოსტატად გაქცია.

ღვთის ნების გარეშე არაფერი არ ხდება – სასწაულია ამ მოკლე დროში ოთხი წიგნის დაწერა და გამოცემა.

ეს უკვე ტალანტთა ხვედრია, რომელმაც არაჩვეულებრივ „ანზორ ჯაფარიძედ“ გაქცია!

ყველა წიგნი შენ გგავს: მრავალფეროვანი, ზომიერი, მომხიბლავი, ლირიული, რეალისტური, თხრობის შენეული სტილი, პირდაპირი, ზოგჯერ მწვავე, პრობლემატური, ფანტაზიის ელემენტებით შეკაზმული, ამაღლებული და საოცარი მიწიერისა და ზეციერის ჰარმონიული შერწყმა. შენი მეოთხე წიგნი „აღსარება“ ეს ხომ შენი ცხოვრების „ბიბლიად“ იქცა.

განა შენი „აღსარება“ არ წააგავს გოლგოთისკენ მიმავალი კაცის სვებედს: შრომას, სიდუხჭირეს, ძიებას, ოფლის ღვრას, სიხარულს, ცოდვას, დაცემას და აღდგომას... ბრძოლას კეთილსა და ბოროტს, ღვთაებრივსა და სატანურს, ნამუსსა და უნამუსობას შორის?.. და ყოველივე ეს შენია, შენი გავლილი ცხოვრებაა, შენი შთაგონებაა, შენი დარდია და წუხილი ამ წუთისოფელზე, შენს ქვეყანაზე, შენს ხალხზე, მიწაზე, მზეზე, შენსავით ჯიშიან ვაზზე.

დიახ, ზოგჯერ შენს ვაზს მაგონებ, ხვავრიელი რთველით და მრავალჯიშიანი ღვინოებით. შენი შრომისა და ნიჭის ნაყოფია შენი წიგნები: მასწავლებელი – უსწავლელთათვის, დამკაცებელი ყმაწვილთათვის, დამპურებელი მშიერთათვის, მათრობელა მწყურვალთათვის, იმედია სასოწარკვეთილთათვის, აღმაფრენა შეყვარებულთათვის და უდიდესი რწმენა ურწმუნოთათვის!

შენ შესძელი და დინჯად, აუჩქარებლად, ოსტატურად გაგვახვიე შენს სამყაროში და დაიპყარი შენი წიგნების მკითხველთა გულები.

მაჭარი ნელი დუღილით გადაიქცევა ძლიერ მათრობელა ღვინოდ, მაგრამ უკეთესი „ნადუღი“ დაუგემოვნებია ვინმეს?

ათწლეულებია აღსარებებს ვიღებ მრევლისგან, მაგრამ ასეთი მასშტაბური ყოვლისმომცველი, ზოგჯერ ნაკლებ ეკლესიური, შენეული კახურ-რაჭული პირდაპირობით არც მსმენია და არც წამიკითხავს. ხშირია წარმართულ ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი შეზავებული მაღალ სულიერ განცდებთან, მაგრამ ყოველივე მიტევების ფარგლებში.

ჩვენ უფალმა მოგვცა ნება შენდობისა და მიტევებისა – ვინ იცის, იქნებ ზოგჯერ ჩვენც ვცოდავთ ჩემო სულიერი უხუცესო ძმაო, ჩვენი საძმოს კაცობის ეტალონო და დიდო ქართველო, სუფრისა და ოჯახის მართვის დიდოსტატო, ადამის მოდგმის გამგრძელებელო დიდო კაცო!

ბოდიში შენი შემოქმედების მწირი შეფასებითვის, მაგრამ ნამდვილად ბოდიშს ვუხდი შენს მკითხველს შენი მოძღვრის გადაჭარბებული ქება-დიდებისთვის – მეც ხომ შენნაირი ცოდვილი კაცი ვარ. მაგრამ ეს კაცობა დღეს, შეუფასებელი განძია, ყველა სიმდიდრეს რომ გადაწონის, ამ კაცობამ აგაღებინა კალამი და შენი სულით და გულით აგვამაღლე, ჩაგვაფიქრე და დადე განძი შენი მარადიული უკვდავებისა! მე შენს წიგნებს ანზორ ჯაფარიძის „ბიბლიას ვუწოდებ.

ბრავო მაესტრო. აფერუმ შენს ცხოვრებას, მრავალჟამიერ!..

ქრისტესმიერი სიყვარულით,
მამა ამინი

ბატონ ანზორ ჯაფარიძის წიგნის „აღსარების“ წაკითხვის შემდეგ დაწერილი შთაბეჭდილება.

იყო ასეთი, ეს იმას ნიშნავს...
კალამო, უნდა შევძლოთ დაწერა...
თბილი სიტყვებიც არ დავიშუროთ.
ქართველს, რომელსაც ლექსით აღვწერავთ,
სული მზის სხივით გადავუხუროთ.
ხო... მას სცოდნია, ავიც და კარგიც,
სიღარიბის და სიმდიდრის ფასი.
მოლხენაც შეხვდა, ეწვია დარდიც,
გთხოვ... დაიფარე წმინდაო ვლასი.
ღმერთო, მადლს აფენს მოისაფარებს,
ღვთის სიყვარულით ყოფილა მთვრალი...
მომავლისათვის ნერგებს ახარებს
და ერს სდარაჯობს მახვილი თვალით.
იყო ასეთი, ეს იმას ნიშნავს,
იყო კეთილი და მოამაგე...
მადლით შემოსილს ღვთის კაცად ვნიშნავ,
ცოდნის კაშხალებს კიდევ ააგებს!
წიგნად რომ დაწერ შენს აღსარებას,
პოეტი... არის თან რედაქტორი
როცა მოუხმობ მეხსიერებას
და აღწერ წარსულს ყველა ფაქტორით.
ხარ გამბედავი, ნაღდი ქართველი,
კბილს არ დაადგამ სხვის ალალ ლუკმას,
წიგნებში იწვის, როგორც სანთელი,
გზად დააპურებს ოთარს და ლუკას!
პერსონაჟებად შემორჩებიან
მას მეგობრების მთელი არმია...
ქარი და წვიმაც შემოჩვევია,
გარდაცვლილებიც ბევრი არიან.
ავტორს როლები მართლაც უხდება,
სიდარბაისლეც... ხან ხულიგნობაც,
გულით რას ფიქრობს, თუ ვერ მივხვდები,
მაშინ ვიქნები მე უწიგნური.
მისი სოფელი ახატელია,
წმინდა ქართული, ტრადიციული.
ის მიატოვოს?.. მართლა ძნელია,
იქ იწერება ფიქრის დღიური...
ჯაფარიძეებს სხვა რომ არ ჰყავდეს,
ერთიც ეყოფათ სულის დარაჯად...
ყველა ქართველი მინდა მას ჰგავდეს,
ასეთებისთვის დროსაც დავხარჯავ.
თხრობათა მის სტილს, როს გავეცანი,
დავრწმუნდი იყო წრფელი სიტყვები.
ის არის ჩემი ტყუპისცალი თუ...
მის განვლილ ბილიკს ჩუმად მივყვები.
ეს „აღსარება“ მისი კი არა,
არის მომავლის დასანახავი...
წიგნის ავტორმა ზვრებში იარა,
ჩემთვისაც დახნა აზრთა სახნავი.
მომავლისათვის ზოგჯერ ძნელია.
მათ სავალ გზებზე ხვდებათ ფერდობი,
ეს წიგნი არა, ბრძოლის ველია,
ზოგჯერ სტირი და ზოგჯერ ერთობი.
გაუტანლობას დაუკორტნია,
ნანილ-ნაწილად მისი სხეული,
მას ბანკირები ახლაც პოტნიან,
გულში გველებად შემოხვეული.
წიგნით გავიგე, მისი წარსული...
ვინ იყო სიკო, კარლო და შაქრო,
სანამ მზე არის ზღვის გულს გაკრული
მინდა ავტორი, ვაქო და ვაქო!
იმდენი გზები გამოუვლია,
წიგნმცოდნეობაც, თოხი და ფარცხიც.
თუ მომავალნი ამ გზით ივლიან,
აუცილებლად აცდებათ მარცხი...
ყოვლადნეტარო, წმინდაო ვლასი,
ღმერთის ერთგული არის ავტორი.
აღმოვაჩინე მე ჩემი მსგავსი
მოყვასისა და ერის პატრონი!

გულნაზ ხარაიშვილი

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი, პოეტი.

ფიქრები ბატონი ანზორ ჯაფარიძის „აღსარების“ შესახებ

„სრულყოფილება უბრალოებასა და სიმარტივეშია“.

„ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა – მიანიჭოს ადამიანებს სიხარული“, – წერდა კოტე მარჯანიშვილი. სწორედ ეს სიხარული მომანიჭა და ბედნიერება განმაცდევინა ბატონ **ანზორ ჯაფარიძის „აღსარებამ“.**

ჩემთვის ეს ჩვეულებრივი წიგნი კი არა, ცხოვრების დიდი ენციკლოპედია აღმოჩნდა, რომელშიც კალეიდოსკოპური სისწრაფით ენაცვლებიან ერთმანეთს ყოფითი ამბები, განსხვავებული ხასიათები თავიანთი ადამიანური ღირსებითა და სისუსტეებით. მკითხველიც მათთან ერთად წუხს, უხარია, მარცხდება და იმარჯვებს,

ხდება მათი თანამოაზრე და კიდევ ერთხელ რწმუნდება სახარებისეული სიბრძნის ჭეშმარიტებაში: „არა არს კაცი, რომელი ცხოვნდეს და არა სცოდოს“.

„არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის“, – ამის თქმის უფლება, მართლაც აქვს მთხრობელს. წიგნის კითხვისას მკითხველის თვალწინ ჩაივლის ბატონი ანზორის მთელი ცხოვრება: სად არ შევხვდებით მას – დურგლობით დაუწყია და მაღალი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თანამდებობებზეც დიდხანს უმუშავია, მარცხიც განუცდია და გამარჯვებაც მრავლად ჰქონია, მაგრამ არასოდეს გაუცხოვებულა გარშემომყოფთაგან, უყვარდა და უყვარს ადამიანები, მშობლიური მიწა, რომლისგანაც მაგიურ ძალასა და უზარმაზარ ენერგიას იღებს,. იღებს და ისევ ხალხს უბრუნებს სიკეთედ, სითბოდ, სიყვარულად...

ვკითხულობ „აღსარებას“ და ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები მახსენდება: **„სულ უბრალო სოფელს მაშინ გაუვარდება დიდი სახელი, თუ იქ დიდი ომი მოხდება“. მიხეილ ჯავახიშვილი** კი დასძენს: **„და მაშინაც გაუვარდება სახელი, თუ იქ დიდი ვაჟკაცი დაიბადება“.**

სრული ჭეშმარიტებაა! ვფიქრობ, მკითხველს აღარასოდეს დაავიწყდება პატარა სოფლის, ახატლის სახელი, რადგან აქ ჩვენი დროის გამორჩეული ქართველი დიდბუნებოვანი, სულით ღონიერი ბატონი ანზორი დაიბადა.

„ახატელი წმინდა ქართული სოფელია“, – ეს სიტყვები ერთგვარ რეფრენად გასდევს წიგნს და კარგად გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას მშობლიური სოფლისადმი.

მუხრან მაჭავარიანმა ტიციან ტაბიძეს საქართველოთი დაავადებული პოეტი უწოდა.

დავესესხები დიდ მწერალს და ვიტყვი: ბატონი ანზორი მშობლიური სოფლის სიყვარულით დაავადებული ქართველი მამულიშვილია და ცდილობს, ეს „სენი“ მკითხველსაც შეჰყაროს. ისეთი სითბოთი და სიყვარულით, რუდუნებით გამოძერწა თანასოფლელთა ხასიათები, დარწმუნებული ვარ, მალე ისინი **გ. ლეონიძის, რ. ინანიშვილის** და სხვა ქართველი კლასიკოსების მიერ დახატულ უკვდავ პერსონაჟთა გალერეას შეემატებიან...

ადრეული ბავშვობიდან რამდენიმე მოგონება შემომრჩა. ერთი მათგანი ბატონ ანზორის მშობლებსა და მათ ოჯახს უკავშირდება.

ჩემი მშობლები და მეზობლები განსაკუთრებული კრძალვითა და მოწიწებით მოიხსენიებდნენ ვანო პაპასა და მარია ბებოს. ვისაც ხელის გამართვა და რჩევა-დარიგება სჭირდებოდა, ყველა მათ მიმართავდა. ჩემთვის მაინც ერთგვარ გამოცანად რჩებოდა ხალხის მიერ ამ ოჯახის ლამის კულტად გადაქცევის საიდუმლო.

წავიკითხე „აღსარება“ და მივხვდი: აი, თურმე რატომ მიაპყრობდნენ თანასოფლელები იმედის თვალს ამ ოჯახს – მკითხველმა იმდენი სულიერება, ფუძე-კარის, ერთმანეთისა და მოყვასის იმდენი სიყვარული, ღვთისმოშიშობა, შრომისმოყვარეობა და სამართლიანობა დაინახა ვანო პაპასა და მარია ბებოში, რომ, ვფიქრობ (გოდერძი ჩოხელისა არ იყოს), არცერთ მათგანს არ გაუჭირდება პასუხის გაცემა კითხვაზე – ვინ (რამ) გადაარჩინა საქართველო? დიახ, წარმომავლობითა და თანამდებობებით გამორჩეული, მაგრამ უბადრუკი ადამიანების კი არა, ვანო პაპას, მარია ბებოსა და მათი მსგავსი სულით მდიდარი, ზნესრული ქართველების გადარჩენილი და ნაშენებია ჩვენი ქვეყანა.

დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო, – წუხდა **ნიკო ლორთქიფანიძე.** საბედნიეროდ, თურმე ყოველთვის ასე არ ხდება. „აღსარება“ ღირსეული ძეგლია ღირსეული მშობლებისთვის საამაყო შვილის სიტყვით აგებული...

დღეს, როდესაც გლობალიზაცია წალეკვით ემუქრება ჩვენისთანა პატარა ერებს, ჩვენი თვითმყოფადობისა და კულტურის შენარჩუნებას, როცა „გადრეკილია ალვის ხე წელში“, როცა მომრავლდნენ ფსევდოდემოკრატები, ევროპულ-ამერიკული ცხოვრების წესის ბრმად მიმდევარნი და მეხოტბენი, ხშირად მახსენდება ბიძინა ჩოლოყაშვილის მძიმე საუბარი თავის ბიძასთან, **დავით ჯანდიერთან**: **„ცოტა წმინდა მირჩევნია ბევრ უწმინდურს... რაც ბუნებასა და საუკუნეებს არ შეუხორცებია, მისი შეწებება ტყუილია“** (აკაკი).

ამ ქართველი წმინდანის ცხოვრებისეული მრწამსი სრულად გაუთავისებია და შეუსისხლხორცებია ბატონ ანზორს. ჩემთვის, „აღსარების“ მკითხველისთვის, იგი ნამდვილი მეციხოვნეა, მეციხოვნე ყოველივე იმისა, „რაც კი კარგია, რაც კი ქართული“...

დღეგრძელობას, ახალ შემოქმედებით წარმატებებს, თქვენი ხორციელი და სულიერი სავანი – ფუძეძლიერი და „ქართული პატიოსნებით სავსე“ ოჯახის კარგად ყოფნასა და გამრავლება-გახარებას გისურვებთ, ბატონო ანზორ!

დიდი კრძალვითა და პატივისცემით
მშვენიერი წიგნის მკითხველი
ეთერი სოთიროვი
20.02.2016 წ.

პოეტური ავტოპორტრეტი

„პოეზია არ არის პროფესია, პოეზია ბედისწერაა“, – უთქვამს გალაკტიონს. ვინც წაიკითხავს ბატონი ანზორ ჯაფარიძის ლექსთა კრებულს **„თეთრ ყვავილების ზღვაში გაგახვევ“,** ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში უმალ დარწმუნდება – ავტორი წერს ლექსებს, რადგან პოეზია მისთვის არსებობის ფორმაა, თვითგამოხატვისა და თვითდამკვიდრების საშუალებაა:

„სიტყვები თვითონ მოდიან,
სხდებიან კალმის წვერზე“ (გვ. 240),

ან კიდევ:

„აიყრებიან სიტყვები,
სხდებიან ენის წვერზედა“ (გვ. 217).

ამბობენ, პოეზიის არსი ორი კომპონენტის: რა? როგორ? – ერთობლიობაში მდგომარეობსო.

ვფიქრობ, ბატონი ანზორის ლექსებში ერთგვარი პრიმატი მაინც პირველს (რა?) ენიჭება, ანუ, სათქმელს. მისი პოეტური სიტყვა სისადავითა და უბრალოებით გამოირჩევა, თითქმის მოკლებულია მხატვრულ სამოსსა და სამკაულს. ეს შემთხვევითი არ არის – ბატონ ანზორს, როგორც ჩანს, დიდი ილიას მსგავსად, მიაჩნია, რომ **„ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერ-უმარილი რა საჭიროა?“**

სათქმელი კი ძალიან ბევრი აქვს წიგნის ავტორს: უნდა მოეფეროს თავის ქვეყანას, დედაენას, დიდებულ წინაპრებს, სათაყვანებელ მშობლებს, შვილებს, შვილიშვილებს, „მარადიულ სატრფოს“ – მეუღლეს; იგი ძალიან ბევრს ფიქრობს ჩვენი, თანამედროვე ქართველის ცხოვრების წესზე, აწუხებს ეროვნული ზნეობის მოშლა, პიროვნული ღირსების გაქრობა, ჩვენი გათითოკაცება, გულგრილობა ერთმანეთისა და ქვეყნის ბედის მიმართ, ქართველის მარადიული ტკივილი, ჯერ კიდევ VIII საუკუნეში იოანე საბანისძის მიერ ასე გამოთქმული: „აღვერიენით ერსა უცხოსა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი“, ავტორმა ეს პრობლემა დღეს შექმნილი რეალობის გათვალისწინებით ამგვარი მოდიფიკაციით წარმოგვიდგინა:

„თუ ცისფერია, თუ გეი არის,
ევროპელია, კარგი კაცია?“ (83 გვ.)

მისთვის საქართველო ამქვეყნიური სამოთხეა, ედემის ბაღია, ამიტომაც უკვირს:

„რა დაგვრჩენია ჩვენ ევროპაში,
ჩვენი მამულის სურნელი არ სჯობს?
აქაურ კერას, აქაურ ოჯახს
არა მგონია, სხვაგან ვინმე სჯობს“ (83)

დავით გურამიშვილისეული მოთქმა-გოდების ინტონაცია მოგვესმის, როცა ბატონი ანზროტის ლექსებს ვკითხულობთ. მასაც გული სტკივა, როცა ხედავს, რომ „დავემგვანენით ხიზნებსა“...

„ქართველი კაცი სულს ღაფავს,
ქვაღორღი თავზე აყრია“.

„გულ-მოკლე პატრიოტიზმი“ უცხოა ბატონი ანზორისთვის: ქართველის ასე დამცრობაში მხოლოდ გარეშე მტერს არ ადანაშაულებს. ეროვნულ, შინაურთა ნაკლსაც მრავლად ამჩნევს: ტრადიციების რღვევა, მუქთახორობა, შური, ფუძის, ოჯახის მოშლა, გვარის წინაშე უპასუხისმგებლობა და უღირსი ქცევა:

„სამაჩაბლო, აფხაზეთი
ცეცხლში, ომში იწვოდა,
აქეთ ჩვენი ქართველობა
პურმარილზე იღვწოდა“ (44).

ავტორი მკაცრი, ქადმაღალი მორალისტი კი არ არის, მოყვასის ამგვარი ქცევით გულდამძიმებული ქართველია, რომელიც გამოსავალს ეძებს, ეძებს და კიდეც პოულობს:

„ერთურთს ვეფეროთ, გვიყვარდეს,
ასე ცხოვრებას გავიტანთ“ (120).

ბატონი ანზორი თავმდაბალი, მოკრძალებული შემოქმედია. საკუთარ თავს პოეტად არ თვლის, მიაჩნია, რომ პოეზიის მეორე კომპონენტი (ზემოთ რომ ვახსენე – როგორ?) მის ლექსებში დაჩრდილულია:

„მე ხომ პოეტი არ ვარ,
არ ვითვლი რითმებს, ბგერებს“ (205).

სხვისი რა გითხრათ, მე კი კრებულში ამ თვალსაზრისითაც არაერთი მარგალიტი აღმოვაჩინე: **„გურიას“, „ჭა და ჭური“, „ჩემს გამზრდელ სოფელს“, „აივსო ყველა საწყაო“, „თუ კაცი კაცად არ ვარგა“...** ამ ლექსებითვის

დამახასიათებელია ყოველივე ის, რაც ასე შვენის კლასიკურ ქართულ ლექსს: საოცარი ჰარმონია, კეთილხმოვანება, სისადავე, ხალასი იუმორი...

ბატონი ანზორი ნამდვილი ეპიკულერია – სიცოცხლეზე, ქართველობაზე, ლხინზე უსაზღვროდ შეყვარებული, ხალისიანი, ყველგან (ბუნებაში, ადამიანში, ურთიერთობებში) სილამაზისა და სიყვარულის მაძიებელ-მაღმერთებელი და არა მარტო მაძიებელი! – რაყიფი ყივჩაღის ჟინი, ვნება, ენერგია იღვრება მისი პოეტური სტრიქონებიდან. ლექსების ლირიკული გმირი მზადაა, სიცოცხლეც კი დათმოს, ოღონდ სილამაზისა და საყვარელი არსების ერთადერთი მპყრობელი და მესაკუთრე გახდეს...

ბატონო ანზორ, ერთგან გიწერიათ:

„ვერა ვთქვი სათქმელი აქამდე,
დრო კი ფაეტონივით მიქრის“ (229).

დრო, მართლაც მიქრის ფაეტონივით, მაგრამ ტყუილად საყვედურობთ თქვენს თავს – თითქმის სათქმელი ვერ ვთვით. კიდეც გითქვამთ და კიდეც გიქცევიათ სიტყვა სათქმელად. თქვენი თმქა და ქმნა ერთია! ამიტომაც სხვა ძალა აქვს თქვენს პოეტურ სიტყვას.

ეს კრებული თქვენი ავტოპორტრეტია – სტრიქონებიდან იმზირება გვარით, გენით, ოჯახით, სოფლით, ქვეყნით, დედაენით ამაყი, ამ საგანძურის გადარჩენაზე მზრუნველი და მისი მაღმერთებელი ჩვენი დროის „კაი ყმა“. სწორედ თქვენნაირი ღირსეული კაცები ენატრება შეჭირვებულ ქართველობას, რათა არ შეწყდეს „მამულისა ჩვეულებისაებრ სვლა“.

დიდი კრძალვითა და პატივისცემით
ეთერი სოთიროვი, 24.02.2016

ბატონო ანზორ!

დღეს 5 მარტია, თქვენი დაბადების დღე! სულითა და გულით გილოცავთ, მრავალს დაესწარით, უფლის წყალობა და ადამიანური ბედნიერება არ მოგკლებოდეთ!..

საოცრად დიდი ადამიანი ბრძანდებით, ერთდროულად მიწიერიც და ზეციურიც... როგორ მოახერხეთ, რა სასწაულმა გადაგირჩინათ ასეთი სული, ხასიათი ეგზომ მძიმე და უხეშ სინამდვილეში.

და ეს მაშინ, როცა ცხოვრების ზღვის სანაპიროზე კი არ გივლიათ მშვიდად, წყნარად, აუღელვებლად, არამედ თვით სიღრმეში გიტრიალიათ, დინების საწინააღმდეგოდაც არაერთხელ გაგიცურავთ. სწორედ ცხოვრების ასეთმა წესმა შეგძინათ ის განსაკუთრებული ხიბლი, რომელიც ასე გშვენით როგორც კაცს და როგორც შემოქმედს.

მაგიურ ძალას ფლობთ თქვენც და თქვენი ნაწერებიც – გიყვართ სიცოცხლე, ადამიანები და სხვასაც „აიძულებთ“, თქვენი თვალებით უყურონ ცხოვრებას. არ დაგიმალავთ, არაერთხელ მყოლია ტერენტი მრჩევლად და მიცდია განრიდება ცხოვრებისგან:

„ამაოა მთლად სოფელი,
დრტვინვის წუთისოფელია...
წადი, წადი... მონასტერში,
მონასტერში, ოფელია“...

თურმე როგორ ვცდებოდი! თქვენი პიროვნებიდან და წიგნის ფურცლებიდან იმდენი ენერგია, სიცოცხლის წყურვილი და ჟინი იღვრება, ახლებურად შევხედე ცხოვრებას და მივხვდი – არასოდეს არ უნდა შეჩერდე, უნდა გარისკო, იბრძოლო სიკეთისა და სიყვარულისთვის.

დიდი მადლობა ბატონო ანზორ, ასეთი „აღმოჩენებისთვის“.

იდღეგრძელეთ, იმზეგრძელეთ მრავალჟამიერ!

ფილოლოგი, დამსახურებული პედაგოგი
ეთერი სოთიროვი, 05.03.2016 წ.

ბატონო ანზორ!

უპირველეს ყოვლისა, მოგესალმებით და გისურვებთ წარმატებას ცხოვრებაში. გქონდეთ: გზა მწვანე, ცა ნათელი, ლაღი ცხოვრება და ჯანმრთელობა!..

„თქვენი სიცოცხლე ეს ძებნაა საკუთარ თავის“; თქვენ ხართ ულევი ჩვენი სტრესების, ჩვენი წყლულების ნუგეშად თქვენ გვეგულებით, „ხართ სიბრძნის წყარო ზღაპრის თქმულების“.

„მამულის ყველა ხატი გწყალობდეთ,
არ მოგეშალოთ ფუძე არასდროს,
რომ შვილნი თქვენი თქვენით ხარობდეს,
ქალი ქალობდეს, ვაჟი გალობდეს,
მარადისი კი ტრფობით გვყვარობდეს“.

თქვენი „ლექსის სტრიქონები, ეს ძარღვებია“, ამ ძარღვებში კი „სისხლი უწყვეტ მიმოდის“.

ბატონო ანზორ, ერზე, წარსულსა და აწმყოზე შეყვარებულმა, გულწრფელი სტრიქონები დაგვიწერეთ. თქვენ ხართ შორსმჭვრეტელი, ენაწყლიანი, საზრიანი, ენამოქარგული, ამაყი, საქმიანი, მრავალი საქმითა და ფაქტით დატვირთული, სიტყვაკაზმული, წვრილმანი ცნობებით აღსავსე და განცდების ლამაზ ფერებში გადმომცემი. „წაგება და მოგება ძმები არიან“ და არ უნდა გვეშინოდეს!

თქვენი წიგნის ძირითადი წყარო დოკუმენტური მასალებია, რითაც მკითხველს გადმოსცემთ თანმიმდევრულ სურათს თქვენი ცხოვრებისას. თქვენი წინაპრები იდეალად გყავთ ასახული. ქართველს აქვს ნიჭი და გონება, საქართველო ღარიბი ქვეყანაა და თუ სწორ გზას დავადგებით, გზაც მიგვანიშნებს თუ საით წავიდეთ, სწორ გზას გვასწავლით.

თქვენი წიგნები მიუთითებს თქვენს სულგრძელობაზე, პატრიოტიზმზე, სამშობლოს მიმართ დაუოკებელ სიყვარულზე გისურვებდით სახელოვანი, სახელგანთქმული მწერლის სახელს. გონივრობა და ნიჭიერება საზღვრებს გარეთაც გასულიყოს. გამრავლებულიყოს თქვენი ქართული ოჯახი.

თქვენი წიგნის თაყვანისმცემელი,
პატარა მეგობარი: რუსუდან დავითიანი ბერძენიშვილისა
29. 02.2016 წ.

XXX

ჩემი მეგობრის, ჩემი თანაკლასელის წიგნი „აღსარება“ დიდი რუდუნებით წავიკითხე. მაინტერესებდა მისი განვლილი წლები – რითი ცხოვრობდა, რითი სუნთქავდა და აღმოვაჩინე, რომ ეს ადამიანი დამუხტულია თავისი მიწის, თავისი მამულის უსაზღვრო სიყვარულით, რომელიც ძალიან პატარამ, ცვრიან ბალახზე ფეხის დადგმისთანავე შეიგრძნო და მთელი ცხოვრება ახლადმოხნული მიწის ოხშივარით გაბრუებული დააბიჯებს მადლიან ქართულ მიწაზე. ლოცულობს მისი ცისთვის და ამ მიწაზე დასახლებუილი ქართველი და არაქართველი მოსახლეობისთვის, მოუწოდებს მათ, რომ ისწავლონ და იშრომონ, ბოლომდე დაიხარჯონ, რომ მსოფლიოს რუკაზე ყოველთვის იკაშკაშოს და იბრიალოს საქართველომ...

მაკვირვებს მისი მიზანსწრაფულობა და ახლის ძიების სურვილი, მისი წარმატებები, ბიზნეს-საქმიანობაში მოღვაწეობა და ანგარიშგასაწევი რჩევები – როგორ შეიძლება მიაღწიო დიდ წარმატებას და რაც ყველაზე მთავარია, აღიარო, სად სეგეშალა!..

მაოცებს მისი თავდაუზოგავი ღვწა, ბრძოლა იმისთვის, რომ თვითონ იშრომოს, შექმნას დოვლათი, ქართულ პროდუქციას გაუწიოს პოპულარიზაცია და აწარმოოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი და ამ პროდუქტით გაუმასპინძლდეს სტუმარსაც და ახლობელსაც...

ერთი სიტყვით, გურამიშვილის იდეებითაა ნასაზრდოები:

„გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება,
შრომა და ჯაფა ნუ დაგზარდება,
მუდამ გახსოვდეს, რომ შენი ცოდნა,
შენსა ქვეყანას გამოადგება“...

რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, უკვე ხანდაზმულ ასაკში ბატონი ანზორ ჯაფარიძე ხელებდაკაპიწებული, მუხლჩაუხრელად შრომობს თავის ზვრებში. მუდამ კეთილ საქმეში ჩაძირულს, კარგად ესმის ფერმერთა, თუ ბიზნესმენთა გასაჭირი...

ჩემი აზრით ასეთი ადამიანები ამკობენ და ალამაზებენ ქართულ სოფელს და აძლიერებენ მის ეკონომიკას... სწორედ ასეთი ადამიანების მაგალითზე უნდა ვისწავლოთ და გამოვიყენოთ შემდგომი მომავალი ცხოვრების უკეთ მოსაწყობად...

ბატონმა ანზორმა თავისი ცხოვრების ისტორიის მშვიდად, უბრალოდ და ლამაზად თხრობით ძალიან ბევრ ცხოვრებისეულ ხვეულებში ჩაგვახედა და „თუთაშხიასებური“ დარიგებებიც არ დაგვაკლო.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ჯაფარიძისნაირმა გამოცდილმა მრავალ დაბრკოლებაში ნაცადმა ადამიანებმა „აღსარებები“ რომ „ჩაგვაბარონ“ და შეცდომების გამოსწორების გზებზეც მიგვითითონ, იქნებ ხალგაზრდა თაობამ გაითვალისწინოს და ისეთი საქართველო, როგორსაც დღედაღამ ვნატრობთ – აუცილებლად იქნება...

მისაბაძია, ამ ადამიანის ეკლესიური ცხოვრება. იგი თავის საძმოსთან ერთად უტყუარი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი და როგორ აკეთოს სიკეთე უხმაუროდ და ხარისხიანად...

მისი თხრობის მანერა იმდენი სითბოთი და სიყვარულითაა გაჯერებული, ყოველ ნაბიჯზე გრძნობ ამ ადამიანის ალალ გულს და ნდობით აღსავსე მიჰყვები სოფლის ქუჩებში და ორლობეებში, სადაც მრავალი სიკე-

თე აქვს დათესილი და კვლავაც თესავს, რომ მისი პატარა სოფლის ბილიკებიდან დაწყებული მთელ საქართველოში სიყვარულმა დაისადგუროს...

მეამაყება, რომ ასეთი თანასოფლელი და თანაკლასელი მყავს. მჯერა, რომ მისი წიგნი „აღსარება“ ყოველ ოჯახში დიდ მზიან გულს შეიტანს და უთვალავ ქართველ მკითხველს რწმენითაც აღავსებს, რომ „ყველაფერი კარგად იქნება“.

ძალიან მომეწონა წიგნში განხილული ჯაფარიძისეული ჩინური კაპიტალიზმის ახსნა-განმარტება, კარგი იქნებოდა ჩვენც რომ გაგვეთვალისწინებინა... ნიშანდობლივია ისიც, რომ ავტორი თავისი ისტორიის თხრობისას მრავალ ისეთ დავიწყებულ ქართულ სიტყვას ხმარობს, რომლებსაც დღეს ველარ ვხდებით მეტყველებაში...

გმირობის ტოლფასია, რომ მან თავისი „აღსარება“ მხოლოდ თავის მოძღვარს კი არ უთხრა, არამედ, მთელ საქართველოს უთხრა გულწრფელად, რითაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსა და ქართველი ხალხისადმი.

ეველინა ხუციშვილი-წიკლაურისა.
თანაკლასელი, 26.02.2016 წელი

P.S. გაოცებული ვარ ამ ქართველის გულმოდგინებით და სათუთი დამოკიდებულებით წინაპრების ხსოვნისადმი... მათ ცხოვრებას ისე საინტერესოდ და ლამაზად მოგვითხრობს ისე შეგვიყოლიებს, ვერც კი ვგრძნობთ როგორ ვხვდებით თანამონაწილე მათი ცხოვრებისა...

– ვინც „ვაზის ყვავილობას თავის მამულში არ დასწრებია, ვისაც ღრმად არ ჩაუსუნთქავს და ვაზის ყვავილების საუცხოო, განსხვავებული სურნელით ფილტვები არ დაუბერავს და ტკივილიც არ უგრძვნია, ის ვერ დაიკვეხნის –„მე კახელი მეზვრე ვარო“... ანზორ ჯაფარიძეს კი ხმამაღლა შეუძლია იყვიროს „მე კახელი ვარ და ფანტასტიკურად მიყვარს ჩემი კახეთი-ო.

დაინტერესდით და ნახეთ ჯაფარიძეთა მოვლილი ზვრები. შესვით ვაზის სადიდებელი სადღეგრძელო ღვინით – „ჯაფარიძეები“ და აუცილებლად შეგიყვარდებათ ბარაქიანი კახეთი და ნონეშვილის ლექსის სტრიქონებიც ამღერდება გულში:

„ცივ-გომბორიდან სიმღერით,
სიცოცხლის გადმოსახედი,
მოსჩანს ისსფერ ღრუბლებში,
კეხეთი, ჩემი კახეთი, ჰეეე, ჰეეე“...

– ჩემი სუბიექტური აზრია, რომ გვარი ჯაფარიძე სიტყვა „ჯაფა“-დან ხომ არ წამოვიდა, რადგან მათი წინაპრების დიდი ჯაფით მოწეულმა დოვლათმა მოგვიტანა, გვაჩუქა ლამაზი, ძლიერი ქართული ოჯახი ანზორ ჯაფარიძისა, რომელმაც თავისი ნაწარმოებით ისეთი კაშკაშა ვარსკვლავი აანთო კახეთის ერთ პაწაწინა სოფელ ახატელში, რომ მის შვილებს – ვანოსა და ლადოს და შევილიშვილებს ნიკასა და ზურას სხვა გზა არ დაუტოვა – აუცილებლა უნდა განაგრძონ მამის და ბაბუის გაკვალული გზა უფრო დიდი წარმატებით. აკი მამამ წიგნის შესავალშივე დამოძღვრა შვილები:

„შვილებმა უნდა იცოდნენ სად შეჩერდა მამა“-ო...

მამამ კი შესანიშნავად მოვლილი, ნაპატივები კარ მიდამო, სახლ-კარი, ეზო-ყვავილნარი, ევროპულ დონეზე გაშენებული ზვრები დაუტოვა. ის მათ ავალდებულებთ ალალი შრომით გაუკვალონ გზა თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს... („ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“-ო!..).

ასეთი სამაგალითო და ძლიერი ოჯახებით გაძლიერდება ჩვენი საფიცარი სამშობლო და თუ კიდევ დაგვიბრუნდა „ოქროს ხანა“, მართლა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვყოფილვართ და ეგაა!

ანოსტიხი

ა – არვიცი, რატომ შემორჩი ხსოვნას,
ნ – აღდი კაცური, ქართული გულით,
ზ – არით, ზეიმით დადიხარ ასე სიმპატიური და ახოვანი,
ო – ო..., რომ იცოდე, როგორ გიხდება,
რ – ომ ასე გიყვარს, შენი კახეთი...
ჯ – იშით, ჯილაგით ქართველი ხარ და
ა – რ გესწავლება: – რაა ქართული...
ფ – იანდაზები დაგიფენია სიყვარულისთვის,
ა – სე ლამაზი და ნაირფერი...
რ – ად არ იცოდი, როგორ ძნელია,
ი – ყო მგოსანი ასეთი ქვეყნის,
ძ – ალა გეყოფა? რომ დაახსომო,
ე – რს შენი თავი პოეზიაში?

ე. ხუციშვილი
07.09.2016 წ.

* * *

თითოეული ლექსი სიყვარულისა ერთი ამოსუნთქვითა და დიდი ემოციითაა დაწერილი... ისეთია, უცხოსაც რომ ცეცხლს წაგიკიდებს და ადვილად არ განელდება...

მიკვირს ამ ადამიანში როგორ თავსდება ამდენი ქალის სიყვარული, თუ ხატოვნათ ვიტყვი, ამ ადამიანს ნამდვილ ცის მზეზე უფრო ცხოველი მზე უნთია გულში გიზგიზა და მწველი. ეს სითბო არასდროს ნელდება... სამეგობროშიც გულუხვად იხარჯება და თანაკლასელებშიც, მუდამ გვანებივრბს თავისი მზიანი გულის ენერგიებით...

მისი ლექსები ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე ვულკანიდან ამოფრქვეულ ლავას ჰგავს, რომელიც წლების მანძილზე ინარჩუნებს სიმხურვალეს... აბა, რა გაუძლებს იმ მოსაფერებელი სიტყვების ქარიშხალს, რომელიც მთიდან მოვარდნილი ნიაღვარივით დაატყდება ხოლმე თავს მკითხველს...

მისი პოეზია ისეთი ლაღი და ალალია, როგორიც თვითონ – არაჩვეულებრივი და არაორდინალური...

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით
ეველინა ხუციშვილი

ბავონ ანზორს!

მოდის მარტი,
მოდის მარტი,
მოდის მარტი
და თან მოაქვს
სურნელება იის, ვარდის...
მოდის მარტი
და თან მოაქვს,
უთვალავი დღე ლამაზი:
დედებისა... ქალებისა,
მშვენების და სილამაზის
კიდევ?..
კიდევ?..
– ერთი კაცის,..
ჯენტლმენის და დიდი დენდის..
სუპერდენდის... კარგი მწერლის, –
ყველა რომ აალაპარაკა
მამულის და სოფლის ტრფობით
სულ მთლად ჩაწვა გული, სული...
გილოცავ და მე გისურვებ
ჯანმთელობას დიდხანს, დიდხანს...

უდიდესი სიმპატიითა და პატივისცემით – თანაკლასელი – ეველინა ხუციშვილი. 05.03.2016 წელი

ძმაო, ანზორ!

ძლიერი განცდების გადმოცემა სიტყვებს არ ძალუძთ. მით უფრო შეუძლებელია სხვისი განცდის ასახვა. ამიტომ, ნუ მომთხოვ იმის გაზიარებას, რაც „აღსარებამ“ განმაცდევინა.

შენც იცი, ასაკში მყოფი, ძნელია რაიმემ ისე აგაღელვოს, რომ მოსვენება დაკარგო, თავი ვერ მოთოკო. ვინმეს რომ შორიდან ეყურებინა, გიჟი ვეგონებოდი. შუაღამისას, ხან მეცინებოდა, შიგა-შიგ კი მეტირებოდა.

სხვა როგორ მიიღებს შენს „აღსარებას“, არ ვიცი: რასაც ყვები, ძირითადად ადრეც გამეგონა, მაგრამ რაც წავიკითხე, ბევრად ძლიერი ემოციების გამომწვევი გამოდგა!

ჩვენი ნახევარსაუკუნოვანი ძმობის მანძილზე ბევრი მოსაგონარი დაგროვდა. შენ ბევრ განცდილ-გადატანილს მოკლედ ყვები, ზოგზე მხოლოდ მანიშნებ. გასაგებია, ყველაფერს ერთ სათქმელში ვერ ჩატევ, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რაც შენ გადაგხდა და რასაც სხვა ვერ იტყვის? მე რომ ვიცი და მახსოვს შენი წარსული, იქიდან ბევრ რამეს დავამატებდი. რა ვუყოთ, რომ ეს შენი ცხოვრებაა და თქმის უფლებაც შენ გეკუთვნის?

რაც შეეხება წიგნს, ისეთი ადამიანური განცდებითა და უშუალობითაა დაწერილი, რომ გაპარული შეცდომები ღირსებას ვერ უმცირებენ. ჩემი აზრით, პირიქით, ხაზს უსვამენ იმ რეალობას, რომ დაწერილია არა გამოგონილი ლიტერატურული ნაწარმოები, არამედ ავტორის მიერ თავს გადახდენილი. თვით ისეთი ხარვეზიც კი, როგორიცაა გამომგონებელი კუკური საყვარელიძის ნაცვლად გამყრელიძის თქმა, ვერაფერს აკლებს საერთო შთაბეჭდილებას!...

გეთანხმები, ეს შენი „აღსარება“-ა, შენი ცხოვრების ისტორიის მოყოლა, გადმოცემული ისეთი უშუალობით, ხელოვნური ლიტერატურული გაშალაშინების გარეშე, რაც მკითხველს აგრძნობინებს, რომ აქ არაა პროფესიონალი მწერლის მიერ შეთხზული სიუჟეტები, მოგონილი ფაქტები და ა.შ. ამიტომაცაა თხრობა ემოციური, ამიტომ ხვდება ისარივით ადამიანურ გრძნობებს.

გეთანხმები: **„აღსარება“** სულის ძახილია, ათეულ წლობით გონების კუნჭულში გადამალული განცდილისა და ნანახის გამჟღავნებაა. წინ მიმავალი კაცის გზის გამოჩენაა, რათა უკან მომავლებმა ხიდად გაიდონ, სხვის ავკარგზე ისწავლონ და ასე იქცნენ შარაგზად მომავალი თაობებისთვის. შენ ამ ქვეყნის, ამ ხალხის შვილი ხარ, მისი

ავ-კარგის საკუთარ თავზე გამომცდელი და ამიტომ არა მხოლოდ შენი, არამედ შენი ხალხის სადარდებელიც გალაპარაკებს.

გეთანხმები: რაც სხვა, მით უფრო ცნობილ ადამიანებს ეხება, ბოლომდე ვერ გააშიშვლებდი, ვერ დახვიდოდი მათი არაკაცობის დონემდე. მთავარია, რომ ზოგი თუ ვერ მიხვდება, უმეტესობა მკითხველებისა იგრძნობს, ბევრი კიდევ იცნობს თავს. ამ მხრივ შენი „აღსარება“ ჩვენი ცხოვრების შეფასებაა, ეპოქის აღსარებაა. ამიტომაა, რომ ღამე გამათენებინა. არ მომასვენა, დილით შეგეხმიანე და ამ სტრიქონებსაც აფორიაქებული გწერ.

ამბობენ ახალი წლის მეორე დღე ბედობისაა. დამებედოს, რომ ასეთი მართლა აღსარება იმათგანაც მოვისმინო, ვისაც შენ შენდობა უთხარი – ესაა ქრისტიანობისა და დიდკაცობის შედეგი.

ახლა შენზე. ჩემო ძმაო, დაფიქრდი. მგონია ღირს უფრო ღრმად გახსნა ის საკითხები, რომლებშიც თავდაჭერილობით ცნობილი, გაიძულა ხმა ამოგეღო, ისეთი დასკვნებიც გაგეკეთებინა, როგორსაც ბევრი გვერდს უვლის.

დამეთანხმე. ბევრი დაგრჩა სათქმელი. ვკითხულობდი და მქონდა მოლოდინი, რომ უფრო ღრმად გააშუქებდი. ბევრ შემთხვევაში მხოლოდ მიანიშნე, არადა, შენთან დაკავშირებით იყო რაც მოხდა და შენს გარდა ვერავინ იტყვის სიმართლეს. ასე შეიძლება მგელი და კრავი ვერ განასხვავოს მომავალმა.

დამეთანხმე, ღვთისნიერი მარიამ „ნიკოლაევნა“ მეტ ყურადღებას მოითხოვდა. განსაკუთრებით ცხოვრების ბოლო პერიოდში. შენ კი ისიც არა თქვი, მკერდში „სტიმულატორი“ ჩადგმული როგორი შემართებით შრომობდა, როგორ თოხნიდა, რას წარმოადგენდა გარშემო მყოფთათვის.

მე ხომ ყოველთვის ვიგონებ, მადლობასა და შენდობას ვეტყვი დედ-მამასთან, ნუშა დეიდასთან ერთად, საკმარისი ჩემთვის არაა და ვინც იცნობდა, ვისაც მისი მადლი არ უგრძვნია, იმან რა გაიგოს? ცხოვრებაში განა ბევრი შეგვხვედრია, ან გნებავს, ბევრი გვყავს ისეთი თვითნასწავლი, ინტელიგენტად დაბადებული, სხვისი ჭირ-ვარამის გამზიარებელი ქალბატონი? ხოდა დაფიქრდი. მე შეიძლება ზოგადად ვიმსჯელო, შემიძლია „ოთარაანთ ქვრივი“ ვუწოდო, შენ კი მეტი შეგიძლია, შენ მისი „მე“ ხარ და ეს „მე“ უნდა დაამახსოვრო მომავალს. მიმიხვდი?

დამეთანხმე. ლადო სეხნიაშვილი მხოლოდ სიმამრი კი არ იყო შენი, თავისი კაცობით, ქართველობით, ურთიერთობის უნარით, იგი გამორჩეული პიროვნება იყო. მასში განზოგადებული იყო ვაჟკაცი, თავმოყვარე, ოჯახის უფროსი, თავმომწონე, მამა მკაცრი და მოყვარული და ასე მრავალი ზოგად-იდეალური თვისებებით შემკული.

წარმომდიგენია რამდენ ადამიანურ შტიხს გააცოცხლებდა იმის მოგონება, როგორ ედგა ფანჯარასთან ღვინით სავსე „მაწვნის“ ბოთლი და როგორ ოსტატურად შეცვლიდა ხოლმე „რძის“ ბოთლით, როცა სტუმარს დაინახავდა. გნებავს სიდედრი, როგორ იყო მზად მუდმივად სტუმრის დასახვედრად, როგორ ახერხებდა რამდენიმე წუთში ცხელი ხინკლის ამოყრას!

ხომ იყო ყოველივე ადამიანური სითბოს მაჩვენებელი? ჰოდა მხოლოდ სიამოვნების მიღება კი არა, სიკეთის დანახვა და არდავიწყებაა საჭირო...

დამეთანხმე. გიგლა დედაბრიშვილის დონის ვაჟკაცი მაშინაც იშვიათობა იყო და არც ახლა ვართ განებივრებულები. მე მხოლოდ ერთ მომენტს გავიხსენებ. რა დამავიწყებს მის ქცევას შენი ქორწილის ღამეს, გვერდს ავუვლი თენგიზ ფიცხელაურის თამადობას... მე გიგლას ქცევამ გამაოცა. ამგვარი არაფერი მინახავს, ქორწილის ღამეს ქალის მაყრებმა თავი „შეინახეს“, არ დალიეს ღვინო. დილით, როცა ზეიმი მთავრდებოდა, პრეტენზია წამოაყენეს: თამადა დათვრა, მოქეიფენი იშლებით, ჩვენ კი ფხიზლები ვართ, ვერავინ დაგვათრო.

მცირე უხერხულობა შეიქმნა. ადგა გიგლა დედაბრიშვილი, აიღო ხუთლიტრიანი დოქი და გამოაცხადა: ხალხნო და ჯამაათნო, დამემოწმებით სადღეგრძელო არ გამომიტოვებია. ქალის მაყრებმა იეშმაკეს და ახლა ჩვენი გაბაიბურება სურთ. ვღებულობ მათ გამონვევას, ამ პატარა დოქს დავცლი და ალავერდს მაყრებთან გადავალ. თვალი მივადევნე: გიგლამ მოიყუდა პატარა, სულ რაღაც ხუთლიტრიანი დოქი. სმას რომ მორჩა, იქ მაყრებიდან აღარავინ იყო. „ვაჟკაცურად“ გაპარულიყვნენ. განა ხშირად ყოფილხარ ხნიერი, ნასვამი კაცისგან ასეთი ქცევის მომსწრე? მე მხოლოდ იმ ერთხელ ვიყავი.

დამეთანხმე. არ შეიძლებოდა იმის გამორჩენა, რომ 60-იან წლებში იყავი კობა ჩაგელიშვილის ფარული ორგანიზაციის წევრი, ნოდარ წიკლაურთან, ნოდარ სივსივაძესთან და თუნდაც ჩემთან ერთად. მაშინ ვინ სად იყო. დღეს კი ყველას თავი მოაქვს ვისაც მიტინგზე უყვირია ან მოშიმშილეთა კარავში მჯდარა. შენმა მომავალმა შენი ცხოვრების ეს მხარეც ხომ უნდა იცოდეს. თუ არა?

დამეთანხმე. ელგუჯა ჟამიერაშვილი, გიგლა პაპალაშვილი, აბრამ ივანოვი, გნებავთ ლიანა დედაბრიშვილი იმსახურებენ, რომ მომავალმა რაიმე მაინც იცოდეს მათ შესახებ. რა შენი ქვისლი ნოდარ ღუდუშაური არ იყო გამორჩეული პიროვნება? ის, რაც მან ათეულობით წლის წინ შექმნა, დღესაც გამოუყენებელია, თუ ცნობილი მაინც არის ფიზიკოსებისთვის?!

დამეთანხმე. ის ურთიერთობა რაც ქისტებთან, აზერბაიჯანელებთან გვქონდა, არაა დავიწყების ღირსი, თუნდაც ის, რაც პანკისელმა ქისტებმა შეგახსენეს ქართული სუფრის წესის შესახებ, არაა საინტერესო მომავლის-

თვის? გარდა საქმიანი ურთიერთობისა, ხომ იყო ეროვნებათშორისი კავშირების განმტკიცება იმ დროს, როცა სამოქალაქო ომის ვითარება იყო. შენ არა გაქვს უფლება, ეს ყოველივე სამუდამო დავიწყებას გადაულოცო!

დამეთანხმე. ვერ იქნები ბოლომდე მართალი, ვალმოხდილი მომავლის წინაშე, თუ ნახევარსიმართლეზე შეჩერდები. შენი მშობლების შვილი, ოჯახის მამა და პატრონი, შენნაირი ხასიათის, შემართების, შრომის მოყვარეობის კაცი, ბოლომდე უნდა დაიხარჯოს!..

უფალმა მოგცეს ძლევამოსილება. ამინ.

P.S. ბოლოს პირადული. გრცხვენოდეს ასეთი წარწერის: ბატონ ალექსანდრეს.
არ გავიმეორებ შენს შეცდომას და ვწერ:
შენი ძმა,

პროფესორი **ალექსანდრე ახატნელი**

ხადღეგრძელო

(ანზორ ჯაფარიძეს)

ამაღლებული განწყობა მაქვს. დღეს ანზორ ჯაფარიძე 70 წლის გახდა. აქედან 48 ერთად ვიარეთ, მაგრამ ეს არაა მიზეზი. დღეს ერთად ვნახავ მის ლამაზ ოჯახობას და უახლოეს მეგობარ-ნათესავებს – უკვე ჩემს მეგობარ-ნათესავებს. მოვილხენთ და გავიხარებთ, მაგრამ არც ესაა მიზეზი. მიზეზი მისი წიგნის პრეზენტაციაა – მისი ლექსების კრებულისა.

ეს მუდამ მუხლჩაუხრელად მშრომელი და დაუღალავი ძმა რომ წუთშესვენების დროს კალამს აწვალებდა ვგრძნობდი, მაგრამ ლექსების ასეთი მოცულობითი კრებული? ანზორი პოეტი? ეს სრულიად მოულოდნელი აღმაფრენაა – თანაშებერებული ძმა ახლად გავიცანი.

პოეტი – სომხური ლიტერატურის კლასიკოსს ოვანეს თუმანიანს მოსწრებულად უთქვამს: ყველა ქართველი პოეტია, ქართველი პოეტი კი ორმაგად პოეტიო.

ჩვენში პოემებს თუ არა შაირებს მაინც ყველა თხზავს. ამიტომ ყმაწვილკაცობაშია ნათქვამი: ყველა ქართველი პოეტი არის და არ მინახავს ჯერ სხვა ქართველი, ყველა ოცნებებს რითმებად კინძავს, ლექსად იღვრება ყველა სათქმელი...

ყველა დარგს თავისი პოეტი ჰყავს. მევენახე, რომელიც ლამაზ ვენახს გააშენებს – ამ საქმის პოეტია. ხარაზი, რომელიც ისეთ ფეხსაცმელს შეკერავს, რომ თვალი დაგრჩება, ამ საქმის პოეტია. თერძი, რომელიც არნახულ ჩასაცმელს შეკერავს, პოეტია (დიზაინერი თერძების პოეტია).

სულმნათი მიხეილ მამულაშვილი, რომელმაც მცხეთაში ვარდების წალკოტი გააშენა, სულით საქმის პოეტი იყო. მაგრამ რა ვთქვა ლექსების პოეტზე? განა პოეტია ის მელექსე, რომელიც შეკვეთით, ფულის გულისთვის ლექსს დაწერს? რით განსხვავდება მთხზველი სხვა საქმის ხელოსნებისგან?

პოეტი ისაა, ვინც ქმნის ლექსს იმიტომ, რომ არ შეუძლია სხვანაირად არსებობა. ისიც, ვინც შეკვეთილს ასცდება და თუ ცისა არ გახდება, უკვე აღარც მიწისაა. ესეც პოეტის ნათქვამია: მე არა ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს... ნამდვილი პოეტი კი ისაა, ვინც შესძლებს ერს ტანჯვის ცრემლის მოსწმინდოს.

რატომ ვთქვი ასე?

საპრეზენტაციო კრებული იხსნება ლექსით: მე პოეტი არ ვყოფილვარ, არც სურვილი მქონია.

სად ეცალა, ან ვინ აცლიდა ანზორ ჯაფარიძეს ლექსების სათხზავად. იგი ერთდროულად იყო დიდი მეოჯახე, ბაღ-ვენახების შემქმნელი...

როგორ შეიძლება გულგრილად წაკითხო ლექსები: „ჩემს საფიცარ კახეთს, „სიყრმის შვილი“, „სამშობლო“, „ჩემი ზვარი“, „ავკარგიანი“ და ა.შ. როგორ შეიძლება არ მოგეწონოს „გოდორია, გიდელია, ქვევრია თუ ჭურია, ქართულია, სამამულო, ყველა მშობლიურია“ ან „ჩემი სოფლის ორღობე და მთლიანი შუკა-შარა, ცხადში ვარ თუ სიზმარში ვარ, მენატრება წარამარა“ ან „ჩემო გზაში დაგინახე ტუჩისფერი კაბა გეცვა, შემოგხედე, გამიხარდა, სიყვარულის ალი მეცა“ და ა.შ.

დღევანდელ ხალმხრავალ შეკრებას ანზორის სიტყვებით უნდა მივმართო: „დავლიოთ და გავიხაროთ სხვა აბა რა გვრჩება? ერთმანეთსა შემოვევლოთ თავს არ მივცეთ ვნება“.

დასასრული კი მიძღვნა ძმას – ძმისგან

დიდს ვერ მოგიძღვნი საჩუქარს, არც შემოგკადრებ მცირესა,
ღმერთო, რატომ ვარ ამ დღეში, ასე რად დამამცირესა,
მაგრამ გული ხომ გულია, უზომო იცის სურვილი
მოვსულვარ მონატრებული, ძმობის მოვიკლათ წყურვილი.
რამდენი წელი გასულა, რამდენი გვქონდა საერთო,
რამდენი გვყავდა ერთგული, რამდენთან გრძნობა გაერთო;
მეამაყების, კაცი ხარ, სიტყვაც მოგიდის ფხიანი,
უღალატო და ალალი, მართალი, გამგებიანი,
რაც მარტომ შესძელ, შეაჭდე, ას კაცს ბეჭებში მოხრიდა,
მოგონებების ზღვა არი, არ გაიხსენო ოხვრითა,
ახატელს ფიქრით გაჰყვები, რუისპირს ჩაინავარდო
შემხვედრი თვალში გიყურებს, თუ გაქვს განწყობა სავარდო?
თურმე არწივიც ბერდება, ადრე არ ვიყავ მნახველი,
მანამ იყავი ამქვეყნად, სანამ გაქვს კაცის სახელი.

ალექსანდრე ახატელი, პროფესორი

***

არა გჩვევია ძმობილო
სიტყვა ხან ასე, ხან ისე,
დაგყვება ცივი გომბორის.
სიდინჯე, სიდარბაისლე.

ზოგიერთივით შენ რწმენა,
ასჯერ არ გამოგიცვლია...
ჭავჭავაძე და სტალინი
გულის ნათელად გიცვნია

ძმური პატივისცემით, ავთანდილ მარგიანი 05.03.2008წ.

ბატონ ანზორ ჯაფარიძეს!

მართალ, ერთგულ, მშრომელსა და უანგარო ნიჭიერ ქართველს

ლექსის წერა რა ძნელია
თავად იცი ჩემო ანზორ,
რუსიპირის ბოლოებზე
შენთან ქეიფს ნეტა რა სჯობს.
ახატელის ფაზენდაში,
გლეხურ სუფრის მონატრებას...

და მაღალი კაკლის ჩრდილში
ქეიფსა და ნეტარებას!
ალბათ მაშინ მოგიფრინდა
პოეზიის დიდი მუზა,
რაკი მუზა, მუზა არის
ლექსის წერას რაღა უნდა.

ჯუბო გორგოძე

XXX

ბატონ ანზორ ჯაფარიძის წინამდებარე წიგნი – „აღსარება“ სულმოუთქმელად იკითხება, ბევრი ისეთი ფაქტობრივი მასალა თუ ყოფისეული დეტალია მოხმობილი, რომ მკითხველს უეჭველად დააინტერესებს და ჩაფიქრებს კიდევაც.

რაც აქ წერია, თითქმის ყველაფერი ავტორს უნახავს და განუცდია, რასაც წერს ტკივილით, სიყვარულითა და, როგორც იტყვიან, გულიანად წერს, რადგან, როგორც მთვარის სხივებს არ შეუძლია ნერგის აღმოცენება, ასევე განუცდელი და გულში გამოუტარებელი სტრიქონები ვერ გაათბობენ დღევანდელი ადამიანის შემცივნულ სულს...

ბატონ ანზორის მეგობრებმა თუ უახლოესმა ადამიანებმა კარგად უწყიან, თუ რა რთული გზებით უვლია დღემდე ამ წიგნის ავტორს. ეს ცხოვრება ხომ ორგემაგეა, – ნიადაგ დაპირისპირებულთა ბრძოლის ველი : ხან თუ ბადაგია, ხან ჯინკოლასავით მწარეა.

ბატონ ანზორს მოყვასის თანადგომით გამოწვეული სიხარულიც განუცდია, ადამიანთა დაუნდობლობას თუ გაუტანლობას არაერთხელ გაუკორტნია მისი გული, საქმე იქამდეც კი მისულა, რომ უკეთურისგან ხელნაკრავს ძლივს მოუხერხებია ფეხზე წამოდგომა!

მიუხედავად ამისა, ადამიანზე გული არ გატეხია. დევნილს, გაჭირვებულს, უქონელს უანგაროდ შველოდა, დღესაც შეძლებისდაგვარად ხელს უწვდის და ეხმარება მათ. რამდენიმე ეკლესიის რესტავრაციაშიც მიუღია მონაწილეობა.

გენიალური ვაჟა-ფშაველა ბრძანებდა: „ვინაც მადლს სჩადის, სანთელი
მისი არ ჰქრება ცაშია“.

ბ-ნ ანზორ ჯაფარიზისთვის ეს წიგნი – „აღსარება“ – რიგით მეოთხეა. 2008 წელს გამოსცა – „თეთრ ყვავილთა ზღვაში გაგხვევ“, ხოლო 2010 წელს ცალკე წიგნად დაისტამბა 101 ლექსი, რომელიც პაპამ თავის შვილიშვილს, პატარა ფერია – ცისანიკოს მიუძღვნა; 2014 წელს გამომცემლობა „ეგრისში“ გამოვიდა ბატონ ანზორის ლექსთა კრებული – „მოძღვარი“, რომელზეც არაერთმა მკითხველმა გამოხატა თავისი მოწონება და ავტორისადმი გულწრფელი პატივისცემა.

მჯერა, რომ წინამდებარე წიგნს – „აღსარება“-ს არ მოაკლდება მკითხველთა გულისხმიერება და ცხოველი ინტერესი.

ზაურ მალაშხია, პოეტი

მოკლე შეფასება ბატონ ანზორ ჯაფარიძის წიგნისა „აღსარება“

თავიდანვე უნდა განვაცხადო, რომ არ მოველოდი თუ ასეთ ინტერესს გამოიწვევდა ჩემში უკვე ასაკოვანი, მაგრამ ამასთან ახალბედა შემოქმედის, ბატონ ანზორ ჯაფარიძის წიგნი, რომლისთვისაც ავტორს „აღსარება“ დაურქმევია.

ეს მართლაც რომ ნაღვლიანი აღსარება გახლავთ თავის სამშობლოსა და ხალხზე უზომოდ შეყვარებული ერთი ჩვენი პატრიოტი მამულიშვილის და საქმიანი ბიზნესმენისა, არა მარტო მისი სულიერი მოძღვრის მამა ამირან ამირანაშვილის, არამედ მთელი ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს წინაშე. წიგნში, რომელშიც სადად არ მარტივად, მაგრამ გულწრფელი სიმართლით დახატულია ანზორ ჯაფარიძის ტკბილ-მწარე ცხოვრება და მოღვაწეობა, ერთი მშვენიერი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება პირნათელმა მამულიშვილმა ჩუმად, უხმაუროდ აკეთოს დიდი საერო საქმეები, სული უბეროს იმ სიკეთესა და მადლს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ქართველი კაცის არსებობა.

ვფიქრობ, ავტორს არ უნდა დავემდუროთ ნაწარმოების ნაკლები მხატვრულობისა თუ ბელეტრისტული სიმჭლევის გამო, რის პრეტენზიაც, ჩანს, თავადაც არა აქვს.

წიგნის უმთავრესი ღირსება მის ლამაზსიტყვაობაში კი არა, იმ ავადმყოფური რეალობის პირუთვნელად ჩვენებაშია, რაშიც ამჟამად ქართული ბიზნესი იფუფქება.

მისი წაკითხვისას ბევრი ჩვენი ბიზნესმენი იპოვის საკუთარ თავს იმ უამურ გარემოებაში, რაშიც მას ხშირ შემთხვევაში უწევს ამაო ოფლის ღვრა და წარუმატებელი საქმიანობა.

„აღსარებაში“ ეს ყველაფერი: ბიზნესზე გაუთავებელი ზეწოლა და ყაჩაღობა, სახელმწიფოს წუწკ მოხელეთა თავგასულობა და ღორმუცელობა, ბანკების მსუნაგობით გამოწვეული მახრჩობელა კრედიტები, ასევე, მახრჩობელა გადასახადები და ტარიფები, ამაო დამატებული საზოგადოების მუქთახორობისა და ოინბაზი აფერისტების არც თუ იშვიათი „სტუმრობები“ საზკვების ობიექტებსა და რესტორნებში, რამაც უამრავი საქმიანი ადამიანი გააკოტრრა და ბიზნესზე ხელი ააღებინა, ანზორ ჯაფარიძეს სწორედაც რომ გაუხუნარი ფერებითა და დიდი ადამიანური სიმართლით აქვს გადმოცემული.

მაგრამ „აღსარება“ მარტო ბიზნესის ავკარგის წარმოსაჩენად არ შეუქმნია ავტორს. წიგნში მკითხველი ტანჯულ ბიზნესთან ერთად სხვა უამრავ ტკივილსაც შეხედავს თვალებში ცხადლივ, რაც დღევანდელი ჩვენი სვემწარე ყოფისა და ცხოვრებისთვის ნიშანდობლივად საჩინოა.

აქვე უნდა ვთქვა, კარგი იქნება, თუ წიგნს წამძღვარებული ექნება ავტორის წინათქმა, აგრეთვე, მთლიან ტექტს გამოეყოფა ქვესათაურები (არა მამა-პაპათა გვარ-სახელები, არამედ, ვთქვათ, „ვისი გორისა ვარ“, „ჩემი სოფლი ახატელი“, „როგორ გავხდი მენავთობე“, ასე შემდეგ და ასე შემდეგ), რაც მკითხველს ნაწარმოების მრავალმხრივი მოვლენებისა და თემატიკის აღქმა-გაანალიზებაში დაეხმარება.

ამასთან, ვფიქრობ, დასახვეწია ტექსტის შინაარსობრივი მხარე (ვხვდებით ცალკეული ფაქტებისა და თემების გამეორებას), ასევე გადასახედია წიგნის ენობრივი გამართულობა, რაც, ჩემი აზრით, არც თუ მიმზიდველად გამოიყურება.

პატივისცემით,
ოთარ ხუციშვილი
რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, 18.09.2015წ.

„აღსარება“ – ვანსად გაცემული საგზალი

მაშინ, როდესაც გარს ათასი რჯულის მტერი შემოხვევია სამშობლოს, მაშინ, როდესაც გლობალიზაცია ნთქავს: ერებს, ტრადიციებს, კულტურას, მაშინ, როდესაც მრავალი სექტა უტევს მართლმადიდებლობას და არ ჩანს გზა გადარჩენისა, აუცილებელია ასეთი წიგნის არსებობა.

წიგნი „აღსარება“ – უფლის მადლითაა დაწერილი. დიახ, ეს მართალი წიგნი საოცარია თავისი სისადავით, სისხარტით, ის ძლიერი მოგზაურია დროში, ის არასოდეს სტოვებს თავის მკითხველს იმედგაცრუებულს. მიდის ავტორი და შენც მიჰყვები, მიჰყვები ყველგან – მთაში, ბარში, ბავშვობაში, სანადიროდ, სანადიმოდ, დადიხარ საფლავებშორის ფეხშიშველი და მწვერვალებზეც ადიხარ მუხლჩაუხრელი. მიდიხარ გურიაში, კახეთში, შუაფხოს აღებს „ტყლუშური ღობით შეღობილ, ლასტისკარებიან ეზოს“ და გაოცებული რჩები ნანახ-გაგონილის თხრობით. მოგზაურობა იმ სამყაროში, რომელიც მივიწყებულია, რომელიც გიხმობს და გელის, რათა უკვდავყო შენი წინაპრის სახელი.

„რასაცა გასცემ, შენიაო...“ – მორალურ თეზად ჩამოუყალიბებია რენესანსულ გარიჟრაჟზე გენიალურ რუსთველს და მსგავსი რამ მსოფლიოს ბუმბერაზ მოაზროვნეებს აზრადაც არ მოსვლიათ.

წიგნი „აღსარება“ – მომავალი თაობისთვის ავანსად გაცემული საგზალია, გზის მაჩვენებელი და ურთიერთობების მასწავლებელია.

ძვირფასო მკითხველო მიიღეთ ანზორ ჯაფარიძის წიგნი „აღსარება“ ისეთი როგორიცაა იგი და შეეცადეთ ჩაწვდეთ იმ სათქმელს, რაც სულით და გულით ამოთქვა ავტორმა.

ლია ნაროუშვილი,
პოეტი

თქვენ ვრასოდეს მოგიხუჭიათ თვალი ცხოვრებისთვის!

ბატონ ანზორ ჯაფარიძის წიგნი „აღსარება“ მდინარესავით მიედინება და გზადაგზა შენაკადებით მდიდრდები, რომელიც გვასწავლის შრომის, კეთილშობილების, მამაცობის, ღვთისადმი მადლიერების, მოყვასისა და სამშობლოს სიყვარულს!

ამ წუთისოფელს ხანჯალივით ორი პირი აქვს. მჭრელ პირზე გავლა ცოტას შეუძლია, თქვენ კი პირდაპირობის, სიმართლის, მამაცობის ბეწვის ხიდზე გაიარეთ და ყველაფერი ისე გადმოგვეცით ამ წიგნიდან, თითქოს მკითხველიც მონაწილეა ბევრ საქმეში. ეს არის მოსიყვარულე ნიავის, ფრთხილი, ალერსიანი და მსუბუქი თხრობა, რომელიც მკითხველს ძალიან ახალისებს და სულმოუთქმელად მიჰყვება შემდეგი ფურცლების კითხვას.

ბატონ ანზორ ჯაფარიძის ცხოვრების გზა დიდი ბრძოლაა სიკეთისთვის, სიმართლისთვის და ამ წიგნსაც თავიდან ბოლომდე გასდევს მისი ხასიათის ძვირფასი თვისებები. მან წიგნის თხრობის მარტივი და ლამაზი სტილი შემოიტანა ქართულ პოეზიაში.

ბატონი ანზორი გაუკვალავ ბილიკებს გაუყვა და დატოვა თავისი კვალი... მან ბეწვის ხიდი გადაიარა და აირჩია გზა ხალასი, ნორჩი ბალახით აბიბინებული, სადაც თავისი სულივით ლამაზი ყვავილები მიმოგვიბნია მკითხველის დასატკბობად.

ბატონ ანზორს სიკეთის ქმნა არასოდეს დაუყოვნებია. მან კარგად იცის, რომ ღირსეული ცხოვრება შრომის, ლოცვის და მორჩილების სურნელოვან ყვავილებს წარმოქმნის.

ბატონ ანზორს უშურველად შესძლებია სიკეთის გაცემა. ამას წიგნის ნაამბობიც ამტკიცებს, რომ მას ბევრჯერ შეუთავაზებია გაჭირვებულისთვის ფული ესესხებინა და როცა საშუალება ექნებოდა მაშინ დაებრუნებინა.

ღმერთო, რა ტკბილია ჯვარი, როცა ვილაცას სჭირდები და დააპურებ!

კაცი არასოდესაა იმაზე მაღალი, ვიდრე მაშინ, როცა მუხლს მოიყრის სხვის დასახმარებლად. სწორედ ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ მარტო ღმერთს კი არა, ადამიანებსაც უყვარდეთ.

დიდსულოვანი დანახვა და აღიარება მხოლოდ დიდსყულოვანთა ხვედრია და თქვენი საქმიანობის გვირგვინი.

ბატონი ანზორის ცხოვრება არაგვის მშფოთვარე ტალღებივით მიედინება. მას რიხიანი და ძლიერი შემართებით გაუტანია ცხოვრების ლელო. იგი საკუთარ თავს კითხვას უსვამს „ვფიქრობ, ღირდა კი ყველაფერ ამის გაკეთება, თუ მეც ზოგიერთივით თვით დინებით უნდა მევლო ამ ქვეყანაზე?“

არა, თქვენნაირი შემართების ადამიანი მდორე ცხოვრებით ვერ იცხოვრებდა. სხვისი გაჭირვება გულზე ცეცხლივით რომ წაგეკიდებოდათ, აუცილებლად შეშფოთებას გამოხატავდით.

ისიც კარგად იცის ბატონმა ანზორმა, რაც ილიამ გვასწავლა, რომ მოძრაობა და მოძრაობაა ჩემო თერგო ქვეყნის ღონისა და ძალის მიმცემიო.

მართლაც, თქვენ არასოდეს მოგიხუჭიათ თვალი ცხოვრებისთვის. გახსოვთ? რესტორან „ანცის“ როგორი სისწრაფით აშენებდით. ყველგან იდექით: ხარაჩოზე, ცემენტთან და სადაც საქმე მოითხოვდა.

„კარგია როცა ადამიანი იპოვის ადგილს ცხოვრებაში, მიზანს მომავალში, აზრს გაღვიძებისას, ადამიანობას სულში და სიყვარულს გულში“.

არ შემიძლია არ აღვნიშნო გულწრფელი და ბუმბერაზი სიყვარული – მშობლების, დების, დისშვილების და საერთოდ მოყვასისადმი მიძღვნილი.

წიგნი „აღსარება“ თავიდან ბოლომდე ბატონი ანზორის შფოთიანი ცხოვრებაა. იგი გზა და გზა თაიგულებივით უტოვებს თავის მკითხველს, სიკეთეს, სიყვარულს და გულწრფელობას.

თამარ კოლელიშვილი-ჩხუბიანიშვილისა
მწერალი, პროზაიკოსი

„აღსარება ბოლომდე ისე წავიკითხე, ერთხელაც არ მომიხუჭავს თვალი!

ჩემო ანზორ – ძმაო და მეგობარო! აღფრთოვანებული ვარ შენი თხრობის მანერით, ჩანაფიქრით და თანაც გაოცებულიც იმ ყოფითი რისკებით, რაც თავს გადაგხდა...

ეს 255 გვერდიანი წიგნი ერთ ღამეში ისე ინტერესით წავიკითხე, არცერთხელ არ მომიხუჭავს თვალი – ასე მეგონა წიგნს კი არ ვკითხულობდი, არამედ სადღაც ბუხართან ახლო ვიჯექით და ისე ვისმენდი შენი პორტრეტისა და ცხოვრებისული ეპოქის შესახებ.

ბარაქალა! შენი საუცხოო კაცურკაცობით და ღირსებით კიდევ უფრო ამაღლდი ჩემს ცნობიერებაში.

აშკარაა, წიგნის დედააზრი მეტყველებს იმაზე, რომ შენ სულსა და სხეულში დიდი თმენა, სიმყარე, სიკეთე, სიკეთე და კიდევ სიკეთე ბუდობს.

გმადლობთ!

უღრმესი პატივისცემით,
გედეონ ხელაია
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, 13.12.2015 წ.

ჩემეული შეფასება და მოსაზრება პატივცემული ანზორ ჯაფარიძის წიგნის „აღსარება“

დიდი პატივისცემად და დაფასებად მივიღე ავტორის მიერ აღნიშნული წიგნის ჩუქება და თხოვნა დამეფიქსირებინა ჩემი მოსაზრება. წიგნის წაკითხვა დიდმარხვის პერიოდს დაემთხვა. აზრის დაფიქსირება კი ხარება დღეს!

პატივცემულო ანზორ!

არა მარტო თქვენმა ლამაზმა ოჯახმა და გვარმა, არამედ, მთელმა სანათესაომ და (თამამად ვიტყოდი) სრულიად საქართველომ უნდა იამაყოს თქვენით – თქვენნაირი ნიჭიერი შემოქმედი, ცოცხალი მემატიანე, მიმტევებელი, სიკეთით სავსე მამულიშვილი რამდენიმე ათეული მაინც რომ ჰყავდეს ჩვენს ბედკრულ ნაბადივით გათელილ საქართველოს, ადვილად მოევლებოდა დღევანდელ, მრავლად არსებულ პრობლემას: ბიზნესზე ზეწოლა, წელში გამწყვეტი ბანკის სესხები, საზკვების ობიექტებში და რესტორნებში მუქთახორების არცთუ ისე იშვიათი სტუმრობა...

„აღსარება“ შექმნილია დიდი ცხოვრებისული გამოცდილებითა და რუდუნებით. ავტორი უტყუარი, სარწმუნო ფაქტებით გამდიდრებულ წარსულს აცოცხლებს – თავისი გვარისა და წინაპრების (დიდი პაპის) ისტორიას. აღადგენს ერთ დროს მივიწყებულ წინაპრების საძვალეს და დღემდე ყურადღებას არ აკლებს – დიდი სითბოთი და სიყვარულით იგონებს და ახასიათებს მშობლებს, ოჯახს, დებს, ზიზის და მედიკოს. იგონებს სკოლისა და სტუდენტობის წლებს. მუშაობის დაწყებას, დაოჯახებას შესანიშნავ, ასევე ნიჭიერი და შემოქმედ მეორე ნახევარს ცისანა სახეიშვილს, შვილებს ვანოს და ლადოს, რომლებიც მხარში უდგანან ღირსეულ მშობლებს. დიდი სითბოთი ახასიათებს ასევე მეცნიერს, შემოქმედ რძალს ქეთევანს; ამაყობს ტყუპი შვილიშვილით ნიკა და ანზორით, თვალხატულა ცისანიკოთი.

წიგნს „აღსარება“ წითელ ზოლად გასდევს გულწრფელობა, ერთგულება, სითბო და სიყვარული, ურთიერთგაგება, თანადგომა, კეთილგანწყობა, სიტყვისა და საქმისადმი ერთგულება, კაცთმოყვარეობა, სტუმართმოყ-

ვარეობა, გაჭირვებულისადმი უანგარო დახმარება, ხელის გამართვა, ცხოვრებაზე რეალურად შეხედვის უნარი, თუმცა, ზოგმა არ დაუფასა, მაგრამ ღმერთის წყალობით მაინც დაფასდა მისი მიზანსწრაფვა.

ავტორს სწამს, რომ ადამიანი ყველაზე დიდი სამყაროა. მასზე ზრუნვა ერზე ზრუნვის ტოლფასია. კანონისადმი მორჩილება კი საზოგადოების კულტურაზე მეტყველებს.

საოცრებაა როგორ დაიტია მისმა გონებამ აუარებელი ფაქტი და მოვლენა. როგორ აღიდგინა ყველა ნიუანსი. ზუსტად, საღად, დამაჯერებლად. ყველა მოვლენის და ფაქტის გადმოცემა მხოლოდ ანზორისნაირ ნიჭიერს და შემოქმედს შეუძლია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წიგნის ბოლოში დართულ დღიურებს, რომელიც მხოლოდ ბოლო 2006-07-08-09 წლებს მოიცავს.

აღნიშნულ წიგნს ვინც წაიკითხავს, ყველას შეექმნება აზრი, რომ პატივცემული ანზორი არის (კიდევ გავიმეორებ) უაღრესად ნიჭიერი, ფართო ერუდიციის მქონე პიროვნება. მოსიყვარულე შვილი, ძმა, მეუღლე, მამა და ბედნიერი პაპა ტყუპი ბიჭების და თვალხატულა ცისანიკოსი.

წიგნი „აღსარება“ ყველამ უნდა წაიკითხოს. განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, რომ აიღონ მაგალითი, ცხოვრებისული გამოცდილებისა პატივცემული ანზორისგან.

დიდი შრომისა და გარჯის შედეგად მიზანი მიღწეულია. თანამედროვე, თანაც ტრადიციული არქიტექტურული სტილითაა აგებული რესტორანი „ანცი“, სადაც ყოველ კუთხეს ეტყობა მზრუნველი, გემოვნებიანი დიასახლისის ხელი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს როგორც ქართველისთვის, ისე უცხოელისთვის ეთნოგრაფიული კუთხე – ეროვნული, მშობლიური ნიუანსებით.

წარსულს გახსენებთ და პატივისცემით შესანიშნავ მაგალითს აძლევს შვილებს. მისი მიზანია იცოდნენ რა ფესვებზე არიან აღმოცენებულნი – ღირსეული ნერგები უნდა იყვნენ (ეს ჩანაფიქრი გაუმართლეს ვანიკომ და ლადიკომ). ავტორმა მოიხილა წინაპრების სულთა მატიანე, რათა წინაპრების სრული შეცნობით თანამედროვე უკეთ შეიმეცნონ. „ჯერ შვიტყოთ როგორ „ქართველობდნენ წინაპრები და როგორ ვქართველობთ ჩვენ, დღევანდელი ქართული წუთისოფლის შვილები“ (ლევან სანიკიძე).

ჯანმრთელობა, სიხარული, ღიმილი, ბედნიერი დღეები არ მოგაკლდეთ. იმედი და სულიერი სიმშვიდე არ მოგიშალოთ ღმერთმა. ვადიდოთ უფალი და შევწიროთ მადლი ყველაფრისთვის. შემდგომი წარმატებები, მშვიდობა და სიკეთე თქვენს ოჯახებში ყველა გულშემატკივრის საიმედოდ და საამაყოდ.

და ბოლოს, პატივემულ ანზორს – წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე ესეც გმირობაა დიდი!

სიყვარულითა და უღლმესი პატივისცემით
ნუნუ ძამუკაშვილი-ებანოიძისა,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, წიგნის „დავით IV აღმაშენებლის“ ავტორი, 07.04.2016 წ.

ჩემო ანზორ!

გულდასმით წავიკითხე შენი ახლადგამოცემული წიგნი. ვიდრე არ დავამთავრე, სხვა არაფერი წამიკითხავს, გარდა პრესისა. გამახსენდა ნოდარ დუმბაძის ილიკო და ილარიონის გაბაასება, სადაც ილიკო ეუბნება ილარიონს: „ოქროს გული რომ გქონდა ვიცოდი, მაგრამ თუ ასეთი, მთლად ბაჯაღლო გედო მკერდში, არ ვიცოდი“-ო!

შენს განათლებასა და მჭერმეტყველებაში ეჭვი არასოდეს შემპარვია, მაგრამ, საიდან ამდენი ენერგია, შრომისმოყვარეობა, ცხოვრებისული გამოცდილება, სიყვარული, გულწრფელობა, რწმენა და ნებისყოფა, რათა ბოლომდე მიგეყვანა დაწყებული საქმე. რამხელა ცოდვა იქნებოდა შენს საინტერესო და ფათერაკებიან თავგადასავალს დღის სინათლე არ ენახა!

ბედნიერი ვარ, რომ ახლოს გიცნობ და მიხარია შენთან თითქმის ყოველდღიური შეხვედრები და კეთილურთიერთობრივი მოკითხვები.

ეჭვი არ მეპარება ღვთისგან ბოძებული ნიჭისა და გარჯის წყალობით ამ წარმ,ატებას შენს ერთგულ მეუღლესთან ქ-ნ ცისანასთან ერთად აქცევ ტრამპლინად ახალი გამარკვებისთვის. Эх раз...
შენი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრებიდან:

კიმა სვანაძე,
დამსახურებული ბანკირი, პროფესორი, 87 წლის
21.12.2015 წ.

„სულ ჩემი გულის მონაწურია, რაც დაეჭნკარა ხახებს ეექსები!“

ამ სიტყვებით მინდა დავიწყო წერა და საუბარი ბატონ ანზორ ჯაფარიძეზე. კაცი თავიდან ტერფამდე სიმართლისა და სიკეთის განსახიერება. უპატიოსნესი, გაწონასწორებული, სამშობლოს ბედ-იღბალზე შეწუხებუ-

ლი. კაცი მშრომელი, თავდაუზოგავი. განათლებული, ერუდირებული პიროვნება ყველა საკითხში. თავისი გენეტიკით რაჭველიც და ამოვდროულად კახელიც.

ისეთი სილამაზითაა შერწყმული მის პიროვნებაში ამ ორი კუთხის ბუნება, რომ ღმერთს მისგან გამოუძერწავს პიროვნება, რომელიც სამაგალითოა ყველა ქართველისთვის. მისი, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად და საერთოდ მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი მშობლებს და ოჯახს მიუძღვის. განსაკუთრებით დედას.

მინდა მოკლედ, ორი სიტყვით დავახასიათო, ჩვენთვის ძალიან საყვარელი ქალბატონი მარია დეიდა. ყირმიზი სახის კანით, სათნო, ფაქიზი და თან ვაჟკაცური ბუნების ქალბატონი. მისი ხათრი და რიდი ყველას ჰქონდა.

ბატონ ანზორის მე 1968 წლიდან ვიცნობ. ჩემი მეუღლე ანზორის ოჯახში 8 თუ 9 წელი ცხოვრობდა. მამამისის, ბატონი ვანო ჯაფარიძის საყვარელი მოწაფე იყო. ხელობას ასწავლიდა, როგორც ანზორი აღწერს თავის წიგნში „აღსარება“ – მამამისი ხის მოხელე და ბრწყინვალე სპეციალისტი ყოფილა. შეგირდებს თავის ოჯახში აცხოვრებდა, და თავისი შვილების ლუკმა და საწოლს უზიარებდა. შვილებივით უყვარდა ბიჭები.

ჩემი მეუღლე, აწ განსვენებული ჯიმშერ ივანეს ძე ხვთისიაშვილი მისი გამორჩეული მოწაფე იყო. ანზორს და ჯიმშერს ძმებივით უყვარდათ ერთმანეთი. ჩვენი დაქორწინების შემდეგ კიდევ უფრო გაგრძელდა მათი ძმობა და მეგობრობა – ოჯახებით ვმეგობრობთ დღემდე. ჩვენ ერთმანეთს რძალ-მაზლს, ანუ და-ძმას ვეძახით.

ბატონი ანზორისა და ქალბატონ ცისანა სეხნიაშვილის ცოლ-ქმრული, ანუ ოჯახური ცხოვრება, დიდი წმინდა სარკეა, სადაც შეიძლება ჩაიხედოს ყველა მსურველმა – იქ შეგიძლია დაინახო სიწმინდე, ისწავლო, როგორ უნდა მიიღო განათლება, როგორ უნდა შექმნა ოჯახი, როგორ შეინარჩუნო იგი, როგორ განვითარდე და როგორ უნდა ჩამოყალიბდე საზოგადოებისთვის სასურველ პიროვნებად. როგორ უნდა გამოიმუშავო ის თვისება, რომ შენ თვითონ შეიყვარო და დააფასო შენი თავი.

ადამიანი ხომ მაშინ ფასობ, როცა შენს თავთან და ღმერთთან პირნათელი ხარ. აი, ასეთი ოჯახი აქვს ბატონ ანზორ ჯაფარიძეს. იმასაც ისწავლით, რომ წარმატებული და ძლიერი მამაკაცის უკან, ძლიერი ქალი დგას!

ბატონი ანზორის ფაქიზი სული ბრწყინვალედ ჩანს მის პოეზიაში. თვითონ ამბობს, რომ არ აქვს პრეტენზია პოეტობაზე და არც თვლის თავს პოეტად, მაგრამ მისი ლექსები ნათელი დასტურია იმისა, რომ იგი კარგი პოეტია!

მის ლექსებზე დაუსრულებლად შეიძლება ისაუბრო, იგი ყველა თემას ეხება: ოჯახს, სამშობლოს, სამეგობროს, ღმერთს, მისი ლექსი **„ვედრება“** ბრწყინვალედ გადმოსცემს მის რწმენას, მის დიდ მორჩილებას ღმერთის მიმართ **„უფალო ღმერთო, მე ყმა ვარ შენი, მთელი ცხოვრება დავდივარ შენით“.** ასე ამთავრებს ვედრებას – **„სხვისი არ გვჯერა, შენს შველას ველით“.** ღმერთმა გისმინოს ბატონო ანზორ.

ლექსი **„მუზა! მუზა! მუზა!“** – ძალიან ღრმა შინაარსისაა. მთელი შეგრძნებით აქვს გადმოცემული მუზის მნიშვნელობა:

„არ დაგასვენებს, მიგდრეკს და მოგდრეკს,
თუნდ მოკუმულიც გქონდეს პირია,
ისე ჩაგისვამს პირში მარგალიტს,
სულ აღარ გახსოვს, მგონი, ძილია.

მუზავ ერთი ხარ ლექსის მშობელი,
უშენოდ შექმნა არ ადვილია,
შენ უნდა გლოცონ დიდ პოეტებმა,
უშენოდ გული დაკოდილია“...

ყველაზე უფრო სათუთია მისი გრძნობა შვილიშვილების მიმართ. ნიკა, ზურა და პატარა ციცი. ნიკა და ზურა უკვე დიდები არიან, ვაჟკაცები, მაგრამ პატარა ციცი, ცისანიკო, რომელსაც პაპამ 101 ლექსი მიუძღვნა – ეს უკვე აპოთეოზია. ღმერთმა ბედნიერი გიმყოფოთ შვილიშვილები და გამრავლდით ჯაფარიძეები.

არანაკლებ სიფაქიზეს გამოხატავს ბ-ნი ანზორი დედის მიმართ. იგი არის ღირსეული შვილი, მშობლების ამაგის დამფასებელი. მშობლები ხომ შვილებივით ფასობენ. ამიტომ იყო, რომ ბატონი ვანოსა და ქალბატონი მარიამის შვილები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ისე, რომ მშობლების სახელი ღირსეულად წარმოეჩინათ.

ბ-ნი ანზორი არის შესანიშნავი შვილი, შესანიშნავი და საამაყო ძმა თავისი დებისთვის, ბრწყინვალე მეგობარი, ძმა და ძმობილი და რაც მთავარია, არის ბრწყინვალე მეუღლე და მამა – როცა კარგი ოჯახი გაქვს, ყველა გაფასებს და ყველას ეამაყები.

ისევ მინდა დაუბრუნდე ბატონ ანზორ ჯაგარიძის წიგნს **„აღსარება“.** ეს წიგნი არის მაგალითი, სახელმძღვანელო, თუ როგორ უნდა იცხოვრო კაცურად. ქართველებს გვაქვს გამოთქმა „კაცური კაცი“, ამ სიტყვებში დიდი აზრი დევს. იყო კაცი სხვაა და იყო კაცური კაცი, ეს უკვე დიდი ბედნიერებაა!

მე როგორც გითხარით, 1968 წლიდან ვიცნობ ანზორისა და მის ოჯახს. ყოველთვის ვფიქრობდი მათზე, რომ ძალიან დიდ შრომას ეწეოდნენ. სულ ჯაფაში იყვნენ – მათთვის არ არსებობდა თავისუფალი დრო. ასე განსაჯეთ, მეცოდებოდნენ კიდეც ამდენი შრომისთვის.

ამათზე უთქვამს ალ. ყაზბეგს: **„კაცი სალალობოდ კი არ გაუჩენია ღმერთს ამ დედამიწაზე, არამედ საჭირ-ვარამოდ“**-ო.

მიუხედავად ჩვენი ასეთი ნათესაური სიახლოვისა, თურმე არაფერიც არ მცოდნია მათ რთულ ცხოვრებაზე (თუმცა, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ორი ქალიშვილით, საბერძნეთში წავედით თავის გადასარჩენად, სადაც 19 წელი შემოვრჩით და იქედან ვეხმარებოდით ჩვენს ოჯახებს. როცა მარტო აღმოვჩნდი, უკვე გაცამტვერებულ ქვეყანაში, პირველი დახმარების ხელი ანზორიმ გამომიწოდა. ამიტომ წავედით, რომ არავი შემეწუხებინა. მივხვდი, ჩვენი მთავრობა ჩვენზე არ ზრუნავდა და არც იზრუნებდა. ამის ბრწყინვალე მაგალითია ბ-ნ ანზორ ჯაფარიძის ცხოვრება. რა სიძნელეები გადაუტანია და დღემდე გრძელდება უსულგულო დამოკიდებულება ხალხის მიმართ. თუ ვერაფერს მიეხმარები, ნურაფერს წაართმევ შენი უკანონობით. დაიცავი თითოეული მოქალაქე ქურდ-ყაჩაღებისგან. მიეცი გასაქანი მშრომელ კაცს.

არ ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი აღშფოთება იმ უკანონობის მიმართ, რაც შეხვდა ბ-ნ ანზორს თავისი ცხოვრების მანძილზე. როგორ ეღობებოდნენ მის წინსვლას სახელმწიფო ჩინოვნიკები თუ სხვადასხვა სჯულის მტაცებლები. არ აძლევდნენ გასაქანს დაელაგებინა და წესრიგი დაემყარებინა იმ სფეროში, სადაც უხდებოდა მუშაობა...

ერთგან ამბობს ბ-ნ ანზორი, ხომ არ ვთავხედობ, ამდენ რამეს რომ ვაკეთებო. არა, ჩემო საყვარელო და ტკბილო ადამიანო. ეს არის შენი ბუნება, იშრომო, არ გაჩერდე. არ შეეგუო უსამართლობას. ბევრი ღალატიც მიგიღია, ბევრი მეგობარიც შემოგრჩა, ბევრიც შეიძინე და კიდევ ბევრი და დიდი შრომა მოგელის. ღმერთმა გაძლება და შეძლება მოგცეს.

ბრძენებს აქვთ ასეთი გამოთქმა: **„დიდ გემებს დიდ ტალღებთან უწევთ გამკლავებაო“.** ისეთ საქმეებს ეწევი, არ დაგელევა მათხოვარი და ყაჩაღი... შენნაირი გულის კაცი მშიერს ვერ აუვლის გვერდს. როგორ მტკივა გული ვერ წარმოიდგენ, ბევრმა ქართველმა კაცმა ცუდად წარმოაჩინა თავისი, შინაგანი ბუნება, თორემ... ამ დროს კი არ გაუფუჭებია. ახლა მიეცა გასაქანი გამოჩენილიყვნენ ვინც არიან.

ღმერთმა გადმოგხედოს ჩემო ანზორ, გაცილოს ყველა ცუდი, უფალი იყოს შენი ჯანმრთელობის მფარველი. შენი მოძღვარი შენს გვერდითაა მუდამ გაგაძლიერებს მისი ლოცვა. შენგან გაკეთებული სიკეთეებისთვის ბევრი დაგლოცავს. შენი კალამი კიდევ ბევრს დაწერს და გაგვახარებს შენს მოკეთეებს. ღმერთი არ დაგტოვებს და ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

ბატონი ანზორის შემოქმედებაში მთავარი ადგილი სიყვარულის თემას უჭირავს, მთელ მის ნაწარმოებებს ლაიტმოტივად გასდევს, სადაც ჩანს ბ-ნი ანზორის ფაქიზი სული, თორემ სხვანაირად კაცი ლექსს ვერ დაწერ. სიყვარული ხომ ყველა გრძნობის თამადაა. მის გულში სიყვარულს დაუკავებია მთელი ადგილი და ამიტომ არის სიძულვილი ვერ შეპარულა. მოყვასის სიყვარულით ცხოვრობს დღემდე. ამბობს კიდეც: **„კაცობა განა სხვა არის, უნდა გიყვარდეს მოყვასი, თავს ევლებოდე დავრდომილს, გზას უჩვენებდე კომპასით“.**

უფრო სათუთღად ეპყრობა სიყვარულს ქალის მიმართ. მასში ისევ ჭაბუკის გრძნობა და სისხლი დუღს.

„თვალები მაყვლის თვალები, თვალები გიშრის თვალები,
თვალებს რომ შემომანათებ, გულში ღადარი მინთია“.

გისურვებ ბ-ნო ანზორი არ ჩამქრალიყოს თქვენს გულში ეგ ღადარი. მეც მწამს და თქვენც, რომ სიყვარული გვაცოცხლებს. თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ:

„შეყვარებული კაცისთვის არაფერია ძნელი“.

ბ-ნი ანზორის წიგნი „თეთრ ყვავილების ზღვაში გაგხვევ“ არის სიყვარულის ზღვა. ყველა ლექსი ერთმანეთზე უკეთესია. ამ ლექსებში ზღაპრულადაა გადმოცემული სიყვარული. თვითონ ბ-ნ ანზორის რომ შეხედავ, მიხვდები, რომ ეს კაცი თვითონ დიდი სიყვარულია.

თამამად შეგიძლიათ თქვათ ბარათაშვილის სიტყვები: **„ციდად ხომ მაინც არ ჩაივლის, ეს განწირული სულისკვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.**

დიდი პატივისცემით და სიყვარულით
ლალი ყრუაშვილი-ხვთისიაშვილი
პოეტი

ბატონი ანზორი თავისი შემოქმედებით კვლავაც გაგვახარებს!

ანზორ ჯაფარიძისგან საჩუქრად მივიღე წიგნი, რომლისთვისაც ავტორს „აღსარება“ დაურქმევია. მინდა გულწრფელად გითხრათ, რომ არ მოველოდი ასე სულმოუთქმელად თუ წავიკითხავდი.

ჩვენ, მეგობრებმა და უახლოესმა ადამიანებმა კარგად ვიცით, რა რთული და ხიფათებით აღსავსე ცხოვრების გზა განვლო ბატონმა ანზორმა, განსაკუთრებით ნავთობპროდუქტების სისტემაში. წიგნში აღწერილი სი-

უჟეტები ზუსტად გადმოსცემს ამ ორგანიზაციაში გატარებული წლების გულისცემას. თუმცა, თხრობის მანერა არ არის ლიტერატურულად გამართული, მაგრამ მისი გულწრფელობა მკითხველს უდაოდ დააინტერესებს და წიგნსაც ბოლომდე წააკითხებს.

ანზორ ჯაფარიძე ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი პატიოსნებით, გულწრფელობით, სიალალით და რაც მთავარია, ქრისტიანული მრწამსით. იგი მიდიოდა და იდგა იქ, სადაც ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდებოდა. კაი ყმაა მშობელი ქვეყნის, ამიტომაც არის, რომ ვერაფრით ეგუება ილიას გზას აცდენილ საქართველოს, თავად იგი თავის თავს ყოველდღე ეკითხებოდა: „აბა დღეს მე ვის რა ვარგე“?

კაცი, რომელმაც თავისი განვლილი ცხოვრების მანძილზე სახლიც ააშენა, ხეც დარგო და ღირსეული შვილებიც გაუზარდა სამშობლოს.

„შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა...“ ამბობდა დიდი ილია. ანზორ ჯაფარიძე არ გაჩერდება! იგი კვლავ გაგვახარებს თავისი შემოქმედებით. კაცი, რომელიც ძალზე სჭირდება ქვეყანას, ქალაქს, ოჯახს და მეგობრებს.

ნაირა ჩალაბაშვილი, 23.08.2016 წ.

გაგიმარჯოთ „ხატის კაცო“!

ბატონ ანზორ ჯაფარიძეს არ ვიცნობ, მაგრამ მისი წიგნის – „აღსარება“ – წაკითხვის შემდეგ ძალიან გარგად გავიცანი. დიახ, ამ წიგნით შევიცანი ღრმა სულის მატარებელი კაცი, რომლის ხილვა არც ისე აუცილებელია, რადგან მე ისედაც ვხედავ მის ფერებს, ვგრძნობ მისი აზროვნების ძალას და გემოს, გნებავთ სურნელს. ვეხები ნაიარევებს და მომავალში მოსალოდნელ ჭრილობებსაც კი...

და ეს ყველაფერი ისე ახლობელი, ისე ნაცნობი და უეცარია, როგორც სისხლითა და სულით მონათესავეთა შეხვედრა ცხოვრების არცთუ ისე მოკლე გზაზე.

ამ გზაზე დაფენილი მისი ცხოვრების მძიმე ამბები თავს არ გაბეზრებენ ერთფეროვნებით, გატკეპნილი მეტაფორებით და რითმებით;

რიტმი და არითმია, ეროვნულობა თუ რელიგიურობა, მწერლისთვის და პოეტისთვის აუცილებელი კოსმოპოლიტური ატრიბუტები საკუთარ მოზაიკას ქმნის, სამყაროს რუქაზე თავისებურად აირეკლება – ეს არის სხეჯლისა და სულის ბიოგრაფია, საიდანაც ამაყი სევდითა და დიდი ღირსებით იმზირება კაცი, რომელსაც ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ... ძალიან კარგად ვიცნობ.

ბატონო ანზორ, ჩვენს პირად საუბარში თქვენ მითხარით, რომ ამ წიგნის გამო აკადემიკოსის საპატიო წოდებას თუ ტიტულს განიჭებენ. ეს ძალიან კარგია, მაგრამ... მე თუ მკითხავთ, არანაირი ტიტული, არანაირი წოდება არ არსებობს დედამიწაზე იმასთან შედარებით, რაც უფალმა ღმერთმა უკვე გიბოძათ!

დაე, სიცოცხლის ბოლომდე, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე გეტარებინოთ უფლის მიერ ბოძებული დიდი და მაღალი ჯილდო – „ხატის კაცობა“. თქვენ ეს დაიმსახურეთ, სრულიად სამართლიანად დაიმსახურეთ თქვენი განვლილი ცხოვრებით.

დიდხანს იცოცხლეთ, გაგიმარჯოთ „ხატის კაცო“!

ზურაბ ელოშვილი, მკითხველი

ანმყო შობილი წარსულისგან
არის მშობელი მომავლისა
ლეიბნიცი

სუდიერ უფროს ძმას, ანზორ ივანეს ძე ჯაფარიძეს

„მე შაირი არ მინდოდა, შენ ამტეხე ძალადაო“.

მეც ამ დღეში ჩამაგდე ბ-ნო ანზორ. ძნელია შეაფასო ადამიანი, რომლის განვლილი ცხოვრება ასეთი მდიდარია.

ვნახოთ, რა გამომივა, როგორც გავართმევ თავს, როგორი მოშაირე ვიქნები.

ბატონო ანზორ, თქვენ შესძელით შეუძლებელი და ათ წელიწადში 4 შესანიშნავი წიგნი დაწერეთ. ერთხელ ბერნარდ შოუმ ლექსი წაიკითხა და იქვე დაამატა: მე ამ ლექსის დაწერას სამი დღე მოვუნდიო. იქვე მყოფმა ახლგაზრდა მწერალმა შესძახა: სამ დღეში ას ლექსს დავწერდიო. შოუმ უპასუხა, კი დაწერდი, მაგრამ შენი ლექსები მხოლოდ სამ დღეს იარსებებდაო.

რაც შეეხება თქვენს წიგნებს, იარსებებს მანამ, სანამ თქვენი მოდგმა იქნება!

ჩემი აზრით, თქვენი ოთხი წიგნი გამოცემულია სხვადასხვა სათაურით, მაგრამ მე ოთხივე წიგნში დავინახე აღსარება.

აღსარება

1. ა – დამის მოდგმის კაცი ხარ,
2. ღ – ვთისაგან მირონცხებული,
3. ს – ული წმინდა გფარავდეს,
4. ა – ნზორი ხარ და არა პაზორი.
5. რ – წმენით გივლია სავალი გზა
6. ე – რის წინაშე ვალმოხდილს
7. ბ – ევრის კეთება შეძელი
8. ა – სეთი კაცია ანზორი.

1. ადამის მოდგმის კაცი ხარ.

ურტყუარი საბუთი ხართ ბ-ნო ანზორ, რომ მართლა ადამის მოსგმისა ხართ, ღმერთმა გვიმრავლოს თქვენისთანები. თქვენ ისეთი თბილი დამოკიდებულება გაქვთ ადამიანებთან, ყველას უხარია თქვენთან ურთიერთობა. მეც მათ რიგში ვარ.

თქვენი პირველი წიგნი **„თეთრ ყვავილების ზღვაში გაგახვევ“** რომ წავიკითხე, ყვავილების ზღვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თქვენს ნათქვამ აზრებში მართლა გავეხვიე.

„მე პოეტი არ ვყოფილვარ, არც სურვილი მქონია,
უბრალოდ ვწერ, ჩემთვის ვქმნი, ასე გამყავს დრონია.“

მარტო თქვენთვის არა ბ-ნო ანზორ. ნიკო პაპისთვის, შენი გვარისთვის, შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის და ყველა იმ ადამიანისთვის ვინც გიცნობს.

„კახეთში ცხოვრობდა დიდი კაცი
ლაზარიშვილი ნიკო,
არ ვიცი, ვინ რა არის ამქვეყნად,
მაგრამ ნიკო პაპა ლეგენდა იყო.“

გაივლის დრო, ჟამი და თქვენც ჩემო სულიერო უფროსო ძმაო ანზორ ლეგენდა იქნებით, თქვც ისევე მოგეფერებიან, როგორც თქვენ ეფერებით წინაპრებს.

„მოეფერა, ისევ ცხენზე შესვა,
რაც მოხდა ალალი იყოს
ცოტა რაღაცით მე ვგავარ
ცხონებულ განათლებულ პაპა ნიკოს“.

2. ღვთისგან მირონცხებული.

მართალია თქვენ გვიან შესძელით შესდგომოდით ეკლესიურ ცხოვრებას. რომ არ ყოფილიყავით ღვთისგან მირონცხებული, თქვენ ამდენ მისიას ვერ იკისრებდით.

გადავშალოთ თქვენი წიგნი „101 ლექსი ციცქნა ციცის“. თქვენ ამ წიგნში ხომ ბავშვების წინაშე წერთ აღსარებას და ფიცს აძლევთ.

„ყველა ბავშვი გულით მიყვარს,
ვფიცავ ყველა მიხარია...
ჩემი მაინც სულ სხვა არის
ზურა, ნიკა და მარია“ (ციცის ეკლესიურად მარი ქვია).

ასე ბატონო ანზორ: სიმართლის თქმა აღსარებაა, ფიცის და სიტყვის შესრულება კი კაცობა!

„ზურა, ნიკა, ჩემო ციცი
გახსოვთ, რომ მოგეცით ფიცი
101 ლექსს დაგიწერთთქო
ყველას ვიტყვი, რაც კი ვიცი.“

მართლაც 101 ლექსით ბევრი სათქმელი თქვით პატარა ანგელოზებისთვის.

3. სული წმიდა გფარავდეს.

რა ვქნა, ბატონო ანზორ, წიგნი **„აღსარება“** ასე გავშიფრე და ყოველი ლოცვა სათაურად გამოვიყენე, იმიტომ, რომ შენშია ეს ყველაფერი.

აკი თვითონ აღიარებ, თუ რა ძალისხმევით და მონდომებით აღადგინეთ თქვენს სოფელში ეკლესია. თქვენს მიერ აღმართულმა 15-მეტრიანმა ჯვარმა როგორ ჩაუხრინწა ხმა მოლას, რომელიც ჯვრის დანახვაზე ვეღარ ლოცულობს!

სულიწმიდამ და მისმა ძალამ მიგიყვანათ სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც შეხვდით მამა ამირანს. ამის შემდეგ თქვენ – სულიერი შვილი და მამა – ამირანი სულიერი მოძღვარი, ხოლო ჩვენ სულიერი ძმები ვართ. 12 სულიერი ძმიდან, მხოლოდ თქვენ ერთმა შესძელით მიგეძღვნათ ლექსი მოძღვრისთვის.

„უფალს შესთხოვე ტვირთი, უღელი,
მძიმე ჯვრით ხელში მტკიცედ უვლია,
ვერ შეედრები მის თავდადებას,
ერისკაცობის სამსახურია“.

კარგი შეფასებაა ბ-ნო ანზორ – ერისა და ეკლესიის წინაშე აღებული სამსახური მართლაც დიდი ტვირთია.

მამა, ძე და სული წმიდა ფარავდეს თქვენს ოჯახს!

4. ანზორი ხარ და არა პაზორი.

თქვენს წიგნში „მოძღვარი“ ლექსი მოგვიძღვენით სულიერ ძმებს, თქვენ ყველას სათითაოდ გვეფერებით და როგორი სითბო და სიყვარულია ჩადებული.

„კაცის ცხოვრება ჰე ძმებო,
თურმე ჩირადაც არ ღირს,
გაირბენს წუთისოფელი,
აქ არ დაგვტოვებს არავის“.

ჩვენ აქ არავინ დაგვტოვებს, მაგრამ დარჩება თქვენი წიგნები და იმ წიგნებში ჩვენი სახელები. მადლობა ამისთვის სულიერი ძმებისგან. თქვენ ჩვენო ძმაო, ლექსში სულიერ ძმებს ამაღლებთ, ხოლო თავს იმდაბლებთ.

„ასაკით ყველაზე დიდი,
მეც თქვენთანა ვარ, ანზორი,
ვეცდები არ შეგარცხვინოთ
არ ვიყო თქვენი „პაზორი“.
იდეალურია, მაგრამ:

„სულიერ ძმებში უფროსი
სუფრაზე როგორც უმცროსი
ჩვენთვის არ ხარ პაზორი
ჯაფარიძე ხარ, ანზორი.“

5. რწმენით გივლია მთელი გზა.

რწმენა დიდი ძალაა ადამიანში.

„ხოლო რწმენა არის უეჭველობა იმისა, რასაც მოველით და წვდომა უხილავისა“ – თქვა უფალმა. ყველას გვგონია, რომ წამალი უეჭველად გვიშველის, მაგრამ თუ იმ წამალს რწმენით არ დალევ, უშედეგოა. თქვენს წიგში „აღსარება“ ნათლად ჩანს, როცა თქვენ ნავთობბაზაში დაიწყეთ მუშაობა, რომ არა რწმენა, იმ ურწმუნოებში ვერ შეძლებდით ნავთობაზის ფეხზე დადგომას. როგორ დღეში აღმოჩნდით, როცა რესტორნის მშენებლობა დაიწყეთ, რამდენი დაბრკოლება შეგხვდათ, მაგრამ თქვენმა შინაგანმა რწმენამ შეგაძლებინათ. თქვენ როცა გვესაუბრებით, იმედს და რწმენას გვაძლევთ. რწმენით ხართ ამ ქვეყანაზე და რწმენით გეცხოვროთ ლამაზ ოჯახთან ერთად.

6. ერის წინაშე ვალმოხდილს.

ყოველი ადამიანი მუდამ უკმაყოფილოა თავისი ნაკეთები საქმით. თქვენც ბატონო ანზორ ასეთი ბრძანდებით! ვიცი, თქვენ ბავშვობიდან შრომობთ, სწავლობთ, ეწევით სოფლის მეურნეობას, ხართ ბიზნესმენი, ხართ მშენებელი, ხართ საუკეთესო ხელმძღვანელი.

როცა ნავთობაზა ჩაგაბარეს, ისე შავად იყო საქმე, როგორც თვით ნავთობია. ჩაგითრია მისმა მორევმა, მაგრამ შეუძლებელი შესძელი და სუფთად გამოხვედი.

იუმორის იდეალური გრძნობა გაქვთ. საუკეთესო მამა, მეუღლე და ბაბუა ბრძანდები. საუკეთესო მეგობარი მეგობრებს შორის, ოთხი საუკეთესო წიგნის ავტორი და ა.შ.. თქვენ მართლა ხართ ერის წინაშე ვალმოხდილი.

7. ბევრის კეთება შესძელით

მართლა ბევრის კეთება შესძელით და ბევრიც დაგრჩათ გასაკეთებელი. რამდენი გამოგონება გქონიათ, რამდენი სიკეთის დანერგვა გინდოდათ. ღმერთო ნატვა მანატრე და ნატვრა შემისრულე. ეს სიტყვები მოყვანილი გყავთ „აღსარებაში“. მართლაც მოსაწონი ნატვრაა „საცხენოსნო ტურიზმი, დამხმარე მეურნეობის წარმოება, ოთარაათ კარში „ანგიორის“ ჯიშის თხის შემოყვანა და მომრავლება (დღეს ის ანზორის ჯიშის იქნებოდა), ტურიზმის მოწყობა და მათი კვება ადგილობრივი ნაწარმით, მაგრამ არ გაცალეს და ხელის შეწყობის მაგივრად, ხელი შეგიშალეს. ძალიან საინტერესო იდეები გქონდათ...

8. ასეთი კაცია ანზორი.

ერთ ქორწილში, სტუმართა შორის იმყოფებოდა შუახნის საშუალო აღნაგობის თეთრწვერიანი მოხევე. ამ მოხევემ თამადას სთხოვა მასაც ეთქვა სადღეგრძელო. თამადამ სიამოვნებით დაუთმო დრო და თან გამოაცხადა, რომ მოხევეს სურდა ეთქვა სადღეგრძელო. სუფრის წევრები გაინაბდნენ, ეგონათ ეს მოხევე, სადღეგრძელოში იტყოდა მთის სილამაზეს ან თუნდაც ლექსად. მოხევემ მხოლოდ ორადორი სიტყვა თქვა. „გაგვიმარჯოს მღვრიემდე“. თამადა შეცბა და გაკვირვებულმა ჰკითხა, ჩვენ ვერ გავიგეთ სადღეგრძელო. მოხევემ სუფრის წევრებს ჰკითხა. ვერც თქვენ გაიგეთ? ვერაო, იყო პასუხი. მაშინ მომიწევს განვმარტო სადღეგრძელო.

მე ერთი უბრალო მონადირე მოხევე კაცი ვარ. ვნადირობ მთაში ჯიხვებზე და ვთევზაობ მდინარეში. როცა ჯიხვს მოვინადირებ, ჩემს თოფს საგულდაგულოდ ვინახავ, რომ მთავრბამ არ ჩამომართვას. ერთ დღეს, სახლში მომაკითხა მანქანით ორმა ადამიანმა. მივხვდი, ვისთანაც მქონდა საქმე. მათ მითხრეს, რომ საჭირო იყო ჯიხვი მავანისთვის. იმ ადამიანს ჰქონია დაბადების დღე და ძღვნად უნდა მიერთმიათ.

მე არ მესიამოვნა მათი ხილვა და უარი რომ ვერ ვუთხარი, მიზეზად იარაღი მოვიყვანე. რომ მე იარაღი არ მაქვს. დამამშვიდეს ჩვენ გვაქვსო და მომცეს კარაბინი თავისი ჭოგრიტით. მიმიყვანეს იქ, სადაც ჯიხვები მეგულებოდა. შეუდექი აღმართს, თან ვფრთხილობდი ჯიხვები არ დამეფრთხო. ჭოგრიტში რომ გავხედავდი, შორს კარგად ჩანდა ჯიხვებიც და ის ორი კაცი ვინც დაბლა მელოდებოდა. ხმაურზე ჯიხვები დაფრთხნენ და თვალს მიეფარნენ. დევნას აზრი არ ჰქონდა, თან გამიხარდა, რომ ასე მოხდა.

წყალი მომინდა. იქვე შევნიშნე კლდიდან წვეთად მოჟონავდა წყალი. პეშვი შევუშვირე, წყალი დავლიე და ქვევით ჩავხედე იმათ, ვინც დაბლა მელოდებოდა. კარაბინზე მიმაგრებული ჭოგრიტით თვალი გავაყოლე, კლდიდან ჩამონაჟონ ანკარა წყალს, თუ როგორ მიედინებოდა მდინარე თერგისკენ. როგორ უერთდებოდა ეს ანკარა ნაკადული, მღვრიე თერგს. ვუყურებდი თუ როგორ წინააღმდეგობას უწევდა სუფთა, ანკარა წყალი მღვრიე თერგს. კარგა მანძილზე მიყვებოდა გვერდით მდინარეს. იბრძოდა იმისთვის, რომ არ შერეოდა მღვრიე

მდინარეს. კარგა მანილზე გაგრძელდა ბრძოლა, მაგრამ სძლია მღვრიე თერგმა წმინდა და ანკარა წყალს და აქცია მღვრიედ.

ბატონო ანზორ. აი რა დავინახე მე თქვენს წიგნში „აღსარება“. თქვენ პატიოსან და მშრომელ ოჯახში გაზრდილი, უმწიკვლო ახალგაზრდა, რომელიც სამიანებზე (ასე გიწერიათ იუმორად და მეც გამოვიყენე) სწავლობდა, მაგრამ ცისანასადმი წრფელმა სიყვარულმა. უმაღლესი დაამთავრეთ – შექმენით წმინდა ოჯახი. მუშაობდით მეცნიერებთან, იღებდით მცირე, მაგრამ ალალ ხელფასს. და ამ უმწიკლო და სუფთა ცხოვრებიდან, იმ მღვრიე მორევში მოჰყევით, რომელზეც თქვენ წერთ „აღსარებაში“.

ბა-ნ ანზორ, თქვენი, თქვენი ცხოვრება სოფლიდან იწყება, რომელიც მაშინ იმ სუფთა ანკარა წყაროსავითაიყო, მაგრამ მერე ცხოვრებამ თქვენც ჩაგითრიათ, კაი ხანს გატარათ (ნავთობბაზაში), მაგრამ თქვენ ისეთი ნებისყოფა გამოიჩინეთ, შესძელით მღვრიედან სუფთად გამოსვლა.

ბატონო ანზორ, ლამაზ და ანკარა სიბერეს გისურვებ, შენი ლამაზი და კეთილი ოჯახით.

ზაურ ზურებიანი

ღვთის მოსავი ჭეშმარიტი პოეტი

ბედნიერია მოძღვარი მაშინ, როცა ღვთისმოსავს გ ზა დაულოცავს,
ღმერთს ვევედერები, არ მოჰკლებოდეს ანზორს თავისი მოძღვარის ლოცვა

საქართველოში დაიარება დამოძღვრილი, ღვთისმოსილი, სულით წმინდა და დაუღალავი ქართველი კაცი, ალალ-მართალი, სიკეთით სავსე, ოჯახის ბურჯი – ეს ანზორ ჯაფარიძეა.

ბედნიერია ის, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია მას, რომელიც გულღიად, თბილად, ნათელ სხივად გადმოგიშლის განვლილი ცხოვრების გრძელ, მძიმე და რთულ გზას და მაშინვე წარმოგიდგება ნიჭიერი, ნაღდი ქართველი, შრომით დამძიმებული, სხვებზე ზრუნვით გამსჭვალული და მიზანდასახულად მოღვაწე, ნათელ გზაზე მტკიცედ მავალი პიროვნება.

ჩვენ ასაკში იშვიათად შეხვდები ადამიანს, რომელშიც ერთდროულად თავმყრილია ყოველივე ის, რაც ღვთაებას დაუმოძღვრავს სულიერი არსებისთვის. ანზორ ჯაფარიძე ღირსეულად და გამორჩეულად ატარებს ღმერთის მიერ ბოძებულ ადამიანურ თვისებებს.

ბატონი ანზორის მხატვრული შემოქმედება წარმოგვიდგენს მას, როგორც ჭეშმარიტად სახალხო პოეტსა და პროზაიკოსს.

მწერალმა მკითხველს წარუდგინა თავისი შემოქმედებითი ნიჭის ნაყოფი – პოეტური და პროზაული ნაწარმოებების უწიკვლო ნიმუშები. თვითნაბადი მწერლის თითოეულ სტროფში თუ წინადადებაში იკითხება მისი სპეტაკი, გულღია, ადამიანური სიფაქიზე, რომელიც ატყვევებს მკითხველს.

მწერლის კალამს ამშვენებს პოეტური კრებულის სამტომეული **„თეთრ ყვავილების ზღვაში გაგახვევთ“, „მოძღვარი“,** და **„101 ლექსი ციცქნა ციცის“,** აგრეთვე პროზაული ნაწარმოები **„აღსარება“,** რომლებმაც დიდი პოპულარობა ჰპოვეს მკითხველთა საზოგადოებაში.

ყველა ისინი იკითხება ერთი ამოსუნთქვით, დაწერილია გულმართალი ქართული ენით და დიდი ოსტატობით. მათში გადმოდუღს პოეტის შინაგანი ბუნება, სიყვარულით აღსავსე და დიდი მადლიერებებით გაჯერებული სპეტაკი სული.

პირველ კრებულში, რომელიც მოიცავს 201 ლექსს, თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი პოეტის შემოქმედების დაწყების ყველა ეტაპი და ასახულია მისი სიყვარული და მადლიერება ყველას და ყველაფრისადმი. ეს უკვე დიდი პოეზიაა. სწორედ სიყვარული იქვა პოეტის კრედოდ, რომელიც არასდროს გახუნდება მომავალშიც.

„მე ღმერთს შევავედრე შენი სიცოცხლე,
სანთელს ვანთებ და ვლოცულბ ყველგან,
მე მხოლოდ სიცოცხლე მწყურია შენი,
სხვა არაფერი არ მინდა შენგან“.

ამბობს პოეტი.

მეორე პოეტურ კრებულში, რომელშიც 101 ლექსია, პოეტი გულმხურვალედ გამოხატავს სიყვარულს ოჯახისადმი, შვილების და შვილიშვილების მიმართ, ლოცავს და უმადლის მშობლიურ მიწას, რომელზეც ბედნიერად დააბიჯებს მისი შთამომავლობა.

„მომავალი თუ მრავლდება, მაშ სამშობლო გვქონია,
მას ვერავინ შეგვიბილწავს, რა გინდ იყოს დრონია“.

რწმენით ამბობს პოეტი.

შინაარსის მრავალფეროვნებით და დახვეწილობით გამორჩეულია ლექსთა კრებული **„მოძღვარი“,** რომელიც აერთიანებს 119 ლექსს. მხატვრულად უფრო სრულყოფილი და მიზანდასახულია, იგრძნობა პოეტის მისწრაფება მაღალი შემოქმედებითი მოღვაწეობისადმი.

კრებული იწყება გულწრფელი პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატულებით სულიერი მამისადმი – მოძღვრისადმი და სამშობლოსადმი.

დიდი პოეტური ნიჭითაა დაწერილი ვრცელი ლექსი, რომელიც ანზორ ჯაფარიძემ მიუძღვნა თავის მოძღვარს, ჩემთვისაც დიდა პატივცემულ დეკანოზ **ამირან ამირანაშვილს.**

გულწრფელი გრძნობით და მადლიერებით პოეტი მიმართავს მოძღვარს:

„მამა ამირან, შენ ერთი იყავ,
ვისაც გავუღე ჩემი გულია,
აღსარებას მე არავის ვანდობდი,
და, აი, მოხდა სასწაულია!
...აქ შევიგრძენი, რომ ცოდვილი ვარ,
შენ მოახდინე სასწაულია“.

კრებული გაჟღენთილია დიდი სიყვარულით მშობლიური სოფლისადმი, მამულისადმი. მადლიერებით მოიხსენიება წინაპართა სულები, სოფლის ღირსეული პიროვნებები. ბატონი ანზორი ლოცვით უმღერის საკუთარ შთამომავლობას:

„ღვთისმშობელმა დაგვილოცოს
ვაჟებიც და ქალებიც,
ღმერთს ვთხოვ, ბედნიერი მყვანდნენ,
მე მათ ვენაცვალები“.

ანზორ ჯაფარიძე არ ჯერდება თავის პოეტურ შემოქმედებასა და მკითხველს სთავაზობს უაღრესად გუნწრფელ და მაღალმხატვრული შინაარსით დაწერილ პროზაულ ნაწარმოებს **„აღსარება“,** რომლითაც წარმოჩინდა იგი უკვე მომწიფებული მწერლის ამპლუაში.

„აღსარება“ საკმაოდ სქელკანიანი წიგნია. იგი მოიცავს მწერლის მიერ დაბადებიდან დღევანდლამდე განვლილი რთული, მძიმე, მრავალმხრივ საინტერესო ცხოვრების გზას, რომელიც გაჯერებულია მოგონებებითა და განცდილით. იგი იკითხება იოლად და საინტერესოდ. მკითხველი უწყვეტად მიჰყვება აკინძულ თხრობას, რომელიც პროფესიული მხატვრული ენითაა დაწერილი და თითოეული მოვნენის ქვეშ აქცევს მკითხველს.

ეს არის სამაგიდო წიგნი, რომელიც ასახავს ბატონ ანზორ ჯაფარიძის ბიოგრაფიას, მის ადამიანურ ღირსებას, სულიერ სიმტკიცეს, დიდ მამულიშვილობას, კეთილშობილებას, კაცურ-კაცობას, სიკეთეს, თანადგომას და, რაც მტავარია, იგი არის ღირსეული გვარის ღირსეული გამგრძელებელი და ოჯახის შესანიშნავი მამა.

ღმერთით დალოცვილ საყვარელ პოეტსა და მწერალს პატივისცემით ვუძღვნით ჩვენს მოკრძალებულ ჩანაფიქრს მადლიერებით.

მერი და ნოდარ ტატუაშვილები, 15.07.2016 წ.

XXX

ბატონი ანზორი პაციენტის ამპლუაში გავიცანი. იგი უაღრესად მორიდებული, თავშეკავებული, თბილი, კეთილი, რაინდული გარეგნობის, სუფთა ქართულით მოუბარი ჭეშმარიტად ქრისტიანი ადამიანი აღმოჩნდა... ასეთი ადამიანების მიმართ შეხვედრისთანავე დადებითი განწყობა ყალიბდება.

მოვინუსხე მისი ლექსების კრებულის წაკითხვით – თითოეული სტრიქონი სავსეა ღრმა სიყვარულით საკუთარი სამშობლოსა და ოჯახის მიმართ.

რაც შეეხება მის პროზას „აღსარება“ - ეს არის ერთ დიდ ოხვრად ამოხეთქილი აღსარება, თქმული თავისი ერის წინაშე ვალმოხდილი კაცისა.

ბატონი ანზორი ზედმიწევნით აღგვიწერს თავისი წინაპრების ცხოვრებას, ვის მიერ გაკვალულ გზასაც თავად აგრძელებს და კუთვნილ მიძმე ჯვარს ღირსეულად ატარებს.

იგი ამ მხრივაც უიშვიათესი გამონაკლისია. ყოველ დაცემას, თუ ცხოვრებისეულ სიმუხთლეს გულმოდგინედ უმკლავდება და უფრო ძლიერდება. არავითარი გაბოროტება, უიმედობა... პირიქით, მისი წინსვლის, კეთილი საქმის კეთების („მადლი ქენი ქვაზე დადე...“-ს პრინციპით), მოყვასის დახმარების ჟინი უფრო ძლიერდება. მისი ცხოვრების თითოეული ეპიზოდი გაჯერებულია დიდი კაცთმოყვარეობით. მოკლედ, ბატონი ანზორის „აღსარების“ კითხვისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ „რამდენჯერაც დაეცემი, იმდენჯერ უნდა წამოდგე“ – ფარატინა სიტყვები არ არის! ამ კუთხით ეს ნაწარმოები შესანიშნავი სახელმძღვანელო იქნებოდა მომავალი თაობისთვის.

მიუხედავად წინააღმდეგობრივი და ტკივილიანი ცხოვრებისა, ნაწარმოები დიდი სიმსუბუქით იკითხება. გაჯერებულია იუმორით, სიყვარულით, ოპტიმიზმით, რაც, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ავტორის სულიერ სისუფთავესა და შინაგან სიძლიერეზე მეტყველებს.

და ბოლოს: ბატონო ანზორ, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ამ შემართებით ცხოვრებას და ველით თქვენგან მომავალი თაობისთვის დასატოვარ უძვირფასეს საგანძურებს.

პატივისცემით,
ნინო გოგოლაძე, ექიმი

წერილები

ლუარა სორდია

აკაშას ქრონიკა

ნიკო სამადაშვილის პოეზიის ერთი პრობლემა

აკაშა არის მარადიული ღვთაებრივი ცნობიერება.

აკაშა ზემგრძნობიარე სულიერი არსია, რომელიც მთელ სივრცეს ავსებს.

„ადამიანის ცნობიერება... ღვთაების სხივია“ (ელენე ბლავატსკაია) (1, 94, 97, 177).

იოგების მოსაზრებით, აზრი არის ისეთივე მოვლენა, როგორც სინათლე ან ელექტრობა. აზრი დაინახება. მის გამოსხივებას ნათელმხილველისთვის აქვს ღრუბლის თავისებურად შეფერილი ფორმა. ის მსგავსია თხელი ორთქლისა და რეალურია, როგორც ჰაერი ან მრავალსიცხოვანი გაზები.

ზოგიერთები აზრს ადარებენ სინათლის ტალღებს, სხვები – სურნელოვან ყვავილს.

ადამიანი სისტემატურად ასხივებს აზრს ტალღებს. აზრის ტალღები განსხვავებულია, სხვადასხვაგვარია მათი გამოსხივება. ადამიანში იღვიძებს მისი ჭკუის შესატყვისი აზრი.

აზრების ასტრალური სამყარო სავსეა უფორმო აზრებით. არსებობს დიდი მარაგი აზრების სამყაროში დაგროვილი ენერგიის და ადამიანებს, საჭიროებისამებრ, შეუძლიათ გამოიყენონ ის (2, 187).

აზრი სინათლეზე ჩქარია. იგი საგნებშია. თქვენ შეიძლება ფიქრობდეთ აქ, ამერიკაში კი ხდება თქვენი აზრის მატერიალიზება. აზრების სფერო ჰაერივით გვერტყმის გარს. მეცნიერთა აზრით, ყოველი აზრი წარმოადგენს ტალღას, რომელსაც შეუძლია აზრის გადაცემა. ტალღები გადიან კედლებში, მთებში, ხვეულებში. ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია აზრების დაჭერა წარსულიდან, რადგან აზრები არ კვდებიან. საგანი არის აზრი, აზრი არის საგანი (რაჯნეში, „ტანტრა“, „უდიდესი შეცნობა“) (3, 270, 272).

აზრი სტიქიის მსგავსია, შემეცნების ზდისას ადამიანი ასხივებს სინათლეს. ყოველი აზრი და მოქმედება ბადებს ფლუიდურ დენს. აზრის ქსოვილი დაურღვეველია, მას კავშირი აქვს უხილავ და ცეცხლოვან სამყაროსთან. იგი მოქმედებს ცხოვრებაზე, გავლენას ახდენს კარმაზე. ის საფუძველია არსებობის. საგნებს შეუძლიათ მოძრაობა აზრით, ფსიქიკური ენერგიით. ასეა უსხეულო სამყაროში. „ფიქრის ქუხილი“ არაა ჰიპერბოლა.

ამიტომ გვმოძღვრავს ელენე რერიხი: „იფიქრეთ აზრზე, როგორც ცხოვრების რეალურ ფაქტორზე“ (4, 137).

ბიბლიაში უპირველეს ღირებულებად მიიჩნევა სიბრძნე, რომელიც მხოლოდ ღვთისმოსავ ადამიანებს ებოძებათ.

წმინდა წერილში გარჩეულია საღვთო და ეშმაკეული სიბრძნე, წუთისოფლის მთავართა წარმავალი სიბრძნე და უზენაესის მარადიული სიბრძნე.

არსებობს აზრი, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები გარშემორტყმულია საინფორმაციო ველით, რომელშიც კოდივით არის ჩადებული სრული ინფორმაცია სამყაროსა და ცოცხალ არსებათა შესახებ. ადამიანი კოსმიური გონების მატარებელია, მას ხელეწიფება პლანეტის საინფორმაციო ველზე გასვლა და ჩვეულებრივი თვალისა და სმენისთვის უხილავ–მოუსმენელთან ზიარება.

აღმოსავლური სამყაროს მხატვრულ, რელიგიურ და ფილოსოფიურ თხზულებებში იმთავითვე არსებობდა საინფორმაციო ველის ცნება. ზეგანვითარებულ, წმინდა სულის ადამიანებს ხშირად ეხსნებათ კოსმიური კავშირის არხი, ენერგეტიკული ველი და ერთდროულად ამყარებენ კავშირს მიწიერ და ზენარულ სივრცეებთან, დედამიწის იონოსფეროსთან.

ამ ასპექტით ყურადღებას იქცევს როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური სამყაროს მხატვრული, რელიგიური, ფილოსოფიური თხზულებები.

ლაო–ძის „დაო დე ძინის“ მიხედვით, „მარადიული სათნოებით ავსილი ადამიანები“ იქცევიან „სამყაროს ხილულ ველად“ და „ვინც ველია სამყაროსი, მარადიულ დეს ეუფლება“ (5, 99, 197).

„ბჰაგავად–გიტაში“ არის სპეციალური თავი: „ველსა და ველის მეცნაურს შორის გამორჩევის იოგა“, რომელშიც ნათქვამია: „კურთხეულმა ბრძანა: „ეს სხეული, კაუნტეა, ველად იწოდება, ხოლო რომელი მას საცნაურყოფს – ბრძენთა მიერ ველის მეცნაურად იწოდება. ველის უფალი კი ღმერთია“ (5, 90).

რაჯნეშის „ტანტრას“ მიხედვით, საინფორმაციო ველს „მიღების დაბლობი“ ეწოდება და მასთან მიახლების საწინდარია ზნეობრივი სიწმინდე.

ოკულტისტების აზრით, ადამიანს აქვს უნარი, იგრძნოს ფიზიკური გრძნობისათვის მიუწვდომელი. ყველა ფიზიკურ გრძნობას აქვს შესატყვისი ასტრალურში. ასტრალური ორგანო მოქმედებს, როგორც ტელესკოპის ლინზა და ადიდებს გამოსახულებას. ზოგს შეუძლია დაინახოს რამდენიმე მილიდან, სხვებს– ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ზოგიერთებს შეუძლიათ დააკვირდნენ სხვა პლანეტების ამბებს.

მეოცე საუკუნის უდიდესი მოძღვრება „აგნი იოგა“, „ცოცხალი ეთიკა“ ანუ „სინათლის მოძღვრება“ გამოყოფს ნათელმხილველობისა და ნათელსმენის შვიდ სახეობას.

მიწაზე ადამიანს ესმის ცხრა ხმა, ასტრალურ სამყაროში – თოთხმეტი.

ელენე რერიხმა თვით გაიგონა უზენაესის ხმა შამბალაზე და ჩაწერა იგი.

ვანგას ესმოდა ციური ზარის ხმა, ესაუბრებოდა „წარმოგზავნილებს“, ირწმუნებოდა, რომ ნანახი ჰყავდა ქრისტე, ორფეოსი, ნოეს კიდობანი. ესაუბრებოდა გარდაცვლილებს, ხედავდა ასტრალულ სხეულებს, სულს, უცხო პლანეტებს (6, 81).

ამ მხრივ უჩვეულო მოვლენა იყო ყველა დროის უდიდესი წინასწარმეტყველი ნოსტრადამუსი.

წარსულს, მომავალს ერთნაირად ჭვრეტდნენ დანტე, გოეთე.

ამ ჭრილში საყურადღებოა რილკეს, ათანას ფეტის, ვლადიმერ სოლოვიევის, ალექსანდრ ბლოკის შემოქმედება.

ანალოგიური მონაცემებით იქცევს ყურადღებას დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა–ფშაველას, აკაკი წერეთლის, ტერენტი გრანელის შემოქმედება.

ანრი ბერგსონი განასხვავებდა ცოდნის ორ სახეს: რაციონალურს და ინტუიციურს, ამასთან უფსკრულს არ ხედავდა მათ შორის.

კარლ გუსტავ იუნგის ნააზრევში დიდი ადგილი ეთმობა ინტუიციით მიღებული წინაგრძნობის უნარს და მის მნიშვნელობას ადამიანთა ცხოვრებაში.

ამ პრობლემას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ გიორგი გურჯიევი, რუდოლფ შტაინერი, იოანე დამასკელი, ნეტარი ავგუსტინე.

გრიგოლ რობაქიძე ამ საკითხში ზედმიწევნით იცნობდა როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ მოძღვრებებს. მისი „ჩაკლული სულის“ ერთი მონაკვეთი დასათაურებულია, როგორც „აკაშას ქრონიკა“, რაც გვარწმუნებს, რომ მწერალი უცდომლად ხედავდა არამხოლოდ გამოვლენილ ფაქტებს, არამედ მომავლის ნიშნებს, რომელთა განჭვრეტა–შეცნობა მხოლოდ ერთეულთა ხვედრია: „რაც ხდებოდა, ყველაფერი იწერებოდა, ოღონდ არა ღიად, არამედ საიდუმლოდ, როგორც ინდოელთა აკაშა. იწერებოდა ხეზე, ქვაზე, ძაღლის დინგზე, ადამიანის შუბლზე, მთის ფერდობებზე, ტალღებზე, ხავსზე, მძორზე. საიდუმლოდ ყველაფერი იწერებოდა ყველგან, მაგრამ ვინმეს რომ გაეშიფრა და წაეკითხა ეს იდუმალი ნაწერები, პროტესტის ქარბორბალა ავარდებოდა, დარწმუნებით იტყოდნენ, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა და, რაც უფრო უცნაურია: თვით აღმომჩენი დაუწყებდა თავს დარწმუნებას, რომ ეს ყოველივე მისი გზააბნეული ფანტაზიის წარმოსახვაა“ (7, 117-118).

გალაკტიონი უცდომლად კითხულობდა ქვეცნობიერის ფიქრებს.

გრძნობდა „ახალი სხივის, მისწრაფების, ფიქრის, ოცნების“ მოვლინებას: „... ამოდის ელვარება ახალი სხივის, მისწრაფების, ფიქრის, ოცნების“ (ქალაქთა ბნელთა).

„ფიქრნი ისვრიან უნელებელ ელვათ ტბორებას“ (თვალებით თვალში) ფიქრებთან ფრეგატი, ცისარტყელა და „იმედების ხატი“ ბრწყინავს (წყნარი ზღვა).

ცეცხლით გაალებული ფიქრი ფრთას ისხამს, გულის ცეცხლი ფიქრის ველურ ცხენებს მიაქროლებს. ფიქრი ისრის ფრთით მიფრინავს.

ფიქრი განიცდება, როგორც სინათლე, შადრევანი, ზვავი, ბორანი, მორები, „ხავერდოვან ფიქრებად მიდის ფიქრთა დინება“.

ფიქრი პერსონიფიცირებულია. პოეტი ხედავდა ფიქრებს: „ფერდობებს ფიქრის ღვარი და თქეში“ ასხია, ფიქრში გახვეულა ბნელი დერეფანი, დედამიწას გარინდებულს მოხვევია ფიქრით სამოსი, დაფიქრებულია ცათა უფსკურლი, აზრი, სიზუსტის გამო, საათის ციფერბლატს ჰგავს.

პოეტისთვის ორგანულია „ფიქრით თრობა“.

გალაკტიონს ჯერ გაუმჟღავნებელი, სიჩუმის ხმები ესმოდა: „ვისმენ მიდამოს თავგადასავალს, სიჩუმებში მყოფს, სიჩუმით ნათქვამს“ (ქარიშხლის შემდეგ) (8, 111).

პოეტის ფიქრი არის „საგარიჟრაჟო, საგანთიადო“...

ასევე „ხევში მიმოჰქრის ნელი ნიავი, ნიავი, ფიქრთა ათასი ნავით, ჰკრებს ცის ლაჟვარდი ფიქრთა შადრევანს“...

ფიქრი სუნთქავს, ფიქრი იღვიძებს, ფიქრები უხმოდ კამათობენ, ფიქრი არხევს ოცნების აკვანს, ფიქრები კვდება ნისლში და ქარში, ფიქრი ლურსმანივით ბასრია, საუბარია ფიქრის კისერზე: „და ისევ ისე არხევდა კისერს ფიქრი კეთილზე, ფიქრი ბოროტზე“...

„სინამდვილეზე უფრო ძლიერი ფიქრი“ სინათლეს არხევს, გენიოსის ფიქრს ხელეწიფება „დღეთა ჩვენთა შემობრუნება“, ბინდის გაფანტვა, „ველური ფიქრის ბასრი ბრჭყალები“ კი გულს საშინელებით ავსებს.

ფიქრი ფრთამომსხვრეულია, ფიქრი უგულო და მანკიერია, საუბარია ფიქრთა მტვერზე, ფიქრთა ნისლზე, ჯვარედინ ფიქრზე.

„რჩეული ფიქრი“ საკაცობრიო მასშტაბებს იძენს, ფიქრთა ოკეანე დაფნით მშვენდება, ფიქრებს ჩადრი ახურავს. პოეტს ახვევია „რჩეულ ფიქრთა ჯარი“, „იდუმალ ფიქრთა ჯაჭვაწყვეტილი“. „ფიქრების ვალსი“ მიგვანიშნებს, რომ პოეტის ფიქრი ქვეცნობიერიდან, მუსიკიდან იბადება (არსებობის გული).

უნიკალური სმენის პოეტს ფიქრის ფორმით შემოსვის იდუმალი პროცესი ესმის: „აშრიალდება ფიქრთა სამოსი“.

საუბარია „ფიქრთ შემფარავ კარავზე, აწამებს მწყურვალებითა ფიქრი ობობა“, იპყრობს „ფიქრი ნათელ ფრენის“.

ფიქრი ხან ტაძრად შენდება, ხან ჩამავალ მზეს აედევნება, ხან მტვრად და ნაცრად იქცევა.

ზოგჯერ სახეზეა „მწარე გათიშვა ფიქრთა და სინამდვილეს შორის“, ხან „ცეცხლად ღელავენ ნაპერწკლები მშობლიურ აზრთა“ (არაგვის ქარი) (8, 639).

ტერენტი გრანელთან ფიქრი შრიალებს, ცრემლი შრიალებს.

ნიკო სამადაშვილი იყო ნათელმხილველი, ნათელმსმენი, ასტრალური მოგზაურობის უნარით მომადლებული. ხედავდა სხვა ზეცას, ცათა ცას. ის იყო „მისტერიების ჟამთა მფლობელი“.

ქარში კითხულობდა აზრებს: „საზარელ ამბებს ყვიროდა ქარი“ (სასუფეველში რეკდნენ დიდ ზარებს“ (9, 104).

პოეტს ესმოდა ხის მოთქმა – ქვითინი, შორეული, ბნელი გრიგალების ხმა: „ხე შრიალებდა, ხე მოთქვამდა, ხე ქვითინებდა და შორს ფეხის ხმა მოისმოდა ბნელ გრიგალების“ (ხე შრიალებდა, ხე მოთქვამდა, ხე ქვითინებდა) (9, 105).

„ფიქრების ჩრდილს“ ხედავდა: „შენი ფიქრების ჩრდილთა გოგმანი მტრედის სიზმრებში მომიპარია“ (ხე ეკლესიის მათხოვარს ჰგავდა) (10, 114).

„ჭეშმარიტება სიტყვებს ჩრდილივით მოჰყვება... შეუმჩნეველი ჩრდილები, სიტყვებს რომ მოჰყვება, ცნობიერდებიან“, წერს რაჯნეში (3, 260).

პოეტი ქვებზე სხვათათვის დაუნახავ ავისმომასწავებელ „წარწერას“ ამჩნევდა. „... დაიკარგეო, ქვებზე ელამს ცუდი წარწერა“ (ჩემი დღე) (9, 18-19).

ერთმანეთს ეხმიანებოდა სიზმრები, ლოცვა, ამღვრეული ნათელი და იქვე სისხლიანი დანით დაწერილის გაელვება: „...მბჟუტავ სიზმრებთან ლოცვა წმინდანის და ამღვრეული ნათელი ირგვლივ. იქვე წარწერა სისხლიან დანით: „ჩემს ნაკვალევზე ნუღარ გაივლით“ (მანიას) (9, 16).

პოეტის ნიჭს „კარმიდამოზე დადებულ თრთვილივით“ აღიქვამდა: „შენს კარმიდამოს თრთვილივთ ედოს პოეტის ნიჭი“ (ღია ბარათი) (9, 74).

ლაჟვარდებში ხედავდა დიდ ფიქრთა გუნდებს: „და ლაჟვარდებში შენ დიდ ფიქრთა გუნდნი დაჰქრიან (რაც იყო, იყო) (9, 172).

თითქოს მშობლიური შემოგარენის ქვებიც ინახავს ბარათაშვილის ღაღადს, ყველა ხე – ეკატერინე ჭავჭავაძის ღალატს: „აქ ყველა ხის ქვეშ ჩუმად მარხია ბარათაშვილის გულწრფელი გზების ღაღადი. აქ ყველა ხესაც ეხლაც ასხია ეკატერინე ჭავჭავაძის მკუხე ღალატი“ (ჩემი გულთამხილავი) (9, 243).

ლექსში „ლოცულობს ყველა“ (9, 235) აწუხებდა ნოსტალგია ნამდვილ ადამიანებზე და ეიმედებოდა თავისი დარდების აყვავება, ანუ, სატკივრიანი სათქმელის გაუკვდავება: „...კაცს ვერ ვპოვებდი. შენ ამიყვავე ჩემი დარდები და ის წარწერა: „კაცს ვერ ვპოვებდი“.

„მთის კონცხიდან“ „სამყაროს იქით მიმავალ მგზავრებს“ ამჩნევდა (ფერისცვალება) (9, 62).

„ბინდების გაღმა“ „მარადისობის ჩუმ უდაბნოს“ ჭვრეტდა (ფილტვების სიყვითლე) (9, 64).

გარდაცვლილი პოეტის მარადიული სიტყვები ქარში ესმოდა: „....ცხედარი ქარში სიტყვას ამბობდა და ყვავილები მიჰქონდათ ქარებს“ (მარადისობის უარყოფა) (9, 254).

ერთ ლექსში „მთების გადასწვრივ ყვირიან გზები“ (9, 250).

ესმოდა „წლების ზუზუნი“, ღმერთის გაფრენის ხმა, გზების, ქარის ყვირილი, „ათასწლეულების ხმა“ (ალიონამდე) (9, 90).

„გუბე–გუბე“ „განგების ჩრდილი“ ელანდებოდა (თამარის მღვიმე) (9, 68).

მისი ერთი ლირიკული პერსონაჟი „ფიქრების ზვინში“ აცნობიერებდა თავის სათქმელს: „ის ვულკანივით სულ გუგუნებდა და წინ ეფინა ფიქრების ზვინი“ (გახსენება) (9, 188).

ხეხილებზე დავანებულ ფიქრებს, ბედს უკუღმართი დრო ემტერებოდა, სულის ვარდებს ძეძვები ჯაბნიდა: „... იმ ხეხილებზე ყვაოდა ბედი, ბედი, რომელიც ჩაწიხლეს გზებზე, ვიყავი მუდამ მგოსანი – ყბედი და ვაწყდებოდი სულ მუდამ ძეძვებს“ (9, 41).

შეუცნობლობის ნისლი ებურა, ქვებზეც გამანადგურებელ წარწერას კითხულობდა: „ნისლები მოვლენ მთიდან ბუზღუნით, დაიჩოქებენ და დამწყევლიან. დაიკარგეო, ქვებზე ელამს ცუდი წარწერა“ (აღსარება) (9, 18).

ფილოსოფიურ ლექსში „დაჯდება მარტო“ (9, 215) საწუთრის ქინქლებად მიიჩნევდა მავანთ და საფლავებზე შემხმარ ხალხის წუწუნს კითხულობდა: „ჩვენ ქინქლებივით დავტრიალებთ ვერაგ საწუთროს და საფლავებზე შემხმარია ხალხის წუწუნი“.

ნიკო სამადაშვილი „შაირების ჭავლის ლივლივზე“ საუბრობდა, ფიქრის შრიალი ესმოდა: „ტყე აშრიალდა, აშრიალდნენ ჩემი ფიქრები“ (10, 119).

მაცხოვრის უარმყოფელის სახეს „შავგვრემან ფიქრში ამოთხუპნულს“ უწოდებდა: „ეს ის კაცია, მაცხოვრის ხატს როცა ქირდამდა, შავგვრემან ფიქრში მთელი სახე ამოთხუპნული“ (სინათლის მიმოქცევა) (10, 241-242).

მარადისობის ხელდასხმულად მიიჩნევდა უმადური თანამედროვეებისგან უგულებელყოფილ, უსამართლოდ დასჯილ ერეკლე ტატიშვილს: „მარადისობის პაპანაქება შენ მოგიხმობდა უცნაურ მეკვლეს, წუთისოფელი როცა გაქრება, ვიღაც გიპოვნის ბატონ ერეკლეს“ (ერეკლე ტატიშვილს) (9, 17).

ნიკო სამადაშვილი ხაზს უსვამდა ერეკლე ტატიშვილის სიყვარულს ბუდა საკია–მუნისადმი, ნიცშეს ზარატუსტრასადმი, მას წარმოაჩენდა, როგორც ცეცხლთან (საღვთო სახელია) მავედრებელს, მლოცველს, თანამედროვეობისგან, ოფიციოზისგან დაუფასებელს, მისი დაღუპვის დამჩქარებელს და საყვარელი მოძღვრის ბედისწერას თითქოს კარზე დაწერილს ხედავდა: „...შენი ცხოვრება ზარატუსტრას ფერხული იყო, მუხლმოყრილ ცეცხლთან განწირული კაცის ვედრება. კარზე გეწერა: ილოცებს დიდხანს, მაგრამ მაინც დაიღუპება“, აქ დაიბადა, საიქიოში ძლივს დაბერდება“ (ჩემ გივი ერეკლეს ძე ტატიშვილს. ავტოგრაფზე მინაწერი: ჩემ ერეკლე ტატიშვილს) (9, 42)

ასე განჭვრიტა პოეტმა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურებში გზამკვლევი ერეკლე ტატიშვილის თითქოს კარზე დაწერილი ტრაგიკული ბედი...

ლექსში „ბარათი“ (10, 106-107) პოეტური ნიჭი მატერიალიზებულია თრთვილის სახეში: „... შენს კარმიდამოს თრთვილივით ედოს პოეტის ნიჭი“.

პოეტი წარმოჩნდება, როგორც „გრიგალების მძევალი“, „შუაღამის მძეველი“, ხოლო „ძვლებზე ლექსების სარეცხი მოჩანს, თან აფრიალებს... ლექსებს ქარი“ (გამიშვით) (10, 106).

„როცა ქარია და ხეებზე სხედან ლექსები“, ასე უკავშირდება ერთმანეთს შთაგონება და პოეტის სათქმელი (10, 231).

შთამბეჭდავი იდეების გავრცელების არეალი ისევ სიმაღლესთან ასოცირდება: „ჩემი ლექსები ხეზე შეფრინდნენ, მათი ჟივილი სადღა არ ყრია, მთელი მსოფლიო მართლაც ბინდდება, ქვეყანა მხოლოდ ბაყლებს უპყრიათ“ (გადამეყვლიფა გული დარდებით) (10, 154).

ნიკო სამადაშვილის „ფიქრების დიდი ხმელეთი“, „ფიქრების წარღვნა“, „ფიქრების თოში“, „ლექსის ბაჯაღლო“ შეუმჩნეველ–შეუცნობელი იყო ცალთვალა მეფისტოფელის საუკუნეში, მაგრამ პოეტს ეიმედებოდა მომავალი: „...თვალი ვერ მოჰკრეს, ისე შეწყდა ფიქრების წარღვნა და ტალღებიდან აქოჩრილი ქარის პერანგი. ვიღაც მომნახავს, ჩემი ცოდვით ჩაიფერფლება“ (სიმღერები გამოქვაბულიდან) (10, 258).

გალაკტიონი აცხადებდა: „ზეცაზე სწერია ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები“ (ეფემერა).

მარადიულ ცათა ცაში, ღმერთების სამსჯავროზე გამარჯვებული ეგულებოდა „ფერისცვალების“ ავტორს თავისი ცხოვრება და პოეზია: „...გაივლის დრო და დიდი ხნის მერე ღმერთნი იტყვიან, ნიკო გვეწვია, შემოეხვევა ცის უწვდენ მერქანს ჩემი ცხოვრება და პოეზია“ (გაივლის დრო და) (10, 213).

ეს არის ობიექტური განაცხადი.

დამოწმებანი

1. ელენე ბლავატსკაია, საიდუმლო დოქტრინის კომენტარები, მთარგმნელი ვაჟა ნიჟარაძე, თბ. 2011
2. Рамачарка, Основа миросозрения Индийских иогов, Петербург, 1913
3. ბჰაგვან შრი რაჯნეში, ტანტრა, უდიდესი შეცნობა (საუბრები ტილოპას მაჰამუდრას სიმღერაზე), თარგმნა მერაბ ხერგიანმა, „საუნჯე, 1931, №3)
4. Е. Рерих, Мозайка Агни иоги, в двух книгах, книга I, тбилиси, 1990
5. ლაო ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკის, თბ. 1983
6. პანტელეი ზარევი, ვანგა, თბ. 1991
7. გრიგოლ რობაქიძე, ჩაკლული სული, შერისხულნი 15 ტომად, ტ.II, თბ. 1994
8. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
9. ნიკო სამადაშვილი, ფერისცვალება, თბ. 2004
10. ნიკო სამდაშვილი, ქართული პოეზია, თბ. 2010

Ratiani Lali
Professor Doctor Staatlicher
Universitåt Sochumi

Luara Sordia

REINKARNATIONSSTHEORIE IM SCHAFFEN VON ROBAKIDSE GRIGOL

Im Schaffen von Robakidse Grigol ist der Glaube an die Lebensewigkeit und die Unsterblichkeit der Seele zutage getretten.

Der Schriftsteller teilte sich mit der Reinkrationstheorie.

Diese Lehre nimmt ihren Anfang aus der indischen Welt. Sie ist allgemein sowohl für die heidnische oder christliche, als auch für die zahlreichen philosophischen und religiösen Lehren der Welt.

Das Sterben ist nach der Philosophie des Jogas , das Schlafen, das sich mit dem Erwachen endet. Der echte Mensch–das ist seine Seele, die als ein reales Wesen ohne Kőrper existieren kann. Das reale Leben ist das ganze konsequente Glied einer Kette der Reinkration. Unser echtes Ich ist aber die Folge aller früheren Erfahrungen, die/sich aus der vorgängigen Existenz gegeben wird /formiert hatten/.

Ehe der Mensch der Sklave seiner materiellen Wünsche ist, kann er seine irdische Zurückkehr nicht vermeiden/seine Zurückkehr auf die Erde nicht entgehen/entrinnen.

Wenn sich die Seele einer Sache bewusst ist/wenn die Seele erkennen wird, dass die materielle Welt das illusore Teil des realen Daseins darstellt, wenn die groben materiellen Instikten durch die Suche nach

der Wirklichkeit geändert werden, dann wird sich die Seele im heiligen Reich niedergelassen und die neue Geburt nicht benötigt werden.

Die Welt zählt zahlreiche Bereiche und wir werden nur dann mit der Erde nicht gebunden sein, nachdem wir bereit werden in die höhere Gebiete zu übergehen.

Es gibt die Stufen der höchsten Existenz, die uns nach oben führen. Die sich dort niedergelassene/eingerichtete Seelen waren einst die Menschen. Sie haben diese Welt von hier aus wegen ihrer höhen Seele verlassen. Jeder Mensch hatte vielmals gelebt.

Die Seele gewinnt eine neue Tracht, nachdem sie den Körper verlassen hat. Jeder Mensch besitzt drei Körper; physischen, astralen und etherischen. Nach dem Tode des physischen Körpers bleibt das "Ich"im etherischen Körper und dann übergeht es in die astrale Welt.

Der Mensch kommt durch das neue körperliche Gesicht /Gestalt und entsprechend durch neue Aufgabestellung vielmals zur Welt. Sein Schiksalsrad zwingt ihn den Last jeder neuen Reinkration bis dahin/ so lange zu tragen, ehe sich seine Seele bis zum Ende nicht gereinigt und vervollkommnent wird.

Der Tod ist "der größte Übergang", ein Schritt zur vollständigen geistlichen/seelischen Existenz.

Die biologische Existenz ist ein Qual/Leiden. Der Zweck und der Sieg der Seele besteht darin, die Lebensflamme zu löschen und Daseinsrad, eine Kette des wiederholten Zurückkehrens zu stoppen. Der Tod ist aber ein ernster Zustand, als selbst das Leben./Graneli T. "Tod ist mehr als Leben"/

Bchagwan Schri Radschjneschi belehrt uns:"Sie haben viele Geburten und Todesfålle überlebt. Ihre Geburt ist aber in der Wirklichkeit noch nicht geschehen und das wird durch ihre innige Transformation passiert werden."/"Tantra"/ /1,283/

In der westlichen Philosophie haben die Nachfolger Orpheos, Phitagor, Platön, in der påteren Epoche Jum, Kant, Schoppenhauer, Jung die Ideen der Reinkarnation klar erkannt.

Das Leben unterliegt ewiger Erneuerungen. Jeder stirbt für einen zukünftigen Tag und der morgigen Tag wird sich auch erneuert werden. Auf verschiedenen Ebenen , jede Stunde nährt oder entfernt sich der Mensch dem höchsten Berreich." /E. und N. Rerichs"Aum"/ Die seelische Welt ist nur die Veränderung des Bewustseins. Der Mensch besitzt in der seelischen Welt das Bewustsein. Der Tod existiert auch nicht für die jenigen , die sich zum höchsten Jerarchie angehören./ Rudolf Steiner 2,78/

In den Gesätzen von Manu/ÏÏ. J. v.u.Z/ spricht man über die Reinkarnation zehntausendmillioner Körper. Man hielt die Reinkarnation als Strafe für die sünhaften Angelegenheiten, Taten."

Nach den Überlieferungen war Lao-Dsi die Reinkarnation von Gao, Wivekananda hielt sich selbst für Reinkarnation von Schankarnas.

Die Erinnerungentheorie war sowohl im Osten,als auch im Westen sehr beliebt.

Als eine der Bedingungen der Vergőtterung wird in “Bchagawad Gita’ die Erinnerung des Hőchstens betrachtet:”Derjenige, der sich beim Sterben, mit vollem Vertrauen an den aller Hőchsten zu erinnern beginnt, der unbedingt die hőchste Persőnlichtkeit der Gőtter erreicht /4, …8,10/.

In der Philosophie des Jogas unterhält man sich über den ständigen Gedenken, die Jenigen, die sich immer an Krischna erinnern”,

Im Gehirn der Menschen gibt es Millionen Zellen, die die Erinnerungen an die Geschehenisse, Gedanken und Handlungen der Vergangenheit enthalten.

In den Gehirnszellen der vortrefflichen/perfekten Menschen sind die Erinnerungen an alles registriert und gespeichert worden, die das ganze frühere Leben behalten und darüber von der Kindheit her ohne Erkenntnis wissen./5,80,89/

Die Menschen haben die Spuren des vergangenen Lebens, der Vorfahre geerbt, derer Erinnerungsvermőgen in ihren Genealogie kodiert ist…Das Gedächtnis bewahrt die Vergangenheit auch solcher Menschen, die mit ihnen genetisch nicht verbunden sind. Der Standpunkt darüber, daβ wir das Gedächtnis von den Anderen geerbt haben und deswegen wir vieles und darunter die Sprachen wissen. Das ist gut und verspricht uns alles…/6, 240/

Platon entwickelte die Theorie “des geerbten Wissens”, die er als “Erinnerung an die Vergangenheit”nannte./”Menon, Phedon, Phedros/

Platon hatte bei der Entwicklung des vielseitgen Gedankens zehn Etappenstufen, die Hauptmomente ausgesondert, eine von den Theorien die sechte Theorie der Erinnerung war./Menon/

Das orpisch-phytaghorische Prinzip der Seelenunsterblichkeit wird von “Menon”gezeigt , wonach”die Menschenseele unsterblich ist, gebärt sie deswegen vielmals. Sie hat Vieles gesehen und weiβ alles. Die Seele ist Alleswisser/Besserwisser…Suchen, Wissen und Erkennen –das ist die Erinnerung und nicht was Anderes/7, 100/

Durch die Begriffe ausgedrückte jedes Wissen, jede Kenntnis ist “Anamnesi”- die Erinnerung, die von Anfang an, die vor jedem Testament gewonnene Zugehőrigkeit der Seele ist./ Phedoin/

Der Erwerb des Wissens ist nach “Menon” nicht das Erkennen des Neues, sondern das erneuerte Wiedererkennen des schon Bekannten, Die Erwerbung desWissens wird nur auf Grundlage der im Voraus erworbene Kenntnis verwirklicht./7,112/.

Die Menschenseele besitzt im voraus die aprioren Formen des Denkens, die bestimmten allgemeinen Ansätze des Wissens nach der Meinung von Platon, woran sie sich nur erinnert und sie, also in sich selbst findet”/ Menon/7,112/

Die Erinnerung wird in “Menon” und”Phedon” durch Ekennen/durch die Erkenntnis identifiziert, die Begeisterung aber als “”gőttische Begabung” bezeichnet werden.

Die Erwerbung der Kenntnisse ist “die Erinnerung daran, was unsere Seele einst gesehen hatte. Der als Gottesgefährte aus Hass alles vermied, wem man den Namen des Daseinswesens geben und voll von der Glückseeligkeit wahres Wesen vorsehen will…Die Vollständigkeit kann nur der erreichen, wer seine Erinnerungsfähigkeit richtig gebraucht und der sich ständig mit den allerheiligsten Mysterien des hőchsten Vollgeschőpfes vertraut macht..Entfernt von der leeren, verfehlten Wirtschaffung der Menschen und nur auf Gottblickend, halten die Nichtwisser ihn für den Torren und haben mit ihm Spott. Die Armen wissen nicht, daβ er kein Torr, sondern hőchstbegeistert ist”(Menon” 7, 193)

Die Seele ist Alleswisser… Suchen und Ekennen –es sind Erinnerungen und nicht was anders”(7, 135)

Platon gibt zu./bekannt, daβ die Spur solches Wissens bei dem Menschen bleibt, hinterlassen wird, die die Seele während ihrer ewigen Reise bewahrt hatte.

Der Glückseelige Augustin spricht über die Schatzkammer der Felder und Räume seines Gedächtnises, über den Altar der grenzlosen Groβartigkeit,Vortrefflichkeit…“die Erinnerungsvermögen auf den Feldern und in den Räumen…”erfüllt von den zahlreichen Scharzkammern…Dort treffe ich mich selbst auch….

“Groβ ist Herr Gott, diese Kraft des Gedächtnises, übermächtig groβ ist es , das ist der Altar mit umfangreicher Groβartigkeit…Ich bin nicht in der Lage, die Kraft meines Gedächtnises zu verstehen”.(Beichte)(8,3, 10,319)

Charakteristisch für die engelhaften Natur ist nach Dante Aligier die Fähigkeit, sich an die Vergangenheit zu erinnern:”Als folgte der engelhaften Natur die Fähigkeit des Hellsehens, des Vertrauens und die Vergangenheitserinnerung.”(9,141)

Der Autor der historischen Romane, englischer Schriftsteller Jon Grant versank sich während des schöpferischen Prozeβes in den Trance, in den Traumzustand, nannte ihn sein entferntes Gedächtnis und belebte auf diese Weise die Vergangenheit.(6, 217)

In “Göttliche Kömedie” von Dante ist viellmals “Auferstehung der jenseits der Welt stehenden Menschen”, “Erneuerte Seelenumwandlung, “Das Glänzen der Seele in den neuen Formen”, “Verschiedenartige Transmigration der Seelen”erwähnt worden. (9, 325, 331, 238, 14.)

Die ganze indische Philosophie und Religion ist das Streben zur Befreihung von den Fesseln des Schiksals, Lebens, zur Erwerbung der seeligen Freiheit.

Wie sich die Menschen die alte Bekleidung ausziehen und die neue Beschichtung anziehen, ähnlicherweise befreit sich die unsterbliche Seele von dem schäbigen Fleisch und zieht sich das Neue”, auf diese Weise zeigt sich der Glaube der Seelenwanderung nach “Bchagawad Gita”.

Nach dem indischen Glaube ist “die Verdrehung, Entstellung des jetzigen,heutigen Lebens die Folge nur früheren Reinkarnation,Seelenwanderung. Wer im vorherigen Leben etwas nicht ausgab, ist in diesem Leben auf der mit dem tiefen Ozean umringten Erde ihr Haus leer”.(Naladiiar)(10, 52,73)

In der persischen Poesie wird der Tod als Anfang des neuen Lebens betrachtet:”das Sterben ist für mich Verbindung und Bundnis, du sollst vom Grab Abschied nicht nehmen, weil der Grab die Schatzkammer der heiligen Teile und Portiere der Seelenwohnung ist”.(Dschjalal-ed-din Rum, Nach dem Tod) (10, 321)

Der Dichter glaubt, daβ er nach dem Sterben höhere Stufe erreicht.”Es wird die Zeit eintreten und mein menschliches Gesicht wird verfallen und durch die Existenz der Engel werde ich mich beschichtet, bekleidet werden.( )

Im Epistel des Botes Paulus sind genau:”Himmelischer Körper” und ”Irdischer Körper , “Himmlisches Preisen, Rühmen“und “Irdisches Preisen, Rühmen besehen werden.(Ỉ Korinther, 15, 40) (11, 380)

“Chorzschi mthesweli chorzisagan moimkis chrznilebas, cholo sulschi mtesweli sulisagan moimkis saukuno sizozchles”.(Ỉ Korinther 15, 40) (11, 380)

“Itheseba sxeuli mschwinwieri, agsdgeba sulieri sxeuli, aris mschwinwieri sxeuli da aris sulieri sxeuli”(Epistel Paulus, Ỉ Korinther, 15, 44) (11, 381)

“Chrznadma unda scheimosos uxrzneloba da am mokwdawma unda scheimosos ukwdaweba. Maschin agsruldeba sitkwa dazerili: dainthka sikwdili dslewith.

Aha, getkwith thkwen saidumlos: kwelani rodi mowkwdebith, magram kwelani schewizwlebith”. Ỉ Korinther, 35, 51)(11, 381)

Mit der Seelenwanderungstheorie stimmten auch die Rechtgläubige überein.(Die Lehre des

groβen Kabadokierer Vaters Noseli Grigol)

Man kann die Umsiedlungstheorie auch in der Tätigkeit des amerikanischen Dichters Uitmen Uot finden.

In der französischen Poesie gibt es solch einen Glaube:”Ich bin eine zahlreiche Verschidenheit der Zeit, des Tages, des Jahres, ich bin eine zahlreiche Verschiedenheit dieses Lebens, dieses Wortes und der Form”(Pol Eluar, das fünfte Gedicht über die Klarh/(12, 223)

Die gleichen Standpunkte werden sich in den Dichtungen von Solowioski, Alexander Block gezeigt.“ Die Kunst des Sterbens , “Die Vorbereitung für den Tod”-so werden zu diesen Thematen geschaffene Arbeiten genannt. Der symbolische Tod läβt sich uns die Schönheit des tranzendenten Lebens und der sekundenlangen Existenz spüren”.

Die Definition der “künstlichen Realität” verbindet sich nach Robakidse Grigol mit dem Märchen, der Überlieferung, dem Mythos, der unwirklichen, aber der vermutlichen Wirklichkeit., mit dem kossmischen Geheimniss”, mit der Seellenwanderungstheorie. Die Kunstfertigkeit ist eine vermutliche, aber unwirkliche Realität.”Künstliche Wahrhaftigkeit ist mehr mythosbildend und nicht real. Sie ist wie ein Märchen, eine Legende, ein Mythos…Sie ist nicht echt, aber scheinbar, sie ist etwas nicht Existierendes, aber wichtig für das weitere Bestehen. Einen tiefen Gedanken verkündete Schelling, wenn er mythosbildende Wirklichkeit als methaphorische Gegenwart bezeichnete. Iwanow Wjatscheslaw hat einst ganz klug gesagt, als er das Mythos “als kosmisches Geheimnis bezeichnet hatte.”Das Mythos ist etwas wrkliches, etwas Geheimnisvolles: als ob mythische Erlebnisse früher, irgendwo in der irrealen Wirklichkeit vorgekommen wäre und jetzt erinnern wir uns nur daran verwundert. Jawohl, das Mythos- ist die durch die weltweiten Dunkelheit hervorgerufene Melodie, die wir zum ersten Mal hören, aber wir fühlen uns tief, daβ wir diese Melodie schon einst gehört haben und die ganze Welt entfaltet sich als riesieger Wald, dickichter, schwarzer Wald der Welterinnerungen”(Seele der Nation und der Schöpfnung, 13, 310)

Bezeugungen

1. Bchagwan Schri Radschjnesch, Tantra. Das gröβte Erkenntnis (Gespräche übers Lied von Machamudra, übersetzt von Chergiani Merab, “Saundschje’, 1991, №3
2. Steiner Rudolf, Christus während der Mysterie und Christos im XX. Jahrhundert, Tbilissi. 1994.
3. Chrestomatie der Geschichte alter östlichen Völker. Tbilissi. 1990
4. Bchagawad-Gita, Tbilissi. 1983.
5. Ramatscharaka, Grundlagen der **Weltbeschau** indischer Jogis, Petersburg, 1913.
6. Leben nach dem Tode,M. 1990.
7. Platon, Ion, Gröβe Hypia, Menon, Übersetzung aus dem alten Griechischem. Batschana Bregwadse. Tbilissi, 1974.
8. Glückseliger Augustin. “Beichte”, Kalender georgischer Kirche, Tbilissi. 1989.
9. Dante, Göttlicehe Kömedie, übersetzt von Gamsachurdia K. Tbilissi. 1981.
1. 10.Ồstliche Poesie. übersetzt von Tschchenkeli T, Tbilissi. 1981.
10. Neues Testament und Psalmen, 1992.

11. Französische Poeten, Dichter. übersetzt aus dem Franösischem von G.Gegetschkori Tbilissi.1984.
12. Verflüchtete. 15. Bände. Bd. II. Tbilissi. 1964.
13. Robakidse Grigol. Graalis-Verteidiger .übersetzt von Kotrikadse Thamar. Tbilissi. 2012.
14. Bakradse Akaki, Kardu oder das Leben und der Beitrag von Robakidse Grigol. Tbilissi.200316. Berdjaew Nikoloz. Nation und Menschheit. übersetzt von Kiknadse K. Tbilissi. 1993.

ლუარა სორდია, ლალი რატიანი

გარდასხეულების თეორია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში
რეზიუმე

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში ვლინდება სიცოცხლის მარადიულობის, სულის უკვდავების რწმენა.

მწერალი იზიარებდა გარდასხეულების თეორიას, რომელიც საერთოა წარმართული თუ ქრისტიანული მსოფლიოს მრავალი ფილოსოფიური თუ რელიგიური მოძღვრებისთვის და სათავეს იღებს ინდური სამყაროდან.

ამ მოძღვრების მიხედვით, რეალური ცხოვრება არის მთელი თანმიმდევრული რგოლი გარდასხეულებისა, ხოლო ჩვენი ნამდვილი მე არის შედეგი ყველა წინანდელი გამოცდილების, რომელიც მიიღება წინამორბედი არსებობიდან.

ადამიანი მრავალჯერ იბადება დედამიწაზე ახალი სხეულებრივი სახითა და ახალი ამოცანებით. ბედის ბორბალი აიძულებს მას, ყოველი ახალი სხეულებრივი ტვირთი ატაროს მანამ, სანამ მისი სული ბოლომდე არ განიწმინდება და სრულყოფილი არ გახდება.

Luara Sordia, Lali Ratiani

The Theory of Reincarnation in Grigol Robakidze's Creative Work
Summary

In Grigol Robakidze's creative work is revealed the belief in the eternal life and the immortality of the soul.

The writer shared the reincarnation theory, which is common many philosophical or religious teachings of pagan or Christian world and originates from the Indian world.

According to this doctrine, real life is the whole sequential chain reincarnation and our true I is the result of all previous experiences that have been taken from the precedent existence.

Man is born many times in the new body and new tasks on earth. The fate wheel forces him to carry every new body burden until his soul will not be cleaned up and be perfect till the end.

მანანა კვატაია

გრიგოლ რობაქიძის "მუსოლინი"

ამ უბრალო წარმომავლობის ამბიციურმა იტალიელმა საკუთარი მითოსი თავადვე შექმნა. 1920-იან წლებში ევროპაში საბედისწეროდ გაჟღერდა Amor fati-ით შეპყრობილი ბენიტო მუსოლინის სახელი. ფაშიზმის ამ ერთ-ერთი მამამთავრის ტრიუმფალური აღმასვლა 1922 წლის 25 ოქტომბრის შემდეგ დაიწყო, როდესაც სამხედრო გადატრიალების შედეგად იგი ქვეყნის პრემერ-მინისტრი გახდა. მუსოლინის ზეობა ოც წელზე მეტხანს გაგრძელდა. 1923 წელს ის ევროპაში ცნობილი პიროვნება გახდა, 1926 წლის შემდეგ კი მსოფლიოში გავრცელდა ლეგენდა ყოვლისშემძლე, ბრძენ დუჩეზე, რომლის კულტი იტალიური ფაშიზმის ყველაზე შთამბეჭდავი გამოხატულება გახლდათ.

ზეკაცის ნიცშესეული იდეით შთაგონებული მუსოლინის შესახებ ჰიპერტროფირებულ მითს გულმოდგინედ თხზავდნენ მისი ახლობლები, პარტიული თანამოაზრენი, ჟურნალისტები, მას არისტოტელეს, კანტის, თომა აქვინელის გვერდით აყენებდნენ, განუმეორებელ გენიად თვლიდნენ, რომელიც თვით დანტეზე, მიქელანჯელოზე, ვაშინგტონზე, ლინკოლნზე, ნაპოლეონზე მაღლა იდგა. ქარიზმატული ლიდერის ბიოგრაფიას სკოლებში ასწავლიდნენ, ქვეყანა მისი პორტრეტებით იყო მოფენილი. მუსოლინის ეგზალტირებული, ენერგიული საჯარო გამოსვლები მილიონობით ადამიანს აღაფრთოვანებდა. და მაინც, წლების შემდეგ დიქტატორის ეს არნახული ტრიუმფი სრული კატასტროფით დამთავრდა, რადგან "ის, რაც მუსოლინის ეგოიზმისათვის კარგი იყო, იტალიისათვის დამღუპველი აღმოჩნდა" (სმიტი 1995: 152).

სწორედ ამგვარ, ერთი შეხედვით ლეგენდარულ, წინააღმდეგობრივ პიროვნებაზე 1939 წელს წიგნი დაბეჭდა ემიგრაციაში მყოფმა გრიგოლ რობაქიძემ და ამით, ისევე, 1938 წელს გერმანულ ენაზე "ადოლფ ჰიტლერის" გამოქვეყნებით, მწერალი დიდ რისკზე წავიდა. ამ შემოქმედებითმა გაბედულებამ მის შემდგომ ცხოვრებას საბედისწერო დაღი დაასვა.

გრიგოლ რობაქიძე გერმანიაში ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე დაძაბულ მონაკვეთში აღმოჩნდა. მწერალი ურთულეს ისტორიულ კატაკლიზმათა ეპიცენტრში მოხვდა და, ბუნებრივია, მისი შემოქმედებითი ინტერესის არეალში მოექცნენ იმდროინდელი მსოფლიოს მითიური საჭეთმპყრობელნი: სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი.

ევროპაში უკვე აღიარებული ქართველი მწერლის შემოქმედებითი ტალანტით ჩანს, გერმანიის მმართველობის უმაღლესი წრეებიც დაინტერესდნენ. ვარაუდობენ, რომ "ადოლფ ჰიტლერისა" და "მუსოლინის" დაწერა რობაქიძეს სწორედ მათ დაუკვეთეს (ასეთ შემთხვევაში მას პირადი არჩევანის უფლება ვერც ექნებოდა). ამის საფუძველს გვაძლევს გერმანელი ნიკოლაუს ზომბარტის მოგონებების ერთი ფრაგმენტი: "მწერლის ამ წიგნს (იგულისხმება "ადოლფ ჰიტლერი" — მ.კ.) მოულოდნელი, ჩვენთვის კი არასასურველი წარმატება ჰქონდა. გიობელსმა ეს წიგნი შეიტანა პარტიის მიერ რეკომენდებულ წიგნთა სიაში. გაიყიდა წიგნის ასი-ათასობით ეგზემპლარი. გავიგეთ, რომ გიობელსმა "უცხო მწერალი" პროპაგანდის სამინისტროში მიიწვია და.....მან მიიღო დავალება მსგავსი წიგნი მუსოლინიზე დაეწერა, რაც მან შეასრულა კიდეც. რობაქიძეს რომში აუდიენცია გაუმართეს, ომის დროს კვირეების განმავლობაში ცხოვრობდა კაპრიზე, იტალიის მთავრობის ხარჯზე. აქ მან დაწერა მუსოლინიზე წიგნი. მუსოლინი ყოფილა "მზის კაცი" (Sonnenmensch). ეს წიგნიც შევიდა პარტიის ბიბლიოგრაფიაში. რობაქიძე ამით წელში გაიმართა" (კაკაბაძე 1992: 227).

"ჰიტლერისა" და "მუსოლინის" გამოქვეყნებით გრიგოლ რობაქიძემ ბეწვის ხიდზე გაიარა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი ფაშისტთა ბელადების ბრმა პანეგირიკოსი არ გამხდარა, არც მათი "საგმირო საქმეებით" აღფრთოვანებულა სხვათა მსგავსად. მწერალმა სხვა გზა აირჩია: მან მიზ-

ნად დაისახა შემოქმედებითად, ინტროსპექციის გზით გამოეკვლია ამ ქარიზმატული ლიდერების პიროვნული არსი, მათი სულიერი სამყარო. ამავე დროს, მათი ბიოგრაფიის თუ მოღვაწეობის მთავარი შტრიხების ანალიზით წარმოეჩინა მათი შინაგანი, მისტიკური ხატი. დასკვნების გამოტანის პრეროგატივა ხშირ შემთხვევაში მწერალმა თავად მკითხველს დაუტოვა. საკუთარი პოზიცია, ნამდვილი სათქმელი თხზულებაში რობაქიძემ სიმბოლური, მეტაფორული, ფილოსოფიური თუ მითოლოგიური წიაღსვლებითა და პარალელებით შენიღბა, რომელთა წვდომა ოდენ მომზადებულ, ერუდირებულ, ელიტარულ მკითხველს თუ შეეძლო. აქ კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: ჰიტლერსა და მუსოლინიზე დაწერილი ტექსტები მეორე მსოფლიო ომამდე შეიქმნა და დაიბეჭდა.

იტალიელი ფაშისტების ბელადზე ყველასათვის მისაღები წიგნის დაწერა გრიგოლ რობაქიძისათვის ალბათ იოლი არ იქნებოდა, რადგან თავის ქვეყანაში "მუსოლინი ფაქტობრივად ღმერთთან იყო გათანაბრებული, რომლის ქურუმებად და მორჩილებად სხვა ფაშისტური ლიდერები ითვლებოდნენ" (სმიტი 1995: 148). მასზე უამრავი პანეგირიკული ტექსტი იქმნებოდა. 1925 წელს მარგერიტა სარფატმა ინგლისურად გამოსცა მუსოლინის ბიოგრაფია, რომელიც 1926 წელს იტალიაშიც დაუბეჭდავთ და მსოფლიოს მრავალ ენაზე უთარგმნიათ. უფრო "ოფიციალური" ვერსია ჟურნალისტ ჯორჯო პინის წიგნი იყო, რომლის პათოსზე მისი შემდეგი სიტყვებიც მეტყველებს: "როცა დუჩე სიტყვით გამოდის, მთელი მსოფლიო შიშითა და აღტაცებით ირინდება". ფართოდ გავრცელებულა თვით მუსოლინის "ავტობიოგრაფია", სადაც შედიოდა სხვადასხვა პირის მიერ მასზე დაწერილი მასალები, რომლებიც ფაშისტთა ბელადის ძმას, არნალდოს, ლუიჯი ბარცინის დახმარებით შეუგროვებია. ჩანს, გრიგოლ რობაქიძის "მუსოლინი" ამ წიგნებსაც ეყრდნობა, თუმცა ავტორი მათ პირდაპირ არსად ასახელებს.

მართალია, მუსოლინი ირწმუნებოდა, რომ მისთვის სულ ერთი იყო, რას წერდნენ მასზე უცხოეთში, სინამდვილეში ის პრესაში მის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებს საგულდაგულოდ აკონტროლებდა. "დუჩესთან შეხვედრის შემდეგ ყოველი ადამიანი ამტკიცებდა, რომ ის "ევროპის უდიდესი პიროვნებაა" (სმიტი 1995: 149), - ამგვარი იყო დუჩეს პანეგირიკოსთა პათოსი.

გრიგოლ რობაქიძის სხვა ტექსტებისაგან "მუსოლინი" როგორც კომპოზიციურად, ისე სტილურად გამოირჩევა. ნაწარმოების დიდი მონაკვეთი იტალიაში მოგზაურობის უშუალო შთაბეჭდილებებს ასახავს და ამ ქვეყნის ბუნებისა და საუცხოო სანახების მხატვრულ აღწერას ეძღვნება. გამორჩეულია თხზულების ის ნაწილი, რომელიც მითიურ ატლანტიდას ეხება. ცნობილია, რომ ევროპაში ემიგრირების შემდეგ რობაქიძეს განუმტკიცდა რწმენა ქართველთა ატლანტურ წარმომავლობაზე. არსებობს ინფორმაცია, რომ 1930-იან წლებში მას ატლანტიდაზე რომანიც კი დაუწერია, რომელსაც ბერლინის ლიტერატურულ წრეებში კითხულობდა.

რობაქიძის "მუსოლინის" ტექსტში ჩართულია მითოლოგიური თუ ფილოსოფიური წიაღსვლები, დაფიქსირებულია თავად ავტორის იმდროინდელი განცდები და განწყობილებანი. რა თქმა უნდა, თხზულების ძირითადი ნაწილი მუსოლინის სახის მხატვრულ კვლევას ეძღვნება, რისთვისაც, როგორც ჩანს, ქართველ მწერალს იტალიაში დიდძალი მასალა შეუგროვებია და გადაუმუშავებია. მწერალი კომპლექსურად სწავლობს მუსოლინის სახეს, მისი სრულყოფილი წარმოჩენისათვის საგულდაგულოდ გაიაზრებს ყოველ არსებით დეტალს.

რობაქიძის "მუსოლინის" პირველ თავს "დედა იტალია" ჰქვია და ის უცნაურად იწყება: კუნძულ კაპრიზე საჰარის უდაბნოდან მოვარდნილი საშინელი ქარი — სიროკო დათარეშობს "ყოველი სულდგმული უთანაზიარო მოუსვენრობას შეუპყრია. ცხოველები ჯიქურ ჩერდებიან ადგილზე, მერე კი, თითქოს მუქარით იზმორებიან და ამთქნარებენ: მათი ყნოსვა აშკარად აწყდება რაღაცას, რაც ამ ყნოსვას, თავის მხრივ, მუქარას უთვლის. თვით ფოთლებიც კი ოცნებებში ჩაძირულან და ისე უჩვეულოდ თრთიან, თითქოს ზედ მჟავა მოუპკურებიათ და ჩანასახშივე ჩაუკლავთო. დაბნეული ადამია-

ნები ერთმანეთს ნაზად შეჰყურებენ და ყოველი მზერა მეორე ადამიანის მზერაში შიშით აირეკლება. უსახური ჩანს თაურსამყაროს ცინცხალი სხივისაგან განძარცული კუნძული. ქარი სუნთქვას აძნელებს. სევდა მიპყრობს და ვგრძნობ, როგორ დამძიმებული მაქვს გული" (რობაქიძე 2012: 3).

როგორც ვხედავთ, "მუსოლინის" დასაწყისი საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. ამ სტრიქონებში, შესაძლოა, იმ დროს მსოფლიოს დამუქრებული მიხაკისფერი ჭირის მოახლოებული საფრთხის მწერლისეული ალეგორიული აღქმაც იგულისხმებოდეს, რაზეც, ბუნებრივია, თხზულებაში ის პირდაპირ ვერ მიუთითებდა.

აღსანიშნავია, რომ ამ წიგნში ავტორი მუსოლინის პიროვნებას საკმაოდ თავისუფლად ეპყრობა. იგი არ ერიდება დუჩეს როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეების წარმოჩენას. რობაქიძე ეხება მომავალი ბელადის დაბადებას, ბავშვობის წლებს, მის გარეგნობასა და თვისებებს, თუმცა არაფერს ამბობს მუსოლინის "ისტორიულ დამსახურებებზე", "მსოფლიო მისიაზე" და ა.შ. მწერალი არ ღალატობს თავის შემოქმედებით მრწამსს. მისთვის "ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი უფრო მითოლოგიური პერსონაჟები იყვნენ, ვიდრე მეოცე საუკუნის რეალური ადამიანები" (ბაქრაძე 2004: 178).

მეტიც, ვფიქრობთ, ამ თხზულებაში მუსოლინის შესახებ არსებული მითის დესაკრალიზებაც კი ხდება, როდესაც მწერალი ძლევამოსილი ბელადის არც თუ საამაყო თვისებებზე ჩერდება. კერძოდ, დახშული სივრცის მიმართ მისეული შიში ირონიასაც კი იწვევს. წიგნში ჩართულია ფრაგმენტი მარგერიტა სარფატის მოგონებიდან, სადაც გადმოცემულია მუსოლინის აფორიაქება მილანის ბაღის ჩაკეტვის გამო. მეტიც, ამავე მიზეზით ის თურმე სამხედრო ბრძანებას არღვევდა და სანგარში, ან თავშესაფარში არ შედიოდა, არც კაპრიზე ყოფილა ლეგენდარული მღვიმის მოსანახულებლად, გვირაბში მატარებლის შესვლისას მას სახე ეღუშებოდა. "ეს არის უჰაეროდ სიკვდილის შიში; თანდაყოლილი შიში მზიურნიშნეული ადამიანისა", - უთითებს მწერალი და მუსოლინის ამ ფობიას მისი თერთმეტგზის პატიმრობით ხსნის.

თხზულების ტექსტში შეტანილია ასევე არც მთლად სასახელო ეპიზოდი ბელადის ცხოვრებიდან: ის ძალზე შეუშინებია ნაჩუქარ ფარაონის მუმიას, რადგან გაზეთებიდან შეუტყვია, რომ ტუტანჰამონის მუმიის აღმომჩენი ლორდი რომელიღაც მწერს სასიკვდილოდ დაუკბენია. ამგვარი დეტალები მუსოლინის რეალურ, ადამიანურ სახეს აჩვენებს. ამავე დროს, რობაქიძის "მუსოლინი" მთავარი გმირის ზეადამიანური ამტანობისა და გამძლეობის მაგალითებსაც აჩვენებს. ვფიქრობთ, ამგვარი ფრაგმენტებით მწერალი ხაზს უსვამს მის წინააღმდეგობრივ, რადიკალურად პოლარიზებულ ბუნებას, რაშიც ის საფრთხესაც ხედავს, თუმცა ამაზე მინიშნება ტექსტში ხშირად სიმბოლოთა მეშვეობით ხდება.

"ადამიანის პიროვნებას ვერც შექმნი და ვერც წარსულში დააბრუნებ. ბურუსითაა მოცული, თუ როგორ "შეიქმნა" იგი ღვთიური თაურხატებისაგან. შეიძლებოდა მხოლოდ გვეცადა და გამოგვეკვლია, როგორ "იშვა" იგი სივრცესა და დროში", - წერს თხზულებაში გრიგოლ რობაქიძე და მუსოლინის ადამიანური მხარეების კვლევას მისი დაბადებიდან იწყებს. აქ მას თავისი გმირის სიტყვები ახსენდება: ჩემი დაბადებისას "მზე ლომის ნიშანში უკვე რვა დღის შესული იყო". თავის მხრივ, მზისა და ლომის პლანეტარულ-რუნული ნიშანი გმირის სიძლიერისა და პიროვნული შტრიხების განმსაზღვრელიც გამხდარა. მზის სიმბოლიკა ჰეროიკულ საწყისს განასახიერებს, ლომის სახეში კი პერსონიფიცირებულია მზის ცხოველმყოფელი ძალა, სიმამაცე, შეუპოვრობა, ტრიუმფი, მაგრამ, ამავე დროს, მას სისასტიკე და მძვინვარებაც ახასიათებს. მასში გაერთიანებულია შექმნისა და ნგრევის მისტერია (ენციკლოპედია 2006: 125)

რობაქიძის მითითებით, ფაშისტების მომავალი ბელადი მდინარე პოს ვრცელ დაბლობში, ალპებს, ადრიატიკასა და აპენინებს შორის მდებარე რომანიაში მოვლენია ამ ქვეყანას, იქ, სადაც ვულ-

კანური ნიადაგი ადამიანს ამოუცნობი მშფოთვარებით ამაგნიტებს. “ნიადაგი ნოყიერია, მაგრამ აქ დაუოკებელი ადამიანები ცხოვრობენ”, - უთქვამს კარდინალის ერთ-ერთ ლეგატს. ეს თვისებები ჭარბად ახასიათებდა მჭედლის ოჯახში დაბადებულ “ელვითშეპყრობილ” დუჩეს. რობაქიძე მის მკაცრ, გაუხარელ ბავშვობასაც იხსენებს: პატარა ბიჭი მამას სამჭედლოში უნდა დახმარებოდა, თანაც ისე, რომ უფლება არ ჰქონდა, თვალები ცეცხლის ნაპერწკლებისაგან დაეცვა. ამ დროს პატარა ბენიტო მჭედლის სახელოსნოში ფოლადივით იწრთობოდა, ნელ-ნელა თავადაც რკინის თვისებებს იძენდა, - დასძენს მწერალი.

თავისივე მოგონებების მიხედვით, მუსოლინი მოუსვენარი და ონავარი ბავშვი ყოფილა, სახლში თავგაჩეხილიც ხშირად დაბრუნებულა, “მაგრამ შურისძიებაც მშვენივრად შემეძლო. მომთაბარის ინსტინქტი მქონდა, დილიდან საღამომდე მდინარის ნაპირზე დავრბოდი, ხილს ვიპარავდი და ჩიტის ბუდეებს ვანადგურებდი’, - იგონებდა მოგვიანებით დუჩე. გრ. რობაქიძეს ეს ფრაგმენტიც შეტანია თავის თხზულებაში, რითაც მუსოლინის გამძლეობას, მოხეტიალე, დაუნდობელ, შურისმაძიებელ ბუნებასაც უსვამს ხაზს.

მამასთან პატარა ბენიტოს დამოკიდებულების საჩვენებლად წიგნში ჩართულია მასთან ერთად სურნელოვანი ღვინის მომზადების ამსახველი ფრაგმენტი, საიდანაც ჩანს, რომ წინაპართა ტრადიციებს მუსოლინის ბავშვობაში მამა აზიარებდა. ძმა არნალდო 1931 წელს გარდაცვლილა, რაც დუჩეს ძალზე განუცდია (ძმის ხსოვნისადმი მას წიგნიც მიუძღვნია). გრიგოლ რობაქიძე მკითხველს აცნობს იდუმალებით მოცულ ჯოვანას, ახალგაზრდა ბენიტოს მეგობარ მოხუც, გრძნეულ ქალს, წარსულის აწმყოში გამოხმობის საიდუმლოს რომ ფლობდა.

ლაკონურად, მაგრამ ექსპრესიულად გადმოსცემს გრიგოლ რობაქიძე მუსოლინის გარეგნულ შტრიხებს (ამ თავს “ქვაშიშობილი” ჰქვია). ქარიზმატული ბელადი მწერალს თავისივე “მცველნი გრალისას” გმირს ახსენებს. ორივე მათგანი მას მინდორზე უჩვეულოდ მშვიდად დაგდებულ მეტეორის ნამსხვრევს აგონებს, რომელშიც ცეცხლი მთლიანად უკვალოდ ჩამქრალა, თუმცა ყოველ წამს შესაძლოა, ქვის შავი ნამსხვრევი უეცრად კვლავ ცეცხლის ენებად აინთოს. დუჩეს სხვა გარეგნული დეტალები მისი გმირისას ემთხვევა: უზარმაზარი მუქი თვალები რვალივით ელავს, ბინდ-ბუნდში მათ მუქცისფერიც ერევა. თვალებში სევდაა, მაშინ, როდესაც ტუჩის კუთხეები მხნეობას გამოხატავს. გარეგნულად თითქოს მშრალია, მაგრამ, სახეზე ღიმილი თუ ეფინება, მისი გულის სირბილესაც გრძნობ (ვფიქრობთ, მუსოლინის პიროვნული დუალიზმი აქაც იკვეთება). “მიუხედავად ამისა, ისეთი გრძნობა გქონდა, ეს-ესაა ცეცხლს ამოაფრქვევსო; სადაც არ უნდა გამოჩენილიყო, ყველგან სახიფათო დაძაბულობის ველს ქმნიდა, და ეს ველი თავად მისთვისაც და გარშემომყოფთათვისაც საშიში ხდებოდა". ამგვარი იყო “მცველნი გრალისას” გმირი, იმავე შთაბეჭდილებას ახდენდა მწერალზე მუსოლინი. არ შეიძლება არ გაგვაოცოს რობაქიძის გაბედულებამ: ამ პირქუში პიროვნებიდან მომდინარე საფრთხეზე ის პირდაპირ მიანიშნებს.

მუსოლინის ფოტოსურათების თვალიერებისას მწერალს კვლავ თავისივე რომანის ზემოხსენებული გმირი ახსენდება. “იგივე მშფოთვარება სიმშვიდის ქვეშ, ცეცხლოვან მგზნებარებასთან გაჯერებული იგივე პირქუშობა, საწვავ მასალად გამოყენებული იგივე ცხელი და მშრალი ნივთიერება და, ისეთივე სახიფათო ველის შექმნა საკუთარი თავის გარშემო.”

მწერალი იტალიელი დიქტატორის სხვა თვისებებსაც ხატოვნად გამოკვეთს: “მზერა მწველ სხივად ქცეულა და თითქოს მატერიალურად განჭოლავს საგნებს; ასე გგონია, თავისი ძლიერი ყბებით რკინასაც კი გაკვნეტსო. ეს კაცი ხიფათს თითქოს ანდე-გუმანით გრძნობს; დიახ, იგი იმ საფრთხესაც კი შეიგრძნობს, როდესაც, თავდასხმის დროს, მოწინააღმდეგის მოსახრჩობად შემზადებული, თავდაპირველ, ალბათ მხოლოდ იდუმალ სურვილს აყოლილი, ცდილობს მის კისერზე სიკვდილის ქა-

მანდი გამოსდოს. რა არის ეს, ციდან ჩამოვარდნილი დემონი?" ვფიქრობთ, ამ სტრიქონების გაბედულება ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

თხზულების გმირზე სრული შთაბეჭდილების შესაქმნელად მწერალს დოკუმენტური კინემატოგრაფიული კადრებიც გადაუთვალიერებია (ეს მასალა მაყურებელზე დღესაც შოკისმომგვრელ ზეგავლენას ახდენს). კვირის ქრონიკაში წარმოდგენილი დუჩე მას ტომის ბელადს აგონებს, ეს-ესაა ბრძოლა რომ მოიგო. "მსუბუქად და ლაღად დააბიჯებს და მის სიარულში ნიშან-კვალი არ იგრძნობა ელემენტების "მთლიანობის შინაგანი შემკვრივებისა". ერთიმხრივ, მწერლის დაკვირვებით, ეს კაცი ამქვეყნიურ ყოფას სიცოცხლით ავსებს და მასში სიხარული შემოაქვს: ნაცნობებს გაცისკროვნებული სახით ესალმება, დარდიმანდულად იღიმება და ადამიანთა გულებს ინადირებს. "მისი ხელის ჩამორთმევა საჩუქარს ჰგავს; მოძრაობს მკვეთრად და სწრაფად, მაგრამ არა გამალებით, და ამ დროს თითქოს ნაპერწკლებს ყრის." მწერალს დიქტატორი სფერულ ელვას აგონებს, რომელიც, "ვიდრე მას აფეთქების ძალა არ განმუხტავს, ოთახში წრეებს უვლის და არამიწიერად მოთეთრო-მოიისფრო შუქს ასხივებს. მუსოლინის სახეზე ნაპერწკლებს ტკაცა-ტკუცი გაუდით დიუნებზე არეკლილი მზის სხივების მსგავსად, და ამ ნაპერწკლების ნაკვალევი ფილმში განსაკუთრებით ხილული ხდება. უყურებ დუჩეს და ანაზდად ჰერაკლიტეს სიტყვები გახსენდება: "ელვა მართავს სამყაროს"-ო."

აქ რობაქიძე ელვის ნიშნის სიმბოლიკას იხსენებს. ზევსი კიბელეს ჭექა-ქუხილის დროს უკავშირდება. რატომ? — იქნებ იმიტომ, რომ მან ელვა შვას? ელვის დარტყმა გრიგოლ რობაქიძისათვის განსაკუთრებული მოვლენაა. ის ბევრ ადამიანს საკუთარ თავზეც გამოუცდია, თუმცა შედეგი სხვადასხვაა: "ზოგს იგი სასიკვდილოდ დასცემს ხოლმე, ზოგიც, შემთხვევისა და მტკიცე თვითდისციპლინის წყალობით, უძლებს ამ დარტყმას; და მისთვის, ვინც ამას გადაურჩება, ელვა უჩვეულო ძალად გადაიქცევა." გრ რობაქიძეს მოყავს მაგალითი დოსტოევსკისა, რომელიც სიკვდილით დასჯის წინ შეიწყალეს. "სიკვდილის წამთან შეხებამ კი შემოქმედებითად აღაზევა იგი". მსგავსი შეგრძნება აქვს რობაქიძეს მუსოლინისთან მიმართებაში: მას რომ უყურებ, გგონია, მან საკუთარ თავზე გამოსცადა ელვის ეს გამანადგურებელი დარტყმაო. ელვადაკრული ახლა ელვითშეპყრობილად იქცა და ელვა, დაპირისპირებულ ძალთა თანხვედრის ეს წერტილი, მწერლის აზრით, მისი სტიქიონია. სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს დუჩეს არსების უჩვეულო პოლარიზება, - ფიქრობს იგი.

სიმბოლოთა ენციკლოპედიის მიხედვით, ელვა ღვთაებრივი ამოძახილია, მოწიწებასა და შიშს რომ ბადებს. ეს ამბივალენტური სიმბოლო საწინააღმდეგო მიმართულების მქონე ვერტიკალს განასახიერებს, ის "ითავსებდა შექმნასაც და განადგურების პოლარულ საწყისებს" (ენციკლოპედია 2007: 149).

ვფიქრობთ, მრავლისმთქმელია თხზულების ის მონაკვეთი, რომელიც ბუკნაოჭებით მუსოლინის გატაცებას გადმოგვცემს. მათ დიქტატორი ყოველწლიურად, განსაზღვრულ დროს, ერთ-ერთი ხიდის თაღებქვეშ წებოწასმული წკეპლით თავადვე იჭერდა, შემდეგ ერთი ბარტყი სახლში მიჰყავდა, საწოლთან, პატარა სკამზე სვამდა და, ღამღამობით გაღვიძებულს, ფრინველის მრგვალი, ყვითელი თვალების ხილვა ამშვიდებდა: "ეს თვალები მომჩერებოდნენ და მდარაჯობდნენ", - წერდა ის.

მწერალი განმარტავს, რომ ამ პატარა ბუს ხალხი ხან სიბრძნის, ხანაც უბედურების სიმბოლოდ აღიქვამს (თავად რობაქიძეს ის პალიმფსესტსაც აგონებს). ღამით, მარტოდმარტოდ სვლისას, ბუს კივილის უეცარი გაგონებისას "შენთვის დრო და სივრცე აღარ არსებობს.. სწორედ მაშინ დგება ის წუთი, როდესაც საკუთარი სულის ჭვრეტას იწყებ". მაგრამ, "თუ ბუს ძახილს გაფრთხილებად არ შეისმენ, მაშასადამე, უბედურებასთან შეხვედრას ელტვი." რობაქიძისათვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბუ ღამის წყვდიადში ჩაბუდებული ვირთხაა, რომელიც ერთდროულად რეალურსაც განასახიერებს და მოჩვენებითსაც, ყველასათვის ახლობელიცაა და შორეულიც, იდუმალიც და ბოროტიც. ის, როგორც სიმბოლო, ცხოვრების რიტმში იმ მოფარფატე ცეზურას ქმნის, როდესაც ორი ურთიერთდაპი-

რისპირებული ნაკადი ჯერ გამოეყოფა ერთმანეთს, მერე კი კვლავ აღადგენს წონასწორობას და ისევ შეერთდება. მწერლის მითითებით, ამ ცეზურის შესახებ ყველაზე უკეთ ძველმა ეგვიპტელებმა იცოდნენ, რომლებიც ვირთხას წმინდა ცხოველად თვლიდნენ. ისინი ჰყვარებია მუსოლინის, რომელიც თავადაც გამუდმებით იდგა ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის და სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა. თხზულებაში ვკითხულობთ: "მისი არსება მიილტვოდა არსებობის დამცავი ცეზურისკენ და ეს უკანასკნელი ბუ-ვირთხის სახით შეუმჩნევლად მოევლინებოდა ხოლმე. "მდარაჯობენო", - ეს სიტყვა ქვეცნობიერის მრავლისმთქმელ ფსიქოგრამას წარმოადგენს", - ასე ხსნის ბუ-ვირთხით მუსოლინის გატაცების ენიგმას გრიგოლ რობაქიძე.

სიმბოლოთა ენციკლოპედიის მიხედვით, ბუ გონიერების, გამჭრიახობისა და გონიერების სიმბოლოა, მეორე მხრივ, ის სიკვდილს, სიცივეს, პასიურობას განასახიერებს. ვირთხის სიმბოლიკა უმეტეს შემთხვევაში ასოცირებულია მიწისქვეშეთთან, ავადმყოფობასთან, სიკვდილთან, უწმინდურებასთან, თუმცა სამხრეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში მას წმინდა ცხოველადაც თვლიან. ბუსა და ვირთხის სიმბოლოებიც ამბივალენტურია. ამბივალენტური ბუნებისა იყო მუსოლინიც.

წიგნის იმ თავში, რომელსაც "დადით" აღბეჭდილი კაცი" ჰქვია, რობაქიძე არაბულ გამონათქვამს იხსენებს: "თუ ცეცხლს საწვავს არ ჩაუმატებ, იგი თავის თავში შთაინთქმევაო" და დასძენს: "არავის ისე არ სჭირდება საკუთარი შინაგანი ცეცხლის გაღვივება, როგორც მზით ხელდასმულ ადამიანს, ამიტომაც იგი გამუდმებით და მიზანდასახულად უნდა ცდილობდეს, ცეცხლს საწვავი არ მოაკლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ცეცხლის წყაროსა და საწვავს შორის შეიქმნება ვაკუუმი, რომელიც, შეიძლება, ბევრად უფრო შემმუსვრელი გამოდგეს, ვიდრე "შინაგანი შემკვრივება". ეს კი თვითდაფერფლვის ტოლფასია. მწერლის დაკვირვებით, მუსოლინი ქვეცნობიერად ცდილობს, თავიდან აიცილოს ეს საფრთხე და საკუთარი ქმედითობისათვის საჭირო საწვავს გამუდმებით ცვლის. ამით ხსნის რობაქიძე ფაშისტების ლიდერის მრავალმხრივ საქმიანობას: ეს ადამიანი მხოლოდ სახელმწიფო მოღვაწე არ არის - ის ვიოლინოზე იმპროვიზაციებს ასრულებს, დრამებს, ნოველებს, კრიტიკულ წერილებსა და მოგონებებს წერს, მოტოციკლეტსაც აწყობს და მანქანასაც მართავს. როგორც დიპლომირებულ მფრინავს, მას უამრავი ფრენა აქვს შესრულებული, ვაჟთან ერთად თხილამურებზეც დადის, კარგი მოფარიკავეა, შუადღისას ცხენითაც ჯირითობს, სალაშქროდ მთებსაც ეწვევა ხოლმე. მწერლის ინტენციით, საქმიანობის ამგვარი მრავალმხრივი მონაცვლეობა მის პიროვნულ შინაგან, თვალითუხილავ ორთაბრძოლას საწვავით ამარაგებს.

"მოუსვენრობა სიმშვიდის მიღმა", - ამ თვისებასაც ხედავს რობაქიძე მუსოლინის არსებაში და შენიშნავს, რომ რაც უფრო მეტს მოძრაობს იგი, მით უფრო მშვიდია. "ეს არის უცვლელად დარჩენა იმის შუაგულში, სადაც არსებობს ღირსება; მაგრამ ადამიანები ამ შუაგულში იშვიათად ჰგიებენ", - ამბობს ჩინური სიბრძნე. აქ მწერალს პოლ ვალერი ახსენდება, რომელმაც თავის ერთ-ერთ ლექსში გამოძერწილ სურათ-ხატს "ატომის დუმილი" უწოდა, რაც ატომის ბირთვში იმ სიმშვიდის არსებობას გვაუწყებს, რომელიც, შესაძლოა, ქარტეხილისთვის ემზადება. რობაქიძის აზრით, შუაგულში უცვლელად დარჩენა ადამიანს ღვთიურობის ხარისხში აღავლენს და სიმტკიცეს ანიჭებს. უძველესი გადმოცემების თანახმად, იულიუს ევოლა ამ მოვლენას "დადს" უწოდებსო (აქ მწერალს ახსენდება ქართული წარჩინებული გვარი დადიანი=დადით შეპყრობილს). .

ამ კონცეპტის ასახსნელად რობაქიძეს მოაქვს გოეთეს მიერ ეკერმანისათვის ნაპოლეონის შესახებ ნათქვამი სიტყვები: მისი სიძლიერე იმაშია, რომ ის ყოველ წამს ერთი და იგივე რჩებაო. მსგავსი სიმტკიცე ("დად") თურმე წმინდანებს ახასიათებს. თხზულებაში დამოწმებულია ერთი თქმულება მუსოლინიზე: თითქოს მას დუელამდე ცოტა ხნით ადრე და დუელის ცოტა ხნის შემდეგ თანაბრად მიმდინარე გულისცემა ჰქონდა (მწერალი ამას "დადისაგან" მომავალ ძლიერებად მიიჩნევს).

“დადის” ენიგმის ასახსნელად გრიგოლ რობაქიძე მიმართავს ჩინური წიგნის “ოქროს ყვავილის საიდუმლოს” სიბრძნეს: “wei-wu-wei”-ს (=ქმედებაში არაქმედება, ანუ კეთება კეთების გარეშე). ამას, მისი მითითებით, უძრავი ცენტრის არსებობა განაპირობებს. მწერალი განმარტავს: ქმედებაში არაქმედება ნიშნავს: წამიერ ქმედებას (საქმიანობას) საკუთარი თავის არა მთლად გასაცემად, უფრო მეტად, მასში უკან, საკუთარ თაურსაწყისთან შესაზრდელად. მუსოლინის ცხოვრების სინკოპე შემოქმედს ამ “wei-wu-wei”-ს ახსენებს: იგი მუდამ ისე მოქმედებს, თითქოს შინაგანად რაღაც უსასრულოდ გადაშლილ “უსასრულო ცენტრს” აღვიძებდეს, განცდილი ცხოვრება კი მას მარადიულობაში სრულად დაბრუნებულ დროის ხანგრძლივობად ესახება. ეს დასკვნა რობაქიძეს მუსოლინის ნააზრევის ანალიზის შედეგად გამოაქვს.

“მუსოლინის” იმ თავში, რომელსაც “ატლანტიდიდან მონაბერი სიო” ჰქვია, გრიგოლ რობაქიძე მკითხველს ახსენებს პლატონის საოცარ მონათხრობს მითიურ ატლანტიდაზე, რომლის ტაძარს ოქროსა და სპილენძის მადნის განსაკუთრებული ფერი ამშვენებდა. მისი მეფეები, “ლიბიის შიდა ზღვის ქვეყნებიდან მოყოლებული, ეგვიპტეზე, ევროპაზე და ტირენიზეც” ბატონობდნენ. მწერლის ინფორმაციით, ატლანტის ოკეანის სიღრმეში უპოვიათ უცნობი ლითონისაგან ჩამოსხმული დაფა “ატლანტიდის კანონთა სჯული”, რომელზეც რვაქიმიანი ჯვარია ამოტვიფრული, მეცნიერების მიერ ამოკითხული საოცარი წარწერა კი გვამცნობს: “ღვთის ძე ადამიანებისათვის მოკვდაო”. განა ეს ღმერთის თავგანწირულობაზე არ მიგვანიშნებს?” — კითხულობს მწერალი. საყურადღებოა მისი აზრი: “პლატონს სურს დაფარულად მიგვანიშნოს იმაზე, რომ ადამიანი ორი შესაქმეს მებოძირზე დგას: საკუთრივ ადამიანურისა და ღვთაებრივისა; ამ კვეთის არსებობა ადამიანს ყოველ წუთს უნდა ახსოვდეს.. როდესაც ატლანტიდის მცხოვრებლებმა ადამიანურს მიანიჭეს უპირატესობა, მათ არსებაში ამ ზღვრულ კვეთს საფრთხე დაემუქრა: მათ დაკარგეს არსებულ მდგომარეობაში ყოფნის უნარი და გადაგვარდნენ”.

ატლანტთა შთამომავლად აღიქვამს მწერალი ღვთაებრივ მიქელანჯელოს, რომელიც თითქოს ათასწლეულების წინ გაუჩინარებული ამ უცხო სივრციდან კვლავ მოევლინა ამ ქვეყანას. სწორედ ამ ატლანტიდური ნიშნით გამოირჩევა მუსოლინი, - შენიშნავს რობაქიძე და ამგვარი რეცეფცია შემთხვევითი არ არის.

ცნობილია, რომ ფაშისტებმა თავიანთი რასიული მისტიკა შექმნეს და საკუთარ აგრესიულ მიზნებს დაუქვემდებარეს. მათ გამოიყენეს თეოსოფიური მოძღვრება შვიდი მარადიული რასის (ან ეპოქის) შესახებ, რომელთაგან ადამიანის წარმოსახვა მხოლოდ სამს წვდება: ლემურელების, ატლანტების და არიელებისას (ეს რუდოლფ შტაინერის “აკაშის ქრონიკებშიც” გვხვდება). ფაშისტები ამ მისტიკურ სამყაროში თავიანთ სულიერ წინაპრებს ეძებდნენ, იქედანვე მოელოდნენ “დიდი მოგვის” გამოცხადებას. ცნობილ მკვლევარს, მიხეილ კვესელავას მოყავს რაუშნინგის სიტყვები: “არსებითად ყოველ გერმანელს ცალი ფეხი ატლანტიდაში უდგას. იქ ეძებს იგი უკეთეს ბედს და მემკვიდრეობას. ეს გერმანული ორგვარობა, თვითგაყოფის უნარი — იცხოვროს რეალურ სამყაროში და, ამას გარდა, დარჩეს წარმოსახულ ქვეყანაში, განსაკუთრებით ნათლად ჩანს ჰიტლერის პიროვნებაში” (კვესელავა 1991: 184). როგორც ვხედავთ, ატლანტიდა ფაშისტთათვის მითიური აღთქმული ქვეყანაც გახლდათ.

შვიდი მარადიული რასის თეორიის მიხედვით, მესამე რასის, ლემურელების, შემდეგ ატლანტების ეპოქა დამდგარა. არსებობს ვარაუდი, რომ ოდესღაც ევროპასა და ამერიკას შორის ოკეანის ნაცვლად უძველესი ცივილიზაციის ქვეყანა, ატლანტიდა არსებობდა, რომელიც 10 ათასი წლის წინ ოკეანემ შთანთქა. ხოლო ატლანტები, ლემურელთა მსგავსად, თანამედროვე ადამიანებისაგან როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად ძალზე განსხვავდებოდნენ (ატლანტიდის გამოცანას კაცობრიობა

მრავალი საუკუნის მანძილზე იკვლევდა. ამ მითიური ქვეყნის სავარაუდო ადგილმდებარეობის გამოც აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა იყო).

გრიგოლ რობაქიძე ამ ჩაძირული კუნძულის უკანასკნელ სუნთქვას ტირენის ზღვის სანაპიროზე, მზის გამჭვირვალე ნისლში შეიგრძნობს. აქ უზენაესი ძალაუფლება ატლასის, ანუ ღმერთის პირმშოს, მოდგმას ეკუთვნოდა.

ატლანტიდელთა არსის შემეცნებისათვსის მწერალი პლატონის ნააზრევს აანალიზებს და დაასკვნის, რომ ატლანტური ნიშნითაა აღბეჭდილი მუსოლინიც. ამის დასტურად მას მოყავს ერთ ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან, როცა მან ერთ ნაცნობ ქალს მის ოჯახში ღამის გათევაზე უარი უთხრა და ღია ცის ქვეშ, ეკლესიის ქვის კიბეზე თავმიდებულმა დაიძინა. "მე ჯარისკაცი ვარ", - უთქვამს მას. რობაქიძე აქ იმ სიფრიფანა წყალგამყოფის შეგრძნების უნარს ხედავს, რომლის გადაბიჯების უფლება ადამიანს არასოდეს აქვს. მწერალი თვლის, რომ ამ საქციელით მუსოლინი თავის ატლანტიდურ ჯიშსაც უფრთხილდება. ამავე დროს, მან იცის, რომ ძალაუფლება ძალაა, მაგრამ ისიც უწყის, სად გადის ამ ძალის ზღვარი.

"რომი ჩვენი მითოსია", - უთქვამს მუსოლინის. ამ მარადიულ ქალაქთან დიქტატორს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონია. "მას ოცნებად ჰქონდა აეშენებინა "მუსოლინის რომი", სრულიად ახალი იერ-სახის ქალაქი, რაც იმპერატორთა და პაპთა თავისებური გამოწვევა იყო. მას სურდა დაეჩრდილა ყველაფერი, რაც ბოლო ორიათასი წლის მანძილზე იყოშექმნილი" (სმიტი 1995: 162). ამ გეგმის მიხედვით, დედაქალაქი დიდი მეტროპოლია უნდა გამხდარიყო, მოსახლეობა ორჯერ უნდა გაზრდილიყო, გაფართოებულიყო მისი საზღვრები. დიქტატორს სურდა დაენგრია "დაცემის პერიოდის" შენობები და ისინი იმპერიის შესაფერი შთამბეჭდავი ნაგებობებით შეეცვალა, რათა ისტორიაში შესულიყო როგორც "დიდი ხუროთმოძღვრის", ისე "დიდი დამანგრევლის" სახელით. მუსოლინი მალე მიმხვდარა, რომ მის ამგვარ ოცნებებს ახდენა არ ეწერა.

"მუსოლინის" ტექსტიდან ჩანს, რომ გრიგოლ რობაქიძეს რომშიც უმოგზაურია. "აქ წარსული კვლავ განაგრძობს სიცოცხლეს", - წერს იგი. მწერალი იხსენებს, რომ მარადიული ქალაქის სახელრქმეული ნიშანი არწივია, რომელსაც მზესთან განსაკუთრებული კავშირი აქვს. არწივის მზერა მზესაა მიჯაჭვული, ის ღია თვალებით უცქერის მნათობს. რომაული გადმოცემის მიხდვით, სიკვდილის შემდეგ კეისართა სულები არწივის სახით ევლინებიან ამ ქვეყანას. "ძველი აღთქმის მიხედვით, არწივს ორსახოვანი სახისმეტყველება აქვს: ერთი მხრივ, ის სიმბოლოა სიამაყის, ქედმაღლობისა და თვითდაჯერებულობის, ხოლო მეორე მხრივ კი — მიწაზე დანარცხებისა და გაქრობის" (ენციკლოპედია 2006: 23). ანტიკურ რომში ის კეისრებისა და მათი ძლევამოსილი ლეგიონების სიმბოლო იყო. ზეცაში არწივი იგივეა, რაც ლომი მიწაზე. მას აგრეთვე ჰქონია "იუპიტერისეული" უნარი მეხის ტყორცნით ყოველივე უწმინდურის განადგურებისა.

თხზულებაში გააზრებულია რომის მეორე სიმბოლო - მგელი. ამ ცხოველის ბრმა, შიშველი და თავაწყვეტილი ძალა არსებითად ცეცხლის ძალის მსგავსია. მგელი ბოროტების, ძალმომრეობის, დემონურ ძალთა სიმბოლოცაა, თუმცა ანტიკურ ეპოქაში ის მხედრულ სიმამაცესა და თავდადებასაც განასახიერებდა. "მგლის მითოლოგიური სიმბოლოს კავშირი ქვენა სამყაროსთან, ბნელეთთან, მკვდართა საუფლოსთან განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა სკანდინავიურ მითში, რომელშიც გიგანტური მგელი — ფერნირი, ქაოსის სიმბოლო, გადაყლაპავს მზეს, რაც ქვეყნის დასასრულს მოასწავებს" (ენციკლოპედია 2006: 138). ამ ლეგენდის გამოძახილი რობაქიძის თხზულებაშიც გვხვდება. მწერალი ფიქრობს, რომ მარადიული ქალაქის ნიშანია: საშუალ არწივისა და მგლისა. არ გამოვრიცხავთ, რომ ის მუსოლინის პიროვნულ ნიშნადაც იგულისხმებოდეს, თუმცა ამაზე ტექსტში პირდაპირ არაფერია ნათქვამი.

არწივი და მგელი — დაჭიმული მშვილდის ეს ორი ლარი, რომში თავად ბედისწერამ ამოტვიფრა, - ხატოვნად წერს მწერალი, ხოლო "მუსოლინი, - ეს თავად დაჭიმული მშვილდი, - ატლანტიდის მბრძანებელთა მსგავსად, ოსტატურად წარმართავს დაპირისპირებულთა მდინარებას. იგი თავისი "დადით" მთლიანად მშვილდის შუაგულში დგება, ძალიან ბევრს და ძალიან ცოტას შორის, ისე, რომ ორივე თანაბრად იჭიმება, ნატყორცნი ისარი კი კვლავ ახერხებს დაპირისპირებულთა გაერთიანებას, როდესაც შეხვედრისას ისინი თანახმოვნებაში მოყავს."....

მუსოლინის სულიერი ხატის სრულყოფისათვის გრიგოლ რობაქიძეს თხზულების დასასრულს მისი ერთი გამონათქვამიც მოყავს. დიქტატორს კერძო საუბარში უთქვამს: "მინდა საკუთარი ნებისყოფის ძალით, ვითარცა ლომის ბრჭყალებით, ამ დროებაში ორნატი ამოვტვიფრო: აი, ასე!" ამ ფრაზის კომენტირებისას რობაქიძე ერთგვარი ირონიით შენიშნავს: "ეს ორმარცვლიანი "ასე", მოკლე პაუზის შემდეგ, ვულკანის ნაპრალიდან აღმომხდარ სუნთქვასავით გაისმის და, მართლაც წარმოიდგენ, როგორ ჩაასობს ლომი ბრჭყალებს თავის ნადავლს".

დიქტატორებზე ნიჭიერად დაწერილი თხზულებები ინტერესით იკითხება. ძალაუფლების ანატომიის მხატვრული კვლევა მომავალი შესაძლო საფრთხეების ერთგვარი პრევენციაცაა, რადგან ყველა დროის მბრძანებლებსა და ბელადებს მრავალი საერთო შტრიხი აქვთ. ამგვარი თხზულებათა რიგშია გრიგოლ რობაქიძის "მუსოლინი", რომელშიც ავტორი წარმოადგენს ჯერ კიდევ დიდების მწვერვალზე მყოფი ქარიზმატული ლიდერის შინაგან ხატს, კომპლექსურად, შემოქმედებითად სწავლობს მის პიროვნებას, აჩვენებს მის რთულ, წინააღმდეგობრივ ბუნებას და, მიუხედავად იმისა, რომ წიგნი იმდროინდელი კონიუნქტურისაგან თავისუფალი არაა, მასში ის საშიშროებაც აშკარად იკვეთება, რასაც ფაშიზმის ერთ-ერთი მამამთავარი უქადდა კაცობრიობას.

დამოწმებანი:

ბაქრაძე 2004: ბაქრაძე ა. *თხზულებანი, ტ. 2.* თბილისი: გამომცემლობა "ნეკერი", 2004.

ენციკლოპედია 2006: აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. *სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, წ. 1.* თბილისი: "ბაკმი", 2006.

ენციკლოპედია 2007: აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. *სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია.* წ. 2. თბილისი: "ბაკმი", 2007.

კაკაბაძე 1992: კაკაბაძე ნ. *გრიგოლ რობაქიძის გერმანული პორტრეტი.* ჟ. ლიტერატურა და ხელოვნება, №5-6. 1992.

კვესელავა 1991: კვესელავა მ. *ასერგასის დღე, ნ. 2.* თბილისი: კოოპერატიული ფირმა "დიდოსტატი", 1991.

რობაქიძე 2012: რობაქიძე გრ. *მუსოლინი* (გერმანული ენიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა). თბილისი: "არტანუჯი", 2012.

სმიტი 1995: დენის მეკ სმიტი. *მუსოლინი.* მოსკოვი: "ინტერ-დაიჯესტ", 1995. რუსულ ენაზე.

ლიანა წურწუმია

XVII საუკუნე ევროპის ხელოვნებაში

XVII საუკუნიდან ევროპულ აზროვნებაში ე.წ. „ახალი დრო“ იწყება, რაც დიდი სოციალური კონფლიქტებითა და ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობით აღინიშნება. გამწვავდა რენესანსიდან დაწყებული წინააღმდეგობა დაღმავალ ფეოდალურ საზოგადოებასა და ახლადფეხადგმულ ბურჟუაზიას შორის. XVII საუკუნემ წინა ეპოქიდან მემკვიდრეობით მიიღო ახლად გაღვიძებული ინტერესი სამყაროსადმი და საბოლოოდ დაასრულა გადასვლა სამყაროს მითოსურ-პოეტურ-ბიბლიური აღქმიდან მისი მეცნიერული შემეცნების ფორმებზე. თუ აღორძინება ადამიანის პიროვნულ სიძლიერეს ქადაგებდა, ახალმა დრომ ადამიანი მხოლოდ გონითი შემეცნების იმედად დატოვა.

XVII საუკუნეს რეფრენად გასდევს ფრენსის ბეკონის სიტყვები: „ცოდნა ძალაა!“ და ჯორდანო ბრუნოს დევიზი: „ერთადერთი ავტორიტეტი შეიძლება იყოს გონება და თავისუფალი კვლევა“. იგი გალილეო გალილეის, კეპლერის, ნიუტონის, ლაიბნიცის, ბეკონის, ჰობსის, ლოკის, დეკარტისა და სპინოზას საუკუნეა. ფილოსოფიაში რენე დეკარტის რაციონალიზმის გამარჯვებამ ახალი მიმართულებები განსაზღვრა მხატვრულ-ესთეტიკურ აზროვნებაშიც: ერთდროულად წარმოშვა ბაროკო და კლასიციზმი — ბაროკო სამყაროზე ირაციონალური, ქაოტურ-დინამიკური ცვლილებების წარმოდგენით, კლასიციზმი კი უფრო მობილიზებული, ოფიციალური იდეოლოგიის შესაბამისი, პათეტიკურად ამაღლებული განწყობილებით.

განსხვავებით რენესანსისაგან, XVII საუკუნის სიახლე იყო ადამიანის სოციალიზაცია, არეკლილი მხატვრულ წარმოსახვაში. თუ რენესანსის ეპოქაში ხელოვანს ბუნებრივი თუ ხელოვნური გარემო ფონად სჭირდებოდა ადამიანის წარმოსაჩენად, ახალი დროის ხელოვნებაში გარემოს დეტალიზება გამძაფრებულია, საზეიმო პორტრეტულობისა და პეიზაჟური ფონის მეშვეობით იკვეთება ადამიანის საზოგადოებრივ გარემოსთან დამოკიდებულების ხასიათი. შემოდის ყოფითი ცხოვრების ამსახველი ჟანრი — ნატურმორტი, იცვლება თემატიკაც — რელიგიური-მითოლოგიური, ბიბლიური სიუჟეტების გვერდით ცხოვრებისეული, რეალური სახეებიც ჩნდება.

თუმცა გვერდი-გვერდ არსებობენ, მაგრამ ბაროკო და კლასიციზმი სრულიად განსხვავებული მხატვრული მიმართულებებია ევროპულ ხელოვნებაში. ბაროკოს სტილი ვნებიანი, მიწიერი ცხოვრების სადიდებელი ჰიმნია. იგი განსაკუთრებით სახვით ხელოვნებასა და არქიტექტურაში ბატონობს: ითხოვს უზარმაზარ მასშტაბებს, ფორმების მონუმენტალობას, პლასტიკური გამომსახველობითი ფიგურებით შენობების დატვირთულობას. სახურავებზე მთელი ტანით წამომართულან ქანდაკებები, კარებისა თუ სარკმლების ჩარჩოები, ჩახლართული ორნამენტიკით დამძიმებული, ძნელია აღსაქმელად. პლასტიკური გამომსახველობა ქანდაკებებში ძლიერი და მოცულობითია, სიმდიდრე და პომპეზურობა, რაც ბაროკოსათვის არსებითია, საზეიმო განწყობილებას ქმნის თავისი აგზნებადობით, ექსპრესიითა და პათეტიკურობით, მაგრამ მეტისმეტი ორნამენტულობა დაძაბულობისა და ნევროზულობის განცდასაც ბადებს. ბაროკოს არქიტექტურისა და ქანდაკების ნერვიული პულსაცია მშფოთვარე ეპოქის სულს გვაგრძნობინებს. თუ რენესანსის ხელოვნება მშვიდი, გაწონასწორებული და ტკბობადია, XVII საუკუნე ნერვიული, დაძაბული და ექსპრესიულია. ეს განსაკუთრებით იტალიაში იგრძნობა, სადაც ბაროკოს სტილი პრიმატობს.

რაც შეეხება კლასიციზმს, რომელიც XVII ს.-ის საფრანგეთში ბატონობს, მის წინაშე იგივე ამოცანები დგას, რაც ბაროკოს წინაშე: აბსოლუტური მონარქიის განდიდება, გაბატონებული კლასის სიმდიდრისა და ძლიერების გამოფენა, ფეოდალურ-კათოლიკური რეაქციისა და დემოკრატიული მასების წინააღმდეგობა, ადამიანისა და სოციუმის ურთიერთგანპირობებულობა. თუმცა, კლასიციზმი ამისათვის სხვა მხატვრულ ფორმებს იყენებს. ბაროკოსათვის დამახასიათებელი დრამატული ეფექტების, ღვლარჭნილი ორნამენტების სიჭარბით ემოციურობის გაძლიერების ნაცვლად, კლასიციზმი დიდებული, სადღესასწაულო ფორმების გონივრულ სიცხადესთან ნაზავს გვთავაზობს არქიტექტურაში საკულტო და საერო ნაგებობებით, პარკების, ქალაქის ანსამბლების შექმნით. სახვით ხელოვნებაში ხაზგასმულია მოქალაქეობრივი მოვალეობა, რაინდულის, გმირულის, ამაღლებული მშვენიერების წარმოჩენა ადამიანის სახეში. ამიტომ პირველობა ეთმობა ფერწერული სურათის ან ქანდაკების იდეურ მხარეს და არა ფერ-კოლორიტს. კლასიციზმის ხელოვნება რომაულ-ელინისტური ესთეტიკური იდეალებიდან იღებს მისაბაძ ობიექტებს მაშინ, როცა რენესანსისათვის ბერძნულ-ელინური ანტიკა იყო მისაბაძი.

ბაროკო ევროპის იმ ქვეყნებში ვითარდებოდა, სადაც ფეოდალურ-კათოლიკური რეაქცია მძლავრობდა, იგი ცხოვრების დისჰარმონიულობის შეგრძნებასა და ჰუმანიზმის კრიზისს უფრო გამოხატავს, იკვებება ირაციონალური, მისტიკური განწყობებით, რომელიც შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. ამიტომაც ბაროკოს სტილი არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში ახლოსაა გოთიკასთან, თუმცა უფრო ექსპრესიულია, უტრირებულია და იმდენად პრეტენზიული, რომ მალე ღლის თვალს. ბაროკოს ახასიათებს იმპულსურობა, დინამიკა, მისტიციზმი, ფსიქოლოგიზმი, რაც შესაბამისი მხატვრული ფორმებით გამოიხატება ხელოვნების სხვადასხვა სახეში: არქიტექტურული ნაგებობა გრანდიოზულია, მეტისმეტად გადატვირთულია ორნამენტებით, ქანდაკებებით. მონუმენტური ქანდაკება ადამიანის სულის სიღრმეებში ჩაწვდომას ცდილობს, რაც ვნებიანობის გამომსახველი მოძრაობებითაა მიღწეული.

მიუხედავად ამისა, ბაროკო თეორიული სისტემის სახით არ გაფორმებულა, განსხვავებით კლასიციზმისაგან (ცნობილია ნიკოლო ბუალოს „პოეტიკა“, როგორც კლასიციზმის თეორიული საფუძველი), არ შექმნილა ბაროკოს თანმიმდევრული თეორია, თუმცა ცალკეული შეხედულებები გამოთქმული აქვთ თვით ხელოვანებს.

აღსანიშნავია, რომ XVII ს.-ის ევროპულ ქვეყნებში მხატვრული აზროვნების განვითარებაში საერთო ტენდენცია შეინიშნება — სხვადასხვა ქვეყნებს შორის მჭიდრო კულტურული ურთიერთობა მყარდება. ხშირი მიმოსვლა მეზობელ ქვეყნებს შორის ხელს უწყობს ხელოვანთა დაახლოებას, შემოქმედებითი სტილური თავისებურებების გაცნობას, ურთიერთ გავლენას. სხვადასხვა ეროვნების ხელოვანთა ურთიერთობაში წამყვანი როლი უჭირავს იტალიას, კერძოდ, რომს, რომელიც ევროპელ ხელოვანთათვის მექად ითვლებოდა, როგორც რენესანსის დიდებული ხელოვნების აკვანი.

XVII საუკუნის იტალიური ხელოვნება

XVII ს.-ის იტალიაში კათოლიკურ-ფეოდალური რეაქცია გაძლიერდა. პაპის რეზიდენციამ დაკარგა ევროპული მასშტაბის პოლიტიკური უფლებები, ამიტომ ცდილობდა გამოეყენებინა ანტიფეოდალური და ეროვნული მოძრაობები და ესპანეთის მპყრობელობის ქვეშ ისედაც დაქუცმაცებულ იტალიაში მართველობა მაინც იგდო ხელთ. თანდათან პაპის რომი ძალას იკრებს და არა მარტო პოლიტიკურ, არამედ კულტურულ ცენტრად იქცევა.

რენესანსული ჰარმონიული იდეალის ნაცვლად ხელოვნებაში დრამატული კონფლიქტებისა და ფსიქოლოგიური ვნებათაღელვის გამომხატველი მხატვრული სახეები იჩენს თავს. თუ რენესანსის დროის სახვითი ხელოვნების თითოეული სახე ავტონომიას ინარჩუნებდა, ბაროკო, როგორც სრულიად განსხვავებული მიმართულება, ამ ავტონომიას არღვევს — ფერწერა და ქანდაკება არქიტექტურას ემორჩილება. მთელი მხატვრული კომპლექსი არქიტექტურის პრიმატით იპყრობს სივრცეს. ფერწერა ცდილობს ილუზორულად გაზარდოს არქიტექტურული ნაგებობის ინტერიერის სივრცე. სკულპტურული დეკორი, რომელიც არქიტექტურიდანაა ამოზრდილი, ფერწერული დეკორით ივსება. სკულპტურამ დატოვა მყუდრო ნიშები გოთურ ტაძარში და ბაროკოს არქიტექტურული ნაგებობის სახურავზე ასკუპდა. ბაროკოს შენობების შიდა სივრცე ფართოვდება კარნიზებისა და ფრონტონების მეშვეობით. არქიტექტურის შინაგანი ძალა გარეთ გამოსხლტომას ცდილობს, რაც იგრძნობა ფანჯრებისა და კარების ჩარჩოების გარშემო მეტისმეტად დაღვლარჭნილ დეკორებში. კიბეები, ეზოები დეკორატიული შადრევნებით, სკულპტურებითაა მორთული. ბაროკო არქიტექტურის მეშვეობით ცდილობს გარეშემო სივრცის დაპრყობას, რისთვისაც ქუჩების, პარკების დაგეგმარებას იყენებს. ქუჩა და მოედანი ანსამბლს ქმნიან შენობასთან. ამის თვალსაჩინო მაგალითია წმ. პეტრეს ტაძარი და მისი წინა მოედანი.

იტალიაში ბაროკოს არქიტექტურა სათავეს გვიანი რენესანსიდან იღებს. პალადიოს, ვინოლის, მიქელანჯელოს შემოქმედებაში უკვე დაძლეულია კლასიკური არქიტექტურული ნორმების კანონიზებული ფორმები და ბაროკოს ელემენტები მოჩანს. მათ არქიტექტურულ და სკულპტურულ ანსამბლებს ჰარმონიული იდეალების ნაცვლად გმირულ-ჰეროიკული, ექსპრესიული, ფსიქოლოგიური სიღრმეები ახასიათებს. ამრიგად, ბაროკო უკვე XVI საუკუნის ბოლოს ჩაისახა რომში. ბაროკო ჩანს სასახლისა და პარკების ანსამბლებში. პირველი ნიმუში ასეთი ტიპისა არის ფარნეზეს პალაცო, ვინოლას ორი არქიტექტურული შედევრი — იულიუს III-ის ვილა და ციხესიმაგრე კაპრაროლა.

ბაროკოს უდიდესი მონაპოვარია ქალაქდაგეგმარებაში ნოვაციები — არქიტექტურული ანსამბლები, შენობა-ბაღებისა და პარკების მთლიანობაში წარმოდგენილი მხატვრული სახე. აღსანიშნავია, რომ ასეთი ანსამბლების იდეა ჯერ კიდევ რენესანსის ეპოქაში ჩაისახა. იგი განახორციელა ბრამანტემ ვატიკანის ეზოების, მიქელანჯელომ კი კაპიტოლიუმის მოედნის შექმნით, ჯორჯო ვაზარიმ ფლორენციაში უფიცის ქუჩის დაგეგმარებით. სწორედ ეს ტრადიციები გაგრძელდა ბაროკოს სტილში.

ამრიგად, XVII ს.-ის მონაპოვარია ხელოვნების სახეთა სინთეზი, რაც იმ დროის იტალიაში ბაროკოს სტილში განხორციელდა. მისი პრინციპი კოორდინაციას კი არა, სუბორდინაციას ეყრდნობოდა: ყველაფერი ემორჩილება არქიტექტურას. სახვითი ხელოვნების არქიტექტურასთან სინთეზი ივსება მასალისა და ფორმების განუსაზღვრელი სიმდიდრით — სხვადასხვა ფერის მარმარილო, ხე, ფერთა მდიდარი პალიტრა, ოქრო, ბრინჯაო და სხვ. — არქიტექტურის ინტერიერსა თუ ექსტერიერს ბრწყინვალე პომპეზურ და თეატრალურ-ამაღლებულ განწყობილებას მატებდა. არქიტექტურულ ნაგებობას აუცილებელ დანამატად ახლდა მწვანე პარკები, რომლებიც მნახველს აოცებდა სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით. ამ მხრივ აღსანიშნავია არქიტექტორ დომენიკო ფონტანას მოღვაწეობა (1543-1607 წწ.). მისი გეგმითაა რესტავრირებული რომის ერთ-ერთი უბანი — პოპოლოს მოედანი წრისებრი სივრციდან გამავალი სამსხივიანი ქუჩებით. იტალიური ბაროკოს ყველაზე დიდი წარმომადგენელი, რომელმაც საბოლოოდ გააფორმა ეს სტილი, არის ჯოვანო ლორენცო ბერნინი (1598-1680 წწ.). იგი, თანამედროვეთა შეფასებით, მე-17 საუკუნის რომის „მხატვრული დიქტატორი“ იყო. რომის პაპების სასახლის კარის არქიტექტორი და მოქანდაკე უშუალოდ ხელმძღვანელობდა ყოველგვარ მშენებლობას ქალაქში. მის ნამუშევრებში

მთავარი ადგილი წმ. პეტრეს ტაძრის მოედანს უკავია. ბერნინიმ მიქელანჯელოს მიერ აშენებული ტაძრის ცენტრალური ნაწილი ბაზილიკურ ნაწილთან გააერთიანა. რომის პაპის სასახლე წმ. პეტრეს ტაძარს მეფური კიბით დაუკავშირა, რომლის მშენებლობისას ხელოვნური პერსპექტივის ხერხი გამოიყენა: შექმნა ილუზორული სივრცე, რომლის ცენტრი და დასასრულიც პაპის ქანდაკება იყო ტაძრის ბოლოში. რომის მშვენებაა წმ. პეტრეს ტაძრის მოედანი, უზარმაზარი კოლონადებით გარშემორტყმული, პირდაპირ ტაძრის შესასვლელიდან იწყება ავანსცენური მოედნით. ოვალური კოლონადებიანი დიდი მოედანი კვლავ გრძელდება ტრაპეციის მსგავსი მოედნით. ოვალური მოედნის შუაში უზარმაზარი ობელისკი იდგა ჩირაღდნით, სვეტების ოთხრიგა კოლონადა სიმაღლით 19 მ-ს აღწევს. სვეტები ტოსკანური ორდერით იყო შესრულებული. მნახველი, რომელიც ოვალურ მოედანზე გამოვიდოდა, ერთბაშად კოლონადების გარემოცვაში აღმოჩნდებოდა და პირდაპირ გზას ვერ განაგრძობდა, რადგან გადაადგილებაში ხელს უშლიდა შადრევნებისა და სკულპტურული ძეგლების სიმრავლე. ბერნინიმ თავისი შრომისმოყვარეობით, ნიჭიერებით, ისეთი საოცრებანი შექმნა რომში, რომელთა შექმნას ერთი კაცის სიცოცხლე არ ეყოფოდა. წმ. პეტრეს ტაძრის დიდი ნაწილი, მისი წინა მოედანი – „გაშლილი ხელების მსგავსი“, შადრევნებით, ობელისკებით, სკულპტურებით, დაწყებული კონსტანტინეს ცხენკაციანი ფიგურით, აკლდამებით — მთლიან არქიტექტურულ ანსამბლს ქმნიდა. იმდენი ემოცია, პათეტიკა, ვნება, ამაღლებული განწყობილება იგრძნობა ამ ანსამბლის ხილვისას, რომ მნახველი, მისი შემოქმედის გენიალურობით აღტაცებული, დღესაც რწმუნდება — ადამიანის შემოქმედებით შესაძლებლობას საზღვარი არ აქვს.

იტალიური ბაროკოს სახვითი ხელოვნების — ფერწერისა და სკულპტურის — განვითარებაში უდიდესია ჯოვანი ბერნინის წვლილი. უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედებითი მრავალფეროვნებით ჯოვანო ბერნინი რენესანსული ტიპის ხელოვანია, ერთნაირად ძლიერია ფერწერაში, სკულპტურასა და არქიტექტურაში. თავისი ღრმად ემოციური და ფსიქოლოგიური მხატვრული სახეებით ბერნინის ფერწერული და სკულპტურული ნამუშევრები XVII საუკუნის იტალიური ხელოვნების უდიდეს მიღწევად ითვლება.

ბერნინის ადრეული სკულპტურული ნამუშევრები: „აპოლონი და დაფნა“, „პლუტონი და პრეზერპინა“, „დავითი“ რენესანსულ თემატიკას ვერ შორდება, მაგრამ ბაროკოს სტილი ხელოვანისგან ფიგურათა მკვეთრ და მოულოდნელ ფორმებს ითხოვდა. ბერნინი გამოსახავს ბიბლიურ დავითს, რომელიც ის-ისაა ქვას ისვრის, დავითის სახე მრისხანებით სავსეა, უფრო ემოციურია, ვიდრე მიქელანჯელოს „დავითი“.

ბერნინიმ საოცარი სკულპტურული ძეგლებით დაამშვენა წმ. პეტრეს ტაძარი, რასაც 50 წელი მოანდომა. მისი ქანდაკებები პათეტიკური და ცოტათი მისტიკურია, მეტისმეტად პლასტიკური, მაგალითად, „წმ. ტერეზას ექსტაზი“, წმინდა ბაროკოს სტილშია შესრულებული. ღრუბლებზე უღონოდ გადაწოლილი წმ. ტერაზას ოდნავ ღია ბაგეებიდან ექსტაზირებული, ტკბილი ტანჯვით გამოწვეული კვნესა ისმის, ნახევრად დახუჭული ქუთუთოებით იგი თითქოს ვერ ხედავს მის წინ ანგელოზს, მაგრამ მთელი არსებით განიცდის მის სიახლოვეს. ნერვიული, ეროტიკული, ექსტაზური თრთოლვა ტერეზას კაბის ხვეულებში ვლინდება. ანგელოზი ორაზროვანი ღიმილით დასცქერის თავის მსხვერპლს და ისარს უმიზნებს. ანგელოზი ამურს უფრო ჰგავს, მხოლოდ ქრისტიანიზებული ანგელოზის სახითაა მოვლენილი. ეს სკულპტურული ჯგუფი ღრმა ნიშაში დგას, სარკმლის ზედა ნაწილიდან შემოჭრილი ოქროსფერი სხივები მსუბუქად ანათებს ქანდაკებას და ძლიერ ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენს მაყურებელზე. მარმარილოს ვირტუოზული დამუშავებითა და განათების ეფექტურობით ქანდაკება თეატრალიზებულ სანახაობას წარმოადგენს. ესაა ფერწერულ-სურათოვანი მიდგომა სკულპტურისადმი. მარმარილო ისეთი მსუბუქი და დამყოლია,

როგორც ფერი. „მე გავიმარჯვე მარმარილოზე, მე გავხადე იგი მოქნილი, როგორც სანთელი და ამით შევძელი სკულპტურის გაერთიანება ფერწერასთან“, – ეს სიტყვები ბერნინის მიეწერება და სრულად გამოხატავს მის შემოქმედებით კრედოს.

ბერნინი დიდი ოსტატი იყო საფლავთა აკლდამების, რომლებსაც ბაროკოს სტილში აგებდა, მისი სტილი მთელს იტალიაში იყო გავრცელებული. ასე იყო აგებული პაპი ურბან VIII-ის, პაპი ალექსანდრე II-ის აკლდამები. რაც შეეხება „წმ. ტერეზას ექსტაზის“ სკულპტურას, მისი პროტოტიპი XVI საუკუნის რეალური მონაზონი იყო. იგი სიკვდილის შემდეგ დატოვებული წერილით იუწყებოდა, რომ მას ერთხელ ანგელოზი გამოეცხადა ისრით ხელში და „ტკბილი ტანჯვა“ განაცდევინა.

ბერნინის მეტოქეა ფრანჩესკა ბორომინი, ბაროკოს სტილის არქიტექტორი, რომელიც ბერნინის მზის ჩრდილში იყო მოქცეული. მისი აშენებულია სან კარლო ალდე კუატრე ფონტანეს ტაძარი, რომლის ფასადი რომბისებურია, მოხრილი კუთხეებით. ინტერიერი სავსეა სკულპტურებით, არა ცალკე მდგომი, არამედ ანსამბლების სახით არქიტექტურულ სიუჟეტში ჩართული. თვალს იტაცებს ვოლუტების ილუზორული სანახაობა, მრგვალი ფორმის ჩახლართული ორნამენტებით. საერთოდ, ოპტიკური ილუზიის ეფექტი ბაროკოს მიგნებაა: ქანდაკებები ისეა გადაწნული ერთმანეთში, რომ ძნელი გასარჩევია — სად თავია და სად ფეხი. ოპტიკური ილუზიის ბრწყინვალე ნიმუშია ბერნინის მიერ ვატიკანის სასახლეში აგებული კიბე, რომელიც უფრო გრძელი გვეჩვენება, ვიდრე არის. ზევით აღმავალი კიბე ვიწროვდება, რკალი დაბლდება. კოლონებიც დაბლდებოდა ისე, რომ კიბის თავში ცერემონიალის დროს პაპის ფიგურა რომ გამოჩნდებოდა, მისი აღნაგობა გრანდიოზული მოჩანდა. მსგავსი ილუზორული პერსპექტივა უცხოა ეგვიპტური ხელოვნებისათვის, რომელიც გვაოცებს გრანდიოზული არქიტექტურითა და მონუმენტური ქანდაკებებით. ეგვიპტელები პირამიდებსა და ფარაონთა სკულპტურებს, მართლაც, უზარმაზარს აგებდნენ, ბაროკო კი ილუზორულ გრანდიოზულობას გვთავაზობს. ბაროკო თეატრალიზებული სანახაობითი სტილია, ამიტომაც მისი ექსპრესია, დაძაბულობა, ემოციები დინამიკაში გვეძლევა, რაც ოპტიკურ ილუზორულობას უწყობს ხელს. ბაროკოს უყვარს შადრევნები არა ჭავლის, არამედ ჩანჩქერის სახით. ასეთია ნიკოლო სალვის მიერ აგებული ტრევის შადრევანი რომში.

ბაროკოს ფერწერა პლასტიკურია, ისწრაფვის ქანდაკებისათვის დამახასიათებელი სამგანზომილებიანი, მოცულობითი ფორმებისაკენ. მხატვრობას შეუძლია სამყარო აჩვენოს დინამიკაში, ოპტიკის მცდარობასა და ილუზორულობაში, მაგრამ ბაროკოს არქიტექტურაში მაინც სკულპტურა ბატონობს.

ბაროკოს ესთეტიკა მხოლოდ ბრწყინვალებასა და ექსტრავაგანტურობაზე არ დაიყვანება. მისი არსი მეტია: გაძლიერებული ემოციურობის ექსტაზამდე მისული განცდების პლასტიკური გამოსახვით ბაროკო ადამიანის სულიერი მდგომარეობის ცვალებადობის გადმოცემას ცდილობს და ახერხებს კიდეც. ეკლესიამ ბრწყინვალედ გამოიყენა ბაროკოს ესთეტიკური პრინციპები. თვით ბერნინი ღრმა ფსიქოლოგიზმით ძერწავს თავისი საყვარელი ქალის, კონსტანცა ბუონაროტის სახეს. კათოლიკური ბაროკოს სტილი იტალიიდან შორს გავრცელდა, კერძოდ, პოპულარული გახდა გერმანიაში, სადაც კათოლიციზმი ბატონობდა (ბავარიაში). თვით იტალიაში ბაროკოს გვერდით სხვა მიმართულება გაჩნდა ფერწერაში. ეს იყო კარავაჯოს რეალიზმი, რომელსაც „კარავაჯიზმად“ მოიხსენიებენ.

მიქელანჯელო კარავაჯო (1573-1610 წწ.), რენესანსული ჰუმანიზმის უკანასკნელი წარმომადგენელი, რაფაელის მსგავსად ხანმოკლედ ცხოვრობდა, მუშაობდა რომში, ნეაპოლში, ესპანეთში. მისი ბედი გზასაცდენილი, ყარიბი, გენიალური ფრანგი პოეტის ვიიონისას ჰგავს. ღარიბი ავანტიურისტი, შფოთისთავი, იტალიელ ბანდიტებთან იჭერს კავშირს, არაერთხელ იჯდა ციხეში,

მაგრამ თბილი, კეთილი გულის პატრონი იყო, რაც იგრძნობა კარავაჯოს სურათებში. კარავაჯოს ხელოვნებამ უდიდესი გავლენა მოახდინა არა მარტო იტალიელ მხატვრებზე, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. „კარავაჯიზმმა“ ყოფითი ჟანრი შემოიტანა ფერწერაში, არა მშვიდი, გაწონასწორებული, არამედ ენერგიული, მშფოთვარე, მსხვილი მოცულობის, მკვეთრი ფერადოვანი კონტრასტებით სავსე სურათებით. ზოგი ნაწარმოების შინაარსი ბუნდოვანია, არანაირ შინაგან კანონს არ ემორჩილება. მაგალითად, „წმ. პავლეს მოქცევა“, ვერაფრით ვერ მიხვდები, პავლეს ცხოვრებიდან რომელი სიუჟეტი უდევს საფუძვლად ამ სურათს. მიწაზე პირდაღმა პავლე გართხმულა, სურათის დანარჩენი ნაწილი კუნთმაგარი ცხენების ფიგურებითაა შევსებული. კარავაჯოს მიერ დახატული აპოსტოლები მეტისმეტად რეალისტური, ცხოვრებისეულია, გლეხური, დანაოჭებული, მოუხერხებელი სახით. მისი მოციქულები უბრალო ადამიანები არიან, მეთევზეები. კარავაჯო გოთიკის შემდეგ პირველი წარმოგვიდგენს ამგვარ რეალურ ადამიანთა სახეებს. იგი შორს დგას რენესანსული იდეალიზირებული წარმოდგენებისაგან სამყაროს შესახებ. მხატვრის მგრძნობელობით ცდილობს შეიცნოს რეალობა, რომელშიც მუდმივად ტრიალებს, ამიტომაც უყვარს ყველაფერი ნამდვილი, ხორციელი, შეუფერავი. ანტიკურობა, რომელიც გალაქული სახით გამოიყურებოდა ეპიგონთა შემოქმედებაში, კარავაჯოს არ ხიბლავდა. კარავაჯოს ყველაფერი ბუნებრივი უყვარდა. ევროპულ ხელოვნებაში მან პირველმა დაიწყო დაზგური ნატურმორტის ხატვა.

ერთ-ერთი ძლიერი სურათი კარავაჯოს შემოქმედებიდან არის „წმ. მათეს მოწოდება“. მათე ნახევრად ჩაბნელებულ დუქანში ზის თავის „ბნელ“ მეგობრებთან ერთად (შესაძლოა, ეს კარავაჯოს ქურდი მეგობრების წრეა, ამდენად, სურათში ბიოგრაფიული დეტალია ჩართული). ღია კარებიდან შემოჭრილ შუქის ნაკადს ქრისტე შემოჰყვება, ხელით ანიშნებს მათეს, რომ მას გაჰყვეს. სურათის სიმბოლიკა სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს წაკითხული. ერთ-ერთი ვერსიით, მათე თვით კარავაჯოა, ხელოვნებამ (ქრისტე) მასზე შეაჩერა არჩევანი, რომ „ბნელი“ ძალებიდან გამორჩეულს ხელოვნების ბრძანებით შეექმნა გენიალური ნაწარმოები. კარავაჯოს ეკუთვნის „პილიგრიმების მადონა“, „მარიას მიძინება“, კარავაჯოს ფუნჯი დემოკრატიულია, მდაბიო, ცხოვრებისეულ მომენტებს არ ერიდება, ამასთან მისი სახეები ექსპრესიულია, ემოციურობით დატვირთული, გამომსახველობითი საშუალებები მეამბოხე, მღელვარე განწყობილებას გადმოსცემენ, ისინი აშკარად ბაროკოსეულია. კარავაჯოს ნახატებში კომპოზიცია მოუსვენარი მასისაგან არის აგებული, შუქ-ჩრდილების კონტრასტი საოცრად თვალისმომჭრელია, მოულოდნელობის ეფექტი დინამიკურობას მატებს სურათს. შუქი ეხება საგნებს შხეფების სახით და არ გამოკვეთს საგნის სტრუქტურას. პირიქით, საგანთა მთლიანობიდან ამოვარდნილია მისი ნაწილები. კარავაჯოს მკვეთრი ფერები, საგნის მოულოდნელი ფორმით წარმოდგენა უყვარს — იშვიათი რაკურსებით, გადმობრუნებული, ამობრუნებული, სწორედ არა ისე, როგორც რენესანსულ ხელოვნებაში გვხვდებოდნენ საგნები: მოწესრიგებული, ჰარმონიული, ფორმით სრულყოფილი. კარავაჯოსთან გროტესკული ელემენტებიც კი გვხვდება („წმ. პეტრეს წამება“) კარავაჯოს სამყარო ეჩვენება არა მშვიდ და ჰარმონიულ საგანთა ერთიანობად, არამედ ამოძრავებული, აყირავებული, ოპტიკური ილუზორულობა აქაც თავისებურია, საგნები ან წინ არიან გამოვარდნილი, ან სიღრმეში იკარგებიან.

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №№5-7 ტომებსა და
ჟურნალ „ათინათის“ №№22-33-ში

დ ა ს კ ვ ნ ა

უნდა ეს მატერიალიზებულ ინდივიდუალურ სულს თუ არა, ეს ოთხი ფაზა უნდა გაიაროს. ეს დაკავშირებულია იმ მცდარ ცნობიერებასთან, რაც ინდივიდუალურ სულს ჰქონდა მატერიალურ ინდივიდუალურ სხეულში ჩასახლებამდე და ის, რის გამოც მოხდა ეს ჩასახლება სხეულში. მე ამას დავარქმევდი ე. წ. „მე“-ს შემადგენელი ნაწილების ანუ გრძნობის, ამბიციის, გონებისა და ემოციის მუტირებულ ნაწილს. ანუ ეს არის ის, რასაც მუტაცია (გადაგვარება) მოიცავს თავის არსობრივ რაობაში. და თუ ამ ოთხი ჯგუფის კლასიფიკაციასაც მოვახდენთ, დაახლოებით ასეთი რამ მიიღება:

1. მუტირებული ემოცია; ფსევდოამბიცია. ანუ ემოციური ნაწილი მონათლულია ამბიციურ ნაწილად. ეს არის ზოგადი ცნობიერების (ჭეშმარიტი ღვთიური ცოდნის) ცალსახად მატერიალური ნაწილის შეცნობის მცდელობა.

2. მუტირებული გონება; ფსევდოგრძნობა. ანუ გონებრივი ნაწილის მონათვლა გრძნობისმიერ ნაწილად. ეს არის ზოგადი ცნობიერების გამოვლინებასთან (ობიექტურ რეალობასთან) დაპირისპირების მცდელობის, ***სქესობრივი ლტოლვის*** ფენომენის შემოსვლა.

3. მუტირებული ამბიცია; ფსევდოემოცია. ანუ ამბიციური ნაწილის მონათვლა ემოციისმიერ ნაწილად. ეს არის ალტერნატიული პარალელური ზოგადი ცნობიერების (რომელიც საკუთარ ცნობიერებად არის აღქმული და რეალურადაც საკუთარი ცნობიერებაა) რეალიზაციის მცდელობა და ამ რეალიზაციის შემდგომ მისი გარდაუვლად შემცირების, კლების პროცესი, საკუთარი ცნობიერების კარგვა გზადაგზა, სქესობრივი ლტოლვის რეალიზაციით მისი ***სქესობრივ ვნებად*** გარდაქმნა.

4. მუტირებული გრძნობა; ფსევდოგონება. ანუ გრძნობითი ნაწილის მონათვლა გონებისმიერ ნაწილად. ეს არის საკუთარი ცნობიერების საბოლოო ჩამოყალიბებული (საკუთარი შეხედულებით სრულყოფილებას მიღწეული) არსობრივი ფორმაციით ჭეშმარიტი ზოგადი ცნობიერებისგან (ჭეშმარიტი ღვთიური ცოდნისგან) გამიჯვნა, საკუთარი წესრიგის, წყობის დამყარება და გააფთრებული ომი ამ წესრიგის დასაცავად და შესანარჩუნებლად. ყველანაირი და ნებისმიერი გრძნობითი გამოვლინების მკრეხელობად, სიბინძურედ, სიძვად გამოცხადება, ნებისმიერი მისთვის, ამ წესრიგის ნორმატივებისათვის, არმისაღები მოქმედების ბოროტებად, საზიზღრობად გამოცხადება, ამ მოქმედების ჩამდენის პირად მტრად და სამკვდრო-სასიცოცხლო დონის დაპირისპირებულ ძალად აღქმა. ***თვითგაკერპების ფენომენის*** შემოსვლა.

1. მუტირებული ემოცია; ფსევდოამბიცია. 2. მუტირებული გონება; ფსევდოგრძნობა.
3. მუტირებული ამბიცია; ფსევდოემოცია. 4. მუტირებული გრძნობა; ფსევდოგონება.

მაგრამ მუტაციის ფორმა შეიძლება როგორც „გაჯანსაღებისკენ“, ისე „უფრო დაავადებისკენ“ წავიდეს. „გაჯანსაღებისკენ“ მიმავალი ღვთის ძის მიერ მოცემული გზაა, რომელიც, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, ვიწრო ბილიკივით არის და აუცილებლად მოიაზრებს თავის თავში ისეთ ცნებას, რაც არის „მეორედ დაბადება“. ვინც მეორედ არ დაიბადება, ის ამ გზაზე ვერ დადგება, ანუ როგორც სხეულში ჩასახლების შემდგომ დაიწყო მატერიალური გარემოს მიერ შემოთავაზებული საარსებოდ, სასიცოცხლოდ აუცილებელი ცოდნის შეთვისება და შესწავლა, გარდაცვალების, ანუ სხეულიდან გასვლის სანაც-

ვლოდ დედამიწაზე არსებული სულიერი ცოდნის დაუფლება უნდა დაიწყოს მორჩილი თაყვანისცემის სულისკვეთებით სულიერ სამყაროსთან მიმართებაში. ეს კი რეალურად შესაძლებელია **ე. წ. სიკვდილით სიცოცხლის განმავლობაში** ანუ მაქსიმალურად განდეგილობით, განზე დგომით მთელ მატერიალურ სამყაროსთან მიმართებაში. ეს არის საკუთარი წესრიგის მაკეტში ჩაკეტილობიდან გასვლის საუკეთესო და ერთადერთი პოზიციური გზა.

რაც შეეხება უფრო მეტად „დაავადებისკენ“ მიმავალ გზას, ეს არის ის, რასაც დედამიწაზე შავ სამყაროს უწოდებენ. სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე განიერი გზაა და თავის თავში მოიაზრებს ისეთ ცნებას, რაც არის „მეორედ სიკვდილი“. პირველი სიკვდილი საკუთარი წესრიგის მაკეტის შექმნის დამთავრების დროს მოხდა. ეს არის საკუთარი წესრიგის მაკეტის დანგრევის საშუალება და ამ წესრიგიდან გასვლის ყველაზე უარესი და პრინციპში ერთადერთი ნეგატიური გზა. ამ ფენომენის გამოვლინების დროს ხდება ინდივიდუალურ სულში ჯერ კიდევ არსებული სულიერების (რომლებიც დოგმების დაცვაშია გამოხატული) უსასრულოდ კარგვისაკენ მიდრეკილება ინდივიდუალური სხეულისთვის სიამოვნების მისანიჭებლად. ამასთან, დაპირისპირება ძალიან, უაღრესად ძნელია, რამეთუ ამის მორევა მხოლოდ თეთრი სამყაროს წარმომადგენელთ ძალუძთ, მაგრამ იმ თეთრი სამყაროს წარმომადგენლობის უფლება რომ მიიღოს ინდივიდუალურმა სულმა, ღვთის ძის მიერ ჩამოტანილი მოძღვრება იმდენად უნდა შეიმეცნოს, რომ ღვთის ძემ იგი განწმენდილად, ჭუჭყისაგან გასუფთავებულად აღიაროს და მისცეს უფლება მამა ღმერთთან და სულიწმიდასთან ურთიერთობებისა. თუ შევძლებ, ვეცდები ამ თავში ამის დაწვრილებით გადმოცემას. მუტაციიდან გასვლა მხოლოდ ჭეშმარიტად გასუფთავების შემთხვევაში ხდება.

ახლა კი მოდით შევეცადოთ, უფრო მეტად დაავადებისკენ მიმავალი გზის არსი და რაობა განვსაზღვროთ. უფრო ნაცნობი ტერმინი რომ ვიხმარო, ეს არის გზა, რომელსაც ინდივიდუალური სული იქითკენ მიჰყავს, რასაც კაცობრიობის ენაზე „ჯოჯოხეთი“ ეწოდება, ჟარგონულ ენაზე კი „შავი სამყარო“, აბსოლუტური სიბნელისკენ სწრაფვა, საკუთარ არსში ნათელის სრული დაკარგვის ტენდენციით.

ამ ორიენტაციისკენ მიდრეკვა სამწუხაროდ ძალიან ადვილად და იმდენად შეუმჩნევლად ხდება, რომ ამის დაფიქსირება მყისეულად ძალიან ძნელია. ეს „მე“-ს შემადგენელი ოთხი ნაწილებიდან ემოციის ნაწილიდან ხდება. თუ ინდივიდუალური სულის ინდივიდუალურ სხეულში ჩასახლების დროს ემოციური ნაწილი ამბიციისმიერად აღიქმებოდა, ამ გზაზე დადგომის დროს ის უკვე გრძნობისმიერ ნაწილად აღიქმება, ანუ ინდივიდუალური სხეული, მატერიალური ნაწილი და მთელი მატერია განცალკევებულად სულისგან წმინდა და უზენაეს ნაწილად სახელდება. მოდით, ეს ფენომენიც, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების სახეობები, ოთხი კლასიფიცირებული ნაირსახეობით ავხსნათ.

II საზობადოებრივი მაკეტი

II. 1.[(4.)] ვინაიდან ეს გაგრძელებაა წინა ნაწილსა, უნდა გავაგრძელოთ იქიდან, სადაც გაჩერდა ინდივიდი. ე. ი. მკაცრად დაამყარა თავის არსში საკუთარი სრულყოფილების, წესრიგის მაკეტი, საკუთარი რწმენა. შემდგომ ამისა ინდივიდი საკუთარ ცნობიერებაზე აგებული ყოფიერების დამკვიდრების აუცილებლობის წინაშე დგება, ამისთვის კი იწყებს თავის გარშემო არსებული ინდივიდების ინდივიდუალობის გამოვლინების „მოკვლას“, „ჩაქრობას“. აქ იგულისხმება განგების მიერ მინიჭებული საზღვრების გარეთ გასვლა და საკუთარი თავის განგებად, განმგებლად დამკვიდრების მცდელობა. რა თქმა უნდა, ამ ინდივიდების მხრიდან იწყება წინააღმდეგობის გაწევა, აღდგომა ამ ინტერვენციის წინააღმდეგ. მაგრამ, თუ ამ „ინტერვენტის“ რწმენა (საკუთარ მრწამსში დარწმუნებულობა) უფრო დიდი და მეტია, ვიდრე „დასაპყრობ ტერიტორიაზე მყოფთა“ რწმენა, საკუთარ თავში (მრწამსში დარწმუნებულობა), ეს დაპყრობა არც თუ ისე დიდი ძალისხმევის მეოხებით აღსრულდება. ეს ინდივიდები თავისი კეთილი ნების, ნებაყოფილობითობის იგნორირებით და დაშინების სულისკვეთებით (კომფორმისტულობით) წაჰყვებიან დამპყრობელს იქით, საითაც ის მიუთითებს და შეითვისებენ, შეისწავლიან და გაითავისებენ იმას, რაც მას მიაჩნია საჭიროდ. ეს ღმერთთან და სულიერებასთან კონტაქტის შემცირებისა და დაკარგვის გარდამავალი პროცესია. ეს პროცესი იქამდე გრძელდება, ვიდრე ეს ინდივიდები სრულიად დაქვემდებარებულნი არ გახდებიან დამპყრობელისა საკუთარი ინდივიდუალურობის სრული დაკარგვით.

რა ხდება ამ პერიოდში? ეს არის მატერიალური სამყაროს მიერ, ჩვენს შემთხვევაში კი კაცობრიობის, ადამიანების მიერ შექმნილი ყველაზე უარყოფითის და უარესის შესწავლის პერიოდი. ეს არის მატერიალუ-

რი სამყაროს ცოდნის მცდარი ნაწილი, რომელიც იმდენად მწირია, რომ საკუთარი ინდივიდუალური სხეულის ინტერესებით შემოიფარგლება მკაცრად და ცალსახად. ეს საშინელი და მახინჯი ცოდნაა უპასუხისმგებლო, ბოროტი, ეგოისტი ადამიანების მიერ შექმნილი. ეს არის ძალადობა, გაუპატიურება, შეურაცხყოფა, წამება, წართმევა, მოპარვა, დაცინვა, თავხედობა, მოკვლა და ა. შ. ეს არის ყველაზე უღირსი და არაფასეული რამ, რაც კი კაცობრიობის მიერ არის შექმნილი.

2.(1.) როდესაც ინდივიდი თავისი აგრესიულობის გამოვლინების მეოხებით მისთვის არგანკუთვნილი „ტერიტორიების დაპყრობას“ ახერხებს, კაცობრიობის მიერ შექმნილი მანკიერი ცოდნის საშუალებით, შემდგომ ამისა, თვლის რა საკუთარ თავს საკუთარი ქვეშევრდომების ბატონად, ღმერთად, ერთადერთი მიზნით, საკუთარი ინდივიდუალური სხეულისთვის სიამოვნების მინიჭების მცდელობით კავდება. აქვს ისეთი შეგრძნება, თითქოს ყველაფერს მიაღწია, რაც კი შესაძლებელია ადამიანისთვის და ამ შეგრძნებასთან ერთად იღვიძებს სქესობრივი ვნება, როგორც მისთვის, ყველაფერს მიღწეულისთვის, განცხრომის (მასში არსებული აგრესიულობის ენერგიის დახარჯვის) საშუალება. რამდენადაც ის საკუთარ თავს ყველა გარშემო არსებულებზე ზევით აყენებს, თვლის ერთგვარ პატივადაც კი მისი მხრიდან სქესობრივ კონტაქტში შესვლას იმისთვის, ვისთანაც ის ამ კონტაქტში შევა და ყველა და ნებისმიერი, ვინც თვალში მოუვა, მიაჩნია, რომ აუცილებლად უნდა მოისურვილოს. სქესობრივ პარტნიორთან კონტაქტი მისთვის ცალსახად ხორცთან, სხეულთან ურთიერთობად აღიქმება და ალბათ, არაა ძნელი გასაგები, რომ არ ცდილობს რაიმენაირად სიამოვნება მიანიჭოს მას. ამ კატეგორიის ინდივიდის ერთადერთი მიზანი საკუთარი სხეულისთვის სიამოვნების მინიჭებაა სხვა, მეორე სხეულის საშუალებით, ამდენად, რეალურად არ არსებობს არანაირი მექანიზმი, რაც აიძულებს ამ ტიპის ინდივიდს საკუთარი თვითრეალიზაციის პროცესში საკუთარ ქმედებებს, თუნდაც რაიმენაირი სახით, ანგარიში გაუწიოს. ეს რეალურად საკუთარ თავში ჩაგროვილი ენერგიის გადაყრის საშუალებაა, რომელიც უკვე აღარ იცის რაში დახარჯოს.

რაც შეეხება ამ ინდივიდის მიერ დაკმაყოფილების მიღების რაობას, ეს ამ შემთხვევაში ფაქტიურად შეუძლებელია, რამეთუ დაკმაყოფილება ვინმესთვის რაიმეს გაღებას მოიაზრებს, ეს კი მისთვის ფაქტიურად მიუღებელია. ის თუ ამას მოიმოქმედებს, მსახურს შეიძლება საკუთარი ღირსების შეგრძნება ამოუტივტივდეს მასთან მიმართებაში და ეს კი მისი ცნობიერებისთვის ვერანაირად ვერ იქნება მისაღები. მისთვის, თუნდაც გაელვებით, ნამდვილი სიამოვნების მიღებაც კი ამხელა მსხვერპლის ფასად არ ღირს. მისი პოზიცია გარემოსთან მიმართებაში ცალსახად უნდა იყოს დაფიქსირებული. ის ყოველთვის, ყველგან და ყველასთან აბსოლუტურად ყველაფრით უკმაყოფილო უნდა იყოს, რათა თავისი პირველობა და ძალაუფლება არ შემცირდეს.

რა ხდება ამ პერიოდში? ეს არის სხვათა ინდივიდუალურობის გამოვლინების არ დაშვების სურვილი საკუთარი ინდივიდუალურობის დამკვიდრებით, სრული ძალაუფლებისა და პირველობის აღებით და ამ ყველაფრის განხორციელება პირდაპირ, ყოველგვარი შენიღბვისა და შელამაზების გარეშე.

ხდება რაღაც არგუმენტების შემოტანით საკუთარი ცნობიერების დაცვა, მაგრამ სინამდვილეში ეს არგუმენტები საბაბია, ნამდვილი მიზეზი კი არის საკუთარი ნებისა და შეხედულებების თავზე მოხვევა, მცდელობა იმისა, რომ მისი სიტყვა, აზრი და სურვილი გადიოდეს და ხორციელდებოდეს ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში აბსოლუტურად ყველასთან. ეს ინდივიდი ვერავისთან ვერ გაიყოფს თავის ძალაუფლებას, ამიტომ ვერავისთან ვერ რიგდება, სადაც მისი ძალა და გავლენა არ იქნება. ის თავის გარშემო თითქოს ერთიან ბირთვს ქმნის, მაგრამ ეს სინამდვილეში იდეაფიქსური რეჟიმია იმისათვის, რომ პირველი იყოს. ხოლო თავის ძალაუფლების ქვეშ მყოფნი ადვილად რომ მართოს, მათში დაპირისპირების საფუძველს ჰქმნის, შლის მათ, ერთმანეთთან აპირისპირებს, რადგან, ერთმანეთის „ჭამაში“ გართულებს, მისთვის აღარ ეცლებათ, ის კი ყველას თავ-თავის ადგილს მიუჩენს. პრინციპი აქ სრულიად მარტივია, ის, რაც დედამიწაზე სუფევს დღეს: ***<u>დაყავი და იბატონე</u>***.

3.(2.) რაც შეეხება ოჯახის ცნებასა და რაობას ამ გაგების ცნობიერებასა და რაობაში. ამ ტიპის ინდივიდი თავის პირად ოჯახს ისეთივე საზომებით უდგება, როგორც ყოველივეს. მისთვის ვინმესთვის რაიმე საკუთარ სისუსტეში გამოტეხვა ან საკუთარი სისუსტის ჩვენება უზარმაზარი სირცხვილის, დაცემის, თავის დახრის, დათმობის პრეცენდენტად აღიქმება. ოჯახი ამ ტიპაჟისთვის არის თავისი რწმენის, საკუთარი ცნობიერების მთელი სიგრძე-სიგანით გამოვლინებისა და დამყარების ადგილი. ოჯახის შექმნის პროცეს-

შიც კი მთავარია პარტნიორთან თავი არ დაიმციროს და ყველაფერზე მიდის, თითქოს სასურველი სიტუაციის მიღებისთვის წინა მოთელვას ახორციელებს. სერიოზულად გადაწყვეტის შემთხვევაშიც კი ძალადობით, მოტაცებით ან წინასწარი შეთანხმებით ურჩევნია გაერთიანება, ოჯახის რეალური შექმნა მოახდინოს. „შავ სამყაროში“ ოჯახი წარმოადგენს წესრიგის მაკეტის გამოვლინებას. საერთოდ, სადაც წესრიგის, გაუნძრევლობის დამყარების მცდელობა ხორციელდება, რაღაცა ერთგვარი ვაჭრული სისტემა ეწყობა (წესრიგის გამოვლინებას მხოლოდ ნირვანაში, სულიწმიდაში აქვს თავისი კონსტიტუციური ადგილი და დანიშნულება). ურთიერთობის დამყარებამდე ამ დონეში ურთიერთდაინტერესება გარემოს მიმართ აგრესიულობის გამოვლინებით, თავხედობით, ციინიზმით, ძალადობის გამოვლინებით უშუალოდ მათგან, საკუთარი გავლენიანობისა და მნიშვნელოვნების დემონსტრირებით ხდება, რომლებიც რეალურად ცოტა, ოდნავ შემუქებულია და საკუთარი არსის რეფლექსურ გადმოცემას ახდენს. შემუქებული კი იმ მხრივ არის, რომ, როგორ საშიშადაც თავს აჩენს ინდივიდი, რეალურად ისეთი არ არის, ეს არის ამ დიაპაზონში თამაშის, ნიღბის ფორმა.

მაგრამ მისთვის ეს აღქმის დადების ტოლფასი ხდება, რამეთუ პარტნიორები ერთმანეთს ამ აგრესიულობის ხარისხის მიხედვით ირჩევენ და თუ ისინი ვერ შეძლებენ იმ აგრესიულობის რეალურად განხორციელებას, რასაც პირდებოდნენ, მაშინ აღიარებულობას და დაშინების უნარს დაკარგავენ. აქ აუცილებლად უნდა შესრულდეს ის, რაც ითქმება. ეს ძალიან საშიში, ჩახლართული, სახიფათო გარემოში ცხოვრების რეალობაა, სადაც ე. წ. მგლური კანონები და წესები მოქმედებენ. შეცდომის დაშვების ფასი აქ სიკვდილია, მაგრამ მოდით, ჯერ აქაური ოჯახის რეალობაში შევიხედოთ. ყველაზე დიდ ბედნიერებად მასში მატერიალური კეთილდღეობა მოიაზრება ფარდობით ჭრილში, ანუ მთავარია ყველა სხვა ოჯახზე მეტი ჰქონდეთ და ამ პარამეტრით პირველები იყვნენ. ნებისმიერი ტყუილი ოჯახის წევრებში ერთმანეთის მიმართ გამოვლენილი სასტიკი და უპრეცენდენტო საშუალებით ისჯება. სამაგიეროს გადახდა, ურთიერთჩასაფრებულობა, შურისძიება, ერთმანეთში პირველობისთვის სწრაფვა არის ამ ოჯახის შიდა სამზარეულო. თუ მამაკაცი გაიმარჯვებს, სასტიკ „პატრიარქატს“ დაამყარებს, ხოლო თუ ქალი გაიმარჯვებს, ცალსახა „მატრიარქატი“ დამყარდება, მაგრამ ეს ე. წ. პატრიარქატიცა და მატრიარქატიც მატერიის, სხეულის აღზევების შედეგად ჩამოყალიბებული ცნობიერების შედეგია და მატერიალიზმის თაყვანისცემას, კერძო საკუთრების უზენაესობას ემსახურება. ეს არის ერთი მონეტა, რომლის ერთ გვერდზე დიქტატურის გამოსახულებაა, ხოლო მეორეზე კი დემოკრატიის. აი, ასეთი რომანტიულობის სახეობა სუფევს ამ ტიპის ოჯახში.

რა ხდება ამ პერიოდში? ამ პერიოდში ხდება საკუთარ ცნობიერებაში ჩამოყალიბებული ნეგატიურობის (კოსმოსისა და ღმერთის გადასახედიდან) ზრდა მატერიალურად, ფიზიკურად ყველაზე ახლო მყოფ ინდივიდუალურ სხეულთან მძაფრი დაპირისპირების საშუალებით. აქ, ნებით თუ უნებლიეთ, მთლიანად ხდება მასკირებულობა, შენიღბულობა, გამოუცნობობის სტატუსის მიკერების მცდელობა და არსებული რეალობის დამალვა და არ გამოჩინება არაფრის გულისთვის. წინა, მეორე ფაზაში თუ თავის „აღვირახსნილობას“ (რომელიც ამ დონეზე მდგომისათვის კომპლიმენტად და შექებად აღიქმება) დემონსტრაციულად ახდენდა, ამ ფაზაში მაქსიმალური მცდელობაა ამის საპირისპირო იმიჯი დაიმკვიდროს. იქ პარტნიორადაც კი არ აღიქმებიან კონტაქტში შემოსულნი და წამით გამოჩინებულნი სადღაც იკარგებიან, აი აქ კი, პარტნიორის შეცვლა აკრძალულია და დაშორება მხოლოდ სიკვდილის ფასადაა შესაძლებელი.

4.[3.] ოჯახი არის ვიწრო დიაპაზონის საზოგადოება, სადაც ხდება საკუთარი ცნობიერების ცვალებადობა და ამ ცვლილების საკუთარ არსში განხორციელების შემდგომ ხდება ამ შეცვლილის რეალიზაციის მცდელობა ფართო საზოგადოებაში. ე. ი. გამოდის რომ იმასაც, რასაც ოჯახში ექნება გამოვლინება ინდივიდის მხრიდან რაიმენაირად ჩამოყალიბებული ფორმით, იმის გამოვლინებას ეცდება გარემოშიც. ამ შავი სამყაროს ოჯახურ დიაპაზონში კი საბოლოოდ მკვიდრდება ***დაუსრულებელი სწრაფვა უპირატესობის მიღებისკენ ნებისმიერი საშუალებით***. აი, ეს არის მეოთხე ფაზის მიმმართველი შტრიხი.

აუცილებლად ჩნდება სურვილი იმისა, მთელს არსებულ საზოგადოებაზე მოიპოვოს გავლენა და ძალაუფლება, როგორც უპირატესობის გამოვლინების ატრიბუტები, იქნეს აღიარებული — ეს მანიასავით დასდევს ინდივიდს ამ ფაზაში. ყოველგვარი სხვა მიდრეკილება და ინტერესი, რამე სხვაში ენერგიის დახარჯვა, ინდივიდუალურ სხეულად აღქმული ამ ინდივიდუალური სულისთვის ყოველგვარ აზრს კარგავს.

ამ „ყველაფერს მიღწეული“ ინდივიდისთვის ღმერთი, სული, ბუნების კანონები ჭეშმარიტი მტრები ხდებიან, რამეთუ მას არ ძალუძს დაიმორჩილოს ავადმყოფობა, სიბერის შეჩერება, ამინდის რეგულირება და, რაც მთავარია, სიკვდილთან სრულიად უსუსურია. წარმოიდგინეთ რა საშინელი და შემზარავი რამაა ისეთი არსებისთვის სხეულიდან გასვლა, რომელიც არა მარტო ცალსახად სხეულად აღიქვამს საკუთარ არსს, არამედ სხეულისეულ ასპექტში საკუთარი სტატუსი ყველაფერ შესაძლოს მიღწევის აღქმით აქვს განსაზღვრული. ამიტომ ერთი წამით არ ჩერდება, განუწვყეტლივ ეძებს ისეთ რაღაცას, რომ ამან სრულიად გადაავიწყოს მომავალში გარდაუვლად აღსრულებადი უბედურებანი. გართობა, დროის კვლა, ჭამა-სმა, ფლირტი, დიდებით ტკბობა, საკუთარი ცნობიერების დამკვიდრებულობის მზერა, კიდევ უფრო მძიმესა და აუტანელს ხდის იმ წამებს, როდესაც მარტო რჩება საკუთარ თავთან.

რაღა თქმა უნდა, არის სერიოზული დაპირისპირებები თვითონ ამ ფაზაში მყოფთა შორისაც (მატერიალური სამყაროს ვიზუალურ ნაღებში), რამეთუ თითოეული თავისი ძალაუფლების დამყარებისთვის და სხვათა თავისი გავლენის ქვეშ მოქცევისთვის იბრძვის, მაგრამ ეს ამ ტიპის ინდივიდებისთვის მხოლოდ ხიბლს სძენს მის ცხოვრებას და თავისი ცნობიერების დამკვიდრების პროცესში წვრთნის და აოსტატებს. აქ სულის, ღმერთის, სულიერი სამყაროს აღქმა სრულიად გადაგვარებულია და მათში გაღვიძებული „ეშმაკის დაძინება“ თითქმის შეუძლებელია.

რა ხდება ამ პერიოდში? ამ მეოთხე ფაზაში საჭირო ხდება ფუნქციონალური დანიშნულების (ინდივიდუალური სხეულების) სრული დამახინჯება, რაც საკუთარი თავის გაღმერთების, უპირველესობის, უპირატესობის წოდების მიღების სურვილითაა დამუხტული. აქ ყველაფერი საკუთარ ეგოისტურ ინტერესებზეა აწყობილი და ურთიერთობები, ასე ვთქვათ, „დიპლომატიურ“ დონეზე მყარდება, სადაც ყველა თითქოს ერთმანეთის ახლობელი და მეგობარია, სინამდვილეში კი რეალურად ყველა ერთმანეთისთვის პოტენციური მტერია და არავინ არავის არ ენდობა. ამ პერიოდში ყველაზე ადვილი დასანახი და გასაგონი რაცაა, ეს არის ტყუილი, მაამებლობა, მლიქვნელობა, ზურგსუკან ლაპარაკი, დაბეზღება და ა. შ. ოღონდ შანსი მიეცეს და აქ არავინ გაუშვებს ხელიდან შანსს გულში ჩადებული ბოღმის სამაგიერო არ გადაუხადოს, იპოვოს შური, რომელსაც სულ ეძებს, სხვისი ჩაძირვის ხარჯზე თვითონ არ წაიწიოს წინ, თუნდაც სულ უმნიშვნელოდ. ეს არის ფაზა, რომელშიც ხდება ის, რასაც თავის არსში მოიაზრებს ჯოჯოხეთის ცნება.

და ბოლოს, ეს არის ის პერიოდი, როდესაც ინდივიდმა, თავისი დაუდევრობისა და უმეცრების გამო, შეიძლება საკუთარი ინდივიდუალური სული იმდენად გააბინძუროს, რომ ინვოლუცია, ჩაბნელება განიცადოს და რეალურ შავ სამყაროში, „ჯოჯოხეთში“ მოადინოს ბრახვანი, რომელიც ბიბლიური ენით აღიწერება ***გოგირდის ტბად, სადაც ერთი წამით არ ნელდება მტანჯველი ცეცხლი***.

1.(4.) მუტირებული ემოციის მუტაცია; ფსევდოგრძნობა. ანუ ემოციური ნაწილის გადანათვლა გრძნობად, ეს არის ზოგადი ცნობიერების ცალსახად მატერიალური ნაწილის დამახინჯების მცდელობა (მცდარი ცოდნის შეძენა). ***სექსუალური ლტოლვა***.

2.(1.) მუტირებული გონების მუტაცია; ფსევდოემოცია, ანუ გონებისმიერი ნაწილის გადანათვლა ემოციად. ეს არის თვითგამოვლინებულობის ობიექტურ რეალობად, საკუთარი ცნობიერების ღმერთის გამოვლინებად გასაღების მცდელობა ***სექსუალური ვნების*** ფენომენის შემოსვლა.

3.(2.) მუტირებული ამბიციის მუტაცია; ფსევდოგონება, ანუ ამბიციისმიერი ნაწილის გადანათვლა გონებად. ეს არის საკუთარი ცნობიერების კონტურების გამოკვეთის მცდელობით ვიწრო ტიპის საზოგადოებაში შესვლა, გარდაუვლად სულიერი პოტენციალის კლება და თვითაღზევების მცდელობის მატება.

ფსევდოოჯახის ფენომენის შექმნა.

4.(3.) მუტირებული გრძნობის მუტაცია; ფსევდომუტაცია, ანუ გრძნობითი ნაწილის გადანათვლა ამბიციად. სამყაროსთან, ღმერთთან, სულიერებასთან დაპირისპირება და ომი. დემონად გადაქცევა. ჯოჯოხეთისკენ მიზანმიმართული სწრაფვა.

გაგრძელება იქნება

სიბრძნის სკივრი

თვალთახილვა
(აზრები)

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ხელოვნება

ხელოვან ადამიანთა აზროვნებაში ავტომატური იმპულსები ჯიუტად ფეთქავენ. დიდი ტკივილები წარმოშობენ აზრებს, ფანტაზიებს, იდეებს. როდესაც ასეთი იდეები გენერირდება, არავინ იცის, რა წყაროებით მარაგდებიან და იკვებებიან ისინი. მოზღვავებული გრძნობები, ზოგჯერ, პიროვნებას არ ემორჩილება. ხელოვანს ისღა დარჩენია, მიჰყვეს მათ „დირექტივებს“ და იმოქმედოს მათი ნებით. ზოგჯერ, მას მზა ხატებად მიეწოდება ხელოვნების ქმნილება, რომლის გადმოტანა საზოგადოების ფანტაზიების, გემოვნების გათვალისწინებით და მისთვის გასაგები ენით უწევს. ეს გადამუშავება მათ დიდი ტკივილების ფასად უხდებათ და გამზადებული ტილოც განსხვავებულ ელფერს იძენს. ამდენად, ხელოვნების ქმნილების უკან ყოველთვის დგას ,,ჭეშმარიტი ნაწარმოები“, რომელსაც ვერ ვხედავთ. ჩვენ აღვიქვამთ ორეულს – მეორადს, რომელიც „პირველს“ მეტად თუ ნაკლებად ჰგავს. ეს არის ხელოვანის და საზოგადოებრივი აზროვნების ურთიერთქმედების თანაპროდუქტი, რომელიც, ასე თუ ისე, ორივეს აკმაყოფილებს, – არადა, როდესაც გამზადებულ ტილოს ვჭვრეტთ, მის უკან ყოველთვის ,,ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებს“ დავეძებთ და მის ბრწყინვალებას ვემორჩილებით...

* * *

პოეზია სულის კათარზისია. ტკივილების, ღრმა განცდების და გარდასახვების გარეშე, ხელოვნების ნაწარმოები არ იქმნება.

* * *

მოდერნისტული ,,მიდენა“ მხატვრული კულტურის დამანგრეველი ხდება...

* * *

თუ ხელოვნებაში „განსხვავებულად ურევ“, არ შეიძლება მას ხელოვნება უწოდო...

* * *

განსხვავებული აზროვნება პოეზიაში ბილწსიტყვაობას, ტალახის სროლას და აბსურდს არ უნდა გულისხმობდეს.

* * *

არცერთი ხელოვნების ნაწარმოები არ არის უზადო იმიტომ, რომ გემოვნებაც არ არის უზადო.

* * *

ოდესმე „დაფეხვილ დედაკაცსაც“ ეწვევა მუზა, ანგელოზების ფრთებს გამოასხამს და ზეცაში ააფრენს...

* * *

ლექსის აწყობა-დაწყობაზე მეტად სულიერება მიზიდავს მასში.

* * *

მითოლოგიური აფეთქების ხანამ ისტორიული განვითარების დროს გადაუსწრო კიდევაც და წინ შეეგება მას ადამიანური ღირებულებებით დატვირთული...

* * *

ძალიან დამაფიქრებელია ის ფაქტი, ცნობილი პიროვნებების შემოქმედება რატომ ფასდებოდა მათი გარდაცვალების შემდეგ და არა მათ სიცოცხლეში...

* * *

დასრულებული ნაწარმოები არ არსებობს. ის იმისთვის იწერება, რომ გაგრძელდეს...

* * *

პოეზიაში ილუზიას და ფანტაზიას თავისი საზღვრები და ჩარჩოები აქვს...

* * *

ძალიან გაკვირვებული დავრჩი, როცა მივხვდი... რომ ადამიანები დაეძებენ და აღიქვამენ ყნოსვა-გემოვნების ფერს პოეზიაში, ფერის ყნოსვა-გემოვნებას მხატვრობაში... რომ, საერთოდ, მადა ადამიანებს არასოდეს ღალატობს...

* * *

ლექსს რა კვებავს გასაგებია, რას ჩააცმევ კი არა...

* * *

ნებისმიერი ადამიანი უნდა მიხვდეს ან იგრძნოს, პოეტმა რა დაწერა. თუ ვერც მიხვდა და ვერც იგრძნო, მაშინ ცუდადაა საქმე...

* * *

ავტორის გულწრფელობას თავად ნაწარმოები გვამცნობს.

* * *

პოეტური მინიატურები პოეტური მარგალიტებია.

* * *

ნაწარმოებში თუ შინაარს აამღერებ, ან აატირებ – მიიღებ ფორმას...

* * *

წარმოსახვის დიდი უნარი, შესაბამისი ფორმის მოძებნის დიდი ტექნიკაა საჭირო – მკითხველს განაცდევინო, რაც გსურს...

* * *

რთული ძალიან უბრალოდ უნდა გადმოსცე...

* * *

მწერლისათვის და პოეტისათვის კონკრეტული არ არსებობს, კონკრეტულს ხატავს ზოგადი ნიშ-ნით.

ხელოვანს ეუფლება მშვენიერების განცდა. ამ დროს ხშირია ხატოვანი წამო-ცდენები, ხილვები და ორიგინალური ასოციაციური კავშირები. გამოვლენის ფორმა ინდივიდუალურია.

რა ზონაში და რა გემოვნებით მუშაობს შემოქმედი, როგორ აღიქვა და დაინახა ეს სამყარო?..

ჭეშმარიტ არსთა ძიების და შეგრძნების თავისებურების მიხედვით, გადაამუშავა რა თავის ქურა-ში პრობლემური საკითხები, შექმნა მხატვრული ტილო და დაუბრუნა იგი საზოგადოებას. ამ მხატვრულ ტილოში იკითხება: ზეციურ და მიწიერ ძალთა ჭიდილში, მიმართებითი დამოკიდებუ-ლება არსთა წვდომით, სიღრმის და მისი გადმოცემა– გადმოტანის – დაოსტატების ხერხების შეთვისება-შეთავსების ხელოვნება; სულიერი განცდა, სიღრმე, მრავალსახეობა; თუ შემეცნების რა გზა აირჩია და მისი შესაბამისობა რეალობასთან, რომელიც ხელოვანის ინდივიდუალიზმზე, გემოვნებასა და დახვეწილობაზე მეტყველებს.

* * *

ადამიანის მიწიერი ფანტაზია ხელოვნება არ არის. მხატვრული აზროვნების ინსტიქტები მუდმივ კავშირში უნდა იყოს სოციალურ ყოფასთან და შექმნას ხელოვნება ჭეშმარიტებისა და სილამაზის მარადიული კანონებით.

* * *

წერის დაწყება სულიერი და ხორციელი დაუკმაყოფილებლობის შევსებისაკენ სწრაფვაა.

* * *

მუზით მოფრენილი ლექსი თავად მღერის და უსათუთეს სიმებს სასიამოვნოდ არხევს. ერთფეროვნებაც მოსაწყენია, რაგინდ ჰარმონიული იყოს ის. ხანდახან, ლექსში ლამაზად დაწყობილი აზრებიც იწვევს ჰარმონიულად სიმების შერხევას. თუ მასში სამართლიანობის მარცვლებიც ჰყრია, თავის მიზანს კარგად აღწევს.

* * *

ყველაზე დიდი სერიოზულობა და პასუხისმგებლობა სახუმარო ნაწარმოების შექმნას სჭირდება.

* * *

ყველა წიგნი დახურულია და მე ვწერ... მაპატიეთ, თუ „რაიმე'' უნებლიეთ გადმოვიწერე ამ წიგნებიდან ან თქვენი აზრებიდან... თუმცა მათ ჩემი ქურაც გამოიარეს...

* * *

მუსიკა სამყაროს ხმაა და შეგრძნებათა ჯამია.

* * *

როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება ადამინის ცხოვრებაში, ამას ძალიან უბრალოდ, ჩვეულებრივად ვუყურებთ. ჩვენს თვალში ბოლოს და ბოლოს ყველაფერი უბრალოვდება, მაგრამ ეს ყველაფერი, თუნდაც უმნიშვნელო, ჩვენს გონებაში თავს იყრის და ფოკუსირდება. შემდეგში უმაღლესი ხარისხით ხდება მათი ხელახალი წარმოსახვა.

* * *

თანდათან ვრწმუნდები, რომ პროზაც პოეზიაა...

* * *

ცხოვრება ისე უნდა აღწერო, რომ ნამდვილს მიამგვანო... არც სინამდვილეა მთლად ნათელი და კაშკაშა...

სიბრძნე, ფილოსოფია, ლოგიკა

* * *

სიბრძნე ბევრია, რომელთაც შესაბამისი გამოყენება სჭირდება.

* * *

ცხოვრებაა თავად დიდი ბრძენი და ფილოსოფოსი, რომლის ფოკუსირება და გარდატეხა ცალკეულ ფილოსოფოსებს სხვადასხვაგვარად ძალუძთ.

* * *

ფილოსოფიური დოგმები არ არსებობს, ფილოსოფიური აზროვნება – კი.

* * *

მეამბოხე ადამიანი უკვე ფილოსოფოსია.

* * *

თუ ადამიანს შეუძლია გამოვიდეს და თქვას, რომ ის ფილოსოფოსია, ჩვენ უნდა დავუჯეროთ მას.

* * *

ფილოსოფოსთა აზროვნებაში არის კიდევ სივრცეები და არეები, რომლებიც სხვა ფილოსოფოსებმა უნდა ამოავსონ.

* * *

ზოგს ფილოსოფია არ სჭირდება და არც არის საჭირო თავს მოახვიო რაიმე მსგავსი, თუმცა მისი პრობლემა ფილოსოფიის პრობლემისგან დიდად განსხვავებული არ არის...

* * *

ფილოსოფოსებს ფსიქოანალიზთან მიახლება უმძიმთ...

* * *

ფილოსოფოსებმა ისე შორიდან დაიწყეს განზოგადებები, რომ ჯერ ადამიანთა პრობლებამდე დასული არ არიან...

* * *

ფილოსოფიის უდაბურ ტყეში შესულს, თავდაპირველად ზაფრი და შიში მოიცავს. ცოტა ხანში იქ დანახულ საგანთა ინტერესი ყოველგვარ ელდა-შეშფოთებას თრგუნავს – მთლიანად იპყრობს რა ადამიანურ არსებას და აზროვნებას.

* * *

არ შეიძლება, სიბრძნე ერთმა ადამიანმა წარმოშვას, ანდა მას მივაკუთვნოთ. სიბრძნეს ადამიანების თანაცხოვრება წარმოშობს და მისივე კუთვნილებაა.

* * *

ლოგიკა ბევრჯერ ექცევა ჩიხში...
ჩვენი ლოგიკა ხშირად სწორი არ არის და სულაც არ მივყავართ იქ, სადაც უნდა მივიდეთ...
ლოგიკა ეს არის ტვინი – ცნობიერება, მაშინ, როცა ინტუიცია – გრძნობა, რასაც გულს ვეძახით, ეს არის ადგილი, სადაც ცნობიერების – ლოგიკის ადგილი არ არის. ის, რასაც ცოდნას ვეძახით, არ არის ნამდვილი ცოდნა... მასთან ბევრი რამ გვაშორებს.

* * *

...მტკიცებულებები, ბევრჯერ, საკმაოდ მოწესრიგებულია და დიდი ლოგიკური ჯაჭვით არის ასხმული, თუმცა რეალურობა მის პარალელურ რელსებზე გვაყენებს და სადღაც მიგვაქანებს ისე, რომ მატარებლის მგზავრივით, პარალელურ ვაგონებში ვაფიქსირებთ მას...

* * *

ისტორიკოსს ისტორიულ წიაღებში ინტუიციური აზროვნება უნდა ამოძრავებდეს და იქედან მადნეულს დიდი ენთუზიაზმის ძალით უნდა ეზიდებოდეს.

საზოგადოების სტრუქტურა და საზოგადოებრივი აზროვნება

* * *

სხვადასხვა სტრუქტურის, მაგრამ ერთი და იგივე სეგმენტებისაგან შემდ-
გარი სფერო არის საზოგადოების მუდმივობის ფორმა, ამ სეგმენტების შეცვლის მცდელობა უშედეგოდ მთავრდება.
სფეროს გააჩნია მცირედი პლასტიკურობა... შეიცვლის რა ფორმას, უბრუნდება საწყის მდგომარეობას...

* * *

ბუნებაში ასახვა და საზოგადოების ცნობიერებაში ჩასახვა კანონზომიერებითი პროცესია.

* * *

საზოგადოებაში, როცა დამნაშავის მიმართ დასჯაზე მეტად მიტევების მოთხოვნილებაა, უნდა ჩავთვალოთ, რომ შემდგარ საზოგადოებასთან გვაქვს საქმე, თუმცა ამისათვის, პირველ რიგში, დანაშაულის ჩამდენის სინანულია საჭირო. სხვა შემთხვევაში უსამართლობასთან გვექნება საქმე და არც უფლის ნება აღსრულდება.

* * *

როდესაც ქუჩაში გავლილს, ეჭვი შეგეპარება მრავალი ახალგაზრდა მამაკაცის ორიენტაციაში; უნებისყოფო, აკანკალებულ, კახექსიურ ახალგაზრდებს იხილავ აფთიაქში, რომლებიც ფარმაცევტს აიძულებენ, რაც შეიძლება სწრაფად შეუფუთონ შპრიცი და მისი თანმხლები ატრიბუტები; წარმოიდგენ საზღვარგარეთ საშოვარზე გაქცეულ და ამის გამო დაქცეულ ოჯახებს, კიდევ უფრო მეტად დარწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს საზოგადოების დეგრადაციისა და რეგრესიის „მიზანმიმართულ“ მცდელობასთან.

* * *

პიროვნება, რომელიც ხალხმა შეიყვარა და თავის იდეალად წარმოსახა, არასოდეს არის ერთი პიროვნება. ის განზოგადებული (წარმოსახული სახეა); საზოგადოებრივი დაკვეთის შედეგად მიღებული სიმბოლოა, – ამ საზოგადოებისათვის მისაღები. ზოგჯერ, მას იმ თვისებებსაც მიაწერენ, რომელიც სინამდვილეში არ ჰქონია. ის შეიძლება იყოს რეალური ან მითოლოგიური პერსონაჟი.

* * *

ჩვენი წარმოდგენები მრავალ მოვლენათა ფოკუსირებული სახეა, რომელთა გაშლა თავისავე წარმომშობი მიმარულებით და წვდომა ადამიანის გონებას არ ძალუძს.

* * *

დედამიწაზე დამანგრეველთა და აღმაშენებელთა აზრები საპირისპირო მიმართულებით წრეზე მოძრაობენ, რომლებიც მაშინ აღმოჩნდებიან ერთ წერტილში, როცა ეს დედამიწა აღარ იქნება...

* * *

როცა ავანსცენაზე პრიმატები და პრიმიტივები გამოდიან, საზოგადოებრივი აზრის გაჯანსაღებაზე ფიქრი დაგვიანებულია.

* * *

პიროვნული გონიერების შემთხვევაშიც კი, უძლურნი ვართ, წინ აღვუდგეთ მეწყერად მოხეთქილ საზოგადოებრივ აზროვნებას, რომელიც დროდადრო ტრანსში აგდებს მასებს. სწორედ ამ ტრანსის შემდეგ იწყება მასათა ინტუიციური მოძრაობა გადაგვარებული აზროვნების წინააღმდეგ, რომელსაც ასევე ვერაფერი შეაფერხებს.

დღევანდელ აზროვნებაში „კრიზისი“ სახეზეა, ინტუიცია კი ჯერ არ გამოკვეთილა...

* * *

რა თქმა უნდა, საზოგადოება შეეცდება შეცვალოს აზროვნება, რომლიდანაც გამორიცხეს...

* * *

ვერავის აზროვნებას ვერ დავიწუნებთ. იგი, ზოგადად, ბუნების აზროვნების წესიცაა. „დაბალ და მაღალ“ კატეგორიებში აზროვნებას თავ-თავისი შინაარსები გააჩნია: ან მაგალითია ან – სამაგალითო.

* * *

ადამიანი მოვალეა, ჩაიხედოს თავისი ეპოქის საზოგადოების წარმოსახვათა სარკეში და თავისავე წარმოსახვათა თვალსაწიერით კრიტიკულად შეაფასოს იგი. არ არის მოვალე, კვერი დაუკრას ყოველივე ნანახსა და გაგონილს...

* * *

ერთია, რას ფიქრობს ხალხი, მეორე – რა უდევს კაცობრიობას ქვეცნობიერში.

* * *

აზრობრივ-მენტალური ძალადობა, რომელიც სოციალურ გარემოში შეიძლება არსებობდეს, ბუნების კანონზომიერებებთან ვერაფერს გახდება. დამკვიდრება, რომელსაც სოციალურ-მენტალური ჯგუფები ახდენენ პირობითია და დროის მხოლოდ მცირე მონაკვეთში გამოდგება, ბუნების მთავარ ასახვაში ის არ მოიპოვება...

* * *

თუ საზოგადოება დაავადმყოფებულია, მას მოვლენების მიმართ სწორი რეფლექსია ვერ ექნება...

* * *

აზროვნების მონოპოლიზების მცდელობა კრახით მთავრდება...

* * *

ადამიანები ისე არ უნდა გაამწარო, რომ, ერთ მშვენიერ დღეს, მასობრივ თვითმკვლელობებში მიიღონ მონაწილეობა მსოფლიოს გადარჩენის მოთხოვნით...

* * *

ყოველი ადამიანი თავისი ცნობიერების უნიკალურობიდან და ფასეულობით– კატეგორიალური ღირებულებიდან გამომდინარე აყალიბებს კრიტერიუმებს, რომელთაც მოარგებს ხოლმე, როგორც საკუთარ თავს, ასევე საზოგადოების წევრებს და აქვს შეფასების სრულიად განსხვავებული სისტემა.

* * *

დასანანია, ამ საზოგადოებას, ჯერ კიდევ, დეილ კარნეგის ულუფები რომ ესაჭიროება.

* * *

სიცოცხლის განხორციელების ხაზზე, ბუნებრივი კატაკლიზმებით და ადამიანის ხელით შექმნილი ხელოვნური ბარიერების მიმართ, სრულიად განსხვავებული აზროვნება და დამოკიდებულება არსებობს.

თუ კატაკლიზმში ადამიანი საყოველთაო და უფლის განგებულებას ხედავს, ხელოვნურ ბარიერებს ის თავისუფლების შემზღუდავ, სრულიად დაუშვებელ, ძალმომრეობით განხორციელებულ ქმედებებად აღიქვამს, რომლის მიმართ წინააღმდეგობა იმდენად დიდია, რომ არაფერზე უკან არ დაიხევს; სწორედ რომ, ყველანაირ საშუალებებს – აკრძალულ თუ აუკრძალავ მეთოდებს გამოიყენებს ამ ძალადობის აღსაკვეთად. მსოფლიოს ,,უკანონო მამები," დროა, დაფიქრდენ ამაზე!..

* * *

ქაოსისაკენ მიმზიდველი ლტოლვები და მისწრაფებები გარდაუვალობის და აუცილებლობის ინსტიქტური შეგრძნებებით უნდა ჩავანაცვლოთ.

დღესდღეობით, დგას არა მასების ფსიქოლოგიური მართვის, არამედ მისი შესწავლის აუცილებლობა. იმ კატაკლიზმებიდან გამომდინარე, რაც უკვე სახეზეა, საჭიროა არა ფუტურისტულ–კოსმოპოლიტური აზროვნება, არამედ რეალობასთან – მისი შედეგებიდან გამომდინარე, სწორი დამოკიდებულება და კომპეტენტური აზროვნება, რომელიც სხვადასხვა სოციალური ჯგუფების დამოკიდებულებით და აზროვნებით უნდა იყოს ნაკვები და არა ახირებული, ბედისწერის ტალღებზე მოთამაშე, ავანტიურისტების მცირე ჯგუფების აზროვნებით!..

* * *

ზოგი ადამიანი საზოგადოებრივი ასახვის – იდენტიფიკაციის პროცესს სიცოცხლის ბოლომდე ვერ ასრულებს.

შემეცნებითი საკითხები

მამა ამირან ამირანაშვილი



საუბარი რელიგიის ისტორიის შესახებ

გაგრძელება.
დასაწყისი ანთოლოგიის № 6-7-სა
და ჟურნალ „ათინათის“ №26-33-ში

დასავლეთში უკვე IV ს-ში აკოლეთებს, ისევე, როგორც სუბ-ლიაკონებს თვლიან ღვთისმსახურის ხარისხის მქონეს.

ლაოდიკიის კრების 24-ე წესით აკოლეთები არ მოიხსენიება ღვთისმსახურთა შორის.

ეკზორცისტების ხარისხი, ანუ შემლოცველებისა ეკუთვნო-დათ სამოციქულო ხანაში იმ ქრისტიანებს, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ განსაკუთრებული ქარიზმა — ნიჭი ავი სულების შეჩვენებისა, შელოცვისა.

დევნის ეპოქაში (I საუკუნეში) ეს გავრცელდა ქრისტიანებში.

წმ. იუსტინე ფილოსოფოსი: „იუდეველ ტრიფონთან საუბრისას“ ამბობს: „ჩვენ მორწმუნენი ჯვარცმულ ქრისტესი, შევაჩვენებთ დემონებსა და არაწმიდა სულებს და ვუფლებთ მასზე“.

შემდგომში ეკზოცისტების საქმეს ხელი მიყვეს დეკაკაცებმაც, რაზედაც ეკლესია სასტიკი წინააღმდეგი იყო ლაოდიკიის კრების 24-ე წესით: ეკზოცისტები ირიცხებიან „საეკლესიო პირე-ბად“, მაგრამ 26-ე წესით ამავე კრებისა, ეპისკოპოსის განჩინებით მათ ეკრძალებათ შელოცვები ტაძრებში და კერძო სახლებში.

შელოცვები, შეჩვენებები აღესრულებოდა ამის შემდეგ ეპისკოპოსებისა და პრესვიტერების მიერ ნათლისღების საიდუმლოს აღსრულებისას.

ლექტორების ჩინის წარმოშობა დაკავშირებული იყო ღვთისმსახურებისას წმ. წერილის კითხვასთან. I ს-ში ეკლესიაში, ტაძარში კითხვა შეეძლო ეკლესიის ნებისმიერ წევრს, როგორც ღვთისმსახურს, ისე ერის წარმომადგენელს. შემდგომში დადგინდნენ „ლექტორები“ (წამკითხვე-ლები), რომლებიც ექვემდებარეობდნენ დიაკვნებს და შედიოდნენ დაბალი ჩინის კლირიკოსების შემადგენლობაში.

II ასწლეულის ბოლოს ლექტორი ეკლესიაში ხდებოდა თანამდებობის პირი. ამის მოწმობა არსებობს „დიდსქალიაში“ (III საუკუნე).

მოციქულთა 26-ე წესი ისინი ირიცხებიან კლირიკოსებში. ლექტორები მოხსენიებულნი არი-ან ლაოდიკიის 24-ე წესში. ხოლო სარდიკიის კრების მე-10 წესით ეპისკოპოსმა აუცილებლად უნ-და გაიაროს: ლექტორის, იაკვნისა და პრესვიტერის ხარისხები. ეკლესიაში ძველად იყვნენ გერმე-ნევტებიც. მათ შეუძლიათ ყოფლიყვნენ როგორც საერონი, ისე კლირიკოსები. განსაკუთრებით ხშირად ისინი ლექტორები იყვნენ. გერმენტები თარგმნიდნენ წმ. წერილს და ქადაგებდნენ ღვთისმსახურებისას, იქ სადაც ბერძნულ-ლათინური მოსახლეობა იყო, აღმოსავლეთში იყვნენ, სირიელი, სომხური, კოპტური, ქართული ენის თარჯიმან-გერმენევტები.

ეკლესიაში ძველად სრულდებოდა მსახურებები, რომლებიც მონაწილეობდნენ დედაკაცე-ბიც. ე.წ. „ეკლესიაში ქვრივები“ ანუ დიაკონები და პრესვიტერები. მაგრამ ეკლესიამ აკრძალა ეს

ხარისხები, რამეთუ მათ ეკრძალებათ საკურთხეველში შესვლა. ამჟამად დედაკაცისათვის რაიმე ჩინი არ არის დადგენილი ეკლესიაში. ისინი უბრალოდ მონაწილეობას ღებულობდნენ ეკლესიის სამეურნეო და დედათა მონასტრებში და საერთოდ ტაძრებში ლოცვისა და გალობის საქმეში.

მოთხოვნები სამღვდელო კანდიდატურისადმი
დაბრკოლებები მღვდელისათვის

რწმენის სილრმე და სიმტკიცე

კათოლიკური სამართალი განარჩევს აბსოლუტურ დამაბრკოლებელ თვისებებს და ნაწილობრივ დამაბრკოლებელ თვისებებს.

აბსოლუტურ დამაბრკოლებელი თვისების შემთხვევაში კურთხევა არ შეიძლება ჩაითვალოს სინამდვილედ, რაც არ შეიძლება ითქვას ნაწილობრივი დაბრკოლების შემთხვევაში.

დაბრკოლებაა — მოუნათლობა; აკრძალულია ქალების მღვდელმსახურება. მოციქული პავლე ამბობს: „დედანი თქუენნი ეკლესიისა შინა დუმნედ, რამეთუ არა ბრძნულ არს მათდა სიტყვად“ (I კორ. 14,34), ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქალები ტაძარში არ მსახურობენ.

დიაკვნები და პრესვიტერები იერარქიას არ წარმოადგენენ.

ღვთისმსახურნი წარმოადგენენ სულიერ წინამძღოლებს, ხელმძღვანელებს ღვთის ერისა და მორწმუნე ერისა. ამიტომ, სამღვდელოება მორწმუნე ერისაგან უნდა გამოირჩეოდეს. რწმენის სიმტკიცეით, უმაღლესი ზნეობრივი თვისებებით, შეურყვნელი რეპუტაციით. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქრისტიანი ვერ იქნება ხელდასხმული და დადგინებული ღვთისმსახურად. აუცილებელია, რომ სამღვდელოების კანდიდატი პასუხობდეს განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრავენ კანდიდატის ღირსეულობას.

არ შეიძლება ქალის მღვდლად კურთხევა (I კორ. 14,34)

მოუნათლავი არ ითვლება ეკლესიის წევრად. ამიტომ თვალნათელია, რომ მათ არ შეუძლიათ სამღვდელო იერარქიაში გაწევრიანება.

არ შეიძლება, სქესობრივი გადახრების მქონე და ფსიქიურად დაავადებული ადამიანის მღვდლად კურთხევა.

მართლმადიდებლური ეკლესია განარჩევს ორი სახის დაბრკოლებას მღვდლისათვის:

I აბსოლიტური უძლურება თავგანწირვისა.

II არასრულფასოვნება.

დაბრკოლებათა სახეები:

1. სარწმუნეობისაგან განდგომა, რომელიც არ იყო გამოწვეული წამებისაგან. (მოც. 62, ანკირ. 3 I მსოფ. 10).
2. ერესები (I მსოფლ. 19)
3. დასაჭურისება საკუთარი თავის ან სხვების.
4. ყველა ხორციელი ცოდვა, რომელიც არღვევს ათი მცნების 7 მცნებას. (მოციქ. 61. ნეოკესარია 9, 10).

პრაქტიკაში ძნელია გაარჩიო ზნეობრივი და სარწმუნოებრივი ნაკლოვანებები ერთი მხრივ და მეორე მხრივ დანაშაულობანი, ისე როგორც მეორე არ არსებობს პირველის გარეშე. ამიტომ დაბრკოლებებს ყოფენ ორ ნაწილად — ფიზიკური და სულიერი ხასიათისა. ასევე, სოციალური ხასიათის დაბრკოლებანი.

ფიზიკური ხასიათის დაბრკოლებები

ფიზიკური: იგი დაკავშირებულია ასაკთან და ჯანმრთელობასთან, ჯანსაღი გონება, მტკიცე დარწმუნებულობა, ცხოვრებისეული გამოცდილება, ყოველივე ეს გულსხმობს სრულ ასაკს. დიაკონად ხელს ასახავენ 25 წლის ასაკიდან. პრესვიტერად 30-35 წლის ასაკიდან.

ფიზიკური სახის დაბრკოლებები დაკავშირებულია კაცის ასაკთან, მის ჯანმრთელობასთან და სხეულის სრულფასოვნებასთან.

ღვთისმსახურებისათვის, მღვდელმქომედებისათვის აუცილებელი გონებრივი სიჯანსაღე, რწმენის სიმტკიცე, ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც გულისხმობს ადამიანისათვის გარკვეული ასაკის მიღწევას.

დიაკვნისათვის განსაზღვრულია ასაკი — 35 წელი.

ღვთისმსახურების აღსასრულებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადამიანის სხეულის სიჯანსაღე. (არ იგულისხმება დროებითი სნეულებანი), რაც შეეხებათ საჭურისებს, თუ ისინი ექიმის მიერ აუცილებლობის შემთხვევით, ან ბარბაროსების მიერ იქნენ დასაჭურისებულები და არა თვითნებობით, მათ ეკლესია აკურთხებს სამღვდელო ხარისხში (I მსოფლიო კრების I კანონი).

რაც შეეხებათ ყრუებს, უსინათლოებს, მათ ეკლესია არ აკურთხებს სამღვდელო ხარისხში. (მოც. 78-ე კანონი).

რაც შეეხებათ ხეიბრებს უნდა ითქვას, რომ მათ საკითხს წყვეტენ ეპისკოპოსები კრებაზე.

სულიერი ხასიათის დაბრკოლებები

სულიერი ხასიათის დაბრკოლებები დაკავშირებულია ადამიანის ურმწუნოებასთან. ბიწიერებასთან, ფსიქიკის დარღვევასთან, რომელიც შეიძლება თანდაყოლილიც იყოს და ბოლოს უვიცობასთან.

სამღვდელო კანდიდატის სარწმუნოება უნდა იყოს მართლმადიდებლური, ღრმა, მტკიცე, შემოქმედებითი. მრავალი შემთხვევაა აღწერილი ეკლესიის ცხოვრებაში, როცა ეკლესიიდან განდგომის მიზეზი „სულიერი პირებისა“ იყო ზემოაღნიშნული თვისებების არქონა.

არ შეიძლება ფსიქიკურად დაავადებულის მღვდლად კურთხევა (ნეოკესარიის კრების 12-ე წესი) ასევე, არ შეიძლება ეშმაკეულის კურთხევა. (მოც. 79-ე წესი).

არ შეიძლება სულიერად მოუმწიფებელი კაცის კურთხევა სასულიერო ხარისხში (I ტიმ. 3.6).

სასულიერო პირად არჩევამდე კანდიდატს უნდა გააჩნდეს სულიერების სიმაღლე, მისი ოჯახის წევრები მორწმუნენი უნდა იყვნენ (ტიტ. 1.6 კართ. კრება 45-ე წერ).

ძველად სასულიერო პირად არ აკურთხებდნენ: კაცისმკვლელებს, ქურდებს, საფლავთა შემრყვნელებს, მკრეხელებს.

სასულიერო პირებს მოეთხოვებათ: მორჩილება, კაცთმოყვარება, თვინიერება. (ტიტე 1.7-8).

საეკლესიო სამართლით სასულიერო პირად არ დგინდება უნებლიედ მკვლელიც (ბასილი დიდი 43.5).

მევახშენი იმ შემთხვევაში შეიძლება გახდნენ სასულიერო პირები, როცა ანგარებას დაუტევებენ, უქონელთ აღავსებენ და მევახშეობას დაუტევებენ (ბასილი დიდის 14-ე წესი).

სამღვდელო კანდიდატი უნდა იყოს სულიერად განსწავლული (ტიტ. 1.9) ამისათვის საჭიროა ზედმიწევნით მომზადება. იგი სასურველია სწავლობდეს სასულიერო დაწესებულებაში.

სოციალური ხასიათის დაბრკოლებები

სოციალური ხასიათის დაბრკოლებები ერთი მხრივ დაკავშირებულია კაცის ოჯახურ მდგომარეობასთან, მეორე მხრივ მის მოვალეობებთან მთავრობასა და სახელმწიფოსთან მიმართებაში.

მართლმადიდებელი ეკლესია სასულიერო პირებად აკურთხებს „უკანონოდ“ გაჩენილთ, კათოლიკეებისგან განსხვავებით.

ეკლესია სასულიერო პირის კანდიდატისაგან არ გამოიძიებს მის წარმომავლობას, ეროვნებას, მაგრამ მკაცრად ეკიდება კანდიდატის ქცევას ქორწინების საქმეში. ეკლესია არ აკურთხებს მეორედ დაქორწინებულს (მეც. 17-ე წესი). ეს წესი ძველთაგან მომდინარეობს, ასევე, უარყოფილია პასიური მეორედ ქორწინება, ანუ ქორწინება ქვრივზე ან გაყრილ ქალზე (მოც. 18-ე წესი).

აკრძალულია ხელდასხმა პირზე, რომელიც ცხოვრობს მეძავთან, ან ცოლად ჰყავს სისხლით ნათესავი. (ნეოკეს კრ. 8-ე წესი. მოც. 19-ე წესი).

აკრძალულია ხელდასხმა პირებზე, რომლებიც დაქორწინდნენ ურწმუნეობზე და არამართლმადიდებლებზე (კართაგ. კრ. ა-26-ე (45) წესი).

სამღვდელო კანდიდატი უნდა იყოს ერთხელ დაქორწინებული და მტკიცე, ურყევი სხვა მიმართებებშიც.

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები ეხება დიაკონსა და პრესვიტერს, ხოლო ეპისკოპოსი ტრულის კრების 13-ე წესის თანახმად ვალდებულია იყოს უცოლო.

სამღვდელო კანდიდატი თავისუფალი უნდა იყოს ისეთი სახელმწიფო. სამთავრობო მოვალეობებისაგან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან და შეუთავსებელი საეკლესიო დადგენილებებთან და ღვთისმსახურებასთან.

მოციქულთა 81-ე წესით ეპისკოპოსებსა და მღვდლებს ეკრძალებათ „სახელმწიფო მმართველობაში“ საქმიანობა.

მოციქულთა 83-ე წესით: ეპისკოპოსი, მღვდელი და დიაკონი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებებისაგან, მაგრამ თუკი სურთ სამხედრო სამსახურში ყოფნა, მაშინ დაუტეონ სამღვდელო ხარისხი“.

ძველად, როდესაც იყო მონობა, მათზე ხელდასხმა არ სრულდებოდა. (მოც. 82-ე წესი). შემდგომში კი ბატონებზეც იგივე წესი დადგინდა. ასევე, აკრძალულია ხელდასხმა პირებზე, რომლებსაც სასამართლოს მიერ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა.

კლირიკოსებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დადებითი რეპუტაცია, კარგი სახელი, იმიჯი არა მარტო მორმწუნეთა შორის, არამედ საერო ცხოვრებაშიც. პავლე მოციქულის სიტყვები: „ასევე, კარგი მოწმობა უნდა ქონდეს (სასულიერო პირს) გარეშეებისაგან, რათა სირცხვილისა და ეშმაკის მახეში არ მოხვდეს“ (I ტიმ. 3.7).

სამღვდელო კანდიდატი არ შეიძლება იყოს პროფესიით — მსახიობი (კართაგ. კრება სახლების მფლობელები, მეანები, რომლებიც უსაფუძვლოდ აკეთებენ აბორტებს.

ჩვენ არ განვიხილეთ ნათლობისა და სქესის საკითხი, რამეთუ მათ პირობები არ გააჩნიათ, ე.ი. აუცილებლად უნდა იყოს ნათელღებული სამღვდელო კანდიდატი და სრულფასოვანი მამაკაცი.

ზემო აღნიშნულის გარდა ეკლესია უშვებს ზოგიერთ გამონაკლისს ხელდასხმისას, ხშირ შემთხვევაში ეს ეხება კანდიდატის ასაკის საკითხს.

სამღვდელო კანდიდატის გამოცდა

ამა თუ იმ პირის სასულიერო პირად ხელდასხმის ხელშემშლელი მიზეზი შეიძლება იყოს ცნობილი. ამიტომ, კანონით დადგენილია სამღვდელო კანდიდატის გამოცდა. ან საჯაროდ, საზოგადოების თანდასწრებით (ტეოფ. ალექსანდ. 7-ე წესი) ან საიდუმლოს აღსარებით, რომელიც

აღესრულება ხელდამსხმელის წინაშე (ნეოკესარიის კრება 9-ე წესი, ნიკეის კრება 9-ე წესი) და რომელთაც ესწრებათ მოწმის სახით — განსაზღვრული წესით დადგენილი სასულიერო პირები. თუკი აღსარებაში გადმოცემული იქნება სულიერი მდგომარეობის ნაწილი და სამღვდელო კანდიდატის ხელდასხმის ხელისშემშლელი მიზეზები, მაშინ მას აეყრება ხარისხი (ჯვრის ახსნის სახით), ან შეუჩერდება მღვდელმოქმედება. (ეს დამოკიდებულია ეპისკოპოსის მიერ მიღებულ განჩინებაზე) (ნიკეის კრ. II, IX, X წესები. ნეოკესარიის კრების 9-ე წესი).

სამღვდელო კანდიდატის ღირსეულობას ემოწმება მორწმუნე ერიც, სიტყვებით „აქსიოს“ ანუ ღირსია„.

სამღვდელო კანდიდატის განსწავლულობის გამოსავლენად ეპისკოპოსი გამოცდის მას. ანუ უნიშნავს გამომცდელს.

ეპისკოპოსის ხარისხში აყვანის შემთხვავაში, საეპისკოპოსი კანდიდატი საჯრაოდ აღიარებს მართლმადიდებლურ დოგმატებს. ამით ააშკარავებს — თავისი რწმენის, სარწმუნოების სიწმინდეს.

კანონები ეხება სასულიერო პირებს გარეგან სახეს და მათ შესამოსელს. ტრულის კრების 27-ე კანონი, სამღვდელოებას ეკრძალება უწესო, დაძონძილი, ჭუჭყიანი შესამოსელით, ან შესამოსელის გარეშე სიარული. ასეთ შემთხვევაში მათ განაყენებენ სამღვდელოებისაგან.

სასულიერო პირებს ევალებათ ოჯახური სიწმიდის დაცვა. უქორწინებელ სასულიერო პირებს ეკრძალებათ ქორწინება. (მოც. 26-ე კანონი).

სასულიერო პირების ქორწინება უნდა იყოს ერთჯერადი. (იგულისხმება ერისკაცობაში) მეორედ ქორწინება სასტიკადაა აკრძალული. (I ტიმ. 3.2-12; ტიტ. 1.5-6).

ცოლის მოღალატე სასულიერო პირი განიკვეთება სასულიერო იერარქიის დასიდან. ხოლო თუ პირიქით მოხდა, მღვდელს უფლება აქვს გაუშვას იგი, თვითონ კი „დაქვრივდეს“.

ტრულის კრების მე-12 წესით აიკრძალა ეპისკოპოსის მეუღლესთან თანაცხოვრება, ამის მიზეზი იყო ის, რომ იმ ეპოქაში ფართო გავრცელება ჰპოვა მონაზვნობამ, ბერობამ, ხოლო ეპისკოპოსების კანდიდატებს ბერებიდან არჩევდნენ. პავლე მოციქულის თქმით: „მე მსურს, რომ უზრუნველად იყოთ, უცოლო უფლისაზე ზრუნავს, როგორ აამოს უფალს, ხოლო ცოლიანი წუთისოფელზე, წუთისოფლის საქმეებზე ზრუნავს, როგორ აამოს ცოლს“. (I კორ. 7.32-33).

ტრულის კრებაზე მონაწილე მამები არ მოითხოვდნენ, რომ აკრძალულიყო ეპისკოპოსისათვის ერთი ცოლის ყოლა, მაგრამ დროთა განმავლობაში ყოველგვარი იძულების გარეშე დადგინდა, რომ ეკლესიაში ეპისკოპოსად ბერის ხელდასხმა მომხდარიყო.

მრავალგვარი გართობა-გატაცება, პროფესია შეუთავსებელია სასულიერო პირისათვის. მათ ეკრძალებათ სამოქალაქო და სახელმწიფო სამსახური, მევახშეობა, ვაჭრობა (განსაკუთრებით ღვინისა); ასევე ეკრძალებათ საერო მეცნიერების განსაკუთრებულად შესწავლა (უფრო ქირურგიისა) – „ნომოკანონი“ გვ. 132.

სასულიერო პირის ვალია – თავის სიკვდილამდე ერთგულად დაიცვას თავისი მოწოდება. ხარისხის დამტოვებელი ქალკედონის კრების მე-7 წესით შეჩვენებულია. ბიზანტიაში კი მათ ერთმეოდათ მოქალაქეობის გარკვეული უფლებაც.

ღმერთის აღიარებისა და რწმენის სახელზე.

გაგრძელება იქნება

ისტორია

როინ მეტრეველი

აღა-მაჰმად-ჰანის ულტიმატუმი მეფე ერეკლე მეორისადმი

კრწანისის ბრძოლა საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ფურცელია. 1795 წელს ირანის მბრძანებელმა აღა-მაჰმად-ხანმა გაერთიანებული ძალების გამოყენებით ქართველების დამარცხება შესძლო. ეს იყო სამხრეთ კავკასიაში ირანის კვლავ გაბატონების ცდა. თბილისთან ქართველების თავგანწირული ბრძოლისა და საბოლოო მარცხის შესახებ არსებობს დოკუმენტური მასალა, რომელმაც იმთავითვე მიიქცია დაინტერესებულ მეცნიერთა (მათ შორის რუსი) ყურადღება.

გვინდა შევეხოთ ერთ დოკუმენტს, რომელიც ირანის შაჰის აღა-მაჰმად-ხანის ხელიდანაა გამოსული და რეალურად წარმოადგენს მტრის დამოკიდებულებას საქართველოსადმი, მის მუხანათურ ზრახვებს. ესაა „აღა-მაჰმად-ხანის ულტიმატუმი საქართველოს მეფე ერეკლე II-დმი“. ირანის შაჰის ეს გზავნილი 1901 წელს, რამდენიმე სხვა მასალასთან ერთად, გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა.[1] იქვე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი მასალა ირაკლი II-დმი მიწერილი შაჰის ფირმანის ქართული თარგმანი იყო. ულტიმატუმი, როგორც ე. თაყაიშვილი შენიშნავს, ლამაზი მხედრულით იყო შესრულებული. იგი მეცნიერისათვის გადაუცია ა.დ. ერისტოვს (ე. თაყაიშვილი მას „დიდადპატივცემულად“ მოიხსენიებს). ამ უკანასკნელს ეს დოკუმენტი სხვა ქართულ აქტებთან და საქმიან ქაღალდებთან ერთად ა. თუმანოვისგან მიუღია. ექვთიმე თაყაიშვილი თავის ძალზედ მწირ (სულ რამდენიმე სტრიქონი რუსულ ენაზე) კომენტარში მიიჩნევს, რომ ეს უთარიღო დოკუმენტი 1795 წლის სექტემბრამდე (კრწანისის ბრძოლამდე) უნდა იყოს მეფე ერეკლესადმი გამოგზავნილი. ულტიმატუმის სპარსული დედანი შემორჩენილი არ არის. ამდენად ტექსტის ქართულად (ქართული ვარიანტი) გამოქვეყნება, თანაც რუსული თარგმანითურთ, მეცნიერის მიერ გაკეთებულ სხვა მრავალ საქმესთან ერთად, მეტად საჭირო და მეცნიერებისათვის სასარგებლო იყო.

დღესდღეობით აღა-მაჰმად-ხანის ულტიმატუმი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. ჩვენ მკითხველს ვთავაზობთ ამ დოკუმენტის ტექსტს ქართულად და რუსულად ექვთიმე თაყაიშვილის წაკითხვით:

„გმადლობ ღ“თსა, რომელ დიდ არს სახელი მისი და დიდება.

ბეჭედი
ერანის ჩელმწიფის
აღა-მაჰმად-შაჰისა

ბრძანებასა ამას ჩუჱნსა გამოუცხადეთ მისს სიმაღლეს საქართუჱლოს მეფეს.

---

[1] Е.С.Такаишвили, Ултиматум персидского Шаха Ага-магомед-хана грузинскому царю Ираклию II,Сборник материалов племен Кавказа, выпуск двадсать девиятый,Тифлис,1901,стр.146-148

მომლოდნესა წყალობისა ჩვენისა ვითარმედ ესრეთ გეუწყოს: სამეოცდა ათისა წლისა უწინარეს რომელიცა საქმე ყანდაარს ქართუßლთა დაიჭირეს და ერანის ნამუსი წაახდინეს, ის საქმე, რომელიც აწ გამოცხადებულია, რომელ შაჰ-სულთან უსეინც მომკუდარი არის და აღარაც არის. ახლა თქვენმა უმაღლესობამაც იცის, რომ ეს ასი თაობა არის, რომე ერანისანი ჰყოფილ-ხართ. ახლა განკÂრვებით ვჰბრძანებთ, ვითამც რუსებს მოჰკიდებიხართ, რომელთაცა ამის გარდა სხუა არა არის რა, რომ ერანში ივაჭრონ, რომელთაც საქმე სოვდაგრობა არის. ოთხმოცდა ათის წლის კაცი ხარ და ამისთანა საქმეებს ჰშურები, რომ ურჯულონი მოგიყუანია და მათთან შეერთებულ-ხართ, ნება მიგიცია, თუმცა თქუÀნი ჰსჯული და ჩვენი ჰსჯული სხვა და სხვა არის და განთÂსება აქვს, მაგრამ ყოველთÂს ერანთან შეერთება გქონიათ. ერანში თათარი, ქართველი, სომეხი, ურჯულო და მრავლის ჰსჯულის სხვანიცა არიან, ამისთÂს ჰÃამს, რომ ყოველისავე სირცხÂლი შენ გასწიო და ეს საქმე არა ჰქმნა. შარშანდელს დროსა რამდენიმე ქართუÀლნი მე გამაფუჭებინე, მეტადრე ჩვენი ნება არ იყო, რომ ჩვენნი ყმანი ჩვენის Ãელით წამახდენინე. ახლა ჰსწორე ეს არის, ჩვენ ღ“თის მოწყალებით, რომლისაც ძლიერებითა ამას დიდებასა შინა აღვედით, ახლა ჩვენი დიდებული ნება ეს არის, რომ თქვენ ერთი ჭკვიანი კაცი ხართ, ამგუარი საქმეები განიშოროთ, რომ ქვეყნის თასლიბიც არის, და რუსების შეერთებულება დაჰÃსნა. თუ ამას არა იქმ, რაც გვიბრძანებია, ამ ცოტას ხანში საქართველოზე მოვალთ, რუსთა და ქართვეთ სისხლს ერთად დავაქცევთ და მტკვრის მჰსგავსად მდინარედ გავაკეთებთ. რადგანაც ამის შეტყობინება საჭირო იყო, ამისთÂს ეს ფარმანი მოგწერეთ, ჩვენ ბრძანებას არ გარდახÂდე შენი მდგომარეობა იცნა.

Благодарю Бога, ибо велика есть слава Его.

Печать царя Ирана Ага-Магометь-Шаха.

Приказъ сей объявляемъ Его Высочеству царю грузинскому.

Ожидающему нашу милость да будетъ вѢдомо: дѢло, которое грузины учинили семьдесятъ лѢтъ тому назадъ въ КандагарѢ и какъ они уронили честь Ирана, – это нынѢ уже извѢстно, ибо Шахъ-Султанъ-Гусейнъ умеръ и его уже нѢтъ болѢе въ живыхъ. НынѢ и ваше Высочество знаетъ, что въ продолженіе этихъ ста поколѢній Вы были подвластны Ирану; тепер же съ удивленіеъ изволитъ мы сказать, что Вы примкнули къ русскимъ, у которыхъ нѢтъ другихъ задачъ, какъ торгщвать въ ИранѢ и дѢло которыхъ только торговля. Ты человѢкъ девятидесяти лѢтъ и такія вещи допускаешь: привелъ невѢрныхъ, соединился съ ними и даешь имъ волю! Хотя ваша вѢра и наша неодинаковы и разлияны, но Вы всегда имѢли связь съ Ираномъ. Въ ИранѢ много татаръ, грузинъ, армянъ, невѢрныхъ и другихъ религій; поэтому слѢдуетъ, чтобы Вы постыдились предъ всѢми и не допустили этого дѢла. Въ прошломъ году ты заставилъ меня погубить нѢсколькихъ грузинъ, хотя мы совершенно не желали, чтобы наши подданные погибли нашею же рукою. Теперь по милости Бога, силой Котораго мы достигли столь большого величія, вѢрность заключается въ слѢдующемъ: нынѢ великая наша воля, чтобы Вы, какъ умный человѢкъ, бросили такого рода дѢло, такъ какъ въ этомъ и говоръ (желаніе) страны, и порвали бы связь съ русскими. Если приказанное не исполнишь, то въ это короткое время совершимъ походъ на Грузію, прольемъ вмѢстѢ русскую и грузинскую кровь и изъ нея создадимъ рѢки наподобіе Куры. Такъ

какъ слѣдовало извѣстить тебя объ этомъ, для этого мы Вамъ написали сей фирманъ, чтобы ты не ослушался нашего приказанія и позналъ свое положеніе.“

ვიდრე „ულტიმატუმის“ ტექსტს განვიხილავდეთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ აღა-მაჰმად-ხანის თბილისზე თავდასხმის თაობაზე არაერთმა მეცნიერმა გამოთქვა თავისი მოსაზრება. ერთ-ერთი პირველი გახლავთ აკადემიკოსი პ.მ. ბუტკოვი[2], რომელიც უაპელაციოდ აცხადებს, რომ რუსეთიდან დახმარების იმედით ერეკლე მეორემ ვერ მოახერხა ადგილობრივი ძალების შეკრება, თავი ვერ მოაბა მას. იგი ხაზს უსვამს ქართლ-კახეთის სამეფოში არსებულ წინააღმდეგობებს, მიუთითებს, რომ შეცდომა იყო 1794 წლის 6 მარტს ერეკლე მეფის გადაწყვეტილება (დარეჯან დედოფლის მოთხოვნით) სამეფოს საუფლისწულო მამულებად დაყოფისა და ბატონიშვილებზე დანაწილების შესახებ.

საერთოდ XVIII საუკუნის მიწურულის რუსეთი აღმოსავლეთ საქართველოში პ. ბუტკოვმა ისე წარმოადგინა, რომ ქვეყანა კრწანისის ბრძოლის წინაც კი განწირული იყო და ბრძოლაში მარცხი სამეფოში არსებული ვითარების ლოგიკურ შედეგად მიაჩნდა.

ერთი რამ აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ რუს მოღვაწეებს (პ. ბუტკოვი სენატორიც იყო) ალბათ თავისი ქვეყნის ინტერესებიდან

გამომდინარე ავიწყდება, რომ არსებობდა 1783 წელს დადებული ტრაქტატი, რომელიც ავალდებულებდა რუსეთის ხელისუფლებას საჭირო შემთხვევაში იარაღითაც დაეცვა საქართველო. სამწუხაროდ, ტრაქტატის მოთხოვნები გაუმართლებლად დაარღვია რუსეთმა და საქართველო მტრის საჯიჯგნად გაიმეტა. ნიშანდობლივია, ირანის სახელმწიფო საქართველოს მესვეურებს საყვედურობდა რუსეთთან დამოკიდებულებას. კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ საქართველოს მიერ რუსეთისკენ აღებული გეზი იყო. პ.ბუტკოვმა ყალბად წარმოადგინა კრწანისის ბრძოლა თავისი პერსონაჟებით.[3] ამ ავტორისგან შორს არ წასულა სომეხი არტემ არარატელი. მის ყალბ ცნობებს ერეკლესა და კრწანისის ბრძოლის შესახებ დაეყრდნო ბუტკოვიც და შედეგად შესაბამისი მიიღო. 1813 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოიცა წიგნი „Жизнь Артемия Араратского...“.[4] ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ ამ ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალა, ამბები, თარიღები ფალსიფიკაციად, სიყალბედ იქნა მიჩნეული.[5] 1894 წელს ბაქოში დაიბეჭდა ეპისკოპოს არისტაკეს სედრაკიანის წიგნი „სიყალბე არტემ არარატელისა ამხილა ა.ე.ს-მან“. არტემ არარატიანის წიგნის უსუსურობის ჩვენების მიზნით აღვნიშნავთ, რომ მის „თხზულებაში“ მოქმედი პირები ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. ბოროტთა ჯგუფში შედიან ლეკები, ერეკლე მეორე, საფარბეგი, ვაღარშაპეტელები და მისი მღვდელი, თბილისელი სომეხი ვაჭარი და რუსეთის სამსახურში მყოფი სომეხი მაიორი. კეთილებს შორის არიან: არტემ არარატიანის ბებია, დედა, ოჯახის სახედარი, თვით არტემი.

1844 წელს ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანმა გამოაქეყნა წიგნი „აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა თბილისში“, სადაც პირდაპირ წერს: „...არაჩურთის ოსეფა არღუთოვისაგან იყო შემოჩენილი არტემ არარაცკი მეფის ირაკლისა და საქართველოს დასაღუპად....ბევრი ჩვენი დასამხობი ამბებია ამ არტემისგან...“[6] ალ. ორბელიანი უარყოფითად აფასებს იმ ფაქტს, რომ სომეხი არუთინ

---

[2] П.Г.бутков,Материалы для новой истории Кавказа,II, стр.334-347.

[3] ვფიქრობთ, პ. ბუტკოვსა და სხვებს დასაბუთებული პასუხი გასცა პროფესორმა იასე ცინცაძემ. იხ. მისი „აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე“, თბილისი, 1956 წ.

[4] А.Араратский,Жизнь Артемья Араратского,СПБ, 1813г, часъ II, стр.24, 25.

[5] იხ.Н.Я.Марр,Подлог Артемия Араратского,Записки Восточного отделения императ.русск. археологического общества, П IX, вып. I-IV, СП5б 1890. ამგვარი მასალა ქართულ პრესაშიც დაიბეჭდა.

[6] ალ. ვახ-ძე ორბელიანი, აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ, თბილისში, ჟურნ. „მოამბე“, 1895 წ; გვ. 33

არარაციანი, რუსეთში თავს არტემ არარაცკიდ ასაღებდა, კავკასიაში ხაჩიკიანცის გვარით იყო, ასტრახანში ივანოვის გვარს ატარებდა, მოსკოვში ბოგდანოვ-არარატსკიდ იწოდებოდა.[7] ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, ა. არარატიანი ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდა და მისი ნარკვევიც ტენდენციურია, იგი ობიექტურ წყაროდ არ გამოდგება.

აღა-მაჰმად-ხანის საქართველოში ლაშქრობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები აქვს თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონს. თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომი დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში"(1850 წ; №№51-56). აქ დაწვრილებითი ცნობებია კრწანისის ბრძოლისა და ავტორის ძმის დავით ბატონიშვილის სამხედრო მოღვაწეობის შესახებ. ამ ნაშრომში არაფერია ნათქვამი კრწანისის ბრძოლისას დაბნეულობის, ღელვისა და პანიკის შესახებ, რომელსაც აგვიწერენ პ. ბუტკოვი, არ. არარატელი და ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი (იგი მიუთითებდა, რომ ქართველთა(თავადაზნაურობის) კინკლაობამ სამშობლოს თავისუფლების დაკარგვას შეუწყო ხელი და შესაძლოა მოხდა უნებურად, ქართლ-კახეთის სამეფოს გამასხრებულად წარმოადგენდა).[8]

შეიძლება არც ყოფილიყო საჭირო ზემოხსენებულ ავტორთა მონაცემების მოტანა, მაგრამ ჭორის დონეზე მოტანილმა მასალებმა შემდგომი პერიოდის ისტორიკოსთა წყაროთმცოდნეობითი ბაზის ფუნქცია შეიძინა. 1939 წელს ისტორიკოსმა ა.არაქელიანმა გამოაქვეყნა ნარკვევი აღა-მაჰმად-ხანის თბილისზე თავდასხმის შესახებ, მან გაიმეორა ზემოხსენებულ ავტორთა მოსაზრებანი, ერეკლე მეორე მხდალ მეფედ წარმოადგინა, ლაშქარი მორალურად გახრწნილად. ა. არაქელიანის უვიცობას და დაუსაბუთებელ დებულებებს მწვავე კრიტიკა დაუპირისპირა პროფესორმა იასე ცინცაძემ. კრწანისის ბრძოლის ბედი ცნობილია, თუმცა არ შეიძლება არ დავინახოთ ამ ბრძოლაში ერეკლე მეორის შემართება. მოხუცი მეფე თავისი ამალით მთელი დღის განმავლობაში იბრძოდა კრწანისის ველზე. იგი წინა რიგებში იყო. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაძლევს აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარში მებრძოლი, ცხენოსანთა რაზმის ქვედანაყოფის ოფიცერი, სომეხი იაკობ ბებუთოვი. იგი თვითმხილველი იყო, როცა გააფთრებულ ბრძოლაში ქართველი მეფე და მისი ვაჟიშვილი – ვახტანგ ბატონიშვილი ხელჩართული მონაწილეობდნენ. თბილისთან უთანასწორო ბრძოლაში ქართველებთან ერთად მათ გვერდში მყოფი არა ერთი სომეხი შეაკვდა მტერს. საგანგებოდ ვუსვამ ხაზს ბებუთოვის სომხობას და მის ცნობებს. არაქელიანს შეეძლო გაცნობოდა მის ნაშრომს და გარკვეული კორექტივი შეეტანა თავის ცილისმწამებლურ ნარკვევში.[9]

იყო თუ არა მოულოდნელი ერეკლე II-დმი აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა 1795 წლის სექტემბერში?

ირანის შაჰის აღა-მაჰმად-ჰანის მიზანი ნათელია – 1795 წელს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს (კერძოდ ქართლ-კახეთის) დაპყრობა. შაჰი სიფრთხილით მოქმედებდა. რუსეთში მზვერავები გაგზავნეს, რათა გაეგო – დაეხმარებოდა თუ არა რუსეთის სამხედრო ძალა საქართველოს. ცნობებს აგროვებდნენ ოსმალეთსა და ახლო აღმოსავლეთში მოვლენილი საგანგებო აგენტები. მზვერავებმა დააზუსტეს, რომ რუსეთის მოლაშქრეები 1795 წლის აგვისტო-სექტემბერში ქართლ-კახეთის

---

[7] ი. ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი; გვ. 15;

[8] ს. კაკაბაძემ 1914 წელს გამოსცა ალ. ორბელიანის მოგონება სათაურით „მამაჩემისგან ღალატი მეფის ირაკლისა". ამის შესახებ იხ. რ. მეტრეველი, ერთგულება და ღალატი, თბ; 2011 წ.

[9] А.Аракелян, Присаединение Карабаха к царской России, `исторический журнал~, 1939 г. N 10(октябрь), მნიშვნელოვანია, რომ პროფესორი იასე ცინცაძის მონოგრაფიამ „არა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე", ასევე სხვა ავტორების (განსაკუთრებით პროფესორების ვალერიან მაჭარაძის, გიორგი პაიჭაძის და სხვა). შრომებმა ობიექტურად შეაფასა კრწანისის ბრძოლა და პასუხი გასცა ისტორიის გამყალბებლეს.

მეფეს დახმარებას ვერ აღმოუჩენდნენ (ინფორმაცია გენერალი გუდოვიჩის დოყლაპიობის შედეგად გახდა ცნობილი მზვერავებისათვის).

ეს აღა-მაჰმად-ხანის საქართველოზე გალაშქრებისათვის ხელის გახსნას ნიშნავდა. ჯერ კიდევ 1793 წლის 30 მაისს საქართველოს საკითხი რუსეთის სამხედრო საბჭოს სხდომაზე განუხილავთ. მიუღიათ დადგენილება, საიდანაც ჩანდა, რომ რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოსა და აღა-მაჰმად-ხანს შორის არსებულ კონფლიქტში არ ჩაერეოდა.. მოერიდნენ თურქეთთან ურთიერთობის გამწვავებას. გენერალმა გუდოვიჩმა, რომელიც ე.წ. „კავკასიის ხაზს“ ხელმძღვანელობდა, რუსეთის მთავრობის დავალებით განცხადება გააკეთა: რუსეთი ქართლ-კახეთის უზენაესი მფარველი იქნება. აღა-მაჰმად-ხანის აგრესიის შეჩერება გენერალ გუდოვიჩს უნდა უზრუნველეყო. ეს განცხადება ქართველთა დეზორიენტაციას ემსახურებოდა.

ამგვარად, ქართლ-კახეთის დიპლომატიამ, დროულად მიაწვდინა ხმა რუსეთის ხელისუფლებას შაჰის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. სამხედრო საბჭომ კი მიიღო გარკვეული დადგენილება საქართველოს დახმარების გაწევის შესახებ, მაგრამ ამას ეკატერინე II-ის განკარგულება სჭირდებოდა. იმპერატორი კი, როგორც ჩანს, თავს იკავებდა. ერეკლე მეორემ, გააანალიზა რა შექმნილი ვითარება, შეეცადა თურქეთი გამოეყენებინა ირანის წინააღმდეგ (ამ ქვეყნებს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო). ქართლ-კახეთის დიპლომატიის ეს ცდა – ირან-თურქეთის წინააღმდეგობით სარგებლობა და აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმის ასაცილებლად თურქეთის გამოყენება, მარცხით დამთავრდა. მოხდა ისე, რომ ირანი და თურქეთი ფარულად რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. მათთვის მიუღებელი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნა. როგორც ჩანს, ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიაც ახალისებდა ირან-თურქეთის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ. მათ ინტერესებში იყო ამიერკავკასიიდან ფეხის ამოკვეთა.[10]

1795 წლის ივნისში ირანმა რუსეთში ელჩები გაგზავნა. ისინი გამოცხადდნენ გენერალ გუდოვიჩთან და პეტერბურგში გამგზავრების ნებართვა უთხოვიათ, თითქოსდა რუსეთში ემიგრირებული აღა-მაჰმად-ხანის ურჩი ძმის მურთაზ-ყული-ხანის მიერ გატაცებული პირების გათავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების საკითხის დასაყენებლად. გენერალმა გუდოვიჩმა არ ცნო ელჩების უფლებამოსილება სათანადო საბუთების უქონლობის გამო და არ მისცა პეტერბურგში გამგზავრების უფლება, პ. ბუტკოვი გადმოგვცემს, რომ გუდოვიჩს ირანელი მოციქულები გაუფრთხილებია: „Чтоб Ага-Могамед-Хан не касался владения его(царя Ираклия) на ония нападение будет оскарблением пртив России“.[11] ამგვარი გზავნილი შაჰისთვის მიუღებელი იყო და იგი უფრო მეტად განაწყო ბრძოლისათვის. მით უმეტეს, რომ იგი ამისთვის კარგა ხნით ადრე ემზადებოდა.

შაჰი ინტენსიურად ეწეოდა დაზვერვით საქმიანობას. იგი ელჩების სტატუსით აგზავნიდა მზვერავებს რუსეთში. როცა 1787 წელს მირზა-მაჰმად-ალი ირანის ელჩის უფლებით ჩავიდა რუსეთში და კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის საქმეების გამგებელთან გრიგორი პოტიომკინთან მეგობრული ურთიერთობის გაბმა მოინდომა, გრ. პოტიომკინმა კმაყოფილება გამოხატა ამგვარი ნაბიჯის გამო. როგორც ჩანს, „ელჩმა“ არ გაამართლა და გაძევებული იქნა ქვეყნიდან: „За его беспорядочные поступки“.

როგორც ირკვევა, საქართველოზე თავდასასხმელად ჯარის შეგროვება აღა-მაჰმად-ხანმა 1795 წლის აპრილ-მაისში დაიწყო. ჯარი თავს იყრიდა არდებილში ნურ-ალი-ხანის ხელმძღვანელობით.

---

[10] ი.ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ; 119-120

[11] П.Бутков. დასახელებული ნაშრომი, II, გვ; 330

ზოგი ცნობით, სპარსელებმა 50 ათას კაცს მოუყარეს თავი, თეიმურაზ ბატონიშვილის ინფორმაციით, მათ 70 ათასი მოლაშქრე ჰყავდათ. სხვა ცნობით ჯარი 100 ათას კაცს მოითვლიდა. სპარსეთის ჯარის არდებილოში კონცენტრაციის შესახებ ინფორმაცია ერეკლე II-მაც მიიღო. ქართლ-კახეთის მეფეს მოციქული გაუგზავნია გუდოვიჩისათვის და წერილობით უცნობებია მისთვის ვითარება (1795 წლის მაისი). ეს უკანასკნელი ოპერატიულად ახსენებს ზემდგომ ინსტანციას: „С уведомлением об успехах Аги-Магомед-Хана... по известиям до него дошедшим,что Ага-Магомед-Хан хочет напасть на Грузию, и имея в том опасение ожидает Моей помощи“.[12] 1795 წლის 6 ივნისს დარეჯან დედოფლის საგანგებო წერილით მიუმართავს რუსეთის იმპერატორის ეკატერინესათვის და უთხოვია: „...ცრემლით გევედრები, უდიდებულესო ხელმწიფეო.... რათა მოგვეცეს შეწევნა უძლეველითა მხედრობითა“.[13]

1795 წლის 29 აგვისტოს ერეკლე მეორე აღშფოთებით წერდა გარსევან ჭავჭავაძეს, რომ აღა-მაჰმად-ხანი „ბილწ საქმიანობას“ ეწევა – ერევნისა და განჯის ოლქები წაართვა საქართველოს. „უკვე ორმოცდახუთი წელი გადის, რაც ერევნის ოლქი მთელი იქაური ხალხებით და მათი ხანებით, მათივე საკუთარი ხელწერილით ჩვენ გამგებლობაში იმყოფება და ყველას, ვინც სპარსეთში გახელმწიფებულა, დაუდასტურებია, რომ ერევნის ოლქი ყოველთვის ჩვენი იყო“ – აღშფოთებით წერდა ქართლ-კახეთის მეფე. ამასთან აღნიშნავდა, რომ 1783 წელს რუსეთის მფარველობაში საქართველო ერევნისა და განჯის ოლქებთან ერთად შევიდა. ერეკლე მეორე წუხს, რომ არდებილის შემდეგ შაჰმა შუშის ციხე გარემოიცვა.

1795 წლის 29 აგვისტოს ერეკლე მეფემ (ერევნისკენ სალაშქროდ მიმავალმა) დეტალურად შეიტყო საქართველოს წინააღმდეგ სალაშქროდ სპარსელების სამზადისის შესახებ. მისმა ერთგულმა მოკავშირემ შუშის ხანმა იბრეიმმა შეატყობინა, რომ აღა-მაჰმად-ხანი სალაშქროდ საქართველოსკენ მიემგზავრებოდა. საქართველოს სამეფო კარი თავდაცვის თადარიგს შეუდგა. მეფე თანმხლებლებთან ერთად სოღანლუღში დაბანაკდა.

აღა-მაჰმად-ხანმა, როგორც ჩანს, შუშის მიდამოებიდან საგანგებო ელჩი გამოგზავნა, რომელმაც ქართლ-კახეთის მეფეს აცნობა, რომ სპარსელები მოდიოდნენ სალაშქროდ საქართველოზე, თანაც განუცხადებია შაჰის მოთხოვნა, რომ ქართლ-კახეთს ეცნო შაჰის უზენაესობა და დაბრუნდეს მის მფლობელობაში. ეს ცნობა პ. ბუტკოვსა აქვს მოტანილი, თუმცა დოკუმენტი არ არის მითითებული. ვფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს აღა-მაჰმად-ხანის ულტიმატუმთან, რომლის შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ.

ულტიმატუმი პათეტიკურად ტრადიციული ფორმულით იწყება: „ვმადლობ ღმერთსა, რომელ დიდ არს სახელი მისი და დიდება“. შემდეგ ფირმანს ირანის შაჰის აღა-მაჰმად-ხანის ბეჭედი აზის. შაჰი პირდაპირ მიანიშნებს, რომ ეს მისი ბრძანებაა: ..ბრძანებას ამას ჩუენსა გამოუცხადებთ მის სიმაღლეს საქართველოს მეფეს“.

შაჰი ერეკლე II-ს მისი წყალობის მომლოდინედ მიიჩნევს და მკაცრად შეახსენებს, რომ ჯერ კიდევ 70 წლის წინ ქართველებმა ყანდაარი „დაიჭირეს“ და „ირანის ნამუსი წაახდინეს“. ულტიმატუმი მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში ქართლ-კახეთი ირანის გავლენის ქვეშ იყო: „...ეს ასი თაობა არის(?-რ.მ.), რომ ერანისანი ყოფილხართ“. აღა-მაჰმად-ხანი გაკვირვებას გამოთქვამს, რომ საქართველოს რუსეთის ორიენტაცია აურჩევია: „ახლა განკვირვებით ვბრძანებთ, ვითომ

---

[12] А.Цагарели, Грамоты и другие исторические документы, 1891, м II, вып II, стр.87.

[13] იქვე, გვ; 119

რუსეთს მოჰკიდებიხართ“. შაჰი რუსეთს დამცირებულად მოიხსენიებს („რომელთაცა ამის გარდა სხვა არა არის რა, რომ ერანში ივაჭრონ“). შემდეგ ულტიმატუმი მკაცრად შეაგონებს ქართველ მეფეს: „სამოცდათხუთმეტი წლის კაცი ხარ და ამისთანა საქმეებს შვრები, რომ ურჯულონი მოგიყვანია და მათთან შეერთებულხარ“. შაჰი ხაზს უსვამს, რომ ქართველთა და სპარსთა რჯული(რწმენა) სხვადასხვაა, თუმცა ქართველები ირანთან იყვნენ(„ყოველთვის ერანთან შეერთება გქონიათ“); ხაზს უსვამს, რომ ირანში სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხი („თათარი, ქართველი, სომეხი, ურჯულო და მრავალი რჯულის სხვანიც არიან“) თანაცხოვრობს; ქართველი მეფის საქციელი სირცხვილად მიაჩნია და ამიტომ რუსეთისკენ გადადგმულ ნაბიჯს უწუნებს და მოუწოდებს „ეს საქმე არა ჰქმნაო“. შაჰი ქართველ მეფეს შეახსენებს მისდამი კეთილ დამოკიდებულებაზე, აყვედრის კიდეც, რომ შენი მითითებით რამდენიმე ქართველი „გამაფუჭებინეო“ („ჩვენი ყმანი ჩვენივე ხელით წამახდენინე“). აღა-მაჰმად-ხანი შეფარული ლიქნით მიმართავს ერეკლე II-ს: „თქვენ ერთი ჭკვიანი კაცი ხართ“ და კეთილი ინებეთ და ჩვენი მოთხოვნა შეასრულეთ – რუსეთს დაშორდითო. თანაც ხაზს უსვამს, რომ ეს ბრძანება იყო („ჩვენი დიდებული ნება ეს არის“), „ამგვარი საქმეები განიშოროთ“ და „რუსების შეერთებულება დაჰხსნათ“ – ესაა „ულტიმატუმის“ დედააზრი. აღა-მაჰმად-ხანი, ცხადია, არ იყო დარწმუნებული, რომ ეს საკითხი მისი სურვილისამებრ გადაწყდებოდა, ამიტომაა, რომ „ულტიმატუმის“ დასკვნით ნაწილში მუქარაა – თუ შაჰის მოთხოვნა არ შესრულდება, ქართველ ხალხს განადგურებით ემუქრება: „თუ ამას არა იქმ, რაც გვიბრძანებია, ამ ცოტა ხანში საქართვლოზე მივალთ, რუსთა და ქართველთა სისხლს ერთად დავაქცევთ და მტკვრის მსგავსად მდინარეთა გავაკეთებთ“.

აღა-მაჰმად-ხანი მიმართავს ქართველ მეფეს, რომ ყოველივეს წინასწარ გატყობინებთ საგანგებო ფირმანით. ამასთან, საბოლოოდ აფრთხილებს გაითვალისწინე შენი მდგომარეობა („შენი მდგომარეობა იცნა“) და „ჩვენ ბრძანებას არ გადახვიდეო“. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია და ულტიმატუმის წარმოდგენილ ტექსტში დასახელებული ელჩია, სრულიად გასაგებია, რომ ერეკლე II-მ მოციქულის იზოლირება გადაწყვიტა. ალ. ორბელიანი იუწყება, რომ „ერეკლე მეფემ აღა-მაჰმად-ხანის ელჩი მაშინვე დააჭერინა და თბილისში გამოისტუმრა“[14] (თბილისის თავი ამ დროს დარჩია ბებუთაშვილი იყო). ვფიქრობთ, ქართული მხარე გაითვალისწინებდა საგანგებო ელჩის სტატუსს და მას ღირსებით მოექცეოდნენ. რაც შეეხება მის იზოლირებას, ეს გარკვეული დროით საჭირო იყო, რომ ამას რაიმე ამბავი არ გაეტანა საქართველოს მხედრობის თაობაზე (ქართული მხარე სწორად ვარაუდობდა, რომ ელჩი კარგად შეითავსებდა მზვერავის ფუნქციას).

ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას ხაზგასმით – კრწანისის ბრძოლაში ქართველები თავგამოდებით, ვაჟკაცურად იბრძოდნენ. მებრძოლთა წინა რიგებში იყო თვით ერეკლე მეორე და გმირობის მაგალითს აჩვენებდა. ნიშანდობლივია ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ აღა-მაჰმად-ხანის განცხადება: „მე ვიდრე ორმოცდაათამდის გამიმარჯვია, მაგრამ ყველაზე დიდი ეს არისო“.[15]

1795 წლის 10 და 11 სექტემბერს კრწანისში ქართველთა ლაშქარი დამარცხდა. ამის შესახებ ბევრია დაწერილი და ჩვენ ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით. მიზეზი, ცხადია, მრავალი იყო, რამაც ქართველი ლაშქრის სიმცირე განაპირობა. არსებითი მაინც სხვა იყო. მოვუსმინოთ ერეკლე მეორეს. იგი საყვედურობდა გენერალ გუდოვიჩს და ამით რუსეთის ხელისუფლების მიმართ თავის დამოკიდებულებას გამოხატავდა: „ჩვენ რომ ყოვლად მოწყალე დედოფლის (ეკატერინე II – რ.მ.) მიერ დაიმედებული არ ვყოფილიყავით და დარწმუნებული არ ვყოფილიყავით თქვენს დახმარებაში, მაშინ სხვა მხრიდან მოწვეული ჯარებით მას (აღა-მაჰმად-ხანს) წინ აღვუდგებოდით, ანდა სხვა ხერხით

[14] ალ. ვახ-ძე ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22
[15] ჟურნალი „ივერია“, 1885 წ; №9; გვ;104

დავიცავდით ჩვენს სამეფოს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით თქვენი და უმაღლესი კარის დახმარებაში“.[16]

მართლაც ფაქტია, რომ გენერალმა გუდოვიჩმა (მისი სახით რუსეთის ხელისუფლებამ) ვერ გაითვალისწინა სამხრეთ კავკასიაში არსებული მდგომარეობა და ეგონა რუსეთის იმპერიის პრესტიჟის დაცვას ადგილობრივი ძალებით შესძლებდა (ამაში გუდოვიჩმა რუსეთის დედოფლის კარიც დაარწმუნა). როცა აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღება ევროპისა და წინა აზიის ქვეყნებმა რუსეთის იმპერიის დიდ მარცხად სცნეს, ეკატერინე II-ის მთავრობა სხვადასხვა გზით თავის მართლებას შეუდგა. ფაქტი ერთი იყო – კრწანისის ბრძოლაში რუსეთმაც დიდი მარცხი განიცადა.

ამრიგად, 1795 წლის კრწანისის ბრძოლა, რომელიც აღა-მაჰმად-ხანის მიერ იყო საგანგებოდ მომზადებული, კრიზისული აღმოჩნდა საქართველოსთვის. ვფიქრობთ, მეტი ყურადღება იყო მისაქცევი ზემომოტანილი შაჰის ულტიმატუმისათვის (მუქარა ფაქტობრივად არ დაიჯერეს), როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლების ღალატის წინასწარ განჭვრეტაც შეიძლებოდა (ეს წინა პერიოდში რუსეთის მოქმედებებიდანაც ჩანდა). ასე, რომ კრწანისის ბრძოლაში ქართველთა მარცხის ბევრ მიზეზზე შეიძლება ყურადღების გამახვილება. ძირითადია – ქართლ-კახეთის ლაშქრის სიმცირე და დაბალი ორგანიზაცია და რაც მთავარია, რუსეთის ხელისუფლების აშკარა ღალატი (1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის უგულვებელყოფა).

ნიკო ხერკელაძე

ცრემლში ნალესი ხმალი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-33-ებში
და ანთოლოგიის მე-5,6,7 ტომებში)

ჰეცრე ხიზამბარელის ნაამბობიდან

1614 წელს, როდესაც შაჰ-აბასი კახეთის საზღვრებს მოადგა, მთელი ორი თვის მანძილზე, იგი საომარ მოქმედებებს არ აწარმოებდა, ის მოუწოდებდა თავის სარდლებსა და მეომრებს, ზიანი არ მიეყენებინათ მოსახლეობისათვის, მეორე მხრივ კი მოქმედებდა ფარულად.

თავისი მოენეებისაგან მიღებული ინფორმაციით, მან იცოდა, კახეთის მხარეში, თითოეულ სოფელში რამდენი მჭედელი და მათთან ერთად რამდენი შეგირდი ემსახურებოდა საომარი იარაღის დამზადებას.

თავი მოუყრია ამ მჭედლებისათვის, ვითომ რაღაც მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად. ასაკოვანი მჭედლები დაუხოცავთ, მათი შეგირდები ირანში გაუგზავნია. რადგან ომებში

[16] А. Цагарели, დასახელებული ნაშრომი, II, вып. II; გვ;105.

ხმალ-შუბიც იმტვრეოდა, შაჰ-აბასს ასეთი ვერაგი ხერხით, წინასწარ თადარიგი დაუჭერია, რომ ამ მჭედლებს საომარი იარაღის ხელახალი გაჭედვა-განახლება ვეღარ შესძლებოდა.

ირანში მყოფ გ. სააკაძეს სცოდნია ეს მოვლენები, და როცა 1620 წელს შაჰისაგან, ქართლში, გამგებლად დანიშნული იყო სვიმონ II და მის თანაშემწედ კი გ. სააკაძე დანიშნა. იმ ხანებში, 1620 წლიდან 1625 წლამდე, ქართლის ყველა სოფელში და ყველა დაბაში, მჭედლები მხოლოდ სამეურნეო სამუშაო იარაღებს ამზადებდენო.

ეს იყო გ. სააკაძის დიპლომატიური ხერხი შაჰ-აბასის ყურადღების მოსადუნებლად, ვითომ, რადგან ქართლში საომარი იარაღის დამზადება არა ხდება, არც აჯანყების რაიმე საშიშროებაა მოსალოდნელი.

მკაცრი რეალობა კი სხვა იყო. გ. სააკაძეს თავის მოძულე მხარესთან შერიგების გზა მოძებნილი ჰქონდა. რაც 1620 წელს, მის მიმართ დიდებულთაგან საფიცრის წიგნების მირთმევით აისახა. მაგრამ გ. სააკაძეს მათდამი სრული ნდობა მაინც არ ჰქონია. სინამდვილეში პეტრე ხიზამბარელის ნაამბობით, ყველა მოულოდნელი მოვლენისაგან თავის დაზღვევის მიზნით, მარტყოფის აჯანყებისათვის საჭირო საომარი იარაღი იმერეთის მეფის გიორგი III-ისა და გ. სააკაძის ურთიერთშეთანხმებით, დასავლეთ საქართველოს მიუვალ ადგილ მღვიმეებში დამზადდაო ფარულად.

როცა ნოსტეში ავდიოდი და ხატვით გულს ვიჯერებდი, მივაშურებდი პეტრე პაპას, რომელიც სოფლის მიდამოებში ცხვარს აძოვებდა. მე ბევრჯერ მქონდა მისი მონაყოლი მოსმენილი, თითქმის ყველა ზეპირად ვიცოდი და რადგან იმ ხანებში 22-23 წლის ვიყავი, მის ცხენზე ჯირითი უფრო მეხალისებოდა. თუ ცხენი უნაგირის გარეშე იყო, თვითონ დაადგამდა, თასმებს მაგრად მოქაჩავდა, აღვირსაც გაასწორებდა და მე გადმომცემდა. ელვისებურად მოვევლებოდი უნაგირზე, უზანგებსაც კარგად მოვირგებდი და აბა, ჰერი, დავქროდი ნოსტეს მიდამოებში. ჩემი თავი გ. სააკაძის თანამებრძოლი მეგონა. ხიზამბარელმა იცოდა ჩემი ჭაბუკური გატაცება, სანამ ცხენზე ჯირითით გულს არ ვიჯერებდი, არ ვიცოდი მისთვის ხალისიანი მოსმენა.

ხიზამბარელი ამბობდა

მე გიორგი სააკაძეზე მოგონებები ბევრისთვის მომიყოლია. ზოგი ბეჯითად მისმენდა და იმახსოვრებდა, ზოგი არა. შენ ბეჯითად ცხენზე ჯირითის შემდეგ მისმენ, მაგრამ მაინც არ იწერ. დაწერე, შვილო, დაწერე – გამოგადგება. ი, როგორ დაგიხატია თავღორანთი და სიდამონიძიანთ ძველი სახლები. ე, მაგ ქაღალდების მეორე მხარეს ხო ცარიელია, იმაზე დაწერე.

ვიცოდი, დღეს ნოსტეში რომ ამოხვიდოდი. ი ცხენი ხო აჯირითე, ახლა პატარა პური შევჭამოთ და კარგი მოგონებები კიდევ მაქვსო.

აი, შენთვინაცა წამოვიღეო, მაწონია კოჭობითა, ჩემმა დედაკაცმა გამომატანა, ეგ შენი პატარა ძმობილი ნიკოი როა, მთელი დღე ნოსტეშია, პური არ მოშივდებოდაო? აი, ეგ პური თვითონ, მრგვლად შემოჭრა, გული ამოიღო, მის მაგივრად კარაქია და ზემოდან პურის ყუა აქვს დაფარებულიო. აი, ლიტრა, ეს წყარო საიდანაც გამოდის, ხო იცი, ფეხმარდი ბიჭი ხარ, აირბინე და ცივი წყალი ჩამოიტანეო. მერე დავსხდეთ, სააკაძის კოშკის ზემოთ ვაკეზე, ჩრდილში, უკვე მოშუადღევდა კიდევაცა და წავიხემსოთო.

როცა ხევის სიღრმიდან ცივ წყალს ჩამოვიტანდი, შემდეგ გავემართებოდით კოშკის ზემოთ, სადაც ვაკე და მყუდრო ჩრდილები იყო. პეტრე პაპა ჯერ ყურადღებით დაათვალიერებდა ჩემს ჩანახატებს. შექებას ზომიერად იტყოდა, ბევრი გიმუშავიაო, შემდეგ საყვედურ-ნარევი ტონით

განაგრძობდა, შენ ხომ შემპირდი, თბილისში რომ ჩავალ, რაც ჩემი მოგონებანი ამ ჩანახტის ფურცლების მეორე მხარეს რომაა დაწერილი, სულ სქელ რვეულში გადავიტანო?

ცოტას ვეჭვობ, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, შენს დადებულ პირობას შეასრულებო, ჯერ ახალგაზრდა, დაუღვინებელი ჯეელი ხარ, მოვა დრო, ღრმად და შინაარსიანად გააანალიზებ, ჩემს მიერ მონაყოლს და ჩვენი ქვეყნის ისტორიასაც. გაგახსენდები, ვიცი, ტკბილად მომიგონებ, აი, მაშინ მიხვდები თუ როგორ გამოგადგება, ჩემს მიერ მონაყოლი მოგონებები გიორგი სააკაძეზეო.

ახლა კი მეორე საქმეს მივხედოთ და კარგი ხასიათი დავუყენოთ ჩვენს თავსაო.

პეტრე ხიზამბარელი გახსნიდა თავის აბგას, ერთ მაწონით სავსე კოჭობს ჩემსკენ გადმოდგამდა, მეორეს თავისთან დაიდგამდა, მერე ამოიღებდა ღვინით სავსე ჩარექიან ბოთლს, პატარა ყანწს მოიმარჯვებდა, ღვინით აავსებდა, რაღაც მძიმედ დაფიქრდებოდა, ცოტა ხნის შემდეგ სითბო ჩაუდგებოდა ზეცისაკენ აპყრობილ თვალებში და წარმოსთქვამდა: ღმერთო მაღალო, აცხოვნე გიორგი სააკაძის სული, რომელიც თავის სამშობლოს სანთლად და მსხვერპლად დაუნთოვო!

2800 მარტყოფელი შაჰისევანი

მარტყოფის ომში 27 ათასზე მეტი ირანელი ჯარისკაცი განადგურდა. მხოლოდ 2800-მდე კაცი გადარჩენილა ცოცხალი.

საკითხავია, რა ბედი ეწიათ მათ, ან ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ ისინი, ჩააღწიეს ირანში თუ არა?

მარტყოფის ომის დასრულებიდან სულ მალე ზ. ერისთავმა და გიორგი სააკაძემ ხორნაბუჯში გამაგრებული ფეიქარ-ხანისა და ირანული ჯარის ნაწილების განადგურება განიზრახეს. რომც გადაეწყვიტათ ამ გადარჩენილებს, გზაც იოლად გაეგნოთ ხორნაბუჯამდე და შეერთებოდნენ ფეიქარ-ხანის ჯარს, მაშინ ხომ მიემატებოდნენ ეს გაქცეულები იქ გამაგრებულ ირანელებს და ასეთ შემთხვევაში გულმოცემული ფეიქარ-ხანი თავქუდმოგლე-ჯილი არ დატოვებდა გამაგრებულ პოზიციას და ყარაბაღში არ გაიქცეოდა.

მეორე მხრივ, ვერც ყურის ძირში თბილისის ციხეში მისვლას გაბედავდნენ.

მესამე, საფიქრებელია, ისევ ირანისკენ აეღოთ გეზი, მაგრამ დამარცხებულები, რა ხალისით ან რა კარგის მაუწყებლად უნდა ხლებოდნენ „ირანის ლომს“.

ისტორიული წყაროებით მათი შემდგომი თავგადასავალი ცნობილი არ არის.

ვინაიდან გიორგი სააკაძეს აჯანყების გეგმა კარგად მოფიქრებული და დაგეგმილი ჰქონდა, იმასაც გაითვალისწინებდა, მტრისთვის გასაქცევი გზები ჩაეკეტა და საშუალება არ მიეცა, გადარჩენილები რევანშის ასაღებად წამოსულებს შეჰმატებოდნენ. გიორგის ისიც გადაწყვეტილი ჰქონდა, მთელი აღმოსავლეთ საქართველო გაეთავისუფლებინა ყიზილბაშებისგან, ზედიზედ აიღო არა მხოლოდ საქართველოს ციხეები, ყარაბაღშიც მუსრი გაავლო მტერს.

აქედან გამომდინარე, მარტყოფში გადარჩენილ ირანული ჯარის 2800-ზე მეტ მეომარს ცოცხლებს გაუშვებდა? თუ გაუშვა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ესენი ირანში მცხოვრები ქართული წარმოშობის გამაჰმადიანებული მეომრები, „შაჰისევანები“ ანუ შაჰის მეგობრები უნდა ყოფილიყვნენ. საფიქრებელია ისიც, რომ აჯანყების მზადებისას ამ ქართველ მეომრებთან ან მათ ერთ-ერთ მეთაურთან ფარული მოლაპარაკება ჰქონოდა, რომ ერთად ემოქმედათ სამშობლოს

საკეთილდღეოდ, რომ ისინი ბრძოლაში არ ჩართულიყვნენ, რადგან ქართველ მეომრებსაც გაუჭირდებოდათ მათზე ხელის აღმართვა.

სააკაძემ კარგად იცის საქართველოს მოსახლეობის სიმცირე. აქედან გამომდინარე, იცის თითოეული მეომრის მნიშვნელობა, სიცოცხლის ფასიც. არ მოიპოვება ზუსტი ცნობა, რამდენი ქართველი მებრძოლი დაეცა მარტყოფის ბრძოლაში, ეტყობა, იმდენად მცირე, რომ სათქმელადაც არ მიიჩნიეს.

იმავე 1625 წელს, მარაბდის ბრძოლაში 20 ათასამდე ქართველი მეომარი მონაწილეობდა (შესაძლებელია, მარტყოფში გადარჩენილი ის 2 800 ქართული წარმოშობის გასპარსელებული მეომარიც მიმატებოდა ქართულ რიგებს.

ჰეცრე ხიზამბარეიის ნაამბობიდან

მარტყოფის აჯანყება რომ დამთავრებულა, ომის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, ბაადურ ციციშვილს დაევალა, დაღუპულ, როგორც ქართველ, ისე ირანელ მეომართა სათვალავის შედგენა (აღრიცხვა).

(ომში დაღუპულ ქართველი მეომრების რაოდენობა, მათი სიმცირის გამო, უცნობია).

შაჰ-აბასის 30 ათასი მეომრიდან 27 ათასმა მარტყოფის ველზე დააღამა სიცოცხლე.

ბრძოლების მიმდინარეობისას, ან ომის დასასრულს, საგანგებოდ შექმნილი ბრიგადები პირველ რიგში, მძიმე და საშუალოდ მძიმე დაჭრილ ქართველ მეომრებს აღმოუჩენდნენ სასწრაფო დახმარებას, სადაც თავდაუზოგავ მუშაობას ეწეოდნენ იმ დროის ხალხური მკურნალობის სპეციალისტები.

(ერთ-ერთი სამკურნალო მეთოდი ასეთი ყოფილა, სხეულის დაჭრილ ადგილას წითლად გავარვარებული ლითონით (დაშაშხავდნენ) დადაღავდნენ, ინფექციის შეჭრისაგან დაცვის მიზნით, შემდეგ ანწლის არყით ახდენდნენ ასეთი ადგილების დამუშავებას საბოლოო განკურნებამდის.

საომარი ვითარებების დასასრულს ომში მონაწილე, იმ მხარის, ხეობის საერისთავოს, წარმომადგენლების მიერ, დავალებული პრიგადებისაგან ხდებოდა, პირველ რიგში დაღუპული ქართველი მეომრების ამოცნობა, მათი რაოდენობრივი აღრიცხვა, შემდეგ შაბიამნითა და მარილით დამუშავება, შორი მანძილისა და დროის გამო, გვამებს მწერი რომ არ დახვეოდა, და ამის მერე, ურმების საშუალებით, მიასვენებდნენ იმ მხარეში, საიდანაც იყვნენ წარმოსულები და საგვარეულო სასაფლაოებზე კრძალავდნენ.

რაც შეეხება, ირანელ მთავარ სარდლებს, რომელნიც გ. სააკაძის ხუთ კაციანი ჯგუფისაგან დაიხოცნენ, გადმოცემის მიხედვით, მათი მდგომარეობა ასეთი ყოფილა: ყორჩიხა-ხანის, მისი შვილი იმამვერდი-ბედის, შირვანის ბეგლარ-ბეგი იუსუფ-ხანის, ყარაბაღის ბეგლარ-ბეგის, მოჰამედ-ყული ხან-ზიად-ოღლის გვამები, საფასურის გადახდის გზით, ირანში წაუსვენებიათ.

რამოდენიმე სარდლის მოკვეთილი თავი, მარილში დამუშავებული, ირანულ დროშებთან ერთად, გ. სააკაძის ინიციატივით ოსმალეთის სულთნისათვის გაუგზავნიათ, იმის ნიშნად, რომ შაჰ-აბასის უძლეველი ჯარების დამარცხებაც შეიძლება, თუ ურთიერთთანადგომას მოვახერხებთ.

რაც შეეხება მარტყოფის ომში ათასობით დაღუპულ ირანელ მეომრებს, იმ ეტაპზე ქართლის გამგებლობიდან, ასეთი გამარჯვებით უკვე იგნორირებული სიმონ II-ს შაჰ-აბასისაგან მიუღია წერილი, სადაც იტყობინებოდა, ომში დაღუპული ირანელი მეომრები, მაჰმადიანური წესე-

ბის აღსრულებით, მიწისათვის მიებარებინათ. ასეთი საქმისათვის ქართულ მხარეს სიმონ II-სათვის დახმარებაც აღმოუჩენიათ, ეპიდემიისაგან დაზღვევის მიზნით.

ყორჩიხა-ხანმა და მისმა თანაშემწე სარდლებმა იცოდნენ, რომ ქართველები ქრისტიანულ დღესასწაულებზე ბრძოლებს არ იწყებდნენ, ამიტომ, ხარების დღეზე რომელიც შვიდ აპრილს აღინიშნებოდა, მათ არავითარი შიში არ ჰქონდათ იმისა, თუ ქართველები მათ ბანაკზე იერიშს მიიტანდნენ. როგორც კი თენება დაიწყო, გ. სააკაძის გეგმით, ქართველ მეომართა ჯგუფს დავალებული ჰქონდათ, ყიზილბაშთა კარვების მოპირდაპირე მხარეს მყოფი დასვენებული, უნაგირმოხსნილი ცხენთა რიგები ჩამოეშორებინათ ბრძოლის ველიდან და შორს მანძილზე გაერეკათ. ასეთი მანევრით, დიდი უპირატესობა ეძლეოდათ ცხენებზე ამხედრებულ ქართველ მეომრებს, ცხენებგარეშე დარჩენილ ირანელ მეომრებთან. ირანელთა ბანაკში მრავლად ყოფილა ტვირთის მზიდავი ჯორ-აქლემები, რომელნიც, ისტორიული, საომარი სტრატეგიული მნიშვნელობით, ჯარის დაბანაკების დროს, ცალკე განკუთვნილ ადგილს იკავებდნენ.

ბაადურ ციციშვილის მითითებით, თავი მოუყრიათ მრავალ ათასობით ცხენებისათვის, რომელნიც კახეთის ველ-მინდვრებში ყოფილან გაფანტულნი და მათგან 90% უნაგირის გარეშე, შეუკაზმავი იყოვო. საგანგებო ჯგუფის თადარიგიანობით აღირიცხა ყველა ის იარაღი, რაც ირანელებისაგან მარტყოფის ომში იქნა გამოყენებული (მარტო უნაგირების, მარტყოფიდან თბილისში ჩამოსატანად 50 ურემი 10 დღის მანძილზე ეზიდებოდაო). აღივსნეს საშოვრითა ოქროთი, ვერცხლითა, თვალითა მარგალიტითა, მრავლისა უცხოური ნაქსოვითა, მრავლისა ხალიჩითა, და ფარდაგებითა, სანოვაგე ჭურჭლითა, დიბა-ატლასითა, ფორნებითა და საზიდარებითა, – აღნიშნავდა როსტომ მეფე.

მარტყოფის ველზე ყოფილან ისეთი დაჭრილი ირანელი მეომრები, რომელთა მკურნალობაც შეიძლებოდა. ასეთებს ცალკე განკუთვნილ ადგილას უყრიდნენ თავს, რომელთაც საქართველოში დარჩენის სურვილიც გამოუხატავთ.

მარტყოფის ველზე დახოცილი მტრის მეომრებიდან ზოგი ხმლის ან შუბის ისეთი ძლიერი დარტყმით და ძგერებით იყვნენ განადგურებულნი, რომ შეიმჩნეოდა განსხვავებულობა იმ ნიშნით, რომ ბრძოლის ველზე მალევე ჰქონიათ მოსწრაფებული სიცოცხლე და აღარ გმინავდნენ: – თავ-შუა გაპობილები, წელთ-შუა გაწყვეტილები, შუბით ნაძგერალნი, მიწაზედ დაჭედილები, თავი-ტანთ გაშორებულნი, სიცოცხლეწართმეულნი, უძრავნი, არა მკვნესარნი ქვადმოქცეულნი.

ასეთების უმეტესობა გ. სააკაძის ხელით იყოვო მოკლული.

შაჰ-აბასისა და ირანელი სარდლების გათვლა-გაანგარიშებით ყოველ მეორე მეომარზე ორი ცხენი ყოფილა გამოყოფილი, ეს იმიტომ, რომ ომებში ცხენებიც იხოცებოდნენ, და უცხენებოდ დარჩენილი მეომრები საომარ შემართებას კარგავდნენ. ამის თავიდან ასაცილებლად, სათადარიგო მეორე ცხენს იყენებდნენ. ამიტომ მარტყოფის ომში ირანელებს 45 ათასი ცხენი ჰყავდათო.

იყო მეორე ვარიანტიც. თუ ირანულ ჯარს, საქართველოში დიდხანს, თვეობით უხდებოდათ დარჩენა, მაშინ ცალკე, დამატებით დასახმარებლად იგზავნებოდა ირანიდან 10 ათასობით ცხენიო.

* * *

როს აჩრდილი გაიელვებს,
ველზე დიდი მოურავის,

მარტყოფი და ტაშისკარი
მის წინაშე ქედს კვლავ იხრის
და... დილამდე უსმენს მტკვარი
სააკაძის რაშის ჭიხვინს.
ვაჟა ეგრისელი

„იმ დღეს თავი ვინ დაზოგოს, ისიმც კაცი დაიწყევა,
რა გაჭირდეს, უკეთ შევძლი, ასრე მქონდა ომის ჩვევა!“

მარტყოფის ღამის ვარსკვლავებად მოჭედილი გამარჯვება, ისტორიის ღერძზე ლამაზად ბრუნავს, ყიზილბაშთა სიცოცხლის გულში ჩამხუტებელმა სიკვდილმა დააღამა და დაამთავრა „მარტყოფის ომი“. მარტყოფში ამოცისარტყელდა ბრწყინვალე გამარჯვება. ქართლში მოსალოდნელი, კახეთში გაღვივებული ცეცხლის დროება, მარტყოფის გამარჯვებამ ჩააქრო.

1614-1617 წლები ტყვე ქართველთაგან ტირილად გაწოლილია ირანის უნდო გზაზე, მათ თვალებში ამონაყულ ცრემლსა და გოდებას ყიზილბაშური ცინიზმი და გულგრილობა მიაცილებდა. მაგრამ ქართველებზე ზეციდან მუდამ მოდიოდა უფლის წყალობა, და მთვარის რკალში ანტონ მარტყოფელის მფარველი ძალით გალობდა. მარტყოფის ომში გ. სააკაძის ფილტვები ქურასავით ქშინავდა და საომარ ველზე ქარიშხლებს აყენებდა, სადაც ყიზილბაშნი შემოდგომის ფოთლებივით იფანტებოდნენ. წარმოუდგენელია შებრალება სიკვდილისაგან, მაგრამ ისეთი თავგანწირვა გამოშხუოდა სააკაძის გულიდან, რომ თვით სიკვდილი ელდანაკრავი, იხევდა უკან. ყიზილბაშური ყაშყაშისა და აღტყინებას გნიასად შერეულ ცხენთა ჭიხვინთან საქართველოს დასარბევად მოეშურებოდნენ, მარტყოფში კი მათივე დამარცხებულ განწირულ გოდებად შეიცვალა.

„მარტყოფის ომი“ უთეიმურაზოდ მოხდა, მას ამით არაფერი დაშავებია, არც მეფური რეპუტაცია შერყეულა, პირიქით – გ. სააკაძემ, ქართლ-კახეთის დიდებულებთან შეთანხმებით, ცენტრალური ხელისუფლებისადმი მართებული პოზიცია მორჩილებით გამოხატა და აცნობეს აღნიშნული მოვლენა გონიოში მყოფ თეიმურაზს. ვფიქრობ არ იქნებოდა ურიგო თუ ვიტყვით, მარტყოფის გამარჯვება უფრო ახარეს მას, როგორც შაჰისაგან მრავალჯერ იავარქმნილი კახეთის მიწაზე საომარი ფეხის დადგმას ბოლო რომ მოეღო „მარტყოფის ომით“. საფიქრებელია, რომ ასეც იქნებოდა, მარტყოფის ომის ორგანიზატო-რებისაგან თეიმურაზ I-ის მიმართ, უფრო რომ ახარეს, ისა ნიშანდობლივი და რა ხან ქართლი იმ შემთხვევაში უმეფოდ იყო დარჩენილი, ქართლ-კახეთის მეფედ მოიწვიეს უკვე იმედ-გადაწურული თეიმურაზი. გვახსენდება პოეტ არჩილის ნათქვამი: „უჩემოდ რათ იმღერეთა“. იქნებ ნაგულისხმევია „უჩემოდ ვინ ისარდლეთა“.

იქნებ „მარტყოფის ომის“ შემდეგაა საძიები ისეთი მოვლენებიდან გამომდინარე, როცა შაჰ-აბასი ოთხჯერ შეესია კახეთს, ვერ გამოიძებნა წინააღმდეგობა, დიდი ძალა ქართველთა მხრიდან, რომ ხელი აეღო შაჰს კახეთის ქართველთა იავარქმნაზე. მართალია, დაუმორჩილებელი იყო კახური სიმტკიცე, დავით ჯანდიერის, ნოდარ ჯორჯაძისა და თამაზ ვაჩნაძის აჯანყებებით, და მნიშვნელოვანი გამარჯვებით „წიწამურის ომის“ სახით, სადაც ქართველთა ჯარს თეიმურაზ I სარდლობდა. მაგრამ „მარტყოფის ომმა“ სულ სხვა სიმყარე და სიმტკიცე აჩვენა შაჰის ყიზილბაშურ ჯარს. ფაქტი კი ჯიუტია: მარტყოფის ომის შემდეგ შეწყდა კახეთზე შაჰ-აბასის ლაშქრობები.

ქვეცნობიერი განცდა, იქნებ სავარაუდოდ, მაგრამ მაინც მიგვანიშნებს, იქნებ ეს მოვლენა შეიქნა შემაწუხებელი, ზოგიერთ დიდებულთათვის, რომ მდაბიო გ. სააკაძემ როგორ შეძლო „მარტყოფის ომის“ გამარჯვებით დამთავრება, და ჩვენ მეფემ და დიდებულებმა, რატომ ვერ უნდა შევძლოთ მარაბდაში გამარჯვების მიღწევა.

მეფეთ წინა სამსახური, მე მინდოდის ყოველთვის დიდათ,
ამხანაგთა ვსათნოობდი, ვიყვი კრძალვით, მომარიდათ;

ქართველთა ჯარებზე მტერი ყოველთვის ბევრი იყო, ერთს მეორე ცვლიდა, არც ერთი საუკუნე არ დამთავრებულა ისე, რომ საქართველოს მრავალი შემოსევა არ მოეგერიებინოს. გ. სააკაძეს, უზენაესისაგან მოვლენილს, დანათლული ჰქონდა ყველა ის უტეხი თვისება, რაც თვით ქართულ სულში ფოლადივით იყო ნაწრთობი. ამავე დროს სამაგალითო პირობად ქცეული, ერის მეობის თვით შეცნობის, თავის თავში ჩახედვისათვის.

ჩვენი მტკიცე მოსულდგმულეობა ღმრთისაგან ბოძებულია, და მიწიერ ყოფაში, ყოველი დღე, წუთი, კი მოთმინების გრდემლზე იწრთობოდა. ქართველ ერს მუდმივად სჭირდება ეს მისია, რომ შორი გზის მგზავრობისათვის სიმტკიცემ არ უმტყუნოს.

ქართული სისხლი ყოველთვის, თავისი არსებობის გაგრძელებისათვის, ხარკს სწირავდა, რომელიც ნორმად და აუცილებელ ტრადიციად მომდინარეობდა, დედას შვილი, და უფრო კი შვილები, მსხვერპლად მიეყვანა სამშობლოს დასაცავად და გადასარჩენად. „მარტყოფის ომის“ შემდეგ გ. სააკაძის საქციელი – ქვეყნისათვის შვილის შეწირვის ფაქტი – ამაღლებულ ნიშანსვეტად იყო ქცეული, ქართველი ერის ცნობიერებაში, თუ რა ზვარაკის გაღება ესაჭიროებოდა მიწა-წყალს ქართველი ერის სანუგეშოდ, ასეთ აუცილებლობას, ცრემლებით სავსე ქართლის ცხოვრება ითხოვდა, და შესაწონობა კი სიცოცხლითა და სისხლით უნდა აწონილიყო. ასეთ ვითარებებში აუცილებელზე აუცილებელია ითქვას თეიმურაზ I-ის მდგომარეობაც მისაგან შვილების და დედის სიცოცხლის დაყენება ქვეყნისთვის სამსხვერპლო აუცილებლობაზე. მისი ასეთი მეფური ხარკის გაღებით, ქართველი მოსახლეობა ზნეობრივად ამაღლდა. მას აკლდა მეფური სიმტკიცე და შორს გახედვის უნარი, მაგრამ მას შეეძლო ქვეყნისათვის გაემეტებინა და ჩაენაცვლებინა ყველაზე სანუკვარი განძი შვილებისა და დედის სახით.

მანუჩარ მაჩაიძე

ერი და თანამედროვეობა

დასასრული
(დასაწისი „ათინათის“ №30-31.32-33-ში)

ამ კოსმოპოლიტურმა მოტივმა დიდად შეუწყო ხელი სტოიციზმის გადაქცევას რომაულ საზოგადოებისა და და სახელმწიფოს ოფიციალურ იდეოლოგიად. რომი მთელი მსოფლიოს მფლობელი შეიქმნა. ანექსირებული ქვეყნის გაბატონებულმა კლასებმა, თანდათანობით რომაელი მოქალაქის უფლებები მოიპოვეს და ცხადია, კოსმოპოლიტიზმი ამ მდგომარეობას შეეფერებოდა და გამოხატავდა“.

ნიშანდობლივია, “ანექსირებული ქვეყნების გაბატონებულმა კლასებმა“!

ვინაიდან საქართველო, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ხშირად შედიოდა სხვადასხვა იმპერიების შემადგენლობაში, ბუნებრივია პერმანენტულად განიცდიდა კოსმოპოლიტიზმის წნეხს.

ქართველი ერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან გაუძლო მრავალ ქარტეხილს და დღეს არსებობს თავისი თვითმყოფადობით: ენით, რელიგიით, კულტურით და ტრადიციებით.

განსაკუთრებით მძიმე იყო ორი საუკუნე, როდესაც საქართველოს, რუსეთის იმპერიაში ყოფნისას, გეგმაზომიერად, “მეცნიერულად“ ახვევდნენ თავს ამ იდეოლოგიას.

ყველას კარგად გვახსოვს უახლესი წარსული, ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარი, საბჭოთა კავშირში შექმნილი მდგომარეობა.

თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში, უნდა შემოღებულიყო პასპორტები, სადაც აღარ იქნებოდა აღნიშნული პიროვნების ეროვნება. ეროვნების გრაფა უნდა გაუქმებულიყო ყველა სხვა დიკუმენტშიც.

ლიგაჩოვის სტუმრობის დროს საქართველოში, მოწინავე საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები, კომუნისტი და კომკავშირელი აქტივისტები, თხოვდნენ დიდ სტუმარს, რაც შეიძლება ჩქარა შემოეღოთ ასეთი პასპორტები და საბოლოოდ დაემარცხებინათ “საზიზღარი ნაციონალიზმი“ და “ნაციონალისტები“

დღეს იგივე ხალხი და მათი შთამომავლები ითხოვენ ეროვნების გრაფის გაუქმებას, უკვე ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქეების პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში?!

საბჭოთა ხელისუფლება მიზანმიმართულ ასიმილაციას გულმოდგინედ ახორციელებდა. დღეს ამაზე ყველა დუმს, არადა ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაგეგმილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების და ლათინური ამერიკის ქვეყნების მსგავსად, შეექმნათ “ახალი ერი“.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ამონაწერს “მეცნიერული კომუნიზმიდან“ “ერების მომავალი“:

“ადამიანთა ეროვნული განსხვავება სამარადისო არაა. ბურჟუაზიული სოციოლოგები, უხეშად რომ ამახინჯებენ ერების განვითარების ნამდვილ დედააზრს, ამ პროცესს მიიჩნევენ მხო-

ლოდ ეროვნული სპეციფიკის ნიშანთა განუწყვეტელ დაგროვებად, მოცემული ერის თავისებურებათა დაუსრულებელ გაშლად.

ნამდვილად კი ერები თავიანთ ისტორიულ განვითარებაში ითვისებენ ერთმანეთის მიღწევებს მატერიალური დოვლათის წარმოების საქმეში და სულიერ ფასეულობათა შექნმაში. ყოველ ერს, ამბობდა მარქსი, შეუძლია ისწავლოს და კიდევაც უნდა ისწავლოს სხვებისაგან. ერები არასოდეს განვითარდებიან და არც ძალუძთ განვითარდნენ იზოლირებულად.

ერების დაახლოებასა და შერწყმას პროგრესულ პროცესად რომ მიიჩნევდა, ვ.ი. ლენინი წერდა: "ნაციონალიზმის ვერავითარ გამაგრებას პროლეტარიატი მხარს ვერ დაუჭერს, პირიქით, იგი მხარს უჭერს ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას, ეროვნული ზღუდეების დანგრევას, ყველაფერს, რასაც ერთა შედუღაბებისაკენ მივყავართ".

ამჟამად მსოფლიოში დაახლოებით 2 ათასი ხალხია, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან. ადამიანთა საზოგადოების განვითარება გარდაუვლად იწვევს ერთა კავშირურთიერთობის გაძლიერებას. მსოფლიო მასშტაბით, კომუნიზმის გამარჯვების შემდეგ, ხალხთა ცხოვრების პირობების გათანაბრება და მათი სულ უფრო დაახლოება, თანდათანობით გამოიწვევს ეროვნულ განსხვავებათა გაქრობას. ერების დაახლოება, მათი განვითარების ისტორიული საფეხურია, რომელიც ბოლოს და ბოლოს სპობს ეროვნულ განსხვავებას, ამზადებს ერების მომავალ შერწყმას: მარქსიზმ-ლენინიზმი არ ისახავს მიზნად ეროვნულ განსხვავებათა გაქრობის კონკრეტული ვადების დადგენას, მაგრამ მიუთითებს ასეთ პერსპექტივაზე, რომლის ცოდნა საჭიროა, რათა ობიექტურად შევაფასოთ ეროვნულ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებანი, ხელოვნურად არ დავაჩქაროთ, მაგრამ არც შევანელოთ ბუნებრივ-ისტორიული პროცესების სვლა.

მეცნიერული კომუნიზმი გადაჭრით უარყოფს ეროვნული სუვერენიტეტის ხელყოფას, ერების შერწყმას ძალდატანებით დაჩქარებას. ერების შერწყმას ლენინი უკავშირებდა მთელ მსოფლიოში კაპიტალიზმის ლიკვიდაციას, სახელმწიფოს კვდომას, მსოფლიო მასშტაბით ადამიანთა სრული ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ერთობის შექმნას. ამ ერთობის გზა ერების ყოველმხრივ განვითარება და მჭიდრო დაახლოებაა. "როგორც კაცობრიობას შეუძლია კლასთა მოსპობას მიაღწიოს მხოლოდ ჩაგრული კლასის დიქტატურის გარდამავალი პერიოდის მეშვეობით, ისევე კაცობრიობა ერთა აუცილებელ შერწყმამდეც მივა, მხოლოდ ყველა ჩაგრული ერის სრულ განთავისუფლების... გარდამავალი პერიოდის მეშვეობით". (ჩვენი აზრით აბსოლუტური სისულელეა).

დაახლოება ამზადებს ეროვნებათა და ხალხთა კონსოლიდაციას, ერთობას, რასაც საბოლოო ანგარიშით ერების შერწყმისაკენ მივყევართ. მეცნიერული კომუნიზმი ხაზს უსვამს ამ პროცესების თანმიმდევრულ და ორგანულ ერთიანობას.

ჯერ კიდევ ძველ რომში გამოითქვა აზრი საერთაშორისო ენის შექმნის შესახებ. დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობის განვითარებამ კაპიტალიზმის გარიჟრაჟზე საერთო ენის მრავალი პროექტი წარმოშვა. მსოფლიო პროგრესის ყოველი ახალი წინგადადგმული ნაბიჯი სულ უფრო მწვავედ აყენებს სულიერი კულტურის განვითარების, ენობრივი ბარიერის დაძლევის პრობლემას. საერთაშორისო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ კავშირთა გაძლიერებამ უკვე ახლა ცხოვრების სამსახურში ჩააყენა რიგი მსოფლიო და საერთაშორისო ენები.

ერების შერწყმის პერსპექტივების გაგებაში ვხვდებით ორ უკიდურეს მოსაზრებას. ისინი ეროვნულ განსხვავებას ერთა დაახლოების დამაბრკოლებლად მიიჩნევენ და კომუნიზმისაკენ ხალხების ერთობლივი მოძრაობის დაჩქარებისა და მათი შერწყმისათვის მოითხოვენ ეროვნულ

განსხვავებათა ლიკვიდაციის ხელოვნურად დაჩქარებას. მეორენი საერთოდ წარმოუდგენლად მიიჩნევენ აზრსაც კი ამ განსხვავებათა გაქრობის შესახებ. ამ შემთხვევაში ერების შერწყმა გამარტივებულად ესმით, როგორც მცირე ერთა უკვალო განზავება უფრო დიდ ერში და როგორც ეროვნული სიმდიდრის დაკარგვა და კულტურათა ნიველირება.

ამგვარი მოსაზრებანი უნიადაგოა. ერები ასრულებდნენ და ამჟამადაც ასრულებენ პროგრესულ როლს, საზოგადოების განვითარებაში. მათ შეაქვთ თავიანთი ისტორიული წვლილი, ადამიანთა ერთიანი მსოფლიო ერთობის შექმნაში. ამასთან ერთად თვით სოციალისტური ერებისა და ეროვნებების განვითარება წარმოუდგენელია მათი ცხოვრების მთელი წყობის ინტერნაციონალიზაციის გარეშე. ეს პროცესი არ საჭიროებს ხელოვნურ წაბიძგებას, ისიც საკმარისია, თუ ამ ბუნებრივი პროცესის განვითარებას ავაცილებთ ზღუდეებსა და დაბრკოლებებს. რაც შეეხება შიშს კულტურის დანაკარგთა გამო, ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1915 წელს წერდა, რომ ინტერნაციონალური ბურჟუაზიის დამხობა "უდიდესი მასშტაბით დააჩქარებს ყველა და ყოველგვარი ნაციონალური ზღუდის დაცემას და ამით კი არ შეამცირებს, არამედ მილიონჯერ გაადიდებს კაცობრიობის "დიფერენცირებას",

სულიერი ცხოვრების და იდეურ მიმდინარეობათა მისწრაფებათა ერფერთა სიმდიდრისა და მრავალფეროვნების აზრით" (??)

ერი ისტორიული კატეგორიაა. იგი წარმოიშვა ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და ბურჟუაზიული წყობილების ჩამოყალიბების პერიოდში. მან ახალი თვისობრიობა შეიძინა სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ, რაკი მიიღო ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობა. ერი გაქრება მხოლოდ მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში განმტკიცდება მომწიფებული კომუნისტური საზოგადოება. ეს იქნება საზოგადოება სახელმწიფოთა გარეშე და მაშასადამე, სახელმწიფო საზღვრებისა და განცალკევებული ეროვნული ტერიტორიების გარეშე. მაშინ ადამიანები აღარ დაიყოფიან კლასებად და ერებად, არამედ გახდებიან წევრები მსოფლიო კაცობრიობისა, რომელსაც ექნება ერთიანი ეკონომიკა და შინაარსითა და ენით ერთიანი უმდიდრესი და მრავალფეროვანი კომუნისტური კულტურა. კაცობრიობა მიიწევს ამ ნათელი პერსპექტივებისაკენ ხანგრძლივი და ძნელი ბრძოლის გზით პროგრესის ძალების – რეაქციის ძალებთან, ინტერნაციონალიზმისა – ნაციონალიზმთან. სსრ კავშირი პირველი ქვეყანაა, რომელმაც ააშენა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება და აშენებს კომუნიზმს – ამ ბრძოლის მოწინავე ხაზზე დგას.

მიუხედავად ათეულობით მილიონი ადამიანის რეპრესიებისა და ხშირ შემთხვევაში ლიკვიდაციისა, კომუნისტებმა ეს ვერ შესძლეს, ვინაიდან მათ აშშ-ს და ლათინური ამერიკის ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქმე ჰქონდათ დიდი კულტურის ქვეყნებთან, თანაც მათ საკუთარ ტერიტორიებზე, რომლებსაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში საკუთარი ნაციონალური სახელმწიფოები ჰქონდათ. ვინც არ უნდა ამტკიცოს, რომ თითქოს ქართველი, სომეხი, უკრაინელი ერი, ბალტიისპირეთის ქვეყნების ერები, შუა აზიის ერები არ არსებობდნენო, სიცრუეა!

ამიტომ იმ ძალებმა, რომლებიც ვერ შერიგებიან ამ უტოპიური იდეის მარცხს, უნდა შეიგნონ, რომ კუტურული ერის ძალადობით ასიმილაცია მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებში შეუძლებელია!

რაც შეეხება ბრალდებას რუსეთის აგენტობის შესახებ, მკითხველისათვის მიგვინდია განსაზღვრა, ვინ შეიძლება იყოს იგი, კოსმოპოლიტი, ეროვნების უარმყოფელი, თუ ნაციონალისტი, თავისი ქვეყნის პატრიოტი.

უდავოა, დღეს საქართველოში კოსმოპოლიტიზმის პროპაგანდით დაინტერესებულნი არიან, როგორც ჩრდილოეთის, ასევე დასავლეთის გარკვეული ძალები, თუმცა ჩვენდა საბედნიეროდ ცივილიზებული სამყარო სხვაგვარად ფიქრობს.

მსოფლიო თანამეგობრობა, გაერო, ევროპის საბჭო, ევროკავშირი აღიარებს სახელმწიფოებს, როგორც ეროვნულებს აშენებს ახალ ევროპას, მრავალფეროვნებით, მრავალ ეროვნებითა და კულტურით.

საქართველომ ევროპის საბჭოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით უნდა შეასრულოს რამდენიმე პირობა, რომელთა შორის არის ორი დოკუმენტის მიღება. "ჩარჩო კონვენცია, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" და "ევროპული ქარტია რეგიონალური და ეროვნული უმცირესობების ენების შესახებ"

დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ გაერო, ევროპის საბჭო, ევროკავშირი, მოითხოვენ ერების თვითმყოფადობის შენარჩუნებას, რომ შემუშავებულია ეროვნებათშორის ურთიერთობის მოდელი, ისეთი სახელმწიფოებისათვის, სადაც რამდენიმე ერი ცხოვრობს; – ძირითადი ავტოქტონური ერი და ეროვნული უმცირესობა.

ევროპის საბჭო დაჟინებით მოითხოვს ამ დოკუმენტების მიღებას. საქართველოს პარლამენტი კატეგორიული წინააღმდეგია ერების აღიარებისა. ასეთ შემთხვევაში შეიძლება დაისვას საკითხი საქართველოს ევროპის საბჭოდან გარიცხვის შესახებ. საინტერესოა, რას იტყვიან მაშინ ჩვენი ოპონენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თითქოს მარტო ისინი არიან დაინტერესებულნი საერთაშორისო თანამეგობრობაში საქართველოს ინტეგრაციით. ყოვლად გაუგებარია მათი დაჟინებული განცხადებები, რომ ეროვნებას თუ არ გავაუქმებთ, არ ჩამოვაყალიბებთ სამოქალაქო საზოგადოებას, ჯავახეთში და ქვემო ქართლში, ეროვნული უმცირესობები ავტონომიას მოითხოვენ, ან სულაც გავლენ საქართველოს შემადგენლობიდანო. გაეროს, ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ არცერთ დოკუმენტში არაა აღნიშნული, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოში ეროვნულ უმცირესობებს აქვთ უფლება გავიდნენ სახელმწიფოს შემადგენლობიდან, ან მიოთხოვონ ტერიტორიული ავტონომია.

ყველა დოკუმენტში, მრავალჯერ მკაფიოდ არის დაფიქსირებული, რომ ეროვნული უმცირესობების უფლებებისა და თავისუფლების დაცვა არ ნიშნავს სახელმწიფო სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას. მომყავს ამონაწერები;

"ჩარჩო კონვენცია, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ"-იდან შესავალი.

Имея твердые намерения определить принципы, которые недлежит уважать, а также обязательства, которые вытекают из них, с тем чтобы обеспечить в государствах-членах и в таких других государствах, которые могут стать участниками настоящего документа, еффективную защиту национальных меньшеств и свобод лиц, принадлежащих к этим меньшествам, в рамках верховенства права, при уважении территориальной целостности и национального суверенитета гасударства.

преиспольненные решимости осуществлять принципы, закрепленные в настаящей рамочкой Конвенции, на основе национального законодательства и соответствующей государственной политики.

Статья 20

При осуществлении прав и свободы, вытекающих принципов, закрепленных в настоящей рамочкой Конвенции, любое лицо, принадлежащее к национальному меншинству, соблюдает национальное законодатьелство и уважает права других, в частности, права лиц принадлежащих к основной национальной группе населения или к другим национальним меншинствам.

Статья 21

Ничто в настоящей Конвенции не может быть истолковано как подразумевающее любое право заниматься любой деятельностью или совершать любые действия, которые противоречат основопологающим принципам международного права – в частности, принципам суверенного равенства, территориальной целостности и политической независимости государств.

Раздел II. Статья 5

1. участники обязуются содействовать созданию необходимых условий лицам, принадлежащим к национальным меньшинствам, для сохранения и развития их культьуры и сохранения основных элементов их самобытности, а именно: их религии, языка, традиций и культурного наследия.

2. Без ушерба для мер, принимаемых и порядке осушествления своей обшей политики интеграции, участники воздерживаются от политики или практики, направленных на ассимиляцию лиц, принадлежащих к национальным меньшинствам, против их воли и защищают этих лиц от любых действий, направленых на такую ассимиляцию.

როგორც ვხედავთ, ყველაფერი გარკვევითაა ნათქვამი და დაფიქსირებული. არავითარ ავტონომიებზე აქ არ არის ლაპარაკი. ამავე დროს, დაგმობილია ძალადობითი ასიმილაცია, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. აბსოლუტურად იგივე, იდენტური შინაარსისაა გაეროსა და ევროპის საბჭოს მიერ მიღებული შემდეგი დოკუმენტები.

1. Заключительный акт Совещания по безопасности и сотрудничеству в Европе. (Хельсинк, 1 августа, 1975г.)

2. Итоговый документ Мадридской встречи 1980 года представителей государств-участников Совешания по безопосности и сотрудничеству в Европе, созываемой на основе положений заключительного акта, относящихся к дальнейшим шагам после совещания. (Мадрид, 5 сентября, 1983г.)

3. Парижская хартия для новей Европы. (Париж, 21 ноября, 1990 г.)

4. Итоговый документ Венской встречи государств-участников Совещания по безопасности и сотрудничеству в Европе. (Вена, 15 января, 1989 г.)

5. Документ Копенгагенского Совещания конференции по человеческому измерению СБСЕ. (Копенгаген, 29 июня, 1990 г.)

ბოლო წლებში, სხვადასხვა ყაიდის პროვოკატორი და შენიღბული სეპარატისტი, პრესით ტელევიზიით გამოსვლისას, ხშირად მიუთითებს გაეროს მიერ 1960 წელს მიღებულ დოკუმენტზე "Права на самоопределение" და ცდილობენ საქმე წარმოაჩინონ ისე, რომ თითქოს ეს დოკუმენტი მომაკვდინებელია საქართველოსთვის და ქართველი ერისთვის, რომ თითქოს ქართველები რაღაცაში დამნაშავენი ვართ, სხვათაშორის, ამ პროვოკატორებად და შენიღბულ სეპარატისტებად ხშირად ქართული ეროვნების პიროვნებები მოგვევლინებიან ხოლმე. მიდის დეზინფორმაცია. არადა, ამ დოკუმენტში ლაპარაკია კოლონიური ერებისა და ხალხებისადმი თავისუფლების მინიჭებაზე.

აღიარებულია პრინციპები, რომელიც იცავს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას.

მოვიყვანთ რამდენიმე ამონაწერს ამ დოკუმენტიდან.

"Права на самоопределение"

Признавая, что народы всего мира горячо желает покончить с колониализацией во всех его правлениях, исходя из убеждения. Что дальнейшее сушествование колониализма препятствует развитию международного сотрудничества – задерживает социальное-культурное и экономическое развитие зависимых народов и идет вразрез с идельном Организации Объединенных Наций, заключающимся на всеобщем мире" და ა. შ. იგივე დოკუმენტი:

6. Всякая папытка, направленная на то, чтобы частично или польностью разрушить национальное единство и территориальную целостность страны, несавместима с целями и принципами Устава Организации Объединенных Наций".

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში კოლონიური ერები და ხალხები არ არსებობენ. უამრავი ისტორიული ფაქტები ამტკიცებენ, რომ საქართველოს ამჟამინდელ ტერიტორიაზე, საქართველოს სახელმწიფოს გარდა, სხვა სახელმწიფო არასდროს არსებულა. ამიტომ ეს დოკუმენტი, ამ საკითხში, საქართველოს საერთოდ არ ეხება.

ეხლა, რაც შეეხება ჩვენი ოპონენტების მხრიდან ძალზე საეჭვო განცხადებებს: – მაშ რა ვუყოთ ამდენ ეროვნულ უმცირესობებს?

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ შემუშავებული და დამტკიცებულია მოდელი ურთიერთობისა, ავტოქტონურ ერსა და ეროვნულ უმცირესობებს შორის. ამ მოდელის მიღებას ითხოვს ევროპის საბჭო. ჩვენ ვართ მისი წევრი, ამიტომ ვალდებულნი ვართ გავატაროთ პრაქტიკაში მისი მოთხოვნები. დარწმუნებული ვარ, ეს ხელს შეუწყობს, ეროვნული ჰარმონიის დამყარებას საქართველოში. მითუმეტეს, რომ ქართველი ადამიანის ტოლერანტული და თბილი დამოკიდებულება სხვა ერებისადმი საყოველთაოდ ცნობილია.

მსოფლიოში მიღებული შეხედულებებისაგან განსხვავებით საქართველოს ხელისუფლებამ გეზი აიღო ადამიანის იმ განსაზღვრაზე, რომლის მიხედვითაც იგი არის მხოლოდ მოქალაქე და ჩამოაშორა ის, რითაც ადამიანი დაკავშირებულია თავის წინაპრებთან და გეოგრაფიულ სამშობლოსთან, ეროვნება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ორი საუკუნის განმავლობაში საქართველოში მოვლენები მიმდინარეობდა ერთი სცენარით, კერძოდ, დაჟინებული ბრძოლით, ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ, ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის ნიშნების მოსპობისათვის. ჯერ მეფის რუსეთი, შემდეგ კომუნისტური რეჟიმი გულმოდგინედ ცდილობდა ქართველი ერის ასიმილაციას, სხვადასხვა ერებთან.

მიზანმიმართულად ხდებოდა დემოგრაფიული სურათის ცვლილება, რისთვისაც ამიერკავკასიის ისტორიულ მცხოვრებთა გარდა, ჩვენს ტერიტორიაზე კომპაქტურად ასახლებდნენ რუს და ევროპელ კოლონისტებს (სტაროვერები, დუხობორები, გერმანელები, პოლონელები და სხვა). ამას არ შეიძლება თავისი დაღი არ დაესვა ქართულ საზოგადოებაზე. გარკვეულ წრეებში გაჩნდა ნიჰილისტური დამოკიდებულება ეროვნული ცნობიერებისადმი, ძალზე გააქტიურდნენ და გაძლიერდნენ უცხო ქვეყნის აგენტები, რომლებიც ხალხს სიმართლეს უმალავდნენ და კოსმოპოლიტიზმს ქადაგებდნენ.

საქართველოს ისტორიიდან ნათლად ჩანს, როდესაც ქვეყანა გაერთიანებული იყო ძლიერი მეფის ქვეშ, ხდებოდა ეროვნული ცნობიერების გაძლიერება. იმ პერიოდში კი, როდესაც საქარ-

თველოში იჯდა სუსტი მეფე, ან იშვიათ შემთხვევაში რეგენატი, ქვეყანაში გამეფებული იყო ნიჰილიზმი, ანტიპატრიოტიზმი და კალაბორაციონალიზმი.

დიდი ქართველი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი წერდა: "ისანი" ყ 139 1907 წ. "კულტურის ისტორია საქართველოში"

"იმ ხანაში საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრნი ისე მჭიდროდ იყვნენ შეკავშირებულნი, ისე იყვნენ განმსჭვალულნი საერთოდ საქართველოს გადიდების სურვილით, რომ სხენება არც კი იყო არავითარი იმერლობა-ამერლობისა და სხვა ამის მსგავსი რისამე, რომელიც ჩემდა სამარცხვინოდ დღესაც სავსებით არ გამქრალა... სინას მთაზე მოიპოვება ქართული ლოცვანი სადაც სწერია შემდეგი კვერექსი: " საქართველოს სამეფოს გაძლიერებისათვის, საზღვრების განმტკიცებისათვის, ერისთავთა დაწყნარებისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ"... ამ ხანაში ქართველების სამშობლოს სიყვარულმა და პატრიოტობამ თითქოს წრეს გადააჭარბა, ექვთიმეს მამა იოანე იმდენად გაიტაცა საქართველოს სიყვარულმა იმის განდიდების სურვილმა, რომ განიზრახა ახალი იდეალური, ყველაფრით უნაკლო საქართველოს მოძებნა. იოანეს არ აკმაყოფილებდა ნამდვილი საქართველო. იმის წარმოდგენით საქართველო ზნეობით სპეტაკი, უნაკლო ანგელოზთა მსგავსი უნდა ყოფილიყო. მას გაეგონა, რომ შორს ესპანეთში არის ქვეყანა, რომელსაც იბერია ჰქვიაო, იოანე მართლაც გაემგზავრა, იქ უკეთესი ქართველები იქნებიანო. ამნაირად, უცხოელებთან შეტაკებამ ქართველების ეროვნული გრძნობა გამოაღვიძა, მჭიდროდ შეაერთა და თვით შემეცნება უმაღლეს წერტილამდე აიყვანაო".

საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობა, უდავოა გამოძახილია კომუნისტური წარსულის. როგორც ცნობილია. კომუნისტების მიზანი იყო საბჭოთა ტერიტორიაზე, უკლასო და უეროვნო საზოგადოების აშენება. ყველას ახსოვს, როგორი გულმოდგინებით ასწავლიდნენ "მეცნიერულ კომუნიზმს" და კომუნიზმის მშენებელ "საბჭოთა მოქალაქის მორალურ კოდექსს". ცდილობდნენ, დედამიწის ერთ მეექვსედზე, ერთ პროვინციაზე შეექმნათ – მოქალაქეთა სახელმწიფო. მათ ეს ვერ შეძლეს.

ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოში მოხდა, ზომით უმცირესი, "პროვინციულ-კოსმოპოლიტური" სახელმწიფოს შექმნა.

მიმაჩნია, ყველამ უნდა შეიგნოს მდინარის საწინააღმდეგოდ ცურვის უაზრობა. დღევანდელი მსოფლიო წინააღმდეგია იმ იდეებისა, რომელიც კომუნიზმთან ასოცირდება.

კიდევ ერთხელ დაჟინებით გვინდა მივუთითოთ იმ დოკუმენტებზე, რომლებიც ზემოთ იქნა მოყვანილი. იქ გარკვევით წერია. ერები არსებობენ! ერების მოსპობა არ შეიძლება!

ჩვენი ოპონენტებისაგან მოვითხოვ; წარმოადგინონ გაეროს ან ევროპის საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტები, სადაც საწინააღმდეგო აზრია დაფიქსირებული.

დღეს საქართველოში აცხადებენ, იღწვიან იმისათვის, რომ შექმნან თავისუფალ მოქალაქეთა საზოგადოება და სახელმწიფო, რომელშიც ყველა მოქალაქე ისარგებლებს თანაბარი უფლებით.

უნდა ითქვას, საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ არის ახალი.

დიდი გერმანელი ფილოსოფოსი გეორგ ფრიდრიხ ჰეგელი თავის ნაშრომში "სამართლის ფილოსოფია", განასხვავებდა სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს. პირველში გულისხმობდა მატერიალურ ურთიერთობათა სისტემას, სადაც სამრთლებრივ დაწესებულებათა საშუალებით ხდებოდა პიროვნებისა და საკუთრების თავისუფლების დაცვა. სახელმწიფო მიაჩნდა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის საჭიროდ. იგი ეთანხმებოდა ლოკკისა და მონტესკიეს ხელისუფლების განაწილების იდეას, რაც თავისუფლების გარანტად მიაჩნდა. იყო კონსტი-

ტუციური მონარქიის მომხრე, მაგრამ აღიარებდა რა პიროვნების თავისუფლებას, ეროვნება და მოქალაქე არ გაუიგივებია. რასებს, ერებს აღიარებდა და შრომაც მიუძღვნა მათ შესწავლას.

აი, რას ამბობდა ქართველების შესახებ დიდი გერმანელი მოაზროვნე:

"ბუნებითი გონის ზოგადი პლანეტარული სიცოცხლე განკერძოვდება დედამიწის კონკრეტულ განსხვავებულობებად და იყოფა კერძო ბუნებით გონებად, რომლებიც თავიანთ მთლიანობაში ქვეყნის სხვადასხვა ნაწილთა ბუნებას გამოხატავენ და რასათა განსხვავებულობას შეადგენენ. ადამიანთა რასების განსხვავებულობა ჯერ კიდევ ბუნებითი განსხვავებულობაა, ანუ ისეთი, რომელიც ბუნებითს სულს ეხება, როგორც ასეთი, იგი დაკავშირებულია იმ მიწა-წყლის გეოგრაფიულ განსხვავებულობებთან, რომლებზედაც ადამიანები დიდ მასებად იკრიბებიან. მიწა-წყლის ეს განსხვავებებია სწორედ ის, რასაც ქვეყნის ნაწილებს ვუწოდებთ. ინდივიდი დედამიწის ამ დანაწევრებაში რაღაცა აუცილებელი ძევს. განვსაზღვროთ ამ განსხვავებულობებთან დაკავშირებული რასობრივი განსხვავებები ადამიანთა მოდგმებს შორის ფიზიკური და გონითი თვალსაზრისით. პირველი თვალსაზრისით, ფიზიოლოგია ანსხვავებს კავკასიურს, ეთიოპურსა და მონღოლურ რასას. ყველა ამ რასათა ფიზიკური ურთიერთგანსხვავებულობა უპირატესად თავს იჩენს თავის ქალისა და სახის აღნაგობაში. თავის ქალის აღნაგობა უნდა განისაზღვროს ერთი ჰორიზონტალური და ერთი ვერტიკალური ხაზით, რომელთაგან ერთი სმენის გარეგანი არხიდან ცხვირის ძირისაკენ მიდის, მეორე კი შუბლის ძვლიდან ზედა ყბამდე. ამ ორი ხაზიდან შექმნილი კუთხით ცხოველის თავი განსხვავდება ადამიანის თავისაგან. ცხოველს ეს კუთხე ძალიან მახვილი აქვს. მეორე, რასათა განსხვავებისათვის, მნიშვნელოვანი განსაზღვრულობა ეხება ყვრიმალთა მეტ ან ნაკლებ წინგამოწეულობას. განმსაზღვრელია შუბლის სიგანე და თაღოვანებაც. კავკასიურ რასას ეს კუთხე სავსებით ან თითქმის მართი აქვს. განსაკუთრებით ითქმის ეს იტალიური, ქართული და ჩერქეზული ფიზიონომიის შესახებ. ამ რასას თავის ქალა ზემოთ მხარეს მომრგვალებული აქვს, შუბლი რბილად მოთაღული. ყვრიმალები უკან დაწეული, წინა კბილები ორივე ყბაზე – პერპენდიკულარული, კანის ფერი თეთრი, ლოყები წითელი, თმა გრძელი და რბილი.

მონღოლური რასის თავისებურება ვლინდება ყვრიმალების გამოშვერილობაში, ვიწროდ გაჭრილ არამრგვალ თვალებში, ჩაჭყლეტილ ცხვირში, ყვითელ კანისფერში, მოკლე აბურძგნულ თმაში.

ზანგებს, კავკასიელებსა და მონღოლებზე ვიწრო თავისქალები აქვთ, მათი შუბლები ამოთაღულია, მაგრამ კოპებიანი, ყბები წამოშვერილი, კბილები ირიბად დაყენებული. ქვედა ყბა მეტად წამოშვერილი, კანის ფერი მეტ-ნაკლებად შავი, თმა მატყლისებრი და შავი.

გონის მხრივ დასახელებული რასები ასეთნაირად განსხვავდებიან: ზანგები უნდა დავახასიათოთ, როგორც დაუინტერესებელი და თავის ინტერესებს მოკლებული, გულუბრყვილობიდან ჯერ არ გამოსული ბავშვთა ერი. მათ ყიდიან და ისინი ამას უშვებენ. ისე, რომ რეფლექსიას არ ახდენენ სამართლიანია ეს თუ არა. მათი რელიგია რაღაც ბავშვური იერის მატარებელია. უფრო მაღალს, რასაც შეიგრძნობენ ხოლმე მეხსიერებაში ვერ იჩერებენ – იგი მალე ისევ ქრება ხოლმე მათი თავიდან. მათ ძალუძთ ეს უმაღლესი პირველსავე ქვას დაუკავშირონ. ქვას ფეტიშად აქცევენ ხოლმე და შემდეგ წამსვე უკუაგდებან ამ ფეტიშს, რაკი ვერ უშველათ.

მშვიდ მდგომარეობაში კეთილნი და უწყინარნი არიან, მაგრამ აგზნებისას, რომელიც უცებ ეუფლებათ უსაშინელეს სისასტიკეს სჩადიან. ვერ იტყვით, რომ განათლების უნარი არ ჰქონდეს. მათ არა მარტო დიდი მადლიერებით მიიღეს აქა-იქ ქრისტიანობა და დიდად სულშეძრულნი ლაპარაკობენ თავისუფლებაზე, რომელიც ქრისტიანობის წყალობით ეღირსათ გონის დამონების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, არამედ ჰაიტზე საკუთარი სახელმწიფოც კი შექმნეს, ქრისტიანულ პრინციპებზე აგებული, მაგრამ ისინი არ ამჟღავნებენ სწრაფვას შინაგანი კულტურისადმი,

მათ სამშობლოში უსაზიზღრესი დესპოტიზმი სუფევს. აქ ისინი ვერ ადიან ადამიანის პიროვნულობის გრძნობამდე. იქ, მათს სამშობლოში. მათი გონი სავსებით მთვლემარეა, იგი ჩაძინებულია თავისთავში, არა აქვს წინსვლა და ამგვარად, აფრიკის კომპაქტური განუსხვავებელი მასის შესატყვისია.

მონღოლები პირიქით გამოიყოფიან ამ ბავშვური გულუბრყვილობიდან, მათში ცხადდება, როგორც მათი დამახასიათებელი ნიშანი, მოუსვენარი, თუმცა მყარი შედეგის ვერმიმღწევი მიდრეკილება მოძრაობისადმი, რომელიც აიძულებთ კალიის უზარმაზარი გუნდებივით მოედონ სხვა ერებს. მაგრამ ეს მიდრეკილება მაინც მალე უთმობს ადგილს იმავე უფიქრებელ განურჩევლობას და ყრუ უძრაობას, რომელიც იმ აფეთქებას წინ უსწრებდა. ასევე გვივლენენ მონღოლები ერთი მხრივ ამაღლებულისა და უკიდეგანოს, მეორე მხრივ კი უწვრილმანესი პედანტიზმის მკვეთრ დაპირისპირებას. მათი რელიგია უკვე შეიცავს საყოველთაო წარმოდგენას, რომელსაც ისინი თაყვანს სცემენ, ვითარცა ღმერთს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ იტანენ იმ წარმოდგენას, რომ ეს ღმერთი უხილავია.

აზიაში მგონი, ერთი მხრივ ბუნებას გამოეყოფა, მეორე მხრივ კვლავ ბუნებითობაში ვარდება, რადგან იგი ჯერ თავისთავში კი არ აღწევს ნამდვილობას, არამედ ჯერ მხოლოდ ბუნებითში. გონის ამ იგივეობაში ბუნებასთან ჭეშმარიტი თავისუფლება შეუძლებელია. აქ ადამიანი ჯერ ვერ მივა თავისი პიროვნების ცნობიერებამდე, მას ჯერ თავისი ინდივიდუალობის სახით, არა აქვს ხელთ რაღაც ღირებულება და რაღაც გამართლება – არც ინდოელებთან და არც ჩინელებთან. ეს უკანასკნელნი უყოყმანოდ მიუგდებენ ხოლმე შვილებს სხვას, ან სულაც ხოცავენ მათ.

კავკასიურ რასაშიღა აღწევს გონი აბსოლუტურ იგივეობას თავისთავთან, აქღა შედის გონი სრულყოფილ დაპირისპირებაში ბუნებითობასთან, თავისთავს იმეცნებს თავის აბსოლუტურ დამოკიდებულებაში, თავს აღწევს თავისთავის განსაზღვრას, თავისი თვითობის განვითარებას და მით მსოფლიო ისტორიას წარმოშობს.

მონღოლებს, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, თავის მახასიათებლად აქვთ გარეთკენ მისწრაფებული მოქმედება, წყალდიდობისას წყლის მოვარდნის მსგავსი, რომელმაც მხოლოდ გამანადგურებელი მოქმედება იცის და ვერფერს აშენებს, რომელსაც მსოფლიო ისტორიისთვის არავითარი პროგრესი არ მოაქვს. ეს პროგრესი მხოლოდ კავკასიური რასის გზითღა იწყება. ჰეგელი "გონის ფილოსოფია". გვ 61. 62. 63. პარაგრაფი 393.

კავკასიურ რასაში უპირველესად ქართველი იგულისხმება.

მიგვაჩნია, რომ ქართველმა ერმა, თავისი ისტორიული წარსულით უდავოდ დაიმსახურა არსებობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების უფლება.

თბილისი 1999 წ.

ისტორიული კადრები

მარჯვნიდან პირველი **ქეთევან ქადაგიშვილი-სამხარაძე (რძალი), ალექსანდრე სამხარაძე, ბახვა სამხარაძე, კლავდია სამხარაძე, ლელა სამხარაძე-ჯიბლაძე, ეკატერინე სამხარაძე.** მეორე რიგში მარჯვნიდან პირველი **სანდრო სამხარაძე, ირაკლი სამხარაძე, ზურაბ ფარესიშვილი, ნათია ჯიბლაძე-ანჯაფარიძე, ლუკა ფარესიშვილი.**

ბახვა სამხარაძის სახლი ზესტაფონის რაიონის სოფელ სამებაში. სურათზე ბახვა სამხარაძე ჩოხით, სტუმრებთან ერთად

სახლი, სადაც ისვენებდნენ ჯუმბერ მაღლაკელიძე
და ჯუმბერ ლეჟავა

ჯუმბერ ლეჟავა სტუმრად ბახვა სამხარაძესთან

ხელოვნება

გურამ ცერცვაძე
მხატვართა კავშირის თავმჯდომარე

წყალქვეშა მოცეკვავეები **მისტიკური ლანდშაფტი**



წყვდიადიდან გასვლა **ზაფხულის მიწურული** **სოკოები**

აბსტრაქცია

მთვარიანი ღამე

მეტამორფოზა



მთის ყვავილები



აბსტრაქცია



მზია

თეთრი ხე

განთიადი

გულნაზ ხარაიშვილი

გულის წევრი

მხატვარი, თბილისიდან რუსთავისკენ მიმავალ მიკროავტობუსში გავიცანი.

ზაფხულის პაპანაქება სიცხე იყო. მძღოლები მგზავრების გასაგრილებლად, ფანჯრების გაღებითა და კარების გახსნით გვმასპინძლობდნენ. გარედან აუტანელი სიცხე შემოდიოდა, თუ ვინმე შენიშვნას გაბედავდა მძღოლის მისამართით, შეტევაზე გადმოდიოდნენ: – გეგმას გვიმატებენ, ცოლ-შვილი რითი ვარჩინოთო – და ისინიც მგზავრებთან ერთად ერთ ტაფაში იწვებონენ, მიკროავტობუსის ტაფაში. იმ დღეს წინა სკამზე მომიწია დაჯდომა. მე ყოველდღე მიწევდა სიარული, რადაგან რუსთავში ვცხოვრობ და თბილისში ვმუშაობ. შეგუებული ვიყავი სიცხისაგან გამოწვეულ უსიამოვნებებს. წყლით გაყინული ბოთლით დავდიოდი, ბოთლს ერთი წლის უნახავი საყვარელი ნათესავივით ვიხუტებდი გულში, მიკროავტობუსში წინა სკამი შემხვდა და გვერდით ახალგაზრდა შვილის ტოლ გოგონასთან მომიწია დაჯდომა. ჩემი იარაღით შეიარაღებული მოვუჯექი იდუმალებით მოსილ ახალგაზრდას.

ორთაჭალას რომ მივუახლოვდით, ჩვენს უკან ერთი ახალგაზრდა გახდა ცუდად. ხელჩანთიდან ნახევრად გამლღვალი მეორე ბოთლი ამოვიღე და გადავაწოდე, ერთი ადამიანიც ვიხსენი გულის წასვლისაგან. გზა განვაგრძეთ ცხელი ქარის ბუღში და მტვრის კორიანტელში, ჩემს გვერდით მჯდომ ქალბატონსაც შევაფეთე თვალი, შევატყვე, რომ არც ის იყო კარგ დღეში. თავშეკავებით იტანდა გაუსაძლისი სიცხის პარპარშს. ლამაზ, იდუმალებით მოსილ თვალებში კი შიში დათამაშობდა, ცუდად გახდომის შიში. – შვილო, გამოვესაუბრე, – აიღე ჩემი გაყინული ბოთლი ჩაიხუტე გულში მონატრებული ადამიანივით და გამოხვალ მდგომარეობიდან-მეთქი. ბოთლი გამომართვა, სახეზე ნაზად დაიდო, გული დაიამა. ასე გადადიოდა ხელიდან ხელში წყლით სავსე გაყინული პლასტმასის ბოთლი, რუსთავამდე.

ჩასვლის დროს ბილეთი ამიღო, ტელეფონი გამომართვა. გავიდა ერთი თვე, გავიდა ორი თვე და შემეხმიანა: – მე ქეთი ვარ, ერთად რომ ვიმგზავრეთ და სიცხეში ცივი წყლით რომ მომასულიერეთო. თავის სახლში მთხოვდა მისვლას, მისამართი ამიხსნა, რუსთავის მეცხრამეტე მიკრორაიონში უნდა მივსულიყავი.

ანთოლოგიის მეშვიდე ტომზე ვმუშაობდი. წავედი... დათქმულ ადგილზე შევხვდით ერთმანეთს. გზა განვაგრძეთ მისი საცხოვრებელი ბინისაკენ, ირგვლივმყოფები ესალმებოდნენ. ქეთიც არ იშურებდა მათი მისამართით თბილ სიტყვებს. სადარბაზოს შესასვლელთან მეუღლეც შეგვხვდა. ქეთიმ სიყვარულით მიმართა – ეს ქალბატონი გულნაზიაო. ახალგაზრდა, ახოვანმა ლამაზმა ვაჟკაცმა გზა შესასვლელთან დამითმო და ასე დედა-შვილური ურთიერთობით მეორე სართულზე ავედით. მეუღლემ კარი გასაღებით გააღო და ჩემს წინ საოცრებები გადაიშალა, პატარა სამხატვრო გალერია ქეთის ხელით შესრულებული. ქეთი სპეციალობით მენეჯერია, ის მეუღლესთან ერთად ერთ-ერთ ფირმაში მუშაობს. ხატვა მისი ჰობია. მკითხველს ვთავაზობ ქეთის პირველ პერსონალურ გამოფენას ჟურნალ „ათინათის“ ფურცლებზე.

ქეთი მაზმიაშვილი











ფუნჯს სულს უბერავ,
სიფაქიზით ესაუბრები,
ხანაც ბაძავ, ბაძიერწავ
ნახატს თავნებას.

გულნაზი ხარაიშვილი





ალექსანდრე ციხელაშვილი



ნელი კვახაძე

თეა კანდელაკი

მაცხოვრის ხატი



იესო ჯვრით

მფარველი ანგელოზი

მაცხოვრის ხატი – პანტოკრატოსი

წმ. ნიკოლოზი

წმინდა გიორგი



ღვთისმშობელი

როკის მომღერალი ქართველი ქალი, რომელიც როკის სამშობლოში ქართულად ამღერდა

ოკეანის გაღმა დატოვა სამშობლო და მსოფლიოს წამყვან ქეყანაში უყოყმანოდ გამოემგზავრა შვილებთან შესახვედრად... დიახ, ეს ის პერიოდია, როდესაც დგება დრო, არჩევანი გააკეთო კარიერასა და ოჯახს შორის... ასე დაიწყო მეორე ეტაპი ცხოვრებისა სამშობლოდან შორს, 1998 წლის 13 დეკემბერს,პირველმა ქართველმა როკის მომღერალმა ქალბატონმა თამრიკო დავითაშვილმა...

თითქოს ოკეანის იქით, სამშობლოსთან ერთად დატოვა თავისი შემოქმედება და ამით დაემშვიდობა კიდეც სცენას. ამბობენ: – ქართველები ნოსტალგიით დაავადებული ერიაო და ზუსტად სამშობლოს მონატრების და მწვავე ნოსტალგიის შეგრძნებამ ახლებურად, სულ სხვა ამპლუაში ამოხეთქა შემოქმედის სულიდან და საქართველოსადმი მიძღვნილი სიმღერებით, პირველად აამღერა ქართულად როკის ქვეყანაში ჩასული – როკის მომღერალი ქალი...

„ემიგრანტის სიმღერა"; „ტანგო"; „თბილისო"; „თამარის სული"–ს პარტია".., რომელიც გვირგვინად დაედგა ნიუ–იორკში, ი. ლერმონტოვის პიესის –"მწირი"–ს მიხედვით, 2007 წელს რუსტემ გალიჩისა და ბროდვეის რეჟისორ ანდრეი დიონის თანაავტორობით დადგმულ სპეკტაკლს „დემონი". რომლის ტექსტის ავტორი გახლდით მე (თეა კანდელაკი), თამარის სულის პარტიის შემსრულებელი და მუსიკის ავტორი კი თავად თამრიკო დავითაშვილი. სპეკტაკლმა ანშლაგებით ჩაიარა ნიუ–იორკის თუ საზღვარგარეთის დიდი სცენები სადაც დემონის მთავარ პარტიას მხატვრული კითხვის ოსტატი რუსტემ გალიჩი თამაშობდა.

სულ მალე ნიუ–იორკში არსებული ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაჯილდოვდა ნომინაციით „წლის ქალი" – ქართული კულტურის უცხოეთში პოპულარიზაციისათვის,

2009 წელს კი „Big Apple Music Award" –ის მიერ.

ანშლაგით დამთავრდა მომღერლის მიერ 2003 წელს გამართული პირველი სოლო კონცერტიც...

ოჯახი, რომლის გამოც მომღერალმა დათმო საქართველოში მოღვაწეობა, ამერიკის ემიგრაციაში ახალი კარიერის სულის ჩამდგმელად მოევლინა... შვილების ვანოს და რიჩარდის უდიდესი სურვილი სტუ–დიის დაარსებისა, ქ. თამრიკოს მეუღლემ ბატონ შოთა დავითა–შვილმა სისრულეში მოიყვანა და მისივე ხელმძღვანელობით, 2003 წელს შეიქმნა ხმის ჩამწერი სტუ–დია STVR, სადაც ოჯახის წევრე–ბმა თანასწორუფლებიანობით შე–ითავსეს საქმიანობა. სტუდიის სა–ხელწოდებაც ხომ ოჯახის წევ–რების ხორცშესხმულ ერთ მთლია–ნობად ამოიტვიფრა

S – შოთა
T – თამრიკო
V – ვანო
R – რიჩარდი

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო რიჩარდ დავითაშვილის უდიდესი ღვაწლი, არა მხოლოდ სტუდიის, არამედ ამერიკაში მოღვაწე ემიგრანტების ცხოვრებაში ასახული ისტორიული კადრების, კლიპებად და ფილმებად გადაღებისა, მას ეკუთვნოდა მონტაჟი და განაგებდა ტექნიკურ მხარეს. რომელმაც პროფესიის გასაღრმავებლად 2005 წელს სწავლა გააგრძელა „ნიუ-იორკ ფილმ აკადემი"-ში.

2005 წელს თამრიკო დავითაშვილი აყალიბებს საბავშვო ანსამბლს " თამარიანი"

2009 წლიდან მანანა გოგინავას, თამრიკო დავითაშვილის და ლალი სამხარაძის ინიციატივით ნიუ-იორკში უოლ სტრიტზე ყოველ წლიურად იმართება საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ქართული დროშის აღმართვის ცერემონიალი .

2010 წელს კი საფუძველს უყრის ფესტივალს, პირველ ქართულ-ამერიკულ დაჯილდოვების ცერემონიალს – „ქართველები ამერიკაში".

2003, 2004, 2005, 2008 წლებში მართავს სოლო კონცერტებს

2008 წლის მაისის თვეში, სოლო კონცერტის გამო გასაშვებ სარეკლამო რგოლზე, რომელიც უნდა გასულიყო რუსულ ტელეარხზე სახელწოდებით – „სადმე, საქართველოს მთებში",, ქართული პატრიოტული სულისკვეთების გამო მოსთხოვეს სათაურის შეცვლა, რასაც მომღერალი არ დათანხმდა. ამავე წელს აგვისტოში მომხდარ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ თამრიკო დავითაშვილი უარს აცხადებს სცენაზე გასვლაზე რადგან მსმენელის უმეტესობა რუსულენოვანი მოსახლეობა იყო.

2013 წლიდან კი დეკემბრის ბოლო რიცხვებში ეწყობა „საახალწლო კარნავალი თამრიკოსთან" ...

..."მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი, გაახარებს ვისმე განა?!" ...

2017 წლის აპრილის თვეში მეხის გავარდნასავით გაისმა რიჩარდ დავითაშვილის გარდაცვალების ამბავი...თითქოს შეჩერდა ჟამთასვლა... ერთ მუშტად შეკრული ოჯახი განადგურდა... დრო კი მიჰქროდა ცის ელვათა გაელვარებით...

2011 წელს საქართველოში მიწვეულ მომღერალს მხურვალე აპლოდისმენტებით შეხვდა მსმენელი, სადაც შესრულებულ იქნა სიმღერა „GEORGIA".

სიმღერა, რომელიც დაიწერა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებიდან რამოდენიმე დღეში, როცა ავადმყოფობის გამო, ნიუ-იორკის საავადმყოფოში უკვე გონს მოსულ მომღერალს ინგლისურ ენაზე ჩაესმა ყურში "GEORGIA!..."

“BOMBING!...“ „სიენენ“–ის ცხელი ხაზი საქართველოს დაბომბვას აუწყებდა მსოფლიოს... აქვითინებულს მხოლოდ ერთი სახელი უტრიალებდა თავში „ჯორჯია“

სასწრაფოდ გადაურეკა ამერიკაში მყოფ ქართველ ემიგრანტ პოეტს – მანანა ფრუიძეს და სთხოვა დაეწერა სიტყვები ინგლისურ ენაზე...

სიმღერა, რომელზეც ახლა გიყვებით ეს არის ემიგრანტის სულიდან ამოხეთქილი ტკივილი, სიყვარული და შეძახილი სამშობლოსი, რომ, არ აქვს უფლება დაიჩოქოს... სიმღერა, რომელიც ქართილ–ინგლისურ ენაზე შეიქმნა სრული სიმძაფრით არის აღსაქმელი ამერიკაში დაბადებული და გაზრდილი ბავშვებისათვის, რომელთა უმეტესობას შესაძლოა თვალით არ უნახავთ საქართველო, მაგრამ მთელი სიმძაფრით გრძნობენ და აღიქვავენ სამშობლოს სიწმინდის და სიყვარულის ხატოვანებას.

ამ სიმღერის მოსმენისას ყოველთვის ცრემლით მევსება თვალები. ერთ დღესაც ასე მოხდა, სკოლისკენ ავტომობილით მიმავალი დაბალ ხმაზე ვუსმენდი სიმღერას როცა უფროსმა ქალიშვილმა (9 წლის მართამ) გაოცებულმა მკითხა – დედა რატომ გაქვს ცრემლიანი თვალები?–ო ... საპასუხოდ თავიდან ჩავრთე და ხმას ამოვუწიე ჩემი გოგონები მართა, ქეთავანი და თეკლა (მარიამი ბებიებთან მყავდა დატოვილი) სმენად გადაიქცნენ...

სიმღერის დასრულების შემდეგ სამარისებულმა სიჩუმემ დაისადგურა... მანქანის სარკიდან მალულად შევაპარე მზერა.. თვალები ცრემლებით უბრწყინავდათ...

–დედა, შეიძლება კიდევ მოგვასმენინო?? მკითხეს შეპარვით და ვიგრძენი, როგორ შეძრა მათი პატარა გულები აქ დაბადებულმა ემიგრანტი ბავშვების ქართულ–ინგლისურ ენოვანმა ნამღერმა საქართველოზე...

დავფიქრდი რა წამიერი და ამაოა ეს წუთისოფელი თავისი დაუნდობლობით... იყო და ყველას ახსოვდა... უყვარდათ... გარდაიცვალა და გაიყინა ირგვლივ ყველაფერი... დადუმდა... და მალე დავიწყებას მიეცემა რადგან, შეუსვენებლივ მიფრინავენ დროის ისრებიც და ქარს გაატანს სულის ძახილს დარდსა და სევდას... დამენანა დასავიწყებლად ეს ყოველივე და მინდა ვთხოვო ქ. თამრიკო დავითაშვილს და მის ოჯახს , შვილის, რიჩარდ დავითაშვილის სახელის უკვდავსაყოფად ვალდებულებაც კი მართებთ აღადგინონ STVR–ის სახელი ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებით, ეს ხომ თავად რიჩარდის იდეა და სურვილი იყო.

ხოლო კომპოზიცია „GEORGIA” დასახელდეს ამერიკაში დაბადებული ემიგრანტი ბავშვების ჰიმნად.

„არსებობს მამა ზეციერი, მე – ჩემი ოჯახით და ჩემი სამშობლო! ეს სამივე ერთად აღებული ჩემი სამებაა“ (თამრიკო დავითაშვილი)

პროფესიონალი ხელოვანი არ შეიძლება იყო ცოცხალი და ეწერო მკვდრებში უმოქმედობით, ამაოთა ამაოებასთან ფარ–ხმალ დაყრილი!!!

ნიუ–იორკი, აშშ
2018 წლის 11 დეკემბერი

ნიკო ხერკელაძე

„ქალი კატით“. ტ. ზ. ზ. 50 X 70. 2017 წელი.



„ხარი შამნახავი“. ტ. ზ. ზ. 70 X 90. 2009 წელი.



„გიორგობა“. ტ. ზ. ზ. 70 X 90. 2012 წელი.

„ალალე და თალალე ფოტოატელიეში“. ტ. ზ. ზ. 60 X 80. 2005 წელი.

სოფიკო ხერკელაძე

I მშვიდობა მსოფლიოს
შერეული ტექ. ზომა 2მ X 2.50სმ.

II მშვიდობა მსოფლიოს
შერეული ტექ. ზომა 2მ X 2.50სმ. 2013 წელი

მხატვარი სოფიკო ხერკელაძე. იტალია ქალაქი ვერონა.
სტუმართა მისაღები დარბაზის მოხატულობა.

მხატვარი სოფიკო ხერკელაძე. „მუსიკის ჰანგები“. შერეული ტექ. ზომა 70 X 80. 2012 წელი

მხატვარი სოფიკო ხერკელაძე.
„მუსიკის ჰანგები“. შერეული ტექ. ზომა 60 X 80.
2007 წელი

მხატვარი სოფიკო ხერკელაძე.
„თეატრი“. შერეული ტექ. ზომა 60 X 80.
2007 წელი

გოგი ფაცაცია

სიმონ ზაქარაია



ნიჭიერი მხატვრის ხელოვნება ხალხის სულიერი სიმდიდრეა

შარაბ ხოჭოლავას მხატვრული სივრცე

„ლამაზი არის შენს ხელში ცხელი უდაბნოც“
გულნაზ ხარაიშვილი, პოეტი

ბიოგრაფიული ცნობები

შარაბ ხოჭოლავა დაიბადა 1945 წელს, ხობის რაიონის სოფ. ნოჯიხევში. მშობლების საცხოვრებლად ზუგდიდში გადასვლასთან დაკავშირებით , შარაბი სწავლობდა და ამთავრებს ქალაქის მე–2 საშუალო სკოლას. იგი მე–3 მე–4 კლასიდან ავლენდა პროფესიონალური ხატვისადმი მიდრეკილებას, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია მის პედაგოგებს, მათ შორის დირექტორს, საქართველოს სკოლის დამსახურებულ მასწავლებელს გოგოლა ჩხოლარიას. მას სწამდა, რომ მოსწავლე შარაბი დიდ მხატვრობაში გზას აუცილებლად გაიკვლევდა.



შარაბ ხოჭოლავა ავტოპორტრეტი

მხატვრობაში მან პირველი ნათლობა მე–10 კლასის მოსწავლემ მიიღო. 1965 წელს ზუგდიდში ადგილობრივ მხატვართა გამოფენა გაიხსნა, რომლის ერთ–ერთი ინიციატორი შ. ხოჭოლავაც იყო. მან გამოფენაზე თავისი შერჩეული ნამუშევრები წარადგინა, რომლებსაც წარმატება ერგო. გამოფენის დასათვალიერებლად თბილისიდან ჩამოსულ მხატვართა ჯგუფს, რომელსაც ცნობილი ხელოვანი ელენე ახვლედიანი ხელმძღვანელობდა, განსაკუთრებით მოიწონა შ. ხოჭოლავას ნახატები, მათ შორის მისი ერთი ნამუშევარი ნატურმორტი. მან ის, თბილისში წაიღო და თავის კოლექციაში მიუჩინა ადგილი. ამასთან ერთად მალე თბილისში ჩატარდა მხატვართა რესპუბლიკური გამოფენა. შ. ხოჭოლავასაც ურჩიეს მონაწილეობა მიეღო გამოფენაზე და თავისი ნამუშევრებიც წარედგინა. მან სიამოვნებით მიიღო მხატვართა რესპუბლიკურ ტურში მონაწილეობა.

აქაც მისმა ნახატებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა და სამხატვრო ჟიურის მიერ შერჩეული შ. ხოჭოლავას ნამუშევარი სხვა საუკეთესო ნახატთა შორის გაიგზავნა საკავშირო გამოფენაზე მოსკოვში. საბედნიეროდ ახალგაზრდა მხატვრის სურათებმა იქაც საკავშირო დიპლომი დაიმსახურა. „ეს წარმატება იყო ჩემთვის ნამდვილი ტრამპლინი, რომელმაც კიდევ უფრო მეტი სტიმული მომცა მხატვრობის სრულყოფისაკენ“, –– მოკრძალებით ამბობს დღეს უკვე აღიარებული მხატვარი.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში

შარაბ ხოჭოლავამ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მტკიცედ გადაწყვიტა გაჰყოლოდა გზას მხატვრობისაკენ. სწორედ ამიტომ ის 1965 წელს ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე, შემდეგ კი კინოტელემხატვრის სპეციალობით, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1971 წელს. თბილისში სწავლის პერიოდში შ ხოჭოლავას საცხოვრებელი ბინის

პრობლემა ჰქონდა, როცა ეს გაიგო დიდმა მხატვარმა ელენე ახვლედიანმა იგი მაშინათვე მიიწვია თავის სახელოსნოში და ბინითაც უზრუნველყო. რა თქმა უნდა შემდეგში შარაბისადმი ასეთმა დედაშვილურმა დამოკიდებულებამ, ხელოვნებაში მიზანმიმართულმა მზრუნველობამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ნიჭიერ ახალგაზრდას ხელოვნების ფორმირებასა და დაოსტატებაში.

სწორედ დიდი ხელოვანის, ელენე ახვლედიანის პატივსაცემად შარაბ ხოჭოლავამ პირველი პერსონალური გამოფენა მიუძღვნა მის სახელოსნოში მის ხსოვნას.

1971–1975 წწ მუშაობდა კ/ს „ქართულ ფილმში“ დამდგმელ მხატვრად. 1965 წლიდან მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში: 1965 წ, 1969–1979 წწ. მოსკოვი, 1976 წ. იაპონია, 1977 წ. პოლონეთი. 1980 წ. ტაშკენტი.,1991 წ. გერმანია. 1971 წ. მუშაობდა მოსკოვის სენეჟის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად. 1975 წ. მუშაობდა განათლების სამინისტროს ესთეტიკის ცენტრის მთავარ მხატვარ–რედაქტორად. 1992 წ. მუშაობდა ქ. მიულჰაუზენში ფრანც გოლშტეინის ფირმაში „რესტავრაცია და ხატწერა“ –ხატმწერად. 1998 წ. მუშაობდა ხატმწერის კურსის ხელმძღვანელად ჰოლანდიაში, ქ. ლეოვარდენში. 1998 წ. ქალიშვილთან ნინო ხოჭოლავასთან ერთად მოაწყო ქართული კულტურის დღეები ჰოლანდიაში. 1989 წ. პერსონალური გამოფენა პოლონეთში, ქ. ლოძში. 1991 წ. პერსონალური გამოფენა ქ. მიულჰაუზენში, 1992 წ. პერსონალური გამოფენა ჰოლანდიაში, ქ. ლეოვარდენში, 1998–1999 წწ პერსონალური გამოფენა ჰოლანდიაში, ქ. როტერდამში.

მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის სახელმწიფო ხელოვნების მიზეუმში, ელენე ახვლედიანის მუზეუმში, თბილისის და მოსკოვის კულტურის სამინისტროს ფონდში.ასევე კერძო კოლექციებში: მოსკოვი, პოლონეთი, იაპონონიის, გერმანიის, ჰოლანდიის, ჩეხოსლოვაკიის კერძო მფლობელებთან; მისი შემოქმედებითი მონაცემები შეტანილია საქართველოს ხელოვნების ლექსიკონში „ვინ ვინ არის“ (თბილისი 2003 წ.) და „მსოფლიო ხელოვანთა ლექსიკონში“ (ლაიბციგი, 1998 წ.) შარაბ ხოჭოლავა ქართველ მხატვართა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელმაც ხელოვნებაში საკუთარი ხელწერით ახალი სიტყვა თქვა მე–20 საუკუნის დასასრულსა და 21–ს დასაწყისში.

ერთი შეხედვით ჩუმი, უწყინარი და სიკეთით აღსავსე გამომეტყველების მქონე ადამიანი, მრავალფეროვან შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა, რომელიც მის შინაგან ბუნებაში აზრთა ჭიდილის უწყვეტი პროცესის რაელური შედეგია.

ამ ნიჭიერმა მხატვარმა 1965 წლიდან დღემდე შექმნა 300–ზე მეტი აღიარებული სურათი, რომლებიც დადებითად მუხტავს დამთვალიერებლებს და მათში სულიერ კმაყოფილებას იწვევს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შ. ხოჭოლავამ თავისი შესანიშნავი ნახატებით კიდევ უფრო გაამდიდრა ქართული, დიდი ტრადიციის მქონე შემოქმედებითი სივრცე.

შარაბ ხოჭოლავას რამდენიმე სურათი მისი ნაწარმოებიდან

შარაბ ხოჭოლავას მრავალფეროვან შემოქმედებაში განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ღვთიური სულიერების წარმართვისაკენ მუდმივი სწრაფვა, რაც გამომდინარეობს მისი სიფაქიზითა და სიკეთით აღსავსე შინაგანი ბუნებიდან. უდაოა ის ფაქტი, რომ როცა მხატვარი ხატავს დაჭრილ და განრისხებულ მტაცებელ მხეცს, მაშინ მისი შინაგანი ემოციები ნამდვილად არ იქნება მშვიდი, მაგრამ როცა ის ქმნის რომელიმე წმინდანის, ან ღვთისმშობლის ან მაცხოვრის ხატს, მაშინ იგი უდაოდ განიმსჭვალება სიკეთისა და სიფაქიზის გრძნობებით. უმთავრესი ის არის, რომ ეს სულიერი სიფაქიზე და სიკეთე მის მიერ შექმნილ ნაწარმოებებში მნახველზე გადადის, რაც მხატვრის ნამდვილ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. შ. ხოჭოლავას მიერ შექმნილი მინიატურები და „სცენები ქრისტეს ცხოვრებიდან“ ღრმა შთაბეჭდილებებს ტოვებს მნახველებზე – „აჰა მე ვგზავნი შენს წინაშე ჩემს ანგელოზს, რომელიც განამზადებს შენს გზას შენს წინაშე“. ამით მაცხოვარი მოძღვრავს ადამიანს, იმედსა და სიმტკიცეს ნერგავს მასში.

სცენები ქრისტეს ცხოვრებიდან :

სურათი №1

სურათი №2

უდაოდ მნიშვნელოვანია შ. ხოჭოლავას მიერ შექმნილი ნახატი „ნათელი სიბნელესა შინა“. ამ სურათიდან რიგითი მკითხველიც კი აღიქვამს მის ღვთიურ ბუნებას, სიდიადეს, რაც აღაფრთოვანებს მათ. ცის ნაპრალებიდან დედამიწის წყვდიადში შემოდის ნათლით შემოსილი, კეთილი ცხენი–ბედაური თავის უმშვენიერესი ფრთებით, რაც თავისთავად ნათელს ფენს სიბნელით მოცულ სივრცეს. ნაწარმოებიდან ნათლად ჩანს „ნათელის მოსვლა წუთისოფელში“, რაც შუქის შემობრძანება იწვევს სიბნელის მუდმივ თანამგზავრი სატანებისა და ურჩხულების გაქრობას და საერთოდ ხდება ბოროტების გაუჩინარება. აი როგორ მოძღვრავს ღმერთი ადამიანებს — „ თუ თქვენ გეუბნებიან საიდან დაიბადეთ? — თქვენ უთხარით: ჩვენ დავიბადეთ სინათლისაგან იქ, სადაც თვით სინათლეც დაიბადა“ (იესო ქრისტეს სიტყვები, თომას აპოკრიფული სახარებიდან). ამ სურათით მინდა ვიწამო, რომ „ნათელი ბედაური“ სულიწმინდაა, რომელიც დედამიწაზე ბნელეთის მოციქულთა განწმენდის შემდეგ, ადამიანში გადადის და მას ღვთაებრივ ბუნებას ანიჭებს. უფრო მეტიც, უფალ იესო ქრისტეს აქვს ასეთი ყოვლის მომცველი განსაზღვრება – „ღმერთი ადამიანამდე დამდაბლდა, რათა ადამიანი აეყვანა ღმერთამდე.“ სწორედ შ. ხოჭოლავას ნაწარმოები „ნათელი სიბნელესა შინა“ ამას უნდა გულისხმობდეს.

სურათი №3

„ნათელი სიბნელესა შინა“ — 1970 წ.

ჩვენიი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია შ. ხოჭოლავას სურათმა „გუთნის დედა“. ალბათ ავტორის მიერ შერჩეული ეს სახელწოდება კანონზომიერია და ფილოსოფიური. აღნიშნული სურათი, ერთი შეხედვით მარტივ კომპოზიციას წარმოადგენს, მაგრამ თუ მის ცალკეულ

სიუჟეტებს ჩაუფიქრდებით და ჩაუღრმავდებით, აღმოჩნდება, რომ მხატვრის ლოგიკური აზროვნების სამყაროს რთული ბილიკებისაკენ მივყავართ, სადაც იწყება სულიერი და მატერიალური ძალების

გაერთიანება, სადაც ბუნების გარდაქმნის პროცესი უნდა განხორციელდეს. კომპოზიციის საწყის სიუჟეტებიდან ჩანს, რომ „გუთნის დედა“ ანუ გონიერი ადამიანი, რაღაც დიდი გარდაქმნის სამზადისშია.

ცოტაც და ხარებს უღელი დაედგმება, გუთანიც მიებმება, იწყება ბუნების გარდაქმნის მაცოცხლებელი პროცესი — ხვნა, თესვა, აბიბინებული ყანა, უხვი მოსავალი, მაძღარი საზოგადოება, რომელიც განვითარების ახალ საფეხურებზე ადის. ამასთან ერთად, მხატვარი სიუჟეტებში ოსტატურად იყენებს ფერებს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ფერები, მხატვრობაში აღიარებულია, როგორც ძირითადი სამუშაო საშუალება, რაც ნახატებს სანახაობრივი თვალსაზრისით მიმზიდველს და საინტერესოს ხდის. მარტივად რომ ვთქვათ, ნახატის ცენტრში მდგომი გამრჯე, ღონიერი და გონიერი გლეხი, თავისი მუშა ხარებითა და სათანადო ინვენტარებით, ბუნების ხელახალი გრდაქმნისათვის ემზადება. უდავოა, რომ სურათის ავტორი, ჩანაფიქრის მიზანს აღწევს. აქ შინაარსი და ფორმა სრულ ჰარმონიაშია.

სურათი №4

„გუთნის დედა“

ასევე დამთვალიერებელთა შეფასებით, შ. ხოჭოლავას ნახატი „მეგი“ საინტერესო ნამუშევრადაა მიჩნეული. დაინტერესებული პირი ადვილად შეამჩნევს, პერსონალურ გამოფენისას, რომ მათი უმეტესობა ამ სურათის წინ მცირე დროით მაინც აყოვნებს და სიამოვნებით უმზერს მას. მათ აინტერესებსთ თუ რა არის მიზეზი, რომელმაც გამოიწვია პატარა (2,5–3 წლის) „მეგის“ განცვიფრებული გამოხედვა, ან საით იცქირება ეს პატარა, რომელიც ამ შემთხვევაში მთლიანად ვიღაცის მიმართ ყურადღებადაა ქცეული.

რა თქმა უნდა ამაზე სხვადასხვა დამთვალიერებელს ალბათ განსხვავებული პასუხიც ექნება. ამ

მიზნით როგორც ჟურნალისტმა შეკითხვით მივმართე ერთ დამთვალიერებელ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც 2,5–3 წლის გოგონა ახლდა თან. მას ვთხოვე ეპასუხა პატარა „მეგის“ გაოცებული გამოხედვის მიზეზის შესახებ და მოეცა მას ამაზე მისეული მოსაზრება. აი, რა გვიპასუხა მან: – როცა დედები იძულებულნი ვართ ჩვენი პატარები (თან თავის პატარაზე მიანიშნა) ბინაში ან საბავშვო ბაღში დავტოვოთ, ამაზე ისნი ხშირად ცუდად რეაგირებენ, ცხარედ ტირიან და კატეგორიულად ითხოვენ ჩვენთან ერთად ყოფნას, რა თქმა უნდა რაც ყოველთვის ვერ ხერხდება. ამის შემდეგ, ბინაში ოჯახის წევრები თუ ბაღში მასწავლებლები უამრავ სათამაშოებს აწვდიან და ართობენ მათ. როცა გარკვეული დროის შემდეგ ვბრუნდებით ჩვენს ნახვამოწყურებულ ბავშვებთან, მიახლოებისას ვეძახით ხოლმე, რაზედაც ისინი სწრაფად რეაგირებას ახდენენ და მათი ყურადღება მიმართულია, საიდანაც ეს ნანატრი და საოცნებო ხმა მოესმით. მე მგონია, ამბობს რესპოდენტი, მხატვარს ეს წამები აქვს დაფიქსირებული თავის ნახატში და იგი ამ შემთხვევაში სინამდვილეს ასახავს – იყო მისი პასუხი, რასაც მთლიანად ვეთანხმები. ნახატი „მეგი“ ფერების სიუხვითა და სიმწვავით არ ხასიათდება, მაგრამ სურათი მთლიანობაში ემოციური მუხტის მატარებელია. აქაც, ამ სისადავეში, მხატვარი თავის სიმაღლეზე დგას და ნამდვილად იწვევს დამთვალიერებელთა მადლიერებას.

სურათი №5

„მეგი“

მაღალი რანგის ქართველი მხატვარი რა მხატვარია, თუ ის ძველი თბილისის კოლორიტულ თემას, მის ისტორიული

წარსულის ამსახველ, განუმეორებელ ლანდშაფტებსა და პეიზაჟებს ფუნჯით ფერად ფერებში არ ასახავს ტილოზე.

მისდა საბედნიეროდ, აქაც არ ღალატობს მას თავისი ხალასი ნიჭი და ოსტატობა, იგი ღრმად წვდება მის სილამაზის რთულ საიდუმლოებებში. შ. ხოჭოლავას ძველი თბილისის ამსახველ სურათებზე ფერთა ჰარმონიული შეხამებაა ნაირგვარ სიუჟეტებთან, რომელიც იწვევს მნახველთა უნებლიე, კეთილგანწყობილ ემოციებს, რაც უდაოდ მხატვრის გამარჯვებას ნიშნავს.

სურათი №6

„ძველი თბილისი“

სურათი №7

„გახედვნა“

შ. ხოჭოლავას ძველი თბილისის ამსახველი სხვა სურათებიც მისი ხელწერის მშვენებაა და მას საპატიო ადგილი უჭირავს ქართველ მხატვართა მსგავს ნაწარმოებებს შორის.

შარაბ ხოჭოლავას ნახატი „გახედვნა“ ბრწყინვალე ნაწარმოებია. ამ სურათზე მხატვარს დაინტერესებულ ადამიანთა აზროვნება აღტაცებაში მოჰტავს. აქ ნათლად ჩანს ადამიანის სიბრძნე, მისი შემართება და გონების სიმძლავრე, თუ როგორ ბატონობს ყოველგვარ მრისხანებაზე, ერთი შეხედვით მიუკარებელ ცხოველურ სტიქიაზე. აქ ადამიანი ბატონობს ყოველგვარ აგრესიაზე, ნახატი უდაოდ ძლიერია.

შარაბ ხოჭოლავას ნამუშევრებზე, მის მრავალფეროვან შემოქმედებაზე დღემდე საკმაოდ ბევრი დაწერილა, იმედია, ეს ტრადიცია შემდეგშიც წარმატებით გაგრძელდება, რამეთუ შემოქმედი ამჟამადაც აღმავლობის გზაზეა.

შარაბ ხოჭოლავას მომავალშიაც ვუსურვებთ წარმატებებს.

დასკვნა

„დიდი სიყვარულით გავეცანი ყველა ნამუშევარს, სასიხარულოა, რომ ყველა ჟანრში მუშაობ და ავლენ მაღალ მხატვრულ გემოვნებას, რაც შენი დიდი ნიჭის შედეგია“.

ილია პატაშური

ფაზისის აკადემიის წევრი რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი.

ოჯახური ურთიერთობები

ირინე ბალავაძე

მოკლე ბიორგასფია

ბიოგრაფიის ავტორი ვარ ირინე ბალავაძე. დავიბადე საქართველოს პატარა, ულამაზეს ქალაქში ქუთაისში, რომელსაც განუმეორებელს ხდის ბაგრატის ტაძარი და რიონის თეთრი ქვები.

ვსწავლობდი და დავამთავრე ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური ტექნიკუმი (ფორტეპიანო). სწავლა განვაგრძე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ორი წლის შემდეგ დაქორწინებასთან დაკავშირებით გადავედი თბილისის მაშინდელ პუკშინის სახ.პედ. ინსტიტუტში.

თბილისში ვიცხოვრე 14 წელი. 1995 წელს საცხოვრებლად გადავედი მოსკოვში. ეხლა ცხოვრება მიწევს სამ ადგილზე მოსკოვში, თბილისში და ხონის რაიონის სოფელ ქუტირში. ვინაიდან ამ რეგიონში ცხოვრობდნენ ჩემი მეუღლის ზაურ ბალავაძის წინაპრები.

ჩემი ოცნება იყო მქონოდა ლამაზი ყვავილების ბაღი, სადაც ყველას მოეწონებოდა ყოფნა. კარმიდამოს მოწესრიგებაში ოჯახის ყველა წევრი ვიღებთ მონაწილეობას. ჩვენი პატარა მიწა-წყალი თითოეულ ჩვენგანს. გვაძლევს სტიმულს და გვახარებს.

მე მყავს ორი სათაყვანებელი შვილი, მეუღლე, ბაღი და ჩვენი საუკეთესო მეგობარი ამერიკული აკიტა, ტორი. ჩვენი ტორი ძალიან კეთილი, ჭკვიანი და საყვარელია. სიყვარულის და ემოციების მთელ ფანტანს აფრქვევს. მასაც უვარს ყვავილები, ისეთი სინაზით აუვლის გვერდს თითოეულ მათგანს, რომ გაგიკვირდებათ.

ჩვენ ყველას გვიყვარს სტუმრები. მე ხონს კარგად არ ვიცნობდი და გაოცებული ვარ ამდენი ინტელექტუალური და ერუდირებული პიროვნება გავიცანი, მაგრამ ქალბატონი გულიადა ეს ცალკე თემაა. ქალბატონი, რომელიც სამყაროს ცენტრში დგას და ყველაფერს ასწრებს. შემოქმედების ასეთი მრავალმხრივობა მე ჯერ არ მინახავს. წინააღმდეგობების მიუხედავად ის საოცარი წარმატებით აგრძელებს თავის შემოქმედებით საქმიანობას ცხოვრებისეულ ყველა ასპექტში, არავინ ავიწყდება და ყველას უწვდის დახმარების ხელს.

აი, ხომ ხედავთ, როგორ შეიძლება მოიწყინო ასეთ პიროვნებებთან. დაკავებული ვარ საზოგადოებრივი საქმიანობით. ჩემი უდიდესი მისწრაფება გახლავთ ყველა ქალი იყოს სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი და ბედნიერი. ჩამოვაყალიბე ქალთა ორგანიზაცია „ბედნიერი ქალები“ ხონის გამგეობის დახმარებით.

ჩვენი მიზანია დავეხმაროთ მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ ქალებს და ხონი გადავაქციოთ ევროპულ ქალაქად.

თუ რამეს ვწერ და ვაკეთებ, ისევ და ისევ ქალებისათვის, რომ გავიადვილოთ ცხოვრება, რომ ახლებურად შევხედოთ ცხოვრებას და მოვიცილოთ მოძველებული სტერეოტიპები.

მე ჩემს მოკრძალებულ შრომას საყოფაცხოვრებო ფსიქოლოგიას ვუწოდებ, რადგანაც ვფიქრობ, რომ ეს ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში გვჭირდება.

ჩვენი პერიოდის ქალებს დაძაბული ისტორიული კატაკლიზმების პერიოდში მოგვიწია ცხოვრება. ვიბრძოდით თავისუფლებისთვის და ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. გაგვიჭირდა ყველას, განსაკუთრებით ქალებს. ყველაფერმა ჩვენს მხრებზე გადაიარა. მიუხედავად ამისა ვთვლი, რომ ცხოვრება ეხლა იწყება. მთავარია იყოს მშვიდობა, მშვიდობა და კიდევ ერთხელ მშვიდობა. ცხოვრების ენერგიას ვიღებ ჩემს ყვავილებთან ურთიერთობით და ყველას, ყველა ქალბატონს მოვუწოდებ, ყოველი დილა ყვავილებთან ურთიერთობით დაიწყოს.

და ყველას ვუსურვებ იყონ ყვავილებივით ლამაზები.

1
შევიმსუბუქოთ ცხოვრება ზედმეტი დაძაბულობისგან

დავიწყოთ იქიდან, თუ რა გვაძლევს ცხოვრებაში სტიმულსა და ენერგიას. ყველასათვის ცნობილია, რომ დაქორწინებამდე ვიძენთ პროფესიას, რამდენადაც შეგვიძლია, ვცდილობთ ჩამოვყალიბდეთ როგორც პიროვნება, პიროვნებად ჩამოყალიბება კი გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე. დაქორწინების შემდეგ მთავარი ჩვენი სათაყვანებელი შვილები და ოჯახია. არ დაგვავიწყდეს რომ პიროვნული განვითარება უფრო ეფექტურად ოჯახის შექმნის დროს გრძელდება. სწორედ ოჯახი უწყობს ხელს ჩვენს შემდგომ ჩამოყალიბებას, ამიტომ ძალიან სერიოზულად და გააზრებულად უნდა მივიღოთ იგი: როგორც ყველაზე ძვირფასი, ყველაზე საინტერესო და სათაყვანებელი, ასე ვთქვათ, პირადი თემი. მივიღოთ ოჯახი როგორც პოეზია და არა, როგორც პროზა. პროზა – ეს ძალიან კარგია – ლოგიკურად მსჯელობა, ანგარიში, მაგრამ ცხოვრებაში, იქ, სადაც მხოლოდ ლოგიკა და ანგარიშია, არ არის დღესასწაული, არ არის სინათლე, სიხარული და მოსაწყენია ცხოვრება?

იქ, სადაც პოეზიაა, ცხოვრობ ნამდვილად. სიყვარული – პოეზიაა. მე იმის თქმა მინდა, რომ დიდ სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახი – ეს ნამდვილი დღესასწაულია და არავის მისცეთ უფლება, ეს დღესასწაული გააუფერულოს! ამასთან, ყოველგვარი დავი-დარაბის გარეშე, ჩუმად და უხმაუროდ განერიდეთ ყველა ხელისშემშლელს, ასეთები კი, საოცარია, მაგრამ, სამწუხაროდ, ბლომად გამოჩნდებიან...

ყველა ჩვენთაგანისთვის ოჯახი არის ყველა კარგი წამოწყების მხარდამჭერი. ოჯახიდან გამომდინარე შეგვიძლია გავუგოთ საკუთარ თავსაც. კარგი ოჯახი ეწყობა იმ შემთხვევაში, თუ მისთვის დავხარჯავთ დროს, ენერგიას და ძალას. შევხედოთ ყველაფერს ახლებურად, გავაკეთოთ აღმოჩენები, ვეძიოთ სიახლეები, ერთმანეთის მიმართ ვიყოთ უაღრესად გულახდილები, გავხდეთ უფრო დამთმობები, კეთილშობილები, ადამიანურები – ოჯახი ხომ ჩვენი ძალების საბადო, მხარდამჭერი, ფუნდამენტი და ყველა იმ სიკეთის წყაროა, რასაც ვქმნით და რასაც ვაღწევთ.

აუცილებელია ვიცოდეთ, რომ ოჯახი მოითხოვს აზრიან შრომას, ის ისეთივე სამსახური და სამუშაოა, როგორიც სხვა დანარჩენი. ის ისეთივე ორგანიზაცია და სტრუქტურაა, როგორიც დანარჩენი კომპანიები და როგორც ამ კომპანიებს სჭირდებათ ხელმძღვანელი და ლიდერი, ასევე სჭირდება ოჯახს ჭკვიანი ლიდერი. ნამდვილი ლიდერი კი ოჯახში გახლავთ სიკეთე, კეთილდღეობა და ღირებულებები. და სწორედ ჩვენ, ქალებმა უნდა შევიტანოთ საკუთარ ოჯახებში სინათლე და სიკეთე დიდი გაგებით, მივცეთ სტიმული და ენერგია ჩვენს მეუღლეებს, სინათლე და მიმართულება ჩვენს შვილებს. ოჯახში თავი ყველამ უნდა იგრძნოს კომფორტულად და ყველას უნდა გადავდოთ ის ენთუზიაზმი, რომელიც მოგვიწოდებს მაღალი, ლამაზი მიზნებისკენ. სწორედ მაშინ შევძლებთ ჩვენ საკუთარი პოტენციალის რეალიზებას. ოჯახის ყოველი წევრი უნდა ვიყოთ პასუხისმგებელი ჩვენს გადადგმულ თითოეულ ნაბიჯზე. პასუხისმგებლობა კი ქმნის სიახლეებს და საინტერესო ცხოვრებას. სიკეთეზე დამყარებული საქმიანობა ქმნის ყველას სასიკეთო გარდაქმნას და ამის შემდეგ, გპირდებით, მთელი ოჯახი გაყვება თქვენს მიერ გაკვალულ ბილიკს. ოჯახით ვიწყებ, რადგან ჩვენ ხომ ოჯახებში ვიბადებით, ოჯახი გვაძლევს იმ აუცილებელ ღირებულებებს, რომლებსაც შემდეგ ვიყენებთ ცხოვრებაში ახალი ოჯახის შესაქმნელად – ჩვენ ხომ ჯერ პატარა, მომავალში კი დიდი ბავშვები ვართ.

პატარებს სჯერათ მშობლების. როგორადაც არ უნდა მოიქცეთ თქვენ, კარგი იქნება ეს თუ ცუდი, მათ სჯერათ, რომ თქვენ სწორად იქცევით, ჩვენ მათი მაგალითები ვართ. ბავშვები, როგორც ღრუბლები, ისე ისრუტავენ ყველა ჩვენს მოქმედებას, შეხედულებებსა და ღირებულებებს. ისინი არა მარტო აკვირდებიან, არამედ იმახსოვრებენ კიდეც ჩვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

პირველი ძვირფასი საჩუქარი, რაც შეიძლება ვაჩუქოთ ჩვენს შვილებს, ეს გახლავთ დრო; მეორე ძვირადღირებული საჩუქარი გახლავთ ჩვენი დადებითი მაგალითი; მესამე ძვირფასი საჩუქარი კი გახლავთ, მივაჩვიოთ და რა თქმა უნდა, ძლიერ შევაყვაროთ წიგნის კითხვა. თავდაპირველად ჩვენ წავუკითხოთ, ქართული ზღაპრები ხომ უძვირფასესი საგანძურია ჩვენი ქართული ლიტერატურის, ხოლო შემდეგ დაკვირვებით შევურჩიოთ ჭკვიანი წიგნები (ამ წიგნებზე მომდევნო თავებში გვექნება საუბარი), რომლებიც დაეხმარებიან სამყაროსა და სიბრძნის შეცნობაში.

ურთიერთობა ბავშვებთან და არა მარტო ბავშვებთან აუცილებელია, რადგან არავის გვყოფნის დრო ნორმალური ადამიანური ურთიერთობებისთვის. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და გავუფრთხილდეთ ჩვენს შვილებს, დავუთმოთ მათთან ჯანსაღ ურთიერთობებს დრო, აღვზარდოთ ისინი ჩვენ თავად! ნუ დავუთმობთ მათ აღზრდას უცხო, დაქირავებულ, არაპროფესიონალ ადამიანებს – ჩვენს შვილებზე ძვირფასი ხომ არც არავინ არის და ვერც ვერავინ იქნება მომავალში. დროებით გვერდზე გადავდოთ ჩვენი ამბიციები, სამსახური, კარიერა, ოღონდ დროებით, რადგან როცა ისინი წამოიზრდებიან, ჩვენ უამრავი დრო გვექნება საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. ჯერ-ჯერობით კი, კიდევ ერთხელ გავიზარდოთ მათთან ერთად, განა ყველაფრის სწავლა მოვასწარით? ვისწავლოთ კიდევ ერთხელ მათთან ერთად და მათგანაც ვისწავლოთ ბევრი რამ, ისინი ხომ ჩვენზე ჭკვიანები იბადებიან. ვაჩუქო მათ ბევრი სიყვარული და მერწმუნეთ, არ გვეყოლება ამდენი განერვიულე-

ბული, გაღიზიანებული და დაუკმაყოფილებელი ბავშვი. აღვზარდოთ ისინი კეთილი თვისებების მქონე ადამიანებად. რასაც კარგს შევაჩვევთ ბავშვობიდან, სწორედ ის გაჰყვებათ მთელი ცხოვრება. აუცილებლად წავუკითხოთ ყოველ დღე, მინიმუმ ხუთი წუთიც რომ იყოს. ვეცადოთ, ერთ დღესაც ნუ გამოტოვებთ კითხვის გარეშე და წიგნი გახდება მათი საუკეთესო მეგობრი, ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს. დიახ, ბავშვის აღზრდის პერიოდი არ არის ადვილი, ამიტომ მობილიზება გავუკეთოთ საკუთარ თავს და განვეწყოთ ამისათვის როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად.

ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში ბევრი მშობელი ცხოვრობს მიზნის გარეშე. ისინი, უბრალოდ, მიყვებიან ცხოვრების დინებას, იმის მაგივრად, რომ თავად მართონ საკუთარი ცხოვრება. ისინი ფიქრობენ, რომ თავისთავად მოწესრიგდება ყველაფერი... მათ სჯერათ, რომ ბავშვები თვითონ გაიზრდებიან და ჩამოყალიბდებიან ღირსეულ ადამიანებად... ღმერთმა გაუზარდოთ შვილები და აუსრულოთ ეს ფიქრი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ გახლავთ, მათ აუცილებლად სჭირდებათ სწორი გზის მაჩვენებლები. დატოვოთ ბავშვი ყურადღების გარეშე, ეს იგივეა, ითამაშო რუსული „რულეტკა“, ეს კი ძალიან საშიშია. რუსული „რულეტკის“ დროს პისტოლეტში ჩადებულია მხოლოდ ერთი ტყვია, რომელიც არ იცი, სად იმყოფება და რა დროს გაისვრის...

2
ტრადიციებზე დაყრდნობილი ოჯახის ყოველდღიურობა

ვეცადოთ, ოჯახის ყოველდღიურობა ჩამოვაყალიბოთ ტრადიციების მიხედვით, ტრადიციები კი, შესაძლოა, იყოს საერთო ეროვნული, ან საკუთრივ ოჯახის. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ ჩვენთვისაც. რიტუალები და ტრადიციები ჩვენ და ჩვენს ოჯახებს აძლევს თვითმყოფადობას. ყველა აქ მოცემული მეთოდი, პირველ რიგში, გვეხმარება ჩვენ, შემდგომ კი თავად უნდა შევიტანოთ და დავნერგოთ ჩვენი შვილების ცხოვრებაში. როცა ჩვენ ვიქნებით მობილიზებულნი და განწყობილნი ყოველგვარი დადებითის მიმართ, შემდგომში ეს ყველაფერი ავტომატურად გადაეცემა ჩვენს შვილებს. ასე რომ, პირველი სასარგებლო ტრადიცია, რომელიც უკავშირდება წიგნის კითხვას, ჩვენ უკვე ვიცით.

მეორე, ეს გახლავთ სიმშვიდე და მშვიდობა საკუთარ არსებობაში და ჩვენს გარშემო, ჩვენს ოჯახებში. შევქმნათ ჩვენს სახლებში ისეთი პირობები, სადაც გამეფებული იქნება წყნარი ატმოსფერო, მყუდროება და სულიერი სიმშვიდე. ვიზრუნოთ იმაზე, რომ სახლი იყოს ნამდვილი თავშესაფარი იმ მკაცრი რეალობის მიუხედავად, რომელშიც ჩვენ გვიწევს ცხოვრება. ამისათვის აუცილებელია შევიცვალოთ შეხედულებები ბევრი რამის მიმართ, უპირველესად კი იმის მიმართ, რომ თავად ვიყოთ პოზიტიური ადამიანები, შემდეგ კი ჩვენივე გამოცდილებით დავეხმაროთ საკუთარ პატარებს, ჩვენი კვალიფიციური დახმარების გარეშე ხომ მათ აუცილებლად გაუჭირდებათ. ამასთან ერთად, გვახსოვდეს, რომ ისინი უნდა დავიცვათ ჩვენგანაც! დიახ, ჩვენგან!.. ნუ ვიქნებით ძალიან მკაცრები და მომთხოვნები. ჩვენ მხოლოდ დიდი სიფრთხილით ვუჩვენოთ გზები და შევუქმნათ პირობები, ჰქონდეთ მათ სწორი არჩევანის საშუალება!

ყველაფერი დავიწყოთ საკუთარი თავიდან. ყველაზე მომთხოვნები ვიყოთ საკუთარი თავის და არა სხვის მიმართ. მშვიდი სულიერი გარემო, პირველ რიგში, საკუთარ პიროვნებაში შევქმნათ და შემდეგ ის თავისთავად, ავტომატურად დამკვიდრდება ჩვენს სახლებში. სულიერი სიმშვიდის დადებითი აურა გადაედება ჩვენი ოჯახის ყველა წევრს, ჰარმონიული ურთიერთობები კი ფუნდამენტია წყნარი, გაწონასწორებული ცხოვრებისა. დაე, ჩვენი სახლები იყოს წყნარი თავშესაფარი სამყაროს სუეტისაგან. ხოლო, რაც შეეხება ფიზიკურ სახლს, სახლი უნდა გვიყვარდეს და ვაფასებდეთ. ის მუდამ სუფთა და განივებული უნდა იყოს და აუცილებლად ყვავილებით სავსე, რადგანაც, სადაც ყვავილე-

ბია, სწორედ იქ სუფევს სიმყუდროვე და სიმშვიდე. ყვავილები ავსებს სახლს ნათელი ფერებით და ცხოვრებისეული ენერგიით. ყვავილებია სიმბოლო ყველაზე საუკეთესოსი და გვახსენებს ცხოვრებისეული ყოფის უბრალო სიამოვნებას. ისინი ჩაუნერგავენ ბავშვებს, რომ ბუნება ძლიერი, თავისუფალი და კეთილმოსურნე ძალაა. ყვავილები შეიძლება იყოს როგორც ქოთნის, ასევე დაკრეფილი და ლამაზად შეკრული თაიგული, თუმცა ყველა ერთნაირად სასიამოვნოა.

ტელევიზორთან ჯდომა შევცვალოთ ბუნებაში გასეირნებით და სუფთა ჰაერზე თამაშით. ბუნება ამაგრებს და აძლიერებს, პირველ რიგში, ბუნებასთან ურთიერთობასა შემდეგ, ჯანმრთელობას. ის დადებითად მოქმედებს როგორც ჩვენი, ასევე ბავშვის შემოქმედებით ფანტაზიაზე და განავითარებს მსუბუქ გრძნობას სილამაზის შეგრძნებისა. ჩვენი აზროვნება და ცნობიერება საოცრად დაუჯერებლი ფენომენია. ხანდახან ისეთ რაიმეს მოვიმოქმედებთ, გვიკვირს კიდეც: ნუთუ, ეს ჩვენ გავაკეთეთ... მოკლედ რომ ვთქვათ, ვინც სუფთა ჰაერს სუნთქავს, კარგადაც აზროვნებს და კარგადაც ცხოვრობს.

ვეცადოთ, რაც შეიძლება უკეთესად გავაკეთილშობილოთ და შევცვალოთ ოჯახური გარემო, განვავითაროთ სილამაზის ნატიფი შეგრძნება, რომ ჩვენი სახლი გახდეს სულიერების ნათელი ოაზისი და ის ატმოსფერო, სადაც ჩვენს შვილებს მოეწონებათ ცხოვრება, სწავლა და დასვენება, ჩვენს ახლობლებს კი მოეწონებათ სტუმრობა და ჩვენთან მოსვლა.

ძალიან, ძალიან სასიამოვნოა მრავალი ყვავილი, სუფთა ჰაერი, ბევრი მზის სხივი, რომელიც ათბობს სულს და მიმზიდველს ხდის ყოველგვარ ინტერიერს. ყოველი დილის გათენებას შევხვდეთ გამარჯვებული ადამიანის ღიმილით, ჩვენ უკვე გაგვიმართლა, როცა მოვევლინეთ ამ ქვეყანას. ამიტომ, უდიდესი მადლიერების გრძნობით შევეგებოთ მზის ყოველ ამოსვლას და უდიდესი მადლიერების გრძნობით მივიღოთ მზისგან მოწოდებული ენერგია.

სახლის ატმოსფეროს სიმშვიდე დამოკიდებულია ჩვენს ემოციებზე, ჩვენს გუნება-განწყობილებაზე. თუ ჩვენს სახლში მუდმივად ჩართულია ტელევიზორი და ხმამაღალ ხმაზე გაჰკივის რადიო, ან სხვადასხვა სახის ელექტრონული ხელსაწყოები, ასეთი სახლი არასდროს იქნება სულიერებისა და სიმშვიდის ოაზისი. საერთოდ, გვახსოვდეს: დღის მანძილზე მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გამოვიყენოთ ელექტრომომსახურება, ტელეფონები (რადგან არ არის საჭირო დიდხანს საუბარი), მიკ-

როტალღური ღუმელი კი საერთოდ ამოვიღოთ ხმარებიდან, რადგან ეს ყველაფერი პირდაპირ უარყოფითად მოქმედებს ჩვენს ჯანმრთელობაზე და თანაც, გენეტიკურად. ამას ლაპარაკობს სტატისტიკა და თუ ჭკუას მოვიხმობთ, აუცილებლად გავითვალისწინოთ ეს რჩევები და დავიმახსოვროთ, რომ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენოთ ისინი. სხვათა შორის, მოვა დრო და ამას ყველა მიხვდება, მაგრამ იქნება ძალიან გვიან, როცა ადამიანი თავისი მოდგმის გადასარჩენად მთებში გაიხიზნება ყოველგვარი ელექტრო ტექნიკის გარეშე.

გამოიყენეთ ისინი აუცილებლობის შემთხვევაში და არა საათობით, ასევე ურჩიეთ თქვენს შვილებს. მოაწყვეთ ისე, რომ სახლში იყოს მოსვენების იდილია. აუხსენით აგრეთვე, რომ ტელეფონზე საუბარი მაშინ არის კარგი, როცა რაიმე ღირებულზე საუბრობ, ღირებული საუბარი კი არასდროს არის გრძელი და დაუსრულებელი.

3
ერთად ტრაპეზზე

კიდევ ერთი ტრადიცია ოჯახის ერთობის და მისი სულიერი სამყაროს გამყარებისა გახლავთ ერთად ტრაპეზი შუადღით, ან კიდევ საღამოს, ან როცა თქვენთვის არის მოსახერხებელი, რადგან ხანდახან ოჯახის წევრები დაკავებულნი არიან და დრო თქვენ თვითონ შეარჩიეთ. ტრაპეზი, რა თქმა უნდა, ტელევიზორის გარეშე ჩაატარეთ, ვუსმინოთ არა ტელევიზორს, არამედ ერთმანეთს. გვაინტერესებდეს ერთმანეთის წარმატებები, დავეხმაროთ ერთმანეთს, თუკი წარმოიშვა რაიმე პრობლემები, რათა ვიყოთ მობილიზებულნი ერთმანეთის დახმარებით, მხარდაჭერით, წახალისებით, შექებით და ა.შ.

ეს ტრადიცია ხელს უწყობს ჩვენი ოჯახური ურთიერთობების ბედნიერ შეხვედრებს და თითოეული ოჯახის წევრი იგრძნობს, რომ მას აფასებენ და უყვართ, დაინტერესებულნი არიან მისი საქმიანობით, წინსვლით. დღეს, თანამედროვე ცხოვრებაში, ეს ტრადიცია დარღვეულია, რადგან ცხოვრების ტემპი შეიცვალა. ზოგი ისეა დაკავებული, რომ ტრადიციების შესახებ აღარც ახსოვს, არადა, ამ ტრადიციას დიდი გავლენა აქვს ოჯახის სიძლიერეზე და ვეცადოთ, შეძლებისდავარად აღვადგინოთ იგი, თუნდაც, ეს იყოს ერთი დღე კვირაში. ეს დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ საინტერესოდ გაატარა ოჯახის თითოეულმა წევრმა დრო, რა ახალი ინფორმაცია გაიგო – ეს გახლავთ ერთმანეთის მიმართ გამოჩენილი ყურადღება. ხოლო, რაც შეეხება საჭმელს, სასურველია, იყოს მსუბუქი: ახალი ხილისა და ბოსტნეულის სალათები. კვებაზე კონკრეტულად მომდევნო თავებში გვექნება საუბარი, რადგან სწორად კვებით იწყება ჩვენი ჯანმრთელობა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია არსებობისთვის.

კიდევ ერთი აუცილებელი რჩევა: ოჯახები, რომლებიც მოქმედებენ და თამაშობენ ერთად, ხდებიან ძლიერი, მოთამაშე ოჯახები.

კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოაწყვეთ თამაშები სუფთა ჰაერზე, მოაწყვეთ „სიცილის საღამო“, ერთად უყურეთ კომედიას, იხუმრეთ, ნუ დაივიწყებთ იუმორს, რადგან ცხოვრებაში იუმორი ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტია კრიტიკული სიტუაციების განსამუხტად. სხვათა შორის, მამაკაცები უფრო არიან დაჯილდოვებულნი იუმორის გრძნობით, ვიდრე ქალები და სასურველია, ვისწავლოთ მათგან. ერთი სიტყვით, ნუ ვიქნებით ძალიან სერიოზულები, ვიმხიარულოთ, მხიარულება კი მოგვიტანს უამრავ სიკეთეს.

მოკლედ შეგახსენებთ მიზიდულობის კანონის შესახებ. იგი მოქმედებს ასე: თუ ჩვენ განვიცდით ენთუზიაზმს, სიხარულს, ინტერესს, სიყვარულს, აღმაფრენას, ანუ ვართ ჩართულნი პოზიტიურ ასპექტებში, თქვენ ავრცელებთ დადებით ენერგიას და ეს ენერგია კოსმიურ სივრცეში მიემართება, როგორც რადიოტალღები და ეს განწყობილება და ენერგია გიბრუნდებათ ისევ უკან, ზოგჯერ გაორმაგებული დოზით... მაგრამ, თუ თქვენ დაბოღმილი ხართ და ყოველთვის გულმოსული უყურებთ სამყაროს, მიზიდულობის კანონი პასუხობს თქვენი სულის ყველა მოძრაობას. ის არ წყვეტს, რა არის თქვენთვის კარგი ან ცუდი, ეს თქვენ წყვეტთ ყველაფერს საკუთარი თავისთვის.

ასე რომ, თქვენი ენერგეტიკული რხევა მიიზიდავს იმავე სიწმინდის ენერგიას, რაც თავად გაგაჩნიათ. თქვენი იმპულსების სიწმინდე უნდა იმყოფებოდეს რეზონანსში მასთან, რაც გინდათ მიიზიდოთ თქვენს ცხოვრებაში. თუ მიისწრაფვით სიყვარულისკენ, სიკეთისკენ, სიმდიდრისკენ, თქვენ, უბრალოდ, უნდა შექმნათ სიყვარულის, სიკეთის და სიმდიდრის ენერგია. ასე რომ, შევეჩვიოთ, ჩვენგან მიდიოდეს სამყაროსკენ დადებითი იმპულსები და ემოციები.

ვასწავლოთ ჩვენს შვილებს, იმხიარულონ კარგ ხუმრობებზე. იცოდნენ, თუ რა კარგია გულიანი სიცილი. მოკლედ, სიცილი ბრძნული გზაა სულიერი კავშირებისკენ. ცხოვრება ხშირად მკაცრია და თუ ვიცინებთ მშობლიურ ადამიანებთან ერთად, სულში მუდამ სიკეთე და სიმსუბუქე გვექნება. ვიყოთ დიდები, ეს სულაც არ ნიშნავს ვიყოთ მუდამ სერიოზულები. დროა, გადავაპროგრამოთ საკუთარი თავი, მოვიცილოთ სერიოზულობის ძველებური სტერეოტიპები და ახლებურად შევხედოთ საკუთარ პიროვნებასა თუ ცხოვრებას. ბოლოს და

ბოლოს, ჩვენ ხომ უკვე 21-ე საუკუნეში, განახლებულ ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა თვითონ დედამიწა გადავიდა განახლების ახალ ფაზაში, რომელსაც მეცნიერები კვანტურ გადასვლას უწოდებენ. მაგრამ, მხოლოდ დედამიწა არ გადასულა განახლების ახალ ფაზაში – დედამიწასთან ერთად მასზე მცხოვრები ხალხიც აივსო ახალი ენერგიით. არა აქვს მნიშვნელობა, ჩვენ ვიცით თუ არა ამის შესახებ, სამყარო თავისთავად აგრძელებს განვითარებას და ჩვენც ძალიან კარგად ვამჩნევთ, რომ ის გახდა პლასტიკური და ადვილად იცვლება ჩვენი აზრების, გრძნობების და სურვილების ზემოქმედებით. ასეთია ბუნებრივი გამოვლინება პროცესისა, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვანტური გადასვლა ეწოდება. ახალი ენერგია ჩვენ გვაძლევს კოლოსალურ შესაძლებლობებს და ჩვენ შეგვიძლია, საკუთარი სურვილების მიხედვით შევქმნათ ჩვენი სამყარო.

ჩვენ შეგვიძლია სამოთხე თავიდან შევქმნათ ოჯახის ფარგლებში, შემდეგ კი ჩვენს გარშემომყოფთათვის.

ჰიმალაის მთებში მცხოვრები ერთ-ერთი ბრძენი ამბობს: „ვინც ბავშვური თამაშით აგრძელებს ცხოვრებას, ის მუდამ ბედნიერია და აღწევს მიზანს.“

რაც შეიძლება მეტად გავამახვილოთ ყურადღება კარგსა და კეთილზე და რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება დავუთმოთ ცუდსა და სიყალბეს! და ნუ დაგვავიწყდება, რომ პირველებმა ჩვენ გავცეთ სიკეთე და სიყვარული. გვახსოვდეს ბიბლიური გამოთქმა: „არასდროს გაღარიბდება გულუხვი ადამიანი!“ ცხოვრებისგან კი ჩვენ დაბადებისთანავე ვღებულობთ ყველა აუცილებელს. გავიხსენოთ: დავიბადებით თუ არა, გვხვდება სახლი და სიყვარული, მზრუნველობა დედის, მამის და ახლობლების სახით, ამის გარდა კი რამდენი რამ: საჭმელი, სასმელი, ტანსაცმელი, სწავლა-განათლება, მეგობრები და ასე შემდეგ.

მეორე ნაწილი
რა კარგია ვიყოთ ერთად

გამარჯობათ ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

რადგან ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა, ჟურნალ „ათინათის“ მთავარმა რედაქტორმა პატივი დაგვდო და მოგვანდო ამავე ჟურნალის ოჯახური ურთიერთობების გვერდი, ვიყოთ ერთმანეთის მიმართ გულახდილები და გავუზიაროთ ერთმანეთს საკუთარი და კაცობრიობის მიერ დაგროვილი გამოცდილებები. ქალბატონ გულნაზს კი დიდი მადლობა ნდობისათვის.

ხშირად ისმის: „დამეხმარეთ, მომეცით რეკომენდაცია. როგორ ვიცხოვრო ახლა, მომავალში“, მიმართვებია ფსიქოლოგებთან, ექიმებთან, მედიუმებთან. ძალიან დიდი სიხარულით მინდა გიპასუხოთ – იცხოვრეთ სიამოვნებით, ღიმილით, სიკეთით, იცხოვრეთ დედოფა-

ლივით, მეფურად! რა თქმა უნდა, იცხოვრეთ ჯადოსნურად, ძალიან კარგად. მაგრამ ასეთი ცხოვრებისათვის ცოდნა და გამოცდილებაა საჭირო, ხომ იცით, შემთხვევით არაფერი ხდება ამ ქვეყანაზე. და, რა თქმა უნდა, უფრო ადვილია თუ ადამიანს ექნება რჩევები, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ კრიტიკულ შემთხვევაში.

ოჯახი, როგორც ვიცით საქართველოში და ისევე მთელ სამყაროში, სახელმწიფოს ბურჯი და გულია. ძლიერია ოჯახი, ძლიერია სახელმწიფო. ჩვენს პატარა საქართველოში ოჯახს დიდი ტრადიცია აქვს. ყველას მოგეხსენებათ რა დიდი სიყვარულით და რუდუნებით ქმნის ოჯახს თითოეული ჩვენგანი. მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან სამწუხაროდ, ჩვენი მთავრობა თავსაც არ იწუხებს საკუთარი ხალხისთვის. არ ზრუნავს, რომ საკუთარ ქვეყანაში არსებობდეს ეკონომიკურად ძლიერი ოჯახები. ჩვენი ქართველი ხალხი ნამდვილი ჯადოქრები არიან, საიდან რას გამოძებნიან და ოჯახს ფეხზე დააყენებენ. ჩვენი ქალბატონები კი, სად არ დადიან სამუშაოდ თავიანთი შვილებისათვის და ოჯახისათვის, მათი კეთილდღეობისთვის.

სწორედ ასეთ სიტუაციაში გვმართებს გამაგრება. ერთობა და კეთილგონიერება. როგორც მსოფლიო ისტორიიდან ვიცით, მთავრობა გახლდათ მაგალითის მიმცემი საკუთარი ხალხისათვის. ახლა კი ვცადოთ, ჩვენ ვიყოთ მათთვის მაგალითის მიმცემი. როგორც ოჯახისთვის არის ერთობა და სიყვარული აუცილებელი, მათაც მოვუწოდოთ ერთობისკენ და სიყვარულისკენ. მხოლოდ ეს გადაგვარჩენს. გავაგებინოთ, რომ XXI საუკუნეში ვცხოვრობთ. ეს გახლავთ ის ფაქტი, რომ დედამიწა, გადავიდა განახლების ახალ ფაზაში და თვით სამყარო ითხოვს ხალხის კეთილდღეობას და ძლიერ სახელმწიფოს. მოწესრიგებული კანონმდებლობით და ეკონომიკით.

ნუ ავყვებით ემოციებს, გამოვნახოთ საკუთარ თავში ნამდვილი ძალა, თავისუფლება, სიცოცხლის სიყვარული და შესაძლებლობა, შემოქმედებითად გარდავქმნათ ჩვენი, ჩვენი შვილების და მთლიანად ჩვენი ოჯახების რეალობა.

თითოეული ქალბატონი, თითოეული მამაკაცი ღირსია იყოს ჯანმრთელი და ბედნიერი, თავისუფალი ოჯახის ფარგლებში და მის გარეთ, საზოგადოებაში. დაე, მუდამ იყოს ამაღლებული ჩვენი შეგნების სტანდარტი. გავუწიოთ კონტროლი ჩვენს სიტყვებს და მოქმედებებს. მასზეა აგებული ჩვენი ყოველი დღე და ჩვენი ცხოვრება.

როგორც აღვნიშნეთ ჩვენ, იმ დიდი ტრადიციების ქვეყანა ვართ, სადაც ოჯახს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, მაგრამ თუკი თითოეული ჩვენგანი მას კიდევ უფრო განამტკიცებს, საკუთარი გამოცდილების ტრადიციებით და მას უფრო მაღალ ხარისხს შესძენს, მერწმუნეთ საზოგადოება და პირველ რიგში ჩვენი შვილები გამოიყენებენ მას საკუთარი, ნათელი ცხოვრების შესაქმნელად.

ნუ შეგვაშინებს დოლარის კურსი, ჩვენ შევქმნათ ჩვენი საკუთარი ცხოვრებისეული კურსი. გამდიდრებული სიყვარულით, ურთიერთგაგებით, დაფასებით, მადლიერებით და საუკეთესო არჩევანით.

ოჯახი, რომელიც სიყვარულზეა დაფუძნებული, ის აგრეთვე მოითხოვს დიდ შრომას. მაგრამ ნუ შეგეშინდებათ, სწორედ შრომასა და განვითარებაშია ცხოვრების აზრიც. ქალის ტვირთი კი – ეს ცალკე თემა გახლავთ, უდიდესი და ამოუწურავი. ჩვენი ქართველი ქალბატონები კი გმირები არიან, იქნება ეს დიასახლისის ასპარეზი, პოლიტიკა, პოეზია, პროზა თუ რომელი ერთი ჩამოვთვალო. რაც შეეხება ოჯახში ქალის ტვირთს – იგი შეუცვლელი და აუცილებელია. რა დონით დავამძიმებთ ამ ტვირთს არჩევანი ჩვენზეა, ვიარსებებთ თუ ვიცხოვრებთ. ხმამაღლა განვაცხადებ: ჩვენ იმაზე მეტი შეგვიძლია, ვიდრე წარმოგვიდგენია. გამოვიყენოთ ყოველი წუთი, საათი, დღე იმისათვის, რომ ცხოვრება იყოს დაუსრულებლად საინტერესო. ჩვენ თვითონ გამოვძერწოთ ყოველი დღე სასიამოვნო თავგადასავლებით ჩვენს შვილებთან ერთად, მათთან ერთად ყველაფერი ადვილია და თუ ეს იწყება პატარობიდან, აი იმ დროდან როცა მათ ნამდვილად ვჭრიდებით – სწორედ მაშინ გადავდოთ გვერდზე ჩვენი ამბიციები, სამსახური და ნუ ვანდობთ მათ აღზრდას უცხო, არაკომპეტენტურ ადამიანებს. დიახ, შეიძლება მოგბეზრდეთ, გადაიღალოთ – დაისვენეთ, აღიდგინეთ ძალები, გამოიჩინეთ მოთმინება, ისევ კიდევ ერთხელ გავიზარდოთ მათთან ერთად, განა ყველაფრის სწავლა მოვას-

წარით? ისედაც, – სწავლა და თვითგანვითარება, ხომ მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. ჩვენ ამ რამოდენიმე გვერდზე შეიძლება ვერ მოვასწროთ ყველაფრის თქმა, მაგრამ ძალიან მინდა წაკითხვის შემდეგ თავი ვიგრძნოთ თავდაჯერებულად, მობილიზებულად, კეთილშობილ და ყველასათვის დამხმარე პიროვნებად. გავუწოდოთ დახმარების ხელი ყველას, ვინც საჭიროებს.

ვუსურვოთ ერთმანეთს ბედნიერება, მაგრამ ნუ დავისახავთ მიზნად ბედნიერებას იმიტომ, რომ ბედნიერება არ შეიძლება იყოს მიზანი, ბედნიერება მუდამ მოქმედებაშია. დაე, მუდამ გვქონდეს მიზანი და მოქმედების ასპარეზი. ჩვენი უპირველესი მიზანი ყოფილიყოს ის, რომ უანგაროდ ვემსახუროთ ჩვენს გარშემო მყოფთ, დაწყებული ოჯახიდან, გაგრძელებული იმით, ვისაც ჩვენგან დახმარება დასჭირდება და სულიერად გავამდიდროთ მათი ცხოვრება. იყოს ჩვენი მიზანი ურთიერთპატივისცემა და სხვა ადამიანების გაბედნიერება და აი, მაშინ ყოველგვარი სიკეთე თვითონ მოგვიკაკუნებს კარზე. დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი წერდა: „წარმოიდგინეთ, რომ ცხოვრების აზრი იყოს მხოლოდ შენი ბედნიერება, რა უაზრო და მკაცრი იქნებოდა მაშინ ცხოვრება: და უნდა მიიღო ის, რასაც გეუბნება სიბრძნე და რასაც გეუბნება შენი გული: ცხოვრების აზრი იმ ძალაშია, რომელმაც გამოგგზავნა შენ ამ სამყაროში. თუ კი ამ აზრს მიიღებ და გაითვალისწინებ, მაშინ იქნები მუდამ სიხარულში“.

– სიმდიდრე, ფული ეს მხოლოდ ანაზღაურებაა, რომელსაც გვიგზავნის სამყარო იმისათვის, რა დახმარებასაც ჩვენ ვუწევთ ერთმანეთს. შევცვალოთ ჩვენი პრიორიტეტები ანუ გადავაპროგრამოთ საკუთარი თავი და მერწმუნეთ, ცხოვრებაც შეიცვლება. ეს ის მეთოდები გახლავთ, რომელიც ყოველგვარ სიკეთეს იზიდავს თქვენკენ და თქვენი ოჯახებისკენ. დიახ, ჩვენ მოვევლინეთ ამ ქვეყანას, იმიტომ, რომ სიკეთე ვაკეთოთ და ამით გავაუმჯობესოთ ეს ცხოვრება, თვითოეულმა თავისებურად.

ჩვენ ისე ვართ გართული და დაკავებული სხვადასხვა ყოველდღიური პრობლემით და ყოველდღიური რეჟიმით, რომელსაც ჰქვია, ბრძოლა არსებობისათვის, სასარგებლო იქნებოდა გაგვეკეთებინა დროებითი პაუზა და დროებით შეგვეწყვიტა შეჯიბრება, იქნებ დაგვენახა, თუ როგორები ვართ, როგო-

რია ცხოვრება შორიდან და იქნებ შეგვეგრძნო მისი ჭეშმარიტი მასშტაბები. მოდით, ხანდახან ავმაღლდეთ კიდეც, ზემოდანაც დავინახოთ საკუთარი თავი, დავინახოთ როგორები ვართ, როგორ ვმოქმედებთ, რა შესაძლებლობები გაგვაჩნია. ეს შეგვაძლებინებს დავინახოთ და გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომები, თუ ავიღებთ არასწორ კურსს. ასეთი მეთოდი უკეთესად დაგვანახებს საკუთარ თავს. როცა ჩვენ არ ვიცხოვრებთ ილუზიებით, შევძლებთ ვიმყოფებოდეთ მუდამ რეალურ მდგომარეობაში, შევძლებთ ჩვენი მიზნების განხორციელებას, საკუთარი თავის რეალიზებას და აქედან გამომდინარე – ვინ არის ბედნიერი? – ვინ და რეალიზებული ადამიანი, რომელიც აკეთებს იმას, რაც უყვარს ან აკეთებს იმას, რაც სასიკეთოა საერთოდ ცხოვრებისათვის თვითეულ ჩვენგანს აქვს არჩევანი, ეს გახლავთ

ცხოვრებაში კიდევ ერთი პრიორიტეტული ფაქტი, კიდევ ერთი ძვირფასი თვისება ადამიანური ღირებულებებისა. ამიტომ ნურასოდეს დაველოდებით, რომ სხვა შეიცვლება და ამით ჩვენი ცხოვრება გაუმჯობედება. წავიდეთ გარდაქმნისა და სიახლეების გზებით და წავიყვანოთ ამ გზებზე ჩვენი შვილები, მშობლიური ადამიანები, ვიყოთ ჭეშმარიტი სიახლეების საწყისები და შემქმნელები, რომლებსაც თანამედროვე ენით ლიდერებს უწოდებენ.

დიახ, პირველებმა ჩვენ ქალებმა გადავდგათ სიახლის და განახლების ნაბიჯი და მთელი ოჯახი გამოგვყვება ჩვენს მიერ გაკვალულ ბილიკს. დიახ, ჩვენ უნდა ვიყოთ კარგი მაგალითი ჩვენი შვილების და რასაც კარგს დაინახავენ ისინიც იმას გააგრძელებენ შემდგომში ავტომატურად.

ცხოვრებაში არაფერი არ არის იმაზე კარგი, რომ გავამაგროთ და შევცვალოთ ჩვენი აზროვნება, მივმართოთ ის სიკეთისაკენ. თუნდა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ჩვენს მიმართ იქცევიან განსაკუთრებულად გამომწვევად და შეურაცხმყოფელად, ჩვენ გვაქვს არჩევანი და ვარიანტი, როგორი მიმართულება მივცეთ ასეთ შემთხვევებს. მაგალითად, ჩვეულებრივი, მოუმზადებელი ადამიანი დაიწყებს გაბრაზებას და მუდმივად კითხულობს – რატომ იქცევა ეს ადამიანი ასე არაპროდუქციულ მდგომარეობაში. ხოლო ადამიანმა, რომელმაც გამოიმუშავა სიკეთისა და აქტიური ცხოვრების წესი, ის გამომწვევად უყურებს ამ სიტუაციას და აქვე ღებულობს სასიცოცხლოდ დიდ ენერგიას. არავის შეუძლია თქვენი გაბრაზება, თქვენი თანხმობის გარეშე. სიტუაციას ყოველთვის შეხედეთ იმ კუთხიდან, რომელსაც შეუძლია თქვენი შეგნების დონის ამაღლება.

მოკლედ, ჩვენი ყველაზე კარგი მკურნალი – ჩვენი აზროვნება გახლავთ, რომელიც სავსეა, გამბედაობით, ენერგიით, იმედებით, აქტიური ცხოვრებით და ჰარმონიით.

თუ ჩვენი ძვირფასი მკითხველი ზემოთ თქმულიდან საკუთარი ცხოვრების გზაზე გამოიყენებს თუნდაც ერთ სიტყვას, ჩვენი შრომა გამართლებულია.

გმადლობთ ყურადღებისათვის!

ფიზკულტურა და სპორტი

როგორ დავამარცხოთ ნაადრევი სიბერე



რამდენიმე სიტყვა ავტორზე

ჯუმბერ ლეჟავა დაიბადა 1939 წლის 23 ივლისს ქ. თბილისში, იურისტების, დავით (ალექსანდრე) ლეჟავასა და ეკატერინე კალანდაძის ოჯახში. 1942 წელს გარდაეცვალა მამა და ბავშვობა ომის მძიმე პირობებში გაატარა.

სწავლობდა თბილისის რკინიგზის მე-4 საშუალო სკოლაში. მისი დამთავრების შემდეგ დედა გარდაეცვალა.

სკოლა დაამთავრა ვერცხლის მედალზე და ჩაირიცხა მოსკოვის მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში.

1962 წელს დაბრუნდა თბილისში. სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე.

1964 წელს დაქორწინდა ლიანა ალიბეგაშვილზე, რომელიც გარდაიცვალა 1990 წელს. ყავს ერთი ქალიშვილი (მეორე ქალიშვილი 2009 წელს გარდაეცვალა), ოთხი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი.

1964 წლიდან მოღვაწეობდა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში. 1968 წლიდან მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. კურირებდა საქართველოში განათლების, მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობში კომპიუტერიზაციის და პროგრამირების განვითარებისა და მათი დანერგვის უზრუნველყოფას. სისტემატიურად კითხულობდა ლექციებს უმაღლეს სასწავლებლებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. გამოქვეყნებული აქვს 24 სამეცნიერო ნაშრომი. 1987 წელს მიანიჭეს საქართველოს სახელმწიფო პრემია.

ბავშვობიდან ფიზიკურად სუსტი იყო, რამაც აიძულა ადრეულ ასაკშივე დაწაფებოდა სპორტს. უყვარდა ხალხური თამაშებიც, სპორტის კლასიკურ სახეობებშიც გამოუცდია თავი და მწვრთნელები დიდ პერსპექტივებს უსახავდნენ.

მიუხედავად სამსახურებრივ საქმიანობაში დიდი დატვირთვებისა, აგრძელებდა ვარჯიშს სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ბოლოს გაიტაცა კულტურიზმმა და მოგზაურობამ (ფეხით, მოტოციკლეტით, მანქანით, ველოსიპედით).

46 წლის ასაკში დაავადდა შინაგანი ორგანოების განგრენით და 1986-87 წლებში გადაიტანა ორი უმძიმესი ოპერაცია, რომლის დროსაც ამოკვეთეს 4 მეტრზე მეტი სიგრძის წვრილი ნაწლავი. ექიმებს მისი გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ, მაგრამ არნახული რწმენით, ნებისყოფით, სიმტკიცით და შეუპოვრობით უამრავი წინააღმდეგობა გადალახა და ისეთ ფიზიკურ ფორმას მიაღწია. რომ წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებსა და მუცლის პრესის ვარჯიშებში 1990-92 წლებში, დროითი ნორმატივების მიხედვით, გინესის მრავალი რეკორდი დაამყარა, კერძოდ:

135 აზიდვა — ერთ წუთში (არაოფიციალური)
5 011 აზიდვა — ერთ საათში;
16 274 აზიდვა — ხუთ საათში;
19 378 აზიდვა — ექვს საათში;
34 955 აზიდვა — თორმეტი საათში;
44 141 აზიდვა — ოცდაოთხ საათში;

2 806 მუცლის პრესის ვარჯიში 1 საათში (უწყვეტ რეჟიმში);
100-დღიანი წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების მარათონული რეკორდი – 1 730 000 აზიდვა და ერთი წლის განმავლობაში 4 800 000 აზიდვა.

1993-2002 წლებში ველოსიპედით მარტოდმარტომ შემოიარა მსოფლიოს ყველა კონტინენტი, 238 ქვეყანა, მათ შორის გრენლანდია და ანტარქტიდა.

მოგზაურობის დროს ექსტრემალური სიტუაციების სიმრავლის გაზრდის მიზნით ჩრდილოეთ ქვეყნებს გადიოდა ზამთარში, ხოლო სამხრეთის ქვეყნებს – ზაფხულში, სამგზის ოფიციალურად სტუმრობდა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს (ატლანტის – 1996, ათენის – 2004, პეკინის – 2008).

მოგზაურობიდან ჩამოტანილი აქვს უნიკალური ინფორმაციული მასალა, დასამუშავებელია ასეულობით საათი ვიდეო ფირი. 60 000-მდე ფოტო სურათი. გამოსაცემად მზადაა 4000-მდე დღის დღიური (10.000-მდე თაბახი) და მოგზაურობის ამსახველი შთაბეჭდილებების მრავალტომეულიდან 8 ტომი.

მიუხედავად მისი ასაკისა იგი აგრძელებს მოგზაურებობებს. 2006 წელს მას ჰქონდა გეგმაში უკრაინელ ცნობილ მოგზაურთან ერთად, მათ მიერ შექმნილი სპეციალური ველომობილით, რომელსაც პინგვინი დაარქვეს და დევიზად დაისახეს „იბრძოლე და ეძებე, იპოვე და არ დანებდე“ დაელაშქრათ სამხრეთი პოლუსი, სიცივის პოლუსი და მაგნიტური პოლუსი. ამ პროექტმა გაიმარჯვა „ექსპო 2006“-ზე და მისმა მონაწილეებმა დაიმსახურეს მსოფლიო გამოფენის ოქროს დიპლომები. სამწუხაროდ, ფინანსების უქონლობის გამო ამ პროექტის შესრულება ვერ მოხერხდა და მისი განხორციელებისათვის დაინიშნა ვადა 2013 წელი. 2010 წელს ისევ დაუფინანსებულობის გამო ჩაიშალა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა პოლარული წრის გავლას. ამ პროექტის ჩაშლის გამო წელს გადაწყვეტილი აქვს დარჩენილი გასავლელი ექვსი ქვეყნიდან წავიდეს ორ ქვეყანაში სამოგზაუროდ. ესენია: საუდის არაბეთის სამეფო და ლივიის დიდი სოციალისტური სახალხო არაბული ჯამახირია. აქვს სხვა მეტად საინტერესო პროექტებიც, რომელთა განხორციელებასაც აპირებს 2020 წლამდე.

ჯუმბერ ლეჟავა არის საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს – ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის მფლობელი, სხვა მრავალი ჯილდოც მიუღია. მაგალითად, UNESCO-მ გადასცა მსოფლიო სპორტსმენისა და მოქალაქის დიპლომი„ არის „საქართველოს 2002 წლის“ და „მსოფლიოს 2009 წლის“ ადამიანი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ შეყვანი-

ლია მსოფლიოს 5000 ლიდერთა სიაში, კემბრიჯის უნივერსიტეტმა კი დაასახელა მსოფლიოს 400 წარჩინებულში. არის სრულიად უკრაინის გეოგრაფიული საზოგადოების და სრულიად უკრაინის ტურიზმის საზოგადოების წევრი, ევროპის ბიოგრაფიის ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, მსოფლიოს მრავალი ქვეყნისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქის საპატიო მოქალაქე, მათ შორის 2009 წელს აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ, არის სპორტის დამსახურებული მუშაკი, მიღებული აქვს საქართველოს ოლიმპიური მედალი, დაჯილდოებულია ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ოქროს მედლით და მრავალი სხვა.

ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილზე

(რეცენზია)

2009 წლის ივლისში, მე შევთავაზე ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ჩაეტარებინა სამედიცინო ფუნქციონალური გამოკვლევა, სამედიცინო და ფიზიკური მაჩვენებლების შეფასებისათვის.

ჯანმრთელობა შეფასდა როგორც კარგი, ხოლო ფიზიკური მაჩვენებლები შეესაბამება 40-45 წლის ჯანმრთელი მამაკაცის მდგომარეობას.

უდავოა, ეს მაჩვენებლები მიღწეულია „ჯანმრთელი ცხოვრების წესით – „წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების“ სისტემატიური ვარჯიშის შედეგად.

წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვა – ეს არის იგივე სიმძიმეების აწევა „მწოლიარე“ გულაღმა მდგომარეობიდან, რომელშიც მონაწილეობს სხეულის მრავალი კუნთი, მაგრამ განსაკუთრებლად გამოვყოფ გულმკერდისა და ტრიცეფსების კუნთებს, ზუსტად ისე, როგორც დაწოლილი მდგომარეობიდან სიმძიმეების აწევის დროს, ირიბად კი ვარჯიშობს დელტის კუნთი, წინა მხარის, მტევნების წვრილი კუნთები, პრესი და კვადროცეპსები. ეს არის სუფთა ზედაპირული ანატომიური შეხედულებით.

სპორტული ფიზიოლოგის, სპორტული მედიცინის პროფესორის, აშშ ჩემპიონის „ბოდბილდინგში“ არაპროფესიონალთა შორის ბობი დელფის კვალიფიციური შეფასებით, „სინამდვილეში, წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვის დროს, ვარჯიშში პრაქტიკულად მონაწილეობს სხეულის მთელი მუსკულატურა, ვარჯიშის დროს დინამიურ დატვირთვას იღებს სხეულის კუნთების ნაწილი, ხოლო დანარჩენი, მთელი ვარჯიშის პერიოდში არის სტატიკურად დაძაბული, სხეულის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დაჭერის გამო. წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების ვარჯიშს აქვს უდიდესი მეტაბოლური ეფექტი“.

მკერდის დიდი კუნთები არ ჰგავს არცერთ სხვა კუნთს, ყველა ბოჭკოსებური კუნთი ერთი მიმართულებისაა, ხოლო მკერდის კუნთები ლავიწის ძვლისაგან იშლებიან მარაოსებურად. ასე რომ ნებისმიერი ვარჯიში ძალუნებურად ტვირთავს მხოლოდ უჯრედების ნაწილს – მხოლოდ იმას, რომელიც ემთხვევა დატვირთვის ვექტორს.

შტანგითა და განტელებით ვარჯიშის დროს, არ არის მანევრირების საშუალება, ხოლო წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებისას ყველაფერი სხვანაირადაა, რადგანაც საკმარისია ხელები იატაკზე დადოთ, ან მხრებზე ოდნავ ვიწროდ, ან ოდნავ განივრად, ან კიდევ ოდნავ წინ, ან ოდნავ უკან და თქვენ აღწევთ გულმკერდის არის ყველა „მიძინებული“ კუნთის გაღვიძებას.

46 წლის ასაკში ჯუმბერ ლეჟავამ საოპერაციო მაგიდაზე ორჯერ გადაიტანა კლინიკური სიკვდილი. სახლში დაბრუნებულმა მტკიცედ გადაწყვიტა არა მარტო ჯანმრთელობისათვის მიეღწია, არამედ დაბრუნებულიყო სპორტში.

„მე, დიდხანს ვფიქრობდი თუ რაზედ უნდა შემეჩერებინა ჩემი არჩევანი“. ამბობს იგი! „სირბილი არ შეიძლება, ხტომა არ შეიძლება, სიმძიმეების აწევაც არ შეიძლება, ნებისმიერი უეცარი მოძრაობებიც იძლევა უკუჩვენებებს, მაშინ შვილის კარნახით წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვის გადაწყვეტილება მივიღე! რაც არის ფიზიკური ვარჯიშის ყველაზე მარტივი და სასარგებლო სახეობა; ფილტვები სწრაფად მდიდრდებოდა ჟანგბადით, შესაბამისად უმჯობესდებოდა სისხლის მიმოქცევაც და შემდეგ, მტევნის თითების ბალიშებში ხომ არის ადამიანის ნერვული სისტემის ყველა დაბოლოება და წოლბჯენიდან აზიდვების დროს ხდება ამ დაბოლოებების ხელოვნური მასაჟი, რომელიც სტიმულს აძლევდა მუცლის ღრუს შინაგანი ორგანოების მუშაობას. მე, არ ვაჩქარებდი მოვლენებს, დატვირთვებს ვზრდიდი თანდათანობით, ნახევარი წლის შემდეგ ტკივილებიც შემიწყდა, სისხლის შემადგენლობა ნორმალური გახდა, რამაც გულის ნორმალური მუშაობის რიტმის აღდგენა გამოიწვია, შემდეგ ნახევარ წელიწადში ფეხზე დავდექი“.

„წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვებს და მუცლის პრესის ვარჯიშებს მოგზაურობის დროს პროპაგანდას ვუწევდი მთელ მსოფლიოს“ – განაცხადა ჯუმბერ ლეჟავამ.

ჯუმბერ ლეჟავას წიგნი „ჯანმრთელობის ფორმულა“ – არის პირველ ყოვლისა ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა და მოწოდება, რომ საკუთარ ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა ადამიანმა თავის თავზე აიღოს.

ავტორმა დაამუშავა „ჯანმრთელი ცხოვრების წესი – წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების გამოყენებით“ მეთოდიკა და მოუწოდებს ყველას, იგი გადააქციოს ცხოვრების წესად. მეთოდიკა გასაგები და პოპულარული ენითაა დაწერილი, ფოტო მასალა გვიჩვენებს ამ ვარჯიშის ეტაპობრივ შესრულებას, რაც მეთოდიკას ხდის დამოუკიდებლად შესწავლისათვის ყველასათვის მისაწვდომს.

ვარჯიში არ ითხოვს სპეციალურ ინვენტარს და რეკომენდირებულია მამაკაცების, ქალების, ბავშვებისათვის და ასევე იმათთვის, ვისაც აქვს სხეულის ზედმეტი წონა.

ვარჯიში „წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვები“ გამოყენებული უნდა იქნას პრაქტიკულად ნებისმიერი დაავადებების რეაბილიტაციის პროცესებში. სპორტსმენებს შეუძლიათ ეს ვარჯიში აქტიურად ჩართონ ორგანიზმის საერთო გაჯანსაღების, ძალისა და გამძლეობის გამომუშავებისათვის, სპორტული ტრამვების შემთხვევაში ეს ვარჯიში სპორტსმენს საშუალებას მისცემს რეაბილიტაციის პროგრამის ადრეულ პერიოდში დაიწყოს საწვრთნელი ვარჯიშები.

საჭიროდ მიმაჩნია, რომ ჯუმბერ ლეჟავას ვარჯიშების მეთოდიკა სასწრაფოდ დაინერგოს არა მარტო სპორტის ყველა სახეობის საწვრთნელ მოღვაწეობაში, არამედ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, უმაღლეს სასწავლებლებში საშუალო სკოლებსა და მოსახლეობის ფართო ფენებში.

საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა
კონფედერაციიის ექიმ-რეაბოლიტოლოგი
ალექსანდრე მჭედლიშვილი

მეტად საჭირო ფორმულა აღმოჩენილია

(რეცენზია)

საქართველო უნიკალური ქვეყანაა თავისი გეოფიზიკური მდებარეობით, მისი მთა-ბარით, მდინარეებით, ტბებით და შავი ზღვის სანაპიროთი, იგი მსოფლიოში ცნობილია არა მხოლოდ მისი სილამაზით, არამედ ისტორიული შინაარსით, კულტურით, ხელოვნებით, მეცნიერებით, სპორტული მიღწევებით და სხვა.

საქართველოში მრავალი, მსოფლიოში ცნობილი ადამიანი ცხოვრობს და იღწვის მისი მომავლის კეთილდღეობისათვის, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას სახელი გაუთქვეს მის საზღვრებს გარეთ, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება მსოფლიო მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა, რომელიც არა მარტო მოგზაურობითაა ცნობილი, არამედ უფრო მეტიც – ის იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის, მათი ჯანმრთელობისათვის, სიბერის დამარცხებისათვის.

ჯუმბერ ლეჟავას მიერ აღმოჩენილია მეტად საჭირო ფორმულა – მომზადებულია სახელმძღვანელო ადამიანის ჯანმრთელობის ხანგრძლივად შენარჩუნების მიზნით.

მეთოდური სახელმძღვანელო

„როგორ დავამარცხოთ ნაადრევი სიბერე“

ჯუმბერ ლეჟავას

„ჯანმრთელობის ფორმულა“

„მეთოდიკა“

რეკომენდირებულია როგორც ახალგაზრდობის, ასევე უფროსი ასაკის და ხანდაზმული ადამიანებისათვის.

ავტორის მეთოდურ სახელმძღვანელოში თანმიმდევრულად თვალსაჩინო ილუსტრაციებით, სურათებით მოცემული აქვს ვარჯიშების შესრულების ილეთები.

მეთოდური სახელმძღვანელო დაწერილია პროფესიონალურად გამართულ, ყველასათვის მისაწვდომ ქართული სპორტული ტერმინოლოგიით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ფართო მასების მიზიდვას, რათა იცხოვრონ ცხოვრების ჯანმრთელი წესით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტის ცენტრის
„სპორტის აკადემიის“, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მძლეოსნობაში
მამია ტუღუში

28.04.2010.

ჯუმბერ ლეჟავას მიერ შემუშავებული ჯანმრთელი ცხოვრების წესი – წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების მეთოდიკა

ბოლო ხანებში მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა ჯანმრთელი ცხოვრების წესს. ძალიან ბევრი ფიქრობს, გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა, **მაგრამ ბევრს კიდეც ჰგონია, რომ იგი ამას ვერ შეძლებს, რადგან უჭირს ცხოვრებისეულ „სიკეთესთან" – სიგარეტთან, ნარკოტიკებთან, ლოთობასთან, სიზარმაცესთან განშორება.**

აქამდე გავრცელებული იყო აზრი, რომ თუ გინდა იყო ჯანმრთელი, უნდა ივარჯიშო აერობიკით, იარო ფიტნეს კლუბში, ირბინო ძუნძულით (ჯოგინგი), იცურაო, შეიძინო სპეციალური სავარჯიშო ტრენაჟორები და სხვ.

უპირველესად, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვაზე და მოსახლეობის მასობრივი გაჯანსაღებისათვის უნდა იზრუნოს სახელმწიფომ. მან უნდა იფიქროს ნებისმიერი დასახლებული პუნქტის ჰიგიენურ მდგომარეობაზე, პარკების სიმრავლეზე, ჭარბი და მავნე გამონაბოლქვის აკრძალვაზე, ლოთებისა და ნარკომანების მკაცრ აღრიცხვაზე და მათ სათანადო მკურნალობაზე, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე თამბაქოს მწეველთა მიმართ.

ძალზე საშურია, რომ სახელმწიფომ ლოკალურ ტერიტორიებზე (დაბა, სოფელი, ქალაქი) შექმნას გზების ისეთი სისტემა, სადაც შესაძლებელი იქნება ველოსიპედების უსაფრთხო გადაადგილება, რაც, ხელს შეუწყობს მათ მასობრივ გამოყენებას და ჯანმრთელი ცხოვრების წესის ერთ-ერთი სახის – ველოსიპედის გამოყენების დანერგვას.

ვფიქრობ, საგზაო კანონში ველოსიპედით მოსიარულეთათვის აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს უსაფრთხო მოძრაობის შესაბამისი წესები.

ახლა შევეხოთ აერობიკის ფიტნესის, ჯოგინგისა და ცურვის კლუბებში ვარჯიშებს. რა თქმა უნდა, ამ კლუბებში ვარჯიში ადამიანს მოუტანს ჯანმრთელობას, მაგრამ ეს გარკვეულ პრობლემებსაც წარმოქმნის, კერძოდ, სატრანსპორტო, ადგილმდებარეობით, ფინანსურ, აღჭურვილობით უხრეხულობებს და ა. შ.

გარდა ზოგადად ჩამოთვლილ პრობლემებისა, ჩნდება სხვა, მთელი რიგი სიძნელეები, – კერძოდ, ზემოთ ჩამოთვლილი ვარჯიშები გათვლილია საკმაოდ გაწელილ დროზე და ყოველივე ქმნის ნერვიულ ატმოსფეროს, რადგან ბევრი ადამიანი, თავისი ბუნებით მაქსიმალისტია და მიაჩნია, რომ შედეგის მიღწევისათვის საკმარისია მცირე დრო. ამ შემთხვევაში მთავარია ფიზიკური მდგომარეობის არამოჩვენებითი გაუმჯობესება, არამედ რეალური შედეგის დაფიქსირება, რაც მხოლოდ ხალისიანი, ბიოლოგიურად გათვლილი ვარჯიშის დროს მიიღწევა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კლუბებში ვარჯიში, უმეტეს შემთხვევაში ხელმისაწვდომია მცირე რაოდენობის, მატერიალურად შეძლებული ოჯახებისათვის ან პირებისათვის, რომლებსაც თავისუფალი დროის დიდი მარაგიც აქვთ, რაც, ცხადია, გამორიცხავს „ჯანმრთელი ცხოვრების წესის" მასობრივ ხასიათს.

მითითებული მასობრივი ხასიათი თითქოს ტრენაჟორების ინდივიდუალურად შეძენის ხარჯზეც შეიძლება, მაგრამ ესეც, თქმა არ უნდა, კვლავაც და კვლავაც შესაბამის ხარჯებთან და სათანადო თავისუფალ ფართთანაცაა დაკავშირებული, რისი შესაძლებლობა ბევრს არ გააჩნია.

რაც შეეხება ჩამოთვლილ ვარჯიშთა ცალკეულ სახეობებს, მაგალითად ჯოგინგს (ძუნძულს), ესეც ყოველთვის არ მიგვაღწევინებს სასურველ შედეგს, რადგან ბევრს ძუნძულით ვარჯიშისას არა აქვს ბუნებრივი გარემო პირობები, ვგულისხმობთ ელემენტალურ სუფთა ჰაერს, რომელიც ნაკლებადაა ახორხლილ კორპუსთა გარემოცვაში. სპეციალურ სუფთა ჰაერიან გარემოში მოხვედრისათვის კი საჭიროა თავისუფალი დრო და სპეციალური ტრანსპორტი. ზემო ხსე-

ნებული და სხვა პრობლემები ახლავს აერობიკით ხალხის მასობრივ დასაქმებასაც, კერძოდ, სპეციალური სავარჯიშო ადგილის უქონლობა, მუსიკალური ცენტრების სიმცირე და ა. შ.

ჩემი მიზანი იყო, მომეხსნა ცხოვრებისეული ფაქტორებით წარმოქმნილი ყველა ზემოთ ნახსენები პრობლემები და მომეძებნა ისეთი ვარჯიში, რომლის გამოყენებასაც შეძლებდა ყველა მსურველი სქემისა და ასაკის მიუხედავად.

გააზრებული მეცადინეობის შედეგად, დარწმუნებული ვარ, მივაგენი ფიზიკური გაჯანსაღების უნივერსალურ საშუალებას, რაშიც მეთოდიკის წაკითხვისას დარწმუნდებით.

***

ჯანმრთელი ცხოვრების წესი გიცავთ თქვენ ექიმებთან ხშირი ვიზიტისაგან და გიგრძელებთ სიცოცხლის ხანგრძლივობას. რატომღაც ამაზე ბევრი გვიან იწყებს ფიქრს. ჩემი რჩევაა ჯანმრთელობის დაცვა მუდამ გახსოვდეთ. ჯანმრთელობა და ადამიანის სულიერი და ფიზიკური სილამაზე გარკვეულწილად ურთიერთკავშირშია. ცხოვრების ამგვარი წესის შემადგენლი ნაწილებია: **სწორი კვება, ფიზიკური ვარჯიშები, დროული ძილი, სუფთა წყალი და სუფთა ჰაერი.**

ფიზიკურ ვარჯიშად შევარჩიე წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვები რაც თქვენ დაგიცავთ ზედმეტი წონისაგან, გაგიმაგრებთ კუნთებს, გექნებათ მოხდენილი სხეული და შინაგანი ორგანოების გაჯანსაღებითა და ხშირ შემთხვევაში განკურნებით, გახდებით ჯანმრთელი.

წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვის ჩემს მიერ შემუშავებული მეთოდიკა – უდაოა დაეხმარება ნებისმიერი სქესის, ასაკის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური კონდიციის მქონე ადამიანს ჯანმრთელობის განმტკიცებაში და სხეულის სრულყოფაში.

მკლავებზე აზიდვებში, პირადად, დამყარებული მაქვს მსოფლიო და გინესის 14 რეკორდი. ველოსიპედით მარტოდმარტომ ვიმოგზაურე მსოფლიოს 238 ქვეყანაში, ყველგან მქონდა საჩვენებელი გამოსვლები არამარტო მასობრივი თავშეყრის ადგილებში (პარკები, სკვერები, პორტები, აეროპორტები, სტადიონები და ა. შ.), არამედ, სხვადასხვა დაწესებულებებში, უნივერსიტეტებში, სკოლებში, სპორტულ ორგანიზაციებში და სხვა. ყველგან დიდი გამოხმაურება მქონდა. ამის შესახებ წერდა მსოფლიო პრესა და გადასცემდა თითქმის ყველა ქვეყნის ნაციონალური ტელევიზია.

ქალისა და მამაკაცის დატვირთვები განსხვავებულია, ორივე სქესი მიილტვის ჯანმრთელობისკენ, სხეულისა და მასის სრულყოფისაკენ. ჭარბწონიანმა დღეში ერთხელ მაინც უნდა **ივარჯიშოს გადაღლამდე.** ნორმალურმა მასისამ და გამხდარმა კი, დღეში ერთხელ მაინც, **დაღლამდე**. (ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს **„გადაღლამდე, დაღლამდე – ნიშნავს ორგანიზმის კარგად გახურებას)**. თითოეულმა მოვარჯიშემ ყოველდღიურად ყურადღება უნდა მიაქციოს გულის ნორმალურ მუშაობას, პულსის რაოდენობას და დააკვირდეს არტერიული და თავის ქალის შიდა წნევებს. ბავშვების ვარჯიში უნდა აკონტორლოს მშობელმა. მამრობითი და მდედრობითი სქესის ნებისმიერი ასაკის ადამიანისათვის აზიდვების რაოდენობები ინდივიდუალურია.

ვარჯიშის დაწყების წინ უნდა ვხედავდეთ მიზანს. ეს არის **წონის დარეგულირება, სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა, სხეულის სრულყოფა,** ადამიანის შინაგანი ორგანოებისა და მეფური დაავადებების განკურნვა. უწყვეტი ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად მივიღებთ სამივე (ჯანმრთელობის შეძენა, სხეულის სრულყოფა, სხვადასხვა შინაგანი ორგანოების განკურნვა) შედეგს. ვინაიდან ადამიანს ბევრი ფაქტორი უშლის ხელს სისტემური ვარჯიებისათვის, მაინც გამოვყოფ მათში ერთს. **ეს არის სიზარმაცე.** ამიტომ თავდაპირველად ადამიანების ასეთმა ჯგუფმა სიზარმაცის დასაძლევად უნდა გამოიმუშაოს ნებისყოფა. ნებისყოფის გამომუშავებას სჭირდება ისეთივე ვარჯიში, როგორც აზიდვების ვარჯიშს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გონიერება და ნებისყო-

ფა არის მიზნის მიღწევის საფუძველი. გონიერებაში ვგულისხმობ მიღწეულის სწორ ანალიზს, რათა დატვირთვები ვცვალოთ ანალიზის შესაბამისად.

სამივე ჯგუფის ვარჯიშის შესრულებისათვის, როგორც აღვნიშნე, დიდი მნიშვნელობა აქვს **ნებისყოფის გამომუშავებას.** თუ ჩვენ ვისწავლით სურვილის მიღწევისათვის მოქმედების მართვას, ჩვენ მივაღწევთ ყველაფერს. ეს ნიშნავს წინააღმდეგობისაგან თავის დაღწევას, როცა კი არ უნდა წარმოიქმნას ის. ჩვენს შემთხვევაში ნებისყოფის გამომუშავებისათვის წინააღმდეგობას წარმოადგენს სისტემურად მკლავებზე აზიდვების ვარჯიშის შესრულება. ასეთი წინააღმდეგობა თავიდან უნდა დავძლიოთ დღეში n-რაოდენობაჯერ – ყოველდღე, ყოველ კვირა და შეიძლება ყოველ თვეც. ასეთი შრომით თქვენ დაიწყებთ ვარჯიშების სურვილით და არა იძულებით შესრულებას, რაც ნიშნავს, რომ **თქვენ იძულებითი შრომით გამოიმუშაოთ ნებისყოფა, სურვილით ვარჯიშების შესრულებისათვის**, რაც ვარჯიშს ბევრად ეფექტურს ხდის ჯანმრთელობისათვის და საერთოდ დასახული მიზნის მიღწევისათვის. ამის შემდეგ თქვენი ლექსიკონიდან საერთოდ შეგიძლიათ ამოიღოთ „მე ამის გაკეთება არ შემიძლია“, რაც არის საფუძველთა საფუძველი ნებისმიერ საქმეში წარმატების მიღწევისათვის. მკლავებზე აზიდვების ვარჯიშის ეფექტურობისათვის სამივე ჯგუფის სურვილისათვის **უნდა დავიცვათ რაოდენობრივი მცირედი მატების პრინციპი, ეს ნიშნავს, – დღეს ნუ აიზიდებით შესაძლებლობის მაქსიმუმით. დღეს აიზიდე საშუალო რაოდენობით და ყოველდღე აზიდვების რაოდენობას უმატეთ თითო-თითო აზიდვა. ასეთი პრინციპით მიდგომა მოგცემთ სასურველ ჯანმრთელობას და მიზნის სრულად მიღწევის საშუალებას. ე. ი. მასას, ფორმას და ჯანმრთელობას. გირჩევთ, ყოველთვის მკლავებზე აიზიდოთ იმდენჯერ, რომ ვარჯიშის დამთავრების შემდეგ თქვენ თქვათ: „ვგრძნობ თავს ძალიან კარგად, შემიძლია მეტჯერაც ავიზიდო, მზად ვარ უფრო რთული რეჟიმით აზიდვებისთვის“.** მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ გაზარდოთ სერიაში ერთჯერადი აზიდვების რიცხვი.


სურ. 3


სურ. 4


სურ. 1


სურ. 2


სურ. 5

ვარჯიშის დროს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გარდა სხეულის სრულყოფისა, უნდა მივაღწიოთ ჯანმრთელობასაც, ამიტომ იგი უნდა შევასრულოთ ყოველთვის სურვილით და სწორად. კონტროლის გამძაფრება გამოწვეულია იმითაც, რომ გული მუშაობს დატვირთვის არაბუნებრივ რეჟიმში. ეს პროცესი მიმდინარეობს გარკვეული დროით, რის გამოც იგი განსაკუთრებულად იტვირთება. ამიტომ ყოველთვის უნდა ვიფიქროთ და ვაკონტროლოთ,

რომ არ გადავღალოთ იგი. გადაღლის შემთხვევაში შეიძლება ეს ვარჯიში გახდეს დაავადების მიზეზი, ამას კი იწვევს ვარჯიშის იძულებითი შესრულება, თუკი არ იჩქარებთ და არ მოინდომებთ მოკლე დროში რაოდენობრივად ბევრი აზიდვის შესრულებას და აზიდვებს შეასრულებთ მხოლოდ სიამოვნებამდე, მაშინ მიიღებთ სასურველ შედეგს.

სანამ ვარჯიშს დაიწყებდეთ ყურადღება უნდა მიაქციოთ სავარჯიშო ადგილს და გარემოს. ვარჯიშის დროს ადგილი უნდა იყოს მკვრივგრუნტიანი, ხოლო ჭარბი რაოდენობის სუფთაჰაერიან ოთახში რომ ვივარჯიშოთ, აუცილებელია გავაღოთ ფანჯარა ან კარები, ან სულაც, უნდა ვივარჯიშოთ ჰაერზე. საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ არ ვივარჯიშოთ ხალიჩით დაფარულ იატაკზე, რადგანაც იგი ყოველთვის შეიცავს მტვერს და მიმართული ღრმა ჩასუნთქვის დროს მტვერი ადვილად ხვდება ჩვენს ფილტვებში, რაც შეეხება მკვრივ გრუნტიან სვარჯიშო ადგილს, სასურველია იგი ვარჯიშის წინ მოვწმინდოთ სველი ტილოთი, კარგია თუკი სასუნთქ ზედაპირზე დავაგებთ პატარა ტილოს ან დავდებთ პატარა ფიცარს.

ვარჯიშისათვის მზადებას ვიწყებთ გაღვიძებისთანავე. ვიღვიძებთ ერთი და იგივე დროს. ეს უნდა დაარეგულიროთ დილის საქმიანობის დაწყების დროის მიხედვით. **გაღვიძების შემდეგ ვისვენებთ 5 წუთს და გავიაზრებთ დღის სამუშაო გეგმას.**

შემდეგ ვდგებით, ვიბანთ ხელპირს, რითაც ვეგუებით ფეხზე დგომის მდგომარეობას. ამ პროცესსაც უნდა დაუთმოთ ხუთი წუთი, რის შემდეგაც ვიწყებთ მოთელვის ვარჯიშებს. **ვდგებით გამართული, ფეხებს ვდგამთ ოდნავ განზე და ვასრულებთ მაჯების (სურ. 1. 2.) იდაყვების ზემოთ და ქვემოთ (სურ. 3. 4.) და მხრების (სურ. 5.) ბრუნვით მოძრაობებს ორივე მხარეს 10-10-ჯერ.**

გვახსოვდეს, რომ ვარჯიშის დროს უნდა ვისუნთქოთ პირით, მაჯების, იდაყვებისა და მხრების მოძრაობის ტემპის მიხედვით.


სურ. 6

ადგილზე სიარულში ვისვენებთ 2 წუთს. დასვენების შემდეგ ვასრულებთ კისრის ვარჯიშებს, თავის მაქსიმალურად მიტრიალებით მარჯვნივ (სურ. 6.)

და მარცხნივ (სურ. 7.) ვარჯიშს ვასრულებთ თითოეულ მხარეს 10-ჯერ ნელი მიტრიალებით, აღვნიშნავ – თავი უნდა მიატრიალოთ და არა დაატრიალოთ.


სურ. 7



ასევე თავის მაქსიმალურად წინ ნელი დახრით (სურ. 8.)

და უკან მაქსიმალურად ნელი გადაწევით (სურ. 9.) ვარჯიშს ვასრულებთ 10-10-ჯერ.

ამ ვარჯიშებს ვასრულებთ ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვით ე. ი. ნელი ჩასუნთქვისას შევწევთ მუცელს ხერხემლისკენ. შემდეგ სწრაფად ამოვისუნთქავთ და მუცელი სწრაფად უბრუნდება საწყის მდგომარეობას.



ეს ვარჯიშები ამავე დროს მუცლის ღრუს შესანიშნავი მასაჟია, მათ შორის გულის კუნთისაც. იგი სასარგებლოა იმ პირთათვის, ვისაც აწუხებს ხერხემალი, გული, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი და სხვ. აქამდე ჩატარებული ვარჯიშები არა მარტო სახსრებს ამზადებს ვარჯიშისათვის, არამედ მიმდებარე კუნთებსაც. ამ ვარჯიშების უპირატესობა არის ის რომ, რომგორც მკლავებზე აზიდვების ვარჯიშს, მასაც არ სჭირდება სპეციალური მოედნები, დარბაზები, ჩასაცმელი ფორმები და სხვა. ამის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მკლავებზე აზიდვების ვარჯიშისათვის ვართ მზად.





დამატებით, სურვილის და შესაძლებლობის მიხედვით შეგვიძლია კოჭების, მუხლებისა და ბარძაყების სახსრების სავარჯიშოდ შევასრულოთ ფეხების გარეთ და შიგნით მოხრილ მდგომარეობაში ტრიალი 10-10-ჯერ (სურ. 10).

ასევე, ორივე მხარეს ერთი მიმართულებით მუხლების ტრიალი 10-10-ჯერ (სურ. 11).



ერთ წუთიანი შესვენების შემდეგ ვიწყებთ ფეხების ვარჯიშს რაც ამავე დროს ამზადებს მუცელს, მუცლის პრესის ვარჯიშისათვის. ზურგზე დაწოლილი მდგომარეობიდან 30°კუთხით მოხრილ ფეხებს (სურ. 12) ვშლით რიგრიგობით (სურ. 13, 14). ფეხის გაშლის რაოდენობას ზრდით თქვენი შესაძლებლობის მიხედვით.
მაქსიმუმი 20-ჯერ ერთ სერიაში, ერთ წუთიანი დასვენების შემდეგ გავიმეორებთ ამ ვარჯიშს 5-ჯერ.



ისევ ვისვენებთ ერთ წუთს და ვიწყებთ მუცლის პრესის ვარჯიშს არასრული წამოწევით (სურ. 15) ამ ვარჯიშს ვასრულებთ.

ყოველივე ამის შემდეგ ვიწყებთ მკლავებზე აზიდვების ვარჯიშს, სავარჯიშო პოზა არის: ხელის გულებს ვდებთ იატაკზე მხრების სიგანეზე, ფეხებს ვშლით ბოლომდე, მუხლებისა და ქუსლების შეერთებით ვდგებით ფეხის თითის წვერებზე. ვარჯიშს ვიწყებთ აზიდული მდგომარეობიდან (სურ. 16) ასეთი მდგომარეობიდან დავწევთ ტანს იატაკის ზედაპირამდე (სურ. 17) და ხელების ტანის გასწვრივ მოძრაობით ავიზიდებით მკლავების ბოლომდე გავშლით (სურ. 18) და ა. შ. 10-10-ჯერ დასვენებებით 5-ჯერ, ე. ი. სულ 50-ჯერ.







გარდა ტანის სწორად დაჭერის, რაც ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის, **ვარჯიშის დროს აუცილებელია სწორი სუნთქვა**. ვარჯიშის პროცესში ეს რთულად დასაუფლებელია, რადგანაც ურთულესი რეჟიმია. სუნთქვის რეჟიმის შერჩევას და შეჩვევას სჭირდება სპეციალური ვარჯიში, რადგანაც აუცილებელია მკლავებზე აზიდვებისა და სუნთქვის შეთავსება. ამიტომ თავიდან ნუ ვიჩქარებთ ბევრი აზიდვის გაკეთებას სუნთქვის სისტემატური დარღვევით. ჯობია გავაკეთოთ ორი-სამი აზიდვა სწორი სუნთქვით. **საერთოდ რეკომენდებულია დატვირთვის მდგორეობაში ჩასუნთქვა და შედარებით მცირე დატვირთვის დროს ამოსუნთქვა,** თუმცა ჩემი რეჟიმით იგი შეცვლილია, რამაც ჩემს არც ჯანმრთელობაზე უარყოფითად არ იმოქმედა. ე. ი. მთავარია შეგუების პროცესში ისუნთქოთ ღრმად. სუნთქავთ პირით, რადგანაც დატვირთვების დროს საჭიროა თავისუფლად დიდი რაოდენობით ჰაერის ჩასუნთქვა და ასევე თავისუფლად დიდი რაოდენობით ჰაერის ამოსუნთქვა.

აზიდვების სიჩქარე უნდა დაარეგულიროთ ძალისა და სუნთქვის შეთავსების მიხედვით. არ იფიქროთ, რომ ეს მარტივია. აზიდვებისა და სუნთქვის შეთავსებისათვის თქვენ უნდა ივარჯიშოთ მინიმუმ 3 თვე, რის შემდეგაც შეგიძლიათ აზიდვების რაოდენობების ზრდადი გრაფიკის შემუშავება. თუ თქვენ გეყოფათ ნებისყოფა და ყველა რეკომენდებული პირობების დაცვით შეძლებთ ამ ვარჯისის სისტემატურად და სწორად შესრულებას, დამერწმუნეთ თქვენ განიკურნებით ბევრი შინაგანი დაავადებებისაგან, იქნებით ჯანმრთელი და სხეული მიიღებს სრულყოფილ ჯანმრთელ სახეს. ე. ი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მე ამ ვარჯიშების მეთოდიკას ვწერ მათთვის ვისაც ცხოვრებაში აქვს მიზანი და შრომობს ამ მიზნის მიღწევისათვის. ახლა ბევრი თვლის რომ მისი ჰობი არის ჯანმრთელი ცხოვრების წესი. ეს კარგია, მაგრამ ვიბრძვით კი ამისთვის? ამ ვარჯიშის დაუფლებით თქვენ უნდა შეცვალოთ თქვენი ცხოვრება უკეთესობისაკენ, ხართ კი თქვენ ამისთვის მზად? თქვენ თუ მკლავებზე აზიდვებით ივარჯიშებთ სისტემატურად, მაშინ თქვენ შეხვალთ სიმშვენიერის, სიკეთის, ჯანმრთელი ცხოვრებისა და მუდმივობის სამყაროში.

თუ არქიტეტურას ეძახიან „გაქვავებულ მუსიკას“, სკულპტურას „გაქვავებულ ფანტაზიას“, მკლავებზე აზიდვების ვარჯიშს მე დავარქმევდი „ჯანმრთელობის, სულიერებისა და აღნაგობის არქიტექტორს“, რაც შემოქმედ პიროვნებას ლამაზი სიცოცხლის სტიმულს აძლევს.

კვლავაც ვიმეორებ – არ მოსწიოთ და ზომიერად მიიღეთ ალკოჰოლური სასმელი (1-2 ჭიქა), ასეთ შემთხვევაში თუ სისტემატურად ივარჯიშებთ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იგი მასას ჩამოგიყალიბებთ თქვენი სხეულის აგებულების სიმაღლის შესაბამისად, ე. ი. თუ ჭარბწონიანი ხართ თქვენი მასა კლებულობს და თქვენს სხეულს მიეცემა სპორტსმენის ტანადობის სახე და ჯანმრთელობა, ხოლო, თუ ხართ გამხდარი, გაგიზრდით კუნთებს და შესაბამისად მასას, რაც არა მარტო ჯანრმრთელობას, არამედ სილამაზესაც შემატებს თქვენს სხეულს. ამას ყველაფერს რომ მიაღწიოთ, უნდა გქონდეთ საფუძვლიანი არგუმენტები, რაც მასტიმულირებელი იქნება უფრო ინტენსიური დაუღალავი წვრთნისათვის. საფუძვლიან არგუმენტად კი შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩემი მაგალითი.

ამ ვარჯიშის შესრულებისათვის თქვენ არ დაგჭრიდებათ სხვადასხვა სავარჯიშო ირაღები, რადგანაც იარაღი ვარჯიშისა არის თქვენი სხეული.

ჩემი გამოსვლების დროს ხშირად მეკითხებიან, როგორ დავიწყოთ ვარჯიში, მე მათ ვპასუხობ შემდეგს, რომ ვარჯიში არ არის ამ შემთხვევაში მხოლოდ გულდაღმა მდგომარეობიდან მკლავებზე ეპიზოდური აზიდვები, ასე შეიძლება ადამიანმა ზიანიც კი მიაყენოს თავს, რადგანაც იგი ვერ შეინარჩუნებს ეპიზოდური ვარჯიშის დროს ვერც კუნთის ძალას, ვერც სუნთქვის დამუშავებულ სისტემას და ვერც მკლავებზე აზიდვებისა და სუნთქვის შეთავსებულ კომპლექსს. ასეთ შემთხვევაში ეს ყოველთვის იწვევს მოვარჯიშის გაღიზიანებას, რაც აიძულებს მას გაღიზიანებულმა აკეთოს ვარჯიში. დამერწმუნეთ, ეს მხოლოდ უარყოფითად იმოქმედებს თქვენს ჯანმრთელობაზე და დროთა განმავლობაში გამოიწვევს არტერიული და თავის ქალის წნევების ცვალებადობას და გულის ნევროზით დაავადებას, რაც შემდეგში გამოამჟღავნებს სხვა დაავადებებსაც; რა თქმა უნდა, ეს არ არის სასურველი, რადგანაც ჩვენ ვარჯიში დავიწყეთ სამკურნალოდ და გაჯანსაღებისათვის და არა დაავადებების გასამრავლებლად. ეს ვარჯიში საუკეთესო მასაჟია მუცლის ღრუს ორგანოებისათვის და სასუნთქი გზებისათვის. განსაკუთრებით უხდება კუჭის წყლულითა და გასტრიტით დაავადებულებს.

მკითხველს ალბათ დაებადა კითხვა: ვარჯიში მარტივია, მაგრამ რამდენი პირობაა შესასრულებელი?! **დიახ, მთავარი პირობა სისტემატიური ვარჯიშის სურვილია** რაც ძალზე ეფექტურს ხდის მას.

უმრავლესობა, დღის უმეტეს ნაწილს სამსახურში ან სასწავლებელში ატარებს, რის გამოც მათთვის ვარჯიშისათვის ხელსაყრელი დრო საღამოა. მე მაგალითად ვიძინებ 11 სთ-ზე და ვდგები 5 სთ-ზე, ჩემთვის 6 სთ ძილი საკმარისია, რომ მთელი დროის განმავლობაში თავს ვგრძნობდე მხნედ, თუ თქვენთვის 6 სთ ძილი არ არის საკმარისი, მეგიძლიათ იძინოთ 8 სთ და ადგეთ 7 სთ-ზე. ყოველ დილით ვვარჯიშობ 1-1,5 სთ. განმავლობაში. მავანს შეუძლია ივარჯიშოს ნახევარი საათი. დატვირთვებში განსხვავებამ ჩემსა და თქვენს შორის არ გაგაკვირვოთ, რადგან მე სხვა მიზნითაც ვვარჯიშობ, თქვენ კი ჯანმრთელობის შეძენისთვის, სხეულის სრულყოფისათვის, ნებისყოფის გამომუშავებისათვის და წინააღმდეგობების დაძლევის ფსიქოლოგიური მომზადებისათვის და სხვ.

დამატებით მინდა გირჩიოთ: ხანგრძლივი დროით არ ივარჯიშოთ უშუალოდ ჭამის წინ და ჭამის შემდეგ. იგი შეიძლება შესრულდეს მინიმუმ ნახევარი საათით ადრე ან გვიან. ასევე არ შეიძლება ვარჯიში შეასრულოთ ძილის წინ ან გაღვიძებისთანავე. ძილის მდგომარეობიდან გამოსვლის დრო 10-15 წუთია. ასევე 10-15 წუთით ადრე უნდა დაასრულოთ ვარჯიში დაძინებამდე.

ერთჯერადი საშუალო რაოდენობის აზიდვებით შეგიძლიათ ივარჯიშოთ ნებისმიერ დროს – ჭამის წინ და შემდეგ, ძილის წინ და შემდეგ. ყოველთვის შეგიძლიათ აკეთოთ 10-15 ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვით,

რაც ავარჯიშებს სასუნთქ გზებს, შიგა ორგანოებს, გულ-მკერდს, მკლავების კუნთებს და სხვ.

თუ ვარჯიშობთ ნახევარ საათსა და მეტს, უმჯობესია ჩაიცვათ სპორტული ფორმა სეზონისა და ამინდის მიხედვით. თუ ვარჯიშობთ ბინის პირობებში, უმჯობესია ივარჯიშოთ ფეხშიშველამ ტრუსებში, თუ ბინაში სიცივეა, უნდა ჩაიცვათ, მაგრამ მსუბუქად, ტანსაცმელი უნდა იყოს ისეთი, რომ არ გიჭერდეთ, შეიწოვდეს ოფლს. უმჯობესია ვარჯიშობისას ტანსაცმელი იყოს ბამბის.

დილის ვარჯიში ყველასათვის აუცილებელია დილით, რადგან საღამოთი შესაძლოა ადამიანს გაუჩნდეს რაიმე საქმე და დარჩეს ვარჯიშის გარეშე, რაც არასასურველია, საზოგადოდ ვარჯიშის იდეალური დრო არ არსებობს, იგი პრინციპულად ყველასათვის ინდივიდუალურია. ვისაც სურს ხსენებული ხერხით გაიუმჯობესოს ჯანრმრთელობა, თავდაპირველად ერთი თვის განმავლობაში ყოველდღიურად უნდა ჩაატაროთ ტანის სწორად დაჭერით ერთწუთიანი ვარჯიშის პოზაში დგომით ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვები. იგი უნდა გაიმეოროთ მინიმუმ ხუთჯერ მაინც, რათა ვარჯიშის დროს გაიადვილოთ სუნთქვა, მიაჩვიოთ გული ახალ რეჟიმში მუშაობას. ისუნთქეთ პირით ნელი ღრმა (სამი თვლა) ჩასუნთქვით ერთი უეცარი ამოსუნთქვით.

გაითავლისწინეთ ერთი რჩევაც: გულმა რომ კარგი დატვირთვა მიიღოს, ვარჯიშის დროს ტემპის ცვლაა საჭირო, ე. ი. მკლავებზე აზიდვები გააკეთეთ სწრაფი ან ნელი ტემპით, შესაბამისი სუნთქვითი პროცედურის დაცვით. თუ თქვენ სერიოზულად ვარჯშობთ, უნდა იკვებოთ კარგად და რეგულარულად, ბანაობის დროს კი მონაცვლეობით მივიღოთ ცივი და ცხელი შხაპი. ყურადღება უნდა მივაქციოთ სასმელ წყალსაც. იგი უნდა იყოს ოთახის ტემპერატურის, ძილის რეჟიმის დაცვა ინდივიდუალურია, მაგრამ უნდა იძინოთ არანაკლებ 6 საათისა. გარდა იმისა, თუ თქვენ დღის განმავლობაში გამონახავთ ერთ-ორ საათს ძილისათვის, ეს ძალიან წაადგება თქვენს მიერ ვარჯიშის მაქსიმალური ეფექტით ათვისებას და დახარჯული ენერგიის სრულ აღდგენას, ჯანმრთელობა, ძალა, მოხდენილი სხეული – აი რა შედეგებს იძლევა ჩვენი ვარჯიში.

მსოფლიოს ყველა დროისა და ქვეყნის ცნობილი მხატვრები თუ მოქანდაკეები ცდილობდნენ დაედგინათ მოხდენილი სხეულის განმსაზრღვრელ ნიშანთა არსი და კანონი. დროის სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთებში ჯანმრთელობის, ძალისა და მოხდენლი ადამიანის სხეულის დაკვირვებების საფუძველზე, დასკვნები რეალისტურად კეთდებოდა და პირიქით, თუ მოგონილია და რეალობას არის მოწყვეტილი, არის ყალბი და ძალზე აბსტრაქტული.

შევადაროთ ჰერაკლესა და აპოლონის ქანდაკებები: ერთიცა და მეორეც არის მამაკაცური ჯანმრთელობისა და მოხდენილი სხეულის განსახიერება. ჰერაკლეს ტანი გამოირჩევა მძლავრი კუნთებით, აპოლონისა კი ელეგანტურობითა და დრეკადი მოხაზულობის კუნთებითაა გალამაზებული. მაგალითი წარმოაჩენს ჯანმრთელობისა და მოხდენილი სხეულის ორ ტიპს. მკლავებზე აზიდვების ვარჯიშით თქვენ შეიძენთ ჯანმრთელობას და აპოლონის ტანის სილამაზეს. იყო დრო როცა მოხდენილი სხეულის მავნებლად ითვლებოდა მხოლოდ ბიცეფსებისა და ყელის გარშემოწერილობის პროპორციები და სხვ. ახლა კი, ა. ვორობიოვისა და ი, სოროკინის წიგნში მოყვანილია ერის მანის მოხდენილი სხეულის მაჩვენებელი. გულმკერდის გარშემოწერილობას (მშვიდ მდგომარეობაში) გამოკლებული სიმაღლის ნახევარი. სხეულის ჰარმონიული განვითარების შემთხვევაში გულმკერდის გარშემოწერილობა მეტია სიმაღლის ნახევარზე. ასეთი პროპორციების დაცვას უწყობს ხელს მკლავებზე აზიდვების ვარჯიში. გარდა ამისა, მისი მთავარი თვისებაა ადა-

მიანის შიდა ორგანოების დაავადებების მკურნალობა. სხეულის წონას დამატებული გულმკერდის გარშემოწერილობა. საუკეთესო შეფასებას იღებენ ისინი, ვისაც აქვს ნაკლები მაჩვენებელი: 10-15 – ძლიერი აღნაგობა, 16-20 – კარგი აღნაგობა, 21-25 – საშუალო აღნაგობა, 26-30 – სუსტი აღნაგობა. ეს მხოლოდ მამაკაცების მაჩვენებელია. ადგენენ აგრეთვე ატროპიმეტრიული მაჩვენებლების ცხრილებს, რასაც შეიძლება შევადაროთ თქვენი მონაცემები. მაგალითად, ცნობილი კულტურისტის ჯო უადერის ცხრილი.

სიმაღლე	წონა	გულმკერდი	მხრები	წელი	ბარძაყი	წვივი
152.5	58.5	101.5	38.0	67.5	53.5	37.0
157.0	63.7	104.5	39.5	70.0	55.5	38.0
162.5	70.5	111.0	40.5	76.0	57.0	39.0
167.0	79.0	116.0	42.5	78.5	58.5	40.0
172.0	83.5	118.0	43.0	80.0	59.5	40.5
177.0	90.0	121.5	44.0	82.5	62.0	41.5
183.0	95.0	124.0	44.5	84.0	63.5	42.5
188.0	99.0	127.0	46.0	85.0	65.0	43.0

ჩემი ანტროპოგენური მაჩვენებლები შემდეგია: წლოვანება – 70 წ, სიმაღლე – 171 სმ, წონა – 74 კგ, გულმკერდის გარშემოწერილობა – 112,5 სმ, მხრები – 47 სმ, ბიცეფსები – 43 სმ, წელის გარშემოწერლობა – 82 სმ, ბარძაყის გარშემოწერილობა – 58 სმ, წვივის გარშემოწერილობა – 41 სმ.

სხეულის სილამაზე მრავალმხრივია და იზომება უფრო მრავალი წვრილმანით, ვიდრე მისი ზომის მეტრული ლენტით, ჩვენი გრძნობების ინსტრუმენტით ესთეტიკური გემოვნებით ჰარმონიის შეგრძნებით. ისინი ვინც იცნობენ ატლეტებს, იციან, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორ მათგანს აქვს ერთიდაიგივე ანტროპოგენური მაჩვენებლები, ისინი გამოიყურებიან სხვადასხვანაირად. ე. ი. განვითარებისა და ჰარმონიის ხარისხის გაზომვის მცდელობა ზომის მეტრული ლენტით უნაყოფო იქნება. კუნთის ხარისხი, რელიეფი, ტანადობის თავისებურებანი, მოძრაობების პლასტიკა და მრავალი სხვა არ ექვემდებარება განზომილებას.

ისე რომ იმათ„ ვისაც სურს გაერკვეს, თუ რა არის ადამიანის მოხდენილი სხეული, არ მოვიყვანთ ფორმულებსა და ცხრილებს, ვურჩევთ უფრო მეტად ათვალიერონ ძველი სკულპტორებისა და მხატვრების უძვირფასესი ქმნილებები, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას აღვიქვათ ადამიანის სხეული გენიოსების თვალით. სხვადასხვა ტიპის ადამიანთა ფიგურები თანაბრად აცხადებენ პრეტენზიას იდეალურ პროპორციულობაზე. მათ გაუძლეს საუკუნეების კრიტიკას სილამაზისა და ჰარმონიის ჩარჩოებში. ყველა ტიპის აგებულებაში არის ჩადებული საწყისი სილამაზე. არასწორი ცხოვრების წესით – ფიზიკური დატვირთვების სიმცირით არათანაბარი კვებით, ვერ ვანვითარებთ, ვერ ვინარჩუნებთ ბუნებით ნაბოძებ ხარისხობრიობას.

თქვენი სხეულის რეალური შესაძლებლობების განსაზღვრა და მკლავებზე აზიდვების მეთოდების არსენალის ეფექტურად გამოყენება გარკვეულ ეტაპზე (მაგ. 6 თვის შემდეგ) დაგეხმარებათ განსაზღვროთ თქვენი სხეულის აგებულების ტიპოლოგია. ადამიანის ინდივიდუალობის მრავალნაირობის მიუხედავად, ანსხვავებენ 3 ძირითად კონსტიტუციურ ტიპს: ენდომორფულს, ევტომორფულს და მეზომორფულს. ენდომორფულ ტიპს ახასიათებს მძლავრი ძვლის სისტემის

ჩასკვნილობა, კანქვეშა ქონის დაგროვების მიმართ მიდრეკილება, რის გამოც ფორმა გვეჩვენება გასწორებული.

ევტომორფული ტიპი წვრილძვლიანია, როგორც წესი, ცხიმის ზედმეტობა არ ახასიათებს, გამხდარია და აქვს უფრო დაგრძელებული პროპორციები.

მეზომორფული ტიპი ათლეტურია, უფრო პროპორციული, კანქვეშა ცხიმს ინარჩუნებს ნორმასთან ახლოს, კუნთების სისტემა კარგად გამოიყურება და იტანს დატვირთვებს.

თითოეულ აღნაგობას აქვს თავისი უპირატესობები, მას სწორი გამოყენება უნდა. თუ თქვენ ყოველივე იმის გაკეთებას შეძლებთ, რასაც აღნიშნული მეთოდიკა გკარნახობთ, 6 თვის შემდეგ შეატყობთ თავს, რომ ის სისუსტენი, რაც თქვენ გქონდათ ორგანიზმში, თანდათან მცირდება, ხოლო კიდევ სამი თვის გასვლის შემდეგ – საერთოდ ქრება.

ზემოთ აღნიშნული მეთოდიკით თქვენ ყოველდღიურად მოგიწევთ დაახლოებით 30-45 წუთით ვარჯიში, სერიებს შორის 1 წუთიანი დასვენებით, საერთოდ კი პიროვნება ინდივიდუალურად არჩევს დასვენების დროს გულის დაღლილობის მიხედვით. ვინაიდან ეს ვარჯიში გულისათვის სხვა ვარჯიშებთან შედარებით რთულია. ყოველთვის უნდა დავიცვათ რეჟიმი, რომელიც გულს არ გადაღლის.

მკლავებზე აზიდვების სისტემატიური ვარჯიში იძლევა შემდეგ შედეგს:

– მთელი სხეულის პროპორციიულად განვითარებას, მასის მატებას;

– გულმკერდის არის განვითარებას (ზრდას), კუნთების, მათ შორის მხრის კუნთების გაფართოებას;

– მხრის დელტის განვითარებას;

– ძალის ზრდას;

– ბიცეპსების (მკლავის მომხრელი და გამმართველი კუნთები) ზრდას;

– თეძოს კუნთების განვითარებას;

– ბარძაყების განვითარებას;

– წვივის კუნთების განვითარებას;

– მუცლის პრესის კუნთების განვითარებას და სხვ.

ყველა შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას თქვენი სამუშაოს ხასიათი, პირადი გატაცება, თავისუფალი დრო და სხვ. წარმატებები ბევრად არის დამოკიდბული ნებისყოფაზე.

წოლგჯენიდან მკლავებზე აზიდვების ინტენსიური ვარჯიშების დაწყებამდე გირჩევთ გაიაროთ მომზადების 3 ეტაპი.

1. ფიზიკური მომზადება, რომელშიც შედის მსუბუქი დატვირთვა და სუნთქვითი ვარჯიშები, უნდა გაგრძელდეს 1-1,5 თვე;

2. აზიდვების მსუბუქი რეჟიმით ვარჯიშების პერიოდი 1-1,5 თვე; თითო სერიაში უნდა აიზიდოთ 3-5-ჯერ პირველი 15 დღე; სულ შეასრულეთ 10 სერია; 5-10-ჯერ – მესამე 15 დღე, აქაც 10 სერია. მეორე პერიოდში ხდება აზიდვებთან ერთად სუნთქვითი ვარჯიშების დამუშავება.

3. მესამე პერიოდში მოვარჯიშე თვითონ განსაზღვრავს სერიაში აზიდვების რაოდენობას შესაძლებლობის მიხედვით. პირველი 15 დღეს არ უნდა გადააჭარბოს. სერიათა რიცხვი უნდა გაზარდოთ 15-მდე, მესამეში – 20-მდე, ხოლო შემდეგ თქვენი შესაძლებლობებით ზრდით თითოეულ სერია-

ში უწყვეტი აზიდვების რაოდენობას.

თუ გვინდა, რომ ჯანმრთელობის შეძენასთან ერთად განვავითაროთ ჩვენი ტანის სილამაზეც, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: მათ ვინც წონას იმატებს ნელა და უჭირს კუნთების მოცულობის გაზრდა, საჭიროა თავიდანვე განვსაზღვროთ ხელისშემშლელი მიზეზები, კერძოდ:

1. კვების არასწორი რეჟიმი – სპორტსმენი ან პაციენტი არ იკვებება ერთი და იგივე დროს და არ იღებს კალორიულ საკვებს (ორგანიზმი არ იკვებება ხარისხიანი ცილოვანი საკვების საკმარისი რაოდენობით, არასაკმარისად მოიხმარს ნახშირწყლებს და ცხიმებს, ვიტამინებს და მინერალურ საშუალებებს);

2. ხანგრძლივი, გადამღლელი ვარჯიშები, დასვენებისა და ძილის ნაკლებობა ხელს უშლის კუნთების ზრდას;

3. სუსტი ნებისყოფა, ცუდი ფსიქოლოგიური მომზადება.

კუნთების ზრდისათვის აუცილებელია ცილები, რაც წარმოადგენს უჯრედების სამშენებლო მასალას: ცილები ორგანიზმში იშლებიან მონომჟავებად, რომლებიდანაც თავის მხრივ წარმოიქმნებიან ახალი მოლეკულები. არსებობს 22 სახის მონომჟავა, მათ შორის 10 დამოუკიდებელია, მათ ორგანიზმში არ შეუძლიათ ერთმანეთთან სინთეზი.

აზიდვებში ინტენსიურმა მოვარჯიშემ უნდა მიიღოს დაახლოებით ერთი გრამი ცილა 2,5 კგ წონაზე. ნახშირწყლები და ცხიმები ხელს უწყობენ ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას და წარმოადგენენ ენერგიის ძირითად წყაროს. არსებობს ენერგიის ცვლის ორი სახე: ანაბოლიკური რეაქციები – უჯრედების დაშლა ენერგიის გამოყოფისათვის. უნდა მივაღწიოთ ანაბოლიკური რეაქციის უპირატესობას, რისთვისაც საკვები უნდა მიიღოთ, რაც შეიძლება კალორიული და დახარჯულ ენერგიასთან შედარებით, რასაც თქვენ ხარჯავთ ვარჯიშის დროს...

მე ვარ ჯანმრთელი ცხოვრების წესის მომხრე
და მიმდევარი, შემომიერთდით!



ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტი სეუ. პროფესორი

ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციის ალტერნატიული გზების სესახებ

შესავალი. როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს ქვეყნის ეკონომიკის მგდრადი და სტაბილური განვითარებისთვის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელიც უმნიშვნელოდ განიცდის დევალვაციას, სარეზერვო ვალუტების მიმართ. საკითხს კიდევ მეტი სიმწვავე ემატება ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, როდესაც მიმდინარეობს ეროვნული ფულადი ერთეულის - ლარის, არც თუ ისე სასურველი ტემპით დევალვაცია, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება საზოგადოების ფართო წრეების მიერ.

უკანასკნელი ერთი წელის მანძილზე ლარმა საკმაოდ მაღალი დევალვაცია განიცადა, 20.11.2019 წ. 1 $ - 2.6593 [17], დღევანდელი (20.10.2019 წ.) გაცვლითი კურსი კი არის 1$ - 2.9718 (დევავაცია განიცადა - 11.75 %-ით), რაც სხვა თანაბარ პირობებში ნიშნავს, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, რომელსაც შემოსავალი აქვს ეროვნულ ვალუტაში, ხარჯები გაეზარდა, „ცხოვრება“ გაუძვირდა და შესაბამისად დახარჯულ ერთ ლარზე დამატებით იხდის 11,75 თეთრს. ამან თავისი გავლენა მოახდინა ინფლაციურ პროცესებზე და საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური მონაცემებით ნაცვლად მიზნობრივი 3%-ისა, შეადგინა 6.4 %[18].

ძირითადი ნაწილი. ქყეყნის მონეტარული ხელისუფლება მართალია „დაგვიანებით“ (ავტორის შენიშვნა), მაგრამ ცდილობს შეარბილოს დევალვაციური და ინფლაციური „წნეხი“ და შექმნას სტაბილური სავალუტო და ზოგადად მონეტარული გარემო. ვფიქრობთ ამის შედეგია ბოლო პერიოდში განხორციელებული მონეტარული პილიტიკის ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა სავალუტო ინტერვენცია და რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა ვფიქრობთ ვერ მოგვცა ის შედეგი, რომელსაც ელოდა როგორც საზოგადოება ასევე ბიზნეს სექტორი, რამდენადაც ლარი კვლავ „დაბალ ნიშნულზეა“, რაც ზრდის უნდობლობას მის მიმართ და ამცირებს საზოგადოების გადახდისუნარიანობას.

---

[17] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo last modified 10. 2019.
[18] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2 last modified 10. 2019.

მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ დევალვაციური პროცესი, თუ იგი „გონივრულ სამიზნე“ მაჩვენებს არ აჭარბებს, მისაღებია, ეკონომიკის ზრდა განვითარებისთვის უფრო მეტად ხელის შემწყობი ფაქტორია, ვიდრე შემაფერხებელი. ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით, გვინდა განვიხილოთ სებ-ის მიერ გატარებული ანტიდევალვაციური პლიტიკის შედეგები და ვაჩენოთ ალტერნატიული გზის შესახებ, რომელიც შეუძლია სებ-მა გამოიყენოს, რათა დროის არც თუ ისე გრძელვადიან პერიოდში მივიღოთ შედეგები (ლარის კურსის რევალვაცია საწყის ეტაპზე, და სტაბილურობა გრძელვადიან პერიოდში). თან ისე, რომ არ მოხდეს ბიზნესაქტიურობის შეფერხება და ნაკლებად „გაძვირდეს“ საკრედიტო რესურსი.

მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების განაკვეთები[19]

მიმდინარე წლის (2019 წ.) სექტემბერში სებ-მა მაღალი მაღალი დევალვაციის და თანდართული ინფლაციური პროცესების „მოთოკვისთვის“ გამოიყენა ერთ-ერთი, ტრანსფორმირებადი ეკონომიკის და „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში ფართოდ აპრობირებული - რეფინანსირების განაკვეთის ზრდა, თან ისე რომ ამისთვის მას დაჭირდა მონეტარული პლიტიკის რიგგარეშე სხდომის ჩატარება და ერთი თვის განმავლობაში მართლაც უპრეცედენტოდ, ორჯერ 0.5 %-ული პუნქტით, ჯამში 1%-ით გაზარდა რეფინანსირების განაკვეთი. თუ გავითვალისწინებთ აქამდე არსებულ პრაქტიკას ეს ცვლილება ერთ-ერთი შედეგის მომტანია ეროვნული ვალუტის სტაბილურობის ან სულაც რევალვაციისთვის. თუმცა აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ღონისძიებები ამცირებს ქვეყანაში გადახდისუნარიან მოთხოვნას, აუარესებს სოციალურ ფონს.

ყოველივე აღნიშნულის ნათელსაყოფად, სებ-ის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენ მიერ ჩატარებული იქნა კვლევა, რომელიც მეტ-ნაკლებად ნათელ წარმოდგენას გვიქმნის რეფინანირების განაკვეთის ზრდის მიზანშეწონილობის შესახებ.

გამომდინარე იქიდან, რომ გაიზარდა რეფინანსირების განაკვეთი, საბანკო სექტორში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ბანკის კლიენტებს, რომლებიც სარგებლობდნენ ეროვნულ ვალუტაში უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებით (და არა მარტო), მათ აბსოლუტურ უმეტესობას ხელშეკრულებიდან გამომდინარე გაეზარდათ სესხის მოცულობა 1 %-ით (ექსპერტული შეფასებით ამ კატეგორიას ეკუთვნის სესხის ამღები პირების მინიმუმ 80 %).

ეროვნული ვალუტით გაცემული, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ვადიანი სესხები ფიზიკურ პირებზე (ოქტომბრის თვის ბოლოს მდგომარეობით) შეადგენდა 4 005 853 ათას ლარს. მარტივი მათემატიკური გათვლებით ამ მოცულობის კრედიტის 80% არის 3 204 682 400 ლარი, მისი 1 % შეადგენს 32 046 824 ლარს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სესხის ამღებმა ფიზიკურმა პირებმა კომერციული საბანკო სექტორს დამატებით უნდა გადაუხადონ აღნიშნული მოცულობის თანხა.

---

[19] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=539 last modified 10. 2019.

მთლიანობაში ამ მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ სებ-ის აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ გადახდისუნარიანი მოთხოვნა შეამცირა დაახლოებით 32.5 მლნ ლარით, ამას თუ დავუმატებთ ზოგადად ეროვნული ვალუტით გაცემული, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ვადიანი სესხების მთლიან მოცულობას (ოქტომბრის თვის ბოლოს მდგომარეობით) 5 780 755 ათას ლარს, მსაგსი გათვლებით თანხა კიდევ მეტია და შეადგენს 46 246 040 ლარს.

ასევე კიდევ მეტად არასახარბიელო სურათია შინამეურნოებებზე გაცემული სესხების მოცულობის მიხედვით დანაკარგების შესხებ, კერძოდ ოქტომბრის თვის მონაცემებით - შინამეურნეოებებზე გაცემული სესხებიდან (15 132 018 ათასი ლარი), უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები შეადგენს 9 526 469 ათას ლარს. ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიით შინამეურნეობებს (ეკონომიკის ამ ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე სფეროს), გადასახდელი მხოლოდ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებისთვის გაეზარდათ 85 738 221 ლარით. რაც საზოგადოების სოციალურ ფონზეც ნეგატიურ გავლენას ახდენს

თუ უფრო შორს წავალთ და ავიღებთ კრებსით მონაცემს, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე (რეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე) გაცემული სესხებით დავალიანება შეადგენს 28 834 963 ათას ლარს [20], ჩვენი მეთოდოლოგიის მიხედვით გადახდისუნარიანი მოთხოვნა შემცირდა 230 679 704 ლარით.

ჩვენს მიერ სებ-ის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში მონეტარული ხელისუფლების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, რომლის ძირითადი მიზანი იყო ლარის დევალვაციური პროცესების და აქედან გამომდინარე ინფლაციური „წნეხის“ შემცირება, ეროვნული ეკონომიკისთვის გადახდისუნარიანი მოთხოვნა თითქმის 300 მილიონი ლარით შეამცირა, ანუ ეკონომიკას პოტენციურად დააკლდა ამ შიდა მოცულობის ინვესტიცია.

აღნიშნული მონეტარული პოლიტიკის ალტერნატივად გვესახება სებ-მა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებიდან გამოიყენოს - სარეზერვო მოთხოვნა. რომელიც ვფიქრობთ საკმაოდ განსხვავებული ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის (5%) და უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის (30 %). რომელიც შესაძლოა გამართლებულია დედოლარიზაციის პოლიტიკის გასატარებლად, მაგრამ როგორც პრაქტიკამ დაადასტურა არაეფექტურია ზოგადად ეროვნული ვალუტის სტაბილურობისთვის, იწვევს ინფლაციური „წნეხის“ ზრდას, რომელიც ყველაზე მტკივნეულად აისახება მოსახლეობაზე.

ჩვენი რეკომენდაციებით სასურველია სარეზერვო მოთხოვნის მაცვენებელი, უცხური ვალუტით მოზიდული სახსრებითვის ნაცვლად არსებული 30 %-ისა ნიშნული შემცირდეს 20 %-მდე, ხოლო პარალელურად (ან თანმიმდევრულად) ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის გაიზარდოს 10 %-მდე, ყოველი შემთხვევისთვის მანამ, სანამ ეროვნულ

[2020] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 last modified 10. 2019.

ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოცულობა არ მიაღწევს/გადააჭარბებს „ისტორიულ მაქსიმუმს“ (1962.6134919 მლნ აშშ დოლარი 2019 წ.[21])

თუ კვლავ სებ-ის ოფიციალურ მონაცემებს გადავხედავთ ვნახავთ, რომ მთლიანობაში უცხური ვალუტით დეპოზიტების მოცულობა, დენომინირებული ლარში შეადგენს - 16853873 ათას ლარს (ცხრილი 1).

უცხოური ვალუტით დეპოზიტების სტრუქტურა[22]

	სულ ათასი ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი	რუსული რუბლი	შვეიცარიული ფრანკი	სხვა
01/01/19	**15,265,036**	12,684,812	2,339,433	169,597	19,734	27,044	24,416
01/02/19	**14,917,458**	12,361,301	2,320,101	170,931	17,422	25,600	22,102
01/03/19	**14,931,952**	12,434,729	2,268,708	171,539	7,484	26,868	22,624
01/04/19	**15,046,028**	12,547,143	2,269,206	170,269	10,442	28,690	20,277
01/05/19	**15,121,111**	12,626,991	2,262,392	171,810	10,922	26,910	22,085
01/06/19	**15,665,230**	13,126,560	2,318,196	168,211	4,257	26,037	21,968
01/07/19	**16,129,961**	13,511,217	2,361,008	200,259	7,294	25,634	24,549
01/08/19	**16,581,651**	13,963,134	2,365,263	193,539	8,703	26,571	24,441
01/09/19	**16,853,873**	14,184,651	2,397,705	187,409	12,143	45,925	26,042

დასკვნა. თუ არსებული მონაცემების საფუძველზე გავაკეთებთ გათვლებს, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების „შერბილება“ 30%-იდან 20 %-მდე, საბანკო სექტორს დამატებით გამოუთავისუფლებს 1 685 387 ათას ლარის მოცულობის უცხოურ ვალუტას, (მ.შ. აშშ დოლარში 1 4184 65 ათასი ლარით, ევრში 239 770 ათასი ლარით) რაც მიეწოდება ეროვნულ ეკომომიკას კრედიტის სახით, ანუ მონეტარულ ბაზარზე დაახლოებით ამავე მოცულობით გაიზრდება ლარზე მოთხოვნა და უცხოური ვალუტის მიწოდება. ეს ყოველივე მარტივი ლოგიკით მოახდენს ეროვნული ვალუტის კურსის არა მარტო სტაბილიზაციას, არამედ რევალვაციასაც. ამასთან თუ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის დაიზრდება არსებული 5%-დან 10%-მდე, ეკონომიკაზე ლარის მიწოდებას შეზღუდავს დაახლოებით - 431 341 600 ლარით (კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით მოზიდული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა შეადგენს 9 426 832 ათას ლარს[23]).

---

[21] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi last modified 10. 2019.

[22] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 last modified 10. 2019.

[23] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 last modified 10. 2019.

გვესმის, რომ აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ მოკლევადიან პერიოდში შესაძლოა გამოიწვიოს ეროვნულ ვალუტაში გაცემულ კრედიტზე საპროცენტო განაკვეთის ზრდა (კომერციულ ბანკეს ლარში საკრედიტო პოტენციალი შეეზღუდებატ), მაგრამ რამდენადაც გაიზრდება კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალი უცხოური ვალუტაში, ვფიქრობთ ეს მოახდენს კომპენსირებას და ლარში გაცემული კრედიტის საპროცენტო ან არ გაიზრდება, ან გაზრდის შემთხვევაში „დაუბრუნდა მანამდე არსებულ ნიშნულს“, თუმცა რეფინანსირების განაკვეთის გაზრდა ისედაც იქვევს „კრედიტის გაძვირებას“, განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ რეფინანსირების განაკვეთის გაზრდით კრედიტით სარგებლობა ძვირდება მათთვის ვისაც უკვე აღებული აქვს, ხოლო ლარზე მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ზრდით გაძვირდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მათთვის ვინც აპირებს აღებას, ანუ მათ უკვე ეცოდნინებათ რა საპროცენტო განაკვეთი უნდა გადაიხადონ, განსხვავებით მათგან ვინც უკვე სარგებლობს საბანკო კრედიტით.

ბიბლიოგრაფია

1. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo last modified 10. 2019.
2. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2 last modified 10. 2019.
3. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=539 last modified 10. 2019.
4. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi last modified 10. 2019.
5. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 last modified 10. 2019.

აბსტრაქტი

როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს ქვეყნის ეკონომიკის მგდრადი და სტაბილური განვითარებისთვის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელიც უმნიშვნელოდ განიცდის დევალვაციას, და სარეზერვო ვალუტების მიმართ. საკითხს კიდევ მეტი სიმწვავე ემატება ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, როდესაც მიმდინარეობს ეროვნული ფულადი ნიშნის - ლარის, არც თუ ისე სასურველი ტემპით დევალვაცია, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება საზოგადოების ფართო წრეების მიმართ. სწორედ არნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი კვლევის მიზანია გავაკეთოთ სებ-ის ანტიინფლაციური და ანტიდევალვაციური პოლიტიკის ანალიზი და დავსახოთ გზები ალტერნატიული ინსტრუმენტების გამოყენებისთვის, რომელიც ჩვენი აზრით მიმდინარე ეტაპზე შედარებით „უმტკივნეულო“ იქნება ქვეყნის ეკომომომიკისთვის და ბიზნეაქტივობაზეც ნეგატიურად არ იმოქმედებს.

წინამდებარე კვლევის შესრულებისას ჩვენ მიერ, სებ-ის ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გავაკეთეთ მოპოვებული სტატისტიკური მასალის ანალიზი, გამოვიყენეთ ექსპერტული და ექსტრაპოლაციური კვლევის მეთოდები, რომ მოტანილი არგუმენტები საზოგადოების ფართო ფენებისთვის (მ.შ. არა სპეციალისტებისთვის) ყოფილიყო ადვილად აღსაქმელი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ არ გვქონდა სათანადო/საიმედო სტატისტიკური მასალა გამოყენებულია კვლევის რედუქციული მეთოდი.

ჩატარებულმა კვლევამ ნათლად დაგვანახა, რომ სებ-ის მიერ მიმდინარე ეტაპზე გატარებული ანტიინფლაციური და ანტი დევალვაციური პოლიტიკა, მართალია ნაწილობრივ უზრუნველყოფს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას, მაგრამ მთლიანობაში ნეგატიურ გავლენას ახდენს ბიზნეს აქტივობაზე და ამცირებს გადახდისუნარიან მოთხოვნას.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულია მიმდინარე ეტაპზე ანტიდევალვაციური პოლიტიკის ალტერნატიული, მსოფლიო მასშტაბით აპრობირებული ინსტრუმენტი, კერძოდ სასურველია სებ-მა გამოიყენოს მონეტარული პოლიტიკის ისეთი ქმედითი ინსტრუმენტი, როგორიცაა სარეზერვო მოთხოვნების ცვლილება, და თუ ამჟამად ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის სარეზერვო მოთხოვნა არის 5 %, გაიზარდოს 10 %-მდე, როლო სარეზერვო მოთხოვნა უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის არის 30 %, დადგინდეს 20 %-ის ფარგლებში, როგორც ეს რეკომენდირებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ და წლების განმავლობაში გამოიყენებოდა თვით სებ-ის მიერ.

საკვანძო სიტყვები: მონეტრაული პოლიტიკა, რეფინანსირების განაკვეთი, დევალვაცია, დეპოზიტი, სესხი, საპროცენტო განაკვეთი.

About alternative ways of national currency anti-devaluation policy

Abstract

One of the prerequisites for a stable and sustainable development of the country's economy, as world practice confirms, is to ensure the stability of the national currency, which is slightly devalued, and in respect of reserve currencies. The issue is even more challenging in our country's reality, when the national monetary mark - Lari, is being devalued at a not-so-desirable pace, which is especially badly perceived by the majority number of the society. Therefore, the purpose of our research is to analyze the NBG's anti-inflation and anti-devaluation policy and identify ways to use alternative instruments that will be relatively "painless" for the country's economics at present and will not negatively affect on business activity.

While conducting the present study, we analyzed the statistical data obtained from the official information provided by the NBG, used expert and extrapolated research methods to easily make the arguments available to the majority number of the society (including non-specialists), and when we had not obtained appropriate / reliable statistical data, we used a reductive method of research.

The study clearly showed that the NBG's current anti-inflation and anti-devaluation policies, which partially ensure the stability of the national currency, have a negative impact on business activity as a whole and reduce solvency demand.

We are currently offering an alternative, worldwide-proven instrument of anti-devaluation policy, in particular, the NBG should use an effective monetary policy tool such as a change in reserve requirements, and the reserve requirement for national currency funds that now stands at 5%, should stand at 10%, while reserve requirement for funds attracted in foreign currency that stands at 30%, should be set at 20% as recommended by the IMF and has been used by the NBG for years.

Keywords: monetary policy, refinancing rate, devaluation, deposit, loan, interest rate.

მასლხაზ ჩხიტუნიძე

საემისიო ინსტიტუტების წარმოქმნის ისტორიული წინაპირობები და სენიორაჟი

აზრთა დიდი სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ბანკი შეიძლება ჩაითვალოს პირველ ცენტრალურ ბანკად. ისტორიულად პირველები და საემისიო დაწესებულებებისადმი ფუნქციების მიხედვით ახლოს, შვეიცარიის ბანკი და ინგლისის ბანკი იყვნენ, რომლებმაც მსგავსი სტატუსი XVII საუკუნის ბოლოს - XVIII საუკუნის დასაწყისში მიიღეს. მაგრამ თანამედროვე ცენტრალური ბანკეის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა და ფუნქციების არსებითი ცვლილება წარსულში მოქმედ და უახლეს ისტორიაში ფუნქციონირებად საემისიო ინსტიტუტებს შორის ზუსტი ანალოგების გატარების შესაძლებლობას არ იძლევა. თუ წარსულში ცენტრალური ბანკოს ქვეშ ძირითადად კერძო ბანკი გაიგებოდა, რომელსაც ოქროთი უზრუნველყოფის ქვეშ ქაღალდის ბანკნოტების გამოშვების (საემისიო ოპერაცია) პრივილეგია საკანონმდებლო წესით ჰქონდა დაკისრებული, თანამედროვე პირობებში კი ცენტრალური ბანკის ქვეშ სახელმწიფო დაწესებულება გაიგება, რომელიც ფულადი მიმოქცევის, ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების რეგულირებასა და კონტროლს ახორციელებს ანუ ფინანსური ინსტიტუტია, რომელსაც ფულადი ემისიის, ფულადი მიმოქცევის, კრედიტისა და სავალუტო კურსის რეგულირების მონოპოლიური უფლება აქვს დაკისრებული.

ცენტრალურმა ბანკებმა ევოლუციის საკმაოდ ხანგრძლივი გზა გაიარეს და, ზოგიერთი ეკონმისტების მოსაზრების მიხედვით, ცალკე ინსტიტუტად მხოლოდ XIX-XX საუკუნეების ზღვარზე ჩამოყალიბდნენ. თავიდან მათი საქმიანობა არსებითად არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ბანკის საქმიანობისაგან - ბანკნოტების ემისია საქმიანობის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა, რომელიც სასესხო-სადეპოზიტო ოპერაციებთან ერთობლივად ხორციელდებოდა. რიგი ქვეყნების კანონმდებლობაში ცენტრალური (საემისიო) ბანკების მიერ ემიტირებული ბანკნოტების გადახდებში საყოველთაოდ დამკვიდრების შესახებ ნორმების ჩამოყალიბებისა და ამ უკანასკნელებზე ქაღალდის ფულის ლითონზე თავისუფლად გადაცვლის ვალდებულების დამკვიდრების შესაბამისად, საემისიო ინსტიტუტები ფულად-საკრედიტო სისტემაში ცენტრალური ადგფილის განმტკიცებას იქყებე. მათი სტატუსუს საბოლოო გაფორმება ფულის ემისიაზე მონოპოლიის განსახელმწიფოებისა (ამა თუ იმ ფორმით) და დამკვიდრების საფუძველზე ხორციელდება. სწორედ ამ პერიოდში გაფორმდა თანამედროვე ცენტრალური ბანკებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ფუნქციები.

საკითხი ცენტრალური ბანკების წარმოქმნის მიზეზების შესახებ სადისკუსიოდ რჩება. ვ. სმიტმა, გამოიკვლია რა ცენტრალური ბანკების ბუნება, გააკეთა დასკვნა იმის შესახებ, რომ მათი ჩამოყალიბება ბევრად შემთხვევითი მიზეზებით იყო განპირობებული. თავის ნაშრომში „ცენტრალური ბანკების წარმოშობა“ იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ფინანსურ ინსტიტუტში

საჭიროება, რომელიც მონარქების ურთიერთგასესხებასთან მიმართებაში მოთხოვნილებას უწყვეტად უზრუნველყოფდა, საბანკო გარემოდან სტიქიურად გამოყო უმსხვილესი, სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული, საკრედიტო დაწესებულებები და მათ სხვა ბანკებთან მიმართებაში რიგი პრივილეგიები დააკისრა. აღნიშნულის საფუძველზე ვ. სმიტი ასკვნის, რომ ცენტრალური ბანკების წარმოქმნის ძირითად მიზესს სახელმწიფოს სასარგებლოდ ფულადი მიმოქცევის მექანიზმების მეშვეობით საზოგადოებრივი შემოსავლის გადანაწილებაში მოთხოვნა წარმოადგენს. კერძოდ, ინგლისის ბანკი მონარქი კარლ II მიერ თავისი ვალდებულებების მომსახურებაში სიძნელეების გადაწყვეტისათვის 1694 წელს იქნა ჩამოყალიბებული.

ინგლისის ბანკის ემისია აღნიშნულ ეტაპზე გამოდიოდა არა მხოლოდ როგორც სასაქონლო-ფულადი ბრუნვის საჭირო საგადახდო საშუალებებით გაჯერების საშუალება, არამედ როგორც ხაზინის შემავსებელი ინსტრუმენტიც. ცენტრალური ბანკის კონსტრუქცია შესაძლებლობას აძლევს მას, ერთი მხრივ, არ დაარღვიოს ფულის მიოქცევის კანონზომიერებები და, ამ თვალსაზრისით, იგი ეკონომიკურად ყველაზე უფრო ეკონომიურია, ხოლო მეორე მხრივ - მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ძალისხმევით - ფინანსების გადანაწილებისა და საბანკო სექტორის ადმინისტრაციული რეგულირების ფუნქციები შეასრულოს.

უცხოეთის ლიტერატურის მიმოხილვა ცენტრალური ბანკების წარმოშობის შესახებ საკითხთან მიმართებაში ეკონომიკურებთან შედარებით ქვეყნის მთავარი ფინანსური დაწესებულების წარმოშობაში პოლიტიკური მოტივების უპირატესობის შესახებ მოწმობს. ცენტრალური ბანკის წარმოქმნის ეკონომიკური მიზეზების მომხრეებს შორის უნდა გამოიყოს ვ. გუდხარტი, რომელიც თვლიდა, რომ ცენტრალური ბანკები კერძო ბანკების მასიური საბანკო პანიკის დაპირისპირების შეუძლებლობის შედეგად წარმოიშვნენ. ვ. ხუანგი, ანვითარებდა რა აღნიშნულ იდეას, თვლიდა, რომ ცენტრალური ბანკის ჩამოყალიბება საბანკო დეპოზიტების უშუალოდ დაზღვევის იდეასთან არის დაკავშირებული სიტყვის ფართე თვალსაზრისით. ცალკეული ბანკები და საბანკო სისტემა მთლიანობაში კომერციული ბანკების ბანკნოტების ოქროზე მასიურად გადაცვლის დაპიროსპირება არ შეუძლიათ, რამდენადაც, მოკლევადიანი პასივების დაბალიკვიდურ აქტივებში ტრანსფორმირებისას, საკრედიტო ორგანიზაციებს დროის მოკლე შუალედში მეანაბრეებისათვის ფულის მთლიანად დაბრუნებისათვის რესურსების მობილიზება არ შეუძლიათ. სწორედ ამიტომაა საჭირო ისეთი ბანკი, რომელიც, განსაკუღებული სახელმწიფოებრივი გარანტიების მფლობელი იქნებოდა და ერთდროულად კერძო სექტორიდან თავიანთი კოლეგების კლიენტების მიერ დეპოზიტების პანიკურად გატანისაგან დაზღვევას განახორციელებდა. ცენტრალური ბანკი, კრედიტის სახით საკუთარი, ან ოქროზე გადაცვლადი, ან სახელმწიფო გარანტიებით უზრუნველყოფილი ბანკნოტების მიწიდებით, ბოლო ინსტანციის კრედიტორის ან საბანკო სექტორის დამზღვევის ფუნქციას ასრულებს.

ვ. ლივინგსტონი თვლის, რომ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა ფინანსური კაპიტალის მოცულობის მკვეთრად გადიდებისა და აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოქმნილი მის რეგულირებში მოთხოვნილების შედეგად წარმოიშვა.

ჩვენი მოსაზრებით, ცენტრალური ბანკების წარმოქმნა არ შეიძლება ფულის წარმოშობის თეორიის საკითხებისაგან, უფრო ზუსტად - კერძო და სახელმწიფი ფულს შორის კამათის შესახებ ცალკე იქნას განხილული. დისკუსია ერთიანი მონოპოლიური დაწესებულების საფუძველზე ან მრავალფეროვანი კერძო ემიტენტების საფუძველზე ემისიის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ დისკუსია XIX საუკუნის ბოლოს აქტიურად გაიშალა. თანამედროვე მომენტში იგი პრაქტიკულას შეჩერებულია ცენტრალური (ეროვნული) ბანკების საყოველთაოდ დამკვიდრების შდეგად და მათზე ემისიის განხორციელებაზე განსაკუთრებული უფლების დამკვიდრების გამო. მიუხედავად ამისა ეროვნულ ფულად სისტემაში კვაზისახელმწიფოებრივი საემისიო ინსტიტუტების ცენტრალური ადგილის დასაბუთების შესახებ თეორიული საკითხი არ არის გადაწყვეტილი, ხოლო კერძო ფულის სასარგებლოდ ხმები როგორც ფულადი სფეროს თანამედროვე პრობლემებისაგან პანაცია დრო და დრო სამეცნიერო ლიტრატურაში წამოიჭრება.

ცენტრალური ბანკების პირველი წარმონაქმნების (შვედეთის ბამკი, ინგლისის ბანკი, შოტლანდიის ბანკი, საფრანგეთის ბანკი) საქმიანობის გამოცდილება მოწმობს იმის შესახებ, რომ სამეფო ხაზინის შევსების ინტერესებში ისინი საკმაოდ სწრაფად, ან დე-იურე, ან დე-ფაქტო კერძო ემიტენტებს ავიწროებდნენ და ფულის ემისიაზე მონოპოლიურ უფლებას იმტკიცებდნენ. მიუხედავად ამისა კაპიტალიზმის განვითარების ადრეულ სტადიებზე ემოსიის უკონტროლოდ განხორციელება შუძლებელი იყო. კაპიტალის მოძრაობისათვის საზღვრების გაღებადობის პირობებში, ეროვნული ფულის მკვეთღად გაუფასურების (გაფუჭების) შემთხვევაში, მოთხოვნა გადაირთვებოდა ან სხვა ქვეყნის ფულზე, ან ბანკნოტების მასიური გაცვლის ფორმით ოქროზე და ამ უკანასკნელის განძებში შემდგომი გადასვლით რეალიზდებოდა. ამრიგად, საემისიო შემოსავალი ყოველთვის შეზღუდულ ხასიათს ატარებდა, ხოლო ოქროთი უზრუნველყოფის სიდიდე XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში 50-დან 100% შეადგენდა (56, გვ. 19).

ემისიის შეზღუდული ხასიათი ფულადი მიმოქცევის ლითონური სისტემის პირობებში ცენტრალიზებული ემისიური ინსტიტუტების განვითარებას XX საუკუნის შუა პერიოდამდე აფერხებდა. მაგრამ უკვე 1950-იანი წლებისათვის ცენტრალური ბამკების სტატუსი გააფორმა 59 ქვეყანამ (1900 წელს ისინი დაახლოებით 18-მდე ითვლებოდა). საემისიო ინსტიტუტების აქტიური გასახელმწიფოების მიზეზებად ითვლება არა მარტო წინა საუკუნის 30-50-იან წლებში გაბატონებული ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარევის პრინციპებზე კეინსიანური შეხედულებები და ცენტრალური ბანკის სტატუსის როგორც ფულადი სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი ატრიბუტის ამაღლება, არამედ ემისიის პრაქტიკულად შეუზღუდავი შესაძლებლობებიც, რომელიც სახელმწიფოს წინაშე ქაღალდის ფულის ეპოქის დადგომით და კერძო სექტორიდან კონკურენტების მოცილებით გაიხსნა.

ცენტრალ ბანკზე ემისიის მონოპოლიური უფლების დაკისრების შედეგად ჩამოყალიბდა პარადოქსალური სიტუაცია: იმ დროს როდესაც ქვეყნის მთავარი ფინანსური დაწესებულების მიზანს ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს, პრაქტიკულად სწორედ მისი არაკონტროლირებადი საემისიო საქმიანობა ინფლაციის ძირითად წყაროდ გარდაიქმნება.

ჩვენი შეხედულებით, ცენტრალური ბანკის მიერ გამოშვებადი ფულის რაოდენობისა და ხარისხის შესახებ, ასევე ემიტენტის მიერ მიღებადი შემოსავლის სიდიდის შესახებ საკითხი, რომელიც სამეცნიერო დისკუსიებში იშვიათად ხმოვანდებოდა, სხვადასხვა ქვეყნების სენტრალური ბანკების საქმიანობაში მოტივების გაგების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვნად გვესახება.

სენიორაჟი ანუ საემისიო ინსტიტუტის შემოსავლები. სენიორაჟის ქვეშ თანამედროვე ლიტერატურაში საემისიო ინსტიტუტის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, მათ შორის ფულადი ემისიის განხორციელებაზე მონოპლიური უფლების ხარჯზე შემოსავლების მიღება გაიგება. მიახლოვებულ განსაზღვრას იძლევა დ. საქსი, განიხილავს რა სენიორაჟს როგორც მთავრობის მიერ ფულის დაბეჭდვაზე მისი მონოპოლიური უფლების შედეგად მიღებულ შემოსავალს. (58). ემისიური შემოსავალი ხაზინის შვსების ექსტრაორდინალური წყაროდან, როგორიც იგი იყო წარსულში, თანამედროვე სახელმწიფოს ბიუჯეტის მხარდაჭერის სტაბილურ არხად გარდაიქმნა.

მეცნიერები სენიორაჟის მიღების ეკონომიკურ შედეგებს სხვადასხვანაირად განიხილავენ. დ. კეინსი ამტკიცებს, რომ „მთავრობას შეუძლია ასეთი სახსრების ხარჯზე იცხოვროს, თუ იგი სხვანაირად ცხოვრების შემძლე არ არეის“ (59). საკუთრივ „სენიორაჟი“ ტოლი იყო - ფულის მიმოქცევაში გამოშვების დანახარჯებსა და და ამ ფულზე შესაძლო შეძენადი საქონელის ღირებულებას შორის სხვაობის. ჭედვის გადასახადი თავისთავში მოიცავდა როგორც დანახარჯებს თვით ჭედვაზე, ასევე ფულად ემისიაზე პრეროგატივის მქონე მმართველის შემოსავალსაც. თანამედროვე პირობებში ცნება „სენიორაჟმა“ ევოლუციონირება განიცადა - საემისიო ინსტიტუტის მიერ მიმოქცევაში გამოშვებული ნაღდი ფულის ღირებულებით მოცულობამდე. მსოფლიო სავალუტო ფონდი (სსფ) სენიორაჟს განსაზღვრავს ფართედ, და მასში არა მარტო მიმოქცევაში ნაღდი ფულის მოცულობის ნაზარდს, არამედ ცენტრალურ ბანკებში კომერციული ბანკების ანგარიშებზე დარეზერვებადი რეზერვების გადიდებასაც ითვალისწინებს. ს. ფიშერი შემოგვთავაზა სენიორაჟისაგან შემოსავლების ნაკადის ორი კომპონენტის გამოყენებით გაანალიზება, რომელიც ფულადი ბაზის ნაზარდის ყოველწლიურ ტემპებში იქნებოდა გამოსახული, ნაღდი ფულის მიმოქცევის მხარდაჭერის დაგროვებული დანახარჯების გამოქვითვით.

მიუხედავად სენიორაჟის განმარტებების მრავალფეროვნებისა, აღნიშნული მოვლენების პოლიტეკონომიკური არსი, ჩვენი მოსაზრებით, საკმაოდ ნათელია - აღნიშნული არის ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ნაწილის ემიტირებადი ფულის მოცულობაში გადანაწილება. სენიორაჟთან დაკავშირებით წარმოშობადი ძირითადი პოლიტეკონომიკური საკითხია - მისი განაწილების მიმართვა, უფრო ზუსტად, ვის ინტერესებშია იგი მიიღებული და გამოიყენებული.

ძირითად მაჩვენებელს, რომელშიც ემისიური შემოსავალი აისახება, ცენტრალური ბანკის მოგების სიდიდე წარმოადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი თავისთავში ფულადი მასის ყველა ფორმის ნაზარდის აკუმულირებას ახდენს. საემისიო ინსტიტუტის მიერ თავისი საქმიანობის მსვლელობისას გაწეული საოპერაციო დანახარჯების გამოკლებით.

თანამედროვე ცენტრალური ბანკის შემოსავლების ძირითადი წილი ოქროსავალუტო რეზერვების განთავსებიდან და რეფინანსირების რესურსების მიწოდებისაგან პროცენტულ შემოსულობებს უკავიათ. აღნიშნული შემოსავლები, რომლებიც ემისიის ხარჯზე იქნება განხორციელებული, უვადოდ ავსებენ ფულად ბრუნვას. საერთაშორისო რეზერვების შემთხვევაში უცხოური აქტივებიდან პროცენტული შემოსავლები სარეზერვო აქტივებს ავსებენ, ხოლო ეროვნულ ვალუტაში მათი ეკვივალენტი ცენტრალური ბანკის შემოსავლებში აისახება.

ცენტრალური ბანკის მიერ მიღებული შემოსავლები პროცენტული გადახდების დაფინანსებისათვის გამოიყენება - ლიკვიდურობის აბსორბირების ინსტრუმენტების მიხედვით; ნაღდი ფულადი ბრუნვის ორგანიზაციის მიხედვით; საოპერაციო დანახარჯების გადაფარვის მიხედვით, პერსონალის შენახვაზე ხარჯებისა და სხვების ჩათვლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე განასხვავებენ - ბრუტო და ნეტო სენიორაჟს. მთლიანი (ბრუტო) სენიორაჟი - არის ემისიური შემოსავალი ხარჯების გამოქვითვამდე. სუფთა (ნეტო) სენიორაჟი გაიანგარიშება როგორც სხვაობა ბრუტო სენიორაჟსა და ემისიასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს შორის სხვაობა, და მოიცავს ფულადი მიმოქცევის ორგანიზაციაზე და ცენტრალური ბანკის აპარატის შენახვაზე ზემოთ მითითებულ ხარჯებს.

საკუთრივ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციაზე მონოპოლიურ უფლებასთან დაკავშირებული ემისიური ინსტიტუტის შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში ცენტრალური ბანკის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვისათვის საფუძველს წარმოადგენს. მაგრამ გადარიცხვების სიდიდე დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე და ისინი ყოველთვის მიღენულ ნეტო-სენიორაჟზე ნაკლებია. ბიუჯეტში ანარიცხვების სიდიდეზე (ანუ ფისკალური სენიორაჟი) ზემოქმედებას ახდენენ - სახელმწიფოსათვის გადახდას დაქვემდებარებული საემისიო ინსტიტუტის ნორმატიულად დადგენილი მოგების წილი, ცენტრალური ბანკის მიერ საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯების სიდიდე, და საემისიო დაწესებულებების ფონდებში ანარიცხები. მიუხედავად ამისა პრაქტიკულად ყველა ქვეყნებში ცენტრალური ბანკის მოგების ნაწილი გადაირიცხება ბიუჯეტში. მაგრამ ცენტრალური ბანკის ბიუჯეტში ანარიცხების სიდიდე ბევრად არა ყველა ემისიურ შემოსავალს ასახავს.

საერთაშორისო პრაქტიკაში საერთო სენიორაჟის რაოდენობრივად შეფასებისათვის რამდენიმე მიდგომაა გამომუშავებული. პირველი ეფუძნება სენიორაჟის როგორც ინფლაციური გადასახადის, ანუ გამოშვებული ფულის ნომინალური ფასეულობის მათი გამოშვების დანახარჯებზე მეტობის სიდიდის შეფასებაზე. მოცემული კონცეფციის ჩარჩოებში სახელმწიფოს შემოსავალი ფორმირდება კორპორაციული სექტორის შემოსავლების ნაწილის მითვისების ხარჯზე, რომელთა რეალური ღირებულება ფულის

ჭარბად გამოშვების შედეგად მცირდება. სენიორაჟი შეიძლება გაანგარიშებული იქნას შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$MS = p \Lambda M,$$

სადაც: MS - არის ნომინალური საპროცენტო განაკვეთი ალტერნატიული აქტივის მიხედვით;

p - არის ინფლაცია;

ΛM - არის ფულადი ბაზის ანუ M0 ფულადი აგრეგატის ნაზარდი.

მონეტარისტული სკოლა, განიხილავს რა **ფულად ნაშთებს** როგორც მეურნე სუბიექტების აქტივების ნაირსახეობას, რომელთაც არ მოაქვთ შემოსავალი, მაგრამ მოხერხებულობის გამო გამოიყენებენ და ფულის მფლობელის მიერ ბოლომდე მიუღბელი ანუ გაშვებული სარგებლის საფუძველზე სენიორაჟის გაანგარიშებისათვის არის გამოსადეგი:

$$\mathbf{MS = i \Lambda M,}$$

სადაც: MS - არის ნომინალური საპროცენტო განაკვეთი ალტერნატიული აქტივის მიხედვით;

ΛM - არის ფულადი ბაზის ანუ M0 ფულადი აგრეგატის ნაზარდი.

მ. კლეინისა და მ. ნეიმანის მიერ შეთავაზებული სენიორაჟის გაანგარიშების კონცეფციის შესაბამისობაში, შთავაზებულია ემისიური შმოსავალი გაანგარიშებული იქნას როგორც ცენტრალური ბანკის მიერ საკუთარი ფულის ემიისიის მეშვეობით მოზიდული სახსრების განთავსებიდან ყველა შემოსავლების ჯამი.

ა.ვ. ნავოის მოსაზრებით სენიორაჟის პოლიტეკონომიკური არსი მდგომარეობს არა სახელმწიფოებრივისაგან განსხვავებული დანარჩენი ეკონომიკის სექტორების მიერ ემისიის შედეგად ბოლომდე მიუღებელი შემოსავლის სიდიდეში, არამედ ეროვნული პროდუქტის საემისიო ბანკის სასარგებლოდ პირდაპირ გადანაწილებაში.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მოსაზრებით, **სენიორაჟი ყველაზე უფრო ზუსტად შეიძლება ცენტრალური ბანკის ბრუტო-შემოსავლების სიდიდით იქნას შფასებული**, რამდენადაც **სწორედ მათი სიდიდე საემისიო დაწესებულების შემდგომი ხარჯებისათვის სარესურსო ბაზის ფორმირებას ახდენს.** ფაქტიურად, ცენტრალური ბანკი, ახორციელებს რა თავის სამეურნეო საქმიანობას (მოწყობილობის, კავშირის მომსახურების საშუალებების შეძენისას), ემისიისაგან მიღებულ შემოსავალს იყენებს. ამავე წყაროს ხარჯზევე ხორციელდება ბანკის მიერ ლიკვიდობის აბსორბირების ინსტრუმენტების მიხედვით პროცენტული გადახდები, რომელიც საბოლოო ჯამში მეურნეობაში ერთობლივ მოთხოვნას ასტიმულირებს. აღნიშნულთან დაკავშირებით არადასაბუთებულად გვესახება მიდგომა, რომლის ჩარჩოებში ცენტრალური ბანკის საოპერაციო და საპროცენტო ხარჯების სიდიდეზე სენიორაჟი მცირდება. ისინი (ხარჯები), ჩვენი მოსაზრებით, არა რაიმე სხვას, არამედ როგორც უკვე მიღებული ემისიური შემოსავლს გახარჯვის ხერხს, სასაქონლო და სხვა ფასეულობების შეძენის სახით მის მატერიალიზაციას წარმოადგენენ.

მეორე მხრივ, **ემისიური შემოსავლის მეორე ელემენტის სახით გამოდის მეურნეობის სუბიექტების წინაშე ცენტრალური ბანკის ვალდებულებების ნაზარდი**. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში **ემიტენტი რაფინანსირების კრედიტების**

მუდმივად პროლონგირებას ახორციელებს, ამასთან ფულად მეურნეობაში მიმოქცევადი ცენტრალიზებული სესხების საერთო თანხას, გადიდებისაკენ ტენდენცია აქვს. ცენ ტრალური ბანკის ვალდებულებების ზრდა სხვა ოპერაციების ხარჯზეც, მაგალითად, შიდა ბაზარზე ვალუტის შეძენის ხარჯზე ხორციელდება. თუმცა ემისიური შემოსავლის მიღების მითითებული არხები თეორიულად უვადოს არ წარმოადგენენ (როგორც პროცენტული შემოსავლის მიღების შემთხვევაში), და თანამედროვე მეურნეობაში ისინი სენიორაჟის პერმანენტულად ამოღების წყაროდ გამოდიან: ემისიის განსაკუთრებულობა თანამედროვე ფულის ეპოქაში მდგომარეობს იმაში, რომ ცენტრალური ბანკის მიერ გამოშვებადი ფული არაუზრუნველყოფილს წარმოადგენს (არც ძვირფასი და არც არანაირი სხვა სახის ლითონით არ არის უზრუნველყოფილი), ანუ საკუთარი ვალდებულებების გაზრდის მეშვეობით მეურნეობების რესურსების მოზიდვა ხორციელდება, თუმცა ემიტენტი ვალდებული არ არის ისინი უკან მიიღოს ან სხვა სახეობის სასაქონლო ფასეულობაზე გადაცვალოს.

ცენტრალური ბანკის ფულადი ვალდებულებების ნაზარისაგან ემისიური შემოსავლის მიღების ნათლად მახასიათებელი ოპერაციების ერთ-ერთ მაგალითს შიდა ბაზარზე უცხოური ვალუტის შეძენა წარმოადგენს. მოცემული ოპერაციის მსვლელობაში ცენტრალური ბანკი ფულის უვადო ემისიის ხარჯზე რეალურ საერთაშორისოდ აღიარებულ სასაქონლო ეკვივალენტს ყიდულობს. ამასთან ემიტენტს არ წარმოექმნება ვალდებულება მისი უკუ გაყიდვასთან მიმართებაში (ასეთი ვალდებულება მხოლოდ მკაცრად ფიქსიებული სავალუტო კურსების ჩარჩოებში არსებობს), ანუ შეძენილი ვალუტა ცენტრალური ბანკის უვადო გამოყენებაში გადადის და თავისთავად ემისიის მონოპოლური უფლების გამოყენებისაგან მისი შემოსავლის ფორმასწარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი მოსაზრებით, ემისიური შემოსავლის მაგალითში მიღებული სიდიდის ცენტრალური ბანკის უცხოური აქტივების ნაზარდის სიდიდეზე შემცირების მცდელობა შცდომიანად გვესახება. ამ უკანასკნელების გაფართოება - არის სხვა არაფერი როგორც უკვე მიღებული სენიორაჟის გამოყენების ფორმა. ამრიგად, ცენტრალური ბანკის ვალდებულებების გაზრდაასევე მისთვის უვადო ემისიურ შემოსავალს წარმოადგენს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ემისიური შემოსავლის საერთო თანხა, ჩვენი მოსაზრებით, შიძლება გაანგარიშებული იქნას როგორც თანხა ცენტრალური ბანკის ბრუტო-შემოსავლის თანხა და ემიტენტის საბალანსო ვალდებულებების ნაზარდის თანხა (უკანასკნელები - არის ცენტრალური ბანკის ფულზე გადაცვლილი მეურნეობის რესურსები).

ქეთევან ცაბაძე
საგანმანათლებლო ცენტრის „უნიკუმის“ დირექტორი

სახელმწიფოს ეკონომიკული ფინანსური გლობალიზაციის მიმდინარე ტენდენციებში

იდეალურ საბაზრო ეკონომიკაში ყველა საქონელი და მომსახურება საბაზრო ფასების მიხედვით ნებაყოფლობით იცვლება ფულზე. ასეთი სისტემა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე არსებული რესურსებიდან მაქსიმალურ სარგებელს ღებულობს. რეალურ სამყაროში, მაგრამ, არც ერთი ეკონომიკა სინამდვილეში იმ იდეალურ სამყაროს არ შეესაბამება, რომელშიც ყველა ქმედებებით „უხილავი ხელი“ ხელმძღვანელობს. რა თქმა უნდა, ნებისმიერი საბაზრო ეკონომიკა არასრულყოფილებისაგან იტანჯება, რის შედეგად წარმოჩინდება ისეთი პრობლემები, როგორიცაა გარემომცველი გარემის ზეზომიერად დაბინძურება, უმუშევრობა და სიმდიდრისა და სიღარიბის პოლუსების წარმოქმნა.

ამ მიზეზით ყველა ქვეყნის მთავრობები პრაქტიკულად, მიუხედავად მათი კონსერვატიულულბის დონისა, „ეკონომიკის პულსზე“ უჭირავთ ხელი. თანამედროვე ეკონომიკურ სისტემებში სახელმწიფო საბაზრო მექანიზმის მუშაობაში ნაკლოვანებებით გამოწვეული მრავალი პრობლემების გადაწვეტით არიან დაკავებულები. არმია, პოლიცია, ეროვნული მეტეოროლოგიური სამსახური და ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის სამსახური - ყოველივე აღნიშნული სახელმწიფოს საქმიანობის ტიპიური სფეროებია. საზოგადოებრივად სასარგებლო რისკიანი პროექტები, იეთები როგორიცაა კოსმოსის შესწავლა ან მეცნიერული კვლევევები, სამთავრობო ფონდებიდან ფინანსდებიან. სახელმწიფოს შეუძლია ზოგიერთი სახეობების (მაგალითადს, საბანკო საქმიანობის და ნარჩენების შეგროვების) და იმავე დროს სხვების მხარდაჭერა (მაგალითად, განათლება და ჯანდაცვა) რეგლამენტირება განახორციელოს. ასევე სახელმწიფოები თავიანთ მოქალაქეებს გადასახადებით ბეგრავენ და მათგან ნაწილს ასაკოვან ადამიანებზე და გაჭირვებულებზე გადაანაწილებენ.

სახელმწიფო რა სახით ასრულებს თავიანთ ფუნქციებს? იგი აღნიშნულს, ახორციელებს ადამიანებზე დაძალებით - გადაიხადონ გადასახადები, დაემორჩილონ საზოგადოებრივ წესებსა და ნორმებს და მოიხმარონ გარკვეული კოლექტიური საქონელი და მომსახურება. თავისი ძალდატანებითი ბუნების ძალისხმევით, სახელმწიფოს შუძლია შეასრულოს ფუნქციები, რომელთა რეალიზება მხოლოდ ნებაყოფლობით საწყისებზე შეუძლებელი იქნებოდა. სახელმწიფოებრივი ძალდატანება ზრდის თავისუფლებას და მოხმარებას იმათი, ვინც აღნიშნული ძალდატანების ნაყოფებს იყენებს, ერთდროულად ამცირებს შემისავლებსა და შესაძლებლობებს იმათი, ვინც იბეგრება გადასახადებით, ანუ იმათი, ვისი საქმიანობა ამა თუ იმ ხერხით იზღუდება.

მაგრამ საბაზრო ეკონომიკაში საქმიანობის შესაძლო სახეობების მრავალფეროვნების მიუხედავად, სახელმწიფო ასრულებს სამ ძირითად ფუნქციას: ეფექტიანობის ამაღლების ხელშწყობა, სამართლიანობისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და ეკონომიკური ზრდის განხორციელება, უფრო კონკრეტულად:

1. სახელმწიფო ამაღლებს ეფექტიანობას - კონკურენტული გარემოს მხარდაჭერით, საგარეო ეფექტების გამოვლენის შეკავებით, ისეთების როგორიცაა გარემომცველი გარემოს გაბინძურება და საზოგადოებრივი კეთოლდღეობების შექმნა.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლიანობას - შემოსავლების გარკვეულ ჯგუფებს შორის გადანაწილებისათვის გადასახადებისა და სახელმწიფო პროგრამების გამოყენებით.

3. სახელმწიფი უზრუნველყოფს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას და ეკონომიკურ ზრდას - უმუშევრობისა და ინფლაციის დონის შემცირებით და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებით.

აღნიშნულ ამოცანებს სახელმწიფო გადაწყვეტს ფისკალური (ბიუჯეტისა და გადახახადების) და ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკის მეშვეობით.

გლობალიზაცია - არის პოპულარული ტერმინი, ტენდენცია, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების ზრდის აღნიშვისათვის გამოიყენება. ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების აღნიშნული ნაზარდი თანამედროვე პირობებში სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული საზღვრების გადამკვეთი საქონელის, მომსახურებისა და კაპიტალის ნაკადების მკვეთრ ზრდაში ვლინდება.

გლობალიზაციის ერთ-ერთ უპირველეს მნიშვნელოვან შემადგენელს - ეროვნული პროდუქტის (ეპ) იმ წილის შთამბეჭდავი ზრდა წარმოადგენს, რომელიც იმპორტზე და ექსპორტზე მიიმართება. სატრანსპორტო და საკომუნიკაციო დანახარჯების უწყვეტად შემცირების პირობებში, საბაჟო ტარიფებისა და საერთაშორისო ვაჭრობის დამაბრკოლებელი სხვა დანარჩენი ბარიერების შემცირებასთან ერთად, ამ უკანასკნელის წილი აშშ-ის ეროვნულ პროდუქტში ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში ორზე უფრო მეტად გაიზარდა. ადგილობრივ მეწარმეებს ამჟამად კონკურირების (ფასებისა და კონსტრუქციული გადაწყვეტილებების თვალსაზრისით) გაწევა უწევთ არა მარტო ერთმანეთს შორის, არამედ უცხოელ კომპანიებთანაც.

საერთაშორისო ვაჭრობის წილის ამაღლებას თან თვით საწარმოო პროცესში სპეციალიზაციის ზრდა ახლავს, როდესაც წარმოების ესა თუ ის სტადიები „გადაეცემა“ (სუბმეიჯარის - აუტსორსინგის პრინციპებზე) სხვა ქვეყნებში. ასეთი სპეციალიზაციის ტიპიურ მაგალითს „ბარბის“ თოჯინების წარმოება წარმოადსგენს.

პლატმასა და მასალა თმებისათვის ტაივანიდან და იაპონიიდან შემოაქვთ. აწყობა, რომელიც წინა პერიოდებში იმავე ქვეყნებში ხორციელდებოდა, ამჟამად თანდათანობით ინდონეზიაში, მალაიზიაში და ჩინეთში გადააქვთ. თვით ჩამოსასხმელი ფორმები, ასევე საღებავები, რომლებიც პროდუქტის საბოლოო გაფორმებისათვის გამოიყენება, ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოაქვთ. სამუშაო ძალისა და კაბების შესაკერად გმოიყენებადი ბამბის ქსოვილების წყაროს ჩინეთი წარმოადგენს. თოჯინები „ბარბი“ იყიდება 10 დოლარად, რომელიდან 35 ცენტი - ჩინელი მუშების შრომის ანაზღაურებაა, 65 ცენტი - უცხოური

მასალების გადასახადია, 1 დოლარი - ჰონკონგში და სატრანსპორტო კომპანიებზე მიიმართება, ხოლო დანარჩნი ნაწილი (8 დოლარი) - ამერიკული კომპანია „Mattel"- ის მოგებას, მარკეტინგულ და სატრანსპორტო ხარჯებს შეადგენს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საწარმოო პროცესის დაყოფის მსგავსი პროცესი ამერიკის შეერთებული შტატებისა და მაღალი შემოსავლიანი სხვა ქვეყნების სამეწარმეო საქმიანობისათვის ტიპიურაია.

გლობალიზაციის მეორე შემადგენელს - ფინანსური ბაზრების ინტეგრაციის პროცესების ზრდა წარმოადგენს. ფინანსური ინტეგრაცია - ქვეყანათაშორისო მოსეხებისა და კაპიტალის გასესხების პროცესების სულ უფრო მეტად გაფართოებაში, ასევე სხვადასხვა ქვეყნების მიერ მიღებადი საპროცენტო განაკვეთების დაახლიებაში ვლინდება. ფინანსური ბაზრების ინტეგრაციის ძირითადი მიზეზები გახდა - სხვადასხვა ქვეყნებს შორის კაპიტალის ნაკადებზე შეზღუდვების მოხსნა, დანახარჯების შმცირება, ასევე ფინანსურ ბაზრებზე ინოვაციები, მათ შორის ფინანსური ინსტრუმენტების ახალი სახეობების გამოყენება.

სხვადასხვა ქვეყნების ფინანსური ინტეგრაცია, უეჭველად, საეერთაშორისო ვაჭრობის მოგებიანობის ზრდას განაპირობებს, რამდენადაც კაპიტალის პროდუქტიული გამოყენების უზრუნველყოფის შესაძლებლობის ქვეყნები ფულადი სახსრების ჭარბი მარაგებიანი ქვეყნებიდან კაპიტალის მოსესხების შესაძლებლობას ღებულობენ. ბოლო ათწლეულის განმავლობაში იაპონია მსოფლიოში უმსხვილესი სესხისმიმცემის როლს ასრულებდა. როგორც აღნიშნული საოცრებად არ მოგვეჩვენოს, ფულადი სახსრების მსესხებლად მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატები გახდა. ნაწილობრივ აღნიშნული აშშ-ის დანაზოგების დაბალი ეროვნული ნორმით, ხოლო ნაწილობრივ - მათი კომპიუტერული და ბიოტექნოლოგიური დარგების ტექნოლოგიური დიაპაზონით აიხსნება.

საქონელისა და ფინანსური ბაზრების ინტეგრაცია საერთაშორისო ვაჭრობის შთამბეჭდავმა მოგებიანობამ განაპირობა, რომელიც - ფასების შემცირებასთან, ინოვაციების ზრდასთან და ეკონომიკური ზრდის დაჩქარებასთან არის დაკავშირებული. მაგრამ ჩამოთვლილ სარგებლიანობებს თან რიგი საკმაოდ მტკივნეული თანმდევი მოვლენებიც ახლავს.

ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგები გახდა - უმუშევრობის ზრდა და მოგების დაკარგვა, რომლებიც აღინიშნება იმ შემთხვევებში, როდესაც მაღალრენტაბელური უცხოელი მწარმოებლები ადგილობრივ წარმოებას დევნიან. საფეიქრო მრეწველობის მუშისათვის, რომელმაც სამუშაო ასდგილი დაკარგა, და გაკოტრებულ ფერმერს, რომელსაც სოიო მოყავდა, მეტად სუსტი ნუგეში გახდება ის ფაქტი, რომ ახლა უკვე მომხმარებლებლები ტანსაცმელს და კვების პროდუქტებს უფრო დალი ფასების მიხედვით შეიძენენ. ისინი, ვინც საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოების შედეგად დაზარალდა, საერთაშორისო ვაჭრობაზე საბაჟო ტარიფებისა და კვოტების ფირმით „პროტექციანისტული ღონისძიებების ' მხურვალე მომხრეებად გამოდიან.

ეკონომიკური ინტეგრაციის კიდევ ერთი მესამე შემადგენელია - გლობალური ფინანსიური კრიზისები, რომლებიც დრო და დრო შეარყევენ ამა თუ ომ ქვეყნებს ან მთიან რეგიონენებსაც კი. ეკონომიკური პრობლრემები, რომლებსაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში რუსეთი,

ბრაზილია და არგენტინა ეჯახებოდნენ, მთლიანად მსოფლიოში აქციებისა და ობლიგაციების ბაზარზე სერიოზული ზეგავლენა მოახდინეს. საერთაშორისო ფინანსური კრიზისების უდიდესი ტალღები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნების შიდა პრობლემებითაა წარმოშობილი, ცალკეულ ბაზრებს შორის მჭიდრო კაცშირითაა განპირობებულები. ამერიკელი ინვესტორები თავიანთ კაპიტალს, მაღალი მოგების მიღების იმედით აბანდებენ, მაგალითად, ტაილანდის ეკონომიკაში. მაგრამ იგივე ინვესტორებს, როგორც წესი, თავიანთი კაპიტალი უკან გააქვთ თუნდაც ყველაზე სუსტი ეკონომიკურად არაკეთილსასურველი ნიშნების წარმოქმნისას, რასაც არც ისე იშვიათად ფინანსური კრიზისის წარმოშობისაკენ მივყავართ, როდესაც კაპიტალის ქვეყანა - რეციპიენტების მთავრობები გაცვლითი კურსების ან თავიანთი ბანკების მასიური სპექკულატიური შეტევის მუქარის წინაშე მხარდაჭერას ცდილობენ.

გლობალიზაცია პოლიტიკოსებისათვის მრავალ ახალ პრობლემებს ქმნის. აანაზღაურებს კი საერთაშორისო ვაჭრობიდან მიღებადი მონაგები ისეთ შიდა დანახარჯებს, როგორიცაა სოციალური დაძაბულობის ზრდა? სახელმწიფომ უნდა შეუქმნას თუ არა ინვესტორებს დაბრკოლება ქვეყნიდან და უკანვე ფულადი სახსრების სწრაფ გადაადგილებაში, რომელიც საშიშროებას ქმნის შიდა ფინანსური ბაზრებისათვის?მიყავს ღუ არა ინტეგრაციას უთანაბრობის ზრდისაკენ? აღნიშნული და მსგავსი საკითხები აღელვებს მთლიანად მსოფლიოს პოლიტიკოსებს, რომლებიც გლობალიზაციის მიერ წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტას ცდილობენ.

ნოდარ ხარაიშვილი

კომპანიის ფულადი ნაკადების მენეჯმენტისა და საგადახდო კალენდარის ორგანიზაციის აქტუალური საკითხები

აბსტრაქტი. სტატიაში აღნიშნულია რომ საწარმოს **ფულადი ნაკადი** თავისთავად მისი სამეურნეო საქმიანობის გენერირებადი ფულადი სახსრების დრიში განაწილებული შემოსულობებისა და გადახდების ერთობლიობას წარმოადგენს. საწარმოში ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვის გეგმა შემდეგი თანმიმდევრობით მუშავდევა: თავიდან პროგნოზირდება ფულადი ნაკადები საოპერაციო, შემდეგ საინვესტიციო, მერე ფინანსური საქმიანობის და ბოლოს მთლიანი და სუფთა ფულადი ნაკადების მიხედვით. ხაზგასმულია, რომ ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახასჯვის გეგმა დგება წლის მიხედვით, კვარტალებად და თვეებად დაყოფით. ამასთან ერთად აღნიშნული ნაკადების მაღალი დინამიზმი, ასევე მოკლევადიანი მოქმედების მრავალ ფაქტორებზე დამოკიდებულება ყოველდღიური მართვის

უზრუნველყოფის გეგმიური ფინანსური დოკუმენტის - **საგადახდო კალენდარის** შემუშავების აუცილებლობას განაპირობებენ. იგი საწარმოს ფულადი ნაკადების ოპერატიული მართვის ყველაზე ეფექტურ და საიმედო ინსტრუმენტს წარმოადგენს და საგადახდო კალენდარის მის სხვადასხვა ვარიანტებში შემუშავება უკვე თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებითაც არის შესაძლებელი.

საკვანძო სიტყვები: მთლიანი ფულადი ნაკადი, სუფთა აქტივები, მთლიანი მოგება, ფულის სამომავლო ღირებულება, მთლიანი შემოსაცალი, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები.

ძირითადი ტექსტი. ფულადი ნაკადის ცნება და მისი სახეობების დახასიათება: საწარმოში ყველა სახეობის ფინანსური ოპერაციების განხორციელება პრაქტიკულად ფულადი სახსრების, მათი შემოსულობების ან გახარჯვის ფორმით, გარკვეული მოძრაობის გენერირებას ახდენს. ფუნქციონირებადი საწარმოს ფულადი სახსრების აღნიშნული მოძრაობა დროში თავისთავად უწყვეტ პტოცესს წარმოადგენს და „ფულადი ნაკადის“ ცნებით განისაზღვრება (1, გვ. 129 – 169; 2, გვ. 494 - 514).

საწარმოს ფულადი ნაკადი - თავისთავად მისი სამეურნეო საქმიანობის გენერირებადი ფულადი სახსრების დრიში განაწილებული შემოსულობებისა და გადახდების ერთობლიობას წარმოადგენს.

საწარმოს ფულადი ნაკადები მათ ყველა ფორმებში და სახეობებში, აქედან გამომდინარე მისი ერთობლივი ფულადი ნაკადიც, უეჭველად ფინანსური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანეს დამოუკიდებელ ობიექტს წარმოადგენს, რომელიც თეორიული საფუძვლების გაღრმავებას და პრაქტიკული რეკომენდაციების გაფართოებას მოითხოვს.

საწარმოს ფულადი ნაკადების ეფექტური მართვის მაღალი როლი განისაზღვრება შემდეგი ძირითადი დებულებებით:

1. ფულადი ნაკადები საწარმოს სამეურნეო საქმიანობის განხორციელებას პრაქტიკულად ყველა მის ასპექტებში განაპირობებენ.

2. ფულადი ნაკადების ეფექტური მართვა საწარმოს მისი სტრატეგიული განვითარების პროცესში ფინანსურ წონასწორობას უზრუნველყოფს.

3. ფულადი ნაკადების რაციონალური ფორმირება საწარმოს საოპერაციო პროცესის განხორციელების რითნ=მიულობის ამაღლებას უწყობს ხელს.

4. ფულადი ნაკადების ეფექტური მართვა საწარმოსათვის ნასესხები კაპიტალში მოთხოვნილების შემცირევბის შესაძლებლობას იძლევა.

5. ფულადი ნაკადებით მართვა საწარმოს კაპიტალის ბრუნვის დაჩქარების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფინანსურ ბერკეტს წარმოადგენს.

6. ფულადი ნაკადების ეფექტური მართვა საწარმოს გადახდისუუნარობის რისკის შემცირებას უზრუნველყოფს.

7. **ფულადი ნაკადების მართვის აქტიური ფორმები საწარმოს უშუალოდ მისი ფულადი ნაკადებით გენერირებადი დამატებითი მოგების მიღების შესაძლებლობას ძლევს.**

განხილული ასპექტები საწარმოს ფულადი ნაკადების ფინანსური მართვის დამოუკიდებელ ობიექტად, აღნიშნული მართვის შესაბამისი სტრუქტურული და საკადო უზრუნველყოფით, გამოყოფის აუცილებლობის შესახებ თეზისს ადასტურებენ.

„საწარმოს ფულადი ნაკადის“ ცნება აგრეგირებულს წარმოადგენს, რომელიც თავის შენადგენლობაში სამეურნეო საქმიანობის უზრუნველმყოფელი აღნიშნული ნაკადების მრავალრიცხოვანი სახეობების ჩართვას ითვალისწინებს. ფულადი ნაკადების ეფექტური მიზანმიმართული მართვის უზრუნველყოფის მიზნით ისინი გარკვეულ კლასიფიცერაბას მოითხოვენ. ფულადი ნაკადების ასეთი კლასიფიკაცია შეთავაზებულია განხორციელდეს შედეგი ძირითადი ნიშნების მიხედვით (ნახ.. 1,1.):

საწარმოს ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია:
↓
1. **სამეურნეო პროცესის მომსახურების მასშტაბების მიხედვით:** ➢ ფულადი ნაკადები მთლიანობაში საწარმოს მიხედვით; ➢ ფულადი ნაკადი საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ცალკეული სახეობების მიხედვით; ➢ ფულადი ნაკადი საწარმოს ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით; ➢ ფულადი ნაკადი ცალკეული სამეურნეო ოპერაციების მიხედვით.
2. **სამეურნეო საქმიანობის სახეობების მიხედვით:** ➢ ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობის მიხედვით; ➢ ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობის მიხედვით; ➢ ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობის მიხედვით.
3. **ფულადი სახსრების მოძრაობის მიმართულებადობის მიხედვით:** ➢ დადებითი ფულადი ნაკადი; ➢ უარყოფითი ფულადი ნაკადი.
4. **მოცულობის გაანგარიშების მეთოდის მიხედვით:** ➢ მთლიანი ფულადი ნაკადი; ➢ სუფთა ფულადი ნაკადი.
5. **მოცულობის საკმარისობის დონის მიხედვით:** ➢ ჭარბი ფულადი ნაკადი; ➢ დეფიციტური ფულადი ნაკადი.
6. **დროში შეფასების მეთოდის მიხერვით:** ➢ დღევანდელი ფულადი ნაკადი;

➢ მომავალი ფულადი ნაკადი.
7. განხილვად პერიოდში ფორმირების უწყვეტადობის მიხედვით: ➢ რეგულარული ფულადი ნაკადი; ➢ დისკრეტული ფულადი ნაკადი.
8. ფორმირების დროითი ინტერვალების სტაბილურობის მიხედვით: ➢ რეგულარული ფულადი ნაკადი თანაბარი დროითი ინტერვალით; ➢ რეგულარული ფულადი ნაკადი არათანაბარი დროითი ინტერვალით.

ნახაზი 1.1. საწარმოს ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია ძირითადი ნიშანთვისებების მიხედვით

საწარმოს ფულადი ნაკადების მართვის პრინციპები და ეტაპები:

საწარმოს ფულადი ნაკადების მართვის პროცესი გარკვეულ პრინციპებზეა დაფუძნებული, რომელთაგან ძირითადებს წარმოადგენენ:

1. **ინფორმაციული უტყუარობის პრინციპი.**
2. **დაბალანსებულობის უზრუნველყოფის პრინციპი.**
3. **ეფექტიანობის უზრუნველყოფის პრინციპი.**
4. **ლიკვიდობის უზრუნველყოფის პრინციპი.**

ფულადი ნაკადების მართვის ძირითად მიზანს, საწარმოს განვითარების პროცესში ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების დაბალანსებისა და მათი დროში სინხრონიზაციის გზით, ფინანსური განვითარების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საწარმოს ფულადი ნაკადების მართვის პროცესი თანმიმდევრულად მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1, **საწარმოს ფულადი ნაკადების სრული და უტყუარი უზრუნველყოფისა და საჭირო ანგარიშგების ფორმირების ეტაპს;**

2. **წინა პერიოდში საწარმოს ფულადი ნაკადების ანალიზის ეტაპს;**
3. **საწარმოს ფულადი ნაკადების ოპტიმიზაციის ეტაპს;**
4. **საწარმოს ფულადი ნაკადების მათი სხვადასხვა სახეობების ჭრილში დაგეგმვის ეტაპს;**
5. **საწარმოს ფულადი ნაკადების ეფექტური კონტროლის უზრუნველყოფის ეტაპს.**

საწარმოს ფულადი ნაკადების ოპტიმიზაციის მეთოდები:

საწარმოს ფულადი ნაკადების მართვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და რთულ ეტაპს მათი ოპტიმიზაცია წარმოადგენს.

ფულადი ნაკადების ოპტიმიზაცია თავისთავად საწარმოში მსამეურნეო საქმიანობის განხორციელების პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით მათი ორგანიზაციის საუკეთესო ფორმების შეჩევის პროცესს წარმოადგენს.

საწარმოს ფულადი ნაკადების ფორმირებაზე ზემომქმედი ძირითადი ფაქტორების სისტემა ორი ფაქტორებისაგან შედგება: **შიდა ფაქტორებს და გარე ფაქტორებს.**

გარე ფაქტორების სისტემაში ძირითად როლს ასრულებემ შემდეგიფაქტორები:

1. სასაქონლო ბაზრის კონიუნქტურა;
2. საფონდო ბაზრის კონიუნქტურა;
3. საწარმოს გადასახადით დაბეგვრის სისტემა;
4. პროდუქციის მიმწოდებლებისა და მყიდველების დაკრედიტების ჩამოყალიბებული პრაქტიკა;
5. მეურნე სუბიექტების საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელების სისტემა;
6. ფინანსური კრედიტის მიღწევადობა;
7. დაუბრუნებადი მიზნობრივი დაფინანსების სახსრების მოზიდვის შესაძლებლობა.

შიდა ფაქტორების სისტემაში ძირითად როლს ასრულებემ შემდეგიფაქტორები:

1. საწარმოს სასიცოცხლო ციკლი;
2. საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა;
3. პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სეზონურობა;
4. საინვესტიციო პროგრამების გადაუდებლობა;
5. საწარმოს საამორტიზაციო პოლიტიკა;
6. საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტი;
7. საწარმოს მფლობელებისა და მენეჯერების ფინანსური მენტალიტეტი.

ფულადი ნაკადების დაგეგმვა - ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების გეგმის შემუშავება:

საწარმოს მიმდინარე ფინანსური გეგმების არცერთი სახეობა, არც ერთი მისი მსხვილი ოპერაცია არ შიძლება მათი მიხედვით დაგეგმილ ფულად ნაკადებთან კავშირის გარეშე იქნას შემუშავებული. საწარმოს დაგეგმილი ყველა სახეობის ფულადი ნაკადები თავის ასახვას პოულობს სპეციალურ გეგმიურ დოკუმენტში - ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვის გეგმაში (დგება მომვალი წლისათვის ყოველთვიური დაყოფით), რომელიც მიმდინარე ფინანსური გეგმის ერთ-ერთ ძირითად ფორმას წარმოადგენს.

ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვის გეგმის შემუშავების ძირითად მიზანს საწარმოს მთლიანი და სუფთა ფულადი ნაკადების დროში მისი სამეურნეო საქმიანობის ცალკეული სახეობებისა და გეგმიური პერიოდის ყველა ეტაპზე მუდმივი გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის ჭრილში პროგნოზირება წარმოადგენს.

საწარმოში ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვის გეგმა მუშავდება შემდეგ ოთხ თანმიმდევრულ ეტაპად:

პირველ ეტაპზე საწარმოს საოპერაციო საქმიანობის მიხედვით ფულადი სახსრების შემოსულობები და გახარჯვები პროგნოზირდება, რადგანაც აღნიშნული გეგმის რიგი შდეგობრივი მაჩვენებლები მისი სხვა შემადგენელი ნაწილების შმუშავების საწყის წინაპირობას ემსახურება.

მეორე ეტაპზე საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის მიხედვით ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების გეგმიური მაჩვენებლები მუშვდება (მისი საოპრაციო საქმიანობის მიხეედვით სუფთა ფინანსური ნაკადების გათვალისწინებით).

მესამე ეტაპზე საწარმოს ფინანსური საქმიანობის მიხედვით ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების გეგმიური მაჩვენებლები გაიანგარიშება, რომელიც მომავალ პერიოდში მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობის გარე დაფინანსების წყაროების უზრუნველყოფაზეა მოწოდებული.

მეოთხე ეტაპზე მთლიანობაში საწარმოს მიხესდვით მთლიანი და სუფთა ფულადი ნაკადები, ასევე ფულადი სახსრების ნაშთების დინამიკის პროგნოზირება ხორციელდება.

საგადახდო კალენდარის მისი სხვადასხვა ვარიანტებში შემუშავება თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისას მნიშვნელოვნად გაადვილდება. ფულადი ნაკადების მიმდინარე და ოპერტიული დაგეგმვის პროცესში, შესაბამისი კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოს სამეურნეო საქმიანობის დივერსიფიკაციით განსაზღვრადი აღნიშნული ნაკადების მოცულობებითა და სახეობებით უნდა იყოს დაკავშირებული.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. აღნიშნულია, რომ საწარმოს ფულადი ნაკადი თავისთავად მისი სამეურნეო საქმიანობის გენერირებადი ფულადი სახსრების დრიში განაწილებული შემოსულობებისა და გადახდების ერთობლიობაა. „საწარმოს ფულადი ნაკადის“ ცნება აგრეგირებულს წარმოადგენს, რომელიც თავის შენადგენლობაში სამეურნეო საქმიანობის უზრუნველმყოფელი აღნიშნული ნაკადების მრავალრიცხოვანი სახეობების ჩართვას ითვალისწინებს. ფულადი ნაკადების ეფექტური მიზანმიმართული მართვის უზრუნველყოფის მიზნით ისინი გარკვეულ კლასიფიცერაბას მოითხოვენ.

2. მითითებულია, რომ ფულადი ნაკადების მართვის ძირითად მიზანს, საწარმოს განვითარების პროცესში ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების დაბალანსებისა და მათი დროში სინხრონიზაციის გზით, ფინანსური განვითარების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ფულადი ნაკადების ოპტიმიზაცია თავისთავად საწარმოში სამეურნეო საქმიანობის განხორციელების პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით მათი ორგანიზაციის საუკეთესო ფორმების შეჩევის პროცესია.

3. ხაზგასმულია, რომ ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვის გეგმის შემუშავების ძირითად მიზანს საწარმოს მთლიანი და სუფთა ფულადი ნაკადების დროში მისი სამეურნეო საქმიანობის ცალკეული სახეობებისა და გეგმიური პერიოდის ყველა ეტაპზე მუდმივი გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის ჭრილში პროგნოზირებაა. ამასთან ერთად, აღნიშნული ნაკადების მაღალი დინამიზმი, მათი მოკლევადიანი მოქმედებების მრავალ ფაქტორზე დამოკიდებულება გეგმიური ფინანსური დოკუმენტის შემუშავების

აუცილებლობად განსაზღვრავენ, რომელიც საწარმოს ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების ყოველდღიურ მართვის უზრუნველყოფს. ასეთ გეგმიურ დოკუმენტს საგადახდო კალენდარი წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Бланк И.А. – Основы финансового менеджмента. Т.2. – Киев: Ника-Центр. 2012. – 512 с.

2. ინგოროყვა ა., ცაავა გ. - ფინანსური მენეჯმენტი. ტ.2. - თბილისი, გამომცემლიბა: „გრაალი“, 2011. – 702 გვ.

Abstrakt

1. It is noted that the enterprise's cash flow is a collection of time-allocated receipts and payments of cash generated by its economic activities. The concept of "enterprise cash flow" is aggregated, including in its composition numerous types of these flows that serve economic activity. In order to ensure the effective and purposeful management of cash flows, they require certain classifications.

2. It is stated that the main purpose of cash flow management is to ensure the financial balance of the enterprise in the process of its development by balancing the volumes of receipt and expenditure of money resources and their synchronization in time. Optimization of cash flows is the process of choosing the best forms of their organization in the enterprise, taking into account the conditions and features of the implementation of its economic activities.

3. It is emphasized that the main purpose of developing a plan for the receipt and expenditure of funds is to forecast in time the gross and net cash flows of an enterprise in the context of certain types of its economic activities and ensure constant solvency at all stages of the planning period. At the same time, the high dynamism of these flows, their dependence on many short-term factors determine the need to develop a planned financial document that provides daily management of the receipt and expenditure of the company's cash.

Key words: Gross cash flow, net assets value, gross profit, future value, gross income, money market instruments.

სოფლის მეურნეობა

ონერ ძაძუა

ტყის ზოლების გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკა

ტყის ზოლების გახარება და ზრდა-განვითარება უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ნიადაგის პირველადი დამუშავების ხარისხზე.

ტენის დაგროვებისა და ნარგავების გახარებისა და შემდგომი ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის ნიადაგის პირველადი დამუშავება წარმოებს არა ნაკლებ 45 სმ სიღრმეზე.

ღრმა საპლანტაჟო ხვნა სწარმოებს, როცა ნიადაგის სახნავი ჰორიზონტი ამის საშუალებას იძლევა წინააღმდეგ შემთხვევაში ნიადაგი უნდა მოიხნასა იმ სიღრმემდე, სადამდეც ამის საშუალებას იძლევა სახნავი ჰორიზონტი, შემდეგ კი უნდა მოხდეს დამატებითი ჩაღრმავება 45 სმ-მდე და ხნულის ფსკერის გაფხვიერება.

საცავი ტყის ზოლების გაშენება ახლად მომზადებულ და ზერელდ მოხნულ ნიადაგებზე არ წარმოებს.

ტყის ზოლების გასაშენებლად დასამუშავებელი ფართობები იყოფა სამ ჯგუფად: ა) ნაკვეთები, რომლებიც ადრე გამოყენებული იყო სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის, ბ) ყამირი მიწები, დაფარული ტყით ან ბუჩქნარით და საბალახოები, გ) ჭარბტენიანი მიწები.

პირველი ჯგუფის მიწები უნდა დამუშავდეს თავიდანვე 45 სმ სიღრმეზე.

ტყეკაფებზე ნიადაგის პირწმინდა დამუშავება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ამოძირკვის შემდეგ. ამოძირკვა შეიძლება იქნეს წარმოებული მექანიზმით ან ხელით. თავი უნდა ავარიდოთ ჯიშების აფეთქებით ამოძირკვას, რადგან ამის შედეგად წარმოშობილი ღრმა ორმოები ხელს უშლიან ხვნას.

ნიადაგის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდებულია ამოძირკვის შემდეგ ტყეკაფი გამოყენებულ იქნეს ისეთი საოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად, რომლებისთვისაც ნიადაგი არაღრმად უნდა დამუშავსდეს. სასოფლო-სამეურნეო სარგებლობა დასაშვებია ერთიდან ხუთ წლამდე ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით. ქვიშნარ და ქვიშიან ნიადაგებზე სასოფლო-სამეურნეო სარგებლობა დაუშვებელია, რადგან ნიადაგს ერთმევა საკვები მინერალური ნივთიერებები.

ყამირ, ჭარბტენიან ნიადაგებზე ტყის ზოლების გაშენებამდე ერთი სამი წლით ადრე, დაჭაობების სიძლიერისა და ნიადაგის მექანიკური შედგენილობის მიხედვით აწარმოებენ ნიადაგის დაშრობას საწრეტი ღია და დახურული არხების საშუელბით. პირველ წელს, ან თუ ნიადაგი მძიმეა – მეორე წელს, აწარმოებენ ნიადაგის არაღრმა დამუშავებას და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვას; მესამე წელს აწარმოებენ ნიადაგის ღრმა ხვნას და შემდეგ კი აწყობენ ნიადაგის მექანიკური შედგენილობის მიხედვით 4-დან10 მეტრამდე სიგანის და 40-დან 60- მდე სანტიმეტრამდე სიმაღლის დამრეც-ოვალურ კვლებს.

ყველა ზემო დასახელებულ შემთხვევაში ნიადაგის ღრმად დამუშავებას (გარდა კოლხიდის ზონისა) აწარმოებენ დარგვამდე 4-5 თვით ადრე, რათა ნიადაგი დაჯდეს და ოდნავ დაიტკეპნოს.

5^0-ზე მეტ დაქანებებზე, ნიდაგის ჩამორეცხვის თავიდან აცილების მიზნით, ნიადაგს ამუშავებენ ზოლებად, თუ ზოლების ნარგაობების რიგებში განლაგებული უნდა იქნეს ჰორიზონტალურად და ბაქნებად – როდესაც ტყის ზოლი გადის ფერდობებზე ზევიდან ქვევით. დარგვამდე ორი თვით ადრე დამუშავებულ ზოლზე აწარმოებენ ნაკვეთის დაგეგმვას, პალოებით აღნიშნავენ ხისა და ბუჩქის ჯიშების დარგვის ადგილებს.

ადგილების დანიშვნისთანავე წარმეობს 60 სმ დიამეტრისა და 40 სმ სიღრმის ორმოების ამოღება. დარგვამდე ორი კვირით ადრე ორმოში ყრიან ჰუმუსიან მიწას.

საცავი ტყის ზოლების გასაშენებლად გამოიყენება სახელმწიფო, საოჯახო, ფერმერული და კოოპერატიული მეურნეობის, სატყეო მეურნეობების სანერგეებში აღზრდილი თესლნერგები და ნერგები.

დარგვისათვის განოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ კარგად განვითარებული, ვარგისი თესლნერგები და ნერგები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიწისზედა ნაწილისა და ფესვთა სისტემის ერთმანეთთან შეფარდებას. ყველა შემთხვევაში ფესვთა სისტემა უნდა იყოს კარგად განვითარებული, ფუნჯჯა და სიგრძით პროპორციულად უნდა შეეფერებოდეს თესლნერგის ან ნერგის მიწისზედა ნაწილს.

ფოთლიან ჯიშებს და აგრეთვე ჭაობის კვიპაროზს რგავენ ერთწლიან თესლნერგებად ან ნერგებად შიშველი ფესვებით. წიწვიანები – ფიჭვი, სოჭი, ნაძვი, სექვოა, კედარი, კრიპტომერია და კვიპაროსები, აუცილებლად მიწის გუნდათი ირგვება ერთწლიან ხავსში შეფუთულ ან სამ-ოთხწლიან გადასკოლებულ ნერგებად. ფიჭვებს და აგრეთვე კრიპტომერიას და ლავზონიის კვიპაროსს – რგავენ აგრეთვე ორწლიან თესლნერგებად შიშველი ფესვებით იმ შემთხვევაში, როდესაც ფესვთა სისტემა კარგადაა განვითარებული, დარგვის ადგილი არაა დაშორებული სანერგიდან და უზრუნველყოფილია მორწყვით.

ვერხვები დაირგვება კალმების დასაფესვიანებლ პლანტაციებში აღზრდილ ერთ-ორწლიან ნერგებად.

ტყის ზოლებში სოკოვანი დააავადებებით და მავნებლებით დაავადებულ სარგავი მასალის დარგვის თავიდან აცილების მიზნით. სანერგიდან მიღებული სარგავი მასალა აუცილებლად უნდა გატარდეს საკონტროლო კარანტინში, ან მოხდეს ნერგების წინასწარი დამუშავება დარგვის წინ.

სანერგეებმა, რომლებიც სარგავ მასალას გასცემენ ტყის ზოლების გასაშენებლად, სარგავი მასალის ამოღებამდე უნდა მიიღონ საკარანტირო ინსპექციიდან სათანადო საბუთი (სერტიფიკატი),საკარანტირო დაავადბებისა და მავნებლების არ აღმოჩენის შესახებ..

მცენარეთა დარგვა ტყის ზოლებში რეკომენდებულია ჩატარდეს ძირითადად შემოდგომით და ადრე გაზაფხულზე.

საშემოდგომო დარგვა შეიძლება წარმატებულ იქნეს მხოლოდ როდესაც ნიადაგი საკმაოდ ტენიანია; მშრალ ნიადაგებში დარგვა დაუშვებელია.

ტყის დაგრგვის საგაზაფხულო სამუშაოები დაწყებული უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად ადრე, როდესაც ამის საშუალებას იძლევა ნიადაგის მდგომარეობა და დამთავრდეს უმოკეს ვადებში ვეგეტაციის დაწყებამდე.

ფოთლიანი ჯიშები შეიძლება დაირგოს როგორც გაზაფხულზე, ისე შემოდგომაზე ყინვების დაწყებამდე დაახლოებით ორი კვირით ადრე. წიწვიან ჯიშებს, როგორც წესი, მხოლოდ გაზაფხულზე რგავენ გაშიშვლებული ფესვებით 15 მარტიდან 15 აპრილამდე; ხოლო მიწის გუნდათი 1 მარტიდან 15 აპრილამდე; ხავსში შეფუთული წიწვიანი ჯიშის ნერგის დარგვა შეიძლება 1 მარტიდან 1 მაისმადე.

ნაჩვენები ვადები ზონალობისა, კლიმატური პირობებისა და მოცემული რაიონის სხვა თავისებურებების მიხედვით შეიძლება გადაწეული იქნეს 15 დღით ერთ ან მეორე მხარეზე.

ხისა და ბუჩქის ჯიშების თესლნერგებისა და ნერგების დარგვა წარმოებს როგორც ხელით, ისე სარგავი მანქანებით.

დარგვის დროს დაცული უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი მოთხოვნები:

ა) სანერგეებიდან დარგვის ადგილზე მიტანილი სარგავი მასალა მაშინვე უნდა იქნეს მიფლული, მიფვლის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ აცდენილი იქნეს ფესვებზე ქარისა და მზის მოქმედება.

ბ) სარგავი მასალი მიფვლის ადგილიდან დარგვის ადგილზე მიტანა უნდა მოხდეს ძალიან ფრთხილად ტრანსპორტის საშუალებით.

გ) დარგვის წინ სარგავი მასალა გულმოდგინედ უნდა გაისინჯოს დახარისხდეს, და მოსცილდეს დაზიანებული თესლნერგი და ნერგი;

დ) სარგავი მასალის მიტანის დროს თესლნერგისა და ნერგის ფესვები უნდა იყოს ტენიანი;

ე) თუ სარგავ მასალას (ფოთლიან ჯიშებს) ზედმეტად გრძელი ფესვები აქვს , საჭიროა მათი შეკვეცა ბასრი იარაღით (სეკატორით, ბასრი დანით ან კარგად გალესილი ცულით); არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ფესვების დაწყვეტა ან დაჭეჭყვა; წიწვიან ჯიშებს შეიძლება შეეჭრას მხოლოდ ქვედა ტოტები;

ვ) წიწივიან ჯიშების მიწის გუნდას შესაფუთი მასალა უნდა მოსცილდეს დასარგავ ორმოსთან, უშუალოდ დარგვის წინ;

ზ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ თესლნერგისა და ნერგის ფესვები ჩაშვებულ იქნეს ორმოში მთელ სიღრმეებზე ისე, რომ არ მოხდეს ფესვის დაკეცა ან დახვევა და მჭიდროდ იყოს ჩაჭერილი მიწაში;

თ) დარგვისთანავე მცენარეები უნდა მოირწყას უხვად, მიუხედავად ნიადაგის ტენიანობისა და, აგრეთვე ჯამებს უნდა გადაეფაროს (დამულჩვა) მცენარეული მასალა, მიწა და სხვა, ამასთან, ჩატარდეს ნიადაგის გაფხვიერება ზოლის მწკრივთაშორისებში.

ი) დარგვის დროს ფესვის ყელი უნდა მოვაქციოთ ნიადაგის ზედაპირს ქვევით; გაზაფხულზე 3-4 სმ სიმაღლეზე. შემოდგომაზე 4-5 სმ, ხოლო იმ რაიონებში, სადაც მოსალოდნელია ნიადაგის ზედაფენის გამოქარვა 7-8 სმ სიღრმეზე.

ნარგაობების კარგი ზრდა-განვითარების უსზრუნველსაყოფად მათი მოვლა დაწყებული უნდა იქნეს დარგვიდან და გაგრძელდეს ხეების ვარჯის სრულ შეკვრამდე როგორც მწკრივებში, ისე მწკრივთაშორისებში.

ტყის ზოლების მოვლა მდგომარეობს მწკრივებში და მწკრივთაშორისებში სისტემატურ ნიადაგის გაფხვიერებაში საგაზაფხულო-საზაფხულო პერიოდში არაღრმად, ხოლო საზამთრო-საგაზაფხულო პერიოდში უფრო ღრმად.

აღმოსავლეთ საქართველოს გვალვიან რაიონებში დაცვითი ტყის ზოლების თავისუფალ ნაპირებზე, რეკომენდებულია პირველ ორ წელიწადს მაღალღეროიანი კულტურების (სიმინდი, მზესუმზირა, სორგო) თესვა ამ კულტურების ღეროების დატოვებით თოვლის დაგროვებისა და ახალგაზრდა მერქნიანი მცენარეების გაყინვისაგან დაცვის მიზნით.

როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის ნარგაობებში ნიადაგის პირველი მოვლა პირველ სავეგეტაციო პერიოდში უნდა ჩატარდეს საგაზაფხულო დარგვის დამთავრებისთანავე, 15 აპრილიდან სარეველების გაჩენისაგან დამოუკიდებლად.

შემდეგი მარგვლა და გაფხვიერება გაზაფხულის განმავლობაში უნდა ჩატარდეს ამინდისა და სარეველების გამოჩენის მიხედვით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ სარეველების განვითარება, რადგან შემდგომში ძლიერ გაძნელდება მათთან ბრძოლა, ნიადაგის გაფხვიერების დაგვიანება იწვევს ნიადაგის ტენის ზედმეტად დაკარგვას და ახალგაზრდა ნარგაობებეის ზრდის შესუსტებას.

პირველ წელს უნდა ჩატარდეს არა ნაკლებ 5 გაფხვიერებისა მწკრივთაშორისებში და 3 გამარგვლა მწკვრივებში, რადგან ამ დროს ნარგაობა არ არის მომაგრებული და მეტ მოვლას საჭიროებს.

პირველი და შემდგომი მოვლა უნდა ჩატარდეს დაახლოებით შემდეგ ვადებში, რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს სარეველების განვითარებასთან და ნიადაგის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

1-ლი მოვლა – აპრილის მეორე ნახევრიდან შუა მაისამდე

მე-2 „---მაისის ნახევრიდან შუა ივნისამდე

მე-3 „----ივნისის ბოლოდან ივლისის ბოლომდე

მე-4 აგვისტოს განმავლობაში.

მე-5 „--სექტემბრის განმავლობაში.

ზოლების წარმატებით ზრდისათვის რეკომენდებულია მერვე წლიდან ხეების ვარჯის შეკვრამდე ჩატარდეს არა ნაკლებ ოთხი მოვლისა.

ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში ნიადაგში ტენის დაგროვების მიზნით – აღმოსავლეთ რაიონებში და აგრეთვე ნარგაობების საუკეთესო განვითარების მიზნით – ყველა რაიონში ყოველწლიურად, პირველი წლიდან ხეების ვარჯის როგორც მწკრივებში, ისე მწკრივთაშორისებში შეკვრის დაწყებამდე, უნდა ჩატარდეს ნიადაგის პირწმინდა დამუშავება მწკრივთაშორისებში 16-18 სმ სიღრმეზე, ამ სამუშაოს 15 მარტამდე დამთავრებით – დასავლეთ რაიონებში, 1 აპრილამდე აღმოსავლეთ რაიონებში.

ნიდაგი ზოლებში მუდმივად უნდა იყოს შავი ანეულის მდგომარეობაში, მწკრივთასრისებში ნიადაგის გაფხვიერების სიღრმე განისაზღვრება დასარევლიანების სიძლიერით, მათი განვითარებითა და ნიადაგის მდგომარეობით.

აღმოსავლეთ საქართელოს გვალვიან პირობებში არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ დაცვით ზოლებში სარეველების ზრდა და მითუმეტეს მათი მომწიფება მოსათიბად.

თუ ნიადაგი ოდნავ დატკეპნილია და სარეველები სუსტადაა განვითრებული, საკმაისია არა ღრმად 5-6 სმ სიმაღლეზე გაფხვიერება, რაც უზრუნველყოფს სარეველების მოჭრას და ნიადაგის ზედაპირის გაფხვიერებას; მიტოვებულ ნარგაობებში, სადაც ნიადაგი ძლიერ დატკეპნილია და სარეველები მძაფრადაა განვითარებული, საჭიროა უფრო ღრმა 8-10 სმ სიმაღლეზე გაფხვიერება.

2 და 2,5 მეტრი სიგანის მწკრივთაშორისებში ნიადაგის დამუშავებას აწარმოებენ მექანიზებულად – ტრაქტორების საშუალებით; 1,5 მეტრი სიგანის მწკრივთაშორისებში – ცხენის კულტივატორებით, ხოლო 1 მეტრი სიგანისას – თოხით.

ტყის ზოლის დარგვის მეორე წელს აწარმოებენ ნარგაობების რემონტისა და დანაკლისის შევსებას. პირველი სავეგეტაციო პერიოდის შემოდგომაზე ან გაზაფხულზე შევსებას აწარმოებენ იმავე ჯიშებით, რომლებიც დაიღუპა.

თუ ზოლის გშენების დროს დაშვებულია გდახრა შერევის სქემებიდან ან ჯიშთა ასორტიმენტიდან, შევსება უნდა იქნეს წარმოებული ზოლის გუმჯობესების მიზნით და იქ, სადაც ეს საჭიროა, უნდა დაემატოს რიგები ერთრიგიან ან ორრიგიან ზოლებში.

შევსება უნდა ჩატარდეს ორ-სამ და ოთხწლიან კარგად განვითარებული ნერგებით, რომლებიც არ უნდა იყოს შესავსებ ნარგაობებზე ნაკლები ზომისა.

შევსება უნდა ჩატარდეს ზოლის არა მარტო ერთ-ორწლიან ნარგაობებში, არამედ მეტი ხნის ზოლებშიც (3-6 წლის), რომელიც არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არიან და მოითხოვენ შევსებას.

შესავსებად განკუთვნილი ზოლები წინასწარ უნდა იქნეს გაწმენდილი სარეველბისაგან, აგრეთვე უნდა ჩატარდეს ნიადაგის პირწმინდა გადაბარვა ან ხვნა, თუ ემატება რიგები, ან 1 კვ. მეტრ ბაქნების ან არა ნაკლებ 45 სმ სიღრმის ორმოების მომზადება (60X40 სმ) შესავსებ მწკრივებში.

ნიადაგის დამუშავებისა და ნერგების დარგვის დანარჩენი სამუშაოები ჩატრდება ისევე, როგორც ახლად გაშენებულ ზოლებში.

შეკრულ ტყის ზოლებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა ნაცვლად ტარდება სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები: გაწმენდა, გამოხშირვა.

პირველ წლებში მოვლის მეტყეური ღონისძიებები გამოიხატება კორომების სწორ ფორმირებასა და მთავრი ჯიშების სიმაღლეზე ზრდისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფაში.

გაწმენდისა და გამოხშირვის ჩატარების დროს ნარგაოებებიდან გამოაქვთ პირველ რიგში გამხმარი, ხმობადი და დაზიანებული ეგზემპლიარები. ამ ღონისძიებას ამავე დროს აქვს სანიტარული მნისვნელობა.

როგორც გაწმენდის, ისე გამოხშირვის დროს მკაცრად უნდა მიექცეს ყურადღება, რომ არ იქნეს დარღვეული ზოლის შეკრულობა, რადგან გადამეტებით გათხელების შემთხვევაში წარმოიქმნება არასასურველი ფართო თავისუფალი ადგილები, რომლებშიც შეიჭრება ქარი.

მედიცინა

ავთანდილ კურდღელაძე, ფერია კურდღელაძე

ადამიანთა დაავადებები და მისი ფიტოთერაპია

(გაგრძელება, დასაწყისი ჟურნალ „ათინათის“ №32-ში)

ნევროზი – ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადება, რომელსაც თან სდევს შინაგანი ორგანოების ფუნქციის მოშლა (ნერვული ქსოვილის ანატომიური აგებულებების თვალსაჩინო ცვლილებების გარეშე), ნივთიერებათა ცვლის პროცესების დარღვევა და სხვა. გვხვდება ვეგეტონევროზიც – ვეგეტატიური ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადება.

სამკურნალოდ გამოიყენება — ფურისულა, შავბალახა, კატაბალახა, ბარამბო, არყის ხე, სვია, ტირიფი.

ნეფრიტი – თირკმელის ანთება. არჩევენ: დიფუზურ გლომერულო-ნეფრიტს, რომლის მწვავე ფორმა მიმდინარეობს ჰიპერტონიით, შეშუპებით, ჰემატურიით და სუსტად გამოხატული ალბუმინურიით. ქრონიკული ფორმა კი თირკემელების პროგრესირებადი ანთებაა, რასაც მოჰყვება თირკემელების უკმარისობა. კეროვანი ნეფრიტი, როდესაც ანთებითი პროცესი შემოფარგლულია. ახასიათებს მკაფიოდ გამოხატული ჰემატურია და მცირეოდენი ალბუმინურია შეშუპებისა და ჰიპერტონიის გარეშე.



სამკურნალოდ გამოიყენება: ასკილი, ვაზი, ძირტკბილა.

ნიკრისისქარი (პოდაგრა) – გამოწვეული ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარღვევით, ახასიათებს შარდმჟავა მარილების დალექცა სახსრებსა და ქსოვილებში, რაც იწვევს სამოძრაო აპარატის ფუნქციის პერიოდულ ან მყარ დარღვევას.

სამკურნალოდ გამოიყენება: კავკასიური სურო, კაკალი, კოწახური, ვერხვი, მურყანი, ორკბილა, ტირიფი.

პერიტონიტი – მუცლის სეროზული გარსის პერიტონიუმის ანთება. შეიძლება იყოს მწვავე ან ქრონიკული, გავრცელების მიხედვით კი ადგილობრივი ან გავრცელებული. მწვავე პერიტონიტის დამახასიათებელია მუცლის შებერვა, ძლიერი ტკივილი, გულის რევა, ღებინება, პულსისა და სუნთქვის გახშირება.

სამკურნალოდ გამოიყენება: მოცვი.

პროსტატიტი – წინამდებარე ჯირკვლის ანთება.

სამკურნალოდ გამოიყენება: თხილი, ქრონიკული პროსტატისათვის: ოფი.

პნევმონია – ფილტვების ანთება. თავისთავადი ინფექციური დაავადება ან სხვა ავადმყოფობის, უმთავრესად ინფექციური დაავადების გართულება.

სამკურნალოდ გამოიყენება: ასკილი, ჟოლო.



პლევრიტი – პლევრის ანთება. მეტწილად ის მეორადი გამოვლინებაა ფილტვის ან სხვა ორგანოებისა და სისტემების დაავადებების დროს.
პლევრიტი რამდენიმე სახისაა: პლევრიტი დიაფრაგმული, ადჰეზიური, ექსუდაციური, ინტერლობური, მშრალი და ჩირქოვანი.
სამკურნალოდ გამოიყენება: მატიტელა, მრავალძარღვა, შვიტა მინდვრის, ტირიფი.
პოლინევრიტი – რამდენიმე ნერვის ერთდროული ანთება, გვხვდება რამდენიმე სახის ინტოქსიკაციისა და ინფექციის დროს.
სამკურნალოდ გამოიყენება: თეთრყვავილა კავკასიური.

რადიკულიტი – ზურგის ტვინის ნერვთა ფესვების ანთება.
სამკურნალოდ გამოიყეენება: არყის ხე, ორკბილა, ფითრი.
რაქიტი – ორგანიზმის საერთო დაავადება, გამოწვეულია D ვიტამინის და მზის სხივების უკმარისობით. იწვევს კალციუმისა და ფოსფორის ცვლის მოშლას, რის გამოც ირღვევა ძვლების მინერალიზაცია. ავადდებიან ბავშვები 1-3 წლის ასაკში (უპირატესად ზამთრის პერიოდში), ზოგჯერ კი სქესობრივი მომწიფების დროს. რაქიტით დაავადებულ ბავშვებს შეფერხება აქვთ ყიფლიბანდის შეზრდა ქალაზე და კბილების ამოსვლა, ურბილდებათ ქვედა კიდურების ძვლები და სხეულის სიმძიმის გამო ასო O-ს ან X-ის ფორმას ღებულობს. აღენიშნებათ ნეკნების გასქელება – ე.წ. კრიალოსანი. გულმკერდი იცვლის ფორმას. მკურნალობს კომპლექსურია და მიმართულია ორგანიზმში D ვიტამინის დეფიციტის შევსებისაკენ.



სამკურნალოდ გამოიყენება: კაკალი, ორკბილა, ქართული მუხა.
რევმატიზმი – ორგანიზმის შემაერთებელი ქსოვილია (უპირატესად სახსრებისა და გულსისძართვთა სისტემია) ავტოიმუნური დაზიანებით მიმდინარე ინფექციურ-ალერგიული დაავადება. დაავადება უფრო ხშირად ბავშვობის ან მოზარდობის ასაკში იწყება. კლინიკური მოვლენები დამოკიდებულია რევმატიზმის ფორმაზე. გულის დაზიანება რევმატიზმის მთავარი გამოვლინებაა. პრაქტიკულად რევმატული მიოკარდიტი ყველა ავადმყოფს აქვს. პოლიართრიტი აქვს რევმატიზმიან ავადმყოფთა დაახლოებით ნახევარს. რევმატული სეროზიტიდან ყველაზე ხშირია მშრალი და ექსუდაციური პლევრიტი. რევმატიზმის აქტიურ ფაზაში შეიძლება იყოს კანზე გამონაარი. ხშირია თირკმელების პანერქიმის დაზიანების სიპტომები. ცენტრალური ნერვული სისტემის რევმატული დაზიანება.

სამკურნალოდ გამოიყენება: აბზინდა, დიდგულა, ძაღლის სატაცური, კავკასიური სურო, დაფნა, კოწახური, ულმუხო, სფერული ევკალიპტი, არყის ხე, ვერხვი, მურყანი, ორბილა, ოფი, ფარსმანდუკი, შვიტა მინდვრის, იფანი.

რინიტი, სურდო – ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება. ახასიათებს ლორწოს დიდი რაოდენობით გამოყოფა და ცხვირით სუნთქვის მოშლა.

სამკურნალოდ გამოიყენება: აღმოსავლური ნაძვი.

სკლეროზი – სხვადასხვა ორგანოს ან ქსოვილის ავადმყოფური გამკვრივება, რასაც იწვევს ფუნქციური ელემენტების კვდომა და მათი შეცვლა შემაერთებელი ქსოვილით.

სამკურნალოდ გამოიყენება: ორკბილა.

სტენოკარდია – მწვავე, შეტევითი ტკიბილი გულის არეში (გულის ანგინა). ტკივილი ლოკალიზდება მკერდის ძვლის უკან ან მისგან მარცხნივ, იშვიათად – გულის კოვზთან უმეტესად ირარიდება მარცხენა და წინა მხარში, მარცხენა ბეჭში, კისერზე.

სამკურნალოდ გამოიყენება: ბაღის პიტნა, სვია, შავბალახა.

სტომატიტი – პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება. ანთებითი პროცესის ლოკალიზაციის მიხედვით სტომატიტი იყოფა: 1. ანთებად, რომელიც ღრძილებზე ლოკალიზდება – გინგივიტი; 2. ღრძილის დვრილების ანთებად – პაპილიტი; 3. ტუჩების ანთებად – ჰეილიტი; 4. ენის ანთებად – გლოსიტი; 5 სასის ანთებად – პალატინიტი.

სამკურნალოდ გამოიყენება: კაკალი, კრაზანა, ფარსმანდუკი.

ტიფი – რამდენიმე მწვავე ინფექციური დაავადების საერთო სახელწოდება (მუცლის ტიფი, პარტახტიანი ტიფი, შებრუნებითი ტიფი, პარატიფი),რომელთა მძიმე მიმდინარეობის დროს ცნობიერება იბინდება.

სამკურნალოდ გამოიყენება: კატაბალახა, მოცვი.

ტონზილიტი – ნუშურების ჰიპერპლაზია და ქრონიკული ანთება. კლინიკურად ახასიათებს სუბ ფებრილური ტემპერატურა, ყელში სიწითლე, ლაკუნებში ზოგჯერ ჩირქიც.



სამკურნალოდ გამოიყენება: კრაზანა.

ტრაქეიტი – სასულეს ლორწოვანი გარსის ანთება.

სამკურნალოდ გამოიყენება: სფერული ევკალიპტი, კულმუხო.

ტუბერკულოზი – ინფექციური დაავადება, გამოწვეულია ტუბერკულოზის მიკობაქტერიებით. ყველაზე ხშირია ფილტვის ტუბერკულოზი. ტუბერკულოზით შეიძლება დაზიანებული იყოს კანი, ლიმფური კვანძები, ძვლები, შარსასქესო ორგანოები და ყველა ის ორგანო, სადაც შეიჭრება დაავადების აღმძვრელი.

ფილტვის ტუბერკულოზის ნიშნებია: საერთო მდგომარეობის გაუარესება, სიცხის მომატება, ხველა (ზოგჯერ სისხლიანი ნახველი), პროგრესირებადი სიგამხდრე, ნახველში ტუბერკულოზის მიკობაქტერიების არსებობა.

სამკურნალოდ გამოიყენება: კაკალი, კულმუხო, არყის ხე, მრავალძარღვა, ორკბილა, ქერიფქლა, შვიტა, ჭინჭარი, ჭინჭრის დედა.

ფრონტიტი – შუბლის წიაღის ანთება.

სამკურნალოდ გამოიყენება: ქართული ყოჩივარდა.

ფსორიაზი – კანის არაგადამდები ქრონიკული დაავადება. ახასიათებს მოვერცხლისფრო-მოთეთრო ქერცლით დაფარული წითელი ლაქების განვითარება.

სამკურნალოდ გამოიყენება: ასკილი, ორკბილა.

ფურუნკული (ძირმაგარა) – კერა, ბუდე – თმის ბუდის, ცხიმის ჯირკვლებისა და მის ირგვლივ ქსოვილის მწვავე ჩირქოვანი ანთება.

ფურუნკულის და საერთოდ ჩირქოვანი მუწუკების **სამკურნაოდ გამოიყენება:** კავკასიური სურო, ცაცხვი, კაკალი, კატაბარდა, სფერული ევკალიტი, მრავალძარღვა, სვია, ქერიფქლა, ძახველი, ტირიფი.

ქოლეცისტიტი – ნაღვლის ბუშტის ანთება. იწვევს ინფექცია ან ნაღველ-კენჭოვანი დაავადება. ავადმყოფობა მიმდინარეობს მწვავედ, ქვემწვავაედ ან ქრონიკულად. ავადმყოფობა მიმდინარეობს მწვავედ, ქვემწვავედ ან ქრონიკულად. ავადმყოფი უჩივის მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში ტკივილს, რომელიც გადაეცემა უკანა მარჯვენა ბეჭის არესი ან მარჯვენა მხრის ზედა ნაწილში, ანდა გულის კოვზთან. დაავადება ახასიათებს სუბფებრილური ან უფრო მაღალი ტემპერატურა, გულისრევა, ღებინება, ზოგჯერ სიყვითლე და სხვა.

სამკურნალოდ გამოიყენება: ასკილი, აკაცია, კოწახური, მრავალძარღვა, ნეგო, ქრისტესისხლა, ძახველი.

ყივანახველა – ბავშვის ასაკის მწვავე გადამდები დაავადება. მიმდინარეობს საწყის პერიოდში ზედა სასუნთქი გზების კატარით, რის შემდეგაც ვითარდება კრუნჩხვითი ხველების შეტევები.

სამკურნალოდ გამოიყენება: თავშავა, კულმუხო.

შიზოფრენია – მძიმე ფსიქიკური დაავადება. ძირითადად ახასიათებს დაუკავშირებელი მეტყველება, გარემოდან მოწყვეტა, კარჩაკეტილობა, ბოდვა, ჰალუცინაციები, ზოგ შემთხვევაში აკვიატებული აზრები. თანდათან ქვეითდება ფსიქიკური აქტივობა. დაავადება ვლინდება უმეტესად სქესობრივი მომწიფების პერიოდში არც თუ იშვიათად 35-40 წლის ასაკში. მიმდინარეობა ქრონიკულია, ეტიმოლოგია — უცნობი.

სამკურნალოდ გამოიყენება: კავკასიური სოჭი.

ჩიყვი (სტრუმა) – ფარისებრი ჯირკვლის გადიდება. არც თუ იშვიათად მიმდინარეობს ორგანიზმის რიგ ფუნქციურ დარღვევასთან ერთად. ენდემური დაავადების სახით უპირატესად აღინიშნება მთიან ადგილებში. თუმცა ამ ბოლო დროს ბარშიც ხშირი შემთხვევებია.

სამკურნალოდ გამოიყენება: კაკალი, ხურტკმელი.

ცისტიტი – შარდის ბუშტის ანთება.

სამკურნალოდ გამოიყენება: მოცვი, ონტკოფა, არყის ხე, ცაცხვი, ძირკბილა.

წითელი ქარი (ერიზიპელა) – მწვავე ინფექციური დაავადება, რომელსაც ახასიათებს კანის თავისებური ანთება. გამომწვევია წითელი ქარის სტრეპტოკოკი. ავადმყოფობა იწყება კანის შეწითლებითა და სიხცით. პროგნოზი კარგია სათანადო მკურნალობის ფონზე.

სამკურნალოდ გამოიყენება: ასკილი, ოფი, ჟოლო.

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა.
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის განშლადობა

ვთქვათ, R არის ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე, რომელზეც განსაზღვრულია 2π პერიოდული ფუნქცია $f: R \to R$. დავუშვათ $f \in L[-\pi;\pi]$, მაშინ f ფუნქციის ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივს აქვს სახე:

$$f \sim \frac{a_0}{2} + \sum_{n=1}^{\infty}(a_n cosnt + b_n sinnt),$$

ხოლო მის შეუღლებულ ტრიგონომეტრიულ მწკრივს ექნება სახე:

$$f \sim \sum_{n=1}^{\infty}(-b_n cosnt + a_n sinnt),$$

სადაც,

$$a_k = \frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f(t)cosktdt, \qquad b_k = \frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f(t)sinktdt, k\in N.$$

მაშინ ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივის კერძო ჯამს ექნება სახე:

$$S_m(t;f) = \frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi} f(y+t)D_m(y)dt,$$

სადაც

$$D_m(y) = \frac{1}{2} + cosy + \cdots + cosmy = \frac{sin\left(m+\frac{1}{2}\right)y}{2sin\frac{y}{2}},$$

რომელსაც დირეხლეს ბირთვი ეწოდება.

$\{\chi_m(t)\}_{m=1}^{\infty}$-ით ავღნიშნოთ ორთონორმირებული ჰაარის სისტემა, სადაც $t\in[0;1]$.
ჰაარმა დაამტკიცა, რომ თუ $f(t) \in L[0;1]$, მაშინ ფურიე-ჰაარის მწკრივი

$$\sum_{m=1}^{\infty} a_m(f)\chi_m(t),$$

კრებადია თითქმის ყველგან $[0;1]$ შუალედზე $f(t)$ ფუნქციისკენ, სადაც

$$a_m(f) = \int_0^1 f(y)\,\chi_m(y)dy$$

მტკიცდება შემდეგი

ლემა 1. არსებობს 2π-პერიოდული $\{\varphi_n(t)\}_{n=1}^{\infty}$ ფუნქციათა მიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს პირობებს:

1. ფუნქცია $\varphi_n(t) \geq 0$, როცა $t \in [0;2\pi]$, ხოლო ინტეგრალი

$$\int_0^{2\pi} \varphi_n(t)dt = 2 \quad (n = 1,2, \dots);$$

2. $\varphi_n(t)$ ფუნქცია $[0; 2\pi]$ შუალედში გააჩნია შემოსაზღვრული ვარიაცია.
3. ყოველ $\varphi_n(t)$ ფუნქციისთვის შეიძლება შერჩეულ იქნას ისეთი დადებითი რიცხვი M_n, სიმრავლე $E_n \subset [0; 2\pi]$ და q_nმთელი რიცხვი ისეთი, რომ

$$\lim_{n\to\infty} M_n = \infty;$$

$$\lim_{n\to\infty} mes\, E_n = 2\pi$$

ყოველი t წერტილისთვის E_n სიმრავლეში არსებობს $p_n(t)$ ნომერი ისეთი , რომ

$$p_n(t) \leq p_n \text{ და } \left|S_{p_n(t)}(t, \varphi_n)\right| > M_n \qquad (n = 1,2, \dots),$$

სადაც $S_p(t, \varphi_n)$– ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის კერძო ჯამია.

ამ ლემის საფუძველზე მტკიცდება

თეორემა1. (ა.კოლმოგოროვ) არსებობს$\Phi(t) \in L(0; 2\pi)$ ფუნქცია ისეთი, რომ მისი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივი განშლადია თითქმის ყველგან.

თეორემა 2. არსებობს

$$\sum_{m=1}^{\infty} a_m \chi_m(t), \qquad \text{სადაც } \sum_{m=1}^{\infty} a_m^2 < \infty$$

მწკრივი, რომლის შემოსაზღვრული წევრთა შესაბამისი გადაადგილების შემდეგ განშლადია თითქმის ყველგან $[0; 1]$ -ზე.

თეორემა 3. $L^2(0,1)$ სივრცეში, ნებისმიერი $\{f_i\}_{i=1}^{\infty}$ ბაზისისთვის არსებობს $F \in L^2(0,1)$ ფუნქცია ისეთი, რომ მისი ფურიეს მწკრივი

$$F(t) = \sum_{k=1}^{\infty} \alpha_k f_k(t) \quad \left(\alpha_k = (F, \psi_k)\right),$$

რომლის შემოსაზღვრული წევრთა შესაბამისი გადაადგილების შემდეგ განშლადია თითქმის ყველგან $[0; 1]$ -ზე. სადაც $\{\psi_k\}$, არის $\{f_k\}$ სისტემის შეუღლებული სისტემა.

ლიტერატურა

1. П. Л. Ульянов А. Н. Колмогоров и расходящиеся ряд Фурье Успех матю наук. т.38 вып. 4(232) 1983 г.
2. Л. В. Жижиашвили некоторые вопросы теории тригонометрических рядов Фурье и их сопряженных Издательство Тбилисского университета 1993г.

ლალი ქელბაქიანი
ფიზიკა-მათემატიკის მეცნ.აკად..დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
lali_k@inbox.ru

მათემატიკის და ეკონომიკის ურთიერთკავშირის შესახებ

მათემატიკა და ეკონომიკა ორი დამოუკიდებელი მეცნიერებაა, რომელთა კვლევის საგანი და ობიექტი განსხვავებულია. მათემატიკა, როგორც მეცნიერება, ფლობს მძლავრ ანალიტიკურ ინსტრუმენტს სამყაროს და მასში არსებული მოვლენებს შორის კავშირების შესასწავლად. ამიტომ მათემატიკური აპარატი უნივერსალურია მრავალი ამოცანის გადასაჭრელად ცოდნის სხვადასხვა სფეროში, იქნება ეს ეკონომიკა, მედიცინა, ბიოლოგია, ლინგვისტიკა და სხვ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად წერენ მათემატიკის და ეკონომიკის ფუნდამენტურ მსგავსებაზე. ეს მსგავსება გამოიხატება როგორც მათემატიკური, ისე ეკონომიკური კვლევების სიზუსტეში.

ეკონომიკაც და მათემატიკაც შეისწავლის აბსტრაქტულ ობიექტებს, - ყველა მათემატიკური ფორმულა აბსტრაქციაა. თავის მხრივ ეკონომიკური მოვლენები და პროცესები ასევე ეკონომიკური აბსტრაქციებია, რომლებსაც სივრცითი მახასიათებლები არ გააჩნიათ. ამიტომაც გახდა ეკონომიკა მათემატიკის გამოყენებისთვის ნოყიერი ნიადაგი. ეკონომიკური სისტემები საკმაოდ რთულია, მათ ახასიათებს ურთიერთდამოკიდებული ელემენტების სიმრავლე, შიდა და გარე კავშირები, დინამიურობა და განისაზღვრელობა.

მათემატიკის გამოყენება ეკონომიკაში საშუალებას იძლევა:

- გამოვყოთ და ფორმალურად აღვწეროთ ეკონომიკურ ობიექტებსა და ცვლადებს შორის ყველაზე არსებითი კავშირები;
- საწყისი მონაცემების და დამოკიდებულებების მკაფიო ფორმულირების შემდეგ დედუქციის გზით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები შესასწავლი ობიექტების შესახებ;
- მათემატიკური მეთოდების გამოყენებით და ინდუქციური მსჯელობით მივიღოთ ახალი ცოდნა შესასწავლი ობიექტის შესახებ, შევაფასოთ სიდიდეებს შორის დამოკიდებულება და ფორმა;
- მათემატიკა ეკონომიკური კონცეფციების ზუსტად და კომპაქტურად ფორმულირების გზაა.

სხვადასხვა სახის პროცესის და მოვლენის ფორმალიზაციას ეკონომისტები ახდენენ მათემატიკური მოდელებით. ასეთი ფორმალიზაციის საშუალებით შეიძლება

შეფასდეს ეკონომიკურ ობიექტებზე (სიდიდეებზე) ზემოქმედების შესაძლო შედეგები, ასევე ეს შეფასება გამოიყენონ პროცესის მართვაში.

მრავალრიცხოვანმა ეკონომიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ სიდიდეები (მაგ. საქონლის ფასი და მასზე მოთხოვნა, ფირმის მოგება და წარმოების მოცულობა, ინფლაცია და უმუშევრობა და ა.შ.) ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. აქ განიხილება ორი ტიპის კავშირი: დეტერმინისტული (ფუნქციონალური) და სტოქასტური. მათემატიკური მოდელის შემუშავებისას ეს დათვალისწინებული უნდა იყოს. ეკონომიკაში ფართოდ გამოიყენება ფუნქციონალური დამოკიდებულება სიდიდეებს(ცვლადებს) შორის. სწორედ ფუნქციების საშუალებით მოდელირდება და შეისწავლება რაოდენობრივი და თვისობრივი კავშირები სხვადასხვა ეკონომიკურ მახასიათებელს შორის. მათემატიკაში უფრო მეტად შემუშავებულია დეტერმინისტული კავშირების აღწერის მეთოდები, თუმცა ეკონომიკაში დომინირებს სტოქასტური კავშირები, განსაკუთრებით მიკრო-დონეზე. მიკროეკონომიკური სისტემები გამოირჩევა განუსაზღვრელობით, ეს კი მოითხოვს ისეთი მათემატიკური აპარატის შექმნას, რომელიც ამ განუსაზღვრელობას გაითვალისწინებს - მათემატიკური სტატისტიკა, თამაშთა თეორია, მასობრივი მომსახურეობის თეორია და ა.შ.

ამრიგად, მათემატიკასა და ეკონომიკას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. 21-ე საუკუნისთვის დამახასიათებელი განვითარების სწრაფი ტემპი, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მრავალფეროვანი შიდა და გარე კავშირები კიდევ უფრო თვალნათელს ხდის მათემატიკური აპარატის გამოყენების აუცილებლობას.

ჩვენი ხედვაა ეს მჭიდრო კავშირი დავანახოთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს, მომავალ სპეციალისტებს. ამით იყო განპირობებული ცვლილებები სილაბუსში, სადაც კლასიკური უმაღლესი მათემატიკის საკითხების წილი შემცირდა გამოყენებითი მათემატიკის ხარჯზე. მომავალი სპეციალისტისთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ როგორ მიიღეს ესა თუ ის ფორმულა, არამედ ის, თუ როგორ კავშირებს აღწერს ეს ფორმულა და როგორ შეოძლება გამოიყენოს ის თავის საქმეში. მომავალში კიდევ საჭიროა მუშაობა იმ მიმართულებით, რომ სტუდენტებს შევასწავლოთ გამოყენებითი მათემატიკის სხვა მიმართულებებიც: თამაშთა თეორია, მათემატიკური სტატისტიკა, იმიტაციური მოდელირება.

ნორჩი ათინათელები

167-ე საჯარო სკოლის მკითხველთა კლუბი „მთიები"

ანანო ნიშნიანიძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

ენის დანიშნულება

ჩვენ ხშირად არ ვფიქრობთ ენაზე, მაგრამ მაინც გვიჩნდება კითხვა: რა გზა გამოიარა მან, რომ აქამდე მოსულიყო? ცნობილია, ენის დანიშნულებას, პირველყოფილი ადამიანებიდან დღემდე, ადამიანებს შორის ურთიერთობა წარმოადგენს.. თურმე, როდესაც განსხვავებულ ენებში ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვები მოიძებნება, ენათა ნათესაობა ჰქვია. ჩვენთვის ცნობილია, რომ არსებობს მკვდარი და ახალი, მდიდარი და ღარიბი ენები. მაგრამ ბევრ მკვდარ ენას ახლაც იყენებენ. დიდი გზა გამოიარა მან... შეიცვალა მნიშვნელობა სიტყვებისa, შეიცვალა გამოთქმები. რამდენს უნდოდა მისი წართმევა და განადგურება. რამდენი ადამიანი ამახინჯებს თავის ენას, იმის გამო, რომ თავის დროზე სწორად არ ისწავლა და ვერ ხვდება, რომ ამით მის არსებობასა და სიწმინდეს საფრთხეს უქმნის..

ერეკლე ხმალაძე
თბილისი 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

ფიქრები ენაზე

ხშირად მებადება კითხვები, როგორც ჩემი მშობლიური, ასევე სხვა ენების შესახებ.

იმ ენებიდან, რომლებსაც სკოლაში ვსწავლობ (ინგლისური, რუსული), ქართული უნიკალურია, როგორც იწერება, ისე იკითხება.

ვარაუდობენ, რომ ბევრი ენა გადაშენების პირასაა. მოვიძიე მასალა და აღმოვაჩინე ინფორმაცია ორ მათგანზე:

1. **ბიკია** – მასზე, თურმე, მხოლოდ 87 წლის ქალი საუბრობს, ის კამერონისა და ნიგერიის მოსაზღვრე სოფელში ცხოვრობს;
2. **სუსუამი** – ამ ენაზე ორი ოჯახი საუბრობს, ისინი მოროვიის პროვინციის მკვიდრნი არიან.

ისიც შევიტყვე, რომ იუნესკომ შექმნა გაქრობის პირას მყოფი ენების კატალოგი, რომელშიც შესულია ლაზური და წოვა – თუშური.

საერთო წარმოშობის მქონე ენები მონათესავე ენების ოჯახს ქმნიან. ასეთებია: მაგ: ინდოევროპული, სემიტური, იბერიულ – კავკასიური, უნგრულ – ფინური, თურქული.

მე – 20 საუკუნიდან ქართულ ენაში გაჩნდა უამრავი ახალი სიტყვა (ექაუნთი", ,,ლინკი", ,,ინსტალაცია" და სხვ.) ტერმინი და ჟარგონი.

ვფიქრობ, რომ ქართულში ვერ მოინახა მათი შესატყვისები და ეს არის მიზეზი.

დღესდღეობით, ქართულ ენას მსოფლიო დომინანტ ენასთან – ინგლისურთან, მჭიდრო ურთიერთობა აქვს, და, შესაბამისად, ეს ზეგავლენასაც ახდენს ქართულზე.

ლიზი ლეკიშვილი
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

ფიქრები ენის სამყაროზე

ენის შესახებ, პატარაობისას, არაფერი ვიცოდი, მიხარია, რომ, დღეს, ბევრ საინტერესო ინფორმაციას ვფლობ, მიმაჩნია, რომ ეს მასწავლებლის, მშობლებისა და ჩემი შრომისმოყვარეობის დამსახურებაა.

ენა ვენახია, რომელშიც ახალ ყურძენს ვკრეფთ და ახალ ინფორმაციას ვიღებთ მის შესახებ.

მან ბევრი გზა გამოიარა, რათა ადამიანებს კომუნიკაცია შეძლებოდათ. ენა რამდენჯერ შეიცვალა, გარდაიქმნა და ზოგიერთმა სიტყვამაც შეიცვალა თავისი მნიშვნელობა, ის, უძველეს დროში, იხაზებოდა ქვებზე, ხეებზე და იკაწრებოდა გამოქვაბულების კედლებზე.

საინტერესო ფაქტს წავაწყდი, წავიკითხე, რომ ერთი მოხუცი ქალი ოც ენაზე საუბრობს და არ იცის საიდან ან როგორ ისწავლა ისინი.

ენამ ასწავლა ადამიანებს ცოდნა–განათლების მნიშვნელობა, ასწავლა კულტურა და პატივისცემა.



ლუკა ჩაჩანიძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

ხატვიდან დამწერლობამდე

ადამიანმა პირველად ხატვა დაიწყო, მერე დაიხვეწა და შეიქმნა დამწერლობა. ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ მოაღწიეს უძველესი დროის ნახატებმა ჩვენამდე. როგორი გამძლეობა და ნებისყოფა ჰქონია ადამიანს, ვინც დამწერლობა შექმნა. ჩემი აზრით, მან წერა ასწავლა თავისი დროის საზოგადოებას, მისი ცოდნაც კი გადაეცა თაობიდან თაობას.

ზოგიერთი ენა სესხულობს სიტყვებს, ალბათ, სრულყოფილი არ არის, ლექსიკა არ ყოფნის, ზოგიერთი, თურმე, სამწუხაროდ, გაქრა, ზოგიც გადაშენების პირასაა,,,

მუხრან ჭიღლაძე

თბილისის 167-საჯარო სკოლის მოსწავლე

განუმეორებელი

ენის სიწმინდის დაცვა თითოეულ ჩვენგანს ევალება , ის ფასდაუდებელი განძია, ჩემთვის, ყველაფერი, რაც ფასდაუდებელია, განუმეორებელია.

სამყაროში , სხვადასხვა ენამ, ბევრ დაბრკოლებას გაუძლო, რათა ჩვენამდე მოსულიყო: შევიწროებას, სიკვდილს და ასე შემდეგ, მაგრამ მან დღემდე მაინც მოაღწია. .

თურმე, როდესაც გადაშენდება რომელიმე ერი, მასთან ერთად მისი ენაც კვდება.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ქართული ენა და დამწერლობა შევინარჩუნოთ და არ მივცეთ მისი განადგურების უფლება არავის.

ზეიკიძე თინათინი

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

ნიადაგს მოწყვეტილი

ზოგიერთ ადამიანს წილად ხვდა, რომ საკუთარი სამშობლო დაეტოვებინა ან იძულებით, ან საკუთარი სურვილით. ჩემი ვარაუდით, ასეთ შემთხვევაში, ენას დავიწყების საფრთხე ემუქრება. ვფიქრობ, რომ ქართველების სამშობლოდან წასვლითა და სხვა ადგილებიდან უცხოელების ჩემოსვლით, ენა იღრევა. ორივე მხარე მოწვეტილია საკუთარ ნიადაგს. ზოგიერთი ადამიანი თანდათანობით ივიწყებს მშობლიურ ადათ-წესებს, მაგრამ, საბედნიეროდ, ყოველთვის არ ხდება ასე. რადგან ადამიანები, ხშირ შემთხვევაში, მცირე თუ დიდ ჯგუფებად არიან გადახვეწილნი და ნიადაგს მოწყვეტილნი ენასაც ინარჩუნებენ.

თამარ ლოევენი
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

ენა და მამული

ქართველები ხშირად იცვლიან საცხოვრებლებს, სხვა ნიადაგს ირგებენ. ეს ხშირად მათი ნებით არ ხდება, ადამიანებს სხვა ქვეყანაში ცხოვრებას გარემო პირობები აიძულებს. ისინი, უცხოეთისკენ, სამუშაოდ, სასწავლებლად ან სხვა მიზეზების გამო მიემართებიან.

ემიგრანტებზე ხშირად მოქმედებს გარემო პირობები ზოგიერთებს თავიანთი მამული, ენა , ავიწყდებათ. ქართველები სხვა ქვეყანაში სახლდებიან, უცხოეთიდან საქართველოშიც ჩამოდიან, ამიტომ ენები ერთმანეთში ირევა, რაც არ არის კარგი. ენა ანგელოზია, რომელიც მუდამ ჩვენთანაა. ენა და მამული პატივსაცემია.

ნათია ადვაძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-8 კლასის მოსწავლე

ჯეიმზ დაშნერი „ლაბირინთში მორბენალი“

წიგნი „ლაბირინთში მორბენალი“ ჯეიმზ დაშნერს ეკუთვნის. იგი ავტორმა ხუთ ტომად გამოსცა. ნაწარმოები მოგვითხრობს, თუ როგორ ცდილობდნენ მოზარდები სამყაროს გადარჩენას. ეს იყო ბრძოლა დაავადების წინააღმდეგ, რომელიც ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა და ამიტომ „ელვარება“ უწოდეს. იგი, 14 წლის წინ, მზეზე აფეთქებებმა წარმოქმნა და ჰაერწვეთოვანი გზით აღწევდა ადამიანთა ტვინში შედეგად, მათ, ფსიქიური პრობლემები ექმნებოდათ. ინფიცირებულ ადამიანებს შიზებს უწოდებდნენ. მთავრობამ, მათი განსაკურნავი წამლის გამოსაგონებლად, შეკრიბა მეცნიერები, რომლებმაც შექმნეს ჯგუფი, „უკეთური“. მათ, მოზარდებს, რომელთაც მიდრეკილება ჰქონდათ დაავადებისკენ, მოუწყვეს გამოცდები, აკვირდებოდნენ მათ ტვინს და მატრიცის შექმნა სურდათ. გამოცდების ნაწილი იყო ლაბირინთი, სადაც მეხსიერებადაკარგული მოზარდები ცდილობდნენ თავის დაცვას, კედლებს მიღმა დამალული გრივერებისაგან. ისინი გასასვლელს ეძებდნენ და იპოვეს კიდეც. უკეთურის რჩეული იყო თომასი, რომელმაც გაიჩინა მეგობრები და მათი დახმარებით ყველა დაბრკოლება გადალახა. გამოცდის მეორე ნაწილი იყო მაყალი, მოზარდებს უსაფრთხო თავშესაფარი უნდა ეპოვათ. მიუხედავად საზარელი დაბრკოლებებისა, მათ ესეც მოახერხეს. თომასმა ამ ბრძოლაში ბევრი მეგობარი დაკარგა, თუმცა მოახერხა წასულიყო შორს, სადაც მოზარდებთან ერთად

ბედნიერად იცხოვრებდა. 13 წლის წინ, მარკმა, მეგობრების დახმარებით, მოახერხა მთავარი საიდუმლოს ამოხსნა. მან გაიგო, რომ, თურმე, მთავრობას მოსახლეობისთვის საკმარისი რესურსი აღარ ჰქონდა და ამიტომ შექმნეს დაავადება, რომელიც ხალხის ნახევარს გაანადგურებდა და ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო მათ მთელი სამყარო დაღუპეს. ამ დაავადებას „ელვარება“ უწოდეს.

ავტორმა ტექსტში გამოიყენა მხატვრული ხერხები, რითაც წიგნი უფრო საინტერესო წასაკითხი გახადა.

ზემოხსენებული ნაწარმოები, ფანტასტიკური და სათავგადასავლო ლიტერატურის ნიმუში, იმდენად საინტერესოა, რომ კითხვას თავს ვერ ანებებ და ცნობისმოყვარეობა გიძლიერდება. მასზე გადაიღეს ფილმი, სადაც მსახიობები როლებს შთამბეჭდავად ასრულებენ. წიგნი, ნიუ—იორკში. ბესტსელერად იქცა.

ნაწარმოები გვასწავლის თანადგომასა და უსამართლობის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას.

„ლიბერთინსი“ არის ჯგუფი, რომელიც ახალ დაწერილ წიგნებს კითხულობს. ისინი ხალხს ურჩევენ, გაეცნონ თანამედროვე ლიტერატურის ნიმუშებს. მათთან ერთად, მეც გირჩევთ, წაიკითხეთ „ლაბირინთში მორბენალი“ თქვენ მიიღებთ უდიდეს სიამოვნებას.



ლაშა ჯაფარიძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-7 კლასის მოსწავლე

ფიქრები ხელმოცარულ ელჩზე

თითქოს ვხედავ, როგორ გამოდის ვერსალიდან ხელმოცარული ელჩი, სულხან-საბა...

ლუი XIV გულცივი მეფეა, მას არ ეცოდება საკუთარი ხალხიც...მოაბიჯებს იმედგაცრუებული ქართველი , სევდიანია, გული ეკუმშება, რა უთხრას საფრანგეთისკენ იმედით მომზირალ ვახტანგ VI-ს...სადღაც შორს, მოჩანს „ტურფა ტანძია“, ელჩის მშობლიური სოფელი, რომელიც, ალბათ, ასევე დარდობს...

ნინი მელაძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-8 კლასის მოსწავლე

მკითხველი ფოტოგრაფი

„კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უვარდა“ გურამ დოჩანაშვილმა დაწერა. მასში მთავარი მოქმედი გმირი ვასიკო კეჟერაძეა, ფოტოგრაფი, რომელსაც უყვარს ლიტერატურა. კაცს იმდენად ბევრი წიგნი აქვს წაკითხული, რომ მასთან მისულ ინტერვიუერს და მის ხელმძღვანელსაც აბნევს. თავიდან, თითქოს, ინტერესს იწვევს ვასიკოსთან საუბარი, მაგრამ, შემდეგ, ხელმძღვანელი ღიზიანდება...

ნაწარმოები გვასწავლის, რომ კითხვით ბევრს მივაღწევთ.

მინდა ვიცნობდე მკითხველს, რომელსაც ვასიკო კეჟერა-ძესავით უყვარს ლიტერატურა, რადგან, ჩემი აზრით, ასეთი ადამიანები ძალიან საინტერესოები არიან.

ხარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი
აკადემიის წევრების ფიცი 3
ხატმწერები: ხატია და გიორგი ლარიაშვილები
ვედრება (დეისუსი), ბასილი დიდი, ქრისტე პანტოკრატორი, იოანე ოქროპირი 4
წმ. ბასილი დიდი, წმ. იოანე ოქროპირი, წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველი
წმ. პეტრე და წმ. პავლე 5
ჯუბა ჯუღელი
*** რა ღვთისნიერი გზაა თქვენი გზა... 6
გულნაზ ხარაიშვილი
მამა გაბრიელ 7
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 8
მამა ამირან ამირანაშვილი....9
ილია ძმანაშვილი
მამა მერაბის ლოცვით ასეულ უშვილო ოჯახს შეეძინათ შვილები. 10
გულნაზ ხარაიშვილი
დაგლოცავთ 13

პ ო ე ზ ი ა

მაყვალა გონაშვილი
თავისუფლება 14
რა გაათენებს ამხელა ღამეს....14
შემოდგომა 14
სამების კართან 15
ფრენის ამინდები 15

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე
კომშის სურნელი 16
არარსებული წერილი ნიკო სამადაშვილს 16
უსაზღვროეთი 17
შუქი ღამეში....17
აისი....17
კახა ბაციკაძე
შეძახილი....18
სივრცე შევაღე 18
პოეტური გრძნობა....18
რეალობის უარმყოფელი....18
გზა ძველებური 19
სიტყვების ტანგო....19
* * * დღეს პოეზიის ღამე იქნება... 19
* * * გულს ამოვიგლეჯ, გულით ცხოვრება... 19
გიორგი ზუხბაია
სიბრალული 20
უსასრულო მარტოობები 20
ჰაერის ია....20
ლექსები და ადამიანები 21
გზააბნეული წვიმა 21
ამირან ამირანაშვილი
სამყაროს შემოქმედს! 22
ჩემი ძმები....23
დროებითი რომანტიკა 23
დილა ზაფხულში 23

შორენა მამალაშვილი
გედის სიმღერა 24
გაზაფხული....24
მთვარის პილიგრიმები....24
ჩემიდან ცამდე, ანუ შენამდე ... .25
*** მითხარი ღმერთო... 25
*** ხომ დამთავრდება ეს სეზონი დელგმა წვიმების... 25
ედუარდ უგულავა
მზე....26
ზარი 26
*** როგორც კი გული სევდით ევსება 26
ნინო 26
*** სარკმელთან ქარი იცინის ცივად... 27
შენ რომ არა....27
ახლა შინ წადი 27
ნათია დაშნიანი
წერილი ძმას 28
* * * სხეულში უმიზნოდ ვბორიალობ... 28
ცას ვგავართ....28
მაგნოლია....28
* * * სიცილის სიღმეში ... .28
* * * ბუნება არ იცვლის დადგენილ კანონებს... 29
* * * გარდაიცვლება შემოდგომა ნოემბრის ბოლოს... 29
* * * ვხარობ ატმების აელვარებით ... .29
* * * კოწახურებს შესევიან ჩიტები... 29
თეა კანდელაკი
ქუჩა-ქუჩა, ტაძარ-ტაძარ 30
ანანკე ΑΝΑΓΚΗ 30
ზოგჯერ, ყველაფერი გაქვს....31
გალაკტიონის გარდაცვალება 31
ლალი ასაბაშვილი
ბედის ირონია 32
შემოდგომა....32
დედას... 32
ქრიზანთემებს.. 33
შორეული მოგონება.. 33
შემოდგომის ბაღში.. 33
გაზაფხულით ანცობა... 33
დავით გარეჯი საქართველოა....34
სალაღობო.. 34
ემიგრანტის ფიქრები... 34
ჭრელი პეპელა.. 35
ყველგან გეძებდი.. 35
სახალისო....35
ხათუნა ჩიტაძე
სიზმარი 36
მზიანი წვიმა 36
წინასწარმეტყველება 36
ყაყაჩო....36
იარებს 37
არჩევანი 37

მასწავლებელი 37

ტიტე მოსია

ბეჟან ხარაიშვილის ხატება....38

ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე

იგავი სოლომონისა 40
სოლომონის სიბრძნე 40
აი გამოანა(სოლომონის სიბრძნე) 40
გულის გახსნა (სოლომონის სიბრძნე)....41
ისმინე ცაო (ბიბლია)....41

მზიური დათიაშვილი-აფციაური

მე დავიბადე იქ... 42
ნაწყვეტი პოემიდან „დროთა მსხვერპლი“. დროთა მსხვერპლი IV....43
მუსიკა V 43

რევაზ კუკავა

*** ვინ იცის იქნებ დაგვაშოროს ერთმანეთს ბედმა... 44
* * * მწვანე ფოთოლი ტირილით მოწყდი.... 44
*** მთვარიან ღამეს მოაქვს ფიქრები... 44
*** შენი ხმა მესმის შორიდან მღერი... 44
*** ჩვენს ბრძენ წინაპრებს გადმოუციათ....44
* * * დავბადებულვარ ახალწლის ღამეს... 45
*** სასაცილოა, როდესაც ცდილობ... 45
*** ორშაბათია... დღეს არა ვარ... 45
*** შენ ამაყი ხარ და ეს დაგღუპავს... 45
*** იყო შეხვედრა... იყო ალერსი... 45

ანზორ ჯაფარიძე

მუზა! მუზა! მუზა!....46
უწმინდესს 46
დედას 47

თემურ გოგსაძე

მონატრება....48
ღვთის ნაწილაკი 48
შენი დღიურები....48
* * *შენ მხატვარი ხარ... 49
* * * წვიმს....49
პარადოქსები....49

მანანა ზაზიკაშვილი

გიორგი ცაბაძეს....50
ჩარგალში....50
რას ვინატრებდი?! 50

ნიკო ბაღაშვილი

ცეცხლად ავენთე....51

მანანა მიქაძე-გვარმიანი

სვანეთის საჯიხვეთში!....52
თამარის სავანე!....53

ავთო ხარაიშვილი

მირაჟი 54
* * * ახლა არის მაისი... 54
* შენამდე მანძილი მცირდება... 54
* სულთან ჭიდილში დავმარცხდი... 54
* * * არ ხარ მარტო, მღერის ქარი... 54
ჩემი გული და სისხლი 54
* * * გონება დაბინდული... 55

გზა შენამდე შორია 55
ღმერთო მაპატიე! 55
გაგიშვი 55
ნათია გურგენიშვილს 55

ლეილა ვადაჭკორია

ვერ დაგინახე 56
ნათელი ღამე 56
ყველას ვფიცავ 56
ჩვენი ფესვები 56
ღალატი 57
მზე თუ მიხსნის 57
ფარხმალს ნუ დაყრი 57
ამ ქუჩას ახსოვს 57

ლამზირა შეყილაძე

ბრმა ცხოვრება უსამართლო 58
ერის ღირსეულ შვილს 58
რად მეჩვენები შორად 58
ძველი ლექსებიდან. არ მინელდება 59
საფლავის გზას გამოვყევი 59
ვერ ვარქმევ სახელს 59

თამარ ჯაჭვაძე

მხატვარი და პოეტი 60
* * * აქ, ამ კუნძულზე ფორთოხალი აყვავდა დიო 60
ღირსება 60
* * * რა მენატრება, რით ვარ მდიდარი? 60
მომენატრები 60
* * * მზერა ირიბი და ალმაცერი... 60
კახეთში 61
... ჩემი კერა... მოგონება... დარდი... 61
* * * აღარ ვწერ! – ვთქვი და... 61
ერთიანი საქართველო 61

ქეთინო ნიკურაზე

საიქიო თუ სააქაო 62
მუზა 62
**** ბედუკღმართობამ ხელი დამრია... 62
**** ამ ოცნებებმა დამღალეს 63
**** რატომ იცრემლები... 63
ყვავილების მეჯლისი 63

ეკატერინე ქვრივიშვილი

, *მტერი სადაა?!.. მენატრება ადამიანს, რომ გავიზარდო... 64
* * * სოფლის ორღობეს ჩამოირბენს გოგონა ჩუმად 64
* * * საქორწილო კაბით 64
* * * აღარ დაინდო ცხელმა ზაფხულმა ჩემი გაშლილი გრძნობების ტილო... 65
* * * მე შენთან მოსულს, მეგებება ცხელი ზაფხული... 65
* * * შენთან დავრჩები, დავასრულო ბალადა ისევ.... 65
* * * შემოგეხვიე დარდის მძივებად, როგორც 65

შალვა ილურიძე

უხილავი ცოდვა 66
ჩემო სამშობლო 66
უმუხთალო წუთისოფელო 66
თავთუხის პური 66

როგორ არ მინდა 67
მკვლელი ხარ მკვლელი სიკვდილო....67
დავით ახლოური
ციკლიდან „მომენატრა ახალგორი" 68
ქსნის ხეობას 68
* * * ჩემი გზა-ბილიკი დარდია და... 68
* * * ეს მერამდენე დაზამთრება იქნება ცივი... 68
* * * ცხოვრებისაგან ათასჯერ ნაცემს.... 68
* * * ქალი უნდა იყოს ვნებიანი... 68
მაცხოვრის ფრესკასთან 69
* * * ხანდახან ისე თბილია მიწა ... .69
ბროწეულები....69
* * * თუ უყვარხარ და რჩეულს გიწოდებს... 69
* * * ასე მგონია 69
ჯუბა ღებელი
*** მდინარეები მიდიან... 70
უფალს 70
დე, მოდი ისევ ისე მიმღერე!.. 70
*** წავიდნენ ჩემი ტოლები... 70
*** ღამე თეთრი არის თოვლიანი... 71
სანამ ქრიან ქარები 71
ჩემს ლექსებზე არ მღერიან სიმღერებს!.. 71
ბადრი ქუთათელაძე
* * * კაფე თეატრალური... 72
...და მაინც შენით! 72
ქუჩა....72
* * * დღეს მე არა ვარ... 72
* * * ჩემი სულის ღმერთები... 72
* * * ვიცი, მოიწყენს... 73
* * * ჩემო კარგო, სიყვარულს... 73
მოსაკითხი ბარათი....73
საქართველოს! 73
ერეკლე საღლიანი
შიშმა თუ ვერ მოგდრიკა... 74
*** ღრუბლების დაშლილი ტივი... 75
სალაღობო 75
მარი ბერუაშვილი
უცნაური მუზა 76
წერს შემოდგომა ახალ ლექსებს ყურძნის წიპწებით... 76
* რანაირი არეული ამინდია... 77
* ბედნიერება ჩემი, შენშია... 77
სანდო მოძღვარი 77
ნაირა ნიჟარაძე
შრიალა ცაცხვი....78
ჩემო მამულო....78
ვაზი 78
ხიზანი....79
თხოვნა....79
მშობელი მიწა 79

გახსენება დავიწყებულს სჭირდება, ასეთები ყოველ წამს თვალწინ დგანან

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე
ჩემი სხეულის მწარე ნაწილს, მიწა საბნად დაფარულ. ოცდაექვსი წლის შვილს, დათო მელიქიძეს. ტრაგიკულად განწირულ შვილს დათოს 80
ნაირა უგულავა (ნია გორდელი)
ე პ ო ქ ა 82
წარსულს, რომელიც ტვირთივით დამაქვს 82
სული ქართველთა 83
მზერა შემოდგომის 83
მზე იყო ჩემში 83
ვეწვიე ნაცნობ ხეობას 84
მეგობრის ხსოვნას 84
ახლა, სისათუთე ბუნდოვანი – თეთრი სიზმარია 84
მანანა დანგაძე
* * * ტარიელ ხარხელაურს 85
ჩემი ბავშვობის ქალაქს 85
ნანა ჩარკვიანი
* ბავშვობაში ვცდილობდი... 86
* ამდენ სიშორით... 86
* მზის სიმხურვალე... 87
* სულის სიმებზე... 87
* შენს სიყვარულზე... 88
* ოცნებები დაფრინავენ... 89
მაგული კუჭაშვილი-კურტანიძე
საით მიიჩქარი 90
ჩემი ხაზი წითელ შუქზეც გადის 90
სიზმარი 91
ფიქრების იქით 91
პაპუნა ქვარიანი
ვერ შეკრა 92
გვწყურია 92
ოდითგან 92
უცხო ხმა 92
საწუთრო 92
სადა ხარ 92
ხორხოცი 92
საწუთრო იქ არის! 92
ეკატერინე ციცქიშვილი
სივრცის ფიასკო 93
ციდან ნაპკური 93
წამის სინაზე 93
ასე ადვილად 93
შორენა თალაკვაძე
* * * მერე რა, რომ წლები აღარ დაბრუნდება... 94
მე მაპატიეთ 94
* * * გავლილს – გამოივლი, ჩავლილს – ამოივლი... 94
თამარს, ჩემს მეგობარს 94
* * * პატარა ქუჩა... 94
დრო 94
...გალაკტიონი 95
მონატრება 95
* * * ფეხაკრეფით გავიარე ტირიფების შრიალში, ...95

ანა კალანდაძეს 95
უშანგი მოსიაშვილი
შურიან კაცს 96
მუდამ ვფიქრობ 96
9 აპრილი 96
რუსთაველს 97
ვისაც ამ ქვეყნის ტკივილი 97
შევევედრები განთქმულ პოეტებს 97
მშობელ მიწას დავლოცავ 98
სიყვარულს 98
მიტომ გაუძლო საუკუნეებს 98
როგორც არასდროს 99
თინიკო ხაბურზანია
მტრის ჯინაზე 100
მეფე დავითს....100
სული ჯვარცმული 100
სიყვარულს უშენებიათ 101
რა გვაძლებინებს 101
ანა ბეინაშვილი
მზე ჩავა (ლამზირა შეყილაძეს)....102
რა ძვირფასია შენი წყალობა 102
ღვთიური სასწაული....103
ხატება დედის 103
ლოცვა იმედით 103
შეუცნობლობა 103
ლეილა გაფრინდაშვილი
სიტყვა და პოეტი....104
ქარგულა კოლიე 104
მომიტაცეს....104
შავლეგ შავიძე
ზღვის ჰარმონია 105
იდუმალების საიდუმლო....105
იქნებ....105
გზა... 106
ნისლი ჩამოწვა პაპაჩემო 108
მანანა თარაშვილი
სპექტაკლი სამისთვის....109
ასიყვარულეთ სიყვარული 109
გვანცა ხარაიშვილი
სანამ ჩუმად ვართ 110
შორენა ჩხიკიშვილი
სისხლის წვიმები 9 აპრილს დაღუპულ ნატო გიორგაძეს 112
უკვდავი მუსიკა მსოფლიოს გენიალურ კომპოზიტორებს 113
ნატვრა....113
ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი
ჰარიჰარალი....114
მზემ მითხრა....114
შარბათი შევსვი 114
ვაი არ მქონდეს სათქმელი 114
46 წელი 115
ბელა ალანია

* * * ვერასოდეს გაიგებ 116
ბოლო სიმღერა ... .116
* * * ცისკრის მკრთალმა ნათებამ ამიშალა ფიქრები....116
* * * ეს მერამდენედ გადმოცოცდნენ ჩემი 117
გურა-ანგურა (გურამ გედევანიშვილი)
მოდი გავფრინდეთ 118
ქარი გვახვევს სევდას....119
ნამები განქრა, დრონი დადუმდნენ....119
სულს რაისთვის ვაკიკლებდი შლეგიანი ქარით 120
ციურ მანანით წრფელი ნაწვიმი 120
როგორ მომედო ბალახი ტანზე 121
რაიც მინდოდა, ლამაზ ქალთა წამოსასხამად....121
ვინ გეტყვის იავნანასა....121
ლომის მთა ლომისის ნისლებმა მონისლა 122
საგალობლები ვსტყორცნოთ ლაჟვარდებს 122
ხოლო წყალი ყოვლიერზე არაკობდა 122
კლდეთა ტკივილით....123
ვით უთეთრესი გედების გუნდი....123
ალვასა ჰკითხეს, რამ გაგზარდა ასე მაღალი 124
თოვლი ვარ მთაზე მგლოვარე 124
შენი შემოსვლა ზეიმს ჰგავდა....125
დამიჯდების მხარს იამზე 125
და საქართველო ამირან მთით დაიგუგუნებს 125
დევკაცივით, დგანან ანძები 126
ვარსკვლავეთის დაკლაკნილი ხვეულებით....127
და დროები მის მზერაში თვლემდნენ 127
ლამაზი ხარ, ვფიცავარ...!....128
სულში უდაბნო ქალწულივით გადაფრინდების....128
მითოსიდან....128
კაცი, რომელიც მიწაზე იწვა 128
მორევების გამჭვირვალე ტბორი 128
დაილოცს გუთნეული 128
ნაზად ვკოცნი იასა....129
და ბროლები სადღეგრძელოს შევამსხვრიოთ 129
დროზე....129
ლელწამივით ირხეოდა....130
ჩვენს მარადიულ სასაფლაოს ქსოვდნენ ვარდებით....130
ფიქრს ვინ დამიშლის! 131
გულნაზ ხარაიშვილი
წერტილი დავსვი 132
და მე კი არა....132
როცა გიყვარს 132
კეთილი ვარ....133
მეოცნებე ბავშვი....133
ზღვაში ვარ....133
თუ ვიღიმები....134
ჩემს იმერეთს....134
თაკო....134
ალბათ შევძლებ 134
მაინც კარგია 134
უფალო დამილოცე ყველა 134
ლექსით ვცოცხლობ....135

ხელი არ ახლოთ 135
აივანზე 135
თქვენ არ გეტკინოთ 136
კაბას შეუცვალე ფერი 136
დამიჯერეთ 136
არ ვიცოდი 137
გული 137
ღრუბელი 137
ვენებს იმედის სისხლი გადუს 137
ფრთხიალებს ეჭვი 138
ცა მოწმენდილზე 138
ისე ჩუმად გაილია წლები 138
ამ ჩიტებში 138
ბელტივით გადავიხვნები??? 139
ვდუმდი 139
ვირითმები 139
მოდი მესროლე 140
ღვთიშობელო, გევედრები... 140
მთვარეს უნდა ვესაუბრო 140
გაუტანლობა 141
წამალი 141
შემომათენდი 141
დედი 142
დაიფარე უფალო 143
თეთრი ღამე 143
უღალატობის მძიმე უღელი 143
ისევ 144
ძუნწი და ოქრო ცხოვრობენ ერთად 144
ვის ტკბილად სძინავს 144
ცამ ზეწარი გადააკრა მთვარეს 145
ღამის ფარანი 145

ვანის მთების უსასრულო ჩურჩულმა
ნამდვილი ამბავი 146

გულნაზ ხარაიშვილი
სულების ელჩი 152

ერდავიწყება მოოვაწეთა

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)
წმიდა გიორგისადმი 155
* * * მამაო ჩვენო 155
დიდებულ უწმინდესს 155
* * * ო, ღმერთო ჩემო, ...155
დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა უწმინდესს 156
* * * კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი, ...156
სად ყვავილი სამოთხის 156
მთები 156

ბეჟან ხარაიშვილი
ნატვრა 157
რუსთავო 157
რატომ გამიფრინდი? 157

გახსენება 158
შემოდგომით 158

მუხრან მაჭავარიანი

ჭეშმარიტად, — აფერუმ! 159
მე ბზიფთან ერთი ვიცი ურთხელი 159
მკათათვის შუადღე არგვეთში 159
ვაჰმე! 159
აწი 159
აუ! — რას წვიმს!.. 160
ბიჭვინთა 160
ქარსაკუთარი თრთის მხდალი ვერხვი 160
ნეტა 160
* * * ღამე გაწყალდა, – გაილია, – გასიფრიფანდა 160
* * * თავისას წერას გაექცევა ამქვეყნად ვერვინ 160
* * * ყოველნაირი სიხარული სევდისკენ მიდის! 160
მაშინაც 160
გუშინაც რომ ხალხი იყო მამაცი 160

ივანე ნუცუბიძე

გლეხო 161
*** გასწით, გამშორდით სევდებო, ...161
პოეტის საფლავზედ 161

ნუნუკა გურალია

ფიროსმანს 162
ბევრჯერ სიკეთით ნაამაგარი 162
* * * ბეთანიაში კვლავ 163
ნატვრადა მაქვს 163
როდის განმეორდები 163
გვიღიმისდა 163
რას პირდებოდი 163

ხაბავშვო განყოფილება

ნაირა ნიჟარაძე

ყვავილების გამოფენაზე 164
მავნებლები და სასარგებლონი 173
სასარგებლონი 175

ლია ბეჟანიშვილი

ბავშვებს 178
წერილი ნათიას 178
ყოჩაღი 178
გელას ნატვრა 178
ნაწყენი თხილები 179
ბებოს გაფრთხილება 179
ცნობისმოყვარე 179
პაექრობა 179
მეტიჩარა 179
ზარმაცი გელა 179
დარიგება 179
მეტიჩარა ელენე 179
უმადური ფისო 179
ქალაქელი 179

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი
პოემა მარ ბაჯიევი 180
Ratiani Lali, Lwara Sordia
Erinnerungstheorie in der Schöpfung von Robakidse Grigol 184
დათო ყანდაშვილის თარგმანები:
გულნაზ ხარაიშვილი. ჩემო საქართველო 188
ამაღლებაა 189
მოდი მესროლე 189
ბეჟანი ხარაიშვილი. რატომ გამიფრინდი? 190
სიყვარული იწყებოდა ასე! 190
რუსთავო 191

პროზა

რევაზ მიშველაძე
წამება 192
თინათინ სიყმაშვილი
დედაშვილობა 205
დედის რძე 208
გარი ჩაფიძე
სიყვარულის ლაბირინთი. ღალატი....211
მაია ტყემალაძე
ფ ე ს ვ ე ბ თ ა ნ 218
რედაქტორისაგან 222
ბეჟან ხარაიშვილი
უსახელო მკვდრები....223
ს ა ა ქ ა ო 233
რეზო (ემელიანე) ადამია
პაემანი სიკვდილთან....237
ტერენტი გრანელი 237
დათო არახამია
დაცურდა ცრემლი 245
წყვდიადის სარკეში 246
სერგი ლომაძე
დიდი შემაჯამებელი ღონისძიება 247
ანთოლოგიის მეშვიდე ტომის პრეზენტაცია 250
პოეზია და შემოდგომა 253
გურამ ჭავჭანიძის პოეზიის საღამო 257
ელიზბარ ხერკელაძისა და თამარ ვარდოშვილის დიდი დღე 260
განსხვავება-შენიშვნა 263
2019 წლის გახსნითი საღამო შედგა 264
თებერვლის ბოლო აკადემიური ღონისძიება....265
ნელი გიუნაშვილის აკადემიური საღამო....267
მარტის ბოლო ღონისძიება 269
ხაშური – 2019 271
პირველი ივლისი ჩვენს აკადემიაში....275
მეორე შემაჯამებელი შემოქმედებითი საღამო ივლისში 278
ჯუმბერ ლეჟავას საიუბილეო დღეები 281
აკადემიის პრეზიდენტის დღე მწერალთა სახლში....284
პოეზია და შემოდგომა (სექტემბრის დიდებული შემოქმედებითი საღამო) 288
დღე სასწაული 290

იმერეთო, ჩემო ზღაპარეთო 293
ბავშვობა საიდანაც მოვდივარ 301
გენაცვალე 303
ჯ გ უ ფ ზ ღ ვ ა რ ს 304
გულის გამოძახილი....306
ლექსით ნათქვამი მადლობა....307
არ შემიძლია არ დავწერო....308
ვინ იყო ოლეგ მელაძე 309
ოლეგ მელაძეს 310
გარდაცვალება....310
ო, როგორ აგვატირე ყველა....310
პოეზიის საღამო....311
ჟურნალ „ათინათი“-ს 33-ე ნომრის პრეზენტაცია....312

გულნაზ ხარაიშვილი
„მოლოდინის ფიქრი“....314

ლამზირა შეყილაძე
სანამ დედებს პირში სული გვიდგას 314

ნიკო ბაღაშვილი
დიალოგი. „მგზავრობა ასტრალში“ დე - გულნაზ ხარაიშვილს....317
პასუხი ნიკო ბაღაშვილს 319

გურამ ჭავჭანიძე
ორი შეხვედრა ბატონ ჭაბუა ამირეჯიბთან....320
ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი 321

ჯონი შავლაყაძე
იცით თუ არა 323

მზია გოგოძე
იუბილე ეროვნული შემართება — სულისკვეთებით 324

ჟუჟუნა ნიჟარაძე
განვლილი ცხოვრების ეპიზოდები 327

ანზორ ჯაფარიძე
ამაღლება ახატელში 335

მზიური დათიაშვილი-აფციაური
მოულოდნელი საღამო 337
ბავშვი 339
გულნაზის დაბადების დღე 340

ხათო ელიაშვილი
ადამიანი როგორც სიტყვა, როგორც იდეა 341

ლამზირა შეყილაძე
ჟურნალ „ათინათის“ 33-ე ნომერი 342

ნელი ქველაძე
უწერელი რაინდი 344

ლალი ჩხეიძე
უკანასკნელი პაემანი 349

ლევან ბაბუხადია
კესარია ბებია 353
დედაჩემი....354

სიმონ ზაქარია
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი არჩილ თალაკვაძე სტუმრად ვაშინგტონის (აშშ) თამარ მეფის სახელობის ეკლესიაში 357

ლელა გაფრინდაშვილი
ერთგულება 360
რევაზ მიშველაძე
რა დიდებული დღე იყო 361
ლელა გაფრინდაშვილი
*** 362
დალი აბესაძე
ჯუმბერ ლეჟავას გახსენება 364
მონაზონი იოანა
მადლიერება 365
თამარ ძაძამიძე
თვალით ნახული გარდაცვალება 367
მაია ფეიქრიშვილი
სიცოცხლისათვის 367
ციალა ხაჟალია-ანდრიაძე
დრო კი არ მოდის, მიდის 369
ამალია ხაზანდარიშვილი
დაუღალავი შემოქმედი, რჩეულთა შორის რჩეული 372
ბორის მიშველაძე
„ათინათის“ შენაკადთა მზესხივოსანი კრებული 374

ბიბლიოთეკა

ქეთინო ნიკურაძე
საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში 376

სიკვეთისა და სიყვარულის მეცხოვნე

ანზორ ჯაფრიძე
ანზორ ჯაფარიძის „ოთხთავი“ 380

წერილები

ლუარა სორდია
აკაშას ქრონიკა. ნიკო სამადაშვილის პოეზიის ერთი პრობლემა 402
Ratiani Lali, Lwara Sordia
Reinkarnationsstheorie im Schaffen von Robakidse Grigol 408
მანანა კვატაია
გრიგოლ რობაყიძე „მუსოლინი“ 414
ლიანა წურწუმია
XVII საუკუნე ევროპის ხელოვნებაში 423

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი
სულიერ ფასეულობათა ანბანი. დასკვნა 429

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა
თვალთახილვა (აზრები) 434

შემეცნებითი ხასმყარო

მამა ამირან ამირანაშვილი
საუბარი რელიგიის ისტორიის შესახებ 440
სოციალური ხასიათის დაბრკოლებები 442
სამღვდელო კანდიდატის გამოცდა 443

ისტორია

როინ მეტრეველი
აღა-მაჰმად-ჰანის ულტიმატუმი მეფე ერეკლე მეორისადმი 447
ნიკო ხერკელაძე
ცრემლში ნალესი ხმალი....452
მანუჩარ მაჩაიძე
ერი და თანამედროვეობა....459
ისტორიული კადრები....468

ხელოვნება

გურამ ცერცვაძე
შემოქმედება....470
გულნაზ ხარაიშვილი
გულის წევრი....472
ქეთი მაზმიაშვილი
შემოქმედება....473
ნელი კვახაძე
შემოქმედება....494
როკის მომღერალი ქართველი ქალი, რომელიც როკის სამშობლოში ქართულად ამღერდა....488
ნიკო ხერკელაძე
შემოქმედება....491
სოფიკო ხერკელაძე
შემოქმედება....493
გოგი ფაცაცია, სიმონ ზაქარაია
ბიოგრაფიული ცნობები....495
თბილისის სამხატვრო აკადემიაში....496
სცენები ქრისტეს ცხოვრებიდან....497
დასკვნა....499

ოჯახური ურთიერთობები

ირინე ბალავაძე
მოკლე ბიოგრაფია....500
შევიმსუბუქოთ ცხოვრება ზედმეტი დაძაბულობისაგან....501
ტრადიციებზე დაყრდნობილი ოჯახის ყოველდღიურობა....503
ერთად ტრაპეზზე....505
რა კარგია ვიყოთ ერთად....507

ფიზკულტურა და სპორტი

ჯუმბერ ლეჟავა
„ჯანმრთელობის ფორმულა“ მეთოდიკა....523

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციის ალტერნატიული გზების შესახებ....531
მალხაზ ჩხიტუნიძე
საემისიო ინსტიტუტების წარმოქმნის ისტორიული წინაპრები და სენიორაჟი....537
ქეთევან ცაბაძე
სახელმწიფოს ეონომიკური ფინანსური გლობალიზაციის მიმდინარე ტენდენციებში....544
ნოდარ ხარაიშვილი
კომპანიის ფულადი ნაკადების მენეჯმენტისა და საგადასახადო კალენდარის ორგანიზაციის
აქტუალური საკითხები....547

სოფლის მეურნეობა

ონერ ძაძუა
ტყის ზოლების გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკა 554

მედიცინა

ავთანდილ კურდღელაძე, ფერია კურდღელაძე
ადამიანთა დაავადებები და მისი ფიტოთერაპია 559

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა
ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის განშლადობა 563
ლალი ქელბაქიანი
მათემატიკის და ეკონომიკის ურთიერთკავშირის შესახებ 565

ნორჩი ათინათელები

167-ე საჯარო სკოლის მკითხველთა კლუბი „მთიები“

ანანო ნიშნიანიძე
ენის დანიშნულება 567
ერეკლე ხმალაძე
ფიქრები ენაზე 567
ლიზა ლეკიშვილი
ფიქრები ენის სამყაროზე 568
ლუკა ჩაჩანიძე
ხატვიდან დამწერლობამდე 568
მუხრან ჭიღლაძე
განუმეორებელი 569
ზეიკიძე თინათინი
ნიადაგს მოწყვეტილი 569
თამარ ლოევენი
ენა და მამული 570
ნათია ადვაძე
ჯეიმზ დაშნერი „ლაბირინთში მორბენალი“ 570
ლაშა ჯაფარიძე
ფიქრები ხელმოცარულ ელჩზე 572
ნინო მელაძე
მკითხველი ფოტოგრაფი 572

მთავარი რედაქტორი — **გულნაზ ხარაიშვილი**

რედაქტორი — **ლუარა სორდია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა — **ნანა სხირტლაძე და დავით ყანდაშვილი**

გამომცემლობა **„საარი"**